ᲙᲝᲜᲠᲐᲓ
ᲚᲔᲜᲯᲔᲠᲘᲜᲘ
ᲕᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲛᲔᲜᲐᲠᲔ?...

ჰენრიკ სენკევიჩი

ვიდრე ჰხვალ

თარგმანი

ნიკო ავალიშვილისა

ნაწილი პირველი

თავი პირველი

შუა დღის ხანი იქნებოდა, პეტრონიუსს რომ გაეღვიძა. დაღლილობა იგრძნო. გუშინ ნერონთან იყო, ლხინი ნაშუაღამევამდე გაგრძელდა. ეს ერთი ხანია, ჯანმა უმტყუნა პეტრონიუსს, თვითონ ამბობდა ხოლმე: დილით რომ გამეღვიძება, ასე მგონია, გახევებული ვარ, აზრიც ვერასგზით ვერ მომიკრებიაო; მაგრამ დილის აბანო და საგანგებოდ დანიშნული მონებისაგან ტანის ბეჯითი დაზელვა ზანტ სხეულს უხალისებდა და ძალ-ღონეს უბრუნებდა მას. ელეოთესიუმიდან ანუ აბანოს უკანასკნელი განყოფილებიდან ახლად დაბადებულივით გამოდიოდა – თვალციმციმა, მხიარული, გაყმაწვილებული, სიცოცხლით სავსე, მშვენიერი, იმდენად ლაზათიანი, რომ თვითონ ოთონიც ვერ დაუდებდა ტოლს; ამ დროს ნამდვილი arbiter elegantiarum-ი იყო, როგორც მას ნერონი და სხვები ეძახდნენ.

პეტრონიუსი საზოგადო აბანოებში იშვიათად დაიარებოდა. მაშინ თუ მივიდოდა იქ, როდესაც ხმა გავარდებოდა, ქალაქში გასაოცარო რიტორი გამოჩნდა ანდა ეფებეაში მეტად საყურადღებო შეჯიბრება დაინიშნებოდა. თვითონ ჰქონდა საკუთარ ინსულაში აბანოები, სევერუსის გამოჩენილმა ამხანაგმა ცელერუსმა რომ გადაუკეთა, გაუფართოვა და ისეთი ნატიფი გემოვნებით მოუწყო, რომ ნერონიც კი მათ საიმპერატორო აბანოებზე მაღლა აყენებდა, თუმცა ის აბანოები უფრო ფართონი იყვნენ და შეუდარებლად ძვირფასად მოწყობილნი.

გუშინდელ ნადიმზე პეტრონიუსს ვატინიუსის სულელური ლაპარაკი მოსწყინდა და ნერონის, ლუკანუსისა და სენეკას მუსაიფში ჩაერია. პაექრობდნენ იმაზე, აქვს თუ არა დედაკაცს სულიო.

როგორც უკვე მოგახსენეთ, ნანადიმევი პეტრონიუსი გვიან ადგა და ჩვეულებისამებრ იბანავა. ორი ზარი ტანის მონა ეახლა. თოვლივით თეთრ ეგვიპტურ ბისონგადაფარებულ კვიპაროსის მაგიდაზე (მენსზე) დააწვინეს და სურნელოვან ზეთში ამოვლებული ხელისგულებით დაუწყეს ბრგე ტანის ზელა. თვითონ პეტრონიუსი თვალდახუჭული უცდიდა, როდის გადმოვა ჩემს სხეულში მონათა ხელების სიმხურვალე და როდის განმიქარვებს მოქანცულობასო.

რამდენიმე წამს შემდეგ მაინც თვალები გაახილა და ლაპარაკი დაიწყო. ჯერ, როგორი ამინდიაო, იკითხა და შემდეგ სხვა გაიხსენა: ოქრომჭედელი იდომენი გემების მოტანას დამპირდა, და მოიტანა თუ არაო. პასუხად მიიღო: მშვენიერი ამინდია- ალბანის მთებიდან წყნარი ნიავი ქრისო, ხოლო გემები ჯერ არ მოუტანიათო. პეტრონიუსმა თალები ხელახლა დახუჭა და მონებს უბრძანა, ტეპიდარიუმში გადაეტანათ. ამ დროს ფარდის უკანიდან ნომენკლატორი გამოვიდა და მცირე აზიიდან ახლად დაბრუნებულ ახალგაზრდა მარკუს ვინიციუსის მოსვლა მოახსენა.

მასპინძელმა ბრძანა, სტუმარი ტეპიდარიუმში მიეწვიათ. ვინიციუსი გახლდათ შვილი პეტრონიუსის უფროსი დისა, რომელიც ოდესღაც მარკუს ვინიციუსს, ტიბერიუსის დროის კონსულს, მისთხოვდა.

ახალგაზრდა ვინიციუსი ახლა კორბულონის ხელქვეითი იყო, პართელებთან ომი გაეწია და ომის გათავების შემდეგ რომში დაბრუნებულიყო. პეტრონიუსს მოსწონდა დისწული, თითქოს უყვარდა კიდეც, რადგან მარკუსი ლამაზი, ზორბა მოყვანილობის ყმაწვილი კაცი იყო; ამასთანავე გარყვნილებაში ესთეტიური ზომიერების დაცვა იცოდა, რასაც პეტრონიუსი ყველაზე მეტად აფასებდა.

– სალამი პეტრონიუსს, – უთხრა ტეპიდარიუმში ჩქარი ნაბიჯით შემოსულმა ყმაწვილმა კაცმა, – ღმერთებსაც ენებებინოს ყველა საქმეში შენი გამარჯვება, განსაკუთრებით ასკლეპიოსსა და კიპრიდას. მათ მეოხებითა და თანადგომით ცუდი არაფერი გენახოს.

– შენი რომში დაბრუნება მიხარია. ტკბილიმც გექმნას განსვენება ნაომარს, – უპასუხა პეტრონიუსმა და ხელი, რომელიც რბილ კარბასულ ქსოვილში ჰქონდა გახვეული, გაინთავისუფლა. – სომხეთში რა ისმის? აზიაში ცხოვრების ჟამს ბითინიაში ხომ არ ყოფილხარ?

პეტრონიუსი ოდესღაც ბითინიის გამგებელი იყო და მაშინ დიდი სიმტკიცე და სამართლიანობა გამოიჩინა. ეს გარემოება თითქოს ეწინააღმდეგებოდა გამგებლის ფუფუნების მოყვარეობას და იმის დასტური გახლდათ, რომ პეტრონიუსი ყველა საქმეს გაუძღვებოდა, ოღონდ მისი გუნების ყოფილიყო.

– ჰერაკლეაში მომიხდა ყოფნა, – უპასუხა ვინიციუსმა, – კორბულონმა გამგზავნა მაშველი ჯარის მოსაყვანად.

– ჰერაკლეა!... იქ ერთ კოლხიდელ პატარა ქალს ვიცნობდი, ყველა აქაურ ქმარგაყრილ მატრონას მივცემდი იმის სანაცვლოდ, პოპეასაც ზედ დაურთავდი. მაგრამ ამას თავი დავანებოთ, ძველი ამბებია. მითხარ, პართელებისა რა ისმის? მართალი გითხრა, მომწყინდა ეს ვოლოგეზები, ტირიდატები, ტიგრანები და სხვა ბარბაროსნი, რომელნიც, როგორც ახალგაზრდა არულანი ამტკიცებს, შინ ჯერაც ოთხზე დაცოცავენ და მხოლოდ მაშინ უჭირავთ ადამიანურად თავი, როცა ჩვენთან არიან. მაგრამ ახლა მათზე რომში ბევრს ლაპარაკობენ, იქნება იმიტომ, რომ სხვა თემაზე საუბარი სახიფათოა.

– ომის საქმე ცუდადაა, კორბულონი რომ არ ყოფილიყო, ვინ იცის, დავმარცხდებოდით.

– კორბულონი, ბახუსს ვფიცავ, ომის ნამდვილი ღმერთია, ნამდვილი მარსი, დიდი ჯართწინამძღოლი, თანაც ფიცხი, პირდაპირი და სულელი. იმიტომ მიყვარს, რომ ნერონს მისი ეშინია.

– კორბულონი სულაც არ არის სულელი.

– იქნება ეგრეა, მაგრამ ეგ სულ ერთია. პირონი ამბობს, სისულელე სიბრძნეს არ დაუვარდება და მათ შორის დიდი ზღვარი არ არისო.

ვინიციუსმა ომის ამბავი დაიწყო, მაგრამ როდესაც პეტრონიუსმა თვალები ხელახლა დახუჭა, ყმაწვილმა კაცმა, რაკი მისი მოქანცული ცოტაოდნად გამხდარი სახე დაინახა, ლაპარაკის საგანი შესცვალა და თავაზიანად მასპინძლის ჯანმრთელობა მოიკითხა.

პეტრონიუსმა თვალი გაახილა.

ჯანმრთელობაო? მთლად კარგად ვერა გრძნობს თავს, მაინც ჯერ ის დღე არ ადგია რაც სისენას.იმან ისე დაკარგა ცნობა, დილით რომ აბანოში მიიტანენ, კითხულობს ხოლმე: ვზივარ თუ არაო? არა, თავს კარგად ვერა გრძნობს. ვინიციუსმა იგი ასკლეპიოსისა და კიპრიდას მფარველობას მიანდო, მაგრამ პეტრონიუსს ასკლეპიოსისა არა სწამს რა. ისიც არავინ იცის, ვისი შვილია ასკლეპიოსი – არსინიოსი თუ კორონიდისა, და თუ დედა არავინ იცის, მამაზე ლაპარაკი ხომ სულ მეტია, ახლა საკუთარ მამასაც ვერავინ დაუდგება თავდებად!

პეტრონიუსმა სტუმარს გაუცინა და განაგრძო – ამ ორი წლის წინ ეპიდავროსში ოცდათექვსმეტი ცოცხალი მამალი და ოქროს თასი გავგზავნე, არ იკითხავ, რისთვის? ჩემს თავს ვუთხარი,

მიშველის რასმე თუ არა მიშველის, ვნებას მაინც არ მომიტანს -მეთქი. თუ ხალხი ღმერთებს ჯერაც მსხვერპლს სწირავს, მაშ ისინიც ისე ფიქრობენ, როგორც მე, ყველანი, ვირების მდევნელებს გარდა, Porta Capena-სთან რომ დგანან. ასკლეპიოსის გარდა მე ასკლეპიდებთანაც მქონდა საქმე, შარშან რომ ცოტაოდნად შეუძლოდ შევიქენ. იმათ ინკუბაციო მომიძღვნეს. ვიცოდი იმათი გაიძვერობა, მაგრამ მაინც ჩემს თავს ვუთხარ: რას დამაკ-ლებენ-მეთქი? მთელი ქვეყანა სიცრუეზე დგას და თვითონ სიცოცხლე განა სიცრუე არ არის? სული? ესეც ხომ ოცნებაა. მაინც ცოტაოდენი ჭკუას ძალა უნდა დაატანო და გაიგებ, რომელი შეცდომა სასიამოვნოა და რომელი უსიამოვნო. ჩემს ჰიპოკაუსტუმს გუნდრუკმოყრილი ფიჭვით ვახურებინებ, იმიტომ რომ ცუდ სუნს კარგი სუნი მირჩევნია. რაიც შეეხება კიპრიდას, რომ-ლის მფარველობასაც შემავედრე, იმდენად გავიცან იგი, რომ მარჯვენა ფეხში ჩხვლეტასა ვგრძნობ. მაინც იგი კეთილი ქალღმერთია. ვფიქრობ, ადრე იქნება თუ გვიან, შენც მიუყვან იმას სამსხვერპლოზედ თეთრ მტრე-დებს.

– გამოცანა გერგება, – უთხრა ვინიციუსმა, – მე პართელთა ისრებმა ვე-რაფერი დამაკლეს, მაგრამ ამ ურის ისარმა კი დამკოდა... სრულებით მო-ულოდნელად, ქალაქის კარიდან სულ რამდენიმე სტადიონის მანძილზე.

– გრაციის თეთრ მუხლებს ვფიცავ! ეგ ყველა მოცალეობის ჟამს მიამბე, – უთხრა პეტრონიუსმა.

– მე იმად მოვედი, რჩევა გკითხო, – უპასუხა ვინიციუსმა, მხრებიდან ტუ-ნიკა გადაიგდო და თბილი წყლის აბაზანაში შევიდა, რადგან პეტრონიუსმა წეღანვე შესთავაზა, დაიბანეო.

– დახე, ისიც არა გკითხე, ქალის თანაგრძნობის იმედი თუ გაქვს-მეთქი, -უთხრა პეტრონიუსმა, რა დაინახა სტუმრის ახალგაზრდა, თითქოს მარმა-რილოსაგან გამოქანდაკებული სხეული, – ლისიპოსს რომ ენახა, შენი ტა-ნის მიხედვით ახალგაზრდა ჰერკულესის ქანდაკებას ჩამოქნიდა და დიდი ხნის წინათ დაამშვენებდა პალატინის კარს თავისი ნამუშევრით.

ყმაწვილმა კაცმა კმაყოფილებით გაიღიმა და აუზში ჩაეშვა. აუზის თბი-ლი წყალი მოზაიკას გადაევლო. მოზაიკაზე აღბეჭდილი იყო იუნონა, რო-დესაც ქალღმერთი ძილს სთხოვს, ზევსი დააძინოს. აღტაცებული პეტრო-ნიუსი მარკუსს მცოდნე კაცის თვალით უცქერდა.

ვინიციუსი რომ აუზიდან ამოვიდა და ეპილიატორების ხელში აღმოჩნდა, ამ დროს პაპირუსის გრაგნილებით სავსე ბრინჯაოს ყუთით ლიქტორი შემოვიდა.

– გინდა მოუსმინა? – ჰკითხა სტუმარს პეტრონიუსმა.

– თუ შენი ნაწერია, დიდი სიამოვნებით დაგიგდებ ყურს, – თუ არადა, სჯობს ვილაპარაკოთ. პოეტები ახლა ქუჩის ყველა მოსახვევში ებღაუჭებიან ხალხს.

– ეგ მართალია! როცა კი ჩაუვლი რომელიმე ბაზილიკას, – აბანოს, ბიბლიოთეკას ან წიგნების დუქანს, უსათუოდ დაინახავ პოეტს, რომელიც მაიმუნივით ხელებს იქნევს. აგრიპა რომ აღმოსავლეთიდან დაბრუნდა, ეგონა, ეს ხალხი გონს გადამცდარაო. მაგრამ ახლა დროა ასეთი, თვითონ კეისარიც ლექსებსა წერს და ყველანი იმას ბაძავენ. მხოლოდ იმპერატორის ლექსებზე უკეთესის წერა აკრძალულია; მიტომაც, ცოტა არ იყოს, ლუკანუსისა მეფიქრება. მე პროზას ვწერ, მაგრამ ამ პროზას არც ჩემ თავს ვთავაზობ და არც სხვებს. რაც ლიქტორს უნდა წაეკითხა, საწყალი ფაბრიციუსს ვეიენტონის ჩანაწერებია.

– „საწყალიო“ რად ბრძანებ?

– იმიტომ, რომ უბრძანეს, ოდისევსის როლი ეთამაშნა და ვიდრე ახალი განკარგულება არ იქნება, თავის შინაურ ოჭოლბოჭოლებთან არ დაბრუნებულიყო. ეს ოდისეა მისთვის უფრო ადვილი გამოდგება: ფაბრიციუსის ცოლი პენელოპას არა ჰგავს. მაინც, რა ჩემი თქმა გინდა სულელურად მოეპყრნენ, მაგრამ აქ საქმეს ყველა ზერელედ ეკიდება. ფუჭი და მოსაწყენი წიგნია მაგრამ რაკი დამწერი განდევნეს, ხალხი ამ წიგნის წაკითხვას ერთიმეორეს ეცილება. ახლა ყოველ მხრიდან იმის მეტი აღარა გესმის რა: თავმოსაჭრელი საქმე! თავმოსაჭრელი საქმე!... შეიძლება ფაბრიციუსმა ზოგი რამ კიდეც მოჭორა მაგრამ მე ქალაქს ვიცნობ, ვიცნობ ჩვენს Patres და ჩვენს მანდილოსნებს. გარწმუნებ, მეტის ღირსნი არიან. ესეც კია, ყველა შიშით კითხულობს ამ წიგნს,

ჩემს გამოხატვას არ წავაწყდეო, ხოლო თუკი ნაცნობების დასურათებას ამოიკითხავს, ბოროტი სიხარულით ივსება. ავირნის წიგნების დუქანში ასი მწერალი ამ წიგნის გადაწერას უზის, ნაღდი გამარჯვებაა.

– შენი ამბები არა წერია რა?

– როგორ არა, მაგრამ ავტორს ნახტომმა უმტყუნა, რადგან სინამდვილეში მე ერთსა და იმავე დროს უფრო ცუდიცა ვარ და არც ისეთი ბილწი, როგორც იმან დამხატა. იცი რა, ჩვენ დიდი ხანია გარჩევის ნიჭი დავკარგეთ-აღარ ვიცით, რა არის ზნეობრივი და რაა უზნეო, თვითონ მეც მგონია, რომ არავითარი განსხვავება არ არსებობს. თუმცა სენეკას, მუზონიუსსა და თრასეას თავი ისე უჭურავთ, თითქოს ამ განსხვავებას ხედავენ. ჩემთვის კი სულ ერთია. ჰერკულეს ვფიცავ! რასაც ვფიქრობ, იმას ვამბობ; ის უპირატესობა მაინც შევინარჩუნე, ვიცი, რა არის საზიზღარი და რაა მშვენიერი. სხვებს ეს როდი გაეგებათ, მაგალითად, ჩვენს ჟღალწვერა პოეტს, მეეტლეს, მომღერალს, მოცეკვავეს და ჰისტრიონს.

– ფაბრიციუსი მებრალება. კარგი საამხანაგო კაცია.

– ის პატივმოყვარეობამ დაღუპა. თუმცა გუმანი ყველას ჰქონდა აღებული, მაინც კარგად არავინ

იცოდა, რაში იყო საქმე; ფაბრიციუსმა კი თვითონ ვერ შეიკავა თავი, ჩუმ-ჩუმად ყველაფერი დაროშა და ყველგან. რუფინიუსის ამბავი გაგიგია?

– არა.

– ფრიგიდარიუმში გადავიდეთ, იქ ცოტა გავგრილდებით და ამბავსაც გიამბობ.

ფრიგიდარიუმში გადავიდნენ. შუა ფრიგიდარიუმში აუზი იყო, შადრევნიდან ვარდისფერი წყლის ჭავლი ამოდიოდა და იის სურნელებას ჰფენდა იქაურობას. ორნივ აბრეშუმის ქსოვილით დაფენილ თახჩებში ჩასხდნენ და ერთხანს ხმას არ იღებდნენ. ვინიციუსი დაფიქრებული უცქეროდა ბრინჯაოს ფავნუსს, მკლავზე რომ ნიმფა გადაეწვინა და ვნებით ეძებდა მის ტუჩებს. ბოლოს თქვა:

– აი ვინ არის მართალი, სიცოცხლეში ყველაზე უკეთესი ეს არის.

– ჰო იქნებ ეგრეც იყოს, მაგრამ ამას გარდა შენ ომი გიყვარს, რაიც მე არ მიყვარს, რადგან კარავში ფრჩხილები გემტვრევა კაცს და ვარდისფერი ეკარგება. კაცია და გუნება. ჟღალ წვერას სასიმღერო ლექსები უყვარს, უფრო კი თავისი საკუთარი, ბებერ სკავრუსს კიდევ თავისი

კორინთული ლარნაკი, მუდამ რომ საწოლთან უდევს და თუ ძილი გაუტყდა, კოცნის ხოლმე. აკი გაუცვითა კიდეც კოცნით ნაპირები. ერთი მითხარ, შენ კი არა წერ ლექსებს?

– არა. ჩემს დღეში ერთი ჰეგზამეტრიც არ დამიწერია.

– კითარას არ უკრავ, არცა მღერი?

– არა.

– ეტლს არ ატარებ?

– ოდესღაც ანტიოქიაში ეტლით ვარჯიშობაში მონაწილეობას ვიღებდი, მაგრამ წარმატება არა მხვდომია წილად.

– მაშ შენი ჯავრი არ უნდა ვიქონიო. ცირკის რომელ პარტიას ეკუთვნი?

– მწვანეებისას.

– ახლა სრულებით დამშვიდებული ვარ. მართალია, კარგი ქონება გაქვს, მაინც ისე მდიდარი არა

ხარ, როგორც პალასი ან სენეკაა. იცოცხლე, კარგია ლექსების წერა, კითარაზე სიმღერა, ლექსების თქმა, ცირკში ჯირითი, მაგრამ უკეთესია და თანაც უშიშარი – არც ლექსები წერო, არც იმღერო, არც ითამაშო და არც ცირკში ცხენები აჯირითო. სარგებელს მაშინ ნახავ, ისეთი აღტაცება თუ შეგიძლია, როგორიც ჟღალწვერამ იცის. ლამაზი ბიჭი ხარ და ერთი საფრთხე გემუქრება მხოლოდ: შესაძლოა პოპეას შეუყვარდე.ესეც კია, საამისოდ პოპეა ერთობ გამოცდილია.ორი ქმრის ხელში სიყვარული საკმაოდ მოიმწვანილა, ახლა მესამე ჰყავს და მისი ინტერესის საგანი სიყვარული აღარაა, სხვა იზიდავს. ხომ იცი, იმ სულელ ოთონს აქამდისაც გაგიჟებით უყვარს... ესპანეთის კლდე-ღრეში დახეტიალობს და ოხრავს.ძველ ჩვეულებაზე ხელი აიღო, თავის თავზე ზრუნვას ისე დაეხსნა, რომ თმის დავარცხნას დღეში სამ საათსღა ანდომებს. ვინ მოელოდა ამას, მეტადრე ოთონისაგან.

– მისი საქციელი მესმის, – უპასუხა ვინიციუსმა, – მაგრამ მაინც, ოთონი ვიყო, სხვაგვარად მოვიქცეოდი.

– ვითომ რას გააკეთებდი?

– იქაურ მთიელთაგან ერთგულ ლეგიონებს შევადგენდი. იბერიელები კარგი მეომრები არიან.

– ვინიციუს, ვინიციუს! ლამის არის გითხრა: მაგისი შნო არა გაქვს-მეთქი. მერე იცი რატომ? მაგისთანა საქმეს რომ სჩადიან ხმა-კრინტს არ იღებენ, გადაკრულსაც არაფერს ამბობენ. მე კი ჩემდათავად, ოთონი ვიყო, პოპეა სიცილად არ მეყოფოდა, ჟღალწვერასაც დავცინებდი და ლეგიონს იბერიელი კაცებისას კი არა, იბერიელი ქალებისას შევადგენდი. ამას გარდა ეპიგრამებს დავწერდი და საწყალი რეფინიუსისა არ იყოს, არავის წავუკითხავდი.

– იმისი ამბავი გინდოდა ჩემთვის გეამბნა.

– უნკტორიუმში გიამბობ.

მაგრამ უნკტორიუმში ვინიციუსის ყურადღება მიიზიდა გასაოცრად მშვენიერმა მონა ქალებმა, რომლებიც გაბანავებულებს მოელოდნენ. ორმა შავი ხის მშვენიერი ქანდაკების მსგავსმა ზანგის ქალმა მათ სხეულს არაბეთის ნელსაცხებლით დაუწყო ზელა, დავარცხნის ოსტატ ფრიგიელ ქალებს გველივით მოქნილ ხელებში ფოლადის სარკეები ეჭირათ, ქალღმერთთა სადარი ორი მშვენიერი ბერძენი ქალი, კუნძულ კოსის მკვიდრნი, ვითა vestiplicae რიგს ელოდნენ, რათა ბატონების ტანზე ტოგების ნაკეცებისათვის შნო და ლაზათი მიეცათ.

– ზევსო, ღრუბელთა მბრძანებელო! – თქვა მარკუს ვინიციუსმა, – ეს რა ქალები მოგიქუჩებია.

– მე რაოდენობას თვისებას ვამჯობინებ, – უპასუხა პეტრონიუსმა, – რომში მთელი ჩემი სახლეული ოთხასს ადამიანს არ აღემატება. მხოლოდ მეტიჩრები არიან, რომ პირადი სამსახურისთვის ამაზე მეტი ხალხი სჭირდებათ.

ვინიციუსს ნესტოები გაებერა და განაგრძო:

– უკეთესი სხეულის პატრონი ქალები თვით ჟღალწვერასაც არ ეყოლება.

ამაზე პეტრონიუსმა მეგობრული დაუდევრობით უპასუხა:

– შენ ჩემი ნათესავი ხარ, მე კი არც ისეთი ჯიუტი ვარ, რომ ბასივით გაქირი გავწირო და არც ისეთი პედანტი, როგორიც ავლუს პლავციუსია.

ამ სახელის ხსენებამ ვინიციუსს ერთ წამს კოსის კუნძულის მკვიდრი ბერძენი ქალები დაავიწყა, თავი მაღლა აიღო და მასპინზელს კითხა:

– რაში მოგაგონდა ავლუს პლავციუსი? განა იცი, რომ სანამ ქალაქს მიუახლოვდებოდი ხელი ვიღრძე და რამდენიმე დღე იმის სახლში გავატარე. იმ დროს პლავციუსი შემთხვევით გადამეყარა

და ჩემი ტანჯვა რომ დაინახა, თავისთან წამიყვანა. მისმა ექიმმა მურიონმა მომარჩინა. აი სწორედ ამაზე მინდოდა შენთან მოლაპარაკება.

– გადა რა მოხდა? ვინ იცის, პომპონია შეგიყვარდა. თუ ასეა- მებრალები. ახალგაზრდა აღარ არის და თანაც სათნოებითაა აღჭურვილი; უარეს წყვილს ვერ წარმოიდგენდა კაცი!...

– პომპონია არ შემყვარებია, – უთხრა ვინიციუსმა.

– აბა, მაშ ვინა?

– ნეტა იცოდე ვინ?! ისიც კი კარგად არ ვიცი, რა ჰქვია- ლიგია თუ კალინა; შინ ლიგიას ეძახიან, რადგან ლიგიელთა ერისა არის, და ამას გარდა თავისი საკუთარი ბარბაროსული სახელიც ჰქვია- კალინა. უცნაური სახლი აქვს პლავციუსს. ნამდვილი ჭიანჭველების ბუდეა და მასთან ისეთი სიჩუმეა, როგორც სუბიაკის ტყეში. რამდენიმე დღე არც კი წარმომედგინა, რომ ჩემს მახლობლად ღვთაებას დაესადგურებინა, მაგრამ ერთხელ, გათენებისას, დავინახე- ბაღის აუზში ბანაობდა. იმ ქაფს გეფიცები, საიდანაც აფროდიტე დაიბადა, რომ ცისკრის სხივები ატანდა მის სხეულში, ისე მეგონა, მზე რომ ამოვიდოდა, მისი სხივები გაადნობდნენ, როგორც ავრორა დნება ხოლმე. კიდევ ორჯერ ვნახე და მას აქეთ დამავიწყდა, რა არის მოსვენება, აღარაფერი მაინტერესებს, არ მინდა

ვიცოდე, რას მომცემს ქალაქი, არ მინდა ქალები, არ მინდა ოქრო, არც კორინთოს ბრინჯაო, არც ქარვა, არც ღვინო, არც ნადიმი- მე მინდა მხოლოდ ლიგია. გულახდით გეუბნები, პეტრონიუს, ისე მკლავს მისი სურვილი, როგორც შენს ტეპიდარიუმის მოზაიკის ძილს პასითეას ჯავრი, დღე და ღამე გასწორებული მაქვს და სულ იმაზე ვფიქრობ...

– თუ მონაა, იყიდე.

– მონა არ არის.

– მაშ რა არის? პლავციუსმა გააზატა?

– მონა არასოდეს არ ყოფილა, მაშ აზატიც ვერ იქნება.

– გამოდის, რომ...

– არ ვიცი: მეფის ქალია თუ რაღაც ამგვარი. თუ მომისმენ, შენს ცნობისმოყვარეობას ახლავ დავაკმაყოფილებ. ამბავი არც ეგრერიგად გრძელია. იქნება პირადადაც იცნობდე სკევთა მეფეს. თავის ქვეყნიდან განდევნილ ვანიუსს, რომში რომ დიდხანს ცხოვრობდა, კამათლების თამაშობით

სახელი გაითქვა და ეტლის მართვაც კარგად იცოდა. მეფე დრუზუსმა ხელახლა აიყვანა იგი ტახტზე. ვანიუსი მართლაც მტკიცე ხასიათისა იყო, ჯერხანად მარჯვედ განაგებდა ქვეყანას, ომებშიც ბედი შესწევდა, შემდეგ კი მეტისმეტად ძარცვა დაუწყო არათუ მეზობლებს, არამედ საკუთარ ქვეშევრდომებსაც. მაშინ მისმა ორმა ძმისწულმა – ბანგიონმა და სიგონმა, გერმანდურის მეფის ვიბილუსის შვილებმა გადაწყვიტეს, ძალა დაეტანებინათ

მისთვის, ხელახლად რომში წასულიყო და ისევ ეცადა ბედი კამათლის თამაშობაში.

– მახსოვს. დიდი ხანი არ არის მას აქეთ. ეგ კლავდიუსის დროს იყო.

– მართალი ბრძანებაა ატყდა ომი. ვანიუსმა მაშველად იაზიგებს მოუწოდა, ხოლო მისმა ძმისწულებმა- ლიგიელებს, ამათ გაგონილი ჰქონდათ ვანიუსის სიმდიდრე და დავლის იმედი მიეცათ. იმდენი მოაწყდა, რომ თვითონ იმპერატორი კლავდიუსი შიშმა აიტანა, ჩვენი საზღვრები არ გადმოლახონო. კლავდიუსს არ უნდოდა ბარბაროსების ომში ჩარეულიყო. მაინც დუნაის ლეგიონის სარდალს გისტერს უბრძანა, ომისთვის ყურადღებით ედევნა თვალ-ყური და ნება არ მიეცა ბარბაროსთათვის, ჩვენს მშვიდობიანობას დამუქრებოდნენ. მაშინ გისტერმა ლიგიელებს პირობა დაადებინა, რომ ჩვენს საზღვარს არ გადმოლახავდნენ. ლიგიელები არათუ ამას დაჰპირდნენ, მძევლებიც კი მისცეს. მძევალთა შორის იყვნენ მათი ბელადის ცოლი და ქალი. ხომ იცი ბარბაროსები ომში ცოლ-შვილიანად გამოდიან. ლიგია სწორედ იმ ბელადის ქალია.

– ეგ ყველა საიდან შეგიტყვია?

– თვითონ ავლუს პლავციუსმა მიამბო. ლიგიელები მართლაც საზღვარს არ გადმოსულან, მაგრამ ბარბაროსები ქარიშხალივით გაჩნდებიან ხოლმე და იმავე სისწრაფით უკან ბრუნდებიან. ჯიხვისრქიანი ლიგიელებიც ასევე გაქრნენ. იმათ ვანიუსის ხალხი და იაზიგები დაამარცხეს, მაგრამ მათი მეფეც დაიღუპა. ლიგიელებმა დავლა მოიგდეს ხელთ, მძევალი ქალები კი გისტერს დარჩა. დედა ჩქარა მოკვდა. გისტერმა არ იცოდა, ქალისთვის რა ექნა და იგი მთელი გერმანიის მმართველ პომპონიუსს გაუგზავნა. პომპონიუსი კოტებთან ომის შემდეგ რომ დაბრუნდა, როგორც იცი, პლავდიუსმა ტრიუმფის ნება დართო. პატარა ქალი გამარჯვებულის ეტლს მისდევდა, მაგრამ ტრიუმფის შემდეგ მძევლად მიღებული ქალი არ შეიძლებოდა ტყვედ ჩაეთალათ. პომპონიუსმა არ იცოდა რა ეღონა და თავის დას პომპონია გრეცინას, პლავციუსის ცოლს გაუგზავნა ლიგიელი მძევალი. პლავციუსის სახლში კი ყველა - ბატონებიდან დაწყებული საფრინველე ეზოს ქათმების მომვლელამდე- თავისი სათნოებით არის ცნობილი, ამიტომ ლიგიაც ისეთი ზნეობრივი ქალი დადგა, როგორც თვითონ გრეცინა არის და თანაც ისეთი მშვენიერია, რომ თვითონ პოპეაც მასთან ისე გამოჩნდებოდა, როგორც ჰიპერბორეული ვაშლი შემოდგომის ლეღვის გვერდით.

– კარგი და მერე რა მოხდა?

– გიმეორებ, იმ წამიდან, რაც თვალი მოვკარ, დავინახე, როგორ ატანდა მზის სხივი მის სხეულში, თავდავიწყებით შემიყვარდა.

– განა ისეთივე გამჭვირვალეა, როგორც სარდინიის ქორფა თევზი?

– ნუ ხუმრობ, პეტრონიუს, ის ნუ შეგაცდენს, რომ ჩემს ვნებათაღელვაზე ასე თავისუფლად გელაპარაკები. იცოდე: ხშირად ბრწყინვალე ტანისამოსი ღრმა იარებს ჰფარავს. ისიც შემიძლია გითხრა, რომ აზიიდან დაბრუნებისას ერთი ღამე მოფსოსის ტაძარში გავატარე, რომ წინასწარმეტყველის სიზმარი მენახა. მართლაც ძილში თითონ მოფსოსი გამომეცხადა და მითხრა, რომ ჩემს სიცოცხლეში სიყვარულის მიზეზით დიდი ცვლილება მოხდება.

– გამიგონია, პლინიუსს უთქვამს: ღმერთებისა არა მწამს, სიზმრები კი მჯერაო. იქნებ მართალიცაა. ხუმრობა იქით იყოს და ხანდახან ვფიქრობ, რომ ნამდვილად მხოლოდ ერთი ღვთაება არსებობს - საუკუნო, ყოვლისშემძლებელი, შემოქმედი- Venus Genitrix. იგი აერთებს სულებს, სხეულებს და ნივთებს. ეროტმა სინათლე ქაოსიდან გამოიხმო. კარგად ქნა ეს თუ არა, მთავარი არ არის, მაგრამ რაკი ასეა, მისი მძლეთამძლეობა უნდა ვცნოთ. თუმცა ნება გვაქვს, არც ვადიდოთ.

– ეჰ, პეტრონიუს! ამ ქვეყნად ფილოსოფოსობა უფრო ადვილია, ვიდრე კარგი რჩევის მიცემა.

– მითხარ, რა გინდა?

– მე მინდა, ლიგია ჩემი გახდეს. მინდა, რომ ჩემი ხელები, ახლა რომ ჰაერს ეხვევიან, იმას ეხვეოდნენ და მკერდზე ვიკრავდე; მინდა, იმისი ჰაერით ვისუნთქო. ის რომ მონა იყოს, ავლუსს ას ქალს მივცემდი, ფეხზე იმის ნიშნად ცარცწასმულებს, რომ პირველად არიან გასაყიდად გამოყვანილნი. მე მინდა, იმას ჩემს სახლში ვხედავდე იმ დრომდე, ვიდრე თმა ისე არ გამოთეთრდება, როგორც ზამთრობით იცის გათეთრება სორაკტემ.

– თუმცა იგი მონაც არის, მაინც პლავციუსის ოჯახს ეკუთვნის და როგორც გადაგდებული ბავშვი, შეიძლება allumna-დ ითვლებოდეს. პლავციუსმა რომ მოინდომოს, შეუძლია დაგითმოს კიდეც.

– ჩანს, პომპონია გრეცინას არ იცნობ. თანაც ორივეს ღვიძლი შვილივით უყვარს ლიგია.

– პომპონიას ვიცნობ. ნამდვილი კვიპაროსია. ის რომ ავლუსის ცოლი არ იყოს, მოზარედ დაიქირავებდა კაცი. იულიუსის დროიდან მუქ სტოლას არ იხდის და, საზოგადოდ თავი ისე უჭირავს, თითქოს სიცოცხლეშივე ასფოდელით მოდებულ ველზე დაიარება. ამასთან იგი univira არის, ოთხჯერ თუ ხუთჯერ ქმარგაშვებულ ჩვენ ცოლებში ფენიქსივითაა. სიტყვამ მოიტანა და გეტყვი: ამბობენ, ვითომც ფენიქსი ნამდვილად ზემო ეგვიპტეში გამოიჩეკა და ეს ხუთას წელიწადში ერთის მეტად არ მომხდარაო.

– პეტრონიუს, პეტრონიუს! ფენიქსზე როდისმე სხვა დროს ვილაპარაკოთ.

– მაშ, რა გითხრა, საყვარელო მარკუს? ავლუს პლავციუსს ვიცნობ. თუმცა ჩემს ცხოვრებას ძრახვით იხსენიებს, მაინც მის თვალში ცოტაოდენი ფასი მაქვს, იქნებ სხვებზე მეტ პატივსაც მცემდეს, იცის, რომ მაბეზღარა არასოდეს ვყოფილვარ, როგორც, მაგალითად, ტიგელინუსია და აჰენობარბუსის მეგობრების მთელი ჯგრო. ამასთანავე სტოიციზმით თავი არაოდეს არ მომიწონებია და მაინც ხანდახან ნერონის იმისთანა საქციელზე შემიკრავს კოპები, რა საქციელიც სენეკასა და ბურუსს უყურადღებოდ დაუტოვებიათ. თუ გგონია, შემიძლია, ავლუსს ის ქალი შენთვის გამოვთხოვო- მზად ვარ, გემსახურო.

– მგონია, რომ შეგიძლია. შენ იმაზე გავლენა გაქვს და შენი დაუშრეტელი ჭკუა რაიმე საშუალებას გამოსძებნის. მდგომარეობას რომ ჩაუკვირდე და პლავციუსს მოელაპარაკო...

– ჩემს გავლენასაც აზვიადებ, ჩემს საზრიანობას და თუ საქმე მხოლოდ ამას მოითხოვს, პლავციუსს მოველაპარაკები, როოგრც კი რომს დაბრუნდება.

– ეს ორი დღეა, რაც უკვე დაბრუნდნენ.

– მაშ ტრიკლინიუმში წავიდეთ- საუზმე გვიცდის; ძალ-ღონეს შემოვიკრებთ და მერე ვუბრძანებ, პლავციუსთან წაგვიყვანონ.

– მუდამ ძვირფასი იყავი ჩემთვის, - აჩქარებით წაილაპარაკა ვინიციუსმა, – ახლა კი მგონია, ვბრძანო, ჩემს ლარებს შუა შენი ქანდაკი დადგან, ისეთი მშვენიერი როგორიც, აი ეს არის, რათა მსხვერპლი შევწირო ხოლმე.

ვინიციუსი ქანდაკებებისაკენ მიბრუნდა, გუნდრუკის სუნით გაჟღენთილი ოთახის მთელ კედელს რომ ამშვენებდნენ. აქ იყო ხელყავარჯნიანი ჰერმესის სახით გამოქანდაკებული პეტრონიუსის ხატება.

შემდეგ სტუმარმა დაუმატა:

– ჰელიოსის სინათლეს ვფიცავ! თუ ღვთაებრივი პარისი შენა გგვანდა, მე ელენესი აღარაფერი მიკვირს.

ამ წამოძახილში იმდენივე პირფერობა იყო, რამდენიც გულწრფელობა. პეტრონიუსი, თუმცა ხნითაც უფროსი იყო და მოსულობით ნაკლებად ბრგე, ვიდრე ვინიციუსი, მაინც დისწულზე უფრო

ლამაზი გახლდათ. რომაელი მატრონები აღტაცებაში მოდიოდნენ არა მარტო მისი მოქნილი ჭკუისა და გემოვნების გამო, რა მიზეზითაც arbiter elegantiarum -ის სახელი შეარქვეს, არამედ მისი ტანითაც. ეს აღტაცება იმ ორი ბერძნის ქალის სახეზედაც აისახა, რომელნიც ახლა ტანზე ტოგის ნაოჭებს უწყობდნენ. ერთი მათგანი, სახელად ევნიკა, პეტრონიუსის ფარული მოტრფიალე- მორჩილებითა და თაყვანისცემით შესცქეროდა თვალებში.

მაგრამ პეტრონიუსი ამას ყურადღებას არ აქცევდა, იგი ვინიციუსს უღიმოდა და ქალთა შესახებ სენეკას გამონათქვამს ეუბნებოდა.

– Animal impudens.

შემდეგ ხელი მოხვია ყმაწვილ კაცს და ტრიკლინიუმში წაიყვანა.

უნკტორიუმში ორმა ბერძენმა, ფრიგიელმა და ზანგის ქალებმა საცხებლების ალაგება დაიწყეს. ამ დროს ფრიგადერიუმის ახდილი ფარდის იქიდან ორი ბალნეატორის თავი გამოჩნდა და ჩუმი „შშშ'' მოისმა. ამ დაძახებაზე ერთი ბერძენი ქალი, ეთიოპიელი და ფრიგიელი ქალები მიტრიალდნენ და ფიცხლავ ფარდის იქით გაქრნენ. აბანოში ქეიფისა და გარყვნილების დრო დადგა, ზედამხედველიც არ უშლიდა ამას, რადგან ხანდახან ამისთანა ქეიფში თვითონაც იღებდა

მონაწილეობას. პეტრონიუსმა გუმანით იცოდა ყველაფერი, მაგრამ როგორც გონიერი კაცი და დასჯის მოძულე ამ თავაწყვეტილობას თვალს არიდებდა.

უნკტორიუმში მარტო ევნიკა დარჩა. ერთ წამს მიმავალთა ლაპარაკს და სიცილს ყურს უგდებდა და ბოლოს ქარვითა და სპილოს ძვლით მორთული სკამი აიღო, რომელზედაც პეტრონიუსი იჯდა ხოლმე და ფრთხილად ბატონის ქანდაკებისაკენ მისწია.

უნკტორიუმი მზის სხივებით იყო გაკაშკაშებული და ეს სხივები ნაირფერად ირეკლებოდნენ ოთახის ფერადი მარმარილოს კედლებზე. ევნიკა სკამზე შედგა და ქანდაკებას რომ მიეტოლა, ოქროსფერი თმა უკან გადაიყარა და თავისი ვარდისფერი ტანით თეთრ მარმარილოს მიეკრა და ვნებით დაეკონა პეტრონიუსის ქანდაკების ცივ ტუჩებს.

თავი მეორე

დასანაყრებლად ანუ, როგორც პეტრონიუსმა თქვა, სასაუზმოდ- ორი მეგობარი მაშინ დაჯდა, როცა უბრალო მოკვდავნი კარგა ხნის ნასადილევნი გახლდნენ. ნასაუზმევს პეტრონიუსმა სტუმარს ურჩია, პატარა ხანს თვალი მოატყუე, რადგან, ჩემი აზრით, სტუმრად სადმე წასვლა ჯერ ადრეაო. მართალია, ისეთებიც - იყვნენ, რომ ნაცნობების სანახავად მზის ამოსვლისთანავე დაიძვრებოდნენ და ამ ჩვეულებას ძველ რომაულ ჩვეულებად სთვლიდნენ, მაგრამ პეტრონიუსი ამბობდა, ეს ბარბაროსობააო.

სტუმრად წასვლის შესაფერ დროდ ნაშუადღევი მიაჩნდა, მაგრამ არა იმაზე ადრე, ვიდრე მზე კაპიტოლიუმის იუპიტერისაკენ გადაიხრებოდა და სხივებს ფორუმს მიაშუქებდა. შემოდგომაზე დღისით ჯერ ისევ სიცხეა და დანაყრებული ხალხიც სიამოვნებით იძინებს. ამ დროს სასიამოვნოა შადრევნის ჩხრიალს მიუგდო ყური და სავალდებულო ათასი ნაბიჯის შემდეგ ჩათვლიმო მზის სხივთა ქვეშ, სანახევროდ ძოწის ფარდაში რომ ატანენ.

ვინიციუსი დათანხმდა, ორთავენი ბოლთის ცემას მოჰყვნენ, თან დაუდევრად მუსაიფობდნენ, თუ რა ისმოდა ქალაქში, ზოგჯერ ცხოვრებაზე ფილოსოფოსობდნენ. შემდეგ პეტრონიუსი კუბიკულუმში შევიდა, მაგრამ დიდხანს არ სძინებია. ნახევარი საათის შემდეგ გამოვიდა, ბრძანა, მისთვის ვერვენა მოეტანათ, უყნოსა და მერე ხელებსა და საფეთქელზე წაისვა.

– არ დაიჯერებ, ეს როგორ მახასილებს და მაგრილებს, – თქვა პეტრონიუსმა, – ახლა მზადა ვარ.

ტახტრევნები დიდი ხანია უცდიდნენ, ჩასხდნენ და მონებს უბრძანეს Vicus Parficus -ზე ავლუსთან წაგვიყვანეთო. პეტრონიუსის ვილა პალატინის ქვედა კალთაზე, ეგრეთ წოდებულ კარინის მახლობლად მდებარეობდა; უმოკლესი გზა ქვემოთ ჩაუვლიდა ფორუმს, მაგრამ რადგან პეტრონიუსმა ოქრომჭედელ ოდომენთან შესვლა მოისურვა, ამიტომ მონებს Vicus

Apollinis და ფორუმისკენ წასვლა უბრძანა, და იქიდან VecusSceleratus-ისაკენ, რომლის კუთხეში ნაირ-ნაირი სამიკიტნოები იყო.

ბრგე ზანგებმა ტახტრევნები ასწიეს და ნაბრძანევ გზას დაადგნენ. წინ რვა ჩქარამსრბოლი მონა მიუძღოდა. პეტრონიუსი დროდადრო გაჩუმდებოდა ხოლმე, ხელისგულებს ცხვირთან მიიტანდა ვერვენას საყნოსებლად. რაღაც ფიქრში იყო გართული და ბოლოს თქვა:

– მე ვფიქრობ, თუ შენი ტყის ქალღმერთი მონა არ არის, ადვილად შეძლებს, პლავციუსის სახლი დატოვოს და შენსა გადმოვიდეს. შენ იმას სიყვარულს დაუმტკიცებდი და სიმდიდრეს შემოახვევდი გარს, აი როგორც მე ვექცევი სათაყვანო ქრიზოტემიდას, რომელიც, ჩვენში რომ ვთქვა, გვარიანად მომყირჭდა და იმასაც მოვბეზრდი.

მარკუსმა თავი გაიქნია.

– არა? – ჰკითხა პეტრონიუსმა, – დიდი-დიდი საქმეს კეისრამდე მიეღწია, მაგრამ დარწმუნებული უნდა იყო, ჩემი გავლენის მეოხებით ჟღალწვერა შენს მხარეს დაიჭერდა.

– შენ ლიგიას არ იცნობ!- უპასუხა ვინიციუსმა.

– მაშ ნება მომეცი, ჩემდათავად გკითხო : შენ კი იცნობ? ელაპარაკე? სიყვარული გამოუცხადე?

– მე ის ჯერ შადრევანთან დავინახე, შემდეგ ორჯერ კიდევ შევხვდი ავლუსთან რომ ვცხოვრობდი, გვერდით შენობაში მომათავსეს, სტუმრებისათვის განკუთვნილ ოთახში. ხელი მქონდა ნაღრძობი და საერთო პუროობაზე ვერ გამოვდიოდი. წამოსვლა რომ დავაპირე, იმ ღამეს ვახშამზე ვნახე ლიგია. მაგრამ მისთვის ერთი სიტყვის თქმაც ვერ მოვახერხე. იძულებული ვიყავ ავლუსისთვის მეგდო ყური, ბრიტანეთში თავის გამარჯვების ამბებს მიამბობდა, მერე იტალიის წვრილ მეურნეთა დაქვეითებაზე ჩამოაგდო სიტყვა, ჯერ კიდევ ლიციინიუსი გვაფრთხილებდა, ეგრე იქნებაო. არ ვიცი, შეუძლია კია ავლუსს სხვა რამეზე ლაპარაკი. ნურც იფიქრებ, ასეთი ბაასი თავიდან აიცდინო; ეს იქნება მაშინ მოახერხო, თუ ჩვენი დროის ნებისმიერ ადამიანებზე მსჯელობის მოსმენას მოისურვებ. ოლაბციუსს საფრინველეში ბევრი ხოხობი ჰყავს, მაგრამ იმათ დანას არ აკარებენ, იმიტომ რომ თითოეული დაკლული ხოხობი რომის ძლიერების დასასრულს აახლოებს... მეორეჯერ ლიგია ქვაბანის გვერდზე შემოგვხვდა. ხელში ახლად მოგლეჯილი ლერწამი ეჭირა,

მის ფოჩს წყალში ასველებდა და აუზის გარშემო დარგულ ზამბახებს ასხურებდა. ჩემს მუხლებს შემოხედე. ჰერეკლეს ფარსა ვფიცავ, მუხლი არ ამტოკებია, როდესაც ჩვენს რაზმებს პართელთა მთელი ბრბოები ღრიალ-ღრიალით უტევდნენ, მაგრამ იმ აუზთან ეს მუხლები ამიკანკალდა. ყელზე რომ ჯერ ისევ ბულას ატარებს, იმ პატარა ბიჭივით ავირიე, მხოლოდ თვალებით ვემუდარებოდი სიყვარულს და დიდხანს ერთი სიტყვის თქმაც ვერ შევძელ.

პეტრონიუსმა შურით შეხედა დისწულს.

– ბედნიერი კაცი ხარ! ქვეყანა და სიცოცხლე რაც უნდა ცუდი იყოს, ახალგაზრდობა მაინც მშვენიერია.

და ერთ წამს უკან ჰკითხა:

– მაშ არ დალაპარაკებიხარ?

– არა, როგორ არა, გონება რომ მოვიკრიბე, ვუთხარ, აზიიდან დაბრუნებულმა ქალაქში მოსვლამდე ხელი ვიღრძე და საშინლად ვეწამე, მაგრამ ახლა, როდესაც ამ სტუმართმოყვარე სახლის დატოვება მიხდება, ვხედავ, რომ აქ ტანჯვა მირჩევნია სხვაგან სიამოვნებას, აქ ავად

ყოფნა მირჩევნია სხვაგან კარგამყოფობას- მეთქი. შემკრთალი მისმენდა თავჩაღუნული, თან ქვიშაზე ლერწმით რაღაცას ხაზავდა. შემდეგ თავი აიღო, შემომხედა, მერე ქვიშაზე დახაზულ ნიშნებს დახედა, თითქოს რაღაცის კითხვას აპირებდა და უცებ გამშორდა, როგორც ჰამადრიადი გაშორდა მოსულელო ფავნიუსს.

– უეჭველია, ლამაზი თვალები აქვს?

– ზღვისფერი და მეც ისე ჩავიძირე იმ თვალებში, თითქოს ზღვააო. დამიჯერე, არქიპელაგი ჩამორჩება ლიგიას თვალებს სილაჟვარდეში. ერთ წამს შემდეგ პატარა პლავციუსმა მოირბინა და რაღაც მკითხა, მაგრამ ვერ მივხვდი, რას მეუბნებოდა.

– ჰოი, ათინავ! – შესძახა პეტრონიუსმა. – ამ ჭაბუკს თვალთაგან რიდე მოხსენ, ეროტმა რომ ჩამოაფარა, თორემ ვენერას ტაძრის სვეტებს თავს მიახეთქავს.

შემდეგ ვინიციუსს მიმართა:

– ჰოი შენ, ცხოვრების ხის საგაზაფხულო კვირტო, შენ, ვაზზე ამონახეთქო ყლორტო პირველო! ნეტავ რა გვინდა პლავციუსის სასახლეში; ჯობდა

ჰელოციუსის სასახლისაკენ მებრძანა წასვლა, იმას ცხოვრების უცოდინარი ყმაწვილებისთვის სკოლა აქვს გახსნილი.

– მაგით რა გინდა თქვა?

– იმ ქალმა ქვიშაზე რა დაგიხატა? ამურის სახელი ხომ არ დაგიწერა? იქნებ, ისრით განგმირული გული ან სხვა რამ ისეთი, რაც განიშნებდა, რომ იმ ნიმფასთვის სატირებს სიცოცხლის სხვადასხვა საიდუმლო უკვე გაუნდვიათ ჩურჩულით? მაინც რა ნიშნები იყო?

– შენ რომ ამბობ, ის კბილი მე უკვე მოვიცვალე, – უთხრა ვინიციუსმა, – პატარა ავლუსის მორბენამდე ის ნიშნები ყურადღებით დავათვალიერე. დიახაც ვიცი, რომ საბერძნეთშიაც და რომშიაც ქალები თავიანთ გულისთქმას ქვიშაზე ხატავენ, რაკი ტუჩებით გამოთქმა არა სურთ... მაგრამ აბა გამოიცან, რა დახატა?

– თუ ის არა, რასაც ვვარაუდობ, ვერ გამომიცნია და ეგ არი.

– ლიგიამ თევზი დამიხატა.

– რა?

– გეუბნები, თევზი-მეთქი. იქნებ ამით მანიშნა, ჩემს ძარღვებში ცივი სისხლი სდისო, არ ვიცი,

მაგრამ შენ, ვინაც ცხოვრების ხის საგაზაფხულო კვირტად დამსახე, ალბათ ამიხსნი, რას ნიშნავს თევზი.

– Carissime! ეგ პლინიუსს ჰკითხე. თევზები იმან იცის. მოხუცი ანიციუსი რომ ცოცხალი იყოს, პასუხს ისიც გაგცემდა. ტყუილად ხომ არ იყო, რომ თავის სიცოცხლეში იმაზე მეტი თევზი შეჭამა, რაც ნეაპოლის სრუტეში დაეტევა.

მობაასეებს ლაპარაკი ბრბოს ყვირილმა შეაწყვეტინა. ტახტრევნებმა Vieus Apollinis-იდან Boarium- ისაკენ შეუხვიეს. შემდეგ ფორუმისაკენ გაემართნენ, სადაც კარგ ამინდში ნაშუადღევს უსაქმურთა ბრბო სვეტებს შუა სასეირნოდ იკრიბებოდა ხოლმე, ახალი ამბების საამბობლად და მოსასმენად, დიდკაცების ტახტრევნების საცქერლად და უფრო კიდევ ოქრომჭედლების, წიგნებისა და ზარაფების დუქნებში შესახედავად, აბრეშუმეულისა და ბრინჯაოს ნაწარმოების სანახავად. ამ დუქნებით იყო სავსე შენობები კაპიტოლიუმის წინ რომ ბაზრის ნაწილი ეჭირათ. ფორუმის ნახევარს, ციხედარბაზის ყავრულს ქვეშ მოყოლილს, ბინდი ეფინებოდა, სამაგიეროდ,

მაღლა მდებარე ტაძრების სვეტები ლურჯ ცაზე ოქროსფრად ბრწყინავ-დნენ და მარმარილოს ფიქალებზე გრძელ ჩრდილებს აფენდნენ. სვეტები გარშემო იმდენი იყო, რომ თვალებს მთელ ტყედ ეჩვენებოდა. იქაურობა ისეთ შთაბეჭდილებას ახდენდა, თითქოს იმ შენობებსა და სვეტებს ერთმა-ნეთის გვერდზე ყოფნა უჭირთო. ერთმანეთზე იყვნენ აჩხორილნი, მარ-ჯვნივ და მარცხნივ

გადრეკილიყვნენ, ბორცვებზე აცოცებულიყვნენ, ციხე-დარბაზის კედ-ლებს ეკვროდნენ, ან ერთიმეორეს ეტყუპებოდნენ დიდი და პატარა, მსხვი-ლი და წვრილი, ოქროსფერი და თეთრი ხის მორების მსგავსი. ამ ტყეზე ფერადი ტრიგლიფები ბრწყინავდნენ; კამარებიდან ღმერთების ქანდაკები გამოიცქირებოდნენ; ფრთებიანი, მოვარაყებული ეტლები თითქოს ცდი-ლობდნენ მიწას მოსწყვეტოდნენ და აფრენილიყვნენ ჰაერის ლაჟვარდში, ასე მშვიდად რომ გადაჰფენოდა ტაძართა ქალაქს. შუაგულ ბაზარში და ნა-პირებზე ტალღა-ტალღა მოგორავდა ხალხის ბრბო. სეირნობდნენ იულიუს კეისრის ბაზილიკის კამარის ქვეშ. კასტორის და პოლუქსის საფეხურებზე ისხდნენ და ვესტის პატარა ტაძრის გარშემო ტრიალებდნენ, ვით სხვადას-ხვა ფერის პეპლებისა და ბუზების გუნდები. ზევიდან, ყოვლად მოწყალე, უდიადესი იუპიტერის საკურთხევლის მხრიდან, ხალხის სხვა ბრბო მოზ-ღვავდა. როსტრის გვერდზე ხალხი ვიღაც ორატორებს უგდებდა ყურს; აქა-იქ ბოსტნეულის, ხილის, ღვინისა და ლეღვის წვენით შეზავებული წყლის მოვაჭრეების ძახილი გაისმოდა, ყალთაბანდებიც არ უსვენებდნენ ხალხს, სასწაულმოქმედ წამალს სთავაზობდნენ; ისმოდა განძის მპოვნელებისა და სიზმრის ამხსნელების ხმაც. ღრიანცელს ზედ ერთოდა ციტრის, ეგვიპტური და ბერძნული სალამურის ხმები. სხვა ალაგას კიდევ ღვთისმოსავნი, დავ-რდომილები და მწუხარენი ხალხს მუჭლუგუნებით მიარღვევდნენ და მსხვერპლის შესაწირავად ტაძრებში მიედინებოდნენ. ჭრელი და მუქი ლა-ქის სადარი მტრედების გუნდები მსხვერპლად შეწირულ მარცვალს ხარბად ეცემოდნენ, მერე კი მაღლა აფრინდებოდნენ, ხანაც ხალხისგან დაცარიე-ლებულ ადგილზე ჩამოეშვებოდნენ. ზოგჯერ ხალხი ტახტრევნების წინ

გაირღვეოდა ხოლმე, თუკი ტახტრევნიდან ქალის ლამაზი სახე მოჩან-და ან სენატორის გაცივებული, დაუძლურებული სახე გამოიმზირებოდა, სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხი ხმამაღლა ამბობდა მათ სახელს,

თანაც დაცინვას ან ქებას აყოლებდა ზედ. ამ არეულ ბრბოში ძლივძლივობით მიიკვლევდნენ გზას ზომიერი ნაბიჯით მიმავალი მხედრები თუ დარაჯთა რაზმები, ქუჩაში წესიერების დამცველებად რომ იყვნენ დაყენებულნი. ბერძნული ენა ისევე ხშირად ისმოდა, როგორც ლათინური.

რა ხანია ვინიციუსი ქალაქში არ ყოფილა და ამიტომაც ცნობისმოყვარეობით უყურებდა ამ საჭიანჭველეს, რომის ფორუმს – ბრბოზე გაბატონებულსა და ბრბოშივე დანთქმულს. პეტრონიუსი თანამგზავრს მიუხვდა და თქვა, ფორუმი კვირიტების ბუდეა, ოღონდ კვირიტები არა ჩანანო. ბრბოში აქა-იქ მოჩანდნენ ეთიოპები, შორი ჩრდილოეთის მკვიდრნი – უზარმაზარი ტანის, ღია ფერის თმის პატრონი ბრიტანელები, გალები და გერმანელები, სერიკუმის თვალმარდი მკვიდრნი, ევფრატის ხალხი, ნილოსის აგურისფრად წვერშეღებილი მცხოვრებნი, ორონტის ნაპირიდან მოსული სირიელები, რომელთაც შავი და ოთხკუთხა თვალები აქვთ. მკერდჩავარდნილი ებრაელები, ეგვიპტელები თავის განუშორებელი გულკეთილი ღიმილით; აქ ირეოდნენ ნუმიდიელები და აფრიკელები, ელადის ბერძნები, თავისი ჭკუის, ხელოვნებისა და გაქნილობის მეოხებით რომ ლამის რომს ეცილებოდნენ რომაელებს, კუნძულელი ბერძნები მცირე აზიიდან, ეგვიპტიდან, იტალიიდან და ნარბონის გალიიდან. ყურგახვრეტილ მონათა

შორის არც თავისუფალ, უსაქმო მდაბიოთა ნაკლებობა იგრძნობოდა, ამათ კეისარი ინახავდა, აჭმევდა და აცმევდა; ნებით მოსული ხალხიც ცოტა არ იყო.ვის უზარმაზარ ქალაქში ადვილი ცხოვრება იზიდავდა, ვინ ფოქრობდა, ბედსა ვცდიო; იყვნენ აგრეთვე დალალები, სერაპისის ქურუმები, ხელში ბზის ტოტები რომ ეჭირათ, ისიდას ქურუმები, რომელსაც ახლა კაპიტოლიუმის იუპიტერზე მსხვერპლს სწირავდნენ. აქ ნახავდით კიბელას ქურუმებს, ოქროსფერ სიმინდის ტაროებს რომ ატარებენ, და მესამე ხარისხოვანი ღვთაების ქურუმებსაც. ყოველ ნაბიჯზე შეხვდებოდა ადამიანი ჭრელი მიტრებით მოკაზმულ აღმოსავლელ მოცეკვავე ქალებს, ავგაროზის გამყიდველებს, გველების მომთვინიერებელსა და ქალდეველ მისნებს. ამათ ერთოდა მთლად უსაქმო ხალხი, ყოველ კვირას რომ ტიბრზე მდებარე საწყობებში პურის მისაღებად გამოცხადდებოდა და ცირკებში ლატარიის ბილეთების გამოისობით ცემა-ტყეპას ატეხდა ხოლმე, ღამეს კი მდინარის გაღმა ათევდა ნანგრევებად ქცეულ სახლებში. ეს უსაქმურები მზიან თბილ დღეებში კრიპტოპორტიკებში, სუბურის ჭუჭყიან დუქნებში, მილვიას

ხიდზე დაეხეტებოდნენ, ან თუ არა, დიდკაცი რომაელების ინსულების წინ შექუჩდებოდნენ და უცდიდნენ, მონების სადილების ნამუსრევს როდის გადმოგვიყრიანო.

ეს ბრბო პეტრონიუსს კარგად იცნობდა. ვინიციუსს ხშირად ჩაესმოდა: Hic est! სიუხვისათვის უყვარდათ იგი. მაგრამ პეტრონიუსი მას შემდეგ უფრო სახელხმიანი გახდა, რაც კეისართან უშუამდგომლა პრეფექტ პედანიუს სეკუნდუსის მთელ ჯალაბს – ყველა მონას განურჩევლად

სქესისა და ასაკისა.ამ საბრალოებს სიკვდილით დასჯა ჰქონდათ გადაწყვეტილი, რადგან ერთმა მათგანმა, მთლად სასოწარკვეთილმა მოკლა მტარვალი პრეფექტი. მართალია, პეტრონიუსი ხმამაღლა იძახდა, ამ საქმესთან ხელი არ მქონდა, და კეისრის წინაშე ვიშუამდგომლე მხოლოდ როგორც Arbiter elegantiarum- მა, რადგან ის სასჯელი ჩემს ესთეტიურ გრძნობას შეურაცხყოფდა, ასეთი ბარბაროსული ჟლეტა სკვითებს შეშვენის და არა რომაელებსო, მაგრამ რაკი პეტრონიუსმა გადაარჩინა სიკვდილმისჯილნი მდაბიოებმა შეიყვარეს იგი, ხალხს გული შესტკიოდა საბრალო მონებზე.

მაგრამ პეტრონიუსი ამ ხალხის პატივისცემას არაფრად აგდებდა. იცოდა, რომ იმავე ხალხს ნერონის მიერ მოწამლული ბრიტანიკუსიც უყვარდა, აგრიპინაც, რომელიც ნერონმა მოაკვლევინა, ოქტავიაც, ვინაც პანდატარიაზე მდუღარე ბუღში დაახრჩეს, უყვარდათ აწ გადასახლებული რუბელიუს პლავტუსიცა და თრასეაც, რომელსაც ყოველ წამს სიკვდილი ემუქრებოდა. ხალხის სიყვარული უფრო ცუდის მომასწავებლად მიაჩნდათ და პეტრონიუსიც თავისი სკეპტიციზმის მიუხედავად ცრუმორწმუნე გახლდათ. მდაბიო ხალხი ორი მოსაზრებით სძულდა: როგორც არისტოკრატსა და როგორც მშვენიერების მოყვარულს. ის, ვინც მუდამ უბით ატარებდა მოხალულ ცერცვს და ცერცვისავე სუნი ასდიოდა და თან გზაჯვარედინზე და პერისტილიუმებში თამაშობისაგან ხმა მუდამ ჩახლეჩილი ჰქონდა, იმის აზრით, ადამიანის სახელის ღირსი არ იყო.

ამიტომაც არც ტაშს გამოპასუხებია და არც მისდამი მიმართული ჰაეროვანი კოცნა მიუჩნევია რამედ. დისწულს მარკუსს პედანიუსის საქმეს უამბობდა და თანაც გაკვირვებას იყო, ეს რა ცვალებადია ქუჩის ბრბო, მრისხანე აჯანყების მეორე დღეს იუპიტერ სტატორის ტაძარში მიმავალ ნერონს ტაშს

უკრავდაო. ავერნის წიგნების დუქანთან ტახტრევნები შეჩერდნენ. პეტრონიუსი ჩამოვიდა, მოხატული ხელნაწერი იყიდა და ვინიციუსს მისცა.

– ეს შენი საჩუქარი იყოს, – უთხრა მას.

– გმადლობთ, – მიუგო ვინიციუსმა. მერე თავფურცელს დახედა და ჰკითხა, – Satiricon-ია? ეს რაღაც ახალი ჩანს, ვისი თხზულებაა?

– ჩემია, მაგრამ არ მინდა რუფინიუსის კვალზე ვიარო, რომლის ამბავი მინდოდა შენთვის მეთქვა, არც ფაბრიციუსს ვიენტონს მინდა მივბაძო. ამიტომ ჩემი მწერლობა არავინ იცის, შენც ნურვის ეტყვი.

ვინიციუსმა ხელნაწერი გადაფურცლა და უთხრა:

– აკი მითხარ, ლექსებს არ ვწერო, მე კი ვხედავ აქ პროზა ლექსებით არის შეზავებული.

– როცა კითხვას შეუდგე, ყურადღება მიაპყარ ტრიმალქიონის ნადიმს. რაიც შეეხება ლექსებს, მას აქეთ შემძაგდნენ, რაც ნერონმა პოემების წერა დაიწყო. როდესაც ვიტელიუსს კუჭის შემსუბუქება უნდა, ყელში სპილოს ძვლის ჩხირს ჩაიყოფს ხოლმე, სხვები ფლამინგოს ფრთას ხმარობენ, ზეითუნის ზეთში ამოვლებულს, ხოლო მე ნერონის ლექსებს ვკითხულობ და ეს საშუალება მშვენივრად მოქმედებს ჩემზე. მერე მათი ქება შემიძლია, თუ წმინდა გულით არა, წმინდა კუჭით მაინც.

მან ხელახლა შეაყენა ტახტრევნები ოქრომჭედელ იდომენის დუქანთან, გემების საქმე გაარიგა და მონებს პირდაპირ ავლუსის სახლში წაყვანა უბრძანა.

– რომ დაგიმტკიცო, რას ნიშნავს ავტორის თავმოყვარეობა, რუფინიუსის ამბავს რომ დაგპირდი, გზა-გზა გიამბობ.

მაგრამ ვიდრე ამბობას დაიწყებდა, ტახტრევნებმა Vicus Patricins- ისკენ შეუხვიეს და მალე ავლუსის სახლწინ გაჩერდნენ. ახალგაზრდა ტანოვანი janitor-მა ოსტიუმში შესასვლელი კარი გაუღო სტუმრებს, და როცა შევიდნენ, გალიაში გამომწყვდეულმა კაჭკაჭმა salve-ს დაძახებით მიიღო.

ატრიუმისაკენ მიდიოდნენ, რომ ვინიციუსმა ბიძას უთხრა:

– შენიშნე კარისკაცს ბორკილი არ ედო?

– ეს საოცარო სახლია, – დაბალი ხმით უპასუხა პეტრონიუსმა, – უეჭველია, გეცოდინება, რომ პომპონია გრეცინაზე ამბობენ, აღმოსავლური სექტის მიმდევარია, ვიღაც ქრისტეს სცემსო თაყვანს. მე მგონია, ეს ამბავი

კრისპინილამ გაახმაურა. იმას ვერ აუტანია, რომ პომპონია მთელი სიცოცხლე ერთ ქმარს დასჯერდა. უნივირა!... უმალ ფორიული სოკოთი სავსე ჯამს იპოვი რომში.

– მართლაც უცნაური სახლია. მერე გიამბობ, აქ რაც გავიგონე და რაც ვნახე.

ატრიუმში შევიდნენ, აქაურმა მონამ, atriensis-ს რომ ეძახდნენ, ნომეკლატორი გაგზავნა სტუმრების მოსვლის მოსახსენებლად, ხოლო სხვა მონებმა სავარძლები და ფეხის პატარა სკამები მოართვეს მოსულებს. პეტრონიუსს ეგონა, ამ სახლში მუდამ მოწყენილობა სუფევსო. ადრე არასოდეს არ ყოფილა აქ, მაგრამ ახლა გაკვირებულმა გარშემო რომ მიმოიხედა, იგრძნო შემცდარვარო – ატრიუმს ხალისიანი ელფერი ედო. ზევიდან განიერ, ღია ბანიდან უხვად მზის სინათლე შემოდიოდა და შადრევნის წყლის ჭავლებზე ათას ნაპერწკლებად იმტვრეოდა. ოთხკუთხა შადრევნიანი აუზი, რომელშიაც ავდრის დროს წვიმის წყალი გროვდებოდა, ანემონებითა და ზამბახებით იყო შემოვლებული. ეტყობოდა, ამ სახლში ყველას უყვარდა ზამბახი, რადგან ყველგან ზამბახს მოჰკრავდა თვალს – თეთრსაცა და წითელსაც. ბევრი იყო ირისიც, რომლის

ნაზი ფოთლები თითქოს წყლის ცვრით მოესავადებინათ. ზამბახის ქოთნებს სველი ხავსი ეფარა. ამ ხავსა და და სქელ ფოთლებს შუა ბავშვებსა და წყლის ფრინველების პატარა ბრინჯაოს ქანდაკებანი მოჩანდნენ. ერთ კუთხეში ბრინჯაოს ირემს სინესტისაგან ჟანგმოდებული თავი წყლისაკენ დაეხარა, თითქოს წყურვილი აწუხებსო. ატრიუმის იატაკი მოზაიკური იყო. კედლები წითელი მარმარილოთი მოეპირკეთებინათ და ზედ ხეები, თევზები, ფრინველები და გრიფები ეხატა. მეზობელ ოთახებში შესავალი ყველა კარი სპილოს ძვლით იყო მოკაზმული, კედლების გასწვრივ, ხეებს შუა ავლუსის წინაპართა ქანდაკები იდგა. ყველაფერს პატრონის შეძლებისა და არა ფუფუნების ელფერი ედო, კეთილშობილური და მკვიდრი შეძლების ელფერი.

თუმცა პეტრონიუსის სახლს-კარის მოწყობილობა შეუდარებლად მდიდრული და მშვენიერი გახლდათ, მაინც მან აქ ერთი საგანიც ვერ პოვა, მისი გემოვნება რომ შეურაცხეყო. და ის იყო, აპირებდა კიდეც, ეს ეთქვა ვინიციუსისათვის, როდესაც ველარიუსმა ატრიუმისა და პაბლინიუმის შუა

ფარდა გასწია და სახლის სიღრმეში ჩქარი ნაბიჯით მათკენ მომავალი ავლუს პლავციუსი გამოჩნდა.

ის იყო კაცი სიცოცხლის დაისს უკვე მოახლოებული, თმაშევერცხლილი, მაგრამ ჯერ ისევ ბრგე, სიცოცხლით სავსე. სახე მოკლე ჰქონდა, რაიც ადამიანს არწივის თავს მოაგონებდა. სახეზე რაღაც გაოგნება, თითქოს შეწუხებაც კი ემჩნეოდა; ეტყობოდა, რომ ნერონის მეგობრის, ამხანაგისა და მესაიდუმლის მოულოდნელმა მისვლამ შეაშფოთა.

პეტრონიუსი მაღალ საზოგადოებაში მეტად გამოსული და გამოცდილი კაცი იყო, რომ ეს შეშფოთება არ შეენიშნა ამიტომაც პირველი მისალმების შემდეგ, რაც შეეძლო მეტი მჭევრმეტყველებითა და სინატიფით განუცხადა მასპინძელს, იმიტომ მოვედი, მადლობა გითხრათ იმ სტუმართმოყვარეობისათვის, რაც შენმა ოჯახმა ჩემს დისშვილს გაუწია, ამ მადლობის გამოცხადება ერთადერთი მიზეზია ჩემი აქ მოსვლისა და ეს მოსვლაც შენმა დიდი ხნის ნაცნობობამ გამაბედვინაო.

ავლუსმა თავის მხრივ პეტრონიუსი დაარწმუნა, ჩემთვის სასურველი სტუმარი ხარო, ხოლო რაიც მადლობას შეეხება, იგი თავადაც პეტრონიუსის მოვალეა, თუმცა, უეჭველია, სტუმარს არც კი ახსოვს, რა სამსახური გაუწევია მისთვის.

პეტრონიუსი მართლაც ვერ მიხვდა, რა სამსახურს გულისხმობდა ავლუსი. ამაოდ ასწია მაღლა თავისი კაკლა თვალები და შეეცადა მოეგონებინა, რა სამსახური გაეწია ავლუსისთვის ან ვინმე სხვისათვის. ვერაფერი მოიგონა იმის მეტი, რომ ახლა ცდილობდა, ვინიციუსს დახმარებოდა. შესაძლოა, რამე მის უნებურად მოხდა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში პეტრონიუსს ამის არა გაეგება რა.

– მე მიყვარს და ძალიანაც პატივს ვცემ ვესპასიანეს, – თქვა ბოლოს ავლუსმა, – სიკვდილს რომ გადაარჩინე, როდესაც, საუბედუროდ, კეისრის ლექსების კითხვის დროს დაეძინა.

– დიახ, ბედნიერი იყო, რომ ის ლექსები არ მოისმინა, – უპასუხა პეტრონიუსმა, – არ დავფარავ, საქმე შეიძლებოდა უბედურად გათავებულიყო. ჟღალწვერა უეჭველად აპირებდა მასთან ცენტურიონის გაგზავნას მეგობრული რჩევით, სისხლის ძარღვები გაიხსენიო.

– შენ კი, პეტრონიუს, სიცილი დააყარე.

– დიახ, თუმცა იქნებ პირიქითაც. მე ვუთხარ, თუ ორფევსს შეეძლო თავისი სიმღერით ველური მხეცები დაეძინებინა, მაშ ნერონის გამარჯვება ორფევსის გამარჯვებას ეთანაბრება, რაკი ვესპასიანეს დაძინება შეიძლო. აპენობარბუსის გაკენწვლა შეიძლება, თუკი ამ პატარა გაკენწვლას დიდ პირმოთნეობას მიუსართებ. ჩვენს მოწყალე ავგუსტა პოპეას ეს მშვენივრად გაეგება.

– სამწუხაროდ, ახლა ისეთი დროა, – მოიგო ავლუსმა, – მე ორი წინა კბილი მაკლია, ბრიტანელმა მხედარმა ქვით ჩამიმტვრია, ამიტომ ხანდახან სიტყვებს სტვენით ვამბობ, მაგრამ ჩემი სიცოცხლის უბედნიერესი დღეები ბრიტანეთში გავატარე.

– უბედნიერესი და დიდად სახელოვანი დღეები, – დაუმატა ვინიციუსმა.

მაგრამ პეტრონიუსს შეეშინდა, ძველმა მხედარმა გარდახდილი ომების ამბები არ დაიწყოსო და

ლაპარაკის საგანი შეცვალა. ამბობენ, პრენესტეს მიდამოებში გლეხებს მგლის მკვდარი ლეკვი უპოვიათ, ორთავიანი, ხოლო უკანასკნელი ჭექა-ქუხილის დროს ელვას მთვარის ტაძრის ფრონტონი მოუგლეჯია, რაიც გვიან შემოდგომაზე გაუგებარ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ეს ამბები ვინმე კოტამ უამბო, თანაც დაუმატა, იმ ტაძრის ქურუმები ქალაქის დამხობას წინასწარმეტყველებენ, ან სულ ცოტა, რომელიმე დიდი ოჯახის დამხობას მაინც, და ამბობენ, ამ უბედურების არიდება მხოლოდ დიდი მსხვერპლის შეწირვით შეიძლებაო.

ავლუსმა შენიშნა, ამისთანა ნიშნების აბუჩად აგდება არ შეიძლებაო. განა საკვირველია, რომ ღმერთები განრისხებულები იყვნენ ხალხის წრეგადასული თავაშვებულობის გამო, სწორედ დროა, მსხვერპლი შევწიროთო.

ამაზე პეტრონიუსმა თქვა:

– შენი სახლსი, პლავციუს, ძალიან დიდი არ არის, თუმცა აქ დიდი კაცი ცხოვრობს; ჩემი მართლაც მეტად დიდია ჩემისთანა კნინი პატრონისთვის, მაგრამ მაინც პატარაა. მაშ თუ დამხობა ისეთ დიდ სახლს ემუქრება როგორიც არის Domus iransitoria, განა ღირს, მსხვერპლი შევწიროთ, რომ მას დამხობა ავაცდინოთ?

პლავციუსმა ამაზე არა უპასუხა რა. ამ სიფრთხილით, ცოტა არ იყოს, პეტრონიუსს აწყენინა. მართალია, პეტრონიუსმა კეთილისა და ბოროტის გარჩევა არ იცოდა, მაგრამ დამბეზღებელი არასოდეს ყოფილა და მასთან

ლაპარაკი სრულებით უშიშრად შეიძლებოდა. კვლავ შესცვალა საუბრის საგანი და პლავციუსის საცხოვრებლის ქება დაიწყო; მთელ სახლში ნატიფი გემოვნებაა გაბატონებულიო.

– ეს ძველთაძველი ბუდეა, – უთხრა პლავციუსმა, – როგორც მემკვიდრეობით მივიღე, ისევ ისე ხელუხლებლად მაქვს.

რაკი ატრიუმსა და ტაბლინუმს შუა ფარდა გაწეული იყო, მთელი სახლი მოჩანდა. ისე რომ, თვალი ყველაფერს ხედავდა. შორიდან ბაღი მუქ ჩარჩოში ჩასმული ნათელი სურათივით მოჩანდა. ბაღიდან ბავშვის სიცილის ხმა მოდიოდა.

– ჰოი, მხედართმთავარო! – უთხრა პეტრონიუსმა მასპინძლს, – ნება მოგვეცი, ახლოს მოვისმინოთ ის წრფელი სიცილი, რაიც ამ დროში იშვიათად გვესმის.

– სიამოვნებით, – უპასუხა პლავციუსმა და ზეზე წამოდგა, – იქ ჩემი პატარა ავლუსი და ლიდია ბურთს თამაშობენ. მაგრამ რაიც სიცილს შეეხება, მგონია, პეტრონიუს, მთელ თქვენს ცხოვრებას სიცილში ატარებთ.

– ცხოვრება სიცილის ღირსია, მიტომაც ყველანი იცინიან, – მიუგო პეტრონიუსმა, – მაგრამ აქ სხვა სიცილი გაისმის.

– შენ, პეტრონიუს, – დაუმატა ვინიციუსმა, – მთელ დღეს კი არა, მთელი ღამე იცინი.

მთელი სახლი გაიარეს და ბაღში აღმოჩნდნენ, სადაც ლიგია და პატარა ავლუსი ბურთს თამაშობდნენ, საგანგებოდ ამისთვის დანიშნული მონები – სფერისტები ბურთს მიწიდან იღებდნენ და მოთამაშეთ აწვდიდნენ. პეტრონიუსმა მსწრაფლ ლიგიას შეხედა, პატარა ავლუსმა ვინიციუსთან მიირბინა, ხოლო ვინიციუსმა თავი დახარა მის წინ მდგომი მშვენიერი ქალის წინ, რომელსაც ოდნავ აწეწოდა თმა და ლოყები აფაკლოდა.

ფათალოთი, ვაზით და ჩიტის ვაშლათი მოფარებულ ბაღის ტრიკლინიუმში პომპონია გრეცინა იჯდა და სტუმრებიც მისასალმებლად მისკენ გაემართნენ. თუმცა პეტრონიუსი პლავციუსის სახლში არ იყო ნამყოფი, პომპონიას მაინც იცნობდა, – მას ქალი ენახა რუბელიუს პლავტუსის ასულ ანტისტიასთან, სენეკასთან და პოლიონთან, როდესაც კი შეხვდებოდა, გაოცებას იყო ქალის დაღონებული, მაგრამ ნათელი სახის, მისი მშვენიერი

მოყვანილობის შემხედვარე, პეტრონიუსს თავისი შეხედულება ჰქონდა ქალებზე, მაგრამ პომპონია იმდენად განსხვავდებოდა სხვა მატრონებისაგან, რომ ეს თავიდან ფეხებამდე წამხდარი და გულდაჯერებული კაცი, რომლის

მსგავსს მთელ რომში ვერ იპოვიდით, არათუ პატივს სცემდა პლავციუსის მეუღლეს, მის თავმოწონებასაც, ცოტა არ იყოს, ფრთები ეკეცებოდა. ახლაც ვინიციუსზე მზრუნველობისათვის, რომ მადლობას ეუბნებოდა, თითქოს უნებლიეთ სიტყვა Domina- ქალბატონო-ჩაურთო, ეს სიტყვა კი არასოდეს თავში არ მოსვლია, როდესაც კი უსაუბრია კალვიასთან, კრისპინილასთან, სკრიბონიასთან, ვალერიასთან, სოლინასთან და მაღალი საზოგადოების სხვა მანდილოსნებთან. პირველი მოკითხვის შემდეგ პეტრონიუსმა მწუხარება გამოუხატა, იშვიათად გხედავ, ვერც ცირკში, ვერც ამფითეატრში მოგკრავსო თვალს კაცი. პომპონიამ ხელი ქმრის ხელს დაადო და დამშვიდებით უპასუხა სტუმარს:

– ორივე დავბერდით, ჩვენი სახლის მყუდროება სულ უფრო და უფრო გვიზიდავს.

პეტრონიუსს რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ავლუს პლავციუსმა თავისი მსტვენავი ხმით დაუმატა:

– ჩვენც როგორღაც თანდათან უფრო და უფრო მეტად ვგრძნობთ, უცხონი ვართ იმ ხალხისთვის, ჩვენს რომაულ ღმერთებს რომ ბერძნული სახელები შეარქვეს.

– ეს ერთი ხანია, ღმერთები მხოლოდ რიტორიკული ფიგურებიღა არიან, – დაუდევრად შენიშნა პეტრონიუსმა, – და რადგან რიტორიკას ბერძნები გვასწავლიდნენ, ამიტომ თვითონ მეც იუნონას მაგიერ ჰერას თქმა უფრო მეადვილება.

ეს რომ თქვა, პომპონიას შეხედა, თითქოს ამით უნდოდა ცხადეყო, შენ წინაშე სხვა ღვთაებაზე ლაპარაკი ფიქრადაც არ მომივაო. შემდეგ, პომპონიამ რომ წეღან სიბერე ახსენა, იმის საპასუხოდ თქვა: ხალხი მართლაც ჩქარა ბერდება, მაგრამ ეს ისინი არიან, ვინც სულ სხვაგვარი ცხოვრების ნირს მისდევს. ამას გარდა, ზოგიერთი ისე გამოიყურება, თითქოს სატურნს დავიწყებიაო.

პეტრონიუსმა ეს გულწრფელად თქვა; თუმცა პომპონია გრეცინას მზე ჩასასვლელად ემზადებოდა, მაინც მის სახეს სიქორფე შერჩენოდა და მი-

უხედავად მუქი კაბისა, მიუხედავად მედიდურობისა და ნაღვლიანობისა, მაინც ახალგაზრდა ქალის იერი ეფინა. ამასობაში პატარა ავლუსი, ვინიციუსთან ადრევე დამეგობრებული, ბურთის სათამაშოდ იწვევდა სტუმარს. ბავშვს ტრიკლინიუმში ლიგიაც შემოჰყვა. ფათალოს ჩრდილს ქვეშ პეტრონიუსს ახლა უფრო ლამაზად ეჩვენა, ვიდრე პირველი შეხედვით. ახლა ნამდვილად გავდა ნიმფას. აქამდე ერთი სიტყვაც არ ეთქვა მისთვის, ახალა კი ადგა, თავი დახარა და ჩვეულებრივი სალმის მაგიერ ის ლექსი თქვა, რომლითაც ოდისევსმა ნავსიკაია მოიკითხა:

თუ ცის მკვიდრი ხარ და ბრწყინვალე ქალღმერთი შენა,
შეედარები არტემიდას, ზევსის ასულსა,
თუ მოკვდავი ხარ და ფორტუნას ემორჩილები,
გიკურთხონ ღმერთთა მშობელი და ნათესავები...

პომპონიასაც კი მოეწონა პეტრონიუსის ბატონკაცური თავაზი. ლიგია შემკრთალი, გაწითლებული უსმენდა, თავის მაღლა აწევას ვერ ბედავდა, მაგრამ ტუჩები კი ცელქმა ღიმილმა შეუთამაშა – რცხვენოდა კიდეც და პასუხის მიცემაც უნდოდა. უკანასკნელმა დასძლია, უცებ პეტრონიუსს ახედა და ნავსიკაიას სიტყვებით საჩქაროდ უპასუხა, თითქოს გაკვეთილს ეუბნებაო:

ო, მოგზაურო, გვარიშვილობით გამორჩეულო,
გონიერება ელვარებს შენი...

ესა თქვა, მიტრიალდა და დამფრთხალი ფრინველივით გაიქცა.

ახლა პეტრონიუსის გაკვირვების რიგი დადგა, არ მოელოდა, რომ ყმაწვილი ქალი, ვინაც ვინიციუსმა ბარბაროსების ჩამომავლად გააცნო, ჰომეროსის ლექსს ეტყოდა. გაოცებით შეხედა პომპონიას, მაგრამ ქალმა ვერაფერი აუხსნა, რადგან ამ დროს ავლუსის სახეზე მოფენილ სიამაყის ღიმილს უცქეროდა.

ავლუსმა სიამოვნება ვერაგზით ვერ დამალა. ჯერ იყო და ლიგია ღვიძლი შვილივით უყვარდა და თანაც, მიუხედავად ძველ-რომაული სულის ერთგულებისა, რაიც აიძულებდა, ბერძნუილ ენა დაეგმო და ამ ენით გატაცებულნი გაეკიცხა, მაინც ბერძნულის ცოდნას უაღრეს განათლებად სთვლიდა. თვითონ ბერძნულის კარგად შესწავლა ვერ შესძლო, გუნებაში ნაღვლობდა კიდეც ამას. ხოლო ახლა უხაროდა, რომ ამ ბრწყინვალე კაცს,

თანაც მწერალს, რომელიც, ვინ იცის, მზად იყო მისი ოჯახი ბარბაროსულ ოჯახად მიეჩნია, სწორედ აქ ჰომეროსის ლექსით და ენით მიუგეს პასუხი.

– შინ ბერძენი პედაგოგი გვყავს, – უთხრა მან პეტრონიუსს, – ჩვენს შვილს ასწავლის და ეს ქალიც გაკვეთილებს ყურს უგდებს ხოლმე. მშვიდი მტრედია და მასთან ჭკვიანი, მეც და ჩემი ცოლიც ძალიან შევეჩვიეთ.

პეტრონიუსი ფათალოსა და ჩიტის ვაშლას ყლორტებს შუა იხედებოდა და სამი ახალგაზრდის ბურთის თამაშობას ადევნებდა თვალს. ვინიციუსმა ტოგა მოიხსნა და ტუნიკის ამარა ბურთს მაღლა ისროდა, მის პირდაპირ მდგარი ლიგია ამ ბურთის დაჭერას ცდილობდა. ქალი თავდაპირველად არ მოეწონა პეტრონიუსს, ძალიან გამხდარი ეჩვენა, მაგრამ ტრიკლინიუმში ახლოს რომ შეათვალიერა, იფიქრა: ამას მხოლოდ დილის ცისკარი თუ შეედრებაო, და როგორც ქალთა ყადრის მცოდნემ, დაასკვნა, ლიგიას რაღაც საგანგებო მშვენიერება აქვსო. მან ყველაფერს

მიაპყრო ყურადღება და ყველაფერი შეაფასა: ვარდისფერი გამჭვირვალე სახეც, თითქოს საკოცნელად შექმნილი ალისფერი ტუჩები, ზღვის ლაჟვარდისფერი თვალებიც, ალებასტრისფერი შუბლის სისპეტაკე, მუქი მდიდარი თმაც, ხვეულებში რომ ქარვისა და კორინთოს ბრინჯაოსფრად ციმციმებდა, ყარყატი ყელიც, ღვთაებრივად მოხაზული ბეჭებიც და მოქნილი, წვრილი ტანიც, რომელსაც მაისის სინორჩისა და ახლად გაშლილი ყვავილის ელფერი დაჰკრავდა. პეტრონიუსში მხატვარმა და მშვენიერების თაყვანისმცემელმა გაიღვიძა, მან იგრძნო, რომ ამ ქალის ქანდაკს შეიძლება წაეწეროს „გაზაფხული''. უცებ თავისი ქრიზოტემიდა მოაგონდა და გაცინების გუნებაზე დადგა. საკმაოდ დამჭკნარი წარმოუდგა ქალი, მისი ოქროსფერი ფიფქმოყრილი თმა და შავად შეღებილი წარბები. გაყვითლებული ვარდი მოაგონდა, რომელსაც საცაა უნდა დასცვივდეს ფოთლები. თუმცა ქრიზოტემიდას გამო პეტრონიუსს მთელი რომი შურით უცქეროდა. მერე პოპეას მიწვდა ფიქრით და ეს მშვენიერებით განთქმული ქალი ცვილისაგან გაკეთებულ უსულო ნიღბად ეჩვენა. ამ ნატიფ ნაკვთებიან ქალში კი არა თუ გაზაფხული, არამედ მოელვარე ფსიქიკეა მოკალათებულიყო, რომელიც მის ვარდისფერ ტანში ისე გასჭვიოდა, როგორც ლამპარში ცეცხლი.

„ვინიციუსი მართალია, – გაიფიქრა მან, – ჩემი ქრიზოტემიდა ბებერია, ტროასავით ბებერი''.

შემდეგ პომპონია გრეცინას მიუბრუნდა, ბაღზე მიუთითა და უთხრა:

– ახლა მესმის, დომინა, ამ ბავშვების პატრონი სახლში ყოფნას რად რჩეობს პალატინის მეჯლისებსა და ცირკში სიარულს.

– დიახ, – მიუგო დიასახლისმა და პატარა ავლუსისა და ლიგიასკენ გაიხედა.

მოხუცი მხედართმთავარი ქალის ამბავს მოუყვა და ისიც უთხრა, რაც ოდესღაც გაეგონა ლიგიას ხალხზე, მოქურშული ჩრდილოეთის მკვიდრებზე.

ბურთის თამაშობა გათავდა და ყმაწვილმა ხალხმა ბაღში სეირნობა დაიწყო. ტვიისა და კვიპაროსის მუქ ფონზე სამ თეთრ ქანდაკად მოჩანდნენ. ლიგიას პატარა ავლუსის ხელი ეჭირა. ბოლოს თევზების აუზთან სკამზე დასხდნენ, ბაღის შუაგულში. ავლუსი მალე წამოხტა და თევზებს შეშინება დაუწყო, ხოლო ვინიციუსი სეირნობის დროს დაწყებულ საუბარს მიუბრუნდა.

– დიახ, – დაბალი, მთრთოლვარე ხმით ამბობდა იგი, – პრეტექსტა დავაგდე თუ არა, მაშინვე აზიის ლეგიონებში გამგზავნეს. არც ქალაქს ვიცნობდი, არც ცხოვრებას, არც სიყვარულს. მართალია, ანაკრეონტიდან და ჰორაციუსიდან ზოგი რამ გავიზეპირე, მაგრამ პეტრონიუსივით ლექსებით ლაპარაკი არ მეხერხება მაშინაც კი, როდესაც გონება აღტაცებისაგან დამიმუნჯდება და საკუთარ სიტყვებს ვერ ვპოულობ. პატარა ბიჭობისას მუზონიუსის სკოლაში დავდიოდი; ის

გვეუბნებოდა ხოლმე – ბედნიერება გახლავთ, სწორედ ის ისურვოთ, რაც ღმერთებს სურთ და მაშ, იგი ჩვენს ნებაზე არის დამოკიდებულიო. მე კიმგონია, არის სხვა უდიდესი და უკეთესი ბედნიერება ჩვენს ნებაზე დამოკიდებული და ამ ბედნიერების მოცემა მარტო სიყვარულს შეუძლია. ამ ბედნიერებას თვითონ ღმერთებიც ეძებენ. მე აქამდე სიყვარული არ გამომიცდია და მეც იმას ვეძებ, ვინც მოისურვებს, ბედნიერება მომანიჭოს.

იგი გაჩუმდა და ერთ წამს მხოლოდ კენჭების ხმა ისმოდა, პატარა ავლუსი რომ ისროდა წყალში. მაგრამ ვინიციუსმა ისევ ლაპარაკი დაიწყო უფრო რბილი და დაბალი ხმით:

– ხომ იცნობ ვესპასიანეს შვილს ტიტუსს? ამბობენ, ჭაბუკი ხანს გადასცილდა თუ რა, ბერენიკე ისე შეიყვარა, ნაღველმა კინაღამ სამარემდე არ მიიყვანაო... ლიგია, ასეთი სიყვარული მეც შემიძლია!... სიმდიდრე, დიდება, უფლება – ყველა სულ ამაოებაა! მდიდარი უფრო მდიდარს შეხვდება,

დიდებულ კაცს უფრო დიდებული დაჩრდილავს, მძლეს, ძლევარი გამოუჩნდება... მაგრამ ნუთუ თვითონ კეისარს ნუთუ თვითონ ღმერთებს შეუძლიათ უმეტესი სიტკბოება გამოსცადონ, უმეტესად ბედნიერები იყვნენ იმ უბრალო მოკვდავზე, რომლის მკერდს ძვირფასი მკერდი ეკვრის, რომლის ბაგეს საყვარელი ბაგე ეკარება?... სიყვარული, ლიგია, აგვამაღლებს და გაგვაღმერთებს!

ლიგია შეშფოთებით უსმენდა მას და ისეთმა გრძნობამ მოიცვა, თითქოს ბერძნული კითარის ხმები ესმოდა. ხან ეჩვენებოდა, თითქოს ვინიციუსი რაღაც მშვენიერ სიმღერას მღერისო და ეს სიმღერა რომ ყურს ეწვეთებოდა, ქალს სისხლს უღელვებდა, შიშით გული უღონდებოდა და ამასთანავე რაღაც გაუგებარი სიხარული ეუფლებოდა.. ქალს ეგონა, ვინიციუსი ისეთ რაღაცას მეუბნება, რაც ადრევე იყო ჩემში და რაც არ ვიცოდი, რა იყოო. გრძნობა, როგორ იღვიძებდა ის მთვლემარე გრძნობა და როგორ გარკვეულ სახეს იღებდა ბუნდოვანი ზმანება.

მზე დიდი ხანია ტიბრს იქით გადაიხარა, უძრავ კვიპაროსებს მეწამული შუქი მოჰფენოდა. ლიგიამ ვინიციუსს ცისფერი თვალები მიაპყრო, თითქოს თვლემიდან გამოერკვაო და უცებ ცისკრის შუქმოფენილი, მავედრებელი თვალებით მისკენ დახრილი ვინიციუსი ყველა ადამიანზე, ყველა რომაელ და ბერძენ ღმერთზე, რომელთა ქანდაკებები ტაძრების ფრონტონებზე ენახა, ყველაზე უმშვენიერესად ეჩვენა, ხოლო ვინიციუსი თითებით ქალის მკლავს ნიდაყვს ზემოთ შეეხო და ჰკითხა:

– ნუთუ ვერ მიხვდი, ლიგია ყველა ეს რისთვის გითხარ?

– ვერა, – ისეთი დაბალი ხმით მიუგო, რომ ვინიციუსმა ძლივს გაიგონა. მაგრამ ვაჟმა როდი დაუჯერა ქალს, უფრო მოუჭირა ხელი, მზად იყო, ათრთოლებულ მკერდზე მიეკრა იგი და

აღტაცებული გრძნობა გამოეცხადებინა, მაგრამ ამ დროს ტვიით შემოვლებულ ბილიკზე მოხუცი ავლუსი გამოჩნდა და თქვა:

– მზე ჩადის, საღამოს სიცივეს გაუფრთხილდით, ლიბიტანას ნუ ეხუმრებით.

ვინიციუსმა მიუგო:

– მე ჯერ ტოგა არ წამომისხამს და არც სიცივე მიგრძნია.

– მთებს იქით მზის ნახევარიღა ჩანს, – უთხრა მოხუცმა მხედარმა, – აქ სიცილიის რბილი ჰავა როდია. სიცილიაში იციან, საღამოობით ბაზრებში ხალხი იკრიბება, რათა გამომშვიდობის ჰიმნი უძღვნას ჩამავალ ფებოსს.

პლავციუსს დაავიწყდა, რომ წამის წინ თვითონ აფრთხილებდა ახალგაზრდებს, ლიბიტინას ნუ ეხუმრებითო, და სიცილიის ამბებს მოუყვა, სადაც საკუთარი მამულები ჰქონდა და დიდ მეურნეობას აწარმოებდა. მეურნეობა ძალიან უყვარდა. თქვა, ბევრჯერ მომივიდა ფიქრად, სიცილიაში გადავსახლებულიყავი, რათა დარჩენილი წუთისოფელი მშვიდად დამესრულებინაო. ვისაც გავლილმა წელიწადებმა თმა შუვერცხლეს, იმისთვის ზამთრის თრთვილიც საკმაოა, ხეებს

ჯერ მზე დასცქერის, მაგრამ როდესაც ვაზის ფოთოლი გაყვითლდება, ალბანიის მთებზე თოვლი მოვა და ღმერთებიც კამპანიას მძაფრ ქარებს მოუვლენენ, მაშინ კი მთელი ოჯახით სოფელში გადავსახლდებიო.

– რომი გინდა მიატოვო, პლავციუს? – შეშფოთებით ჰკითხა ვინიციუსმა.

– დიდი ხანია, რაც სიცილიაში გადასახლება მინდა, – მიუგო ავლუსმა, – იქ უფრო მშვიდობიანობა და უშიშრობაა, – და ხელახლად ქება დაუწყო თავის ბაღებს, ფარას, მწვანით მოსილ სახლს, ბორცვებს, სადაც ფუტკრების მთელი გუნდი ბზუის. ვინიციუსს სრულებითაც არ ეპიტნავებოდა ეს ბუკოლიკური სურათი. იგი მარტო იმაზე ფიქრობდა, ლიგიას დავკარგავო, და პეტრონისისაკენ იცქირებოდა, თითქოს მარტო მისგან მოელოდა ხსნას.

ამ დროს პომპონიას გვერდით მჯდარი პეტრონიუსი ჩამავალი მზის სანახაობით ტკბებოდა და თევზების აუზთან მდგარ ადამიანებს შეხაროდა. საღამოს ცისკარს წითელი და ლურჯი ფერები მოეძალა, კვიპაროსების შავი ჩრდილები უფრო მკაფიო სახეს იღებდნენ, ვიდრე დღისით იყვნენ; ხალხს, ხეებს და მთელ ბაღსაც საღამოს მყუდროება დაეფინა.

პეტრონიუსს გაუკვირდა ეს მყუდროება და მეტადრე ის თუ რარიგ აისახა იგი ადამიანთა სახეებზე.

პომპონიას, მოხუც ავლუსის, მათი პატარა შვილის და ლიგიას სახეს ისეთი რამ ემჩნეოდა, რაც პეტრონიუსს არასოდეს შეუმჩნევია მთელი დღე, უფრო მთელი ღამე რომ გარს ეხვეოდა, იმ ხალხის სახეზე. ეს იყო სიმშვიდისა და უშფოთველობის განწყობილება, რაიც ამ ოჯახის ცხოვრების ნირიდან მომდინარეობდა. პეტრონიუსმა გაიკვირა, თურმე ისეთი მშვენიერება

და სიტკბოება ყოფილა, რაც მან, მშვენიერებისა და სიტკბოების მუდამჟამ მძებნელმა, არ იცოდა. ეს აზრი ვერ დაფარა და პომპონიას უთხრა:

– მე ახლა იმას ვსაზრობ, რამდენად განსხვავდება თქვენი ცხოვრება იმ ცხოვრებისაგან, რომელსაც განაგებს ნერონი.

პომპონიამ ცას ახედა და მარტივად უპასუხა:

– ქვეყანას ნერონი კი არა, ღმერთი განაგებს.

სიჩუმის წამი დადგა, ხეივანში მოხუცი ავლუსის, ვინიციუსის, ლიგიასა და პატარა ავლუსის ფეხის ხმა მოისმა და მანამ ისინი მოახლოვდებოდნენ, პეტრონიუსმა კიდევ ერთი კითხვა მისცა დიასახლისს:

– მაშ, პომპონია, შენ ღმერთები გწამს?

– მე ღმერთი მწამს, ღმერთი ერთი, მოწყალე და ყოვლად ძლიერი, – მიუგო ავლუს პლავციუსის ცოლმა.

თავი მესამე

იმას ერთი ღმერთი სწამს, მოწყალე და ყოვლადძლიერი, – გაიმეორა პეტრონიუსმა, როცა ტახტრევანში ვინიციუსის გვერდზე აღმოჩნდა – თუ ღმერთი ყოვლადძლიერია, მაშინ იგი სიცოცხლესა და სიკვდილს განაგებს, და თუკი მოწყალეა, მაშინ სიკვდილს დროზე გამოგზავნის. მაშ პომპონია იულიას სიკვდილის გამო შავებს რად ატარებს? იულიას რომ გლოვობს, ამით თავის ღმერთს შეურაცხყოფს. ეს დასკვნა ჩვენს ჟღალწვერა მაიმუნს უნდა გავუმეორო, იმიტომ, რომ დიალექტიკაში თავს სოკრატეს თანასწორად ვთვლი. რაიც დედაკაცებს შეეხება, იმ აზრისა გახლავარ, რომ ყველა იმათგანს ოთხ-ოთხი სული უდგას, მაგრამ აქედან არც ერთი არაა გონიერი. აბა პომპონიას სენეკასთან, კორნუტუსთან ელაპარაკე იმაზე, თუ რა არის დიდი ლოგოსი... აბა ერთი გამოეწვიათ აჩრდილი ქსენოფონტესი, პარმენიდეს, ძენონისა და პლატონისა, რომელთაც იქ, სადღაც კიმერიელთა მხარეში გული უწყალდებათ, როგორც გალიაში გამომწყვდეულ ჭივჭავს. მე სულ სხვაზე მინდოდა იმასთან და პლავციუსთან მომელაპარაკნა, ეგვიპტის ისიდას კურთხეულ საშოს ვფიცავ! მე რომ მათთვის უბრალოდ მეთქვა, რისთვისაც მივედი, მათი სათნოება ჯოხდარტყმულ ფარსავით დაიჟღრიალებდა ამიტომაც ვერ გავბედე. დამიჯერე, ვინიციუს, ვერ გავბედე. ფარშავანგები ლამაზი ფრინველები არიან, მაგრამ მეტად უსიამოვნოდ გაჰკივიან.

მე ყვირილის შემეშინდა... გემოვნება კი უნდა მოგიწონო. ნამდვილი ვარ-დისფერი ცისკარია. იცი, რას მაგონებს? გაზაფხულს, მაგრამ ჩვენს, იტალი-ურ

გაზაფხულს კი არა, როდესაც ვაშლები ის-ისაა ყვავილებით შეიმოსები-ან, რომ ზეთისხილი ისეთივე მრეში ფერისა ხდება, როგორც უწინ იყო. ლი-გია იმ გაზაფხულს მაგონებს, რომელიც მე ოდესღაც ჰელვეციაში ვნახე, – ნარნარ, ცინცხალ, მოლისფერ გაზაფხულს. იმ გაფითრებულ სელენეს ვფიცავ, არ მიკვირს შენი, მარკუსს. მაგრამ იცოდე, რომ დიანა გიყვარს და ავლუსი და პომპონია მზად არიან, ისევე დაგგლიჯონ, როგორც ოდესღაც ძაღლებმა აქტეონი დაგლიჯეს.

თავჩაქინდრული ვინიციუსი ხმას არ იღებდა, შემდეგ ვნებისაგან ათ-რთოლებული ხმით თქვა:

– მე უწინაც მწყუროდა, ლიგია ჩემი ყოფილიყო. ხოლო ახლა უფრო მეტად მწყურია, მე რომ იმას ხელი მოვკიდე, თითქოს ცეცხლი მომედო, ჩე-მი უნდა შეიქნას. მე რომ ზევსი ვიყო, იმას ღრუბელს შემოვახვევდი, რო-გორც ზევსმა იოს შემოახვია; ან წვიმად დავესხმოდი, როგორც ზევსი და-ნაიას დაედინა. მინდა, კოცნით ტუჩები ავატკინო. მინდა, ისე მოვეხვიო, ავა-კივლო, მინდა ავლუსი და პომპონია მოვკლა, იმას ხელი ვტაცო და ეგრევე შინ მივიყვანო. დღეს ვერ დავიძინებ, ვბრძანებ, რომელიმე ჩემი მონა გა-ამათრახონ და იმის ყვირილს დავუგდებ ყურს.

– დამშვიდდი, – უთხრა პეტრონიუსმა, – შენ სუბურელი დურგლის გე-მოვნებისა ყოფილხარ.

– ჩემთვის სულ ერთია. ლიგია ჩემი უნდა გახდეს. შენთან დახმარების სათხოვნელად მოვედი,

მაგრამ თუ არ დამეხმარები, თვითონ ვიპოვი საშველს. ავლუსი თავის შვილად თვლის ლიგიას, მაშ მე რად უნდა ვთვლიდე მონად? თუ სხვა გზა არ არის, დაე იმან ჩემს კარებს მგლის ქონი წაუსვას და დიასახლისად მო-ევლინოს ჩემს კერას.

– დამშვიდდი-მეთქი, კონსულების ჭკუასგადასულო ჩამომავალო! იმი-ტომ როდი გამოგვიბამს ჩვენი ეტლისათვის თოკით ბარბაროსები, რომ იმა-თი ქალები ცოლად შევირთოთ. გადაჭარბებას ერიდე, ყველა რიგიანი სა-შუალება მონახე და სცადე, მე კი მოფიქრებისათვის დრო მომეცი.ქრიზო-ტემიდაც ზევსის ასულად მიმაჩნდა, მაგრამ კი არ შემირთავს, არც ნერონს

შეურთავს აქტეა, თუმცა ამბობდა, მეფე ატალას ასულიაო... დამშვიდდი, ჩაფიქრდი! თუ იმან შენი გულისთვის ავლუსის დატოვება მოისურვა, ვერავინ ვერ გაუწევს წინააღმდეგობას, ამას გარდა, ესეც იცოდე – მარტო შენ არა ხარ აღტაცებული, ეროტს მის გულშიაც აუნთია ცეცხლი... ეს ცხადად შევამჩნიე და მე დამეჯერება... მოთმინება იქონიე. ყველაფრის მოგვარება შეიძლება, მაგრამ დღეს იმდენი ვიფიქრე, რომ მომბეზრდა. სამაგიეროდ, გპირდები – ხვალ შენს სიყვარულზე ხელახლა დავიწყებ ფიქრს და პეტრონიუსი ნუ ვყოფილვარ, თუ რამე გამოსავალი არ მოვიფიქრო.

ორივენი დადუმდნენ. ცოტა ხანს უკან ვინიციუსმა უფრო დამშვიდებით უთხრა:

– მადლობელი ვარ, ფორტუნა იყოს შენი მწყალობელი.

– მოთმინება იქონიე.

– სად უბრძანე შენი წაყვანა?

– ქრიზოტემიდასთან.

– ბედნიერი ხარ, ვინც გიყვარს, იგი შენია.

– მე? იცი, ჯერ ისევ რა მიზიდავს ქრიზოტემიდასი? ის, რომ მღალატობს ჩემს საკუთარ აზატთან, კითარის დამკვრელ თეოკლთან და ჰგონია კი, მე ვერ მიმხვდარვარ. ოდესღაც მიყვარდა, მაგრამ ახლა მისი სიცრუე და სისულელე მართობს. შენც წაომომყევ. თუ შენი თავბრუდახვევა მოისურვა და მაგიდაზე ღვინოში დასველებული თითით ასოების წერა დაიწყო, იცოდე, მე ეჭვიანი არა ვარ.

და პეტრონიუსმა ბრძანა, ქრიზოტემიდასთან წაგვიყვანეთო.

დერეფანში პეტრონიუსმა მხარზე ხელი დაადო ვინიციუსს და უთხრა:

– მოიცა, მგონია საშუალება ვიპოვე.

– ღმერთებმა მოგიზღონ სამაგიერო.

– ჰო... დიახ! მგონია, შეუმცდარი საშუალებაა. იცი, მარკუს, რა?

– ყურს გიგდებ, ჩემო ათენა.

– რამდენიმე დღის შემდეგ ღვთაებრივი ლიგია შენს სახლში დემეტრეს მარცვალს მიირთმევს.

– შენ დიადობით კეისარს აღემატები, – აღტაცებით უთხრა ვინიციუსმა.

თავი მეოთხე

პეტრონიუსმა დაპირება მართლაც შეასრულა. ქრიზოტემიდას ნახვის შემდეგ მთელი დღე იძინა, სამაგიეროდ, საღამოზე მონებს უბრძანა, პალატინში წამიყვანეთო. იქ ნერონს ცალკე მოელაპარაკა და ამას მოჰყვა, რომ მესამე დღეს პლავციუსის სახლის წინ ცენტურიონი გამოცხადდა რამდენიმე პრეტორიელი ჯარისკაცითურთ.

იმ დროს ასეთი მიგზავნილები სიკვდილის მაუწყებლები იყვნენ. როგორც კი ცენტურიონმა ჩაქუჩი დაარტყა ავლუსის კარს და ატრიუმის ზედამხედველმა შეატყობინა, დერეფანში ჯარისკაცები დგანანო, მთელ ოჯახობას თავზარი დაეცა. ყველა მოხუც ავლუსს შემოეხვია გარს. არავინ ეჭვობდა, რომ უწინარეს ყოვლისა განსაცდელი სწორედ იმას ემუქრებოდა. პომპონია მოეხვია ქმარს, მაგრად მიეკრა და გალურჯებული ტუჩებით რაღაც სიტყვებს ჩასჩურჩულებდა. გადაფითრებული ლიგია ხელებს უკოცნიდა; პატარა ავლუსმა მამის ტოგას წაავლო ხელი; ტალანებიდან, მსახურთა ოთახებიდან, აბანოდან, სარდაფის ოთახებიდან მონებმა იწყეს დენა. გაისმა ძახილი: „Heu! heu! Me miserum“, დედაკაცებმა ტირილი მორთეს; ზოგმა მხევალმა ლოყების ხოკვა დაიწყო, სხვებმა კიდევ თავზე მანდილები მოიხვიეს.

მშვიდად იყო მხოლოდ მოხუცი მხედართმთავარი, დიდი ხნიდან სიკვდილისათვის თვალის

გასწორებას ჩვეული, ოღონდ არწივისებური სახე თითქოს უცებ გაუქვავდაო. მსახურთ უბრძანა, გოდება შეწყვიტეთ და თქვენს ალაგს წადითო. ბოლოს ცოლს უთხრა:

– გამიშვი, პომპონია. თუ ჩემმა საათმა დაჰკრა, გამომშვიდობებას კიდევ მოვასწრებთ.

პომპონიამ უთხრა ქმარს:

– ჰო ავლუს! ნეტა ისე მოხდეს, რომ შენი ხვედრი მეც გავინაწილო!

ქალი მუხლებზე დაეცა და ისე გულმხურვალე ლოცვას მოჰყვა, რაიც შეიძლება ადამიანს შთააგონოს ძვიფასი არსების განსაცდელმა.

ავლუსი ატრიუმში შევიდა, სადაც მას ცენტურიონი უცდიდა. ის მოხუცი გაიუს ჰასტა გამოდგა, ავლუსის ყოფილი ხელქვეითი და ბრიტანეთის ომებში თანამებრძოლი.

– სალამი შენდა, მხედართმთავარო, – უთხრა ჰასტამ, – კეისრის ბრძანება და წყალობა მოგიტანე. აი ფირფიტები და ნიშანი, რომ იმის სახელით ვარ მოსული.

– ვმადლობ კეისარს წყალობისათვის. მზადა ვარ, მისი ბრძანება ავასრულო, – მიუგო ავლუსმა, –

სალამს გიძღვნი, ჰასტა, თქვი, რისთვის ხარ ჩემთან მოსული.

– ავლუსს პლავციუს, – დაიწყო ჰასტამ, – კეისარმა შეიტყო, რომ შენს სახლში ლიგიის მეფის ასული ცხოვრობს, რომელიც იმ მეფემ ჯერ ისევ ღვთაებრივი კლავდიუსის სიცოცხლეში რომაელთ მისცა იმის თავდებად, რომ ლიგიელები იმპერიის საზღვარს არ გადმოლახავდნენ ღვთაებრივი ნერონი მადლობას გითვლის, რომ შენ ამდენი წელი სტუმართმოყვარეობა აღმოუჩინე მას და რაკი არა სურს, რომ კვლავაც დაამძიმოს შენი ოჯახი და რაკი მძევალი კანონის ძალით თვითონ კეისრისა და სენატის მფარველობის ქვეშ უნდა იმყოფებოდეს, გიბრძანებს, ქალი მე ჩამაბარო.

ავლუსი ნამდვილი მხედარი იყო და საკმაოდ გამოწრთობილი ვაჟკაცი, მიტომაც თავის თავს ნება არ მისცა, იმპერატორის ბრძანების გამო მწუხარება ან ჩივილი გამოეთქვა. მაინც უცებ შუბლი რისხვითა და მწუხარებით შეიკრა. ოდესღაც, ავლუსს ასე შუბლშეკრულს რომ დაინახავდნენ, ბრიტანეთის ლეგიონები თრთოდნენ, ახლაც კი ჰასტას სახეს შიში დაეტყო. მაგრამ კეისრის ბრძანების წინაშე პლავციუსი თავს უღონოდ სთვლიდა. ფირფიტებს დიდხანს უცქირა, შემდეგ მოხუც ცენტურიონს თვალი მიაპყო და დამშვიდებით თქვა:

– ატრიუმში მომიცადე, ჰასტა, ვიდრე მძევალს ჩაგაბარებდე.

ამ სიტყვების შემდეგ სახლის მეორე ბოლოს გაემართა, დარბაზში შევიდა, ეკს რომ უწოდებდნენ, სადაც პომპონია გრეკინა, ლიგია და პატარა ავლუსი მწუხარენი და დაშინებულნი ელოდნენ მას.

– არავის ემუქრება არც სიკვდილი და არც შორეულ კუნძულებზე გადასახლება, – თქვა მან, – მაინც კეისრის ელჩი უბედურების მაუწყებელია. საქმე შენ შეგეხება, ლიგია.

– ლიგიას? – შესძახა პომპონიამ.

– დიახ, – უპასუხა ავლუსმა, ლიგიას მიუბრუნდა და დაიწყო: – ლიგია, შენ ჩვენს სახლში გაიზარდე, მე და პომპონიას ღვიძლი შვილივით გვიყვარხარ. მაგრამ, ხომ იცი, შენ ჩვენი შვილი არა ხარ, შენ მძევალი ხარ, შენმა ერმა რომ რომს მიანდო, შენზე მზრუნველობა კეისარს ეკუთვნის. ახლა კეისარს მიჰყავხარ ჩვენგან.

პლავციუსმა ეს დამშვიდებით თქვა, მაგრამ რაღაც საშინელი, არაჩვეულებრივი ხმით. ლიგია ისე უსმენდა, თითქოს ვერ გაეგო, რაზე იყო ლაპარაკი. პომპონიას ლოყები გაუფითრდა. დარბაზის კარებში კვლავ შეშინებული მონები გამოჩნდნენ.

– უნდა აღსრულდეს კეისრის ნება, – თქვა ავლუსმა.

– ჰოი, ავლუს! – შეჰყვირა პომპონიამ და თან ქალს მოეხვია. თითქოს მისი დაცვა უნდაო, – იქ წასვლას სიკვდილი უჯობს.

ლიგია გულზე ეკვროდა მას და გაიძახოდა : ''დედა! დედა!'' სხვა სიტყვა ვერ მოეძებნა.

ავლუსს სახეზე მწუხარება და რისხვა გამოეხატა.

– მე რომ ამ ქვეყანაზე მარტო ვიყო, – პირქუშად თქვა მან, – ცოცხალს არავის დავანებებდი ამას; ჩემი ნათესავებიც შეძლებდნენ ჩვენს სახელზე დღესვე შეეწირათ მსხვერპლი გამანთავისუფლებელი იუპიტერისათვის, მაგრამ უფლება არ მქვს, დაგღუპო შენ და ჩვენი შვილი, რომელიც იქნებ უფრო ბედნიერ დროს შეესწროს. დღესვე წავალ კეისართან, შევევედრები, ბრძანება შეცვალოს და ისევ ჩვენთან დატოვოს ლიგია. მომისმენს თუ არა – არ ვიცი. მანამ მშვიდობით იყავ, ლიგია, და იცოდე, მეცა და პომპონიაც იმ დღეს ვლოცავთ, რა დღესაც შენ პირველად ჩვენს კერას მიუჯექი.

ავლუსმა თავზე ხელი დაადო და თუმცა ცდილობდა, დამშვიდებული ყოფილიყო, მაინც იმ წამს, როდესაც ლიგიამ მას ცრემლით სავსე თვალები მიაპყო და ტუჩებით მის ხელს შეეხო, ავლუსის ხმაში მამობრივი მწუხარების სიმი შეირხა.

– მშვიდობით, ჩვენო სიხარულო, ჩვენთა თვალთა სინათლევ, – და ჩქარი ნაბიჯით გაემართა ატრიუმისაკენ, რათა რომაელისა და მხედართმთავრისათვის შეუფერებელ ღელვას არ მისცემოდა.

ამასობაში პომპონიამ ლიგია საწოლ ოთახში წაიყვანა, დამშვიდება დაუწყო. ანუგეშებდა და ამხნევებდა ისეთი სიტყვებით, რომლებიც ამ სახლში უცნაურად ჟღერდნენ, სადაც მეზობელ ოთახშო ლარარიუმი და ტრაპეზი იდგა და ძველი ჩვეულების ერთგული ავლუს პლავციუსი შინაურ ღმერთებს მსხვერპლს სწირავდა. განცდის ჟამი დადგა. ოდესღაც ვირგინიუსმა თავის ასულს ყელი გამოსჭრა, რათა იგი აპიუსის ხელთაგან დაეხსნა; უფრო ადრე ლუკრეცია ნებაყოფილობით სიცოცხლეს გამოესალმა, რათა სირცხვილი აეცდინა. კეისრის სახლი გარყვნილებისა და დანაშაულის ბუნაგია. „ მაგრამ

ჩვენ, ლიგია, შენ იცი რატომაც, უფლება არა გვაქვს, თავი მოვიკლათ...'' დიახ, კანონი, რომელსახ ისინი ემორჩილებიან, უზენაესი და უწმიდესია, მაგრამ იგიც ბოროტებისა და სირცხილისაგან თავის დაცვის ნებას იძლევა, თუნდაც იმ დაცვისათვის სიცოცხლის შეწირვა და ტანჯვის ატანაც იყოს საჭირო. დიდება მას, ვინც გარყვნილების ბუნაგიდან სპეტაკი გამოვა. ეს წუთისოფელი სწორედ ასეთი ბუნაგია, მაგრამ, საბედნიეროდ, სიცოცხლე მხოლოდ ერთი თვალის დახამხამებაა. საფლავიდან აღდგომის შემდეგ ბოლო მიეცემა ნერონის უფლებას და დაიწყება სასუფეველი მოწყალებისა, სადაც ტანჯვა სიხარულად იცვლება, ხოლო ცრემლი- მხიარულებად.

მერე პომპონიამ თავის თავზე დაიწყო ლაპარაკი.დიახ, იგი მშვიდადაა, მაგრამ გულში მტკივნეული იარები ცოტა არა აქვს. ავლუსს ჯერაც არ ახელია თვალი, ჯერაც არ მოხვედრია სინათლის შუქი. ჯერ არ შეუძლია ჭეშმარიტ რჯულზე მოაქციოს პატარა ავლუსი. როცა გაიფიქრებს, სიკვდილამდე შეიძლება ასე გაგრძელდეს, შეიძლება, მათთან გაყრის წამი დამიდგეს, ასჯერ უფრო საშინელი, ვიდრე ახლანდელი დროებითი გაყრა, ვერ შემიგნია, როგორ მოვახერხო უამითოდ გაძლება და თუნდაც ზეცაშიაც უიმათოდ როგორ უნდა ვიყო ბედნიერიო. ბევრი ღამე გაუტარებია ტირილით შეწყნარებისა და მოწყალების მავედრებელს. თავის მწუხარებას ღმერთს სწირავს მსხვერპლად, უცდის და იმედოვნებს, ხოლო ახლა, როცა ახალი ზარი დაეცა თავს, როცა მოძალის ბრძანება საყვარელ არსებას, ავლუსმა რომ თვალთა სინათლე უწოდა, ხელიდან სტაცებს, მას მაინც სწამს: ნერონის უფლებაზე უმეტესად შემძლებელი უფლება არსებობს და ღვთიური მოწყალება კეისრის ბოროტებას დათრგუნავს.

ქალი უფრო მიიკრა, ხოლო ლიგიამ მის მუხლებზე დასდო თავი, პირისახე მისი პეპლუმის ნაკეცებში ჩამალა და დიდხანს იყო ჩუმად და როცა თავი მაღლა აიღო, უფრო დამშვიდებული სახე ჰქონდა.

– მე ვწუხვარ, რომ გშორდები, შენ, დედა, ვშორდები მამასა და ძმას, მაგრამ ვიცი, წინააღმდეგობა ვერ გვიშველის, მხოლოდ ყველას დაგვღუპავს. ფიცით გეუბნები – კეისრის სახლში შენს სიტყვებს არაოდეს არ დავივიწყებ.

ერთხელაც კიდევ მოეხვია პომპონიას, შემდეგ ეკში გავარდა, გამოემშვიდობა პატარა ავლუსს, მოხუც ბერძენს, მათ მასწავლებელს, მოახლეს, გამდელობა რომ გაუწია, და ყველა მონას.

ერთი მათგანი, ახმახი და მხარბეჭიანი ლიგიელი, რომელსაც პლავციუსის სახლში ურსუსს (დათვს) ეძახდნენ და რომელიც რომაელთა ბანაკში ლიგიასთან ერთად მოვიდა, ფეხებში ჩაუვარდა, მერე პომპონიას წინ დაემხო და თქვა:

– ჰოი დომინა! ნება მიბოძე, ჩემს ქალბატონს ვეახლო, ვემსახურო და კეისრის სახლში მფარველობა გავუწიო.

– შენ ჩვენი მსახური არ ხარ, ლიგიასი ხარ, – უპასუხა პომპონიე გრეცინამ. – განა კეისარი მიგიშვებს თავის სახლში? მერე კიდევ, როგორ შეძლებ ამის დაცვას?

– რა მოგახსენო, დომინა, მარტო ერთი ვიცი: ჩემს ხელებში რკინა ხესავით იმტვრევა.

ამ დროს ავლუსი შემოვიდა. ურსუსის სურვილი რომ გაიგო, არათუ ეწინააღმდეგა, ისიც კი განაცხადა, უფლება არა მაქვს ჩემთან დაგტოვოო. კეისრის ბრძანებით, ლიგიას ვითა მძევალს ვგზავნიო, მაშ მოვალეცა ვართ, თან ამალა გავაყოლოთ, რომელიც აგრეთვე კეისრის

მფარველობაში შევა ამიერიდან. პომპონიას ყურში უჩურჩულა, ამალად შეიძლება იმდენი მხევალი გავაყოლოთ, რამდენსაც საჭიროდ დაინახავსო, ცენტურიონს ნება არა აქვს, ისინი არ მიიღოს.

ლიგიასთვის ეს ცოტაოდენი ნუგეში იყო; პომპონიასაც გაუხარდა, რომ თვითონ შეეძლო იმისთვის მოახლენი შეერჩია. ურსუსის გარდა შეურჩია გამდელი, ორი კრიტელი ბერძნის ქალი, თმის დავარცხნის ოსტატები და ორიც განბანებელი გერმანელი ქალი. პომპონიას არჩევანი სულ ახალი სარწმუნოების მიმდევრებზე შეჩერდა. ურსუსი რამდენიმე წელიწადი იყო, რაც ამ სარწმუნოებას აღიარებდა, ამიტომ პომპონიას შეეეძლო მისი ერთგული სამსახურის იმედი ჰქონოდა; ამასთანავე ის აზრიც ანუგეშებდა, რომ ახალი მოძღვრების თესლი კეისრის სასახლეშიაც დაითესებოდა.

პომპონიამ რამდენიმე სიტყვა მისწერა ნერონის მიერ გააზატებულ აქტეას და ლიგიაზე მზრუნველობა სთხოვა. მართალია, პომპონიას არ ენახა ეს ქალი ახალი რჯულის მიმდევართა შეკრებაზე, მაგრამ გაგონილი ჰქონდა, რომ აქტეა მუდამ მზად იყო, მათთვის სამსახური გაეწია და პავლე ტარსელის ეპისტოლეებს თურმე ხარბად კითხულობდა. პომპონიას გაგონილი ჰქონდა, რომ გააზატებული ქალი სულ სევდიანი იყო, ნერონის სხვა ქალებს

არა ჰგვანდა და საზოგადოდ კეისრის სასახლის კეთილ სულს წარმოადგენდა.

აქტეასთვის წერილის გადაცემა გასტამ იკისრა, იმან სრულებით ბუნებრივად მიიჩნია, რომ მეფის ქალს თავისი ამალა უნდა ჰყოლოდა, იმ ამალის სასახლეში წაყვანა არ გაიძნელა, პირიქით, მისმა სიცოტავემ გააკვირვა, ბოლოს განშორების ჟამი დადგა. პომპონიასა და ლიგიას თვალები ხელახლა ცრემლით აევსოთ. ავლუსმა ლიგიას ისევ თავზე ხელი დაადო, და ერთ წამს შემდეგ ჯარისკაცებმა ლიგია კეისრის სახლში წაიყვანეს. ჰაერში გაისმოდა პატარა ავლუსის ყვირილი, იგი ცენტურიონს ემუქრებოდა.

მოხუცმა მხედართმთავარმა უბრძანა, მისთვის ტახტრევანი მოემზადებინათ, მანამ კი პომპონიასთან ერთად ეკის გვერდზე პინაკოთეკაში შეიკეტა და ცოლს უთხრა:

– ყური დამიგდე, პომპონია, მე კეისართან მივდივარ, თუმცა მგონია-ამაოდ. თუ ანეუს სენეკას სიტყვას მის თვალში რაიმე ფასი აქვს, სენეკასთანაც შევივლი. ახლა მეტი ძალა აქვს სოფონიუსს, ტიგელინუსს, პეტრონიუსს თუ ვატინიუსს, თვითონ კეისარს შესაძლოა, თავის სიცოცხლეში, ლიგიის ხალხზე არაფერი გაუგონია, და თუ ლიგია ვითა მძევალი გამოითხოვა ეს მხოლოდ იმიტომ, რომ აქ ვიღაცის ხელი ჩაერია. ადვილი გამოსაცნობია, ვინაა ეგ.

პომპონიამ მსწრაფლ შეხედა ავლუსს და უთხრა:

– პეტრონიუსი, არა?

– სწორედ ისა, აი რას ნიშნავს კარის ზღურბლს აქეთ შემოიყვანო ურიგო და უსირცხვილო ადამიანი. წყეულიმც იყოს ის წამი, როდესაც ვინიციუსი ჩვენს სახლში შემოვიდა! პეტრონიუსი ჩვენთან იმან მოიყვანა. ვაი ლიგიას! კეისარს თურმე მძევალი კი არა, ხასა სჭირდება.

სიბრაზის, უღონო გაშმაგებისა და ნაშვილევის სიბრალურისაგან მის ლაპარაკში ჩვეულებრივზე უფრო მეტად ისმოდა სტვენა, თავს ებრძოდა და მხოლოდ მისი მომუშტული ხელები ააშკარავებდნენ, როგორი მძიმე იყო მისთვის შინაგანი ბრძოლა.

– აქამდე ღმერთებს პატივს ვცემდი, – თქვა ავლუსმა, – მაგრამ ახლა კი ვფიქრობ, რომ მხოლოდ ერთი ღმერთი არსებობს – ბოროტი, შმაგი და საზიზღარი და ეს ერთი ღმერთი ნერონია.

– ავლუსს! - შეესიტყვა პომპონია, – ნერონი მხოლოდ მიწის ერთი მუჭაა ღმერთის წინაშე.

პლავციუსმა დიდი ნაბიჯებით გაბოლთა პინაკოთეკის მოზაიკზე. მთელი სიცოცხლე საქმიანობაში გაატარა, მაგრამ დიდი უბედურება არ შემთხვევია, ამიტომაც საამისოდ მომზადებული არ იყო. მოხუცი მხედარი ერთობ შესჩვეოდა ლიგიას, იმაზე მეტად, ვიდრე, ამას თვითონ მოიფიქრებდა და ახლა ვერ დაეჯერებინა, იგი დავკარგეო, ამას გარდა თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა. საძულველი კაცი ავიწროვებდა და იმავე დროს იცოდა, მიმძლავრებულის ძალასთან ვერას გახდებოდა.

ბოლოს რისხვა შეიკავა, აზრი მოიკრიბა და თქვა:

– მე მგონია, პეტრონიუსმა კეისრისათვის არ წაგვართვა ლიგია, პოპეას რისხვისა შეეშინდებოდა; მაშ გამოდის, რომ ლიგია ან თვითონ უნდა, ან ვინიციუსისათვის იღწვის. ამას დღესვე გავიგებ.

რამდენიმე წუთის შემდეგ მისმა ტახტრევანმა პალატინისაკენ აიღო გეზი, ხოლო პომპონია პატარა ავლუსთან წავიდა, რომელიც ისევ ტიროდა და კეისარს ემუქრებოდა.

თავი მეხუთე

ავლუსმა ნამდვილად გამოიცნო, რომ ნერონის ნახვას ვერ შეძლებდა. გამოუცხადეს, კეისარი მეკითარე ტერპნოსთან სიმღერაში ვარჯიშობს და საზოგადოდ არავის იღებს, თუ თვითონ არ მოუხმია. ეს იმას ნიშნავდა, ავლუსი კეისრის ნახვას სხვა დროსაც არა ცდილიყო.

მაგიერად სენეკამ, თუმცა ცხიებ-ცხელებითაც იყო ავად, მაინც მოხუცი მხედართმთავარი შესაფერისი პატივით მიიღო; მაგრამ, როდესაც საჩივარი მოუსმინა, მწარედ გაიცინა და უთხრა:

– მე შემიძლია მხოლოდ ერთი სამსახური გაგიწიო, კეთილშობილო პლავციუს: არასოდეს არ განვუცხადო კეისარს, რომ გულით თანავუგრძნობ შენ მწუხარებას და შენი შველა მინდა. კეისარმა რომ ერთი ბეწო ეჭვი აიღოს, იცოდე, შენ ლიგიას არასოდეს არ დაგიბრუნებს, თუნდაც საამისოდ არავითარი მოსაზრება არა ჰქონდეს – ჩემი ჯიბრით მოიქცევა ასე.

სენეკამ არც ტიგელინუსთან ურჩია წასვლა, არც ვატინიუსთან, არც ვიტელიუსთან. ფულის დახმარებით იქნება მათთან რისიმე გარიგება შეიძლებოდა; შეეცდებიან, პეტრონიუსს უსიამოვნება მიაყენონ, რაკი მას მუდამ

ორმოს უთხრიდნენ, მაგრამ კეისარს აუცილებლად იმასაც ეტყვიან, თუ რამდენად ძვირფასია ლიგია პლავციუსისათვის. ამ შემთხვევაში კი კეისარი იმას სულაც არ დაანებებს ქალს. და მოხუცი ბრძენი შხამიანი ირონიით ალაპარაკდა საკუთარ თავზე.

– შენ ხმას არ იღებდი, პლავციუს, რამდენიმე წელი ჩუმად იყავი, კეისარს კი არ უყვარს ვინც ჩუმად არის, ვინც მისი სილამაზის გამო აღტაცებას არ გამოთქვამს; არაფერს ამბობს მის გულკეთილობაზე, სიმღერაზე, ლექსების კითხვაზე, ლექსების წერასა და ეტლის მარჯვე ტარებაზე. როგორ გაბედე და ბრიტანიკუსის სიკვდილი არ გაგიხარდა, ქება არ შეასხი დედის მკვლელს, ოქტავიას დახრჩობა არ მიულოცე? შენ, ავლუს, შორსმჭცრეტელობა გაკლია, რაიც ჩვენ, სასახლესთან დაახლოებულთ, საკმარისად გვაქვს მომადლებული.

სასმისი მოხსნა, მუდამ რომ ქამარზე ატარებდა, იმპლუვიუმიდან წყალი ამოიღო, გახურებული ტუჩები გაიგრილა და განაგრძო:

– არა! ნერონი კეთილშობილური გულის პატრონია. უყვარხარ, რადგან რომს ემსახურებოდი და მისი სახელი კიდით კიდემდე განადიდე. მეც ვუყვარვარ, რადგან პატარა რომ იყო, მისი ამღზრდელი ვიყავი. ამიტომაც ვიცი, ეს წყალი მოწამლული არ არის და გულდამშვიდებით ვსვამ. ღვინო ჩემს სახლში ნაკლებ უშიშარი იქნებოდა და თუ წყურვილი გაწუხებს, გაბედე და ეს წყალი დალიე. წყალსადენს ეს ალბანის მთებიდან მოაქვს და ამის მოსაწამლავად რომის ყველა აუზების მოწამლვაა საჭირო. როგორც ხედავ, აქ კიდევ შეგიძლია თავი უშიშრად იგრძნო და დამშვიდებული სიბერის იმედი იქონიო. მართალია, ავადა ვარ, მაგრამ უფრო კი სული მტკივა, ვიდრე ხორცი.

მართალს ამბობდა. სენეკას ის სულიერი მხნეობა აკლდა, რითაც, მაგალითად, კორნუტუსი და თრასეა იყვნენ ცნობილი. მთელი მისი სიცოცხლე დანაშაულის წაქეზება იყო. თვითონაც გრძნობდა ამას; თვითონაც ესმოდა, რომ ძენონ კიტიონელის მიმდევარს სხვა გზით უნდა ევლო, და ეს უფრო მეტად სტანჯავდა, ვიდრე სიკვდილის შიში.

სტუმარმა ეს მწარე საუბარი შეაწყვეტინა.

– კეთილშობილო ანეუს, – უთხრა მას, – ვიცი, რა მადლობაც გადაგიხადა კეისარმა ყმაწვილობის ჟამს მასზე გაწეული მზურნველობისათვის. მაგრამ ჩემი შვილობილის მოტაცების მიზეზი პეტრონიუსია. მითხარ, როგორ

ვიმოქმედო მასზე, ვის გავლენას ემორჩილება და შენც დამახმარე პეტრონიუსის დასამარცხებლად შენი მჭერმეტყველება, რასაც კი ჩემდამი ძველთაძველი კეთილი განწყობილება ჩაგაგონებს.

– პეტრონიუსი და მე, – მიუგო სენეკამ, – ორი ერთმანეთის მოწინააღმდეგე ბანაკის ადამიანები ვართ. პეტრონიუსის მოტეხისათვის არაფერი საშუალება არ ვიცი; იგი არავითარ გავლენას არ ემორჩილება. ახლლა კეისარს საზიზღარი გარყვნილი ადამიანები ახვევია გარს. შეიძლება პეტრონიუსი იმაზე უკეთესი იყოს, ახლა რომ დაუწყო მტკიცება, შენ ბოროტება ჩაიდინეო, სწორედ წყლის ნაყვა იქნება. პეტრონიუსმა დიდი ხანია კეთილისა და ბოროტის გარჩევის ნიჭი დაკარგა.

თუ დაუმტკიცებ, შენი საქციელი მშვენიერებას მოკლებულიაო, ამას დაირცხვენს, როცა შევხვდები, ვეტყვი: შენი საქციელი გააზატებული კაცის საქციელია მეთქი. თუ ამან არ გიშველა, ვერაფერიც ვერ გიშველის.

– მაგისთვისაც მადლობელი ვარ, – უთხრა ავლუსმა.

– ახლა მონებს ვინიციუსთან წაყვანა უბრძანა. ვინიციუსი შინაურ ლანისტთა ფარიკაობას ვარჯიშობდა. ავლუსმა რომ ნახა, რა დინჯად ფარიკაობდა ყმაწვილი კაცი, აინთო და ლანისტი გავიდა თუ არა, ყვედრებისა და შეუაცხყოფის სიტყვებით დააცხრა თავს მასპინძელს. როცა ვინიციუსმა ლიგიას მოტაცება გაიგო, ისე საშინლად გაფითრდა, რომ ავლუსსაც კი საეჭვოდ აღარ დარჩენია მისი უდანაშაულობა. ყმაწვილ კაცს შუბლი ოფლით მოენამა, გულისკენ გაქანებული სისხლი სახეზე მოაწვა, თვალები აენთო და სტუმარს არეულ-დარეული სეტყვასავით შეკითხვები დააყარა. ხან ეჭვიანობა შემოადგებოდა და ხანაც სიშმაგე. იმას ეგონა, რაკი ლიგია კეისრის კარის ზღურბლს გადააბიჯებდა, სამუდამოდ დაეკარგებოდა. ავლუსმა რომ პეტრონიუსის სახელი ახსენა, ახალგაზრდა მხედარს გონებაში ეჭვმა გაურბინა: იქნებ, ბიძამ დამცინაო ან ლიგიას ფასად კეისრისაგან ახალ წყალობას მოელისო, ანაც თვითონ სწადია დაიტოვოსო იგი. ასე ეგონა, ყველა მოიხიბლებოდა, ვინც კი ლიგიას ნახავდა.

მამაპაპურმა სიფიცხემ გაიტაცა და განსჯის უნარი მთლად დაუკარგა.

– ავლუს პლავციუს, – უთხრა მან აკანკალებული ხმით, – შინ წადი და მე დამელოდე. იცოდე, პეტრონიუსი მამაჩემიც რომ იყოს მაშინაც არ შევარჩენდი ლიგიას შეურაცხყოფას. შინ წადი დამელოდე – ლიგია არც პეტრონიუსს ერგება და არც კეისარს.

ზეზე წამოხტა, ერთიც მიაძახა ავლუსს – შინ წადიო, გიჟივით გავარდა ატრიუმიდან და ბიძამისთან გაექანა. გზაში ვინც კი შეხვდა, სულ მუშტის კვრით ჩამოიშორა.

ავლუსი შინ ცოტაოდენ იმედმიცემული დაბრუნდა. იგი ფიქრობდა, თუ პეტრონიუსმა კეისარი დაითანხმა ლიგიას მოტაცებაზე, რათა იგი ვინიციუსისათვის მიეცა, მაშინ ვინიციუსი ლიგიას უმალვე ავლუსთან დააბრუნებდა. ცოტა არ იყოს, ის აზრიც ანუგეშებდა, რომ ლიგია თუნდაც ვერ დაეხსნათ, შურისძიება არ ასცდებოდა ბოროტს და ქალს სირცხვილისაგან სიკვდილი იხსნიდა. სჯეროდა, რაც ვინიციუსმა თქვა, აღასრულებდა კიდეც. ნახა, როგორ გაანჩხლდა ყმაწვილი კაცი და იცოდა კიდეც, რომ სიანჩხლე გვაროობით მოსდგამდა. თვითონ ავლუსს, თუმცა ლიგია ღვიძლი შვილივით უყვარდა, მაინც კეისრის ხელში ჩაგდებას მის მოკვლას არჩევდა და მხოლოდ იმიტომ არ ჩაიდინა ეს, რომ პატარა ავლუსის – გვარის უკანასკნელი ჩამომავალის – შიში ჰქონდა, კეისარმა არ მომიკლასო. მხედარი გახლდათ, სტოიკოსების ამბავი მხოლოდ გაგონილი ჰქონდა, მაგრამ ხასიათით მაინც იმათ ჰგავდა, მისი აზრით, სიკვდილი შერცხვენაზე ბევრად უკეთესი იყო.

შინ რომ დაბრუნდა, პომპონია დაამშვიდდა, თავისი იმედი გაუზიარა, და ცოლთან ერთად ვინიციუსის მოლოდინი დაიჭირა. ატრიუმში რომ რომელიმე მონის ფეხის ხმა გაისმოდა, ავლუსს ეჩვენებოდა, ვინიციუსს ლიგია მოჰყავსო და გულის სიღრმეში მზად იყო, ორივე დაელოცა. მაგრამ დრო მიდიოდა და ამბავი კი არსაიდან ჩანდა. მხოლოდ საღამოზედ მოისმა კარის ჩაქუჩის ხმა.

მონა შემოვიდა და ავლუსს წერილი მიართვა. მოხუცმა მხედართმთავარმა, მიუხედავად თავისი თავდაჭერილობისა, წერილი ისეთი აჩქარებით ჩაიკითხა, თითქოს საქმე მთელი მისი ოჯახის ბედს შეეხებოდა.

უცებ სახე დაუმწუხრდა, თითქოს ცაში მცურავი ღრუბლის ჩრდილი მიეფინაო.

– წაიკითხე, – უთხრა მან პომპონიას.

პომპონიამ წერილი ჩამოართვა და კითხვა დაიწყო:

„მარკუს ვინიციუსი ავლუს პლავციუსს მიესალმება. ყოველივე კეისრის ნებით მომხდარა და შენც ქედის მოხრა გმართებს, როგორც მე და პეტრონიუსმა მოვიხარეთ ქედი.''

ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა.

თავი მეექვსე

პეტრონიუსი შინ იყო. მეკარემ ატრიუმში ქარიშხალივით შემოჭრილ ვინიციუსს შეყოვნება ვერ გაუბედა. როცა გაიგო, სახლის პატრონი წიგნთსაცავშიაო, იქით გაექანა. პეტრონიუსი ამ დროს წერილს წერდა. ხელიდან ლერწამი გამოგლიჯა, გატეხა და იატაკზე გადააგდო; მერე მხარში თითები მაგრად ჩაუჭირა, თვალი გაუსწორა, მიუახლოვდა და ხრინწიანი ხმით ჰკითხა:

– რა უყავ? სად არის?

მაგრამ უცებ რაღაც არაჩვეულებრივი მოხდა. ახოვანმა და შესახედავად ვნებიერმა პეტრონიუსმა დისწულის ორივე ხელი ცალ ხელში მოიქცია, რკინის მანგანასავით მაგრად მოუჭირა და სტუმარს უთხრა.

– მე მხოლოდ დილაობით ვარ უღონო, საღამოობით კი ისევ მიბრუნდება ხოლმე ჩემი ღონე. აბა, სცადე, თავი დააღწიო! როგორც ჩანს, შენთვის ტანვარჯიშობა ფეიქარს უსწავლებია, ხოლო ზრდილობა – მჭედელს.

სახეზე რისხვა არ აჩნდა, მხოლოდ თვალებში შემართებისა და სიმხნევის მკრთალმა ნათელმა

გაუელვა. პატარა ხანს უკან ხელი გაუშვა ვინიციუსს, ერთსა და იმავე დროს რომ დამცირებასაც გრძნობდა, სირცხვილსაც და სიბრაზესაც.

– შენ ფოლადის ხელი გაქვს, პეტრონიუს, – უთხრა მან, – მაგრამ ვფიცავ ქვესკნელის ყველა ღმერთს, თუ მიღალატე, ყელში დანას გაგიყრი, თუნდაც ეს თვითონ კეისრის სავანეშიაც მომიხდეს.

– დამშვიდებით მოვილაპარაკოთ, – მიუგო პეტრონიუსმა, – როგორც ხედავ, ფოლადი რკინაზე მაგარია, და თუმცა შენი ერთი ხელიდან ორი ხელი გამოიჭრება, მაინც ჩემთვის საშიშარი არა ხარ. მაგრამ შენი უზრდელობა კი მაწუხებს, და ხალხის უმადურობას რომ კიდევ შეეძლოს ჩემი გაკვირვება, მაშინ შენს უმადურობასაც გავიკვირვებდი.

– ლიგია სად არის?

– ლუპანარშია, ესეიგი კეისრის სახლში.

– პეტრონიუს!

– დამშვიდდი და დაჯექ. მე კეისარს ორი რამ ვთხოვე: უწინარეს ყოვლისა, ლიგია ავლუსის სახლიდან წამოეყვანა და მერე იგი შენთვის მოეცა. მაგ შენი ტოგის ნაოჭებში სადმე დანა არა გაქვს? იქნება გაიმეტო ჩემთვის?

მაგრამ გირჩევ, ორიოდე დღე მოიცადო, თორემ დილეგში ჩაგსვამენ და ლიგიაც უშენოდ მოიწყენს.

სიჩუმე ჩამოვარდა. ვინიციუსმა გაოცებული თვალით შეხედა პეტრონიუსს და შემდეგ უთხრა:

– მაპატიე. მიყვარს და სიყვარულმა გონება დამიბნელა.

– აბა, მომისმინე, მარკუს. გუშინწინ ვუთხარი კეისარს, ავლუსთან ერთი გაწლობილი გოგო იზრდება და ჩემმა დისწულმა ვინიციუსმა ისე შეიყვარა ის გოგო, რომ ლამის მისი სახლი ოხვრისაგან ორთქლის აბანოდ გადაიქცეს-მეთქი. შენ და მე, – კეისარს ვუთხარი, – გვესმის ნამდვილი სილამაზის ყადრი და ამიტომაც იმ გოგოში ათასს სესტერციისაც არ გავიმეტებდით, მაგრამ ის ბიჭი მუდამ ხბოსავით სულელი იყო და ახლა კი მთლად გადაირია-მეთქი.

– პეტრონიუს!

– თუ არ გესმის, რომ ეს იმიტომ ვუთხარი, ლიგიასთვის საშიშროება მომერიდებინა, მაშინ მზად

ვარ, ვიფიქრო, მართალი მითქვამს-მეთქი. მე ჩავაგონე კეისარს, მშვენიერების შენისთანა მცოდნე იმ გოგოს ვერაფერ სილამაზეს ვერ უპოვისმეთქი და ნერონიც, რომელიც აქამდისაც ვერ ბედავს სხვანაირად უცქიროს საგანს, თუ არა ჩემი თვალით, ლიგიაში სილამაზეს ვერ დაინახავს და სათავისოდ არ მოისურვებს. საჭირო იყო, ის მაიმუნი უსაფრთხო გამეხადა და ჯაჭვით დამება. ახლა ლიგიას ის კი არა, პოპეა დააფასებს და, რა თქმა უნდა, ეცდება, რაც კი შეიძლება ჩქარა მოაცილოს სასახლეს. მე კი ჟღალწვერას დაუდევრად ვუთხარი:ლიგია მოიყვანე და ვინიციუსს მიეცი-მეთქი.ამის უფლება გაქვს, რადგან იგი მძევალია, და თუ ამას იზამ, ავლუსს უსიამოვნებას მიაყენებ-მეთქი. დამთანხმდა. მიზეზი არა ჰქონდა, არ დამთანხმებულიყო, მით უფრო, რომ შეძლება მივეცი, რიგიანი ხალხი შეეწუხებინა. შენ მთავრობის მხრივ მძევლის მზრუნველად დაგნიშნავენ; ხელში ჩაგიგდებენ ლიგიელების საუნჯეს, ხოლო შენ, ვითა ლიგიელების მამაცი მოკავშირე, თანაც კეისრის ერთგული მსახური, არა თუ არაფერს დააკლებ ამ საუნჯეს, არამედ მის გამრავლებასაც ეცდები.კეისარი, წესისა და რიგის გამო, რამდენიმე დღეს სასახლეში შეინახავს მას, შემდეგ შენს ინსულაში გამოგიგზავნის. ბედნიერი ხარ სწორედ!..

– მართალს ამბობ? კეისრისას არავითარი საფრთხე არ მოელის?

– იქ რომ დიდხანს მოუხდეს დარჩენა, მაშინ პოპეა ლოკუსტას მოელა-პარაკება ლიგიას თაობაზე, მაგამ რამდენიმე დღე შიში არაფრისა აქვს, კეისრის სახლში ათიათასი ხალხი ცხოვრობს,

შესაძლოა, ნერონმა სულაც თვალი ვერ მოჰკრას, მით უფრო, რომ მთელი საქმე მე მომანდო, – იქამდე, რომ რამდენიმე საათის წინ ცენტურიონი მეახლა და მაუწყა, ქალი კეისრის სახლში მივიყვანე და აქტეას ჩავაბარეო. აქტეა კეთილი ადამიანია, ამიტომაც ვუბრძანე, ლიგია იმისთვის ჩაებარებინათ, პომპონია გრეცინა აშკარად იმავე შეხედულებისაა, რადგან აქტეას თვითონ იმანაც მოსწერა წერილი. ხვალ ნერონს ნადიმი აქვს, მე შენთვის ადგილი ლიგიას გვერდით დავიგულვე.

– მაპატიე, გაიუს, ჩემი სიფიცხე, – უთხრა ვინიციუსმა, – მე მეგონა, იგი შენთვის ან ნერონისთვის წამოიყვანე.

– შენი გაცხარება შემიძლია გაპატიო, მაგრამ შენი უხეში საქციელისა და მორის მოთამაშეთა მსგავსი ღრიალის დავიწყება კი მეძნელება. ეგეები არ მიყვარს, მარკუს, და მომავალში ფრთხილად იყავ, იცოდე, კეისრისათვის ქალებს ტიგელიუსი შოულობს, ისიც იცოდე, ლიგიას წამოყვანა, რომ ჩემთვის მდომებოდა, მაშინ თვალს გაგისწორებდი და პირდაპირ გეტყოდი: „ ვინიციუს ლიგიას გართმევ და იქამდე მეყოლება ვიდრე არ მომწყინდება მეთქი''

და ვინიციუსს თავისი კაკალა თვალებით და დიდგულა გამომეტყველებით შეხედა. ყმაწვილი კაცი მთლად აირია.

– ჩემს თავს დამნაშავედ ვგრძნობ, – უთხრა მან. – შენ კეთილი ხარ და კეთილშობილი, მეც სულით და გულით მადლობელი ვარ შენი. ნება მომეც, ერთიც გკითხო: რატომ არ უბრძანე, ლიგია პირდაპირ ჩემთან მოეყვანათ.

– მიტომ, რომ კეისარს სურს წესი და რიგი დაიცვას. რომში დაიწყებენ ლაპარაკს, რომ ლიგია ვითა მძევალი წამოვიყვანეთ და ვიდრე ეს ყაყანი არ მიწყდება, იგი კეისრის სასახლეში დარჩება. შემდეგ ნერონი უჩუმრად იმას შენ გამოგიგზავნის და საქმე ამით გათავდება. ჟღალწვერა მხდალი ძაღლია. იმან იცის, რომ მისი უფლება შეუვალია, მაგრამ მაინც ცდილობს, ყველა თავის საქციელს რიგიანი სახე მისცეს. ახლა იმდენად თუ დაწყნარდი, რომ დინჯი ფილოსოფიური ბაასი გავწიოთ? თვითონ მეც არაერთხელ მომსვლია ფიქრად თუ რისგან არის, რომ ყველა დამნაშავე, თუნდაც ისეთი დიდი, როგორიც თვითონ კეისარია და ისევე შეუვალი, მუდამ ისწრაფვის

კანონს, სიმართლესა და კეთილშობილებას შეაფაროს თავი? რად არის საჭირო ეს ზედმეტი შეწუხება? მე მგონია, ძმისა, დედისა და ცოლის მოკვლა უფრო აზიის რომელიმე პატარა მფლობელის საკადრისია, ვიდრე რომის კეისრისა, მაგრამ მე რომ ასეთი რამე შემმთხვეოდა, სენატს თავის გასამართლებელ წერილებს როდი მივწერდი. ნერონი კი სწერს, ნერონი გამართლებას ეძებს, მიტომ რომ ნერონი მხდალია. მაგრამ, აი, ტიბერიუსი მხდალი არ იყო, მაინც სულ თავის მართლებაში იყო. ეს რაღად არის ესე? რა უცნაურია, ეს უნებლიე ხარკია ბიწიერებისაგან სათნოებისადმი შეწირული? იცი, მე რა მგონია? ამას იმიტომ სჩადიან, ბიწიერება საზიზღარია,

სათნოება კი მშვენიერი. Ergo, ნამდვილი ესთეტი სათნო ადამიანიც არის ამავე დროს. Ergo, მე სათნო კაცი ვარ, დღეს მოვალე ვარ საკურთხეველზე ღვინო დავაქციო პროტაგორის, პროდიკორსისა და გორგიას აჩრდილთა პატივსაცემად. გამოდის, რომ სოფისტებიც შეიძლება რამეში გამოგვადგნენ. მომისმინე, რა გითხრა. მე ავლუსს ლიგია წავართვი მისთვის რომ იგი შენ მოგცე. კეთილი. ლისიპოსი თქვენგან მშვენიერ ქანდაკს ჩამოქნიდა, ორივენი მშვენიერები ხართ, მაშ ჩემი საქციელიც მშვენიერია, ამიტომაც ურიგო არ შეიძლება იყოს. დახე, მარკუს, შენს წინ გაიუს პეტრონიუსის სახით თვით სათნოება ზის! არისტიდე რომ ცოცხალი იყოს, მოვალე იქნებოდა, ჩემთან მისულიყო და სათნოებაზე მოკლე მსჯელობის ჯილდოდ ჩემთვის ასი მინი ეჩუქებინა.

მაგრამ ვინიციუსს უფრო სინამდვილე აინტერესებდა, ვიდრე სათნოებაზე მსჯელობა და ამიტომ პეტრონიუსს უთხრა:

– ხვალ ლიგიას ვნახავ, ხოლო შემდეგ ყოველდღე ჩემს სახლში ვიხილავ და ასე გაგრძელდება სიკვდილამდე.

– შენ ლიგიას დაისაკუთრებ, მე კი ავლუსთან ანგარიშის გასწორება მომიხდება. სამაგიეროს გადასახდელად ქვესკნელის ყველა ღმერთის რისხვას მოუწოდებს ჩემზე... იმ პირუტყვს რიგიანი

დეკლამაციის გაკვეთილი მაინც აეღო... არა, მომდგება და ისეთ ლანძღვას დამიწყებს, როგორც ერთმა უწინდელმა ჩემმა კარისკაცმა გამიბედა კლიენტების წინ, რისთვისაც იგი სოფელში გადავასახლე.

– ავლუსი ჩემთან იყო. დავპირდი, ლიგიას ამბავს შეგატყობინებ-მეთქი.

– მისწერე, რომ ღვთაებრივი კეისრის ნება უზენაესი კანონია და რომ შენს პირველ ვაჟს ავლუსს დაარქმევ. საჭიროა ბერიკაციც ვანუგეშოთ.

მზად ვარ, ჟღალწვერას ვთხოვო, ხვალინდელ ნადიმზე პლავციუსიც მოიწ-ვიოს. დაე შენი ხილვით დატკბეს, ტრიკლანიუმში რომ ლიგიას გვერდით იქნები.

– მაგას ნუ იზამ, – უთხრა ვინიციუსმა, – მე ისინი მაინც მებრალებიან, ნამეტნავად – პომპონია.

ვინიციუსი დაჯდა წერილის დასაწერად, რომელმაც მოხუც მხედარ-თმთავარს უკანასკნელი იმედი დაუკარგა.

თავი მეშვიდე

ნერონის უწინდელი საყვარლის აქტეას წინაშე რომის უწარჩინებულესი პირები ოდესმე თავს იხრიდნენ, მაგრამ იმას მაშინაც არა სურდა ზოგის საქ-მეებში გარეულიყო და თუ ხანდახან ახალგაზრდა იმპერატორზე თავისი გავლენით სარგებლობდა, მაშინაც მხოლოდ იმისთვის, რომ ვისიმე პატიე-ბა გამოეთხოვა. წყნარმა და თავმდაბალმა ბევრის მადლობა დაიმსახურა და ამასთანავე არც ერთი მტერი არა ჰყოლია. თვითონ ოქტავიამაც ვერ მოახერხა მისი შეძულება. ყველამ იცოდა, რომ აქტეას ჯერაც ავადმყოფუ-რი სიყვარული ჰქონდა ნერონისა, ისეთი სიყვარული, რომელიც იმედით კი აღარ სულდგმულობს, არამედ მხოლოდ იმ დროის გახსენებით, როდესაც ნერონი არათუ მხოლოდ ახალგაზრდა და მოსიყვარულე, არამედ უკეთესი ადამიანიც იყო. ყველამ იცოდა, რომ იგი გულითა და გონებით ამ მოგონე-ბებს მისცემოდა, აწმყოსაგან კი აღარაფერს მოელოდა; რაკი იმისი შიში აღარავის ჰქონდა, რომ კეისარი მას როდისმე დაუბრუნდებოდა, ისე უც-ქერდნენ, ვით მხოლოდ იარაღაყრილ არსებას, ამიტომაც არ სდევნიდნენ. პოპეა თავის მოახლედ სთვლიდა მას და ფიქრობდა, იმდენად უწყინარია, არცა ღირს ძალას მივმართო და მაგის სასახლიდან გაგდება მოვითხოვოო.

ნერონს იგი ოდესმე უყვარდა, თან რისხვით კი არ გაშორდა მას, არა-მედ სრულიად მეგობრულად, მას ზოგიერთი პატივი შეარჩინეს. კეისარმა იგი გააზატა, სასახლეში მისცა ბინა,

განსაკუთრებული კუბიკულუმი, და მსახურიც მიუჩინა. რადგან პალასი და ნარცისი, კლავდიუსის აზატები, არა მარტო იმპერატორის ნადიმზე ცხადდებოდნენ ხოლმე, არამედ ვითა ყოვლის შემძლე მოხელეებს დიდი ადგილებიც ეჭირათ, ამიტომ აქტეასაც ზოგჯერ კეისრის სუფრაზე მიიწვევ-დნენ ხოლმე. იქნებ ამას იმიტომაც სჩადიოდნენ, რომ მისი მშვენიერი სახე-

ტანი ნადიმის მშვენება გახლდათ, ესეც არის, კეისარი თავისი ამხანაგების არჩევისას დიდი ხანია წესსა და რიგს აღარ მიმართავდა, მის სუფრაზე ვინ არ მოდიოდა, ყველა წოდებისა და მდგომარეობის ხალხი იყრიდა თავს. სენატორებიც იყვნენ ხოლმე, მაგრამ განსაკუთრებით იმისთანები, რომელნიც მასხარაობას არ თაკილობდნენ. მოხუცი თუ ახალგაზრდა პატრიციებიც იყვნენ ხოლმე, სიმდიდრის, ბრწყინვალებისა და დატკბობის მოსურნენი. დიდგვაროვანი ქალებიც მოდიოდნენ, რომლებსაც სახელი ხელს არ უშლიდა საღამოობით თავი ქერა თმის პარიკებით მოერთოთ და გართობა ბნელ ქუჩებში ეძებნათ. წარჩინებულთა გვერდით ქურუმებიც მოკალათებულიყვნენ და სავსე თასით ხელში თავიანთ ღმერთებს თვითონვე დასცინოდნენ. მათ გვერდით მთელი ბრბო იყო თავშეყრილი – მომღერლები, მიმნი, მესაკრავენი, მოცეკვავენი, პოეტები, ლექსებს რომ ამბობდნენ და თან სესტერციებზე ფიქრობდნენ, კეისრის ლექსების ქების ჯილდოდ რომ შესაძლო იყო, მათ ჯიბეში მოქცეულიყო; მშიერი ფილოსოფოსებიც, ყველა შემოტანილ ახალ საჭმელს რომ ხარბ თვალს აყოლებდნენ; იქვე იყვნენ სახელგანთქმული ცხენოსნებიც, თვალთმაქცებიც, ამბების მომთხრობნიც და ნაირ-ნაირი სახელგანთქმული ხალხი, ვისაც ხმიანი სახელი ერთი დღით მოდისა თუ ადამიანური სისულელის გამო მოეპოვებინა. ისეთებიც იყვნენ, მონათა

ჩამომავლობის ნიშნად რომ ყურები გახვრეტილი ჰქონდათ და ამის დასამალავად გრძელ თმას ატარებდნენ.

უფრო წარჩინებულნი სუფრასთან იყვნენ მიწოლილები, ხოლო დანარჩენები, უფრო მდაბიონი, ნადიმის დროს ართობდნენ მათ და თან ელოდნენ, მსახურნი ნებას როდის დაგვრთავენო ნუგბარ საჭმელსა და სასმელს დავაცხრეთო. უკანასკნელი ხარისხის სტუმრები მოჰყავდა ტიგელინუსს, ვატინიუსსა და ვიტელიუსს; მათივე ვალი იყო, ეს ბრბო კეისრის პალატების შესაფერი ტანისამოსით შეემოსათ. კეისარს ასეთი საზოგადოება უყვარდა, რადგან მათთან თავს სრულებით თავისუფლად გრძნობდა. სასახლის მედიდურობა ყველაფერს ავარაყებდა და თავის პეწს ყველასა ჰფენდა. დიდი თუ პატარა, დიდი გვარეულობის ჩამომავალნი და ქალაქის ქუჩების მდაბიონი, დიდი მსახიობები და ტალანტის საცოდავი ნამუსრევნი სასახლეში მიეჩქარებოდნენ, რათა თვალი ზოგჯერ ადამიანის გონებისათვის მიუწვდო-

მელი ბრწყინვალეებით გაეძღოთ, იმ სიმდიდრისა და დიდების წყაროს მიახლოებოდნენ, რომლის მოპრიანებას მათი დამცირებაც შეეძლო, მაგრამ მასთანვე უზომო ამაღლებაც.

დღევანდელ დღეს ამგვარ ნადიმში ლიგიასაც უნდა მიეღო მონაწილეობა. შიში, დარცხვენა და შეკრთომა, რაიც მისი მდგომარეობის ცვლილების შემდეგ ადვილი გასაგები იყო, წინააღმდეგობის სურვილს ებრძოდნენ. მას ხალხის ეშინოდა, სასახლისა ეშინოდა, აქაური

ალიაქოთი მსჯელობის უნარს უკარგავდა, ამ უზნეო ნადიმებისა ეშინოდა, რომელთა თაობაზე ავლუსისაგან, პომპონია გრეცინასა და მათი მეგობრებისაგან ჰქონდა გაგონილი. იმ დროს ბოროტისა და გარყვნილების გაგება ბავშვებმაც კი იცოდნენ. ლიგიამ იცოდა, რომ ამ სასახლეში მას დაღუპვა ელოდა, აკი გამოთხოვების დროს პომპონიამ გააფრთხილა კიდეც. მაგრამ ლიგია ახალგაზრდა იყო, ჯერ მთლად სპეტაკი და რაკი დედობილისაგან ჩაგონებულ უზენაეს რჯულს აღიარებდა, ბუნებაში ფიცი დასდო, თავი დაეცვა. ფიცი დასდო თავის წინაშე, დედის წინაშე და იმ ღვთაებრივი მოძღვრის წინაშე, რომელიც არათუ მხოლოდ სწამდა, არამედ ბავშური გულით უყვარდა მისი სწავლის მშვიდი სიცხადის გამო, მისი ვნებისა და სიკვდილის, მისი დიდებული აღდგობის გამო...

დარწმუნებული იყო, რომ ახლა მისი საქციელის პასუხისმგებელნი აღარც ავლუსია, აღარც პომპონია გრეცინა, ამიტომაც გაიფიქრა, ხომ არ ემჯობინებოდა წინააღმდეგობა გამეწია და ნადიმზე არ წავსულიყავიო. ერთ მხრივ, მის გულში შიში და მწუხარება ბობოქრობდა, მეორე მხრივ უცნაური სურვილი ებადებოდა – გამბედაობა, სიმტკიცე გამოეჩინა და თვითონ ტანჯვა და სიკვდილი აბუჩად აეგდო. განა თვითონ ღვთაებრივმა მოძღვარმა არ გვიბრძანა ესე მოვიქცეთ?... ამისი მაგალითი თვითონ არ გვიჩვენა?... პომპონიამაც აკი უთხრა, რომ ახალი რჯულის ერთგულ მიმდევართ სულითა და გულით სწყურიათ ასეთი გამოცდა ხვდეთ წილად და უფალს ამას ეევედრებიან კიდეც. ლიგიას ავლუსის სახლშივე ყოფნის ჟამს ხანდახან საამისო სურვილი

ეწვეოდა. იგი თავს წამებულად წარმოიდგენდა ხოლმე, ხელ-ფეხ დაწყლულებულ, თოვლივით თეთრ, მშვენიერ არაამქვეყნიური სილამაზის მქონე არსებად... ისეთსავე თეთრ ანგელოზებს ზეცად მიყავდათ ხოლმე

იგი. ეს სურათი ხიბლავდა მას. ამაში ბავშვური ბევრი რამე იყო, მაგრამ პატივმოყვარეობის ნაწილიც ერია, რასაც პომპონია ყოველთვის უძრახავდა. ახლა კი, როდესაც კეისრისადმი შეუპოვრობას, შესაძლო იყო, საშინელი სასჯელი მოჰყოლოდა, ოცნებით წარმოდგენილი ტანჯა სინამდვილედ გადაქცეულიყო, საოცარ ლანდებს შიშს შერეული ცნობისმოყვარეობა მიემატა – ქალი ხედავდა, როგორ დასჯიდნენ და რანაირ ტანჯვას მოიგონებდნენ მისთვის.

აქტეამ რომ ლიგიას ჭოჭმანი გაიგო, ისეთი გაოცებით შეხედა, თითქოს ქალი ცხადლივ ბოდავდა. კეისრის ურჩობაო? თავდაპირველადვე მისი რისხვის თავზე დატეხა! ბავშვი უნდა იყოს, არ ესმოდეს, რას ამბობ და ამისთანა რამ გაბედოს. ლიგია, როგორც მისივე სიტყვებიდან ჩანს, მძევალი სულაც არ არის, იგი მხოლოდ თავისი ერისგან დავიწყებული ქალია. არავითარი კანონი არა მფარველობას მას, და თუნდაც მფარველობდეს კიდეც, კეისარი საკმაოდ ძალოვანია, რომ რისხვის დროს კანონი არაფრად ჩააგდოს. კეისარს ნებავდა მისი მოყვანა და აქ რაც ფეხი შემოდგა, ნერონის განკარგულებაში იმყოფება, ამიერიდან მისი უფლების ქვეშეა და ამ უფლებას ქვეყანაზე ვერაფერი დაძლევს.

– დიახ, – განაგრძო მან, – მეც წამიკითხავს პავლეს ეპისტოლენი, მეც ვიცი, რომ ზეცად ღმერთია და ძე ღვთისა, მკვდრეთით რომ აღდგა, დედამიწაზე კი მხოლოდ კეისარია მეუფე. ეს გახსოვდეს, ლიგია, ისიც ვიცი, რომ თქვენი რჯული ნებას არ გაძლევს ის გახდე, რაც მე ვიყავ, რომ თქვენ სტოიკოსებისა არ იყოს რომელთა ამბავი ეპიკტეტოსმა მიამბო, თუ სიკვდილ-სიცოცხლის არჩევანი დაგიდგათ, შეიძლება სიკვდილი აირჩიოთ, მაგრამ განა წინასწარ გამოიცნობთ-სიკვდილი მოგელით თუ სირცხვილი? სეიანუსის ქალის ამბავი არ გაგიგონიათ? ჯერ პატარა გოგო იყო და მას, ტიბერიუსის ბრძანებით აქაო და კანონი არ დავარღვიოთო, რომელიც ქალწულების სიკვდილით დასჯას კრძალავს, ჯერ ნამუსი ახადეს და მერე სიკვდილით დასაჯეს. ლიგია, კეისარს ნუ გაანრისხებ. როცა გადამწყვეტი ჟამი დადგება, როდესაც იძულებული იქნები, სიცოცხლესა და სიკვდილს შორის არჩევანი მოახდინო, მაშინ ისე მოიქეცი, როგორც თქვენი რჯული გიბრძანებს; მაგრამ შენი ნებით დაღუპვას ნუ ესწრაფვი, ქვეყნიურ ულმობელ ღმერთს ნუ გაარისხებ.

აქტეა დიდი თანაგრძნობითა და გატაცებით ელაპარაკებოდა. რაკი ბეცი იყო, თავისი მშვიდი სახე ლიგიას სახეს მიუახლოვა, თითქოს უნდოდა გაიგოს, ჩემმა სიტყვება რა შთაბეჭდილება მოახდინესო.

ლიგია ბავშური გულუბრყვილობით კისერზე მოეხვია და უთხრა:

– რა კეთილი ხარ, აქტეა!

ლიგიას ქებითა და ნდობით ნასიამოვნებმა აქტეამ იგი გულზე მიიკრა და მიუგო:

– ჩემი ბედნიერება წავიდა, სიხარულიც გამიქრა, მაგრამ მაინც ბოროტი არა ვარ. ეს თქვა და ოთახში აჩქარებით სიარული დაიწყო, და თითქოს თავის თავს ელაპარაკებაო, განაგრძო:

– არა, არც ის იყო ბოროტი, მაშინ ეგონა, კათილი ვარო და უნდოდა კიდეც კეთილი ყოფილიყო. ეს მე ყველაზე კარგად ვიცი. ყველა ეს გვიან მოხდა... როდესაც სიყვარული დაუტევა... როგორიც ახლაა, სხვებმა გახადეს ასეთი... სხვებმა და პოპეამაც.

ქალს წამწამზე ცრემლები აუბრწყინდა. ლიგიამ დიდი ხნით მიაპყრო ცისფერი თვალები და ბოლოს ჰკითხა:

– აქტეა, გებრალება იგი?

– მებრალება, -ყრუდ მიგო ბერძნის ქალმა და ისევ სახე დანაღვლიანებულმა ოთახში სიარული დაიწყო.

ლიგია გაუბედავად შეეკითხა:

– აქტეა, განა ისევ გიყვარს?

– მიყვარს...

და ერთ წამს უკან დაუმატა:

– ჩემ გარდა არავის უყვარს.

სიჩუმე ჩამოვარდა. აქტეა ცდილობდა, წარსულის მოგონებები ჩაეხშო და დამშვიდებულიყო. როცა მისმა სახემ ჩვეულებრივი წყნარი ნაღვლიანი გამომეტყველება მიიღო, თქვა:

– უმჯობესია, ლიგია, შენზე ვილაპარაკოთ. კეისრის ურჩობა ფიქრადაც არ უნდა გაიტარო, სისულელე იქნება. შენ შეგიძლია დამშვიდებული იყო. მე ამ სახლს კარგად ვიცნობ და მგონია, კეისრის მხრივ არაფერი გემუქრება. ნერონს რომ შენი მოტაცება თავისთვის ებრძანებინა, პალატინზე არ მოგიყვანდა. აქ პოპეა მეფობს, ხოლო ნერონი, მას აქეთ, რაც პოპეას ქალი ეყოლა, უფრო მეტად მოექცა მისი გავლენის ქვეშ... არა, თუმცა ნერონმა

ბრძანა, შენი ნადიმზე მოსვლა, მაგრამ აქამდის არ უნახავხარ, არც უკითხიხარ, – მაშ ჩანს, სულაც არ აინტერესებ. იქნება შენი თავი ავლიუსსა და პომპონიას იმიტომ მოსტაცა, რომ მათზე განრისხებულია. პეტრონიუსმა

მომწერა, ჩემი მფარველობის ქვეშ ამეყვანე და ხომ იცი, პომპონიამაც იგივე მომწერა, ეტყობა, ერთმანეთში მოულაპარაკნიათ. იქნება პომპონიას თხოვნითაც მწერდა. თუ ასეა, თუ პეტრონიუსი პომპონიას თხოვნით მფარველობას არ მოგაკლებს, მაშინ არავითარი საშიშროება არ გემუქრება, და ვინ იცის, იქნება პეტრონიუსის გავლენით ნერონმა უკან ავლუსსთანვე გაგგზავნოს. არ ვიც, ძალიან უყვარს თუ არა ნერონს პეტრონიუსი, ის კი ვიცი, რომ მის აზრს იშვიათად ეწინააღმდეგება.

– ჰოი, აქტეა!-მიუგო ლიგიამ, – ჩემი წამოყვანის წინ პეტრონიუსი ჩვენსა იყო და დედაჩემი დარწმუნებულია, რომ ნერონი პეტრონიუსმა წააქეზა.

– ეგ კი ცუდია, – მიუგო აქტეამ და მცირედი მოფიქრების შემდეგ დაუმატა, – იქნება პეტრონიუსს რომელიმე ვახშამზე წამოცდა, ავლუსთან ლიგიელების მძევალი ვნახეო, ნერონმაც- ის ხომ ძალიან ბეჯითად იცავს თავის უფლებას-შენი თავი იმიტომ მოითხოვა, მძევლები კეისარს ეკუთვნისო. თანაც ნერონს ავლუსი და პომპონია არ უყვარს. არა, არა მგონია, პეტრონიუსს თუნდაც ავლუსისაგან შენი წართმევა გადაეწყვიტა, მაგ საშუალებისათვის მიემართნა.არ ვიცი, პეტრონიუსი იმათზე უკეთესია თუ არა, ვინც ნერონს გარს ახვევია, მაგრამ იმათ კი არა ჰგავს. იქნებ იმის გარდა სხვა მოსარჩლე იშოვო, ავლუსის სახლში კეისართან დაახლოებული არავინ გაგიცვნია?

– ვხედავდო ხოლმე ვესპასიანესა და ტიტუსს.

– ისინი კეისარს არ უყვარს.

– სენეკასაც...

– თუ სენეკამ რამე ურჩია ნერონს, კეისარი უთუოდ საწინააღმდეგოდ მოიქცევა.

ლიგიას სახეზე სიწითლე მოეფინა.

– ვინიციუსსაც ვიცნობ.

– ვინიციუსს არ ვიცნობ.

– პეტრონიუსის ნათესავია. სომხეთიდან, ეს არის, ახლა დაბრუნდა.

– შენ ფიქრობ, ნერონს მისი ნახვა ეამა?

– ვინიციუსი ყველას უყვარს.

– წაგესარჩლება?

– დიახ.

აქტეამ გულკეთილად გაიღიმა და უთხრა:

– მაშ იმას უეჭველად ნადიმზე ნახავ. ნადიმზე აუცილებლად უნდა იყო, სხვაგვარი ფიქრი მხოლოდ შენისთანა ბავშვებს შეუძლიათ; მერე თუ ავლუსის სახლში გინდა დაბრუნება, შემთხვევა გექნება პეტრონიუსსა და ვინიციუსს სთხოვო, თავისი გავლენა დაგახმარონ და დაბრუნების უფლება მოგიპოვონ.ისინი რომ აქ იყვნენ, გეტყოდნენ – ახლა ურჩობა დამღუპველია-ო.კეისარმა შეიძლება შენი დაუსწრებლობა არც კი შეამჩნიოს, მაგრამ ვაითუ შეამჩნია და ეს ურჩობად ჩამოგართვა, მაშინ შენ ვეღარაფერი გიხსნის. წადი, ლიგია... უკვე ჩურჩული გაისმის, მზე ჩასვლაზეა, სტუმრები საცაა მოვლენ.

– მართალს ამბობ, აქტეა, – უთხრა ლიგიამ, – მე შენ რჩევას დავიჯერებ.

იქნებ ლიგია თვითონაც ვერ გეტყოდათ, რამ მიაღებინა ასეთი გადაწყვეტილება: ვინიციუსისა და პეტრონიუსის ნახვის სურვილმა უფრო იმოქმედა თუ ქალურმა ცნობისმოყვარეობამ – ერთხელ მაინც დასწრებოდა დიდ ნადიმს, კეისარი ენახა, მთელი სამეფო კარის ხალხი, სახელგანთქმული პოპეა და სხვა ლამაზი ქალები, წრეს გადასული ფუფუნება, რომელზედაც რომში სასწაულებს

ლაპარაკობდნენ. აქტეა მართალი იყო და ლიგიაც გრძნობდა ამას: წასვლა საჭირო იყო; აუცილებლობამ და გონიერებამ იდუმალი ცნობიერება გაუძლიერეს და ლიგიამაც ყოყმანი დაუტევა.

აქტეამ თავის უნკტორიუმში წაიყვანა საცხებლების წასასმელად და ტანთ ჩასაცმელად. თუმცა კეისრის სასახლეში მონა ქალები ბლომად იყვნენ და აქტეასაც არ აკლდა მხევლები, მაინც სილამაზემ და უმანკოებამ ისე იმოქმედეს მასზე, რომ ლიგიას მორთვა თვითონ მოისურვა და უმალვე ცხადი შეიქნა, რომ ახალგაზრდა ბერძნის ქალს, მისი მწუხარებისა და პავლე ტარსელის ეპისტოლეთა ყურადღებით შესწავლის მიუხედავად, ჯერაც ელინური სული შემორჩენოდა; მისთვის ქვეყნიერებაზე სხეულის სილამაზეს უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე ყოველივე დანარჩენს. გაშიშვლებული ლიგია რომ დაინახა, მის ლერწამ, თითქოს მთლად ვარდისა და მარმარილოსაგან ჩამოსხმულ ტანს რომ შეავლო თვალი, აქტეამ თავი

ვერ შეიკავა, აღტაცებულმა შეჰყვირა, რამდენიმე ნაბიჯი განზე გადადგა და სიამოვნების თვალი მიაპყრო გაზაფხულის უმაგალითო განხორციელებას.

– ლიგია!-აღმოთქვა ბოლოს, – შენ პოპეაზე ასჯერ მშვენიერი ხარ.

ლიგია, აღზრდილი პომპონიას მკაცრს სახლში, სადაც დარცხვენა მარტოდ ყოფნის დროსაც კი

იცოდნენ, მშვენიერი, ვითა საოცნებო სიზმარი, ვით პრაქსიტელეს ქანდაკი, იდგა სირცხვილისაგან შემკრთალი, გაწითლებული, მკერდზე ხელებმიფარებული, მუხლებმოდრეკილი და წამწამებდაშვებული. ბოლოს ხელები მაღლა აიღო, თმიდან სარჭები გამოიძრო, თავი ოდნავ შეარხია და თმა მანდილივით ტანს მოისხა.

აქტეა მიუახლოვდა მას, იმის კულულებს ხელი შეახო და უთხრა:

– რა მშვენიერი თმა გაქვს!... ოქროს ფიფქს არ დაგაყრი, ოქროსფერს თვითონ დაიკრავს, მხოლოდ აქა-იქ თუ შევახებ ფიფქს, სულ ოდნავ, ისე, თითქოს მათში მზის სხივი გამოსჭვივისო... რა საოცარი ქვეყანა უნდა იყოს თქვენი კუთხე, რომ იქ ასეთი მშვენიერი ქალები იბადებიან!

– ჩვენი ქვეყანა არ მახსოვს, – უპასუხა ლიგიამ, – მხოლოდ ურსუსმა მითხრა, ჩვენში სულ ტყეები, ტყეები და ტყეებიაო.

– ტყეებში კი ყვავილები იფურჩქნებიან, – დაუმატა აქტეამ, თან ხელები ვერვენას ქილაში ჩაჰყო და მით ლიგიას თმა დაუსველა.

შემდეგ ტანზე ოდნავ წაუსვა არაბეთის სურნელოვანი ზეთი და უსახელო რბილი ოქროსფერი

ტუნიკა ჩააცვა; ამაზე თოვლივით თეთრი პეპლუმი უნდა გადაეცვა, მაგრამ რადგან ჯერ თავის დავარცხნა იყო საჭირო, ამიტომ აქტეამ ლიგიას განიერი მოსასხამი წამოაცვა, სინთეზად წოდებული, და ქალი მოახლეთ გადასცა, თვითონ თავის დავარცხნას მეთვალყურეობდა. იმავე დროს ორი სხვა მოახლე აცმევდა ლიგიას წითელი ძაფით მოქარგულ თეთრ ფეხსაცმელს და ოქროს ზონრებით უკრავდა. თავის ვარცხნა რომ დასრულდა, ქალს პეპლუმი მოასხეს მშვენიერი ნაოჭებით ძირს ჩაშვებული. მაშინ აქტეამ ყელზე ერთი ძაფი მარგალიტი შემოაბა, თმას ოქროს ფიფქი მოაყარა და თვითონ დაიწყო ტანთ ჩაცმა, თან ლიგიას არ აშორებდა აღტაცებული თვალს.

როდესაც უმთავრეს კარებში ტახტრევნები გამოჩნდნენ, აქტეა და ლიგია გვერდის კრიპტოპორტიკში შევიდნენ, აქედან შიდა ტალანი და ეზო გამოჩნდა, ნუმიდიის მარმარილოს სვეტებშემორტყმული.

თანდათან მეტი ხალხი შემოდიოდა მთავარი კარის მაღალი თაღით, რომლის თავზე ოთხცხენშებმული ეტლი, ლისიუსის ნახელავი, თითქოს ჰაერში მიაქროლებდა აპოლონსა და დიანას. ლიგია გააოცა ამ ფუფუნებამ, ამას რას წარმოიდგენდა ავლუსის მარტივად მოწყობილ სახლში გაზრდილი. მზე ჩადიოდა და იმისი უკანასკნელი სხივები შუქს ჰფენდნენ ნუმიდიის მარმარილოს, ოქროსავით რომ ბრწყინავდა და თანაც ვარდისფრად ელვარებდა. სვეტებს შუა

დანაიდების, ღმერთებისა და გმირების თეთრი ქანდაკები იდგა და მათ გასწვრივ კაცები და ქალები გუნდ-გუნდად მიმოდიოდნენ, ისინიც ქანდაკებას ჰგავდნენ. ჩამავალი მზის შუქით განათებული, უცხო ნაოჭებად აყრილი ტოგები, პეპლუმები და სტოლები ეცვათ. უზარმაზარი ჰერკულესი თავზე რომ ჯერაც შუქი ედგა, მაგრამ ტანი და ფეხები მახლობელი სვეტისაგან ჰქონდა დაჩრდილული, ამ ბრბოს ზევიდან დასცქეროდა. აქტეა აჩვენებდა ლიგიას სენატორებს, ტოგებზე რომ განივრად ძოწეული ჰქონდათ შემოვლებული, ფერად ტუნიკებში რომ იყვნენ გამოწყობილნი და ფეხსაცმელებზედაც ნახევარი მთვარე ჰქონდათ მოქარგული, მხედრებსა და გამოჩენილ მსახიობებს; ბერძნულ ან აღმოსავლურ მოკაზმულ ტანისამოსში გამოწყობილ რომაელ მატრონებს. კოშკებისა თუ პირამიდების მსგავსად თმადავარცხნილებს ან ქალღმერთების დარად შუბლზე თმაჩამოფხატულებს და ყვავილებით მორთულებს. ბევრი კაცისა და ქალის სახელს ეუბნებოდა, ზოგისას მოკლე და ზოგისას ერთობ საშინელ დახასიათებას მოაყოლებდა. ეს ლიგიას შიშსა და გაოცებას იწვევდა. მისთვის ეს ყველა უცნაურ ქვეყანას წარმოადგენდა, თვალებისთვის მეტად წარმტაც. მაგრამ ამ სამყაროს წინააღმდეგობანი ლიგიას ნორჩ გონებას ვერ ამოეხსნა საღამოს ბინდბუნდში, ამ მთელ წყება უძრავ სვეტებში, შორ-შორს რომ იკარგებოდნენ, ამ ქანდაკებათა მსგავს ხალხში რაღაც დიადი სიმშვიდე იყო. ადამიანს ეგონებოდა, ამ მარმარილოთა შორის მცხოვრებნი უნდა ყოფილიყვნენ უზრუნველნი, უშფოთველნი და ბედნიერი ნახევრადღმერთები, ის კი არადა აქტეას წყნარი ხმა ლიგიას ამ სასახლისა და ამ ხალხის სულ ახალ საზარელ საიდუმლოს ეუბნებოდა. აგერ იქ, შორს,

კრიპტოპორტიკი მოჩანს. მის სვეტებს და იატაკს ჯერაც აჩნევია კალიგულას სისხლის ლაქები, როდესაც იგი კასიუს ხერეამ დანით მოკლა; აგერ იქ იმისი ცოლი მოკლეს; იქ კი ქვას მიანარცხეს მათი ბავშვი; იმ ფრთის ქვეშ მიწისქვეშა გვირაბია, სადაც უმცროსმა დრუზუსმა შიმშილით ხელები დაიღრღნა; იქ უფროსი საწამლავით მოკლეს; იქ შიშისაგან გემელი იკრუნჩხებოდა; იქ კლავდიუსი იმანჭებოდა, იქ გერმანიკუსი... ეს კედლები მომაკვდავთა კვნესას და ხრიალს ისმენდნენ და ამ ხალხსაც, ახლა რომ ნადიმზე მიიჩქარის ფერადი ტუნიკებით, ყვავილებითა და ძვირფასეულობით მორთული, შესაძლოა, ხვალ სიკვდილი მიესაჯოს. ვინ იცის, რამდენის სახეზე ღიმილი შიშს ფარავს, ფარავს არეულობას, ხვალინდელი დღის საზრუნავს, ვინ იცის, ძალაუფლების წყურვილი და პატივმოყვარეობა რამდენ გარეგნულად უდარდელ და მშვიდ ადამიანს უქანცავს გულს. შეშინებული ლიგია კვალში ვერ ჩადგომოდა აქტეას, მაგრამ მაინც, თუმცა ეს ჩინებული ქვეყანა თვალსა სტაცებდა, ქალის გული შიშისაგან თრთოდა, ხოლო სულში უეცრად უზომო სევდა დაუსადგურდა. მოაგონდა – პომპონია გრეცინასი და ავლუსის სახლი, სადაც მეფობდა სიყვარული და არა დანაშაული.

ამასობაში აპოლონის ქუჩით სტუმრების ახალ-ახალი ტალღები მოედინებოდა. კარს იქიდან ხმაურობა და პატრონებს მოყოლილი კლიენტების ყვირილი მოისმოდა. ეზოდა და კოლონადა კეისრის მონებითა და მოახლეებით, პატარა ბიჭებითა და სასახლის მოდარაჯე პრეტორიელი ჯარისკაცებით აჭრელდნენ. აქა-იქ თეთრ და შავგვრემან სახეებში შავად გამოიცქირებოდა

ფრთებით მორთული ჩაფხუტიანი ნუმიდიელი, ყურებში ოქროს რგოლები გაყრილი; ეზიდებოდნენ კითარებს, ციტრებს, გვიანი შემოდგომის მიუხედავად – ხელოვნურად გაზრდილ ყვავილების თაიგულებს. ვერცხლის, ოქროს და თითბრის ხელსანთურებს. უფრო და უფრო ახამაურებული ლაპარაკი შადრევნის ჩანჩქერს ერთოდა. ამ შადრევნის ჭავლები, ჩამავალი მზისაგან მეწამულად შეღებილნი, ზევიდან მარმარილოზე ესხმოდნენ და ფილაქანზე თითქოს გოდებით ენარცხებოდნენ.

აქტეამ ამბობა შეწყვიტა, მაგრამ ლიგია სულ ხალხს უცქეროდა, თითქოს იქ ვიღაცას ეძებსო. უცებ სახე შეუფაკლდა. სვეტებს იქიდან ვინიციუსი და პეტრონიუსი გამოვიდნენ და უმთავრესი ტრიკლინიუმისაკენ გაემარ-

თნენ. ღმერთების სადარნი, მშვენიერები და დამშვიდებულნი ჩანდნენ. რაკი ამ უცხო ხალხში ორი ნაცნობი დაინახა, მეტადრე ვინიციუსი, ყმაწვილ ქალს ისე ეჩვენა, თითქოს გულიდან მძიმე რამ მოეხსნაო. თავი ისე მარტოდ აღარ დაიგულა. თითქოს შეუმსუბუქდა გამოუთქმელი ნაღველი, რამდენიმე წამის წინ რომ პომპონიასა და ავლუსის გახსენებაზე მოეძალა. ვინიციუსის ნახვისა და მასთან ლაპარაკის ცდუნებამ გულში ყველა შიში ჩაუხშო. ამაოდღა იგონებდა ყველა ცუდს, რაც კეისრის სახლზე მოესმინა, აღარ ახსოვდა აქტეას სიტყვები, პომპონიას გაფრთხილებაც, ამ ლაპარაკისა და გაფრთხილების მიუხედავად უცებ იგრძნო, ამ ნადიმზე ძალდატანებით კი არა, საკუთარი ნებით მოვედიო. ბოლოს მთლად სიხარულმა მოიცვა, როცა გაიფიქრა, ერთი წუთიცა და საყვარელსა და ძვირფას ხმას მოვისმენ, იმ ხმას, ღმერთების

შესაფერ სიყვარულსა და ბედნიერებაზე რომ მელაპარაკებოდა და აქამდე რომ სიმღერასავით ჩამესმის ყურშიო.

მაგრამ ამ სიხარულმა უცებ შეაშინა ლიგია. მოეჩვენა, რომ ახლა საღმრთო რჯულს ღალატობს, პომპონიასაც და საკუთარ თავსაც. ძალდატანებით წასვლა სხვაა, ხოლო ძალდატანების გამო სიხარული სულ სხვა გახლავთ. თავი დამნაშავედ იგრძნო, უღირსად და დაღუპულად. სასოწარკვეთილებამ მოიცვა, თვალზე ცრემლი მოადგა. მარტო რომ ყოფილიყო, მუხლებზე დაეცემოდა, მკერდში მჯიღს დაირტყამდა და დაიძახებდა: შევცოდე, შევცოდეო!.. აქტეამ ხელი მოჰკიდა, ოთახები დაატარა და დიდ ტრიკლენიუმში შეიყვანა, სადაც ნადიმი უნდა გამართულიყო. ლიგიას თვალთ დაუბნელდა და გული ყელში მოებჯინა. თითქოს სიზმარში ხედავდა მაგიდებზე და კედლებზე მბრწყინავ სასანთლეებს. თითქოს სიზმარში ესმოდა როგორ ყვირილით ესალმებოდნენ სტუმრები კეისარს და თვითონ კეისარსაც თითქოს ბურანში ხედავდა; ყვირილმა დააყრუა, სინათლის ლაპლაპმა თვალთ დაუბნელა, ამაო სურნელმა დაათრო და თითქოს ცნობადაკარგული ძლივსღა არჩევდა აქტეას, რომელმაც სუფრას მიუსვა იგი და თვითონაც გვერდით მიუჯდა.

პატარა ხანს უკან მეორე მხრიდან ნაცნობმა ხმამ მოსძახა:

– მოგესალმები, დედამიწის ყველა არსებაზე და ცაში მბრწყინავ ყველა ვარსკვლავზე უმშვენიერესო. მოგესალმები, ღვთაებრივო კალინა!

ლიგია ცოტა გონს მოვიდა და მიმოიხედა. მის გვერდით ვინიციუსი წამოწოლილიყო.

იგი უტოგოდ იყო, რადგან ჩვეულება ნებას აძლევდა ყველას, ნადიმის წინ ტოგა მოეხსნა. ტანს მხოლოდ ძოწეული ტუნიკა უფარავდა, უსახელო და ვერცხლის ზაკალით მოქარგული; მკლავები ტიტველი ჰქონდა, აღმოსავლურ ყაიდაზე ნიდაყვს ზევით განიერი ოქროს სამკლავე ეკეთა. ნიდაყვს ქვევით მკლავის წყრთა პირწმინდად გაეპარსა; სუფთა და კუნთებიანი მკლავები ნამდვილი მხედრისა ჰქონდა, მახვილისა და ფარის სახმარად გაჩენილები. თავზე ვარდების გვირგვინი ეხურა, გადაბმული წარბებისა, ჩინებული თვალებისა და შავგვრემანი სახის მეოხებით იგი ახალგაზრდობისა და ძალ-ღონის განსახიერებას წარმოადგენდა. ლიგიას იგი ისეთი მშვენიერი ეჩვენა, რომ, თუმცა, პირველმა კრთომამ უკვე გაუარა, მაინც ძლივს უპასუხა:

– სალამს გიძღვნი, მარკუს!

– ბედნიერნი არიან ჩემი თვალები, რომ შენ გხედავენ, ბედნიერი არიან ყურები, რომ შენს ხმას ისმენენ, ჩემთვის სალამურისა და ციტრის ხმებზე უტკბილესს. მე რომ მითხრან ამოირჩიე, ვინ გინდა ამ ნადიმზე გვერდით გყავდეს – ვენერა თუ ლიგიაო, შენ აგირჩევდი, ღვთაებრივო.

ვინიციუსი ისე უცქეროდა ქალს, თითქოს ეშურებოდა მისი მშვენიერებით გამძღარიყო; თვალებით სწვავდა, ვაჟის მზერა ქალის სახიდან ყელსა და ტიტველა მკლავებზე ჩამოსხლტა, ტკბებოდა მათი სინატიფით, ხელით ეხებოდა, უალერსებდა, მაგრმ ვნების გარდა მას ბედნიერება, სიყვარული და უსაზღვრო აღტაცება ეტყობიდა.

– ვიცოდი, რომ კეისრის სახლში შეგხვდებოდი, მაგრამ როდესაც დაგინახე, მთელი ჩემი სული ისეთმა გრძნობამ მოიცვა, თითქოს სრულებით მოულოდნელი ბედნიერება მეწვია.

ლიგია გონს რომ მოვიდა და იგრძნო, აქ, ამდენ ხალხში ჩემთვის მხოლოდ ვინიციუსია მახლობელიო, საუბარი დაუწყო, ყველაფერს ჰკითხავდა რაც კი მისთვის გაუგებარი იყო ან შიშსა ჰგვრიდა. საიდან გაიგო ვინიციუსმა, რომ კეისრის სახლში იპოვიდა მას და რად არის აქ ლიგია? რად წაართვა იგი პომპონიას კეისარმა? ისევ მასთან დაბრუნება სწადია, აქ ეშინია, შეშფოთებისა და დარდისაგან მოკვდებოდა, თუ იმედი არ ასულდგმულებდეს, რომ პეტრონიუსი და ვინიციუსი კეისართან დახმარებას გაუწევენ.

ვინიციუსმა უთხრა, შენი მოტაცება თვითონ ავლუსისაგან გავიგე და აქ რად მოგიყვანეს, არ ვიციო. კეისარი თავის ბრძანებასა და განკარგულებაში ანგარიშს არავის აბარებსო. მაინც აქ ნურაფრისა ეშინია. აკი ვინიციუსი მის გვერდითაა და აქვე დარჩება. ქალის უნახაობას თვალის ჩინის დაკარგვა

ურჩევნია, მის დატოვებას კი – სიკვდილი. იგია ვინიციუსის სული და ვაჟი ისე გაუფრთხილდება, როგორც საკუთარ სულს. სახლში თავის ღვთაებას საკურთხეველი აუშენა და მსხვეპლად მურსა და გუნდრუკს მიუტანს ხოლმე, ხოლო გაზაფხულობით ვაშლის ხეს და ყვავილებს მიართმევს... თუ კეისრის სახლში ეშინია, პირობას აძლევს, რომ აქ არ დატოვებს.

თუმცა აქა-იქ კუდმოკვეცილად ლაპარაკობდა, ზოგჯერ ცრუობდა კიდეც, მაინც მის ხმაში სიწრფელე ჟღერდა, რადგან ქალისადმი წრფელი გრძნობით იყო გამსჭვალული. ლიგია მას წმინდა გულით ებრალებოდა, მისი სიტყვები ვაჟის სულში იკიდებდა ფეხს. ხოლო როდესაც ლიგია მადლობას ეუბნებოდა – პომპონია ამ გულკეთილობას დაგიმადლებს და მეც მთელი სიცოცხლე შენი მადლობელი ვიქნებიო, ვინიციუსმა ვერ შეიკავა მღელვარება. ისე ეგონა, ვერასოდეს ვერ შევძლებ ლიგიას რაიმე თხოვნა არ ავუსრულოო. გული აუთრთოლდა. ლიგიას სილამაზემ ვნება გაუშმაგა – ქალის დაპატრონება სწყუროდა. და თანაც გრძნობდა, რომ ლიგია მეტისმეტად ძვირფასი იყო მისთვის და, შეიძლება, მისთვის ისევე ეცა თაყვანი, როგორც ღვთაებისათვის. ძალიან უნდოდა, ქალის სილამაზესა და თავის სიყვარულზე ელაპარაკა, მაგრამ დარბაზში ხმაურობა უფრო და უფრო ძლიერდებოდა. ვინიციუსმა ლიგიასაკენ მიიწია და ჩურჩული დაუწყო, ეუბნებოდა ნაზ, ტკბილ, გულიდან ამოსულ სიტყვებს, მუსიკასავით მჟღერ და ღვინოსავით მათრობელ სიტყვებს.

და დაათრო კიდეც ლიგია. გარშემო სულ უცხო ხალხი იყო და ქალს ვინიციუსი უფრო და უფრო მახლობლად ეჩვენებოდა, უფრო ძვირფასად, ნდობის ღირსად და სულით და გულით ერთგულ ადამიანად. ვაჟმა დაამშვიდა, აღუთქვა, კეისრის სახლიდან გაგანთავისუფლებ, მარტო არ დაგტოვებ და ყველა შენ სურვილს აგისურულებო. ამას გარდა, ადრე, ავლუსის სახლში სიყვარულსა და ბედნიერებაზე ზოგადად ელაპარაკებოდა, შენ ასეთი სიყვარული შეგიძლიაო, ახლა კი პირდაპირ ეუბნებოდა, მე მიყვარხარ

და ამქვეყნად შენზე საყვარელი და ძვირფასი არავინ მყავსო. ლიგიას მამაკაცისაგან პირველად ესმოდა ასეთი სიტყვები და რამდენიც ჩაკვივრვებით ისმენდა მათ, იმდენი ეჩვენებოდა, თითქოს მასში რაღაც მიძინებული იღვიძებდა, მთელ მის არსებას რაღაც ბედნიერება ეხვეოდა გარს და ბედნიერებაში უსასრულო სიხარულს უსასრულო შიში ერთოდა. ლოყები აუვარდისფრდა, გულმა ძალზე ცემა დაუწყო და თითქოს გაოცებისაგან ტუჩები გაეპო; შიშმა მოიცვა, ამისთანა აღიარებას რომ ისმენდა; ამასთანავე არაფრის გულისთვის არ ინდომებდა ერთი სიტყვა მაინც დარჩენოდა მოუსმენელი. ლიგია ხან თვალებს დახრიდა, ხანაც ვინიციუსს მიაჩერდებოდა, ნათელ, მოკრძალებულ თვალს მიაპყრობდა, თითქოს უნდოდა ამით ეთქვა მისთვის კიდევ მითხარიო. ლაპარაკმა, მუსიკამ, ყვავილებმა და არაბეთის სურნელმა ისევ გააბრუეს ქალი. რომში ჩვეულება ჰქონდათ სუფრასთან წამოწოლა. მაგრამ შინ ლიგია პომპონიასა და პატარა ავლუსს შუა იჯდა ხოლმე, ახლა კი მის გვერდით ვინიციუსი იყო, ახალგაზრდა, ღონიერი, შმაგი მიჯნური, ქალი გრძნობდა მის ვნებათა ღელვას, ერთსა და იმავე დროს სირცხვილსაც განიცდიდა და სიტკბოებასაც. იგი რაღაც ტკბილმა უღონობამ მოიცვა, რაღაც თავდავიწყება ეწვია, თითქოს თვლემა მოერიაო.

ლიგიას სიახლოვემ ვინიციუსზეც გავლენა იქონია: სახე გაუფითრდა, ნესტოები არაბულ ცხენივით გაებერა, ძოწეული ტუნიკის ქვეშ მკერდი აუდიოდ-ჩაუდიოდა. სუნთქვა შეეკრა, ხმა ხშირად უწყდებოდა; პირველად იყო ასე ახლოს ლიგიასთან. აზრი აერია, გრძნობდა, როგორ მოედო მის ძარღვებს ცეცხლი. ამაოდ ცდილობდა ღვინით ჩაექრო ეს ხანძარი. ღვინო კი არა ლიგიას მშვენიერი სახე, შიშველი მკლავები, ჰაეროვანი ტუნიკის ქვეშ მღელვარე ქალწულებრივი მკერდი და პეპლუმის თეთრ ნაკეცებქვეშ დაფარული მთელი მისი სხეული სულ უფრო ათრობდა ვაჟს. ბოლოს ნიდაყვს ზევით მკლავებზე ხელი წაავლო, როგორც ადრე ავლუსის სახლში, თავისკენ მიიზიდა და მთრთოლვარე ხმით წასჩურჩულა:

– მიყვარხარ, კალინკა, ჩემო ღვთაებრივო...

– მარკუს, გამიშვი, – შეევედრა ლიგია.

ვინიციუსმა დაბინდული თვალებით შეხედა და განაგრძო:

– ჩემო ღვთაებრივო, შემიყვარე!..

ამ დროს ლიგიას მეორე მხარეს წამოწოლილი აქტეას ხმა მოესმათ:

– კეისარი გიცქერით...

ვინიციუსი ერთბაშად გაბრაზდა კეისარზედაც და აქტეაზედაც. აქტეას სიტყვებმა მომხიბლავი ბურანიდან გამოიყვანა. ასეთ დროს ყმაწვილ კაცს მეგობრის სიტყვაც კი აბეზარს მოიყვანს. მოეჩვენა, აქტეამ განგებ შემაწყვეტინა ლიგიასთან ლაპარაკიო.

თავი ასწია, ლიგიას მხარს ზევიდან გადახედა გააზატებულ ქალსა და გაბრაზებით უთხრა:

– ის დრო წავიდა, აქტეა, როდესაც ნადიმებზე კეისრის გვერდზე იყავ წამოწოლილი. შენზე ამბობენ, თვალის ჩინი აკლდებაო, მაშ კეისარი როგორღა დაინახე.

აქტეამ ნაღვლიანად უპასუხა:

– მაინც ვხედავ კეისარს... ისიც ბეცია და ზურმუხტით გიცქერით.

ნერონის ყველა საქციელი შიშსა ჰგვრიდა თვით მის მახლობლებსაც კი. ვინიციუსი შეშფოთდა, ვნებათა ღელვა დაუცხრა და ფარულად შეხედა კეისარს. შემკრთალმა ლიგიამ ნადიმის წინ თითქოს ბურუსში იხილა კეისარი. ხოლო შემდეგ, ვინიციუსის სიტყვებით და ახლოს ყოფნით

გატაცებულს სულაც აღარ შეუხედავს მისთვის, ახლა კი იმანაც თავისი ცნობისმოყვარე და შეშინებული თვალები ნერონს მიაპყრო.

აქტეამ მართალი თქვა. კეისარი მაგიდას დაყრდნობოდა, ერთი თვალი მოეჭუტა, მეორეზე გალიპული ზურმუხტი მიედო და მათ უცქეროდა. ერთ წამს მისი თვალი ყმაწვილი ქალის თვალს შეხვდა და ლიგიას თავზარი დაეცა. როცა ბავშვი იყო და სიცილიას ცხოვრობდა, ავლუსის მამულში, ბებერმა ეგვიპტელმა მონა ქალმა მთიან ხეობაში დაბუდებული გველების ამბავი უამბო. ახლა ეჩვენა, რომ ერთი იმ გველთაგანის მწვანე თვალები მოსჩერებოდა. შეშინებული ბავშვივით ვინიციუსს ხელი სტაცა, ხოლო თავში უთავბოლო აზრები აეფუტკნა. „ხედავთ, როგორი ყოფილა ეს საშიშარი და ყოვლისშემძლე კეისარი!'' აქამდე ლიგიას ის არსად ენახა და სულ სხვაგვარად ჰყავდა წარმოდგენილი. გონების თვალს რაღაც საზარელი სახე დაეხატა, სახის გაქვავებული, ბოროტებით სავსე ნაკვთები. ამის მაგიერ ახლა დაინახა სქელი კისერი, ვეება დიდი თავი, მართალია, ამ თავს საშინელი ელფერი დაჰკრავდა, მაგრამ მაინც სასაცილო იყო – იმდენად გავდა შორიდან ბავშვის თავს. ამეთვისტოს ფერის ტუნიკა, ჩვეულებრივ მოკვდავთათვის აკრძალული, მოლურჯო ფერს აფრქვევდა კეისრის განიერს და

მოკლე სახეს. თმა მუქი ფერისა ჰქონდა, ოთხ კავად დახუჭუჭებული, როგორც ამას ოთონისაგან შემოღებული მოდა მოითხოვდა. წვერს არ ატარებდა, რადგან დიდი ხანი არ არის, იუპიტერს შესწირა, რისთვისაც მთელმა რომმა მადლობა გადაუხადა, თუმცა იდუმალად ჩურჩულებდნენ, კეისარი წვერს იმიტომ იპარსავს, რომ

იმასაც და მთელ მის ოჯახს ჟღალი წვერი ამოსდისო. წარბებზე გადმომჯდარ შუბლს რაღაც ოლიმპიური დაჰკრავდა, შეკრული წარბები მის ყოვლისშემძლეობას ააშკარავებდნენ, მაგრამ ამ ნახევარ ღმერთის შუბლს ქვემოთ მაიმუნის, ლოთისა და მასხარას სახე მოჩანდა, არარაობით, ცვალებადი ვნებით სავსე, ახალგაზრდობის მიუხედავად, სიმსუქნით გათქვირებული და დაღმეჭილ-დაავადებული. ლიგიამ გაიფიქრა, ეს სახე ბოროტის მომასწავებელია, მაგრამ უფრო კი საზიზღარიო.

კეისარმა მალე დადო თავისი ზურმუხტი და ლიგიას ცქერას თავი დაანება. მაშინ ლიგიამ მისი ამომჯდარი, სინათლისაგან მოჭუტული, ცისფერი თვალები დაინახა. ეს იყო მინისებური, უაზრო, მკვდარი კაცის თვალების მსგავსი თვალები.

ნერონი პეტრონიუსს მიუბრუნდა და უთხრა:

– ეგ ის მძევალია, ვინიციუსს რომ უყავრს?

– ეგ გახლავს, – მიუგო პეტრონიუსმა.

– ეგ ვისი ერისაა?

– ლიგიელების.

– ვინიციუსი ფიქრობს, ლამაზიაო?

– ქალის პეპლუმი რომ ჩააცვა ზეთისხილის კუნძს, ვინიციუსი იმასაც ლამაზ ქალად ჩათვლის. მაგრამ შენს სახეზე, სილამაზის შეუდარებელო მცოდნევ, მე უკვე განაჩენი წავიკითხე. მისი გამომჟღავნება არა მჭირდება. დიახ, დიახ, მეტად გამხდარია და გაწლობილი, ნამდვილი ღაჟღაჟის თავია წვრილ ღეროზე მობმული, შენ კი, მშვენიერების ღვთაებრივო მცოდნევ, ქალში ღეროს აფასებ და სამგზის, ოთხგზის მართალიცა ხარ. მარტო პირისახე არაფერს ნიშნავს, მე უკვე ბევრი რამ ვისწავლე შენგან, მაგრამ თვალის აზრით შენ საით გაგიტოლდები... მზად ვარ ტულიუსს სენეციონს დავენიძლაო მის საყვარელზე, რომ თუმცა სუფრის გარშემო ყველანი წამოწოლილი არიან და ამიტომაც ძნელია კაცმა ტანადობაზე შეხედულება იქონიოს, შენ უკვე გუნებაში თქვი: მეტად გამხდარი თეძოები აქვსო.

– მეტად გამხდარი თეძოები აქვს, – თქვა ნერონმა და თვალი დახუჭა.

პეტრონიუსს ტუჩებზე ოდნავ შესამჩნევი ღიმილი გაუკრთა, მაგრამ ტულიუს სენეციონი, ამ დროს რომ ვესტინიუსს ელაპარაკებოდა, ან უფრო სწორად, სიზმრებს უსმენდა, – ვესტინიუსს ძალიან სწამდა სიზმრები, – პეტრონიუსისაკენ მობრუნდა და, თუმცა არ იცოდა საქმის არსი, უთხრა:

– სცდები, მე კეისრის აზრს ვეთანხმები.

– ჩინებულია! – მიუგო პეტრონიუსმა, – ეს არის ახლა ვამტკიცებდი, რომ შენ ერთი ნამცეცი ჭკუა გაქვს, კეისარი კი გვარწმუნებდა, თავანკარა ვირიაო.

– Habet, – სიცილით თქვა ნერონმა და მარჯვენა ხელის ცერი ძირს ჩაუშვა, როგორც ცირკში იციან ხოლმე იმის ნიშნად, გლადიატორს მოხვდა, ახლა სიკვდილის პირსაა მისაყვანიო.

ვესტინიუსს ეგონა, ისევ სიზმრებზეა ლაპარაკიო, და დაიძახა:

– მე კი სიზმრები მწამს... ოდესღაც სენაკამ მითხრა, მეცა მწამს სიზმრებიო. კალვეა კრისპინილა სუფრაზე გადმოიხარა და თქვა: წუხელის მესიზმრა, ვითომც ვესტას მსახურ ქალად გადავიქეც.

ამაზე ნერონმა ტაში დაუკრა, სხვებმაც მას მიბაძეს. ტაშის ცემა რამდენიმე წუთს გაგრძელდა, იმიტომ რომ კრისპინილა რამდენჯერმე იყო ქმარგაშვებული და მთელ რომში გარყვნილი ქალის სახელი ჰქონდა გავარდნილი.

იმან კი დაურიდებლად განაგრძო:

– მითომ რაო? ყველანი ბებრები და საზიზღრები არიან. მარტო რუბრია ჰგავს ადამიანს. ასე რომ, ორი ვიქნებოდით, თუმცა რუბრიამ სახეზე გაზაფხულობით ჭორფლი იცის.

– ნება მიბოძე, შეგნიშნო, ყოვლადუბიწო კალვია, – უთხრა პეტრონიუსმა, – ვესტას მსახურ ქალად მარტო სიზმარში შეგეძლო გადაქცეულიყავ.

– კეისარს რომ ებრძანებინა?

– მაშ დავიჯერებდი, რომ დაუჯერებელი სიზმარიც შეიძლება ახდეს.

– საქმეც ეგ არის, რომ სიზმრები ახდებიან ხოლმე, – ჩაურთო ვესტინიუსმა, – მე მესმის, რომ ღმერთები კაცს შეიძლება არ სწამდეს, მაგრამ როგორ შეიძლება სიზმრებს არ დაუჯერო?

– წინასწარმეტყველება? – ჰკითხა ნერონმა. – როდესღაც მიწინასწარმეტყველეს, რომ რომი მოისპობა, ხოლო მე მთელი აღმოსავლეთის მფლობელი შევიქმნები.

– წინასწარმეტყველებანი და სიზმრები ერთმანეთს ეხლართებიან, – წარმოთქვა ვესტინიუსმა, – ერთმა დიდად ურწმუნო პროკონსულმა მოპსოსის ტაძარში მონა გაგზავნა დაბეჭდილი წრილით,

წერილის გახსნა აუკრძალა, რაა გამოეცადნა ღმერთი: მართლა შეიძლებდა თუ არა წერლში აღნიშნულ კითხვაზე პასუხის მიცემას? მონამ ღამე ტაძარში გაათია, რომ სიზმარში მიეღო პასუხი. იქიდან რომ დაბრუნდა, თქვა: სიზმარში მზეჭაბუკი გამომეცხადა და მხოლოდ ერთი სიტყვა მითხრა: შავიო. პროკონსულმა რომ ეს გაიგონა, გაფითრდა, მასავით ურწმუნო სტუმრებს მოუბრუნდა და მოახსენა: იცით რა იყო წერილში?

აქ ვესტინიუსი შედგა, ღვინით სავსე თასი აიღო და მოსვა.

– მერე, რა იყო წერილში, – ჰკითხა სენეციონმა.

– წერილში ასეთი კითხვა იყო: რომელი ხარია სამსხვერპლო: თეთრი თუ შავიო?

ამ ამბით აღძრული ყურადღება ვიტელიუსმა გაფანტა. ნადიმზე უკვე კარგა მთვრალი მოვიდა და უცებ სრულებით უმიზეზოდ უაზრო სიცილი მორთო.

– რაზე იცინის ეს ქონის კათხა, – იკითხა ნერონმა.

– ადამიანს პირუტყვისაგან სიცილი განასხვავებს, – მიუგო პეტრონიუსმა, – მაგას კი სხვა დასამტკიცებელი საბუთი არა აქვს რა, რომ ღორი არ არის.

ვიტელიუსმა სიცილს თავი დაანება, სხვადასხვა საწებლებით მოთხვრილი ტუჩების წლაპუნი დაიწყო და ისეთი გაოცებით შეხედა იქ მყოფთ, თითქოს ისინი ჯერ არასოდეს ენახა. შემდეგ თავისი ბალიშის მსგავსი ხელი მაღლა აიღო და ხრინწიანი ხმით თქვა:

– მამაჩემის მხედრობის ბეჭედი წამძვრა ხელიდან.

– მეწაღე რომ იყო, იმის ბეჭედი, – დაუმატა ნერონმა.

ვიტელიუსმა კვლავ მოულოდნელი სიცილი ატეხა და ბეჭედის ძებნა კალვია კრისპინილას პეპლუმში დაიწყო.

ვიტელიუსმა შეშინებული დედაკაცივით დაიყვირა, ხოლო კალვიას მეგობარმა ნიგიდიამ, ახალგაზრდა ქვრივმა, ბავშვის სახისა და მეძავის თვალების მქონემ, ხმამაღლა თქვა:

– ეძებს, რაც არ დაუკარგავს.

– და რაც არ გამოადგება, თუნდ იპოვოს კიდეც, – დაასრულა პოეტმა ლუკანუსმა.

ნადიმი თანდათან გამხიარულდა. მონების ბრბოს ახალ-ახალი ნუგბარი საჭმელები შემოჰქონდა;

თოვლით სავსე და ფათალო – შემოხლართული ლარნაკებიდან სხვადასხა ჯიშის ღვინით სავსე კრატერებს იღებდნენ. ყველანი ბევრს სვამდნენ. ჭერიდან მონადიმეთა სუფრაზე განუწყვეტლად ცვიოდა ვარდები.

პეტრონიუსმა ნერონს სთხოვა, ვიდრე ყველა სტუმარი დათვრება, ნადიმი შენი სიმღერით გაგვილაზათეო; მას სხვა მთხოვნელთა გუნდიც შეუერთდა, მაგრამ ნერონი უარზე დადგა.

მარტო გაუბედაობა არ იყო მიზეზი, თუმცა გაბედულება მუდამ აკლდა ნერონს. მხოლოდ ღმერთებმა იციან, რა უღირს მას ხალხის წინაშე გამოსვლა. უარს არ ამბობდა- რაიმე უნდა შესძინო ხელოვნებას, რაკი აპოლონმა ხმა მოგანიჭა, როგორ იქნება, ღმერთების ნაბოძვარი უგულებელყო? ისიც ესმის, რომ ეს მისი სახელმწიფოებრივი მოვალეობაც არის, მაგრამ დღეს ხმა ჩაეხრინწა. წუხელ გულზე ტყვიის ფურცლები დაიწყო, მაგრამ ამანაც ვერ უშველა... ანციუმში აპირებს წასვლას, იქნებ ზღვის ჰაერი მოუხდეს...

მაგრამ ლუკანუსმა ხელოვნებისა და კაცობრიობის სახელით დაუწყო ხვეწნა. ყველამ იცის, რომ ღვთაებრივმა პოეტმა და მომღერალმა ვენერას სადიდებელი ჰიმნი შეთხზა. ამ ჰიმნთან შედარებით ლუკრეციუსის ჰიმნი მგლის ლეკვის ღმუილია. დაე ეს ნადიმი ნამდვილი ნადიმი იყოს. ესოდენ მოწყალე მეუფე თავის ქვეშევრდომებს ამისთანა მწუხარებას არ უნდა აყენებდეს. ულმობელი ნუ იქნები, კეისარო!

– ულმობელი ნუ იქნები, კეისარო, – ყველამ დაიძახა, ვინც კი იმპერატორის ახლოს იჯდა.

ნერონმა ხელები გაშალა, მეტი რა ჩარააო. მაშინ ყველას სახეზე მადლობა გამოეხატა, ყველამ თვალი მას მიაპყრო, მაგრამ ნერონმა ბრძანა, ჯერ პოპეას შეატყობინეთ, რომ სიმღერას ვაპირებ, და დამსწრეთ განუცხადა, ქალი შეუძლოდ იყო და ნადიმზე ვერ მოვიდაო. მაგრამ რადგან იმის

სენს არავითარი წამალი არ უხდება ისე, როგორც კეისრის სიმღერა, ამიტომ – ნერონს სინანულად გაუხდება, პოპეას გამომჯობინების ასეთი შემთხვევა დაუკარგოს.

პოპეა მალე გამოვიდა. მას ახლაც დიდი გავლენა ჰქონდა ნერონზე, მაგრამ იმასაც არ ივიწყებდა, რომ თუკი საქმე ეხებოდა კეისრის თავმოყვარეობას, როგორც მომღერლის, ეტლის წამყვანისა და პოეტის, ყოველგვარი ხუმრობა საშიში იყო. პოპეა შემოვიდა, ვითა მშვენიერი ღვთაება, მშვიდი და თმახუჭუჭა ნერონივით ამეთვისტოს ფერის ტანისამოსში გამოწყობილი. ყელზე მსხვილი მარგალიტის მანიაკი ეკეთა, ოდესღაც მასინისაგან წართმეული. მიუხედავად იმისა, რომ ნერონამდე ორი ქმარი გამოეცვალა, ქალწულებრივი შეხედულება და სახის გამომეტყველება ჰქონდა.

„ღვთაებრივო ავგუსტაო'', – იყვირა და იღრიალა ბრბომ. ლიგიას ასეთი საოცარი მშვენიერება თავის დღეში არ ენახა და თვალს არ უჯერებდა, რადგან იცოდა, რომ პოპეა საბინა მთელ

ქვეყანაზე უგარყვნილესი დედაკაცი იყო. პომპონიასაგ გაეგონა, პოპეამ იქამდე მიიყვანა კეისარი, ცოლი და დედა მოაკვლევინაო, ლიგია პოპეას იცნობდა ავლუსის სტუმრებისა და მსახურებისაგან; გაგონილი ჰქონდა, რომ ღამღამობით მის ქანდაკს ანგრევენ; წარწერების ამბავიც იცოდა და ისიც, რომ წარწერებისათვის ხალხს სასტიკად სჯიდნენ და მაინც ქალაქის კედლებზე ყოველ დილით ახლები ჩნდებიან. ლიგია ამ დიდებული პოპეას შემხედვარე, რომელსაც ქრისტეს მიმდევარნი ბოროტებისა და დანაშაულის განხორციელებად სთვლიდნენ, ფიქრობდა: ასეთი მშვენიერი მხოლოდ ანგელოზი ანუ ციური სული თუ შეიძლება იყოსო. თვალი ვეღარ მოაშორა და უნებლიეთ კითხა ვინიციუსს.

– ჰოი, მარკუს, ნუთუ შესაძლოა ასეთი მშვენიერება.

შეზარხოშებული ვინიციუსი ძალზე უკმაყოფილო იყო, რომ ლიგიას ყურადღება მას ჩამოეცალა და ქალს მიუგო:

– დიახ, მშვენიერია, მაგრამ შენ ასჯერ მეტად მშვენიერი ხარ. შენს თავს არ აფასებ, რომ აფასებდე – ნარცისის ამბავი დაგემართებოდა. ის ვირის რძეში ბანაობს, შენ კი, უეჭველია, ვენერამ თავის რძეში გაბანავა. შენს თავს არ იცნობ, ocelle mi!.. იმას ნუ უცქერი, მე მომპყარი თვალი, ocelle mi!.. ტუჩებით შეეხე ამ ღვინოთ სავსე თასს, მერე იმ ადგილას მე დავეწაფები.

იგი სულ ახლოს მიიწევდა ქალისკენ, ლიგია კი აქტეასაკენ მიჩოჩავდა, ამ დროს სიჩუმე მოითხოვეს, რადგან კეისარი წამოდგა. მომღერალმა დიოდორემ დელტად წოდებული კითარა მიართვა. მერე ტერპნოსი, მისი სიმღერისთვის რომ მუსიკა უნდა შეეწყო, მიუახლოვდა ნაბლიუმად წოდებული საკრავით, ნერონი დელტით მაგიდას დაეყრდნო, თვალები მაღლა აღახვნა და უმალვე ტრიკლინიუმში სიჩუმე ჩამოვარდა; ამ სიჩუმეს მხოლოდ ჭერიდან ჩამოცვენილი ვარდების ხმა არღვევდა.

კეისარმა ორი კითარის შეწყობით ვენერას ჰიმნი დაიმღერა, უფრო სწორად, ჩაიღიღინა, ცოტა არ იყოს, დახშული ხმა საწუნარი არ იყო, არც ლექსი გახლდათ ურიგო, ისე რომ, ლიგიამ ხელახლა სინდისის ქენჯნა იგრძნო; წარმართული ღმერთქალის ვენერას მადიდებელი ჰიმნი მშვენიერ ჰიმნად ეჩვენა, თვითონ კეისარიც დაფნის გვირგვინით და ცისკენ აღმართული თვალებით დიდებულად დაესახა. ნერონი ისეთი საშიშარი და საზარელი აღარ იყო, როგორც ნადიმის დაწყებისას.

მონადიმეთა ტაშისცემა ატეხეს. გარშემო გაისმა: „ ეს რა ციური ხმაა“?

ზოგმა მანდილოსანმა აღტაცების ნიშნად ხელები მაღლა აიღო და ისევე დარჩა. სხვები ცრემლიან თვალებს იწმენდდნენ; დარბაზში ისეთი ხმაურობა ატყდა; თითქოს ფუტკრის სკაარ.

პოპეამ თმახუჭუჭა თავი დახარა, ნერონის ხელი ტუჩებთან მიიტანა და მდუმარეს დიდხანს ეჭირა ასე. ახალგაზდა ბერძენი პითაგორა, იშვიათი სილამაზის პატრონი, ფეხებში ჩაუვარდა, ეს ის პითაგორა გახლდათ, შემდეგ თითქმის ჭკუიდან შეშლილმა ნერონმა ქურუმებს რომ უბრძანა, ყველა წესის აღსრულებით დაგვაქორწინეთ მე და ეს ჭაბუკიო.

ნერონი ყურადღებით უცქეროდა პეტრონიუსს, რომლის ქება მისთვის მუდამ მეტად სასურველი მოსასმენი იყო. პეტრონიუსმა უთხრა კეისარს:

– რაიც შეეხება მუსიკას, ამ წამს ორფევსი შურით მთლად უნდა გაყვითლდეს, როგორც აქ მყოფ ლუკანუსს დაემართა, ხოლო ლექსი... ვწუხვარ, რომ უარესი არ არის, მაშინ იქნება მის საქებრად სიტყვები მომეპოვებინა.

ლუკანუსმა სულაც არ იწყინა შურის ხსენება, პირიქით, პეტრონიუსს მადლიერი თვალით შეხედა და განგებისი უკმაყოფილებით წაიბუტბუტა:

– წყეულიმც იყოს ბედი, რომელმაც ამისთანა ხელოვნის თანამედროვე მქნა! იქნებ რაიმე კვალი დამეტოვებინა ადამიანთა მეხსიერებაში, თუ პარნასზე, არადა ისე გავქრები, როგორც მზის სინათლე აქრობს სანათურს.

პეტრონიუსი საკვირველი მეხსიერების პატრონი იყო და ჰიმნის ზოგიერთი ადგილების განმეორება დაიწყო. ცალ-ცალკე აღებულ სტრიქონებს არჩევდა, აქებდა და ლამაზს სიტყვებს არკვევდა. ლუკანუსმაც რამდენიმე აღტაცებული სიტყვა დაურთო, თითქოს პოეზიის მშვენიერებამ შურიანობა გადაავიწყაო. ნერონის სახეს ნეტარება და უსაზღვრო თავმოწონება მოეფინა, რომელიც არათუ მოგაგონებდათ სისულელეს, მტკნარი სიბრიყვე იყო. თვითონ უკარნახებდა მათ საუკეთესოდ მიჩნეულ ლექსებს, ბოლოს ლუკანუსის დანუგეშებას მოჰყვა, ურჩევდა, ვაჟკაცობა არ დაეკარგა, რადგან ადამიანს ნიჭი დაბადებიდან დაჰყვებაო. მაინცდამაინც იუპიტერის თაყვანისცემა როდი უარყოფს სხვა ღმერთების თაყვანისცემასო.

შემდეგ ადგა მართლა შეუძლოდ მყოფი პოპეას გასაცილებლად, რადგან ქალმა წასვლა მოისურვა. სტუმრებს კი უბრძანა, თავ-თავისი ადგილი არ დაეტოვებინათ, ჩქარა დაბრუნებას დაჰპირდა. მართლაც ერთ წამს უკან მოვიდა, რომ თავი საცეცხლურის ბოლით გაებრუებინა და იმ სანახაობისთვის ეცქირა, რაც თვითონ იმან, პეტრონიუსმა ან ტიგელინუსმა ამ ნადიმისთვის მოამზადეს.

რამდენიმე ლექსი და დიალოგი წაიკითხეს. მათში მახვილგონიერება მთლად დაეთრგუნა პრანჭვა-გრეხას. შემდეგ შესანიშნავმა მიმმა პარისმა მეფე ინაქოსის ასულის იოს თავგადასავალი წარმოადგინა. სტუმრებს და მეტადრე ამისთანა სანახაობას შეუჩვეველ ლიგიას, ისე ეჩვენათ,

თითქოს სასწაულებსა და ჯადოქრობას უცქეროდნენ. პარისმა ხელებისა და ტანის მოძრაობით იმისი გამოხატვა იცოდა, რაც ცეკვას თითქოს არ შეეძლო. იმისი ხელები საოცარი სისწრაფით მოძრაობდნენ ჰაერში და ვნებისაგან შეძრული ნამდვილი ღრუბლის შთაბეჭდილებას ახდენდნენ. თითქოს ეს ღრუბელი საცაა უნდა მოეხვიოს გულშეღონებამდე მისულ, ნეტარებისაგან აცახცახებული ქალს. ეს ცეკვე არ გახლდათ, ეს იყო ცხადი სურათი, სიყვარულის საიდუმლოების განმაცხადებელი, ჯადოსნური და უსირცხვილო. შემდეგ შემოვიდნენ კორიბანტები და სირიელი მოცეკვავე ქალები. ციტრების, სალამურის, წინწილასა და დაირის დაკვრაზე ბახუსური ცეკვა აღასრულეს, ველური მოძრაობითა და უფრო კიდევ აშკარა თავგასულობით სავსე. ლიგიას ეგონა, ელვა დასწვავდა ან სასახლეს მეხი დაეცემოდა ან ჭერი ჩამოიქცეოდა და მონადიმეთ გასრესდა.

მაგრამ ჭერზე მიმაგრებულ ოქროს ბადიდან მხოლოდ ვარდები ცვიოდნენ. შეზარხოშებული ვინიციუსი კი ეჩურჩულებოდა მას:

– მე შენ ავლუსის სახლში გნახე აუზთან და შეგიყვარე. თენდებოდა, შენ გეგონა, არავინ გიცქეროდა, მე კი გხედავდი. აქამდე სულ ის ხატება მიდგას თვალწინ, თუმცა ჩემს თვალთაგან პეპლუმი გფარავს. კრისპინილას მიბაძე და პეპლუმი გაიხადე, ხედავ?.. ღმერთები და ხალხი სიყვარულს ეძებენ. სიყვარულის გარდა ქვეყანაზე არა არის რა. მკერდზე მომეყრდენ და თვალები დახუჭე.

ლიგიას საფეთქლებში სისხლი მოაწვა. მოეჩვენა თითქოს სადღაც უფსკრულში მიექანება, ხოლო ვინიციუსი, წეღან რომ მახლობლად და ერთგულად მიიჩნია, დახმარების მაგივრად უფსკრულისაკენ უბიძგებს. სწყინდა მისი საქციელი. ისევ ეწვია შიში, შეეშინდა ამ ნადიმის, ვინიციუსისაც და თავისი თავისაც. პომპონას ხმის მსგავსი ხმა იდუმალ ჩასძახოდა: „ლიგია, თავს უშველე!'' მაგრამ სხვა ხმა ეუბნებოდა, თავის შველა გვიანღაააო. ვისაც ასეთი ცეცხლი მოედო, ვინც ნახა ყოველივე, რაც ამ ნადიმზე მოხდა, ვისაც ლიგიასავით ათრთოლებია გული, ის სამუდამოდ დაიღუპა. ქალი შეწუხდა, ეგონა, ახლავ გული შემიღონდებაო, იცოდა, რომ ნერონის რისხვის შიშით არავის შეეძლო ადგომა, ვიდრე თვითონ კეისარი არ ადგებოდა, თუმცა ეგეც რომ არა, მაინც ფეხს ვერ მოიცვლიდა, ღონე აღარ ეყოფოდა.

ნადიმის დასასრული კი ჯერ შორს იყო. მონებს სულ ახალი კერძები გამოჰქონდათ და წამდაუწუმ თასებს ღვინით ავსებდნენ. ორი ფალავანი გამოცხადდა და ჭიდაობა დაიწყო. ზეთისგან მოელვარე სხეულები კლდის ერთ ვეება ნამსხვრევად გადაიქცა. ერთის ძვალი მეორის რკინის ხელებში ღრაჭუნობდა, კრიჭაშეკრული პირიდან კბილთა ღრჭენის ბედითი ხმა ამოდიოდა. დროდადრო ზაფრანამოყრილ იატაკზე ყრუდ მოისმოდა ფეხების ტყაპუნი. ფალავნებს ხან საძრაობა დაეკარგებოდათ, მშვიდდებოდნენ და მაშინ მაცქერალთ თვალწინ ქვის ქანდაკებებს ემსგავსებოდნენ. რომაელნი მეტისმეტად დაჭიმულ ხელებსა და კუნთებს დიდი სიამოვნებით ადევნებდნენ თვალს, მაგრამ ჭიდაობა ჩქარა გათავდა. კროტონი- გლადიატორთა სკოლის

მასწავლებელი და გამგე, ტყუილად ხომ არ ითვლებოდა მთელ სახელმწიფოში პირველ ფალავნად. მისმა მოწინააღმდეგემ უფრო და უფრო აჩქარებული ქშენა მორთო, მერე სახე გაულურჯდა, ბოლოს პირიდან სისხლი ამოანთხია და ძირს დაეცა.

ტაშის გრიალით მიესალმნენ ჭიდაობის დასასრულს, ხოლო კროტონმა მოწინააღმდეგეს მხრებზე ფეხი მიაბჯინა, ძალუმი ხელები გულზე დაიკრიფა და მოზეიმის თვალი დარბაზში მიმოატარა.

მას უკან გამოვიდნენ ნადირთა მიმბაძველნი, თვალთმაქცები და მასხარები. მაგრამ მათ ყურადღება ნაკლებად მიაპყრეს, რადგან მაცქერალთ ღვინომ უკვე თვალები აუბა. ნადიმი თანდათან მთვრალ, თავაშვებულ ღრიანცელად გადაიქცა. სირიელი ქალები წეღან რომ ბახუსის ცეკვას ასრულებდნენ, სტუმრებში აირივნენ. მუსიკა ციტრების, კითარების, სომხური ციმბალების, ეგვიპტური სისტრონების, ბუკებისა და საყვირების უწესრიგო ველურ ბრახაბრუხად გადაიქცა და, რადგანაც მონადიმეთ ლაპარაკი სურდათ, მემუსიკეთ ყვირილი დაუწყეს, დარბაზიდან გადითო. თანდათან დამძიმდა ტრიკლინიუმის ჰაერი, ვარდებისა და ზეთების სურნელებით შეზავებული, სურნელოვან ზეთს მშვენიერი პატარა ბიჭები სტუმრებს ფეხებზე უსვამდნენ. სინათლეები ბუნდად ენთო. გვირგვინები მონადიმეთ გვერდზე ჩამოუცვიდნენ, სახეები გაუფითრდათ და ზედ ოფლი დაესხათ. ვატინიუსი მაგიდის ქვეშ ჩავარდა. ნახევრად გაშიშვლებულმა ნიგიდიამ თავისი მთვრალი, ბავშური თავი ლუკანუსს მიადო მკერდზე, ამანაც, რაკი თვითონაც მთვრალი იყო,

თმაზე შეუბერა და ოქროს ფიფქი გადააცალა. მერე ჰაერში მოფარფატე ფიფქს საოცარი ნეტარებით დაუწყო ცქერა. ვესტინიუსი მეათეჯერ იმეორებდა მოპსოსის პასუხს, პროკონსულის წერილზე მიცემულს. ტუსიუსმა, მასხრად რომ იგდებდა ღმერთებს, მოდუნებული ხმით თქვა:

– თუ ქსენოფანეს სფეროსი მრგვალია მაგისთანა ღმერთს კათხასავით წინ გაიგორებ.

მაგრამ დომიციუსს აფერი, ძველი ბოროტმოქმედი და მაბეზღარა, ამ სიტყვაზე აირია და განრისხებისაგან ტუნიკაზე ფალერნის ღვინო გადისხა. იმას ღმერთები მუდამ სწამდა. ხალხი ლაპარაკობს, რომი დაიღუპებაო, ისეთებიც არიან, ამტკიცებენ, იღუპება და ეგ არიო. მართალნი არიან!.. და

თუ ეს მოხდეს, მარტო იმიტომ მოხდება, რომ ყმაწვილკაცობამ სარწმუნოება დაკარგა. საცა სარწმუნოება არაა, არც სათნოება შეიძლება იყოს. ამას გარდა ძველი, მკაცრი ჩვეულებები აითვალისწუნეს და ფიქრად არავის მოსდის, რომ ეპიკურეს მიმდევარნი ბარბაროსებს ვერ დაუდგებიან წინ. თვითონ მხოლოდ იმას ნანობს, რომ ამისთანა დროს მოესწრო და იძულებულია, ტკბობაში ეძებოს მწუხარების გაქარვება, თორემ უამისოდ დიდი ხანია საფლავში ჩააწვენენ.

ეს თქვა და სირიელი მოცეკვავე თავისკენ მიიზიდა. უკბილო ტუჩებით მხრებსა და ზურგზე დაეკონა. კონსულმა მემიუს რეგულუსმა რომ ეს დაინახა, მელოტი გვირგვინმოქცეული თავი მაღლა აიღო და წარმოთქვა:

– ვინ ამბობს, რომ იღუპებაო?.. სისულელეა!.. კონსული ვარ და ყველაზე უკეთ ვიცი... Videant consules!.. ჩვენი იმპერიის უშიშროებას ოცდაათი ლეგიონი იცავს.

ხელები საფეთქლებზე მიიდო და მთელ დარბაზს გადაჰყვირა:

– ოცდაათი ლეგიონი... ოცდაათი ლეგიონი!... ბრიტანიიდან პართელების საზღვრამდე!

მაგრამ უცებ შედგა, თითი შუბლზე მიიდო და დაუმატა:

– არა! მგონია ოცდათორმეტიც არის...

დომიციუსი რომის მშვიდობიანობის დამცველი ლეგიონების სიმრავლემ მაინც ვერ დაამშვიდა, არა, არა! რომი უნდა დაიღუპოს, იმიტომ რომ ღმერთების რწმენა დაიკარგა, სასტიკ ჩვეულებაზე ხელი აიღეს! რომი უნდა დაიღუპოს... დასანანი კია! სიცოცხლე ესოდენ კარგია, კეისარი მოწყალეა, ღვინოც ისეთი მშვენიერია! ჰოი, რარიგ დასანანია, მერე თავი სირიელ მოცეკვავეს მიადო ზურგზე და ტირილი დაიწყო... – რა მესაქმება მომავალ ცხოვრებასთან? აქილევსი მართალი იყო, რომ თქვა: „ მთვარის ქვეშეთში მუშად ყოფნა მირჩევნია კიმერიელთა ქვეყანაში მეფობასო.'' არსებობენ კია ღმერთები, როცა ურწმუნოება ასე ღუპავს ახალგაზრდობას.

ნიგიდია მთლად დათვრა და ჩაეძინა, ლუკანუსმა ოქროს ფიფქი მთლად გადაუფრქვია, ახლო მდგარი ლარნაკიდან ფათალო აიღო და გარს შემოახვია, მერე იქ მყოფთ გახარებული და გამომცდელი სახით შეხედა. შემდეგ ფათალო თვითონაც შემოიხვია და თავდაჯერებით დაიყვირა.

– მე სულაც არა ვარ ადამიანი, ფავნუსი ვარ.

პეტრონიუსი არ იყო მთვრალი, ნერონი თუმცა კი თავდაპირველად „ღვთაებრივ ხმას'' უფრთხილდებოდა, ცოტასა სვამდა, ბოლოს თასი თასს მიაყოლა და შეზარხოშდა. თავის სხვა ლექსების მღერასაც აპირებდა, ამ-ჯერობაზე ვითომც ბერძნული შეარჩია, მაგრამ დაავიწყდა და შეცდომით ანაკრეონტის ლექსის მღერა დაიწყო. მას ხმა ააყოლეს პითაგორამ, დი-ოდორემ და ტერპნოსმა, მაგრამ როგორღაც ხმები ვერ შეაწყვეს და სიმღე-რას თავი დაანებეს. ნერონი, როგორც მშვენიერების თაყვანისცემელი და გამგები, პითაგორას სილამაზემ აღტაცებაში მოიყვანა და ხელებზე დაუწყო კოცნა. ამისთანა მშვენიერი ხელები ოდესღაც მინახავსო, მაგრამ ნეტავ ვი-სიო.

სველ შუბლზე მიიდო თითი, ცდილობდა, მოეგონებინა. უცებ სახეზე ში-ში მოეფინა.

– ჰო, მართლა, დედაჩემს – აგრიპინას ჰქონდა ასეთი ხელები, – და კეი-სარს შავბნელი მოჩვენებანი შემოადგნენ გარსს.

– ამბობენ, – თქვა მან, – რომ მთვარიან ღამეს ზღვაზე ბაიასა და ბაულის სიახლოვეზე დანავარდობს... სხვას არას აკეთებს. სულ დადის და დადის, თითქოს რაღაცას ეძებსო. ნავს მიუახოვდება და უკანვე ბრუნდება. მაგრამ რომელ მებადურსაც შეხედავს – ის მებადური უმალვე მოკვდება.

– ურიგო თემა არ გხლავთ, – აღმოხდა პეტრონიუსს.

ხოლო ვესტინიუსმა წეროსავით კისერი გასჭიმა და საიდუმლო ხმით წა-იჩურჩულა:

– მე ღმერთები არა მწამს, მაგრამ სულების კი მწამს.

ნერონმა მათ სიტყვას ყური არ ათხოვა და განაგრძო:

– ბოლოს მე ლემურია გადავიხადე. მისი ნახვა არა მსურს. ახლა კი მე-ხუთე წელიწადია. სიკვდილით უნდა დამესაჯა იმიტომ, რომ მკვლელები მომიგზავნა, მე რომ დედაჩემისთვის არ დამესწრო, დღეს ჩემს სიმღერას ვერ მოისმენდით.

– მადლოებელი ვართ, კეისარო, რომისა და მთელი ქვეყნის სახელით, – დაიძახა დომიციუსმა.

– ღვინო! ბობღანები აახმიანეთ.

ხელახლა ატყდა ხმაური. ფათალოთი შეხლართული ლუკანუსი, ყველა უნდა გავაყრუოო, ადგა და საშინელი ღრიალი მორთო:

– მე ადამიანი არა ვარ, ფავნუსი ვარ და ტყეში ვცხოვრობ!

– eho-o-o-o-o!

კეისარი ახლა კი მთვრალი იყო, ყველა დათვრა, კაცებიც და ქალებიც. ვინიციუსი სხვაზე ნაკლებ არ იყო მთვრალი, მეტისმეტად აღგზნებული ჩანდა და თან ძალიან უნდოდა, ვინმეს წაჩხუბებოდა. ყოველთვის ასე იცოდა, როცა ღვინო მეტი მოუვიდოდა. შავგრემანი სახე გაუფითრდა და მაღალ-ფარდოვანი ლაპარაკი რომ დაიწყო, ენა აერია.

– ერთი მაკოცნინე! დღეს იქნება თუ ხვალ, სულ ერთი არ არის? კმარა ეგეები! კეისარმა ავლუსისაგან იმიტომ წამოგიყვანა, რომ ჩემთვის ეჩუქებინე.გესმის? ხვალ საღამოზე შენს

წამოსაყვანად გამოვგზავნი მონას, გესმის? კეისარი, სანამ აქ მოგიყვანდა, შენ თავს დამპირდა... ჩემი უნდა გახდე! მაკოცე, ხვალამდე დაცდა არა მსურს, ჩქარა მაკოცე!

და ლიგიას მოეხვია. მაგრამ აქტეა წაესარჩლა და თვითონ ყმაწვილი ქალიც იგერიებდა ვინიციუსს, თუმცა გრძნობდა, რომ ძალ-ღონე ღალატობდა და საცაა დაიღუპებოდა. ამაოდ ცდილობდა ვაჟის ხელის მოშორებას. შეშინებული და შეურაცხოფილი ხმით ამაოდ ემუდარებოდა-საძაგლობას ნუ სჩადიხარ, შემიბრალეო. ღვინის სუნი თანდათან ახლოს ეფინებოდა ლიგიას, უწინდელი კეთილი, ლამის ძვირფასი ვინიციუსი აღარ იყო, მისი ადგილი მთვრალსა და ბოროტ სატირს დაეჭირა, რომელიც მხოლოდ შიშსა და საშინელ ზიზღს ჰგვრიდა ქალს.

ლიგიას ძალ-ღონე თანდათან ეკარგებოდა. ამაოდ გადახარა თავი უკან, რათა პირისახე ვინიციუსის კოცნისათვის მოერიდებინა, ვაჟმა თავი აუწია მკერდზე მიიკრა და ტუჩებით ლიგიას გაფითრებულ ტუჩებს დაეწაფა.

იმ წამსვე რაღაც საშინელმა ძალამ ვაჟის ხელები ქალს ჩამოაშორა, ხოლო თვითონ ვინიციუსი გამხმარი ყლორტივით თუ დამჭკნარი ფოთოლივით გვერდზე მიაგდო. რა მოხდა? ვინიციუსმა თვალები მოისრისა და უცებ დაინახა რომ თავს ადგა უზარმაზარი ლიგიელი ურსუსი, რომელიც ადრე ავლუსთან ენახა.

ლიგიელი დამშვიდებული სახით იდგა და მხოლოდ თავისი ცისფერი თვალებით ისე უცნაურად უცქეროდა, რომ ყმაწვილ კაცს სისხლი გაეყინა. შემდეგ ურსუსმა თავისი მეფის ასული ხელში აიყვანა და დინჯი ნაბიჯით ტრიკლინიუმიდან გავიდა.

აქტეაც მაშინვე თან გაჰყვა მათ.

ვინიციუსი ერთ წამს გაქვავებული იჯდა, შემდეგ წამოხტა და გასავლისაკენ გაიქცა ყვირილით:

– ლიგია, ლიგია!

მაგრამ დაუკმაყოფილებელმა ვნებამ, გაოგნებამ და გაშმაგებულმა გაცოფებამ და ღვინომ მუხლები მოუდუნეს. ერთხელ წაბორძიკდა, მეორედ და ბოლოს ერთი ბახუსის მსახური ქალის ტიტველ მკლავს მოეჭიდა და თვალის ხამხამით შეეკითხა:

– რა მოხდა? რა მოხდა?

ქალმა თავისი დაბინდული თვალებით გაუღიმა, ღვინით სავსე თასი მისცა და უთხრა:

– დალიე!

ვინიციუსმა დალია და იატაკზე გაიშხლართა.

სტუმრის მეტი წილი სუფრის ქვეშ ეყარა. ვინც კი დარჩა, ზოგი ტრიკლინიუმში ბარბაცით დადიოდა, ზოგს ადგილზევე ეძინა, ხმამაღლა ხვრინავდნენ და ზედმეტ ღვინოს არწყევდნენ. ხოლო მთვრალ კონსულებსა და სენატორებზე, მთვრალ მხედრებზე, პოეტებსა და ფილოსოფოსებზე, მთვრალ მოცეკვავეებსა და პატრიციების მეუღლეებზე, ხალხზე – ჯერაც ყოვლისშემძლებელ, მაგრამ უსულგულო, თავაშვებულ და გაქრობის პირას მომდგარ ხალხზე ჭერში მიმაგრბული ოქროს ბადიდან სულ ცვიოდნენ და ცვიოდნენ ვარდები.

გამთენიის ხანი იყო.

თავი მერვე

ურსუსი არავის შეუყოვნებია, ისიც კი არავის უკითხავს, რას სჩადიხარო. კეისრის მსახურთ, უზარმაზარი კაცი რომ ხელში აყვანილი ქალით დაინახეს, ეგონათ, ვინმე მონას თავისი დამთვრალი ქალბატონი შინ მიაქვსო. ამასთან ლიგიელს აქტეა მისდევდა და ამან ხომ მთლად გაუქარწყლა ყველას ეჭვი.

ურსუსი თავისი ტვირთით ტრიკლინიუმიდან გვერდითა ოთახში გავიდა, ხოლო აქედან აქტეას ბინისაკენ მიმავალი ტალანი გაიარა.

ლიგია ისე იყო დასუსტებული, რომ ურსუსის ხელებზე მკვდარივით იდო, მაგრამ დილის გრილი და სუფთა ჰაერი რომ მოხვდა, თვალები გაახილა. ნათელმა იმატა. სვეტებიდან ურსუსმა გვერდით შეუხვია და აქედან

ეზოში კი არა ბაღში გავიდა, სადაც ფიჭვისა და კვიპაროსების კენწეროები დილის ცისკარს უკვე შეეწითლებინა. სასახლის ეს ნაწილი ცარიელი იყო, მუსიკის ხმა და მონადიმე ხალხის ღრიანცელი აქამდე ძლივსღა აღწევდა. ლიგიას ეჩვენებოდა, რომ ჯოჯოხეთს გამოსტაცეს და ღვთით გაჩენილ ქვეყანაზე გამოიყვანეს. მაშ იმ საზიზღარ ტრიკლინიუმის გარდა სხვა რამეც ყოფილა- ყოფილა ცა, ცისკარი, სინათლე და მყუდროება. ქალმა უცებ ტირილი მორთო, ურსუსის მხარს მიეკრა და თვალცრემლიანმა რამდენჯერმე გაუმეორა:

– შინ წავიდეთ, ურსუს, შინ, ავლუსთან!

– წავიდეთ, – უპასუხა ურსუსმა.

პატარა ატრიუმამდე უკვე მივიდნენ, იგი აქტეას ბინას ეკუთვნოდა. ურსუსმა ლიგია მარმარილოს სკამზე დასვა, შადრევნის მოშორებით. აქტეა ამშვიდებდა მას და ურჩევდა, დაისვენეო. თან არწმუნებდა, ჯერხანად არავითარი საშიშროება არ გემუქრება, რადგან კეისრის მთვრალ სტუმრებს ნადიმის შემდეგ საღამომდე ეძინებათო. მაგრამ ლიგია ვერ დამშვიდებულიყო. საფეთქლებზე ხელმიდებული ბავშვივით გაიძახოდა:

– შინ წავიდეთ, ავლუსთან.

ურსუსი მზად იყო, მისი სურვილი აესრულებინა. მართალია, კარებთან პრეტორიელები იდგნენ, მაგრამ იმას გასვლას არ დაუშლიდნენ, რადგან ჯარისკაცები მიმავალ ხალხს არ აბრკოლებდნენ. თანდათან ტახტრევნები ირევიან. ხალხი ჯგუფ-ჯგუფად იწყებს გასვლას.მათ არავინ შეაყენებს. სხვებთან ერთად გავლენ და პორდაპირ შინისაკენ გასწევენ. თუმცა რა ურსუსის საქმეა? როგორც მეფის ასული ბრძანებს, ისე უნდა მოხდეს, იმიტომ მიუჩინეს ლიგიას, რომ ქალის ყველა ბრძანება აღასრულოს.

ლიგია კი იმეორებდა:

– ჰო, ურსუს, აქედან გავიდეთ!

მაგრამ აქტეა ორივეზე გონიერი გამოდგა. წასვლით აქედან წავლენ, დიახ, არავინ შეაყენებს, მაგრამ კეისრის სახლიდან გაქცევის ნება არავის აქვს, და ვინც ამას სჩადის, მის დიდებულებას შეურაცყოფს, ისინი წავლენ, მაგრამ საღამოზე ცენტურიონი ჯარისკაცთა რაზმის თანხლებით ავლუსსა და პომპონია გრეცინას სიკვდილით დასჯის განაჩენს მიუტანს, ხოლო ლიგიას ისევ სასახლეში წამოიყვანენ და მაშინ მას ვეღარ დაიფარავს რა, თუ ავლუსმა იგი შეივრდომა, უეჭველად სიკვდილი ელის.

ლიგიას იმედი გადაუწყდა. ხსნა არსაით იყო. არჩევანი ქალზეა მოგდებული: ან ავლუსი უნდა დაიღუპოს ან თვითონ ლიგია, ნადიმზე რომ მიდიოდა, იმედი ჰქონდა, ვინიციუსი და პეტრონიუსი კეისარს შეევედრებიან, პომპონიასთან დამაბრუნოსო. ახლა კი იცოდა, რომ სწორედ იმათ სთხოვეს კეისარს ავლუსისაგან წამოეყვანა კეისარს, ხსნა არსით იყო. მხოლოდ სასწაულს შეეძლო ამ უფსკრულიდან დაეხსნა, სასწაულსა და ყოვლისშემძლებელ ღმერთს.

– აქტეა, – სასოწარკვეთილებით უთხრა ლიგიამ, – გაიგონე, ვინიციუსმა რომ თქვა: კეისარმა შენი თავი მე მაჩუქაო და დღეს საღამოზე მონებს გამოვგზავნი შენს წასაყვანადო.

– გავიგონე, – უთხრა აქტეამ და ხელები გაშალა. ლიგიას სასოწარკვეთილება მაინცდამაინც გულზე არა ხვდებოდა. თვითონ ისიც ნერონის საყვარელი გახლდათ. გულკეთილი იყო, მაინც იმისი ნიჭი არ ქონდა, ამისთანა დამოკიდებულების დამცირება ეგრძნო. როგორც ყოფილ მონას, ძვალრბილში გაჯდომოდა მონური სული და ამას გარდა ახლაც უყვარდა ნერონი. კეისარს რომ მისი დაბრუნება მოენდომებინა, ბედნიერი ქალი ორივე ხელს გაუწოდებდა. აქტეა ხედავდა აშკარად, რომ ლიგია ან ახალგაზრდა ლამაზი ვინიციუსის საყვარელი უნდა გახდეს ან თავისი თავიც და ავლუსიც უნდა დაიღუპოს. ახალგაზრდა ქალის ყოყმანი ვერა გზით ვერ აეხსნა.

– კეისრის სახლში, – პატარა ხანს უკან აუხსნა მან ლიგიას, – უფრო დიდი საფრთხე გელის, ვიდრე ვინიციუსთან.

და ის ვერ წარმოიდგინა, რომ თუმცა მართალსაც ამბობდა, – მისი სიტყვები ნიშნავდნენ: ბედს დაემორჩილე და ვინიციუსის საყვარელი გახდიო, ლიგია ჯერაც გრძნობდა თავის ტუჩებზე ვაჟის ცეცხლივით მწვავე კოცნას, ცხოველური ვნებით სავსეს და იმის გახსენებისას სახეზე სისხლი მიაწვა.

– არასოდეს! – შეშფოთებით წამოიყვირა, – არც აქ დავრჩები და არც ვინიციუსთან!

აქტეას ეს აღელვება გაუკვირდა.

– განა, – ჰკითხა მან, – ასე გეჯავრება ვინიციუსი?

ლიგიამ პასუხი ვერ გასცა, ისევ ცრემლი წასკდა. აქტეამ გულზე მიიკრა და დამშვიდება დაუწყო. ურსუსი მძიმედ სუნთქავდა და თავის დიდრონ ხელებს მუშტავდა: რაკი თავისი მეფის ასული უყვარდა, იმის ტირილს ვერ

იტანდა, ერთ წამს იფიქრა, მოდი, დარბაზში დავბრუნდები, ვინიციუსს წავახრჩობ და თუ დამჭირდა კეისარსაც მივაყოლებო. ამ სურვილს თავის ქალბატონს ვერ გაუმჟღავნებდა, რადგან ჯვარცმულ ქრისტეს მაღიარებელს ასეთი საქციელი არ შეეფერებოდა.

აქტეამ ლიგია დაამშვიდა და თავისი კითხვა გაუმეორა:

– ნუთუ ასე გეჯავრება ვინიციუსი?

– არა, – უპასუხა, – იგი არ უნდა მეჯავრებოდეს, რადგან ქრისტიანი ვარ.

– მე ეგ ვიცი, ლიგია; პავლე ტარსელის ეპისტოლეებიდან ისიც ვიცი, რომ ნება არა გაქვთ სამარცხვინო საქციელისა და ცოდვისა უფრო მეტად უნდა გეშინოდეთ ვიდრე სიკვდილისა. მაგრამ ერთი მითხარ: განა შენი სარწმუნოება ნებას გაძლევს ვისმე სიკვდილი მიუვლინო?

– არა.

– მაშ რად გინდა კეისრის რისხვა ავლუსის სახლს დაატეხო თავს?

დუმილის წამი დადგა. ლიგიას წინ ხახადაღებული უფსკრული გაიხსნა. აქტეამ განაგრძო:

– მე იმიტომ გკითხე, რომ შენც მებრალები, კეთილი პომპონია და მისი შვილიც მებრალება. მე აქ დიდი ხანია ვცხოვრობ და ვიცი, რას მოასწავებს კეისრის რისხვა. არა, თქვენი აქედან გაქცევა არ იქნება. შენ ერთი გზაღა გაქვს. შეევედრე ვინიციუსს, აქედან პომპონიასთან გაგგზავნოს.

მაგრამ ლიგიამ დაიჩოქა, რომ ლოცვით ვიღაც სხვისთვის მიემართა. ურსუსიც მის მაგალითს მიყვა და ორთავემ კეისრის სასახლეში ცისკრისას ლოცვა დაიწყეს.

აქტეამ იმისთანა ლოცვა პირველად ნახა და ლიგიას თვალი ვეღარ მოაშორა. ლიგია ნახევრად იყო მისკენ მიბრუნებული, თავი და ხელები აეწია და თვალები ცისკენ მიეპყრო, თითქოს შველას იქიდან მოელისო, დილის სხივები მოჰფენოდა მის შავ თმასა და თეთრ პეპლუნს, თვალებში უკიაფებდა და ლიგია მთლად გასხივოსნებული იდგა. ქალს გაფითრებულ სახეზე, ღია ტუჩებზე, ცად აპყრობილ თვალებსა და ხელებზე ეტყობოდა, არაქვეყნიურ აღტაცებას გრძნობდა. აქტეამაც ახლა გაიგო, თუ რატომ არ შეეძლო ლიგიას, ვისიმე საყვარლად გამხდარიყო. ნერონის ყოფილი საყვარლის წინ თითქოს იმ ქვეყნის დამფარავი ფარდის კალთა აიხადა, რომელიც მისთვის

ჩვეულ ქვეყანას სრულებით არა ჰგვანდა. აქტეა გააოგნა ლიგიას ლოცვამ ამ დანაშაულისა და გარყვნილების სასახლეში. ერთი წამის წინ დარწმუნებული იყო, ლიგიას ხსნა არ შეიძლებაო, ახლა კი სჯეროდა, შესაძლებელია რაიმე სასწაული მოხდეს და ისეთი საშველი გამოჩნდეს, რომ კეისარიც ვერ დაუდგეს წინო. იქნებ ქალის საშველად ციდან უცნობი ფრთოსანი ჯარი ჩამოვიდეს, ანდა მზემ თავისი სხივები შემოახვიოს და ზეცაში აზიდოს ლიგია. ადრე ქრისტიანებს შორის ბერვი სასწაული ჰქონდა გაგონილი და ახლა ფიქრობდა, რა თქმა უნდა, ყველაფერი მართალია და ლიგიაც სწორედ ამას ევედრებაო.

დასასრულ, იმედით სახეგაბრწყინებული ლიგია ადგა, ურსუსიც ადგა, სკამთან ჩაჯდა და თავის ქალბატონს მოლოდინის თვალი მიაპყრო, აბა რას უბრძანებდა.

ლიგიას თვალებს კი ბინდი მოეფინა და ორი მსხვილი ცრემლი ჩამოედინა ლოყებზე.

– აკურთხოს ღმერთმა პომპონია და ავლუსი, – თქვა მან, – როგორ იქნება, საფრთხეში ჩავაყენო ისინი. არა, იმათ ვეღარასოდეს ვნახავ.

მერე ურსუსს მიმართა, მთელ ქვეყანაზე შენღა მყავხარო, ჩემი მამაცი და მფარველიც შენ უნდა იყოო. ვერც ავლუსს შევაფარებ თავს, ვერც აქ დავრჩები და ვერც ვინიციუსის სახლში გადავალო.

ურსუსმა უნდა გაიყვანოს იგი ქალაქიდან, დამალოს ისეთ ადგილას, სადაც ვინიციუსი და მისი მსახურნი ვერ იპოვიან. ყველგან გამოგყვებიო, ემუდარებოდა ურსუსს, თუნდა ზღვებს იქით წამიყვანე, თუნდა ცხრა მთა გადამატარე, ბარბაროსებთან მიმიყვანე, სადაც რომის სახელი არც კი გაუგონიათ, სადამდე კეისრის უფლება არ მისულაო. შენ უნდა მიშველო და მიხსნა, მეტი პატრონი არა მყავსო.

ლიგიელი მზად იყო, ნიშნად მორჩილებისა დაიხარა და ფეხებზე მოეხვია. მაგრამ სასწაულის მომლოდინე აქტეას სახეზე იმედის გაცრუება გამოეხატა. მარტო ეს მოიტანა ლოცვამ? კეისრის სახლიდან გაქცევა – დიდებულის შეურაცყოფა, ასეთი დანაშაული ხომ დაუსჯელად არ ჩაივლის, და თუნდა ლიგიას სადმე დამალვა მოუხერხდეს, კეისარი ჯავრს მაინც ავლუსზე ამოიყრის. თუ გაქცევა უდნა, ვინიციუსის სახლიდან გაიქცეს. მაშინ კეისა-

რი, რადგან წესად არა აქვს სხვის საქმეში ჩარევა, უეჭველია, ქალის მაძებარ ვინიციუსს არ უშველის. ასე იქნება თუ ისე, კეისრის შეურაცხყოფა მაინც არ დაბრალდება.

ლიგიამაც გადაწყვიტა, სწორედ ესე მოქცეულიყო, არც ავლუსს და არც პომპონიას არ ეცოდინებოდათ, სადაა იგი... გაიქცევა ვინიციუსის სახლიდან კი არა, არამედ მისკენ მიმავალი. სიმთვრალეში წამოცდა, რომ დღეს საღამოზე შენ წასაყვანად მსახურებს გამოვგზავნიო. უეჭველია, მართალი თქვა და ფხიზელი ყოფილიყო, ამას დამალავდა. აშკარაა, ან მარტომ ან

პეტრონიუსთან ერთად ნადიმამდე ინახულეს კეისარი, ლიგიას სთხოვეს და ნერონიც დაჰპირდა, ხვალ საღამოს მოგცემთო. თუ დღეს დაავიწყდა, ხვალ გამოგზავნის მონებს ლიგიას წასაყვანად. მაგრამ ურსუსი დაიხსნის მას. ტახტრევნიდან გამოიტაცებს, როგორც ტრიკლინიუმიდან გამოიტაცა და თავის გზას დაადგებიან. ურსუსს ვერავინ გაუძლებს. გუშინ რომ ტრიკლინიუმში საშიშარი გლადიატორი იყო, ისიც ვერ დაჯაბნის. მაგრამ ვინიციუსს შეუძლია, ძალიან ბევრი მონა გამოგზავნოს მის წასაყვანად, ამიტომ საჭიროა, ურსუსი ახლავ ეპისკოპოს ლანთან წავიდეს, რჩევა ჰკითხოს და შველა სთხოვოს. ეპისკოპოსი შეიბრალებს ქალს, ვინიციუსის ხელში არ ჩააგდებს და ქრისტიანებს უბრძანებს, ურსუსს დაეხმარონ. ვინიციუსის მონებს ქალს წაართმევენ, შემდეგ ურსუსი ქალაქიდან გაიყვანს და სადმე დამალავს.

ღიმილმა გაუბრწყინა სახე ლიგიას და სიწითლე მოეფინა, გამხნევდა კიდეც, თითქოს ხსნის იმედი სინამდვილედ გადაექცაო. აქტეას ყელზე მოეხვია, ლოყებზე კოცნა დაუწყო და წასჩურჩულა:

– ხომ არ გაგვცემ, აქტეა?

– დედაჩემის აჩრდილს ვფიცავ, არ გაგცემთ, – უპასუხა აქტეამ, – მხოლოდ შენს ღმერთს შეევედრე, ურსუსს გაუმარჯვდეს.

ბედნიერება ჩაიღვარა ურსუსის ცისფერ გულკეთილ თვალებში. ვერაფრის მოგონება ვერ შეიძლო, თუმცა ცოდვილი თავი დიდხანს იმტვრია, მაგრამ ამ უბრალო საქმეს კი გააკეთებს. დღე იქნება თუ ღამე, მისთვის სულ ერთია, ეპისკოპოსთან წავა, იმიტომ, რომ ეპისკოპოსი ცაში კითხულობს, რა არის და რა არ არის საჭირო. ქრისტიანების მოკრება უამისოდაც შეიძლებოდა. განა ცოტა ნაცნობი ჰყავს – მონები, გლადიატორები, თავისუფალი ხალხიც, სუბურაშიც და ხიდებს გაღმაც! ათას კაცს შემოიკრებდა, თუნდა

ორი ათასსაც. ქალბატონს დაიხსნის, ქალაქიდანაც გაიყვანს, ერთად წავლენ, თუნდა ქვეყნის კიდემდე ერთად ივლიან, თავის სოფელ-ქვეყანასაც შეიძლება მიაღწიონ, სადაც რომი არავისაც არ გაუგონია.

ლიგიელმა თვალები სივრცეს მიაშტერა, თითქოს სურდა შორი მომავალი დაენახა, შემდეგ წარმოთქვა:

– ტყეში! მერე რა ფიჭვნარია, რა ფიჭვნარი!

ერთი წუთის შემდეგ ეს ჩვენება თავიდან მოიშორა.

დიახ, ეპისკოპოსთან ახლავე წავა, საღამოზე კი ასი კაცით ტახტრევანს დაუდარაჯდება. მონებმა კი არა, გინდა პრეტორიელებმა გამოაცილონ, ფიქრადაც ნურავინ გაბედავს, ლიგიელის მუშტებს

გაუმკლავდეს, თუნდაც რკინის აბჯარში იჯდეს. არც ეგრე მაგარია რკინა! თუ ერთი მაგრა ჩაარტყი, თავის ქალას რკინის მუზარადიც ვერ იხსნის.

ლიგიმ კი სერიოზული და თანაც ბავშვური სახით თითი მაღლა ასწია და უთხრა:

– ურსუს, „არა კაც ჰკლა!''

ლიგიელმა ხელი კეფასთან მიიტანა და შემკრთალმა წაიბუტბუტა: ხომ უნდა წაართვას მონებს – „თვისი მზე''... – მან, თვითონ ლიგიამ არ უთხრა, აბა შენ იციო?.. ეცდება კიდეც. იქნებ, უცაბედად რაიმე მოუხდეს?.. განა არ უნდა დაიხსნას ლიგია? თუ ცოდვა მოუხდა, დიდი გულმოდგინებით მოინანიებს, ისე გულმხურვალედ შეეევედრება უმანკო კრავს, ჯვარცმული კრავი უთუოდ მიუტევებს საბრალოს. უფლის განრისხება სულაც არ უნდა, მაგრამ რა ქნას, რომ ასეთი მძიმე ხელის პატრონია...

სახეზე გულმტკივნეულობა გამოეხატა; ეს რომ დაეფარა, ლიგიას თავი დაუკრა და უთხრა:

– წმიდა ეპისკოპოსთან მივდივარ.

აქტეა ლიგიას მოეხვია და ტირილი დაიწყო. იგი ამჯერობაზედაც დარწმუნდა, რომ არის რაღაც სამყარო, სადაც ტანჯვაც კი უფრო მეტ ბედნიერებას იძლევა, ვიდრე სიტკბოება და კეისრის სახლის ფუფუნება. ამჯერობაზედაც მის წინ სინათლისკენ მიმავალი კარი ყურთამდე გაიღო, მაგრამ ისიც იგრძნო, ღირსი არ ვარ ამ კარის ზღურბლზე გადავაბიჯოო.

თავი მეცხრე

ლიგიას პომპონია გრეცინა ენანებოდა, იგი სულითა და გულით უყვარდა; ავლუსის მთელი ოჯახი ენანებოდა, მაგრამ მისმა მწუხარებამ გაიარა. ახლა სანუგეშოდაც კი ჰქონდა, ჭეშმარიტების გულისთვის უხვსა და მოხერხებულ ცხოვრებას უარვყოფ და საბრალო მაწანწალას გზას ვადგებიო... იქნებ ამაში ცოტაოდენი ბავშვური ცნობისმოყვარეობაც იფარებოდა, იქნებ ლიგიას უნდოდა გაეგო, თუ როგორი ცხოვრება ექნებოდა სადღაც შორს, ბარბაროსებსა და ველურ ნადირებს შორის. მაგრამ უფრო მეტად კი ღრმა და წრფელი რწმენა ამოძრავებდა, ფიქრობდა, ჩემი საქციელით ღვთაებრილი მოძღვრების მცნებას ვასრულებ და თვითონ ის მოძღვარი დამიფარავს, როგორც გამგონე და ერთგულ შვილსო. მაშ ამიტომაც ცუდი არა შეემთხვევა რა... თუ რაიმე უბედურება დამემართა – ღვთის სახელით იმასაც ავიტანო. მოულოდნელი სიკვდილი მომევლინება – ქალი დაუხვდება მას, ხოლო როცა პომპონია მოკვდება, მაშინ საუკუნოდ შეერთდებიან. ჯერ ისევ ავლუსის სახლში რამდენჯერ უნაღვლია, რომ ქრისტიანია და ჯერ არაფერი მსხვერპლი არ მოუტანია ჯვარცმულისთვის, რომელზედაც ურსუსიც კი ესოდენი გრძნობით ლაპარაკობდა. ახლა კი დრო დაუდგა, ოცნება სისრულეში მოიყვანოს. ლიგია თავს თითქმის ბედნიერად გრძნობდა და თავის ბედნიერებაზე აქტეას ელაპარაკებოდა, მაგრამ ნერონის საყვარელყოფილს არ ესმოდა მისი. დატოვო ყველაფერი, დატოვო სახლი, ფუფუნება, ქალაქი, ბაღები, ტაძრები ყველა, რაც მეტად მშვენიერია; დატოვო მზის ქვეყანა, მახლობლები და

რის გულისთვის? იმისთვის, რომ ახალგაზრდა ლამაზი პატრიცის სიყვარულს დაემალო? აქტეას ვერაფერი გაეგო. ხანდახან ქალს გაუელვებდა, ამაში სიმართლე იმალება, იქნებ რამე დიდი, საიდუმლოებრივი ბედნიერებაცო, მაგრამ გარკვევით მაინც ვერ გარკვეულიყო. მით უფრო, რომ ლიგიას ერთი გასაჭირიც მოელოდა, რაიც თვითონ ლიგიელი მძევლის სიცოცხლესაც ემუქრებოდა. აქტეა ბუნებით მხდალი იყო, გაქცევაზე რომ ფიქრობდა, ძრწოდა, მაგრამ ლიგიასთვის ამ შიშის განდობა არ უნდოდა.

დღე დადგა და მზემასც ატრიუმში შემოაჭყიტა. აქტეა სტუმარს ურჩევდა, მოისვენე, აკი ღამე უძილოდ გაატარეო. ლიგია დასთანხმდა და ერთად შევიდნენ კუბიკულუმში. ეს ოთახი იმპერატორთან უწინდელი კავშირის მეოხებით მდიდრულად მორთული და მშვენივრად მოწყობილი იყო. ერთად დაწვნენ, მაგრამ დაღლის მიხედავად, აქტეას არ დაეძინა. დიდი ხანია, რაც

იგი ფიქრსა და სიმძიმილს მოეხელთებინა, მაგრამ ახლა რაღაც ჯერ არ-განცდილმა მოუსვენრობამ მოიცვა. აქამდე სიცოცხლე მხოლოდ უმიზნოდ ეჩვენებოდა, მომავალს მოკლებულად, ახლა კი უცებ სიცოცხლე საძრახი-სადაც ეჩვენა.

აზრები საშინლად აერია. მის თვალწინ სინათლისკენ მიმავალი კარი ხან იღებოდა, ხან იხურებოდა, მაშინ, როდესაც კარი ღია იყო, სინათლე თვალსა სჭრიდა და აქტეას არაფრის გარჩევა არ შეეძლო. უფრო გუმანით ხვდებოდა, რომ ამ სინათლეში რაღაც უზომო ბედნიერება

იფარებოდა, მასთან შედარებით ყოველივე დანარჩენი მეტად კნინი იყო, ისიც კი, კეისარს რომ პოპეა გაეშვა და ხელახლა აქტეა შეეყვარებინა, ისიც კი ამ ბედნიერებასთან შედარებით არარა იქნებოდა. იმავე დროს უცებ აზრად მოუვიდა, რომ კეისარიც, რომელიც მას ძალიან უყვარს და უნებლი-ეთ თითქმის ღმერთად მიაჩნია, ისეთივე არარა არის, როგორც ერთი ვინმე მონა, და ეს ნუმიდიური მარმარილოს სვეტებიანი სასახლეც ქვის გროვას არაფრით სჯობია. ბოლოს ამ გაურკვეველმა გრძნობებმა შეაწუხეს აქტეა. უნდოდა დაეძინა, მაგრამ შინაგანი ღელვის გამო ვერ შეეძლო.

იფიქრა, რაკი ლიგიას თავს იმდენი საშიშროებაა, არ დაეძინებოდა და მისკენ გადმობრუნდა, რომ განზრახულ გაქცევაზე მოელაპარაკნა, მაგრამ ლიგიას დამშვიდებით ეძინა. ბნელ კუბიკულუმის ოდნავ გაწეულ ფარდაში შემოჭრილ მზის სხივზე ოქროვანი ცახეები ირეოდა. აქტეა ხედავდა ლიგიას ნაზ სახეს, შიშველ ხელზე დავანებულს, მოხუჭულ თვალებს და ოდნავ გა-პობილ პირს. ქალი თანაბრად სუნთქავდა.

„სძინავს... ძილი შეძლებია! – ბუნებაში გაივლო აქტეამ, – ბავშვია!''

მაგრამ წამს უკან გაიფიქრა, ეს ბავშვი მაინც გაქცევას არჩევს ვინიციუსის საყვარლობას, გაჭირვებას-შერცხვენას, ხეტიალს-ფუფუნებით სავსე სახლს, მდიდრულად მორთულობას, განძეულობას, ნადიმებს, კითარისა და ციტრის ხმებსო.

– ნეტავი რატომ?

ლიგიას დაუწყო ცქერა, თითქოს მის მძინარ სახეზე პასუხი უნდოდა ეპო-ვა. დიდხანს უცქეროდა მის ღია შუბლს, წარბების ნაზ მოყვანილობას, მუქ წამწამებს, ქალწულებრივ მკერდს, თანაბარი სუნთქვით შეთრთოლებულ სხეულს და გუნებაში გაიფიქრა:

„სრულებით არ მგავს მე''

ლიგია მას რაღაც სასწაულად ეჩვენა, რაღაც ღვთაებრივ ზმანებად, ღვთის რჩეულად, ასჯერ უმშვენიერესად, ვიდრე კეისრის ბაღის ყველა ყვავილია და მისი სასახლის ყველა ქანდაკი. მაგრამ ბერძნის ქალს გულში შური არ გაუტარებია. პირიქით, როცა კი გაიხსენებდა, რომ ყმაწვილი ქალი თავს საფრთხეში იგდებდა, საშინელი სიბრალული მოიცავდა ხოლმე, თითქოს მასში დედობრივმა გრძნობებმა გაიღვიძეს. ლიგია მას არა მარტო საოცარ ზმანებასავით მშვენიერად ეჩვენა, არამედ საყვარელ ბავშვადაც და ქალის თმას კოცნა დაუწყო.

ლიგიას კი გულმშვიდად ეძინა, თითქოს შინ იყო პომპონია გრეცინასთან. კარაგ ხანი ეძინა. შუადღე უკვე გადასული იყო, როცა მან ცისფერი თვალები გაახილა და დიდი გაოცებით მიმოიხედა, უეჭველია, გაუკვირდა, რომ ავლუსის სახლში არ იყო.

– შენ ხარ აქტეა? – იკითხა მან, სიბნელეში რომ ბერძნის ქალს თვალი მოავლო.

– მე ვარ, ლიგია.

– დაღამდა განა უკვე?

– არა, ჩემო პატარა, მაგრამ შუადღე კი გადავიდა.

– ურსუსი არ დაბრუნებულა?

– ურსუსს დაბრუნება არც უთქვამს, საღამოზე ქრისტიანებით შენს ტახტრევანს დაუწყებს ლოდინს.

– მართალია.

საწოლიდან გამოვიდნენ და აბანოში წავიდნენ. აქტეამ ლიგია აბანავა, მერე საუზმის საჭმელად წაიყვანა და შემდეგ – სასახლის ბაღებში სასეირნოდ; იქ მისთვის საშიშარი არაფერი იყო, რადგან კეისარსა და მის მახლობელთ ჯერაც ეძინათ. ლიგია პირველად ხედავდა ამ მშვენიერ ბაღებს, პირველად ხედავდა ამ კვიპაროსებს, მუხებს და ზეთისხილს და მათ შუაგულ თეთრად მოქათქათე ქანდაკებებს. ლაპლაპებდნენ დამშვიდებული გუბურების სარკეები, ბრწყინავდნენ შადრევნები

ჩქეფით მორწყული ვარდების ეწერები, ჩინებული მღვიმეების შესავლებს ფათალო და ვაზი შემოხვეოდა და შიგ ვერცხლისფერი გედები დაცურავდნენ; ქანდაკებებსა და ხეებს შუა აფრიკის უდაბნოდან მოყვანილი

გაშინაურებული ქურციკები დახტოდნენ და მთელი ქვეყნის ცნობილი ადგილებიდან მოყვანილი ათასფერი ლამაზი ფრინველები ფრთხიალებდნენ გარშემო.

ბაღებში არავინ იყო. აქა-იქ ხელბარიანი მონები მუშაობდნენ და დაბალი ხმით თავიანთ სიმღერას ღიღინებდნენ; სხვები, რომელთათვის დასვენება მიეცათ, გუბურების ნაპირებსა და ხეების ჩრდილქვეშ ისხდნენ, დანარჩენნი ვარდებისა და ზაფრანის ღია ლურჯფერ ყვავილებს რწყავდნენ. აქტეა და ლიგია კარგა დიდხანს დასეირნობდნენ და ბაღის ყველა საკვირველებას სინჯავდნენ. ლიგიას გონება თითქოსდა სხვაგან ქროდა, მაინც იმდენად ყმაწვილი იყო, რომ ვერ შეძლო ცნობისმოყვარეობისა და გაოცებისთვის ქედი არ მოეხარა. ისიც კი იფიქრა: კეისარი რომ კეთილი კაცი იყოს, ასეთ სასახლეში და ასეთ ბაღებში ძალიან ბედნიერი იქნებოდაო.

ბოლოს, დასასვენებლად სკამზე დასხდნენ, კვიპაროსების ჩრდილქვეშ, და იმაზე დაიწყეს ლაპარაკი, რაც ყველაზე მეტად აწუხებდათ-ლიგიას განზრახულ გაქცევაზე. აქტეა უფრო ნაკლებ იყო დამშვიდებული, ვიდრე ლიგია და ხანდახან ეჩვენებოდა, ის უგუნური გეგმა არ განხორციელდებაო. უფრო და უფრო ებრალებოდა ლიგია და ფიქრობდა, ასჯერ ნაკლებ იქნებოდა საშიში, ცდილიყო, ვინიციუსის კეთილ გრძნობაზე ემოქმედნა. დიდი ხანია იცნობ

ვინიციუსსო, ჰკითხა ყმაწვილ ქალს, და ხომ არ გგონია, რომ ხვეწნამ გაჭრას მასზე და პომპონიასთან დაგაბრუნოსო.

ლიგიამ ხუჭუჭა თავი მწუხარედ გაიქნია.

– არა, ავლუსის სახლში ვინიციუსი სულ სხვა იყო, კეთილი, მაგრამ წუხანდელის შემდეგ იმისი მეშინია და ჩემს ლიგიელთან ერთად გაქცევას ვამჯობინებ.

აქტეამ გამოკითხვა განაგრძო:

– ავლუსის სახლში ხომ მოგწონდა?

– მომწონდა, – უპასუხა ლიგიამ და თავი ჩაჰკიდა.

– შენ ხომ ჩემსავით მონა არა ხარ, – თქვა აქტეამ წამიერი მოფიქრების შემდეგ, – ვინიციუსს შეუძლია, ცოლად შეგირთოს. შენ მძევალი ხარ, ლიგიელთა მეფის ქალი. ავლუსსა და პომპონიას ღვიძლი შვილივით უყვარხარ, დარწმუნებული ვარ, სიამოვნებით აღიარებენ შვილად. მაშინ ვინიციუსი ცოლად შეგირთავდა.

ლიგიამ ჩუმად, უფრო ნაღვლიანი ხმით უპასუხა:

– ლიგიელთან გაქცევა მირჩევნია.

– ლიგია, გინდა, ახლავ ვინიციუსთან წავალ, თუ სძინავს, გავაღვიძებ და რასაც ახლა გეუბნებოდი, ვეტყვი? ჰო, ჩემო ძვირფასო, ახლავ წავალ და ვეტყვი: „ვინიციუს, ლიგია მეფის ასულია და ჩინებული ავლუსის საყვარელი შვილობილი; თუ იგი გიყვარს ავლუსს დაუბრუნე და შემდეგ იმათი სახლიდან წამოიყვანე და ცოლად დაისვი''.

ქალმა ისეთი ჩუმი ხმით უპასუხა, რომ აქტეამ ძლივს გაიგონა:

– მე ლიგიელთან გაქცევა მირჩევნია.

და მის წამწამებზე ცრემლი აკიაფდა.

ფეხის ხმა მოისმა და ვიდრე აქტეა მომავალს დაინახავდა, მათ სკამთან უკვე მონათა ამალით პოპეა საბინა გაჩნდა. ორ მონას პოპეას თავზე სირაქლემას ფრთების კონები ეჭირა, ოქროს წკეპლებზე მიმაგრებული. ამ ფრთებს ნელა უნიავებდნენ მას და შემოდგომის მზისაგან

იფარავდნენ. მკერდსავსე შავტუხა ეთიოპელ ქალს ხელში ეჭირა მარმაშშემოვლებულ ძოწეულ ქსოვილში შეხვეული ბავშვი. აქტეა და ლიგია ფეხზე წამოდგნენ, ეგონათ, პოპეა გვერდზე ჩაივლიდა, ყურადღებას არ მიაპყრობდა იმათ, მაგრამ იგი შედგა და უთხრა:

– აქტეა, კუკნისთვის ეჟვნები კარგად ვერ მიგიკერებია, ბავშვმა ერთი მოგლიჯა და პირთან მიიტანა; ბედზე ლილიტამ დროზე შეამჩნია.

აქტეამ გულზე ხელი დაიკრიფა, თავი დახარა და მორჩილად მიუგო:

– მაპატიე, ღვთაებრივო!

პოპეამ ლიგიას შეხედა.

– ეს ვისი მონაა?

– ეს მონა არ არის, ღვთაებრივო ავგუსტა, პომპონია გრეცინას აღზრდილია და ლიგიელთა მეფის ასული, რომაელთათავის მძევლად მიცემული.

– შენ სანახავად მოსულა?

– არა, ავგუსტა, ეს მესამე დღეა, რაც სასახლეში ცხოვრობს.

– გუშინ ნადიმზე იყო.

– იყო, ავგუსტა.

– ვისი ბრძანებით?

– კეისრის ბრძანებით.

პოპეამ ლიგიას უფრო ყურადღებით დაუწყო ცქერა, ლიგია კი თავდახრილი იდგა, ხან ცნობისმოყვარეობით ახრიდა თვალებს, ხან ისევ დახრიდა მათ. უცებ პოპეამ წარბი შეიკრა. თავის სილამაზესა და დიდებას გულმოდგინედ ეჭიდებოდა. მუდამ შეშფოთებული იყო, მუდამ იმას ფიქრობდა, ერთიც იქნება, ბედნიერი მეტოქე დამღუპავს, ისე როგორც მე თვითონ გავიმეტე ოქტავიაო. ამიტომ ყველა ლამაზი ქალის სახე სასახლეში ეჭვს უღვიძებდა. ლიგიას გარეგნობას მცოდნის თვალი მიმოავლო და ერთბაშად შეეშინდა. „ ეს ხომ ნამდვილი ნიმფაა, -გაიფიქრა მან, – ვენერას ნაშობი..'' და უცებ ერთმა აზრმა გაუელვა, რაიც უწინ არ მოსვლია, რაც უნდა ლამაზი ქალი შეხვედროდა. ის ხომ თვითონ ლიგიაზე ბევრით ხნიერია. განაწყენებულმა თავმოყვარეობამ

და მწვავე შიშმა აავსეს. „იქნებ ნერონს არ უნახავს ან ზურმუხტში მაცქერალს არ შეუფასებია. მაგრამ რა მოხდება, როცა დღისით, მზის სინათლეზე დაინახავს ასეთ მშვენებას? თანაც მონა არ ყოფილა! მეფის ასულია, მართალია, ბარბაროსების მეფისა, მაგრამ მაინც მეფისა! უკვდავო ღმერთებო! ესეც ჩესავით მშვენიერია, მაგრამ ჩემზე ახალგაზრდაა!''

და პოპეამ შუბლი უფრო შეიკრა, ხოლო ოქროსფერი წამწამებით შემოგარული თვალები ცივი ელვარებით გაუბრწყინდა.

მაგრამ გარეგანი სიმშვიდე შეინარჩუნა და ლიგიას ჰკითხა:

– კეისარს ელაპარაკე?

– არა, ავგუსტა.

– ავლუსთან ყოფნას აქ ყოფნა რად გირჩევნია?

– მე როდი მირჩევნია, ქალბატონო, პეტრონიუსმა თხოვა კეისარს პომპონიასაგან წამოვეყვანე, ამიტომაც აქ ჩემდა უნებურად ვარ, ქალბატონო!..

– არ გინდა პომპონიასთან დაბრუნდე?

ეს კითხვა პოპეამ უფრო რბილი ხმით მისცა და ლიგიას გულში უცებ იმედი გაუჩნდა, ხელები ავგუსტასაკენ გაიშვირა და შეევედრა:

– ქალბატონო, კეისარი დაჰპირდა ვინიციუსს, მონის მსგავსად იმას მიმცეს. შენ დამიფარე, პომპონიასთან დამაბრუნე.

– ჩანს, პეტრონისუმა დაიყოლია კეისარი ავლუსისგან წამოყვანასა და ვინიციუსისათვის მიცემაზე?

– დიახ, ქალბატონი, ვინიციუსი დღეს გამოგზავნის მონებს ჩემს წასაყვანად, მოწყალე მექმენ, ავგუსტა, შემიბრალე.

ლიგია დაიხარა, პოპეას კაბის კალთას მოჰკიდა ხელი. სულის კაწკაწით მოელოდა პასუხს. პოპეას სახე ბოროტმა ღიმილმა გაუბრწყინა, ლიგიას შეხედა და ბოღმით ესროლა:

– გპირდები, რომ დღესვე გახდები ვინიციუსის მონა.

და მშვენიერი, მაგრამ ბოროტი ქალი მოჩვენებასავით გაშორდა იქაურობას. ლიგიას და აქტეას

მხოლოდ ბავშვის ტირილი ჩაესმათ, გაუგებარი იყო, რისთვის ატირდა ბავშვი.

ლიგიასაც თვალები ცრემლით აევსო, აქტეას ხელი დაეჭირა და უთხრა:

– შინ წავიდეთ. შველას იქიდან უნდა ლოდინი, საიდანაც შიძლება მოვიდეს.

ატრიუმში დაბრუნდნენ და საღამომდე იქიდან ფეხი აღარ მოუცვლიათ. რომ დაღამდა და მონებმა სანათურები შემოიტანეს, ორივენი გაფითრებულნი ჩანდნენ. საუბარი ყოველ წამს უწყდებოდათ. ორნივ ყურს უგდებდნენ, ხომ არავინ მოდისო. ლიგია წამისწამ იმეორებდა, რომ აქტეას განშორება სწყინდა, მაგრამ რაკი ურსუსი უკვე ელოდა მას, ამიტომ სურდა, ყველაფერი დღესვე გათავებულიყო. ამის მიუხედავად, სუნთქვა თანდათან ეკვროდა. აქტეა აჩქარებით ძვირფასეულს აგროვებდა, რაც კი ხელში ხვდებოდა, ლიგიას პეპლუმის კალთაში შეუკრა. ემუდარებოდა, ამ საჩუქარზე უარი არ ეთქვა. დროდადრო სრული სიჩუმე ჩამოვარდებოდა ხოლმე, ეს ქალებს სმენას უღიზიანებდა. ხანდახან ასე ეგონათ, ფარდის უკნიდან რაღაც ჩურჩული მოისმისო; ხან შორიდან ბავშვის ტირილი ჩაესმოდათ, ხანაც ძაღლების ყეფა.

უცებ დერეფანსა და ატრიუმს შუა ფარდა უხმოდ გადაიწია და ატრიუმში მოლანდებასავით შემოვიდა მაღალი, შავგვრემანი, ნაყვავილარი კაცი. ლიგიამ მაშინვე იცნო ატაცინი, ვინიციუსის აზატი, ხანდახან რომ ავლუსის სახლში მოდიოდა.

აქტეამ შეშინებულმა შეჰკივლა, მაგრამ ატაცინმე მძიმედ თავი დაუკრა და უთხრა:

– გაიუს ვინიციუსი ღვთაებრივ ლიგიას სალამს უგზავნის და მწვანით მორთულ თავის სახლში ვახშამზე ეპატიჟება.

ლიგიას ტუჩები მთლად გაუფითრდა.

– მივდივარ, – თქვა მან და გამოთხოვებისას აქტეას მაგრად მოეხვია.

თავი მეათე

ვინიციუსის სახლი მართლაც ლამაზად იყო მორთული ტვიის ფოთლებითა და ფათალოთი; ეს მცენარენი გრეხილებად ეხვეოდნენ კედლებს და კარებს. ყველა სვეტს ვაზი ჰქონდა შემოხვეული. ატრიუმში ღია ადგილებს ღამის სიცივის დასაჭერად წითელი შალის ქსოვილის ფარდა ჰქონდა აფარებული. დღესავით ნათელი იდგა. რვა და თორმეტსანთლიანი ჭაღები ენთო: ზოგი ჭაღი ხეს წარმოადგენდა, ზოგი ნადირს, მფრინველს და ქანდაკებას. ყველა ქანდაკებას სურნელოვანი ზეთით სავსე კანდელები ეჭირა. ეს ჭაღები ზოგი ალებასტრისა იყო, ზოგი მარმარილოსი, ზოგი კორინთული მოვარაყებული ბრინჯაოსი, თუმცა ისინი აპოლონის ტაძრის შესანიშნავ ჭაღს დაუვარდებოდნენ, ახლა რომ ნერონი ხმარობდა, მაინც მშვენივრები იყვნენ და გამოჩენილი ოსტატების ნახელავი გახლდნენ. ზოგ მათგანს ალექსანდრიის მინა ჰქონდა აფარებული, ზოგს ინდოეთის გამჭვირვალე ქსოვილი, წითელი, ყვითელი, ცისფერი, ისე რომ მთელ ატრიუმს მრავალფერობანი ალი ჰქონდა მოდებული. ნარდის კეთილსურნელება იფრქვეოდა. მისი სუნი ვინიციუსმა აღმოსავლეთში შეიყვარა. სახლის სიღრმეც, სადაც მონები და მხევლები ფუსფუსებდნენ, აგრეთვე მოკაშკაშებული იყო, ტრიკლინიუმში სუფრა ოთხისთვის იყო გაშლილი, რადგან ვახშამზე ვინიციუსისა და ლიგიას გარდა პეტრონიუსი და ქრიზოტემიდაც უნდა ყოფილიყვნენ.

ვინიციუსი ყველაფერში პეტრონიუსის დარიგებას მისდევდა. იმან ურჩია თვითონ კი არ წასულიყო ლიგიას მოსაყვანად, ატაცინი გაეგზავნა და კეისრის ბრძანება გაეტანებინა. თვითონ კი სახლში მიეგებებოდა ლიგიას და მიეღო იგი არათუ ალერსით, არამედ პატივისცემაც გამოემჟღავნებია.

– გუშინ შენ მთვრალი იყავ, – ეუბნებოდა პეტრონიუსი, – მე გხედავდი, ისე მოეპყარი, რგორც ალბანის მთის ქვისმთლელი. თავს მეტისმეტად ნუ მოაბეზრებ; გესმოდეს, რომ კარგი ღვინო ნელა, აუჩქარებლივ უნდა დალიო. ისიც იცოდე, სასიამოვნოა საწადელის მიღწევა, მაგრამ უფრო სასიამოვნოა თვით ვნების საგანს ტრფიალება აღუძრა.

ქრიზოტემიდას აზრი ამ საგანზე ცოტაოდნად განსხვავებული იყო, მაგრამ პეტრონიუსმა ქალს ვესტას მსახური და მტრედი უწოდა და აუხსნა, რა განსხვავება უნდა იყოს გამოცდილ ცირკის მეეტლესა და იმ ბიჭს შორის,

რომელიც პირველად ჯდება ეტლში. შემდეგ ვინიციუსს მიუბრუნდა და განაგრძო:

– მისი ნდობა დაიმსახურე, გაამხიარულე, სულგრძელი იყავ. მე როდი მინდა, მოსაწყენ ვახშამს დავესწრო. დაუფიცე კიდეც, პომპონიასთან დაგაბრუნებ-თქო და ისიც შენზე იქნება დამოკიდებული, რომ ხვალ თვითონვე შენთან დარჩენა ამჯობინოს.

მერე ქრიზოტემიდაზე მიუთითა ვინიციუსს და დაურთო:

– მე აგერ მეხუთე წელიწადია მუდამდღე ამ ფრთხალ ფრინველთან სულ ამ საშუალებას მივმართავ და ვერ დავიჩივლებ, მეტად მკაცრია-მეთქი.

ქრიზოტემიდამ ფარშავანგის ფრთების მარაო დაჰკრა პეტრონიუსს და თქვა:

– განა ერთბაშად ვყრიდი ფარ-ხმალს, სატირო!

– ჰო, ჩემს წინამორბედს გავიხსენებთ...

– განა ფეხქვეშ არ მეგებებოდი?

– მხოლოდ იმიტომ, რომ ფეხის თითებზე ბეჭდები წამომეცვა შენთვის.

ქრიზოტემიდამ უნებურად ფეხზე დაიხედა, თითებზე რომ მართლაც ძვირფასი ბეჭდები უბრწყინავდნენ და პეტრონიუსთან ერთად იმასაც გაეცინა. მაგრამ ვინიციუსი მათ კამათს ყურს არ უგდებდა. გული შეშფოთებით უცემდა სირიელი ქურუმის ტანსაცმელს ქვეშ, რომელიც ლიგიას მისაღებად ჩაეცვა.

– აქამდე სასახლიდან უნდა გამოსულიყვნენ, – თქვა მან, თითქოს თავის თავს ელაპარაკებაო.

– უნდა გამოსულიყვნენ, – მიუგო პეტრონიუსმა, – მანამ შემიძლია გიამბო ტიანელ აპოლონის წინასწარმეტყველება ან რუფინიუსის ამბავი, რომელიც არ მახსოვს, რის გამო იყო, რომ ვერ დავამთავრე.

მაგრამ ვინიციუსს არც ტიანელი აპოლონისა და არც რუფინიუსის ამბავი არ აინტერესებდა. ფიქრით ლიგიასთან იყო და თუმცა გრძნობდა, უმჯობესია ლიგიას შინ დავხვდე, ვიდრე სასახლეში წავსულიყავიო, მაინც ხანდახან ნანობდა, რატომ თვითონ არ წავედიო. მაშინ უფრო ადრე ნახავდა ლიგიას და სიბნელეში მის გვერდზე ორადგილიან ტახტრევანში იჯდებოდა.

ამ დროს მონებმა ცხვრის თავებით მორთული ბრინჯაოს სამფეხა საცეცხლური შემოიტანეს და გაღვივებულ ცეცხლს მური და ნარდი დააყარეს.

– კარინს შემოუხვიეს, – ხელახლა თქვა ვინიციუსმა.

– როდი მოითმენს, მისაგებებლად გავარდება, და ვინ იცის, კიდეც აცდეს მათ, – წამოიძახა ქრიზოტემიდამ.

ვინიციუსმა უაზროდ გაიღიმა და თქვა:

– არა, მოვითმენ.

მაგრამ ცხვირის ნესტოები გაებერა და ეს რომ პეტრონიუსმა დაინახა, მხრები შეიშმუშნა და წარმოთქვა:

– ამაში ერთი სესტერცის ფილოსოფოსი არ მოიპოვება და მე ვერაოდეს ვერ მოვახერხებ ამ მარსის შვილისგან კაცი გამოვიყვანო.

ვინიციუსმა ეს სიტყვები ვერც კი გაიგონა.

– ისინი ახლა კარინზე იქნებიან.

მართლაც ისინი კარინისკენ უხვევდნენ.ლამპადარიუსებად წოდებული მონები წინ მიდიოდნენ, სხვები, პედისეკვიუსები ტახტრევნის ორივე მხარეს მიუყვებოდნენ; ატაცინიც უკან მისდევდა მათ და წესრიგს თვალყურს ადევნებდა.

წყნარად მოიწევდნენ წინ, ფარნები ცუდად უნათებდნენ გზას. ამასთან სასახლის სიახლოვეზე ქუჩები მთლად დაცარიელებულიყო, აქა-იქ თუ გამოჩნდებოდა ხელფარნოსანი,

სამაგიეროდ, აქედან სასახლეს რომ დაშორდნენ, ხალხის არაჩვეულებრივი სიმრავლე იყო-თითქმის ყველა შუკიდან სამ-სამი, ოთხ-ოთხი კაცი გამოდიოდა, ყველას მუქი ტანისამისი ეცვა. ზოგი მათგანი ტახტრევანს მოსდევდა, ზოგი მონებში ერეოდა, ხოლო სხვები დიდ ჯგუფებად ქუჩდებოდნენ, გზაში დგებოდნენ ან მთვრალებივით ბარბაცებდნენ. ხანდახან სვლა ისე ძნელდებოდა, რომ ლამპადარიუსები დაყვირებდნენ ხოლმე:

– გზა მიეცით კეთილშობილ ტრიბუნს გაიუს ვინიციუსს!

ლიგია გადაწეული ფარდიდან ხედავდა ამ მუქ ბრბოს და ღელვისგან კანკალებდა. ხან იმედი ეძლეოდა, ხან შეშფოთება მოიცავდა„ ეს ურსუსია და ქრისტიანები... აი, ახლავ!..'' მთრთოლვარე ტუჩებით ჩურჩულებდა: „ჰოი, ქრისტეო, შენ მიშველე!... დამიხსენ, ქრისტეო!''

ატაცინიც, წინათ რომ ყურადღებას არ აქცვდა ამ ქუჩებში ხალხის სიმრავლეს, ახლა კი შეწუხდა. მართლაც რაღაც უცნაური ხდებოდა... ლამპადარიუსებმა ყვირილს მოუხშირეს: „ გზა მიეცით კეთილშობილი ტრიბუნის

ტახტრევანს!'' ტახტრევნის ორივე მხარეს ისე მოაწვა ხალხი, რომ ატაცინმა უბრძანა მონებს ჯოხებით გაერეკათ ბრბო.

უცებ წინიდან ყვირილი მოისმა, ყველა ფარანი ერთბაშად გაქრა. ტახტრევნის გარშემო ბრძოლა ატყდა.

ატაცინი მიხვდა, რომ ეს თავდასხმა იყო.

ეს რომ გაიგო, ძალზე შეშინდა. ყველამ იცოდა, რომ კეისარი მახლობელთა თანხლებით სუბურაში და ქალაქის სხვა ნაწილებშიაც ყაჩაღობით ერთობოდა. ყველამ იცოდა, რომ ამ ღამეული თავგადასავლიდან ნერონი გვარიანად დაბეგვილი ბრუნდებოდა ხოლმე, მაგრამ ვინც იგერიებდა თავდამსხმელ იმპერატორს, იმას სიკვდილი ელოდა, თუნდა სენატორი ყოფილიყო. ვიგილთა სახლი, რომელსაც მოვალეობა აწვა, ქალაქის მშვიდობიანობა დაეცვა, ახლოს იყო, მაგრამ ასეთ შემთხვევაში მოდარაჯენი ყურსაც იყრუებდნენ და თვალებსაც იბრმავებდნენ. ახლა კი ტახტრევანს გარშემო ბრძოლა ატყდა: ხალხი ერთმანეთს სცემდა, სთელავდა. ატაცინი მიხვდა, რომ ყველაზე უწინარეს ლიგიასა და საკუთარ თავზე უნდა ეზრუნა, დანარჩენები მათი ბედისთვის მიენდო. ქალი ტახტრევნიდან გამოიყვანა, ხელში აიყვანა და სცადა, თავი სიბნელისათვის შეეფარებინა.

მაგრამ ლიგიამ ყვირილი დაიწყო:

– ურსუს! ურსუს!

ქალს თეთრი ტანისამოსი ეცვა და მისი ცნობა ადვილად შეიძლებოდა. ატაცინმა თავისუფალი

ხელით მოსასხამი მოხვია და ამ დროს კისერზე საშინელი მარწუხი იგრძნო, ხოლო თავზე ქვასავით მძიმე რაღაც დაეცა.

ატაცინი ისე დაეცა, თითქოს ზევსის საკურთხეველის წინ ნიღრნაკრავი ხარი ყოფილიყო.

მონების მეტი წილი, ვინც თავს გაქცევით ვერ უშველა, მიწაზე ეგდო, ბევრი უკუნეთ სიბნელეში წაწვეტებულ კედლებზე მიეხალა. ცემა-ტყეპის ადგილზე მხოლოდ დამტვრეული ტახტრევანი დარჩა. ურსუსმა ლიგია საბურასკენ წაიღო, მისი ამხანაგები უკან მისდევდნენ და კუთხე-კუთხე მიიმალნენ.

მონებმა ვინიციუსის სახლის წინ იწყეს თავმოყრა. ითათბირეს, როგორ მოქცეულიყვნენ. შიგ შესვლა ვერ გაბედეს და მოკლე თათბირის შემდეგ შეტაკების ადგილზე წავიდნენ, სადაც რამდენიმე მოკლული იპოვნეს და

მათ შორის ატაცინიც; ჯერაც ისევ სუნთქავდა, მაგრამ მალე სასიკვდილო კონვულსია დაემართა და სული განუტევა.

მონებმა მისი გვამი აიღეს და ვინიციუსის სახლის ჭიშკართან მიიტანეს. საჭირო იყო, რაც მოხდა, ბატონისთვის შეეტყობინებინათ.

– გულომ უთხრას, – დაიძახა რამდენიმე კაცმა, – სახე, ჩვენი არ იყოს, სისხლით აქვს მოთხვრილი, ბატონს უყვარს ეგა, მაგისთვის უფრო უშიშარია თქმა, ვიდრე ჩვენთვის.

გერმანელი გულო, ძველი მონა, ოდესღაც ვინიციუსის ლალა იყო და ახალგაზრდა პატრიციმ დედისგან, პეტრონიუსის დისგან მიიღო.

– მე მოვახსენებ, მაგრამ ყველანი ერთად მივიდეთ, მისი რისხვა მარტო მე ნუ დამატყდება თავს, – უთხრა დანარჩენებს გულომ.

ვინიციუსი უკვე ხუმრობაგაშვებით ღელავდა. პეტრონიუსი და ქრიზოტემიდა დასცინოდნენ, ის კი ოთახში ბოლთას სცემდა და გაიძახოდა:

– უკვე აქ უნდა იყვნენ! მოსულები უნდა იყვნენ!

ის იყო, გაქცევას აპირებდა მისაგებებლად, მაგრამ პეტრონიუსმა და ქრიზოტემიდამ შეაკავეს.

უცებ დერეფანში ფეხის ხმა გაისმა – ატრიუმში მონების გუნდი შემოიჭრა, კედელთან დადგა და ხელები მაღლა აიღო.

ვინიციუსი მივარდა შემოსულებს.

– ლიგია სად არის?-საშინელი, შეცვილი ხმით დაიყვირა.

– ა-ა-ა-ა! – -კვნესად აღმოხდათ მონებს.

სახე დასისხლიანებული გულო წინ წადგა და მწუხარებით წარმოთქვა:

– ხედავ, ბატონო, სისხლს? რაც შეგვეძლო, თავს ვიცავდით! სისხლი, ბატონო, აი სისხლი.

მაგრამ ვინიციუსმა არ გაათავებინა სიტყვა, ბრინჯაოს შანდალს წამოავლო ხელი და მონას ერთი დაკვრით თავი გაუხეთქა. შემდეგ ორივე ხელი თავზე წაივლო, თითები თმაში გაიყარა, და ხრინწიანი ხმით წამოიყვირა:

– Me miserum! Me miserum!

სახე გაულურჯდა, თვალები ჩაუცვივდა, ტუჩებზე ქაფი მოედო.

– როზგები!-დაიღრიალა ბოლოს არაადამიანური ხმით.

პეტრონიუსი წამოდგა. სახეზე ზიზღი გამოეხატა.

– წავიდეთ, ქრიზოტემიდა, – უთხრა ქალს. – თუ ხორცის ცქერა გინდა, კარინში საყასბოს გავატეხინებ.

და ატრიუმიდან გამოვიდა. ერთი წამიც და სანადიმოდ მწვანით მორთულ-მოკაზმულ სახლში როზგის ხმა გაისმა. ნაცემთა გოდება თითქმის დილამდე ისმოდა.

თავი მეთერთმეტე

იმ ღამეს ვინიციუსი სრულებით არ დაწოლილა. პეტრონიუსი რომ წავიდა და ტანჯული მონების კვნესამ მწუხარება და მძვინვარება ვერ შეუმსუბუქა, სხვა მონების ბრბო შეაგროვა და გვიან ღამე ლიგიას საძებნელად გასწია. ესკვილინუსის ნაწილი დაათვალიერა, შემდეგ სუბურა, Vicus Sceleratus-ი და ყველა ახლომახლო ქუჩა. კაპიტოლიუმს შემოუარა, ფაბრიციუსის ხიდით კუნძულზე გავიდა და ტიბრის მთელი იქითა მხარე მოიარა. მაგრამ ეს უაზრო ძებნა იყო; არც თვითონ ჰქონდა ლიგიას პოვნის იმედი და თუ მაინც ეძებდა, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს საზარელი ღამე როგორმე გათენებოდა. შინ დილით დაბრუნდა, როდესაც ქალაქს ჩარჩებისაგან ნაყიდი ბოსტნეულით დატვირთულმა ურმებმა და ჯორებმა მოაშურეს და მეპურეებმაც სახაბაზოები გააღეს. უბრძანა, გულოს გვამი გაეტანათ, აქამდე მისი ხელის ხლება ვერავის გაებედნა; შემდეგ რომელ მონებსაც ლიგია მოსტაცეს, სოფლის ერგასტულუმში მათი გაგზავნა ბრძანა; ეს დასჯა ისეთი იყო, სიკვდილსაც გადააჭარბებდა, შემდეგ ატრიუმში სელზე დაეცდა და ფიქრი დაიწყო, ლიგია როგორ ვიპოვო და დავიბრუნოო.

მისი სამუდამოდ დაკარგვა შეუძლებლად ეჩვენებოდა, ამაზე ფიქრიც კი აშმაგებდა. ახალგაზრდა მხედრის თავნებობა პირველად გადაეყარა წინააღმდეგობას, შეუპოვრობას და ვინიციუსს ვერ შეეგნო, თუ ვის უნდა გაებედა მის სურვილს წინ აღდგომოდა. ვინიციუსი უფრო მთელი ქვეყნისა

და რომის ნანგრევებად ქცევას შეეგუებოდა, ვიდრე იმ აზრს შეურიგდებოდა, რომ ძებნა ამაოდ შერჩებოდა. სიტკბოების ფასი ლამის პირთან მიტანილი წაგლიჯეს და ეს ისე ეჩვენებოდა, თითქოს რაღაც არ გაგონილი მოხდა. შურისძიების მღაღადებელი და ყველა ღვთიური და ადამიანური კანონის დამრღვევი.

მაგრამ ყველაზე მეტად ბედს უჩიოდა, რადგან არაოდეს და არაფერი ისე ძლიერ არ სურვებია, როგორც ლიგიას დაპატრონება, ისე ეჩვენებოდა, რომ უმისოდ სიცოცხლე არ შეეძლო. ხან მისი დაპატრონება იმიტომ ეწადა,

რომ ქალის ცემით გული ეჯერებინა, კუბიკულუმში თმებით შეეთრია და მასხრად აეგდო, ხანაც ნაღველი შემოაწვებოდა, ენატრებოდა ლიგიას ხმა, ტანი, თვალები და გრძნობდა, რომ მზად იყო, ფეხქვეშ გაგებოდა. ეძახდა მას, ფრჩხილებს იკვნეტდა, საფეთქლებზე ხელებს იჭერდა და თავს ძალას ატანდა, დამშვიდებით მოეფიქრა, როგორ ეპოვა იგი და მოფიქრება კი არაფრისა არ შეეძლო. ბუნებაში ათასი საშუალება და ღონისძიება უკრთოდა, მაგრამ ერთი მეორეზე უგუნური. ბოლოს მოაფიქრდა, ლიგია ავლუსმა მოიტაცაო, ყოველშემთხვევაში ავლუსს ეცოდინება ლიგია სად იმალებაო.

გადაწყვიტა, ავლუსთან გაქცეულიყო. თუ ლიგიას არ მისცემდნენ, თუ ავლუსს მუქარისა არ შეეშინდება, კეისართან წავა, მოხუცი მხედრის ურჩობას გაუმჟღავნებს და სიკვდილით დასჯის განაჩენს დაადგენინებს, მანამდე კი აიძულებს ავლუსს, თქვას სად იმალებოდა ლიგია. თავის

ნებითაც რომ მისცეს ლიგია, მაშინაც მაგიერს გადაუხდის. მართალია იგი ავლუსის სახლში მიიღეს, მოუარეს კიდეც, მაგრამ ახლა სულ ერთია. ისეთი წყენა მიაყენეს, რომ მადლიერების გრძნობა აღარ მოეთხოვება. შურის მაძიებელი და ფიცხელი გული სიამოვნებით უთრთოდა, როდესაც პომპონია გრეცინას სასოწარკვეთილებას გაიხსენებდა, ცენტურიონი რომ მოხუც ავლუსს სიკვდილის განაჩენს მიუტანდა. ამაში პეტრონიუსი დაეხმარება. კეისარი თავის ავგუსტიან ამხანაგებს არაფერზე უარს არ ეუბნება, თუ უარი პირადმა ათვალისწუნებამ ან ვნებამ არ ათქმევინა.

ვინიციუსი უცებ საზარელმა გუმანმა შეაძრწუნა, ვაითუ თვითონ კეისარმა მოსტაცა ლიგია?

ყველამ იცოდა, რომ კეისარი მოწყენილობის ჟამს ღამის ყაჩაღობით ერთობოდა. ამ გართობაში თვითონ პეტრონიუსსაც მიუღია მონაწილეობა. მათი უმთავრესი მიზანი, მართალია, ქალების მოტაცება და ჯარისკაცების მოსასხამებზე მაღლა შეგდება იყო, მაგრამ მაინც თვითონ ნერონი ამ გასეირნებას „მარგალიტებზე ნადირობას'' ეძახდა, რადგან ქალაქის მიგდებულ, ღატაკი ხალხით დასახლებულ უბნებში ხანდახან იმისთანა ნანადირევს ჩაიგდებდნენ ხოლმე, რომ მშვენიერებითა და სინორჩით ნამდვილი მარგალიტი იყო. მაშინ sagatio, ასე ეძახდნენ ჯარისკაცების მოსასხამით ქალების მაღლა სროლას, ნამდვილ მოტაცებად გადაიქცეოდა ხოლმე, „მარგალიტს'' ან პალატინში, ან კეისრის ერთ-ერთ ვილათაგანში გზავნიდნენ. ხანდახან ნერონი რომელიმე თავის

ამხანაგს აჩუქებდა ხოლმე ნადავლს. შესაძლო იყო, ასეთი ბედი ლიგიასაც ხვდომოდა წილად. კეისარი ნადიმის დროს უცქეროდა მას და ვინიციუსს ერთი წუთითაც არ შეპარვია ეჭვი, რომ ნერონს ლიგია ყველა აქამდე ნანახ ქალზე მშვენივრად მოეჩვენებოდა. თუმცა ნერონს ლიგია თავის პალატინში ჰყავდა და ქალის იქ დატოვება ცხადად შეეძლო, მაინც პეტრონიუსის სამართლიანი თქმისა არ იყოს, მფრთხალი იყო და ცხადად მოქმედებას ერჩივნა საიდუმლოდ ემოქმედნა. პოპეას შიშითაც შეეძლო ასე მოქცეულიყო. ვინიციუსმა ისიც გაიფიქრა, შეიძლება ავლუსს ვერ გაებედა ლიგიას მოტაცება, რადგან იგი კეისარმა მაჩუქაო. მაშ ვინღაა მომტაცებელი? იქნება იმ ცისფერთვალება გოლიათმა იგდო ხელთ, ნადიმის დროს რომ ტრიკლინიუმში შემოსვლა გაბედა და ქალი ხელში აყვანილი გაიტაცა? მაგრამ სად დაიმალა, სად წაიყვანა ლიგია? არა! მონა ამას ვერ გაბედავდა. სხვა ვინღა დარჩა? ლიგია თვითონ კეისარმა მოტაცა.

ამ ფიქრმა ვინიციუსს თვალი დაუბნელა და შუბლზე ოფლის წვეთები მოედო. თუ ეს მოსაზრება ნამდვილია, მაშინ ლიგია სამუდამოდ დაუკარგავს, ყველასაგან შეიძლება იხსნას ქალი, კეისარს კი ვერ გამოგლეჯს ხელთაგან. ახლა უფრო მართებდა დაეყვირა. „Vae misero mihi!'' გონების თვალით ხედავდა, როგორ ეხვეოდა ლიგიას ნერონი, თავის სიცოცხლეში პირველად გაეგო, ქვეყნად ყოვლად აუტანელი აზრი არსებობსო. მხოლოდ ახლა შეიქმნა მისთვის ცხადი, როგორ შეყვარებოდა ლიგია. აი, ხედავს მას აუზთან, ავლუსის სახლში, ნადიმზე. ისევ გრძნობს მის

სიახლოვეს, მისი თმის სურნელს, უმანკო ბაგეთა სიტკბოებას და ახლა ქალი ასჯერ უფრო მშვენივრად და სანატრელად ესახება, ვიდრე როდისმე. როცა გაიფიქრა, ყოველივე ეს, შესაძლოა, ნერონს ჩაუვარდესო ხელთ – იგრძნო ნამდვილი ხორციელი ტკივილი, უნდოდა თავი ატრიუმის კედლისათვის მიეხალა. გრძნობდა, შეიძლება ჭკუა დავკარგოო და ასეც მოუვიდოდა, თუ ნაცვალგების სურვილი არა ჰქონოდა. წეღან ეგონა, სიცოცხლე არ შემიძლია, თუ ლიგიას არ ვიპოვიო, ახლა კი ხედავდა, რომ სიკვდილი არ შეეძლო, თუ მის მომტაცებელს სამაგიეროს არ გადაუხდიდა. მარტო ეს აზრი აძლევდა ცოტაოდენ შვებას. ნერონზე ფიქრობდა, მაგის კასიუს ხორეა ვიქნებიო. ყვავილების ლარნაკებიდან, იმპუვიუმის გარშემო რომ იდგნენ, მიწა დაბღუჯა, საშინელი ფიცი მისცა ერებოსს, ჰეკატეს და შინაურ ლარებს, რომ ლიგიას მომტაცებელს სამაგიეროს გადაუხდიდა.

მართლაც გულს მოეშვა. ახლა სასიცოცხლო მიზანი აქვს, საფიქრალ-საწყვეტელი გაუჩნდა. ავლუსთან წასვლის განზრახვას თავი დაანება და მონებს პალატინში წაყვანა უბრძანა. გზაზე ფიქრობდა, თუ კეისართან არ მიმიშვეს ან ჩემი გაჩხრეკვა მოინდომეს, იარაღი ხომ არა გაქვსო, ეს იმის დამტკიცება იქნება, რომ ლიგია კეისარმა მოიტაცაო. იარაღი მაინც არ წაუღია თან, გონი მთლად დაკარგა და, როგორც შურისძიება გადაგებულ ადამიანებს შეეფერებათ, გაგების უნარიდან ისღა შერჩა, რაც ნაცვალგებას შეეხებოდა. მეტისმეტი აჩქარება არ უნდოდა. ამას გარდა, ეშურებოდა ყველაზე უწინ აქტეა ენახა; ფიქრობდა, მართალს იმისგან შევიტყობო.

ხანდახან გულს იმედი ეფინებოდა. იქნებ ლიგიაც ვნახოო, და ამ აზრს რომ გონებაში გაივლებდა, ააკანკალებდა. იქნება კეისარმა ლიგია დღესვე დაუბრუნოს, მაგრამ უმალვე ეს იმედი უქარწყლდებოდა. თუ ლიგიას გამოგზავნა უნდოდა, ხომ გუშინვე გამოგზავნიდა. მარტო აქტეას შეუძლია ყველაფერი აუხსნას და მაშ ყველაზე უწინ მისი ნახვა იყო საჭირო.

ამ გადაწყვეტილებით მონებს უბრძანა, აჩქარებულიყვნენ. გზა-გზა ხან ლიგიაზე ფიქრობდა, ხან სამაგიეროს მიგებაზე.

გაგონილი ჰქონდა, რომ ეგვიპტელი ქალღმერთის პახტას ქურუმ ქალებს შეეძლოთ ავადმყოფობა დაეტეხათ თავზე, ვისთვისაც კი უნდოდათ. გადაწყვიტა, იმათგან გავიგებ, რა საშუალებას ხმარობენო. აღმოსავლეთში უთქვამთ ვინიციუსისათვის, რომ ებრაელებმა რაღაც შელოცვა იციანო, რომლის შემწეობით მტრის სხეული იარებით მოიფინებაო. შინაურ მონებს შორის რამდენიმე ებრაელი იყო და ვინიციუსმა გადაწყვიტა, როგორც კი შინ მივალ, იმ ებრაელ მონებს გავაროზგინებ, მანამ არ დავეხსნები, ვიდრე საიდუმლოს არ მეტყვიანო. განსაკუთრებული სიტკბოებით ფიქრობდა იმ მოკლე რომაულ მახვილზე, რომელმაც სისხლის ჭავლების გადმოდენა იცოდა, განა ამ მახვილმა არ ადინა ოდესღაც გაიუს კალიგულას სისხლი და პორტიკის სვეტზე წაუშლელი ლაქები არ დატოვა? ვინიციუსი მზად იყო, ახლავ მთელი რომი გაეჟლიტა, რომელიმე შურისმგებელ ღმერთს რომ მთელი ხალხის მუსრის გავლება აღეთქვა მისთვის, ოღონდ კი ლიგიასა და თვით მას არაფერი შეეხებოდა, ყაბულს გაუხდებოდა.

თაღის წინ მთელი თავისი ყურადღება მოიკრიბა და პრეტორიელი დარაჯები რომ დაინახა, იფიქრა, თუ ჩემი შეყენება განიზრახეს, იმის ნიშანი

იქნება, რომ აქ ლიგია იმპერატორის ბრძანებით გამოიყვანესო. მაგრამ უფროსმა ცენტურიონმა მეგობრულად გაუღიმა, ახლო მივიდა მასთან და უთხრა:

– მოგესალმები, კეთილშობილო ტრიბუნო! თუ გსურს კეისრის წინ თავი მოიდრიკო, სწორედ უხერხული ჟამი აგირჩევია, არ ვიცი, მოახერხებ თუ არა მის ნახვას.

– განა რა მოხდა? – ჰკითხა ვინიციუსმა.

– ღვთაებრივი პატარა ავგუსტა გუშინ უცებ ავად შეიქმნა. კეისარი და ავგუსტა პოპეა მასთან არიან, მთელი ქალაქიდან ექიმები გამოიხმეს.

მნიშვნელოვანი ამბავი იყო. ქალი რომ დაებადა, კეისარი ბედნიერებისაგან კინაღამ გაგიჟდა, ეს შემთხვევა „extra humanum geudium'' -ად მიიღო. ჯერ ისევ ბავშვის დაბადებამდე სენატმა პოპეას საშო ღმერთების განსაკუთრებულ მფარველობას ჩააბარა. ანციუმში, სადაც ბავშვი დაიბადა, მშვენიერი თამაშობანი გაიმართა და ამას გარდა ორ ფორტუნას ტაძრები აუგეს. ნერონმა ხომ ზომა არაფერში იცოდა და ის ბავშვიც უზომოდ უყვარდა. პოპეასთვის ძვირფასი იყო გოგონა, თუნდაც იმიტომ, რომ მდგომარეობა განუმტკიცა და ავგუსტას გავლენაც უცილობელი გახადა.

პატარა ავგუსტას კარგად ყოფნასა და სიცოცხლეზე შესაძლოა მთელი იმპერიის ბედი ყოფილიყო დამოკიდებული, მაგრამ ვინიციუსი ისე იყო ავსილი საკუთარი სიმძიმილითა და სიყვარულით, რომ ცენტურიონის ნათქვამს ყურადღება თითქმის არ მიაქცია და უპასუხა:

– მე მხოლოდ აქტეას ნახვა მინდა.

მაგრამ აქტეაც ავადმყოფთან იყო და მისი ლოდინი დიდხანს დაჭირდა. აქტეა მხოლოდ შუადღისას მოვიდა შეწუხებული, ფერმკრთალი; ვინიციუსის დანახვაზე ფერი უფრო დაეკარგა.

– აქტეა! – შეჰყვირა ვინიციუსმა, ხელი წაავლო და შუაგულ ატრიუმში გამოიყვანა, – სად არის ლიგია?

– მე მინდოდა ეგ შენთვის მეკითხა, – უპასუხა აქტეამ და ყვედრებით თვალებში ჩააცქერდა.

თუმცა ვინიციუსს გადაეწყვიტა აქტეასთან დამშვიდებით ელაპარაკნა, თავი ვერ შეიკავა, თავზე ხელი წაივლო და ტკივილისა და ბრაზისაგან შეშლილი სახით წამოიყვირა:

– გაჰქრა! ჩემთან მომავალი მოიტაცეს! მაგრამ პატარა ხანს უკან გონს მოვიდა, აქტეას მიუახლოვდა და კბილქვეშ უთხრა:

– აქტეა, თუ შენთვის სიცოცხლე ძვირფასია, თუ გინდა, წარმოუდგენელი უბედურების მიზეზი არ შეიქმნე, მართალი მითხარ: ლიგია კეისარმა ხომ არ მოიტაცა?

– გუშინ კეისარი სახლიდან არსად გასულა.

– დაიფიცე დედაშენის აჩრდილი, ყველა ღმერთი, რომ ლიგია სასახლეში არ არის.

– ვფიცავ დედაჩემის აჩრდილს, მარკუს, ლიგია აქ არ არის და არც კეისარას მოუტაცნია. გუშინ პატარა ავგუსტა შეუძლოდ შეიქმნა და მის აკვანს არ მოშორებია.

ვინიციუსმა შვებით ამოისუნთქა. რაც ყველაზე უფრო საშიშრად მიაჩნდა ის არ გამოდგა.

მერე სელზე დაჯდა, თრთოლით ხელები მომუშტა და თქვა:

– მაშ იგი ავლუსმა და მისმა ცოლმა მოიტაცეს; თუ ეგრეა, ვაი იმათი ბრალი!

– ავლუს პლავციუსი დილას აქ იყო. ვერა მნახა, რადგან ბავშვთან ვიყავი; ლიგია ეკითხა ეპაფროდიტისათვის და კეისრის სხვა მსახურთათვის, მერე ეთქვა, რომ კიდევ მოვა ჩემთან მოსალაპარაკებლად.

– უნდა ეჭვი თავიდან აიცილოს, რომ არ იცოდეს, ლიგიას რა შეემთხვა, იმის საძებნელად ჩემთან მოვიდოდა.

– ფირფიტაზე რამდენიმე სიტყვა დაუწერია. შენ თვითონ დაინახავ ყველაფერს, ავლუსს გაუგია, რომ კეისარმა ლიგია შენი და პეტრონიუსის თხოვნით წაართვა. უფიქრია, ახლა ლიგია ვინიციუსთან იქნებაო, ამიტომაც დღეს დილას შენთან ყოფილა და რაც მოხდა იქ გაუგია.

კუბიკულუმში შევიდა და ავლუსის დატოვებული ფირფიტა გამოიტანა.

ვინიციუსმა წაიკითხა და დაჩუმდა. სახე დამწუხრებული აქტეა ვაჟს ნაღველს მიუხვდა და უთხრა:

– არა, მარკუს, ის მოხდა, რაც თვითონ ლიგიას უნდოდა.

– იცოდი, რომ გაქცევას აპირებდა? – დაუღრიალა ვინიციუსმა.

აქტეამ დაფიქრებული თვალები მიაპყრო და თითქოს მკაცრად უპასუხა:

– მე ვიცოდი, რომ ხასად არ გაგიხდებოდა.

– შენ რაღა იყავ მთელი შენი სიცოცხლე?

– მე?.. მე უწინ მონა ვიყავ.

ვინიციუსი ისევ ცხარობდა. კეისარმა აჩუქა ლიგია და რატომ უნდა იკვლიოს ქალის წარსული. იპოვის თუნდა ქვესკნელში ჩაძვრეს და საწადელს აისრულებს. სწორედ ხასად ეყოლება. უბრძანებს მონებს და გააწკეპლინებს, რამდენიც მოესურვება. როცა იგი მობეზრდება, ყველაზე უკანასკნელ მონას მისცემს, ან აფრიკის მამულებში გაგზავნის წისქვილის ქვის საბრუნებლად. მოსძებნის და იპოვნის მხოლოდ იმისთვის, რომ გათელოს და შეურაცხყოს.

უფრო და უფრო ბრაზდებოდა და იქამდე დაკარგა ზომიერების გრძნობა, რომ აქტეა მიხვდა, უფრო მეტს იმუქრება, ვიდრე აღსრულება შეუძლია და რისხვა და მწუხარება ალაპარაკებს ასეო. ვინიციუსის ტანჯვა აქტეას შებრალებას გამოიწვევდა, მაგრამ ვაჟს თავშეუკავებლობამ ისე აუვსო მოთმინების ფიალა, რომ აქტეამ ჰკითხა: ჩემთან რისთვის მოხვედიო? ვინიციუსი დაიბნა, არ იცოდა, რა ეპასუხნა. მიტომ მივიდა, რომ ესე სურდა, ფიქრობდა, აქტეამ შეიძლება რაიმე ცნობა მომაწოდოსო. უფრო კი იმიტომ მივიდა, კეისრის ნახვა უნდოდა და რადგან ნერონის ნახვა ვერ მოუხდა, აქტეასთან შემოვიდა. ლიგიამ თავისი გაქცევით კეისრის ურჩობა ჩაიდინა, სწორედ კეისარს შესთხოვს მოძებნოს ქალი მთელს ქალაქში, მთელს სახელმწიფოში, თუნდა ამისთვის

ყველა ლეგიონის დახმარება შეიქნას საჭირო და ყველა სახლის გაჩხრეკა მთელ იმპერიაში. პეტრონიუსიც დაეხმარება და ძებნას დღეიდანვე დაიწყებენ.

ამაზე აქტეამ უთხრა:

– უფრთხილდი, სამუდამოდ არ დაკარგო ლიგია და სწორეს მაშინ, როდესაც მას კეისრის ბრძანებით იპოვიან.

– ეგ რას ნიშნავს? – ჰკითხა ვაჟმა.

– გამიგონე, მარკუს! გუშინ მე და ლიგია აქაურ ბაღებში ვიყავით და პოპეას შევხვდით, ზანგის ქალს ლილიტას პატარა ავგუსტა ეჭირა ხელში. საღამოზე ბავშვი ავად გახდა და ლილიტა ირწმუნება, თვალნაკრავია, იმ უცხოელმა ქალმა გათვალა, ბაღში რომ შეგვხვდაო. თუ ბავშვი განიკურნა, ამას დაივიწყებენ თუ არა, პოპეა პირველი დააბრალებს ლიგიას ჯადოქრობას და მაშინ, რა წამს იპოვიან, მის გადარჩენას ვეღარავინ ვერ შეძლებს.

ერთ წამს დუმილი ჩამოვარდა. შემდეგ ვინიციუსმა თქვა:

– იქნებ კიდეც მოაჯადოვა... მეც მომაჯადოვა...

– ლილიტაც ამბობს, რომ ბავშმა ტირილი დაიწყო, როდესაც ჩვენ ჩაგვიარეს. მართლაც ტირილი დაიწყო. უეჭველია, ბაღში უკვე ავადმყოფი გამოიყვანეს. მარკუს, თვითონ შენ ეძებე ლიგია, სადაც გინდა, მაგრამ ვიდრე პატარა ავგუსტა არ მორჩება, იმაზე კეისარს ნურას ეტყვი, თორემ მას პოპეას შურისძიებას დაატეხ თავს. შენი გამოისობით საკმაო ცრემლი დაღვარა. ღმერთებო, მფარველ ექმენით საბრალო გოგონას.

– აქტეა, ლიგია გიყვარს? – პირქუშად კითხა ვინიციუსმა.

– ჰო, შემიყვარდა.

– იმიტომ, რომ სიყვარულის წილ სიძულვილი არ მიგიღია მისგან, როგორც მე მივიღე.

აქტეა ერთ წამს უცქერდა სტუმარს, თითქოს ჭოჭმანობდა, წრფელი გულით ლაპარაკობს თუ არაო. შემდეგ უპასუხა:

– დამთხვეულო და ბრმავ, იმას უყვარხარ!

ამ სიტყვებზე ვინიციუსი გიჟივით წამოხტა. ტყუილია, ლიგიას იგი ეჯავრება. აქტეამ ვითომ საიდან

იცის? ნუთი ლიგია ერთი დღის ნაცნობობის დროს ყველაფერში გამოუტყდა? სადაური სიყვარულია, როდესაც ხეტიალს, შიმშილს, სიგლახაკეს, გამოურკვეველ მომავალსა და იქნება საცოდავ სიკვდილსაც ამჯობინებს ათასფრად მორთულ სახლს, სადაც მოსიყვარულე კაცი იმას ნადიმზე მიელის? ჯობს ეგ სიტყვები არც კი გააგონონ, ჭკუიდან არ გადაცდეს. ვინიციუსი კი იმ ქალს სასახლის არც ერთ საუნჯეზე არ გასცვლიდა, ის კი გაექცა. ეს სადაური სიყვარულია, რომ დატკბობისა ეშინია და მწუხარებას რჩეობს? ვინ მიხვდება ამას? ამისი ახსნა ვის შეუძლია? ლიგიას პოვნის იმედი რომ არა ჰქონდეს, თავს მახვილით გაიგმირავდა... ავლუსის სახლში ისეთი წუთები იყო, როდესაც სჯეროდა, ბედნიერება ახლოს არისო, ახლა კი დარწმუნდა, რომ ლიგიას ეჯავრება, სძულს და ისე მოკვდება, გულიდან მის სიძულვილს ვერ ამოიღებს.

მაგრამ აქტეა, ჩვეულებრივ წყნარი და მოშიშარი, ახლა კი სამდურავზე გადავიდა. როგორ სცადა ვინიციუსმა ქალის გულის მოგება? იმის მაგიერ, ქალი ავლუსისა და პომპონიასაგან ეთხოვნა, ცბიერებით მშობლებს წაართვა. ცოლად კი არ უნდოდა, ხასად გახდომა მოუწადინა. მერე ვის?-მეფის

ასულს! ბოროტმოქმედებისა და გარყვნილების სახლში შეიყვანა, უმანკო თვალები საზიზღარი ნადიმის სანახაობით შეურაცხყო, ისე მოეპყრო, როგორც გარყვნილ ქალს. განა დაავიწყდა რა არის ავლუსის სახლი, რა ადამიანია ლიგიას აღმზრდელი პომპონია გრეცინა? ნუთუ იმდენი ჭკუა არა აქვს შეიგნოს, რომ იგი ნიგიდიას, კალვია კრისპინილას, პოპეას და კეისრის სასახლის სხვა ქალებს არა ჰგავს. განა ლიგია რომ ნახა, მაშინვე ვერ მიხვდა, რომ ის უმანკო

არსებაა და სირცხვილს სიკვდილი ურჩევნია. ვინ იცის, რომელ ღმერთს სცემს ლიგია თაყვანს? იქნებ უფრო წმინდასა და უკეთესს, ვიდრე გარყვნილი ვენერა და ისიდა არიან, რომის გახრწნილი ქალები რომ სცემენ თაყვანს? არა, ლიგიას აქტეასათვის არ უთქვამს, ვინიციუსი მიყვარსო, მაგრამ ის კი უთხრა, ხსნას ვინიციუსისგან მოველიო. იმედი ჰქონდა მისი, კეისარს შეეევედრება და ისევ პომპონიასთან დამაბრუნებსო. ამას რომ ამბობდა, წითლდებოდა, როგორც მოსიყვარულე და მინდობილმა ქალებმა იციან. ლიგიას გული ვინიციუსისათვის უძგერდა, მაგრამ ვაჟმა თვითონვე შეაჯავრა თავი, შეაშინა, შეურაცხჰყო იგი და ახლა შეუძლია ეძებოს კეისრის ჯარისკაცების დახმარებით. მაგრამ იცოდეს კი, თუ პოპეას ბავშვი მოკვდა, მაშინ ლიგიას დაბრალდება და მისი დაღუპვა აუცილებელი შეიქნება.

ეს სიტყვები ღრმად მოხვდა ვინიციუსის გულს, მთლად შეშფოთდა, იქნებ მართლა ვუყვარვარო ლიგიას. მოაგონდა ავლუსის ბაღში როგორ უსმენდა ლიგია, ლოყებწამოწითლებული და თვალელვარე. მაშინ მოეჩვენა, შეიძლება ქალს შევუყვარდეო და ამ მოგონებაზე უცებ ბედნიერების გრძნობამ მოიცვა იგი. ვინიციუსმა გაიფიქრა, მართლაც შემეძლო ლიგიას მოსიყვარულე გული მომეპოვებინაო. ლიგია მის კარებს ნართს შემოახვევდა, მგლის ქონს წაუსვამდა და შემდეგ, როგორც ცოლი ვაჟის კერასთან ცხვრის ტყავზე დაჯდებოდა. მისი ბაგიდან საღმრთო სიტყვებს მოისმენდა: „საცა შენა გაიუს, მეც იქ გაია'' და ლიგია სამუდამოდ მისი შეიქნებოდა. რატომ ასე არ მოიქცა? ახლა მზადაა, ცოლად შეირთოს, მაგრამ ლიგია აღარ არის,

შესაძლოა ვერასოდესაც ვერ იპოვოს, და კიდეც რომ იპოვოს, შესაძლოა დაღუპოს და თუნდაც არ დაღუპოს, აღარც ავლუსი, აღარც პომპონია და აღარც თვითონ ლიგია მის წინადადებას აღარ მიიღებენ. ვინიციუსი ხელახლა რისხვამ მოიცვა, თმა ყალყზე დაუდგა. ახლა ავლუსისა და ლიგიას

წინააღმდეგ კი არა, პეტრონიუსის წინააღმდეგ მოიმართა. სულ იმისი ბრალია ყველაფერი. ის რომ არ ყოფილიყო, ლიგიას სახეტიალოდ არ გაუხდებოდა საქმე, ვინიციუსის ცოლი შეიქნებოდა და არავითარი საშიშროება აღარ დაემუქრებოდა. ახლა კი ყველაფერი აღსრულდა, ახლა ბოროტის გასწორება გვიანღა არის.

– გვიანღაა!

ისე მოეჩვენა, თითქოს ფეხქვეშ უფსკრულმა უყო პირი. რა იღონოს, როგორ მოიქცეს, სად წავიდეს? აქტეამ ექოსავით გაიმეორა „გვიანღაამ'' და სხვისი პირით ნათქვამი ეს სიტყვა ვინიციუსს სიკვდილის განაჩენივით ჩაესმა. მას მხოლოდ ერთი გაეგებოდა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, ლიგია ეპოვა, თუ არადა, რაღაც საშინელება დაემართებოდა.

ანგარიშმიუცემლად ტოგაში გაეხვია და ის იყო, აქტეას უდნა გამოთხოვებოდა, რომ დერეფანსა და ატრიუმს შუა ფარდა გაიწია და უცებ პომპონია გრეცინა გამოჩნდა, ჩვეულებისამებრ შავად მორთული.

რა თქმა უნდა, ლიგიას დაკარგვა იმასაც გაეგო და რაკი იფიქრა, მე უფრო ადვილად ვნახავო აქტეას, ვიდრე ავლუსი, ამბის მოსაკითხავად მოვიდა. მაგრამ დაინახა თუ არა ვინიციუსი, ფერმკრთალი სახე მისკენ მიაბრუნა და უთხრა:

– მარკუს, ღმერთმა გაპატიოს, რაც შენ ჩვენ და ლიგიას ბოროტი გვიყავ.

ვინიციუსი თავჩაღუნული იდგა. თავს უბედურად და დამნაშავედ გრძნობდა და ვერ გაეგო, რომელ ღმერთს უნდა ეპატიებინა მისთვის და ან კიდევ პომპონია პატიებას რად ეუბნებოდა, როდესაც შურისგებაზე უნდა ელაპარაკნა.

შემდეგ მძიმე ფიქრებით სავსე ოთახიდან გავიდა, არ იცოდა, საით წასულიყო. აუტანელ დარდსა და ვარამს დაეჩაგრა ვინიციუსი.

გარეთ და ტალანში შეშფოთებული ხალხი იდგა. სასახლის მონათა შორის მხედრები და სენატორები მოჩანდნენ. პატარა ავგუსტას მდგომარეობის გასაგებად მოსულნი. სინამდვილეში კი იმიტომ, რომ სასახლეში სჩვეენებოდნენ და თავისი გულმოდგინება დაემტკიცებინათ თუნდაც კეისრის მონების წინაშე. ეტყობოდა, „ქალღმერთის'' ავადმყოფობის ამბავი მთელ ქალაქს მოსდებოდა, რადგან სულ ახალი ხალხი ჩნდებოდა და თაღის იქითაც იდგა ხალხი. ზოგმა ახალ

მოსულმა დაინახა თუ არა სასახლიდან გამოსული ვინიციუსი, ახალი ამბები ჰკითხა, მაგრამ ის პასუხს არავის აძლევდა და პირდაპირ მოდიოდა. პეტრონიუსიც, ის იყო, მოვიდა, ლამის ვინიციუსის მკერდს არ შეეხალა.

ვინიციუსი პეტრონიუსის დანახვაზე უეჭველად გაბრაზდებოდა და კეისრის სასახლეში რაიმე ალიაქოთს ასტეხდა, მაგრამ აქტეადან მთლად შერყეული, ღონემიხდილი და დაჩაგრული გამოვიდა; ჩვეულებრივი სიანჩხლეც კი დროებით გაუქრა. მაინც პეტრონიუსი გზიდან ჩამოიცილა და უნდოდა გასცლოდა, მაგრამ პეტრონიუსმა თითქმის ძალით შეაყენა.

– როგორ არის ღვთაებრივი? – ჰკითხა მან.

ამ დაძალადებულმა შეყენებამ ვინიციუსს გულზე ცეცხლი მოუკიდა და განარისხა.

– ჯოჯოხეთსა შთაუნთქავს ისიცა და მთელი ეს სახლიც, – კბილებქვეშ უპასუხა მან.

– დაჩუმდი, უბედურო! – შეაჩერა პეტრონიუსმა. გარშემო მიმოიხედა და საჩქაროდ დაუმატა, – ლიგიას ამბავი თუ გინდა გაიგო წამომყევ, აქ არაფერს გეტყვი... თან წამომყევ და ტახტრევანში გადმოგცემ ჩემს ვარაუდს.

ყმაწვილ კაცს ხელი მოხვია და საჩქაროდ სასახლიდან გაიყვანა. იმას მხოლოდ ვინიციუსის აქედან გაყვანა უნდოდა თორემ ლიგიასი არაფერი იცოდა. პეტრონიუსი წინდახედული კაცი გახლდათ და მიუხედავად წუხანდელი აღშფოთებისა დიდად თანაუგრძნობდა ვინიციუსს, თან იმასაც ფიქრობდა, მომხდარი ამბავი ჩემი ბრალიცა�ო, ამიტომაც პეტრონიუსმა ზოგი რამ კიდეც მოიმოქმედა და ტახტრევანში რომ ჩასხდნენ, დისწულს უთხრა: – ქალაქის ყველა კართან ჩემი მონები დგანან, დაწვრილებით ვუთხარ ნიშნები ქალისაც და იმ გოლიათისაც, იმპერატორის ნადიმიდან რომ ხელში აყვანილი გამოიტანა. უეჭველია, შენს მონებს ის ქალი იმან წაართვა. გამიგონე, იქნება ავლუსმა მოინდომოს იმისი დამალვა ერთ-ერთ თავის მამულში, მაშინ გავიგებთ, რომელ მხარეზე წაიყვანეს. თუ იმას ქალაქის კარებთან ვერ ნახავენ, ეს იმის დამამტკიცებელი იქნება, რომ ლიგია ქალაქშივე დარჩა და ჩვენც დღესვე დავიწყებთ იმის მოძებნას.

– ავლუსმა არ იცის, სად არის. – მიუგო ვინიციუსმა.

– დარწმუნებული ხარ, რომ სწორედ ეგრეა?

– მე პომპონია ვნახე, ისიც დაეძებს.

– გუშინ ქალაქიდან ვერ გაიყვანდნენ, რადგან ღამით კარები დაკეტილია. ჩემი ორ-ორი მონა

ყველა კარს უდარაჯებს, ერთი ლიგიას და იმ გორილას უნდა მიჰყვეს, მეორე მაშინვე ჩემთან მოვიდეს და შემატყობინოს. თუ ქალაქშია, ვიპოვით, რადგან იმ ტანადი და მხარბეჭიანი ლიგიელის ცნობა ადვილია. შენი ბედი, რომ კეისარმა არ მოიტაცა. შემიძლია დაგარწმუნო, რომ კეისარი არაფერ შუაშია – -პალატინში ჩემგან დაფარული არა არსებობს რა.

მაგრამ უფრო დამწუხრებულმა, ვიდრე განრისხებულმა ვინიციუსმა ღელვისაგან აკანკალებული ხმით უამბო პეტრონიუსს, რაც აქტეასაგან გაეგონა. უთხრა, რა ახალი საშიშროება მოევლინა ლიგიას, გაქცეულები რომ იპოვოს კიდეც, პოპეასგან მათი გულმოდგინებით დამალვა არის საჭირო. მერე მწარედ უსაყვედურა პეტრონიუსს, რა რჩევა მომეციო. შენ რომ არ ყოფილიყავ, ყველაფერი სხვანაირად დატრიალდებოდაო: ლიგია ავლუსის სახლშივე დარჩებოდა, ყოველდღე ვნახავდი მას და ახლა კეისარზე უბედნიერესი ვიქნებოდიო. ლაპარაკში თანდათან სიფიცხემ უმატა. ბოლოს მწუხარებისა და სიბრაზის ცრემლებმა იწვიმეს მის თვალთაგან.

პეტრონიუსი სრულებით არ მოელოდა, რომ ყმაწვილ კაცს ასეთი სიყვარული შეეძლებოდა. სასოწარკვეთილების ცრემლები რომ დაინახა, გაოცებით ჩაილაპარაკა:

– ჰოი, ძლიერო მბრძანებელო კიპრიდა, შენ მბრძანებლობ ხალხზედაც და ღმერთებზედაც.

თავი მეთორმეტე

პეტრონიუსის სახლის წინ ტახტრევნიდან რომ გამოვიდნენ, ატრიუმის გამგემ მოახსენა: ქალაქის კარებთან გაგზავნილი მონები ჯერ არ დაბრუნებულანო. პეტრონიუსმა ბრძანა, იმათთვის საჭმელი წაეღოთ და თან დამუქრებოდნენ, როზგები არ აგცდებათ. თუკი ქალაქის კარებს ბეჯითად არ უთვალყურეთო.

– ხედავ, – უთხრა ვინიციუსს, – უეჭველია, ქალაქშივე არიან, მაშ იმათ ვიპოვით. მაინც შენს მონებსაც უბრძანე ქალაქის კარებს უთვალთვალონ, უფრო კი იმათ, ვინც ლიგისთვის გყვანდა გაგზავნილი.ისინი უფრო ადვილად იცნობენ ლტოლვილებს.

– მე ვბრძანე, ისინი ერგასტულუმში გაეგზავნათ, – უთხრა ვინიციუსმა, – მაგრამ ახლავე გავაუქმებ ამ ბრძანებას.დაე კარებთან იდარაჯონ.

და რამდენიმე სიტყვა დაწერა ცვილგადაკრულ ფირფიტაზე. პეტრონიუსს მისცა, ხოლო იმან უბრძანა, წამსვე ვინიციუსის სახლში წაეღოთ.

ორივენი შიდა პორტიკში გადავიდნენ, მარმარილოს სკამზე დასხდნენ და ლაპარაკი

დაიწყეს.ოქროსთმიანმა ევნიკამ და ირადამ ფერხთით ბრინჯაოს პატარა სკამები მიუდგეს და თასებში ღვინო დაუსხეს.

– შენს სახლში ვინმე იმისთანა ხომ არ არის, რომ იმ უზარმაზარ ლიგიელს რომ სცნობდეს? – ჰკითხა პეტრონიუსმა.

– იმას ატაცინი და გულო იცნობდნენ, მაგრამ ატაცინი გუშინ ტახტრევანთან დაიღუპა და გულო კი მე თვითონ მოვკალი.

– საბრალო გულო, – თქვა პეტრონიუსმა, – მარტო შენ კი არა, მეც იმის გაზრდილი ვიყავი.

– გულოსთვის აზატობის მიცემა მინდოდა, – მიუგო ვინიციუსმა, – მაგრამ ამაზე ლაპარაკი არა ღირს.ლიგიაზე ვილაპარაკოთ.რომი ხომ ნამდვილი ზღვა არის...

– მარგალიტებს ზღვაში იჭერენ. უეჭველია, დღესა და ხვალ ვერ მივაგნებთ იმის კვალს, მაგრამ როდისმე მაინც ვიპოვით.შენ ეს არის, ახლა მაყვედრიდი, ეს რა მირჩიეო, ჩემი რჩევა თავისთავად კარგი იყო, მაგრამ ცუდი მაშინ შეიქნა, როდესაც საქმე ცუდად მოტრიალდა. მერე კიდევ შენ თვითონ ავლუსისაგან გაიგონე, რომ მთელი ოჯახით სიცილიაში გადასახლებას აპირებდა. ასე თუ ისე, ლიგიას მაინც გაშორებდნენ.

– მეც იმათ გავყვებოდი, – მიუგო ვინიციუსმა, – თან თვითონ ლიგიას არავითარი საფრთხე არ დაემუქრებოდა.ახლა კი, თუ ის ბავშვი მოკვდა, თვითონ პოპეაც დაიჯერებს და კეისარსაც დაარწმუნებს, უბედურება ლიგიასგან მოგვივიდაო.

– მართალია.ეგ მეც მაწუხებს. მაგრამ პატარა თოჯინა შეიძლება მორჩეს კიდეც და თუ მოკვდა, ჩვენ მაინც რაიმე საშუალებას მოვიგონებთ.

ერთ წამს დაჩუმდა და შემდეგ თქვა:

– პოპეა თითქოს ებრაელების სარწმუნოებას მისდევს.კეისარი ცრუმორწმუნეა.თუ ხმა გავავრცელეთ, ქალი ბოროტმა სულმა მოიტაცაო, დაიჯერე-

ბენ, მით უფრო, რომ არც კეისარი, არც ავლუსი ამ საქმეში არავითარ მონაწილეობას არ იღებდნენ და თანაც ლიგია მეტისმეტად საიდუმლოდ გაქრა.მარტო ლიგიელი ამას ვერ მოახერხებდა. უეჭველია, დაეხმარებოდნენ, მაგრამ როგორ მოახერხა მონამ, ერთ დღეში იმდენი ხალხი შეეგროვებინა?

– მთელ რომში მონები ერთმანეთს ხელს უმართავენ.

– ეგ ეგრეა, მაგრამ სხვა მონების საწინააღმდეგოს არას სჩადიან, იმათ კი იცოდნენ, რომ შენს

მონებს თავს პასუხისგება და სასჯელი დაატყდებოდათ.თუ შენს მონებს ჩააგონებ, ამ საქმეში ბოროტი სულები მონაწილეობდნენო, მაშინ დაადასტურებენ, რომ თავის თვალით ნახეს ისინი, რათა შენი რისხვა აიცდინონ.აბა საცდელად რომელსამე ჰკითხე, ხომ არ დაგინახავს ლიგია სულებს ჰაერში რომ მიჰქონდათ- თქო. მაშინვე ზევსს დაიფიცებენ, ეგრე იყოო.

თავადაც ცრუმორწმუნე ვინიციუსმა უცებ შეშფოთებით შეხედა პეტრონიუსს.

თუ ურსუსს მეშველი არავინ ჰყავდა და მარტო მოტაცებას ვერ მოახერხებდა, მაშინ ვინ მოიტაცა ლიგია?

პეტრონიუსმა გაიცინა.

– აი, ხედავ, – თქვა მან, – დაიჯერებენ-მეთქი, როდესაც შენც კი სანახევროდ უკვე დაიჯერე.ჩვენში იციან ღმერთების სასაცილოდ აგდება. ჰოდა, დაიჯერებენ და აღარც მოძებნიან, ჩვენ კი ამასობაში იმას ქალაქს მოვაშორებთ და ან შენს, ან ჩემს რომელიმე ვილაში დავაბინავებთ.

– კარგი, მაგრამ გაქცევა მაინც ვინ უშველა?

– გაქცევა ერთმორწმუნეებმა უშველეს, – უპასუხა პეტრონიუსმა.

– რომელმა ერთმორწმუნეებმა?განა რომელ ღმერთს სცემენ თაყვანს? ეს მე შენზე უკეთესად უნდა ვიცოდე.

– რომში თითქმის ყველა მანდილოსანი რომელიმე ღმერთს ეთაყვანება. უეჭველია, პომპონიამ ბავშვობიდანვე იმ ღმერთის მოშიში გახადა, რომელსაც თვითონ სცემს თაყვანს, ეგ რომელი ღმერთია, არ ვიცი, ერთი კი ცნობილია:არავის უნახავს, რომ პონპონიას რომელიმე ღმერთისთვის სადმე ტაძარში მსხვერპლი მიეტანოს.იმაზე ამბობენ, ქრისტიანიაო. მაგრამ ეს შეუძლებელია, შინაურმა სამსჯავრომ გაამართლა. ქრისტიანებზე ხმები და-

დის, ისინი არათუ ვირის თავს სცემენ პატივს, არამედ, საზოგადოდ, ხალხთა ნათესავის მტრები არიან, საზიზღარ დანაშაულობასაც არ ერიდებიან. პომპონიას ქრისტიანობა დაუჯერებელია, რადგან მისი სათნოება ყველამ იცის; კაცთა ნათესავის მტერი ისე სათნოდ არ მოეპყრობა თავის მონებს.

– ისე არსად არ ეპყრობიან მონებს, როგორც ავლუსის ოჯახში, – დაადასტურა ვინიციუსმა.

– ხომ ხედავ... პომპონიამ ჩემთან ახსენა რომელიღაც ერთი, ყოვლადძლიერი და ყოვლადმოწყალე ღმერთი. სხვა ღმერთები სად მიჩურთა – ეს მისი საქმეა. საკმარისია, რომ მისი ლოგოსი არ იქნებოდა ყოვლადძლიერი, ან უკეთ რომ ვთქვათ, მეტად საბრალო ლოგოსი

იქნებოდა, თუ მხოლოდ ორი თაყვანისმცემლის – პომპონიასა და ლიგიას და კიდევ ურსუსის იმედზე დარჩენილიყო. უეჭველია, მისი თაყვანისმცემელნი ბევრნი არიან და ლიგიასაც სწორედ იმათ უშველეს.

– ეს სარწმუნოება მიტევებას ბრძანებს, – თქვა ვინიციუსმა, – აქტეასთან პომპონია შემხვდა და მითხრა: „ღმერთმა გაპატიოს, რაც შენ ჩვენ და ლიგიას ბოროტი გვიყავ.''

– ჩანს, იმათი ღმერთი რაღაც კურატორია, მეტად კეთილი. მჰ!.. დაე გაპატიოს და პატიების ნიშნად ქალი დაგიბრუნოს.

– ხვალვე მივუტანდი ჰეკატომბას. შემზიზღდა ჭამაც, აბანოც და ძილიც. მუქ ლაცერნას ჩავიცვამ და ქალაქში ტანტალს დავიწყებ. იქნებ ტანისამოსგამოცვლილმა ვიპოვო... ავადა ვარ!

პეტრონიუსმა სიბრალულით შეხედა. თვალებქვეშ ლურჯი წრეები აჩნდა და თვალთა გუგები უბრწყინავდა. დილით მოუპარსავი წვერი მოლურჯო ზოლად მოსდებოდა მის ყბებს. თმა აწეწილი ჰქონდა და მართლაც ავადმყოფის იერი ედო. ირადა და ოქროს თმიანი ევნიკა სიბრალულით უცქეროდნენ, მაგრამ თვითონ ვინიციუსი ვერ ხედავდა მხევლებს. პატრონიცა და სტუმარიც მონებს არ დაგიდევდნენ, თითქოს ადამიანები კი არა, ძაღლები არიანო.

– სიცხე გაქვს, – უთხრა პეტრონიუსმა.

– მართალია.

– მაშ, გამიგონე... არ ვიცი, ექიმი რას გირჩევდა, ის კი ვიცი, შენი ვიყო, როგორ მოვიქცეოდი. ვიდრე ლიგიას ვიპოვიდი, სხვაგან მოვძებნიდი იმას,

რაც დავკარგე. შენს ვილაში საგანგებდ ასხმული ქალები ვნახე. ნუ მეკამათები... ვიცი, რაც არის სიყვარული. ერთისაგან გაწბილებული მეორესთან ვერ პოვებს ნუგეშს. მაგრამ ლამაზ მონა ქალს მუდამ შეუძლია დროებით მაინც გაგართოს.

– არ მინდა, – უპასუხა ვინიციუსმა.

მაგრამ პეტრონიუსი, რაკი ვინიციუსი უყვარდა, ფიქრობდა ახალგაზრდა კაცის მწუხარება როგორმე შეემსუბუქებინა.

– იქნება შენებს სიახლის ლაზათი აღარა აქვთ, – და ჯერ ირადასა და ევნიკას თვალი გადაავლო, მერე ბერძნის ქალს თეძოზე ხელი დაადო და ვინიციუსს უთხრა:-ერთი ამ გრაციას მიაქციე ყურადღება. რამდენიმე დღის წინ ახალგაზრდა ფოტენიუს კაპიტონი ამაში სამ მშვენიერ

კლაზომენელ ბიჭს მაძლევდა, იმიტომ, რომ ამაზე უმშვენიერეს სხეულს თვითონ სკოპასიც ვერ გამოაქანდაკებდა. ვერ გამიგია, რისგან მოხდა, რომ თვითონ მე გულგრილი დავრჩი. ვეჭობ, ქრიზოტემიდაზე ფიქრმა შემაკავა. შენი იყოს, წაიყვანე.

ევნიკამ რომ ეს გაიგონა, გაფითრდა, შეშინებული თვალით დაუწყო ცქერა ვინიციუსს და სულის კაწკაწით დაელოდა ახალგაზრდა კაცის პასუხს.

მაგრამ ვინიციუსი ადგილიდან მარდად წამოდგა, ხელები საფეთქლებზე მიიჭირა და როგორც სენით მოცულმა კაცმა, რომელსაც არაფრის მოსმენა არა სურს, აჩქარებით დაიწყო ლამარაკი:

– არა, არა! რად მინდა? მე სხვა არავინ მინდა! მადლობელი ვარ, უარს ვამბობ... მივდივარ ლიგიას მოსაძებნად. უბრძანე, გალური კაპიშონიანი ლაცერნა მომცენ. ტიბრს გაღმა გავალ, ურსუსს მაინც ვნახავ სადმე!

და საჩქაროდ გავიდა. პეტრონიუსმა აღარ შეაყენა, რაკი ესმოდა, ვინიციუსს ერთ ალაგას ჯდომა მართლაც არ შეუძლიაო. მაგრამ ვინიციუსის უარი ყველა სხვა ქალზე დროებითად მიიჩნია; მალე სხვებზედაც მიუვა გულიო, იფიქრა და რაკი არ სურდა, უხვი მარტო სიტყვით ყოფილიყო, მონა ქალს მიუბრუნდა და უთხეა:

– ევნიკა, გაიბანე, საცხებელი წაისვი, მოირთე და ვინიციუსთან წადი.

მაგრამ ბერძნის ქალი პეტრონიუსის წინ მუხლზე დაეცა და გულხელდაკრეფილმა ვედრება დაუწყო, ნუ მიმცემო. იგი ვინიციუსთან არ წავა. აქ

შეშის ზიდვას ირჩევს, იქ მსახურთა შორის პირველობას. არა სურს...არ შეუძლია... და შებრალებას ემუდარება. დაე ბრძანოს, ყოველდღე გაწკეპლონ, ოღონდ შინიდან ნუ დაითხოვს და შიშისა და ღელვისაგან ფოთოლივით მთრთოლარე ხელები მიაპყრო ბატონს. პეტრონიუსი გაკვირვებული უსმენდა მას. მონა ქალი, რომელიც თხოვნას ბედავს და ბრძანებას არ ასრულებს, ამბობს არ მინდა, არ შემიძლიაო, რომში იმდენად წარმოუდგენელი იყო, პეტრონიუსი ჯერ ყურს არ უჯერებდა.მეტად ნატიფი კაცი იყო საიმისოდ, რომ სისასტიკე გამოეჩინა. მონა ქალებს, მეტადრე გარყვნილების მხრივ, მეტი ნება ეძლეოდათ, ვიდრე სხვებს, მაგრამ იმ პირობით კი, რომ სამსახური საგანგებოდ შეესრულებინათ და ბატონის ნება ღმერთების ნების თანაბრად მიეჩნიათ. როდესაც მონები ამ ორ მოთხოვნილებას არ ასრულებდნენ, პეტრონიუსი, ჩვეულებრივ, დასჯას არ ერიდებოდა. ამას გარდა იგი წინააღმდეგობას და სულის სიმშვიდის დარღვევას ვერ იტანდა, ამიტომ დაჩოქილ მონა ქალს ერთ წამს უცქირა და უთხრა:;

– ტერეზიუსს დამიძახე და შენც თან მოჰყევი.

ევნიკა აკანკალებული და თვალცრემლიანი გავიდა და ატრიუმის გამგე კრიტელ ტერეზიუსთან ერთად ჩქარა დაბრუნდა.

– ევნიკა წაიყვანე, – უთხრა პეტრონიუსმა, – და ოცდახუთი წკეპლა დაჰკარი, ისე კი, რომ კანი არ დაუშავო.

ეს უთხრა და წიგნთსაცავში შევიდა, პირისფერ მარმარილოს მაგიდას მიუჯდა და მუშაობა დაიწყო თავის „ტრიმალხიონის ნადიმზე''.

მაგრამ ლიგიას გაქცევით და პატარა ავგუსტას ავადმყოფობით ისე იყო შეძრული, რომ მუშაობა დიდხანს ვერ შეიძლო. პატარა ავგუსტას ავადმყოფობა მეტად სამძიმო გარემოებას წარმოადგენდა. პეტრონიუსს მოაფიქრდა: კეისარმა რომ დაიჯეროს, ლიგიამ მოაჯადოვაო პატარა ავგუსტა, მაშინ პასუხისგება შესაძლოა პეტრონიუსსაც დაატყდეს თავს, რადგან ლიგია მხოლოდ მისი თხოვნით გაჩნდა სასახლეში. იმედი კი ჰქონდა, კეისარს პირველსავე შეხვედრაზე გაუქარწყლებდა ამ ეჭვს. მერე იმის იმედზეც იყო, პოპეას მოსწონდა პეტრონიუსი. მართალია, ამას ბეჯითად ფარავდა, მაგრამ ვერც ისე ბეჯითად, რომ პეტრონიუსს არ შეენიშნა. ბოლოს მხრები შეიშმუშნა, ტრიკლინიუმში საუზმის საჭმელად დაეშვა და უბრძანა, ტახტრევანი მოემზადებინათ სასახლეში წასასვლელად და შემდეგ ქრიზოტემიდასთან წავიდოდა.

ტრიკლინიუმის შესავალ ტალანში, მოსამსახურეებისთვის რომ იყო დანიშნული, სხვა მონებს შორის ტანკენარ ევნიკას მოჰკრა თვალი. პეტრონიუსს მოაგონდა, რომ ტერეზიუსს ევნიკას კაწკეპვლის მეტი არ უბრძანა რა, წარბები შეიკრა და თვალით ატრიუმის უფროსს ძებნა დაუწყო.

მაგრამ იგი იქ არ იყო. მაშინ პეტრონიუსმა ევნიკას მიმართა:

– გაგწკეპლეს?

ევნიკა ხელახლა ფეხებში ჩაუვარდა, მისი ტანსაცმლის კალთა ტუჩებზე მიიკრა და უპასუხა:

– დიახ, ბატონო, დამსაჯეს! დიახ, ბატონო!

მის ხმაში თითქოს სიხარული და მადლობა იხატებოდა. რა თქმა უნდა, იმიტომ, რომ, ფიქრობდა, მარტო ამ კაწკეპლით დააღწევდა თავს და აქვე დარჩენა შეეძლებოდა. პეტრონიუსი მიუხვდა ამას, მხევლის დაჟინებულმა წინააღმდეგობამ გააკვირვა, მაგრამ მეტად კარგად იცოდა ადამიანის ბუნება და არ შეიძლებოდა, არ მიხვედრილიყო, რომ მისი სიკერპის მიზეზი მხოლოდ სიყვარული უნდა ყოფილიყო.

– შენ ამ სასახლეში საყვარელი გყავს? – ჰკითხა მან.

ევნიკამ თავისი ცისფერი, ცრემლით სავსე თვალებით შეხედა და ისე ჩუმად უპასუხა, რომ მისი სიტყვების გაგონება ძნელად შეიძლებოდა.

– დიახ, ბატონო!

თავისი მშვენიერი თვალებით, უკან გადავარცხნილი ოქროსფერი თმით, სახეზე შიშისა და იმედის გამომეტყველებით ევნიკა ისეთი მშვენიერი იყო, ისეთი მუდარით უცქერდა მას, რომ პეტრონიუსმა, რაკი სიყვარულის ძალის მაღიარებელი ფილოსოფოსი იყო და ყველა მშვენიერების თაყვანისმცემელი, მონა ქალისადმი ცოტაოდენი სიბრალული იგრძნო.

მან ევნიკას მსახურებზე მიუთითა და ჰკითხა:

– რომელია ამათგან შენი საყვარელი?

კითხვა უპასუხოდ დარჩა, ევნიკამ მხოლოდ თავი უფრო დახარა და არ განძრეულა.

პეტრონიუსმა მონებს შეხედა, მათ შორის ბევრი იყო ლამაზი და ახოვანი. მაგრამ არც ერთის სახემ არაფერი განუცხადა და მხოლოდ ის შენიშნა, რომ მონები რაღაც უცნაურად იღიმებოდნენ.

პეტრონიუსმა ერთიც შეხედა მის ფერხთით დამხობილ ევნიკას და ხმა ამოუღებლად ტრიკლინიუმში წავიდა.

სასახლეში ყოფნის შემდეგ ქრიზოტემიდასთან გაეშურა და ღამე გვიანობამდე დარჩა. მოსვლისას ტერეზიუსის დაძახება ბრძანა.

– ევნიკა კაწკეპლე? – ჰკითხა მან.

– დიახ, ბატონო. მხოლოდ შენ მიბრძანე, კანი არ დაუშავოო.

– სხვა რამ ბრძანება არა მომიცია შენთვის?

– არა, ბატონო, – წუხილით უპასუხა atriensis -მა.

– კეთილი, ერთი მითხარ, ვინ არის იმისი საყვარელი?

– არავინ, ბატონო.

– რა იცი ევნიკასი?

ტერეზიუსმა ორჭოფული ხმით უპასუხა:

– ევნიკა ღამე კუბიკულუმიდან არ გამოდის, იქ სძინავს აკრიზიონასთან და იფიდასთან ერთად; შენი გაბანების შემდეგ, ბატონო, არასოდეს არა რჩება აბანოში... სხვა მონა ქალები დასცინიან და დიანას ეძახიან.

– საკმარისია, – უთხრა პეტრონიუსმა, – ჩემმა ნათესავმა, რომელსაც დილას ევნიკა ვაჩუქე, საჩუქარზე უარი მითხრა. დაე, აქვე დარჩეს. შეგიძლია, წახვიდე.

– შეიძლება, ბატონო, ზოგი რამ კიდე გითხრა ევნიკას შესახებ?

– აკი გიბრძანე, რაც იცი, ყველა მითხარი-მეთქი.

– მთელი შენი ჯალაბი იმის გაქცევაზე ლაპარაკობს, ვინაც კეთილშობილი ვინიციუსის სახლში უნდა დაბინავებულიყო. შენი წასვლის შემდეგ ევნიკა მოვიდა ჩემთან და მითხრა, ერთი კაცი ვიცი და იმას შეუძლია, გაქცეული იპოვოსო.

– ჰოო? – გაიკვირვა პეტრონიუსმა. – რა კაცია?

– მე იმას არ ვიცნობ, ბატონო, მაგრამ ვიფიქრე, რომ ეს ამბავი შენთვის უნდა მეთქვა.

– კარგი. ხვალ იმ კაცმა ჩემს სახლში ტრიბუნს უცადოს, და იმასაც ხვალ დილით ჩემი სახელით მოიწვევ.

Atriensis -მა თავი დაუკრა ბატონს და გავიდა.

პეტრონიუსმა უნებლიეთ ევნიკაზე დაიწყო ფიქრი. ჯერ ისე ეჩვენა, რომ ახალგაზრდა მონა ქალს სურს ლიგია იპოვოს მხოლოდ იმიტომ, რომ მისი სანაცვლო თვითონ არ შეიქნას. მაგრამ ახლა კი თავში გაუელვა, ალბათ ის კაცი ევნიკას საყვარელიაო. ეს აზრი უცებ რაღაც უსიამოვნოდ ეჩვენა. მისი შემოწმება ძნელი არ იყო; საკმაო იქნებოდა, ევნიკა მოეხმო; მაგრამ გვიან

იყო. პეტრონიუსი ქრიზოტემიდასთან დიდხანს ყოფნის შემდეგ დაღლას გრძნობდა, ეძინებოდა კიდეც. კუბიკულიუმში მიმავალმა, უცებ, თვითონ არ იცოდა რატომ, გაიხსენა, რომ ქრიზოტემიდას თვალების კუთხეებში ნაოჭები შეამჩნია და გაიფიქრა, ქრიზოტემიდას სილამაზე რომში ზომაზე მეტადაა შეფასებულიო, ხოლო ფონტენიუს კაპიტონმა, ევნიკაში რომ სამი ლამაზი ბიჭი შეაძლია, მეტად იაფად მოისურვა ქალის ხელში ჩაგდება.

თავი მეცამეტე

მეორე დღეს პეტრონიუსმა უნკტორიუმში ტანთ ჩაიცვა თუ არა, ტერეზიუსისაგან მოწვეული ვინიციუსი მოვიდა. იმან უკვე იცოდა, რომ ქალაქის კარებიდან არაფერი ცნობა არ იყო მოსული და ეს უფრო მეტად ადარდიანებდა. ახლა უკვე ფიქრობდა, ალბათ ურსუსმა ლიგია ქალაქიდან მაშინვე გაიყვანა, უფრო ადრე, ვიდრე პეტრონიუსმა დარაჯები დააყენაო. მართალია, შემოდგომით, როცა დღე პატარაა, ქალაქის კარებს ადრე კეტავდნენ ხოლმე, მაგრამ რადგან გამსვლელები ბლომად იყვნენ, კარებს ვადის შემდეგაც აღებდნენ. ქალაქიდან გასვლა სხვა საშუალებითაც შეიძლებოდა. ეს საშუალება მონებმა კარგად იცოდნენ. მართალია, ვინიციუსმა თავისი კაცები ყველა პროვინციაში მიმავალ გზებზე გაგზავნა, პატარა ქალაქების ხელისუფალთაც აცნობა ორი მონის – ურსუსისა და ლიგიას გაქცევის ამბავი, ლტოლვილთა დაწვრილებითი აღწერილობა შეატყობინა და მათი შეპყრობისათვის ჯილდოსაც დაჰპირდა, მაგრამ ძალიან საეჭვო იყო, დასწეოდნენ გაქცეულებს და თუნდაც დასწეოდნენ კიდეც, მაინც ადგილობრივი ხელისუფალნი ლტოლვილებს მარტო ვინიციუსის მოთხოვნით პრეტორის ხელმოუწერელი კანონის გარეშე არ შეიპყრობდნენ. ასეთი ბრძანებისათვის კი დრო არა ჰქონდა.თვითონ ვინიციუსმა გუშინ მონის ტანისამოსი ჩაიცვა და მთელი დღე ეძება ლიგია ქალაქის ყველა მივარდნილ ადგილას, მაგრამ ვერავითარ კვალს ვერ მიაგნო და ვერც ვერაფერი შეიტყო. ავლუსის კაცებიც ეძებდნენ და ამან დაარწმუნა ვინიციუსი, რომ ლიგია ავლუსის მოტაცებული არ იყო და არც იმან იცოდა, რა იქნა ქალი.

და ახლა, როდესაც ტერეზიუსმა გადასცა – კაცი გამოჩნდა, რომელიც ლიგიას მოძებნას კისრულობსო, ვინიციუსი უმალვე პეტრონიუსისაკენ გაექანა და მისვლისთანავე იმ კაცის ამბის გამოკითხვა დაუწყო.

ჩქარა ვნახავთ იმ კაცს, – დაამშვიდა პეტრონიუსმა, – ის ევნიკას ნაცნობი ყოფილა. ახლავე შემოვა ტოგის ნაკეცების დასაწყობად და უფრო დაწვრილებით ცნობებს გვეტყვის.

– ევნიკა ისაა, გუშინ რომ ჩემთვის გინდოდა გეჩუქებინა?

– ისა, საჩუქრად რომ დამიწუნე. სწორი გითხრა, მადლობელიცა ვარ, რადგან მთელ ქალაქში იმაზე უკეთესი ტანთჩამცმელი არ მოიპოვება.

სიტყვა გაათავა თუ არა, ევნიკა შემოვიდა, სპილოს ძვლით მოჭედილი სავარძლიდან ტოგა აიღო და გაშალა, რომ პეტრონიუსისათვის წამოესხა. სახის გამომეტყველება ნათელი ჰქონდა და თვალებიც სიხარულით უკრთოდნენ.

პეტრონიუსმა შეხედა მას და ძალიან ლამაზი ეჩვენა. ტოგა რომ წამოასხა და გასწორება დაუწყო.ხანდახან რომელიმე ნაკეცის შესასწორებლად ძირს იხრებოდა და ამ დროს

პეტრონიუსმა შეამჩნია, რომ მის ხელს მშვენიერი ლაჟვარდი ფერი ეფინებოდა, ხოლო მკერდი და მხრები სადაფისა თუ ალებასტრის ფერად უელავდა.

– ევნიკა, ჰკითხა მან, – გუშინ რომ კაცი გეთქვა ტერეზიუსისათვის, მოვიდა?

– მოვიდა, ბატონო.

– რა ჰქვია?

– ხილონ ხილონიდი, ბატონო.

– ვინ არის, რა კაცია?

– ექიმი, ბრძენი და მისანი; ადამიანის ბედის წაკითხვა იცის და მომავლის წინასწარმეტყველია.

– განა შენც გიწინასწარმეტყველა მომავალი?

– დიახ, ბატონო.

– რაო, რა გითხრა?

– რომ სიმძიმილი და ბედნიერება მომელის.

– სიმძიმილი გუშინ ტერეზიუსის წკეპლებმა მოგაყენეს, მაშ ბედნიერებაც უნდა მოგევლინოს.

– უკვე მომევლინა, ბატონო.

– რა ბედნიერება?

ევნიკამ ჩუმად წაიჩურჩულა:

– აქ დავრჩი.

პეტრონიუსმა ქალს ოქროსფერ თმაზე ხელი დაადო.

– დღეს კარგად დააწყვე ნაკეცები, შენი კმაყოფილი ვარ.

ბატონის ხელის შეხებაზე ქალს თვალები ბედნიერებისგან დაუბნელდა და მკერდი შეუტოკდა.

პეტრონიუსი და ვინიციუსი ატრიუმში გადავიდნენ, სადაც მათ ხილონ ხილონიდი ელოდა.

მოსულებს მან მძიმედ დაუკრა თავი. პეტრონიუსს გუშინდელი გაფიქრება მოაგონდა, იქნება ეს კაცი ევნიკას საყვარელიაო, და ახლა ტუჩებზე ღიმი მოუვიდა. მის წინ მდგარი კაცი არავის საყვარელი არ შეიძლება ყოფილიყო. მის უცნაურ გარეგნობაში რაღაც საზიზღარიც იყო და სასაცილოც. ბებერი არ იყო, ჭუჭყიან წვერსა და ხუჭუჭ თმაში მხოლოდ აქა-იქ მოუჩანდა ჭაღარა. მუცელი ჩავარდნილი ჰქონდა, მხრები მაღლა აწეული, რის გამო კუზიანს ჰგავდა. ამ კუზზე თავი იყო ამართული. სახით, გამომცდელი თვალებით ერთსა და იმავე დროს მაიმუნსაც მოგაგონებდათ და მელიასაც. სახის ყვითელ კანზე, უფრო ბლომად კი ცხვირზე მუწუკები ეყარა და ღვინის გადაჭარბებულ სიყვარულს ააშკარავებდა. დაუდევარი ტანისამოსი - მუქი ტუნიკა და მუქივე დაგლეჯილი მოსასხამი - ნამდვილ თუ თვალთმაქცურ სიღატაკეს ამჟღავნებდა. პეტრონიუსმა რომ დაინახა, ჰომეროსის თერსიტე მოაგონდა. ხელის მოძრაობით უპასუხა თავის დაკვრაზე და უთხრა:

– გამარჯვება, ღვთაებრივო თერსიტე! შენი კოპები როგორ არიან, ულისმა რომ ტროასთან დაგაჯილდოვა და თვითონ ისიც ელისიონის ველზე რასა იქმს?

– კეთილშობილო ბატონო, - მიუგო ხილონ ხილონიდმა, - განსვენებულთა შორის უბრძენესი ულისი ცოცხალთა შორის უბრძენეს პეტრონიუსს ჩემი პირით სალამს მოახსენებს და სთხოვს, ახალი მოსასხამით დაფაროს ჩემი კოპები.

– ჰეკატეს ვფიცავ, - შესძახა პეტრონიუსმა, - პასუხი მოსასხამის ღირსია.

მაგრამ მოუთმენელმა ვინიციუსმა ლაპარაკი გააწყვეტინა და პირდაპირ ჰკითხა:

– კარგად იცი, რას კისრულობ?

– როდესაც ორი წარჩინებული გვარის ჯალაბი სხვას არას ამბობს, ხოლო ნახევარი რომი იმათ კვალში უდგას, მაშინ ცოდნა ძნელი არ არის, -

მიუგო ხილონმა, - წუხელ ავლუს პლავციუსის გაზრდილი მოიტაცეს, სახელად ლიგია, უფრო სწორად კალინა, რომელიც შენს მონებს, ბატონო, სასახლიდან შენს ინსულაში მოჰყავდათ. მე ვკისრულობ, მოვძებნო იგი ქალაქში, ან თუ ქალაქი დატოვა, რაიც არა მგონია, მაშინ, კეთილშობილო ბატონო, გაჩვენო, საით გაიქცა და სად იმალება.

– კარგი, - უთხრა ვინიციუსმა, რომელსაც მოკლე პასუხი მოეწონა. - მერე რა საშუალება გაქვს საამისოდ?

ხილონმა ცბიერად გაუღიმა.

– საშუალება, ბატონო, შენა გაქვს, მე კი ჭკუა მაქვს.

პეტრონიუსმაც გაიღიმა. იგი თავისი სტუმრის კმაყოფილი დარჩა.

„ამ კაცს ლიგიას მოძებნა შეუძლია“, - გაიფიქრა მან.

ვინიციუსმა თავისი შეერთებული წარბები მოიჭმუხნა და უთხრა:

– თუ საშოვრის გულისთვის მატყუებ, ვუბრძანებ, ცემით სული ამოგხადონ.

– მე ფილოსოფოსი ვარ, ბატონო, ფილოსოფოსს კი საშოვარი ვერ გაიტაცებს, რასაც ეგოდენ სულრგძელობით მიქადი.

– როგორ თუ ფილოსოფოსი? - ჰკითხა პეტრონიუსმა, - ევნიკამ კი მითხრა, ექიმია და მისანიო. საიდან იცნობ ევრიკას?

– ჩემთან მოვიდა ერთი საშუალებისთვის. ჩემმა დიდებამ იმის ყურამდეც მიაღწია.

– რა საშუალება გთხოვა?

– სიყვარულის წამალი მთხოვა, ბატონო, უბედური სიყვარულისგან თავის მორჩენა ეწადა.

– მერე, მოარჩინე?

– მეტიც გავუკეთე, ბატონო, მე იმას ისეთი ავგაროზი მივეცი, რომ უეჭველად საპასუხო სიყვარულს იპოვის. პათოსში, კიპროსზე ერთი ტაძარია, რომელშიაც ვენერას ქამარი ინახება. იმ ქამრიდან ორი ძაფი მივეცი, ნუშის ნაჭუჭში ჩადებული.

– ძვირად დაუსვი ეგ წამლობა?

– ორფრთა სიყვარულში საკმარის ფასს ვერასოდეს ვერ გადაიხდის კაცი. რადგან მარჯვენა ხელზე ორი თითი არა მაქვს, ამიტომ ფულს ვაგროვებ მწერალი მონის სასყიდლად, რათა ჩემი აზრები ჩაწეროს და ჩემი მოძღვრება ქვეყანას შეუნახოს.

– რომელ სკოლას ეკუთვნი, ღვთაებრივო ბერძენო?

– მე ცინიკოსი ვარ, ბატონო, რადგან დაგლეჯილი მოსასხამი მაქვს; სტოიკოსი გახლავარ, რადგან ნაკლებობას უდრტვინველად ვიტან; პერიპატეტიკოსიც ვარ, რადგან ტახტრევნის არამქონე ღვინის ერთი დუქნიდან მეორემდე ფეხით დავდივარ და გზა-გზა იმათ ვასწავლი, ვინც მპირდება ღვინის ფასს ჩვენ გადავიხდითო.

– ღვინის სმაში რიტორად გადიქცევი ხოლმე, განა?

– ჰერაკლიტემ თქვა: ყოველივე მიედინებაო. განა შენ კი უარყოფ, რომ ღვინო სითხეა?

– მაგის გარდა, ის იმასაც ქადაგებდა, ცეცხლი ღვთაებააო, ჰოდა, სწორედ ის ღვთაება ანთია შენს ცხვირზე.

– ხოლო ღვთაებრივი დიოგენე აპოლონელი გვასწავლის, ქვეყანა ჰაერისგან არის შექმნილიო და, რაც უფრო თბილია ჰაერი, მით უფრო სრულყოფილ არსებებს აჩენს, ხოლო სულ ცხელი ჰაერიდან ბრძენთა სულები იბადებიანო. შემოდგომაზე ცივა, მაშ, ნამდვილი ბრძენი თავის სულს ღვინით უნდა ათბობდეს...შენც დამეთანხმები, ბატონო, რომ კაპუური თუ ტელეზიური წვენის ერთი ხელადა ადამიანის მიწიერ ძვლებს სითბოს ვერ მოჰფენს.

– ხილონ ხილონიდ, სად არის შენი სამშობლო?

– ევქსინის პონტოს ნაპირზე. მე გვარეულობით მესემბრიიდან ვარ.

– შენ დიადი კაცი ხარ, ხილონ!

– მაგრამ არად მიჩნეული! – ცივად დაუმატა ბრძენმა.

ვინიციუსს კი კვლავ მოთმინება დაელია. იმას იმედმა გაუელვა. უნდოდა, ხილონს ძებნა იმწამსვე დაეწყო. მთელი ის ლაპარაკი კი ამაო დროს დაკარგვად მიაჩნდა, ამიტომ პეტრონიუსზე ჯავრი მოსდიოდა.

– ძებნას როდის დაიწყებ? - ჰკითხა მან ბერძენს.

– უკვე დავიწყე, - უპასუხა ხილონმა, – როდესაც მე აქა ვარ, როდესაც პასუხს გაძლევ შენს მოწყალე კითხვებზე, მაშინაც ვეძებ. მხოლოდ დამიჯერე, ახოვანო ტრიბუნო, ფეხსაცმლის შესაკრავი რომ დაგკარგოდა, იმ შესაკრავის მოძებნასაც შევიძლებდი, იმას მაინც აღმოვაჩენდი, ვინც ის შესაკრავი ქუჩაში აიღო.

– უწინ ასეთ დავალებას ასრულებდი? – დაინტერესდა პეტრონიუსი.

ბერძენმა თვალები ცას მიაპყრო.

– ახლა ძალიან მცირე ფასი ადევს სათნოებასა და სიბრძნეს, ამიტომაც ფილოსოფოსი იძულებულია, თავის რჩენისათვის სხვადასხვა სახსარი ეძებოს.

– მერე რა სახსრისათვის მიგიგნია?

– ყველაფერი ვიცი და ამ ამბებს ყველას ვეუბნები, ვისაც კი მათი მოსმენა სურს.

– და ვინც ფასს მოგცემს?

– ეჰ, ბატონო, მწერალი მინდა ვიყიდო! თუ არა, სიბრძნეს საიქიოში წავიღებ.

– თუ აქამდე იმდენი ვერ მოაგროვე, მთელი მოსასხამი გეყიდნა, ჩანს, დიდი ღვაწლი არ მიგიძღვის.

– მოკრძალება ნებას არ მაძლევს ჩემს ღვაწლზე ვილაპარაკო; მაინც იმას ყურადღება მიაპყარ, ბატონო, რომ ახლა ისეთი სულგრძელი ხალხი აღარ არის, როგორიც უწინ მრავალი იყო, რომელთაც სამსახურის წილ ოქროში ჩასმა ისე ესიამოვნებოდათ, როგორც პუტეოლური ხამანწკის გადაყლაპვა. ჩემი დამსახურება კი არ არის მცირე, ადამიანის მადლობაა მცირე. ძვირფასი მონა რომ გაიქცევა, ვინ იპოვის იმას, თუ არ მამაჩემის ერთადერთი შვილი... როდესაც ქალაქის კედლებზე ღვთაებრივი პოპეას შეურაცმყოფელი წარწერები გაჩნდება, დამნაშავეს ვინ მიაგნებს? ვინ გაიგებს, რომელ წიგნების გამყიდველს აქვს კეისრის საწინააღმდეგო ლექსები? ვინ

მიუტანს ამბავს, თუ რას ლაპარაკობენ სენატორების და პატრიციების სახლში? ვის ატანენ წერილს, რომელსაც მონას არ ანდობენ? ვინ აყურადებს სადალაქოებთან, ვისთვის არის განცხადებული მეღვინეებისა და ხაბაზების ყველა საიდუმლო, ვის ენდობიან მონები, ვინ მოახერხებს, გულდაგულ გაჩხრიკოს ყველა სახლი ატრიუმიდან ბაღამდე, ვინ იცის ყველა ქუჩა, შესახვევი, სამალავი? ვინ იცის, რას ლაპარაკობენ ციხეებში, ცირკში, ბაზრებში, ლანისტთა სკოლაში, მონებით მოვაჭრეთა საწყობებს და თვითონ არენარიაშიაც.

– ღმერთების გულისთვის, კმარა, ღვთაებრივო ბრძენო!-შეჰყვირა პეტრონიუსმა, – ლამის არის, ჩავიხრჩოთ შენს დამსახურებაში, შენს სათნოებას, სიბრძნესა და ქველმოქმედებაში. გვინდოდა, გვცოდნოდა, რა ხარ – ახლა ვიცით.

ვინიციუსს კი უხაროდა. იგი ფიქრობდა, ეს კაცი მეძებარი ძაღლივით რაკი კვალს დაადგება, აღარ მოეშვება, ვიდრე ნადირის ბუნაგს არ მიაგნებს.

– კარგი, – უთხრა იმან, – მითითება საჭიროა შენთვის?

– ჩემთვის იარაღია საჭირო.

– -იარაღიო? – გაკვირვებით ჰკითხა ვინიციუსმა.

ბერძენმა ერთი ხელი გაუშალა, ხოლო მეორეთი ფულის დათვლა მიანიშნა.

– დროა ასეთი, – ამოიოხრა მან.

– მაშ ვირი გამოხვალ, ოქროთი სავსე ტომრებით ციხე-სიმაგრის ამღები, – შენიშნა პეტრონიუსმა.

– მე მხოლოდ ღარიბი ფილოსოფოსი ვარ, – მორჩილად მიუგო ხილონმა, – ოქრო თქვენა გაქვთ.

ვინიციუსმა ქისა გადაუგდო, ბერძენმა მარდად დაიჭირა, თუმცა მარჯვენა ხელზე მართლა ორი თითი აკლდა.

მერე თავი მაღლა აიღო და უთხრა:

– ბატონო, მე უკვე მეტი ვიცი, ვიდრე შენა გგონია. აქ ხელცარიელი არ მოვსულვარ. მე ვიცი, რომ ქალი ავლუსმა არ მოიტაცა, იმიტომ, რომ იმის მსახურებს ველაპარაკე. ვიცი, რომ ის არც პალატინშია, სადაც ყველა პატარა ავგუსტას დასტრიალებს თავს, იქნებ იმისი გუმანიც მაქვს, ქალის ძებნას ჩემი საშუალებით რადა რჩეობთ, და არა კეისრის ვიგილებისა და ჯარისკაცების

შემწეობით. ვიცი, რომ გაქცევა მსახურმა მოუწყო, ლიგიას ქვეყნისვე კაცმა. მონების დახმაერბას ვერ მოიპოვებდა; მონები ერთმანეთში შეთანხმებულნი არიან, შენი მონების წინააღმდეგ არ იმოქმედებდნენ. იმას მხოლოდ ერთმორწმუნეებმა უშველეს...

– გესმის, ვინიციუს, – გააწყვეტინა პეტრონიუსმა, – განა სიტყვასიტყვით მეც ეგ არ გითხარი?

– ეგ ჩემთვის დიდი პატივია, – თქვა ხილონმა, – ქალი, – ისევ ვინიციუსს მიუბრუნდა ბერძენი, – უეჭველია იმავე ღმერთს სცემს თაყვანს, რომელსაც რომაელ ქალთა შორის ყოვლად ღირსეული ნამდვილი matrona stolata პომპონია აღიარებს. ისიც გამიგონია, რომ პომპონია შინაურ სამსჯავროში გაუსამართლებიათ რაღაც უცხო ღმერთების თაყვანისცემისთვის, მაგრამ

ის კი ვერ მოვახერხე, მსახურებისგან შემეტყო, რა ღვთაებაა და მის აღმსარებელთ რა ჰქვიათ. მე რომ ამისი შეტყობა შევიძლო, მათთან წავიდოდი, ყველაზე გადაბრჯნილი აღმსარებელი გავხდებოდი და მათ ნდობას დავიმსახურებდი. მაგრამ, ბატონო, ვიცი, რომ რამდენიმე დღე კეთილშობილი ავლუსის სახლში გაატარე, იქნება შეიძლო ამ საგანზე რაიმე მითხრა.

– არ შემიძლია, – უპასუხა ვინიციუსმა.

– თქვენ დიდხანს მეკითხებოდით, მეც პასუხს გაძლევდით, ნება მიბოძეთ, ახლა მეც გკითხოთ. არ

გინახავს, ღირსეულო ტრიბუნო, რაიმე ქანდაკება, რაიმე მსხვერპლი, რაიმე ავგაროზი პომპონიაზე ან შენს ღვთაებრივ ლიგიაზე? არ გინახავს მხოლოდ მათთვის გასაგები ნიშნები დაეხატოთ?

– ნიშნებიო? მოიცა! ჰო, ერთხელ ვნახე ლიგიამ ქვიშაზე თევზი მოხაზა.

– თევზი...ჰოო! ერთხელ იყო ეს თუ რამდენჯერმე?

– ერთხელ.

– დარწმუენბული ხარ, ბატონო, რომ სწორედ თევზი მოხაზა?

– დარწმუენბული ვარ, – უპასუხა დაინტერესებულმა ვინიციუსმა, – მივხვდი განა, რასაც ნიშნავს თევზი?

– მივხვდიო? – დაიძახა ხოლონმა. წასვლის ნიშნად თავი დაბლა დაუკრა და დასძინა: – მოგფინოსმცა ფორტუნამ, კეთილშობილო ბატონებო, თავისი მადლი.

– უთხარი, მოსასხამი მოგცენ, – მიმავალს მიაძახა პეტრონიუსმა.

– ულისი თერსიტეს გამო მადლობას გწირავს, – მიუგო ბერძენმა, მეორედ დაუკრა თავი და ატრიუმიდან გავიდა.

– რას ფიქრობ ამ კეთილშობილ ბერძენზე? – ჰკითხა პეტრონიუსმა დისწულს.

– ვფიქრობ, ლიგიას იპოვის, – სიხარულით შესძახა ვინიციუსმა, – იმასაც დავძენ: გაქნილების სახელმწიფო რომ არსებობდეს, ეგ იქ მეფე იქნებოდა.

– უეჭველია. ახლო უნდა გავიცნოთ ეგ სტოიკოსი. რაკი წავიდა, ახლა კი ვუბრძანებ, მონებს ატრიუმში დააკმიონ.

ახალ მოსასხამიანი ხილონ ხილონიდი ვინიციუსისაგან მიღებულ ქისას მაღლა აგდებდა და მისი წონითა და ფულის წკრიალით ტკბებოდა. ნელა

მიმავალი უკან იცქირებოდა, პეტრონიუსის სახლიდან ხომ თვალყურს არავინ მადევნებსო. ლიბიის პორტიკი გაიარა და clirbus Yirbius – ის კუთხემდე რომ მივიდა, სუბურასკენ გაუხვია.

– სპორთან უნდა შევიდე, – ფიქრობდა გუნებაში, – ფორტუნას პატივსაცემად ცოტა ღვინოს უნდა მივხედო. ძლივს არ ვიშოვე, რასაც დიდი ხანია ვეძებდი! ახალგაზრდაა, ფიცხია, უხვი, როგორც

კვიპროსის მადნები და იმ ლიგიელ ჩიტში მზად არის, თავისი ნახევარი ქონება მისცეს. დიახ, რა ხანია, სწორედ ასეთს ვეძებდი. ფრთხილად კი უნდა ვიყო, თორემ წარბების შეჭმუხვნა რომ იცის ეგ კარგს არას მოასწავებს. ვაი, რომ ახლა ქვეყნიერებაზე მგლის ლეკვები მეფობენ! პეტრონიუსისა ნაკლებ შემეშინდებოდა. ჰოი, ღმერთებო! რატომაა, რომ მაჭანკლობას უფრო დიდი ფასი ადევს, ვიდრე სათნოებას? ჰმ... ქვიშაზე თევზი გამოგისახა. თხის ერთმა ლუკმა ყველმა დამახრჩოს, თუ ვიცოდე, რას ნიშნავს ეს, თუმცა ვიცი! რადგან თევზი წყალქვეშ ცხოვრობს და წყალქვეშ უფრო ძნელია მოძებნა, ვიდრე მიწაზე, ergo, თევზის მოძებნის ფასს ცალკე გადამიხდის. ერთი ასეთი ქისაც და შევიძლებ, ეს გლახის გუდა გადავაგდო და ჩემთვის მონა ვიყიდო... მაგრამ რას მეტყოდი, ხილონ, მე რომ შენთვის მერჩია მონა კაცის მაგიერ მონა ქალი გეყიდნა?.. გიცნობ, რა შვილიცა ხარ! ვიცი, რომ ყაბულს იქნებოდი! ის რომ ისეთი ლამაზი იყოს, როგორიც, მაგალითად, ევნიკაა, იმის გვერდით შენც გაყმაწვილდებოდი, თანაც იმისგან პატიოსანი და უტყუარი შემოსავალიც გექნებოდა. საწყალ ევნიკას ორი ძაფი მივყიდე საკუთარი მოსასხამიდან გამოძრობილი... სულელია, მაგრამ პეტრონიუსმა, რომ მე მაჩუქოს, ავიყვანდი... დიახ, დიახ, ხილონ, ძეო ხილონისაო!.. დედ-მამა დაგიკარგავს, ობოლი ხარ, სანუგეშოდ მონა ქალი მაინც იყიდე. რადგან იმას სადმე ცხოვრება დასჭირდება, ვინიციუსი დაუქირავებს ბინას, შენც იმასთან დაბინავდები, ჩაცმა-დახურვა დასჭირდება, ვინიციუსი უყიდის ტანსაცმელს; ჭამა დასჭირდება – დაე იმან აჭამოს. ცხოვრება გაჭირდა! სადღაა ის დრო, როდესაც ერთ ობოლად იმდენ ცერცვს იყიდდი, რაც ორივე ხელში ჩამეტეოდა ან ერთ ნაჭერ სისხლით სავსე თხის ნაწლავს, თორმეტი

წლის ბიჭის მკლავის სიგრძე ნაწლავს. ესეც შენი ავაზაკი სპორი!.. ღვინის დუქანში ამბის გაგება უფრო ადვილია.

შევიდა და უბრძანა ერთი ხელადა „შავი'' მომართვითო, ხოლო პატრონის ეჭვიანი თვალი რომ შენიშნა, ქისიდან ერთი ოქრო ამოიღო, მაგიდაზე დადო და წარმოთქვა:

– სპორ, დღეს გათენებიდან შუადღემდე სენეკას ვამეცადინებდი და აი ჩემმა მეგობარმა საგზლად რა მაჩუქა.

ოქროს ფულის დანახვაზე სპორს მრგვალი თვალები უფრო დაუმრგვალდა და ხილონის წინ ღვინოც მაშინვე გაჩნდა. ამან ღვინოს თითი დააწო, მაგიდაზე თევზი დახატა და თქვა:

– იცი, ეს რას ნიშნას?

– თევზია, სხვა რა უნდა იყოს? თევზია და თევზი.

– უგუნურო, იმდენ წყალს ასხამ ღვინოში, რომ შიგ თევზსაც იპოვი. ეს სიმბოლოა, ფილოსოფიის ენაზე ნიშნავს – ფორტუნას ღიმილს. შენ რომ ეს გამოგეცნო, იქნებ ფორტუნას შენთვის გაეღიმა.

გეუბნები, პატივი ეცი ფილოსოფიას – მეთქი, თორემ შენს დუქანს ვუღალატებ – ჩემი პირადი მეგობარი პეტრონიუსი რა ხანია ცდილობს, ამაზე დამიყოლიოს.

თავი მეთოთხმეტე

რამდენიმე დღეს ხილონი არსად ჩვენებია ვისმე. ვინიციუსმა, რაკი აქტეასაგან გაიგო, ლიგიას უყვარხარო, ქალის პოვნა ასჯერ მეტად მოისურვა, დამოუკიდებლადაც დაიწყო ძებნა. არა სურდა და არც შეეძლო, კეისრისათვის დახმარება ეთხოვნა, რადგან იგი ძალზე შეწუხებული იყო პატარა ავგუსტას ავადმყოფობით.

იმ ბავშვს ვერც ტაძრებში მიტანილმა მსხვერპლმა უშველა, ვერც ლოცვამ და ჯადოქრობამ, ვერც ექიმების ხელოვნებამ. უკანასკნელ ხანს რომ მკითხავები და შემლოცველები დაიხმარეს, ვერც იმათ უშველეს. ერთი კვირის შემდეგ ბავშვი გარდაიცვალა. მთელი სასახლე და რომი ძაძით შეიმოსა. კეისარი რომ ბავშვის დაბადებით ცას ეწია, ახლა მწუხარებისგან გონება დაკარგა, ორ დღეს არ უჭამია რა და არც არავის ნახვა უნდოდა, თუმცა სასახლეში მრავალმა სენატორმა და ავგუსტიანმა მოიყარა თავი. სენატმა საგანგებო სხდომა მოიწვია და გარდაცვალებული პატარა გოგონა ქალღმერთად გამოაცხადა; დადგინდა, მის სახელობაზე ტაძარი აშენებულიყო

და ტაძრისათვის საკუთარი ქურუმი მიეჩინათ. სხვა ტაძრებში მიცვალებულის პატივსაცემად მსხვეპლს სწირავდნენ, გოგონას ქანდაკებას აკეთებდნენ სხვადასხვა ძვირფასი ლითონისაგან, ხოლო დასაფლავება უჩვეულო ზარით უნდა აღსრულებულიყო. ხალხს უკვირდა კეისრის მწუხარება, იმასთან ერთად ტიროდა, მოწყალებისათვის ხელი გაეშვირა, მაგრამ უფრო კი ყველანი უჩვეულო სანახავით ერთობოდნენ.

ამ სიკვდილმა პეტრონიუსი შეაშფოთა. მთელმა რომმა უკვე იცოდა, რომ პოპეა გოგონას სიკვდილს ჯადოქრობას აბრალებდა. იმას ექიმებიც ბანს აძლევდნენ. გაუხარდათ, რომ შემთხვევა ეძლეოდათ თავიანთი მცდელობის მარცხი სხვისთვის დაებრალებინათ, ამ აზრს ემხრობოდნენ ქურუმნიც-რაკი მსხვერპლმა ვერ უშველა გოგონას – საფრთხეში ჩავარდნილი შემლოცველებიცა და ხალხიც. პეტრონიუსს უხაროდა, რომ ლიგია გაიქცა. ავლუსისათვის არავითარი ბოროტი არა სურდა. მაგრამ რაკი თავისათვისა და ვინიციუსისათვის კეთილი უნდოდა, პალატინის წინ გლოვის ნიშნად გამოდგმული კვიპაროსის რტო მოხსნეს თუ არა, სენატორებისა და ავგუსტიანთათვის დანიშნულ მიღებაზე წავიდა, რათა დარწმუნებულიყო, სჯეროდა თუ არა ჯადოქრობის ამბავი ნერონს და თუკი სჯეროდა წინასწარ მიეღო ზომები და მოსალოდნელი ხიფათი აეცდინა.

პეტრონიუსი იცნობდა ნერონს და გუმანით იცოდა, შეიძლება ჯადოქრობა არცა სჯეროდესო, მაინც თავს ისე დაიჭერს, თითქოს სჯერა, რათა თავისი მწუხარება მიაყუჩოს, ჯავრი ვისმეზე იყაროს და ბოლოს იმიტომაც, ხალხს არ აფიქრებინოს, ნერონს ღმერთებმა დანაშაულთა წილ მიუზღვეს მისაზღვეველიო. პეტრონიუსს როდი სჯეროდა, რომ ნერონს ნამდვილი და ღრმა სიყვარული შეეძლო, თუნდაც ღვიძლი შვილისა. თუმცა იმპერატორი ამ სიყვარულს გულმხურვალედ გამოხატავდა, მაინც მისი მწუხარება გაზვიადებული უნდა ყოფილიყო. პეტრონიუსი მართლაც არ მოტყუვდა. სახე გამეხებული კეისარი სანატორებისა და მხედრების ნუგეშს თვალგაშტერებით ისმენდა, ჩანდა, რომ თუმცა ნამდვილად იტანჯებოდა კიდეც, იმასაც

ფიქრობდა, რა შთაბეჭდილებას ახდენს ჩემი სასოწარკვეთა გარემო მყოფ ხალხზეო. ნერონი ნიობეს თამაშობდა, თითქოს მსახიობია და მშობლის მწუხარების გამოსახატავად სცენაზე გამოსულაო. ისიც არ იცოდა, სახისთვის ჩუმი და თითქოს გაქვავებული მწუხარების გამოხატვა როგორ შე-

ენარჩუნებინა და დროდადრო ისე შეირხეოდა, თითქოს თავზე მიწას იყრისო, ხანაც ყრუ გმინვა აღმოხდებოდა, ხოლო პეტრონიუსი რომ დაინახა, წამოხტა და ტრაგიკული ხმით ყველას გასაგონას დაიყვირა:

– Ehen!.. შენა ხარ მისი სიკვდილის მიზეზი! შენი რჩევით შემოვიდა ამ კედლებში ბოროტი სული, რომელმაც ერთი შეხედვით გულიდან სული გამოსწოვა პაწაწას!.. ვაი ჩემს თავს!.. ემჯობინებოდა ჩემს თვალებს ჰელიოსისათვის არ შეეხედა!.. ვაი ჩემს თავს Ehen! Ehen!

და თანდათან ხმის ამაღლებით, სასოწარკვეთილი ყვირილით დარბაზი აახმაურა. პეტრონიუსმა გადაწყვიტა, ერთი ნაბიჯისათვის მიენდო ყველაფერი: ნერონს სწრაფად მოგლიჯა აბრეშუმის ხილაბანდი, მუდამ რომ ყელზე ქონდა შემოხვეული და პირზე მიაფარა.

– კეისარო! – ზარ-ზეიმით წარმოთქვა მან, – მწუხარებით რომი გადასწვი, მთელი ქვეყანაც იმას მიაყოლე, ოღონდ შენი ხმა შეგვინარჩუნე!

იქ მყოფნი გაოცდნენ, ერთ წამს თვითონ კეისარმაც იოცა, დამშვიდებული მარტო პეტრონიუსი დარჩა. მას ძალიან კარგად ესმოდა, რასაც სჩადიოდა. იცოდა, რომ ტერპნოსსა და დიოდორს ბრძანება ჰქონდათ მიცემული, კეისრისთვის ბაგისათვის დაურიდებლად მიეფარებინათ ხელი, თუკი ხმას იქამდე აიმაღლებდა, რომ შეიძლებოდა სიმღერის უნარი დაკარგოდა.

– კეისარო, -იმავე ზარ-ზეიმით განაგრძო პეტრონიუსმა, – აუნაზღაურებელი დანაკარგი მოგვივიდა, ნუგეშად ეს განძი მაინც შეგვრჩეს.

ნერონს სახე შეუთრთოლდა და თვალთაგან ცრემლი დაედინა. უცებ პეტრონიუსს მხარზე დაეყრდნო, თავი მის მკერდს მიაბჯინა და ტირილით გულამომჯდარმა უთხრა:

– მხოლოდ შენ ერთმა მოიფიქრე ეგ, პეტრონიუს! მხოლოდ შენ!..

ტიგელინუსს შურით მწვანე ფერი დაედო, ხოლო პეტრონიუსმა განაგრძო:

– ანციუმში წადი. იქ გაგიჩნდა პატარა, იქ მოგეფინა სიხარული, დამშვიდებაც იქ მოგევლინება. ზღვის ჰაერმა გაგიგრილოს ღვთებრივი ხორხი, შენმა მკერდმა ისუნთქოს მლაშე სინოტივე. შენი ერთგული მსახურნი თან გამოგყვებით და როდესაც ჩვენი ერთგულებით შენ მწუხარებას ვანუგეშებთ, მაშინ შენი სიმღერით დაღონებას დაგვიცხრობ.

– ჰო, -საცოდავი ხმით უპასუხა ნერონმა, – მე მის სადიდებლად ჰიმნს დავწერ და მუსიკაზე გადავიტან.

– შემდეგ ბაიის ცხელი მზით გახალისდები.

– მერე ფიქრთ გასართველად საბერძნეთში წავალ.

– პოეზიისა და სიმღერის სამშობლოში.

კეისრის მძიმე, მოდუნებული სულისკვეთება თანდათან განქარდა, როგორც მზეს მოფარებული ღრუბელი. ლაპარაკი წამოიწყეს, თუმცა მწუხარებით სავსე, მაგრამ მომავალ მოგზაურობაზე მსჯელობით გაცხოველებული. არტისტულ გამოსვლებზე ჩამოვარდა სიტყვა და ისიც ითქვა რა უნდა ვიღონოთ სომხეთის მეფის ტირიდატის მოსალოდნელი ჩამოსვლის გამო. ტიგელინუსმა ჯადოსნობის კიდევ ერთხელ გახსენება სცადა, მაგრამ გულდაჯერებულმა პეტრონიუსმა გამოწვევა მიიღო.

– ტიგელინუს, – უთხრა მან, – შენ გგონია, ჯადოს ღმერთების ვნება შეუძლია?

– თვითონ კეისარი ბრძანებდა ამას, – უპასუხა კარისკაცმა.

– მწუხარება ბრძანებდა და არა კეისარი; მაგრამ შენ რაღა აზრისა ხარ?

– ღმერთები ისე ძლიერნი არიან, რომ მათ ჯადო არ მიეკარება.

– მაშ ჩანს, შენ კეისრისა და მისი ოჯახის ღვთაებრიობას არა ცნობ.

– Peractum est! – წაიდუდუნა გვერდით მდგარმა ეპრიუს მარცელუსმა იმ ყვირილის მსგავსად, რაიც ბრბოს აღმოხდება ხოლმე, როდესაც ასპარეზზე გლადიატორს სასიკვდილოდ დაჰკრავენ.

ტიგელინუსმა რისხვა გულში ჩაიხვია. პეტრონიუსის მეტოქე ტიგელინუსს ის უპირატესობა ჰქონდა, რომ ნერონი მას ნაკლებად ერიდებოდა ან სულაც არ ერიდებოდა. როცა კი არ შერკინებია ეს ორი მეტოქე ერთმანეთს, ყოველთვის პეტრონიუსი სჯობდა, თავის ჭკუისა და მახვილგონიერების მეოხებით.

ახლაც ისე მოხდა, ტიგელინუსი დაჩუმდა და მხოლოდ ცდილობდა, ის სენატორები და მხედრები დაეხსომებინა, რომელნიც დარბაზის სიღრმისაკენ წასულ პეტრონიუსს გარსშემოეხვივნენ იმ ანგარიშით, რომ ყველა მომხდარის შემდეგ პეტრონიუსი კეისრის პირველი მახლობელი შეიქნებოდა.

პეტრონიუსი რომ სასახლიდან გამოვიდა, ვინიციუსთან წავიდა, კეისართან და ტიგელინუსთან შეჯახება უამბო და დაუმატა:

– მე არათუ ავლუსს პლავციუსს, პომპონიას და ჩვენ ორთავეს მოვაშორე საფრთხე, თვითონ ლიგიასაც. იმას ჟღალწვერა მაიმუნი აღარ მოძებნის, რადგან ჯერ ანციუმში წავა და იქიდან ნეაპოლში ან ბაიაში წასვლაზე

დავიყოლიე. წავა კიდეც, რადგან აქამდე რომის თეატრში გამოსვლას ვერ ბედავდა, ისიც ვიცი, რომ დიდი ხანია ნეაპოლში აპირებდა გამოსვლას. მერე საბერძნეთზე ოცნებობს, იქ ყველა თვალსაჩინო ქალაქში უნდა იმღეროს და ბოლოს graeculi -ს მიერ მორთული გვირგვინებით შემკობილ რომში ზეიმით დაბრუნება უნდა. მთელი ეს დრო შეგიძლია თავისუფლად ვეძებოთ ლიგია და თუ ვიპოვეთ, უშიშარ ალაგას დავმალოთ. ჩვენი კეთილშობილი ფილოსოფოსი აქამდე არ გამოჩეილა?

– შენი კეთილშობილი ფილოსოფოსი გაიძვერაა. არ ყოფილა, არ გამოჩენილა და აღარც გამოჩნდება.

– მე კი უკეთესი აზრისა ვარ, იმის პატიოსნებისა არ მცოდნია, მაგრამ ჭკუა კი მჯერა. ქისა ერთხელ ხომ შეგიმსუბუქა და იმიტომ მაინც მოვა, მეორედ კიდევ წაგეშველოს.

– გამიფრთხილდეს, თვითონ მას არ ავუკრა გუდა-ნაბადი ამ ქვეყნიდან.

– მაგას ნუ იზამ, მოთმინებით იყავ, ვიდრე ცხადად არ დარწმუნდე, რომ ტყუის. ფულს ნუღარ მისცემ, სამაგიეროდ, უხვ საჩუქარს დაჰპირდი, თუ ნამდვილ ცნობას მოგიტანს, თვითონ შენ აღარ გიმოქმედნია?

– ორი ჩემი აზატი ნიმფიდიუსი და დემასი ორმოცდაათი კაცით ეძებს ლიგიას, რომელი მონაც იპოვის, თავისუფლებას მიიღებს. ამას გარდა, რომიდან გასავალ ყველა გზაზე მარჯვე კაცები გაგვგზავნე, რომ ლიგიელი და ქალი ყველა ფუნდუკში მოიკითხონ. თვითონ მეც დღე და ღამე დავძრწი ქალაქში, ეგებ ბედმა გამიღიმოს და რასმე წავაწყდე-მეთქი.

– მე ანციუმში მომიხდება წასვლა, თუ რამე გაიგო, იქ მომწერე.

– კეთილი.

– და თუ ერთ მშვენიერ დღეს გაიღვიძო და შენს თავს უთხრა, ის გოგო ამდენ შეწუხებად და თავის ტეხად არა ღირსო, მაშინაც ანციუმში მოდი. იქ ქალებიც და შესაქცევარიც ბლომად გექნება.

ვინიციუსმა ჩქარი ნაბიჯით დაიწყო ოთახში სიარული. პეტრონიუსმა შეხედა მას და ჰკითხა:

– მე შენი მეგობარი ვარ და გულწრფელად მითხარ, არა, პასუხს აღტაცებული კაცივით ნუ გამცემ, რომელიც გულში რაღაცას ჩაიდებს და შმაგობს, არა, საზრისიანად, დინჯად მიპასუხე: კიდევ გიყვარს ლიგია?

ვინიციუსი ერთ წამს შედგა და ისე შეხედა პეტრონიუსს, თითქოს ჯერ არ ენახა, შემდეგ ისევ სიარული დაიწყო. ეტყობოდა, ცდილობდა, გულში

აფეთქება ჩაექრო, აღმოხეთქვას რომ ლამობდა. ბოლოს უღონობის, რისხვის, უზომო ნაღვლიანობისა და დარდის გამო თვალებში ორი ცრემლი ჩაუდგა. ამ ორმა ცრემლმა მეტი უთხრა პეტრონიუსს, ვიდრე მჭევრმეტყველური პასუხი ეტყოდა.

პეტრონიუსი ერთ წამს დაფიქრდა და თქვა:

– ქვეყანა ატლასს კი არ უჭირავს, დედაკაცს ჩაუგდია ხელში და ხანდახან ბურთსავით მაღლა ისვრის.

– მართალია, – დაეთანხმა ვინიციუსი.

და ის იყო, ერთმანეთს უნდა გამოთხოვებოდნენ, რომ მონა შემოვიდა და ვინიციუსს უთხრა:

ხილონ ხილონიდი დერეფანში იცდის და ბატონის წინაშე წარდგომის ნებას ითხოვსო. ვინიციუსმა წამსვე შემოშვება უბრძანა, ხოლო სტუმარმა თქვა:

– აბა, არ გეუბნებოდი? ჰერკულესს ვფიცავ, დამშვიდებით იყავ, თორემ იგი წამოგიკიდებს შენ და შენ იმას.

– სალამი და პატივისცემა კეთილშობილ სამხედრო ტრიბუნს და შენცა, ბატონო, – წარმოთქვა ოთახში შემოსულმა ხილონმა, – იყოსმცა თქვენი ბედნიერება თანაბარ თქვენი დიდებისა, ხოლო დიდება თქვენი მოეფინოს მთელ ქვეყანას – ჰერკულესის სვეტებიდან არშაკიდთა სახელმწიფოს საზღვრამდე.

– გამარჯვება, სათნოებისა და სიბრძნის კანონმდებელო, – უპასუხა პეტრონიუსმა.

ვინიციუსმა მოსაჩვენებელი დამშვიდებით ჰკითხა:

– აბა, რა მოგვიტანე?

– პირველად იმედი მოგიტანე, ხოლო ახლა დარწმუნება მომაქვს, რომ ქალს ვიპოვი.

– ეგ იმას ნიშნავს, რომ აქამდე არაფერი გიპოვია.

– დიახ, ბატონო, მაგრამ ის ხომ ვიპოვე, რას ნიშნავს თევზი, შენ რომ დაგიხატა. მე ვიცი ის ხალხი ვინ არის, რომელთაც ქალი წაგართვეს და ისიც ვიცი, რომელი ღმერთის აღმსარებლებში უნდა მოიძებნოს.

ვინიციუსმა დააპირა სავარძლიდან წამომხტარიყო, მაგრამ პეტრონიუსმა მხარზე ხელი დაადო და ხილონს მიმართ:

– განაგრძე სიტყვა.

– შენ ნამდვილად დარწმუნებული ხარ, ბატონო, რომ იმ ქალმა ქვიშაზე თევზი გამოხატა?

– ჰო, ჰო, – აღელდა ახალგაზრდა ტრიბუნი.

– მაშ, იგი ქრისტიანია და ქრისტიანებმა მოიტაცეს.

ერთ წამს დუმილი ჩამოვარდა.

– გამიგონე, ხილონ, – უთხრა პეტრონიუსმა, – ჩემმა ნათესავმა ქალის პოვნაში დიდძალი ფული დაგინიშნა და უფრო მეტი როზგის დარტყმა, თუ მის მოტყუებას განიზრახავ. პირველ შემთხვევაში ერთს კი არა, სამ მწერალს იყიდი, ხოლო მეორეში – შვიდივე ბრძენის ფილოსოფია, შენი საკუთარი ფილოსოფიის დართვით მაამებელ მალამოდ არ გამომადგება.

– ქალი ქრისტიანია, ბატონო, – დაიძახა ხილონმა.

– მოიცა, ხილონ, შენ სულელი კაცი არ ხარ. ჩვენ ვიცით, რომ იუნია სილანა და კალვია კრისპინილა პომპონია გრეცინას ქრისტიანობის ცრუმორწმუნეობას აბრალებდნენ, მაგრამ ჩვენ ისიც ვიცით, რომ შინაურმა სამსჯავრომ გაამართლა ქალი. ხომ არ გინდა ჩვენც ჩაგვაგონო, რომ პომპონია და მასთან ლიგიაც კაცთა ნათესავის მტრებს ეკუთვნიან, აუზებისა და ჭების მომწამლავებს, ვირის თავის თაყვანისმცემლებს, იმათ, ბავშვებს რომ ხოცავენ და თავად უსაზიზღრეს გარყვნილებას მისდევენ? მოიფიქრე, ხილონ, ისე არ მოგიხდეს, რომ თეზა, ახლა რომ ჩვენთვის მოგყავს, შენს ბეჭებზე ანტითეზად აისახოს.

ხილონმა ხელები გაშალა იმის ნიშნად, რა ჩემი ბრალიაო, და შემდეგ თქვა:

– ბატონო, თქვი ბერძნულად: იესო ქრისტე, ძე ღვთისა, მაცხოვარი.

– კარგი, აი ვთქვი, მერე რა გამოვიდა?

– ახლა ყველა სიტყვის პირველი ასო აიღე და ერთ სიტყვად შეაერთე.

– თევზი, – გაკვირვებით აღმოხდა პეტრონიუსს.

– აი ამიტომაც თევზის გამოხატულება ქრისტიანობის ნიშანი გახდა, – ამაყად მიგო ხილონმა.

ერთ წამს დუმილი ჩამოვარდა. ბერძნის გუმანი იმდენად საკვირველი იყო, რომ ორივე მეგობარი უნებლიეთ დაფიქრდა.

– ვინიციუს, -ჰკითხა პეტრონიუსმა, – ხომ არ სცდები, ლიგიამ სწორედ თევზი გამოგისახა?

– ქვესკნელის ყველა ღმერთს ვფიცავ, სწორედ ჭკუის დასაკარგავი ამ-ბავია, – გაჯავრდა ვინიციუსი, – იმას რომ ჩემთვის ფრინველი გამოესახა, მაშინ ფრინველს ვიტყოდი.

– მაშ იგი ქრისტიანია! გაიმეორა ხილონმა.

– ისე გამოდის, პომპონია და ლიგია სწამლავდნენ ჭებს, ქუჩაში მოტაცე-ბულ ბავშვებს ხოცავდნენ

და გარყვნილებას მისდევდნენ!- თქვა პეტრონიუსმა, – სისულელეა! შენ, ვინიციუს, უფრო დიდხანს იყავ იმათ სახლში, მე ცოტახანს ვიყავ, მაგრამ საკმაოდ ვიცნობ ავლუსსაც და პომპონიასაც, ლიგიასაც კი საკმაოდ ვიცნობ. თუ თევზი ქრისტიანობის ნიშანია, რაც თითქოს საკამათო არ უნდა იყოს, მაშინ პროსერპინას ვფიცავ, ქრისტიანები ისინი არა ყოფილან, რაც ჩვენ გვგონია.

– სოკრატესავით ბრძანებ, ბატონო, – მიუგო ხილონმა. – ვინმემ ოდესმე იკითხა ქრისტიანების ამბავი? ვინ გაეცნო მათ რჯულს? როდესაც მე ამ სამი წლის წინ რომს მოვდიოდი ნეაპოლიიდან (ნეტა, იქვე დავრჩენილიყავ). ერთი კაცი ამედევნა, სახელად გლავკოსი ერქვა, იმაზე ამბობდნენ, კარგი და სათნო კაციაო.

– იმ სათნო კაცისგან გაიგე ახლა, თევზი რას ნიშნავს?

– ვაი, რომ არა, ბატონო!გზაზე ერთ ფუნდუკში ვიღაცამ იმ მოხუც კაცს დანა ჩასცა, ცოლი და შვილები ვაჭრებმა წაიყვანეს მონებად, ხოლო მე იმათ შევეშველე და აი ეს ორი თითი დავკარგე. მაგრამ რადგან ამბობენ, ქრისტიანებს სასწაულები არ აკლიათო, მეც იმედი მაქვს, თითები ისევ გა-მეზრდება.

– როგორ? განა შენც გაქრისტიანდი?

– გუშინდელს აქეთ, ბატონო, გუშინდელს აქეთ. ამ თევზმა გამხადა ქრისტიანად. ხედავ, თევზს რა ძალა ჰქონია! რამდენიმე დღის შემდეგ გულ-მოდგინეზე გულმოდგინე ქრისტიანი გავხდები, რათა ყველა საიდუმლო გა-მანდონ და როცა ყველაფერს გამიმხელენ, მაშინ მეცოდინება ქალი სადა ჰყავთ დამალული. მაშინ იქნება ქრისტიანობამ უფრო მეტი ფასი მომცეს, ვიდრე ჩემი ფილოსოფია მაძლევს. მე მერკურიუსს შევუთქვი, თუ ქალის მოძებნას მიშველის, მსხვერპლად ერთი ხნისა და ტანის ორ ხბოს მოვუყვან, რომელთაც რქები მოვარაყებული ექნებათ.

– ჩანს შენი ახალნერგი ქრისტიანობა და უწინდელი ფილოსოფია ნებას გაძლევენ, მერკურიუსიც იწამო?

– მე მუდამ ისა მწამს, რაც საჭიროა მწამდეს, აი ეს არის ჩემი ფილოსოფია, რაც მერკურიუსის გემოვნებას უნდა მოუხდეს. თქვენ, ღირსეულო ბატონებო, იცით, საუბედუროდ, ეს ღმერთი ეჭვიანია. თვით უბიწო ფილოსოფოსთა დაპირებაც არა სჯერა და იქნება ხბოს მიღება ამთავითვე ერჩიოს, მაგრამ ჩემთვის ეს ახლა დიდი ხარჯია. ყველა სენეკა როდია. კეთილშობილ ვინიციუსს რომ მოესურვებინა და დაპირებული ფულიდან... რაიმე.

– არც ერთი ობოლი, ხილონ, – უთხრა პეტრონიუსმა, – არც ერთი ობოლი! ვინიციუსის სიუხვე შენს მოლოდინს გადააჭარბებს, მხოლოდ მაშინ, როდესაც ლიგიას იპოვი, ესე იგი, როდესაც იმის

თავშესაფარს გვაჩვენებ. მერკურიუსი ორ ხბოს ნისიად განდობს, თუმცა არც გამიკვირდება, რომ არც გენდოს. ამ უნდობლობას მე გონიერად ჩავუთვლი.

– ყური დამიგდეთ, ღირსეულო ბატონებო. აღმოჩენა, რომელიც მე მოვახდინე, არაჩვეულებრივი აღმოჩენაა, რადგან, თუმცა ქალი აქამდე არ მიპოვია, მაინც ნაღდ კვალს დავადექი, აი თქვენ... თქვენი აზატები და მონები გაგზავნეთ მთელ ქალაქში, ყველა პროვონციაში, მერე რომელმა გაცნობათ რამე? არავინ! მხოლოდ მე მოგიტანეთ ამბავი. მეტსაც გეტყვით. თქვენს მონებში შეიძლება ქრისტიანებიც ერივნენ, თქვენ ეს საიდან გეცოდინებათ, ეს ცრუ რჯული უკვე ყველგან გავრცელდა, და ის მონები, იმის მაგიერ, გიშველონ, გღალატობენ. ისიც კი ცუდია, რომ აქა მხედავენ. ამიტომ შენ, კეთილშობილო პეტრონიუს, ევნიკას უბრძანე ჩუმად იყოს, ხოლო შენ, კეთილშობილო ვინიციუს, ხმა დააგდე, ვითომც მალამო მოგყიდე, ცხენებს თუ წაუსვამ, ცირკში გამარჯვებული იქნები... მარტო მე მოვძებნი გაქცეულებს და მარტო მე ვიპოვნი, ხოლო თქვენ მერწმუნეთ და იცოდეთ, რამდენიც უნდა მივიღო წინასწარ, ჩემთვის ეს წაქეზება იქნება, ამიტომ მე ყოველთვის მეტის მოლოდინი მექნება და მით უფრო მეტად ვიქნები დარწმუნებული, რომ ჯილდო არ ამცდება. ჰო, მართლა, აი რა! როგორც ფილოსოფოსს, ფული მძულს, თუმცა იგი არც სენეკას სძულს, არც მუზონიუსსა და კორნუტუსს, რომელთაც სხვისი გამოსარჩლებისათვის თითები არ დაუკარ-

გავთ, თვით შეუძლიათ წერა და ჩამომავლობას თავის სახელს არ დაუკარ-
გავენ. მე მონის ყიდვას ვაპირებ და მერკურიუსს ხბოები შევუთქვი (ხომ იცი, საქონელი

როგორ გაძვირდა), თვითონ ძებნაც ხომ დიდ ხარჯს მოითხოვს, მოთმი-
ნებით მომისმინეთ. რამდენიმე დღის წინ გამუდმებული სიარულით ფეხებ-
ზე იარები გამიჩნდა, ღვინის დუქნებში დავწანწალებდი, რომ ხალხთან მე-
ლაპარაკნა, ხაბაზებთან, ყასბებთან, მეზეთეებთან და მეთევზეებთან. ყვე-
ლა ქუჩა და შუკა მოვირბინე; გაქცეული მონების სავანეებშიაც ვიყავ, მორა-
ში თითქმის ასი ასი წავაგე; ვინახულე ხალხი, კბილებს რომ აძრობენ, მო-
სარეცხეებთან ვიყავ, საშრობებსა და სამიკიტნოებში, მეღორეებიც ვინახუ-
ლე, ლეღვის ჩირის შემსყიდველ ჩარჩებსაც ველაპარაკე, სასაფლაოებზე-
დაც ვიყავ, და იცით რადა? იმიტომ, რომ ყველგან თევზი გამომესახა, ხალ-
ხისთვის თვალებში მეცქირა და ყური დამეგდო ამ გამოსახულზე რას იტ-
ყოდნენ. დიდხანს ვერაფერს ვამჩნევდი, მაგრამ ერთხელ შადრევანთან
მოხუც მონას მივაქციე ყურადღება. იგი კათხებით წყალს იღებდა და ტირო-
და. ახლოს მივედი და ტირილის მიზეზი ვკითხე. შადრევანთან ჩამოვსხე-
დით და იმან მიპასუხა, მთელი ჩემი სიცოცხლე სესტერციებს ვაგროვებდი,
მინდოდა, ჩემი საყვარელი შვილი გამომესყიდნა ვინმე პავსასგან. ფული
რომ მივუტანე წამართვა და ჩემი შვილი ისევ მონააო. „აი ამოტომ ვტირი, –
თქვა მოხუცმა, – და თუმცა მუდამ ვამბობ: იყოს ნება ღვთისა-მეთქი, მაინც
არ შემიძლია, საბრალო ცოდვილმა ცრემლები შევიკავო''. მაშინ, თითქოს
წინათგრძნობამ მიბიძგაო, წყალში თითი დავისველე და თევზი გამოვსახე.
ამაზე მოხუცმა მომიგო: „მეც ქრისტეს იმედი მაქვს'', მე ვკითხე, ამ ნიშნით
მიცანი-მეთქი? გიცანი, მშვიდობა შენდაო. მაშინვე გამოკითხვა დავუწყე და
ყველაფერი ვათქმევინე. მისი ბატონი, ის პავსა, თვითონ დიდ პავსას აზატი,
ტიბრით რომში ქვას ეზიდება, ხოლო მის მონებს ნავებიდან გადმოაქვთ და

მშენებლობაზე მიაქვთ ღამ-ღამობით, რა არის, დღისით ქუჩებში მოძ-
რაობას არ დაუშალონ. იქ ბევრი ქრისტიანი მუშაობს და მოხუცის შვილიც
იქვეა, მაგრამ მისთვის ძნელი სამუშაოა და ბერიკაცს ვაჟიშვილის გამოს-
ყიდვა უნდოდა. მაგრამ პავსმა ამჯობინა, ფულიც თავისთან დაეტოვებინა
და არც მონა გაეშვა. მოხუცი ისევ ასლუკუნდა, მეც მის ცრემლს ჩემი ცრემ-
ლი მივურთე. ეს ჩემთვის ძნელი არ იყო, ვინაიდან გულკეთილი გახლავარ
და თანაც ფეხები მტკიოდა. მე ავწუწუნდი, რომ ქრისტეს მიერ ძმათაგან

არავის ვიცნობდი, არ ვიცი სად იკრიბებიან ლოცვისათვის, რადგან დიდი ხანი არ არის, რაც ნეაპოლიდან ჩამოვედი-მეთქი. მოხუცს გაუკვირდა, რომ ნეაპოლელმა ქრისტიანებმა წერილი არ გამომატანეს, მაგრამ მე ვუთხარი, წერილები გზაზე მომპარეს -მეთქი. მაშინ მითხრა: ღამით მდინარესთან მოდი და ძმობას გაგაცნობო, ისინი კი წაგიყვანენ სამლოცველო სახლებში და უხუცესებთან, რომელნიც ქრისტიანების საზოგადოებას განაგებენო. ეს რომ მითხრა, ისე გამიხარდა, შვილის გამოსასყიდლად ფული მივეცი იმ იმედით, რომ სულგრძელი ვინიციუსი იმ ფულს ერთიორად დამიბრუნებდა...

– ხილონ, – გააწყვეტინა პეტრონიუსმა, – შენს ნაამბობში სიცრუე მართლის ზევით არის ამოტივტივებული, როგორც ზეთი წყალზე. შენ საყურადღებო ცნობები მოიტანე, ამის უარს არ ვამბობ, იმასაც ვფიქრობ, რომ შენ ლიგიას მოძებნის გზაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგი. მაგრამ ახალ ამბებს სიცრუით ნუ აზავებ. რა ჰქვიან მოხუცს, რომელმაც გითხრა, ქრისტიანები ერთმანეთს თევზის ნიშნით იცნობენო?

– ევრიციუსი, ბატონო, საბრალო უბედური მოხუცი! გლავკოსიც იმან მომაგონა, ყაჩაღებთან რომ გამოვესარჩლე.

– მჯერა, რომ შეთანხმდით და მაგას სასურველად გამოიყენებ, მაგრამ იმისათვის ფული არ მიგიცია, ერთი ასიც არ მიგიცია, გესმის? არაფერი არ მიგიცია.

– მაგრამ მე წყლის ზიდვა ვუშველე და შვილზე დიდი თანაგრძნობით ველაპარაკე. დიახ, ბატონო, პეტრონიუსის გამჭრიახობას რა დაემალება! დიახ, მართალია; მე იმისთვის ფული არ მიმიცია, ანუ უკეთ რომ ვთქვა, მივეცი მხოლოდ გუნებაში და ის რომ ნამდვილად ფილოსოფოსი იყოს, ეს მისთვის საკმარისი უნდა ყოფილიყო. ხოლო ფული იმიტომ მივეცი, ასეთი საქციელი საჭიროდ და სასარგებლოდ მივიჩნიე. თვითონ განსაჯეთ, ბატონებო, როგორ ამამაღლებდა ქრისტიანთა თვალში, როგორ მომაპოვინებდა მათ ნდობას.

– მართალია, – უთხრა პეტრონიუსმა, – ეგრე უნდა მოქცეულიყავ.

– ამიტომაც მოვედი, რომ სამაგისოდ მომამარაგოთ.

პეტრონიუსმა დისწულს მიმართა:

– უბრძანე, ხუთი ათასი სესტერცი გადაუხადონ მხოლოდ გუნებაში, გუნებაში.

მაგრამ ვინიციუსმა უთხრა ხილონს:

– პატარა ბიჭს გაგაყოლებ, საჭირო ფულს ის წამოგიღებს, ხოლო შენ ევრიციუსს ეტყვი, ბიჭი ჩემი მონაა-თქო და ბიჭის თანდასწერებით ფულს ჩაუთვლი მოხუცს. მაგრამ, რადგან დიდად საყურადღებო ამბავი მომიტანე, სხვა ხუთი ათასს საკუთრად მიიღებ. პატარა ბიჭისა და ფულისთვის საღამოზე მოხვალ.

– კეისარივით უხვი ხარ! – მიელაქუცა ხილონი, – ნება მიბოძე, ბატონო, ჩემი ნაწარმოები მოგიძღვნა. იმის ნებაც დამრთე, საღამოზე მარტო ფულისთვის მოვიდე. ევრიციუსმა მითხრა, ყველა ნავი უკვე გადმოტვირთულია, ხოლო ახლები ოსტიიდან რამდენიმე დღის შემდეგ მოვლენო. მშვიდობა თქვენდა! ქრისტიანები ესე ემშვიდობებიან ერთამენთს. მონა ქალს ვიყიდი ჩემთვის... მე მინდოდა მეთქვა: მონა კაცს-მეთქი. თევზს ანკესით იჭერენ, ქრისტიანებს კი თევზით. Pax vobiscum! Pax! Pax!

თავი მეთხუთმეტე

პეტრონიუსი ვინიციუსს:

„ამ წერილს სარწმუნო მონის ხელით ანციუმიდან გიგზავნი. და თუმცა შენი ხელი მახვილსა და ისარს უფრო შეჩვეულია, ვიდრე კალამს, მაინც ამის პასუხი დაუყოვნებლივ იმავე მონის ხელით გამომიგზავნე. მე შენ კარგ კვალზე შემდგარი და იმედიანი დაგტოვე. ვფიქრობ, შენ ლიგიას ხვევნა-კოცნით უკვე დაიცხრე ვნებანი, ამ საწადელს მანამდე აისრულებ, ვიდრე სორაკტეს მწვერვალიდან კამპანიას ნამდვილი ზამთრის ქარი მოევლინება. ჰოი, ვინიციუს! იყოსმცა შენი მასწავლებელი ოქროსთმიანი ქალღმერთი კიპრიდა, ხოლო შენ თავად იმ ლიგიელ ცისკარს მოევლინე მასწავლებლად, რომელიც სიყვარელის მზეს თავს არიდებს! მაგრამ მუდამ გახსოვდეს, რომ უძვირფასეს მარმარილოსაც კი ჩალის ფასი აქვს, თუ მას მოქანდაკის ხელი არ მოხვდა და ხელოვნების ნაწარმოებად არ გარდაქმნა. შენ ეგ მოქანდაკე უნდა იყო. საკმაო როდია, მხოლოდ გიყვარდეს, ისიც უნდა იცოდე, როგორ გიყვარდეს. უნდა მოახერხო და სიყვარული ასწავლო. სიტკბოებას ხომ პლებეებიც გრძნობენ, თვითონ ნადირნიც, მაგრამ ნამდვილი ადამიანი მათგან იმით განსხვავდება, რომ ამ სიტკბოებას უმაღლეს ხელოვნებად გადააქცევს. იგი ეტრფიალება ამ სიტკბოებას, გონებით სწონის მის ღვთაებრივ ფასს, ამიტომ მარტო ხორცს კი არ აამებს, სულსაც ატკბობს, როდესაც დაუფიქრდები უსაქმურობას,

ორჭოფობას და ჩვენი აქაური ცხოვრების მოწყენილობას, ბევრჯერ გამივლის ხოლმე გუნებაში: იქნება შენი არჩევანი უკეთესია, და რომ კეისრის სასახლე კი არა, მხოლოდ ომი და სიყვარულია, რისთვისაც ღირს ადამიანი დაიბადოს და იცოცხლოს.

ომში ბედი შეგწევდა, ბედნიერი იყავ სიყვარულშიაც და თუ შენთვის საინტერესოა, იცოდე, რა ხდება კეისრის სასახლეში, დროდადრო შეგატყობინებ ხოლმე. ჩვენ ახლა ანციუმში ვსხედვართ. ღვთაებრივ ხმას ველოლიავებით, ერთობლივ გვძულს რომი. ზამთარში ბაიაში წასასვლელად ვემზადებით, რათა ნეაპოლში საჯაროდ გამოვიდეთ; იქ მცხოვრები ბერძნები უკეთ შეგვაფასებენ, ვიდრე მგლის ჯიშის ჩამომავალნი, ტიბრის ნაპირზე რომ დასახლებულან. იქ მოვა ხალხი ბაიადან, პომპეიდან, სტაბიუმიდან, კუმიდან; არც ტაშისცემა მოგვაკლდება, არც გვირგვინები. ეს აქაიაში განზრახული მოგზაურობისთვის კარგი წაქეზება იქნება.

პატარა ავგუსტას ხსოვნა? დიახ! ჩვენ ჯერაც დავტირით პატარას. ჩვენგანვე შეთხზულ ჰიმნებს ისე მშვენივრად ვუმღერით, რომ სირინოზნი შურით ამფიტრიტეს უღრმეს ტევრებში იმალებიან. სამაგიეროდ, ჩვენი მოსმენა დელფინებს შეუძლიათ, ზღვის შხუილი რომ არ უშლიდეს. ჩვენი მწუხარება აქამდე არ განელებულა და იგი ყოველნაირად გამოვფინეთ ხალხში. რა სახე არ მივიღეთ, რა პოზა არ დავიჭირეთ, თან ყოველთვის ვცდილობდით, ლამაზად გვჭეროდა თავი. ჩემო ძვირფასო! სიკვდილამდე მასხარაობასა და ჯამბაზობას არ მოვიშლით!

ავგუსტიანნი – კაცი და ქალი – სულ აქ არიან, ხუთას ჭაკ ვირს თუ არ ჩავთვლით, რომელთა რძეში ღვთაებრივი პოპეა ბანაობს, კიდევ ათი ათასი მსახურია აქ. ხანდახან მხიარულება არის, კალვია კრისპინილა ბერდება. ამბობენ, პომპეას შეევედრა, შენს ნაბანებ რძეში ბანაობის უფლება მომეციო და ღვთებრივმაც ნება დართო. ლუკანუსმა ნიგიდიას სილა გაარტყა, რადგან ეჭვი აიღო გლადიატორთან აქვს კავშირიო. სენეციონმა ზარში სპორს ცოლი მოუგო. ტორკვატუს სილანუსმა ევნიკაში ოთხი ცხენი მაძლია, წელს შეჯიბრებაში უთუოდ გაიმარჯვებენო, მაგრამ მე არ ვინდომე, შენ გმადლობ, რომ მისი წაყვანა არ ისურვე. რაიც ტორკვატო სილანუსს შეეხება, საბრალო ვერც კი ამჩნევს, რომ იგი უფრო აჩრდილია, ვიდრე ადამიანი. მისი სიკვდილი უკვე გადაწყვეტილია და იცი რა დანაშაულისთვის?

ღვთაებრივი ავგუსტუსის შვილიშვილია. ხსნა აღარ არის. ასეთია ჩვენში წუთისოფელი!

როგორც უწყი, ტირიდატს ველოდით, ამასობაში ვოლოგეზმა შეურაცხმყოფელი წერილი მოგვწერა, რადგან იმან სომხეთი დაიპყრო, გვთხოვს, ქვეყანა მას დავუტოვოთ ტირიდატისათვის, თუ არა, მაინც არ დაგვანებებს. მასხრად აგვიგდო და ეგ არის! ჩვენ ომი გადავწყვიტეთ. კორბულონი იმ უფლებით აღიჭურვება, რა უფლებითაც ზღვის მეკობრეებთან მრძოლაში დიდი პომპეუსი იყო აღჭურვილი. ის კია, რომ ნერონი ყოყმანობდა; უეჭველია, ეშინია, ომში გამარჯვებამ მეტისმეტად ხმიანი არ გახადოს კორბულონის სახელიო. იმასახ კი ფიქრობდნენ, ეგებ მხედართმთავრობა ჩვენი ავლუსისთვის მიეცათ, მაგრამ პოპეა წავიდა წინააღმდეგ. ეტყობა, პომპონიას სათნოება გულს ლახვრად ესობა.

ვატინიუსმა აღგვითქვა, გლადიატორების რაღაც არაჩვეულებრივ შეჯიბრებას გავმართავო ბენევენტუმში. ხედავ, ანდაზისა არ იყოს: ne sutor supra crepidam. სადამდე მიდიან ჩვენს დროში მეწაღეები! ვიტელიუსი მეწაღის ჩამომავალია, ხოლო ვატინიუსი – ღვიძლი შვილი! ვინ იცის, ძაფსაც თვითონ გრეხდა! მსახიობი ალიტური გუშინ საოცრად თამაშობდა ოიდიპოსს. ხომ იცი, ებრაელია და გუშინ ვკითხე: ქრისტიანები და ებრაელები ერთი და იგივენი არიან-მეთქი? იმან მიპასუხა: ებრაელების სარწმუნოება ძველიაო, ხოლო ქრისტიანობა ახალი სარწმუნოებაა, დიდი ხანი არ არის, რაც იუდეაში გაჩნდაო. ტიბერიუსის დროს იქ ერთი კაცი აცვეს ჯვარს და იმის მიმდევარნი დღითიდღე მრავლდებიან, რადგან იმას ღმერთად ჰხადიან. მგონია, სხვა ღმერთების, განსახუთრებით კი ჩვენი ღმერთების, ცნობა არ უნდათ. ვითომ ამან რა უნდა ავნოს... ტიგელინუსი არც მალავს, რომ მტრად მთვლის. აქამდე ვერაფერს გამხდარა, მაგრამ ერთი ძლიერი უპირატესობა აქვს. იგი სიცოცხლეს ძალზე უფრთხილდება, ჩემზე დიდი არამზადაა და ეს მას ჟღალწვერასთან აახლოებს. ადრე იქნება თუ გვიან, გაერთპირდებიან და მაშინ ჯერი ჩემზე მოდგება. როდის მოხდება ეს – არ ვიცი, მაგრამ რაკი გარდაუვალი მოსახდენია, ვადაზე ლაპარაკი არ ღირს. მანამ კი უნდა ვიმხიარულო. სიცოცხლე თავისთავად ცუდი არ იქნებოდა, ეს ჟღალწვერა რომ არ იყოს. მაგის გადამკიდეს გრცხვენია, რომ ადამიანი ხარ. ხანდახან მეჩვენება, ხილონზე უკეთესი არა ვარ-მეთქი. როცა ის შენთვის საჭირო აღარ იქნება, ჩემთან გამოგზავნე. მისი ჭკუისდამრიგებელი

ბაასი შემიყვარდა. ჩემი სალამი უთხარ ღვთაებრივ ქრისტიან ქალს და კიდევ უფრო სთხოვე თევზობა არ გაგიწიოს. მოიწერე, როგორ ხარ, შემატყობინე შენი სამიჯნურო ამბები, იცოდე სიყვარული და ასწავლე სხვასაც. მშვიდობით იყავ“.

ვინიციუსი პეტრონიუსს:

„ლიგია ჯერაც არ მიპოვია! იმედით რომ არ ვსულდგუმლობდე, პასუხსაც არ მოგწერდი – როდესაც სიცოცხლე მოგძულდება კაცს, წერის ხალისიც აღარ გაქვს. მოვინდომე, დავრწმუნებულიყავი, ხილონი ხომ არ მატყუებს-მეთქი და სწორედ იმ ღამეს, როდესაც ის ჩემთან ფულისთვის მოვიდა ვითომდა ევრიციუსის მისაცემად, მე სამხედრო მოსასხამი წამოვისხი და შეუმჩნევლად იმასა და მსახურს უკან გავყევი. როდესაც ადგილს მივიდნენ, მე სვეტს მოფარებული თვალყურს ვადევნებდი და დავრწმუნდი რომ ევრიციუსი მოგონილი პიროვნება არ იყო. მდინარის ნაპირზე რამდენიმე კაცს ჩირაღდნების სინათლეზე დიდი ნავიდან ქვა გადმოჰქონდა. ნაპირზე აწყობდნენ. დავინახე, რომ ხილონი მათ მიუახლოვდა და ვიღაც მოხუც კაცს ლაპარაკი დაუწყო; ეს მოხუცი რამდენიმე წამს უკან ფეხებში ჩაუვარდა. სხვები გაკვირვების ყიჟინით გარს შემოეხვივნენ. ჩემ თვალწინ მსახურმა ევრიციუსს ქისა გადასცა. ევრიციუსმა ხელები მაღლა აღაპყრო და ლოცვა დაიწყო. მის გვერდით ვიღაც მეორემ დაიჩოქა, უეჭველია იმისმა შვილმა. ხილონმა კიდევ რაღაც უთხრა, მე კი ვერ გავიგონე, მერე დაჩოქილები და სხვებიც დალოცა ჰაერში ჯვრის მსგავსი ნიშნის გამოსახვით. უეჭველია, ამ ნიშანს სცემენ პატივს, რადგან ყველამ მაშინვე მუხლი მოიდრიკა. მე ძალიან მინდოდა მივსულიყავი და სამ იმისთანა ქისას დავპირებოდი, ვინც ლიგიასთან მიმიყვანდა, მაგრამ შემეშინდა ხილონისათვის ხელი არ შემეშალა. ცოტა ხანს კიდევ ვიდექი და წამოვედი. ეს მოხდა შენი წასვლის შემდეგ, ასე, თორმეტი

დღის უკან. მას შემდეგ ხილონი რამდენჯერმე იყო ჩემთან. იმან მითხრა, თუ აქამდე ვერ ვოპივე ლიგია, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მარტო რომში უთვალავი ქრისტიანიაო და ერთმანეთის ამბავი არ იციანო. ამას გარდა მეტად ფრთხილნი არიან და ცოტას ლაპარაკობენო. მაგრამ ხილონი ირწმუნება, რაკი უხუცესამდე მიაღწევს, მღვდლებს რომ ეძახიან, მოახერხებს მათგან ყველა საიდუმლო გამოიწვლილოს. ზოგი კიდეც გაუცნია და გამოკითხვაც უცდია, მაგრამ ერთობ ფრთხილად, რომ აჩქარებით მათთვის ეჭვი

რამ არ დაებადნა და საქმე არ გაეფუჭებინა. თუმცა მოლოდინი ძნელია და მოთმინებაც დამელია, მაინც ვგრძნობ, რომ ხილონი მართალია და ვიცდი.

ხილონმა გაიგო, რომ ლოცვისთვის ქრისტიანები ხშირად ქალაქის კარს იქით იკრიბებიან ცარიელ სახლებში. იქ ქრისტეს ევედრებიან. ამისთანა შეკრების ადგილები ბევრი აქვთ. ხილონი ფიქრობს, რომ ლიგია განზრახ იქ არ დადის, სადაც პომპონია დაიარება, თუ შემთხვევით საქმე ძებნამდე და გასამართლებამდე მივიდა, პომპონიას თამამად შეეძლოს ფიცი, ლიგია სად იმალება, არ ვიციო. იქნება მღვდლებმაც ჩააგონეს ასეთი სიფრთხილე. როდესაც ხილონი იმ ადგილებს გაიგებს, მაშინ სხვებთან ერთად ივლის იქ. თუ ღმერთებმა ინებეს და ლიგია ნახა, იუპიტერს გეფიცები, ამჯერობაზე ხელიდან ვეღარ წამივა.

მე სულ იმ შეკრებებზე ვფიქრობ. ხილონს არ უნდა, მასთან ერთად ვიარო – ეშინია; მაგრამ მე კი

შინ ჯდომა არ შემიძლია. მე იმას მაშინვე ვიცნობ, თუნდაც სხვა ტანისამოსი ეცვას და პირზე რიდე ეფაროს. ისინი ღამ-ღამე იკრიბებიან, მაგრამ მე ლიგიას ხმითა და სიარულით ღამეც ვიცნობ. მარტო წავალ ტანისამოსგამოცვლილი და ყველა შემსვლელ-გამომსვლელს ყურადღებით მივაჩერდები. უფრო და უფრო მეტს ვფიქრობ იმაზე, უფრო და უფრო ჩავწვდი მას. ხილონი ხვალ უნდა მოვიდეს ჩემთან და ერთად წავალთ. იარაღს წავიღებთან. რამდენიმე პროვინციაში გაგზავნილი მონები ხელცარიელნი დაბრუნდნენ, მაგრამ ახლა დარწმუნებული ვარ, ლიგია აქ არის, ქალაქში, იქნება აქ სადმე ახლოც. თვითონ მეც რამდენიმე სახლი დავათვალიერე, მითომ დაქირავება მინდოდა. იმისთვის ჩემთან ყოფნა უკეთესი იქნება, რადგან იქ გლახები ჭიანჭველებივით ფუთფუთებენ, მე ხომ მისთვის არაფერს დავიშურებ. შენ მწერ, უკეთესი ხვედრი ამოირჩიეო. მე კი მგონია საზრუნავი და მწუხარება მხვდა წილად. ჩვენ ჯერ იმ სახლებს მოვლივლით, რაც ქალაქშია, შემდეგ ქალაქის კარებს გარეთ დავიწყებთ ძებნას. ყოველ დილას რაღაცის იმედი მაქვს. ეგ რომ არა, სიცოცხლე შეუძლებელი იქნებოდა. შენ მწერ სიყვარულს ცოდნა უნდაო, მეც ვიცოდი, როგორ მელაპარაკნა ლიგიასთან სიყვარულზე, ახლა კი სევდა მკლავს, ხილონს მოველოდები და შინ ჯდომა მიმძიმს. მშვიდობით იყავ“.

თავი მეთექვსმეტე

ხილონმა ვინიციუსს ნახვა ისე დაუგვიანა, რომ ტრიბუნმა არ იცოდა, რა ეფიქრა. ხშირად ეუბნებოდა თავის თავს, თუ წარმატება გინდა, აუჩქარებლივ უნდა ეძებოო. მაგრამ მჩქეფარე სისხლი და მოუსვენარი ბუნება გონების ხმას არ ეთანხმებოდნენ. ლოდინი, გულხელდაკრეფილი ჯდომა იმდენად შეუფერებელი იყო ვინიციუსისათვის, რომ ვერაფრით ვერ შეგუებოდა. ქალაქის მიყრუებულ ქუჩებში ხეტიალს არავითარი აზრი არა ჰქონდა, ეს მხოლოდ თავის მოტყუება იყო და მეტი არაფერი. რამდენიმე მარჯვე აზატს ხილონის გარეშე უბრძანა ლიგიას კვალი ეძებნათ, მაგრამ ისინი ბერძნებზე ასჯერ ნაკლებ გამოცდილები აღმოჩნდნენ. ლიგიას სიყვარულთან ერთად ახლა ჟინმა შეიპყრო. ვინიციუსი მუდამ ასეთი იყო. ყმაწვილობიდანვე რაცა სურდა, უთუოდ შეისრულებდა და ვერც კი წარმოედგინა, თუ შეიძლებოდა მისი სურვილი არ აღსრულებულიყო. მართალია, სამხედრო დისციპლინამ მისი თავნებობა დროებით მარწუხებში მოაქცია, მაგრამ ის აზრიც ჩაუნერგა, რომ ყველა ხელქვეითისთვის მიცემული ბრძანება უეჭველად უნდა აღსრულებულიყო, ხოლო აღმოსავლეთში დიდხანს ყოფნამ და დაპყრობილი ხალხების მორჩილებამ ჩააგონეს, რომ მის „მინდას'' საზღვარი არა აქვს. ახლა მის თავმოყვარეობას საშინელი ლახვარი ჩასცეს. ეს არევ-დარევა, წინააღმდეგობა, თვითონ ლიგიას გაქცევა მისთვის რაღაც გაუგებარი გამოცანა იყო და ამაოდ იმტვრევდა თავს, როგორმე ეს გამოცანა ამოეხსნა. გრძნობდა, რომ აქტეამ მართალი უთხრა: ლიგია გულგრილი არ იყო მისდამი. მაგრამ თუ ეს

ასეა, მაშ ვინიციუსის სიყვარულს, მის სახლში მდიდრულად ცხოვრებას ხეტიალი და სიგლახავე რად ამჯობინა? ამ კითხვაზე პასუხი ვერ ეპოვა. მხოლოდ გუმანი ეუბნებოდა, რომ მასა და ლიგიას შორის, მათ წარმოდგენათა შორის რაღაც უფსკრული არსებობდა. უფსკრული ჰყოფდა მისი და პეტრონიუსის მსოფლმხედველობას ლიგიასა და პომპონია გრეცინას მსოფლმხედველობისაგან. ამ უფსკრულის ამოვსება არაფრით არ შეიძლებოდა. ხანდახან ეჩვენებოდა, რომ ლიგია უნდა დაკარგოს, და ეს აზრი სასოწარკვეთილებაში აგდებდა. სწორედ ამ სასოწარკვეთილებიდან უნდოდა დაეხსნა იგი პეტრონიუსს. ზოგჯერ არ იცოდა, ლიგია უყვარდა თუ სძულდა. მარტო ერთი რამ ესმოდა – უნდა ეპოვა ქალი, მარტო ერთს გრძნობდა – ერჩივნა დედამიწა გასკდომოდა და შიგ ჩაენთქა, ვიდრე ლი-

გიას ნახვისა და დაპატრონების იმედი მოსპობოდა. გონების თვალი ხანდა-ხან ისე ცხადად უხატავდა ლიგიას, თითქოს ქალი თვალწინ ედგა. ყველა სიტყვას იგონებდა, რაც კი ლიგიასთვის ეთქვა ან მისგან გაეგონა. მის სიახ-ლოეს გრძნობდა, თითქოს მკერდზე მიუკვრია და ეხვევაო. და მაშინ ვნება ალივით ედებოდა. როდესაც გაიხსენებდა, ლიგიას ვუყვარვარო და შეიძ-ლება დამნებებოდაო, მაშინ მძიმე, ულმობელი მწუხარება ეწვეოდა და რა-ღაც ღრმა ნაღველი უზარმაზარ ტალღასავით გადაევლებოდა გულზე. ისე-თი წუთები იყო, როცა სიბრაზით ფითრდებოდა და იმ აზრით სტკბებოდა, ლიგიას ვიპოვი და ათას დამცირებასა და მწუხარებას მივაყენებო. არათუ მარტო ქალის დაპატრონება ეწადა, უნდოდა ლიგია დამცირებულ მონად ჰყოლოდა, თუმცა იმასაც გრძნობდა – არჩევანი რომ მასზე მოეგდოთ – ან ლიგიას მონა უნდა გახდე, ან, თავის სიცოცხლეში აღარ ნახოო, დამამცი-რებელ მონობას

ირჩევდა. ხანაც ფიქრობდა, რა ნიშნებს დააჩნევდა ქალის ვარდისფერ ტანზე წკეპლები ან მათრახი და იმავე დროს მზად იყო, იმ წკეპლებისა ან მათრახის ნაკვალევი დაეკოცნა. იმასაც გაიფიქრებდა, ბედნიერი ვიქნები, ლიგიას მოკვლა რომ შევიძლოო.

ამ გამუდმებულ ფიქრსა და წყვეტებაში მყოფი თანდათან ავდებოდა და თითქმის სილამაზესაც კარგავდა. ახლა იგი მიუკარებელ და მკაცრ ბატო-ნად გადაიქცა. მონები და აზატები ძრწოლით უცქერდნენ. რადგან ყოვლად უმიზეზოდ სჯიდა მათ, დაუმსახურებლად და სასტიკად, თანდათან უფრო და უფრო შეიძულეს. ვინიციუსს ესმოდა ეს და მარტოობით შეძრწუნებული უფრო მკაცრად ეპყრობოდა ხელქვეითებს. ახლა მარტო ხილონთან ერ-თად დადიოდა, რადგან ეშინოდა ძებნას თავი არ დაანებოსო. ხილონმაც რაკი ეს შეატყო, უფრო და უფრო მეტი მოსთხოვა.

თავდაპირველად სულ არწმუნებდა ვინიციუსს, საქმე მალე დამში მო-ვაო, ახლა კი თვითონვე ითრევდა ფეხს, საქმეს აჭიანურებდა. მაინც კი იმას ეუბნებოდა ბოლო კეთილი იქნებაო. თუმცა სწრაფ დაბოლოებას აღარ ჰპირდებოდა.

ერთხელ ხილონი ისეთი მწუხარე სახით მოვიდა, რომ მისი შემხედვარე ყმაწვილი კაცი გაფითრდა, მივარდა მოსულს და ძლივსძლივობით ჰკითხა:

– ქრისტიანებში არ არის?

– პირიქით, ბატონო, – უპასუხა ხილონმა, – მაგრამ ქრისტიანებში გლავკოსსაც გადავეყარე?

– ეგ ვინღაა, რა კაცია?

– დაგავიწყდა, ბატონო, მოხუცი, ნეაპოლიდან ერთად რომ მოვდიოდით რომს. იმის გამოსარჩლებაზე ორი თითი დავკარგე და ახლა წერა არ შემიძლია. ავაზაკებმა იმას ცოლ-შვილი მოტაცეს და თვითონაც დანითაც დასჭრეს. მე იგი დუქანში მომაკვდავი დავტოვე და დიდხანს ვგლოვობდი. საუბედუროდ აქამდე ცოცხალია და რომის ქრისტიანების საზოგადოებას ეკუთვნის.

ვინიციუსმა ნათქვამიდან ვერა გაიგო რა. მხოლოდ იმას მიხვდა, რომ ის გლავკოსი რაღაც დაბრკოლებას წარმოადეგნდა. რაც შეეძლო, რისხვა შეიკავა და ხილონს უთხრა:

– თუ წასარჩლებიხარ, შენი მადლობელი უნდა იყო და დაგეხმაროს.

– ჰოი, ღირსეულო ტრიბუნო, ღმერთებიც კი ყოველთვის არ არიან მადლიერნი და ხალხზე ხომ ლაპარაკიც არა ღირს. დიახაც, ჩემი მადლობელი უნდა იყოს. საუბედუროდ, ბერიკაცი ასაკსა და მწუხარებას გამოუჩერჩეტებია. მადლობას ვინღა ჩივის. ერთი მორწმუნესაგან გავიგე, ბრალსა მდებს, ვითომ იმ ავაზაკებთან შეთქმული ვიყავ და ყველა იმისი უბედურების მიზეზი გახლდი. ესეც ჩემი ორი თითის დაკარგვის სამაგიერო.

– დარწმუნებუილ ვარ, არამზადავ, ბერიკაცი მართალია.

– მაშინ შენ იმაზე მეტი გცოდნია, ბატონო. – დიდრაჯულად უპასუხა ხილონმა, – იმას მხოლოდ ჰგონია, რომ ასე იყო; ეს მაინც ხელს არ დაუშლიდა, ქრისტიანები მოეხმო და ჩემზე შური ეძია. საბედნიეროდ, ჩემი სახელი არ იცის, სამლოცველო სახლშიაც ვერ მიცნო. მე კი მაშინვე ვიცან. ჯერ მინდოდა, მივვარდნოდი და კისერზე მოვხვეოდი, მაგრამ ჩემმა ჭკუამ და ყველა ჩემი გადადგმული ნაბიჯის მოფიქრების ჩვეულებამ შემაყენა. სამლოცველო სასახლიდან რომ გამოვედი, ნაცნობებს გამოვკითხე მისი ამბავი და შევიტყვე, ეს სწორედ ის კაცია, ნეაპოლიდან რომში მომავალს ამხანაგმა რომ უღალატაო. იმათ რომ არ ეთქვათ, საიდან მეცოდინებოდა, რას ამბობს ჩემზე გლავკოსი.

– ეგეები რაში მჭირდება? შენ ის მითხარი, სამლოცველო სახლში რა ნახე?

– შენ, ბატონო, არ გეჭირვება. მე კი ისე მჭირდება ეგ ამბავი, როგორც საკუთარი ტყავი, რადგან მინდა, ჩემმა მოძღვრებამ ჩემი სიკვდილის შემდეგაც იცოცხლოს. ამიტომ მიჯობს, შენგან დაპირებულ ჯილდოზე ხელი ავიღო, ვიდრე სიმდიდრისთვის სიცოცხლე გავწირო; რაკი ფილოსოფოსი ვარ, ცხოვრებას და ღვთაებრივი სიმართლის ძიებას სიმდიდრის უქონლადაც შევიძლებ.

ვინიციუსი მუქარის სახით მიუახლოვდა ბერძენს და ჩაწყვეტილი ხმით უთხრა:

– მერე ვინ გითხრა, რომ გლავკოსი მოგკლავს და არა მე? საიდან იცი, შე ძაღლო, რომ ახლავ ჩემს ბაღში მიწაში ცოცხალს არ ჩაგფლავენ?

ხილონი მხდალი იყო და ახლა, ვინიციუსს რომ შეხედა, ფიცხლავ შეიგნო, ერთი მოუფიქრებელი სიტყვაც და უეჭველად დავიღუპებიო.

– მოვძებნი, ბატონო, ქალს და ვიპოვი კიდეც! – აჩქარებით წამოიძახა მან.

დუმილი ჩამოვარდა. ამ დუმილის დროს მხოლოდ ვინიციუსის სუნთქვა ისმოდა და კიდევ ბაღში მომუშავე მონების ხმა.

ბერძენმა რომ შენიშნა, ახალგაზრდა პატრიცი რამდენადმე დამშვიდდაო, დაიწყო:

– სიკვდილმა გვერდით ჩამიარა, მე კი მას სოკრატესავით დამშვიდებით ვუცქეროდი. არა, ბატონო, მე როდი მითქვამს, ქალის ძებნას თავს დავანებებ-მეთქი, მხოლოდ ის მინდოდა მეთქვა, რომ ეს ძებნა ახლა ჩემთვის დიდად სახიფათო გახდა. ერთ ხანს ისიც გაეჭვებდა, მართლა

არსებობს თუ არა ქვეყანაზე ევრიციუსიო. თუმცა მაშინ საკუთარი თვალით დარწმუნდი, რომ მამაჩემის შვილმა მართალი გითხრა, ახლა იმას ეჭვობ, გლავკოსი მე ხომ არ გამოვიგონე. ნეტავ მართლა მოჭორილი იყოს ეს ამბავი და მე ქრისტიანებში უწინდებურად სულ უშიშრად სიარული შემეძლოს. მაშ იმ საცოდავ ბებერ მონა ქალს, ამ სამი დღის წინ რომ ჯაბანმა ბერიკაცმა მომვლელად ვიყიდე, ვისაც გინდა, მივცემდი. მაგრამ გლავკოსი ცოცხალია, ბატონო, და რომ მნახოს, მაშინ შენ ვეღარ მნახავ და ქალს ვინღა მოგიძებნის.

ხილონი ისევ დაჩუმდა, ცრემლი მოიწმინდა და ცოტა ხნის შემდეგ განაგრძო:

– მანამ გლავკოსი ცოცხალია, როგორღა მოვძებნო ქალი, როდესაც ყოველ წამს შესაძლოა, მტერს შევეჩეხო, და თუ შევეჩეხე, მეც დავიღუპები და ჩემი საქმეც დაიკარგება.

– მაგ გადაკრულით რა გინდა მითხრა? რა ვიღონოთ, რას აპირებ, – ჰკითხა ვინიციუსმა.

– არისტოტელე გვასწავლის: დიდის მისაღებად მცირედის შეწირვა არის საჭიროო, ხოლო მეფე პრიამოსი ხშირად ამბობდა: სიბერე მძიმე ტვირთიაო. სიბერისა და უბედურების ტვირთი დიდი ხანია მძიმედ დასწოლია გლავკოსს, მისი სიკვდილი მადლია. სენეკა კი რას გეუბნება? სიკვდილი განთავისუფლებააო.

– მასხარა პეტრონიუსის წინაშე ითამაშე, მე კი პირდაპირ მითხარ, რა გინდა?

– თუ სათნოება მასხარაობაა, მაშინ ღმერთები შემეწიონ და მთელი სიცოცხლე მასხარად დამტოვონ. მე, ბატონო, მინდა გლავკოსი თავიდან მოვიშორო, რადგან ვიდრე ის ცოცხალია, ჩემი სიცოცხლე და ჩემი საქმეც მუდამ საფრთხეში იქნებიან.

– თუ ეგრეა, კაცები დაიქირავე, რომლებიც კომბლებით სულს ამოხდიან, ფასს მე გადავიხდი.

– ის კაცები ბევრს აგვაძრობენ, ბატონო, მერეც სულ ფულს მოგვთხოვენ. დაგვემუქრებიან, საიდუმლოს გავამხელთო. რომში იმდენი ბოროტმოქმედი კაცია, რამდენიც ასპარეზზე ქვიშაა, მაგრამ არ დაიჯერებ, როგორ იფასებენ თავს, როდესაც პატიოსან ადამიანს მათი სამსახური სჭირდება, არა, ღირსეულო ტრიბუნო! მკვლელები რომ დარაჯებმა დანაშაულის ადგილზე დაიჭირონ, დამქირავებელს უეჭველად გასცემენ და შენც მრავალი უსიამოვნება დაგემართება. მე არ გამცემენ, რადგან ჩემს სახელს არ ვეტყვი. ძალიან ცუდია, რომ არ მენდობი. ჩემს სინდისზე რომ არაფერი ვთქვა, გახსოვდეს, რომ აქ საქმე ორ საგანს შეეხება – ჩემს საკუთარს ტყავს და შენგან აღთქმულ ჯილდოს.

– რამდენი გინდა?

– ათასი სესტერცი დამჭირდება. გთხოვ, იგულისხმო, რომ პატიოსანი ავაზაკები უნდა ვიშოვო, ისეთები, ბეს რომ მივცემ, იმიანად არსად დამეკარგონ. კარგი სასყიდელია საჭირო! საჭიროა, მეც ცოტა რამ მომიმატო,

რომ გლავკოსის გამო დაღვრილი ცრემლის მოწმენდა შევიძლო. ღმერთებს დავიმოწმებ, რომ ძალიან მიყვარდა იგი. თუ დღეს ათას სესტერცის მივიღებ, ორი დღის უკან მისი სული ჰადესში იქნება, და მხოლოდ იქ – თუკი სულებს ხსოვნა და აზრი არ ეკარგებათ – გაიგებს, როგორ მიყვარდა. კაცებს დღესვე ვიშოვი და გამოვუცხადებ, გლავკოსის თითო დღის სიცოცხლეში ჯილდოდან ას სესტერცის დაგიკლებთ. ახლა გუმანში უკვე შეუცდომელი გეგმა მესახება.

ვინიციუსი ამჯერობაზედაც დაჰპირდა საჭირო ფულს, მაგრამ აუკრძალა გლავკოსზე ლაპარაკი. ჰკითხა სხვა რა ახალი ამბავი მოგიტანია, სად იყავი, რა ნახე და რა აღმოაჩინეო. მაგრამ ხილონმა ბევრი ვერაფერი უთხრა. ორ სამლოცველო სახლში ყოფილა, ყველანი ყურადღებით დაათვალიერა, მეტადრე ქალები, მაგრამ ლიგიას მსგავსი ერთიც არ შეხვედრია. ქრისტიანები იმას თავის კაცად მიიჩნევენ, ხოლო მას შემდეგ, რაც ევრიციუსს შვილის გამოსასყიდი ფული მისცა, მას ქრისტეს კვალზე მავალ ადამიანად სთვლიან. ქრისტიანებისაგან გაიგო, რომ ერთი მათი სახეოლოვანი სჯულმდებელთაგანი პავლე ტარსელი რომშია. დილეგში ჩაუგდიათ ებრაელების საჩივრის გამო. ხილონს გადაწყვეტილი აქვს მისი გაცნობა. მაგრამ უფრო სასიხარულო ის ცნობაა, რომ სექტის უმაღლესი ქურუმი, თვით ქრისტეს მოწაფე, რომლისთვისაც

მაცხოვარს მთელი ქვეყნის ქრისტიანობა ჩაუბარებია, საცაა რომს უნდა ჩამოვიდეს. რა თქმა უნდა, მისი ნახვა და მისი ქადაგების მოსმენა ყველას მოესურვება. განზრახული აქვთ რაღაც დიდი შეკრებები. ხილონიც დაესწრებოდა და რადგან დიდ ხალხში დაფარვა შეიძლება, ვინიციუსსაც წაიყვანს. მაშინ, უეჭველია, ლიგიას იქ იპოვიან. რაკი გლავკოსი თავიდან მოშორებული ეყოლება, საშიშარი აღარაფერი იქნება. სამაგიეროს გადახდა ქრისტიანებსაც შეუძლიათ, მაგრამ ეს ხალხი, საზოგადოდ, მშვიდი ხალხია.

აქ ხილონმა, ცოტა არ იყოს, განცვიფრება გამოხატა: არაოდეს არ შემიმჩნევია, ქრიტიანები გარყვნილებას ეწეოდნენ, ჭებსა და აუზებს სწამლავდნენ, კაცთა ნათესავს მტრობდნენ, ვირის თავს თაყვანს სცემდნენ და ბავშვების ხორცს ჭამდნენო. არა, ეს არ შეუმჩნევია. უეჭველია, მათში ისეთებიც მოიპოვებიან, რომ ფულის გულისთვის გლავკოსს გაიმეტებენ, მაგრამ მათი რჯული, რამდენადაც ხილონმა იცის, არავითარი დანაშაულის ჩადენის ნებას არ იძლევა – პირიქით, წყენის პატიებას ბრძანებს.

ვინიციუსს მოაგონდა, რაც აქტეასთან პომპონია გრეცინამ უთხრა. ახლა სიამოვნებით უსმენდა ხილონს. თუმცა ლიგიასადმი გრძნობა ხანდახან სიძულვილის სახეს იღებდა, მაინც დარდი შეუმსუბუქდა, რა გაიგო, პომპონიასა და ლიგიას რჯული არც ბოროტებას აღიარებდა და არც უზნეობასო. ბუნდოვნად გრძნობდა, რომ ქრისტეს უცნობმა და საიდუმლოებრივმა თაყვანისცემამ დააშორა მას ლიგია. ერთსა დაიმავე დროს ეჯავრებოდა ეს მოძღვრება და ეშინოდა კიდეც.

თავი მეჩვიდმეტე

ხილონისთვის მართლაც საჭირო იყო გლავკოსის თავიდან მოშორება. ეს გლავკოსი, თუმცა ხანი მოძალებოდა, მაინც მიხრწნილი მოხუცი არ იყო. ხილონმა ვინიციუსს უამბო გლავკოსის ამბავი და ამ ნაამბობში მართალი ბევრი იყო. ბერძენი ოდესღაც იცნობდა გლავკოსს. იგი მონათა ვაჭრებს მიჰყიდა, ოჯახი და ქონებდა წაართვა და მკვლელებს ჩაუგდო ხელში. ამ გარემოებათა მოგონება ხილონს არ აწუხებდა, რადგან გლავკოსი მომაკვდავი დატოვა არა ფუნდუკში, არამედ ტრიალ მინდორზე. ის კი ვერ წარმოიდგინა, რომ გლავკოსი განიკურნებოდა და რომში დაბრუნდებოდა. სამლოცველო სახლში რომ ნახა, მართლაც თავზარი დაეცა და პირველ ხანში ლიგიას ძებნაზე კინაღამ ხელი არ აიღო. მაგრამ ვინიციუსმა უფრო მეტად შეაშინა. ხილონმა იცოდა, გლავკოსი ჩემთვის საშიშიაო, მაგრამ შემძლებელი პატრიცის გადამტერება და შურისძიება არანაკლებ სახიფათო იქნებოდა, მით უფრო, რომ იმ პატრიცის დამხმარედ სხვა გამოუჩნდებოდა – უფრო ძლიერი და სახელოვანი – პეტრონიუსი. ამ ორ საშიშროებას შორის ერთი უნდა აერჩია. ამიტომაც ხილონმა ყოყმანს თავი დაანება, მოიფიქრა, ძლიერი მტრის ყოლას სუსტი მტრის ყოლა სჯობიაო, და თუმცა მისი მხდალი ბუნება სისხლიერი საქმის წინაშე ძრწოდა, მაინც დაქირავებული მკვლელების საშუალებით გლავკოსის მოკვლა გადაწყვიტა. ახლა ერთიღა დარჩა: ამისთვის კაცები ეშოვა და რა გეგმაც უამბო ვინიციუსს, სწორედ ის გეგმა შეესრულებინა. ღამეებს მეტწილად ღვინის დუქნებში ატარებდა, უბინაო, უპატიოსნო და სარწმუნოებას მოკლებულ ხალხში. აქ

ადვილად შეეძლო თავისი გეგმის შესასრულებლად შესაფერი ხალხი ეპოვა, მაგრამ უფრო კი ისეთებს გადაეყრებოდა, რომელნიც ფულს დაუნა-

ხავდნენ თუ არა, უმალ თვითონ იმას მოუღებდნენ ბოლოს ან ბეს გამოართმევდნენ, მერე დაემუქრებოდნენ, ვიგილების ხელში ჩაგაგდებთო და მთლად დასცინცლავდნენ ფულს.

ეს კი იყო, რომ უკანასკნელ ხანს ხილონმა შეუძულა გლახაკნი, საზიზღარნი და მასთან საშიში გარეგნობის ადამიანები, სუბურასა და ტიბრს გაღმა საეჭვო სახლებში რომ ბინადრობდნენ. ყველას თავისი ადლით ზომავდა, ქრისტიანები საკმაოდ გაცნობილი არა ჰყავდა, არც მათი მოძღვრებისა იცოდა რამე, ამიტომ ფიქრობდა, მორჩილ იარაღს იმათშიაც აღმოვაჩენო. რადგან ქრისტიანები სხვებზე პატიოსნად ეჩვენებოდა, მათთან მისვლა გადაწყვიტა. უნდოდა საქმე ისე დაეტრიალებინა, რომ რომელიმე ქრისტიანის მკვლელობა მარტო ფულისათვის კი არა, გულმოდგინეობის გამოც ეკისრა.

ამ მიზნით საღამო ჟამს ევრიციუსთან წავიდა. იცოდა, რომ მოხუცი სულითა და გულით მისი ერთგული იყო და მის საშველად ყველაფერს იკისრებდა. მაგრამ ბუნებით ფრთხილი ხილონი სრულებითაც არა ფიქრობდა ბერიკაცისათვის თავისი ნამდვილი წადილი გაემჟღავნებინა. მოხუცს, უეჭველია, დააეჭვებდა ხილონის სათნოება და ღვთისმოშიშობა. იმას უნდოდა, ისეთი ხალხი ეშოვა, რომლებიც ყველაფერს იკისრებდნენ და საქმეზე მხოლოდ მათთან

მოელაპარაკნა. თანაც დაქირავებულთა უშიშრობა საიდუმლოს შენახვაზე ყოფილიყო დამოკიდებული.

ევრიციუსმა რომ შვილი გამოისყიდა, ერთი პატარა დუქანი დაიქირავა, ასე ბევრი რომაა Circus Maximus -თან, და ცირკში მოსიარულეებზე ჰყიდიან ზეთისხილს, ცერცვსა და თაფლით დამტკბარ წყალს. ხილონის მისვლისას ევრიციუსი დუქნის მოწყობაში იყო. ქრისტეს სახელით მიესალმა, და რა საქმეზედაც იყო მისული, იმაზე დაუწყო ლაპარაკი. რაკი ევრიციუსთან სიკეთე დაეთესა, სამაგიერო მადლობის მიღების იმედიც ჰქონდა. ხილონმა თქვა, მარტო მე კი არა, მთელ ქრისტიანებს საშიშროება ემუქრება; ეს საშიშროება რომ მოისპოს, ორი თუ სამი ღონიერი და გამბედავი კაცია საჭიროო. მართალია, ღარიბია, რადგან რაც კი რამ ებადა, სულ ევრიციუსს მისცა, მაინც იმ კაცებსაც ახვედრებს სასყიდელს, იმ პირობით, რომ ბეჯითად აასრულებენ, რასაც ხილონი უბრძანებს.

ევრიციუსი და მისი შვილი კვარტუსი ლამის დაჩოქილნი უსმენდნენ კეთილისყოფელს. ორივემ უთხრა, მზად ვართ, რასაც კი მოისურვებ, ჩვენვე აგისრულოთ, რადგან გვჯერა, შენისთანა წმიდა კაცი ისეთს არაფერს მოითხოვს, რაც ქრისტეს მოძღვრებას ეწინააღმდეგებაო.

ხილონმა დაარწმუნა ისინი, არცა სცდებითო. მერე თვალები ზეცას აღახვნა, ვითომც

ლოცულობდა, ნამდვილად კი იმაზე ფიქრობდა, მათი წინადადება მიეღო თუ არა. ამით ათასი სესტერცის ყაირათს გასწევდა, მაგრამ დაფიქრების შემდეგ ეს აზრი უარყო, ევრიციუსი მოხუცებული იყო, იმდენად ასაკისაგან არა, რამდენადაც მწუხარებისა და ავადმყოფობისაგან დაძაბუნებული. კვარტუსი სულ თექვსმეტი წლისა იქნებოდა, ხილონს კი მარჯვე და ღონიერი კაცები სჭირდებოდა. ხოლო ათას სესტერცის რაც შეეხება, იმედი ჰქონდა, ყოველ შემთხვევაში იმ ფულის მეტი წილი მაინც თავისთვის დაეტოვებინა. რამდენიმე ხანი დაჟინებით სთხოვდნენ, მათი სამსახურის მიღებას, მაგრამ რაკი ხილონმა გადაჭრით უთხრა უარი, თავი დაანებეს. მაშინ კვარტუსმა თქვა:

– მე ხაბაზ დემასს ვიცნობ, იმის წისქვილის ქვებზე მონები და დაქირავებული ხალხი მუშაობს. ერთი იმ დაქირავებულთაგანი ისეთი ღონიერია, რომ ორის კი არა, ოთხი კაცის ღონე აქვს. ჩემი თვალით ვნახე, ისეთი ქვა გადაიტანა, რომ ოთხმა კაცმა ძვრა ვერ უყო.

– თუ ის კაცი ღვთისმოშიშარია და შეუძილა ძმებისთვის თავი გადასდოს, გამაცანი, – უთხრა ხილონმა.

– იგი ქრისტიანია, – უპასუხა კვარტუსმა, – დემასთან მეტწილად ქრისტიანები მუშაობენ. იქ ღამით მომუშავენიც არიან და დღისით მომუშავენიც. ვიზედაც მე ვამბობ, ღამის მუშაა. შეგიძლიან

თავისუფლად მოელაპარაკო. ახლა რომ წავიდეთ, სწორედ ვახშამზე მივუსწრებთ. დემასი ემპორიუმის გვერდზე ცხოვრობს.

ხილონი დიდი ხალისით დათანხმდა. ემპოროიუმი ავენტინუსის ბორცვის ძირზე მდებარეობდა, მაშ დიდი ცირკიდან ძალიანაც შორს არ იყო. ბორცვის გარს შემოუვლელად მდინარეს გაჰყვებოდნენ, Porticus Aemilia -ს გაივლიდნენ და გზას უფრო შეიმოკლებდნენ.

– დავბერდი, – თქვა ხილონმა, – და ხანდახან მეხსიერება მღალატობს. დიახ! ჩვენი ქრისტე ერთმა მისმა მოწაფემ გასცა, მისი სახელი ვერაფრით მომიგონია.

– იუდამ გასცა და მერე თავი ჩამოიხრჩო, – მოიუგო კვარტუსმა და, ცოტა არ იყოს, გაუკვირდა, ამ სახელის დავიწყება როგორ შეიძლებაო.

– ჰო, მართალია, იუდა! გმადლობ, – უთხრა ხილონმა.

ემპორიუმამდე რომ მივიდნენ, იგი დაკეტილი დახვდათ. გასცდნენ მას, ბეღლებს შემოუარეს, საიდანაც ხალხს პირს ურიგებდნენ, მარცხნივ შეუხვიეს იმ სახლებისკენ, Via Ostiensis -ის გასწვრივ, ტესტაცის ბორცვსა და Forum Pistorium -ამდე რომ იყო ჩამწკრივებული. აქ ფიცრის შენობასთან

შედგნენ, საიდანაც წისქვილის ქვების ხრიალი გამოისმოდა. კვარტუსი ეზოში შევიდა, ხილონი კი, რაკი არ უნდოდა ბევრ ხალხს ჩვენებოდა და იმისიც ეშინოდა, გლავკს არ გადავეყაროო, ქუჩაში დარჩა.

„ ის გოლიათი მეწისქვილე ჭკუაში მოვიდა, – ამბობდა ხილონი გუნებაში და თან ნათელ მთვარეს შესცქეროდა, – თუ არამზადა და ჭკვიანია, ცოტა რამ უნდა მივცე, და თუ სათნოებით აღსავსე ქრისტიანია და მასთან სულელი, რაც უნდა მოვთხოვო, მუქთად გამიკეთებს!’’

ფიქრი კვარტუსის გამოჩენამ გაუწყვიტა. იგი შენობიდან სხვა კაცთან ერთად გამოვიდა. ხილონმა ღრმად ამოისუნთქა, ასეთი ხელები და ბეჭები თავის სიცოცხლეში არსად ენახა.

– ეს არის, შენ რომ გინდოდა გენახა, – უთხრა კვარტუსმა.

– მშვიდობა შენდა, ქრისტეს მიერო ძმაო! – უთხრა ხილონმა, – კვარტუს, უთხარ ამ ძმას, ღირსეული ადამიანი ვარ თუ არა, და შემდეგ მშვიდობით წინ წადი, რადგან არ ივარგებს, პატივცებული მამაშენი დიდხანს მარტო დატოვო.

– ეს კაცი ნამდვილად წმიდანია. ამან მთელი თავისი ქონება უცნობ კაცს მომცა, რათა მონობიდან დავეხსენი. მიაგოსმცა ამას ჩვენმა მხსნელმა უფალმა ცათა შინა სამაგიერო.

გოლიათმა კაცმა ხილონს თავი დაუკრა და ხელზე აკოცა.

– რა გქვია, ძმაო? – ჰკითხა ბერძენმა.

– წმინდა ნათლისღებაზე, მამაო, ურბანუსი დამარქვეს.

– ურბანუს ძმაო ჩემო, თავისუფალი ლაპარაკის დრო თუ გაქვს?

– ჩვენი მუშაობა შუაღამისას იწყება, ახლა კი მხოლოდ ვახშამს გვიმზადებენ.

– მაშ, საკმაო დრო გქონია. მდინარესთან წავიდეთ და იქ მოისმინე, რაც გითხრა.

მდინარის ნაპირზე სრული სიჩუმე იყო; ამ სიჩუმეს მხოლოდ წისქვილის დოლაბების შორით მომავალი ხმა არღვევდა და ქვევიდან კიდევ მდინარის ტალღების შხეფი ისმოდა. ხილონი დიდხანს ჩასცქეროდა ახლად გაცნობილს სახეში. მიუხედავად იმისა, რომ ურბანუსის სახეს ნაღვლიანი და მკაცრი გამოხატულება ჰქონდა, ისეთი, როგორიც ჩვეულებრივ რომში მცხოვრებ ბარბაროსებს აქვს, მაინც ხილონს გულკეთილ და გულწრფელ კაცად ეჩვენა.

„ გამოვიცან, – თქვა გუნებაში, – ეს კაცი კეთილი და სულელია, მუქთად მოკლავს გლავკოსს''.

მერე ჰკითხა:

– ურბანუს, ქრისტე გიყვარს?

– მთელი სულით და გულით მიყვარს, – მიუგო წისქვილის მუშამ.

– შენი ძმები, შენი დები და ისინი, ვინც სიმართლე და ქრისტეს რჯული გასწავლა?

– ისინიც მიყვარან, მამაო.

– მაშ იყომცა შენდა მშვიდობა!

– ეგრეთვე შენდაც, მამაო!

ისევ დუმილი ჩამოვარდა, მხოლოდ შორს დოლაბები გრიალებდნენ და ქვევით წყალი დგაფუნობდა.

ხილონმა მთვარეს მიაჩერა თვალები და დინჯი, წყნარი ხმით ქრისტეს სიკვილზე დაიწყო ლაპარაკი.

ურბანუსს კი არ ელაპაარკებოდა, თითქოს თავისთვის იხსენებდა, თუ დაძინებულ ქალაქს იმ სიკვდილის საიდუმლოს ამცნობდა, ამაში რაღაც გულის მომწყვლელი იყო და თანაც დიდებული. ურბანი ატირდა და როდესაც ხილონმა გმინვა და წუხილი დაიწყო: მაცხოვლირ სიკვდილის ჟამს არავინ იყო, რომ იგი ჯვარზე გაკვრისაგან თუ არა, ჯარისკაცთა და ებრაელთა შეურაცხყოფისაგან მაინც ეხსნაო, ბარბაროსმა დიდრონი ხელები მწუხარებისა და სიბრაზისაგან მომუშტა. ქრისტეს სიკვდილი ყოველთვის მწუხარებას ჰგვრიდა, მაგრამ ბრბოსაგან ჯვარზე გაკრული კრავის შეურაცხოფა რომ

გაახსენდებოდა, მის მარტივ სულს აღშფოთება ეუფლებოდა და ველური შურისძიების სურვილი იპყრობდა.

უცებ ხილონმა ჰკითხა:

– ურბანუს, იცი იუდა ვინი იყო?

– ვიცი, დიახ, ვიცი. მაგრამ იმან ხომ თავი ჩამოიხჩო! – დაიძახა მუშამ.

გუნებაში დაენანა, მოღალატემ თვითონვე დაისაჯა თავი და იმას ვეღარ ჩაუვარდა ხელში. ხილონმა განაგრძო:

– იმას რომ თავი არ ჩამოეხრჩო და ვინმე ქრისტიანთაგანს შეხვედროდა ხმელეთსა და ზღვაზე, მოვალე არ იქნებოდა განა მაცხოვრის წვალებისა, სისხლისა და სიკვდილის წილ იუდასათვის მაგიერი გადაეხადა?

– ისეთი ვინ იქნებოდა, რომ მაგიერი არ გადაეხადა, მამაო!

– მშვიდობა შენდა, კრავის ერთგულო მონავ!.. დიახ! საკუთარი შეურაცხყოფა შეიძლება აპატიო კაცს, მაგრამ ღვთისათვის მიყენებული შეურაცყოფის პატიების უფლება ვისა აქვს? როგორც გველისგან გველი იბადება, როგორც ბოროტი ბოროტს შობს და ღალატი – ღალატს, ისე იუდას შხამიდან მეორე გამცემი წარმოიშვა, როგორც იუდამ ებრაელთა და რომის მხედართ მაცხოვარი ჩაუგდო ხელში, ისევე ჩვენ შორის მცხოვრებს სურს მგლებს ჩაუგდოს ხელში ქრისტეს ცხოვარნი. და თუ ამ ღალატს ამთავითვე არ მოეღება ბოლო, თუ ახლავე არ გაუსრისეს გველს თავი, ყველას დაღუპვა მოგველის. და ჩვენთან ერთად ქრისტეს სახელიც დაიღუპება.

ურბანუსი საშინლად აღშფოთებული უცქეროდა ხილონს. თითქოს ვერც კი გაეგო, რას ეუბნებიანო. ბერძენმა კი თავზე მოსასხამის კალთა წამოიხურა და თითქოს მიწიდან ამომავალი ხმით წარმოთქვა:

– ვაი თქვენ, ღვთის ჭეშმარიტნო მსახურნო, ვაი თქვენ, ქრისტესმოსავნო დედანო და მამანო!

და კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა. კვლავ დოლაბების ხრიალი, მუშების სიმღერის ხმა და მდინარის შხული ისმოდა.

– მამაო, – უცებ ჰკითხა მუშამ, – ეგ მოღალატე ვინ არის? ხილონმა თავი ჩაჰკიდა.

– ეგ გამცემი ვინ არის? იუდას შვილი, მის შხამიდან შობილი. იგი სამლოცველო სახლებში თვალთმაქცურად ქრისტიანის სახეს იღებს, მარტო იმიტომ, კეისართან დააბეზღოს ძმები, ვითომ ჩვენ კეისრის ღმერთად ცნობა არ გვინდა, ვითომც აუზებს ვწამლავთ, ბავშვებს ვხოცავთ და ამ ქალაქის

დანგრევა გვწადია, რათა ქვა ქვაზედაც არ დარჩეს. და რამდენიმე დღის შემდეგ პრეტორიელებს ბრძანება მიეცემა, უხუცესნი, დედაკაცები და ბავშვები შემოჭონ და სიკვდილით დასასჯელად წაიყვანონ, პედანიუსს სეკუნდუსის მონების მსგავსად. და ყველა ეს მეორე იუდამ მოახდნა. თუ პირველი არავინ დასაჯა, თუ არავინ გადუხადა მას სამაგიერო, თუ არავინ წაესარჩლა და დაიხსნა ქრისტე ტანჯვის ჟამს, – ვინღა დასჯის ამას მანამდე, ვიდრე კეისარი მოუსმენდეს, ვინ მოსრავს გველს, ვინ იხსნის დაღუპვისაგან ძმათა და ქრისტეს სარწმუნოებას?

ურბანუსი აქამდე იჯდა, ახლა უცებ წამოხტა და დაიძახა:

– მე ვიზამ ამას, მამაო!

ხილონიც წამოდგა, ერთ წამს მთვარის სინათლით განათებულ მუშას სახეში უცქირა, შემდეგ ხელი გაიწოდა და წყნარად თავზე დაადო.

– ქრისტიანებთან წადი, ზარ-ზეიმით უთხრა, – სამლოცველო სახლებში წადი და ძმათაგან გაიგე რომელია გლავკოსი და როცა გეტყვიან, სახელითა ქრისტესითა მოკალ იგი.

– გლავკოსიო? – გაიმეორა მუშამ, თითქოს იმიტომ, ეს სახელი უფრო კარგად დახსომებოდა.

– იცნობ განა?

– არა, არ ვიცნობ. ქრისტიანები რომში ათასობით არიან, ერთმანეთს ყველანი არ იცნობენ. ხვალ ოსტრანიუმში შეიკრიბებიან ძმები და დები, ვინც არიან ყველანი, რადგან ქრისტეს დიდი მოციქული მოვა, უნდა დაგვმოძღვროს და გლავკოსსაც ძმები იქ მაჩვენებენ.

– ოსტრანიუმში? – ჰკითხა ხილონმა. – ეგ, მგონია, ქალაქის კარს იქით არის? ყველანი? ღამით კარს იქით ოსტრანიუმში?

– დიახ, მამაო, ის ჩვენი სასაფლაოა. Via Salaria და Nomentana-ს შუა არის. განა არ იცი, რომ დიდმა მოციქულმა იქ უნდა დაგვმოძღვროს?

– ორი დღე შინ არ ვიყავ, მიტომ იმისი წერილიც არ მიმიღია; ამას გარდა, არ ვიცოდი ოსტრანიუმი რა ალაგას იყო, რადგან დიდი ხანი არ არის, რაც კორინთოდან ჩამოველ, იქ ქრისტიანების სამრეკლოს განვაგებ... მაშ, ჩემო შვილო, თუ ქრისტემ ზეგარდმო შთაგაგონა, ამაღამ ოსტრანიუმში წახვალ, ძმათა შორის გლავკოსს მოძებნი და როცა იქიდან ქალაქში წამოხვალთ, გზაში მოკლავ. ჯილდოდ ყველა ცოდვა მოგეტევება. ახლა კი მშვიდობა შენდა.

– მამაო...

– ყურს გიგდებ, მონავ კრავისა.

მუშის სახეზე შეძრწუნება გამოიხატა. მან დიდი ხანი არ არის, ერთი კაცი მოკლა, იქნება ორიც, ქრისტეს სარწმუნოება კი, არა კაც ჰკლაო, ეუბნება. მან ისინი მიტომ დახოცა, თავს იცავდა, მაგრამ ხომ არც ეს შეიძლება. ეპისკოპოზმა საშველად ძმები მისცა, მაგრამ კვლა არ უბრძანებია. მან უცაბედად მოკლა, სწორედ სასჯელად უბოძა ღმერთმა ასეთი ღონე. ახლა ძალიან ნანობს. სხვები სამსხვერპლოსთან გალობენ, ეს უბედური კი თავის ცოდვაზე ფიქრობს. ნანობს, რომ კრავს შესცოდა და მაინც აქამდე გრძნობს, რომ მისი მონანიება საკმარისი არ არის. ახლა კი ხელახლად მოღალატის მოკვლა განიზრახა... რას იზამ! მხოლოდ საკუთარი შეურაცხყოფის პატიება შეიძლება... მოკლავს იუდას თუნდა ძმებისა და დების თვალწინ, ხვალ რომ ოსტრანიუმში

შეიყრებიან. მაგრამ დაე გლავკოსს ჯერ უფროსმა ძმებმა და დებმა, ეპისკოპოზმა და მოციქულმა დადონ მსჯავრი. მოკვლა ძნელი საქმე არაა, მოღალატის მოკვლა სასიამოვნოც კი არის, მგლისა და დათვის მოკვლისა არ იყოს, მაგრამ ვაითუ, გლავკოსი უდანაშაულოდ დაისაჯოს? როგორ შეიძლება სინდისი ახალი მკვლელობით, ახალი ცოდვით და კრავის ახალი გარისხებით დაიმძიმო.

– სამსჯავროსათვის დრო არაა, ჩემო შვილო, – მიუგო ხილონმა, – რადგან გამცემი ოსტრანიუმიდან პირდაპირ ანციუმში წავა კეისართან, ან პატრიცის სახლში დაიმალება, სადაც მოსამსახურედ არის. მე მოწმობას მოგცემ. თუ გლავკოსის მოკვლის შემდეგ იმ მოწომობას აჩვენებ, ეპიზკოპოზიც და დიდი მოციქულიც შენს მოქმედებას აკურთხებენ.

ქამრიდან დანა ამოიძრო, სესტერცი ამოიღო, ზედ ჯვარი გამოსახა და მუშას მისცა.

– აი გლავკოსის განაჩენი და შენი მოწომობა. როდესაც მოკვლის შემდეგ ამას ეპისკოპოზს აჩვენებ, იგი უწინდელ უცაბედ მკვლელობასაც გაპატიებს.

მუშამ სესტერცის გამოსართმევად უნებლიეთ ხელი გაიშვირა, მაგრამ ისევ ცხოვეილ იყო პირველი მკვლელობის ხსოვნა და ამიტომ რაღაც შიშის მსგავსი იგრძნო.

– მამაო, – მუდარის ხმით უთხრა მან, – შენს სინდისზე იყოს ეს საქმე, თვითონ შენ გაიგონე, რომ გლავკოსი ძმათა გაცემას აპირებს?

ხილონი მიხვდა, რომ დასამტკიცებელი საბუთი იყო საჭირო, ვინმე უნდა დაესახელებინა, თუ არა – გოლიათის გულში ეჭვი შეიპარებოდა.

– გამიგონე, ურბანუს, – მიუბრუნდა იგი გოლიათს – მე კორინთოში ვცხოვრობ, ჩამომავლობით კი კოსიდან ვარ. აქ, რომში, ერთ ჩვენებურ ქალს, სახელად ევნიკას, ქრისტეს რჯულს ვასწავლი. იგი მსახურობს, ვითა vestiplica კეისრის მეგობრის, ვინმე პეტრონიუსის სახლში. აი, ამ სახლში გავიგონე, რომ გლავკოსი კისრულობს ყველა ქრისტიანი გასცეს. ამას გარდა, კეისრის მეორე მახლობელს, ვინმე ვინიციუსს აღუთქვა: ქრიტიანებში ერთ ქალს გიპოვიო...

უცებ შედგა და გაოცებით შეხედა ურბანუსს. გოლიათს თვალები ნადირის თვალებივით გაბრწყინებოდა, ხოლო სახეზე ველური მრისხანება და მუქარა გამოეხატა.

– რა მოგივიდა? – შიშით ჰკითხა ბერძენმა.

– არაფერი, მამაო, ხვალ მოვკლავ გლავკოსს.

ბერძენი დაჩუმდა, მაგრამ წამს უკან მხრებში ჩაეჭიდა მუშას, მოაბრუნა და მთვარის შუქზე ყურადღებით ათვალიერა. ეტყობოდა, ყოყმანობდა: დაკითხვა განეგრძო და ყველაფერი გამოეაშკარავებინა, თუ რაც უთხრა, ჯერ იმას დასჯერებოდა. ბოლოს მაინც თანდაყოლილმა სიფრთხილემ დასძლია, ხილონმა ღრმად ამოიოხრა, შემდეგ მუშას თავზე ხელი დაადო და წყნარი ხმით ჰკითხა:

– მაშ წმინდა ნათლობის დროს ურბანუსი დაგარქვეს?

– დიახ მამაო.

– მშვიდობა შენდა, ურბანუს!

თავი მეთვრამეტე

პეტრონიუსი ვინიციუსს:

„ცუდ გუნებაზე ხარ, carissime! ჩანს, ვენერამ გონება აგირია. ჭკუა წაგართვა, მეხსიერების და აზროვნების ნიჭი გამოგაცალა და სიყვარულის მეტი აღარა დაგიტოვა რა. შენი წერილი გადაიკითხე როდისმე და ნახავ, რომ შენ გონებას აღარაფერი ეკარება ლიგიას გარდა. მარტო ის გაინტერესებს,

იმას დასტრიალებ თავს, ვითა ქორი ნიშნად ამოღებულ საშოვარს. პოლუქსს ვფიცავ! ჩქარა იპოვე, თორემ თუ შენი ვნების აღმაფრენამ ფერფლად არ გაქცია, ეგვიპტის სფინქსი შეიქნები, რომელმაც, როგორც ამბობენ, საბრალო ისიდა შეიყვარა, არც არაფერი სხვა უნდა, არც არაფერი ესმის. მოლოდინითღა სულდგმულობს, რომ თავის საყვარელს ქვის თვალები მიაპყროს.

ღამღამობით ტანისამოსგამოცვლილმა ქალაქში ირბინე, შენი ფილოსოფოსით ქრისტიანების სამლოცველოშიც იარე. ყველა, რაც დროს კლავს და იმედს აღძრავს – ქების ღირსია, მაგრამ თუ ჩემი მეგობარი ხარ, ერთი დამიჯერე: გამიგონია, ლიგიას მონა ურსუსი საოცარი ღონის პატრონიაო, შენც კროტონი დაიქირავე და ახლა სამეულმა განაგრძეთ ძებნა. ასე უფრო უშიშარიც იქნება და გონივრულიც. ქრისტიანები, რაკი პომპონია გრეცინა და ლიგია მათ რიცხვს ეკუთვნიან,

უეჭველია, ისეთი არამზადები არ იქნებიან, როგორებიც ჩვენა გვგონია. მაგრამ ლიგიას მოტაცების ჟამს დაამტკიცეს, რომ მათთან ხუმრობა არავის გამოადგება, თუ საქმე მათი ფარის რომელიმე ცხვარს შეეხება. როდესაც ლიგიას ნახავ, ვიცი თავის შეკავებას ვერ მოახერხებ და მაშინვე მის დასაკუთრებას მოინდომებ, მერე ამას მარტო ხილონის დახმარებით როგორ მოახერხებ? კროტონი კი, თუნდა ლიგიას ათი ურსუსის მსგავსი გოლიათი იცავდეს, ყველას გაუძღვება. ხილონს ნუ გაეყვლეფინები, კროტონისთვის კი ნურას დაიშურებ. რაც კი შემიძლია გირჩიო, ყველაზე საუკეთესო რჩევა ეს არის.

აქ პატარა ავგუსტაზე ლაპარაკი უკვე მოსპეს და იმასაც აღარ ამბობენ, ჯადოსგან მოკვდაო. ხანდახან ამას მარტო პოპეა თუ გაიხსენებს ხოლმე, მაგრამ კეისრის გონება სხვაგან ქრის. მით უმეტეს, რომ ღვთაებრივი ავგუსტა ისევ ორსულად ბრძანდება. აგერ უკვე რამდენიმე დღეა ნეაპოლში ვართ, ან უკეთ რომ ვთქვათ, ბაიაში. შენ რომ სხვა რამეზე ფიქრი შეგეძლოს, მაშინ ჩვენი აქ ყოფნის ამბავი შენს ყურამდე უნდა მოსულიყო, რადგან მთელი რომი, რა თქმა უნდა, სხვაზე არაფერზე არ ლაპარაკობს. ჩვენ პირდაპირ ბაიაში მოვედით, სადაც ყოვლის უწინარეს დედის მოგონებამ მოგვიცვა და სინდისის ქენჯნა ვიგრძენით. მაგრამ წარმოიდგინე, აჰენობარბუსი სადამდე მივიდა? დედის მოკვლაც კი ლექსების საგნად გაიხადა, ტაკიმასხრულ-ტრაგიკული სცენების საბაბად. უწინაც ხომ სინდისის ქენჯნას

მხოლოდ სიმხდალის გამო გრძნობდა, ახლა რაკი დარწმუნდა, მთელი ქვეყანა უწინდებურად ჩემს ფერხთითაა გართხმული და არც ერთმა

ღვთაებამ მაგიერი არ მომიზღოო, მხოლოდ იმიტომღა თვალთმაქცობს, თავისი ხვედრით ხალხს გული აუჩუყოს. ხანდახან ღამეობით წამოხტება და გვარწმუნებს, ფურიები მდევნიანო, გვაღვიძებს, იგრიხება, ვითა უნიჭო მსახიობი ორესტეს როლში, ბერძნულ ლექსებს ამბობს და გვითვალთვალებს, აღტაცებულები ვართ თუ არა. რა თქმა უნდა, აღტაცებას გამოვხატავთ და მის მაგიერ, რომ ვუთხრათ: გასწი, მასხარაო, დაიძინეო, ჩვენ ტრაგიკულ ჰანგზე მოვიმართებით ხოლმე და დიდ არტისტს ფურიებისგან ვიფარავთ. კასტორსა ვფიცავ! ის ამბავი მაინც არ მოვიდა შენამდე, რომ ნეაპოლში საჯაროდ გამოვედით? ნეაპოლიდან და მიდამო ქალაქებიდან უქნარა ბერძნები მოვრეკეთ და იმ უქნარებმა ასპარეზი ნივრის სუნით ისე ააყროლეს, ღმერთებს ვმადლობდი, რომ იმის მაგიერ ავგუსტიანებთან პირველ რიგში ვმჯდარიყავ, ჟღარწვერასთან ერთად სცენის უკან ვიდექი. წარმოიდგინე ეშინოდა, სიმხდალემ დარია ხელი. მალ-მალ ხელს გულთან მიიდებდა, მართლაც გული ძალიან ჩქარა უცემდა, სუნთქვაც შეეკრა და როცა უნდა გამოსულიყო, ეტრატივით გათეთრდა, შუბლზედაც ოფლი მოუვიდა. თუმცა იცოდა, რომ ყველა რიგში ჯოხით შეიარაღებული პრეტორიელები ისხდნენ, რა არის, მაცქერლებში აღტაცება აღეძრათ. მაგრამ ამისთანა წახალისება საჭირო არ იყო. კართაგენის მიდამოების მაიმუნები ისე ვერ იღრიალებდნენ, როგორც ეს ბრბო ღრიალებდა. ნივრის სუნი სცენამდე მიდიოდა. ხოლო ნერონი თავს უკრავდა საზოგადოებას, გულზე ხელს იდებდა, ჰაეროვან კოცნას უგზავნიდა ხალხს და ტიროდა. შემდეგ სცენის უკან ჩვენთან მთვრალივით შემოვარდა და დაიღრიალა: რის მაქნისია კეისრის გამარჯვება ჩემს გამარჯვებასთან შედარებითო. ბრბო კი ისევ ღრიალებდა და

ტაშს უკრავდა. იცოდა, რომ ამით მასხარა კეისრისაგან წყალობას, საჩუქარს, ნადიმებს, ლატარიის ბილეთებსა და ახალ სანახაობას მოიპოვებდა. არც კი მიკვირს, რომ ტაშს უკრავდნენ. აქამდე ეს სანახაობა არ ენახათ. ნერონი კი ყოველ წამს იმეორებდა: „მესმის ბერძნები, აი მესმის ბერძნები!''

მე მგონია, ამ წარმოდგენის შემდეგ რომის სიძულვილი უფრო გაუძლიერდა. ამის მიუხედავად რომში განსაკუთრებული შიკრიკები გაიგზავნენ ტრიუმფის შესატყობინებლად, და ჩვენც დღე დღეზე სენატის მადლობას

მოველოდებით. ნერონის პირველი გამოსვლის შემდეგ აქ უცნაური შემთხვევა მოხდა: თეატრი ერთბაშად დაინგრა, მაგრამ მაყურებლები მაშინ სულ გამოსულები იყვნენ. მე შემთხვევის ალაგს ვიყავ, მაგრამ ვერ ვნახე, რომ იქიდან ერთი მკვდარი მაინც გამოეტანათ. ბევრნი და მათში ბერძნებიც ამათში ღმერთების რისხვას ხედავენ, იმპერატორის უფლების დაკნინების საზღაურს. ნერონი კი, პირიქით, ამტკიცებს. ღმერთები ამით ჩემს სიმღერასა და მსმენელებს წყალობას და მფარველობას ჰპირდებიანო. ამიტომაც უბრძანა, ყველა ტაძარში მსხვერპლი შესწირონ და სამადლობელო ლოცვები გადაიხადონ. ამ შემთხვევამ მხოლოდ აქაიაში წასვლის სურვილი გაუძლიერა. რამდენიმე დღის წინ კი მეუბნებოდა, რომის მკვიდრთა უკმაყოფილების მეშინია, შეიძლება აჯანყდნენ, როგორც ჩემი სიყვარულის გამო, ისე კიდევ იმიტომ, რომ კეისრის სხვაგან ყოფნით პური და სანახავები მოაკლდათო.

აქედან ბენევენტუმში მივდივართ მეწაღეების დარდიმანდობის საცქერლად: ვატინიუსი აპირებს, თავი მოგვაწონოს. იქიდან კი ელენეს ღვთაებრივ ძმათა მფარველობის ქვეშე საბერძნეთში წავალთ. რაიც შემეხება მე, შევნიშნავ, რომ ადამიანი გიჟებში გიჟი ხდება და უფრო მეტიც – სისულელეში რაღაც მშვენიერებას პოულობს. საბერძნეთი და მოგზაურობა ათასი ადამიანის თანხლებით, რაღაც ბახუსის საზეიმო სვლა, ტვიითა და ვაზის ფითლით დაგვირგვინებულ ნიმფებსა და ბახუსის მსახურ ქალთა შორის, ვეფხვებშებმული ეტლები, ყვავილები, გვირგვინები, „evoe“-ს ყვირილი, მუსიკა, პოეზია და ელადის ტაშის გრიალი, – ყველა ეს კარგია, მაგრამ ჩვენ უფრო გაბედული გუმანი გვაქვს. ჩვენ გვინდა, რაღაც საზღაპრო იმპერია დავაარსოთ. ეს იქნება სამეფო პალმების, მზისა და პოეზიის; ჩვენ გვინდა, სინამდვილე განუწყვეტელ სიტკბოებად გადავაქციოთ.ჩვენ გვინდა, რომ რომი დავივიწყოთ, ხოლო ქვეყნის შუაგული სადმე საბერძნეთსა, აზიასა და ეგვიპტეს შორის გადავიტანოთ. ვიცხოვროთ ადამიანური ცხოვრებით კი არა, ღმერთებს მივბაძოთ. ჩვეულებრივი ცხოვრებისა არაფერი ვიცოდეთ, ზღვაში ოქროს გალერებით ვიცურაოთ ძოწის იალქნებით დაჩრდილულებმა, აპოლონის, ოსირისისა და ვაალის ერთსახეობად შევიქმნეთ, ცისკართან ერთად ავიფაკლოთ, მზესთან მოვვარაყდეთ.მთვარესთან შევივერცხლოთ. ვიმეფოთ, ვიმღეროთ, ბურანს მივცეთ თავი. არ დაიჯერებ, მე, რომელსაც ჯერაც ერთ სესტერციად ღირებული ჭკუა და ერთ ასად ღირებული

საღი მსჯელობა შემრჩენია, მეც კი ამგვარ ოცნებებს ვეძლევი. მართალია, მათი განხორციელება არ იქნება, მაგრამ ეს ოცნებანი დიადია და თავისებური... ესეც არის, ასეთი საზღაპრო იმპერია ისეთი რამე იქნებოდა, რაც

მრავალი საუკუნის შემდეგ ხალხს ოქროს ზმანებად მოეჩვენებოდა. და თუ ვენერა ვინმე ლიგიას ან თუნდაც მრავალ ევნიკას სახეს არ მიიღებს, თუ მას ხელოვნება არ დაამშვენებს, მაშინ სიცოცხლე არაფრად ღირს და ხშირად მაიმუნის სახეს მოგვაგონებს. მაგრამ ჟღალწვერა თავის ოცნებას ვერ განახორციელებს თუნდაც იმიტომ, რომ აღმოსავლეთის და პოეზიის იმ საზღაპრო სამეფოში ადგილი არ უნდა ჰქონდეს პირმოთნეობას, უხამსობასა და სიკვდილს, ნერონში კი პოეტის ნიღაბქვეშ უნიჭო პამპულა, მოსულელო მხედარი და უგვანო მტარვალი იმალება. ეს ოცნებანი ჯერხანად ხალხის ჩახრჩობას არ გვიშლიან, თუ ვინმემ მცირეოდენი წინააღმდეგობა გაგვიწია. საბრალო ტორკვატუს სილანუსი ახლა ჩრდილიღაა. ამ რამდენიმე დღის წინ სისხლის ძარღვები გადაიჭრა, ლუკანუსი და ლიცინიუსი შიშით იღებენ კონსულობას, მოხუც თრასეას სიკვდილი არ ასცდება, რადგან მეტისმეტ პატიოსნებას ინარჩუნებს. ტიგელინუსს ჯერაც ვერ მოუხერხებია კეისრის ისეთი ბრძანება ჩაიგდოს ხელში, თავი მომაკვლევინოს. მე ჯერ საჭირო ვარ არა მარტო როგორც „elegantiae arbiter“, არამედ როგორც კაცი, რომლის რჩევისა და გემოვნების დაუხმარებლად აქაიაში მოგზაურობა შეიძლება არ მოხერხდეს. მაინც ხანდახან ვფიქრობ, ადრე იქნება თუ გვიან, ეს ხვედრი არ ამცდება, და იცი, ყველაზე მეტად რაზე ვწუხვარ?-მხოლოდ იმაზე, რომ ჟღალწვერას ის მურის ჭურჭელი არ ერგოს, შენ ხომ ეგრე მოგწონს. თუ ჩემი სიკვდილის ჟამს ჩემთან იქნები, შენ გადმოგცემ, და თუ შორს იქნები, დავამსვრევ. ახლა კი ჩვენ მეწაღეთა ბენევენტუმი მიგველის, ოლიმპიური საბერძნეთი და იმედი, ყველას რომ უცნობსა და მოულოდნელ გზას სთავაზობს. კარგად იყავ და კროტონი დაიქირავე, თორემ ლიგიას მეორედ

მოგტაცებენ. ხილონიდი, როდესაც შენთვის საჭირო აღარ იქნება, მე გამომიგზავნე, სადაც უნდა ვიყო. იქნება მაგისაგან მეორე ვატინიუსი გამოვიყვანო და სენატორებმა და პროკონსულებმა მის წინ თრთოლა დაიწყონ, როგორც ახლა წაღის ძაფის გმირის წინ თრთიან. კარგი იყო, მაგას მოვსწრებოდი. თუ ლიგია იპოვო, შემატყობინე, რომ თქვენთვის ორი მტრედი და ორი გედი ვენერას აქაურ მრგვალ ტაძარში მსხვერპლად შევწირო. ახ-

ლახანს სიზმარში ვნახე, რომ ლიგია მუხლებზე გეჯდა და შენს ტუჩებს ეძებდა. ეცადე, ეს სიზმარი წინასწარმეტყველური გამოდგეს. უღრუბლო გექნეს ცა, თუ ვინიცობაა ღრუბელი გამოგიჩნდეს, ფერი და სუნი ვარდისა ჰქონდეს. კარგად იყავ და მშვიდობით“.

თავი მეცხრამეტე

ვინიციუსმა, ის იყო, პეტრონიუსის წერილი გაათავა, რომ წიგნთსაცავში დაუკითხავად ხილონი შემოძვრა, - მსახურთ ნაბრძანები ჰქონდათ, ბერძენი, დღე იქნებოდა თუ ღამე, ყოველ ჟამს შემოეშვათ.

– გექნესმცა მწყალობლად სულგრძელი წინაპრის ენეასის ღვთაებრივი დედა, როგორც შენ, მაიას ღვთაებრივი შვილი, ჩემი მწყალობელი ხარ, - უთხრა მან.

მაგიდასთან მჯდარი ვინიციუსი წამოხტა და შესძახა:

– ამით გინდა თქვა, რომ...

ხილონმა თავი ასწია და უპასუხა:

– ევრიკა!

ახალგაზრდა პატრიცი ისე აღელდა, რომ კარგა ხანს ხმის ამოღება ვერ შეძლო.

– თვითონ ნახე? - ჰკითხა ბოლოს.

– მე ურსუსი ვნახე, ბატონო, და კიდეც ველაპარაკე

– მაშ იცი, სად იმალება?

– არა, ბატონო. სხვა უჩემო თავმოყვარეობას აყოლილი ურსუსს ანიშნებდა, გიცანიო. სხვა ეცდებოდა, დაეცინცლა, სადა ცხოვრობს და ამით ან მუშტის დარტყმას მიიღებდა, რის შემდეგ ყველა ქვეყნიური საქმე მისთვის მნიშვნელობას დაკარგავდა, ანდა გოლიათის ეჭვს გამოიწვევდა და ამით იმას მიაღწევდა, რომ ქალს იმ ღამესვე სხვა ალაგას გადამალავდნენ. მე კი ეგრე არ მოვიქეც. ჩემთვის ეს საკმარისია. ახლა ყველა შენს მონას შეუძლია კვალდაკვალ გაჰყვეს ურსუსს და მისი ბინა გაიგოს. მე მტკიცედ მჯერა - რაკი ურსუსი აქ არის, მაშ ღვთაებრივი ლიგიაც რომშია და ამას გარდა, გავიგე, რომ დღეს ქალი თითქმის უეჭველად ოსტრანიუმში იქნება.

– ოსტრანიუმში? ეგ სად არის? - ისე გააწყვეტინა ვინიციუსმა, თითქოს უმალვე იქ გაქცევას აპირებსო.

– ძველი სასაფლაოა ViaSalaria-ს და Nomentana-ს შუა. ქრისტიანების მთავარი ქურუმი, მე რომ

გითხარ და უფრო გვიან რომ მოელოდნენ, უკვე ჩამოსულა და ამაღამვე იმ სასაფლაოზე მონათლავს ხალხს და იქადაგებს. ისინი თავის სარწმუნოებას მალავენ, რადგან ხალხს სძულს ქრისტიანები, - თუმცა აქამდე ამ სარწმუნოების ამკრძალავი არავითარი ედიქტი არ ყოფილა. თვითონ ურსუსმა მითხრა, დღეს ყველა ქრისტიანი ოსტრანიუმში მოვა, იმიტომ, რომ იმ ქურუმის ნახვა და მოსმენა ყველას სურს. ის ქრისტეს პირველი მოწაფე ყოფილა და მოციქულს ეძახიან. რადგან ქრისტიანებთან მანდილოსნები კაცებთან ერთად ისმენენ ქადაგებას, მაშ მანდილოსნებში ერთი პომპონია თუ დააკლდება, ისიც იმიტომ, რომ ავლუსს, ძველი ღმერთების თაყვანისმცემელს, ვერ აუხსნის, ღამე სად მიდის, თორემ ლიგია - ურსუსისა და მრევლის უხუცესთა მფარველობის ქვეშ მყოფი, იქ უეჭველად მივა.

აქამდე სულ ერთთავად მშფოთვარე ვინიციუსს ლიგიას პოვნის იმედი ასულდგმულებდა, ხოლო ახლა, როდესაც ამ იმედის მიღწევა მოახლოებულად ეჩვენა, უცებ სისუსტე იგრძნო, როგორსაც დიდი მგზავრობის შემდეგ მიზანთან მიღწეული ადამიანი გრძნობს ხოლმე. ხილონმა ეს შენიშნა და აქაც სარგებლის ნახვა მოიწადინა.

– ბატონო, შენი კაცები კარებთან ნამდვილად დარაჯობენ, ქრისტიანებმა ეს უნდა იცოდნენ. მაგრამ იმათთვის კარი არაა საჭირო. არც ტიბრი საჭიროებს კარს და თუმცა მდინარის გზით ოსტრანიუმამდე შორს არის, მაინც მანძილი როდი დაუშლის იმათ „დიდი მოციქულის“ სანახავად

შეიკრიბონ. ამასთან ათასი საშუალება აქვთ, ქალაქის კარებს გზა აუქციონ. ოსტრანიუმში შენ, ბატონო, ლიგიას იპოვი, და თუ ვინიცობაა, იქ არ იყოს, რაც მე არა მგონია, ურსუსს მაინც ნახავ, რადგან გლავკოსის მოკვლას დამპირდა. თვითონ მითხრა, იქ ვიქნები და მოვკლავო, გესმის, კეთილშობილო ბატონო? მაშ შენ ან კვალდაკვალ გაჰყვები იმას და შეიტყობ, ლიგია სად ცხოვრობს, ან შენს კაცებს უბრძანებ ხელი სტაცონ, ვით კაცისმკვლელს, რაკი ხელში ჩაიგდებ, გამოტეხავ, ლიგიას სად მალავს. მე ჩემი შევასრულე! სხვა უჩემო გეტყოდა, ურსუსთან ერთად ათი კანთაროსი ძვირფასი ღვინო დავლიეო, მანამ მასთან გავაწყობდი რასმეო ან თავს შეგაბრალებდა, ათასი სესტერცი წავუგე იმას seripta duodecim-შიო. ვიცი, ერ-

თიორად დამიბრუნებდი, მაგრამ ჩემს სიცოცხლეში ერთხელ მაინც... მინდოდა მეთქვა, რომ ახლაც, როგორც ყოველთვის, პატიოსანი ვიქნები, ამიტომ - იმედს არ ვკარგავ. როგორც სულგრძელი პეტრონიუსი ამტკიცებდა, შენი სიუხვე ყველა ჩემს მოლოდინს გაადაჭარბებს.

ვინიციუსი ჯარისკაცი იყო და ჩვეული გახლდათ, არა მარტო მუდამჟამს სიმტკიცე შეენარჩუნებინა, არამედ ემოქმედნა კიდეც. თავისი დროებითი სისუსტე ერთბაშად ჩაახშო და ბერძენს უთხრა:

– ჩემს სულგრძელობაში არ მოტყუვდები, მაგრამ ჯერ კი ოსტრანიუმში წამომყვები.

– მე? ოსტრანიუმში? - გაიკვირვა ხილონმა, კაცმა რომ თქვას, იქ წასვლა სრულებით არ უნდოდა, -

მე, კეთილშობილო ტრიბუნო, ლიგიას ჩვენებას დაგპირდი, მოტაცება არ მიკისრია. აბა მოიფიქრე, ბატონო, რა მომელის, იმ ლიგიელმა დათვმა რომ გლავკოსი მოკლას და მერე დარწმუნდეს, რომ ტყუილად გასწირა კაცი? განა მისი მოკვლის მიზეზად (თუმცა სავსებით უსამართლოდ) მე არ ჩამთვლის? იცოდე, ბატონო, რამდენიც მაღლამხედია ბრძენი ფილოსოფოსი, იმდენად ძნელია მისთვის უვიცთა სულელურ კითხვებზე პასუხი მისცეს; აბა რა ვუპასუხო, იმან რომ მკითხოს, გლავკოსს ცილი დასწამეო. თუ გგონია, რომ გატყუებ, დაპირებული მაშინ მომეცი, როდესაც იმ სახლს გაჩვენებ, სადაც ლიგია ცხოვრობს, ხოლო დღეს შენი სიუხვის მცირედი ნაწილი მაინც მომმადლე, რომ თუ ვინიცობაა შენ, ბატონო, რაიმე ხიფათს გადააწყდე (გფარავდესმცა ყველა ღმერთი), მე მთლიანად განუკითხავი არ დავრჩე. შენი გული ასეთ უსამართლობას ვერასოდეს ვერ აიტანს.

ვინიციუსი მარმარილოს ფეხებიან ყუთთან მივიდა, „arca“ -ს რომ უწოდებდნენ, იქიდან ქისა ამოიღო და ხილონს გადაუგდო.

– ეს „სკრუპულუმებია“, - უთხრა მან, - როცა ლიგია ჩემს ხელთ იქნება, ამისთანავე ქისას „ავრეუსებით“ სავსეს მიიღებ.

– ჰოი, იუპიტერ! - შეჰყვირა ხილონმა.

ვინიციუსმა წარბები შეიკრა.

– აქ გაჭმევენ, შემდეგ დაისვენებ. საღამომდე აქედან ვერ გახვალ, ხოლო როცა დაღამდება, ოსტრანიუმში ერთად წავალთ.

ხილონის სახეზე უცებ შიში და ჭოჭმანი აისახა, მაინც დამშვიდდა და თქვა:

– ვის შეუძლიან, ბატონო, არ შეგეპუოს! ეს სიტყვები კეთილის წინასწარმეტყველებად მიიღე, როგორც ჩვენმა დიდმა ალექსანდრე მაკედონელმა მიიღო ისინი ამონის ტაძარში. მე რაიც შემეხება, ეს სკრუპულუმები ჩემს შიშზე მეტი წონისაა, მერე კიდევ შენთან ყოფნა ჩემთვის უაღრეს ბედნიერებასა და სიტკბოებას შეადგენს.

ვინიციუსმა მოუთმენლად გააწყვეტინა სიტყვა და ურსუსთან ლაპარაკის დაწვრილებით გამოკითხვა დაუწყო. ამ ლაპარაკიდან ერთი გამოირკვა: ამ ღამეს ლიგიას თავშესაფარი იქნება აღმოჩენილი ან ოსტრანიუმიდან მისი მოტაცებაც კი გახდება შესაძლებელი. ამის თქმაზე ვინიციუსი შმაგმა სიხარულმა მოიცვა. ახლა, როდესაც თითქმის საბოლოოდ დარწმუნდა, ლიგიას ვიპოვიო, უწინდელი რისხვა და გაბოროტება უკვალოდ გაუქრა. სწორედ ამ სიხარულის გამო ლიგიას ყველა დანაშაული აპატია. ქალზე მხოლოდ ისე ფიქრობდა, ვით ძვირფას და სანატრელ

არსებაზე და თავს ისე გრძნობდა, თითქოს შორი მოგზაურობიდან მოელოდა მას. ახლა მოესურვა, მონები მოეხმო და მწვანე გრეხელებით სახლის მორთვა ებრძანებინა. ამ წამში ურსუსზედაც კი აღარ ჯავრობდა, მზად იყო ყველასათვის ყველაფერი ეპატიებინა. მართალია, ხილონი ემსახურებოდა, მაგრამ აქამდე ისიც სძულდა. ახლა პირველად გაიფიქრა: სასაცილო კაცია და თანაც მთლად უბრალო არ უნდა იყოსო. ხილონის წყალობით მის სახლს სინათლე მოეფინა და ვინიციუსს თვალებიცა და სახეც გაუნათდა. ხელახლად იგრძნო ახალგაზრდობა და სიცოცხლის სიხარული. უწინდელი შავი ნაღველი ხელს უშლიდა შეეგნო, თუ რა ძლიერ უყვარდა ლიგია. ეს მხოლოდ ახლა გაიგო, როდესაც მისი დაპატრონების იმედმა გაუღიმა. ქალისადმი ვნებამ ისევ გაიღვიძა, როგორც გაზაფხულობით მზისგან გამთბარი დედამიწა იღვიძებს. მაგრამ ვნება ახლა ნაკლებ ბრმა და ველური იყო, უფრო სასიხარულო და ნაზი ელფერი ედო. უსაზღვრო ძალღონეს გრძნობდა, დარწმუნებული იყო, ნახავდა თუ არა ლიგიას, მთელი ქვეყნის ქრისტიანები კი არა, თვითონ კეისარიც ვერ წაართმევდა.

ხილონი ვინიციუსის სიხარულმა გაამხნევა. ისევ წამოიწყო ლაპარაკი და რჩევების მიცემა. მისი აზრით, საქმე ჯერ საბოლოოდ არ მოუგიათ, ამიტომ სიფრთხილეს თავი არა სტკივა, თუ არა შრომა ტყუილად წყალში ჩაეყრებათ. ვინიციუსს ემუდარებოდა, ლიგია ოსტრანიუმიდან არ მოეტაცნა.

იქ წავლენ მოსასხამებში გახვეულები და პირისახე აფარებულები. რომელიმე ბნელი კუთხიდან იქ მყოფთ თვალყურის დევნას დაუწყებენ. როდესაც ლიგიას დაინახავს, ყველაზე

უკეთესი იქნება, ცოტა მოშორებით მისდიოს მას, დაინიშნოს რომელ სახლში შევა და მეორე დღეს გათენებისას მონები გარს შემოახვიოს და დღისით, მზისით წამოიყვანოს. რადგან იგი მძევალია და საკუთრად კეისარს ეკუთვნის, ყველა ამის ჩადენა სრულიად უშიშრად შეიძლება. თუ ოსტრანიუმში არ დახვდათ, მაშინ ურსუსს გაჰყვნენ კვალდაკვალ და ამითაც იმავე მიზანს მიაღწევენ. სასაფლაოზე ბევრი ხალხით წასვლა არ შეიძლება, რადგან ამით ყურადღებას მიიპყრობენ, ხოლო ქრისტიანები სანთლებს ჩააქრობენ, როგორც პირველი მოტაცებისას გააკეთეს, აქეთ-იქით გაიქცევიან და უცნობ სამალავებში დაიმალებიან. შეიარაღება კი მეტი არ იქნება, ყველას კიდევ ისა სჯობს, ორი ერთგული და ღონიერი კაცი იყოლიონ თან, რომ გაჭირვებაში იმათგან დახმარების იმედი ჰქონდეთ.

ვინიციუსი ხილონის აზრს დაეთანხმა, პეტრონიუსის რჩევა მოაგონდა და მონებს უბრძანა: კროტონი მომიყვანეთო. ხილონი რომში ყველას იცნობდა, არაადამიანური ღონის მქონე გამოჩენილი ფალავნის სახელი რომ გაიგონა, თითქმის დამშვიდდა და გამოაცხადა, ოსტრანიუმში წამოგყვებიო. ახლა იცოდა, რომ კროტონის დახმარება ოქროს დენარებით სავსე ქისის მიღებას გაუადვილებდა.

სადილობისას მშვენიერ გუნებაზე იყო და მონებს უამბობდა, თუ რა უებარი მალამო მოაქვს ბატონისათვის: საკმაოა ცხენს ჩლიქებზე წაუსვა, თუნდა უვარგისი ცხენი იყოს, ყველას გაასწრებს.

ამ მალამოს მომზადება ერთმა ქრისტიანმა ასწავლა. ქრისტიანების უხუცესებმა თვითონ თესალიელებზედაც უკეთ იცინიან ჯადოქრობა და სასწაულები, თუმცა თესალია თავისი მკითხავებით არის განთქმული. ქრისტიანები მას ძალიან ენდობიან და მერე რატომ? ამას ყველა მიხვდება, ვინც კი იცის თევზი, რას ნიშნავს. ამას რომ ამბობდა, ყურადღებით აკვირდებოდა მონებს იმ იმედით, ეგებ მათში ქრისტიანები აღმოვაჩინო და მერე ვინიციუსთან დავაბეზღოო.. მაგრამ როდესაც ამ იმედმა უმტყუნა, ჭამასა და სმას მიადგა ბეჯითად და თან მზარეულის ქებას მოჰყვა. ირწმუნებოდა, ვეცდები, ვინიციუსისაგან ეს მზარეული ვიყიდოო. ხილონის მხიარულებას ერთი აზრი

ბინდავდა - დაღამებისას ოსტრანიუმში უნდა წასულიყო, მაგრამ თავს იმითი ინუგეშებდა, ტანისამოსს გამოვიცვლი, ხოლო ამხანაგებად ორი კაცი მეყოლება: ერთი თავისი ღონით მთელ რომში განთქმული, ხოლო მეორე პატრიცი და დიდგვარიანი მხედარიო. ვინიციუსი კიდეც რომ იცნონ, - ამბობდა გუნებაში ხილონი, - ქრისტიანები ხელის გამოღებას ვერ გაბედავენ, და მე ჩემდა თავად... დიდი გაქნილი ვინმე უნდა იყოს, რომ ჩემი ცხვირის წვერის დანახვა მოახერხოსო.

წისქვილის მუშასთან ლაპარაკი გაახსენდა და ამან უფრო მეტი გამბედაობა მისცა. სრულებით არ ეეჭვებოდა, რომ ის ურსუსი იყო. ვინიციუსისა და მისი მონების ნათქვამიდან ხილონმა იცოდა, რომ ლიგიელი არაჩვეულებრივი ღონის პატრონი იყო, და რადგან მან ევრიციუსს დიდი ღონის კაცი სთხოვა, საკვირველი არ არის, რომ იმან სწორედ ურსუსი უჩვენა. ამას გარდა ვინიციუსისა და

ლიგიას ხსენებაზე გოლიათის რისხვა და შეშფოთება ამტკიცებდნენ, რომ ეს ორი ადამიანი მისთვის მეტად საყურადღებო იყო. გოლიათმა კაცის მოკვლისთვის მონანიება ახსენა, ურსუსმა კი ატაცინი მოკლა; დასასრულ მუშის ნიშნები სავსებით ეთანხმებოდნენ იმას, რაც ვინიციუსმა აუწერა. ცოტაოდენ ეჭვში მარტო სახელმა შეიყვანა, მაგრამ ხილონმა უკვე იცოდა, რომ ქრისტიანები მონათვლის დროს ახალ სახელებს ირქმევდნენ.

ურსუსი თუ გლავკოსს მოკლავს, - ისევ თავის თავს გამოელაპარაკა ხილონი, - ხომ კარგი, თუ არ მოკლავს, ესეც კარგი ნიშანი იქნება იმისი, რომ ქრისტიანები ეგრე ადვილად კაცს ვერ იმეტებენ. მე გავეცი გლავკოსი, ვითა იუდას ღვიძლი შვილი და ყველა ქრისტიანის გამცემი და მოღალატე; ისეთი მჭევრმეტყველი ვიყავი, რომ ქვაც ატირდებოდა და შემპირდა, გლავკოსს თავზე დავეცემიო, მაგრამ ამის მიუხედავად, ის ლიგიელი დათვი ძლივს დავიყოლიე გლავკოსის დატორვაზე.. ყოყმანობდა, უარობდა, სინდისის ქენჯნასა და მონანიებას მეუბნებოდა. აშკარაა, მათში კაცისკვლა ჩვეულებად არ არის მიღებული... თუ გაწყენინეს, უნდა მიუტევოო, - არცთუ სხვის წყენის მაგიერის გადახდა არის ნებადართული, ergo, განსაჯე, ხილონ, რისი შიში უნდა გქონდეს? გლავკოსი ვერ გაბედავს მაგიერი გადაგიხადოს; ურსუსი თუ გლავკოსს არ მოკლავს იმ დიდი დანაშაულისთვის, როგორიც არის მთელი ქრისტიანობის ღალატი, მით უფრო შენ არ მოგკლავს იმ პა-

ტარა დანაშაულისთვის, როგორიც ერთი ქრისტიანის გაცემა არის. დასასრულ, თუ ამ ვნებააშლილ ველურ მტრედს თავისი გვრიტის ბუდე ვუჩვენე, მაშინ ხელებს ვიბან და ნეაპოლსვე

ვბრუნდები. ქრისტიანები რაღაც ხელების დაბანას ამბობენ, - აშკარაა ეს საშუალებაა, რომლითაც, თუ მათთან რაიმე საქმე გაქვს, შეგიძლია ყველაფერი მოაგვარო. რა კეთილი ხალხია ეს ქრისტიანები და რამდენ ცუდს ლაპარაკობენ მათზე?! ჰოი ღმერთებო! ეს რა სამართალია ამქვეყნად! ეს რჯული მიტომ მიყვარს, რომ კაცისკვლის ნებას არ იძლევა, და თუ მოკვლის ნებას არ იძლევა, მაშ არც მოპარვის ნებას მისცემს, არც მოტყუებისას, არც ცრუმოწმობისას, ამიტომ ვერ ვიტყვი, რომ მისი მიმდევრობა ადვილი იყოს. იგი, როგორც ჩანს, ასწავლის არათუ ღირსეულ სიკვდილს, როგორც სტოიკოსები სჩადიან, არამედ ღირსეულ სიცოცხლესაც, თუ როდისმე გავმდიდრდები, ასეთი სახლი მექნება, როგორიც ეს არის და ამდენი მონა მეყოლება. მაშინ იქნება გავქრისტიანდე იმდენი ხნით, რამდენითაც ჩემთვის საჭირო იქნება. მდიდარს შეუძლია თავს ყველაფრის ნება მისცეს. დიახ, ეს მდიდრების სარწმუნოებაა, და ვერ გამიგია, რა მიზეზია, რომ ამდენი ღარიბი მიმდევარი ჰყავს. რა სარგებლობა აქვს ასეთი რჯულისაგან და როგორ იბორკავენ ხელ-ფეხს სათნოების სახელით? ამაზე როდისმე უნდა ვიფიქრო. ახლა კი ქება-დიდება შენ, ჰერმეს, რომ იმ მაჩვის მოძებნა მიშველე. მაგრამ თუ ეს ორი ხბოს გულისთვის გააკეთე, თითო-თითო წლის თეთრ ხბოებს, მოვარაყებულ რქიანებს რომ დაგპირდი, მაშინ მიცნიხარ და ისაა. გრცხვენოდეს, არგუსის მჯობნო! ეგეთი ბრძენი ღმერთი ხარ და თავიდანვე კი ვერ გაითვალისწინე, რომ ვერაფერსაც ვერ მიიღებ! სამაგიეროდ, შენი მადლიერი ვიქნები და თუ ჩემს მადლიერებას ორი პირუტყვი გირჩევნია, მაშინ შენ თვითონ მესამე ყოფილხარ, და დიდი-დიდი, მწყემსი უნდა იყო და არა ღმერთი. მიფრთხილდი, მე ფილოსოფოსი ვარ და ხალხს არ

გავაგებინო, რომ შენ სულაც არ არსებობ. მაშინ შენთვის მსხვერპლის მოტანას ყველა დაიშლის. ფილოსოფოსთან სიამტკბილობა გიჯობს.

ერთი ხანი თავის თავს და ჰერმესს ელაპარაკა. მერე სკამზე გაითხლიშა, თავქვეშ მოსასხამი დაიდო და მონებმა რომ ჭურჭელი აალაგეს, დაიძინა. გაიღვიძა, ან უფრო უკეთ ვთქვათ, გააღვიძეს. როდესაც კროტონი მო-

ვიდა. ხილონი ატრიუმში შევიდა და ფალავნის ბრგე ტანს სიამოვნებით შეავლო თვალი. კროტონს თავისი სხეულით ლამის მთელი ატრიუმი აევსო. უკვე მორიგებოდა ვინიციუსს.

– ჰერკულესს ვფიცავ! - ეუბნებოდა იგი ტრიბუნს, - კარგი, რომ დღეს დამიძახე, ბატონო, ხვალ ბენევენტუმში მივდივარ, კეთილშობილმა ვატინიუსმა მიმიწვია, რათა კეისრის თვალწინ ვიღაც სიფაქსს შევებრძოლო. მეტად ღონიერი ზანგი ყოფილა და მისი ბადალი აფრიკას ჯერ არ გაუჩენია. ხომ წარმოიდგენ, ბატონო, იმისი ზურგი ჩემს ხელებში როგორ კრაჭაკრუჭს გაიღებს და თანაც მუშტით შავ ყბას როგორ მოვუნგრევ.

– დარწმუნებული ვარ, ეგრე იზამ, კროტონ, - უპასუხა ვინიციუსმა.

– ჩინებულადაც მოიქცევი, - დაუმატა ხილონმა, - დიახ! ყბა ჩაულეწო უნდა კიდეც. ეგ კარგი აზრია

და სწორედ რომ შეგეფერება. მხოლოდ ქონი წაიცხე, ჩემო ჰერკულესო, და ქამარი შემოიკარ. იცოდე, რომ საქმე ნამდვილ კაკუსთან გექნება. ღირსეულ ვინიციუსს რომ ქალი უნდა, იმისი დამცველი კაცი მართლა განსაკუთრებული ღონის პატრონია.

ხილონი ასე იმიტომ ამბობდა, რომ კროტონის თავმოყვარეობა აღეძრა. ვინიციუსმა დაურთო:

– მართალია, მე ის არ მინახავს, მაგრამ გამიგონია, ხარს რქებში ხელებს წაავლებს და სადაც უნდა იქ წაიყვანსო.

– უჰ! - შეჰყვირა ხილონმა. ურსუსის ასეთ ღონეს კი აღარ მოელოდა.

მაგრამ კროტონმა გაიღიმა და იმით აბუჩად აიგდო საგულვებელი მოწინააღმდეგე.

– მე ვკისრულობ, ღირსეულო ბატონო, - თქვა იმან, - ვისაც მიბრძანებ, ეს ხელი წავავლო და მეორეთი შვიდ ისეთ ლიგიელს გავუძღვე და ის ქალი შენს სახლში მოვიყვანო, თუნდა მთელი რომის ქრისტიანები კალაბრიელი მგლებივით დამედევნონ. თუ ეს ვერ ავასრულე, დაე ამ იმპლუვიუმში გამროზგონ.

– მაგის ნებას ნუ მისცემ, ბატონო! - შეშფოთდა ხილონი, - ქვების სროლას დაგვიწყებენ, მაშინ ამისი ღონე ჩვენთვის არაფერი მაქნისი იქნება... ის არა სჯობია, სახლიდან ქალი მოვიტაცოთ და ყველა საფრთხე იმასაც ავარიდოთ და ჩვენს თავსაც?

– სწორედ ეგრე უნდა ვქნათ, კროტონ!, - თქვა ვინიციუსმა.

– ფული შენია, ნებაც შენი იყოს! მხოლოდ გახსოვდეს, ბატონო, რომ ხვალ ბენევენტუმში მივდივარ.

– მარტო რომში ხუთასი მონა მყავს, - მიუგო ვინიციუსმა.

და ყველას ანიშნა გასულიყვნენ, ხოლო თვითონ წიგნთსაცავში შევიდა, მაგიდას მიუჯდა და პეტრონიუსს შემდეგი მისწერა:

„ხილონმა ლიგია იპოვა. დღეს საღამოზე მე, ხილონი და კროტონი ოსტრანიუმში მივდივართ, ან იქიდანვე მოვიტაცებ ლიგიას ან არადა ხვალ სახლიდან. მოგფინოსმცა ყველა ღმერთმა კეთილი. იყავ კარგად, carissime, სიხარულისაგან მეტის მოწერის ღონე არა მაქვს“.

ლერწამი დადო და ოთახში ჩქარი ნაბიჯით დაიწყო სიარული. იმას გარდა, რომ გულს სიხარული მოჰფენოდა, მოუთმენლობაც სწვავდა. თავის თავს ეუბნებოდა, რომ ლიგია ხვალ უკვე ამ სახლში იქნებოდა და არ იცოდა, როგორ მოქცეოდა, თუმცა კი გრძნობდა, რომ თუ ისიც სიყვარულით მოეპყრობოდა, იმისი მონა შეიქნებოდა. აქტეას სიტყვები მოაგონდა, ლიგიას უყვარხარო, და მთლად აფორიაქდა. მაშ საქმე სულ ისაა, რომ რაღაც ქალწულებრივი მორცხვობა დაძლიოს და იმ აღთქმას გადააბიჯოს, რასაც ქრისტეს რჯული ავალებს. თუ ასეა, რაკი ლიგია თავის თავს ძალაუნებურად ეტყვის, აღსრულდაო, შემდეგ გამგონე და მოსიყვარულე შეიქნება.

ხილონის შემოსვლამ სასიხარულო ფიქრთ დენა შეუწყვიტა.

– ბატონო, - უთხრა ბერძენმა, - აი კიდევ თავში რა მომივიდა. ერთიც ვნახოთ, ქრისტიანებს რაიმე ნიშნები აქვთ და უიმისოდ ოსტრანიუმში არავის შეუშვებენ. ვიცი, სამლოცველო სახლებში ასეა, ევრიციუსისგან მაქვს გაგონილი. ნება მიბოძე, იმასთან წავიდე და დაწვრილებით გამოვკითხო ნიშანი, თუ საჭირო იქნება.

– კარგი, კეთილშობილო ბერძენო, - მხიარულად მიუგო ვინიციუსმა, - ჭკვიანი კაცივით ლაპარაკობ. ამიტომაც ქების ღირსი ხარ; წადი ევრიციუსთან, სადაც გნებავს, იქ წადი, მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის, დღეს რომ ქისა მიიღე, ის ამ მაგიდაზე დატოვე.

ხილონს ფულის მოშორება ეჯავრა, შეიშმუშნა, მაგრამ ბრძანება აღასრულა და წავიდა. კარინიდან ცირკამდე, სადაც ევრიციუსის დუქანი იყო, შორი გზა არ გახლდათ. ამიტომაც ბერძენი დაღამებაზე ბევრით ადრე დაბრუნდა.

– აი ნიშნები, ბატონო. უამათოდ არ შეგვიშვებდნენ. გზაც დაწვრილებით გამოვკითხე და ისიც ვუთხარ ევრიციუსს, ნიშნები მხოლოდ ჩემი მეგობრისთვის მინდა, მე კი არ წამოვალ-მეთქი, ბერიკაცი ვარ და გზა ძალიან შორია-მეთქი, ხვალ შემიძლია დიდი მოციქული ვინახულო, თავისი ქადაგებიდან უკეთეს ადგილებს გამიმეორებს-მეთქი.

– როგორ თუ არ წამოხვალ? უნდა წამოხვიდე! - უთხრა ვინიციუსმა.

– ვიცი, რომ უნდა წამოვიდე, მაგრამ ტანისამოსს გამოცვლილი. თქვენც იმასვე გირჩევთ, თორემ შეიძლება ჩიტი დავაფრთხოთ.

ჩქარი სამზადისი დაიწყეს, რადგან გარეთ უკვე ხშირბინდი იყო. გალური მოსასხამები აიღეს და ხელში ფარნები დაიჭირეს. ვინიციუსი თვითონ შეიარაღდა და ამხანაგებსაც მოკლე დანები მისცა. ხილონმა თავზე პარიკი ჩამოიცვა; ევრიციუსისაგან დაბრუნებისას რომ იყიდა გზაში. აჩქარება იყო საჭირო, რათა ნუმენტანის კარამდე მისულიყვნენ, ვიდრე დაიკეტებოდა.

თავი მეოცე

ისინი Vicus Patriciu-ზე წავიდნენ, ვიცინიალის გასწვრივ, ვიცინალის კარებისკენ, იმ მოედნის გვერდზე, სადაც შემდგომ დიოკლეტიანუსმა მშვენიერი აბანოები ააშენა. სერვიუს ტულიუსის დანგრეულ კედლებს რომ გასცილდნენ, თითქმის დაცარიელებული ვიწრო ქუჩებით ნუმენტანის გზამდე მივიდნენ, შემდეგ მარცხნივ სალარიუმისკენ შეუხვიეს და საფლავებით მოფენილ ბორცვებს შუა აღმოჩნდნენ. ამასობაში კიდეც დაბნელდა, მთვარე ჯერ არ ამოსულიყო, ამიტომ გზის გაგნება გაუჭირდებოდათ, თუ, როგორც ხილონმა წინასწარვე იგულვა, თვითონ ქრისტიანებს არ ეჩვენებინათ. მარჯვნივ, მარცხნივ და წინაც შავი ფიგურები მოჩანდნენ, ქვიშნარ ხევებისაკენ ფრთხილად მიმავალნი. ზოგს ფარანი ეჭირა, მაგრამ მის სინათლეს წამოსასხამით ბეჯითად ჰფარავდა, სხვები კი, გზის უკეთ მცოდნენი, უსინათლოდ მიდიოდნენ. ვინიციუსი გამოცდილი ჯარისკაცური თვალით ახალგაზრდებს ჯოხზე დაყრდნობილი მოხუცებისგან კარგად არჩევდა, ანსხვავებდა გრძელ სტოლებში გახვეულ მანდილოსნებსაც. ერთი-ორი თუ გამოერეოდა ქალაქიდან შემთხვევით გამოსული მგზავრი ან მიწის მუშა, ისინიც ღამის მგზავრებს არენარიუმებისაკენ მიმავალ მუშებად სთვლიდნენ, ან კიდევ დასაფლავების ძმობის წევრებად, თავიანთ ნადიმებს რომ ღამეობით მართა-

ვენ ხოლმე. რამდენსაც ახალგაზრდა პატრიცი და მისი ამხანაგები წინ მიიწევდნენ, მათ გარშემო უფრო ბევრი სინათლე ბჟუტავდა და ხალხიც სულ ემატებოდა. ზოგი მათგანი დაბალი ხმით გალობდა. ეს გალობა ვინიციუსს მწუხარე ეჩვენა,

ხანდახან სიტყვებსაც კი და მთელ წინადადებებსაც მოჰკრავდა ხოლმე ყურს. ერთი იყო, ჩაესმა, „აღსდეგ, მძინარევ!“ „აღსდეგ მკვდრეთით!“ დედაკაცები თუ მამაკაცები ქრისტეს სახელს იმეორებდნენ, მაგრამ სიტკვებს ვინიციუსი ყურადღებას არ აქცევდა, გუნებაში მხოლოდ ერთი აზრი უტრიალებდა: იქნება ამათში ლიგიაც იმალებაო. ზოგი გამვლელი ეუბნებოდა: „მშვიდობა თქვენდა“, ან „დიდება ქრისტეს“. ვინიციუსს კი მოუსვენრობა იპყრობდა, გული მეტად უძგერდა. ეჩვენებოდა, თითქოს ლიგიას ხმა მესმისო. ცოტაოდნად მსგავსი ტანის გამოჩენა და გონება ერეოდა. რამდენჯერმე რომ დარწმუნდა, მოვტყუვდიო, თვალს აღარ ენდობოდა.

გზა გრძელი ეჩვენა. მიდამო ადგილებს კარგად იცნობდა, მაგრამ სიბნელეში ვერას არჩევდა. ყოველ წამს რაღაც ვიწრო გასავლები ხვდებოდა, ხან კედლის ნანგრევები, ხანაც შენობები, უწინ რომ ქალაქგარეთ ვინიციუსს არსად შეუმჩნევია. ძლივს ღრუბელთაგან მთვარე გამოჩნდა და მბჟუტავ ფარნებზე უკეთ გაანათა იქაურობა. მოშორებით რაღაც განათდა, თითქოს კოცონია თუ ჩირაღდნის ალიო. ვინიციუსი დაიხარა და ხილონს ჰკითხა: ოსტრანიუმი ხომ არ არისო?

ხილონმა, რომელზედაც ღამის სიბნელემ, უდაბურმა ადგილებმა და მოჩვენებების მსგავსმა ადამიანებმა, ეტყობოდა, ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინეს, დუნე ხმით უპასუხა:

– არ ვიცი, ბატონო, ოსტრანიუმში არასოდეს არა ვყოფილვარ. განა სადმე ქალაქის ახლოს არ შეეძლოთ ედიდებინათ ქრისტე?

რაკი გრძნობდა, ლაპარაკმა შეიძლება სიმხნევე მომიმატოსო, დაურთო:

– ისე გროვდებიან, თითქოს ავაზაკები იყვნენ, კაცისკვლის ნება კი არა აქვთ, თუ იმ ლიგიელმა უსინდისოდ არ მომატყუა.

იმის მიუხედავად, რომ ვინიციუსი სულ ლიგიაზე ფიქრობდა, ისიც გაკვირვებული იყო იმ სიფრთხილითა და იდუმალებით, რითაც ქრისტიანები თავისი უმაღლესი ქურუმის მოსასმენად იკრიბებოდნენ, და თქვა:

– ამ სარწმუნოებას, როგორც ყველა სხვას, ჩვენში მრავალი თაყვანისმცემელი ჰყავს; თვითონ ქრისტიანობა ებრაული სექტაა, მაშ აქ რაღად იკრიბებიან, როდესაც ტიბრს გაღმა ებრაელთა ტაძრებია, სადაც მსხვერპლის შეწირვას დღისით აღასრულებენ ხოლმე.

– არა, ბატონო, სწორედ ებრაელები არიან ქრისტიანების მძვინვარე მტრები. მე მიამბეს, რომ ახლანდელი იმპერატორის მეფობაში საქმე ლამის აშკარა ბრძოლამდე არ მისულა. კეისარ კლავდიუსს ისე მოაბეზრა თავი დავიდარაბამ, რომ ყველა ებრაელი განდევნა, თუმცა ახლა ის ედიქტი გაუქმებულია. ქრისტიანები მაინც ემალებიან ებრაელებს და სხვებსაც, ვინც, როგორც იცი, სიძულვილითა და ეჭვის თვალით უცქერის მათ.

რამდენი ხანი ჩუმად იარეს. რაც უფრო შორდებოდნენ ქალაქის კარს, მეტი შიში იპყრობდა ხილონს.

– ევრიციუსისგან რომ დავბრუნდი, პარიკი ვიყიდე და ცხვირის ნესტოებში ორი ცერცვი შევიდე. არა მგონია, მიცნონ და თუნდაც მიცნონ კიდეც, არ მომკლავენ, ბოროტი ხალხი არ არის, პირიქით, კეთილი ხალხია, მიყვარან და პატივს ვცემ.

– ჯერ ადრეა მაგათი გულის მოსყიდვა, - უპასუხა ვინიციუსმა.

ახლა ისინი ერთ ვიწრო, აქეთ-იქით ყორეებით მოზღუდულ ხევში შევიდნენ. ამ ყორეებზე ხიდი იყო გადებული. ამ დროს მთვარემ მთლად თავი დაიხსნა ღრუბლებიდან და ვინიციუსმა ხევის ბოლოს კედელი დაინახა, ფათალოთი დაფარული, მთვარის სინათლისგან შევერცხლილი. ეს ოსტრანიუმი იყო.

ახალგაზრდა პატრიცის გულმა უფრო ხშირად დაუწყო ცემა. კართან ორი მიწის მთხრელი შესასვლელ ნიშნებს ართმევდა მოსულებს. ვინიციუსი და მისი თანამგზავრნი ყოველ მხრივ კედლებით შემოზღუდულ ფართო ადგილას გაჩნდნენ. აქა-იქ ძეგლები მოჩანდა, ხოლო შუაგულში სასაფლაო იყო. ამ სასაფლაოს ქვედა განყოფილება ანუ კრიპტა მიწისქვეშ იყო და

საფლავებიც იქ იყო მოთავსებული. შესავლის წინ შადრევანი ჩხრიალებდა. აშკარა იყო, ის დიდძალი ხალხი მიწისქვეშა აკლდამაში ვერ მოთავსდებოდა, ვინიციუსმა იფიქრა, ქრისტიანები გარეთ ეზოში შეიკრიბებიანო, მართლა დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. მოციმციმე ჩირაღდნები ერთი მეორის გვერდზე ჩამწკრივდნენ, ბევრი უჩრაღდნოდ მოვიდა. თავმოხდილები ცოტანი იყვნენ, მეტ წილს, ღალატის შიშით თუ ღამის სიცივის

მიზეზით, სახე არ გამოუჩენია. ვინიციუსმა გაიფიქრა, ვაითუ ქრისტიანები ბოლომდე სახედაფარულნი დარჩნენო, მაშინ ხომ იმოდენა ხალხში და ისიც მკრთალ სინათლეზე ლიგიას ვერ იცნობდა.

მაგრამ უცებ კრიპტის გვერდზე რამდენიმე გაფისულ ჩირაღდანს მოუკიდეს და იქაურობა განათდა. ბრბომ რაღაც უცნაური ჰიმნის გალობა დაიწყო, ჯერ ხმადაბლა, შემდეგ კი უფრო ხმაამაღლებით. ვინიციუსს ასეთი გალობა თავის დღეში არ მოესმინა. ამ გალობაში ისეთივე ნაღველი იგრძნობოდა, როგორიც სასაფლაოსკენ მომავალმა ცალკე პირთაგან მოისმინა. მაგრამ ახლა ნაღველი უფრო ძლიერი იყო, ხოლო ბოლოს ისეთი ყოვლისმომცველი და ძალოვანი შეიქნა, რომ თითქოს ხალხთან ერთად სასაფლაოც, ბორცვებიცა და ხევებიც მოიცვა. თავაწეული ქრისტიანები თითქოს მაღლა ცის ბინადარს შესცქეროდნენ და ხელაპყრობილნი შემწეობას ევედრებოდნენ. გალობას რომ მორჩნენ, მოლოდინის წამი დადგა, ისეთი გულისმომწყვლელი, რომ ვინიციუსმა და იმისმა თანამგზავრებმა თვალები უნებლიეთ ვარსკვლავებს მიაპყრეს, თითქოს მოელიან, რაღაც არაჩვეულებრივი უნდა მოხდეს, ვიღაც

მართლაც უნდა ჩამოვიდეს დედამიწაზეო. ვინიციუსს მცირე აზიაში, ეგვიპტესა და თვითონ რომშიაც მრავალი ტაძარი ჰქონდა ნანახი, მრავალ სარწმუნოებას იცნობდა, მრავალი გალობაც ჰქონდა მოსმენილი. მაგრამ აქ პირველად ნახა ხალხი, ღმერთს რომ რაიმე დადგენილი წესის შესასრულებლად კი არ უგალობდა, არამედ ნამეტნავისაგან გულისა შეღაღადებდნენ ისეთი ღრმა ნაღველით განსჭვალულნი, თითქოს შვილნი მიმართავენო დედ-მამას. მხოლოდ ბრმა ვერ დაინახავდა, რომ ეს ხალხი არათუ მარტო თაყვანს სცემს თავის ღმერთს, არამედ უყვარს კიდეც იგი, სრული გულით უყვარს. ეს კი ვინიციუსს არც ერთ ქვეყანაში არ ენახა, არც ერთ ადათ-წესში, არც ერთ ტაძარში, რომსა და საბერძნეთში ღმერთების თაყვანისმცემელი ხალხი ამას შიშით ან შემწეობის მოლოდინით სჩადიოდა. სიყვარული მათი ფიქრადაც არ მოსდიოდა.

თუმცა ვინიციუსი მხოლოდ ლიგიაზე ფიქრობდა და მთელი ყურადღება იქითკენ ჰქონდა მიმართული, რომ ბრბოში ლიგია ეპოვა, მაინც არ შეეძლო არ შეენიშნა ის უცნაური და უჩვეულო რამ, რაც მის გარეშე ხდებოდა.

კოცონს რამდენიმე ჩირაღდანი მიუმატეს და მათმა ალმა ფარნების სინათლე დაჩრდილა... ახლა კრიპტადან კაპიშონიანი მოხუცი გამოვიდა და კოცონს გვერდით მდებარე ქვაზე ავიდა.

ხალხი მღელვარებამ მოიცვა. ვინიციუსს ჩაესმა: „პეტრე!“ „პეტრე!“ ზოგი მუხლებზე დაეცა, ზოგმა მისკენ ხელები გაიწოდა. ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ დაშორებული ნუმენტანის გზიდან ურმების თვლების ჭრაჭუნი და ფიჭვის ტოტებში მოსეირნე ქარის ხმა მოისმა.

ხილონი მოუახლოვდა ვინიციუსს და წასჩურჩულა.

– ეს არის ქრისტეს პირველი მოწაფე - მებადური!

მოხუცმა ხელი მაღლა აიღო და შეკრებილთ ჯვარი გადასწერა. იმწამსვე ყველა მუხლზე დაეცა. ვინიციუსის თანამგზავრებმა და თვითონაც, აქაოდა ყურადღება არ მოგვაქციონო, დანარჩენთ მიბაძეს. ყმაწვილმა კაცმა ვერ მოასწრო გარკვეულიყო. ასე მოეჩვენა, ადამიანი, რომელსაც ახლა ვერ ვხედავ, ერთსა და იმავე დროს უბრალოც არის და უჩვეულოც და ეს უჩვეულობა მისი უბრალოებისგან წარმოდგებაო. მოხუცს არც მიტრა ეხურა, არც მუხის გვირგვინი ედგა თავზე, არც ბზა ეჭირა ხელში, არც ოქროს ფირფიტა ჰქონდა მკერდზე, არც თეთირი ან ვარსკვლავებმოფენილი ტანისამოსი ეცვა. ერთი სიტყვით, არავითარი გარეგანი ნიშანი არა ჰქონდა, რითაც აღმსოსავლეთის, ეგვიპტის და საბერძნეთის ქურუმები თუ რომაელთა ფლამინები განირჩევიან და ვინიციუსი ისევ გაოცდა, როგორც ქრისტიანების გალობის მოსმენის დროს: ეს მებადური უმაღლეს ქურუმად, ადათწესების ღრმა მცოდნენ კი არ ეჩვენა, არამედ უბრალოდ მოხუცად, შორით მოსულ კეთილსინდისიერ მოწმედ, რომლის მიზანია, ხალხს რაღაც დიდი ჭეშმარიტება ამცნოს. ეს ჭეშმარიტება მას უნახავს, შეხებია, ურწმუნებია, ვითა სინამდვილე და შეუყვარებია სწორედ იმიტომ, რომ ურწმუნია. სახეზე ისეთი ძლიერი ნათელი ადგა, როგორიც მხოლოდ მართალთ აქვთ. ვინიციუსი ურწმუნო და სკეპტიკოსი იყო და არ უნდოდა, მოხუცის

მომხიბლავ ძალას დამორჩილებოდა. მაინც რაღაც გამაღიზიანებელი ცნობისმოყვარეობა აღეძრა: მოუთმენლად დაუწყო ლოდინი, რას იტყვისო საიდუმლოებრივი ქრისტეს მოწაფის ბაგე, მაინც რა რჯულია ის, ლიგია და პომპონია გრეცინა რომ აღიარებენო.

ამასობაში პეტრემ ლაპარაკი დაიწყო. ჯერ, როგორც მამა შვილებს, ისე არიგებდა, ასწავლიდა მრევლს, როგორ უნდა ეცხოვრათ. ურჩევდა, გადამეტებული ფუფუნება უარეყოთ, მართალი ჰყვარებოდათ, უსამართლობა და დევნა მოთმინებით აეტანათ, უფროსებისა და ხელისუფლებათა გაგონება ჰქონოდათ, ღალატს, აგრეთვე მოტყუებასა და გაკიცხვას მორიდებოდნენ და კეთილი მაგალითი ეჩვენებინათ არათუ ერთმანეთისთვის, არამედ წარმართთათვისაც. ვინიციუსს, რომლისთვისაც კარგი მარტო ის იყო, რაც ლიგიას დაუბრუნებდა, ხოლო ცუდი- ყველა ის, რაც წინ გადაეღობებოდა, ამ რჩევამ გული მოუწყლა და გააბრაზა. მოეჩვენა, რომ ბერიკაცი, რაკი უმანკოების დაცვასა და ვნებათა წინააღმდეგ ბრძოლას ქადაგებს, ამით არათუ მისი სიყვარულის ზრახვას ბედავს, არამედ ლიგიასაც ვინიციუსის წინააღმდეგ ამხედრებს და ქალის სიკერპეს აქეზებს. ვაჟმა იგრძნო, თუ ლიგია ამ შეკრებილ ხალხშია, პეტრეს სიტყვებს ისმენს და გულთან ახლო მიაქვს, მაშინ მას ვინიციუსი ქრისტეს რჯულის მტრად და ბოროტად უნდა მიაჩნდეს. „ახალი რა გავიგონე? - თავის თავს ეკითხებოდა ვინიციუსი, - აი თურმე ეს უცნობი რჯული რა ყოფილა! ეს ხოლმ ყველას გაუგონია და ყველამ იცის. სიგლახაკესა და ამქვეყნიურ სიამეთა არად ჩაგდებას ხო ცინიკოსებიც ქადაგებენ; სათნოებას ჯერ კიდევ სოკრატე

ადიდებდა; თვითონ პირველი სტოიკოსი სენეკაც, ხუთასი მაგიდა რომ აქვს ნარინჯის ხისა, თავშეკავების ქებას ამბობს, მართალის სიყვარულს, მოთმინებას და ჭირში გამაგრებას გვასწავლის... ყველა ეს ხომ დაობებული პურია, თაგვების საჭმელად გამოსადეგი. ადამიანს არ სურს, დაობებული, სიძველისაგან აშმორებული პური ჭამოს“. რისხვასთან ერთად იმედის გაცრუებაც იგრძნო. იგი რაღაც უცნობ საიდუმლოებათა აღმოჩენას ელოდა, ეგონა, მჭევრმეტყველებით მსმენელთა განმაცვიფრებელ რიტორს მაინც მოისმენდა. აქ კი მის ყურს რაღაც უბრალო, უსამკაულო სიტყვები ჩაესმოდა. იმას მხოლოდ ხალხის სიჩუმე და ყურადღება აკვირვებდა, მოხუცი სმენად გადაქცეულ ხალხს ეუბნებოდა, ყოფილიყვნენ კეთლნი, მშვიდნი, მართალნი, ღარიბნი და უბიწონი, იმიტომ კი არა, რომ სიცოცხლეში დამშვიდებული ცხოვრება ჰქონოდათ, არამედ იმიტომ, რომ სიკვდილს შემდეგ საუკუნოდ ქრისტეს მიერ ცხოვრებას ზიარებოდნენ - ისეთ მხიარულს, დიდებულსა და სიხარულით აღსავსეს, როგორსაც დედამიწაზე არავინ ღირსე-

ბია. მართალია, ვინიციუსს გულზე არ ხვდებოდა მოციქულის ნალაპარაკევი, არ შეეძლო არ შეენიშნა, რომ მაინც განსხვავება იყო ამ მოხუცის რჯულსა და იმას შორის, რასაც ამბოდნენ ცინიკოსები, სტოიკოსნი და სხვა ფილოსოფოსნი: ისინი ქადაგებდნენ კეთილსა და სათნოებას, როგორც ამქვეყნად ყველაზე უფრო გონივრულსა და მშვენიერს. ეს კი ხალხს სამაგიეროდ უკვდავებას ჰპირდებოდა, არა რაღაც საბრალო, სევდიან უკვდავებას მიწისქვეშეთში, არამედ მშვენიერ, ღმერთების სიცოცხლის შენაწონებ უკვდავებას, ამასთან იგი ამ უკვდავებაზე ისე ლაპარაკობდა, როგორც ნამდვილ ჭეშმარიტ საგანზე. შემდეგ პეტრემ თქვა. სიკეთე და მართალი

თვითონ სიკეთისა და მართალის გულისთვის უნდა უყვარდეს ადამიანსო, იმიტომ, რომ ღმერთი უზენაესი, დაუსაბამო სიკეთე და დაუსაბამო სიმართლეა და ვისაც სიკეთე და სიმართლე უყვარს, იმას ღმერთი უყვარს და ღმერთიც, ვითა საყვარელ შვილს, ისე შეიყვარებს მასო. ვინიციუსმა ეს კი კარგად ვერ გაიგო, მაგრამ ოდესღაც ხომ პომპონია გრეცინამ უთხრა პეტრონიუსს, მე ერთი ყოვლისშემძლებელი და ყოვლადმოწყალე ღმერთი მწამსო. ახლა ვინიციუსმა ისიც მოისმინა, ღმერთი უზენაესი სიკეთე და სიმართლეაო, და გაიფიქრა, რომ ასეთ დემიურგთან იუპიტერი, სატურნი, აპოლონი, იუნონა, ვესტა და ვენერა ვერ მოვლენ. ისინი ხომ დამთხვეულ ბრბოს წარმოადგენდნენ, ერთად და თვითეული ცალ-ცალკე უხამსობას სჩადის. მაგრამ ყმაწვილი კაცი ყველაზე მეტად იმან გააკვირვა, რომ მოხუცი მოძღვარი ასწავლიდა შეკრებილთ, ღმერთი უზენაესი სიყვარულია და ვისაც ხალხი უყვარს, ის ღვთის უმთავრეს მცნებას ასრულებსო. მაგრამ საკმაო როდია ადამიანს თავისი ხალხი უყვარდეს, რადგან ღმერთკაცმა სისხლი ყველასთვის დაანთხია და წარმართებშიაც მოიპოვა რჩეულნი, როგორც, მაგალითად, ასისთავი კორნელი; არც ის არის საკმაო, მარტო ისინი გვიყვარდეს, ვინც სიკეთე მოგაგო. ქრისტემ ხომ ებრაელთაც მიუტევა, რომელთაც სიკვდილი მიუსაჯეს, რომის ჯარისკაცებსაც, რომელთაც ჯვარზე მილურსმნეს, მაშ იმ ხალხსაც, ვინც უსამართლოდ გვექცევა, არათუ უნდა მივუტევოთ, არამედ უნდა გვიყვარდეს კიდეც და ბოროტის წილ სიკეთე მივაგოთ; საკმარისი არ არის კეთილთა სიყვარული, ბოროტებიც უნდა გვიყვარდეს, მიტომ რომ მარტო სიყვარულით შეიძლება ბოროტი განვდევნოთ... ამ სიტყვების გამგონე ხილონმა გაიფიქრა, ამაოდ დავშვერი, ურსუსი არაფრის

გულისთვის არ იკისრებს გლავკოსის მოკვლას, არც ამაღამ და არც სხვა დროსო. სამაგიეროდ, მოხუცის სხვა ქადაგებიდან გამომდინარე დასკვნით ინუგეშა თავი: აშკარაა, არც გლავკოსი მოკლავს მას, თუნდაც კიდეც იცნოს. ვინიციუსი კი აღარ ფიქრობდა, მოხუცის სიტყვებში ახალი არაფერიაო, მაგრამ გაკვირვებული თავის თავს ეკითხებოდა: ეს რა ღმერთია? ეს რა რჯულია? ეს რა ხალხია? ვერ გარკვეულიყო. გრძნობდა, თუ ვინიცობაა მომინდეს, ამ რჯულის მიმდევარი გავხდე, მაშინ ყველა შეხედულება, ხასიათი, აქამდე შეთვისებული ზნე-ჩვეულებანი კოცონზე უნდა დავწვა, ფერფლად ვაქციო, ახალ ცხოვრებას დავადგე, ახალი სული ჩავიდგაო. რჯული, რომელიც უბრძანებდა მას პართელნი, სირიელნი, ბერძენნი, ეგვიპტელნი, გალები და ბრიტანელნი ყვარებოდა, მტრისათვის ეპატიებინა, ბოროტების წილ კეთილი მიეგო, უგუნურად ეჩვენა, მაგრამ იმასაც გრძნობდა, რომ ამ უგუნურებაში რაღაც უფრო დიადი ძლიერება იფარებოდა, ვიდრე ყველა უწინდელ ფილოსოფიურ მოძღვრებაში იყო; იგი ფიქრობდა, ეს რჯული იმდენად უგუნურია, რომ მისი განხორციელება არ შეიძლებაო, ხოლო რაკი განხორციელება არ შეიძლება, მაშ ღვთაებრივიაო. გონებით უარყოფდა მას, მაგრამ გრძნობდა, რომ ამ რჯულისაგან, ვით ნარდით მოფენილი ველიდან რაღაც დამათრობელი სურნელი ეფინებოდა მიდამოს, რაიც ერთხელ თუ შეისუნთქა ადამიანმა, ყველა სხვა უნდა დაივიწყოს და მხოლოდ მასზე იდარდიანოს. ხედავდა, რომ ამ სარწმუნოებას სინამდვილესთან საერთო არა ჰქონდა რა და, თანაც ამ რჯულის გვერდით სინამდვილე ისეთი არარაობა ჩანდა, რომ იმაზე ფიქრიც კი არა ღირდა. ეს სასაფლაო გიჟების თავყრილობის შთაბეჭდილებას ახდენდა, თანაც იმ

საიდუმლო და საშიშარ ადგილად ესახებოდა, სადაც თითქოს რაღაც მისტიკურ სარეცელზე აქამდე არნახული და არგაგონილი რამ იბადებოდა. ყველა გაიხსენა, რაც მოხუცმა ქადაგების დასაწყისიდან ილაპარაკაა, რაც თქვა ცხოვრებაზე, სიმართლეზე, სიყვარულზე, ღმერთებზე და თითქოს ვინიციუსს ელვამ მოსჭრა თვალი. როგორც ყველა ადამიანი, ვისაც კი სიცოცხლე მარტო ერთი ვნებისთვის შეუწირავს, ისიც ყველაფერს ლიგიას სიყვარულის კვალობაზე უცქეროდა. და ახლა ცხადად შეიგნო: თუ ლიგია სასაფლაოზე იყო, თუ იგი ამ სარწმუნოების მიმდევარია, თუ მოხუცის სიტყვებს ისმენს და გულთან მიაქვს - ხასად არაოდეს არ დაუჯდება მას.

და მას აქეთ, რაც ავლუსის სახლში გაიცნო ლიგია, ვინიციუსმა ახლა პირველად იგრძნო, რომ თუნდაც იპოვოს ქალი, მაინც მისთვის სამუდამოდ დაკარგულია. აქამდე ასეთი რამ ფიქრადაც არ მოუვიდოდა, ახლაც კი მთლად ყველაფერი ცხადი არ იყო. ბუნდოვნად მოელოდა რაღაც აუნაზღაურებელ დანაკარგს, რაღაც უბედურებას. მწუხარება შემოადგა და ეს მწუხარება მალე ყველა ქრისტიანისა და მოხუცის წინააღმდეგ მიმართულ რისხვად გადაექცა. მებადური, პირველად რომ უბრალო კაცად ეჩვენა, ახლა ლამის გულში შიშს უჩენდა, რაღაც საიდუმლოებრივი ბედის განხორციელებად ეჩვენებოდა.

დარაჯმა ცეცხლს ხელახლა რამდენიმე ჩირაღდანი შეუკეთა. ქარი ჩადგა, ალი ზევით, მოწმენდილ ცაზე მოკაშკაშე ვარსკვლავებისკენ აისვეტა. მოხუცმაც ქრისტეს სიკვდილი გაიხსენა

და ახლა მაცხოვრის წამებაზე გადაიტანა სიტყვა. ყველას სუნთქვა შეეკრა, სიჩუმემ მეტი ძალი მოიცა, გულთა ძგერის ხმა ისმოდა. ამ კაცს ქრისტეს ჯვარცმა ნანახი ჰქონდა. თვითმხილველის ხსოვნაში ყველაფერი ცხადად ჩაბეჭდილიყო, ახლა ისე ლაპარაკობდა თითქოს წარსული ხელახლა გაცოცხლდა. თქვა, გოლგოთიდან რომ დავბრუნდით, მე და იოანე მწუხარების გამო ორი დღე უეჭმელ-უსმელნი ვისხედითო. თავი ხელებში ჩავრგეო და გულმწუხარენი სულ იმას ვფიქრობდით, რომ იგი მოკვდა ! „ვაჰ, რა სამძიმო იყო ის მწარე ყოფა ! მესამე დღე გათენდა, კედლებს სინათლე მოეფინა, ჩვენ კი კვლავ უმწეონი და უიმედონი ვისხედით. ხანდახან ძილი თვალს მოგვტაცებდა (მიტომ რომ ტანჯვის წინა ღამესაც არ გვძინებია), უმალვე გამოგვეღვიძებოდა და მწუხარება ხელახლა მოგვეძალებოდა. მაგრამ მზე ამოვიდა თუ არა, მოქანცული, თმაგაწეწილი მარიამ მაგდალინელი მოვარდა და წაგვიყვარა : უფალი მოუპარავთო ! ეს რომ გავიგონეთ, ზე წამოვხტით და გავიქეცით. იოანე უფრო ახალგაზრდა იყო და პირველმა მიირბინა, საფლავი ცარიელი დახვდა, როცა სამივენი შევიყარეთ, მე საფლავთან მივედი. ქვაზე დაგდებული სუდარა დავინახე, გვამი კი გამქრალიყო.

მაშინ ყველანი შიშმა მოგვიცვა, რადგან გვეგონა, ქრისტე მღვდელმთავრებს მოუპარავთო. კიდევ უფრო დარწმუნებული დავბრუნდით შინ. მერე სხვა მოწაფენიც მოვიდნენ და ტირილი მორთეს რომ მეუფეს უკეთ გაეგონა მათი ხმა, ხან ყველა ერთად, ხან რიგ-რიგად ტიროდნენ. გულში

ეჭვი შეეპარათ. იმედი ჰქონდათ, მოძღვარი ისრაელს დაიხსნიდა, მისი სიკვდილის შემდეგ უკვე მესამე

დღე იყო და არ იცოდნენ, მამამ ძე თავისი რად დატოვა, ისე სამძიმო იყო ეს წამი, სიკვდილს ნატრობდნენ“.

ამ საზარელი ჟამის გახსენებაზე მოხუცს თვალებში ცრემლი ჩაუდგა. მელოტი თავი აუკანკალდა და ხმაც მკერდში ჩაეკარგა. ვინიციუსმა უნებლიეთ გაიფიქრა, – ეს კაცი მართალს ამბობს და მიტომ ტირისო. გულუბრყვილო ბრბო მთლად მწუხარებით იყო მოცული. განა ერთხელ და ორჯერ მოესმინათ ქრისტეს ვნებანი, მათ იცოდნენ, რომ მწუხარება შემდეგ სიხარულად გადაიქცეოდა, მაგარამ ახლა მოციქული უამბობდა თავის თვალით ნანახს და ისეთი ძლიერი იყო შთაბეჭდილება, მსმენელნი ხელებს ირტყამდნენ, გოდებდნენ და მკერდში მუშტებს იცემდნენ, მაგრამ თანდათან ხალხი დამშვიდდა, სურდა, ამბის გაგრძობა მოესმინა. მოხუცმა თვალები დახუჭა, თითქოს იმიტომ, წარსული ამბები უფრო ცხადად გახსენებოდა და განაგრძო:

„როცა ჩვენ იესოს დავტიროდით, მარიამ მაგდალინელი ხელახლა შემოვარდა და დაგვიყვირა: უფალი ვნახეო. თვალი ელვარებას მოეჭრა მისთვის, ასე რომ, მებაღე ჰგონებოდა, მაგრამ იმას დაეძახნა: „მარიამ!“ მარიამს მაშინ ეყვირა: „რაბი!“ და ფეხებში ჩავარდნოდა. ხოლო იმას ებრძანებინა, მოწაფეებთან წადიო და მასუკან გამქრალიყო. მაგრამ მოწაფეებს მარიამის სიტყვა არა სჯეროდათ და სიხარულით რომ ტირილი დაიწყო, გაკიცხეს, რაკი იმასაც ამბობდა, საფლავში ანგელოზი ვნახეო, მწუხარებისგან გონებაარეული ეგონათ. მოწაფენი მეორედ რომ

მოვიდნენ, საფლავი ისევ ცარიელი დახვედროდათ. საღამოზე სხვებთან ერთად ემაუსს წარსული კლეოფასი საჩქაროდ დაბრუნდა და თქვა : „ჭეშმარიტად აღსდგა უფალი !“ მაშინ მათ იუდეველთა შიშით კარები ჩაიკეტეს. ამ დროს უფალი მათ შორის წარმოდგა, თუმცა კარს არც კი დაუჭრიალია, და მოწაფენი რომ შეშინდნენ, უთხრა მათ: „მშვიდობა თქვენდა!“

მეც ვნახე იგი, ვითარცა სხვებმა, ხოლო იგი იყო ვითა ნათელი, ვითა ჩვენთა გულთა ნეტარება, ვინაიდან ვირწმუნეთ, რომ იგი მკვდრეთით აღსდგა და რომ ზღვები დაშრებიან, მთები მტვრად იქცევიან, მისი დიდება კი არ მოისპობა.

რვა დღის შემდეგ თომა დიდიმი მის იარებს შეეხო, ფეხებში ჩაუვარდა და შესძახა: „უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი?!“ იესომ უპასუხა: „ შენ მიწამე, იმიტომ რომ თვალით მიხილე. ნეტარ არიან, ვინც მე უხილავად მიწამეს !...“ ეს სიტყვები ყურით მოვისმინეთ, ხოლო თვალნი ჩვენნი უმზერდნენ, ვინაიდან იგი იყო ჩვენ შორის.

ვინიციუსი უსმენდა და რაღაც უცნაური ემართებოდა. წუთით დაავიწყდა კიდეც, სად იმყოფებოდა, სინამდვილის წარმოდგენის უნარი დაეკარგა. მოხუცის ნათქვამის დაჯერება არ შეეძლო, მაგრამ იმასაც გრძნობდა, ბრმა უნდა იყოს ადამიანი და საკუთარ გონებას არ შეეპუოს, რომ იფიქროს, ეს კაცი ტყუისო. რაღაც განსაკუთრებული იყო ბერიკაცის მღელვარებაში, მის ცრემლებში, მთელ მის

გარეგნობასა და ნაამბობში: ყველა ეს ეჭვის მიტანა შეუძლებლად ხდიდა. ვინიციუსს ხანდახან ეჩვენებოდა, რომ სძინავს, გარემო მიყუჩებულ ბრბოს ხედავს, ფარნების ბოლს გრძნობს, მოშორებით ჩირაღდნები ანთია, ხოლო გვერდით ქვაზე მოხუცებული კაცია, ერთი ფეხი რომ სამარეში უდგას, და იმ მოხუცმა რამდენჯერმე თქვა : „მე ვნახე“.

მოხუცმა ყველაფერი უამბო დამსწრეებს, თვით ამაღლებაც კი. ხანდახან შეისვენებდა, რადგან ყველაფერს დაწვრილებით ამბობდა, მაგრამ ეტყობოდა, ყველა, თვით მცირედი შემთხვევაც კი, მეხსიერებაში ჰქონდა ჩაბეჭდილი. ქრისტიანები ხარბად უსმენდნენ. თავიდან კაპიშონები გადაიგდეს, რომ უკეთესად მოესმინათ, მისი ერთ სიტყვაც არ გამოჰპარვოდათ, თიქოს რაღაც არაადამიანურ ძალას გადაჰყავდა ისინი გალილეაში, მოწაფეებთან ერთად იქაურ ტყეებში და მდინარეთა ნაპირებზე დადიოდნენ. ეს სასაფლაო ტიბერიადის ტბად გადაიქცა, ხოლო დილის ჯანღმოდებულ მის ნაპირზე ქრისტე დგას ისე, როგორც მაშინ იდგა, როდესაც იოანემ დაინახა და ნავიდან დაიძახა: „უფალი!“ ხოლო პეტრემ საჩქაროდ შეცურა, რომ ფეხებში ჩავარდნოდა. ქრისტიანების სახეზე უზომო აღტაცება იხატებოდა, ამსოფლიური ცხოვრებისგან განშორება, ბედნეირება და უზომო სიყვარული. პეტრეს ქადაგებისას, როდესაც ის უამბობდა, ამაღლების წამს ღრუბლები ჩამოწვნენ, მაცხოვრის ფეხქვეშ მოეფინენ, მთლად მოეფარნენ მას და მოციქულთაგან დაფარესო, ყველამ თვალი უნებლიეთ ცისკენ აღმართა. მოლოდინის წამი დადგა, თითქოს ამ ხალხს იმედი მიეცა, ჩვენც დავინახავთო,

როგორ ჩამოეშვება ზეციდან მაცხოვარი, როგორ შეხედავს მოხუც მოციქულს და როგორ დალოცავს მასაც და სამწყსოსაც.

ამ დროს ქრისტიანთათვის აღარც რომი არსებობდა, არც უგუნური კეისარი, არც ტაძრები, არც ღმერთები, არც წარმართნი - იყო მხოლოდ ქრისტე, რომელმაც დედამიწა, ზღვა, ზეცა - მთელი მსოფლიო აღავსო თვისით.

მოშორებით მდგარ კარ-მიდამოებში ნუმეტანის გზაზე მამლებმა რა ხანია იყივლეს საშუაღამეო. ამ დროს ხილონი ვინიციუსის მოსასხამის კალთას შეეხო და წასჩურჩულა:

– ბატონო, აგერ მოხუცის ახლოს ურბანუსს ვხედავ და მის გვერდით ვიღაც ქალი დგას.

ვინიციუსი გონს მოვიდა, თითქოს გამოეღვიძაო. იქითკენ გაიხედა, საითაც ბერძენმა მიუთითა და ლიგია დაინახა.

თავი ოცდამეერთე

ლიგიას დანახვაზე ახალგაზრდა პატრიცის სისხლი მთლად აუდუღდა. ხალხიც დაავიწყდა, მოხუციც, ახლა რომ უცნაური ამბები მოისმინა - ისიც. იმასღა ხედავდა, ძლივს არ იპოვა იმდენი უბედურების შემდეგ. იმდენი მწუხარე დღეებისა და მქენჯნავი სიმძიმილის შემდეგ ! თავის სიცოცხლეში პირველად განიცადა, რომ სიხარულს შეუძლია ველური მხეცივით მკერდში გეცეს, მიგჭყლიტოს, სუნთქვა შეგიხუთოს. აქამდე ვინიციუსი ფიქრობდა, ფორტუნამ ყველა სურვილი უნდა ამისრულოსო და ახლა თვალს ძლივს უჯეროდა და თავისი ბედნიერება ძლივსღა სწამდა. ეს დაუჯერებლობა რომ არა ყოფილიყო, მისი ფიცხი ბუნების პატრონს შეეძლო რაიმე უგუნური ნაბიჯი გადაედგა, მაგრამ სურდა, ჯერ დარწმუნებულიყო, ესეც ხომ იმ სასწაულების გაგრძელება არაა, რომლითაც მთლად ავსილვარო. მაგრამ არავითარი ეჭვი არ იყო : ლიგიას ხედავდა და ერთმანეთისგან მხოლოდ რამდენიმე ნაბიჯით იყვნენ დაშორებულებულნი. ლიგია სრულიად განათებულ ადგილას იდგა და ვინიციუსსაც შეეძლო მისი ცქერით გამძღარიყო.

ლიგიას კაპიშონი თავიდან ჩამოვარდნოდა და თმა აწეწოდა, ტუჩები ოდნავ გაპობოდა. თვალები მოციქულისკენ მიეპყრო, სახეს აღტაცება ეფინა, მუქი მაუდის მოსასხამი წამოესხა და მდაბიო ქალს ჰგავდა, მაგრამ ვი-

ნიციუსს იგი ისეთი მშვენიერი არასოდეს არ ჩვენებია, როგორიც ახლა ეჩ-ვენა. თუმცა ძალზე აღელვებული იყო, მაინც განაცვიფრა იმ განასხვავებამ, რაიც იყო მის

მშვენიერ კეთილშობილურ გარეგნობასა და თითქმის მონის ტანისა-მოსს შორის. სიყვარული ალივით მოედო ვინიციუსს. ეს იყო მწველი, დაუძ-ლეველი ალი, რაღაც გამოურკვევი კაეშნის გრძნობით, გაღმერთებით, პა-ტივისცემითა და ვნებით შეზავებული. ლიგიელის გვერდით მდგარი უფრო დაბალი ჩანდა, ვინემ სინამდვილეში იყო. ვინიციუსმა ისიც შენიშნა, გამხდა-რაო. ლიგიას სახეს თითქმის გამჭირვალობა მისცემოდა. ვაჟზე ყვავილის შთაბეჭდილებას ახდენდა, ხორცშესხმულ მოჩვენებად დაესხა და მით უმე-ტეს სწყუროდა, დაპატრონებოდა, დაპატრონებოდა ქალს, ვინაც ასე გან-სხვავდებოდა რომსა და აღმოსავლეთში ოდესმე ნანახ ქალთაგან. გრძნობდა, რომ ლიგიას სანაცვლოდ ყველა ამ ქალს მისცემოდა და ზედ რომს და იქნებ მთელ ქვეყანასაც მიუსართებდა.

თვალი ვეღარ მოაშორა და მთლად დავიწყებას მიეცა, თუ ხილიონს წამდაუწუმ მისი მოსასხამის კალათა არ დაეწია იმის შიშით, რაიმე სისულე-ლე არ ჩაიდინოსო, უთუოდ ხიფათში ჩაცვივდებოდნენ. ამასობაში ქრის-ტიანებმა ლოცვა და გალობა დაიწყეს. გალობის შემდეგ მოციქულმა შად-რევნის წყლით იმათი მონათვლა დაიწყო, ვინც მღვდლებმა მიუყვანეს. ვი-ნიციუსს ეჩვენებოდა, ეს ღამე არასოდეს არ გათენდებაო. სურდა, დაუყოვ-ნებლივ ლიგიას გაჰყოლოდა, ან გზაზე მოეტაცნა, ან ბინიდან წამოეყვანა.

მლოცავები ძლივს აიშალნენ სასაფლაოდან. მაშინ ხილონმა წასჩურ-ჩულა:

– ბატონო, გარეთ გავიდეთ. კაპიშონები რომ არ მოვიხსენით, ხალხმა ცქერა დაგვიწყო.

ეს მართალი იყო.როდესაც მოციქულის პირველ სიტყვებზე კაპიშონი ყველამ მოიხსნა, რომ მისი ლაპარაკი უკეთ გაეგონათ, ვინიციუსმა და მისმა ამხანაგებმა დანარჩენებს არ მიბაძეს. ხილონის რჩევა საფუძვლიანი იყო. კარებთან რომ დამდგარიყვნენ, ყველა გამოსულის დანახვა შეეძლოთ, ხო-ლო ურსუსი კი, მისი ტანისა მოყვანილობის გამო, შეუძლებელი იყო, არ ეც-ნოთ.

– უკან მივყვეთ, - თქვა ხილონმა, - ვნახავთ, რომელ სახლში შევლენ. ხოლო ხვალ ან სჯობს დღესვე, ბატონო, სახლს გარშემო მონები შემოარტყა და ქალი მოიტაცო.

– არა, - უთხრა ვინიციუსმა.

– მაშ რა გინდა ქნა?

– სახლში თან შევყვებით და ახლავე მოვიტაცებ. შენ ხომ გახსოვს რა იკისრე, კროტონ?

– დიახ! - უთხრა გლადიატორმა, - მონად გამხადე, თუ ქალის მოდარაჯე კამეჩს ზურგი არ გადავუმტვრიო.

ხილონი ცდილობდა გაეფრთხილებინა, ყველა ღმერთს აფიცებდა, ეგ არ ჩაიდინოო. კროტონი საშველად იყო წამოყვანილი, თუ ვინიცობაა ისინი იცნონ, და არა ქალის მოსატაცებლად. ორნი როგორ აპირებენ მოტაცებას, ამით ხომ სიცოცხლეს საფრთხეში აგდებენ; ამას გარდაც ლიგია ხელიდან წაუვათ, მაშინ ის სხვაგან დაიმალება ან რომიდან სულაც წავა სადმე. საიმედოდ მოქმედება არა სჯობს, თავისა და მთლი საქმის გაწირვას? ვინიციუსი, თუმცა თავი ძლივს შეიკავა, რომ აქვე, სასაფლაოზე არ მოხვეოდა ლიგიას, მაინც გრძნობდა, ბერძენი მართალს მეუბნებაო და იქნება კიდეც დაჰყოლოდა მის რჩევას, მაგრამ კროტონი თან ჰყავდა და ჯილდოს მიღებას ჩქარობდა.

– ბატონო, უბრძანე ამ ბებერ მასხარას, გაჩუმდეს, - უთხრა გლადიატორმა, - ან ნება მომეცი, ერთი მუშტი ჩავაფარო. ერთხელ ბუქსენტუმში, სადაც უციუს სატურნინმა ვარჯიშობაზე დამიბარა, შვიდი მთვრალი გლადიატორი დამესხა თავს. არც ერთი მათგანი ცოცხალი არ დამირჩა. მე როდი ვამბობ, ქალი ახლავე ამ ბრბოს მოვტაცოთ-მეთქი. ქვების სროლას დაგვიწყებენ. მაგრამ, როცა შინ მივა, მაშინ მოვიტაცებ და სადაც მიბრძანებ, იქ მოგიყვან.

ამ სიტყვებმა ვინიციუსი გაახარა და კროტონს მიუგო:

– სწორედ ეგრე ვქნათ, ვფიცავ ჰერკულესს! ხვალ შეიძლება შინაც არ დაგვიხვდეს და თუ ქრისტიანებში ჩოჩქოლი ატყდა, ისინი, უეჭველია, სხვაგან დამალავენ.

– ის ლიგიელი, მგონია, დიდი ღონის პატრონია, - თქვა ხილონმა.

– შენ როდი გიბრძანებენ, ლიგიელს ხელი დაუჭირეო, - მიახალა კროტონმა.

მაინც ლოდინი დიდხანს მოუხდათ. მამლებმა გათენების ყივილი მორთეს. როდესაც ურსუსი და ლიგია კარებში გავიდნენ. იმათ რამდენიმე კაცი მისდევდა. ხილონს ეჩვენა, რომ დიდი მოციქულიც იმათში იყო, იმის გვერდით კიდევ ერთი მოხუციც, ბევრად ტანდაბალი. ორი ხნიერი მანდილოსანი და ხელფარნიანი პატარა ბიჭი. უკან ორას კაცამდე ხალხი მისდევდა, ვინიციუსი, ხილონი და კროტონი ამ ბრბოს შეუერთდნენ.

– დიახ, ბატონო, - თქვა ხილონმა, - შენი ქალწული დიდი მფარველობის ქვეშ იმყოფება. იმას თვითონ დიდი მოციქული აცილებს. უცქირე, მოციქულის წინ ხალხი როგორ იდრეკს მუხლს.

მართლაც, ხალხი იჩოქებდა, მაგრამ ვინიციუსი იმათ არ უცქერდა, ლიგიას თვალს არ აშორებდა და სულ მის მოტაცებაზე ფიქრობდა; სამხედრო ხერხიანობის მცოდნე კაცი იყო და მოტაცების გეგმას ადგენდა. გრძნობდა, გაბედულ საქმეს ეკიდებოდა, მაგრამ კარგაც იცოდა, რომ გაბედული თავდასხმა ჩვეულებრივ გამარჯვებით მთავრდებოდა.

გზა გრძელი იყო და საიმისოდაც დარჩა დრო, ეფიქრა, რა უფსკრული იყო გათხრილი ვინიციუსსა და ამ უცნაური სარწმუნოების მაღიარებელ ლიგიას შორის. ყოველივე, რაც მოხდა, ახლა გაიგო და იმასაც ჩახვდა, რატომ მოხდა ასე. აქამდის ლიგიას არ იცნობდა. მხოლოდ მეტად მშვენიერ და ვნებათა აღმძვრელ ქალად მიანდა, ახლა კი დაინახა, რომ ამ რჯულმა ისეთ არსებათ გარდაქმნა, რომელიც სხვა ქალებს არა ჰგავდა. მისი ვნებით, ფუფუნებითა და სიმდიდრით მოხიბვლის იმედი მტკნარი შეცდომა იყო. დასასრულ ისიც გაიგო, რაც არც ვინიციუსს და არც პეტრონიუსს მანამდე არ გაეგებოდათ - ახალმა სარწმუნოებამ ხალხს გულში სრულიად ახალი და გაუგებარი რამ ჩაუნერგა. ლიგიას თუნდაც ყვარებოდა ვინიციუსი, მაინც არც ერთ ქრისტიანობრივ მცნებას არ უარყოფდა. თუ ქალისათვის სიტკბოება რამ არსებობდა, ის სრულებით არა ჰგვანდა იმას, რისკენაც მიისწრაფოდნენ ისიც, პეტრონიუსიც, კეისრის სასახლეცა და მთელი რომი. აქამდე რომ ქალებს იცნობდა, ყოველი მათგანის ხასად გახდომა შეიძლებოდა, ამ ქრისტიან ქალს კი შეეძლო მხოლოდ მის მსხვერპლად შექმნილიყო. ამას რომ ფიქრობდა, რისხვა ეუფლებოდა, საზარელი რაღაც ტკივილი და თან გრძნობდა, რომ მისი რისხვა უღონო იყო. ლიგიას მოტაცება შესაძლებლად მიაჩნდა, მაგრამ მასთანვე ისიც იცოდა, რომ ქრისტეს რჯულის

წინაშე თვითონ ისიც, იმისი ვაჟკაცობაც და ძლიერებაც არარა იყო და ყოვლად უმაქნისი რამ. ეს სამხედრო ტრიბუნი დარწმუნებული იყო, რომ თუ უხეში ძალა ქვეყანას დაიპყრობს, მუდამ იუფლებს კიდეც. ახლა თავის სიცოცხლეში პირველად დარწმუნდა, რომ ამ ძალის გარდა შეიძლება სხვა რაიმე ძალაც იყოს. გაკვირვებული თავს ეკითხებოდა: ეს ახალი ძალა რა ძალააო.

ცხადი პასუხი არ ჩანდა.

ვინიციუსი რომ ამას საზრობდა, თავში ათასნაირი ფიქრი ეფუტკნებოდა.

ვინიციუსი ხილონის წუწუნმა გამოაფხიზლა. ბედს უჩიოდა: ლიგიას მოსაძებნად იყო მიწვეული, დიდ საშიშროებაში ჩაიგდო თავი, მოძებნა და აჩვენა კიდეც. ნეტა მისგან მეტს რაღას ითხოვენ? განა მოტაცებაც იკისრა? ან კი ასეთ საქმეს ვინ მოსთხოვდა ხეიბარ, ორ-თითდაკარგულ ბერიკაცს, სიცოცხლე რომ გონების, მეცნიერებისა და სათნოებისთვის გადაუდვია? რა იქნება, რომ იმისთანა სახელოვანმა პატრიციმ, როგორიც ვინიციუსია, ქალის მოტაცების დროს მარცხი განიცადოს! რა თქმა უნდა, რჩეულთათვის ღმერთები უნდა ზრუნავდნენ, მაგრამ განა არ მომხდარა, რომ ასეთ შემთხვევაში ღმერთები თვითონ ჩაერევიან თამაშში, იმის მაგიერ - ყურადღება მიაქციონ, თუ რა ხდება ქვეყანაზე. ფორტუნას, როგორც ვიცით, თვალი ახვეული აქვს, იგი დღისითაც ვერა ხედავს, თორემ ღამე რას დაინახავს? ერთიც ვნახოთ, იმ ლიგიელმა დათვმა კეთილშობილ ვინიციუსს წისქვილის ქვა ან ღვინით სავსე კასრი, ან კიდევ წყლით სავსე კასრი სთხლიშა. ვინ იქნება თავმდები, რომ საბრალო ხილონს ჯილდოს მაგიერ თავზე პასუხისგება არ დაატყდება? საწყალი ბერძენი კეთილშობილ ვინიციუსს ისე მიეკედლა, როგორც არისტოტელე ალექსანდრე მაკედონელს. და რა იქნება, კეთილშობილმა ვინიციუსმა ის ქისა მისცეს, შინიდან გამოსულმა რომ ქამარში ჩაიდო? მაშინ უბედურ შემთხვევაში შეიძლება დამხმარენი ეშოვათ, ან თვითონ

ქრსიტიანები მოესყიდათ. ნეტავ რატომ არავინ უგდებს ყურს ბერიკაცის რჩევას, გამოცდილებითა და გამჭრიახობით ჩაგონებულ სიტყვებს?

ვინიციუსმა რომ ეს გაიგონა, ქამრიდან ქისა ამოიძრო და ხილონს გადაუგდო.

— აიღე და ჩუმად იყავ!

ბერძენმა იგრძნო რომ, ქისა ძალიან მძიმე იყო და სიმამაცე მოემატა.

– მთელი ჩემი იმედი ისაა, - თქვა მან, - რომ ჰერკულესი ანუ თესევსი უფრო მძიმე საქმეს აბამდნენ თავს და განა ჩემი მახლობელი მეგობარი კროტონი ჰერკულესი არ არის? ხოლო შენ, ღირსეული ბატონო, ნახევარ-ღმერთს არ გიწოდებ, მიტომ რომ მთელი ღმერთი ხარ და კვლავაც არ დაივიწყებ შენს საბრალოსა და ერთგულ მონას, რომელსაც ხანდახან მზრუნველობა დასჭირდება, ხომ იცი, რაკი წიგნებს მიეცემა, ყველაფერი ავიწყდება... პატარა ბაღი ან პარატა სახლი, ზაფხულის სიცხისგან თავშესაფარი შენი სიუხვის შესაფერი ჯილდო იქნება, ამასობაში თქვენი გმირული ღვაწლის მსმენელი მოხუცი შორიდან გაკვირვებას მიეცემა, ზევსის კურთხევას მოგივლენს და თუ საამისოდ გახდა საქმე, ისეთ ალიაქოთს ატეხს, რომ ნახევარმა რომმა გაიღვიძოს და თქვენს საშველად მოვიდეს... რა საძაგელი გზაა? ჩემს ფარანში ზეთი ამოიწვა და

კროტონმა, რომელიც რამდენადაც ღონიერია, იმდენადვე კეთილშობილიც არის, ჩემი ხელში აყვანა რომ მოისურვოს და ქალაქის კარამდე მიმიტანოს, ჯერ იმას დაინახავდა, ქალის მოტაცება რა სიადვილით შეიძლება, მერე ენეასს მიბაძავდა და დასასრულ ყველა კეთილი ღმერთის გულს მოიგებდა, თავის კერძ მოიმხრობდა და შეიძლებოდა განზრახული საქმის კეთილად დაბოლოების სრული იმედი ჰქონოდა.

– ერთი თვის წინ ჭირით მომკვდარი ცხვრის ზიდვას ვარჩევდი შენს ზიდვას, - უპასუხა კროტონმა, - მაგრამ თუ ღირსეული ბატონის ნაბოძარ ქისას მომცემ, მაშინ კარამდე მიგიტან.

– ეგრემც ფეხის ცერი მოგტეხია! - უთხრა ბერძენმა, - ეგრე სარგებლობ ამ დიდი მოხუცის რჯულით, რომელმა გვამცნო: სიღარიბე და გულკეთილობა ორი უმთავრესი სათნოება არისო... განა არ გიბრძანა, რომ უნდა გიყვარდე? ვხედავ, რომ სულ უხეირო ქრისტიანიც ვერ გამოვა შენგან, მზისათვის უფრო ადვილია მამერტინის დილეგში შეაღწიოს, ვიდრე შენს გოგრაში ჭეშმარიტებამ.

ნადირის ღონის მქონე და ყოველგვარ ადამიანურ გრძნობას მოკლებულმა კროტონმა უთხრა:

– ნუ გეშინია, ქრისტიანი არ გავხდები! როდი მინდა, უკანასკნელი ლუკმაპური დავკარგო!

– კი, მაგრამ შენ რომ ფილოსოფიის საწყისებს მაინც იცნობდე, გეცოდინებოდა, რომ ოქრო მხოლოდ ამაოებაა.

– შენი ფილოსოფიით მომიახლოვდი, მაგ მუცელში მხოლოდ ერთხელ მოგარტყამ ხელს! - მაშინ დავინახავთ, მოგებას ვინ იქნება.

– არისტოტელესაც ხარი მაგის მეტს ვერას ეტყოდა, - მიუგო ხილონმა.

გამთენიის ხანი იყო. განთიადმა კედლების ქონგურები გაანათა. გზაზე ხეებმა, შენობებმა და აქა-იქ მოფარებულმა საფლავების ძეგლებმა სიბნელიდან თავი გამოჰყვეს; ახლა გზა ისე უდაბური აღარ იყო, მწვანილის გამყიდველნი, ბოსტნეულით დატვირთული ვირებითა და ჯორებით ეშურებოდნენ, კარების გაღებისათვის მიესწროთ; აქა-იქ ხორცის ურმები მოჭრიჭინებდნენ. გზის ორივე მხარეზე ნათელი დღის მომასწავებელი თხელი ნისლი ტრიალებდა, ამ ნისლში ხალხი რაღაც მოჩვენებად ჩანდა. ვინიციუსი თვალს არ აშორებდა ლიგიას. რაც უფრო თენდებოდა, ქალს სულ ვერცხლისფერი ედებოდა.

– ბატონო, - უთხრა ვინიციუსს ხილონმა, - შეურაცხყოფას მოგაყენებდი, შენი სიუხვის დასასრულის გათვალისწინება რომ შევიძლო, მაგრამ ახლა, როდესაც საფასური გადამიხადე, ეჭვს ვეღარ

მოიტან ჩემზე, ვითომც გამორჩენა მალაპარაკებდეს. ერთხელ კიდევ გირჩევ, მიჰყვე და გაიგო, ღვთაებრივი ლიგია რომელ სახლში ცხოვრობს, შინ წახვიდე, მონები წამოიყვანო და ტახტრევნები წამოაღებინო. ყურს ნუ უგდენ ამ სპილოს ხორთუმის ყრანტალს. ამას მხოლოდ იმიტომ უნდა ქალის მოტაცება, რომ შენი ჯიბე ხაჭოს პარკივით გამოსწუროს.

ვინიციუსმა არაფერი უპასუხა. ქალაქის კარს მიუახლოვდნენ, რომ მის თვალს რაღაც საკვირველი სანახავი წარმოუდგა. მოციქულმა რომ კარს გვერდით გაუარა, ორმა ჯარისკაცმა მის წინ მუხლი მოიდრიკა. მოციქულმა მათ რკინის ჩაფხუტებზე ხელი გაიწოდა, ერთ წამს ისე დარჩა და შემდეგ ჯვარი გადასწერა. ახალგაზრდა პატრიცის აქამდე ფიქრადაც არ მოსვლია, რომ ჯარისკაცებშიაც იქნებოდნენ ქრისტიანები და გაკვირვებით იფიქრა: როგორც ცეცხლმოკიდებულ ქალაქში ხანძარი ახალ-ახალ სახლს ედება, ისევე ეს რჯული ყოველდღე ახალ-ახალ სულებს იპყრობსო, ამან ლიგიას გამოც დასცა თავზარი; ახლა დარწმუნდა, რომ თუ ქალს გაქცევა მოენდომებინა, დარაჯებს მოიმხრობდა. ისინი ქალაქიდან გასვლას გაუადვილებდნენ. ვინიციუსმა ღმერთებს მადლობა შესწირა, რომ ეს არ მომხდარა.

კედელს იქით რომ უშენი ადგილები გაიარეს, ქრისტიანები ჯგუფებად სხვადასხვა მხრისკენ გაემართნენ. ახლა ლიგიას უკან მიყოლა სიფრთხილით იყო საჭირო, რომ მათთვის ყურადღება არავის მიექცია. ხილონი აწუწუნდა, იარები მტკივა და ფეხებიც მტეხსო და უფრო და უფრო უკან

ჩამორჩა. ვინიციუსი ამას ყურადღებას არ აქცევდა, რადგან ფიქრობდა, მხდალი ბერძენი ახლა აღარ მჭირდებაო. იმის ნებასაც მისცემდა, სადაც უნდა, იქ წასულიყო, მაგრამ დარბაისელსა და წინდახედულ მოხუცს ცნობისმოყვარეობა წინ უბიძგებდა. იგი ვინიციუსს უკან მისდევდა, ხანდახან უახლოვდებოდა კიდეც და თავის წინანდელ რჩევას ხელახლა ეუბნებოდა. ისიც უთხრა, გუმანი მეუბნება, ლიგიას მიმყოლი მოხუცი გლავკოსი უნდა იყოსო.

ქალაქის ტიბრს გაღმა ნაწილში დიდხანს მიდიოდნენ. მზე ამოსვლაზე იყო. როცა ლიგიას ჯგუფი გაიყო. მოციქული, მოხუცი მანდილოსანი და პატარა ბიჭი მდინარეს აღმა აუყვნენ, ხოლო მეორე მოხუცმა, ურსუსმა და ლიგიამ ვიწრო ქუჩაში შეუხვიეს, ორიოდე ნაბიჯი გაიარეს და სახლის დერეფანში შევიდნენ, სადაც ორი დუქანი იყო - ერთი ზეთის საწყობი, მეორე - შინაური ფრინველებისა. ხილონი, ორმოცდაათიოდე ნაბიჯით რომ იყო დაშორებული ვინიციუსსა და კროტონს, ახლა გაშეშებულივით შედგა, კედელს მიეყრდნო და წყნარი ხმით დაუძახა მათ. ვინიციუსი დაემორჩილა, საჭირო იყო თათბირი გაემართათ.

– წადი, - უთხრა მან ხილონს, - ნახე, ეს სახლი უკანა მხრით სხვა ქუჩაზე ხომ არ გადის.

ხილონი, ფეხების ტკივილის მიუხედავად, ისეთი ჩქარი სირბილით დაეშვა, თითქოს მის კოჭებს მერკურიუსის ფრთები გამოესხაო და წამს შემდეგ უკანვე დაბრუნდა.

– არა, - თქვა მან, - ერთის მეტი გასავალი არა აქვს.

და მუდარით გულხელი დაიკრიფა.

– ბატონო, გაფიცებ ზევსა, აპოლონს, ვესტას, კიბელას, ისიდას და ოსირისს, მითრას და აღმოსავლეთისა თუ დასავლეთის ყველა ღმერთს, შენი განზრახვა დაუტევო... მე გამიგონე...

და უეცრად ხმა გაკმინდა, რა დაინახა, როგორ გაუფითრდა აღელვებისაგან სახე ვინიციუსს, როგორ მგელივით დაუბრიალა თვალები. მისი დანახვა საკმაო იყო, ადამიანს დაეჯერებინა, ამას ქვეყნიერებაზე ვერაფერი

შეაკავებსო. კროტონმა ჰერკულესისებური მკერდით ჰაერი შეისუნთქა და განუვითარებელი თავი აქეთ-იქით გადაიქცია, როგორც გალიაში დამწყვდეულმა დათვებმა იციან, სახეზე არავითარი წუხილი არ ეტყობოდა.

– პირველი მე შევალ, - თქვა მან.

– შენ მე მომყვები! - ბრძანების კილოთი უთხრა ვინიციუსმა. ერთი წუთიც და ორივენი ბნელ დერეფანში შევიდნენ.

ხილონმა მახლობელ შუკასთან მიირბინა და იქიდან ცქერა დაუწყო, თუ რა მოხდებოდა.

თავი ოცდამეორე

ვინიციუსმა მოფიქრებული გეგმის სიძნელე დერეფანში შეიგნო. სახლი დიდი იყო, მრავალსართულიანი, როგორიც რომში მრავლად შენდებოდა გასაქირავებლად. ამისთანა სახლები ისე აჩქარებითა და უხეიროდ შენდებოდა, წელიწადი ისე არ გაივლიდა, რომელიმე მათგანი მდგმურს თავზე არ დაენგრეოდა. ეს სახლები ნამდვილ ფუტკრის სკას წარმოადგენდნენ, ძალიან მაღლები და ძალიან ვიწრონი იყვნენ, პატარა ოთახებითა და საკუჭნაოებით ავსილნი. აქ ღარიბი ხალხი იყო შეკედლებული. ქალაქში, სადაც ბევრ ქუჩას სახელი არ ერქვა და სახლებსაც ნომრები არ ეკრა, სახლის პატრონები ქირის მიღებას მონებს ანდობდნენ; რადგან ხელისუფალთაგან მდგმურების სახელის შეტყობინება დავალებული არა ჰქონდათ, თვითონ ამ მონებმაც მობინადრეთა სახელები ხშირად არ იცოდნენ. აქ ვისიმე მოძებნა ძალიან ძნელი იყო, მეტადრე თუ შესავალში კარისკაცი არ იდგა.

ვინიციუსმა და კროტონმა გრძელი ტალანის მსგავსი დერეფნით პატარა, ოთხივე მხრივ შენობებით შემოზღუდულ ეზოს მიაღწიეს, მთელი სახლისთვის საზოგადო ატრიუმის მსგავსს, შადრევნით შემკულს, რომლის წყალი მიწაში ჩასმულ ქვის გეჯაში იღვრებოდა. ყველა კედელს კიბე ჰქონდა ჩამოშვებული, ზოგი ხისა, ზოგიც ქვისა, ის კიბეები ტალანებში ადიოდნენ და ამ ტალანებიდან შეიძლებოდა ოთახებში შესვლა. ქვევითაც აგრეთვე სადგომები იყო, ზოგ მათგანს ფიცრის კარი ჰქონდა, ზოგს კი ეზოდან მატყლის ქსოვილის ფარდა ჰყოფდა.

ადრე იყო და ეზოში ადამიანის ჭაჭანება არა ჩანდა. რა თქმა უნდა, ყველა მდგმურს ჯერაც ეძინა, ოსტრანიუმიდან დაბრუნებულთა გარდა.

– რა უნდა ვქნათ, ბატონო, - ჰკითხა კროტონმა.

– დავიცადოთ, იქნება ვინმე გამოვიდეს, - მიუგო ვინიციუსმა. - სჯობს ეზოში არავინ დაგვინახოს.

ახლაღა მიხვდა ვინიციუსი, რომ ხილონის რჩევა საფუძვლიანი იყო. მას რომ რამდენიმე მონა ჰყოლოდა, შეიძლებოდა ჭიშკარში ჩაეყენებინა, მთელი სახლისთვის რომ, როგორც ჩანდა, ერთადერთი გასავალი იყო, და ყველა სადგომი გაეჩხრიკა. ახლა კი საჭირო იყო პირდაპირ ლიგიას ბინისათვის მიეგნო და პირდაპირ შიგ შესულიყვნენ, თუ არა, უეჭველია, ამ სახლში ქრისტიანები მრავლად ცხოვრობდნენ და იმათ შეეძლოთ გაეფრთხილებინათ. ამიტომაც იყო საშიში ლიგიას ბინა ვისთვისმე ეკითხათ. ვინიციუსი ფიქრობდა, მონების მოსაყვანად წასულიყო. ამ დროს ფარდიდან ერთი ხელსაცრიანი კაცი გამოვიდა და შადრევანთან მივიდა.

ვინიციუსმა მაშინვე იცნო ურსუსი.

– ეს არის ლიგიელი, - წასჩურჩულა კროტონს.

– ახლავ დავუმტვრიო ძვლები?

– დაიცა.

ურსუსმა ისინი ვერ შენიშნა - ბნელ დერეფანში იდგნენ. საცერში ჩაყრილ ბოსტნეულს დამშვიდებით დაუწყო რეცხვა. რომ გაათავა, საცერი აიღო და ფარდის შიგნით შევიდა. კროტონი და ვინიციუსი უკან მიჰყვნენ. დარწმუნებული ბრძნდებოდნენ, რომ პირდაპირ ლიგიას ბინაში შევიდოდნენ.

მაგრამ სახტად დარჩნენ, რადგან ფარდის უკან ოთახი კი არა, სხვა ბნელი ტალანი დახვდათ, რომლის ბოლოს ბაღი მოჩანდა რამდენიმე კვიპაროსითა და ტვიის ჯაგებით, და პატარა სახლი, სხვა სახლის კედელთან მიშენებული. ვინიციუსმა და კროტონმა უცებ მოისაზრეს, რომ ეს გარემოება მათთვის ხელსაყრელი იყო. ეზოში მთელი სახლის მდგმურებს შეეძლოთ თავის მოყრა, ერთი განცალკევებული სახლი კი მოტაცებას უადვილებდა, ამ ქალის მოსარჩლეებს- უფრო კი ურსუსს- ადვილად გაუმკლავდებოდნენ და შემდეგ მოტაცებული ქალით ჩქარა გავიდოდნენ ქუჩაში. ქუჩაში კი თავის დაცვა აღარ გაუჭირდებოდათ: უეჭველია, არავინ შეაჩერებდა მათ, და თუ ვინმემ შეაჩერა, აუხსნიან, საქმე კეისრისაგან გამოქცეულ ხასას შეეხებაო, თუ გაუჭირდათ, ვინიციუსი ვიგილებს თავის ვინაობას ეტყვის და დახმარებას სთხოვს.

ურსუსი, ის იყო, სახლში უნდა შესულიყო, როდესაც მისი ყურადღება ფეხის ხმამ მიიპყრო, იგი შედგა და როდესაც ორი კაცი დაინახა, საცერი დადო და მათკენ მიბრუნდა.

– რას ეძებთ? – ჰკითხა მან.

– შენ გეძებთ, – უპასუხა ვინიციუსმა.

შემდეგ კროტონს მიუბრუნდა და დაბალი ხმით უბრძანა:

– მოკალ!

კროტონი წამსვე ვეფხვივით ეცა და ვიდრე ლიგიელი გონს მოვიდოდა და მტერს შეიცნობდა, ფოლადის მკლავებში მოიქცია ურსუსი.

ვინიციუსს სჯეროდა კროტონის არაადამიანური ღონე, მიტომაც ბრძოლის დასასრულს არ მოუცადა, გვერდი აუხვია, სახლის კარს ეცა, ფეხი ჰკრა და ნახევრად ბნელ, ბუხარში ანთებულ ცეცხლით ოდნავ განათებულ ოთახში შეიჭრა. ცეცხლი პირდაპირ ლიგიას სახეს აშუქებდა. კერასთან მჯდარი სწორედ ის მოხუცი იყო, რომელიც ოსტრანიუმიდან მომავალ ლიგიასა და

ურსუსს მოჰყვებოდა. ვინიციუსი მოულოდნელად შევარდა ოთახში და ვიდრე ლიგია იცნობდა მას, ხელი მოხვია, ზევით აზიდა და კარებისკენ გაექანა.მართალია, მოხუცმა გზა გადაუღობა, მაგრამ ვინიციუსმა ერთი ხელის კვრით მოიშორა. კაპიშონი თავიდან ჩამოუვარდა და ლიგიამ ნაცნობი და საშინელი სახე დაინახა. ქალმა იგრძნო, რომ შიშით სისხლი გაეყინა და ხმა ჩაუწყდა.მიშველეთო, უნდოდა ეყვირა, მაგრამ ღონე არა ჰქონდა; კარის ამყოლს მოსჭიდებოდა, მაგრამ თითები მოლიპულ ქვაზე მოუსხლტა; გული შეუღონდებოდა, თუ ბაღში საზარელი სურათი არ დაენახა.

ურსუსს ვიღაცა კაცი ჩაებღუჯა, თავჩაკიდული და ტუჩებზე სისხლმორეული. ესენი რომ დაინახა, ურსუსმა იმ კაცს კიდევ ერთი მუშტი ჩაარტყა და გაშმაგებული ნადირი ვინიციუსს ეცა.

„სიკვდილი“, გაიფიქრა ახალგაზრდა პატრიციმ.

თითქოს ძილში ჩაესმა ლიგიას კივილი: „ არ მოკლა“. შემდეგ იგრძნო, რომ ქალისთვის მოხვეული ხელები ელვის დაცემის მსგავსმა რაღაცამ გაუხსნა, ფეხქვეშ მიწა შეუტორტმანდა და თვალთ დაუბნელდა.

ხილონი, კუთხის სახლს უკან დამალული, ელოდა, რა მოხდებაო. მასში ცნობისმოყვარეობა და შიში ერთმანეთს ებრძოდნენ. ამას გარდა ფიქრობდა, თუ ლიგიას მოტაცება მოხერხდება, ჩემთვის

სასარგებლო იქნება, ვინიციუსთან ვიყოო. ურბანუსისა იმას აღარ ეშინოდა, რადგან დარწმუნებული იყო, კროტონი მოკლავდა. იმასაც ფიქრობდა, თუ ქრისტიანები ან სხვა ხალხი განიზრახავს, ვინიციუსს ეწინააღმდეგონ, მაშინ ის, ხილონი დაელაპარაკება მათ, ვით ხელისუფლების წარმომადგენელი, თუ გაჭირდა, ქუჩის ბრბოს წინააღმდეგ ახალგაზრდა პატრიცის საშველად ვიგილებს მოუწოდებს და ამით ახალი წყალობის უფლებას მოიპოვებს. გუნებაში კი მაინც ვინიციუსის საქციელს უგუნურებად სთვლიდა; მაგრამ კროტონის ღონის მოიმედე ფიქრობდა, ბოლო კეთილი იქნებაო. თუ გაუჭირდათ, თვითონ ტრიბუნი წამოიყვანს ქალს, ხოლო კროტონი მას გზას გაუწმენდს. მაგრამ გასული დრო დიდად ეჩვენა. ჩამიჩუმი რომ არ ისმოდა, ეს აწუხებდა.

„რომ ქალის სადგომს ვერ მიაგნონ და მხოლოდ ალიაქოთი ატეხონ, სწორედ დააფრთხობენ“.

ეს ფიქრი მაინც ბევრად არ აწუხებდა. ესმოდა, რომ ამ შემთხვევაში იგი ვინიციუსისთვის კვალად საჭირო შეიქნებოდა და მისგან ბლომა სესტერციების გამოცინცვლას კვლავაც მოახერხებდა.

„რაც უნდა მოიმოქმედონ, ჩემს წისქვილზე წყლის დასხმაა. თუმცა ვერც ერთი ამას ვერ მიმხვდარა... ჰოი, ღმერთებო, ღმერთებო! მხოლოდ ნება მიბოძეთ...“

ხილონს უცებ ფიქრი ჩაუწყდა. მას მოეჩვენა, რომ დერეფნიდან ვიღაცამ გამოიხედა. ბერიკაცი კედელს მიეკრა და სუნთქვაშეგუბებულმა დაუწყო ცქერა. არც შეცდა. დერეფნიდან ვიღაცამ თავი გამოჰყო და გარშემო მიმოიხედა.

ერთ წამს უკან ისევ დაიმალა.

„ეს ვინიციუსი იყო ან კროტონი, – გაიფიქრა ხილონმა, – მაგრამ თუ ქალი მოიტაცეს, რატომ არა ყვირიან და ქუჩაში რაღად იცქირებიან? ვიდრე კარინამდე მივლენ, ხალხს ხომ მაინც შეხვდებიან, უკვე მოძრაობა იწყება. ეს რაა? უკვდავო ღმერთებო!“

და უცებ ორიოდე ღერი დარჩენილი თმა ყალყზე დაუდგა.

კარებში ურსუსი გამოჩნდა, მხარზე კროტონის გვამი მოეგდო, ერთიც მიიხედ-მოიხედა, ცარიელ ქუჩაში გამოვიდა და სირბილით მდინარისაკენ გაექანა. ხილონი კედელს ისე აეკრა, თითქოს ბათქაშიაო.

„დავიღუპე, თუ დამინახა“, – გაიფიქრა მან.

მაგრამ ურსუსმა საჩქაროდ გვერდზე ჩაურბინა და სახლს იქით მოეფარა. ხილონს აღარ დაუცდია, შიშისგან ყბების კანკალი აუვარდა, ვიწრო ქუჩისაკენ სირბილით დაეშვა. ისე გარბოდა, ჭაბუკსაც შეშურდებოდა.

„უკან დაბრუნებულმა შორიდან არ დამინახოს, თორემ მომეწევა და მომკლავს. დამიფარე, ზევსო, მიხსენ, მიხსენ, ჰერმეს, მიხსენ, ქრისტიანების ღმერთო! რომიდან წავალ, მესემბრიას დავბრუნდები, ოღონდ ამ ქაჯისგან დამიხსენით!“

კროტონის მომკვლელი ლიგიელი ამ წამში მართლაც რაღაც ზესთაბუნებრივ არსებად მიაჩნდა. გაქცევით რომ თავს შველოდა, ხილონი ფიქრობდა, იქნება ურსუსი რომელიმე ღმერთია, ხოლო სახე ბარბაროსისა მიუღიაო. ამ წამში მთელი ქვეყნის ღმერთები ირწმუნა, ყველა მითი, რომელთაც აქამდე სასაცილოდ იგდებდა. ხანაც ფიქრობდა, კროტონი ქრისტიანების ღმერთმა მოკლაო და თმა ისევ ყალყზე უდგებოდა, როცა წარმოიდგენდა, ეს რა ძალას შევერკინეო.

რამდენიმე ვიწრო ქუჩა გაირბინა, მომავალი მუშები დაინახა და ცოტაოდნავ დამშვიდდა. მთლად დაქაცული იყო. სახლის ზღურბლზე ჩამოჯდა და მოსასხამის კალთით შუბლზე ოფლი მოიწმინდა.

„დავბერდი, დროა, მოვისვენო“, – თქვა გუნებაში.

მუშებმა რომელღაც ვიწრო ქუჩაში შეუხვიეს. ქალაქს ჯერაც ეძინა. დილაობით მოძრაობა ყველაზე ადრე მდიდრების უბნებში იწყებოდა, სადაც მონები გათენებამდე უნდა ამდგარიყვნენ; ხოლო იქ, სადაც თავისუფალი მოსახლეობა იყო, პატრიციების ხარჯზე მცხოვრები მუქთახორები უფრო გვიან იღვიძებდნენ, მეტადრე ზამთარში. ხილონი ცოტა ხანს იჯდა ზღურბლზე, შესცივდა. წამოდგა და რაკი დარწმუნდა, ვინიციუსის მიცემული ქისა არ დაკარგოდა, მდინარისკენ წყნარი ნაბიჯით წავიდა.

„იქნებ სადმე კროტონის გვამი ვნახო, – თქვა გუნებაში, – ჰოი, ღმერთებო! თუ ლიგიელი ადამიანია, წლის განმავლობაში რამდენიმე მილიონი სესტერცის შოვნა შეუძლია. თუ კროტონი ძაღლის გოშიასავით წაახრჩო, მაგას ვინ გაუძლებს. ასპარეზზე თითო გამოსვლაში თავის წონა ოქროს მისცემდნენ. იმ ქალს უკეთესად დარაჯობდა, ვიდრე ცერბერი ჯოჯოხეთს. ჯოჯოხეთის კერძიმც გამხდარა! არავითარი სურვილი არ მაქვს შევება, მეტისმეტად ძვალმსხვილია... მაგრამ ახლა რაღა უნდა ვქნა? რაღაც უცნაური მოხდა... თუ კროტონს მიუმსხვრია ძვლები, უეჭველია, ვინიციუსის სული იმ

სახლს დაჰფარფატებს და საფლავს ელოდება. კასტორსა ვფიცავ, ეგრეა! იგი ხომ პატრიცია, კეისრის მეგობარი, პეტრონიუსის ნათესავი, წარჩინებული კაცი, მთელ რომში ცნობილი და სამხედრო ტრიბუნი. იმის სიკვდილი ძვირად დაუჯდებათ. მე რომ, მაგალითად, პრეტორიელთა ყაზარმაში წავსულიყავ ან ვიგიელებთან?..“

ხილონი დაჩუმდა, ცოტა ხანს დაფიქრდა და განაგრძო:

„ვაი ჩემს თავს! განა მე არ მივიყვანე იმ სახლში? იმისმა აზატებმა და მონებმა იციან, რომ მასთან დავდიოდი, ზოგმა ისიც იცის, რისთვის დავდიოდი; მაშინ ნახე, თუ დამაბრალეს: იმ სახლში, სადაც მოკლეს, განზრახ მიიყვანეო. სასამართლოში კიდეც რომ აღმოჩნდეს, საამისო განზრახვა არა მქონდა, მაინც ყველაფრის მიზეზად დამსახავენ. მერე პატრიცი არის და არავითარ შემთხვევაში დაუსჯელად ვერ გადავრჩები. თუ ჩუმად დავტოვო რომი და შორს სადმე გადავასახლდე, ამით ხომ უფრო მეტი ეჭვები დაებადებათ?“ ესეც ცუდია და ისეც. ნაკლები განსაცდელის არჩევა არის საჭირო. რომი დიდი ქალაქი იყო, მაგრამ ხილონმა იგრძნო, იქნებ აქ ვერ დავეტიო-ო. სხვას უამისოს შეეძლო პირდაპირ ვიგილების პრეფექტთან წასულიყო, ეამბნა, რაც მოხდა, და თუნდაც მასზე ეჭვი მიეტანათ, გამოძიებას დამშვიდებით დალოდებოდა. მაგრამ ხილონის წარსული ისეთი იყო, რომ ქალაქის პრეფექტისა თუ ვიგილების პრეფექტის დაახლოებით გაცნობას მისთვის დიდი უსიამოვნებაც შეეძლო მოეტანა. თანაც იმ ეჭვებს დაადასტურებდა, რაც მოხელეებს მასზე ჰქონდათ.

მეორე მხრივ, გაქცევა პეტრონიუსს მტკიცედ დააჯერებდა, რომ ვინიციუსი ღალატით მოკლეს. პეტრონიუსი კი ძლიერი კაცი იყო, მას მთელი რომის მოხელეობა გაუწევდა სამსახურს და ეჭვს გარეშეა, დამნაშავეთა მოძებნას ქვეყნის კიდით კიდემდე ეცდებოდა. აქ ბერძენს მოაფიქრდა ყველაზე უკეთესი იქნება, პეტრონიუთან წავიდე რაც მოხდა, ყველაფერი ვუამბოო. დიახ, ეს ყველაზე უკეთესი იქნებოდა. პეტრონიუსი დამშვიდებული ხასიათის კაცი იყო, ხილონი

დარწმუნებული იყო, ბოლომდე მოუსმენდა; თავიდანვე იცოდა საქმე, ხილონს უდანაშაულობას ხელისუფლებაზე ადვილად დაუჯერებდა. კი, მაგრამ მასთან წასვლამდე საჭირო იყო გაეგო, ვინიციუსს რა დაემართა. ხილონმა ეს არ იცოდა. იცოდა, რომ კროტონაკიდებული ლიგიელი მდინარისკენ გაეშურა, ამის მეტი კი არ იცოდა რა. იქნებ ვინიციუსი მოკლეს, ან

დასჭრეს, ან კიდევ შეიპყრეს. მხოლოდ ახლა მოაგონდა, რომ ქრისტიანები ასეთ გავლენიან კაცს, ავგუსტიანს, დიდი ადგილის მქონეს არ მოკლავდნენ, რადგან ამას შეეძლო მათი დევნა გამოეწვია. ყველაზე უტყუარი ის უნდა ყოფილიყო, რომ შეიპყრეს, რა არის, ლიგიასთვის საშუალება მიეცათ, სხვაგან დამალულიყო. ამ აზრმა ძალიან გაამხნევა.

„თუ იმ ლიგიელმა ურჩხულმა პირველივე გაბრაზებისთანავე არ დაფლითა, მაშინ ის ცოცხალი იქნება, და თუ ცოცხალია, მაშინ თვითონ დაადასტურებს, რომ მე მისთვის არ მიღალატნია, ამ შემთხვევაში არავითარი ხიფათი არ მემუქრება, პირიქით (ჰოი, ჰერმეს, ორი ხბოს იმედი კვლავაც იქონიე!), ჩემ წინ ახალი ასპარეზი იხსნება... მე შემიძლია ვინიციუსის ერთ აზატს ვაცნობო, იმისი ბატონი სად იმყოფება, ხოლო ის პრეფექტს მიმართავს თუ არა-იმისი საქმეა, ოღონდ მე არ მომიხდეს პრეფექტთან მისვლა. პეტრონიუსთანაც შემიძლია წავიდე და საჩუქრის იმედი ვიქონიო... ლიგიას ვეძებდი, ახლა ვინიციუსს მოვძებნი, შემდეგ კიდევ ისევ ლიგიას... უნდა გავიგო, ვინიციუსი ცოცხალია თუ მოკლეს“.

ისიც კი მოაფიქრდა, ღამე ხაბაზ დემასთან წასულიყო, ურსუსის ამბავი ეკითხა, მაგრამ ეს აზრი მაშინვე უარყო. ამჯობინებდა, ურსუსისაგან თავი შორს დაეჭირა. სამართლიანად ფიქრობდა, რაკი ურსუსმა გლავკოსი არ მოკლა, მაშ ვინმე უფრო ქრისტიანმა დაუშალაო. ურსუსის მხოლოდ გახსენებაზე ხილონს მთელ ტანში ჟრუანტელმა დაუარა. უმჯობესი იყო საღამოზე ევრიციუსი გაეგზავნა და შეეტყო - ვინიციუსი რა დღეში ჩავარდა. ახლა კი ხილონმა იგრძნო, საჭიროა ძალ-ღონე მოვიკრიბო, გავიბანო და დავიძინოო. უძილო ღამემ და გრძელმა გზამ მართლაც რომ მოქანცა.

ამ ფიქრის დროს ერთი რამ ანუგეშებდა: ჯიბეში ორი ქისა ედო. ერთი ვინიციუსმა რომ სახლში მისცა და მეორეც სასაფლაოდან დაბრუნებისას რომ გადმოუგდო. ამ ბედნიერი შემთხვევის გამო და იმიტომაც, რომ დღეს მრავალი ღელვა გადახდა თავს, გადაწყვიტა კარგად დანაყრებულიყო და ღვინოც იმაზე უკეთესი დაელია, ვიდრე ჩვეულებრივ მიირთმევდა.

დუქნის გაღების დრო რომ დადგა, თავისი განზრახვა ისე ბეჯითად შეასრულა, რომ აბანო მთლად დაავიწყდა. ეძინებოდა და ისე ძალიან მოერია ძილი, რომ თავის ახალ ბინამდე ბარბაცით მივიდა, აქ ვინიციუსის ფულით ნაყიდი მონა ქალი ელოდებოდა.

შევიდა თუ არა მელის სოროსავით ბნელ კუბიკულუმში, ლოგინში ჩაემხო და მყისვე დაეძინა.

მხოლოდ საღამოზე გამოიღვიძა, ან უკეთ რომ ვთქვათ, მონა ქალმა გააღვიძა, ვიღაცას რაღაც დიდ საქმეზე შენი ნახვა უნდაო. ფრთხილი ხილონი წამსვე გამოფხიზლდა, კაპიშონიანი მოსასხამი საჩქაროდ წამოისხა, მონას უბრძანა, იქით მიმდგარიყო და ფრთხილად ოთახიდან გაიხედა.

გაიხედა და სიკვდილის ფერი დაედო. კუბიკულუმის კარში ურსუსის საზარელი ტანი გამოჩნდა.

ხილონმა იგრძნო, ფეხები და თავი ყინულივით გაუხდა, სუნთქვა შეეკრა, ზურგზე ჭინჭველები აეფუტკნენ. ერთ წამს ენაც დაება, შემდეგ კბილების კაწკაწით წარმოთქვა, ან უკეთ რომ ვთქვათ, წამოიკვნესა:

– არა, შინ არა ვარ... არ ვიცნობ... ამ... კეთილ კაცს.

– მე, ვუთხარი, რომ შინა ხარ, ბატონო, და გძინავს, – უპასუხა ქალმა, – იმან კი მომთხოვა გამეღვიძებინე.

– ჰოი, ღმერთებო! მე გიბრძანებ...

მაგრამ დაყოვნებით გაჯავრებული ურსუსი კუბიკულუმის კარს მიუახლოვდა და ოთახში თავი შემოჰყო.

– ხილონ ხილონიდ, – თქვა მან.

– Pax tecum! Pax, pax!, - მიუგო ხილონმა, – ჰოი, ქრისტიანებს შორის უმჯობესო, დიახ მე ვარ ხილონ ხილონიდი, მაგრამ მე შენ არ გიცნობ!

– ხილონ ხილონიდ, – გაიმეორა ურსუსმა, - შენი ბატონი ვინიციუსი გიბრძანებს, მე გამომყვე, იმასთან მიგიყვან.

ნაწილი მეორე

თავი პირველი

ვინიციუსი მტანჯველი ტკივილისაგან ცნობას მოვიდა, პირველ ხანს ვერ წარმოიდგინა, სად იყო და რა ემართებოდა. თავი უბრუოდა და თვალებზე რაღაც ბინდი მოფენოდა. ცნობიერება თანდათან დაუბრუნდა და თვალდა-ბინდულმა მისკენ დახრილი სამი კაცი გაარჩია. ორი იცნო - ერთი ურსუსი იყო, მეორე ის მოხუცი, რომელიც წააქცია, როდესაც ლიგია მოიტაცა, მე-სამე მისთვის სრულებით უცნობი იყო; იმას მისი ხელი ეჭირა, ლავიწიდან ნიდაყვამდე უსინჯავდა და ისეთ აუტანელ ტკივილს აყენებდა, რომ ვინიცი-უსმა ეს განსაკუთრებულ შურისძიებად მიიღო და კბილთა კრაჭუნით წარ-მოთქვა:

– მომკალით!

იმათ ვინიციუსის სიტყვებს, როგორც ჩანდა, ყურადღება არ მიაქციეს, თითქოს ვერც გაიგონესო, ან ტკივილის კვნესად ჩაუთვალეს. შეწუხებულ ურსუსს რამდენიმე თეთრი ზონარი ეჭირა, ხოლო მოხუცი ჰკითხავდა კაცს, ვინაც ვინიციუსს მხარს უსინჯავდა:

– გლავკოს, დარწმუნებული ხარ, თავის ჭრილობა საშიში არ არის?

– დიახ, ღისეულო კრისპ, – მიუგო გლავკოსმა, – როდესაც მონად ვიყავ და ფლოტში ვმსახურობდი, ხოლო შემდეგ ნეაპოლში ვცხოვრობდი, ბევრი ჭრილობა მომირჩენია, და რაც ამ ხელობით ფული ავიღე, ჩემი თავისა და ჩემი ოჯახის გამოსყიდვას მოვანდომე. ჭრილობა მსუბუქია. როდესაც ამ კაცმა (თავი ურსუსისკენ მიიღო) ყმაწვილ კაცს ქალი წაართვა და ხელი ჰკრა კედლისკენ, წაქცევის დროს, უეჭველია, ხელით მოიგერია. ხელი იღ-რძო და მოიტეხა, სამაგიეროდ, თავი და სიცოცხლე შეინარჩუნა.

– შენი დახმარებით ძმებში ბევრს უსარგებლია, – მიუგო კრისპმა, – შენ მარჯვე ექიმად ითვლები. ამიტომაც გამოვგზავნე შენთან ურსუსი.

– გზაზე გამომიტყდა, გუშინ შენს მოკვლას ვაპირებდიო.

– შენზე ადრე თავისი განზრახვა მე გამომიცხადა. მე ვიცი შენი ქრისტე-სადმი სიყვარული და ურსუსს ავუხსენი, გლავკოსი კი არაა მოღალატე, ის უცნობი კაცი ყოფილა, ვინაც კაცისკვლაზე ლამის დაგიყოლია-მეთქი.

– იგი ბოროტი სული იყო, მე კი ანგელოზად მივიჩნიე, – ამოოხვრით თქვა ურსუსმა.

– მაგ ამავს როდისმე მიამბობ, უთხრა გლავკოსმა, – ახლა კი დაჭრილზე ვიზრუნოთ.

მან ვინიციუსს ნაღრძობი ხელის გასწორება დაუწყო. თუმცა კრისპი სახეში წყალს აპკურებდა, მაინც ვინიციუსს ტკივილისგან წამდაუწუმ გული უწუხდებოდა. მაინც კი ეს გარემოება მისთვის საკეთილო იყო, იგი აღარ გრძნობდა, მოტეხილ ხელს როგორ უსწორებდნენ და არტახებით როგორ უკრავდნენ: გლავკოსმა ჯერ ორი შედრეკილი ფირფიტა შემოადო აქეთ-იქიდან მოტეხილ ხელს და შემდეგ მაგრად მოუჭირა ზონრები, რომ ხელს საძრაობა არა ჰქონოდა.

ამის შემდეგ ვინიციუსი გონს მოვიდა და იქვე მდგარი ლიგია დაინახა.

ქალი ვინიციუსის სარეცლის გვერდით იდგა და პატარა სპილენძის თასით წყალი ეჭირა. ამ წყალში გლავკოსი ღრუბელს აწყობდა და მით ვინიციუსს თავს უსველებდა.

ვინიციუსი უცქეროდა და თვალს არ უჯერებდა. ეგონა, სიზმარს ვხედავო და მხოლოდ რამდენიმე წამს შემდეგ ღონე მოიკრიბა და წაიჩურჩულა:

– ლიგია!..

მისი ხმის გაგონებაზე ქალს ხელში თასი შეუტოკდა, ნაღვლიანი თვალით შეხედა და ხმადაბლა უთხრა:

– მშვიდობა შენდა!

ქალი ხელებგაწვდილი იდგა, სახეზე გულმტკივნეულობა და შებრალება ეხატა.

ვინიციუსი ისე უცქეროდა, თითქოს უნდოდა, ლიგიას ცქერით გამძღარიყო. უცქეროდა მის დაფიქრებულსა და გამხდარ სახეს, მუქი თმის კულულებს, მდაბიოს ტანისამოსს, ისე თვალგამეტებით მიჩერებოდა, რომ სახეზე წითელი ფერო მოედო. ვინიციუსმა ჯერ იფიქრა, იქნებ კიდევ ვუყვარდეო, მერე კი გაახსენდა, ლიგიას სიბეჩავე ჩემი ბრალიაო. ვინიციუსმა მოაშორა იმ სახლს, სადაც იგი უყვარდათ, სადაც სიმდიდრით იყო გარემოცული, აიძულა ამ ქოხში ცხოვრება და ამ ძაძა მოსასხამის ტარება. თუმცა კი უნდოდა ძვირფასი სამოსელით მოერთო და მთელი ქვეყნის საუნჯით შეემკო იგი. ვინიციუსის გული სიბრალულმა და სინანულმა შეიპყრო, განძრევა რომ შეძლებოდა, ფეხებში ჩაუვარდებოდა ლიგიას.

– ლიგია, – უთხრა მან, – შენ გადამარჩინე სიკვდილს.

ქალმა მშვიდად უპასუხა:

– ღმერთმა დაგიბრუნოს ჯან-ღონე.

ვინიციუსმა შეიგნო, რა ბევრი აწყენინა ლიგიას და ახლა იმისი სიტყვები მკურნალ მალამოდ მოევლინა. დაავიწყდა, რომ ლიგიას ბაგით ქრისტეს რჯული ღაღადებდა, მხოლოდ ერთს გრძნობდა: ამას საყვარელი ქალი მეუბნება და მის სიტყვებში უჩვეულო მზრუნველობა, რაღაც არაადამიანური გულკეთილობა მოისმისო. გულის სიღრმემდე სწვდებოდა ლიგიას სიკეთე. როგორც წინათ ტკივილმა, ისე ახლა ღელვამ დაასუსტა. ეს იყო რაღაც წინათ ტკივილმა, ისე ახლა ღელვამ დაასუსტა. ეს იყო რაღაც დაუძლეველი და ტკბილი სისუსტე. ისეთი გრძნობა მოერია, თითქოს რაღაც უფსკრულში ვარდებოდა, მაგრამ თან ისიც იცოდა, რომ არა უჭირდა რა და ბედნიერი იყო, რადგან მას თვითონ ღვთაება პატრონობდა.

ამასობაში გლავკოსმა ჭრილობა მობანა და მალამო დაადო. ურსუსმა ლიგიას სპილენძის თასი ჩამოართვა, ხოლო ლიგიამ მაგიდიდან წყალღვინო აიღო და ავადმყოფს ტუჩებთან მიუტანა. ვინიციუსმა ხარბად დალია და უკეთესად იგრძნო თავი. შეხვევის შემდეგ ტკივილი თითქმის მთლად დაუყუჩდა. ჭრილობა და მოტეხილი ხელი აღარ უკვნესოდა და ცნობისმოყვარეობაც დაუბრუნდა.

– კიდევ დამალევინე, – შესთხოვა მან ქალს.

ლიგია ცარიელი თასით მეორე ოთახში გავიდა, ხოლო კრისპი გლავკოსს გამოელაპარაკა, შემდეგ ავადმყოფის სარეცელთან მივიდა და უთხრა;

– ვინიციუს, ღმერთმა არ ინება, ბოროტი საქმე ჩაგედინა და არც გაგწირა, რათა გონს მოხვიდე. მან, ვის წინაშე ადამიანი მტვერია, შენი თავი უიარაღო ჩაგვიგდო ხელში, გარნა ქრისტემ, რომელიც ჩვენ გვწამს, გვიბრძანა, მტერიც კი გიყვარდეთო. ჭრილობანი შეგიხვიეთ და, როგორც ლიგიამ თქვა, ვილოცებთ, რომ ღმერთმა დაგიბრუნოს ჯან-ღონე, მაგრამ ამას იქით კი შენი მოვლა არ შეგვიძლია. მოიფიქრე, გშვენის განა, კვლავაც სდევნიდე ლიგიას, რომელსაც მზრუნველნი მოაშორე, მშობლიური სახლი წაართვი, გშვენის განა, გვდევნიდე ჩვენ, ვინც ბოროტის წილ კეთილი მოგაგეთ.

– თავის დანებებას მიპირებთ?-ჰკითხა ვინიციუსმა.

– ჩვენ ამ სახლიდან უნდა გადავიდეთ, აქ შესაძლოა ქალაქის პრეფექტის დევდა დაგვატყდეს თავს. შენი ამხანაგი მოკვდა, შენც, დიდი მოხელე, დაჭრილი წევხარ. ყველა ეს ჩვენი ნებით არ მომხდარა, მაგრამ კანონით შეუძლიათ დევნა დაგვიწყონ.

– დევნისა ნუ გეშინიათ, – უთხრა ვინიციუსმა, – მე დაგიფარავთ.

კრისპს არ უნდოდა ეთქვა, აქ საქმე მარტო პრეფექტი და პოლიცია კი არ არის, თვითონ შენც არ გენდობით, და გვინდა, ლიგია შენი დევნისგან დაგიფაროთო.

– ბატონო, – უთხრა მას, – აი ფირფიტა. შენს მსახურებს მიწერე, დღეს საღამოზე ტახტრევნით მოვიდნენ და წაგიყვანონ; შინ უფრო კარგად მოეწყობი, ვიდრე ჩვენთან ხარ, ამ სიდუხჭირეში. ჩვენ აქ ღარიბ ქვრივთან ვცხოვრობთ; მალე ის დედაკაცი და მისი შვილი მოვლენ, პატარა ბიჭი გაგეგზავნება, ხოლო ჩვენ სხვა თავშესაფარი უნდა მოვძებნოთ.

ვინიციუსი გაფითრდა. შეიგნო, ჩემგან ლიგიას დაშორება უნდათ, ისევ დავკარგავ და მაშინ იქნებ ვეღარასოდეს ვეღარ ვნახოო. მართალია, მისთვის ცხადი იყო, რომ მასა და ლიგიას შორის არსახუმარი შემთხვევა მოხდა. თუ მისი დაპატრონება სურს, ახალი გზები უნდა ეძებნა. ამის მოფიქრების დრო ჯერ არა ჰქონდა. ისიც ესმოდა, კიდეც რომ დავპირდე ამ ხალხს, ლიგიას პომპონია გრეცინას დავუბრუნებ-მეთქი-უფლება აქვთ, არ დამიჯერონ და არცთუ დამიჯერებენო. ეს ხომ დიდი ხანია შეეძლო ექნა: ლიგიას დევნის მაგიერ, საკმაო იყო, პომპონიასთან წასულიყო და დევნაზე ხელი აეღო. მაშინ პომპონია თვითონ მოეძებნიდა ლიგიას და თავისას წაიყვანდა. არა, იგი გრძნობდა, რომ არავითარი დაპირება არ შეაკავებდა მათ, არავითარ მის ფიცს არ ირწმუნებდნენ, მით უფრო, რომ იფი ქრისტიანი არ იყო. მას შეეძლო თავისი უკვდავი ღმერთები დაეფიცნა, რომელნიც ძალიანაც არ სწამდა, და ქრისტიანებს ხომ ბოროტ სულებად მიაჩნდათ.

მეტისმეტად სურდა, ლიგიას ახლანდელი მფარველების გული მოეგო. მაგრამ როგორ? ამისთვის დრო იყო საჭირო. ამას გარდა, იმისთვის თუნდაც რამდენიმე დღით ლიგიას ნახვას დიდი ფასი

ედო და როგორც წყალწაღებული ხავსს ეკიდება, ისე ვინიციუსს ეგონა, ამ დღეების განმავლობაში მოახერხებდა, ლიგიასთვის ისეთი რამ ეთქვა, რაც ქალს დაუახლოებდა.

– მომისმინეთ, ქრისტიანებო. გუშინ თქვენთან ერთად ოსტრანიუმში ვიყავ და თქვენი რჯული მოვისმინე; მაგრამ თუნდაც ქადაგება არ მომესმინა, მაინც თქვენი საქციელი დამარწმუნებდა, რომ კარგი და კეთილი ხალხი ხართ. ქვრივს უთხარით, აქედან ფეხი არ მოიცვალოს, თქვენც აქ დაჩით და მეც ნება მომეცით, აქ დავრჩე. დაე ამ კაცმა (გლავკოსისაკენ მიიხედა)- ექიმია თუ ჭრილობათა უბრალო შემხვევი-თქვას: განა შეიძლება დღეს ჩემი დაძვრა? ავადა ვარ, ხელი მაქვს მოტეხილი, რამდენიმე დღე უძრავად უნდა მქონდეს, ამიტომაც გიცხადებთ, აქედან არ დავიძვრები, თუკი ძალით არ გამიტანთ.

ვინიციუსი შედგა. სუნთქვა შეეკრა. კრისპმა უთხრა:

– ბატონო, ძალადობას ვერავინ მიმართავს. ჩვენ მხოლოდ ჩვენი თავის დაცვა გვინდა.

შესიტყვების უჩვევმა ყმაწვილმა კაცმა წარბები შეიჭმუხნა და მიგო:

– სული ამომათქმევინეთ.

ერთ წამს შემდეგ დაიწყო:

– კროტონს, ურსუსმა რომ მოკლა, არავინ მოიკითხავს: ის დღეს ბენევენტუმში უნდა წასულიყო, ვატინიუსმა მიიწვია. ყველა იფიქრებს, რომ იქ წავიდა. როდესაც მე და კროტონი აქ შემოვედით, არავის დავუნახივართ ერთი ბერძენის მეტს, რომელიც ჩვენთან ერთად ოსტრანიუმში იყო. მე გეტყვით, ის სადაც ცხოვრობს, აქ მომიყვანეთ, ვუბრძანებ, რომ ჩუმად იყოს, რადგან მე მემსახურება. შინ მივწერ, რომ მეც ბენევენტუმს წავედი. თუ ბერძენს პრეფექტისთვის უკვე შეუტყობინებია, მაშინ მე გამოვუცხადებ, რომ კროტონი მოვკალ და რომ ხელი იმან მომტეხა. ასე ჰქენით მამაჩემისა და დედაჩემის აჩრდილთა გულისთვის. აქ დარჩენა უშიშრად შეგიძლიათ- თქვენს თავზე ერთი ღერი თმაც არ შეირხევა. ბერძენი ჩქარა მომგვარეთ. იმას ჰქვია ხილონ ხილონიდი.

– მაშ შენთან გლავკოსი და ქვრივი დარჩებიან, ორივ მოგივლიან.

ვინიციუსმა უფრო შეიკრა წარბები.

– მე მოვალე ვარ, მადლობა გითხრა, კეთილ და პატივისცემის ღირს კაცად მიმაჩნიხარ, მაგრამ იმას არ მეუბნები, რასაც გულში გრძნობ. გეშინია, მონები არ დავიბარო და ლიგიას მოტაცება არ ვუბრძანო? ასე არ არის?

– აგრეა.- მკაცრი კილოთი უპასუხა კრისპმა.

– ყურად იღე, რომ ხილონს თქვენთან დავუწყებ ლაპარაკს და თქვენი თანდასწრებითვე დავწერ შინ წერილს, რომ მე სხვაგან წავედი. შემდეგშიაც უთქვენოდ არავითარ განკარგულებას არ მოვახდენ. იფიქრე ეს და ნუღარ გამაგულისებ.

აღელდა, სახე მრისხანებამ დაუმანჭა და გაშმაგებით განაგრძო:

– ნუ გგონიათ, დავფარო, რომ აქ დარჩენა იმიტომ მინდა, ლიგიას ვხედავდე. ამას ყველა სულელი მიხვდებოდა, თუნდაც მე დავმალო, მაგრამ ძალით მისი დაპატრონება აღარა მსურს. ზომ რამესაც გეტყვი: თუ ლიგია აქ არ დარჩება, ჩემი საღი ხელით სახვევს მოვიძრობ, არცა ვჭამ, არცა ვსვამ. მერე ჩემი სიკვდილი თქვენს კისერზე იყოს. იარები რად შემიხვიეთ, რატომ არ უბრძანე, მოვეკალი?

ბრაზისა და სისუტისაგან გაფითრდა. ლიგიას მისი ლაპარაკი მეორე ოთახში ესმოდა. რადგან დარწმუნებული იყო, რასაც ვინიციუსი ამბობდა, შეასრულებდა კიდევ, ამიტომ მისმა სიტყვებმა შეაშინეს. დაკოდილმა და უიარაღომ შიში კი არა, სიბრალული აღუძრა. რაც გამოიქცა, იმას აქეთ იმათთან ცხოვრობდა, ვინც მუდამ რელიგიური აღგზნებით იყო მოცული და მხოლოდ თავის

განწირვაზე და უსაზღვრო სიკეთეზე ფიქრობდა. ლიგიაც ამ ახალი რჯულით იქამდე გაიმსჭვალა, რომ იგი შეიქნა მის გულში სანაცვლო სახლისაც, ოჯახისაც, დაკარგული ბედნიერებისაც. ერთ-ერთ ქრისტიან ქალად იქცა, რომელთაც შემდეგში ქვეყნიერების ძველი სული განაახლეს. ვინიცუსმა მეტად დიდი გავლენა იქონია მის ბედზე, მის ცხოვრებაზე, ამიტომაც ლიგიასათვის ძნელი იყო მისი დავიწყება. ლიგია მასზე მთელი დღეები ფიქრობდა და არა ერთხელ შევედრებია ღმერთს-მისთანა დღე გამითენე, რომ შევიძლო ბოროტების წილ კეთილი მივაგო, დევნის წილ გულკეთილობით ვუპასუხო, მოვდრიკო იგი, ჭეშმარიტ გზაზე მოვაქციო და ვისხნაო. ახლა ეგონა, რომ სწორედ ასეთი დღე დადგა, უფალმა შეისმინა მისი ლოცვა.

შთაგონებული სახით კრისპთან მოვიდა და ისე დაიწყო ლაპარაკი, თითქოს მისი ბაგით ზეციური ხმა ლაპარაკობს:

– კრისპ, დეე ჩვენთან დარჩეს, ვიდრე ქრისტე განკურნავს.

ძველმა პრესვიტორმა, ყველაფერში ღვთიური ჩაგონების ძიებას ჩვეულმა, იფიქრა: იქნება ლიგიას ბაგით ზენაარი ძალა ლაპარაკობსო და ჭაღარა თავი ჩაჰკიდა.

– ისე იყოს, როგორც შენ ამბობ.

ვინიციუსი ამ დროს თვალს არ აშორდებდა ლიგიას. კრისპის მორჩილებამ მასზე უცნაური და ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. მას ეჩვენა, რომ ლიგია ქრისტიანებს შორის რაღაც სიბილას ანუ ქურუმი ქალის როლს თამაშობდა, მას დიდება და თაყვანისცემა ერტყა გარს. და უნებლიეთ თვითონაც ისეთივე პატივისცემით გაიმჭვალა, რომ მის სიყვარულს ახლა რაღაც კრთომა შეუერთდა და ლამის თვითონ სიყვარულიც ახლა კადნიერებად ეჩვენა. ვერც იმ აზრს შეგუებოდა, რომ მათი დამოკიდებულება შეიცვალა, რომ ახლა ლიგია კი არ არის ვინიციუსის ნებაზე დამოკიდებული, არამედ თვითონ ემორჩილება ქალს. იგი ავადმყოფი წევს, დასახიჩრებული, რაკი ძალა დაკარგა, რაღაც უიარაღო ბავშვსა ჰგავს და ლიგიაა მისი მფარველი. ამაყი და თავისნება კაცი იყო და ასეთი განწყობილება ვინმე სხვასთან თავის დამდაბლებად მოჩვენებოდა, მაგრამ ლიგიას მიმართ კი მადლობას გრძნობდა: ეს გრძნობანი მისთვის უცნობნი იყვნენ და ერთი დღის წინ გონებაში ვერ გაიტარებდა; ახლაც თავზარს დასცემდნენ, რომ მათთვის ანგარიშის გაწევა შეძლებოდა. მაგრამ ახლა როდი კითხულობდა, რად იყო ასე, თითქოს ბუნებრივ საქმედ ეჩვენებოდა და მხოლოდ უხაროდა, რომ აქ რჩებოდა.

უნდოდა, ლიგიასთვის მადლობა ეთქვა და კიდევ რაღაც სხვა გრძნობაც გამოეხატა, მისთვის იმდენად უცნობი, რომ ვერც კი შეეძლო იმ გრძნობისათვის სახელი დაერქმია, იმიტომ, რომ ეს იყო მხოლოდ უბრალო მორჩილება. სიხარულმა ძალ-ღონე იმდენად გამოაცალა, რომ ლაპარაკის თავი აღარ ჰქონდა და ლიგიას მადლობა მხოლოდ თვალებით უთხრა. მადლობელი

იყო, რომ მასთან რჩებოდა და შეეძლო ხვალ, ხვალზევით და იქნება დიდხანს ეცქირა მისთვის. მართალია, ამ სიხარულს მონაპოვრის დაკარგვის შიშიც ერეოდა, - შიში იმდენად ძლიერი, რომ როდესაც ლიგიამ ხელახლა წყალი მიუტანა და წამით ძალზე მოეწადინა, ხელი ეტაცნა ქალისათვის-შეეშინდა; შეეშინდა ვინიციუსს- კეისრის ნადიმზე ძალით ტუჩებში რომ კოცნიდა ლიგიას, ხოლო მისი გაქცევის შემდეგ თავს რომ აღუთქვა, საწოლ ოთახში თმით შევათრევ, ანდა მაგრად გავაწკეპლინებო.

თავი მეორე

ვინიციუსს ეშინოდა, ვინმეს უდროო შემწეობას მისი სიხარული არ დაერღვია. ხილონს შეეძლო ვინიციუსის დაკარგვა ქალაქის პერფექტისათვის შეეტყობინებინა, მაშინ ვიგილები აუცილებლად მოვიდოდნენ. მართალია, ყმაწვილ კაცს მოაფიქრდა, რომ შეიძლებოდა ებრძანებინა, ლიგია დაეჭირათ და მის სახლში ჩაეკეტნათ, მაგრამ მაშინვე იგრძნო, ასე მოქცევა არ შემიძლია და არც მეკადრებაო. თავნება კაცი იყო, თავის მოიმედე და საკმაოდ წამხდარი, მაგრამ არც ტიგელინუსობას იკისრებდა და არც ნერონობას. სამხედრო სამსახურის მეოხებით გარკვეული სამართლიანობა ჰქონდა ჩაგონებული, ესმოდა, რომ ისეთი საქციელი საზარელი არამზადობა იქნებოდა. იქნება ეს საღ-სალამათს მოემოქმედნა გაბრაზების ჟამს, მაგრამ ახლა გრძნობააშლილი და ავადყოფი იყო; მხოლოდ ის უნდოდა, მასა და ლიგიას შუა არავინ ჩაჩხირულიყო.

გაკვირვებით შენიშნა, რომ იმ წამიდან, რაც ლიგიამ მისი მხარე დაიჭირა, არც თვითონ ლიგიამ, არც კრისპმა მისგან არავითარი აღთქმა არ მოითხოვეს, თითქოს დარწმუნებული იყვნენ, გაჭირვების ჟამს ზესთაბუნებრივი ძალა გვიხსნისო. მას აქეთ, რაც ვინიციუსმა ოსტრანიუმში ქადაგება და მოციქულის ნაამბობი მოისმინა, მის გონებაში შესაძლებელი შეუძლებელს შეერწყო, თითქმის იმასაც კი ფიქრობდა, შეიძლებოდა ნამდვილადაც ასე იყოსო. გონს რომ მოვიდა, იქ მყოფთ ბერძენზე ნათქვამი მოაგონა და ხელახლად მოითხოვა ხილონი მომიყვანეთო.

კრისპი დათანხმდა და გადაწყვიტეს, ბერძენთან ურსუსი გაეგზავნათ. ვინიციუსმა დაწვრილებით უამბო ლიგიელს, სად ცხოვრობდა ხილონი, ფირფიტაზე რამდენიმე სიტყვა დაწერა და კრიპს მიმართა:

– მე ფირფიტას იმიტომ ვუგზავნი, რომ ეჭვიანი და გაიძვერა კაცია. ხშირად უბრძანებია, რომ ჩემი კაცებისთვის ეთქვათ, შინ არ არისო. თუ კარგი ამბები არა ჰქონდა სათქმელი, ჩემი რისხვისა ეშინოდა.

– ოღონდ ვიპოვო, თორემ წამოსვლა ენდომება თუ არა, უეჭველად მოვიყვან, – უპასუხა ლიგიელმა, მოსასხამი აიღო და საჩქაროდ შინიდან გავიდა.

რომში ვისიმე პოვნა ადვილი არ იყო, თუნდაც რომ დაწვრილებითი მითითებანი ჰქონოდა კაცს; ურსუსს კი ასეთ შემთხვევაში ალღო შველოდა, რადგან ტყეში ცხოვრებას იყო ჩვეული. ქალაქისაც კარგი მცოდნე იყო, ისე რომ ხილონის სადგომში მალე გაჩნდა.

ბერძენი მაინც ვერ იცნო. მარტო ერთხელ ჰყავდა ნანახი, ისიც ღამით. თანაც ის მედიდური და თავდაჯერებული მოხუცი, რომელმაც გლავკოსის მოკვლა უბრძანა, ისე არა ჰგავდა ამ ორად მოკეცილ ბერძენს, ვერავინ წარმოიდგენდა, ერთი და იგივე კაციაო. ხილონმა შეამჩნია, ურსუსმა

უცნობ კაცად მიმიღოო. პირველი შიში გადაიყარა, ხლო ვინიციუსის ფირფიტამ უფრო მეტად დაამშვიდა. ის მაინც იყო, რომ ეჭვი არ ექნებოდათ, ვითომც ახალგაზდა ტრიბუნი ბერძენმა გააბა მახეში. თუმცა იფიქრა, ქრისტიანებმა ვინიციუსი იმიტომ არ მოკლეს, რომ ასეთი სახელოვანი კაცისთვის ხელის შეხება ვერ გაბედესო.

„საქმე თუ გაჭირდა, ვინიციუსი მეც დამიფარავს, – იფიქრა ბერძენმა, – იმიტომ ხომ არ მეძახის, იქ მომკლან“.

სიმამაცე მოიკრიბა და ურსუსს ჰკითხა:

– კეთილი კაცო, განა ჩემმა მეგობარმა კეთილშობილმა ვინიციუსმა ტახტრევანი არ გამომიგზავნა? ფეხები დამისივდა და ეგრე შორს წამოსვლა არ შემიძლია.

– არ გამოუგზავნია, - უპასუხა ურსუსმა, – ფეხით წავალთ.

– მე რომ უარი ვთქვა?

– მაგას ნუ იზამ, იმიტომ რომ უნდა წამოხვიდე.

– დიახ, წამოვალ, ჩემი საკუთარი ნებით წამოვალ. თუ არა, ვის შეუძლია ძალა დამატანოს? მე თავისუფალი კაცი ვარ და ქალაქის პრეფექტიც ჩემი მოკეთეა. ბერძენი ვარ და რამდენიმე საშუალება ვიცი ძალადობის წინააღმდეგ, შემიძლია ადამიანი ცხოველად ან ხედ გადავაქციო, მაგრამ წამოვალ... წამოვალ! მხოლოდ უფრო თბილ მოსასხამს და კაპიშონს ავიღებ, რომ იმ უბნის მონებმა არ მიცნონ, თორემ ყოველ ნაბიჯზე შემაყენებენ და ხელების კოცნას დამიწყებენ.

სხვა მოსასხამი წამოიხურა, თავი გალური კაპიშონით დაიფარა, რა არის, სინათლეზე რომ გავიდოდნენ, ურსუსს არ ეცნო.

– სად მიგყავარ?-გზაში ჰკითხა ლიგიელს.

– ტიბრს გაღმა უბანში.

– დიდი ხანი არ არის, რაც რომში მოველ, იმ უბანში არაოდეს არა ვყოფილვარ. მაგრამ, უეჭველია, კეთილის მიმდევარი ხალხი იქაც ცხოვრობს.

მაგრამ ურსუსი გულუბრყვილო კაცი იყო, ვინიციუსის ნათქვამიდან იცოდა, რომ ბერძენი მასთან ერთად სასაფლაოზე იყო, მერე ისიც ნახა, ისა და

კროტონი როგორ შევიდნენ იმ სახლში, სადაც ლიგია ცხოვრობდა. ბერძნის ნათქვამზე ერთ წამს შეჩერდა და უთხრა:

– ნუ ცრუობ, მოხუცო, დღეს შენ და ცინიციუსი ერთად არ იყავით ოსტრანიუმში და მერე ჩვენი სახლის ჭიშკართან?

– ჰოო! მაშ თქვენი სახლი ტიბრს გაღმა არის? დიდი ხანი არ არის, რაც რომში ვარ, არ ვიცი, რომელ უბანს რა სახელი ჰქვია. დიახ, ჩემო მეგობარო! მე თქვენს ჭიშკართან ვიყავ და სათნოებას ვაფიცებდი ვინიციუსს, შიგ არ შესულიყო. ოსტრანიუმშიც ვიყავ, მაგრამ იცი რადა? ეს რამდენიმე ხანია ვცდილობ, ვინიციუსი მოვაქციო, მინდოდა, დიდი მოციქულის სიტყვა მოესმინა, შეაშუქოსმცა სინათლემ მის სულში, აგრეთვე შენშიაც! შენ ხომ ქრისტიანი ხარ და გსურს ჭეშმარიტებამ სძლიოს სიცრუეს?

– დიახ, – მორჩილებით უპასუხა ურსუსმა.

ბერძენს მთელი მამაცობა დაუბრუნდა.

– ვინიციუსი შემძლებელი კაცია და კეისრის მეგობარიც არის, – თქვა მან, – ჯერ კიდევ ხშირად ეძლევა ბოროტი სულის გავლენას, მაგრამ მის თავზე ერთი ღერი თმაც რომ შეირხეს, კეისარი მთელ ქრისტიანებზე შურს იძიებს.

– ჩვენ უფრო მეტის შემძლებელი ძალა გვიცავს.

– მართალია, მართალი, მაგრამ რას უპირებთ ვინიციუსს? - ისევ მოუსვენრობამ შეიპყრო ხილონი.

– არ ვიცი. ქრისტემ გულკეთილობა გვიბრძანა.

– მშვენიერი ნათქვამია! ეგ მუდამ გახსოვდეს, თორემ ჯოჯოხეთის ცეცხლი არ აგცდება და ისე შეიხრაკები, როგორც ტაფაში ნაწლავი.

ურსუსმა ამოიოხრა, ხოლო ხილონმა იფიქრა, აბობოქრების ჟამს ეს კაცი საშიშია, მაგრამ ისე კი საითაც მოვისურვებ, იქით მივაქცევო. და რაკი სურდა გაეგო, რა მოხდა ლიგიას მოტაცების დროს, მკაცრი მსაჯულის კილოთი დაკითხვა განაგრძო.

– რა დამართეთ კროტონს? მიპასუხე და სიმართლეს ნუ დამალავ.

– მაგას ვინიციუსი გეტყვის.

– ეგ იმას ნიშნავს, რომ შენი დანა ჩაარტყი ან ჯოხით მოკალ?

– უიარაღო ვიყავ.

ხილონს არ შეეძლო გაოცება არ გამოეხატა ბარბაროსის არაადამიანური ღონის გამო.

– პლუტონმა კი წაგიღოს! ესე იგი, მინდოდა მეთქვა: ქრისტემ გაპატიოს-მეთქი.

რამდენიმე ხანმა დუმილში გაიარა, შემდეგ ხილონმა უთხრა ლიგიელს:

– არ გაგცემ, ვიგიელებისა ნუ გეშინია.

– მე ქრისტესი მეშინია, ვიგიელებისა კი არა.

– მართალია! მკვლელობაზე დიდი ცოდვა არა არის რა. მე ვილოცებ შენთვის, მაგრამ არ ვიცი, ჩემი ლოცვა გიშველის თუ არა; მაგრამ იქნება იმ შემთხვევაში მაინც გიშველოს, თუ აღთქმას დადებ-ჩემს სიცოცლეში თითსაც არავის დავაკარებო.

– განზრახ ისეც არავინ არასოდეს არ მომიკლავს, – მიუგო ურსუსმა.

ხილონს მაინც უნდოდა ყველა შემთხვევისგან უზრუნველეყო თავი. ურსუსის საქციელის გაკიცხვას არ იშლიდა და ცდილობდა, აღთქმის დადებაზე დაეყოლებინა. ვინიციუსის ამბავსაც ეკითხებოდა,

მაგრამ ლიგიელი უგულოდ პასუხობდა და სულ იმას უმეორებდა, თვითონ ვინიციუსისაგან შეიტყობ, რაც საჭიროა რომ იცოდეო. მთელი ის დიდი მანძილი, ბერძნის სახლიდან ტიბრს გარეთ მდებარე ქალაქის ნაწილამდე ამგვარი ლაპარაკით გაიარეს. ხილონს გული ხელახლა მოუსვენრად აუძგერდა. შიშის გამო მოეჩვენა, რომ ურსუსმა მხეცივით დაუწყო ცქერა. „ჩემთვის ვერაფერი ნუგეშია, – ფიქრობდა ის, – რომ ამან წინასწარი განზრახვის გარეშე მომკვლას; ყოველ შემთხვევაში, ვამჯობინებდი, რომ იმასაც და ყველა ლიგიელსაც დამბლა დასცემოდა... ჰოი, ზევსო! ჰქმენი ეს, თუ შეგიძლია!“ თავის გალურ მოსასხამში უფრო ბეჯითად გაეხვია, თან გაიძახოდა, სიცივისა მეშინიაო. მივიდნენ, დერეფანი და პირველი ეზო გაიარეს და ბაღისკენ მიმავალ ტალანში შევიდნენ, ხილონი უცებ შედგა და უთხრა:

– სული ამომათქმევინე, თორემ ვინიციუსთან ლაპარაკისა და სულის საცხონებელი რჩევის მიცემის ღონე აღარ მექნება.

იგი შეჩერდა და თუმცა კი სჯეროდა, არავითარი საშიშროება არ მემუქრებაო, მაინც რაკი მალე ოსტრანიუმში ნანახ საიდუმლოებრივ ხალხს შუა უნდა მოქცეულიყო, ფეხი აუკანკალდა. სახლიდან რაღაც გალობის ხმა მოესმოდა.

– ეს რა არის?-ჰკითხა მან ურსუსს.

– იძახი, ქრისტიანი ვარო და ის კი არ იცი, რომ ჭამის შემდეგ წესად გვაქვს, მაცხოვარი ვადიდოთ, – მიუგო ლიგიელმა, – მარიამი და მისი შვილი, ჩანს, დაბრუნებულან, იქნება მოციქულიც მოჰყვა, რადგან იგი ქვრივს და კრიპს ყოველდღე მოინახულებს ხოლმე.

– პირდაპირ ვინიციუსთან მიმიყვანე.

– ვინიციუსი იმავე ოთახშია, საცა ყველანი არიან. აქ სულ ერთი დიდი ოთახია, დანარჩენები ბნელი კუბიკულუმებია, სადაც დასაძინებლად შევდივართ ხოლმე. შედი, იქ დაისვენებ.

შევიდნენ, ოთახში ბნელოდა, ზამთრის ნისლიანი საღამო იყო, ხოლო რამდენიმე სანათურის ალი სიბნელეს მთლად ვერ მორეოდა. ვინიციუსმა უფრო იგრძნო ხილონის მოსვლა, ვიდრე მოსასხამში გახვეული ბერიკაცი იცნო ხოლო ხილონმა დაინახა თუ არა კუთხეში ლოგინში მწოლიარე ვინიციუსი, სხვებს არავის მიაპყრო ყურადღება, პირდაპირ მისკენ გაეშურა. დარწმუნებული იყო, იქ უფრო უშიშრად იქნებოდა.

– ვაჰ, ბატონო! რატომ ჩემს რჩევას არ მიჰყვები, – შესძახა გულხელდაკრეფილმა ბერძენმა.

– დაჩუმდი და ყური დამიგდე!-უთხრა ვინიციუსმა.

ხილონს თვალებში მკაცრად შეხედა და წყნარად, მძიმე-მძიმედ დაელაპარაკა, თითქოს უნდოდა, ყველა მის სიტყვას ბრძანების მნიშვნელობა ჰქონოდა და ხილონს მეხსიერებაში სამუდამოდ დარჩენოდა.

– კროტონი მომვარდა, უნდოდა, მოვეკალი და გავეძარცვე. გესმის? იტომაც მოვკალ. ამ ხალხმა კი ჭრილობა შემიხვია. კროტონმა ბრძოლის დროს დამჭრა.

ხილონი მაშინვე მიხვდა, ვინიციუსი ამას ქრისტიანებთან დადებული რაიმე პირობის ძალით ამბობს და სურს, ნათქვამი დაუჯერონ. ეს იმან ვინიციუსის სახის გამომეტყველებით გაიგო და იმწამსვე, ეჭვისა და გაოცების გამოუხატავად, თვალები ზე აღაპყრო და უპასუხა:

– ნამდვილი არამზადა იყო, ბატონო! აკი გაფრთხილებდი კიდეც, მაგას ნუ ენდობი-მეთქი. რამდენს არ ვასწავლიდი, მაგრამ რად გინდა, შეაყარე კედელს ცერცვი. მთელ ჰადესში მისთვის შესაფერი ტანჯვა არ მოიძებნება. ვინაიდან ვისაც კარგ კაცად ყოფნა არ შეუძლია, იგი არამზადა უნდა იყოს, მერე კაიკაცობა ვისთვის არის ძნელი, თუ არა მხოლოდ არამზადისთვის. თავს დაესხა კეთილისმყოფელსა და უხვ ბატონს! ჰოი, ღმერთებო!

აქ მოაგონდა, რომ გზაში ქრისტიანად მოჰქონდა თავი და დადუმდა.

ვინიციუსმა დაუმატა:

– სიკა რომ თან არა მქონოდა, მომკლავდა.

– კურთხეულ იყოს წამი, როდესაც ხანჯლის წამოღება გირჩიე.

ვინიციუსმა გამომცდელი თვალები მიაპყრო ბერძენს და ჰკითხა:

– დღეს რა გააკეთე?

– როგორ თუ რა? განა არ მიბრძანე, შენთვის მელოცნა?

– მეტი არაფერი?

– ის იყო, ვაპირდებდი შენი ამბავი გამეგო, როდესაც ეს კეთილი კაცი მოვიდა და მითხრა, გიბარებსო.

– აი ფირფიტა. ჩემსას წახვალ, ჩემს აზატს მოძებნი და ამ ფირფიტას მისცემ. აქ წერია, რომ მე ბენევენტუმში წავედი. შენდა თავადაც უთხარ დე-მასს, რომ დღეს დილით გავემგზავრე, რადგან

პეტრონიუსმა დაბეჯითებით დამიბარა.-და ხაზგასმით გაიმეორა:-წავე-დი ბენევენტუმში, გესმის?

– წახვედი, ბატონო, დილით Porta Cepena-სთან გამოგეთხოვე. ხოლო შენი წასვლის წამიდან ისე დავნაღვლიანდი, რომ თუ შენმა სულგრძელო-ბამ არ მიწამლა, ნაღველი სიკვდილამდე მიმიყვანს, როგორც ძეთოსისის ცოლი მოინელა იტილოსის ჯავრმა.

ვინიციუსმა, თუმცა ავად იყო და ბერძნის ხერხიანობას შეჩვეული, მაინც ღიმილი ვერ შეიკავა. გაუხარდა, ხილონი მიმიხვდაო და თქვა:

– აქ მივაწერ, რომ ცრემლები მოგწმინდონ. სანათური მომანათე.

ხილონი მთლად დამშვიდდა, ადგა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა ბუხრის-კენ და ერთი სანათური აიღო.

ამ დროს კაპიშონი თავიდან ჩამოვარდა და სინათლემაც პირდაპირ სა-ხე გაუნათა. სკამზე მჯდარი გლავკოსი წამოხტა და სწრაფად წინ დაუდგა.

– ვერ მიცანი, კიფა? – ჰკითხა მან.

ისეთი საზარელი ხმით იკითხა ეს, რომ იქ მყოფნი შეკრთნენ.

ხილონმა სანათური აიღო, მაგრამ მაშინვე ხელიდან გაუვარდა და და-ივვნესა:

– მე არა!.. მე არა! შემიბრალე!

გლავკოსი ინახად მსხდომთ მიუბრუნდა და თქვა:

– აი ის კაცი, რომელმაც გამცა და ცოლ-შვილიანად დამღუპა.

მისი ამბავი ყველა ქრისტიანს გაგებული ჰქონდა. ვინიციუსმაც იცოდა და მხოლოდ იმიტომ ვერ მიხვდა, ვინ იყო გლავკოსი, რომ იარების შეხვევის დროს ტკივილებისა და გულშეღონების გამო იმისი სახელი ვერ გაიგონა. ურსუსზე ამ მოკლე წამმა და გლავკოსის სიტყვებმა ისე იმოქმედეს, თითქოს წყვდიადი ელვამ გაუნათაო. ხილონი იცნო, ერთი სკუპით გვერდში ამოუდგა, მხრებში სწვდა, უკან გადახარა და დაიყვირა:

– აი, ეს მაქეზებდა გლავკოსი მოკალო!

– შემიბრალეთ! – აწუწუნდა ხილონი, – მე მოგცემთ... ბატონო! – დაუყვირა ვინიციუსს, დამიფარე!

შენ მოგენდევი, წამესარჩლე. შენს წერილს... წავიღებ... ბატონო! ბატონო!

მაგრამ ვინიციუსმა, რომელიც ამ ამბავს ყველა იქ მყოფზე უფრო გულგრილად უცქეროდა, ერთი იმიტომ, რომ ბერძნის საქმეებს ცოტად თუ ბევრად იცნობდა, და მერე კიდევ იმიტომ, რომ შებრალება მისთვის უცხო იყო, წარმოთქვა:

– ბაღში ჩამარხეთ ეგ! წერილს სხვა ვინმე წაიღებს.

ეს სიტყვები ხილონს უკანასკნელ განაჩენად ეჩვენა. მის ძვლებს ურსუსის საშინელმა ხელებმა ხრაშახრუში დაუწყეს. ტკივილისგან თვალში ცრემლი მოუვიდა.

– თქვენი ღვთის გულისათვის!-ემუდარებოდა იგი, – მე ქრისტიანი ვარ! Pax vobiscum! მე ქრისტიანი ვარ, და თუ არ მერწმუნებით, ხელმეორედ მომნათლეთ, მესამედ, კიდევ ათჯერ, გლავკოს! ეს შეცდომაა! ნება მომეცით, გითხრათ! მონად მიმეცით ვინმეს! ნუ მომკლავთ! შემიბრალეთ!

ხმა თანდათან დაუსუსტდა. სუფრიდან მოციქული პეტრე წამოდგა. ერთ წამს ჭაღარა თავი ააკანტურა. თვალები დახუჭული ჰქონდა, შემდეგ გაახილა და სრულ სიჩუმეში თქვა:

– მაცხოვარმა გვითხრა ჩვენ: „უკეთუ შეგცოდოს შენ ძმამან შენმან, მიეედ და ამხილე მას, რაჟამს შენ და იგი ხოლო ორნი იყვნეთ. უკეთუ ისმინოს შენი, შეიძინო ძმაი იგი შენი“.

უფრო დიდი სიჩუმე ჩამოვარდა.

გლავკოსი დიდხანს იდგა სახეზე ხელებმიფარებული, ბოლოს ხელები ძირს ჩამოუშვა და თქვა:

– კიფა, ღმერთმა შეგინდოს დანაშაული, როგორც მე ქრისტეს სახელით მიპატიებია შენთვის.

ურსუსი ჩამოეცალა ბერძენს და დაუმატა:

– მაცხოვარმა შემინდოს მე, როგორც შენთვის შემინდვია.

ხილონი ძირს დაეცა და მიწაზე ხელებდაბჯენილი მახეში გაბმული ნადირივით, თავს აქეთ-იქით ატრიალებდა, თვალებს აცეცებდა, თითქოს უნდოდა დაენახა, რომელი მხრიდან მოდისო სიკვდილი. ყურს და თვალს ჯერაც არ უჯერებდა, პატიების იმედი არ ჰქონდა, მაგრამ ცნობიერება თანდათან დაუბრუნდა, მხოლოდ გალურჯებული ტუჩები შიშისაგან ჯერაც უთრთოდა. მაშინ მოციქულმა უთხრა:

– წარვედ მშვიდობით!

ხილონი ადგა, მაგრამ ლაპარაკი კი მაინც არ შეეძლო. უნებლიეთ ვინიციუსის საწოლს მიუახლოვდა, თითქოს ჯერაც მის წასარჩლებას ითხოვსო. ჯერაც ვერ მოესაზრა, რომ, თუმცა ვინიციუსს ემსახურებოდა და მისი საქმის მოზიარეც იყო, სწორედ იმან განუჩინა სასჯელი, მაშინ როდესაც ვის წინააღმდეგაც ჩალიჩობდა, იმათ აპატიეს. ეს აზრი შემდეგ უნდა სწვეოდა, ახლა თვალებში მხოლოდ გაოცება და უნდობლობა აღბეჭდოდა. თუმცა გაიგო, რომ აპატიეს, მაინც სურდა ამ გაუგებარ ხალხს, რაც კი შეიძლებოდა, ჩქარა გაქცეოდა; მათი გულკეთილობა ისევე აშინებდა, როგორც ულმობელობა დასცემდა თავზარს. ისე ეგონა, თუ კიდევ დიდხანს დავრჩი, ისევ არაჩვეულებრივი რამ მოხდებაო. ვინიციუსს ხმაჩაწყვეტილმა უთხრა:

– წერილი მომეც, ბატონო!

ვინიციუსმა რომ ფირფიტა მიაწოდა, ხელიდან გამოსტაცა, ჯერ ქრისტიანებს დაუკრა თავი, მერე ავადმყოფს და კედელ-კედელ გავიდა გარეთ.

ბაღში სიბნელე იყო და შიშისაგან თმა ისევ ყალყზე დაუდგა. დარწმუნებული იყო, ურსუსი გამოჰყვებოდა და მოკლავდა. გაიქცეოდა, მაგრამ ფეხები არ ემორჩილებოდნენ, რამდენიმე წუთის შემდეგ გონება მთლად დაკარგა, რადგან ურსუსი მართლაც თავს წამოადგა.

ხილონი მიწაზე დაემხო და წაილუღლუღა:

– ურბანუს...ქრისტეს გულისთვის...

ურსუსმა მიუგო:

– ნუ გეშინია. მოციქულმა მიბრძანა, ჭიშკრამდე მიგაცილო, რომ სიბნელეში გზა არ დაგებნეს, და თუ დასუსტებული ხარ სახლამდეც მიგიყვანო.

ხილონმა თავი მაღლა აიღო.

– რას მეუბნები, რას?...არ მომკლავ?

– არა, არ მოგკლავ, და თუ მხრებში მაგრად მოგიჭირე და ძვლები გატკინე, მაპატიე.

– ადგომა მიშველე, – უთხრა ბერძენმა. – არ მომკლავ? ჰოო? ქუჩამდე მიმიყვანე, მერე კი მარტო წავალ.

ურსუსმა მიწიდან ბუმბულსავით აიტაცა, ფეხზე დააყენა, ბნელი გასასვლელით ეზოში გაიყვანა.

ტალანში ხილონმა კიდევ წაიბუტბუტა: „ახლა კი დავიღუპეო“ და ურსუსს უთხრა:

– მე თვითონ წავალ.

– მშვინდობა შენდა!

– შენდაც მშვიდობა!..ერთი ამომასუნთქებინე!

ურსუსს რომ გაშორდა, მართლაც თავისუფლად ამოისუნთქა, მკერდზე, თეძოებზე ხელი მოისვა, თითქოს უნდოდა დარწმუნებულიყო, მართლა ცოცხალია თუ არა, და ჩქარი ნაბიჯით ქუჩაზე დაეშვა.

რამდენიმე ნაბიჯი რომ გაიარა, შედგა და თქვა:

– მაინც რატომ არ მომკლა?

მიუხედავად იმისა, რომ ევრიციუსთან ულაპარაკნია ქრისტიანობის თაობაზე, მდინარესთან ურსუსთანაც იმუსაიფა, ბევრი რამ ნახა ოსტრანიუმში – ხილონმა ამ კითხვაზე პასუხი მაინც ვერ იპოვა.

თავი მესამე

ვინიციუსიც ვერ გარკვეულიყო, მომხდარი ამბავი ვერ გაეგო და ხილონზე არანაკლებ იყო გაკვირვებული. ეს ხალხი იმასაც ისევე მოექცა, როგორც ხილონს, და იმის ნაცვლად, რომ თავდასხმისათვის სამაგიერო გადაეხადათ, ჭრილობები მზრუნველობით შეუხვიეს. ამას ვინიციუსი ცოტაოდნად იმათ რჯულს აწერდა, უმეტესად კი ლიგიას გავლენასა და მცირეოდნად თავის სახელს. ხილონისადმი მოპყრობამ მთლად მოუშალა დანაშაულის პატიების საზღვრები. უნებლიეთ ფიქრობდა, ბერძენი რატომ არ მოკლესო? ვერავინ დასჯიდა მათ. ურსუსი ბაღში ჩამარხავდა ან ღამე ტიბრში ჩააგდებდა. თვითონ კეისრისაგან ნამოქმედარი ღამის ყაჩაღობა ხშირი იყო, მდინარე იმდენ გვამებს გამორიყავდა ხოლმე, რომ არავინაც არ იძიებდა,

თუ იმდენი დამხრვჩვალი საიდან მოდიოდა. ამასთან, ვინიციუსის აზრით, ქრისტიანებს არათუ შეეძლოთ, არამედ კიდეც უნდა მოეკლათ ხილონი. ახალგაზრდა პატრიცის საზოგადოებისათვის არ იყო უცხო გულკეთილობა. ათენელებმა სამსხვერპლოც კი აუშენეს ლმობიერებას და დიდხანს წინააღმდეგნი იყვნენ, ათენში გლადიატორის პაექრობა გაემართათ. მოხდებოდა ხოლმე, რომ რომში დამარცხებულნიც პატიებას მიიღებდნენ ხოლმე. ასე შეიწყალეს კალიკრატე, ბრეტონთა მეფე, კლავდიუსის დროს ტყვედ წამოყვანილი. შემდეგში იმპერატორმა უხვად დაასაჩუქრა და კალიკრატე რომში თავისუფლად ცხოვრობდა. მაგრამ პირადი შეურაცყოფისათვის შურისძიება, როგორც ვინიციუსს, ისე სხვას ყველას, სამართლიან და კანონიერ საქციელად მიაჩნდა; და ამ

შურისძიების უარყოფა იმის ბუნებას ვერ ეგუებოდა. ვთქვათ ოსტრანიუმში გაიგონა, მტრებიც უნდა გიყვარდეს, მაგრამ ეს რაღაც ცხოვრებაში გამოუყენებელ თეორიად მიაჩნდა. ახლაც იმას ფიქრობდა, ხილონი იქნებ მხოლოდ იმიტომ არ მოკლეს, რომ დღესასწაული იყო ან მთვარე ისე იდგა, როდესაც ქრისტიანებს კაცისკვლა აკრძალული აქვთ. გაგონილი ჰქონდა, წელიწადის რომელიმე დროს ზოგიერთ ხალხს ომის წარმოებაც კი აკრძალული აქვსო. ეგ კარგი, მაგრამ რატომ მართლმსაჯულებას მაინც არ ჩაუგდეს ხელში ბერძენი; მოციქულმა რადა თქვა, ვინმემ რომ შვიდჯერ დანაშაული ჩაიდინოს, შვიდჯერ უნდა ეპატიოსო. გლავკოსმა რაღაც უთხრა ხილონს, ღმერთმა გაპატიოს, როგორც მე მიპატიებია შენთვისო. ხილონმა კი უდიდესი ბოროტება დამართა მას, იმაზე მეტი ვნება აღარ იქნება. ვინიციუსმა წარმოიდგინა, თუ როგორ მოეპყრობოდა იმას, ვინც ლიგიას მოუკლავდა და გული მთლად აუფორიაქდა; განა იპოვიდა სამაგიერო ტანჯვას. გლავკოსმა კი აპატია! ურსუსმაც აპატია. იმ ურსუსმა, რომელსაც შეეძლო რომში, ვისაც მოისურვებდა, მოეკლა, თანაც სრულებით დაუსჯელად. ეს იმიტომ, რომ მისთვის საკმაო იყო ნემორის ტყის მეფე მოეკლა და მისი ადგილი დაეჭირა. განა კროტონის მძლე გოლიათს გაუჭირდებოდა ქურუმის თანამდებობის აღმსრულებელი გლადიატორის დაძლევა, რაკი ამ თანამდებობის მიღება ყველას შეეძლო, ვინც მხოლოდ წინამორბედ „მეფეს'' მოკლავდა? ყველა ამ კითხვაზე მხოლოდ ერთი პასუხი იყო: ქრისტიანები რაღაც გულკეთილობის გამო არ კლავენ. და ეს ისე დიდი გულკეთილობაა,

რომ მისი ბადალი ქვეყანაზე არა ყოფილა, ხალხის უზომო სიყვარული, რაიც ქრისტიანებს ავალებს თავის დავიწყებას,

მიყენებული წყენის დავიწყებას, საკუთარი ბედნიერებისა და უბედურების დავიწყებას და მხოლოდ სხვის გულისთვის ცხოვრებას და სიცოცხლეს. მაგრამ რა სამაგიეროს იმედი აქვს ამ ხალხს, ვინიციუსმა ოსტრანიუმში მოისმინა, მაგრამ ვერ კი გაიგო. გრძნობა უკარნახებდა, რომ ასეთი მიწიერი ცხოვრება – სხვათათვის საკუთარი სიტკბოების უარყოფა – მოსაწყენი და უვარგისი უნდა ყოფილიყო. ქრისტიანთა რჯული უკვირდა, მაგრამ ამ გაკვირვებას სიბრალულიცა და რაღაც თითქოს ზიზღის მსგავსი გრძნობაც ერთოდა. ეჩვენებოდა, ქრისტიანები ცხვრები არიან, რომელთაც, ადრე იქნება თუ გვიან, მგლები შეჭამენო. მის რომაულ ბუნებას კი არ შეეძლო იმათი პატივისცემა, ვინც შესაჭმელად მიეცემოდა ვისმე. განსაკუთრებით იმან გააკვირვა, რომ ხილონის წასვლის შემდეგ ყველა იქ მყოფთ რაღაც დიდი სიხარული გამოეხატათ სახეზე. მოციქული მივიდა გლავკოსთან, თავზე ხელი დაადო და უთხრა:

– შენში ქრისტემ გაიმარჯვა.

გლავკოსმა მაღლა ახედა. თვალებში ისეთი დიდი ნდობა, ისეთი სიხარული ედგა, თითქოს მოულოდნელი რამ ბედნიერება ეწვიაო. ვინიციუსს მხოლოდ მიზანმიღწეული შურისძიების სიხარულის გაგება შეეძლო, ამიტომ თვალდაჭყეტილი უცქეროდა მას, ეს კაცი სულელი ხომ არააო. მაგრამ მან დაინახა, რომ ლიგიამ თავისი მეფური ბაგენი იმ კაცის ხელს მიაკარა, რომელიც გარეგნობით მონასა ჰგვანდა. ვინიციუსს მთელი ქვეყნიერების წესწყობილება

დარღვეულად ეჩვენა. განრისხდა, მაგრამ რისხვა გულში ჩაიხვია. შემდეგ ურსუსი მოვიდა და უამბო, ხილონი ქუჩაში როგორ გაიყვანა და სთხოვა, მაპატიე, თუკი შენს ძვლებს რამე ვნება მივაყენეო. მოციქულმა დალოცა იგი, ხოლო კრისპმა განაცხადა, შენთვისო, ურსუს, ეს დღე დიდი გამარჯვების დღეაო. ეს რომ მოესმა ვინიციუსს მთლად თავგზა აებნა.

მაგრამ როდესაც ლიგიამ ხელახლა მოიტანა გასაგრილებელი სასმელი, ქალს ხელი დაუჭირა და უთხრა:

– მაშ, შენც მაპატიე?

– ჩვენ ქრისტიანები ვართ, გულში ბოროტს ვერ ჩავიხვევთ.

– ლიგია, – უთხრა მას ვინიციუსმა, – სადაც უნდა იყოს შენი ღმერთი, მე მას მსხვერპლს შევწირავ იმიტომ, რომ იგი შენი ღმერთია.

ხოლო ლიგიამ უთხრა:

– შენ მას მსხვერპლს გულში შესწირავ, როდესაც გაიცნობ.

– მხლოდ იმიტომ, რომ იგი შენი ღმერთია, – სუსტი ხმით გაუმეორა ვინიციუსმა.

და თვალები დახუჭა – ისევ სისუსტემ იმძლავრა მასზე.

ლიგია გავიდა, მაგრამ ჩქარა ისევ დაბრუნდა, ვინიციუსს მიუახლოვდა, მისკენ დაიხარა, რომ დარწმუნებულიყო, სძინავს თუ არაო. ვინიციუსმა მისი სიახლოვე იგრძნო, თვალები გაახილა და გაუღიმა, ხოლო ლიგიამ ქუთუთოებზე ხელი დაადო, თითქოს უნდა დააძინოსო. ვინიციუსი გამოუთქმელმა ნეტარებამ მოიცვა, მაგრამ თავი კი უფრო ცუდად იგრძნო. ღამით სიცხემ ძალიან უმატა. დაძინება ვერ შეძლო და ლიგიას ყველა მოძრაობას თვალს ადევნებდა. ხანდახან ბურანი მოიცავდა, და ამ დროს იგი ყველაფერს ხედავდა და ესმოდა, რაც მის გარშემო ხდებოდა, თუმცა ბოდვა და სინამდვილე ერთმანეთში ერეოდა. ეჩვენებოდა, რაღაც ძველ, მიტოვებულ სასაფლაოზე კოშკივით ტაძარია აღმართული და ლიგია ამ ტაძრის ქურუმიაო. თვალს არ აშორებდა ქალს, აი, ლიგია თითქოს კოშკის ბანზე ზის, ხელში ფანდური უჭირავს, მთლად სხივმოსილია და აღმოსავლეთის იმ ქურუმ ქალებს ჰგავს, ღამღამობით რომ მთვარეს ჰიმნს უმღერიან. თვითონ ძლივ-ძლივობით ადიოდა დაკლაკნილ კიბეზე, რომ ლიგია მოეტაცნა, უკან ხილონი მისდევდა. ბერძენს შიშისგან კბილები უკაწკაწებდა და ვინიციუსს უძახდა: „მაგას ნუ სჩადიხარ, ბატონო, ქურუმია, მაგიერს გადაგიხდის!“ ვინიციუსმა არ იცოდა, ვისზე ამბობდა ამას ხილონი, მაგრამ ესმოდა კი, რომ მკრეხელობას სჩადიოდა და თვითონაც უსაზღვრო შიშს

გრძნობდა. მაგრამ როდესაც კოშკის თავზე შემოვლებულ მოაჯირამდე მივიდა, უცებ ლიგიას გვერდით თეთრწვერა მოციქული დაინახა. მოციქულმა უთხრა: „ხელი არ შეახო, იგი მე მეკუთვნის“. ეს რომ თქვა, ლიგიას გაჰყვა მთვარის შუქის ზოლზე – ზეცისკენ მიმავალ გზაზე, ხოლო ვინიციუსმა მათკენ ხელი გაიწოდა და თან წამიყვანეთო, შეევედრა.

გაიღვიძა, ცნობას მოვიდა, გარემოს თვალიერება დაუწყო. მაღალ კერაზე ცეცხი ბჟუტავდა. მაინც საკმაო სინათლე იდგა ოთახში; ქრისტიანები კერას გარს უსხდნენ და თბებობდნენ. გარეთაც და შინაც საკმაოდ ციოდა.

ვინიციუსი მათ ნასუნთქ ორთქლს ხედავდა. შუაში მოციქული იჯდა, მის მუხლებთან დაბალ სკამზე ლიგია მოკალათებულიყო, შემდეგ გლავკოსი, კრისპი, მარიამი ისხდნენ, ხოლო აქეთ-იქით ერთ მხარეზე ურსუსი, მეორე მხარეზე მარიამის შვილი ნაზარი, ლამაზი სახის ყმაწვილი, რომელსაც შავი და გრძელი თმა მხრებზე სცემდა.

ლიგიას თვალები მოციქულისაკენ მიემართა და უსმენდა. სხვებიც ამას უცქეროდნენ, ხოლო მოციქული დაბალი ხმით რაღაცას ამბობდა. ვინიციუსი ბერიკაცს ცრუმორწმუნეობრივი შიშით მისჩერებოდა, თითქმის იმისთანავე შიშით რასაც ბურანში მყოფი გრძნობდა. გაიფიქრა, ბოდვის დროს ჭეშმარიტებას ჩავწვდიო, ის ჭაღარა, შორი ნაპირებიდან მოსული უცხო კაცი მართლა მართმევს ლიგიას და უცნობი გზით სადღაც მიყავსო. დარწმუნებული იყო, რომ მოხუცი მასზე ელაპარაკებოდა, იქნებ ვარაუდს გამოთქვამდა, ლიგია ვინიციუსისაგან როგორ მოეშორებინათ.

ვინიციუსი არა ფიქრობდა, რომ სხვა რაზედმე ლაპარაკი შეიძლებიდა. ღონე მოიკრიბა და პეტრეს ყური მიაპყრო. აკი შემცდარიყო, მოციქული კვლავ ქრისტეზე ლაპარაკბოდა.

„ესენი მხოლოდ მისი სახელით ცხოვრობენ“, – გაიფიქრა ტრიბუნმა.

ხოლო მოხუცი უამბობდა მსმენელთ, როგორ წაიყვანეს ქრისტე. ჯარისკაცები და მღველმთავრების მსახურნი მივიდნენ, რომ იგი წაეყვანათ, მაშინ ქრისტემ ჰკითხა, ვის ეძებთო, იმათ უპასუხეს: „იესო ნაზარეველსაო“. იესომ უპასუხა მათ: „ მე ვარო“. ისინი მიწაზე დაემხნენ და ვერ გაბედეს იესოსათვის ხელი შეეხოთ. მეორედ ჰკითხეს ვინაობა და მხოლოდ შემდეგ წაიყვანეს.

აქ მოციქული ერთ წამს გაჩუმდა, მერე ცეცხლისაკენ ხელი გაიწოდა და თქვა:

– ცივი ღამე იყო, როგორც ახლაა, მაგრამ მე კი გული ამიდუღდა: მახვილი ამოვიძრე, მინდოდა დამეხსნა იგი და მღვდელმთავრის მონას ყური ჩამოვათალე. ჩემს სიცოცხლეზე მეტად დავიცავდი, იმას რომ არ ეთქვა: „ დადევ მახვილი ქარქაშსა! სასუმელი, რომელი მომცა მე მამამან, არა შევსუაა?“ მაშინ ჯარისკაცებმა აიღეს და შეკრეს იგი.

მოციქულმა ხელები შუბლზე მიიდო და დაჩუმდა; ვიდრე ამბავს განაგრძობდა, უნდოდა, მოგონებებს გამკლავებოდა, მაგრამ ურსუსმა ვერ მოითმინა, წამოხტა, ცეცხლს ისე შეუკეთა, რომ ნაპერწკლები ოქროს წვიმად წამოვიდა და თქვა:

– რაც უნდა მომხდარიყო... მე კი...

მაგრამ ურსუსმა უცბად ხმა გაწყვიტა, როდესაც დაინახა, რომ ლიგიამ თითი ტუჩებზე მიიდო. ჩანდა, რომ სულის სიღრმემდე აღშფოთდა, და თუმცა მზად იყო მოციქულისთვის ფეხები დაეკოცნა, მაინც მისი ერთი საქციელი არ მოეწონა. ურსუსის თვლაწინ რომ ვისმე მაცხოვრისთვის ხელი შეეხო და იმ ღამეს რომ ურსუსი ქრისტესთან ყოფილიყო, დიახაც დალეწავდა მღვდელმთავართა მთელ კრებულს! ამ აზრმა ლიგიელს მწუხარებისა და ღელვისაგან თვალზე ცრემლი მოგვარა. არათუ თვითონ დაიცავდა მაცხოვარს, საშველად რჩვეულ ლიგიელ ვაჟკაცებს მოუხმობდა, მაგრამ ეს ხომ ურჩობა იქნებოდა, და ურსუსი მაცხოვარს ქვეყნიერების გამოხსნას დაუშლიდა.

ამიტომაც ცრემლი ვერ შეიკავა.

პეტრემ შუბლიდან ხელი ჩამოიღო და ამბავი განაგრძო. ვინიციუსი ისევ ბურანში წავიდა. რაც

ახლა გაიგონა, იმას შეერთო წუხელ ოსტრანიუმში მოციქულისაგან ნათქვამი, ქრისტეს ტიბერიადის ტბის ნაპირზე გამოცხადება. ვაჟის თვალებს წარმოუდგა ფართო წყლის ღვარი, მებადურთა ნავი, ამ ნავში პეტრე და ლიგია. თვითონ ვინიციუსი ცურვით მიჰყვება ნავს, მაგრამ მოტეხილი ხელი ტკივა და ვერ დასწევია. ტალღები თვალთ უბნელებენ, იხრჩობა, ყვირის, შველას ითხოვს. ლიგიამ მოციქულს წინ დაუჩოქა, იმან ნავი ვინიციუსისაკენ მომართა და ნიჩაბი გაუწოდა. ვინიციუსმა ხელი მოსჭიდა, მოციქულისა და ლიგიას დახმარებით ნავზე ავიდა და მის ფსკერზე დაეცა.

მერე მოეზმანა, ნავიდან რომ წამოდგა, უამრავი ხალხი დაინახა, ისინიც ნავს მიუყვებოდნენ ცურვით. აქაფებული ტალღები ევლებოდნენ თავს. მორევიდან ზოგისა მარტო ხელი მოჩანდა, მაგრამ პეტრე შველოდა მათ და ნავში ამოყავდა; ნავიც რაღაც სასწაულით თანდათან უფრო და უფრო ფართოვდებოდა. ხალხის სიმრავლემ ჩქარა აავსო იგი, იმდენმა ხალხმა მოიყარა თავი, რამდენიც გუშინ ოსტრანიუმში იყო. შემდეგ ხალხმა კიდევ

იმატა. ვინიციუსს შეეშინდა, ამოდენა ხალხი ერთ ნავში როგორ მოთავსდება, ნავი არ ჩაიძიროსო, მაგრამ ლიგიამ დაამშვიდა და რაღაც სინათლე დაანახა იმ ნაპირზე, საითაც მიცურავდნენ. აქ ვინიციუსის ბოდვას ოსტრანიუმში მოციქულისგან გაგონილი მიერთო. ახლა ან ნაპირის სხივში ვიღაცის სახე გაარჩია, ვისკენაც პეტრემ თავისი საჭე მიმართა. რამდენიც უახლოვდებოდნენ, იმდენი ქარიშხალი მშვიდდებოდა. ტბის ზედაპირი დაცხრა, ხოლო სხივს მეტი ძალა მიეცა. ხალხმა ტკბილი ჰიმნის გალობა დაიწყო,

ჰაერს ნარდის სურნელი მოეფინა, წყალზე ცისარტყელის ფერები აელვარდა, თითქოს ტბის ძირიდან ზამბახი და ვარდი ამოიზიდაო. და ბოლოს ნავი ცხვირით მსუბუქად ქვიშას მიერტყა. მაშინ ლიგიამ ხელი გაუწოდა ვაჟს, უთხრა: „წამო, მე წაგიყვანო!“ და სინათლისაკენ წაიყვანა.

ვინიციუსი კვლავ გამოფხიზლდა, მაგრამ მისი ზმანება ნელ-ნელა ქრებოდა, ამიტომ სინამდვილეს ერთბაშად ვერ შეეთვისა. რამდენსამე წამს ეგონა, ისევ ტბაზე ვარ, ხალხის ბრბო მახვეია და აქ, თვითონაც არ ვიცი რისთვის, პეტრონიუსს ვეძებ და მიკვირს, რომ ვერ მიპოვნიაო. ბუხრის ცეცხლმა, რომელსაც უკვე აღარავინ უჯდა, მთლად გამოაფხიზლა და სინამდვილეს დაუბრუნა. ახლად შეკეთებული შეშა მხიარული ალით იწვოდა და მის სინათლეზე ვინიციუსმა ლიგია დაინახა. ქალი მის ლოგინს შორიახლო ეჯდა.

ლიგიას დანახვამ გულის სიღრმემდე ააღელვა. მას ახსოვდა, რომ ქალმა წინა ღამე ოსტრანიუმში გაათენა, მთელი დღე ვინიციუსს უვლიდა და ახლა კი, როდესაც ყველანი მოსასვენებლად წავიდნენ, იგი ვაჟის სარეცელთან დარჩა. ადვილი მისახვედრი იყო, რომ ლიგია დაიღალა, თვალდახჭული უძრავად იჯდა, ვინიციუსმა არ იცოდა, ლიგიას ეძინა თუ ფიქრებში იყო ჩანთქმული. ხედავდა იმის სახეს, იმის დახრილ წამწამებს, მუხლებზე დაწყობილ ხელებს და მის წარმართულ თავში ძლივძლიობით გამოიკვეთა: შიშველი, ზვაობიანი, ტანის მოყვანილობით

ამაყი, რომაული და ბერძნული სილამაზის გვერდით ქვეყანაზე არსებობს სულ სხვა, ახალი, გასაოცრად სუფთა სილამაზე და სული სწორედ ამ სილამაზეში ცხოვრობს.

ვერ გაებედა, ეს სილამაზე ქრისტიანულ სილამაზედ მიეჩნია, მაგრამ როცა კი ლიგიაზე ფიქრობდა, არ შეეძლო ქრისტიანული რჯული და ეს სილამაზე ერთმანეთისაგან გაეცალკევებინა. იმასაც ჩახვდა, თუ სხვები დასაძინებლად წავიდნენ და ლიგია კი, რომელსაც იმდენი ვნება მიაყენა მარტო უზის, მხოლოდ იმიტომ, რჯული აგრე უბრძანებს. ამ აზრმა გააოცა და გაამწარა კიდეც. იმას უჯობდა, ლიგია ასე მისი სიყვარულით მოქცეულიყო, მისი სახის, თვალებისა და ახოვანი ტანის გულისთვის, ერთი სიტყვით, საკუთრად ვინიციუსის გულისთვის, სწორედ ისე, როგორც არაერთი ბერძნისა და რომაელი ქალის თოვლივით თეთრი ხელები მოხვევია მას. მაგრამ უცბად იგრძნო, ლიგია რომ იმ ქალებს გავდეს, მაშინ ჩემს თვალში ამის მომხიბვლელობას რაღაც დააკლდებოდაო. შენიშნა, რომ მის სულში ახალი გრძნობა და ახალი სწრაფვა იღვიძებდა, იმ ხალხისთვის უცხო, ვისთანაც აქამდე ცხოვრობდა.

ლიგიამ თვალები გაახილა და რა დაინახა, ვინიციუსი მას უცქეროდა, მიუახლოვდა და უთხრა:

– აქა ვარ, შენთან ვარ.

ხოლო ვაჟმა უპასუხა:

– სიზმარში შენი სული ვნახე.

თავი მეოთხე

მეორე დღეს ვინიციუსს მთლად დასუსტებულს გამოეღვიძა, მაგრამ თავი ცხელი აღარა ჰქონდა და აღარც ცხროსა გრძნობდა. მას ეჩვენა, თითქოს ლაპარაკის ჩურჩლმა გამოაღვიძა, მაგრამ თვალი რომ გაახილა, ლიგია მასთან აღარ იყო. მხოლოდ ბუხართან დახრილი ურსუსი დაინახა, იგი ნაცარს ქექავდა და ნაკვერცხლებს ეძებდა. ბოლოს ნაკვერცხლები იპოვა და ისეთი ძალით დაუწყო ბერვა, თითქოს ამას ტუჩებით კი არ სჩადიოდა, არამედ სამჭედლო საბერველით. ვინიციუსს მოაგონდა, რომ ამ კაცმა გუშინ კროტონი დაამარცხა და ასპარეზის მოყვარული კაცის თვალი შეავლო ლიგიელის დევისებურ ზურგს, მის ხელებსა და სვეტების მსგავს ფეხებს.

„დიდება მერკურიუსს, რომ ამან კისერი არ მომიგრიხა!-გუნებაში გაიფიქრე ვინიციუსმა, – პოლუქსს ვფიცავ! თუ ყველა ლიგიელი ამას ჰგავს, მაშინ დუნაის ლეგიონებს მსუბუქი შრომა არ მოელის!“

ხმამაღლა კი თქვა:

– შენ, ე, მონავ!

ურსუსმა ბუხრიდან თავი გამოჰყო და ლამის მეგობრული ღიმილით მიუგო:

– ღმერთმა მოგცეს, ბატონო, დღე მშვიდობისა და კარგა-მყოფობა. მაგრამ მე თავისუფალი კაცი ვარ, მონა არ გახლავარ.

ვინიციუსს უნდოდა, ლიგიას სამშობლოს ამბავი გამოეკითხა ურსუსისათვის და ამ სიტყვებმა ასიამოვნეს. თავისუფალ კაცთან, თუნდაც მდაბიოსთან, ლაპარაკი ნაკლებად ეუკადრისებოდა მის რომაულსა და პატრიციულ ღირსებას, ვიდრე მონასთან საუბარი, რადგან კანონსაც და ჩვეულებასაც მონა ადამიანად არ მიაჩნდა.

– მაშ, შენ ავლუსის მონა არა ხარ?-ჰკითხა ვინიციუსმა.

– არა, ბატონო, მე საკუთარი ნებით ვემსახურები კალინას, მანამდე კი დედამისს ვემსახურებოდი.

და ხელახლა თავი ბუხარში შეჰყო, წეღან რომ ნაკვერცხლებს შეშა დაუწყო, ახლა კიდევ შეუბერა და აანთო. მერე ბუხრიდან თავი გამოიღო და თქვა:

– ჩვენში მონები არ არიან.

ვინიციუსმა ჰკითხა:

– ლიგია სად არის?

– ეს არის, ახლა გავიდა, მე კი საუზმე უნდა მოგიმზადო. მთელი ღამე შენ გვერდით იჯდა.

– რატომ შენ არ უნაცვლე?

– თვითონ არ მოისურვა, ჩემი საქმეა, დავემორჩილო.

აქ წამწამები დახარა და წამს უკან დაუმატა:

– მე რომ იმას არ ვუგონებდე, შენა, ბატონო, ცოცხალი აღარ იქნებოდი.

– განა ნანობ, რომ არ მომკალ?

– არა. ქრისტე კაცის კვლას გვიკრძალავს.

– ატაცინი? კროტონი?

– სხვა გზა არა მქონდა, – წაილუღლუღა ურსუსმა.

და თავის ხელებს მწუხარებით დახედა. ხელები ისევ წარმართული ჰქონდა, იმის მიუხედავად, რომ სულმა წმიდა ნათლისღება მიიღო. შემდეგ ბუხარში ქოთანი ჩადგა და დაფიქრებული თვალები ცეცხლს მიაჩერა.

– შენი ბრალია, ბატონო, – ბოლოს თქვა მან, – მეფის ქალზე როგორ აღმართე ხელი?

ჯერ ვინიციუსი სიამაყით აინთო, ეს ბარბაროსი არა მარტო თავისუფალ ლაპარაკს უბედავდა, საყვედურსაც ეუბნებოდა. წუხელ გაგონილ-ნანახ საკვირველებას ერთიც შეემატა, მაგრამ დასუსტებული იყო, მონები თან არ ახლდნენ და თავი შეიკავა. უფრო მიტომაც, რომ უნდოდა, ლიგიას ცხოვრებიდან შეეტყო რამე.

დამშვიდდა და ვანიუსსა და სვევებთან ლიგიელების ომის ამბის გამოკითხვა დაუწყო ურსუსს.

ლიგიელი ხალისიანად პასუხობდა, მაგრამ რაც ვინიციუსს ავლუსისგან ჰქონდა გაგონილი, იმას ბევრი რამ ვერ მიუმატა. ურსუსი ბრძოლაში არ ყოფილა. იგი პალპელიუს ჰისტერის ბანაკში გაგზავნილ მძევლებს ახლდა. მხოლოდ ერთი იცოდა, რომ ლიგიელებმა სვევები და იაზიგები დაამარცხეს, მაგრამ მათი სარდალი და მეფე მტრის ისარმა იმსხვერპლა. მას შემდეგ ლიგიელებმა ცნობა მიიღეს, რომ სემნონებმა მათ საზღვარზე ტყეს ცეცხლი წაუკიდეს და

საჩქაროდ უკან დაბრუნდნენ, რომ სამაგიერო გადაეხადათ, მძევლები პალპელიუსთან დარჩნენ. ამან პირველ ხანს უბრძანა, მეფის შესაფერი პატივით მოპყრობოდნენ მათ. შემდეგ ლიგიას დედა გარდაიცვალა. რომის სარდალმა არ იცოდა, რა ექნე ბავშვისთვის. ურსუსს გოგონას სამშობლოში წაყვანა უნდოდა, მაგრამ ძნელი გზა იყო – ყველგან ნადირი დაძრწოდა და ველური ტომები. როდესაც ამბავი მოვიდა, ვიღაც ლიგიელი დესპანები მარკომონების წინააღმდეგ გრძოლაში პომპონიუსს შველას ჰპირდებაო, ჰისტერმა ურსუსი და ლიგია პომპონიასთან გაგზავნა. აღმოჩნდა, რომ არავითარი დესპანები არა ყოფილიყვნენ. ურსუსი და ლიგია ბანაკში დარჩნენ, იქიდან პომპონიუსმა ისინი რომში მიიყვანა და ტრიუმფის შემდეგ მეფის ქალი პომპონია გრეცინას მისცა.

ვინიციუსმა ამ ამბის მხოლოდ ზოგი უბრალო წვრილმანი არ იცოდა, მაინც სიამოვნებით უსმენდა. მის დიდკაცურ სიამაყეს სიამოვნებდა, რომ ლიგიას მეფურ ჩამომავლობას ნამდვილი მოწმე ადასტურებდა. როგორც მეფის ქალს, ლიგიას კეისრის სასახლეში შეეძლო უდიდესი გვარის ქალებთან თანასწორი ადგილი დაეჭირა, მით უფრო, რომ ხალხს, რომელსაც

ლიგიას მამა ბელადობდა, აქამდე რომთან არასოდეს არ უომნია და შესაძ-ლო იყო, საკმაოდ საშიშ ხალხად მიჩნეულიყო, რადგან, თვითონ პალპე-ლიუს ჰისტერის მოწმობით, დიდძალი მხედრობის პატრონი იყო.

ურსუსმაც სავსებით დაადასტურა ეს ვარაუდი:

– ჩვენ ტყეებში ვცხოვრობთ, მაგრამ იმდენი მიწა გვაქვს, რომ არავინ იცის, ბოლო სადა აქვს. იმ მიწაზე ხალხიც მრავალია. ქალაქებიც ტყეებშია, ძალიან მდიდარი ქალაქები. რასაც სემნონები, მარკომანები, ვანდალები და კვადები ნაძარცვს ჩაიგდებენ, სულ ჩვენ წავართმევთ ხოლმე, ისინი კი ჩვენ წინააღმდეგ გამოსვლას ვერ ბედავენ, მხოლოდ ჩვენს ტყეს ცეცხლს წაუკიდებენ ხოლმე, როდესაც ქარი ჩვენკენ ქრის. ჩვენ მაინც არც იმათი გვეშინია და არც რომის კეისრისა.

– რომს ღმერთებმა უბოძეს მსოფლიო ბატონობა, – მკაცრად უთხრა ვი-ინიციუსმა.

– ღმერთები ბოროტი სულები არიან, – მიამიტად უპასუხა ურსუსმა, – და საცა რომი არ არის, იქ არც მისი ბატონობაა.

ცეცხლი გაასწორა და თავისთვის განაგრძო:

– კალინა რომ კეისარმა თავის სასახლეში წაიყვანა, მე ვიფიქრე, შეიძ-ლება იქ აწყენინონ რამე-მეთქი, მინდოდა ჩვენს ტყეში წავსულიყავ და მე-ფის ასულის საშველად ლიგიელები მომეხმო. ლიგიელები დუნაისთან მო-ვიდოდნენ, მიტომ რომ კარგი ხალხია, თუმცა წარმართებიც არიან, მე იმათ კარგ ამბავსაც მივუტანდი. მაინც როდისმე, როდესაც კალინა პომპონიას-თან დაბრუნდება, დავიყოლიებ, ლიგიელებთან გამიშვას. ქრისტე მათგან შორს ცხოვრობდა, იმათ არაფერი

გაუგიათ მაცხოვრისა – ქრისტემ უკეთ იცოდა, სადაც უნდა გაჩენილი-ყო... მაგრამ ჩვენთან ტყეში რომ მოსულიყო, უეჭველია, არ ვაწამებდით, მოუვლიდით და ზრუნვით მოვეპყრობოდით, მუდამ ნადირის ხორცი ექნე-ბოდა. სოკო, ბეწვი და ქარვა. რასაც კი სვევებს ან მარკომანებს წავართმევ-დით, სულ იმას მივცემდით, რომ ფუფუნებითა და კმაყოფილებით ეცხოვ-რა.

ვინიციუსისათვის მომზადებული შეჭამანდი ცეცხლთან მისწია და დაჩუმ-და. ჩანდა, რომ გონებით ლიგიელთა ტყეში იყო. როცა შეჭამანდი ადუღდა, თხელ საინზე დაასხა, გაანელა და თქვა:

– ბატონო, გლავკოსი ამბობს, რაც შეიძლება, საღი ხელიც ნაკლებ ამოძრაოსო, ამიტომ კალინამ მიბრძანა, ჩემი ხელით გაჭამო.

ლიგიამ უბრძანა! ამის წინააღმდეგ კამათი არ შეიძლებოდა. ვინიციუსს ფიქრადაც არ მოსდიოდა ურჩობა გაეწია, თითქოს ლიგია კეისრის ასული იყო ან ქალღმერთი. ხმა არ ამოუღია, ხოლო ურსუსი მის ლოგინს მიუჯდა, შეჭამანდს მომცრო კოვზით იღებდა და ვინიციუსის პირთან მიჰქონდა. ამას ისეთი მზრუნველობით სჩადიოდა, მისი ლურჯი თვალები ისეთ სიკეთეს გამოხატავდნენ, რომ ვინიციუსს არ სჯეროდა, თუ ეს ის საშინელი კაცი იყო, რომელმაც გუშინ კროტონი მოსრა, თვითონ იმას, ვინიციუსს, ქარიშხალივით ეცა და დაფლეთდა კიდეც, თუ ლიგია არა ყოფილიყო. ახალგაზრდა პატრიცი თავის სიცოცხლეში პირველად დაუფიქრდა იმას, თუ რა შეიძლება ხდებოდეს მდაბიო კაცის, მსახურისა და ბარბაროსის სულში.

ურსუსი, მართალია, მზრუნველი ძიძა აღმოჩნდა, მაგრამ ხერხიანი კი ვერა. იმის დევისებურ თითებში კოვზი მთლად იმალებოდა, ისე რომ ვინიციუსს აღარაფერი რჩებოდა. რამდენიმე ამაო ცდის შემდეგ გოლიათი მეტად შეწუხდა და თქვა:

– ეჰ! უმალ ჩალა ველურ ხარად იქცევა!

ვინიციუსი ლიგიელის შეწუხებამ გააცინა, მაგრამ მის თქმასაც მიაქცია ყურადღება. ცირკში ნანახი ჰყავდა ჩრდილო ქვეყნებიდან მოყვანილი საზარელი ველური ხარები, ძალიან გამოცდილი ბესტიარიუსებიც შიშით შებრძოლებიან მათ.

– განა გიცდია იმ ცხოველების რქებით დაჭერა? – გაოცებით ჰკითხა ვინიცუსმა.

– მანამ ოცი ზამთარი შემისრულდებოდა, იმათი მეშინოდა, – მიუგო ურსუსმა, – მერე კი ეგაც მომხდარა.

და ისევ ვინიციუსის დაპურება სცადა, წინანდელზე უფრო უხერხულად.

– უნდა მარიამს ან ნაზარს ვთხოვო, – თქვა ბოლოს ურსუსმა.

ფარდის უკანიდან ლიგიას გაფითრებული სახე გამოჩნდა.

– მე გიშველი, – წარმოთქვა იმან და კუბიკულუმიდან გამოვიდა.

უეჭველია ძილს აპირებდა, რადგან თმა გაშლილი ჰქონდა, ხოლო ტანთ მარტო ვიწრო ტუნიკა ეცვა, ეგრეთ წოდებული: „ Ca-pitium“. ქალის დანახვაზე ვინიციუსს გულმა უფრო ძლიერი ძგერა დაუწყო. უსაყვედურა, რომ აქამდე ძილი არ უფიქრია, მაგრამ ლიგიამ ხალისიანად უპასუხა:

– ვაპირებდი კიდეც ძილს, მაგრამ ჯერ ურსუსს შევეშველები.

ვინიციუსის ლოგინის ნაპირზე დაჯდა, კოვზი აიღო და ვინიციუსს კერძი მიაწოდა. ვაჟი უმალვე დამშვიდდა და ბედნიერება იგრძნო. ლიგია რომ მისკენ დაიხრებოდა, ქალის სხეულის სითბო ეფინებოდა, მისი გაშლილი თმა მკერდზე ეცემოდა და ვინიციუსი ღელვისგან ფითრდებოდა. მართალია, ძლიერ ვნებათა ღელვას გრძნობდა, მაგრამ იცოდა, რომ ლიგია მისთვის უძვირფასესი და გასაღმერთებელია და მასთან შედარებით მთელ ქვეყანას ჩალის ფასი ადევს. უწინ მისი დაპატრონება სურდა, ახლა სულითა და გულით ქალის სიყვარული ეწადა. უწინ საქციელითაც და აზრებითაც შეუგნებელი თავკერძა იყო, ახლა კი ლიგიაზედაც დაიწყო ფიქრი.

ერთი წუთის შემდეგ ჭამაზე უარი თქვა, და თუმცა ლიგიას იქ ყოფნა გამოუთქმელ სიამოვნებას ანიჭებდა, მაინც უთხრა:

– მეყოფა, წადი, მოისვენე, ჩემო ღვთაებრივო!

– ეგრე ნუ მეძახი, – გააფრთხილა ლიგიამ, – მაგის მოსმენა არ მმართებს.

მაინც გაუღიმა და უთხრა, არ მეძინება, დაღლას არ ვგრძნობ, გლავკოსის მოსვლამდე დასაძინებლად არ წავალო. ვინიციუსს მისი სიტყვები მუსიკასავით ჩაესმოდა და გული უფრო ძლიერ უღელავდა, უფრო დიდი აღტაცებით, უფრო მეტი მადლობით იმსჭვალებოდა, ხოლო აზრს ძალას ატანდა, როგორმე ეს მადლობა უფრო ღირსეულად გამოეთქვა.

– ლიგია, – ერთი წამის დუმილის შემდეგ უთხრა, – უწინ არ გიცნობდი, ახლა კი მესმის, რომ შენი მოპოვება უჯერო გზით მინდოდა. ამიტომ გეუბნები: პომპონია გრეცინასთან დაბრუნდი და დარწმუნებული იყავ, დღეიდან ხელს ვერავინ გახლებს.

ლიგიას სახე ერთბაშად მოეღრუბლა.

– ბედნიერი ვიქნებოდი, შორიდან მაინც დამენახა, მაგრამ მასთან დაბრუნება აღარ შემიძლია, – უპასუხა ქალმა.

– რატომ? – გაკვირვებით ჰკითხა ვინიციუსმა.

– ქრიტიანებმა აქტეას საშუალებით ვიცით, რაც პალატინზე ხდება. განა არ გაგიგონია, რომ ჩემი გაქცევის შემდეგ კეისარმა ავლუსი და პომპონია მიიხმო და რადგან ფიქრობდა, გაქცევა იმათ მიშველეს, დაემუქრა. საბედნიეროდ ავლუსს შეეძლო კეისრისათვის მიეგო: „ შენ იცი, ბატონო, რომ სიცრუეს არ შეუბილწავს ჩემი ბაგე და აი, გეფიცები, ჩვენ იმის გაქცევასთან

ხელი არა გვაქვს და არც ჩვენ ვიცით, რა მოუვიდა იმას.“ კეისარმა დაუჯერა და მას უკან დავავიწყდი კიდეც. მე კი უხუცესთა რჩევით დედისთვის არც მიმიწერია, სადა ვცხოვრობ, რათა თამამად შეეძლოთ თქმა, ლიგიასი არაფერი ვიცითო. შენ, ვინიციუს, იქნება არ იცი, რომ ჩვენ სიცრუის თქმა არ შეგვიძლია, თუნდა ჩვენი სიცოცხლე ერთ ტყუილზე იყოს დამოკიდებული. ასეთია ჩვენი რჯული და მას ვართ მინდობილი. მას აქეთ პომპონია არ მინახავს, რაც მისი სახლი დავტოვე; იმას კი ხანდახან ჩაესმოდა, რომ ცოცხალი ვარ და საფრთხე არ მომელის.

ეს რომ თქვა, თვალები ცრემლით აევსო, მაგრამ მალე დამშვიდდა და განაგრძო:

– ვიცი, რომ პომპონიაც ნაღვლობს ჩემზე, მაგრამ ჩვენ ის ნუგეში გვაქვს, რაც სხვას არა აქვს.

– დიახ, – მიუგო ვინიციუსმა, – თქვენი ნუგეში ქრისტეა, მაგრამ მე კი ეგ არ მესმის.

– აბა შემომხედე: ჩვენთვის სამუდამოდ განშორება არ არსებობს, არ არსებობს მწუხარება და ტანჯვა; თვითონ სიკვდილი, თქვენთვის რომ სიცოცხლის დასასრულია, ჩვენთვის მხოლოდ სიცოცხლის დასაბამია, მცირედი ბედნიერებისა უკეთესზე შეცვლაა, მცირედი სიმშვიდისა – უფრო დიდ და უკეთეს სიმშვიდეზე. გაიგე იმ რჯულის ფასი, რომელიც ჩვენთა მტერთადმი კეთილად მოპყრობას გვიბრძანებს, სიცრუეს გვიკრძალავს, ჩვენს სულს ბოროტისგან განწმენდს და სიკვდილის შემდეგ საუკუნო ნეტარებას აღგვითქვამს.

– ეგ ოსტრანიუმში მოვისმინე და ვნახე, მე და ხილონს როგორც მოგვეპყარით. როდესაც ამას გავიხსენებ, აქამდე მგონია, ეს სიზმარი იყო და არ უნდა დავუჯერო არც ჩემს თვალს, არც ჩემს ყურს -მეთქი. მაგრამ შენ სხვა მითხარ: განა ბედნიერი ხარ?

– დიახ, – უთხრა ლიგიამ, – მე ქრისტე მწამს, ამიტომ უბედური ვერ ვიქნები.

ვინიციუსმა შეხედა, თითქოს რასაც ლიგია ამბობდა, მისთვის მიუწვდომელი არისო.

– პომპონიასთან დაბრუნებას არ ინდომებდი?

– ძალიან მინდა და დავბრუნდები კიდეც მათთან, თუ ღვთის ნება იქნება.

– მაშ გეუბნები: დაბრუნდი მათთან და მე, კეისრის ღმერთებს ვფიცავ, ხელს აღარ შეგახებ.

ლიგია ერთ წამს დაფიქრდა, შემდეგ მიუგო:

– ვერა. ჩემს მახლობლებს საფრთხეში ვერ ჩავაგდებ. კეისარს პლავციუსის გვარი არ უყვარს. რომ დავბრუნდე, ხომ იცი, რომში მონების საშუალებით ყველა ახალი ამბავი როგორ ვრცელდება. ჩემი დაბრუნების ამბავი განცხადდება და ნერონიც ამას, უეჭველია, თავისი მონებისგან გაიგებს, მაშინ ავლუსს დასჯის, ან მე ისევ თავის სასახლეში წამიყვანს.

– მართალია, – თქვა ვინიციუსმა და წარბები შეჰყარა, – შეიძლება, ეგრე მოიქცეს. თუნდაც იმიტომ, რომ დაამტკიცოს, რომ მისი ნება უნდა აღსრულდეს. იმას მხოლოდ დაავიწყდა, ან შენზე ფიქრი აღარა სურდა. კაცმა რომ თქვას, უსიამოვნება კეისარს კი არა, მე დამატყდა თავს. მაგრამ იქნება ავლუსს წაართვას შენი თავი და ისევ მე მომცეს, მე მაშინ პომპონიასთან წაგიყვან.

ლიგიამ ნაღვლიანად ჰკითხა:

– ვინიციუს, გინდა განა ისევ პალატინში მნახო?

ვინიციუსმა კბილები გაახრჭიალა და უპასუხა:

– არა! შენ მართალი ხარ. სწორედ სულელივით ვლაპარაკობ.

და უცებ მის წინ თითქოს უძირო უფსკრული გაითხარა. პატრიცი იყო, სამხედრო ტრიბუნი, კაცი ძლიერი, მაგრამ ძლიერთა ამა სოფლისათა, რომელთა რიცხვსაც ეკუთვნოდა თვითაც, მბრძანებლობდა უგუნური კაცი და იმ კაცის ნებასა და ბოროტებას ვერავინ ჩასწვდომოდა. იმისთვის თვალის გასწორება, უშიშრად ყოფნა მხოლოდ იმისთანა ხალხს შეეძლო, როგორიც ქრისტიანები იყვნენ, რადგან იმათთვის მთელი ეს ქვეყნიერება, ტანჯვა და თვითონ სიკვდილიც არაფერს ნიშნავდა. ყველა სხვას კეისრის წინაშე უნდა ეთრთოლა. ამ მრისხანე დროის საშინელება მთელი თავისი შესაზარი სიდიდით გადაეშალა თვალწინ. იმას არ შეეძლო, ლიგია ავლუსისთვის მიეცა იმ შიშის გამო, რომ ურჩხულს არ გახსენებოდა და მთელი რისხვით თავს არ დატყდომოდა ქალს. არ შეეძლო იგი ცოლად შეერთო, რომ ლიგია, ავლუსი და პომპონია საფრთხეში არ ჩაეყარა. კეისრის წუთიერი უგუნებობა იყო საკმაო, რომ ყველანი დაეღუპნა. ვინიციუსმა თავის სიცოცხლეში პირველად იგრძნო, რომ ან ქვეყნიერება უნდა შეცვლილიყო და განახლებულიყო, ანუ სიცოცხლე აუტანელი შეიქნებოდა. მან ყველა ის შეიგნო,

რაც მისთვის წინათ ცხადი არ იყო: ასეთ დროს მხოლოდ ქრისტიანებს შეეძლოთ ბედნიერები ყოფილიყვნენ.

მწუხარებამ მოიცვა, როცა წარმოიდგინა, რომ თავისიც და ლიგიას სიცოცხლეც არივ-დარია და რომ ამ ხლართიდან გამოსავალი თითქმის არ ჩანდა. ამ დამაღონებელი აზრის გავლენით წამოიწყო:

– იცი, შენ ჩემზე ბედნიერი ხარ. სიგლახაკეში ცხოვრობ, უხეში ხალხი გახვევია გარს, შენი რჯული მაინც გაქვს, შენი ქრისტე გყავს. მე კი შენს მეტი ქვეყანაზე არავინ მივის. შენ რომ დამეკარგე, მათხოვარა გლახას დავემსგავსე, მიუსაფარსა და ულუკმაპუროს. შენ ჩემთვის მთელ ქვეყანაზე უძვირფასესი ხარ. გეძებდი, რადგან უშენოდ სიცოცხლე არ შემეძლო. ვეღარც ვჭამდი, აღარც ძილი მქონდა. შენი პოვნის იმედი რომ გადამწყვეტოდა, მახვილზე ავეგებოდი, მაგრამ სიკვდილისა მეშინია, რადგან შენი ნახვის იმედი უნდა მომსპობოდა. სიმართლეს გეუბნები, რომ უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლია, და თუ აქამდე ცოცხალი ვიყავ, მხოლოდ იმედით, რომ გიპოვიდი. გახსოვს, ავლუსის სახლში ჩვენი პირველი საუბარი? ერთხელ შენ ქვიშაზე თევზი დამისახე, მე ვერ გავიგე, რას ნიშნავდა. გახსოვს, ბურთაობას რომ ვთამაშობდით? მე მაშინაც სიცოცხლეზე უმეტესად მიყვარდი, თითქოს შენც ხვდებოდი ჩემს სიყვარულს... ავლუსი მოვიდა, ლიბიტინათი შეგვაშინა და საუბარი შეგვაწყვეტინა... პომპონიამ გამოთხოვებისას პეტრონიუსს უთხრა: ღმერთი ერთიაო, ყოვლისშემძლებელი და ყოვლად მოწყალეო. ჩვენ კი ფიქრადაც არ მოგვსვლია, რომ თქვენი ღმერთი – ქრისტეა. იმან მომცა შენი თავი და მეც შევიყვარებ მას, თუმცა მონების, უცხო ტომთა და გლახაკთა ღმერთად მაქვს იგი წარმოდგენილი. შენ გვერდით მიზიხარ,

მაგრამ მარტო იმაზე ფიქრობ. რა იქნება, ჩემზედაც იფიქრო, თორემ შევიძულებ შენს ღმერთს. ჩემთვის ერთადერთი ღვთაება შენა ხარ. კურთხეულმცა იყოს შენი დედ-მამა, ქურთხეულ იყოს ქვეყანა, რომელმაც გაგაჩინა, მე მსურს, ფეხზე მოგეხვიო, შენზე ვილოცო, თაყვანი გცე, მსხვერპლი შემოგწირო, სამგზის ღვთაებრივო! შენ არ იცი, არ შეგიძლია იცოდე, როგორ მიყვარხარ!

გაფითრებულ შუბლზე ხელი გადაისვა და თვალი დახუჭა. მისმა ბუნებამ არც რისხვისა და არც სიყვარულის საზღვარი არ იცოდა. ცხარედ ლაპარაკობდა, ვინაიდან თავი ვერ შეეკავებინა, არცა სურდა თავის ენისა და გრძნობებისათვის წესი გაეჩინა. იგი წრფელად ლაპარაკობდა და გულის

სიღრმიდან დაგუბებულმა ტკივილმა, აღტაცებამ, ვნებამ და გაღმერთებამ სიტყვების შეუკავებელ ნაკადად გადმოხეთქა. ლიგიას მისი ნათქვამი ღვთის გმობად ეჩვენა, მაგრამ მაინც ქალის გულმაც ისეთი ძალით იწყო ძგერა, თითქოს მკერდზე შემოჭირებული ტუნიკის გახევა უნდაო. ლიგიამ ვერ დაძლია გულში ვაჟისა და მისი ტანჯვისადმი სიბრალული. ვინიციუსის მოწიწებით ლაპარაკმა გული მოულბო. გრძნობდა, ვინიციუსს ვუყვარვარ და უზომოდ მაღმერთებსო, გრძნობდა, ეს მოუდრეკელი და ძლიერი კაცი ახლა სულითა და ხორცით მე მეკუთვნის ვითარცა მონაო, და ეს მისი მორჩილება და თვისი ძალის შეგნება ბედნიერებით ავსებდა ქალს. ერთ წამს მოგონებანი განუახლდნენ. ვინიციუსი ბრწყინვალე და ჩინებული, ისევ წარმართების ღმერთის მსგავსებად დაისახა იმ ვინიციუსად იქცა, ავლუსის სახლში რომ სიყვარულზე ელაპარაკებოდა და ჯერაც

ნახევრად ბავშვურ გულს სატრფიალოდ უღვიძებდა, იმ იმ ვინიციუსად, ვის კოცნას თავის ბაგეზე ჯერაც გრძნობდა და ვის ხელებსაც ურსუსმა გამოგლიჯა. ახლა კი ვაჟის არწივისებურ სახეზე ვნებისა და ტანჯვის გამოხატულება აღმეჭდილიყო, გაფითრებული შუბლი და და მუდარის გამომხატავი თვალები მოუჩანდა, იწვა დაკოდილი, ვნებისგან დარღვეული, მოსიყვარულე, მაღმერთებელი და მორჩილი. ქალს უნდოდა, სწორედ ასეთი ყოფილიყო ვინიციუსი, ასეთის სიყვარული უნდოდა.

და ლიგიამ უცებ შეიგნო, რომ შესაძლოა დადგეს წუთი და იგი ვინიციუსის სიყვარულმა შეიპყროს და ქარიშხალივით გაიტაცოს, ეს რომ იგრძნო, თავი, ვინიციუსისა არ იყოს, უფსკრულის კიდეზე წარმოიდგინა. და განა ავლუსის სახლი ამისთვის დაუტევა? გაქცევით განა ამისთვის დაიცვა თავი? ქალაქის ღარიბ უბნებში ამდენს განა ამისთვის იმალებოდა? ვინ არის ვინიციუსი? ავგუსტიანი, მხედარი და ნერონის მახლობელთაგანი. განა კეისრის გარყვნილების თავაშვებულებაში ისიც არ იღებდა მონაწილეობას? ნადიმი ხომ ამის მოწმობა იყო. ლიგია იმ ნადიმს როგორ დაივიწყებდა? სხვებთან ერთად ხომ ვინიციუსიც ტაძრებში დადიოდა და წარმართთა ღმერთებს მსხვერპლს სწირავდა? იქნებ ეს ღმერთები არა სწამდა, მაინც ხომ პატივს სცემდა. განა ის არ სდევნიდა მას. რა არის, თავის მონად და ხასად გაეხადნა და ფუფუნებისა, დატკბობისა, დანაშაულისა და ბიწიერების სამეფოში ჩაეთრია? მართალია, ახლა გამოცვლილ კაცად მოჩანდა, მაგრამ ეს არის,

ახლა თვითონ იმან არ უთხრა: ჩემზე მეტად თუ ქრისტეზე იფიქრებ, მზად ვარ, ქრისტე

შევიძულოო! ლიგიას ეჩვენა, რომ ქრისტეს სიყვარულს გარდა სხვა სიყვარულზე რაიმე ფიქრიც კი ქრისტიანობის წინაშე ცოდვაა და როდესაც შენიშნა, ჩემს გულის სიღრმეში შესაძლოა სხვა გრძნობებმა, სხვა მიდრეკილებამ გაიღვიძოსო, გულისა და მომავლის შიში მიეცა.

ამ სულიერი ბრძოლის ჟამს უცებ ავადმყოფის სანახავად და მისი მდგომარეობის გასაგებად გლავკოსი შემოვიდა. ვინიციუსის სახეს ფიცხლავ რისხვა და მოუსვენრობა დაეტყო. ჯავრი მოუვიდა, რომ ლიგიასთან ლაპარაკი დაუშალეს, და როდესაც გლავკოსმა კითხვა დაუწყო, ლამის მძულვარებით მიაგო პასუხი. მართალია, გონზე ჩქარა მოვიდა, მაგრამ თუ ლიგიას რაიმე იმედი ჰქონდა, ოსტრანიუმში მოსმენილმა ვინიციუსის მჩქეფარე გუნებაზე რაიმე გავლენა მოახდინაო, ეს იმედი უნდა გაქრობოდა. ვინიციუსი მხოლოდ ლიგიას მიმართ გამოიცვალა, ისე კი მკერდში უწინდებურად მკაცრი, თავკერძა, წმინდა რომაული მგლური გული დარჩა, და ამ გულს არათუ ქრისტეს მშვიდი რჯული შეეძლო გაეგო, არამედ უბრალო მადლიერებაც ვერ ჩასწვდომოდა.

ლიგია ნაღვლითა და მწუხარებით აღსავსე გავიდა. უწინ ლოცვის დროს ქრისტეს დინჯსა და ცრემლივით წმინდა გულს სწირავდა. ახლა კი მოსვენება დაეკარგა, ყვავილის გულში შხამიანი ბუზი შეძვრა და იქაურობა მოსწამლა. ორი ღამის უძინარს ძილმაც ვერ მოუტანა სიმშვიდე. ესიზმრა, რომ ოსტრანიუმში ნერონი, რომელსაც ავგუსტიანები, ბახუსის მსახური ქალები,

კორიბანტები და გლადიატორები ახლავს, ვარდებით მორთული ეტლის თვლებით ქრისტიანებს სრესავს, ვინიციუსი კი ხელს ხვევს ლიგიას, ეტლში აჰყავს, გულზე იკრავს და ჩურჩულით ეუბნება: „ჩვენთან წამოდი!“

თავი მეხუთე

აქედან მოკიდებული ლიგია იშვიათად გამოიოდა საზოგადო ოთახში და იშვიათად მიდიოდა ხოლმე ვინიციუსის საწოლთან, მაინც სიმშვიდე ვერ დაიბრუნა. ხედავდა, რომ ვინიციუსი მუდარის თვალით უცქეროდა, ყევლა მის სიტყვას ვითა მოწყალებას გამოელოდა, იტანჯებოდა და ჩივილს კი ვერ ბედავდა, ეშინოდა, ქალს თავი არ მოვაბეზროო. ხედავდა, რომ იგი ვინიციუსისათვის ყველაფერი იყო-ბედნიერებაცა და სიხარულიც, და ლიგია

მისდამი სიბრალულით ივსებოდა, გული მისკენ უფრო ძლიერად მიუწევდა. სულის სიმშვიდე დაკარგა ლიგიამ. ხანდახან თავს ეტყოდა, მუდამ ვინიციუსის გვერდით უნდა ვიყოო-ჯერ იმიტომ, რომ საღმრთო რჯული ბოროტებისათვის კეთილის მიგებას ბრძანებს, მეორეც იმიტომ-ეგებ ლაპარაკით ქრისტეს მცნებაზე მოვიქციოო. მაგრამ სინდისი ეუბნებოდა, რომ თავს იტყუებდა, – ვინიციუსისკენ იმას რაღაც სხვა იზიდავდა-იზიდავდა მისი სიყვარული და მომხიბლაობა. სულიერი ბრძოლა დღითიდღე უძლიერდებოდა. ხანდახან ეჩვენებოდა, რომ გარშემო რაღაც ბადე ახვევია, ქალი ცდილობს, თავი გაინთავისუფლოს, მაგრამ არაფერი გამოსდის. გულში გრძნობდა, რომ ვინიციუსის იქ ყოფნა მისთვის უფრო და უფრო საჭირო ხდებოდა, ვაჟის ხმა უფრო და უფრო მეტ სიამოვნებას ანიჭებდა და საჭირო იყო, მის საწოლთან დიდხანს დარჩენის სურვილს უფრო ძლიერ შებრძოლებოდა. ლიგია იმას რომ უახლოვდებოდა, ვინიციუსს სახე ეწმინდებოდა, მაშინ სიხარული ლიგიას გულს ეფინებოდა. ერთხელ ვაჟის წამწამებზე ცრემლი შენიშნა და ლიგიას

თავის სიცოცხლეში პირველად მოაფიქრდა, ხომ შეიძლება ის ცრემლი კოცნით ამოვაშროო. ამ აზრმა შეაკრთო და საკუთარი თავის მძულვარება ჩააგონა, მერე მთელი ღამე ტირილით გაათია.

ვინიციუსი მოუთმენლობას არ ამჟღავნებდა, თითქოს შეთქმული ჰქონდა, ყველაფერი მოეთმინა. როდესაც თვალები რისხვითა და მოუთმენლობით აენთებოდნენ, უცებ თავს შეიკავებდა და შემდეგ შეწუხებული შეხედავდა ლიგიას, თითქოს პატიებას სთხოვდა. ეს ლიგიას ვაჟისადმი გრძნობას უძლიერებდა. ლიგიას ვერ წარმოედგინა, ვინმეს შეიძლება ასე ვუყვარდეო და როცა ამას ფიქრობდა, თავს დამნაშავედაც გრძნობდა და ბედნიერადაც. ვინიციუსი მთლად გამოიცვალა. გლავკოსს რომ ელაპარაკებოდა, ზვიადობა ნაკლებად მოისმოდა მის ხმაში. ახლა უკვე ფიქრობდა, რომ ეს საწყალი ექიმი, მზრუნველი ბებერი მარიამიც და მუდამ ლოცვაში ჩანთქმული კრისპიც-ადამიანები იყვნენ. ეს აზრი ხშირად მოსდიოდა ხოლმე თავში და ყოველთვის აკვირვებდა. ურსუსი შეუყვარდა და ახლა მთელი დღეები ელაპარაკებოდა, იმიტომ რომ მასთან ლიგიაზე ლაპარაკი შეეძლო. გოლიათი დაუშრეტელი მოსაუბრე გახლდათ. ავადმყოფზე ზრუნავდა და ნელნელა იმასაც შეუყვარდა ვინიციუსი. ლიგია ახალგაზრდა ტრიბუნისათვის ჯერაც სულ სხვა ქვეყნის არსება იყო, გარშემო მყოფ ხალხზე უზომოდ

ამაღლებული. მაინც მდაბიო და უპოვარ ხალხს დაუკვირდა-რაიც უწინ არაოდესაც არ უქნია-და მათ შორის ბევრი საყურადღებო რამ აღმოაჩინა, რომელთა არსებობის გუმანი აქამდე არა ჰქონია. მხოლოდ ნაზარის ატანა არ შეეძლო. ეჩვენებოდა, ეს ბიჭი ლიგიას სიყვარულს ბედავსო.

მართალია, დიდხანს იკავებდა თავს და უკმაყოფილებას არავის უცხადებდა, მაგრამ ერთხელ, როდესაც ნაზარმა თავისი შრომით მიღებული ფულით ლიგიას ორი მწყერი მიუყვანა, ვინიციუსის ბუნებაში იმ კვირიტების ჩამომავალი ალაპარაკდა, რომელთათვისაც სხვა ტომის შვილი უფრო მდარე იყო, ვიდრე უკანასკნელი მათხოვარი. ლიგიას მადლობა რომ გაიგონა, საშინლად გაფითრდა, ხოლო როდესაც ნაზარი ფრინველებისთვის წყლის მოსატანად გავიდა, თქვა:

-ლიგია, როგორ აძლევ ნებას, საჩუქრები მოგიტანოს, განა არ იცი, ბერძნები ებრაელებს ურია ძაღლებს რომ ეძახიან?

- არ ვიცი, ბერძნები იმათ რას ეძახიან, – მიუგო ლიგიამ, – ის კი ვიცი, – ნაზარი ქრისტიანია და ჩემი ძმა.

ლიგიამ ნაღვლიანი და გაკვირვებული სახით შეხედა ვინიციუსს. ვინიციუსმა ენას კბილი დაადგა, რომ ლიგიასათვის არ ეთქვა: მაგისთანა „ძმას" დიდი ხალისით გავაროზგინებდი, ან სოფელში ბორკილშეყრილს გავგზავნიდი მიწის სათხრელადო. მაინც თავი შეიკავა, რისხვა გულში ჩაიხშო და რამდენიმე წუთის შემდეგ უპასუხა:

- მაპატიე, ლიგია. ჩემთვი შენ მეფის ქალი ხარ და პლავციუსების შვილობილი.

და ისე მოთოკა თავი, როდესაც ნაზარი ოთახში ხელახლა შემოვიდა, ვინიციუსი დაჰპირდა: შინ დავბრუნდები თუ არა, ერთ წყვილ ფარშევანგს ან ფლამინგოს გაჩუქებ, ბაღში მრავლა მყვანანო.

ლიგიამ გაიგო, რაც დაუჯდა ვინიციუსს ამგვარი თავშეკავება და რაც მეტი იყო ასეთი შემთხვევა, მით უფრო მეტად მიუწევდა გული ვინიციუსისაკენ. მაგრამ ნაზარის შემთხვევა კი ვინიციუსისათვის უფრო მცირე გამარჯვება იყო, ვიდრე ლიგიას ეგონა. ვინიციუსს შეეძლო, დროებით გაჯავრებოდა ყმაწვილს, მაგრამ ეჭვის მიტანა არ შეეძლო. მარიამის შვილი ვინიციუსის თვალში ძაღლზე ცოტად მეტს ნიშნავდა, ამას გარდაც პატარა ბიჭი იყო, და თუნდაც ლიგია მართლაც ყვარებოდა, ეს სიყვარული მიამიტი და მონური

უნდა ყოფილიყ. ახალგაზრდა ტრიბუნს უფრო დიდი ბრძოლა თავის თავთან ჰქონდა გამართული, რათა შერიგებოდა იმ თაყვანისცემას, რასაც ეს ხალხი ქრისტესა და მისი რჯულის მიმართ იჩენდა, უცნაურ დღეში იყო ვინიციუსი. რაც უნდა იყოს, ლიგიას რჯული მოთმინებით უნდა აეტანა. რამდენიც უკეთ ხდებოდა, იმდენი უკეთესად აგონდებოდა ოსტრანიუმის შემდგომი ამბები, ახალი აზრები, რაც ამ ამბების შემდეგ დაებადა, და მით უფრო ხშირად უფიქრდებოდა ხომე ამ რჯულის ზესთაბუნებრიობას, რაიც ადამიანის სულიერ მხარეს სრულებით სცვლიდა, ასხვაგვარებდა. მას ესმოდა, რომ ამ მოძღვრებაში რაღაც არაჩვეულებრივი იფარებოდა, რაც ქვეყნიერებაზე ჯერაქამმე არა ყოფილა, და თანაც გრძნობდა-ქრისტიანობა რომ მთელ ქვეყანას მოსდებოდა, თვისი სიყვარული და გულმოწყალება ყველაგნ დაემყნო, მაშინ ყველას იმ დროს მოაგონებდა, როდესაც ქვეყნიერებას ზევსი კი არა,

სატურნი განაგებდა. ვერა ბედავდა, ეჭვი მიეტანა ქრისტეს არც სასწაულებრივ ჩასახვაზე, არც მის აღდგომაზე, არც სხვა სასწაულებზე. ამას თვითმხილველნი ამბობდნენ და მათი მონაყოლი სრული ნდობის ღირსი იყო. სიცრუე ისე ძლიერ ეთაკილებოდათ, რომ არ შეიძლებოდა მათთვის ტყული შეეწამებინათ. დასასრულ, რომაული სკეპტიციზმი ნებას აძლევდა, ღმერთები არ ეწამა, მაგრამ სასწაულები კი სჯეროდა. ვინიციუსი რაღაც უცნაური გამოცანის წინ იდგა, გამოცნობა კი არ შეეძლო. მეორე მხრივ მთელი ეს რჯული არსებული წესწყობილებისათვის ისე შეუფერებლად ეჩვენებოდა, ცხოვრებისთვის ისე უვარგისად, რომ სხვა მისთანა არც ერთი არ ეგულებოდა. მისი აზრით, ხალხი რომსა და მთელ ქვეყანაზედაც შეიძლება ცუდი ყოფილიყო, მაგრამ თვითონ წესწყობილება კი რიგიანი გახლდათ. მაგალითად, კეისარი რომ ღირსეული კაცი ყოფილიყო, სენატში რომ გარყვნილი ხალხი არა მსხდარიყო, არამედ ისეთები ყოფილიყვნენ, როგორიც თრასეაა, ამ წყობაზე უკეთესს ვერაფერს ინატრებდა კაცი. რომაული სამყარო და რომის თავკაცობა ხომ კარგი საქმე იყო და ხალხის უთანასწორობაც სრულებით სამართლიანი. ქრისტიანულ რჯულს, ფიქრობდა ვინიციუსი, მთელი წესრიგი უნდა დაერღვია, რომის ბატონობა გაეტეხა და ხალხთა შორის უთანასწორობა მოესპო. მაშინ რაღა დაემართებოდა რომის სახელმწიფოს მსოფლიო ძლიერებას? ნუთუ რომაელ ბატონობაზე უარი უნდა ეთქვათ და დაპყრობილი ხალხის მთელი ნახირი თავის თანაბრად ეცნოთ? ამ

აზრს პატრიცი ვერ შეეგუებოდა. ამასთანავე ეს რჯული მის გემოვნებას, ყველა ჩვეულებას, ხასიათსა და ცხოვრებაზე შეხედულებას ეწინააღმდეგებოდა. სრულებით ვერ წარმოედგინა, თუ როგორ მოახერხებდა

ცხოვრებას, ეს რჯული რომ ეღიარებინა. ეშინოდა ქრისტიანობის, უკვირდა, მაგრამ მთელი მისი ბუნება ამ რჯულის საწინააღმდეგოდ იყო მიმართული. დასასრულ, ესმოდა, რომ ლიგიას მხოლოდ ეს მოძღვრება აშორებდა, და როდესაც ამას ფიქრობდა, მთელი სულითა და გულით სძაგდა იგი. ესეც კი ესმოდა, ქრისტიანობამ ლიგიას ისეთი არაჩვეულებრივი, გამოუცნობი სილამაზე შესძინა, რომ ჩემს გულში არა მარტო სიყვარულია, რამედ პატივისცემაც, არა მარტო ვნება, არამედ გაღმერთებაცო. მაშინ ხელახლა ქრისტეს სიყვარული ესურვებოდა. ერთი რამ ცხადი გახდა ვინიციუსისათვის: ან უნდა შეეყვარებინა ქრისტეს რჯული, ან უნდა სძულებოდა, შუა გზაზე ვერ გაჩერდებოდა, თითქოს ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო ტალღა დაატყდა თავს, გონება და გული თითქოს სწორად გაეყო და რაკი არჩევანი ვერ მოეხდინა, გაუგებარი ღმერთის წინაშე მდუმარე პატივისცემით თავს იხრიდა იმიტომ, რომ ის ლიგიას ღმერთი იყო.

ლიგია ხედავდა ვინიციუსის თავსატეხს, ხედავდა, როგორ უარყოფდა ქრისტეს მცნებას ახალგაზრდა რომაელის ბუნება და თუ ერთი მხრივ ეს მეტისმეტად ამწუხრებდა, მეორე მხრივ სიბრალული, თანალმობა და ქრისტესადმი ვინიციუსის ჩუმი პატივისცემისათვის მადლიერება დაუძლეველი ძალით ქალის გულს ვაჟისაკენ ეწეოდა. ლიგიამ პომპონია გრეცინა და ავლუსი გაიხსენა. პომპონიას გამუდმებული ნაღვლიანობისა და დაუშრეტელი ცრემლის მიზეზი ის იყო, რომ სიკდილის შემდეგ ავლუსს ვეღარასოდეს შეხვდებოდა. ეს ნაღვლიანობა ლიგიამ ახლა უკეთესად გაიგო. იმასაც შეხვდა ამქვეყნად ძვირფასი არსება, რომელთანაც სამუდამო განშორება

ემუქრებოდა. ხანდახან თითქმის გონება ებნეოდა, ფიქრობდა, იქნებ კიდეც გაანათოს ვინიციუსის სული ქრისტეს რჯულმაო, მაგრამ ამ იმედს დიდი ძალა არა ჰქონდა. ერთობ კარგად იცნობდა ვინიციუსს. ვინიციუსი და ქრისტიანი? გამოუცდელ ლიგიასათვის ორი შეუთავსებელი ცნება იყო. თუ გამჭრიახი და დაფიქრებული ავლუსი ჭკვიანი და გულკეთილი პომპონიას გავლენით ქრისტიანი ვერ გახდა, მაშ ვინიციუსს რაღა მოაქცევსო? ამაზე პასუხი არა ჩანდა, ან უკეთ რომ ვთქვათ, ერთი პასუხი იყო-არავითარი იმედი და არავითარი საშველი.

ლიგია შეძრწუნდა, როდესაც იგრძნო, რომ ვინიციუსის დამღუპველი განაჩენი არათუ აშორებს ვაჟს, პირიქით, სიბრალულის გამო უფრო ძვირფასად უსახავს. ხანდახან მოესურვებოდა ვაჟთან გულღიად ელაპარაკნა, მაგრამ ერთხელ რომ გვერდით მოუჯდა და უთხრა, ქრისტეს რჯულის გარეშე სიცოცხლე არ არისო, ვინიციუსმა საღ ნიდაყვზე წამოიწია, თავი უცებ მუხლებზე დაადო და უთხრა: „ შენა ხარ ჩემი სიცოცხლის სიცოცხლე!" მაშინ ლიგიას ღელვამ მთელ სხეულში დაუარა. ხელი წაავლო ავადმყოფის თავს, უნდოდა აეწია, მაგრამ თვითონ იქამდე დაიხარა, რომ ტუჩებით ვინიციუსის თმას შეეხო.

ერთ წუთს ორივენი თავს ებრძოდნენ, სიყვარულს უმკლავდებოდნენ. ბოლოს, ლიგიამ რაკი იგრძნო, სისხლი უდუღდა და თავბრუ ეხვეოდა, წამოხტა და გაიქცა. ეს უკანასკნელი წვეთი იყო, უიმისოდაც სავსე ფიალას რომ მიემატა. ვინიციუსი ვერ მიხვდებოდა, თუ რა ძვირად დაუჯდებოდა

ბედნიერების ეს ერთი წუთი, ლიგიამ კი შეიგნო, ახლა მე თვითონ მჭირდება შველაო. ამ საღამოს მომდევნო ღამე უძილოდ გაატარა, ტირილითა და ლოცვით. სულ ის აზრი უტრიალებდა, ლოცვის ღირსი არა ვარ და არც შეისმენს უფალი ჩემს ლოცვასო. მეორე დღეს კუბიკულუმიდან ადრე გამოვიდა, ფათალოთი და დამჭკნარი ხვართქლით მობურდულ ბაღის ფანჩატურში კრისპი მოიხმო, მას გაენდო. ემუდარებოდა, მარიამის სახლის დატოვების უფლება მომეც, რადგან თავს აღარ ვენდობი და არც ღონე შემწევს გულში ვინიციუსის სიყვარული ჩავიკლაო.

მკაცრი ბერიკაცი კრისპი რელიგიური ექსტაზით იყო გატაცებული და ლიგიას მარიამის სახლის დატოვების განზრახვა მოუწონა. სამაგიეროდ, ცოდვილი სიყვარულის შენდობისთვის სიტყვები ვერ ეპოვა. მისი გული მრისხანებით აღივსო მარტო ერთი გაფიქრებით, რომ იმ ლიგიამ, რომელსაც გმოქცევის აქეთ მფარველობდა, რომელიც შეიყვარა და სარწმუნოება განუმტკიცა და აქამდის უცქეროდა, როგორც გულსპეტაკ თეთრს შროშანს, ქრიტეს რჯულზე აღმოცენებულს, ამ ლიგიამ გულში ზეციური სიყავრულის გარდა სხვა სიყვარულსაც დაუთმო ადგილი. აქამდე ბერიკაცი ფიქრობდა, ქვეყანაზე არავის არა ჰქონდა ლიგიასავით წმინდა გული, მთლად ქრისტეს სიყვარუზე გადაგებული. უნდოდა, ლიგია ქრისტესთვის მსხვერპლად შეეწირა, ვითა მარგალიტი, ვითა საუნჯე. ლიგიას ნაამბობმა გააოცა, იმედი დაუკარგა და გაამწარა.

- წადი და ღმერთს შეევედრე, დანაშაული შეგინდოს, – მკაცრად უთხრა მან, – ილტვოდე, ვიდრე

ბოროტი სული გაცდუნებდეს, ვიდრე არ დამდაბლებულხარ და ვიდრე მაცხოვარი არ უარგიყვია. ღმერთი ჯვარს ეცვა, რათა სისხლით გამოესყიდა სული შენი, შენ კი ის შეიყვარე, ვინაც ხასად გადაქცევა მოგინდომა. ღმერთმა იმის ხელთაგან სასწაულით დაგიხსნა, შენ კი ბიწიერ ვნებას გული გაუღე და ქვესკნელის სული შეიყვარე. ვინ არის იგი? ანტიქრისტეს მეგობარი და მსახური, მისი გარყვნილების და ბოტორმოქმედების მონაწილე... სად წაგიყვანს ვინიციუსი, თუ არა იმ უფსკრულში, იმ სოდომში, სადაც თვითონ ცხოვრობს, და რაც ღმერთმა თავისი ცეცლით უნდა აჰგავოს პირისაგან მიწისა. ხოლო მე გეტყვი შენ: უმჯობესი იყო მომკვდარიყავ, უმჯობესი იყო ამ სახლის კედლები გადცემოდნენ თავს, ვირე ეს გველი შეგპარვოდა გულში და თვისი შხამით მოეწამლე.

რისხვამ უფრო და უფრო გაიტაცა. ლიგიამ დანაშაულმა არა მარტო მრისხანება მოჰგვარა, საზოგადოდ ადამიანის ბუნების სიძულვილი იგრძნო.მეტადრე დედაკაცის ბუნებისა, ვინც თვით ქრისტეს რჯულმა ვერ იხსნა ევას სისუსტისაგან. კრისპისთვის არაფერს ნიშნავდა, რომ ქალი ჯერაც წმინდანად დარჩა, რომ უნდოდა ამ სიყავრულს გაქცეოდა, ნაღვლითა და მწუხარებით მოენანიებინა. კრისპს უნდოდა, ანგელოზად გარდაექმნა ლიგია და იმ სიმაღლეზე აეყვანა, სადაც მხოლოდ ქრისტეს სიყვარული სუფევს; იმან კი ავგუსტიანი შეიყვარა. ამ აზრმა მისი გული რისხვითა და სასოწარკვეთით აღივსო. არა, მიტევება არ შეეძლო! რისხვის სიტყვები ბაგეს ცეცხლის ნაკვერცხლებივით უწვავდნენ ბერიკაცს. მაიან თავს ებრძოდა, არ უნდოდა, ყველაფერი

ეთქვა და მხოლოდ შეშინებული ქალის თავზე გამხდარ ხელებს აცახცახებდა. ლიგია თავს დამნაშავედ გრძნობდა, მაგრამ იმდენად დამნაშავედ კი არა. იგი იმასაც კი ფიქრობდა, რომ მარიამის სახლიდან წასვლა ცთუნების დამარცხება იქნებოდა და მის დანაშაულს გააუქმებდა. კრისპმა შემუსრა იგი, ქალს დაუმტკიცა, აი როგორი მდაბალი სული გაქვსო. ლიგია იმასაც კი ფიქრობდა, ისიც კი ეგონა, რომ ხანში შესული პრესვიტერი, პალატინიდან ლიგიას გამოქცევის შემდეგ რომ მის მიმართ მამაშვილური გრძნობით იყო გამსჭვალული, შეიბრალებდა, ნუგეშს სცემდა და გაამხნევებდა.

- ღმერთმა მოგიტეოს ჩემი იმედგაცრუება და მწუხარება, – განაგრძო კრისპმა, – მაგრამ შენ მაცხოვარიც მოატყუე, რადგან თითქოს ჭაობში ჩაეფალი, რომლის ამონაორთქლმაც სული მოგიწამლა. შენ შეგეძლო, ის სული ქრისტესთვის შეგეწირა და გეთქვა მისთვის: „აღმავსე, უფალო, შენი წყალობითა“, – შენ კი იგი ბოროტ სულს მიეცი. ღმერთმა გაპატიოს და შეგიბრალოსმცა, რადგან მე... ვიდრე გველს არ ამოიგლეჯ... მე, რომელიც რჩეულად გსახავდი...

და უცებ გაჩუმდა, რადგან დაინახა, რომ მარტონი არ იყვნენ.

დამჭკნარ ხვართქლსა და მუდამ მწვანე ფათალოში გაიხედა და ორი კაცი დაინახა, რომელთაგან ერთი მოციქული პეტრე იყო, მეორე კი ერთბაშად ვერ იცნო, რადგან მატყლის მსხვილი

ქსოვილის „ ცილიციუმ"-ად წოდებული მოსასხამი თითქმის მთად უფარავდა სახეს. კრისპს იგი ხილონი ეგონა.

პეტრემ და მისმა თანამგზავრმა კრისპს მაღალი ლაპარაკი რომ გაიგონეს, ფანჩატურში შევიდნენ და ქვის სკამზე დასხდნენ. პეტრეს თანამგზავრმა სახე აიხადა, მელოტი თავი, დაწითლებული ქუთუთოები და კუზიანი ცხვირი გამოუჩნდა. სახე უსიამოვნო ჰქონდა, მაგრამ თანაც ზეგარდმო მადლმოფენილი... კრისპმა ტარსელი პავლე იცნო.

ლიგია მუხლებზე დაეცა, სასოწარკვეთით ხელები პეტრეს ფეხებს მოხვია, მისი მოსასხამის ნაკეცებს მიადო თავი და ხმაგაკმენდილი გაიტრუნა.

პეტრემ თქვა:

_ მშვიდობა სულთა თქვენთა!

და ქალი რომ თავის ფეხთით დაინახა, იკითხა, რა მოხდაო? კრისპმა ყველაფერი უამბო, უამბო ლიგიას სინანული, მისი ცოდვილი სიყვარული. მარიამის სახლიდან მისი გაქცევის სურვილიც გაუზიარა და თავისი მწუხარებაც-მას უნდოდა ქრისტესთვის შეეწირა ეს ცრემლივით წმინა და

სპეტაკი სული. ქალმა კი თავი შეიბილწა და შეიყვარა კაცი-ყველა იმ უბედურების მონაწილე, რაშიაც წარმართი ხალხია ჩაფლული და რასაც ღვთისგან სამაგიერო მიეგება.

კრისპის ლაპარაკის დროს ლიგია მოციქულს უფრო და უფრო მაგრად ხვევდა ხელს, თითქოს ამით უნდოდა, მცირედი შებრალება მაინც გამოეწვია.

მოციქულმა ყველა ბოლომდე მოისმინა, დაიხარა და თავისი მიხრწნილი ხელი ლიგიას თავზე დაადო, თვალები კი მოხუც მღვდელს მიაპყრო და თქვა:

_ კრისპ! განა არ გაგიგონია, რომ უფალი ჩვენი კანაში საქორწინო ლხინზე იყო და ქალსა და კაცს შორის სიყვარული დალოცა?

კრისპი სახტად დარჩა და გაოცებით შეხედა მოციქულს.

ხოლო პეტრემ ერთი წამის დუმილის შემდეგ ჰკითხა:

_ კრისპ, როგორა გგონია, ქრისტე, ვინაც მარიამ მაგდალინელს ნება დართო, მის ფერხთით დაწოლისა და მრუშს შეუნდო, ზურგს შეაქცევდა ამ მინდვრის სუმბულივით წმინდა ბავშვს?

ლიგია ქვითინით პეტრეს მუხლებს უფრო მაგრად მიეკრა. გაიგო, რომ მის მფარველობას ტყუილად არ ეძებდა. მოციქულმა ცრემლით მორწყული სახე აუწია და მიმართა:

_ ვიდრე სიამრთლის დასანახავად არ აეხილება თვალი მას, ვინც შენ გიყვარს, მოერიდე, რომ ცოდვაში არ ჩაგითრიოს, მაგრამ ილოცე კი მისთვის და იცოდე, შენი სიყვარული დანაშაული არ არის. და თუ გინდა ცთუნებისგან თავი დაიფარო, ეგ ღვაწლად ჩაგეთვლება. სასოს ნუ წარიკვეთ და ნუ სტირი, ვინაიდან გეტყვი: მაცხოვრის წყალობა შენთან არს, ლოცვა შენი შესმენილ იქნება, ხოლო მწუხარების შემდეგ ბედნიერი დღე დაგიდგება.

ორივე ხელი თავზე დაადო, თვალები ზეცას აღახვნა და დალოცა. არამიწიერი გულკეთილობა დასთამაშებდა სახეზე.

შეწუხებულმა კრისპმა მორჩილებით თავის გამართლება დაიწყო.

- შევცოდე მოწყალებას, – თქვა მან, – მაგრამ ვფიქრობი, რაკი გულში მიწიერი სიყავრული გაიტარა, ამით ლიგიამ ქრისტე უარყო.

პეტრემ უპასუხა:

- სამჯერ უარვყავ მე იგი, მაინც შემინდო და სამწყსო ჩამაბარა.

- მერე ისიცაა, – დააბოლოვა კრისპმა, – ვინიციუსი კეისრის მახლობელია.

ქრისტეს უფრო გაკაჟებული გულები მოუქცევია, – უთხრა პეტრემ.

ამაზე პავლე ტარსელმა, აქამდე რომ ჩუმად იყო, მკერდზე თითი მიიდო და წარმოთქვა:

- მე ვდევნიდი და ვხოცავდი ქრისტეს მსახურთა. სტეფანეს რომ კლავდნენ, მე იმათ ტანისამოსს ვიცვამდი, ვინც იგი ჩააქვავა. მე მინდოდა, ყველგან მომესრა ჭეშმარიტება, სადაც კი ხალხი ცხოვრობს. მაინც უფალმა მიბრძანა, ამ ქვეყნებში მისი რჯული ვიქადაგო. მე ვიქადაგე ქრისტიანობა იუდეაში, საბერძნეთში, კუნძულებსა და ამ უღვთო ქალაქში, სადაც პატიმარივით ვცხოვრობდი. ახლა კი, რაკი ჩვენმა მწყემსმა პეტრემ მომიხმო, შევალ ამ სახლში, რომ იმ ამაყ ადამიანს ქრისტეს წინაშე ქედი მოვახრევინო და იმ კლდოვან ნიადაგზე მარცვალი ჩავაგდო, რომელსაც უფალი გააღვივებს, რათა უხვი მოსავალი მოგვცეს.

და ზეზე ადგა ეს შუათანა ტანის მოკუზული კაცი ახლა კრისპს თავის ნამდვილი სახით ეჩვენა- ეს ბუმბერაზი იყო, რომელსაც ხალხი გაჰყვება.

თავი მეექვსე

პეტრონიუსი ვინიციუსს:

„შემიბრალე, carissime, წერილის წერაში ნურც სპარტელებს მიჰაბაძავ, ნურც იულიუს კეისარს. შენ რომ იმასავით შეგძლებოდა დაწერა: „veni, vidi, vici", მაშინ ასეთ სიმოკლეს გავიგებდი. მაგრამ შენი წერილი, აიღე-დაიღე, ნიშნავს: „veni, vidi, fugi", საქმის ამგავრი დასასრული კი სრულებით არ შეეფერება შენს ბუნებას. შენ დაგჭრეს და რაღაც არაჩვეულებრივი ამბები გადაგხდა-ამიტომ შენი წერილი განმარტებას საჭიროებს. თვალს არ ვუჯერებდი, როცა წავიკითხე, ლიგიელმა კროტონი დაახრჩოო, ისე როგორც კალედონიის ძაღლი ჰიბერნიის ხეობებში მგელს ახრჩობს. ეგ კაცი თავისი წონა ოქროდ ღირს და ადვილად შეუძლია კეისრის გული მოიგოს. ქალქში რომ დაბრუნდები, საჭიროა, ეგ ახლო გავიცნო. ვუბრძანებ, ბრინჯაოსაგან მაგის ქანდაკება ჩამომისხან. ჟღალწვერას ცნობისმოყვარეობა გახეთქავს, როდესაც ვეტყვი, ნატურიდან არის-მეთქი აღებული. ატლეტური სხეულები თანდათან უფრო და უფრო იშვიათია იტალიაშიაც და საბერძნეთშიაც, აღმოსავლეთზე ხომ ლაპარაკიც არა ღირს. გერმანელები თუმცა ბრგე ტანის ხალხია, კუნთებზე ქონი აქვთ გადაკრული, უფრო წარმოსადეგობით იპყრობენ ყურადღებას, თორემ ღონით კი არა. აბა გამოჰკითხე, იგი ერთია ეგეთი, თუ მაგათ ქვეყანაში ეგეთები ბევრნი არიან. იქნება მე ან შენ თანამდებობის გამო როდისმე თამაშობის გამართვა მოგვიხდეს. კარგი იქნება, ვიცოდეთ, საუკეთესო ტანის ხალხი სად მოვძებნოთ.

მაგრამ დიდება აღმოსავლეთისა და დასავლეთის ღმერთებს, მაგ კაცს ცოცხალი გადაურჩი. შენ, რა თქმა უნდა, ცოცხალი მიტომ გადარჩი, რომ პატრიცი ხარ და ყოფილი კონსულის შვილი, მაგრამ ყველა, რაც გადაგ-ხდა, მეტისმეტად მაოცებს; ის სასაფლაო, სადაც ქრისტიანებს შორის იყავი, თვითონ ქრისტიანები და მათი შენდამი მოპყრობა, ლიგიას ხელმეორე გაქ-ცევა და ბოლოს ეგ ნაღვლიანობა და მღელვარება, რასაც შენი მოკლე წე-რილი მეუბნება, ყველა ეგ განმიმარტე, მიტომ რომ ბევრი რამ არ მესმის. თუ გინდა, მართალი იცოდე, გეტყვი: არც ქრისტიანების გაგება მაქვს, არც შენი და არც ლიგიასი. ნუ გაიკვირვებ, რომ მე, ვისთვისაც საკუთარი არსე-ბის მეტი ქვეყნიერებაზე საყურადღებო არაფერი, ყველა ამას დაწვრილე-ბით გეკითხები. რაც მოხდა, ყველაფერში დამნაშავე მე ვარ, მაშ, რამდე-ნადმე ეს ჩემი საქმეც არის. ჩქარა მომწერე, რადგან დაბეჯითებით არ შე-მიძლია გითხრა, ერთმანეთს როდის ვნახავთ. ჟრალწვერას კვირაში შვიდი პარასკევი აქვს. ახლა ბენევენტუმში ზის და უნდა, პირდაპირ საბერძნეთში წავიდეს, რომში დაბრუნებას არა ფიქრობს. ტიგელინუსი მაინც დაბრუნებას ურჩევს, თუნდა მოკლე ხნით, თორემ ხალხს უშენობა (იგულისხმე-თამაშე-ბისა და პურის უქონლობა) მოსწყინდება და აღელდებაო. რას გადაწყვეტს ხალხი, არ ვიცი. თუ აქაია აჯობებს, იქნება ეგვიპტე მოგვესურვოს, შენი აქ მოსვლა ძალიან მინდა, ვფიქრობ, რომ ახლანდელი შენი სულიერი მდგო-მარეობისთვის მოგზაურობა და ჩვენი შესაქცევები სწორე მალამო იქნება, მაგრამ ვაითუ აქ ვეღარ მოგვისწრო. მოიფიქრე, არ ემჯობინებოდა რომში ჯდომას სიცილიის მამულში დასვენება? შენი ამბავი წვრილად მომწერე, მშვიდობით იყავ, ამჯერბაზე კარგამყოფობის მეტს არაფერს გისურვებ, იმი-ტომ რომ, პოლუქსსა ვფიცავ, არ ვიცი, რა გისურვო".

ეს წერილი რომ მიიღო, ვინიციუსს თავდაპირველად არავითარი ხალი-სი არა ჰქონდა, პასუხი მიეცა. გულგრილობით იყო მოცული და სიცოცხლე ათვალისწუნებული ჰქონდა. ამასთან ფიქრობდა, რომ პეტრონიუსი მაინც ვერაფერს გაიგებს, – ისეთი რაღაც მოხდა, რამაც ერთმანეთს დაგვაშო-რაო. თავის თავსაც ვეღარ შერიგებოდა. ტიბრს გაღმით კარინში მდებარე თავის მდიდრულ ინსულაში დაბრუნდა ჯერაც სუსტი და ქანცმილეული. ჯერ გარშმოხვეულ ფუფუნებამ მცირე კმაყოფილება მოგვარა, მაგრამ ამ გრძნობამ დიდხანს არ გასტანა. ჩქარა იგრძნო რომ თითქოს უდაბურ ად-

გილას ცხოვრობდა და რაც აქამდე მისი ცხოვრების სახალისო საგანს შეადგენდა, ახლა ან სრულებით აღარ არსებობდა, ან მთლად დაკნინებუიყო. ხედავდა, რომ სულში ის ძაფები დაუგლიჯეს, რომელნიც აქამდე მას ცხოვრებასთან აკავშირებდნენ. ბენევენტუმში წასვლა განიზრახა, შემდეგ აქაიაში, მაგრამ არც ეს აზრი დაუჯდა ჭკუაში.იქ რა უნდა? პირველად იყო, რომ იფიქრა, თუ იქ წავალ, პეტრონიუსის საუბარი, მისი გონებამახვილობა, მისი სინატიფე და მახვილი ენა ამჟამად ჩემთვის მოსაბეზრებელი იქნებაო. მარტოობაც ძალიან აწუხებდა. ყველა მისი ნაცნობი კეისართან იყო ბენევენტუმში და ვინიციუსი იძულებული იყო, მარტოდმარტო შინ მჯდარიყო, ათასნაირი გაურკვევლი საფიქრალით გულშეძრული. ისეთი წუთებიც იყო, ფიქრობდა, ვინმე რომ მყავდეს, ვისთვისაც გულის გადაშლა შემეძლოსო, ეგების კიდეც გავერკვეო. რამდენიმე დღის ჭოჭმანის შემდეგ გადაწყვიტა, პეტრონიუსისათვის პასუხი მიეწერა. თუმცა დარწმუნებული არ იყო, რომ ამ პასუხს გაუგზავნიდა, მაინც ხელდახელ დაწერა:

„ შენ გინდა, დაწვრილებით მოგწერო ყველაფერი-ყაბულსა ვარ; გინდა, უფრო ცხადად გწრო ხოლმე. არ ვიცი, ამას შევძლებ თუ არა, იმიტომ, რომ მრავალი კვანძის გახსნა თვითონ მეც არ შემიძლია. მე უკვე მოგწერე ქრისტიანებში ჩემი ყოფნა, მოგწერე როგორ ეპყრობიან ისინი მტრებს, რაიც ჩემზე და ხილონზე გამოჩნდა, მოგწერე მათი გულკეთილობა და დასასრულ ლიგიას დაკარგვა. არა, ძვირფასო, მე იმიტომ კი არ დამინდეს, რომ ყოფილი კონსულის შვილი ვარ. ეგეთი მოსაზრებანი იმათში არ არსებობს; ხილონსაც აპატიეს, თუმცა მე თვითონ ვაქეზებდი, ბაღში ჩაეფლათ. ეს ისეთი ხალხია, როგორიც ქვეყანას ჯერ არ უნახავს და ისეთი რჯულია, როგორიც ქვეყანას ჯერ არ გაუგონია. მათზე სხვა რისამე თქმა არ შემიძლია და ვინც ჩვენი ადლით მოისურვებს იმათ გაზომვას, შეცდება სწორედ. იმასაც გეტყვი, მე რომ ხელი მომტეხოდა, საკუთარ სახლში ვწოლილიყავ და ჩემი მომვლელი ჩემივე ხალხი ყოფილიყო, თუნდა ნათესავები, რა თქმა უნდა, უფრო მოხერხებულად ვიქნებოდა, მაგრამ იმ მზრუნველობის ნახევარიც არ მექნებოდა, რაც იმათ მაჩვენეს. ისიც იცოდე, რომ ლიგიაც სწორედ ისეთივეა, როგორიც სხვები არიან. ის რომ ჩემი ცოლი ან და ყოფილიყო, მაშინაც კი ვერ შეიძლებდა მეტი სათნოებით მომპყრობოდა. არა ერთხელ გული სიხარულით ამვსებია, მიფიქრია, მარტო სიყვარულს შეუძლია ისეთი სათნოების ჩაგონება-მეთქი. არა ერთხელ წამიკითხავს მის სახეზე და მის

შემოხედვაზე სიყვარული და დამიჯერე, იმ მდაბიო ხალხში, საცოდავ ოთახში, ერთსა და იმავე დროს რომ სამზარეულოც იყო და ტრიკლინიუმიც, არგანცდილ ბედნიერებას ვგრძნობდი. არა, იგი ჩემდამი გულგრილი არ იყო, ეს ნამდვილად ასეა. მაგრამ აკი გაიპარა ლიგია, ახლა მთელი

დღეები თავჩაკიდული ვზივარ და ვფიქრობ: ეს რად გააკეთა? მგონია, მოგწერე, რომ მე თვითონ ვეუბნებოდი, ავლუსის ოჯახში დაგაბრუნებ-მეთქი. მან მიპასუხა: ეგ შეუძლებელიაო, რადგან ავლუსი ოჯახიანად სიცილიაში წავიდა და იმიტომაც, რომ ლიგიას მასთან დაბრუნების ამბავი მონების მეოხებით მთელ რომს მოეფინებოდა და პალატინამდეც მიაღწევდა. კეისარი ისევ წაართმევდა ავლუსს ლიგიას. ყველა ეს მართალია, მაგრამ ლიგიამ ხომ იცოდა, აღარ ავედევნებოდი, ძალადობის გზას აღარ დავადგებოდი, ხოლო, რაკი მის სიყვარულზე ხელის აღება არ შემიძლია, არც უიმისოდ სიცოცხლე შემიძლია, მაშ ჩემს სახლში შევიყვანდი გვირგინებით მორთული კარით და ნაკურთ ტყავზე კერის წინ დავსვამდი. მაინც წავიდა! რატომ? ხომ არაფერი ემუქრებოდა. თუ არ ვუყვარდი, უარს მეტყოდა... წინადღეს ერთი უცნაური კაცი გავიცან, ვინმე პავლე ტარსელი. იგი ქრისტეზე და მის რჯულზე მელაპარაკებოდა, ისე დაჯერებით ლაპარაკობდა, მეგონა, ყოველივე მისი სიტყვა უნებლიეთ ჩვენი ქვეყნის საძირკველს ანგრევს-მეთქი... ამავე კაცმა ლიგიას გაპარვის შემდეგ მინახულა და მითხრა: „ როდესაც ღმერთი თვალს აგიხელს, როცა ბინდს აგაცლის, როგორც მე ამიხილა თვალი, მაშინ იგრძნობ, რომ ლიგია სწორედ მოიქცა და იქნება, კიდეც იპოვო". ამ სიტყვებზე თავს ვიმტვრევ, თითქოს დელფოსის პითიას ნათქვამიაო. ზოგჯერ მგონია, თითქოს რაღაც გავიგე-მეთქი. მართალია, ქრისტიანებს ხალხი უყვართ, ჩვენი ცხოვრების, ჩვენი ღმერთების მტრები არიან და ჩვენი დანაშაული სძულთ. ლიგია გამექცა, როგორც სხვა რწმენის, სხვა მიმართულების კაცს. ჩემთან რომ დარჩენილიყო, ქრისტიანების აზრით, დანაშაულებრივი ცხოვრება უნდა გაეწია. იტყვი, შენთვის უარის თქმა

შეეძლო, გაქევა რაღა საჭირო იყოო? თუ მას ვუყვარხარ, მაშ თავის სიყვარულს გაექცა. ეს აზრი რომ მომივა, მინდა, რომის ყველა ვიწრო შესახვევში მონები გავგზავნო და ვუბრძანო, ყველა სახლთან იყვირონ: „ ლიგია, დაბრუნდი!" მაგრამ ვერაფერი გამიგია, არ ვიცი, რატომ გამექცა. ხომ არ ვუშლიდი ქრისტე სწამებოდა, პირიქით, ჩემს ატრიუმში თვითონ მე ავუშე-

ნებდი სამსხვერპლოს. ერთი ახალი ღმერთი რას დამიშლიდა, იმასაც ვცემ-დი თაყვანს, განა ძველი ღმერთებისა კი ერთგული ვარ... ნამდვილად ვიცი, რომ ქრისტიანებმა სიცრუე არ იციან და ამბობენ, რომ იგი მკვდრეთით აღ-სდგა. ადამიანს ეს არ შეეძლო. პავლე ტარსელი-რომის მოქალაქეა, მაგ-რამ ვით ებრაელმა ძველი ებრაული წიგნები იცის. იმან მითხრა, ქრისტეს მოსვლა რამდენიმე ათასი წლის წინათ წინასწარმეტყველთაგან თქმულაო. ყველა ეს ზესთაბუნებრივი საქმეა, მარამ განა ყოველივე ზესთაბუნებრივი არ გვახვევია გარს? აპოლონიოს ტიანელზე ლაპარაკი აქამდე არ დამ-ცხრალა. პავლე ამტკიცებს, ღმერთების მთელი ბრბო არ არსებობს, არის მხოლოდ ერთი ღმერთიო, და მეც ვფიქრობ, მართალია. მგონია, სენეკაც ამ აზრისაა, მაგრამ სენეკამდეც ბევრს უფიქრია ასე. ქრისტე იყო და ნებით ჯვარს ეცვა და მერე აღსდგა. ყველა ეს ნამდვილი სიმართლეა, რატომ უნ-და ვეწინააღმდეგო, საკურთხეველი რატომ არ უნდა ავუშენო, თუკი მზად ვიყავ, სერაპისისათვს ჩამედინა ეს. ჩემთვის ძნელი არც კია, სხვა ღმერთები უარვყო, რადგან არც ერთ გონიერ კაცს ისინი არა სწამს. მაგრამ, მგონია, ქრისტიანებისთვის ყველა ეს საკმარისი არ არის, საკმაო არ არის ქრისტეს თაყვანისცემა. იმისი რჯულისაებრ უნდა იცხოვრო, და აი აქ თითქოს ზღვის ნაპირს მიადექ და გიბრძანებენ, წყალზე ფეხით გაიარეო. მე

რომ ეგ აღმეთქვა კიდეც, ქრისტიანები თვითონ მიხვდებოდნენ, რომ ეგ ცარიელი სიტყვა იქნებოდა. აბა როგორ შემიძლია, თუნდა ლიგიამაც მთხოვოს, სორაკტე ან ვეზუვი ზურგზე ავიკიდო? ფილოსოფოსი არა ვარ, მაგრამ არც ისეთი სულელი გახლავარ, როგორიც იქნება არა ერთხელ გჩვენებივარ. აი რა გეტყვი: არ იცი, ქრისტიანები თავიანთ ცხოვრებას რო-გორ აწყობენ. მაგრამ ვიცი-საცა მათი რჯული მოიდგამს ფეხს, იქ რომის ბატონობა თავდება, რომი თავდება, ცხოვრება თავდება, თავდება განსხვა-ვება გამარჯვებულსა და დამარცხებულს შორის, მდიდარსა და ღარიბს შო-რის, ბატონსა და მონას შორის, კეისრის ხელისუფლება აღარ არსებობს, არც კანონია და არსებული წესრიგი, ხოლო ყველა ამის მაგიერ მოდის ქრისტე და თან მოაქვს აქამდე არარსებული გულკეთილობა, ადამიანური და ჩვენი რომაული ადათებისათვის უცხო სათნოება. ლიგია უფრო მეტად მაინტერესებს, ვიდრე მთელი რომი და მისი სამეფო. დაე, ქვეყანა აინგრეს, ოღონდ შევიძლო იგი ჩემს სახლში ვნახო. მაგრამ ეს სხვა საქმეა. იმათ-თვის-ქრისტიანებისთის საკმაო არ არის სიტყვიერად დაეთანხმო, საჭიროა,

გრძნობდე, რომ ეს კარგია და გულშიაც სხვა აღარაფერი იქონიო... მე კი, ღმერთები არიან მოწმენი, ეგ არ შემიძლია. გესმის, ეს რას ნიშნავს? ჩემი ბუნების კაცს ამ რჯულზე ფიქრიც არ შეუძლია. ქრისტიანობა რომ ვაღიარო, გული და გონება მეტყოდნენ, რომ ამას სიყვარულის გამო ჩავდივარ, ლიგიას გულისთვის, და თუ ის არა-ეს რწმენა ჩემთვის მიუღებელი იქნებოდა. საოცარია! ვიღაც პავლე ტარსელს ეს გაეგება, – გაეგება, მიუხედავად თავისი სიმარტივისა, გაეგება მოხუცს თეურგოსსაც, მათ შორის ყველაზე უმთავრეს პეტრეს-ქრისტეს მოწაფეს. იცი, რას აკეთებენ? ჩემთვის ლოცულობენ, უფალს სთხოვენ, მადლი მოუვლინეო, მე კი ვშფოთავ და ლიგიას დარდი მკლავს.

მე მოგწერე, გამექცა-მეთქი, მაგრამ როცა მიდიოდა, ჯავრი დამიტოვა, ბზისაგან თავისი ხელით დაწნული. რომ გავიღვიძე, ის ჯვარი საწოლს გვერდზე ვიპოვე. ახლა ის ლარარიუმში მაქვს, და თვითონაც ვერ აგიხსნი, ყოველთვის რატომ მიუახლოვდები შიშითა და მოწიწებით. თითქოს მასში რაღაც ღვთაებრივი მეგულებაო. მიყვარს ის ჯვარი, იმიტომ რომ ლიგიას ხელებმა დაწნეს და მძულს, რადგან ერთმანეთს გვაშორებს. ხანდახან მეჩვენება, რომ ეს სულ ჯადოქრობაა და რომ თეურგოსი პეტრე, თუმცა თავს მებადურს ეძახის-აპოლონზედაც დიდია და ყველა აქამდე არსებულთ წააჭარბებს. იმან მოაჯადოვა ყველანი-ლიგიაც, პომპონიაც და თვითონ მეც.

მწერ, შენს წინა წერილში მოუსვენრობა და შფოთი ჩანსო. უნდა ვშფოთავდე, რადგან ლიგია ხელახლა დავკარგე, ხოლო მოუსვენრობა იმისგანაა, რომ ჩემში რაღაც შეიცვალა. გულწრფელად გეუბნები, ჩემი ბუენბისთვის შეუფერებელი ისეთი არა არის რა, როგორიც ეს რჯული, მაინც რაც მას გადავეყარე, ჩემს თავს ვეღარ ვცნობ. ჯადოა თუ სიყვარული? ცირცე თავის მიკარებით ადამიანებს სხეულებს შეუცვლიდა, მე კი სული შემიცვალეს. იმათგან რომ დავბრუნდი, არავინ მელოდა.ეგონათ ბენევენტუმში ვიყავ და მალე არ დავბრუნდებოდი, ამიტომ სახლში უწესრიგობა დამხვდა. ჩემს ტრიკლინიუმში მთვრალ მონებს ღრეობა გაემართათ. სიკვდილს უფრო მოელოდნენ, ვიდრე მე, და ნაკლებ შეეშინდებოდათ, სიკვილი რომ ენახათ. ხომ იცი, რა სასტიკად ვეპყრობი სახლეულს. ყველანი მუხლებზე დაეცნენ, ხოლო ზოგ მონას შიშისგან გული შეუღონდა. მე კი... იცი, როგორ მოვიქეცი? პირველ წამში მინდოდა როზგები მოეტანათ და

გახურებული შანთი, მაგრამ მაშინვე შემრცხვა, და... არ დამიჯერებ? რაღაც სიბრალული შემომაწვა, მონები შემებრალნენ. მათში მოხუცებულებიც იყვნენ, ჯერ ისევ პაპაჩემმა მარკუს ვინიციუსმა რაინიდან რომ ჩამოიყვანა. მე ჩავიკეტე წიგნთსაცავში და იქ თავში უფრო უცნაური აზრები მომივიდა: რაც ქრისტიანებში გავიგონე და ვნახე, მას შემდეგ აღარ შემიძლია მონებს ისე მოვეპყრა, როგორც აქამდე ვეპყრობოდი, მონებიც ხომ ადამიანები არიან. რამდენიმე დღეს შეშფოთებულნი დადიოდნენ, ფიქრობდნენ, დასჯას იმიტომ ვაგვიანებ, რაა უფრო საზარელი სასჯელი მოვიფიქრო, მე კი არავინ დამისჯია, რადგან... ვერ შევიძელ. გუშინწინ მოვუწოდე მათ და ვუთხარ: „თქვენი დანაშაული მიპატიებია, ხოლო თქვენ ეცადენით, დანაშაული გულმოდგინე შრომით გამოისყიდოთ". მუხლებზე დაეცნენ, ტირილი მორთეს და ქვითინით ხელები გამომიწოდეს, ბატონსა და მამას მეძახდნენ, ხოლო მე სამარცხვინო აღელვებამ დამრია ხელი. იმ წამში მეგონა, ლიგიას მშვიდ სახესა და ცრემლებით სავსე თვალებს ვხედავდი, ამ საქციელისთვის მადლობას რომ მეუბნებოდნენ და-proh pudor! ცრემლი არ მომადგა თვალზე! უნდა გამოგიტყდე: მე ულიგიოდ ყოფნა არ შემიძლია, მარტოობა მაწუხებს, თავს ცუდად ვგრძნობ, ნამდვიად უბედური ვარ და ჩემი ნაღველი უფრო დიდია, ვიდრე გგონია. რაიც შეეხებ ჩემს მონებს, ერთი რამ შევნიშნე. პატიება რომ მიიღეს, იმან არათუ გაათამამა ისინი, არათუ წესრიგი მოშალა, არამედ არავითარ შიშს არ წაუქეზებია ისეთი პატიოსანი სამსახურისთვის, როგორც მადლიერებამ წააქეზა. ისინი არათუ მემსახურებიან, პირიქით, მგონია, ერთმანეთს ეცილებიან, არა მე უკეთ შევუსრულებ ბატონს სურვილს, არა მეო. მე ეს იმიტომ გავიხსენე, რომ როდესაც ქრისტიანებთან

განშორების წინა ღამეს ვუთხარ პავლეს, თქვენი რჯულისაგან ქვეყანა ისე დაინგრევა, როგორც სალტეშემოჭერილი კარი-მეთქი, იმან მიპასუხა: „სიყვარული უფრ მაგარი სალტეა, ვიდრე შიში". ახლა ვხედავ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ეს აზრი მართალია. ეს მე ჩემს კლიენტებზედაც გამოვცადე. ჩემი დაბრუნება რომ შეიტყვეს, მოსალოცად მოცვივდნენ. ხომ იცი, მათთან ძუნწი არასოდეს არა ვყოფილვარ, მაგრამ მამაჩემს მათთან მედიდურად ეჭირა თავი და მეც ამას მიმაჩვია. აი, დავინახე თუ არა მათი გახუნებული მოსასხამები და მოუძლურებული სახეები, ხელახლა, სიბრალული ვიგრძენ. ვუბრძანე მათი დაპურება და ველაპარაკე კიდეც; ზოგს სახელი დავუძახე, ზოგს ცოლ-შვილის ამბავი ვკითხე და კვლავ მათ თვალებზე

ცრემლი დავინახე და კვლავ მეჩვენა, რომ ლიგია ამას შორიდან ხედავს და საქციელს მიწონებს. გონება დამეფანტა თუ სიყვარულმა ამირია აზრები, არ ვიცი; მაგრამ კი მუდამ ვგრძნობ, რომ შორიდან მიცქერის და მეშინია, ისეთი რამ არ ჩავიდინო, რაც იმას შეაწუხებს და ეწყინება. დიახ, გაიუს, ახალი გული ჩამიდგეს და ამის გამო თავს ხან კარგად ვგრძნობ, ხან კი ვიტანჯები, შემეშინდება, ვაითუ უწინდელი ვაჟკაცობა წამართვეს, უწინდელი ხალისი და იქნებ ნიჭიც, – არა მარტო რჩევის, მსჯელობის, ნადიმობის, არამედ იქნებ ომების ნიჭიც. ეს, უეჭველია, ჯადოა! ისე ძლიერ შევიცვალე, რომ ამასაც გეტყვი: ჩემი ავადმყოფობის დროს მომაფიქრდა, ლიგია რომ ნიგიდიას, პოპეას, კრისპინილას და მათ მსგავს ქმარგაყრილ ქალებს ჰგვანებოდა და იმათსავით ადვილი მისაწვდომი ყოფილიყო, ისე არ მეყვარებოდა, როგორც ახლა მიყვარს; და თუ ის იმიტომ მიყვარს, რაც ჩვენ ერთმანეთს გვაშორებს, იფიქრე, რა ქარიშხალი ბობოქრობს ჩემს სულში, რა

წყვდიადში ვარ გახვეული; ჩემ წინ ნამდვილ გზას ვერა ვხედავ და სრულებით არ ვიცი, რა ვქნა. თუ სიცოცხლე შეიძლება წყაროს შევადარო, ჩემი წყაროდან შფოთი მოწანწკარებს. მე იმედით ვცოცხლობ, იქნებ ვნახო-მეთქი, და ხანდახან მგონია, რომ ეს უნდა მოხდეს. მაგრამ ეს ერთი წლის უკან იქნება, თუ ორი წლის უკან, ამის გამოცნობა კი არ შემიძლია. რომიდან არ წავალ, ავგუსტიანების საზოგადოებას ვერ ავიტან. თანაც ამ შფოთსადა დავიდარაბაში ჩემი ერთადერთი ნუგეშია ის აზრი, რომ ლიგიას ახლოს ვარ, რომ გლავკოსისაგან ან პავლე ტარსელისგან მის ამბავს გავიგებ რასმე. არა, რომიდან არსად წავალ, თუნდა ეგვიპტეს გამგებლობა მითავაზონ! ისიც იცოდე, რომ გულონისთვის, გაბრზებულმა რომ მოვკალი, საფლავის ქანდაკების გაკეთება ვბრძანე. გვიან გავიხსენე, რომ ხელით დამატარებდა და მშვილდზე ისრის დადება პირველად იმან მასწავლა. არ ვიცი, იმისმა გახსენებამ ჩემში ახლა რად გაიღვიძა, მაგრამ ეს გახსენება სინანულისა და ყვედრების მსგავსია. თუ რასაც გწერ, გაგაკვირვოს, გიპასუხებ, რომ თვითონ მეც ნაკლებად არ მიკვირს. მაგრამ ნამდვილ სიმართლეს კი გწერ. მშვიდობით იყავ".

თავი მეშვიდე

ამ წერილზე ვინიციუსს პასუხი არ მიუღია, - უეჭველია, პეტრონიუსი იმედოვნებდა, კეისარმა შეიძლება რომში დაბრუნების ბრძანება გასცესო. მართლაც, ქალაქში ხმა გავარდა და ბრბოს, თამაშების ხილვისა და პურისა თუ ზეთის მიღების მოსურნეს, დიდი სიხარული მიეცა; ასეთი ჯილდო ბრბოს ოსტიაში ბლომად ჰქონდა მიღებული. ბოლოს ნერონის აზატმა გელიუსმაც სენატში მისი დაბრუნება გამოაცხადა. ნერონი თავისი კარის ხალხითა და ამალით მიზენუმის კონცხთან ხომალდებში ჩაჯდა და აუჩქარებლად გამოემართა რომისაკენ. გზა-გზა სანაპირო ქალაქებში გამოდიოდა ან დასასვენებლად, ან თეატრებში სათამაშოდ. მინტურნაში, სადაც ხელმეორედ საჯაროდ იმღერა, რამდენიმე დღე დარჩა. და იმასაც კი ფიქრობდა, ნეაპოლში დაბრუნებულიყო და გაზაფხულამდე ყოფილიყო. გაზაფხული კი ამ ქალაქში ადრეული და თბილი იცოდა. მთელი ეს დრო ვინიციუსი შინ იყო, კარჩაკეტილი ცხოვრობდა, ლიგიას და ყველა იმ ახალ საფიქრალზე ფიქრობდა, რაც მისი გულისთვის აქამდე უცხო ჩანდა. ხანდახან მხოლოდ გლავკოსს ხედავდა. მისი ყოველი მისვლა სიხარულით უვსებდა გულს, რადგან მასთან ლიგიაზე ლაპარაკი შეეძლო. მართალია, გლავკოსმა არ იცოდა, ლიგია სად იმალებოდა, მაგრამ ვინიციუსს არწმუნებდა, უხუცესნი ძალიან ზრუნავენო ქალზე. ერთხელ, მთლად დადარდიანებულ ვინიციუსს ისიც კი უამბო, მოციქულმა პეტრემ უსაყვედურა კრისპს, რად გაკიცხეო ლიგია ამქვეყნიური სიყვარულისთვის.

ეს რომ გაიგონა, ახალგაზრდა პატრიცი მღელვარებისგან გაფითრდა. თვითონაც კი ამჩნევდა, რომ ლიგია მისდამი მთლად გულგრილად არ იყო, მაგრამ ამავე დროს ეჭვი ეპარებოდა ხოლმე. ახლა თვისი ნანინანატრი ოცნების დადასტურება პირველად გაიგონა, ისიც ქრისტიანისაგან. ჯერ იფიქრა, გავიქცევი და პეტრე მოციქულს მადლობას ვეტყვიო. მაგრამ რა გაიგო, ქალაქში აღარ იმყოფებოდა, გლავკოსს ემუდარა, იმასთან მიმიყვანე და სამაგიეროდ მრევლის ღარიბთათვის უხვ შესაწირავს გავიღებო. ასე ეგონა, რაკი ლიგიას ვუყვარვარ, ყველა დაბრკოლება დაძლეულია, რადგან მზად ვარ, ქრისტეს თაყვანი ვცეო. მაგრამ გლავკოსმა, თუმცა დაბეჯითებითაც ურჩევდა, მოინათლეო, მაინც ვერ გაბედა დაჰპირებოდა ლიგიას გაპოვნინებო, იმასაც ეუბნებოდა, მონათვლა თვითონ მონათვლისთვის და ქრისტეს სიყვარულისთვის უნდა ისურვოს ადამიანმა და არა სხვა მიზნითაო. ქრის-

ტიანის გული უნდა ჩაიდგაო.თუმცა ვინიციუსს ყველა დაბრკოლება არისხებდა, მაინც ჩახვდა, რომ გლავკოსი, ვიტა ქრისტიანი, იმას ამბობდა, რაც უნდა ეთქვა მისთვის. თვითონაც ცხადად გრძნობდა, რომ მისი ბუნების ერთ ძირითად ცვლილებას ის შეადგენდა, რომ თუ ადრე ხალხსა და საგანს მხოლოდ თავკერძობის ადლით ზომავდა, ახლა ნელ-ნელ შეეჩვია იმ აზრს, რომ სხვა თვალი შესაძლოა სხვანაირად ხედავდეს, სხვა გული სხვანაირად გრძნობდეს, და რომ სიმართლე მუდამ ის როდია, რასაც პირადი სარგებლობა მოაქვს.

იმას ახლა პავლე ტარსელის ხშირი ნახვა ესურვებოდა; იმისი სიტყვები ერთსა და იმავე დროს

ჭკუაში უჯდებოდა კიდეც და ღელვასაც აღუძრავდნენ ხოლმე. ცდილობდა, ქრისტეს რჯულის საწინააღმდეგო საბუთი მოეფიქრებინა, გულში ეწინააღმდეგებოდა მას, მაინც კი მისი ნახვა და მოსმენა სურდა. მაგრამ პავლე არციუმში წავიდა, და რაკი გლავკოსმაც თანდათან სიარულს მოუკლო, ვინიციუსი მთლად მარტო დარჩა. მაშინ ისევ იწყო სუბურას მიდამოსა და ტიბრს გაღმა მიხვეულ-მოხვეულ ვიწრო ქუჩებში სიარული, ეგებ ლიგია შორიდან მაინც დავინახოო; მაგრამ ეს იმედი რომ გაუცრუვდა, გული თანდათან ნაღვლითა და მოუთმენლობით აევსო. ბოლოს წინანდელმა ბუნებამ ერთხელ კიდევ უყივლა და თან ისეთი ძალით, როგორითაც ზღვის ნაპირიდან უკუქცეული ტალღა ისევ გაშმაგებით ეხეთქება ნაპირს. იმას ეჩვენა, სულელი ვარ, ტყუილუბრალოდ ჩავიდე თავში ნაღვლის მომგვრელი ფიქრი, მოვალე ვარ, ყველაფრით ვისარგებლო, რასაც ცხოვრება იძლევაო. გადაწყვიტა ლიგია დაევიწყნა, ან ის მაინც ექნა, რომ თავშექცევა და დატკბობა მის გარეშე ეძებნა. ეს რომ გადაწყვიტა, თვისი ბუნების შესაფერი ბრმა თავგამოდებითა და სიცხარით ჩაება ცხოვრების ორომტრიალში. თითქოს თვითონაც ცხოვრებაც აქეზებდა ასე მოქცეულიყო. ზამთრეული დაცალიერებისა და სიმყუდროვის შემდეგ ქალაქმა გაცოცხლება დაიწყო, რადგან კეისრის დაბრუნების იმედი მიეცა. საზეიმო შეხვედრას უმზადებდნენ, თან გაზაფხული ახლოვდებოდა: ალბანის მთის მწვერვალებზე აფრიკის ქარმა თოვლი დაადნო, ბაღის ველებს ია მოეფინა. ფორუმსა და მარსის მინდორზე ხალხი მზისგულზე გამოვიდა. ქალაქგარეთ, სასეირნო ადგილზე Via Appia – ზე, მდიდრულად მორთული ეტლები გაჩნდნენ. ალბანის მთაზე წასვლაც დაიწყეს. ახალგაზრდა ქალებმა სახლი დატოვეს და ვითომდა

იუნონას თაყვანსაცემად, ლავანიუმს ან დიანას თაყვანსაცემლად, არციუმს მიაშურეს, რათა ქალაქგარეთ ახალი შთაბეჭდილებები, ახალი საზოგადოება და სატრფიალო ხიმანკლობანი ეპოვათ. აქ ვინიცუსმა მდიდრულ ეტლებს შორის ქრიზოტემიდას კარუკა დაინახა. წინ ორი ძაღლი მირბოდა, ხოლო ეტლს ყმაწვილი კაცები და სამსახურის გამო ქალაქში დარჩენილი სენატორები ეხვივნენ გარს. ქრიზოტემიდა თვითონ მართავდა ოთხ კორსიკულ პატარა ტანის ცხენს, გარშემორტყმულთ ღიმილით და შოლტის მსუბუქი დარტყმით ასაჩუქრებდა. ვინიციუსი რომ დაინახა, ეტლი შეაჩერა, თავის კარუკაში ჩაისვა და ნადიმზე წაიყვანა.

ეს ნადიმი მთელი ღამე გაგრძელდა და ვინიციუსი ისე დათვრა, რომ არ ახსოვდა, შინ როგორ მიიყვანეს. მეხსიერებაში მარტო ის ჩარჩა, რომ როდესაც ქრიზოტემიდამ ლიგიაზე ჩამოუგდო სიტყვა, ეწყინა და თავზე მთელი თასი ფალერნის ღვინო დაასხა. რომ გამოფხიზლდა, მაშინაც კი ჯავრობდა მასზე, მაგრამ ქრიზოტემიდამ, ჩანს, შეურაცხყოფა დაივიწყა, და ერთი დღის შემდეგ ვინიციუსთან შინ მივიდა და ეტლით აპიის გზაზე წაიყვანა, იქიდან ვინიციუსთან დაბრუნდნენ ვახშმად. ქალი გამოუტყდა, არა მარტო პეტრონიუსი, მესაკრავეც დიდი ხანია მომწყინდა და ახლა ჩემი გული თავისუფალიაო. მთელი ერთი კვირა იმათ ერთად ხედავდნენ, მაგრამ ეს კავშირი არ შეიძლებოდა ხანგრძლივი ყოფილიყო. თუმცა ფალერნის ღვინის შემთხვევის შემდეგ ლიგია აღარავის უხსენებია, მაგრამ ვინიციუსის ფიქრები ლიგიას ვერ შორდებოდა. მუდამ ეჩვენებოდა, ლიგია მიცქერისო და ეს გრძნობა მოსვენებას არ აძლევდა. ვინიციუსმა ორი სირიელი ქალი

იყიდა. ამასზე ქრიზოტემიდამ ეჭვიანობა აუტეხა, მაშინ ვინიციუსმა ქალი უხეშად გააგდო. მართალია, ქეიფი და გარყვნილება არ დაუტოვებია, პირიქით თითქოს ამას ლიგიას გამოჯავრებით სჩადიოდა, მაგრამ ბოლოს შენიშნა, რომ მაინც სულ ლიგიაზე ფიქრობდა, რომ ლიგია იყო მის კეთილ და ბოროტ საქმეთა ერთადერთი მიზეზი და ლიგიას გარდა ქვეყანაზე არაფერი აინტერესებდა. მაშინ იგრძნო, რომ დაიქანცა და გული მოეყირჭა. ქეიფი და დროს ტარება შეეზიზღა, სინდისის ქენჯნა იგრძნო. დასასრულ თავისუფლება, რწმენა დაკარგა, მთლად გაოგნებული შეიქნა, ისე რომ კეისრის დაბრუნების ამბავმაც ვერ გამოაფხიზლა. ახლა აღარაფერი ართობდა და პეტრონიუსთანაც კი არ მისულა, ვიდრე იმან ტახტრევანი არ გამოუგზავნა.

პეტრონიუსმა სიხარულით მიიღო, მაგრამ ვინიციუსი კითხვებზე უხალისოდ პასუხობდა. პატარა ხანს უკან დამთრგუნველმა გრძნობებმა და აზრებმა იფეთქეს და ვინიციუსის ბაგეთაგან სიტყვათა უხვმა ნაკადულმა იწყო დენა. ხელმეორედ დაწვრილებით უამბო ლიგიას ძებნის ამბავი და ქრისტიანებში ყოფნა, ყველაფერი, რაც იქ ნახა და გაიგონა, რაც იფიქრა და გულმა უგრძნო. გამოუტყდა პერტონიუსს, არაფერი არ მიზიდავს, გული ვერაფრისათვის ვერ დამიდვია, არ ვიცი, რას მოვეჭიდო და რა ვიღონოო. მზადაა, ქრისტე იწამოს: ესმის ქრისტეს რჯულის მთელი უზენაესობა და თანაც მისდამი დაუძლეველ ზიზღს გრძნობს, იცის, ლიგიას თუნდა დაეპატრონოს კიდეც, მაინც ქალის სრული მეუფე ვერ იქნება, რადგან მას ქრისტე ჰყავს მოზიარედ. ვინიციუსი ისე

ცხოვრობს, თითქოს არც კი ცხოვრობდეს-უიმედოდ, უხვალინდელდღეოდ, ბედნიერების მოლოდინის გარეშე.

ვინიციუსი ლაპარაკობდა და პეტრონიუსი მის შეცვლილ სახეს უცქეროდა. უცებ წამოდგა, დისწულთან მივიდა და საფეთქელთან თმა შეუსწორა.

- იცი, – ჰკითხა მან, – საფეთქელზე ჭაღარა გამოგრევია?

- შესაძლოა, – მიუგო ვინიციუსმა, – როდი გავიკვირვებ, რომ ჩქარა სულაც გავჭაღარავდე.

დუმილი ჩამოვარდ. პეტრონიუსი ჭკვიანი კაცი იყო. არა ერთხელ დაფიქრებია ადამიანის სულსა და ცხოვრებას, მაგრამ საზოგადოდ, თუ მათი სამყაროს ცხოვრება შინაგანად შეიძლება ცოტად თუ ბევრად ბედნიერი ყოფილიყო, გარეგნულად მაინც მუდამ დამშვიდებული ჩანდა. როგორც მეხს ან მიწის ძვრას შეეძლო ტაძარი დაენგრია, ისე უბედურებას შეეძლო ამ ცხოვრებისათვის ბოლო მოეღო, მაგრამ ცხოვრება თავისთავად ყველა ხვეულთაგან თავისუფალი გახლდათ და სულ სწორ ხაზებზე იყო ნაგები. ახლა კი ვინიციუსის სიტყვებში სრულებით სხვა მოისმოდა.

- მოჯადოებული ხომ არა ხარ?-უთხრა პეტრონიუსმა.

- მეც ეგრე ვიფიქრე, – უპასუხა ვინიციუსმა, – ხშირად მგონებია, რომ ჩვენ ორივენი მოგვაჯადოვეს.

- შენ რომ სერაპისის ქურუმებთან წახვიდე?-ურჩია პეტრონიუსმა, – ეჭვს გარეშეა, მათ შორის და საზოგადოდ ქურუმებს შორის ბევრი მატყუარაა, მაგრამ ისეთებიც ხომ არიან, რომ საკვირველ საიდუმლოებასაც ააშკარავებენ.

მაგრამ ამას რწმენის გარეშე ამბობდა, უგულოდ, რადგან თვითონვე გრძნობდა, რომ ეს რჩევა შესაძლო იყო, უნაყოფო და სასაცილოც კი გამომდგარიყო.

ვინიციუსმა შუბლზე ხელი გადისვა და დაიწყო:

_ ჯადო?... ჯადოქრები მინახავს, სარგებლობისთვის რომ ქვესკნელის გამოუცნობი ძალები გამოუხმიათ, ისეთებიც მინახავს, რომ ის ძალები თავიანთი მტრების დასაღუპავად გამოუწვევიათ. მაგრამ ქრისტიანები რომ ღარიბად ცხოვრობენ, მტრებს შეუნდობენ, მორჩილებას, გულკეთილობასა და შებრალებას ქადაგებენ, ჯადოქრობა რას მიუტანს იმათ და ან რისთვის სჭირდებათ?

პეტრონიუსს გული მოუვიდა, რომ გამჭრიახობამ ვერ უშველა და ამ კითხვას ვერ უპასუხა. მაინც იხტიბარი არ გაიტეხა და თქვა:

- ეგ ახალი სექტაა...

და საჩქაროდ დაუმატა:

- პათოსის ტყეების ღვთაებრივ ბინადარ ქალს ვფიცავ! ეს ყველა აფუჭებს სიცოცხლეს! შენ იმ ხალხის სიკეთე და სათნოება გაკვირვებს, მე კი ვამბობ: ქრისტიანობა ბოროტებაა, რადგან სიცოცხლის მტერია, ბოროტებაა, ვითა სნეულება და თვით სიკვდილი. უქრისტიანებოდაც ჩვენში ბოროტება საკმარისად არის. აბა ჩამოთვალე: სნეულებანი, კეისარი, ტიგელინუსი, კეისრის ლექსები, მეჩექმენი, კვირიტების ჩამომავალთ რომ განაგებენ, აზატები, სენატში რომ წამომსხდარან, – კასტორს ვფიცავ, ესენიც კმარან! ეს დამღუპავი და საზიზღარი სექტაა! არა სცადე, ნაღველი ჩამოიბერტყო და ცოტაოდნად მაინც სიცოცხლით დატკბე?

- ვცადე, -უპასუხა ვინიციუსმა.

პეტრონიუსს გაეცინა.

-მოღალატევ! მონები ახალ ამბავს სწრაფად ავრცელებენ. ქრიზოტემიდა წამართვი, განა?

ვინიციუსი დაიღრიჯა და ხელი ჩაიქნია.

- მაინც მადლობელი ვარ, – განაგრძო პეტრონიუსმა, – მე იმას მარგალიტით მოქარგულ ფეხსამოსს გავუგზავნი; ჩემს სასიყვარულო ენაზე ეს ნიშნავს: „გამეცალე!“ მოვალე ვარ, ორმაგი მადლობა გადაგიხადო: ჯერ იმიტომ, ევნიკაზე უარი თქვი, მერე იმიტომ, რომ ქრიზოტემიდასაგან მიხსენი. გამიგონე, უწინ დილით რომ ავდგებოდი, გავიბანებოდი, ვინდიმებდი,

ქრიზოტემიდას სიყვარულს ვეძლეოდი, სატირებს ვწერდი, ხანდახან პრო-ზაშიაც ლექსებს ჩავაქსოვდი, მაგრამ კეისრისა არ იყოს, ხშირად სევდის ტყვე ვიყავ და არ ვიცოდი, როგორ დამეხსნა თავი. მერე იცი რატომ იყო ეს? იმიტომ რომ შორს ვეძებდი იმას, რაც ახლო მქონდა. ლამაზი ქალი თა-ვის წონა ოქრო ღირს, მოსიყვარულე ქალს კი ფასი არ დაედება. ახლა ჩემს თავს ვუთხარ: პეტრონიუს, სიცოცხლე ბედნიერებით აივსე, ვითა თასი სა-უკეთესო ღვინით და სვი, ვიდრე ხელები არ დაგდამბლავებია და ტუჩები არ დაგდუნებია. შემგედ რა იქნება, იმაზე იზრუნებ, აი ჩემი უახლესი ფილო-სოფია.

-შენ მუდამ მაგ ფილოსოფიას მისდევდი. ეგ ახალი არ არის.

- ახლა ამ ფილოსოფიაში შინაარსიც არის, უწინ არ იყო.

ევნიკას დაუძახა. იგი თეთრადმოსილი შემოვიდა, უწინდელი მონა აღარ იყო, შემოვიდა ვითა სიყვარულისა და ბედნიერების ქალღმერთი.

პეტრონიუსმა ხელები გაუშალა და უთხრა:

- მოდი ჩემთან!

ევნიკამ პეტრონიუსთან მიირბინა, კალთაში ჩაუჯდა, კისერზე მოეხვია და თავი მკერდზე დაადო. ვინიციუსი ხედავდა, როგორ ნელ-ნელა წით-ლად შეეღება ლოყები ქალს, როგორ დაებინდა თვალები. ისა და პეტრო-ნიუსი სწორედ სიყვარულისა და ბედნიერების წყვილს წარმოადგენდნენ. პეტრონიუსმა გვერდით მაგიდაზე მდგარ ლარნაკიდან ერთი მუჭა ია ამოი-ღო და ევნიკას თავზე, მხრებსა და სტოლაზე გადააყარა, მერე მხრებიდან ტუნიკა ჩამოუწია და თქვა:

- ბედნიერია, ვინც სიყვარული ასეთ ნაკვთებად ჩამოსხმული იპოვა... ხანდახან მეჩვენება, რომ ჩვენ ღმერთები ვართ... აბა თვითონ განსაჯე, შე-ეძლოთ პრაქსიტელეს, მირონს, სკოპასს ან ლიზიპოსს ამაზე უკეთესი ხაზე-ბი შეექმნათ?.. პაროსზე ან პენტელიკონზე ამისი მსგავსი მარმარილო განა არის-ასეთი თბილის, ვარდისფერი და მოსიყვარულე? არიან ადამიანები, რომელნიც ლარნაკს ნაპირებს უკოცნიან, მე კი მირჩევნია სიტკბოება იქ მოვნახო, სადაც მის პოვნას არაფერი დაუდგება წინ.

და ევნიკას მხრებსა და ეჭეს კოცნა დაუწყო. ევნიკა შეხტებოდა ხოლმე, უზომო ბედნიერებით

აღსავსე თვალებს ხან გაახელდა, ხანაც დახუჭავდა. ბოლოს პეტრონი-უსმა თავისი მშვენიერი თავი ასწია, ვინიციუსისკენ გამოიხედა და უთხრა:

- ახლა მოიფიქრე, ამასთან შედარებით რანი არიან შენი დაღვრემილი ქრისტიანები, და თუ განსხვავება ვერ შეგიგნია, იმათთან წადი... მაგრამ ამ სანახავმა უნდა გაგკურნოს.

ვინიციუსს ცხვირის ნესტოები გაებერა, ოთახში მოდებული იის სურნელი შეიყნოსა. გაიფიქრა, იქნებ როდისმე მეც შევიძლო ლიგიას მხრები ასე დავუკოცნოო და გაფითრდა: ეს წარმართული დატკბობა ისე დიდი იქნებოდა, რომ შემდეგ თუნდაც მთელი ქვეყნიერება დაღუპულიყო.

პეტრონიუსმა უთხრა საყვარელს:

_ ღვთაებრივო ევნიკა, უბრძანე, გვირგვინები და საუზმე მოგვიმზადონ.

როცა ქალი წავიდა, ვინიციუსს მიუბრუნდა:

_ მინდოდა გამენთავისუფლებინა, მაგრამ, იცი რა მითხრა? შენი მონობა მირჩევნია კეისრის ცოლობასო. და არ დამყაბულდა. მაშინ ისე გავანთავისუფლე, რომ არ გავაგებინე. არც ის იცის,

რომ ეს სახლი და მთელი ჩემი განძეულობა, გემების გარდა, როცა მოვკვდები, ამის საკუთრება იქნება.

წამოდგა, ოთახში გაიარ-გამოიარა და განაგრძო:

_ სიყვარული ზოგს ძალიან სცვლის, ზოგს კი ნაკებად. მეც კი შემცვალა. ოდესღაც ვერვენა მიყვარდა, მაგრამ რადგან ევნიკა იას ამჯობინებს, მეც ამიტომ ყველაზე მეტად ია შემიყვარდა. შენ? ისევ ნარდის მოტრფიალე ხარ?

- თავი დამანებე!-მიუგო ყმაწვილმა კაცმა.

- მინდა, კარგად შეათვალიერო ევნიკა. ამას იმიტომ გელაპარაკბი, იქნება შენც შორს ეძებ იმას, რაც ახლოს გაქვს. იქნება შენს კუბიკულუმში სადმე უბრალო და მინდობილი გული შენთვისაც ძგერს. შენს იარებს ბალზამი დაადე. ამბობ, ლიგიას ვუყვარვარო, შესაძლოა! მაგრამ რა სიყვარულია, რომელსაც უარყოფ? არა, ძვირფასო, ლიგია ევნიკა არ არის.

ამაზე ვინიციუსმა უპასუხა:

- ყველა ეგ მხოლოდ ტაჯვაა. მე ვნახე, ევნიკას მხარს როგორ უკოცნიდი, და გავიფიქრე, ლიგიამაც რომ თავისი მხარი ეგრე დამაკოცნინოს, მაშინ თუნდა მიწა გასკდეს და თან ჩაგვიტანოს! მაგის გაფიქრებამაც კი შემაშინა, თითქოს ვესტას მსახურ ქალს შევეხე ან ღვთაების წყენა დავაპირე... ლიგია ევნიკა როდია, ეს განსხვავება მე შენებურად არ მესმის. შენს სიყვარულს მარტო შენი ყნოსვა შეუცვლია და ახლა ვერვენს ია გიჯობს, ჩემმა კი

სული შემიცვალა, და მიუხედავად ჩემი ჭმუნვა-ვაებისა, მირჩევნია ლიგია ისეთივე იყოს, როგორიც არის და არა სხვების მსგავსი.

პეტრონიუსმა მხრები შეიშმუშნა.

- მაშ გამოდის, რომ უსამართლობას ვერავის დასწამებ. შენი ვერაფერი გამიგია.

ვინიციუსმა ცხარედ უპასუხა:

- დიახ, დიახ... ჩვენ ერთმანეთისას ვეღარას გავიგებთ.

დუმილის წამი დადგა. შემდეგ პეტრონიუსმა უთხრა:

- ჰადესმა ჩანთქას შენი ქრისტიანები! სარეველათი აუვსიხართ იმათ და სიცოცხლის სიხარული წაურთმევიათ. ჰადესმა ჩანთქას იმათი თავი! შენ სცდები: კეთილი ის არის, რაც ადამიანს ბედნიერებას ანიჭებს, ესე იგი, სილამაზე, სიყვარული და ღონე; ისინი კი ყველა ამას ამაოებას ეძახიან. თუ ბოროტისა და კეთილისთვის ერთნაირად მიეგება ადამიანს, მაშინ რაღა საჭიროა ადამიანი კეთილი იყოს?

- არა, მისაგებელი ერთნაირი არაა, ქრისტეს რჯულით, ეს მისაგებელი საიქიო ცხოვრებაში მიეგება ადამიანს და საიქიო ცხოვრება საუკუნოა.

- მაგას არ გამოვეკიდები, მაგრამ როდისმე დავინახავთ, თუ შეიძლება რისამე დანახვა... უთვალისჩინოდ. მანამდე კი ისინი ნამდვილი მახინჯები არიან. ურსუსმა კროტონი დაახრჩო, იმიტომ რომ ფოლადის კუნთების პატრონია, მაგრამ ქრისტიანები არარანი არიან, მომავალი კი არ შეიძლება არარაობას ეკუთვნოდეს.

- მათთვის სიცოცლე სიკვდილის შემდეგ იწყება.

- ეგ ის არის, ვინმემ თქვას: დღე მაშინ იწყება, როდესაც ღამდებაო... ლიგიას მოტაცება შეგიძლია?

- არა, არ შემიძლია, სიკეთის წილ ბოროტი მივაგო!.. ფიცი დავდე, რომ მაგას არ ვიზამ.

-იქნებ ქრისტეს რჯულის მიღება გინდა?

- მინდა, მაგრამ ჩემი ბუნება მათ რჯულს ვერ იტანს.

- ლიგიას დავიწყებას მოახერხებ?

- ვერა.

- მაშ საოგზაუროდ წადი.

მონებმა მოახსენეს, საუზმე მზად არისო. პეტრონიუსს ეჩვენა, რომ კეთილ აზრს მიაგნო და ამიტომ ტრიკლინიუმისაკენ მიმავალმა განაგრძო:

- შენ საკმაოდ იმოგზაურე, მაგრამ მხოლოდ როგორც ჯარისკაცმა, რომელიც დანიშნულ ალაგისაკენ მიეშურება და გზაზე არსად შეჩერდება. აქაიაში ჩვენთან ერთად წამოსასვლელად მოემზადე. კეისარს მოგზაურობის განზრახვა ჯერ არ დაუტოვებია. გზა-გზა ყველგან შეჩერდება სამღერლად, გვირგვინების მოსაპოვებლად, ტაძრების გასაძარცვად და ბოლოს იტალიაში დაბრუნდება ვითა ტრიუმფატორი. ეს იქნება ბახუსისა და აპოლონის ერთ პიროვნებაში

გაერთიანება. ავგუსტიანები, კაცი და ქალი, ათასი ციტრა, კასტორს ვფიცავ, დიდებული სანახავია, ქვეყნიერებას აქამდე ამის მსგავსი არაფერი უნახავს!

სუფრასთან ევნიკას გვერდით წამოწვა და ლაპარაკი განაგრძო, ვიდრე მონა თავზე ანემონების გვირგვინს დაადგამდა.

- კორბულონთან სამსახურის დროს რა ნახე? არაფერი! დაათვალიერე, როგორც რიგია, ბერძნული ტაძრები, როგორც მე დავათვალიერე: ორი წელიწადი ერთი ეტიკისგან მეორის ხელში გადავდიოდი და ისე ვათვალიერებდი იქაურობას. როდოსში იყავი და ის ადგილი ნახე, სადაც კოლოსი იდგა? სპარტაში ლედას დადებული კვერცხები გინახავს, ან ათენში თასი, რომლის ყალიბად ელენეს მარცხენა ძუძუ ყოფილა? ქვეყანა დიდია, რომის ტიბრს გადაღმა უბნით როდი ამოიწურება. აქედან კეისარს გავყვები, დაბრუნებისას კი იმას დავტოვებ და კიპროსზე წავალ, იმიტომ რომ ჩემს ოქროსთმიან ქალღმერთს სურს პათოსში კიპრიდას მსხვერპლად მტრედები მიუტანოს, და უნდა გითხრა, ყველა ამის სურვილი გარდაუვალია.

- მე შენი მონა ვარ, – უთხრა ევნიკამ...

პეტრონიუსმა დაგვირგვინებული თავი ქალის მკერდზე დახარა და ღიმილით უთხრა:

- მაშ მე მონის მონა ვყოფილვარ, ღვთაებრივო, და თაყვანს გცემ!

შემდეგ ვინიციუსს მიუბრუნდა:

- კიპროსზე წამოგვყევი, მაგრამ გახსოვდეს, რომ წინასწარ კეისარი უნდა ინახულო. კარგი არ არის, რომ აქამდე იმასთან არ მისულხარ. ტიგელინუსი მზადაა შენი განდომა შენს საწინააღმდეგოდ მოატრიალოს. მართალია, პირადად შენდამი სიძულვილი არა აქვს, მაგრამ არც შენი სიყვარული შეუძლია, თუნდა იმიტომ, რომ ჩემი დისწული ხარ... ვეტყვით, რომ ავად ხარ. უნდა მოვიფიქროთ, რა უნდა უპასუხო კეისარს, თუ ლიგიას ამბავი

გკითხა. ყველას ისა სჯობია, ეშმაკს შეაფურთხო და უთხრა: მომწყინდა და თავიდან მოვიშორეო. მაგას გაგიგებს. ისიც უთხარ, ავადმყოფობამ შინ დამაგდო და სენი გამიძლიერა იმ მწუხარებამ, რომ ნეაპოლში წამოსვლა და იქ შენი სიმღერის მოსმენა ვერ შევიძელიო. ახლა იმ იმედით მომჯობინდი, რომ განკურნებული კეისრის მღერას კვლავ მოისმენ. გადაჭარბებისა ნუ შეგეშინდება. ტიგელინუსი დაპირებულია, კეისრისათვის ისეთი რამ მოიგონოს, რაც არაჩვეულებრივი იქნება და ტლანქიც... მეშინია, ორმოს არ მითხრიდეს... შენი ახლანდელი განწყობილებაც მაფიქრებს.

- იცი, – უთხრა ვინიციუსმა, – რომ არსებობს ხალხი, რომელსაც კეისრისა არ ეშინია და ისე დამშვიდებული ცხოვრობს, თითქოს ქვეყანაზე არც კი იყოს ნერონი.

- ვიცი, ვიზედაც ამბობ, ეგენი ქრისტიანები არიან.

- დიახ, ქრისტიანები. ერთი მითხარ, რა არის ჩვენი ცხოვრება თუ არა მუდამ შიში?

- დამეხსენ ერთი მაგ შენი ქრისტიანებით! იმათ კეისრისა იმიტომ არ ეშინიათ, რომ იქნება ნერონს არც კი გაუგია, ვინ არის ქრისტიანები და იმათი ჯავრი ისე აწუხებს, როგორც დამჭკნარი ფოთლისა. გარწმუნებ, ნამდვილი ხეიბრები არიან. შენ ამას თვითონაც გრძნობ, და თუ შენი ბუნება მათ რჯულს ვერ ეგუება, მხოლოდ იმიტომ, რომ თვითონ შენ გრძნობ მათ არარაობას. შენ სხვა მასალის კაცი ხარ, ამიტომ შენი თავიც შეიბრალე და მეც მომასვენე. ჩვენ სიცოცხლესაც და სიკვდილსაც მოვახერხებთ, ვნახოთ, ისინი რას იღონებენ.

ამ სიტყვებმა გააოცეს ვინიციუსი და შინ რომ დაბრუნდა, დაფიქრდა, იქებ მართლაც ქრისტიანების სიკეთე, გულმტკივნეულობა მათი სულის არარაობას ამტკიცებსო? მოეაზრა, რომ მაგარი ვაჟკაცური ბუნების ადამიანი მათსავით პატიებას არ მოჰყვებოდა. იქნებ ეს იყო მიზეზი იმ სიძულვილისა, რომელსაც მისი რომაული გული ქრისტეს რჯულისადმი გრძნობდა. „ ჩვენ მოვახერხებთ სიცოცხლესაც და სიკვდილსაც“, – თქვა პეტრონიუსმა. ისინი? იმათ მხოლოდ პატიება იციან, მაგრამ არც ჭეშმარიტი სიყვარული ესმით და არც ჭეშმარიტი სიძულვილი.

თავი მერვე

ნერონი გაბოროტებული იყო, რომში რომ დაბრუნდა. რამდენიმე დღის შემდეგ ხელახლა აქაიაში წასვლის სურვილი დაებადა. მახლობელთა თანხლებით, რომელთა შორის ვინიციუსიც იყო, კაპიტოლიუმში წავიდა, რათა კეთილი მგზავრობის სამაგიეროდ ღმერთებისთვის მსხვერპლი შეეწირა. მაგრამ მეორე დღეს, როდესაც ვესტას ტაძარში იმყოფებოდა, ისეთი შემთხვევა მოხდა, რამაც კეისარს ყველა გეგმა შეუცვალა. ნეირონს არა სწამდა ღმერთები, მაგრამ შიშით კი ეშინოდა მათი. განსაკუთრებით საიდუმლოებრივი ვესტას შიში ჰქონდა გულში ჩანერგილი. ღვთაება და სამღვთო ცეცხლი რომ დაინახა, თმა ყალყზე დაუდგა, კბილები ააკაწკაწა, მთლად აკანკალდა და შემთხვევით მის უკან მდგარ ვინიციუსის ხელებზე დაეშვა. ნერონი მაშინვე ტაძრიდან გამოიტანეს და პალატინში გადაასვენეს. ჩქარა მოვიდა გონს, მაგრამ მთელი დღე ქვეშაგებში გაატარა. მახლობლებმა დიდად იოცეს, როდესაც ნერონმა გამოუცხადა, აქაიაში წასვლა გადავდე, რადგან ღვთაებამ ასეთი აჩქარება არ მომიწონაო. ერთ საათს უკან რომში საჯაროდ გამოაცხადეს, რომ კეისარი, რაკი რომაელთა სახეზე სიყვარული და დარდი ამოიკითხა, აღარ მიემგზავრება, რათა ხალხს სიხარულსა თუ მწუხარებაში თანაზიარი გაუხდეს. იმპერატორის გადაწყვეტილებით გახარებული ხალხი, დარწმუნებული, რომ ახლა კი თამაშები და პურის დარიგება აღარ შეწყდებაო, ჯგროდ შეიკრიბა სასახლის კარებთან. ღვთაებრივი კეისრის პატივსაცემად გაისმა ყვირილი. კეისარი ამ დროს დაახლოებულ პირებთან კამათლის თამაშით ერთობაო, თამაშობას თავი დაანება და თქვა:

- დიახ! უნდა გადავდოთ, წინასწარმეტყველება ისეთია, ეგვიპტეს და აღმოსავლეთის მფლობელობა არ ამცდება. მაშ აქაიაც დაიცდის. ვუბრძანე, კორინთოს ყელი გადათხარონ, ხოლო ეგვიპტეში ისეთ ძეგლებს დავდგამ, მათთან შედარებით პირამიდები ბავშვების სათამაშოს დაემსგავსებიან. ვუბრძანებ, ისეთი სფინქსი გააკეთონ, შვიდჯერ იმაზე დიდი იყოს, მემფისის ახლოს უდაბნოში რომ დგას და იმ სფინქსს ჩემი სახე ჰქონდეს. შორეული საუკუნეები მხოლოდ ჩემსა და იმ ძეგლზე ილაპარაკებენ.

- შენ შენი ლექსებით უკვე დაიდგი ძეგლი არა შვიდჯერ, არამედ სამგზის შვიდჯერ ხეოფსის პირამიდაზე უმაღლესი, _უთხრა პეტრონიუსმა.

- სიმღერით?_ჰკითხა ნერონმა.

- ჰოი! ნეტა შეიძლებოდეს ქანდაკება დაგიდგათ, როგორიც მემნონის ქანდაკებაა და შენი ხმით ამომავალ მზეს მივესალმოთ. ეგვიპტის სანაპირო ზღვებში ქვეყნიერების სამი მხრიდან მოსული გემების ტევა აღარ იქნება. ამ გემებზე შენი ხმის მოსასმენად მოსული ხალხი შეგროვდება.

- ვაი, რომ ამის გაკეთებას ვეღარავინ შეიძლებს, – თქვა ნერონმა.

- მაგრამ ის მაინც შეგიძლია, უბრძანო, კვადრიგას წამყვანის სახით ბაზალტისგან გამოგაქანდაკონ.

- მართლაც! მაგას ვიზამ!

- ეგ მთელი კაცობრიოის საჩუქარი იქნება.

- ეგვიპტეში მთვარეზე დავქორწინდები, იგი ხომ ქვრივია. ნამდვილი ღმერთი შევიქნები.

- ხოლო ჩვენ ცოლებად ვარსკვლავებს მოგვცემენ და ახალ თანავარსკვლავედს შევადგენთ და იმას სახელად ნერონის თანავარსკვლავედი დაერქმევა. ვიტელიუსი კიდევ ნილოსზე დააქორწინე, რომ ჰიპოპოტამები გაამრავლონ; ტიგელინუსს უდაბნო აჩუქე, ტურების მეფედ გახდეს.

- მე რაღას მინიშნავ?-იკითხა ვატინიუსმა.

- აპისმა გაკურთხოსმცა! ისეთი გართობა გაგვიმართე ბენევენტუმში, რომ შენთვის ცუდს არას მოვინდომებ: სფინქსს ჩექმები შეუკერე, – ღამეულ ნამის დროს თათები ეყინება, ხოლო

შემდეგ კოლოსებსაც, ტაძრების წინ ხეივნებში რომ დგანან, იმათაც ფეხსაცმელი შეუკერე. კეისარო, მიყვარს, როდესაც ეგვიპტეზე ოცნებობ და მწყინს, რომ იქ წასვლა გადასდე.

ამაზე ნერონმა უპასუხა:

- თქვენს მომაკვდავ თვალებს არაფერი დაუნახავს, რადგან ღვთაება, ვისთვისაც უნდა უჩინარი იყოს, იმისთვის უჩინარი ხდება. მაშ იცოდეთ, როდესაც ვესტას ტაძარში ვიყავ, თვითონ ღმერთქალი წარმომიდგა და ყურში მითხრა: „ წასვლა გადასდე!“ ეს ისე მოულოდნელი იყო, რომ შემეშინდა, თუმცა ასეთი აშკარა მფარველობისთვის ღმერთების მადლიერი უნდა ვიყო.

- ყველას თავზარი დაგვეცა, – უთხრა ტიგელინუსმა, – ხოლო ვესტას მსახურს რუბრიას გული შეუღონდა.

- რუბრია!-წამოიძახა ნერონმა, – რა თეთრი კისერი აქვს!

- შენ დანახვაზე ისიც წითლდება ხოლმე, ღვთაებრივო კეისარო!

- ჰო, ეგ მეც შევნიშნე. უცნაურია... ვესტას მსახური? ყველა ვესტას მსახურ ქალში რაღაც ღვთაებრივია, ხოლო რუბრია მეტად მშვენიერია!

ერთ წამს დაფიქრდა და შემდეგ იკითხა:

- მითხარ, ხალხს სხვა ღმერთებზე მეტად ვესტისა რად ეშინია? თვითონ მეც კი მომიცვა შიშმა, თუმცა, – უზენაესი ქურუმიცა ვარ. მხოლოდ ის მახსოვს, რომ კინაღამ პირქვე დავემხე და მიწაზე ზღართანი მომძვრებოდა, ვიღაცას რომ არ დავეჭირე. ვინ დამიჭირა?

- მე დაგიჭირე, – უპასუხა ვინიციუსმა.

- ჰო, შენა, „მკაცრი არეს?“ რატომ ბენევენტუმში არ იყავ? მითხრეს, ავად არისო, და მართლაც სახე გამოგცვლია, გავიგე კროტონს შენი მოკვლა ნდომებია. მართალია?

- დიახ, ხელი მომტეხა, მაგრამ მოვიგერიე.

- მოტეხილი ხელით?

- ერთმა ბარბაროსმა მიშველა, კროტონზე ღონიერი გამოდგა.

ნერონმა გაკვირვებით შეხედა.

- კროტონზე ღონიერიაო? ხუმრობ თუ რა? კროტონი ყველაზე ღონიერი იყო...

- იმას ვამბობ, რაც ჩემი თვალით ვნახე.

- მერე ეგ მარგალიტი სად არის? ნემორის მეფედ ხომ არ გახდა?

- არ ვიცი, კეისარო, თვალთაგან მიმეფარა.

- ისიც არ იცი, რომელი ერისა იყო?

- ხელი მქონდა მოტეხილი, ვერ შევიძელ, გამომეკითხნა.

- მომიძებნე.

ამაზე ტიგელინუსმა უთხრა:

- მის მოძებნას მე შევუდგები.

ხოლო ნერონმა ვინიციუსთან ლაპარაკი განაგრძო.

- გმადლობთ, რომ მიშველე. რომ დავცემულიყავ, შეიძლებოდა თავი გამეტეხა. ოდესღაც კარგი მოსაუბრე იყავ, მაგრამ ომისა და კორბულონის ხელქვეითობით სამსახურმა როგორღაც გაგაველურა, იშვიათადღა გხედავ.

და დუმილის შემდეგ დაუმატა:

- როგორ არის ის ქალი... ვიწრო თეძოებიანი... შენ რომ მოგწონდა და შენთვის ავლუსს რომ წავართვი.

ვინიციუსი აირია, მაგრამ პეტრონიუსი იმავე წამს მიეშველა.

- ბატონო, სანაძლეოს დავდებ, ის ქალი დავიწყებული ჰყავს. ხომ ხედავ, როგორ შეკრთა? აბა ჰკითხე, რამდენი ქალი გამოიცვალა იმის შემდეგ, და თავდებად ვერ დავუდგები - მოახერხებს პასუხს თუ ვერა. ვინიციუსი კარგი მხედარია, მაგრამ უფრო უკეთესი მამალიც არის. მაგისთვის მთელი გროვაა საჭირო. ამიტომ დასაჯე, ბატონო, და იმ ნადიმზე ნუ დაუძახებ, ტიგელინუსი რომ შენს პატივსაცემად აგრიპას ტბაზე აპირებს გამართვას.

- არა, მაგას არ ვიზამ. ტიგელინუსს ვენდობი, იმ ნადიმზე ვარიებს არ მოგვაკლებს.

- განა შესაძლებელია ხარიტების ნაკლებობა იყო იქ, სადაც თვითონ ამური იქნება?- უპასუხა ტიგელინუსმა.

ნერონმა უპასუხა:

- მოწყენილობა ილაჯს მიწყვეტს! ღმერთქალის ნებით რომში დავრჩი, მაგრამ კი ვერ ამიტანია. ანციუმში წავალ. ამ ვიწრო ქუცებში, ამ დაქცეულ სახლებში სული მეხუთება; ამ საზიზღარი, ვიწრო ქუჩების სიმყრალე აქაც კი მოდის, ჩემს სახლსა და ბაღებშიც კი აღწევს. ნეტავ, მიწისძვრამ მაინც დაარგრიოს რომი, ნეტავ, რომელიმე გარისხებულმა ღმერთმა მიწასთან გაასწოროს. მაშინ გაჩვენებდით, როგორ უნდა იმ ქალაქის აშენება, რომელიც ქვეყნიერების ჭიპად და ჩემს სატახტოდ ითვლება.

- კეისარო, – უთხრა ტიგელინუსმა, – შენ ამბობ: რომელიმე გარისხებულმა ღმერთმა მიწასთან გაასწოროსო, – ეგ როგორ?

- ეგრე! მერე რაო?

- განა შენ ღმერთი არა ხარ?

ნერონმა ხელი გაიქნია და თქვა:

- ვნახოთ, აგრიპას ტბაზე რას გაგვიკეთებ. მერე ანციუმში წავალ. თქვენ ყველანი მეტად ბეჩავნი ხართ და ვერ გაგიგიათ, რომ ჩემთვის დიადი რამ არის საჭირო.

თვალები დახუჭა იმის ნიშნად, მოსვენება მჭირდებაო. მახლობელნი წავიდ-წამოვიდნენ. პეტრონიუსი ვინიციუსთან ერთად გამოვიდა და უთხრა:

- შენ ნადიმზე მიგიწვია. ჟღალწვერამ მოგზაურობაზე უარი თქვა, სამაგიეროდ, უფრო მეტ სისულელეს მიეცემა, ვიდრე როდისმე მისცემია და ქალაქში ისე იბატონებს, როგორც საკუთარ სახლში. შენც ეცადე, სისულელეში გართობა და დავიწყება პოვო. მთელი ქვეყანა დავიპყარით, მაშ უფლება

გვაქვს, ვიმხიარულოთ. შენ, მარკუს, ლამაზი ბიჭი ხარ, ცოტა არ იყოს ამისთვისაც მიყვარხარ. ეფესელ დიანას ვფიცავ! ნეტავ შეგეძლოს შენი გადაბმული წარბები და შენი სახე დაინახო, რომელშიაც ძველი კვირიტების სისხლი მოჩანს... სხვები შენ გვერდით გააზატებულ მონებს ჰგვანან. დიახ! ის ველური რჯული რომ არ ჩაგჩხირებოდა, ლიგია ახლა შენს სახლში იქნებოდა. აბა, სცადე და ერთხელ კიდევ დამიწყე მტკიცება, რომ ქრისტიანები ცხოვრებისა და ხალხის მტრები არიან. კარგად მოგექცნენ და შენც შეიძლება იმათი მადლობელი იყო, მაგრამ შენი ვიყო, იმათ რჯულს შევიძულებდი და დატკბობას იქ მოვძებნიდი, სადაც მისი პოვნა

შეიძლებოდა, შენ ლამაზი კაცი ხარ, გიმეორებ, რომში კი ქმარგაშვებული ცოლების მთელი ჯოგია.

- მე მხოლოდ ერთი მაკვირვებს, – უთხრა ვინიციუსმა.-ნუთუ ყველა ეგ არ მოგბეზრდა?

- ვინ გითხრა, არ მომბეზრდაო? დიდი ხანია მომბეზრდა, მაგრამ შენზე უფროსი ვარ. ამას გარდა, მე ბევრი ისეთი ინტერესი მაქვს, რაც შენ არა გაქვს. მე წიგნები მიყვარს, შენ კი არ გიყვარს, პოეზია მიყვარს, შენ კი მოწყენილობას გგვრის; ლარნაკები, გემები და მრავალი ნივთი მიყვარს, შენ კი მათ ყურადღებას არ აქცევ; მე წელის ტკივილი მაქვს, შენ კი ეს ჯერ არ გიგრძვნია, დასასრულ, მე ევნიკა ვიპოვე, შენ კი ისეთი რამ არ გიპოვია. მე შინ კარგად ვგრძნობ თავს, ხელოვნების ნაწარმოებით გარშემორტყმული, შენ კი მშვენიერების მოყვარულად ვერ გახდი. მე ვიცი, რომ სიცოცლეში მეტს ვეღარას ვიპოვი, შენ ეს არ იცი, ისევ იმედი გაქვს და რაღაცას ეძებ. შენ რომ სიკვდილი გეწვიოს, შენი მამაცობისა და მწუხარების მიუხედავად გაკვირვებული მოკვდებოდი, რომ ქვეყნის დატოვების დრო დაგიდგა, მე კი სიკვდილს, როგორც აუცილებლობას, ისე მივიღებდი, რაკი ვიცი, რომ მთელ ქვეყანაზე ისეთი არა არის რა, მე არ გამომეცადოს, მე არა ვჩქარობ, მაგრამ არც დავყოვნდები, მხოლოდ ვეცდები-ბოლომდე მხიარული ვიყო. იცი, რა გავიგე? ტიგელინუსი ნადიმის დროს აგრიპას ტბის ნაპირზე ლუპანარების გამართვას აპირებს. იქ რომის წარჩინებული ოჯახების ქალები იქნებიან თავშეყრილნი. ნუთუ ერთი მაინც არ იქნება ისეთი

ლამაზი, შენ განუგეშოს? ყმაწვილი ქალებიც იქნებიან, საზოგადოებაში ნიმფების სახით პირველად გამოსულნი. ასეთია ჩვენი რომის იმპერია. უკვე

თბილა, სამხრეთის ქარი წყალს გაათბობს და ტიტველ ტანს არ აწყენს, ხოლო შენ, ნარცისო, იცოდე, იქ ერთიც არ იქნება-ურჩობა გაგიწიოს, თუნდა ვესტას მსახური იყოს!

ვინიციუსმა თავზე ხელი შემოიკრა, როგორც მუდამ ერთი ფიქრით გართულ ადამიანს სჩვევია.

- განსაკუთრებული ბედი უნდა, რომ საჩემოს მივაგნო.

- მერე ეგ ვინ დაგმართა, თუ არ ქრისიტიანებმა? მაგრამ ხალხი, თავის სიმბოლოდ რომ ჯვარი აურჩევია, სხვაგვარი ვერ იქნება. გამიგონე, საბერძნეთი მშვენიერი იყო, საქვეყნო სიბრძნე დაბადა. ჩვენ ძალა დავბადეთ, როგორ ფიქრობ, ქრისტეს რჯული რას დაამკვიდრებს. თუ იცი, ამიხსენ, რადგან, პოლუქსსა ვფიცავ, მე ვერ მივმხვდარვარ.

ვინიციუსმა მხრები აიჩეჩა.

- მგონია, გეშინია, ქრისტიანი არ შევიქნე?

- მე მეშინია, სიცოცხლის გემო არ დაკარგო. აღმითქვი, რომ თუ შინ ვინმე ქრისტიანი დაგიხვდა-ენას გამოუყოფ. თუ ეს გლავკოსი იქნება, იმას არც გაუკვირდება. აბა აგრიპას ტბაზე შევხვდებით ერთმანეთს.

თავი მეცხრე

პრეტორიელები აგრიპას ტბის ნაპირებზე აყრილ ტყეს გარს შემოეხვივნენ, რათა მაცქერალთა დიდ ბრბოს კეისარი და მისი სტუმრები არ შეეწუხებინა. ამბობდნენ, ყველა, ვინც კი რომში სიმდიდრით, ჭკუითა და სილამაზით იყო შესანიშნავი, ამ ნადიმზე მოვაო. ეს ნადიმი იქნებოდა, რომ მსგავსი რომს ჯერ არასოდეს არ უნახავს. ტიგელინუსს უნდოდა, რაკი კეისარმა აქაიაში წასვლა გადასდო, სამაგიერო სიამოვნება მიეზღო ნერონისთვის და ამასთან, ვისაც კი როდისმე იგი ნადიმზე მოეწია, ყველა უნდოდა დაეჩაგრა და დაემტკიცებინა, რომ იმპერატორის გართობას ტიგელინუსივით ვერავინ შეიძლებდა. ჯერ ისევ ნეაპოლში და შემდეგ ბენევენტუმში ყოფნის დროს ტიგელინუსი ემზადებოდა და ბრძანებას აძლევდა, ქვეყნის შორეულ ადგილიდან ნადირი, ფრინველი, საიშვიათო თევზები და მცენარეები გამოეგზავნათ, კიდე ჭურჭელი და ქსოვილები, რითაც უნდოდა, ნადიმი მოერთო და დაემშვენებინა. მთელი პროვინციების შემოსავალი უგუნური განზრახვების დასაკმაყოფილებლად იხარჯებოდა, მაგრამ ამას ყოვლადშემძლე კე-

ისრის წყალობის მოიმედე ტიგელინუსი არავითარ ყურადღებას არ აქცევ-
და. მისი გავლენა დღითიდღე იზრდებოდა. იქნება კეისრისათვის ტიგელი-
ნუსი ჯერ ძალიან სასიამოვნო კაცად არ იყო ქცეული, მაგიერად, უფრო და
უფრო საჭირო კი ხდებოდა. პეტრონიუსი, უეჭველია, სჯობნიდა ბრწყინვა-
ლებით, ჭკუით, მახვიგონიერებითა და სიტყვა-პასუხითაც;კეისრის გართობა
უკეთესად შეეძლო, მაგრმ თავისდა საუბედუროდ, ამით თვითონ კეისარს
სჯობნიდა და ნეირონის შურს

იწვევდა. ამას გარდა, პეტრონიუსმა ვერ შეიძლო ყველაფერში მორ-
ჩილ იარაღად ქცეულიყო, და როცა საქმე გემოვნების საკითხებს მიადგე-
ბოდა, კეისარს მისი აზრისა ეშინოდა, ტიგელინუსთან კი არავითარ შევიწ-
როებას არა გრძნობდა. პეტრონიუსის თვითონ ტიტული „arbiter
elegantiarum“ შხამავდა ნერონის თავმოყვარეობას, რადგან ვის უნდა ეტა-
რებინა ეს სახელი, თუ არ თვითონ კეისარს. ტიგელინუსი გრძნობდა თავის
ნაკლულევანებას და გადაწყვიტა, ყველა განურჩეველი სამსახურით და-
ეჯაბნა, ხოლო უწინარეს ყოვლისა, ისეთი მედიდური სიუხვით, რომ კეისა-
რის წარმოდგენაც კი გაეოცებინა.

ნადიმი უზარმაზარ, მოვარაყებული ხეებისგან შეკრულ ტივზე იყო გა-
მართული: ტივის ნაწიბური ცისარტყელას ყველა ფერით აჭრელებული
ლოკოკინებით იყო მორთული. ტივის კიდეები დაფარული იყო პალმებით,
ლოტოსებითა და აყვავებული ვარდებით; მათ შუა სუნელების მფრქვევი
შადრევნები იყვნენ ჩამალულნი, ღმერთების ქანდაკებანი, ოქროსნი ან
ვერცხლის გალიები სხვადასხვა ფრინველებით. შუაგულში ამართული იყო
უზარმაზარი, ყოველმხრივ ახდილი სირიული ძოწეულის კარავი, ვერ-
ცხლის სვეტებზე დაყრდნობილი, ხოლო მის ქვეშ მზესავით ბრწყინავდნენ
სუფრები. ამ სუფრებზე ელვარებდა ალექსანდრიული მინა, ბროლი და
იტალიიდან, საბერძნეთიდან და მცირე აზიიდან მოტაცებული ფასდაუდები
ჭურჭელი. ტივი აყვავებულ კუნძულს ჰგავდა, ზედ ოქრომკედის და წითელი
ძაფის ზონრებით ნავები ჰქონდა მიბმული-თევზებისა, გედებისა, თოლიები-
სა და ფლამინგოს მსგავსი, ხოლო ნავებში ტიტველი

ნიჩბოსნები ისხდნენ, საოცარი სილამაზის ქალები და კაცები, აღმოსავ-
ლურად თმა დავარცხნილნი. ნერონი რომ პოპეათი და ამალით ტივთან მი-
ცურდა და კარავის ქვეშ დაჯდა, ნავები დაიძრნენ, ნიჩბებს მოუსვეს, ოქროს
ზონრები გაიჭიმენ, ტივი სტუმრებიანად დაიძრა და ტბაში წრე შემოავლო.

ტივს პატარა ტივები და ნავები ერტყვა გარს, ციტრებისა და ქნარის დამ-კვრელებით სავსე, მათ ვარდისფერ კანს, ცისა და ტბის ლაჟვარდ ფერზე, ოქროს საკრავებისგან გამოელვარე ნათელი ეფინებოდა.

ნაპირ ტყეებში, ხეებში მიმალულ განგებ ჩადგმულ ფანტასტიკურ შენო-ბებშიც მუსიკისა და სიმღერის ხმები მოისმოდა. მთელმა ტყემ დაიგრიალა და ბუკისა და საყვირის ხმების გამოძახილი შორს განეფინა. თვითონ კეისა-რი, პოპეასა და პითაგორას შუა მჯდომარე, გაკვირვებული იყო და ტიგე-ლინუსის საქებრად მოიმართა, მეტადრე, როდესაც ნავებს შორის ახალგაზ-რდა მონა ქალები გაჩდნენ, სირინოზად ჩაცმულნი და ქერცლის მინაგვარ მწვანე ტოტებით დაფარულნი. ნერონი ჩვეულებრისამებრ პეტრნიუსს შეჰ-ყურებდა, რომ მსაჯულის აზრი გაეგო, მაგრამ პეტრონიუსს თითქოს გულ-გრილობა ეტყობოდა. და მხოლოდ მისადმი მიმართული კითხვის შემდეგ უპასუხა:

- მე ვფიქრობ, ბატონო, ათი ათასი შიშველი ქალი ნაკლებ შთაბეჭდი-ლებას ახდენს, ვიდრე ერთი.

კეისისათვის „მცურავი ნადიმი" მაინც რაღაც ახალი იყო და ამიტომ მო-ეწონა. სუფრაზე ისეთი

საგანგებო კერძები გამოიტანეს, რომ თვითონ ანციუმი იმასთან ვერ მო-ვიდოდა. ღვინოები ისეთი ხარისხისა იყო, ოთონი, თავის სტუმრებს რომ ოთხმოცნაირი ღვინო მიართვა, სირცხვილით წყალში დაიმალებოდა, თუ ეს სიუხვე ენახა. სუფრაზე ქალებს გარდა, მხოლოდ მახლობელნი იყვნენ და სილამაზით ყველას ვინიციუსი ჩრდილავდა. პეტრონიუსი, როგორც გა-მოცდილი კაცი, მართალი იყო, ვინიციუსს რომ უთხრა: ვერც ერთი ავგუს-ტიანი ქალი ვერ მოახერხებს და არც ინდომებს შენს ურჩობასაო. ახლა ყვე-ლა ვინიციუსს უცქეროდა, თვით პოპეაც და რუბრიაც. კეისარმა მოისურვა, რომ ნადიმს დასწრებოდა ვესტას მსახური ქალი რუბრია.

მთის თოვლში გაცივებულმა ღვინოებმა მონადირეებს გული და თავი ჩქარა გაუხურეს. ნაპირებზე ატეხილ შამბშნარში ახალ-ახალი ნავები გამოჩ-დნენ ზოგი ჭრიჭინასა და ზოგი დედოფალას მოყვანილობისანი. ნავებზე ვერცხლისა და ცისფერი ძაფით ან ზონრით დაბმული მტრედები და ინდოე-თიდან თუ აფრიკიდან მოყვანილი ფრინველები დაფარფატებდნენ. თბი-ლი დღე იდგა, თითქმის ცხელიც, თუმცა ნადიმი მაისის დამდეგს იყო. ტივი

სულ გარშემოცული დაცურავდა; დამთვრალი და მყვირალა ხალხი თანდათან მატულობდა. ნადიმი შუატყავებაში არ იყო, როდესაც სტუმართა რიგზე წამოწოლას უკვე ყურადღებას აღარავინ აქცევდა. მაგალითი თვითონ კეისარმა მისცა, თავისი ადგილი ვინიციუსს უბრძანა, დაეჭირა, ხოლო თვითონ რუბრიას გვერდით წამოწვა, ყურში რაღაცას ეჩურჩულებოდა. ვინიციუსი პოპეას გვერდით აღმოჩნდა. პოპეამ ხელი გამოუწოდა და გახსნილი სამაჯურის შეკვრა სთხოვა. როდესაც ვინიციუსი ოდნავ მთრთოლვარე

ხელით სამაჯურს უკრავდა, პოპეამ გრძელი წამწამებიდან მორცხვად შეხედა და ოქროსთმიანი თავი გაიქნია თითქოს არაო, ამბობდა. ამასობაში მზის უზარმაზარი წითელი დისკო ხეთა კენწეროებს უკან გადაცურდა. სტუმრები მეტწილად მთლად მთვრალები იყვნენ. ახლა ტივი ნაპირ-ნაპირ მიცურავდა, სადაც ხეებსა და ბუჩქებს შუა ხალხის გუნდები მოჩანდა ფავნუსად და სატირად ჩაცმულები, სალამურებს, დუდუკებს და დაირებს უკრავდნენ და ტიტველი ქალების გუნდები ნიმფებს, დრიადებსა და ჰამადრიადებს გამოხატავდნენ. ბოლოს სიბნელეც ჩამოეშვა და უმთავრესი ტივიდან მთვარის პატივსაცემად ზარხოშმორეული ხმაურობა გაისმა და იმავე წამს ტყე ათასი სანთლით განათდა. ტბის ნაპირებზე მდგარ ლუპანარებიდან სხივებმა იწყეს დენა, ტერასებზე ახალი გუნდები გამოჩდნენ, ისინიც ტიტვლები. რომის წარჩინებული ოჯახების ცოლები და ქალები იყვნენ. ხმაურობით და უშვერი მოძრაობით უხმობდნენ სტუმრებს. ბოლოს ტივი ნაპირს მიადგა. კეისარი და ავგუსტიანები ტყეს ეცნენ, ლუპანარებსა და ტყეში მოფარებულ კარვებს მოედვნენ, წყაროებსა და შადრევნებს შუა ხელოვნურად გაკეთებულ გამოქვაბულებში შევარდნენ ყველამ დამთხვეულებამ მოიცვა, არავინ იცოდა, კეისარი რა იქნა, ვერ არჩევდნენ, ვინ იყო სენატორი, ვინ მოცეკვავე ან მესაკრავე, სატირები და ფავნუსები ყიჟინით ნიმფებს გამოუდგნენ; ჩირაღდნებს თირსოსის დაკვრით აქრობდნენ. ტყის ზოგი ნაწილი მთლა დაბნელდა. ყოველი მხრიდან ისმოდა კივილი, სიცილი, ჩურჩული, ღრმა ქშენა. რომს მართლაც ამისი მსგავსი ჯერ არა ენახა რა.

ვინიციუსი მთვრალი არ იყო, როგორც კეისრის წარსულ ნადიმზე, სადაც ლიგია ჰყავდა გვერდით, მაგრამ ყველა იმან, რაც გარშემო ხდებოდა, იმასაც თვალები აუჭრელა და დაათრო; დატკბობის სურვილი იმასაც მოერია. ტყეში რომ შევიდა, სხივებთან ერთად შეათვალიერა დრიადები, რომელი უფრო მომხიბვლელიაო.ყოველ წამს გვერდზე ახალ-ახალი გუნდები

ჩაურბენდნენ, მათ მუსიკის ხმაზე ფავნუსები, სატირები, სენატორები და მხედრები გამოდიოდნენ. ბოლოს მთელი გუნდი ტიტველი ქალები დაინახა, მათ დიანად მორთული ქალი მოუძღოდა წინ. ვინიციუსი გაშიშვლებულთ მიუახლოვდა, რომ ქალღმერთი კარგად გაესინჯა. უცებ მთლად დაიბნა. იმას ეჩვენა, რომ ნახევარმთვარით შემკული ქალღმერთი ლიგია იყო.

ტიტველი დრიადები შემოეხვივნენ და გაშმაგებული ფერხულით დაუარეს. ერთი წუთის შემდეგ, რათა ვინიციუსი გაეხელებინათ, შვლის ნახირივით გაიფანტნენ. მაგრამ ვინიციუსი ადგილიდან არ დაძრულა, გული გამალებით უცემდა და სულთქმა შეეხუთა. თუმცა დაინახა, რომ დიანა ლიგია არ იყო და ახლოს იმას სულაც არა ჰგავდა, მაინც მეტისმეტმა ღელვამ ძალღონე გამოულია. უცებ ლიგიაზე დარდმა მოიცვა, ისეთმა დარდმა, რომლის მსგავსი სიცოცხლეში ჯერ არ გამოეცადა. ლიგიას სიყვარული ახლა უფრო ძლიერ ტალღად მოედო გულზე. არასოეს უფრო ძვირფასი არ სჩვენებია იგი, უფრო სუფთა, უფრო საყვარელი, როგორც ამ დამთხვეულობისა და ველური გარყვნილების ტყეში ეჩვენა. ცოტა ხნის წინ რომ თვითონ უნდოდა იმ თასის დაწაფება. საერთო თავაშვებულებისა და გარყვნილების მორევში მონაწილეობის მიღება, ახლა ზიზღმა მოიცვა.

იგრძნო, რომ სიბილწე ახრჩობდა, ჰაერი რა ჰყოფნიდა. თვალს სხვა სანახაობა ეწადა-ლაღი ცისა და ვარსკვლავების დანახვა-და გაქცევა გადაწყვიტა. მაგრამ ფეხი მოიცვალა თუ არა, წინ ვიღაც სახეშებურვილი ქალი დაუდგა, მხრებზე ხელი დაადო და წასჩურჩულა:

- მიყვარხარ!.. წამოდი!.. არავინ დაგვინახოს!.. აჩქარდი!

ვინიციუსი თითქოს ძილიდან გამოერკვაო და ჰკითხა:

- ვინა ხარ?

ის მკერდზე მიეკრა და დაჟინებით განაგრძობდა:

- აჩქარდი!.. ხედავ, აქ არავინ არის! მიყვარხარ! წამოდი!..

- ვინა ხარ?-ჰკითხა ვინიციუსმა.

- გამოიცან!

და რიდე აუხდელად ტუჩებით მის ტუჩებს მიეკრა, ვაჟის თავი ჩაიკრა გულში, მაგრამ ბოლოს

სუნთქვა შეუგუბდა და წამით მოშრდა.

- სიყვარულის ღამეა... დავიწყების ღამეა!- სუნთქვაშეხუთული ამბობდა ქალი.-დღეს შეიძლება, წამიყვანე. შენი ვარ!

კოცნის ალმურმა დასწვა ვინიციუსი და ზიზღის ახალი გრძნობით აღივსო. მისი სული და გული სხვაგან ქროდა, მთელ ქვეყანაზე მისთვის ლიგიას მეტი არავინ არსებობდა.

სახეშებურული ქალი ხელით მოიშორა და უთხრა:

- ვინც უნდა იყო, არ მინდიხარ, მე სხვა მიყვარს.

ქალმა თავი მიუახლოვა და უთხრა:

- პირბადე ასწიე...

მაგრამ იქვე ტვიის ფოთლები შეირხა და ქალი ღამის მოჩვენებასავით გაქრა, მხოლოდ შორიდან მისი სიცილი მოისმა, რაღაც უცნაური და ბოროტის მომასწავებელი სიცილი.

ვინიციუსს წინ პეტრონიუსი დაუგა.

- მე დავინახე ყველაფერი და გავიგონე, – უთხრა მან.

ვინიციუსმა სთხოვა:

- წავიდეთ აქედან.

და მართლაც იქაურობას გაშორდნენ. გაჩაღებულ ლუპანარებს, ტყეს, ცხენოსან პრეტორიელების რიგს გასცილდნენ და ბოლოს თავიანთი ტახტრევნები იპოვეს.

მე შენთან ჩავჯდები, – უთხრა პეტრონიუსმა.

ერთად ჩასხდნენ, მაგრამ მთელი გზა ხმა არ ამოუღიათ. მხოლოდ შინ, ატრიუმში რომ შევიდნენ, პეტრონიუსმა უთხრა დისწულს:

- იცი ვინ იყო?

- რუბრია?-ჰკითხა ვინიციუსმა და თან იმ აზრმა შეაჟრჟოლა, რომ რუბრია ვესტას მსახური ქალი

იყო.

- არა.

- მაშ ვინა?

პეტრონიუსმა ხმა დაიდაბლა:

- ვესტას ცეცხლი წაიბილწა-რუბრია კეისართან იყო... შენ კი გელაპარაკებოდა...

და უფრო დაბალი ხმით დაასრულა:

- Diva Augusta პოპეა.

წუთით სიჩუმე ჩამოვარდა.

- კეისარმა, – თქვა პეტრონიუსმა, – ვერ მოახერხა და მის წინ რუბრიათი აღძრული ვნება ვერ დაფარა. იქნებ პოპეას უნდოდა ნერონისათვის სამაგიერო გადაეხადა, მე კი იმიტომ დაგიშალეთ, თუ ავგუსტა გეცნა და უარი გეთქვა, მაშინ უეჭველად დავიღუპებოდით შენც, ლიგიაც და მეც.

ვინიციუსი აფეთქდა:

- კმარა ეს რომი, კეისარი, ნაიმები, ავგუსტა, ტიგელინუსი და ყველა თქვენ! სული მეხუთება! ასე ცხოვრება არ შემიძლია, არა! გესმის თუ არა ჩემი?

- შენ ცნობას არა ხარ, ვინიციუს, ზომიერების გრძნობა რა უყავ!

- მთელ ქვეყანაზე მარტო ის ერთი მიყვარს!

- მერე რაო?

- ისა, რომ სხვა სიყვარული არ მინდა, თქვენი ცხოვრება არ მინდა, არც თქვენი ნადიმები, არც თქვენი გარყვნილება და ზნედაცემულობა!

- რა დაგემართა? ქრისტიანი ხომ არ გამხდარხარ?

ყმაწვილმა კაცმა თავზე ხელი წაივლო და სასოწარკვეთილი ხმით რამდენჯერმე დაიძახა:

- ჯერ არა! ჯერ არა!

თავი მეათე

პეტრონიუსმა მხრები შეიშმუშნა და ძალიან უკმაყოფილო წავიდა შინ. ახლა იმანაც დაინახა, მე და ვინიციუსს ერთმანეთისა აღარაფერი გაგვეგებაო. ოდესღაც პეტრონიუსს დიდი გავლენა ჰქონდა ახალგაზრდა მხედარზე. გამოცდილ სკეპტიკოსს ესმოდა, რომ მისი სულის გასაღები დაკარგა. ეს უსიამოვნოც იყო მისთვის, შიშსაც უნერგავდა და ამ შიშს იმღამინდელი ამბების გახსენება უფრო უძლიერებდა. „თუ ავგუსტას მხრივ ეს წამიერი ჟინი კი არა, ძლიერი ვნებაა, – ფიქრობდა პეტრონიუსი, – მაშინ ორში ერთი იქნება: ან ვინიციუსი ვერ გაუმკლავდა და მაშინ, შესაძლოა, ალალბედზე დაიღუპოს, ან, რაც ახლა მისგან მოსალოდნელია, – ავგუსტას ვნებას გაუმკლავდეს და ამ შემთხვევაში უეჭველად დაიღუპება და იქნებ მეც ჩამითრიოს, თუნდა იმიტომ, რომ მისი ნათესავი ვარ და იმიტომაც, რომ ავგუსტა მთელ ოჯახს შეიძულებს და თვისი გავლენის მთელ ძალას ტიგელინუსის მხარეზე გადახრის...'' ასეც და ისეც ცუდი იყო. პეტრონიუსი მამაცი კაცი იყო, სიკვდილისა არ ეშინოდა, მაგრამ რადგან მისგან არაფერს არ მოელოდა,

ამიტომ მისი მიხმობაც არ უნდოდა. დიდი ხნის ფიქრის შემდეგ გადაწყვიტა, რომ ყველაზე უკეთესი და უშიშარი იქნებოდა-ვინიციუსი სამოგზაუროდ გაეგზავნა. ჰოი, ნეტა შეძლებოდა მისთვის თანამგზავრად ლიგია მიეცა, დიდი სიხარულით ჩიდენდა ამას! მაგრამ პეტრონიუსს იმედი ჰქონდა, მოგზაურობაზე ვინიციუსს უიმისოდაც დაითანხმებდა. პალატინში ახალგაზრდა ტრიბუნის ავადმყოფობის ხმას გაავრცელებდა და იმასაც და საკუთარ თავსაც საშიშროებას მოარიდება.

ავგუსტა მაინცდამაინც დარწმუნებული არ იქნებოდა, – ვინიციუსმა იცნო იგი თუ არა. შეიძლება ჰგონებოდა, ვერ მიცნოო. მაშ ჯერჯერობით იმისი თავმოყვარეობა შებღალული არ იყო. მაგრამ სამომავლოდ შეიძლებოდა სხვაგვარად დატრიალებულიყო საქმე და ასარიდებელი ეს იყო. პეტრონიუსს უპირველეს ყოვლისა დროის მოგება უნდოდა. იმას ესმოდა, რომ კეისარი აქაიაში წავიდოდა თუ არა, ხელოვნების დარგში არაფრის მცოდნე ტიგელინუსს უკან მოიქცევდა და გავლენას დააკარგვინებდა. პეტრონიუსი დარწმუნებული იყო, ყველა მეტოქეს დაამარცხებდა.

მანამ კი გადაწყვიტა, ვინიციუსისათვის თვალყური ედევნებინა და სამოგზაუროდ წასვლაზე დაეყოლიებინა. რამდენსამე დღე იმას ფიქრობდა, როგორმე მოეხერხებინა, რომ რომიდან ქრისტიანების განდევნაზე კეისრის ბრძანება გამოცემულიყო. ლიგიაც და მისი ერთმორწმუნეებიც რომიდან წავიდოდნენ და ვინიციუსიც მათ გაჰყვებოდა. მაშინ მისი დაყაბულება საჭირო აღარ იქნებოდა. საქმე თავისთავად ასრულდებოდა. დიდი ხანი არ იყო გასული, რაც ებრაელებმა ქრისტიანების საწინააღმდეგო მოქმედება დაიწყეს და კეისარმა კლავდიუსმა, რაკი მათ ერთიმეორისაგან ვერ არჩევა, ებრაელები განდევნა. რატომ არ შეიძლებოდა ნერონს ახლა ქრისტიანები გაედევნა? რომში ხალვათობა ჩამოვარდებოდა. პეტრონიუსი „მცურავი ნადიმის" შემდეგ ყოველდღე ნახულობდა კეისარს პალატინზე და სხვაგანაც. ამისთანა აზრის ჩაგონება ადვილი იყო, რადგან კეისარი ისეთ ჩაგონებას არაოდეს არ ეწინააღმდეგებოდა, რასაც ვისიმე ვნება შეეძლო. საღი მოფიქრების შემდეგ პეტრონიუსმ მოქმეების მთელი გეგმა შეადგინა: შინ

ნადიმს გამართავს, იმ ნადიმზე კეისარს დაითანმებს და ედიქტზე ხელს მოაწერინებს. თითქმის ისიც სჯეროდა, რომ კეისარი ედიქტის აღსრულებას

იმას მიანდობდა, მაშინ ლიგია დიდი პატივით გაისტუმრებდა, როგორც ვინიციუსის გულის რჩეულს ეკადრება, მაგალითად, ბაიაში. დაე იქ ყვარებოდათ ერთმანეთი და სურვილისამებრ ქრისტიანობაც ეთამაშნათ.

ვვინიციუსთან მალ-მალე დადიოდა, რადგან თავისი თავის რომაული თავკერძობის მიუხედავად, არ შეეძლო დისწულის სიყვარული გულიდან ამოეღო. იმისთვისაც დადიოდა, სამოგზაუროდ წასვლაზე დაეყოლიებინა. ვინიციუსმა თავი მოიავადმყოფა და პალატინზე აღარ გამოჩენილა, სადაც მუდამ ერთი გეგმა მეორით იცვლებოდა. ერთხელ პეტრონიუსმა თვითონ კეისრისაგან გაიგონა, რომ ანციუმში მიემგზავრება და მეორე დღეს ვინიციუსთან წავიდა, რათა ეს ამბავი შეეტყობინებინა.

ვინიციუსმა იმ დილით კეისრის აზატის ხელით მოტანილი სია აჩვენა, ეს იყო ანციუმში მიწვეულთა სია.

- აქ ჩემი სახელიც არის მოხსენიებული და შენიც, – უთხრა მან, – შინ რომ დაბრუნდები, იქაც ისეთი სია დაგხვდება.

- მე რომ მიწვეულთა რიცხვში არ ვყოფილიყავ, იმისი ნიშანი იქნებოდა, რომ ჩემი სიკვდილის ვადა დამდგარა, მაგრამ არა მგონია, ეს აქაიაში წასვლის წინ მოხდეს. იქ ნერონისთვის ძალიან საჭირო ვიქნები

მერე სია გადასინჯა და დაუმატა:

- თუ რომში დავბრუნდით, ახლა აყრა და ანციუმში წახირება რაღა არის? მაგრამ რას იზამ? ეს მარტო მოწვევა კი არაა, ბრძანებაც არის.

- ვინმე თუ არ დაემორჩილა?

- მაშინ სხვარიგ მიწვევას მიიღებს, უფრო დიდ მანძილზე მოგზაურობას შესთავაზებენ, საიდანაც აღარ ბრუნდებიან. როგორ მწყინს, რომ ჩემი რჩევა არ დაიჯერე და მინამ დრო იყო, აქედან არ წახვიდე. ახლა ანციუმში უნდა წამოხვიდე.

- ახლა ანციუმში უნდა წამოვიდე... აბა ჩაუკვირდი, რა დროს ვცხოვრობთ და რა უხამსი მონები ვართ.

- ეგ შენ ახლა გაიგე?

- არა, მაგრამ შენ არ იყავ, მიმტკიცებდი, ქრისტიანების რჯული ცხოვრების მტერიაო, იმიტომ რომ ადამიანს უღელს ადგამსო. იმაზე მძიმე უღელი იქნებაღა, რასაც ჩვენ ვზიდავთ? შენ ამბობ: საბერძნეთმა შვა სიბრძნე და სილამაზე, ხოლო რომმა-ძალაო. აბა სად არის ჩვენი ძალა?

- ხილონი მოიხმე. დღეს ფილოსოფოსობის არავითარი ხალისი არა მაქვს, ჰერკულესს ვფიცავ! ეს დრო მე არ შემიქმნია და პასუხსაც ვერ ვაგებ. ანციუმზე ვილაპარაკოთ. იცოდე, იქ შენ დიდი საშიშროება მოგელის. იქნებ შენთვის უკეთესი ყოფილიყო, ურსუსს შებრძოლებოდი, კროტონი რომ მოაშთო, ვიდრე ანციუმში წამოსულიყავი, მაგრამ წამოუსვლელობა არ იქნება.

ვინიციუსმა დაუდევრად ხელი ჩაიქნია და თქვა:

- საშიშროება! ჩვენ ყველანი სასიკვდილო წყვდიადში დავაბოტებთ და ყოველ წუთში ვიღაც სამუდამოდ იკარგება.

- განა უნდა ჩამოგითვალო ყველა ის, ვისაც ერთი ბეწო ჭკუა ჰქონდა და იმ ჭკუის მეოხებით, მიუხედავად ტიბერიუსის, კალიგულას, კლავდიუსისა და ნერონის დროისა, ოთხმოც წლამდე იცოცხლა? თუნდა დომიციუს აფერი იყო შენთვის მაგალითი. მშვიდად დაბერდა, თუმცა მთელი სიცოცხლე უმაქნისი და ავაზაკი იყო.

- იქნება იმიტომაც! იქნება მხოლოდ იმიტომაც!-მიუგო ვინიციუსმა.

მერე სია გადასინჯა და თქვა:

- ტიგელინუსი, ვატინიუსი, სექტუს აფრიკანიუსი, აკვილიუს რეგულუსი, სულეი ნერულინი, ეპრიუს მარცელუსი და სხვანი. არამზადების ბრბო! მერე რა? ქვეყანას ისინი განაგებენ!..

- უფრო საგულისხმოზე ვილაპარაკოთ. ყურადღება მოიკრიბე და მომისმინე. პალატინზე ვთქვი, რომ ავადა ხარ და შინიდან გამოსვლა არ შეგიძლია, მაინც შენი სახელი სიაში შეუტანიათ. ეს იმას ნიშნავს, რომ ვიღაცამ ჩემი ნათქვამი არ დაიჯერა და განზრახ დაუპატიჟებიხარ. ნერონს ამისი არავითარი სურვილი არ ჰქონდა, იმისათვის შენ მხედარი ხარ, რომელსაც შეიძლება ცირკში ცხენის ჭენებაზე გელაპარაკოს, რადგან პოეზიისა და მუსიკისა არავითარი გაგება არა გაქვს. სიაში შენი სახელის შეტანაზე, უეჭველია, პოპეა ცდილა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მისი ვნება წამიერი სურვილი არა ყოფილა, ავგუსტას უნდა, დაგისაკუთროს.

- აფერუმ ავგუსტა! მამაცი ყოფილა!

მართლაც მამაცია, მიტომ რომ შეუძლია თავი მთლად დაიღუპოს. ნეტა არ იქნება, რაც შეიძლება

ჩქარა ჩააგონოს ვენერამ სხვა სიყვარული, მანამ კი იმას შენ უნდიხარ. დიდი სიფრთხილით უნა იყო. ჟღალწვერას იგი მოსწყინდა- ახლა რუბრია

ან პითაგორა ურჩევნია, მაგრამ თავმოყვარეობის გულისთვის სამაგიეროს სასტიკად გადაგვიხდის.

- ტყეში არ ვიცოდი, რომ ის მელაპარაკებოდა, შენ გვიგდებდი ყურს, იცი, რაც ვუთხარ, სხვა მიყვარს და შენი სიყვარული არ მინდა-მეთქი!

-ქვესკნელის ყველა ღმერთს გაფიცებ, გონების უკანასკნელ ნარჩენზე ნუ აიღებ ხელს, რაც კი შენთვის ქრისტიანებს ჯერაც დაუტოვებიათ. ყოყმანი როგორ შეიძლება, როდესაც არჩევანი შესაძლო და აუცილებელ დაღუპ-ვაზე არის მიმდგარი? არ გითხარ, თუ ავგუსტას თავმოყვარეობა შეურაც-ხყავ, შენთვის ხსნა აღარ იქნება-მეთქი? ჰადესსა ვფიცავ! თუ სიცოცხლე მოგძაგდა, ჯობია ახლავე ძარღვები გადაიჭრა, ან მახვილზე ჩამოეგო. თუ პოპეას აწყენინებ, მაშინაც შენ უფრო მძიმე სიკდილი გელის. როდესღაც შენთან ლაპარაკი სასიამოვნო იყო... მაინც რა მოხდა, დაგაკლდება რამე? ლიგიას სიყვარულს დაუშლის? ისიც გახსოვდეს, რომ პოპეამ ის პალატინში ნახა და არ გაუძნელდება მიხვდეს, ეგოდენ მაღალ წყალობას ვისი გულის-თვისაც ჰკრავ ხელს. მაშინ ქვესკნელიდანაც ამოიყვანს ლიგიას. შენ არათუ შენს თავს დაღუპავ, არამედ ლიგიასაც, გესმის?

ვინიციუსი ისე უსმენდა, თითქოს სხვა რაზედმე ფიქრობსო და ბოლოს უთხრა:

- ის უნდა ვნახო.

- ვინა, ლიგია?

- ლიგია.

- იცი, სად ცხოვრობს?

- არა.

- მაშ გამოდის, მის ძებნას ისევ ძველ სასაფლაოებზე დაიწყებ?

- არ ვიცი, მაგრამ კი უნდა ვნახო.

- კეთილი. თუმცა ქრისტიანია, მაინც იქნება შენზე მოფიქრებული გა-მოდგეს. ესეც იქნება, თუ შენი დაღუპვა არ უნდა.

ვინიციუსმა მხრები შეიშმუშნა.

- ურსუსის ხელთაგან იმან დამიხსნა.

- მაშ აჩქარდი, რადგან ჟრალწვერა წასვლას არ დააყოვნებს. სიკვდი-ლის განაჩენებზე ხელის მოწერა ანციუმშიც შეუძლია.

ვინიციუსი მას ყურს არ უგდებდა. იმაზე ფიქრობდა, რა ეღონა, როგორ ენახა ლიგია.

აქ ერთი შემთხვევა მოხდა, რომელსაც ყველა სიძნელის დაძლევა შეეძლო. მეორე დღეს ვინიციუსთან სრულიად მოულოდნელად გამხდარ-ჩამოფხავებული ხილონი მოვიდა, ტანსაცმელიც დახეული ეცვა.

- მოგანიჭონ ღმერთებმა უკვდავება და ქვეყნის მართვაში წილი დაგიდონ.

ჯერ ვინიციუსს უნდოდა, ებრძანებინა, გარეთ გააგდეთო, მაგრამ მოაფიქრდა, იქნება ბერძენმა ლიგიაზე რამე იცოდესო და ზიზღი ცნობისმოყვარეობამ დაძლია.

- შენა ხარ? რა დაგმართვია?-ჰკითხა მან ბერძენს.

- ცუდად ვარ, ძეო იუპიტერისავ, – მიუგო ხილონმა, – ჭეშმარიტი სათნოება ის საქონელია, რასაც ახლა მუშტარი არა ჰყავს. ვაი, ბატონო! რაც შენ მომეცი, სულ წიგნები ვიყიდე ატრაკთან, შემდეგ

კიდევ გამქურდეს, გამძარცვეს. მონა ქალი, ჩემი მოძღვრება რომ უნდა დაეწერა, გამექცა და შენი სულგრძელობის საჩუქრიდან რაც დამრჩა, ისიც მოხვეტა და წაიღო. გლახა რომ შევიქენ, ვიფიქრე, ვისთან წავიდე-მეთქი და შენ მომაგონდი, სერაპისო, ვინაც მიყვარხარ, გაღმერთებ და ვისთვისაც საშიშროებაზე არა ერთხელ ჩამიგდია თავი.

- რისთვის მოხველ და რა მოიტანე?

- მე შემწეობისთვის მოველ, ხოლო მოტანით ჩემი სიგლახავე, ჩემი ცრემლები, ჩემი სიყვარული მოგიტანე და ერთი ამბავიც დავურთე, რაიც შენი სიყვარულით გავიგე. გახსოვს, ბატონო, მე რომ ოდესღაც გითხარ: ღვთაებრივი პეტრონიუსის მონა ქალს პათოსელი ვენერას ქამრის ერთი ძაფი დავუთმე-მეთქი. ვკითხე, გიშველა თუ არა-მეთქი და შენ იცი, ძეო მზისაო, რასაკვირველია, ევნიკა ახლა პეტრონიუსისათვის რაა. ერთი იმისთანა ძაფი კიდევ მაქვს. მე, ბატონო, ის ძაფი შენთვის შევინახე.

აქ შედგა, რადგან შენიშნა, რომ საცა იყო, ვინიციუსს წარბი მრისხანედ უნდა შეეყარა და რისხვის ასაცილებლად აჩქარებით თქვა:

- მე ვიცი, ღვთაებრივო, ლიგია სადა ცხოვრობს, გაჩვენებ ქუჩასა და სახლს.

ამ ცნობამ ვინიციუსი ააღელვა, მაგრამ თავი შეიკავა და მოსულს ჰკითხა:

-სად არის?

- ლინთან არის, ქრისტიანების უფროს ქურუმთან. ის და ურსუსი ერთად არიან, ხოლო ლიგიელი გოლიათი უწინდებურად მეწისქვილესთან დადის, რომელსაც შენი დისპენსატორისა არ იყოს, დამასს ეძახიან... დიახ, დამასს. ურსუსი ღამღამობით მუშაობს და თუ ღამე შემოარტყამ ალყას სახლს, ის იქ არ იქნება. ლინი ბერიკაცია, ხოლო შინ მხოლოდ ორი ხნიერი დედაკაცი ჰყავს.

- ეგ საიდან იცი?

- გასოვს, ბატონო, ქრისტიანებმა რომ ხელში ჩამიგდეს და მაპატიეს. მართალია, გლავკოსი ცდება, რომ ფიქრობს, ვითომც მე ვიყო იმის უბედურების მიზეზი, მაგრამ საცოდავს სჯერა ეს, აქამდე სჯერა, მაინც დამინდო. მაშ ნუ გაგიკვირდება, ბატონო, რომ გული მადლობამ ამივსო. მე ძველი, დარბაისელი კაცი ვარ. ამიტომ ვიფიქრე, განა ჩემი მეგობრები და კეთილისმყოფელები უნდა დავივიწყო-მეთქი? უგრძნობლობა არ იქნებოდა, არ მომეკითხა ისინი, არ გამეგო, როგორ არიან, კარგად არიან თუ არა, სად ცხოვრობენ. მაგრამ ყველაზე უწინარეს შენზე ვფიქრობდი, ბატონო. ჩვენი უკანასკნელი საქმე დანარცხებით გათავდა, და განა შენ, ფორტუნას ძეო, შეგიძლია

მარცხს შეურიგდე? და აი, მეც გამარჯვება მოგიმზადე. სახლი მარტოდ-მარტო დგას, შეგიძლია მონებით ისე შემოადგე გარს, რომ იქიდან თაგვიც ვერ გამოძვრეს. ჰოი, ბატონო! შენზეა დამოკიდებული, რომ ის მეფის ასული ამაღამვე შენს სახლში გაჩნდეს და თუ ეს აღსრულდეს, მოიგონე, რომ მამაჩემის საწყალი და მშიერი შვილი დაგეხმარა.

ვინიციუს სისხლი თავსში აუვარდა. ცთუნებამ ერთხელ კიდევ შეიპყრო მთელი მისი არსება. დიახ! გზა ჩანდა და ამჯერობაზე უტყუარი გზაც. ლიგია თავისთან რომ ეყოლება ვიღა წაართმევს? რაკი ლიგია მისი საყვარელი შეიქნება, ბედს შეურიგდება სამუდამოდ, მეტი რა ჩარა ექნება? ქვესკნელს წაუღია ყველა რჯული! რას აქნევს ქრისტიანებს მათი გულკეთილობითა და თალხი რჯულით? განა დრო არ არის ისე იცხოვროს, როგორც სხვები ცხოვრობენ? რას იზამს მერე ლიგია, როგორ შეუწონის თავის ბედს ქრისტეს მოძღვრებას, ეგ მეორეხარისხოვანი საქმეა. ყველაზე უწინარეს ვინიციუსის იქნება იგი და ეს სწორედ ამაღამ მოხდება. საკითხავია: არ უმტყუნებს თავის რჯული, როდესაც ახალ ცხოვრებას შეეჯახება, ფუფუნებასა და სიტკბოებას, რაიც ძალაუნებურად უნა შეიფეროს? ეს კი დღესვე შეიძლება

მოხდეს. საკმაოა, ხილონი იქ დავიჭირო და დაბრუნებისას ბრძანება გავცე. ამას დაუსრულებელი სიხარული მოჰყვება. ამგვარად ყველაფერი გადაწ-ყდება და გათავდება. მართალია, აღქმა მოაგონდა-ხელს აღარ შეგახებო, მაგრამ განა რა დაუფიცა? ღმერთები ხომ არა, რომელნიც აღარა სწამდა, არც ქრისტე, რომელიც ჯერ არ უწამებია. თუ მაინცდამაინც ლიგია თას შე-ურაცხყოფილად ჩათვლის, ცოლად შეირთავს და ამით

დააჯილდოებს. ჰო, ასე უნდა მოიქცეს, იმიტომ რომ სიკვდილს ლიგიამ გადაარჩინა. აქ ის დღე მოაგონდა, როდესაც კროტონთან ერთად ლიგიას სადგომში შევარდა, ურსუსის მოღერებული მუშტი გაიხსენა და ყველა ის, რაც მას მერე გადახდა, გაიხსენა, როგორ იდგა მის საწოლთან თავდახრი-ლი ლიგია, მშვენიერი, ვითა ღვთაება. ვინიციუსს თვალი უნებლიეთ ლარა-რიუმისაკენ გაექცა და იმ ჯვრისაკენ, ლიგიამ რომ წასვლის წინ დაუტოვა. ნუთუ ყველაფერი ახალი ძალადობით უნდა გადაუხადოს? მონასავით თა-ვის კუბიკულუმში თმით შეათრიოს? მერე ამას როგორ იზამს, თუ მარტო იმისი დასაკუთრება კი არ უნდა, არამედ ისიც უნდა, რომ ლიგიას უყვარდეს და უყვარდეს საკუთრად იმიტომ, რომ ქალი ისეთია, როგორიც არის. უცებ იგრძნო, რომ ლიგიას შინ მოყვანა როდია საკმარისი, საკმარისი არ არის ძალად მოეხვიოს, არა სიყვარულს რაღაც სხვა უნდა-ქალის თანხმობა, მისი სიყვარული და მისი გული. კურთხეულ იყოს ის წუთი, დღე, მთელი სიცოც-ხლე. მაშინ მათი ბედნიერება ზღვასავით ფართო მზეებრ მანათობელი იქ-ნება. ძალით მოტაცება კი ასეთი ბედნიერების სამუდამო დარღვევაა და თან დაღუპვა და შებილწვა იმისი, რაც სიცოცხლეში უძვირფასესსა და ერ-თადერთ განძს შეადგენს.

ამ აზრმა ვინიციუსს მრისხანება მოჰგვარა. ხილონს შეხედა და დაუძლე-ველი სიძულვილი იგრძნო. მოესურვა უწინდელი თვისი ასაბია ჭიასა და შხამიანი გველივით გაესრისა. ერთი წუთიც და უკვე იცოდა, რა უნდა ექნა, მაგრამ რაკი ზომიერების დაცვა არ იცოდა და რომაულ აღვირახსნილ ბუ-ნებას მისდევდა, ხილონს უთხრა:

- მე იმას არ ვიზამ, რასაც შენ მირჩევ. მაგრამ რაც ჩემგან ჯილდო დაიმ-სახურე, იმის მიუღებლად რომ არ წახვიდე, ვუბრძანებ, სამასი როზგი მო-გარტყან ჩემს საშინაო ერგასტულუმში.

ხილონი გაფითრდა. ვინიციუსს ლამაზ სახეზე ისეთი ცივი სიმკაცრე გამოესახა, რომ იმას სულაც არ შეეძლო იმ იმედით მოეტყუებინა თავი, დაპირებული ჯილდო მხოლოდ ულმობელი ხუმრობაააო.

ბერძენი მუხლებზე დაეცა, მოიკრუნჩხა, კვნესა დაიწყო და ჩაწყვეტილი ხმით უთხრა:

- როგორ, მეფეო სპარსეთისავ? რისთვის? წყალობის პირამიდავ, გულკეთილობის კოლოსო! რისთვის... მე - მოხუცი ვარ, მშიერი, გლახა... შენ გემსახურები... ეგრე მიხდი სამსახურს?

- განა შენ როგორ გადაუხადე ქრისტიანებს, – უპასუხა ვინიციუსმა და დისპენსატორს დაუძახა.

ხილონი ფეხებში ჩაუვარდა, კანკალით მუხლებზე მოეხვია და სახეგაფითრებულმა მუდარა დაუწყო:

- ბატონო! ბატონო! მე მოხუცი ვარ! სამასი არა, ორმოცდაათი, ორმოცდაათი საკმაოა!.. არა, სამასი ნუ!.. შემიბრალე!

ვინიციუსმა ფეხი ჰკრა და განკარგულება გასცა. თვალის დახამხამებაზე დისპენსატორს ორი ღონიერი მონა შემოჰყვა, ბერძენს შემორჩენილ თმაში წაავლეს ხელი, თავზე იმისვე ძველმანები შემოახვიეს და ერგასტულუმში წაათრიეს.

- ქრისტეს გულისთვის!-ტალანის კარებში შეჰყვირა ბერძენმა.

ვინიციუსი მარტო დარჩა. მიცემულმა ბრძანებამ გაამხნევა და გამოაცოცხლა. დიდი დამშვიდება იგრძნო და თავის თავზე მოპოვებულმა გამარჯვებამ სიმხნევით აავსო. ეჩვენებოდა, რომ ლიგიას სასიამოვნოდ დიდი ნაბიჯი გადადგა და ამისთვის ჯილდოც დიდი ეკუთვნოდა. პირველ წამს არც კი მოფიქრებია, ხილონს მეტად უსამართლოდ მოვეპყარიო, იმისათვის გავაროზგინე, რაშიც უწინ ჯილდოს ვაძლევდიო. მაგრამ ლიგიაზე ფიქრობდა და ქალს ამას ეუბნებოდა: „ მე შენ კეთილის წილ ბოროტით არ მოვაგე. თუ როდისმე გაიგებ, როგორ მოვეპყარ იმას, ვინც შენ წინააღმდეგ მაქეზებდა, მადლობელი დარჩები". მაგრამ აქ შეეჭვდა, მოუწონებდა კი ლიგია ამ საქციელს? ლიგიას რჯული მიტევებას უბრძანებს. ქრისტანებმაც ხომ მიუტევეს ამ არამზადას, თუმცა დიდი საბუთი ჰქონდათ, მაგიერი გადაეხადათ. მხოლოდ ახლაღა გახმიანდა მის სულში: „ქრისტეს გულისათვის!" მოაგონდა,

რომ ხილონმა ამ დაძახებით გამოიხსნა თავი ლიგიელის ხელთაგან და გადაწყვიტა დასჯა შეეწყვიტა. ამ დროს დისპენსატორი თვითონ მოვიდა მასთან და უთხრა:

- ბატონო, ბერიკაცს გული შეუღონდა, იქნება კიდეც მოკვდა. განვაგრძო გაროზგვა?

- მოაბრუნე და ჩემთან გამოგზავნე.

დისპენსატორი გავიდა, მაგრამ ხილონის მობრუნება ძნელი შეიქნა. ვინიციუსი დიდხანს ელოდა და ის იყო, მოთმინება უნდა დაეკარგა, როდესაც მონებმა ბერძენი შემოიყვანეს. ბატონმა ანიშნა, გადითო.

ხილონს მკვდრის ფერი დასდებოდა. ფეხთაგან სისხლი წვეთდა და მოზაიკაზე აჩენდა კვალს. მაგრამ თვითონ კი სრულ გონებაზე იყო, მუხლებზე დაეცა და ხელგაშვერილმა დაიწყო:

- გმადლობ, ბატონო! დიდი ხარ და მოწყალე!

- ძაღლო, – უთხრა ვინიციისმა, – იცოდე, ქრისტეს გულისთვის გაპატიე, ვისი მიზეზითაც თვითონ აქამდე ცოცხალი ხარ.

- ბატონო, მე იმასაც ვემსახურები და შენც.

- დაჩუმდი და ყური დამიგდე. ადექ! წამომყვები და სახლს მაჩვენებ, სადაც ლიგია ცხოვრობს.

ხილონი წამოგა, მაგრამ ფეხზე დადგა თუ არა, უფრო მეტად გაფითრდა და ჩაწყვეტილი ხმით

უთხრა:

- ბატონო, მე ხომ ნამდვილად მშიერი ვარ... წამოვალ, ბატონო, წამოვალ, მაგრამ ახლა ღონე არა მაქვს... უბრძანე დამაპურონ, თუნდა შენი ძაღლის ჯამში ნარჩენი მომცენ და წამოვალ!

ვინიციუსმა უბრძანა, აჭამეთ, მოსასხამი და ერთი ოქრო მიეცითო. მაგრამ შიმშილით და ცემით დასუსტებულმა ხილონმა სიარული შემდეგაც ვერ შეძლო. თუმცა შიშით თმა ყალყზე უდგებოდა, ვაითუ ვინიციუსმა სისუსტე განზრახ მოგონილად ჩამითვალოს და ხელახლა ჩემი გაროზგვა ბრძანოსო.

- ღვინო თუ გამათბობს-კბილების კაწკაწით ამბობდა იგი, – მაშინ თუნდა დიდ საბერძნეთშიაც შევიძლებდი წამოსვლას.

ნელ-ნელა ღონე დაუბრუნდა. ვინიციუსი და ის ერთად გავიდნენ. გზა გრძელი იყო, – ლინი, როგორც ქრისტიანების მეტი წილი, ტიბრს გაღმა

ცხოვრობდა, მარიამის სახლს ახლოს. ხილონმა ვინიციუსს პატარა, განცალკევებით მდგარი სახლი აჩვენა, კედლებით შემოზღუდული და მთლად ფათალოთი შებურდული, და უთხრა:

-აი აქ, ბატონო.

- კარგი, – უთხრა ვინიციუსმა, – ახლა წადი შენთვის, მაგრამ ჯერ მომისმინე, რასაც გეტყვი: დაივიწყე, რომ მე მემსახურებოდი, დაივიწყე სად ცხოვრობენ მარიამი, პეტრე და გლავკოსი; ეს სახლიც დაივიწყე და ყველა ქრისტიანიც. ყოველ თვეს მოხვალ ჩემთან და აზატი დემასი ორ ოქროს მოგცემს ხოლმე. და თუ ამის შემდეგაც ქრისტიანებს უჯაშუშებ, ვუბრძანებ, იმდენი გირტყან, სიკვდილის პირს მიგიყვანონ, ან ქალაქის პრეფექტს გადაგცემ.

ხილონმა თავი დაუკრა და უთხრა:

- დავივიწყებ.

მაგრამ, როდესაც ვინიციუსი ქუჩის კუთხეს მიეფარა, ბერძენი მუშტებით დაემუქრა და დაიყვირა:

- ატესა და ფურიას ვფიცავ, არ დავივიწყებ!

და ისევ გული შეუღონდა.

თავი მეთერთმეტე

ვინიციუსი პირდაპირ მარიამის სახლისკენ წავიდა. ჭიშკართან ნაზარი შეხვდა. ყმაწვილი ახალგაზრა ტრიბუნის დანახვაზე აირია, მაგრამ ვინიციუსი ალერსიანა მიესალმა და უბრძანა, დედაშენთან მიმიყვანეო.

სალხში მარიამის გარდა იყვნენ: პეტრე, გლავკოსი, კრისპი და თვითონ თარსელი პავლე. ახალგაზრდა ტრიბუნის დანახვაზე ყველა იქ მყოფს სახეზე გაოცება დაეტყო. ვინიციუსმა უთხრა დამხვდურებს:

- მოგესალმებით ქრისტეს სახელით, რომელსაც ადიდებთ.

- იყოსმცა მისი სახელი დიდებულ უკუნითი უკუნისამდე!

- მე თქვენი სათნოება ვნახე; დავრწმუნდი, რომ გულკეთილები ხართ და მოველ თქვენთან, ვით მეგობარი.

- ჩვენც მეგობრულად მოგესალმებით, – მიუგო პეტრემ, – დაჯექ, ბატონო, და დაგვეწვიე, გაიზიარე ჩვენი ტრაპეზი.

- მე დავჯდები და თქვენს ტრაპეზს გავიზიარებ, მხოლოდ ჯერ მომისმინეთ, შენც, პეტრე და შენც, პავლე, რათა ჩემი სიწრფელე იცნო. ვიცი, ლიგია სადა ცხოვრობს. ახლა ვიყავი ლინის სახლთან და პირდაპირ აქ მოვედი.

მე ლიგიაზე უფლება მაქვს და ეს უფება კეისარმა მიბოძა; ქალაქში თითქმის ხუთასი მონა მყავს, შემეძლო ლიგიას ბინისთვის ალყა შემომერტყა და წამეყვანა, მაგრამ ეს არა ვქენ და არც ვიზამ.

- მაგისთვის გაკურთხოს უფალმა და განგიწმინდოს გული შენი, – უთხრა პეტრემ.

- გმადლობთ, მაგრამ ჯერ მომისმინეთ: ეს არა ვქენ, თუმცა ვიტანჯები, სევდა მღრღნის. ადრე, სანამ თქვენთან მოვხვდებოდი, უეჭველად ძალით წავიყვანდი ლიგიას, მაგრამ თქვენმა სათნოებამ და თქვენმა რჯულმა, – თუმცა მე მას არ ვაღიარებ, – სული როგორღაც შემიცვალეს, ამიტომ ძალადობას აღარ მივმართავ. მეც არ ვიცი, რატომ მოხდა ეს, მაგრამ ასე კია. და აი, მოველ თქვენთან, რადგან ლიგიას დედ-მამის ალაგი თქვენ გიჭირავთ. გევედრებით: მომეცით ცოლად, ფიცით გეუბნებით, არათუ დავუშლი ქრისტეს თაყვანისცემას, თვითონაც თქვენი რჯულის შესწავლას შევუდგები.

აღელვებული ვინიციუსი თავაწეული ლაპარაკობდა, მკაფიო ხმით. ფეხები წამოსასხამის ქვეშ უთრთოდა, ხოლო როდესაც იმის სიტყვების შემდეგ სიჩუმე ჩამოვარდა, საჩქაროდ განაგრძო, თითქოს უნდოდა უსიამოვნო პასუხი აიცდინოსო.

- ვიცი, რომ დაბრკოლება ბევრია, მაგრამ იგი თვალისჩინივით მიყვარს და თუმცა ჯერ ქრისტიანი არა ვარ, არც თქვენი მტერი ვარ და არც ქრისტესი. მე მინდა თქვენთან გულწრფელი ვიყო, რომ მერწმუნოთ. ახლა საქმე ჩემს სიცოცხლეს ეხება, მაგრამ მაინც მართალს გეუბნებით. სხვას იქნება ეთქვა თქვენთვის: მომნათლეთო. მე კი გეუბნებით-გამანათლეთ-მეთქი! მწამს, რომ ქრისტე აღსდგა, იმიტომ, რომ ამას სიმართლის ერთგული ხალხი ამბობს, ისინი, ვისაც ქრისტე სიკვდილის შემდეგ უნახავს. ცოტათი ვიცი თქვენი რჯული, – ზოგი რამ თქვენგან და ლიგიასაგან გავიგე, ზოგი რამ თქვენმა საქციელმა მითხრა, მაინც გიმეორებთ, რაღაც შეიცვალა ჩემში. ადრე მაგრად მეჭირა ჩემი მსახურნი, ახლა კი არ შემიძლია. შებრალება არ ვიცოდი, ახლა ვიცი. განცხრომა მიყვარდა ახლა კი აგრიპას ტბიდან გამოვიქეცი, - ზიზღისაგან იქ სული შემეხუთა. უწინ ძალადობა მწამდა, ახლა იგი უარვყავ. ნადიმები შემძაგდა, შემძულდა ღვინო, სიმღერა, საკრავები და გვირგვინები. შემძაგდა კეისრის სასახლე, ტიტველი სხეულები და ყველა ბოროტება. როდესაც ვფიქრობ-ლიგია მთის თოვლივით სუფთაა, უფრო

ძლიერ მიყვარს, და როდესაც მახსენდება, რომ ასეთი ქრისტეს მოძღვრების გამო გახდა, მე თქვენი რჯულის სიყვარული მიჩნდება გულში და იმისკენ მივისწრაფი! მაგრამ მე იგი არ მესმის, არ ვიცი, შევიგნებ თუ ვერა, მის შეთვისებას შევიძლებ თუ ვერა, ჩემი ბუნება აიტანს მას თუ ვერა, ამიტომაც ეჭვითა და ტანჯვით ავსილი ბნელში დავდივარ, თითქოს დილეგში ვარო.

მის ლოყებს წითელი ფერი მოედო, უფრო ჩქარა დაიწყო ლაპარაკი, მღელვარებაც უფრო ეტყობოდა.

- ხომ ხედავთ! სიყვარული და წყვდიადი მტანჯავს. მე მითხრეს, თქვენი რჯული კრძალავს ცხოვრებას, ადამიანურ სიხარულს, ბედნიერებას, კანონს, წესრიგს, მთავრობას და რომის ბატონობას უდებს ბოლოს. მართალია? მითხრეს, რომ თქვენ უგუნურები ხართ. მითხარით, რა მოგაქვთ ამქვეყნად? განა სიყვარული ცოდვაა? განა სიხარულის განცდა ცოდვაა? ბედნიერების სურვილი ცოდვაა? ცხოვრების მტრები ხართ განა? განა საჭიროა ქრისტიანი გლახა იყოს? განა ლიგია უნდა უარვყო? როგორია თქვენი ჭეშმარიტება? თქვენი საქციელი და სიტყვა წმინდაა, როგორც გამჭვირვალი წყაროს წყალი, მაგრამ როგორი ფსკერი აქვს ამ წყაროს? ხედავთ, გულწრფელი ვარ. გარს ეჭვი შემომდგომია და გევედრებით, გამიფანტოთ. თუ თქვენ კარს იქით სინათლეა, გამიხვენით კარნი.

- ჩვენ სიყვარული მოგვაქვს, – უთხრა პეტრემ.

ხოლო ტარსელმა პავლემ დაუმატა:

- უსიყვარულოდ რომ ადამიანის და ანგელოზის ენით ლაპარაკობდე, მაინც სპილენძის ჟღარუნი იქნება ლაპარაკი შენი.

მოხუცი მოციქულის გული აათრთოლა ამ ტანჯულმა სულმა, გალიაში მომწყვდეული

ფრინველივით რომ მზისკენ და თავისუფლებისკენ მიისწრაფოდა. ხელები გაუწოდა ვინიციუსს და უთხრა:

- ვინც დააკაკუნებს კარზე, იმას გაეღება. მადლი უფლისა შენზედა და მაცხოვრის სახელით მიკურთხებიხარ შენც, სული შენიცა და შენი სიყვარულიც.

ვინიციუსი უიმისოდაც ცხარედ ლაპარაკობდა, ახლა ეს სიტყვები რა მოისმინა, პეტრესთან მიირბინა. აქ რაღაც არაჩვეულებრივი მოხდა: კვირიტების ჩამომავალმა, რომელიც არც თუ დიდი ხნის წინ უხცოელს ადამიანად

არა სთვლიდა, ხელი სტაცა ხელში მოხუც გალილეველს და მოწიწებით ეამბორა.

პეტრემ გაიხარა. მიხვდა, რომ თესლი კარგ ნიადაგზე დაეცა და რომ მის სათხეველში კვლავ ერთი სული გაება.

დამსწრენიც არა ნაკლებ იყვნენ გახარებულნი ღვთის მოციქულისადმი ამ უსიტყვო პატივისცემით და ერთი ხმით დაიძახეს:

- დიდება ცათა შინა ღმერთს!

დამშვიდებული ვინიციუსი ადგა და ლაპარაკი დაიწყო:

- მე ვხედავ, რომ თქვენთან ცხოვრება ბედნიერება, რადგან ჩემს თავს ბედნიერად ვთვლი. ვფიქრობ, სხვასაც ეგრევე ჩამაგონებთ. მაგრამ კიდევ გეტყვით, რომ ეს რომში არ მოხდება. კეისარი ანციუმში მიდის, მეც უნდა გავყვე, რაგან ბრძანება მივიღე. თქვენ იცით, ურჩობა თუ დავუწყე-ეს თავის სასიკვდილოდ გადადებას ნიშნავს, მაგრამ თუ თქვენი სიყვარული დავიმ-სახურე, წამომყევით და თქვენი ჭეშმარიტება მასწავლეთ. ბრბოში თვითონ ჩემზე ნაკლებ საფრთხეში იქნებით. შესაძლებლობა გექნებათ, თქვენი რჯუ-ლი კეისრის სასახლეშიაც იქადაგოთ. ამბობენ აქტეა ქრისტიანია, პრეტო-რიელებს შორისაც ბევრია ქრისტიანი. თვითონ მე ვნახე ჯარისკაცები, რომ შენ წინ, პეტრე, მუხლს იდრეკდნენ ნუმენტანის კართან. ანციუმში ვილა მაქვს, სადაც შევიკრიბებით ხოლმე, რათა ნერონის გვერდით თქვენი ქადა-გება მოვისმინო.გლავკოსს უთქვამს ჩემთვის - ერთი სულის მოსაპოვებ-ლად მზად ვართ, ქვეყნის კიდემდე ვიაროთო. ქმენით ჩემთვის ის, რაც იმათთვისაც ჩაგიდენიათ, ვისთვისაც იუდეადან მოხვედით, ნუ დაუტევებთ ჩემს სულს.

ქრისტიანებმა თათბირი გამართეს. უხაროდათ, ქრისტეს რჯულის გა-მარჯვება, იცოდნენ, რა მნიშვნელობა ექნებოდა ავგუსტიანისა და რომის ერთი უძველესი გვარეულობის ჩამომავლის ქრისტიანად მოქცევას. პეტრე იმჟამად მთელი სამწყსოს მწყემსი იყო, რომიდან წასვლა არ

შეეძლო. სამაგიეროდ, ტარსელი პავლე, იმას წინ რომ ანციუმში და ფრეგელაში იყო და აღმოსავლეთისკენ გამგზავრებას აპირებდა, რათა იქაური ეკლესიები ენახა და ისინი საღმრთო გულმოდგინებით გაეცხოვე-ლებინა, ახალგაზრდა პატრიცის ანციუმში გაყოლაზე დაეთანხმა. იქ მის-თვის ადვილი იყო საბერძნეთში წამსვლელი გემი ეშოვა.

თუმცა ვინიციუსი შეწუხდა, რომ პეტრე არ მიჰყვებოდა ანციუმში, მაინც მადლობა გაოუცხადა მოხუც მოციქულს და შემდეგ უკანასკნელი თხოვნით მიმართა:

- ლიგიას ბინა ვიცი, შემეძლო, მასთან წავსულიყავ და ჩვეულებისამებრ, მეკითხა, სურს თუ არა ცოლად გამომყვეს, თუ ქრისტიანი გავხდები. მაგრამ მე ვამჯობინებ, შენ გთხოვო, მოციქულო, ნება მომეც, ვნახო იგი, ან შენ წამიყვანე მასთან. არ ვიცი, რამდენ ხანს მომიხდება ანციუმში ყოფნა. ხომ იცით, რომ კეისრის ახლო მყოფი დარწმუნებული არაა, ხვალ რა მოელის. პეტრონიუსმაც მითხრა, რომ იქ საფრთხე აცილებული არ გექნებაო, ლიგია მაჩვენეთ, მისი ცქერით თვალები გამიძღეთ, შემაძლებინეთ, ვკითხო, დაივიწყა თუ არა ჩემგან მიყენებული ბოროტი, სურს თუ არა ჩემი ავლადიდება გაიზიაროს.

მოციქულმა პეტრემ გულკეთილად გაიღიმა და უთხრა:

-ვის შეუძლია სიხარული მოგაკლოს, ჩემო შვილო!

ვინიციუსი ისევ მივარდა მოციქულის ხელებს, არ შეეძლო, მადლობა არ გამოეცხადებინა. პეტრემ თავზე ხელი დაადო და უთხრა:

- კეისრისა ნუ გეშინია, ვინაიდან გეტყვი შენ: ერთი ღერი თმაც არ დაგვარდება თავიდან.

შემდეგ ლიგიას მოსაყვანად მარიამი გაგზავნა. უბრძანა, არ ეთქვა, ვინ იყო აქ, რათა ქალიც დიდად გაეხარებინა. ცოტა ხნის შემდეგ ბაღში ტვიათა შუა მარიამი გამოჩნდა. ლიგია მოჰყავდა.

ვინიციუსს უნდოდა მიგებებოდა, მაგრამ ძვირფასი არსების დამნახველმა იგრძნო, რომ ძალ-ღონე ეცლებოდა, ადგილიდან ვეღარ დაიძრა; გული უცემდა, სუნთქვა ეხუთებოდა, ასჯერ იმაზე მეტად იყო აღელვებული, ვიდრე მაშინ, როდესაც პირველად თავზე ზუზუნით გადაუარა პართელების ისარმა.

ლიგიას გუმანი არ ჰქონდა, აქ ვინ დახვდებოდა, ოთახში შეირბინა და ვინიციუსის დანახვაზე გაშეშებულივით შედგა. სახე გაუწითლდა და მაშინვე ყველას შეშინებული თვალი გადაავლო.

გარს კეთილი და მოყვარული ადამიანები ეხვივნენ. მოციქული პეტრე მიუახლოვდა და უთხრა:

- ლიგია, ისევ გიყვარს?

სიჩუმის წამი დადგა. ლიგიას ტუჩები აუთრთოლდა, თითქოს ბავშვია, რაღაც დანაშაული ჩაიდინა და ახლა ტირილს აპირებს, რაკი დანაშაულის აღიარება აუცილებელიაო.

- მიპასუხე, _-უთხრ მოციქულმა.

მაშინ პეტრეს მუხლებთან მორჩილად დაიჩოქა და გოდების ხმაზე წაიჩურჩულა:

- დიახ!

ვინიციუსმაც ლიგიას გვერდით მოიყარა მუხლი. პეტრემ ორივეს თავზე ხელები დაადო და წარმოთქვა:

- გიყვარდეთ ერთმანეთი სახელითა უფლისათა და მის სადიდებლად, რამეთუ თქვენი სიყვარული ცოდვა არ არის.

თავი მეთორმეტე

ბაღში გაისეირნეს. ვინიციუსმა მოკლედ, გულის სიტყვებით უამბო ლიგიას, რაც ახლახან მოციქულებს გაუმხილა. თავისი გულის შფოთვას ეუბნებოდა. იმ ცვლილებებზეც ჩამოუგდო სიტყვა, რაც მასში ხდებოდა. ბოლოს ის დაუსრულებელი ნაღვლიანობაც დაუხატა, რამაც მთელი მისი სიცოცხლე მოიცვა მას შემდეგ, რაც ლიგიამ მარიამის სახლი დატოვა. გამოუტყდა, რომ მისი დავიწყება უნდოდა, მაგრამ ვერ შეძლო; ის ჯვარი მოაგონა, ბზის ტოტებიდან შეკრული რომ დაუტოვა და ახლა ვაჟს ლარარიუმში ჰქონდა და შეუგნებლად პატივს სცემდა, ვით რაღაც ღვთაებრივ საგანს; თანდათან ნაღვლიანობა ემატებოდა, რადგან სიყვარულმა დასჯაბნა, რამაც მთელი მისი სული ავლუსის სახლშივე მოიცვა. სხვებისთვის ცხოვრების ძაფებს პარკნი ართავენ, იმისთვის კი მათი სიყვარული, ნაღველი და ჭმუნვა ართავდა. მას ლიგია ავლუსის სახლშიაც უყვარდა, პალატინზედაც, ოსტრანიუმშიც, სადაც ხედავდა, როგორ უსმენდა პეტრეს სიტყვას, მაშინაც უყვარდა, კროტონთან ერთად მის მოსატაცებლად რომ მოდიოდი, მაშინაც, როცა ავადმყოფს თავით უჯდა და მაშინაც, როცა მიატოვა ვაჟი. მოვიდა ხილონი, ლიგიას ბინა გააგებინა და მოტაცება ურჩია, მაგრამ მან ხილონის დასჯა ამჯობინა მოციქულთან წამოვიდა და სთხოვა, ჭეშმარიტებაც ესწავლებინა და ლიგიაც მიეცათ მისთვის. კურთხეულ იყოს ის წუთი, როდესაც ეს მოაფიქრდა, იმიტომ რომ ახლა ლიგია გვერდით უზის და აღარ გაექცევა, როგორც უკანასკნელად მარიამის სახლიდან გაექცა.

– ხომ მართალია?

– მე შენ არ გაგქცევივარ, – უთხრა ლიგიამ.

– მაშ რად მიმატოვე.

ლიგიამ მაღლა აიხედა, წუთით ვაჟს მიაპყრო თვალი, მერე შემკრთალი სახე დახარა და უთხრა:

– შენ იცი.

ვინიციუსი დიდი ბედნიერების გამო დაჩუმდა, მერე ხელახლა დაიწყო ლაპარაკი. უთხრა, თუ თანდათან თვალი როგორ ეხილებოდა, როგორ გაარჩია ლიგია ყველა რომაელი ქალისაგან. თუ ვისმე ჰგავს ლიგია, ისევ პომპონია გრეცინას. თუმცა ყველაფერი, რასაც გრძნობდა, ვერ აეხსნა. ქალის სახეს რაღაც განსხვავებული სულიერი სილამაზე მოეფინა, რაიც იქამდე არა ჰქონდა. ვინიციუსმა უთხრა, იმიტომ უფრო მიყვარხარ, რომ გამექეცი და ჩემი კერის სიწმინდედ მინდიხარო. ამან გაახარა ლიგია.

ვაჟმა ხელები დაუჭირა. ლაპარაკი აღარ შეეძლო, მხოლოდ აღტაცებით უცქეროდა მას, ვით

სიცოცხლეს, მოპოვებულ ბედნიერებას, მის სახელს იმეორებდა, თითქოს უნდოდა, დარწმუნებულიყო, რომ ლიგია იპოვა და ახლა გვერდით უდგას.

– ლიგია, ლიგია!

ბოლოს გამოკითხვა დაუწყო, შენს გულში რა ხდებოდაო; ლიგია გამოუტყდა, ავლუსის სახლშივე შემიყვარდი და შენ რომ პალატინიდან მამობილთან დაგებრუნებინე, იმას ჩემს სიყვარულს გამოუცხადებდი და შენზე გულს მოუბრუნებდიო.

– გეფიცები, – უთხრა ვინიციუსმა, – შენი ავლუსისაგან წამოყვანა ფიქრადაც არ მომსვლია. ოდესმე პეტრონიუსი გიამბობს, რომ მაშინვე ვეუბნებოდი, მიყვარს და მისი ცოლად შერთვა მინდა-მეთქი. მაგრამ მასხარად ამიგდო და კეისარს ჩააგონა, ვითომ მინდოდა, ხასად დამესვი და სთხოვა, შენი თავი ჩემთვის მოეცა. მწუხარების ჟამს რამდენჯერ შემიჩვენებია იგი, მაგრამ იქნება ბედნიერ წერას ასე სურდა და სხვა გზით ქრისტიანებს ვერ გავიცნობდი და შენც სრულიად ვერ დაგაფასებდი.

– დამიჯერე, მარკუს, – უპასუხა ლიგიამ, – ქრისტეს სურს შენი მოქცევა.

ვინიციუსს გაუკვირდა და თავი მაღლა აიღო.

– მართალია, – თქვა მან, – ყველაფერი რაღაც უცნაურად დაეწყო. შენს ძებნაში ქრისტიანები გავიცანი. ოსტრანიუმში მოციქულს გაკვირვებული ვუსმენდი, იმიტომ, რომ ისეთი სიტყვა ჩემს დღეში არ გამიგონია. ლოცულობდი მაშინ ჩემთვის?

– ჰო, – უპასუხა ლიგიამ.

ფათალოთი დაფარულ ფანჩატურს ჩაუარეს და იმ ადგილს მიუახლოვდნენ, სადაც ურსუსმა კროტონი დაახრჩო და ვინიციუსს მივარდა.

– აქ, – უთხრა ყმაწვილმა კაცმა, – შენ რომ არ ყოფილიყავი, დავიღუპებოდი.

– მაგას ნუ მოიგონებ, – მიუგო ლიგიამ, – ურსუსის ბრალი არ იყო.

– განა შემიძლია სამაგიერო გადავუხადო, იმიტომ რომ შენ გესარჩლებოდა? ის რომ მონა ყოფილიყო, უმალვე გავანთავისუფლებდი.

- ის რომ მონა ყოფილიყო, ავლუსი დიდი ხანია გააზატებდა.

– გახსოვს, მე რომ მინდოდა ავლუსისთვის დამებრუნებინა? შენ კი მიპასუხე, შეიძლება კეისარმა

გაიგოს და ავლუსზე შური იძიოსო. გამიგონე, ახლა შეგიძლია ავლუსი, როცა მოგესურვება, მაშინ ინახულო ხოლმე.

– როგორ, მარკუს?

– მე ვამბობ, „ახლაო“ და ვგულისხმობ, რომ შენ უშიშრად შეგიძლია ისინი ნახო ხოლმე, როდესაც ჩემი შეიქნები, დიახ!.. თუ კეისარმა ეს გაიგო და მკითხა: მე რომ ხასად მოგეცი, რა უყავიო, ვეტყვი, ცოლად შევირთე და ავლუსთან ჩემი თანხმობით დადის-მეთქი. კეისარი ანციუმში დიდხანს ვერ გაძლებს, მიტომ რომ აქაიაში წასვლა უნდა, და თუნდა დიდხანსაც დარჩეს, მისი მუდამ დღე ნახვა არ დამჭირდება. როდესაც ტარსელი პავლე თქვენს რჯულს შემასწავლის, მაშინვე მოვინათლები, აქ დავბრუნდები და ვეცდები, ავლუსის გული მოვიგო. ავლუსის ოჯახი ამ დღეებში დაბრუნდება რომს. მაშინ დაბრკოლება აღარ იქნება რა და მეც ჩემს კერაზე დაგსვამ, ჩემო Carissima! Carissima!

ვინიციუსმა ხელები აღახვნა, თითქოს ზეცას იწვევსო მოწმედ, ხოლო ლიგიამ თავისი ნათელი თვალები მას მიაქცია და უთხრა:

– და მაშინ მე გეტყვი: სადაც შენ გაიუს, იქ მე გაია.

– არა, ლიგია, – შესძახა ვინიციუსმა, – გეფიცები, რომ ჯერ არასოდეს არც ერთი მანდილოსანი არ ყოფილა ქმრის სახლში ისე პატივცემული, როგორც შენ იქნები.

უხმოდ მიდიოდნენ, მთლად ბედნიერებით მოცულნი. ორივენი ღმერთებსა ჰგავდნენ და ისეთი მშვენიერნი იყვნენ, თითქოს გაზაფხულს ყვავილებთან ერთად გაეჩინა ისინი. ბოლოს კვიპაროსის ქვეშ შეჩერდნენ, სახლის შესავალთან რომ იდგა. ლიგია ვინიციუსის მკერდს მიეყრდნო. ვაჟმა ათრთოლებული ხმით სთხოვა:

– უბრძანე ურსუსს, ავლუსთან წავიდეს, შენი ნივთები და საბავშვო სათამაშოები მოკრიფოს და სახლში მომიტანოს.

ლიგიას ვარდისა თუ დილის ცისკრის ფერი დაედო და უპასუხა:

– ჩვეულება სხვაგვარ ბრძანებს.

– ვიცი. ჩვეულებრივ ნივთები პრონუბას მოაქვს სასძლოს შემდეგ, მაგრამ შენ ეს დამითმე. ანციუმში თან წავიღებ და შენს მოსაგონებლად მექნება.

ხელები დაიკრიფა და ლიგიას პატარა ბავშვივით შეევედრა:

– ამ დღეებში პომპონია დაბრუნდება, გთხოვ, diva, დამითმე შენი ნივთები.

– დაე, პომპონიამ გააკეთოს, როგორც უნდა, – უპასუხა ლიგიამ და პრონუბას გახსენებაზე სახე უფრო გაუწითლდა.

ისევ დაჩუმდნენ. ლიგია კვიპაროსს ზურგით იყო მიყრდნობილი, თვალები ძირს დაეხარა და მკერდი უთრთოდა. ვინიციუსს სახე ეცვლებოდა: ხან წითლებოდა, ხან ფითრდებოდა. შუა დღის სიჩუმე იდგა და ესმოდათ, გულები როგორ უცემდათ. მათს ნეტარებაში კვიპაროსი, ტვიის ბუჩქები და ფანჩატურზე ჩაწმახნილი ფათალო რაღაც სიყვარულის ბაღად მოჩანდა.

მარიამი გამოვიდა და სასაუზმოდ იხმო. ვინიციუსი და ლიგია მოციქულებთან დასხდნენ, ხოლო ისინი სიხარულით უცქერდნენ მათ, ეს იყო ახალგაზრდა თაობა, რომელსაც მათი სიკვდილის შემდეგ უნდა დაეცვა ახალი რჯული და მისი თესლის თესვა განეგრძო. პეტრემ პური გატეხა და აკურთხა; სახეზე ყველას დამშვიდება ეტყობოდა და თითქოს იმ ოთახს რაღაც ბედნიერება ავსებდა.

– აბა, შემოგვხედე, – თქვა ვინიციუსისაკენ მიბრუნებულმა პავლემ, – განა ჩვენ სიცოცხლისა და სიხარულის მტრებს ვგავართ?

– ახლა ვიცი, იმიტომ რომ ჯერ არასოდეს ასე ბედნიერი არა ვყოფილ-ვარ, როგორც თქვენთანა ვარ.

თავი მეცამეტე

იმავე დღეს საღამოზე შინისკენ ფორუმის გზით მიმავალმა ვინიციუსმა Vicus Tuscus-ის კუთხეში პეტრონიუსის მოვარაყებული ტახტრევანი შეამ-ჩნია, ხელის დაქნევით შეაყენა და მის ფარდებთან მივიდა.

– გაამოს ძილი, – სიცილით თქვა, ტახტრევანში რომ მძინარე პეტრო-ნიუსი დაინახა.

– შენა ხარ?-უთხრა პეტრონიუსმა, – ჩამთვლიმა, რადგან ღამე პალა-ტინზე გავატარე. წამოველ, ანციუმში წასაკითხად მინდოდა რამე მეყიდნა. ახალი ამბავი რა არის?

– წიგნების დუქნებში დადიხარ?-ჰკითხრა ვინიციუსმა.

– ჰო, არ მინდა ჩემს წიგნთსაცავში არეულობა შევიტანო, ამიტომ საგ-ზაო წიგნებს ცალკე ვყიდულობ ხოლმე.

– რაკი პალატინზე ყოფილხარ, მაშ მეც გკითხავ, ახალი რა ისმის? ან იცი რა, ტახტრევანი წიგნებით შინ გაგზავნე და ჩემთან წავიდეთ. ანციუმზე მოვილაპარაკოთ და სხვა რამეზედაც.

– კეთილი, – უპასუხა პეტრონიუსმა და ტახტრევანიდან გადმოვიდა.-უეჭ-ველია, იცი, რომ ხვალზევით ანციუმში მივდივართ.

– საიდან მეცოდინება?

– ქვევრში ხომ არ ზიხარ? მაშ ამ ახალ ამბავს პირველად მე გატყობი-ნებ? ჰოდა, მზად იყავ, ზეგ დილით მივდივართ. ზეითუნის ზეთზე დაყენე-ბულმა ცერცვმა ვერ უშველა, მსხვილ კისერზე შემოხვეულმა მანდილმაც ვერაფერი გააწყო, ჟღალწვერას ხმა მაინც ჩაეხრინწა. ამიტომ გამგზავრე-ბის გადადებაზე ფიქრიც არ შეიძლება. სწყევლის რომსა და აქაურ ჰავას, დიდი სიამოვნებით მიწასთან გაასწორებდა ან ცეცხლს წაუკიდებდა ქა-ლაქს. იმისთვის ზღვა არის საჩქაროდ საჭირო. ამბობს, ქარს რომ ვიწრო ქუჩებიდან სიმყრალე მოაქვს, ლამის საფლავი გამითხაროსო. დღეს ყველა ტაძარში მსხვერპლი შესწირეს, რომ ხმა დაუბრუნდეს. და ვაი რომს და უფ-რო კი სენატს, თუ ჩქარა არ მომჯობინდა.

– თუ ეგრეა, ანციუმში წასვლა რაღა საჭიროა?

– მერე განა ჩვენი ღვთაებრივი კეისარი მარტო ამ ერთი ნიჭით არის დაჯილდოებული?-სიცილით უპასუხა პეტრონიუსმა, – ოლიმპიურ თამაშებში ტროას ხანძრით გამოვიდოდა ვითა პოეტი, ვითა

მეეტლე, მემუსიკე, ვითა ფალავანი... მოცეკვავედაც გამოვიდოდა და გამარჯვებულთათვის დანიშნულ ყველა გვირგვინს თვითონ მოიხვევდა. იცი, იმ მაიმუნს ხმა რად ჩაეხრიწა? გუშინ მოიწადინა ცეკვაში ჩვენს პარისს დაჰგვანებოდა და ჩვენ წინ ლედას თავგადასავალი იცეკვა; გაოფლიანდა და გაცივდა. წამდაუწუმ ნიღაბებს იცვლიდა, ციბრუტივით ტრიალებდა, მთვრალივით ხელებს იქნევდა. იმისი გაბერილი ღიპი და ჩხირის მსგავსი ფეხები საზიზღარი სანახავი იყო. პარისი ორი კვირა ასწავლიდა, მაგრამ აბა, აჰენობარბუსი ლედად წარმოიდგინე. რა გედი იქნებოდა! მაინც ამ პანტომიმით საჯაროდ გამოსვლას აპირებს ჯერ ანციუმში და შემდეგ რომში.

– იმაზედაც უკმაყოფილონი იყვნენ, რომ საჯაროდ იმღერა, და ახლა მარტო ფიქრი, რომ რომის კეისარი საჯაროდ იცეკვებს... არა, ამას თვითონ რომიც ვერ აიტანს!

– ჩემო ძვირფასო, რომი ყველას აიტანს, სენატი კი მადლობას გამოუცხადებს „სამშობლოს მამას“.

ერთი წუთის შემდეგ დაუმატა:

– ბრბო კიდევ იმითი იამაყებს, რომ მისი კეისარი მასხარაა.

– ერთი მითხარ, მაგაზე მეტი არამზადობა იქნება?

პეტრონიუსი შეიშმუშნა.

– შენ შენთვის ცხოვრობ, შენს ლიგიაზე და ხანაც ქრისტიანებზე ფიქრით ხარ გართული და არ იცი, ამ ორი დღის წინ რა მოხდა. ნერონმა საჯაროდ პითაგორაზე ქორწინება იდღესასწაულა, იგი თავის ცოლად გამოაცხადა. მგონია, თვალსაჩინო უნდა იყოს, რომ უგუნურების საწყაო პირთამდე აივსო, და მერე, რა გგონია? მოწვეული ფლამინები მოვიდნენ და დიდი ზეიმით დააქორწინეს. მეც იქ ვიყავ. ბევრის ატანა შემიძლია, მაინც გამოგიტყდები, რომ გავიფიქრე: თუ ღმერთები მართლა არსებობენ, რაიმე ნიშანი უნდა ეჩვენებინათ. მაგრამ კეისარს ღმერთები არა სწამს და არცა ცდება.

– იგი თავად უზენაესი ქურუმიც არის, ღმერთიცა და ღმერთის უარმყოფელიც, – თქვა ვინიციუსმა.

პეტრნოიუსს გაეცინა.

– მართალია! მე ეგ თავში არ მომსვლია, მაგრამ ეგეთი შეზავება ჯერ ქვეყანას არ უნახავს.

მერე დაუმატა:

– ამასთან ის უზენაესი ქურუმია, რომელსაც ღმერთები არა სწამს და ის ღმერთი, თვითონვე რომ ღმერთებს დასცინის და მათი ისე ეშინია, როგორც უღმერთოს.

– ამისი დამამტკიცებელი საბუთი ის არის, რაც ვესტას ტაძარში მოხდა.

– რა ქვეყანაა!

– როგორიც ქვეყანაა, ისეთი კეისარი. მაგრამ ასე დიდხან ვერ გაგრძელდება.

ამასობაში სახლს მიადგნენ ვინიციუსმა მხიარულად უბრძანა მონებს, ვახშამი მოგვართვითო, მერე პეტრონიუსს მოუბრუნდა და უთხრა:

– არა, ჩემო ძვირფასო, ქვეყანა უნდა განახლდეს.

– ჩვენ მას ვერ გადავაკეთებთ, – უპასუხა პეტრონიუსმა, – თუნდა იმიტომაც, რომ ნერონის მეფობის დროს ადამიანი პეპელას დაემსგავსა, მზის წყალობით ცხოვრობს, ხოლო როგორც კი პირველი ცივი ქარი მობერავს, იღუპება... თუნდაც ეს არ უნდოდეს. მაიას ძეს ვფიცავ! ჩემი თავისთვის არა ერთხელ მიკითხავს, როგორ შეიძლო ლუციუს სატურნინმა ოთხმოცდაცამეტი წელიწადი

ეცოცხლა? ტიბერიუსიც ამოიჭამა, კალიგულაცა და კლავდიუსიც...მაგრამ ამაზე ლაპარაკი გვეყოფა. ნებას მომცემ, შენი ტახტრევანი გავგზავნო ევნიკას მოსაყვანად? არ მეძინება, მინდა ვიმხიარულო. უბრძანე, ვახშამზე მესაკრავე მოვიდეს, შემდეგ ანციუმზე ვილაპარაკოთ. ფიქრია საჭირო, მეტადრე შენთვის.

ვინიციუსმა უბრძანა, ევნიკას მოსაყვანად ტახტრევანი გაეგზავნათ და თანაც პეტრონიუსს უთხრა, ანციუმზე ფიქრისთვის არა მცხელაო. ამაზე იმათ იმტვრიონ თავი, ვისაც ცხოვრება არ შეუძლია, თუ კეისრის წყალობის სხივი არ მოხვდაო. პალატინზე როდი ჩამოწყვეტილა სალამი, მეტადრე იმათთვის, ვისაც სულსა და გულში რაღაცა სხვა აქვს.

ამას ისე დაუდევრად ამბობდა, ისეთი გაცხოველებით და ისე მხიარულად, რომ პეტრონიუსი გაოცდა, ვინიციუსს შეხედა და ჰკითხა:

– რა გემართება? შენ ახლა ისეთი ხარ, როგორიც მაშინ იყავ, როდესაც ყელზე ოქროს ბულას ატარებდი.

– მე ბედნიერი ვარ, – მიუგო ვინიციუსმა, – განგებ მოგიწვია, რომ შენთვის ეს მეთქვა.

– კარგი და რა მოგიხდა?

– ის მომიხდა, რაშიაც მთელი რომის იმპერიას არ მივცემდი.

დაჯდა, ნიდაყვები სავარძლის სახელურებს დააბჯინა, თავი ხელებზე დასდო და სახემოღიმარმა და თვალებგაბრწინებულმა დაიწყო:

– გახსოვს, მე და შენ ერთად ავლუს პლავციუსთან ვიყავით, შენ პირველად ნახე ის ღვთაებრივი ქალი, ვისაც თვითონ შენ დაარქვი დილის ცისკარი და გაზაფხული? გახსოვს ის ფსიქეა, ის უბადლო, ის ყველა ქალზე და თქვენს ღმერთქალზე უმშვენიერესი ასული?

პეტრონიუსმა ისეთი გაკვირვებით შეხედა მასპინძელს, თითქოს უნდოდა დარწმუნებულიყო-ხომ თავის ჭკუაზეაო ეს კაცი.

– რა ენაზე ლაპარაკობ?-უთხრა ბოლოს, – რასაკვირველია, მახსოვს ლიგია.

ხოლო ვინიციუსმა უთხრა:

– მე მისი საქმრო ვარ.

– რაო?

ვინიციუსი სავარძლიდან წამოხტა და დისპენსატორს დაუძახა:

– ყველა მონა აქ შემოვიდეს! მარდად!

– შენ იმისი საქმრო ხარ?-გაიმეორა პეტრონიუსმა.

მაგრამ ვიდრე გამოერკვეოდა, ვინიციუსის სახლის ფართო ატრიუმი ხალხით აივსო. ქაქანით შემორბოდნენ ბერიკაცები, ვაჟკაცები, დედაკაცები, ბიჭები და გოგოები. უფრო ემატებოდა ხალხი, ტალანებში, fauces-ში სხვადასხვა ენაზე ლაპარაკი ისმოდა. დასასრულ ყველა მონა კედლების გასწვრივ და სვეტებს შუა მოთავსდა. ვინიციუსი იმპლუვიუმთან მივიდა, აზატ დემასს მიუბრუნდა და უთხრა:

– ვინც ჩემს სახლში ოცი წელიწადი იმსახურა, ხვალ პრეტორთან გამოცხადდეს და იქ თავისუფლებას მიიღებს, დანარჩენებს სამ-სამ ოქროს ვაძლევ და ერთი კვირის განმავლობაში ორმაგ ულუფას. ქალაქგარეთა ერგასტულუმებში ბრძანება გაიგზავნოს, რომ ხალხი დასჯისაგან გაანთავისუფლონ, ფეხთაგან ბორკილები მოხსნან და როგორც რიგია, ისე დააპურონ. იცოდეთ, რომ ჩემთვის ბედნიერი დღე დადგა, მსურს, ჩემს სახლში სიხარული სუფევდეს.

ერთ წამს მონები ჩუმად იდგნენ, თითქოს ყურს არ უჯერიანო, შემდეგ ყველამ ხელი მაღლა ასწია და ერთბაშად შეჰყვირეს:

– ა-ა-ა! ბატონო! ა-ა-ა!..

ვინიციუსმა ყველანი დაითხოვა.

– ხვალ, – თქვა მან, – კიდევ ვუბრძანებ, ბაღში შეიკრიბონ და ქვიშაზე ვისაც რა უნდა, ის დახატონ. ვინც თევზს დახატავს, იმას ლიგია გაანთავისუფლებს.

პეტრონიუსს წესად არა ჰქონდა უზომო გაკვირვება, ამიტომაც დამშვიდდა და ვინიციუსს ჰკითხა:

– თევზიო? ჰოო! მახსოვს. ხილონმა თქვა, ქრისტიანების ნიშანიაო.

შემდეგ ვინიციუსისაკენ გაიწოდა ხელი და თქვა:

– ბედნიერება მუდამ იქ არის, სადაც მას ადამიანი ხედავს. დაე, ფლორამ რაც შეიძლება მეტი ყვავილი დაგიფინოთ ფეხქვეშ. მე შენ იმას გისურვებ, რაც შენთვის თვითნ შენ გსურს.

– გმადლობ. მეგონა, დამიშლიდი და ეს დროის ტყუილად დაკარგვა იქნებოდა.

– მე დაგიშლიდი? არაოდეს! პირიქით, მე გეტყვი, რომ სწორად იქცევი.

– შე მოღალატევ!-მხიარულად მიუგო ვინიციუსმა, – განა დაგავიწყდა, რას მეუბნებოდი, როდესაც გრეცინას სახლიდან გამოვედით?

პეტრონიუსმა გულგრილად უპასუხა:

– არა, მაგრამ ახლა სხვა აზრს დავადექი.

ერთი წუთის შემდეგ დასძინა:

– ჩემო კარგო, რომში ყველაფერი იცვლება. ქმრები ცოლებს იცვლიან, ცოლები ქმრებს იცვლიან, მაშ, აზრი რატომ არ უნდა შემეცვალა? ცოტას გაწყდა, ნერონმა აქტეა არ შეირთო ცოლად, ეს რომ მომხდარიყო, აქტეას მეფის სისცლს ჩაუდგამდნენ. რა ურიგო იქნებოდა? იმას კარგი ცოლი ეყოლებოდა, ხოლო ჩვენ - კარგი ავგუსტა. პროტევსსა და მის ზღვის მორევებს ვფიცავ! მე ყოველთვის შევიცვლი აზრს, თუ ეს საჭიროა, ან ჩემთვის სახერხოდ ვცნობ. რაიც ლიგიას შეეხება,

მისი მეფური ჩამომავლობა უფრო ნამდვილია. ვიდრე აქტეას პერგამელი წინაპარნი. მაგრამ ანციუმში პოპეას გაუფრთხილდი, შურისგება იცის.

– ფიქრადაც არა მაქვს! ანციუმში თავიდან თმის ერთი ღერიც არ ჩამომმვარდება.

– თუ გგონია, ერთხელ კიდევ მნახავ, ცდები. მაინც ვინ დაგარწმუნა ეგ-რე?

– მოციქულმა პეტრემ მითხრა.

– ჰოო! ეგ მოციქულმა პეტრემ გითხრა? მაგას ვინ დაუდგება წინ? მაინც ნება მომეცი, ზოგი რამ გასაფრთხილებელი ღონისძიება მივიღო, თუნდა იმიტომ, რომ პეტრე ცრუ წინასწარმეტყველი არ გამოვიდეს. თუ ვინიცობაა მოციქული შემთხვევით შეცდა, შეიძლება შენი ნდობა დაკარგოს, შენი ნდობა კი პეტრეს კვლავაც დასჭირდება.

– რაც გინდა, ის ჰქენი. მე იმას ვერწმუნები. შენც ცდები, თუ ფიქრობ, რომ მისი სახელის აბუჩად აგდებით ჩემს თვალში დაამცირებ.

– ერთი კითხვა კიდევ: შენ უკვე ქრისტიანი ხარ?

– ჯერ არა, მაგრამ ტარსელი პავლე მომდევს, რომ ქრისტეს რჯული ამიხსნას, შემდეგ მოვინათლები. შენ ამბობდი, ისინი ცხოვრების მტრები არიანო. ეგ ტყუილია.

– მით უკეთესი შენთვისაც და ლიგიასთვისაც, – მიუგო პეტრონიუსმა.

მხრები შეიშმუშნა და თითქოს თავისთვის წაილაპარაკა:

– საკვირველია, რარიგად იზიდავს ქრისტიანობა მიმდევრებს და რო-გორ სწრაფად ვრცელდება ეს სექტა!

ვინიციუსმა ისე ცხარად უპასუხა, თითქოს უკვე მონათლულიც იყო.

– დიახ, ათასობით და ათიათასობით ქრისტიანი ცხოვრობს რომში, იტა-ლიაში, საბერძნეთსა და აზიაშიც. ქრისტიანები ლეგიონებშიაც არიან, პრე-ტორიელთა შორისაც და თვით კეისრის სასახლეშიაც; ამ რჯულს მონებიცა და მოქალაქენიც აღიარებენ, ღარიბებიც და მდიდრებიც, პლებეებიცა და პატრიციებიც. იცი თუ არა, რომ კორნელიუსები ქრისტიანები არიან, რომ პომპონია გრეცინა ქრისტიანია და მგონია, ოქტავიაც ქრისტიანი იყო. დიახ, ეს რჯული გარს ევლება ქვეყანას და მისი განახლებაც მხოლოდ ამ რჯულს შეუძლია. მხრებს ნუ იწურავ, ვინ იცის, იქნებ ერთი თვის შემდეგ ან ერთი წლის შემდეგ თვითონ შენც შეუერთდე იმ რჯულს.

-მე?-შეეკითხა პეტრონიუსი, – ლეტას ძეს ვფიცავ, მე იმას არ მივიღებ თუნდაც მასში იყოს სიმართლე და სიბრძნე, არათუ ადამიანური, ღვთაებ-რივიც კი. ეგ დიდ ძალდატანებას მოითხოვდა. მე კი თავის შეწუხება არ მიყ-ვარს.. ეგ უარყოფას მოითხოვდა. მე კი ჩემს სიცოცხლეში რაზედმე უარის

თქმა არ მიყვარს. ეგ შენ, ცეცხლისა და მდუღარის მსგავს ადამიანს, შეიძლება დამართოდა, მე კი ჩემი გემები, ჩემი კამეები, ჩემი ლარნაკები მაქვს და ევნიკა მყავს. ოლიმპოსი არა მწამს, მაგრამ მას ამქვეყნად ვაშენებ და ვინეტარებ. ვიდრე ღვთაებრივი მოისარი არ გამგირავს ან ვიდრე კეისარი ძარღვების გახსნას არ მიბრძანებს. მე მეტისმეტად მიყვარს იის სურნელი და მოხერხებული ტრიკლინიუმი. მე ჩვენი ღმერთებიც კი მიყვარან... ვითარცა მჭერმეტყველება და აქაია, სადაც მივყვები ჩვენს ჩასუქებულ, ფეხწვრილა, შეუდარებელ და ღვთაებრივ კეისარს, ჰერკულესს, ნერონს!..

იმ წარმოდგენამ, რომ შეიძლებოდა გალილეველ მებადურთა რჯული მიეღო, პეტრონიუსი გაამხიარულა და დაბალი ხმით წაიღიღინა:

„ვითა ჰარმოდიოს და არისტოგიტონი ჩემს მახვილს ტვიის ტოტებით დავიმშვენებ“, – მაგრამ მაშინვე შეწყვიტა, რადგან ნომენკლატორმა ევნიკას მოსვლა მოახსენა.

მაშინვე ვახშამი გამოიტანეს. ციტრისტის რამდენიმე სიმღერის შემდეგ ვინიციუსმა სტუმარს

ხილონის მისვლა უამბო. უთხრა, იმის მისვლამ პირდაპირ მოციქულებთან წასვლა ჩააგონა და რომ ეს ჩაგონება სწორედ მაშინ ეწვია, როდესაც ხილონს როზგავდნენ. პეტრონიუსს ხელახლა თვლემა მოერია, შუბლზე ხელი გადაისვა და თქვა:

– კარგი აზრი ყოფილა, თუ კარგ შედეგამდე მიეყვანე. მაგრამ რაც შეეხება ხილონს, მე ვუბრძანებდი, ოქროს მანეთები მიეცათ და თუ მისი გაროზგვა უბრძანე, უკეთესი იქნებოდა, ცემით მოეკლათ კიდეც. ვინ იცის, იქნებ ოდესმე მასაც სენატორებმაც თაყვანი სცენ, როგორც ჩვენს წაღების ძაფის გმირს - ვატინიუსს სცემენ თაყვანს. ღამე მშვიდობისა.

გვირგვინი მოიხსნა და ევნიკასთან ერთად სახლიდან გამოვიდა. ვინიციუსი კი წიგნთსაცავში შევიდა და ლიგიას ასეთი წერილი მისწერა:

„ მე მინდა, ღვთაებრივო, რომ ამ წერილმა, როდესაც შენს მშვენიერ თვალებს გაახელ, „დილა მშვიდობისა“ გითხრას. ამიტომ დღეს ვწერ, თუმცა ხვალ გნახავ. ზეგ კეისარი ანციუმში მიდის და მეც, ვაი რომ თან უნდა გავყვე. მე უკვე გითხარ, ურჩობა სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდება იქნებამეთქი, ახლა კი სიმამაცე არ მეყოფა, თავი სასიკვდილოდ გადავდო. თუ

შენ ეს არ გინდა, ერთი სიტყვა მომწერე, და დაე იქ პეტრონიუსმა მოიფიქროს, თავიდან საფრთხე როგორ ამარიდოს. დღეს, სიხარულის დღეს, ყველა მონა დავაჯილდოვე, ვინც ჩემს სახლში ოცი წელიწადი

მსახურობდა. იმათ ხვალ პრეტორთან წავიყვან და გავააზატებ. შენ, ძვირფასო, უნდა მომიწონო ეს: ეს იმ გულსათნო რჯულს ეთანხმება, რომელსაც შენ აღიარებ და მეც შენთვის ჩავიდინე ეს. ხვალ იმათ ვეტყვი, რომ შენი სახელით ეძლევათ თავისუფლება, რომ შენი მადლობელი იყვნენ და შენს სახელს ადიდებდნენ, სამაგიეროდ, ჩემს თავს შენ და ბედნიერებას გაძლევთ მონად და განთავისუფლება არასოდეს მომესურვება. შეჩვენებულ იყოს ანციუმი და აჰენობარბუსის მოგზაურობა! სამგზის, ოთხგზის ბედნიერი ვარ, რომ პეტრონიუსივით ჭკვიანი არა ვარ, თორემ იქნება აქაიაში წასვლა მეც დამკისრებოდა. რაწამს თავდახსნის შეძლება მომეცემა, ცხენზე შევჯდები და რომში გავჩნდები, რომ ჩემი თვალები შენი ცქერით გავიძღო და ყურები-შენი ხმის სმენით. თუ თვითონ მე არ შემეძლება, მონას გამოვგზავნი შენთან. გესალმები, ღვთაებრივო, და ფეხებზე მოგეხვევი. ნუ გამიჯავრდები, რომ ღვთაებრივს გეძახი. თუ ნებას არ მომცემ, დაგემორჩილები, ახლა კი არ შემიძლია. სალამს გიგზავნი შენი მომავალი სახლიდან და სრული გულით მოგესალმები“.

თავი მეთოთხმეტე

რომში ყველას გაგებული ჰქონდა, რომ კეისარი გზად ოსტიის ნახვას აპირებს ან ნამდვილად რომ ვთქვათ, აპირებს, დაათვალიეროს ქვეყნიერებაზე უდიდესი გემი, რომელსაც ის იყო, ალექსანდრიიდან პური მოეტანა. შემდეგ ნაპირის გზით ანციუმში უნდა წასულიყო. ბრძანება რამდენიმე დღის წინ იყო მიცემული, ამიტომაც დილიდანვე Porta Ostiensis-თან ქალაქის მდაბიოთა და ყველა ერის შვილთაგან შემდგარი ბრბო შეყრილიყო, რათა კეისრის დიდებული გამგზავრებით დამტკბარიყო. რომის პლებსი ამისთანა სანახავის ცქერით ვერაოდეს ვერ ძღებოდა. ანციუმამდე გზა არც შორი იყო და არც ძნელი; თვითონ ქალაქში, სადაც მშვენიერი სასახლეები და ვილები იდგა, ყველაფრის შოვნა შეიძლებოდა, რაც კი საჭირო იყო არათუ მოხერხებული ცხოვრებისთვის, არამედ მედიდური ცხოვრებისთვისაც. ამის მიუხედავად, კეისარს ჩვეულება ჰქონდა, საგზაოდ, რაც კი რამ მოსწონდა ყვე-

ლაფერი თან წაეღო, სამუსიკო საკრავებიდან და საოჯახო ავეჯიდან მოყოლებული, ქანდაკებებითა და მოზაიკით დამთავრებული. ნივთები მაშინაც კი მიჰქონდა, როდესაც სულ მოკლე ხნით სადმე მიდიოდა. ამიტომაც სადმე წასვლის დროს მსახურების მთელი ჯარი მიჰყვებოდა, პრეტორიელების რაზმებსა და ავგუსტიანებს გარდა, რომელთაც აგრეთვე მონების მთელი ამალა მისდევდა ხოლმე.

ამ დღეს, დილაადრიან, კამპანიის მწყემსებმა, თხის ტყავით ფეხებშემოსილმა და მზემოკიდებულმა ქალაქის კარში ოთხასი ჭაკი სახედარი გაატარეს, რომ ანციუმში მისვლის მეორე დღეს პოპეას ჩვეულებრივ რძის აბაზანა მიეღო. ბრბო სიხარულითა და სიცილით უცქეროდა მტვრის ბუქში სახედრებისა და ჯორების ყურების ბარტყუნს. სახედრების გავლის შემდეგ გზაზე მონების გუნდები გამოვიდნენ, გზა ბეჯითად გასწმინდეს და ზედ ყვავილები და ხავსი დააფინეს. ბრბოში სიამაყით ამბობდნენ, მთელი გზა ანციუმამდე ყვავილებით იქნება მოფენილიო. დილიდანვე ხალხი უფრო და უფრო მატულობდა. ზოგი მთელი ოჯახობით მოდიოდა და რომ დრო ძალიან გრძლად არ სჩვენებოდათ, ცერერის ახალი ტაძრისთვის დამზადებულ ქვებზე თან მოტანილ შინაურ ფრინველს ალაგებდნენ და მოწმენდილ ცის ქვეშ ჭამდნენ prandium-ს კეისრის გამგზავრებასთან დაკავშირებით მის წარსულ მოგზაურობაზე ბაასობდნენ; მეზღვაურნი და ჯარისკაცყოფილნი სასწაულებს მოუთხრობდნენ იმ ქვეყნებზე, რომელთა ამბავიც თავიანთი ხეტიალის დროს გაეგონათ და სადაც რომს ჯერ ფეხი შეედგა. მოქალაქენი, ვისაც კი სიცოცხლეში ანციუმის გზის იქით ფეხი არ გადაედგა, გაკვირვებით ისმენდნენ ინდოეთისა და არაბეთის საკვირველებათა ამბებს, იგებდნენ, როგორია ბრიტანეთის გარს შემორტყმული არქიპელაგები, ჰიპერბორელთა ქვეყნები, როგორ სტვენენ და ღრიალებენ ოკეანის ტალღები, იმ დროს, როდესაც ჩამავალი მზე წყალში ეშვება. მდაბიო ხალხს ასეთი ამბები სჯეროდა. იგი ისეთებსაც კი სჯეროდა, როგორებიც პლინიუსი და ტაციტუსი იყვნენ. ლაპარაკობდნენ: გემს, რომლის ნახვას კეისარი აპირებდა, ორი წლის მარაგ პურს გარდა,

ოთხასი მგზავრი და მრავალი გარეული ნადირი მოჰყავსო. ამ ნადირებს ზაფხულის თამაშების დროს გამოიყენებენო. ყველას კეისრის ერთგულება აერთებდა, რადგან იგი არათუ მარტო აჭმევდა ხალხს, არამედ ართობდა კიდეც. ნერონს აღტაცებულ შეხვედრას უმზადებდნენ.

ამასობაში ნუმიდელ ცხენოსანთა რაზმი გამოჩნდა; ეს რაზმი პრეტორიელების ჯარში ირიცხებოდა. ნუმიდიელებს ყვითელი ტანისამოსი ეცვათ, წითელი ქამრები ერტყათ, ხოლო დიდრონი საყურეები ოქროსფერს აფენდნენ მათ შავ სახეზე. იმათი ბამბუკის შუბები მზეზე ელვარებდნენ. ხალხი ერთმანეთს აწვებოდა, რომ ყველაფერი ახლო დაენახა, მაგრამ ქვევით პრეტორიელების რაზმები მოვიდნენ, კარის ორივე მხარეზე დადგნენ და გზა ჩაკეტეს. ყველაზე წინ ეტლები გამოჩნდნენ. ამ ეტლებზე ეწყო სხვადასხვა ფერის კარვები: ძოწისფერი, წითელი, იისფერი და ოქრომკედის ძაფჩაქსოვილი თოვლივით თეთრი ბისის კარვები, აღმოსავლეთური ხალები და კვიპაროსის მაგიდები, მოზაიკის ნაჭრები და სამზარეულო დგამი; აღმოსავლეთის, სამხრეთისა და დასავლეთის ფრინველების გალიები, ღვინის ამფორებით, ბოსტნეულისა და ხილის კალათები. ის ნივთები, რომელთა ეტლით წაღება სახიფათო იყო, ქვევით მონებს მიჰქონდათ. რამდენსამე ას მონას მიჰქონდა სახლის ავეჯეულობა და კორინთოს ბრინჯაოს პატარა ქანდაკებანი, ეტრუსკული ლარნაკები, ბერძნული ლარნაკებისაგან გაცალკევებით, ოქრო-ვერცლის ჭურჭელი, ალექსანდრიული მინის ჭურჭელი. ყველა ამ გუნდებს მოქვეითე და ცხენოსანი პრეტორიელების პატარა რაზმები ერთმანეთისგან ჰყოფდნენ. მონების ყველა გუნდს

ხელმათრახიანი ზედამხედველები ადევდებდნენ თვალყურს; ამ მათრახებს ბოლოზე კალისა თუ რკინის ნაჭრები ჰქონდათ მიმაგრებული. ნივთების წამღები ხალხის მოწიწებული სვლა საზეიმო, სარწმუნოებრივ ლიტანიას მიემსგავსებოდა. და ეს მსგავსება უფრო ძლიერი შეიქნა, როდესაც კეისრისა და მისი სასახლის სამუსიკო საკრავები გამოჩნდნენ. ეს საკრავები იყო: ქნარები, ბერძნული, ებრაული და ეგვიპტური ფანდურები, ჩანგები, ფორმანგები, სტვირები და დაფდაფები. ადამიანი რომ ამ ზღვა საკრავებს, მზის სხივებზე ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს, ძვირფასი თვლებისა და სადაფისფრად მბრწყინავ საკრავებს შეხედავდა, ეგონებოდა, აპოლონსა თუ ბახუსს ქვეყნიერების შემოვლა განუზრახავსო. მერე მშვენიერი კარუკები გამოჩნდნენ ჯამბაზებით, მოცეკვავე ქალებითა და კაცებით. ესენი მშვენივრად იყვნენ შეხამებულნი და ხელში თირსოსები ეჭირათ. მათ უკან მონები მოსდევდნენ, სამსახურისთვის კი არა, დასატკბობად მიჩნეულნი: ბიჭები და გოგო-

ები, ბერძენნი და მცირე აზიიდან ჩამოყვანილნი, თმაგრძელნი და თმახუ-ჭუჭნი მშვენიერი სახისანი, რომელთაც კანზე ბლომად ესვათ კრემი, რათა კამპანიის ქარს მათი ნაზი კანი არ დაეწვა.

შემდეგ პრეტორიელების რაზმი გამოჩნდა. ესენი იყვნენ უზარმაზარი სიკამბრები, წვეროსნები, ზოგიც ქერები და ლურჯთვალებიანები. მათ წინ მედროშეებს, ეგრეთ წოდებულ imaginarum-ებს, რომის არწივები, სხვადასხვა წარწერებიანი დაფები, რომაული და ბერძნული ღმერთების პატარა ქანდაკებანი და კეისრის ხატება მოჰქონდათ. ამ სიკამბრებს ტყავსა და ჩაჩქანს ქვეშიდან ღონიერი

მზემოკიდებული ხელები უჩანდათ, თითქოს ამ ჯარის მძიმე შეიარაღების ტარება მარტო ამ ხელებს - ამ სამხედრო მანქანებს შეუძლიაო. მათი მწყობრი, მძიმე ნაბიჯისგან თითქოს დედამიწა ინძრეოდა; ხოლო ესენი, თავის ძალ-ღონეს მინდობილნი (იცოდნენ, რომ თუ საქმემ მოიტანა, შეეძლოთ ეს ძალ-ღონე თვითონ კეისრის წინააღმდეგ გამოეყენებინათ), ქუჩის მდაბიო ხალხს მძულვარებით უცქეროდნენ. უეჭველია, დავიწყებოდათ, რომ ამ ქალაქში თვითონაც ძონძებით შემოსილნი მოვიდნენ. მაგრამ ეს ჯარი ერთი მუჭა იყო. პრეტორიელების უმთავრესი ძალა ყაზარმებში იყო დატოვებული, რათა ქალაქის მშვიდობისათვის თვალყური ედევნათ და მოსახლეობის მორჩილება უზრუნველეყოთ. სიკამბრების უკან ნერონის ფოცხვერები და ლომები მოჰყავდათ, რათა, თუ ვინიცობაა კეისარს დიონისეს მიბაძვა მოეპრიანებოდა, ეტლში შეებათ. მხეცები ინდუსებსა და არაბებს მოჰყავდათ ფოლადის ჯაჭვებით, რომელნიც ყვავილებით ისე მჭიდროდ იყვნენ შემოსალტულნი, რომ შორიდან გირლანდებს ჰგავდნენ. გამოცდილ ბესტიარუსებს დაგეშილი მხეცები მწვანე, თითქოს დაბინდული თვალებით უცქეროდნენ. დროდადრო დიდრონ თავებს მაღლა ასწევდნენ, ადამიანის სხეულის ანაორთქლს ისუნთქავდნენ და უხეში ენით ტუჩებს ილოკავდნენ. შემდეგ გზაზე კეისრის ტახტრევნები და ეტლები გაიჭიმა, დიდები და პატარები, ოქროსი და ძოწისა, სპილოს ძვლით და მარგალიტით მორთულები და ძვირფასი თვლების ცეცხლით გაკაშკაშებულნი. მათ უკან პრეტორიელების რაზმი მოდიოდა, რომაულად შეიარაღებული, მხოლოდ იტალიელ მოხალისე ჯარისკაცთაგან შემდგარი, მერე კიდევ მორთულ მსახურთა ჯგუფი. ბოლოს მოემართებოდა თვითონ კეისარი - იმის მოახლოებას მაყურებელთ ხალხის ღრიალი ატყობინებდა.

ხალხში მოციქული პეტრეც იყო. მას უნდოდა, ერთხელ მაინც ენახა კეისარი. მოციქულს ახლდნენ სქელ მოსასხამებში გახვეული ლიგია და ურსუსი, რომლის ღონე ქალს უწესრიგო და თავგასულ ბრბოსაგან ყველაზე უკეთესად დაიცავდა. ლიგიელმა ტაძრის ასაშენებლად გამიზნული ერთ-ერთი ქვა აიღო და მოციქულს მიუტანა, რომ ზედ დამდგარიყო და ყველაფერი კარგად დაენახა. როცა ურსუსმა ხალხს ხელი ჰკრა და გზა ისე გაიკაფა, გაკიცხეს, მაგრამ ქვა რომ ასწია, რომელსაც ოთხი ღონიერი კაცი საძრაობას ვერ მისცემდა, კიცხვა ქებად შეიცვალა და გაისმა ყვირილი: „macte“. ამ დროს კეისარი გამოჩნდა. იგი ეტლში მარტო იჯდა; ეტლში ექვსი იდუმიელი ულაყი ება, ოქროს ნალებით დაჭედილი. ეტლი კარვის მოყვანილობისა იყო, კალთები აწეული ჰქონდა, რათა ხალხს კეისრის დანახვა ადვილად შეძლებოდა. ფერხთით ორი ჯუჯა ეჯდა. ტანზე თეთრი ტუნიკა ეცვა და ამეთვისტოსფერი ტოგა ჰქონდა წამოსხმული; თავზე დაფნის გვირგვინი ედგა, ნეაპოლში ყოფნის შემდეგ ძალიან გასუქებულიყო. პირისახე ავსებოდა, ღაბაბი დაჰკიდებოდა. ისედაც ხომ ცხვირთან ახლოს ჰქონდა ტუჩები. ახლა ღაბაბის გამო მთლად ნესტოებს ქვეშ მოქცეოდა. მსხვილ კისერზე განუშეორებული აბრეშუმის მანდილი ჰქონდა შემოხვეული და თეთრი მსხვილი ხელით წამდაუწუმ ისწორებდა. თითებზე ყვითელი თმა ჰქონდა სისხილფერი ლაქების მსგავსად. მის სახეს, როგორც მუდამ, ახლაც უზომო ზვიადობა ეწერა, მოქანცულობითა და მოწყენილობით შეზავებული. საზოგადოდ, სახე ერთსა და იმავე დროს საშინელიცა და სასაცილოც ჰქონდა. თავს აქეთ-იქით აქნევდა, თვალებს ხუჭავდა და მისალმებას ბეჯითად აყურადებდა. მას ტაშის გრიალით ეგებებოდნენ და უყვიროდნენ: „გაუმარჯოს

ღვთაებრივ კეისარს, გაუმარჯოს იმპერატორს! გაუმარჯოს ძლევამოსილს, გაუმარჯოს სწორუპოვარს! გაუმარჯოს აპოლონის ძეს, აპოლონს!“ ამ სიტყვებს რომ ისმენდა, ნერონი იღიმებოდა, მაგრამ ხანდახან სახე ეღრუბლებოდა-გაიხსენებდა, რომ თავისი სიმრავლის მოიმედე რომაული ბრბო დამცინავი იყო, ისეთ ტრიუმფატორებსაც არ ინდობდა და დასცინოდა, ვინც მართლა უყვარდა და პატივს სცემდა. ხომ ყველამ იცოდა, ოდესღაც რომ იულიუს კეისარი რომში დაბრუნდა, ყვირილი გაისმოდა: „მოქალაქენო, ცოლები დამალეთ, მელოტი გარყვნილი მოდისო!“ მაგრამ ნერო-

ნის უჟმური თავმოყვარეობა ერთ მახვილ სიტყვასაც ვერ იტანდა, მაინც ქე-ბა-დიდების ძახილთან ერთად ბრბოში გაისმოდა: „ჟღალ-წვერავ! სად მი-გაქვს შენი ცეცხლივით წითელი წვერი, ხომ არ გეშინია, რომი არ დაიწვას?“ ვინც ამას ყვიროდა, ვერ გრძნობდა, რომ ამ ხუმრობაში საშინელი წინას-წარმეტყველება იმალებოდა. მაინც ასეთი სიტყვები კეისარს ძალიანაც არ აჯავრებდა, მით უფრო, რომ წვერი უკვე მოეპარსა - დიდი ხანია, იგი ოქ-როს ყუთით კაპიტოლიუმის იუპიტერს მიართვა. მაგრამ ზოგი, ქვის გროვასა თუ ტაძრის კედლებს უკან მიფარებული, ყვიროდა: „Matricida! Nero! Orestes! Alcmaeon!“ „სად არის ოქტავია?“ „ძოწეული მოგვეცი!“ ხოლო მის უკან მომავალ პოპეას უყვიროდნენ: „Flava coma!“. ასე როსკიპ დედაკაცებს ეძახდნენ. ნერონის მუსიკალურ ყურს ესეც ესმოდა. თავის ზურმუხტს თვალ-თან მიიტანდა ხოლმე, თითქოს უნდოდა, ამას ვინ ყვირისო, დაენახა, სახე დაეხსომებინა. სწორედ ამ დროს მისი თვალი ქვაზე მდგარ მოციქულზე შე-ჩერდა. წუთით ეს ორი ადამიანი ერთმანეთს უქცეროდა და არც ბრწყინვა-ლე ამალიდან და არც ურიცხვი ბრბოდან არავის ფიქრად არ

გაუტარებია, რომ ახლა ერთმანეთს დედამიწის ორი მბრძანებელი უც-ქერის, რომელთაგანი ერთი ჩქარა გაქრება, ვით სისხლიერი სიზმარი, ხო-ლო მეორე-თეთრი ლაცერნით მოსილი მოხუცი, მთელ ამ ქალაქსა და მთელ ქვეყანას დაიპყრობს. კეისარმა ჩაიარა, ხოლო მას შემდეგ რვა აფ-რიკელმა დიდებული ტახტრევანი გაატარა. ამ ტახტრევანში ხალხისთვის საძულველი პოპეა იჯდა, ნერონივით ამეთვისტოსფერი ტუნიკა ეცვა, სახეზე სქლად საცხები ესვა, უძრავი, დაფიქრებული და გულგრილი, რაღაც ღვთა-ებას ჰგავდა, ერთსა და იმავე დროს მშვენიერსაც და ბოროტსაც. უკან მრა-ვალი მსახური მიჰყვებოდა, კაციცა და ქალიც, და ეტლების მთელი რიგი, ავგუსტას საპირისფარეშო ნივთებით დატვირთული. მზე საშუადღეოს კარ-გა გადამცდარი იყო, როდესაც ავგუსტიანები და ბრწყინვალე ამალა გამოჩ-ნდა. ზარმაცი პეტრონიუსი, რომელსაც ხალხი თანაგრძნობით მიესალმა, ღვთაების მსგავს მონა ქალთან ერთად ტახტრევნით მიჰყავდათ. ტიგელი-ნუსი კარუკით მოდიოდა, რომელშიაც პატარა ტანის, თეთრი და წითელი ბუმბულით მორთული ცხენები შეება. ყველა ხედავდა, როგორ წარმოდგე-ბოდა და კისერს წაიგრძელებდა ხოლმე, რა არის, დაენახა, კეისარი რო-დის მანიშნებს თავის ეტლში მიწვევასო. ბრბო ტაშით ესალმებოდა პისონს,

სიცილით ვიტელიუსს, სტვენით ვატინიუსს, ლიცინიუსსა და ლუკანუსს, კონსულებს გულგრილად შეხვდნენ, მაგრამ ტულიუს სენეციონი, კაცმა არ იცოდა რატომ, ხალხს უყვარდა. მასა და ვესტინიუსს ბრბოს ტაშისცემა ხვდა წილად. ამალა უთვალავი იყო. ადამიანს ეგონებოდა, ვინც კი რომში მდიდარი და ბრწყინვალე იყო, ყველა აყრილა და ანციუმში აპირებსო დასახლებას. ნერონი ისე არაოდეს არ დაადგებოდა გზას, რომ თან ათასი

ეტლი არ ხლებოდა, ხოლო მის თანამავალთა რიცხვი ლეგიონის ჯარისკაცების რიცხვს აღემატებოდა. ასახელებდნენ დომიციუს აფერს და მიხრწნილ ლუციუს სატურნინს, ვესპასიანეს, ჯერ რომ სალაშქროდ არ წასულიყო იუდეაში, საიდანაც იმისთვის უნდა დაბრუნებულიყო, რომ იმპერატორის გვირგვინი მიეღო, ასახელებდნენ იმის შვილებსაც, ახალგაზრდა ნერვასაც, ლუკანუსსაც, ანიუსს გალუსსაც, კვინტიანუსსაც და მრავალ მანდილოსანს, სიმდიდრით, სილამაზით, მედიდური ცხოვრებითა და გარყვნილებით ცნობილ ქალბატონებს. ამ მედიდურობისა და დიადობის ნიაღვარში ადამიანმა არ იცოდა, რისთვის ეცქირა; ეს ოქროსა და ძოწის ბრწყინვალება, ძვირფასი თვლების ლაპლაპი, სადაფისა და სპილოს ძვლის ელვარება მარტო თვალს კი არ სჭრიდა კაცს, გონებასაც უბნელებდა. თითქმის მზის სხივებიც კი დნებოდნენ ამ ბრწყინვალე ნიაღვარში და თუმცა ამ ბრბოში მშიერი და ღარიბი ცოტა არ იყო, მაინც ეს სანახავი აღაგზნებდა ბრბოს, არა მარტო შურს აგრძნობინებდა, არამედ გულს სიხარულით და სიამოვნებით უვსებდა, აჩვენებდა რომის ღონესა და შემძლეობას, რომლის წინაშე მთელი ქვეყანა ქედს იხრიდა. მართლაც, მთელ ქვეყანაზე არავინ იყო ისეთი, გაებედა, ეფიქრა, რომ ეს ძალა არ მოიჭამდა ყველა ხალხს და რომ ქვეყანაზე მას რაიმე შეერკინებოდა.

ვინიციუსი სულ უკან მოდიოდა. ლიგია რომ დაინახა, რაიც მისთვის მთლად მოულოდნელი იყო, ახალგაზრდა პატრიცი ეტლიდან გადმოხტა და მხიარული სახით გამოელაპარაკა ქალს. რაკი დრო ცოტა ჰქონდა, ჩქარა ლაპარაკობდა.

– შენც მოხველ? ოჰ, ლიგია! ზეცას როგორ დავუმადლო! ღმერთი უკეთეს ნიშანს ვერ მანიშნებდა. გემშვიდობები და გეთხოვები, მაგრამ დიდი ხნით არა. გზაზე პართულ ცხენებს დავაყენებ და ყველა თავისუფალ დღეს შენთან გავატარებ, მანამ მთლად წამოსვლის ნებას არ გამოვითხოვ, კარგად იყავ!

– კარგად იყავ, მარკუს, – მიუგო ლიგიამ და მერე დაბალი ხმით დაუმატა, – ქრისტემ დაგიცვას და განახვნას გული შენი პავლეს სიტყვის მისაღებად.

ვინიციუსს გაუხარდა, ლიგიას სურს, ჩქარა გავხდე ქრისტიანიო, და უპასუხა:

– Ocelle mi! იყოსმცა ეგრე, როგორც ამბობ. პავლემ ჩემს სახლეულთან ერთად მოისურვა წამოსვლა, მაინც ჩემთან იქნება ჩემი მასწავლებელი და ამხანაგი… რიდე აიწიე, ჩემო სიხარულო. გზას ვადგავარ და ერთხელ კიდევ დაგინახო... ეგრე რად ჩამოიბურდე?..

ლიგიამ რიდე აიხადა, თავისი ნათელი სახე და მშვენიერი მოცინარი თვალები დაანახა და უთხრა:

– ეს ცუდია განა?

მის ღიმილში ცოტაოდენი ბავშვური გამოწვევა იყო, მაგრამ ვინიციუსი აღტაცებით უცქეროდა და უპასუხა:

– ცუდი ჩემს თვალთათვის. ნეტამც სიკვდილამდე შენ ერთს გიცქერდე.

მერე ურსუსს მიუბრუნდა:

– ურსუს, თვალისჩინივით გაუფრთხილდი, შენი კი არა, ჩემი დომინაც არის.

ხელი გამოსტაცა ლიგიას და ტუჩებზე მიიკრა, ბრბოს ძალიან გაუკვირდა, რა პატივით ეპყრობაო ბრწყინვალე ავგუსტიანი მონის საფერად ჩაცმულ ქალს.

– კარგად იყავ!

ვინიციუსი სწრაფად განშორდა, რადგან კეისრის მთელი პროცესია ერთობ დაწინაურდა. მოციქულმა პეტრემ ახალგაზრდა პატრიცის შეუმჩნევლად ჯვარი გადასწერა, ხოლო კეთილმა ურსუსმა ვინიციუსს ქება დაუწყო, რაკი შეამჩნია, ლიგია ხარბად მისმენს და მადლობით შემომცქერისო.

პროცესია წინ მიდიოდა, მტვრის კორიანტელში დაიფარა. პეტრე და ლიგია კი ისევ მიმავალთა კვალს გასცქეროდნენ, ვიდრე დემასი არ მივიდა მათთან, ის მეწისქვილე, ვისთანაც ღამეობით ურსუსი მუშაობდა.

დემასი მოციქულს ხელზე ემთხვია და თავისთან მიიპატიჟა. მისი სახლი ემპორიუმიდან შორს არ იყო, ისინი კი დაღლილები იქნებოდნენ და მოშივდებოდათ კიდევ, რადგან ქალაქის კართან დღის მეტი წილი დაყვეს.

მოციქული პეტრე დათანხმდა და დემასის სახლში დაისვენა, მხოლოდ საღამოზე დაბრუნდნენ ტიბრის გაღმა. გზად პეტრე ავენტინუსის ბორცვის სიმაღლიდან დასქეროდა გარშემო სახლებს, შორს მდებარე შენობებს და ფიქრობდა, რა დიდი და რა უფლებამოსილია ეს ქალაქი, სადაც მე ღვთის სიტყვის საქადაგებლად მოვედიო. აქამდე მას რომის მპყრობელობა და რომის ლეგიონები სხვადასხვა ქალაქებში ენახა, მაგრამ ისინი იმ ძლიერების განცალკევებული ნაწილები იყვნენ, ხოლო მათი სრული ხატება აქ პირველად დაინახა კეისრის შემხედვარემ. ეს ქალაქი წრესგადასული, მტაცებლური და ხარბი, თავისი არაადამიანური ძალ-ღონის მოიმედე, ეს კეისარი, ძმის მკვლელი, დედის მკვლელი და ცოლი მკვლელი, რომელსაც უკან დღევანდელ ამალაზე გრძელი რიგი მიჰყვება სისხლიერ საქმეთა, ეს ბილწი და მასხარა და თან ოცდაათი ლეგიონის მბრძანებელი და ამ ძალი მეოხებით მთელი ქვეყნის მპყრობელი; ეს კარისკაცნი,

ოქროთი და ძოწით დაფარულნი, ხვალინდელი დღის არმოიმედენი და თან ბევრ და თან ბევრ მეფეზე მეტად შემძლებელნი-ყველა ეს ერთად აღებული რაღაც ჯოჯოხეთის სამეფოდ ეჩვენა პეტრეს, ბოროტებისა და უსამართლობის სამეფოდ. მარტივი გული გაუკვირდა, როგორ შეიძლებაო ასეთი ძლიერების სატანისთვის მიცემა. ამ ფიქრმა მოციქულს გული შეუშფოთა და პეტრემ სულის სიღრმიდან შესძახა: „უფალო, რის შემძლებელ ვარ, ამ ქალაქში რომ გამომგზავნე? ზღვა და ხმელი მას ეკუთვნის; მიწის ნადირიც მისია, წყლის ქმნილებანიც მისია, სხვა სახელმწიფონი და ლეგიონებიც. მე კი, უფალო, ტბის უბრალო მებადური ვარ! რას გავაკეთებ, ბოროტის ძლევას ვით შევიძლებ?“

ჭაღარა თავი კანკალით ცისკენ ასწია, ლოცულობდა და მწუხარებით შეღაღადებდა უზენაეს მოძღვარს.

ლიგიას ხმამ გააწყვეტინა ლოცვა.

– მთელი ქალაქი თითქოს ცეცხლშია გახვეული...

მართლაც, დღეს მზის ჩასვლა რაღაც არაჩვეულებრივი ჩანდა. მისი უზარმაზარი დისკო ნახევრად უკვე ჩასული იყო იანიკულუმის ბორცვს უკან, მაგრამ მთელი ცის ტატნობი წითლად შეიღება. ისინი

ისეთ ადგილზე იდგნენ, საიდანაც თვალი დიდ სივრცეს ხედავდა. ყველა კედელი, სვეტი და ტაძრების გუმბათები თითქოს ოქროსა და ძოწის ელვა-

რებაში იყვნენ ჩასვენებულნი. შორიდან რომ მდინარე მოჩანდა, მასში თითქოს სისხლი მიედინებოდა, რამდენადაც მზე ბორცვის იქით ჩადიოდა, სინათლე უფრო მუქდებოდა, უფრო ხანძრის შუქს ემსგავსებოდა, ძლიერდებოდა, ფართოვდებოდა და ბოლოს შვიდივე ბორცვს მოეფინა, ხოლო იქიდან თითქოს მთელი მიდამო წალეკა.

– მთელი ქალაქი თითქოს ცეცხლშია გახვეული, – გაიმეორა ლიგია.

ხოლო პეტრემ თვალები ხელით მოიჩრდილა და წარმოთქვა:

– რისხვა ღვთისა მოწეულა ამ ქალაქზე.

თავი მეთხუთმეტე

ვინიციუსი სწერდა ლიგიას:

„მონა ფლეგონი, ვისაც ამ წერილს ვატან, ქრისტიანია და იგი ერთი მათგანი იქნება, ვინც თავისუფლებას შენი ხელით მიიღებს, ჩემო კარგო. ეს ჩვენი ოჯახის ძველი მსახურია, შემიძლია უშიშრად მივენდო და დარწმუნებული ვიყო, რომ ჩემი წერილი სხვის ხელში არ ჩავარდება. ლავრენტუმიდან გწერ, სადაც დიდი სიცხის გამო შევდექით. ოდესღაც ეს მშვენიერი ვილა ოთონს ეკუთვნოდა, შემდეგ იმან პოპეას აჩუქა. ხოლო პოპეამ, თუმცა ქმარსაც გაეყარა, არჩია, ეს მშვენიერი საჩუქარი შეენახა. მე რომ ახლა ჩემ გარემო მყოფ ქალებზე და შენზე დავიწყებ ხოლმე ფიქრს, ასე მგონია, დევკალიონის ქვათაგან სხვადასხვა სულ განსხვავებული ხალხი წარმოიქმნამეთქი და შენ იმათ ეკუთვნი, ვინც კრისტალიდან არის გაჩენილი. მე შენის აღტაცებული ვარ, სულითა და გულით მიყვარხარ, ისე რომ მინდა, მარტო შენზე ვილაპარაკო. მაინც ჩემს თავს ძალა უნდა დავატანო და მოგზაურობის ამბები მოგწერო, ისიც უნდა შეგატყობინო, რა დღეში ვართ და კეისრის კარს ახალი რა ამბებია. მაშ ასე, კეისარი პოპეას სტუმარია, რომელმაც უჩუმრად მშვენიერი შეხვედრა მოუმზადა. ავგუსტიანნი ცოტანი მიიწვია, მე და პეტრონიუსმა მიწვევა მივიღეთ. პრანდიუმის შემდეგ ოქროთი მოვარაყებული ნავებით ზღვაში ვისეირნეთ, ზღვა ისეთი მშვიდი იყო, თითქოს სძინავსო, და ისეთი ლაჟვარდი, როგორიც შენი თვალებია, ღვთაებრივო!

ნიჩბებს თვითონ ჩვენ ვუსვამდით. უეჭველია, ავგუსტას ესიამოვნებოდა, რომ მას ყოფილი კონსულები და მათი შვილები ასეირნებდნენ. კეისარი ძოწის ტოგამოსხმული საჭესთან იდგა და ზღვის სადიდებელ ჰიმნს მღეროდა, რაიც წუხელ შეეთხზა და დიადორის დახმარებით მუსიკაც დაუწერა.

სხვა ნავებიდან ინდოელი მონები გვიწყობდნენ ხმას, – ზღვის ნიჟარებზე რომ იციან დაკვრა. გარშემო დელფინები გვეხვივნენ, თითქოს მართლაც ამფიტრიტეს სიღრმიდან მუსიკით იყვნენ გამოწვეულნი. მე კი... იცი, მე რას ვაკეთებდი? მე შენზე ვფიქრობდი, შენზე ვნაღვლობდი, მინდოდა ეს ზღვა ამეღო, ეს ნათელი დღე და ეს მუსიკა და ყველა შენთვის მომეცა. გინდა, რომს მოვშორდეთ და ზღვის ნაპირას დავსახლდეთ? სიცილიაში მამული მაქვს, სადაც ნუშის ტყე გაზაფხულზე წითლად ჰყვავის და ისე ახლოა ზღვასთან, რომ შტოების ბოლოები წყალს ეხებიან. იქ მეყვარები და ვადიდებ იმ რჯულს, რაც პავლემ მასწავლა, იმიტომ რომ უკვე ვიცი, იგი სიყვარულისა და ბედნიერებას არ ეწინააღმდეგება. არ გინდა?.. მაგრამ, ვიდრე შენს ბაგეთაგან პასუხს მოვისმენდე, გიამბობ, ნავში რა მოხდა. ნაპირს რომ დავშორდით, ჩვენ წინ იალქანი დავინახეთ. შევპაექრდით-ჩვეულებრივი მებადურის ნავი იყო, თუ ოსტიიდან მომავალი დიდი გემი? მე პირველმა გავარჩიე, და მაშინ ავგუსტამ მითხრა, შენს თვალს არაფერი დაემალებაო. მერე უცებ პირბადე ჩამოიფარა და მკითხა: ასე სახე შებურვილს თუ მიცნობდიო? პეტრნოისმა მაშინვე უპასუხა: ღრუბლებს შიგნით მზის დანახვაც კი არ შეიძლებაო. იმან კი სიცილით განაგრძო: ასეთი ჩუბინი თვალის დაბინდვა მარტო სიყვარულს თუ შეუძლიაო. ჩამოთვალა რამდენიმე ავგუსტიანი ქალის სახელი, გამოკითხვა დამიწყო, უნდოდა მიხვედრილიყო, ვინ მიყვარდა. მე

დამშვიდებით ვაძლევდი პასუხს, მაგრამ ბოლოს შენი სახელიც ახსენა. შენზე რომ ლაპარაკობდა, პირი ისევ აიხადა და ბოროტი, გამომცდელი თვალი მომაპყრო. პეტრონიუსის დიდი მადლობელი ვარ, უმალვე ნავი გვერდზე დახარა და ყველას ყურადღება მომაშორა, თორემ თუ რამ ბოროტი ან საწყენი სიტყვა გამეგონა შენზე, განრისხებას ვერ შევიკავებდი, ალბათ ძალიან მომინდებოდა ამ გარყვნილი და ბოროტი დედაკაცისათვის თავი ნიჩბით გამეხეთქა... გახსოვს, წამოსვლის წინა ღამეს ლინის სახლში აგრიპას ტბაზე მომხდარი შემთხვევა გიამბე? პეტრონიუსი ჩემ გამო შიშობს და აი, დღესაც მემუდარებოდა ავგუსტას თავმოყვარეობა არ შეულახოო. მაგრამ პეტრენოიუსს ჩემი აღარა გაეგება რა, არ იცის, რომ უშენოდ ჩემთვის არც სიამოვნებაა, არც სილამაზე, არც სიყვარული, ხოლო პოპეა მხოლოდ ზიზღსა და სიძულვილს მიღვიძებს. შენ ჩემი სული ისე განაახლე, რომ

რაც უნდა იყოს, ვეღარ შევძლებ უწინდელ ცხოვრებას დავუბრუნდე: შენ მაინც ნუ გეშინია, აქ არაფერი შემემთხვევა. პოპეას კი არ ვუყვარვარ, მას არავისი სიყვარული არ შეუძლია. წყალობის თვალით მიცქერის, რადგან კეისარზე განრისხებულია, კეისარი თუმცა ჯერაც იმის გავლენის ქვეშ იმყოფება, იქნება კიდეც უყვარს, მაინც ავგუსტას აღარ ინდობს. მის წინ ურცხვობასა და სისაძაგლეს აღარ მალავს. ბოლოს ერთ რასმესაც გეტყვი, რამაც უნდა დაგამშვიდოს: წამოსვლის წინ პეტრემ მითხრა, კეისრისა ნუ გეშინიაო, რადგან თავიდან ერთი ღერი თმაც არ დაგვარდებაო. მეც მას ვერწმუნები. ხმა გულისა მეუბნება, რომ მისი ყოველი სიტყვა უნდა აღსრულდეს, და რადგან ჩვენი სიყვარული დალოცა, მაშ ვერც კეისარი, ვერც ჰადესის ყველა ძალი, ვერც თვითონ განგება ვერ შეიძლებენ, შენი თავი წამართვან, ჩემო ლიგია! როცა

ამას ვფიქრობ, ბედნიერი ვარ, თითქოს მე ზეცა ვიყო, რაიც ერთადერთია ბედნიერი და დამშვიდებული. მაგრამ შენ, ქრისტიანს, იქნება გწყინს, რომ ზეცაზე და განგებაზე ვლაპარაკობ. მაშინ მომიტევე, იმიტომ რომ განუზრახველად ვცოდავ. ნათლობას ჯერ არ განვუწმენდივარ, და ჩემი გულიც ცარიელი თასია, რომელიც ტარსელმა პავლემ თქვენი მადლიანი რჯულით უნდა აღავსოს, ჩემთვის მით უფრო მადლიანით, რომ ის შენი რჯულია. ანციუმში დღედაღამ მოვუსმენ პავლეს; მან ჩვენი მგზავრობის პირველი დღიდანვე ისეთი გავლენა მოიპოვა ჩემს ხალხზე, რომ მუდამ გარს ეხვევიან და არა როგორც თავმატურგოსს უცქერიან, არამედ როგორც ზესთაბუნებრივ არსებას. მაგრამ, ლიგია, უკვე ვარსკვლავები გაფერმკრთალდნენ და დილის ლუციფერი უფრო და უფრო ენთება. ცისკარი ჩქარა შეაწითლებს ზღვას, გარშემო ყველას სძინავს, მარტო მე ვფიქრობ შენზე და მიყვარხარ. სალამს გითვლით მე და დილის ცისკარი, ჩემო სიცოცხლევ!“

თავი მეთექვსმეტე

ვინიციუსი ლიგიას:

„ახლდი როდისმე, ძვირფასო, ავლუსს ანციუმში? თუ არა, ბედნიერი ვიქნები, ანციუმი როდისმე გაჩვენო. ლავრენტუმიდან მოყოლებული, ნაპირ-ნაპირ, ერთი მეორეს მიყვებიან ვილები, ხოლო თვითონ ანციუმი სასახლეებისა და პორტიკების უბოლოო მწკრივია და მათი სვეტები წყალსში აღიბეჭდებიან. აქ მეცა მაქვს თავშესაფარი, ზედ ზღვაზე, ჩემი ვილას უკან

კვიპაროსისა და ზეთისხილის ტყეა, და როცა ფიქრად გამიელვებს, როდისმე ეს შენი შეიქმნება, მარმარილო უფრო თეთრი მეჩვენება, ბაღები უფრო ჩრდილუხვი, ზღვა უფრო ლაჟვარდი. ვაჰ, ლიგია, რა ტკბილია სიცოცხლე და სიყვარული. ჩემს მოხუც მოურავს მენიკლს ტვიებს ქვეშ ირისები დაურგავს. იმათ რომ ვუცქერი, ავლუსის სახლი მაგონდება, თქვენი იმპლუვიუმი და თქვენი ბაღი, სადაც მე შენ გვერდზე ვიჯექი. ეს ირისები მშობელთა სახლს მოგაგონებენ, ამიტომ დარწმუნებული ვარ, ანციუმსა და ამ ვილასაც შეიყვარებ. ჩამოსვლის უმალ პავლესთან დიდხანს ვმუსაიფობდი. შენზე ვლაპარაკობდით, მერე ჩემს დამოძღვრას შეუდგა, მე სმენად გადავიქეცი და მხოლოს ერთს გეტყვი, მე რომ ისეთი წერა ვიცოდე, როგორც პეტრონიუსმა იცის, მაინც ვერ შევიძლებდი ყველა ის გამომეხატა, რაც ამ დროს ჩემს სულსა და გულში ხდებოდა. არ მეგონა, რომ ქვეყანაზე შესაძლო იყო ისეთი ბედნიერება, მშვენიერება და სიმშვიდე, როგორიც ხალხმა

აქამდე არ იცოდა. მაგრამ ყველა ამას ვინახავ, ვიდრე შენთან ლაპარაკი შემეძლება, ვიდრე პირველსავე თავისუფალ წუთს რომს ჩამოვალ. ერთი მითხარ, ერთსა და იმავე დროს დედამიწა როგორ იფერებს ისეთ ხალხს, როგორებიც არიან პეტრე, პავლე და კეისარი? ამას იმიტომ გკითხავ, რომ პავლესთან საუბრის შემდეგ საღამო კეისართან გავატარე და იცი, იქ რა მოვისმინე? უპირველეს ყოვლისა, თვითონ წაგვიკითხა პოემა ტროას დანგრევაზე და წუწუნი წამოიწყო, ცეცხლმოკიდებული ქალაქი არასოდეს არ მინახავსო. პრიამოსისა შურს და მას ბედნიერ კაცად სთვლის მხოლოდ იმიტომ, რომ თავისი სამშობლო ქალაქის დაწვისა და დანგრევის ნახვა ეღირსა. ამაზე ტიგელინუსმა მოახსენა. „სიტყვა ბრძანე, ღვთაებრივო, ჩირაღდანს ავიღებ და ვიდრე გათენდება, ხანძარმოკიდებულ ანციუმს დაინახავ“. მაგრამ კეისარმა მას სულელი დაუძახა და უთხრა: „სადღა მივიდე ხოლმე ზღვის ჰაერის ჩასაყლაპად და ხმის მოსავლელად, რითაც ღმერთებმა დამაჯილდოვეს და მეც, როგორც ამბობენ, ხალხის ბედნიერებისთვის უნდა ვიზრუნო და ჩემს ხმას გავუფრთხილდე. განა რომ არ არის, რომ მწყენს, განა სუბურასა და ესკვილინუსის სიმყრალე არ მიჩენს ხრინწს, განა ცეცხლმოკიდებული რომ ასჯერ დიადი და ტრაგიკული სანახავი არ იქნება, ვიდრე ანციუმი“. მაშინ ყველამ წამოიწყო, თუ რარიგ არგაგონილი სანახავი იქნებოდა ფერფლის ზვინად გადაქცეული მთელი ქვეყნის დამპყრობი ქა-

ლაქი. კეისარმა განაცხადა, მაშინ ჩემი პოემა ჰომეროსის სიმღერებს გადააჭარბებდაო. შემდეგ ისა თქვეს, თუ ახლად როგორ ააშენებდა ქალაქს კეისარი და მომავალი საუკუნენი როგორ გაიკვირვებდნენ მის საქმეს, რომლის წინაშე ადამიანის ყველა ნახელავი დაიჩრდილებოდა. მთვრალი სტუმრები

მაშინვე აღრიალდნენ: „ეგრე უყავ! ეგრე უყავ!“ ხოლო კეისარმა უპასუხა: „ამისთვის უფრო სარწმუნო და ერთგული ხალხის ყოლაა საჭირო“. უნდა გამოგიტყდე, თავდაპირველად შევძრწუნდი, შემეშინდა, რომში ხომ შენ ცხოვრობ, carissima, ახლა კი თვითონ მე მეცინება და ვფიქრობ: თუმცა კეისარი და ავგუსტიანები უგუნურები არიან, მაინც ასეთ საქმეს ძნელად გაბედავენ. მაინც კი გეტყვი: მომესურვებოდა, ლინის სახლი ვიწრო ქუჩაში არა მდგარიყო, ქალაქის იმ უბანში არ ყოფილიყო, სადაც უცხონი მოსახლეობენ, და თუ ვინიცობაა ნაკლებ ყურადღებას მიაპყრობენ, ლიგია, ავლუსის სახლში გადასახლდი. ამაზე ბევრი ვიფიქრე, კეისარი აქ დიდხანს დარჩება და როცა დაბრუნდება, მაშინ მონებს შენი ამბავი უკვე მოყირჭებული ექნებათ. ლინსა და ურსუსს შეუძლიათ შენთან იცხოვრონ. მერე ისევ იმედი მაქვს, ვიდრე პალატინი კეისარს დაინახავს, შენ, ჩემო ღვთაებრივო, კარინზე საკუთარ სახლში იქნები. კურთხეულ იყვნენ დღე, საათი და წამი, როდესაც შენ ჩემი სახლის კარის დირეს გადააბიჯებ და თუ ქრისტე, რომლის რჯულსაც დავეწაფე, ამას იქმს, კურთხეულ იყოს სახელი მისი. მე მას მსახურად გავუხდები და სიცოცხლეს შევწირავ. ეგ მარჯვედ ვერა ვთქვი. ჩვენ ორნივ ვიქნებით მისი მსახურნი იქამდე, ვიდრე სიცოცხლის ძაფი არ გაგვიწყდება. მიყვარხარ და მთელი ჩემი სულითა და გულით მოგესალმები.“

თავი მეჩვიდმეტე

ურსუსი ცისტერდნიდან თოკზე მობმული ორმაგი ამფორით წყალს იღებდა, დაბალი ხმით უცნაურ ლიგიურ სიმღერას ღიღინებდა და მხიარული თვალებით ვინიციუსსა და ლიგიას უცქეროდა, ლინის ბაღში, კვიპაროსებს შუა რომ ორ თეთრ ქანდაკებასავით იდგნენ. ბაღში მოვარაყებული იისფერი ბინდი იდგა, ქალი და ვაჟი საღამოს სიმყუდროვეში ლაპარაკობდნენ.

– მარკუს, არაფერი შეგხვდება, რომ ნებადაურთველად წამოხველ ანციუმიდან?-ჰკითხავდა ლიგია.

– არა, ჩემო ძვირფასო, – მიუგო ვინიციუსმა, – კეისარმა გამოაცხადა, რომ ორი დღით ტერპნოსთან ერთად ჩაიკეტება ახალი სიმღერების შესათხზავად. ამას ხშირად სჩადის და იმ დროს სხვა არაფერზე არ ფიქრობს და სხვა არა ახსოვს რა. ან კი რაში მეპრიანება კეისარი, თუ შენთან ვარ და შენ მიცქერი? ძალიან დავნაღვლიანდი და ბოლო ხანს ძილიც კი გამიკრთა. ხანდახან დაღლილობისაგან დამეძინებოდა და მაშინვე გამეღვიძებოდა იმ აზრით, რომ შენ საფრთხე მოგელის, ან სიზმრად ვხედავდი, რომ გამოსაცვლელი ცხენები წამართვეს, რომლებითაც ანციუმიდან რომში უნდა მოვსულიყავ და ამ მანძილს ისე ჩქარა გამოვივლიდი, რომ იმპერატორის შიკრიკებსაც არ დასიზმრებიათ ასეთი სიჩქარე. კვლავ უშენოდ ყოფნას ვეღარ შევძლებ, ისე ძალიან მიყვარხარ, ჩემო ძვირფასო!

– ვიცოდი, რომ მოხვიდოდი. ურსუსმა ჩემი თხოვნით ორჯერ მიირბინა კარინზე, რომ იქ შენი ამბავი გაეგო. ლინი დამცინოდა, ურსუსიც.

ეტყობოდა, რომ ვაჟის მოლოდინი ჰქონდა, რადგან ჩვეულებრივი მუქი ტანისამოსის მაგიერ რბილი, თეთრი სტოლა ჩაეცვა, რომლის ლამაზი ნაკეცებიდან ლიგიას თავი და ტიტველი მკლავები ისე გამოიცქირებოდნენ, ვით თოვლიდან ყვავილები. თავი რამდენიმე ცისფერი ანემონით ჰქონდა მორთული.

ვინიციუსი მის ხელებს დაეკონა. უსურვაზის ქვეშ ქვის სკამზე დასხდნენ და დადუმებულნი ბინდბუნდს უცქეროდნენ, ამ ბინდის უკანასკნელი სინათლე მათ თვალებში გამოკრთოდა. წყნარი საღამოს მიმზიდველობა თანდათან იპყრობდა ქალ-ვაჟს.

– რა სიწყნარეა აქ, რა მშვენიერებაა!-ხმადადაბლებით თქვა ვინიციუსმა, – რა მშვენიერი ღამეა! ასეთი ბედნიერი ჩემს სიცოცხლეში არა ვყოფილვარ. მითხარ, ლიგია, რა არის ეს? ვერასოდეს ვერ წარმოვიდგენდი, რომ სიყვარული ასეთი იქნებოდა, ვფიქრობდი, სიყვარული მხოლოდ სისხლში ცეცხლის აღგზნება და ჟინი იყო. ახლა კი ვხედავ, რომ შეიძლება სისხლის ყოველი წვეთით და მთელი არსებით მიყვარდეს, თანაც ისეთ ტკბილსა და უბრალო დამშვიდებას ვგრძნობ, თითქოს ჩემი სული ნანინას თქმით არის მიძინებული. ჩემთვის ეს ახალია. მხოლოდ

ახლა მესმის, შენ და პომპონია გრეცინა რადა ხარს ასეთი ნათელნი. დიახ! ამ ნათელს ქრისტე განიჭებთ.

ლიგიამ თავი მხარზე დაადო და ხმადაბლა უთხრა:

– ჩემო მარკუს, ჩემო ძვირფასო!

მეტი ლაპარაკი არ შეეძლო. სიხარულმა, მადლობამ, იმ აზრმა, რომ ახლა ლიგიასაც შეეძლო ვაჟის სიყვარული, ხმა წაართვეს. ღელვისაგან თვალი ცრემლით მოენამა. ვინიციუსი მოეხვია, მკერდზე მიიკრა და უთხრა:

– ლიგია! კურთხეულ იყოს წუთი, როდესაც პირველად ქრისტეს სახელი გავიგონე.

ლიგიამ ჩუმად უპასუხა:

– მარკუს, მიყვარხარ...

კვიპაროსებზე უკანასკნელი დღის სინათლე ჩაკვდა, ცაზე მთვარის ნამგალი გამოჩნდა და ბაღს ვერცხლისფერი მოეფინა.

ვინიციუსი ისევ ალაპარაკდა:

– ვიცი... როგორც კი აქ შემოვედი და ხელზე გაკოცე, მაშინვე შენს თვალებში კითხვა ამოვიცან: შევიგნე თუ არა ღვთაებრივი რჯული, შენ რომ აღიარებ, და მომნათლეს თუ არა? არა. ჯერ მონათლული არა ვარ, მერე იცი, ჩემო სანატრელო, რატომ? პავლემ მითხრა: „მე შენ დაგარწმუნე, რომ ღმერთი ამქვეყნად მოვიდა და ჩვენი ხსნისათვის ჯვარს ეცვა, მაგრამ მადლის ცხოველ წყაროში პეტრემ გაგბანოს. იმან პირველმა დაგასხნა ხელნი და პირველმა დაგლოცა...“ ისიც მინდოდა, რომ შენ, ძვირფასო, ჩემი მონათვლა გენახა და ნათლიადაც პომპონია ყოფილიყო. ამიტომ არ მოვინათლე, თუმცა მაცხოვარი და მისი რჯული მწამს. პავლემ დამარწმუნა, მომაქცია, ან კი განა შეიძლებოდა სხვებრ მომხდარიყო? როგორ არ ვიწამებდი, რომ ქრისტე ქვეყნად მოვიდა, როდესაც ამას მისი მოწაფე პეტრე ამბობს და პავლეც, რომელსაც უფალი გამოეცხადა? როგორ არ ვიწამებდი, რომ იგი ღმერთი იყო, როდესაც მკვდრეთით აღსდგა? იგი ქალაქშიაც უნახავთ, ტბის ნაპირზედაც, მთაზედაც, იგი ისეთებს უნახავთ, ვის ბაგეს სიცრუე არ სცოდნია. მე მაშინვე მწამდა, მაგრამ თქვენი მოძღვრებისა მეშინოდა. მეგონა, შენს თავს წამართმევდა. მეგონა, მასში არც სიბრძნე იყო, არც სიმშვენიერე, არც ბედნიერება, ახლა კი, როდესაც შევიგნე, რა ადამიანი ვიქნებოდი, არ მდომებოდა ქვეყანაზე გამეფებულიყო სიმართლე და არა სიცრუე, სიყვარული და არა სიძულვილი, კეთილი და არა ძალადობა, ერთგულება და არა ღალატი, ლმობიერება და არა შურისძიება? ვინ იქნება, ეს არ ინატროს და არ ისურვოს? და

თქვენი მოძღვრებაც ხომ სწორედ ამას ქადაგებს. სხვა მოძღვრებასაც სიმართლე სურს, მაგრამ ადამიანის გული მარტო ქრისტიანებმა გადააქციეს სამართლიანად. ამას გარდა, ქრისტეს რჯული ისე სიწმინდეს ამკვიდრეს ადამიანთა გულში, როგორც შენი გულია ან პომპონიასი. ბრმა უნდა ვყოფილიყავ, ყველა ეს არ დამენახა და თუ ქრისტე ღმერთმა საუკუნო ცხოვრება აღგვითქვა, საუკუნო ნეტარება, რის მოცემაც ღვთის ყოვლადშემძლებლობას შეუძლია, რაღა უნდა ინატროს ადამიანმა მეტი? შენ ეს არის, ახლა მითხარ „მიყვარხარ“, ამ სიტყვას მთელი რომის ძალით ვერ გამოგგლეჯდი. ჰოი! ლიგია! გონება მეუბნება, რომ ეს მოძღვრება საუკეთესო ღვთაებრივია, გულიც ამას გრძნობს. რა დაუდგება წინ ამ ორ ძალას?

ლიგია ვინიციუსს უსმენდა, ლაჟვარდი თვალები მისთვის მიეპყრო, მთვარის სინათლეზე რომ ცვარმოფენილი ყვავილებივით ჩანდა.

– ჰო, მარკუს! მართალია!-თქვა ქალმა და ვაჟის მხარს თავი უფრო მაგრად მიაკრა.

ახლა ვინიციუსი თავს უზომოდ ბედნიერად გრძნობდა; ორთავეს ესმოდათ, რომ სიყვარულს გარდა მათ კიდევ რაღაც სხვა ძალა აერთებდა, ძალა მომხიბლავი, დაუძლეველი და ეს ძალა შეურყეველს ხდიდა მათ სიყვარულს, ვერავითარი ცვალებადობა მას ვერ დაიმორჩილებდა, ვერც ღალატი და ვერც სიკვდილი ვერაფერს დააკლებდა. მათი გული აღსავსე იყო რწმენით, რომ რაც უნდა მომხდარიყო, იმათ ვერაფერი დააშორებდა, იმათ სიყვარულს ვერ მოსპობდა.

ვინიციუსმა ხელახლა დაბალი, მთრთოლარე ხმით დაიწყო:

- შენ სული ხარ ჩემი სულისა და ამქვეყნად ყველაზე უძვირფასესი. ჩვენი გულები ერთად იქნებიან, ჩვენი ლოცვა ერთნაირი იქნება და ქრისტესადმი მადლობაც ერთნაირი.ჰოი, ძვირფასო!მეტი ნატვრა იქნებოდა: ერთად ცხოვრება, ერთად თაყვანისცემა მშვიდი ღმერთისა, ერთად სიკვდილი და მერმე... გამოვერკვევით ტკბილი ძილიდან, თვალს ავახელთ სხვა ქვეყნისთვის. მე მხილიდ ის მაკვირვებს, უწინ რატომ არ მესმოდა ეს? იცი ახლა რა მგონია? ქრისტეს რჯულს წინ ვერავინ დაუდგება. ორასი ან სამასი წლის შემდეგ ამ მოძღვრებას მთელი ქვეყანა მიიღებს; ხალხი იუპიტერს დაივიწყებს და ქრისტეს გარდა სხვა ღმერთი აღარ იქნება და არც სხვა ტაძრები,

ქრისტიანების ტაძრების მეტი. ჰო, მართლა, მოვისმინე, როგორ ესაუბრებოდა პავლე პეტრონიუსს. იცი, ბოლოს რა უთხრა პეტრონიუსმა?- „ეგ ჩემი არ არისო“. სხვა პასუხის მიცემა ვერ მოახერხა.

– პავლეს სიტყვები გამიმეორე-სთხოვა ლიგიამ.

- ეს ჩემთან მოხდა. საღამო ხანს პეტრონიუსი ჩემთან იყო და დაუდევრად დაიწყო ლაპარაკი და ხუმრობა, როგორც მუდამ იცის ხოლმე. მაშინ პავლემ უთხრა: „როგორ შეგიძლია, ბრძენო პეტრონიუს, იმას ეწინააღმდეგო, რომ ქრისტე არსებობდა და მკვდრეთით აღსდგა, როდესაც შენ

იმ დროს ჯერ არ იყავ ქვეყანაზე, ხოლო პეტრემ და იოანემ ნახეს იგი, მეც ვნახე იგი დამასკში მიმავალი. დაე შენმა სიბრძნემ დაამტკიცოს, რომ ჩვენ ვცრუობთ, და ჩვენი ნათქვამი მაშინ უარყავ“. პეტრონიუსმა უპასუხა, ამის უარყოფა ფიქრადაც არ მომდისო, ვიცი, რომ ბევრი გაუგებარი რამ ხდება და ამას სანდო პირნი ადასტურებენო. მერმე დაურთო: „რომელიმე უცხო ქვეყნის ღმერთის აღმოჩენა-ერთი საქმეა, მისი მცნების მიღება-მეორე მე არ მინდა, – თქვა პეტრენიუსმა, – ისეთი რამ ვიცოდე, რაც ჩემს სიცოცხლეს ხალისს გაუუქმებდა და მშვენიერებას წარიტაცებდა. საქმე ის არ არის, ჭეშმარიტნი არიან თუ არა ჩვენი ღმერთები, ისინი მშვენიერები არიან, ისინი მხიარულებასა და უზრუნველ ცხოვრებას არ გვიკრძალავენ“. მაშინ პავლემ უპასუხა: „შენ სიყვარულის, სიმართლისა და გულკეთილობის რჯულს უარყოფ, აქაოდა ცხოვრებაზე საზრუნავი მაშინებსო, მაგრამ აბა თავად განსაჯე, პეტრონიუს, თქვენი ცხოვრება მართლა თავისუფალია საზრუნავისაგან? არც შენ, ბატონო, და არც სხვა უმდიდრესმა და შემძლებელმა პირებმა არ იცით, ღამით რომ იძინებთ, დილით რა მოგელით, სიკვდილის განაჩენი ხომ არ მოგიკაკუნებთ კარს. აბა თქვი, კეისარი რომ იმ რჯულის მაღიარებელი ყოფილიყო, რომელიც სიყვარულისა და სიმართლეს ქადაგებდა, შენი ბედნიერება უფრო მყარი არ იქნებოდა? შენ ახლა სიხარულისა გეშინია, განა მაშინ შენი სიცოცხლე უფრო მხიარული არ იქნებოდა? შენ შენს ბედს აქებ იმიტომ, რომ ძლიერი ხარ და ფუფუნებით ცხოვრობ, მაგრამ შესაძლო იყო, საწყალი ყოფილიყავ და ყველასგან უარყოფილი, თუმცა სახელოვან გვარს ეკუთვნი, მაშინ კი შენთვის უკეთესი იქნებოდა, ქვეყნიერება ქრისტეს მაღიარებელი ყოფილიყო. თქვენს ქალაქში მდიდარი

მშობლებიც კი ხშირად შინიდან შვილებს ერეკებიან, რა არის, მათი აღზრდით თავი არ შეიწუხონ. ასეთი ბავშვები ალუმნებად იწოდებიან და შენც, ბატონო, შესაძლო იყო, ალუმნუსი ყოფილიყავ. მაგრამ თუ შენი მშობლები ჩვენი რჯულის თანახმად იცხოვრებდნენ, შენ ეს არ შეგემთხვეოდა. შენ რომ სრულწლოვანს საყვარელი ქალი შეგერთო ცოლად, სურვილი გექნებოდა, სიკვდილამდე შენი ერთგული ყოფილიყო. აბა შეხედე რა ხდება თქვენში: რამდენი სირცხვილი და სახელის გატეხა, რამდენი ღალატი ცოლქმრული ერგულებისა! თვითონ თქვენც გიკვირთ, როდესაც uuvira-ს შეხვდებით. მე კი გეუბნები, ის ქალი, რომელიც გულში ქრისტეს აღიარებს, ქმარს არ უღალატებს, ქრისტიანი ქმრები კი ცოლების ერთგულნი დარჩებიან-მეთქი. მაგრამ თქვენ არ გწამთ არც თქვენი მეფეები, არც მამები, არც ცოლები, არც შვილები, არც მსახურები. თქვენ წინ მთელი ქვეყანა თრთის, თქვენ კი თქვენი მონების წინაშე თრთით, რადგან იცით, რომ ყოველთვის შეუძლიათ თქვენი მჩაგვრელობის წინააღმდეგ აღდგნენ, როგორც არა ერთხელ ყოფილა. მდიდარი ხარ, მაგრამ ვაითუ ხვალ გიბრძანონ, შენს სიმდიდრეს გამოეთხოვეო; შენ ახალგაზრდა ხარ, მაგრამ იქნება ხვალ სიკვდილი გიბრძანონ. შენ გიყვარს, მაგრამ ღალატი ჩაგსაფრებია; შენ შენი ვილა მოგწონს, შენი ქანდაკებანი, მაგრამ შეიძლება ხვალ პანდატარიაში გაგდევნონ; შენ ათასი მსახური გყავს, მაგრამ ხვალ იმ მსახურებს შეუძლიათ, სისხლი გამოგიშვან. და თუ ეს ასეა, მაშ როგორღა შეგიძლიათ, მშვიდად იყოთ, ბედნიერება იგრძნოთ და სიხარულით ცხოვრობდეთ? ხოლო მე ვქადაგებ სიყვარულს, ვავრცელებ რჯულს, რომელიც მუფეთ ქვეშევრდომთა სიყვარულს უბრძანებს, ბატონებს-მონების სიყვარულს ავალებს, მონებს -

სიყვარულით სამსახურს, სიმართლეს ვაუწყებ და სათნოებას, ხოლო დასასრულ, ხალხს ზღვასავით უკიდეგანო ბედნიერებას აღვუთქვამ. შენ, პეტრონიუს, როგორ იტყვი, რომ ეს რჯული ცხოვრების წინააღმდეგია, თუ იგი წრფელსა ხდის მას და თუ თვითონ შენ ასგზის უბედნიერესი იქნებოდი, თუ ქრისტეს რჯული გაბატონებულიყო ქვეყნად, როგორც ახლა რომის მფლობელობაა?“ ამას ეუბნებოდა პავლე, ხოლო პეტრონიუსმა უპასუხა: „ეგ საჩემო არ არის“, თავი ისე დაიჭირა, ვითომც ძილი მოერია და წავიდა, მაგრამ მიმავალმა თქვა: „მე შენს რჯულს, იუდეველო, ჩემი ევნიკა მირჩევნია, მაგრამ შენთან საჯაროდ კამათს არ ვაპირებ“. მე ყურადღებით ვისმენდი პავლეს სიტყვებს და როდესაც ჩვენს ქალებზე ლაპარაკობდა, სრული

გულით ვადიდე რჯული, რომელმაც გაზაფხულის პირის ზამბახივით ამოგზარდა და ვიფიქრე, აი პოპეა, ნერონისთვის რომ ორი ქმარი მიატოვა, აი კალვია კრისპინილა, აი ნიგილია, და თითქმის ყველამ, ვინც კი ვიცოდი, გარდა პომპონიასა, თავისი მოვალეობა დაარღვია. თავი სავაჭროდ გაიხადა, მარტო შენ, ჩემო ლიგია, ჩემგან არ წახვალ, არ მიღალატებ და ოჯახის კერას არ გამიქრობ, თუნდაც მე მიღალატოს და გამიცრუვდეს ყველა ის, რაზედაც იმედს ვამყარებდი. გულით გეკითხებოდი კიდევ: რით გადაგიხადო მადლობა, თუ არა სიყვარულით და პატივისცემით-მეთქი. გრძნობდი, რომ ანციუმში მყოფი გებაასებოდი, მუდამ გელაპარაკებოდი, თითქოს ჩემთან იყავ? მე ასჯერ მეტად მიტომ მიყვარხარ, რომ კეისრის სასახლიდან გამექეცი. არც მე მინდა იგი. არ მინდა არც იმისი მედიდური ცხოვრება და არც მუსიკა, მარტო შენ ერთი მინდიხარ. მხოლოდ ერთი შენი სიტყვა და მაშინვე რომს დავტოვებ, რომ სადმე შორს დავსახლდეთ.

ლიგიას ვაჟის მხრიდან თავი არ აუღია, მხოლოდ დაფიქრებული თვალები მიაპყრო კვიპაროსის შევერცხლილ კენწეროს და უპასუხა:

– კარგი, მარკუს. შენ სიცილიაზე მწერდი. სიბერის ჟამს ავლუსიც იქ დასახლდება.

ვინიციუსმა სიხარულით გააწყვეტინა სიტყვა:

– ჰო, ჩემო ძვირფასო! ჩვენი მამულები გვერდიგვერდ არიან. მშვენიერი ნაპირია, ჰაერი უფრო რბილია და ღამეებიც უკეთესი ვიდრე რომში, ნათელი და სურნელოვანი... იქ ცხოვრება სწორედ ბედნიერებაა.

და ვაჟმა სამომავლო ოცნებას მისცა თავი.

– იქ შეიძლება ადამიანმა ზრუნვა დაივიწყოს. ზეთისხილის ტყეში ვივლით და ჩრდილში დავისვენებთ ხოლმე! ჰოი, ლიგია, რა დღე გაგვითენდება! ერთმანეთი გვეყვარება, ერთად შევხედავთ ცას, ზღვას, ერთად თაყვანს ვცემთ მოწყალე ღმერთს და გარშემო სიმშვიდე იქნება დასადგურებული.

სამერმისო ფიქრებში გართულნი დაჩუმდნენ. ვინიციუსი უფრო ძლიერად იკრავდა ლიგიას იმ ხელით, რომელზედაც მთვარის შუქი სამხედრო ბეჭედს უელვარებდა. უბანში, სადაც სულ ღარიბი ხალხი ცხოვრობდა, ყველას ეძინა. სიჩუმეს არავითარი ხმაურობა არ არღვევდა.

– ნებას მომცემ, პომპონია ვინახულო ხოლმე?-ჰკითხა ლიგიამ.

– დიახაც, ძვირფასო. ჩვენთან მოვიწვევ ხოლმე ან თვითონ წავალთ ხოლმე იმათთან. გინდა, მოციქული პეტრეც თან წავიყვანოთ, ტვირთმძიმე ცხოვრებით დამაშვრალი? პავლეც გვინახულებს ხოლმე, ავლუს პლავციუსსაც მოაქცევს ქრისტეს რჯულზე და როგორც ჯარისკაცები შორეულ ქვეყნებში ახალშენს აფუძნებენ, ჩვენც ისე ქრისტიანების ახალშენი დავამკვიდროთ სიცილიაში.

ლიგიამ ვინიციუსის ხელი აიღო და უნდოდა ტუჩებთან მიეტანა, მაგრამ ვაჟმა ჩურჩულით უთხრა, თითქოს არ უნდოდა თავისი ბედნიერება დაეფრთხო:

– არა, ლიგია, არა! მე მიყვარხარ და გეთაყანები კიდეც. შენი ხელი მომეცი.

– მიყვარხარ!

ვინიციუსი ტუჩებით დაეკონა ქალის შროშანასავით თეთრ ხელს. ერთი ბეწო ნიავი არა ქროდა, კვიპაროსები ისე უძრავად იდგნენ, თითქოს მათაც სუნთქვა მკერდში შეეგუბებინათ.

უცებ, მოულოდნელად სიჩუმე თითქოს მიწის წიაღიდან ამომავალმა ბრდღვინვამ დაარღვია. ლიგიას ტანში ჟრუანტელმა დაუარა, ხოლო ვინიციუსი ადგილიდან წამოდგა და თქვა:

– ეს ლომები ბრდღვინავენ ვივარიუმებში.

ორივემ მიაყურადა. ერთი ლომის ბრდღვინვას მეორემ უპასუხა, მესამემ, მეათემ- ყოველი მხრიდან, ქალაქის ყველა ბოლოებიდან. ქალაქში ხანდახან რამდენიმე ათასი ლომი იყო ხოლმე, სხვადასხვა ადგილას დამწყვდეული. ღამეობით გალიის რიკულს მოადგნენ, ბანჯგვლიანი თავით აწვებოდნენ უდაბნოსა და თავისუფლების დარდს ბრდღვინვაში ჩაატანდნენ. ახლაც დანაღვლიანებულნი ერთმანეთს ხმას აძლევდნენ და მთელ ქალაქს ბრდღვინვით ავსებდნენ. ამ ბრდღვინვაში რაღაც მრისხანება და მწუხარება იფარებოდა და ლიგიაც გრძნობდა, რომ მისი ნათელი და მშვიდი ოცნება ლომთა ღრიალმა დაარღვია და რაღაც უცნაური შიშითა და წუხილით შეჭირვებული გულით ყურს უგდებდა მას.

ვინიციუსი მოეხვია და უთხრა:

– ნუ გეშინია, ძვირფასო. ჩქარა თამაშობა იქნება, ამიტომაც ყველა ვივარიუმი სავსეა ლომებით.

და ლინის სახში შევიდნენ. ჰაერში გაისმა უფრო და უფრო გამძვინვარებული ღრიალი.

თავი მეთვრამეტე

პეტრონიუსი კეისრის წყალობის მაძებარ ავგუსტიანებს ყოველდღე ჩაგრავდა. ტიგელინუსის გავლენა სრულებით დაეცა. რომში, როდესაც საჭირო იყო, ვინმე საშიშრად დასახული თავიდან მოეშორებინათ, ან ვისთვისმე ქონება ჩამოერთვათ, რაიმე პოლიტიკური ამბავი მოერიგებინათ, მედიდური და თანაც უგემოვნებო სანახავი გაემართათ და განსაკუთრებით კიდევ კეისრის რაიმე უხამსი ჟინი დაეკმაყოფილებინათ, ტიგელინუსი მეტად საჭირო კაცი იყო, უკან დახევა არ იცოდა... მაგრამ ანციუმში სასახლეებს შორის, ლაჟვარდ ზღვაში, ვითა სარკეში რომ აირეკლებოდნენ, კეისარი ბერძნის ცხოვრებით ცხოვრობდა. დილიდან საღამომდის ლექსებს კითხულობდნენ, მათ წყობასა და მშვენიერებაზე მსჯელობდნენ, სიტყვის ეშხით აღტაცებაში მოდიოდნენ, მუსიკითა და თეატრით თავს იქცევდნენ-ერთი სიტყვით, იმით ტკბებოდნენ, რაიც საბერძნეთის გენიამ შექმნა და რითაც ქვეყანა დაამშვენა. პეტრონიუსს, ტიგელინუსსა და სხვა ავგუსტიანებზე შეუდარებლად მეტად განათლებულს, მჭევრმეტყველს, მახვილგონიერს, კარგი ლიტერატურული გემოვნების პატრონს, რა თქმა უნდა, მეტი ფასი ედო. კეისარი ცდილობდა, ახლოს ჰყოლოდა იგი, მისი აზრის გაგება ესაჭიროებოდა, იმის რჩევას ითხოვდა, როდესაც თვითონ თხზავდა რასმე. ამიტომაც უწინდელზე მეტად წყალობის თვალით იყო პეტრონიუსთან. კარისკაცთ ეჩვენებოდათ, რომ პეტრონიუსის გავლენა სრულად იმარჯვებდა, რომ მასთან კეისრის მეგობრობა მრავალჟამიერი იქნებოდა, ამიტომ იმათაც კი, ვინც უწინ ეპიკურეს მიმდევარს არა სწყალობდა, ახლა მოფერება

დაუწყო, ყველანი ცდილობდნენ, პეტრონიუსის გული მოენადირებინათ. ბევრს გულწრფელადაც უხაროდა, ძალა იმისთანა კაცმა მოიპოვაო, რომელიც შურისმგებელი არ იყო, თვის გავლენას ბოროტად არ გამოიყენებდა, არავის არავითარ ვნებას არ მიაყენებდა. იყო დრო, როდესაც ტიგელინუსის დაღუპვაც შეეძლო, მაგრამ პეტრონიუსი ამჯობინებდა მის მასხარად აგდებას, მისი სიბრიყვისა და საძაგლობის გამომზეურებას. რომში სენატმა დაისვენა, რადგან თვე-ნახევრის განმავლობაში არც ერთი სიკვდი-

ლის განაჩენი არ გამოტანილა. მართალია, ანციუმშიაც და რომშიაც ნამდვილ სასწაულებს ლაპარაკობდნენ, თუ სადამდე მივიდა კეისრისა და მისი მახლობლების გარყვნილება, მაგრამ ყველანი გარყვნილი კეისრის ქვეშევრდომობას ამჯობინებდნენ გამხეცებულ ტიგელინუსს. თვითონ ტიგელინუსსაც გზა აებნა. არ იცოდა, დამარცხებულად ეცნო თავი თუ არა, კეისარმა რამდენჯერმე გამოაცხადა, რომ რომში და მის სასახლეში მხოლოდ ორი სულია ერთმანეთის გამგები, მხოლოდ ორი ჭეშმარიტი ბერძენი-თვითონ და პეტრონიუსი.

პეტრონიუსის შესანიშნავმა ტაქტმა ყველას ჩააგონა, რომ მისი გავლენა ყველა დანარჩენებისაზე მტკიცე იქნებოდა. უპეტრონიუსოდ კეისარი თითქოს ვერცა ძლებდა. ვისთან შეიძლებოდა ბაასი პოეზიაზე, მუსიკაზე, სრბოლაზე, ვისი თვალებისთვის ეცქირა, რომ დარწმუნებულიყო, ჩემი ნაწარმოები მართლა შესანიშნავიაო? პეტრონიუსი კი ჩვეულებრივი დაუდევრობით თავის მდგომარეობას არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებდა. როგორც მუდამ, ახლაც ისევე დაუდევარი

იყო, ზარმაცი, სიტყვაპილპილიანი, ურწმუნო და ხშირად იმ კაცის შთაბეჭდილებას ახდენდა, რომელიც ყველას ქირდავს: თავის თავსაც, კეისარსაც და მთელ ქვეყანასაც. ხანდახან ბედავდა პირდაპირ გაეკიცხა კეისარი და როდესაც სხვები ფიქრობდნენ: ძალიან თავს გადის, პირდაპირ დაღუპვას იმზადებსო, ის თავის ძრახვას იმისთანა ელფერს მისცემდა, ყველა რწმუნდებოდა, ისეთი ძნელი მდგომარეობას არ არსებობს, პეტრონიუსი გამარჯვებული არ გამოვიდესო. ერთხელ, ვინიციუსი რომიდან ერთი კვირის დაბრუნებული იყო, კეისარმა პატარა წრეში ტროას ომის აღწერიდან ერთი ნაწყვეტი წაიკითხა. რომ გაათავა და აღტაცებული ტაშისცემა მიწყნარდა, პეტრენიუსმა კეისრის გამომცდელი შემოხედვის საპასუხოდ თქვა:

– უხეირო ლექსებია, ცეცხლში უნდა ჩაიყაროს.

ყველას შიშით გული გაუჩერდა, ნერონს ბავშვობიდან ასეთი განაჩენი არ გაეგონა. მხოლოდ ტიგელინუსს გაუნათდა სახე. სამაგიეროდ, ვინიციუსი გაფითრდა; იმას ეგონა, პეტრონიუსი ამჯერობაზე ალბათ მთვრალიაო.

ნერონმა დათაფლული ხმით გამოკითხვა დაუწყო, თუმცა ამ ხმაში ღრმად დაჭრილი თავმოყვარეობა გამოსჭვიოდა.

– მაინც რით არიან ცუდნი?

პეტრონიუსმა შეუტია:

– ნუ დაუჯერებ ამათ, – უთხრა მან და იქ მყოფებზე მიუთითა, – ამათ არა ესმით რა. შენ მეკითხები, რით არიანო ცუდნი? თუ მართალი გინდა, გეტყვი: ეგ ლექსები ვერგილიუსისთვის კარგი იქნებოდა, ოვიდიუსსაც გამოადგებოდა, მაგრამ შენი საკადრისი ვერაა. შენ იმათსავით წერა არ შეგფერის. ხანძარს რომ აღწერ, საკმაოდ ვერ ანთია, შენს ცეცხლს საკმაო ალი არა აქვს. ლუკანუსის ფარისევლობას ყურს ნუ უგდებ. ეგეთი ლექსებისთვის მე ყველას გენიოსად ჩავთვლიდი, მაგრამ შენ კი არა. იცი რად? შენ იმათზე მაღლა დგახარ. რაკი ღმერთებმა იმდენი რამ გიბოძეს, შეიძლება მეტი მოგთხოვოთ. მაგრამ ზარმაცობ, ნასადილევს მუშაობას ძილს ამჯობინებ. შენ შეგიძლია ისეთი ნაწარმოები შექმნა, როგორიც აქამდე ქვეყენას არ გაუგონია, ამიტომაც პირში გეუბნები: უკეთესი დაწერე.

– ღმერთებმა ცოტაოდენი ნიჭი მიბოძეს, მაგრამ ამას გარდა უფრო მეტი გაიმეტეს-მეგობარი მომცეს, ჭეშმარიტი დამფასებელი, რომელსაც ძალი შესწევს, სიმართლე პირში მითხრას.

ეს რომ თქვა, წითელი თმით დაფარული ხელი დელფოსში მოტაცებულ ოქროს ჭაღისკენ გაიწოდა, რათა ლექსები დაეწვა, მაგრამ პეტრონიუსმა, ვიდრე პაპირუსს ალი მიეკარებოდა, ხელიდან გამოსტაცა ნაწერი.

– ნუ, ნუ!-უთხრა მან, – ასეთი ცუდი ლექსებიც შთამომავლობას ეკუთვნიან, მას დაუტოვე.

– მაშ ნება მომეცი, ეს ლექსი ჩემს გემოვნებაზე გაკეთებულ ყუთით გამოგიგზავნო, – უთხრა ნერონმა და პეტრონიუსს გადაეხვია და მერე დაუმატა:

– დიაც, შენ მართალი ხარ. ტროას ხანძარი საკმაოდ არ ელვარებს. ჩემი ცეცლი საკმაოდ არ ანთია. მაგრამ მე ვფიქრობდი, ჰომეროსის ბადალი რომ შევიქნე, საკმაო იქნება-მეთქი. რაღაც გაუბედაობა მბორკავს და ჩემი თავის მკაცრი შეფასება. შენ კი თვალი ამიხილე მაგრამ იცი, მართალი რადა თქვი? იმიტომ, რომ, როდესაც მოქანდაკე მოისურვებს, ღმერთის სახე გამოაქანდაკოს, იმან ნიმუში უნდა ეძებოს, მე კი იგი არა მაქვს. მე ცეცხლმოდებული ქალაქი არ მინახავს, ამიტომ ჩემს აღწერას სინამდვილე აკლია.

– მე კი ამას გეტყვი, დიდი ხელოვანი უნდა იყოს ადამიანი, რომ ეგ ესმოდეს.

ნერონი დაფიქრდა და შემდეგ ჰკითხა:

– მიპასუხე, პეტრონიუს, ერთ კითხვაზე: გენანება, რომ ტროა დაიწვა?

– გენანებაო?.. გეფიცები ვენერას კოჭლ მეუღლეს, სრულებით არა! გეტყვი კიდეც, რატომ. ტროა არ დაიწვოდა, თუ პრომეთეს ხალხისთვის ცეცხლი არ ეჩუქებინა და ბერძნებს პრიამოსისთვის ომი არ გამოეცხადებინა. ცეცხლი რომ არა ყოფილიყო, ესქილე თავის პრომეთეს ვერ დაწერდა; ომი არა ყოფილიყო, ჰომეროსი ილიადას ვერ შექმნიდა. მე კი მირჩევნია, პრომეთე და ილიადა არსებობდნენ, ვიდრე რაღაც ქალაქუნა შემორჩენილიყო, უეჭველია, უმაქნისი და ჭუჭყიანი, სადაც ახლა აუცილებლად არად შესარაცხი პროკურატორი იჯდებოდა და ქალაქის არეოპაგთან კინკლაობით თავს მოგაბეზრდებდა.

– აი, ამას ჰქვია ჭკვიანური ლაპარაკი!-მიუგო კეისარმა, – პოეზიას და ხელოვნებას შეიძლება და საჭიროცაა ყველაფერი მსხვერპლად შეეწიროს. ბედნიერები არიან აქეველები, რომ ილიადას საგნად შეიქმნენ, პრიამოსიც ბედნიერია, რომ თავისი სამშობლოს დაღუპვა ნახა. მე კი!.. მე ცეცხლმოკიდებული ქალაქი არ მინახავს.

დუმილი ჩამოვარდა და ეს დუმილი ტიგელინუსმა დაარღვია.

– მე უკვე გითხარი, კეისარო, – თქვა მან, – მიბრძანე და ანციუმს ცეცხლს წავუკიდებ-მეთქი. ან იცი რა? თუ შენ ეს ვილები და სასახლეები გენანება, მე ვუბრძანებ, ოსტიიდან მოსულ გემებს წაუკიდონ ცეცხლი, ან ალბანის კალთაზე ხის ქალაქს ავაშენებ და იმას შენ თვითონ წაუკიდე ცეცხლი, გინდა?

ნერონმა მძულვარებით შეხედა მას.

– და ვუცქირო, ხის ხუხულები როგორ დაიწვის? ჭკუამ მთლად გიღალატა, ტიგელინუს. ამასთანავე ვხედავ, შენ ძალიან ნაკლებად აფასებ ჩემს ნიჭსა და ჩემს ტროას, თუ გგონია, რომ რომელიმე მსხვერპლი მეტად დიდი იქნებოდა მისთვის.

ტიგელინუსი აირია, ხოლო ნერონმა, თითქოს სურს ლაპარაკს სხვა მიმართულება მისცესო, დაუმატა:

– ზაფხული ახლოვდება... ახლა რომში რა სიმყრალე იქნება! მერე ხომ ზაფხულის თამაშებზე იქ დაბრუნება მოგვიხდება.

მაშინ ტიგელინუსმა უთხრა:

– როცა ავგუსტიანებს დაითხოვ, ნება მომეცი, ერთ წამს შენთან დავრჩე.

ერთი საათის შემდეგ ვინიციუსი ბიძასთან ერთად კეისრის სასახლიდან ბრუნდებოდა. გზაში უთხრა პეტრონიუსს:

– ისეთი წუთი იყო, შემეშინდა... მთვრალი მეგონე. ვიფიქრე, თავი მთლად დაიღუპა-მეთქი. გახსოვდეს, რომ სიკვდილს ეთამაშები.

– ჩემი ასპარეზიც ეგ არის, – დაუდევრად უთხრა პეტრონიუსმა, – მე ის შეგნება მამხნევებს, რომ ამ დროს ძალოვანი გლადიატორი ვარ. მერე, ხომ ნახე, ყველაფერი რით დაბოლოვდა! ჩემი გავლენა უფრო მეტად გაიზარდა. ის თავის ლექსებს ყუთით გამომიგზავნის. ყუთი, სანაძლეოს ვდებ, საარაკო სიმდიდრისა იქნება და საარაკოდ უშნო. ჩემს ექიმს ვუბრძანებ, შიგ სასაქმებელი წამლები შეინახოს. მე რომ მოვინდომო, ტიგელინუსის დაღუპვასა და მისი თანამდებობის პრეტორიელთა პრეფექტის ადგილის დაჭერას შევიძლებდი, მაგრამ მეზარება. მოწყენის მეშინია და ასეთი ცხოვრება მირჩევნია, დაე იყოს თვითონ კეისრის ლექსებიც.

– მაგრამ რა ფანდია, ძაგება კაცმა ქებად გაადაქციოს! ის ლექსები მართლა ცუდია? მე ხომ მაგისი არაფერი გამეგება.

– სხვებზე უარესები არ არიან. ლუკანუსს ერთ თითში მეტი ნიჭი აქვს, მაგრამ ჟღალწვერასაც აქვს რაღაც. უწინარეს ყოვლისა, განსაკუთრებულად უყვარს პოეზია და მუსიკა. ორი დღის შემდეგ იმასთან უნდა ვიყოთ, რომ აფროდიტეს სადიდებელი ჰიმნისთვის დაწერილი მუსიკა მოვისმინოთ, – დღეს ან ხვალ დაასრულებს. ბევრნი არ ვიქნებით - მარტო მე, შენ, ტელიუს სენეციონი და

ახალგაზრდა ნერვა. ხოლო რაიც მის ლექსებს შეეხება... შენთვის როდესღაც მითქვამს, რომ ნადიმის შემდეგ ის ლექსები ჩემთვის იგივეა, რაც ვიტელიუსისთვის ფლამანგოს ფრთა-მეთქი. მართალი არ არის! ხანდახან მათში მჭევრმეტყველებაც გამოერევა. ჰეკუბას სიტყვები გულში ჩამწვდომია... იგი მშობიარობის ტკივილებს გოდებს და ნერონმაც მარჯვე სიტყვები იპოვა, იქნება იმიტომ, რომ თვითონაც ყველა ლექსს ტანჯვით შობს ხოლმე... ხანდახან მებრალება.

– ვინ გაიგებს, სადამდე შეიძლება მივიდეს აჰენობარბუსის უგუნურება!- თქვა ვინიციუსმა.

– მაგას ვერავინ გაიგებს. ისეთი რამ შეიძლება მოხდეს, რომ მთელი საუკუნეების შემდეგ მათ გახსენებაზე ადამიანს თმა ყალყზე დაუდგეს. საყუ-

რადღებოც სწორედ ეს არის, შესაქცევარიც ეს არის. თუმცა მე ახლაც მოწყენილობა მიღრღნის გულს, როგორც ამონის იუპიტერს უდაბნოში, მაინც ვფიქრობ, სხვა უჩემო კეისართან ასჯერ მეტად იქნებოდა მოწყენილი. შენი იუდეველი პავლე მჭევრმეტყველია-ამ ნიჭს ვერ წავართმევ-და თუ ისეთმა ხალხმა დაიწყო ქრისტეს რჯულის ქადაგება, ჩვენს ღმერთებს, ხუმრობა გაშვებით, უნდა ეშინოდეთ, სხვენში არ მოუხდეთ აბარგება. მართალია, კეისარი რომ ქრისტიანი იყოს, ჩვენ საფრთხე აღარ დაგვემუქრებოდა, მაგრამ შენმა ტარსელმა წინასწარმეტყველმა, როდესაც ჩემს დაჯერებას ცდილობდა, ვერ მოისაზრა, რომ ჩემთვის საფრთხე სიცოცხლის სილამაზეს შეადგენს. ვინც კამათელს არა თამაშობს, ის ქონებასაც არ აგებს, მაგრამ მაინც ხალხი კამათლებს აგორებს. ეს რაღაც ნეტარებაა და თავდავიწყება. შენ

ამბობ, სიცოცხლეს ეთამაშებიო, მართალია, მაგრამ ამას იმიტომ ჩავდივარ, რომ ეს მართობს, თქვენი ქრისტიანობრივი სათნოებანი, სენეკას მსჯელობებისა არ იყოს, ერთ დღეში მომწყინდებოდა. ამიტომ მჭევრმეტყველი პავლე ტყუილად დაშვრა. იმას უნდა გაეგებოდეს, რომ ჩემისთანა ადამიანი იმის რჯულს ვერასოდეს ვერ მიიღებს. შენ სულ სხვა ხარ! ისეთი გუნებისა ბრძანდები, ან უნდა ჭირივით შეიძულო ქრისტიანობის რჯული, ან ქრისტიანი უნდა გახდე. ქრისტიანობის საფუძვლიანობას ვაღიარებ და თანაც ვამთქნარებ. ჩვენ უგუნურებას ჩავდივართ, უფსკრულისკენ მივექანებით, მაგრამ სიკვდილს კი მოვახერხებთ; მანამ კი რისთვის დავიმძიმოთ სიცოცხლე და სიკვდილს ვემსახუროთ უფრო ადრე, ვიდრე კარს მოგვიკაკუნებდეს. სიცოცხლე სიცოცლისთვისაა და არა სიკვდილისთვის.

– მებრალები, პეტრონიუს.

– იმაზე მეტად ნუ შემიბრალებ, ვიდრე თვითონ მე მებრალება ჩემი თავი. როდესაც სომხეთში იბრძოდი, ხომ გენატრებოდა რომი?

– მე ახლაც მენატრება რომი.

– დიახ, იმიტომ რომ ქრისტიანი ქალი შეიყვარე, ტიბრს გაღმა რომ ზის. მე ეს არ მიკვირს და არც

გკიცხავ. მე მხოლოდ აი რა მიკვირს: შენი სიტყვით, თქვენი რჯული ბედნიერების ზღვაა, თუმცა შენს სახეს ნაღველი არ შორდება. პომპონია გრეცინა მუდამ მოწყენილია, შენც, რაც ქრისტიანი გახდი, მას აქეთ ღიმილს დაეხსენი. მაშ ნუღარ მარწმუნებ, რომ იგი ხალიხისიანი რჯულია! რომიდან

უფრო დანაღვლიანებული დაბრუნდი. თუ ყველას ასე გიყვართ, ბახუსის ღია ფერ კულულებს ვფიცავ, თქვენს კვალს არ შევუდგები.

– ეგ სულ სხვაა, – მიუგო ვინიციუსმა, – მე შენს ბახუსის კულულებს კი არა, მამაჩემის სულს გეფიცები, რომ უწინ არაოდეს არ შემეძლო ასეთი ბედნიერება წარმომედგინა, როგორსაც ახლა განვიცდი. მაინც ძალიან ვნაღვლობ და საოცარი ის არის, როდესაც ლიგიას მოშორებული ვარ, სულ მგონია, იმას რაღაც საფრთხე მოელის. არ ვიცი რა, არც ის ვიცი, საიდან შეიძლება გამოუტყვრეს ეს საფრთხე, მაგრამ გული წინასწარ მითქვამს, როგორც ჭექა-ქუხილს ვგრძნობთ ხოლმე წინასწარ.

– ორი დღის შემდეგ ვკისრულობ, ანციუმიდან წასვლა მოგიხერხო, რამდენი დღითაც გინდა. პოპეაც უფრო დამშვიდდა და რამდენადაც ვიცი, იმისაგან არც შენ, არც ლიგიას არაფერი გემუქრებათ.

– დღესაც მკითხა ავგუსტამ, რომში რას აკეთებდიო, თუმცა ჩემი წასვლა საიდუმლო იყო.

– იქნებ უბრძანებია, თვალყური გადევნონ. მაგრამ ახლა იმანაც ანგარიში უნდა გამიწიოს.

ვინიციუსი შედგა და თქვა:

– პავლემ თქვა, ღმერთი ხანდახან აფრთხილებსო, მაგრამ წინათგრძნობას ნუ მიეცემითო, გვეუბნება. ეს წინასწარი შეშფოთება ვერ დამიძლევია. მე შენ გეტყვი, რაც მოხდა, ვინძლო გული შევიმსუბუქო. ერთ დღევანდელივით მშვენიერ ღამეს მე და ლიგია ვისხედით და ჩვენი მომავალი ცხოვრების გეგმებს ვადგენდით. ვერ გადმოგცემ, როგორ ბედნიერები და დამშვიდებულები ვიყავით. უცებ ლომებმა ბრდღვინვა დაიწყეს. რომში ეს ჩვეულებრივი ამბავია, მაინც კი მას აქეთ სიმშვიდე დავკარგე. მომეჩვენა, რომ იმ ბრდღვინვაში რაღაც მუქარა იყო, უბედურების მომასწავლებელი ნიშანი. შენ იცი, რომ მე მხდალი არა ვარ, მაგრამ მაშინ ისეთი რაღაც მოხდა, რომ ძრწოლამ ღამის სიბნელე უფრო დამიბნელა. ისე უცნაურად და მოულოდნელად მოხდა, რომ ახლაც კი ის ხმები ყურში ჩამესმის, ხოლო გულში წუხილი ჩამესახლა, თითქოს ლიგიას რაღაც საშინელი საფრთხე ემუქრებოდა და ჩემგან შველას ელისო, თუნდა თვით იმ ლომებისაგან. მეც ვიტანჯები. რაიმე მიზეზი მოიგონე, წასვლის ნება დამრთოთ, თუ არა, ისედაც წავალ. აქ ჯდომა არ შემიძლია, კიდევ გეუბნები, არ შემიძლია.

პეტრონიუსმა გაიცინა.

– ჯერ მაქამდე არ მისულა საქმე, რომ ყოფილი კონსულების შვილები ან იმათი ცოლები ლომებს გადუგდონ დასაგლეჯად. შეიძლება თქვენ სხვანაირი სიკვდილი შეგხვდეთ, მაგრამ ასეთი კი არა. ვინ იცის, ლომები არც კი იყვნენ, გერმანული ჯიხვებიც სწორედ ისე ბრდღვინავენ. რაც შემეხება მე, ბედსაც და წინათგრძნობასაც დავცინი.

წუთით დადუმდა და დაფიქრების შემდეგ თქვა:

– თუ თქვენი ქრისტე მკვდრეთით აღსდგა, მაშ შეუძლია სიკვდილისაგან დაგიფაროთ.

- შეუძლია, – თქვა ვინიციუსმა და თან ვარსკვლავებით მოჭედილ ცას შეხედა.

თავი მეცხრამეტე

ნერონმა დაუკრა და იმღერა „კვიპროსის მფლობელი ქალის“ სადიდებელი ჰიმნი. ლექსიცა და მუსიკაც თვითონ შეეთხზა. ამ დღეს ხმა კარგი ჰქონდა და გრძნობდა, რომ მუსიკა ნამდვილად იტაცებს მსმენელთ; ეს აზრი ხმას უძლიერებდა და სულს ისე უფორიაქებდა. შთაგონებული კაცის იერი ჰქონდა. სიმღერის დასასრულს შინაგანი ღელვისგან თვითონაც გაფითრდა. ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ მსმენელთა ქების მოსმენა არ უნდოდა. ერთ წამს ციტრით ხელში თავჩაღუნული იჯდა, შემდეგ უცებ წამოდგა და თქვა:

– დავიღალე, ჰაერი მჭირდება, მანამ ციტრები მომართეთ, - და ყელი აბრეშუმის მანდილით შეიხვია.

– თქვენ ჩემთან წამოხვალთ, - მიმართა პეტრონიუსსა და ვინიციუსს, დარბაზის კუთხეში რომ ისხდნენ. - ვინიციუს, ხელი მომეც, ღონე გამომელია, პეტრონიუსი კი მუსიკაზე ილაპარაკებს.

ალაბასტრით მოკირწყლულსა და ზაფრანით მოფენილ სასახლის ტერასზე გამოვიდნენ.

– აქ უფრო ადვილია სუნთქვა, - თქვა ნერონმა, - ჩემი სული აღელვებულია და შეწუხებული, თუმცა

დღევანდელი სიმღერით დავრწმუნდი, რომ საჯაროდ გამოსვლა შემიძლია და თანაც ისეთი ტრიუმფით, როგორიც ჯერ არც ერთ რომაელს წილად არა ხვდომია.

– შენ შეგიძლია გამოხვიდე აქ, რომში და აქაიაში, სულითა და გულით მიკვირს, ღვთაებრივო! - მიუგო პეტრონიუსმა.

– მჯერა. შენ მეტად ზარმაცი ხარ, ქებაზე თავს არ შეიწუხებ. შენ წრფელი ხარ ტულიუს სენეციონივით, მაგრამ იმაზე მეტი გაგეგება. მითხარ, რას ფიქრობ მუსიკაზე?

– როდესაც პოეზიას ვისმენ, როდესაც ეტლს ვუცქერი, ცირკში რომ შენ მართავ, ან მშვენიერ ქანდაკებას, ჩინებულ ტაძარსა თუ სურათს, მაშინ სრულად აღვიქვამ, რასაც ვხედავ და ჩემი აღტაცება მოიცავს ყოველივეს, რისი მოცემაც იმ ნივთებს შეუძლიათ. მაგრამ როდესაც მუსიკას ვისმენ, მეტადრე შენსას, ჩემ წინ ახალი მშვენიერებანი და ახალი აღმაფრენანი ჩნდებიან. მუსიკა ზღვა არის. ჩვენ ერთ ნაპირზე ვდგავართ, შორეთს გავცქერით, მაგრამ მეორე ნაპირის დანახვა კი არ შეგვიძლია.

– რა ღრმა მცოდნე ხარ! - უთხრა ნერონმა.

რამდენიმე ხანს ჩუმად დადიოდნენ, მხოლოდ მათ ფერხთით წყნარად შრიალებდა ზაფრანა.

– შენ სწორედ ჩემი აზრი გამოთქვი, - უთხრა ბოლოს ნერონმა, - ამიტომაც ისევ ვიტყვი, რომ მთელ რომში მარტო შენა გაქვს ჩემი გაგების ნიჭი. დიახ, მუსიკაზე მეც სწორედ მაგას ვფიქრობ. როდესაც ვთამაშობ და ვმღერი, ისეთ საგნებს ვხედავ, რაც უწინ არ ვიცოდი, არსებობენ თუ არა ისინი ჩემს სახელმწიფოში ან სხვაგან სადმე. კეისარი ვარ, ქვეყანა მე მეკუთვნის და ყველაფრის გაკეთება შემიძლია. მაინც კი მუსიკა ახალ სამეფოებს, ახალ მთებს და ზღვებს და ახალ, ჯერ განუცდელ სიამეს გადამიშლის თვალწინ. არ ვიცი, რა დავარქვა მათ, არც გონებით შემიძლია მათი გაგება, მხოლოდ გულით ვგრძნობ. მე ვგრძნობ ღმერთებს, ვხედავ ოლიმპოსს. რაღაც არაქვეყნიური ქარი დამბერს, ნისლში რაღაც ვეება ზვინებს ვარჩევ, მზის ამოსვლის სადარი ნათელი რომ ადგათ თავს. ჩემ გარემო მთელი ქვეყანა კაშკაშებს და გეტყვი, (აქ ნერონს ხმა აუკანკალდა)... რომ მე, კეისარი და ღმერთი, ამ დროს თავს მტვრის ცახედა ვგრძნობ, დამიჯერებ?

– დიახ, მხოლოდ დიდ ხელოვანს უჩანს თავი კნინად ხელოვნების წინაშე.

– დღეს წრფელი აღიარების ღამეა, ამიტომ გულს გიხსნი, როგორც მეგობარს, და უფრო მეტს გეტყვი... შენ გგონია, ბრმა ვარ ან ჭკუა არა მაქვს? შენ გგონია, არ ვიცი, რომ რომში კედლებზე ჩემს შეურაცხმყოფ სიტყვებს

წერენ, დედის მკვლელს, ცოლის მკვლელს მეძახიან, რომ მე ურჩხულად და ბოროტმოქმედად მრაცხენ, რადგან ტიგელინუსმა ჩემი მტრების დასასჯელად რამდენიმე სიკვდილის განაჩენი გამომთხოვა... დიახ, ჩემო ძვირფასო, ურჩხულს მეძახიან...

მაგრამ ხალხს არ ესმის, საქმენი კაცისა შეიძლება მკაცრი იყოს და ის კაცი კი ლმობიერი. არავინ დამიჯერებს, იქნებ შენც არ დამიჯერო, ჩემო ძვირფასო, რომ დროდადრო, როდესაც მუსიკა სულს მიღელვებს, ისეთ გულკეთილად ვგრძნობ თავს, როგორც ჩვილი აკვანში! ვარსკვლავებს გეფიცები, ჩვენ რომ თავს დაგვნათიან, სიმართლეს გეუბნები. ხალხმა არ იცის, რამდენი სიკეთე ბუდობს ამ გულში და თვითონ მე რა საუნჯეს ვპოვებ მასში, როდესაც მუსიკა აღმაფრთოვანებს.

პეტრონიუსს არ ეეჭვებოდა, რომ ამ დროს ნერონი წრფელი გულით ლაპარაკობდა და რომ მუსიკას ნამდვილად შეუძლია გამოიხმოს გარყვნილებასა და დანაშაულში ჩაფლული სულის კეთილშობილური თვისებანი, და კეისარს უთხრა:

– შენ ისე ახლო უნდა გიცნობდნენ, როგორც მე გიცნობ. რომმა შენი დაფასება ვერ შეძლო.

კეისარი უფრო ძლიერ დაეყრდნო ვინიციუსის მხარს, თითქოს უსამართლობის ტვირთი დააწვაო, და პეტრონიუსს მიუგო:

– ტიგელინუსმა მითხრა, სენატში ამბობენ, დიოდორი და ტერპნოსი ციტრას კეისარზე კარგად უკრავენო. ესეც კი შურთ ჩემთვის! მაგრამ შენ, მუდამ რომ მართალს მეუბნები, გულღიად მითხარ: ისინი მართლა ჩემზე უკეთესად უკრავენ? ჩემსავით მაინც უკრავენ?

– სულაც არა. შენი ხელის ჩამოკვრა უფრო რბილია, თანაც მეტი ძალა აქვს. შენში ხელოვანი ჩანს, მათში კი - დახელოვნებული ხელოსნები. ნამდვილად რომ ვთქვა, როცა მათ დაკვრას მოისმენს კაცი, მხოლოდ მაშინ გაიგებს, შენ როგორ უკრავ.

– თუ ეგრეა, დაე იცოცხლონ. ისინი თავის დღეში ვერ მიხვდებიან, ახლა რა სამსახური გაუწიე მათ. ესეც კია, ისინი რომ სიკვდილით დამესაჯა, მათ ალაგზე სხვები უნდა ამეყვანა.

– ხალხი კი იტყოდა: თავმოყვარეობის გამო სახელმწიფოში მუსიკას ღუპავსო.. ხელოვნებას ხელოვნებისათვის ნურაოდეს ნუ მოკლავ, ღვთაებრივო.

– როგორ განსხვავდები ტიგელინუსისგან! - იოცა ნერონმა, - მაგრამ იცი, ნამდვილი რომ ვთქვათ, მე ყველაფერში ხელოვანი ვარ: მუსიკა მეუბნება, რომ ზესთაბუნებრივი არსებობს, მეც მას მთელი ძალით ვეძებ, რაც ღმერთებს ჩემთვის უბოძებიათ. ხანდახან მგონია, რომ ოლიმპოსის მისაღწევად საჭიროა ისეთი რამ გავაკეთო, რაც აქამდე არც ერთ ადამიანს არ გაუკეთებია. ვიცი, ხალხი ჩემზე ლაპარაკობს, უგუნურებას აჰყოლიაო. მე უგუნურობას არ ჩავდივარ, არამედ მხოლოდ ვეძებ, და რაკი ვერ ვპოულობ, მოწყენილობა და ბრაზი უგუნურების ჩადენას მაიძულებს.

მერე ხმა ისე დაიდაბლა, რომ ვინიციუსს ვერ გაეგონა, ტუჩები პეტრონიუსს მიადო ყურზე და უჩურჩულა:

– იცი, მე დედასა და ცოლს სიკვდილის განაჩენი რატომ გამოვუტანე? მეგონა, იმის შემდეგ არაჩვეულებრივი რამ უნდა მომხდარიყო, მეგონა, ის კარი გამეღებოდა, რომლის იქით არნახულს დავინახავდი. დაე თუნდა ადამიანის თვალით ეს საშინელება ყოფილიყო, ოღონდ კი არაჩვეულებრივი და დიადი რამ ყოფილიყო.. მაგრამ ის მსხვერპლი საკმარისი არ გამოდგა. ოლიმპოსის კარის გასაღებად აშკარაა, დიდი მსხვერპლია საჭირო და დაე ისე მოხდეს, როგორც ბედისწერას სურს.

– რას აპირებ?

– ნახავ, უფრო ჩქარა ნახავ, ვიდრე გგონია. ახლა კი იცოდე, რომ ორი ნერონია, ერთი ისეთი, როგორსაც ხალხი იცნობს, მეორე - ხელოვანი, რომელსაც მარტო შენ იცნობ და რომელიც თუ კლავს ან უგუნურებას სჩადის, ვით ბახუსი, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი ცხოვრების უგვანობა და არარაობა აწვება თავზე და მას სურს შემუსროს ეს, თუნდაც ამისთვის საჭირო გაუხდეს ცეცხლსა და რკინას მიმართოს!... ჰოი, რა უგვანო იქნება ეს ქვეყანა, როცა მე აღარ ვიქნები! ჯერაც ვერავინ მიხვედრილა და თითქოს შენც, ჩემო ძვირფასო, როგორი ხელოვანი ვარ. ამიტომაც ვიტანჯები. სამძიმოა ადამიანისთვის ერთსა და იმავე დროს უდიდესი ძლიერება და უდიდესი ნიჭი იტვირთო!

– თანაგიგრძნობ, კეისარო, სრული გულით, ჩემთან ერთად დედამიწაც და ზღვაც თანაგიგრძნობს, ვინიციუსი ხომ გულში გაღმერთებს.

– ვინიციუსი ჩემთვისაც მუდამ სასიამოვნო იყო, - უთხრა ნერონმა, - თუმცა მარსს ემსახურება და არა მუზებს.

– ის ყველაზე უწინარეს აფროდიტეს მსახურია, - მიუგო პეტრონიუსმა.

და ერთბაშად გადაწყვიტა, დისწულის საქმე მოეწყო, თანაც მოეშორებინა ყველა საფრთხე, რაც ვინიციუსს ემუქრებოდა.

– შეყვარებულია, ისე უყვარს, ვით ტროილოსს კრესიდა - ნება მიეცი, ბატონო, რომ წავიდეს, თუ არადა მთლად ჩამოხმება. იცი, რომ ლიგიელი მძევალი, ამას რომ აჩუქე, მოიძებნა და ანციუმში წამოსვლის წინ ვინიციუსმა ქალი ვინმე ლინს ჩააბარა. ამას არ გეუბნებოდი, ვიდრე შენ ჰიმნს თხზავდი - რადგან ეგ ყველაზე უფრო დიდი საქმე იყო. ვინიციუსს უნდოდა, ის ქალი საყვარლად გაეხადა, მაგრამ იგი ლუკრეციას მსგავსი აღმოჩნდა, ვინიციუსიც მისი სათნოებით მოიხიბლა და აპირებს ცოლად შეირთოს. იგი მეფის ქალია, ამის ღირსებას არ დაამცირებს, მაგრამ ეს ნამდვილი ჯარისკაცია: ოხრავს, ხმება, კვნესის, მაგრამ იმპერატორის ნებართვას ელის.

– იმპერატორები როდი ურჩევენ მხედრებს ცოლებს, ჩემი ნებართვა რად უნდა?

– ბატონო, მე გითხარ, ვინიციუსი გაღმერთებს.

– მით უფრო დარწმუნებული უნდა იყოს, ნებას დავრთავ, ლამაზი ქალია, მაგრამ თეძოები მეტად ვიწრო აქვს... ავგუსტა პოპეა მეუბნებოდა, პალატინის ბაღში იმან ჩვენი გოგონა გათვალაო.

– მე მაშინ ვუთხარ ტიგელინუსს, რომ ღვთაებანი ბოროტ სულს არ ემორჩილებიან-მეთქი. გახსოვს, ღვთაებრივო. როგორ აირია და შენ თვითონ როგორ დაიძახე: Habet!

– მახსოვს.

და ნერონი ვინიციუსს მიუბრუნდა:

– მართლა ისე გიყვარს, როგორც პეტრონიუსი ამბობს?

– მიყვარს, ბატონო! - მიუგო ვინიციუსმა.

– მაშ გიბრძანებ, ხვალვე წახვიდე რომში, შეირთო იგი და საცრის ბეჭდის გარეშე აღარ მეჩვენო.

– გმადლობ, ბატონო, მთელი სულითა და გულით მადლობელი ვარ.

– ჰოი, რა სასიამოვნოა, ადამიანს ბედნიერება მიანიჭო, - თქვა კეისარმა, - ნეტა შემძლებოდა, სხვა არაფერი მეკეთებინა.

– ერთი წყალობაც მოიღე ჩვენზე, ღვთაებრივო, - უთხრა პეტრონიუსმა, - შენი ნება ავგუსტას თანდასწრებით განაცხადე. ვინიციუსი ვერასოდეს ვერ გაბედავს ის ქალი შეირთოს, რომელსაც ავგუსტა არა წყალობს. მაგრამ

შენ, ბატონო, ერთი შენი სიტყვით ავგუსტას უნდობლობას გაფანტავ, როდესაც იტყვი, ეგ ჩემი ნაბრძანებიაო.

– კეთილი, - უთხრა კეისარმა. - შენ და ვინიციუსს უარს ვერ გეტყვით.

და იგი ვილასკენ გაბრუნდა, ხოლო პატრიციები უკან გაჰყვნენ, გამარჯვებისაგან სიხარულით სავსენი, ვინიციუსი თავს ძლივს იკავდებდა, რომ პეტრონიუსს არ გადახვეოდა. ეგონა, ყველა საფრთხე და დაბრკოლება მოვიშორეო.

ვილასატრიუმში ახალგაზრდა ნერვა და ტულიუს სენეციონი ავგუსტას ლაპარაკით ართობდნენ, ხოლო ტერპნოსი და დიოდორი ციტრებს მართავდნენ: ნერონი შესვლის უმალ სავარძელში ჩაჯდა, რაღაც უჩურჩულა გვერდზე მდგარ პატარა ბიჭს და ლოდინი დაუწყო.

ბიჭი გავიდა და ჩქარა პატარა ყუთი შემოიტანა. ნერონმა ყუთს თავი ახადა, მსხვილი ოპალის ყელსაბამი აარჩია და წარმოთქვა:

– აი დღევანდელი საღამოს ღირსი ქვები.

– მაგ ქვებში ცისკარი ანათებს, - თქვა პოპეამ, დარწმუნებული იყო, ეს ყელსაბამი ნერონს ჩემთვის უნდაო.

კეისარი ყელსაბამს ხან მაღლა ასწევდა, ხან დაბლა დაუშვებდა და ბოლოს ბრძანა:

– ვინიციუს, ამ ყელსაბამს ჩემგან ლიგიის მეფის ნორჩ ასულს აჩუქებ, გიბრძანებ, იგი ცოლად შეირთო.

პოპეას რისხვითა და გაოცებით აღევსო თვალები. ხან კეისარს შეხედავდა, ხანაც ვინიციუსს, ბოლოს პეტრონიუსზე გადაიტანა მზერა. ის კი დაუდევრად სავარძლის სახელურზე გადაყრდნობოდა, ქნარს უსვამდა ხელს, თითქოს უნდოდა მისი მოყვანილობა კარგად დაიხსომოსო.

ვინიციუსმა საჩუქრისთვის მადლობა გადაუხადა კეისარს, მერე პეტრონიუსთან მივიდა და უთხრა:

– რა მოგაგო იმის სამაგიერო, რაც შენ ჩემთვის დღეს გააკეთე?

– ორი გედი მიუტანე ევტერპას, კეისრის სიმღერები აქე და წინათგრძნობა სასაცილოდ აიგდე, - უპასუხა პეტრონიუსმა, - იმედი მაქვს, ლომის ბრდღვინვა აღარ გაგიკრთობს ძილს არც შენ, და არც შენს ლიგიურ შროშანს.

– არა, - მიუგო ვინიციუსმა, - ახლა მე მთლად დამშვიდებული ვარ.

– იყოსმცა ფორტუნა თქვენი მოწყალე! ახლა კი ყურადღებით იყავ, კეისარი ისევ იღებს ფორმინგს, სუნთქვა შეიკარ, ყური მიუგდე და ცრემლები ღვარე.

მართლაც კეისარმა ფორმინგი აიღო და თვალები ზეაღაპყრო. დარბაზში ლაპარაკი შეწყდა და ყველა გაქვავებულივით უძრავად იჯდა. მარტო ტერპნოსი და დიოდორი, რომელთაც სიმღერისთვის დაკვრა უნდა შეეწყოთ, სიმღერის პირველი ხმების მოლოდინში ხან კეისრის ტუჩებს უცქეროდნენ, ხან ერთმანეთს.

უცებ დერეფანში ხმაურობა და ყვირილი ატყდა. ერთ წამს შემდეგ ფარდის იქიდან იმპერატორის აზატი ფაონი გამოჩნდა, მას კონსული ლეკანიუსი შემოჰყვა.

ნერონმა წარბები შეიკრა.

– მაპატიე, ღვთაებრივო იმპერატორო, - ქაქანით უთხრა ფაონმა, - რომში ხანძარია! ქალაქის მეტი წილი ცეცხლშია გახვეული.

ამ ამბავზე ყველანი წამოდგნენ. ნერონმა ფორმინგი დააგდო და წარმოთქვა:

– ღმერთებო, ცეცლხმოდებულ ქალაქს ვნახავ და ტროას დავასრულებ!

შემდეგ კონსულს მიმართა:

– ახლა რომ წავიდე, ხანძარს ჩავუსწრებ?

– ბატონო, - მიუგო მთლად ფერმიხდილმა კონსულმა, - ქალაქს მთელი ზღვა ცეცხლი მოსდებია; ბოლი ახრჩობს მცხოვრებთ, ხალხს გული უღონდება, ან გაგიჟებულნი ცეცხლში ვარდებიან. რომი იღუპება, ბატონო!

სიჩუმე ჩამოვარდა, რომელიც ვინიციუსის ყვირილმა დაარღვია; Vae misero mihi!

ყმაწვილმა კაცმა ტოგა გადააგდო და მარტო ტუნიკით გავარდა გარეთ.

ხოლო ნერონმა თვალები ზეცისკენ აღაპყრო და შესძახა:

– ვაი შენ, პრიამოსის წმიდა ქალაქო!

თავი მეოცე

ვინიციუსმა ძლივს მოასწრო რამდენიმე მონისთვის ებრძანებინა თან გამომყევითო, ცხენს მოახტა და ღამის სიბნელით გარემოცული ანციუმის ცარიელი ქუჩებით ლავრენტიუმისკენ დაეშვა. საშინელი ამბით მოხდენილმა შთაბეჭდილებამ თითქოს გონება დაუკარგა და დროდადრო სულაც ვერ

გარკვეულიყო, თუ რა ემართებოდა. მარტო თეთრი ტუნიკა ეცვა. თავშიშველი იყო. ალალბედზე მიაჭენებდა, არც წინ იცქირებოდა და არც ყურადღებას აქცევდა იმ დაბრკოლებებს, რომელთაც შეეძლოთ გზიდან გადაეჩეხათ. სიჩუმე იყო, წყნარი და ვარსკვლავიანი ღამე იდგა, მთვარის ნათელით მოფენილი მხედარი და ცხენი მოჩვენებას მიემსგავსებოდნენ. იდუმეური ულაყი, ყურდაცქვეტილი და კისერწაგრძელებული, ისარივით მიქროდა. მალე უძრავ კვიპაროსებს და მათ უკან მიფარებულ თეთრ ვილებს გასცდნენ. ქვის ფიქალზე ნალების რაკუნი ძაღლებს აღვიძებდა, ძაღლები ყეფდნენ და შემდეგ მოულოდნელობით შეშფოთებულნი ზეცას შეღმუოდნენ. მალე ვინიციუსს მონები ჩამორჩნენ. ვინიციუსმა ლავრენტიუმი ქარიშხალივით გადაიჯირითა და არდეასკენ შეუხვია, სადაც, როგორც არიციუმში, ბოვილში და უსტრინში, გამოსაცვლელ ცხენებს იშოვიდა კაცი, რათა რომამდე მანძილი ჩქარა გაეარა. ეს რომ ახსოვდა, თავის ცხენს, რაც კი ღონე ჰქონდა, ძალას ატანდა. არიდეას იქით, ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეზე დაინახა, რომ ტატნობს ვარდისფერი შუქი მოფენოდა. შეიძლება ეს ცისკარიც ყოფილიყო, გვიანი დრო იყო, ივლისში კი ადრე თენდება, მაგრამ ვინიციუსმა თავი ვეღარ შეიკავა

და სასოწარკვეთილმა დაიყვირა, ეგონა, ეს ხანძარსა ვხედავო. ლეკანიუსის სიტყვა მოაგონდა, ქალაქს მთელი ზღვა ცეცხლი მოსდებიაო. წუთით იგრძნო, შეიძლება, ჭკუიდან შევიშალოო, რადგან სრულებით დაკარგა იმედი არათუ ლიგიას გადარჩენისა, არამედ რომამდე მიღწევისაც. სანამ იქ მივალ, ქალაქი ფერფლის გროვად გადაიქცევაო, მართალია, არ იცოდა, ცეცხლი ჯერ რომელ უბანს მოეკიდა, მაგრამ ფიქრობდა, ტიბრს გაღმა უბანს პირველს მოედებოდაო, რადგან ის უბანი ყველაზე მჭიდროდ იყო დასახლებული; იქ იყო ხე-ტყის საწყობები, დუქნები და ხის სარდაფები, სადაც მონებით ვაჭრობდნენ. რომში ხანძარი ხშირად ხდებოდა, მაშინ ძარცვა და ძალადობა იჩენდა თავს, მეტადრე იმ უბნებში, სადაც ღარიბები და სანახევროდ ბარბაროსები ცხოვრობდნენ. ვინიციუსს ფიქრში ურსუსის სახემ გაუელვა. მისმა არაადამიანურმა ძალ-ღონემ იმედი მისცა, მაგრამ რას იზამდა ერთი კაცი, თუნდაც გოლიათი, ცეცხლის შემმუსვრელი ძალის წინააღმდეგ? მონების ამბოხების შიშიც იყო, რაც დიდი ხნიდანვე ახრჩობდა რომს. ამბობდნენ ასიათასობით მონები სპარტაკის დროს იგონებენ და მხოლოდ

მარჯვე წამს მოელიან, რომ თავიანთი ბატონების წინააღმდეგ იარაღით გამოვიდნენო. და აი ის წამიც დადგა, შეიძლება, იქ, ქალაქში ხანძართან ერთად ხალხის ჟლეტაც დაიწყო. იქნებ პრეტორიელები კეისრის ბრძანებით მცხოვრებლებს დაერიონ. ამ საზარელმა ფიქრებმა ვინიციუსს თმა ყალყზე დაუყენა. ქალაქის ხანძარზე რაც კი გაეგონა, ყველაფერი მოაგონდა. უკანასკნელ ხანებში კეისრის კარზე დაჟინებით ლაპარაკობდნენ ხანძარზე. კეისრის ჩივილი, ცეცხლმოდებული ქალაქის აღწერა მინდა და ქალაქის ნამდვილი ხანძარი არ მინახავსო; მოაგონდა მისი მძულვარე პასუხი ტიგელინუსის

მიმართ, როცა იგი ეუბნებოდა, ანციუმი ან ხელოვნურად აგებული ხის ქალაქი დავწვათო. ბოლოს მოაგონდა, როგორი სიძულვილით ლაპარაკობდა კეისარი რომსა და სუბურას აყროლებულ ქუჩებზე. ჰოო, სწორედ კეისარმა უბრძანა, ქალაქისათვის ცეცხლის წაკიდება. მარტო იმას შეეძლო ამის გადაწყვეტა, როგორც მარტო ტიგელინუსს ისეთი ბრძანების აღსრულება. მაშ ასე, ხანძარი, მონების ამბოხება, ხალხის ჟლეტა. ამ დროს ლიგია რომშია. ვინ გამოიყვანს მას ცეცხლმოდებული ქალაქიდან, ვინ შეიძლებს მის გადარჩენას? ვინიციუსი ცხენს ფაფარში დაეჭიდა და გამწარებული მზად იყო, ცხენის კისრის ღრღრნა დაეწყო. ამ დროს ვიღავ მხედარმა, მისკენ ჭენებით მომავალმა, გვერდზე რომ გაუარა, დაუძახა: „რომი იღუპება“ და გაშორდა. ვინიციუსს კიდევ ერთი სიტყვა ჩაესმა: „ღმერთები“. დანარჩენი სიტყვები ცხენის ნალების თქარუნმა ჩანთქა. ღმერთები! ამ სიტყვამ გამოაფხიზლა ვინიციუსი. თავი მაღლა აიღო, ხელები ვარსკვლავებით მოჭედილი ზეცისაკენ აღახვნა და უფალს შეევედრა: „თქვენ არ მოგიწოდებთ, რომელთა ტაძრები ახლა იწვის, არამედ შენ, თავად ტანჯულო. შენ, მხოლოდ შენა ხარ მოწყალე... მარტო შენ იცი ადამიანის მწუხარება! ქვეყნად მოხველ, ხალხისთვის სიბრალული გესწავლებინა, - ახლა მოიღე იგი. თუ ისეთი ხარ, როგორც პეტრე და პავლე ამბობენ, დაიცევ ლიგია, ხელში აიყვანე და ცეცხლის ალს მოარიდე. შემძლებელ ხარ ამისა. მომეც მე იგი, ხოლო მე სისხლს დავღვრი შენთვის. თუ მე არ შემეწევი, ლიგიას მაინც შეეწიე. მას უყვარხარ და გსასოობს. შენ სიკვდილის შემდეგ სიცოცხლეს გვპირდები და ბედნიერებას, მაგრამ სიკვდილის შემდეგ ბედნიერება არ აგვცდება,

ლიგიას კი ჯერ სიკვდილი არ უნდა. მიეცი მას სიცოცხლე, მიანიჭე სიცოცხლე, ხელში აიყვანე და რომიდან გამოიყვანე. შემძლებელ ხარ ამისა, მაგრამ თუ არ...“

იგი შეჩერდა. ის იყო, ლოცვა მუქარად უნდა გადაქცეულიყო; ვინიციუსს კი ეშინოდა, ღვთისათვის არ ეწყენინებინა ახლა, როდესაც ყველაზე მეტად სჭირდებოდა მოწყალება ღვთაებრივი. ამის გაფიქრებამაც კი შეაშინა, და რომ გულში არავითარი მუქარა არ გაევლო, ისევ ცხენს დაუწყო ტუქსვა, მით უფრო, რომ ანციუმის თეთრი კედელი, მანძილის შუაზე გამყოფი უკვე გამოჩნდა მთვარის შუქზე. აგერ მერკურიუსის ტაძარი ქალაქის გვერდზე მდებარე ჭალაკში, უეჭველია, იქაც იცოდნენ უბედურება, რადგან ტაძრის გარშემო ხალხის არაჩვეულებრივი მოძრაობა იყო. ტაძრის საფეხურებზე და სვეტებს შუა ვინიციუსმა ხალხი დაინახა, ღმერთებისაგან შემწეობის მაძებარი. გზა ისე ცუდი აღარ იყო, როგორც არდეას აქეთ. ქალაქიდან ლაპარაკის ხმა მოისმოდა. ვინიციუსი ხალხში შეერია, ცხენმა რამდენიმე კაცი წააქცია. ყოველი მხრიდან ყვირილი მოისმოდა: „რომი იწვის, ქალაქი ცეცხლშია გახვეული... ღმერთებო, დაიცავით რომი!“

ფუნდუკის წინ, სადაც ვინიციუსს სხვა გამოსაცვლელი ცხენი ჰყავდა, თითქოს ბატონების მოსვლას ელოდებიანო, მონები იდგნენ და სასწრაფოდ გაიქცნენ, რათა მისთვის ახალი ცხენი მოეყვანათ. ვინიციუსმა ათი კაცისაგან შემდგარი რაზმი დაინახა. უეჭველია. ანციუმში მიმავალი, მათთან მიირბინა და გამოკითხვა დაუწყო:

– ქალაქის რომელი უბანი იწვის?

– შენ ვინა ხარ? - ჰკითხა მას რაზმის უფროსმა.

– ვინიციუსი, სამხედრო ტრიბუნი და ავგუსტიანი. მიპასუხებთ თუ თავი ძვირად გიღირს.

– ბატონო, ცეცხლმა დიდი ცირკის ახლოს იფეთქა დუქნებში. როდესაც ჩვენ გამოგვაგზავნეს, შუა ქალაქი ცეცხლში იყო გახვეული.

– ტიბრს გაღმა უბნები?

– ცეცლხი ჯერ იქამდე არ მისულა, მაგრამ შეუკავებელი ძალით ახალ-ახალ უბნებს ედება. სიცხისა და ბოლისგან ხალხი იღუპება. არსაით შველა.

ამ დროს ვინიციუსს ახალი ცხენი მოუყვანეს. ახალგაზრდა ტრიბუნი ზედ შეხტა და გზას გაუდგა.

ახლა ალბანას მიდიოდა, ალბალონგას და მის მშვენიერ ტბას ჩაუარა. ანციუმიდან გზა აღმართი იყო, ამიტომ ტატნობი მთისგან იყო მოფარებული და მეორე მხარეზე მდებარე ალბანა არ ჩანდა. მაგრამ ვინიციუსმა იცოდა, რაკი ზევით ავიდოდა, არა მარტო ბოვილს და უსტრინს დაინახავდა, სადაც ახალი ცხენები უცდიდნენ, არამედ რომსაც მოჰკრავდა თვალს.

„ზევიდან ცეცლხს დავინახავ“, - გაიფიქრა ვინიციუსმა და ცხენი ააჩქარა.

მაგრამ მთის მწვერვალამდე ჯერ არ მისულიყო, რომ ცხვირში ბოლის სუნი ეცა. ამ დროს მთის წვერიც ოქროსფერი შუქით განათდა.

„განთიადი“ - გაიფიქრა ვინიციუსმა.

ღამეს რა ხანია ფერი წართმეოდა და ვარდისფერი შუქი შესაძლოა ხანძრისაც ყოფილიყო და დილის ცისკრისაც. ვინიციუსმა მწვერვალს მიაღწია და თვალწინ საზარელი სანახავი წარმოუდგა.

მთელი ველი ბოლით იყო დაფარული და უზარმაზარ ძირს ჩამოწოლილ ღრუბელს წარმოადგენდა. ამ ღრუბელში ჩანთქმულიყო ქალაქები, აკვედუკები, ვილები, სოფლები და ამ ნაცრისფერი ვრცელი მოედნის ბოლოს ქალაქი იწვოდა.

მაგრამ ხანძარს ცეცხლის სვეტის მოყვანილობა არა ჰქონდა, როგორც მაშინაა ხოლმე, როდესაც დიდი შენობა იწვის. ეს უფრო გრძელ, ცისკრის მინაგვარ არშიას ემსგავსებოდა.

ამ არშიაზე ბოლი სქელ ზვირთად აიყრებოდა ალაგ-ალაგ მთლად შავად, ხოლო ალაგ-ალაგ ვარდისფრად და სისხლისფრად მოელვარე. ეს ბოლის ზვირთი გველივით ხან იკუმშებოდა, ხან გაიჭიმებოდა. ბოლი და ცეცხლი ტატნობის ერთი ბოლოდან მეორე ბოლომდე გადაიშლებოდა. საბინის მთები სულ არა ჩანდნენ.

პირველი შეხედვით ვინიციუსს მოეჩვენა, არა მარტო ქალაქი, არამედ მთელი ქვეყანა იწვის და არც ერთ ცოცხალ არსებას არ შეუძლია ამ ცეცხლის ოკეანედან თავი ისხნასო.

ხანძრის მხრიდან ძლიერი ქარი ქროდა, მჭვარტლისა და ბოლის სუნი მოჰქონდა და გზის ახლოს მდებარე საგნებს ეხვეოდა. დღე დადგა და მზემ ალბანის ტბის გარშემო მთები გაანათა, მაგრამ მზის ღია ოქროსფერი სხივები ბოლის გამო წითლად და უსიამო მოჩანდნენ. ვინიციუსი ალბანისაკენ რომ დაეშვა, უფრო და უფრო სქელი და გაუმჭვირვალე ბოლი შემოეხვია. შეშფოთებული მცხოვრებნი ქუჩაში გამორბოდნენ. იმის წარმოდგენაც კი

საზარელი იყო, რაც რომში უნდა ყოფილიყო, როდესაც სუნთქვა აქაც ჭირდა.

სასოწარკვეთილებამ ხელახლა მოიცვა ვინიციუსი, მაინც, რამდენადაც კი შეეძლო, ცდილობდა, თავი დაემშვიდებინა. „შეუძლებელია, - ფიქრობდა იგი, - რომ მთელ ქალაქს ერთბაშად მოედოს ცეცხლი. ქარი ჩრდილოეთიდან ქრის და ბოლი მხოლოდ აქეთ მოაქვს. მეორე მხარეზე ბოლი არ არის. ტიბრის გაღმა უბანი მდინარით არის განცალკევებული, იქნება სულაც უვნებელი დარჩა. ყოველ შემთხვევაში ურსუსი და ლიგია თუ იანკულუმის კარამდე მაინც მიაღწევენ, საშიშროებას ასცდებიან. ისიც შეუძლებელია, რომ მთელი მოსახლეობა დაიღუპოს და ქვეყნის მფლობელი ქალაქი მთელი თავისი მოსახლეობით პირისაგან მიწისა აღიგავოს. ალყაშემორტყმულ ქალაქებში, სადაც არათუ ცეცხლი მძვინვარებს, ხოცვა-ჟლეტაც მუსრს ავლებს ხალხს,

მოსახლეობის ნაწილი მაინც გადარჩება. მაშ ლიგია უთუოდ რად უნდა დაღუპულიყო? არა, იმას ხომ ღმერთი დაიფარავს, სიკვდილის დამრთგუნველი ღმერთი. ისევ ლოცვა დაიწყო და ჩვეულებისამებრ ბევრი აღუთქვა ქრისტეს, დიდძალ მსხვერპლს დაჰპირდა. ალბანა რომ გაიარა და მთელი მისი მცხოვრებნი ხანძრის საცქერლად ბანებზე და სვეტზე ასულნი დაინახა, ცოტა დამშვიდდა და გულდინჯად დაიწყო ფიქრი. ლიგიას ხომ მარტო ურსუსი და ლინი არა პატრონობდნენ, მოციქული პეტრეც იცავს. პეტრე მას მუდამ გაუგებარ, ლამის ზესთაბუნებრივ არსებად ეჩვენებოდა. ავადმყოფობის დროს მოციქულის ახლოს გაცნობამ ეს შთაბეჭდილება უფრო მეტად გაუძლიერა და შემდეგ შეურყეველ რწმენადაც გადაექცა.

რაკი პეტრემ მათი სიყვაული დალოცა და ლიგია აღუთქვა, მაშ ქალი ცეცხლის ალში არ დაიღუპებოდა. ქალაქი შეიძლება დაიწვას, მაინც ლიგიას ტანსაცმელზე ერთი ნაპერწკალიც არ დაეცემა. პეტრე ცეცხლს ჯვარს გადასწერს, ერთი სიტყვის თქმით გაჰკვეთს მას და ისინი ცეცხლის ხეივანს შუა უვნებლად გაივლიან. ამას გარდა, პეტრემ მომავალი იცოდა, მაშ როგორ არ გააფრთხილებდა ქრისტიანებს და ქალაქიდან არ გამოიყვანდა, მათ შორის ლიგიასაც, რომელიც ღვიძლი შვილივით უყვარს.

ვინიციუსის გულში იმედმა ძალი მოიცა. ფიქრობდა, თუ გამოქცეულან, ბოვილში ან გზად შემხვდებიანო. იქნებ ერთი წუთიც და - ძვირფასი სახე

დაინახოს ამ ბოლში, კამპანიას რომ თანდათან უფრო და უფრო სქლად ეფინება.

ეს ფიქრი მით უფრო შესაძლებელი ეჩვენა, რომ გზაზე თანდათან მეტი ხალხი ხვდებოდა, ქალაქიდან ალბანის მთებში მომავალი. ამათ ცეცხლისაგან თავი ეხსნათ და ახლა უნდოდათ, ბოლსაც ჩქარა გაცლოდნენ. უსტრინამდის ჯერ არ იყო მისული, რომ იძულებული გახდა, სვლა შეენელებინა, რადგან მთელი გზა აჩხორილი იყო. მოემართებოდნენ ბარგაკიდებული ქვეითნი, შეძლებულ მოქალაქეთა დაბარგული ცხენები, ჯორები, ეტლები და ტახტრევნები. უსტრინი, რომიდან გამოქცეულებით ისე იყო ავსილი, რომ ბრბოში გავლა ძნელი იყო. აქა-იქ ოჯახების თავშესაფარი კარვები ჩაედგათ. სხვები ცისქვეშ დაბინავებულიყვნენ. ყველანი ან ღმერთებს იხმობდნენ საშველად ან ბედს სწყევლიდნენ.

ამ საზარელ აურზაურში რისამე გამოკითხვა ძნელი იყო. ვისაც კი ვინიციუსმა მიმართა, ან სულ არ აძლევდა პასუხს, ან შიშით გაოგნებული შეხედავდა დ ეტყოდა, რომი და მთელი ქვეყანა იღუპებაო. რომის მხრიდან ყოველ წამს დედაკაცების, მამაკაცებისა და ბავშვების ახალ-ახალი გუნდები მოდიოდნენ და არეულობა მატულობდა. ერთნი სასოწარკვეთილნი ღრიალებდნენ, რადგან მახლობელნი დაკარგოდათ, სხვები ადგილისათვის ჩხუბობდნენ. ნახევრად ველური კამპანიელი მწყემსები ქალაქში მოსულიყვნენ, არეულობაა და იქნებ ნადავლი მოვიხელთოთო. აქა-იქ მონათა და გლადიატორთა გუნდები სახლებსა და ვილებს ძარცვავდნენ და მოსარჩლედ გამოსულ ჯარისკაცებს ეჩხუბებოდნენ. ფუნდუკის გვერდზე ვინიციუსმა სენატორი იუნიუსი დაინახა, ბატაველი მონებით გარშემოხვეული, იმას მიმართა და ხანძრის შესახებ დაწვრილებით ცნობები

იმან პირველმა უამბო. ხანძარი მართლა დიდ ცირკთან დაწყებულიყო, იმ ნაწილში, რომლითაც იგი პალატინსა და ცელიუსის ბორცვს ემიჯნება. მაგრამ ისე სწრაფად გავრცელებულიყო, რომ ქალაქის მთელ შუაგულს მოსდებოდა. ბრენის დროიდან ქალაქს ასეთი უბედურება არ დამართვიაო. „ცირკი მთლად დაიწვა, ისე როგორც მისი გარშემო მყოფი დუქნები და სახლები, - უთხრა იუნიუსმა, - ავეტინუსი და ცელიუსი ცეცხლშია გახვეული: ცეცხლი პალატინს მოედო და კარინზე გადავიდა“

კარინზე სენატორს მშვენიერი ინსულა ჰქონდა, ხელოვნების ნაწარმოებით სავსე და ძალიანაც უყვარდა. მოხუცმა მუჭით მტვერი აიღო, თავზე დაიყარა და სასოწარკვეთით დაიკვნესა.

ვინიციუსმა მხრებში ხელი წაავლო.

– ჩემი სახლიც კარინზეა, - თქვა მან, - მაგრამ რაკი ყველა იღუპება, დაე ისიც დაიღუპოს.

ვინიციუსს მოაგონდა, ლიგიას შეეძლო ჩემს რჩევას დაჰყოლოდა და ავლუსის სახლში გადასახლებულიყოო, ამიტომ ჰკითხა სენატორს:

– Vicus Patricius?

– იწვის, - მიუგო იუნიუსმა.

– მდინარის გაღმა უბანი?

იუნიუსმა გაოცებით შეხედა.

– მდინარის გაღმა უბანი რას მიქვიან? - მიუგო მან და თავის მტკივან საფეთქლებს ხელები მაგრად მოუჭირა.

– ჩემთვის მდინარის გაღმა უბანი რომზე მეტად საყურადღებოა, - მკვახედ დაუყვირა ვინიციუსმა.

– იქამდე ცეცხლი არ უნდა მისულიყო, მაგრამ ვინ იცის, ახლა იქნებ იქაც მიატანა, მარტო ღმერთებმა უწყიან, რა მოხდება.

იუნიუსი ერთ წამს ყოყმანობდა, შემდეგ ხმა დაიდაბლა და უთხრა:

– ვიცი, არ გამცემ, ამიტომ გეტყვი, რომ ეს ჩვეულებრივი ხანძარი არ არის. ხალხს ცირკის გადარჩენის ნება არ მისცეს, ჩემი ყურით გავიგონე, როდესაც ცეცხლი გარშემო სახლებს მოეკიდა, ათასმა ხმამ დაიძახა: „სიკვდილი გადამრჩენებსო!“ ვიღაცეები ქალაქში დარბიან და სახლებში

ანთებულ ჩირაღდნებს ისვრიან. ხალხი ღელავს და ყვირის, ქალაქი ვიღაცის ბრძანებით იწვისო. მეტს არას გეტყვი, ვაი ქალაქს, ვაი ყველას და ვაი მეც რაც იქ ხდება, იმას ადამიანის ენა ვერ გამოხატავს. ხალხი ცეცხლში იღუპება ან ალიაქოთში ერთმანეთს ხოცავენ. რომის დასასრული დადგა!

და კვლავ სასოწარკვეთით აღმოხდა: „ვაი, ქალაქს და ჩვენცა!“ ვინიციუსი უკვე ცხენს შეახტა და გაექანა, მაგრამ სიარული ძნელი იყო: მისკენ ხალხისა და ეტლების ღვარი მოდიოდა. ახლა რომი ვინიციუსის წინ დევს როგორც ხელისგულზე, საზარელი ხანძრით გაკაშკაშებული. ზღვა ცეცხლიდან სიცხე ძლიერ ნაკადად მოედინება, ხალხის ღრიალს არ ძალუძს მიაყუჩოს ცეცხლის ტკაცა-ტკუცი.

თავი ოცდამეერთე

რაც უფრო უახლოვდებოდა ვინიციუსი ქალაქის კედლებს, მით უფრო აშკარა ხდებოდა, რომ რომამდე მისვლა უფრო ადვილი იყო, ვიდრე მის შუაგულში შესვლა. ცხენით სიარული არ შეიძლებოდა, გზაზე ისე ბევრი ხალხი იყო, გზის ორივე მხარეზე მდებარე სახლები, მინდვრები, სასაფლაოები და ტაძრები ბანაკად გადაქცეულიყვნენ. მარსის ტაძრებისთვის, Porta Appia-ს ახლოს რომ იდგა, ხალხს კარები ჩაემტვრია, რათა იქ ღამე გაეთენებინა. სასაფლაოებზე დიდრონ მავზოლეუმებს ისაკუთრებდნენ და მათი გულისათვის ერთმანეთს ებრძოდნენ, ზოგჯერ სისხლიც იღვრებოდა. აღარავინ დაგიდევდათ უფლებას, ნათესაურ კავშირსა და მდგომარეობას, ყოველგვარი მორიდება გაქრა. მონები მოქალაქეებს ჯოხებით სცემდმემ; ემპორიუმში მოტაცებული ღვინით დამთვრალი გლადიატორები გუნდ-გუნდებად გზის ნაპირებზე მდებარე ველებზე ყიჟინით დარბოდნენ, კინწის კვრით ხალხს აქეთ-იქით ყრიდნენ, ქელავდნენ და ძარცვავდნენ. ქალაქში გასაყიდად გამოყვანილი ბარბაროსები გაიქცნენ. ხანძარი და ქალაქის დაღუპვა მათთვის ტყვეობის დასასრულსა და შურისძიებას ნიშნავდა. როდესაც თავისი უკანასკნელი ქონების დამკარგავი მოსახლეობა სასოწარკვეთილი ღმერთებს მოუხმობდა საშველად, ბარბაროსები სიხარულის ყიჟინით დარბოდნენ ხალხში, ტანსაცმელს გლეჯდნენ განწირულთ და ახალგაზრდა ქალებს იტაცებდნენ. იმათ მონები შეუერთდნენ, რომში კარგა ხნის ნამსახურები მონები, ღარიბები, რომელთაც თეძოებზე შემორტყმული სარტყლის გარდა,

არაფერი ეცვათ. ესენი იყვნენ მიყრუებული ქუჩების ბინადარნი - შიშის აღმძვრელი ადამიანები, რომელნიც დღისით ქუჩებში არავის ეჩვენებოდნენ და რომელთა არსებობა რომში არავინ იცოდა. ეს ბოგანო ხალხი - აზიელნი, აფრიკელნი, ბერძენნი, თრაკიელნი, გერმანელნი და ბრიტანელნი - ყველა ენაზე ლაპარაკობდნენ. ველურნი და აღვირახსნილნი იყვნენ და დამთხვეულებივით აწყდებოდნენ აქეთ-იქით. ეგონათ, ახლა კი დადგა დრო, ამდენი ხნის ტანჯვისა და გაჭირვების გამო შური ვიძიოთო, ამ გაშმაგებულ ბრბოს შორის დღისა და ხანძრის სინათლეზე პრეტორიელების ჩაფხუტები მოჩანდნენ. მათ მფარველობას უფრო მშვიდობიანი მოქალაქენი ეფარებოდნენ. ზოგჯერ პრეტორიელნი იძულებულნი იყვნენ გამხეცებულ

მდაბიოთ თავს დასცემოდნენ, ვინიციუსს ენახა იერიშით ქალაქის აღება, მაგრამ არაოდეს არ ენახა, რომ სასოწარკვეთილება, ცრემლი, გულისტკივილი, გმინვა, ველური სიხარული, უგუნურება, დამთხვეულობა და აღვირახსნილობა ამისთანა დაუსრულებელ ქაოსად შეზავებულიყო. ახალგაზრდა ტრიბუნმა დიდი თავგანწირვით ძლივს მიაღწია აპიუმის კარამდე, მაგრამ დაინახა, რომ ქალაქში Porta Capena-ს უბნით გავლას არათუ მარტო ბრბო დაუშლიდა, არამედ დიდი სიცხეც. ვინიციუსი მიხვდა, რომ უკან უნდა დაბრუნებულიყო. აპიუმის გზიდან გადაეხვია, ქალაქს ქვემოთ მდინარე გადაელახა და Via Portuensis-ის გზას დადგომოდა, საიდანაც პირდაპირ მდინარის გაღმა უბანში მივიდოდა. მაგრამ არც ეს იყო ადვილი. აპიუმის გზაზე არეულობა უფრო გაძლიერდა, გზის გაკაფვა ლამის მახვილით იყო საჭირო, მაგრამ ვინიციუსს იარაღი არა ჰქონდა. ანციუმიდან ისე გამოვიდა, როგორც ხანძრის ამბის შეტყობის დროს იყო. მერკურიუსის

წყაროსთან პრეტორიელთა ნაცნობი ცენტურიონი დაინახა. რამდენიმე ათი კაცის თანხლებით იგი წმიდა ადგილის შესავალს იცავდა. ვინიციუსმა უბრძანა, თან გამომყევიო, ცენტურიონმა იცნო ტრიბუნი და ავგუსტიანი და ვერ გაბედა, მისი ბრძანება არ აესრულებინა.

ვინიციუსმა რაზმის წინამძღოლობა თვითონ იკისრა. ისე ჩქარობდა, მთლად გადაავიწყდა პავლეს მოძღვრება მოყვასის სიყვარულის შესახებ. ხელს ჰკრავდა ხალხს და ვაი იმას, ვინც გზიდან დროზე არ ჩამოეცლებოდა. ლტოლვილები წყევლა-კრულვითა და ქვების სეტყვით უმასპინძლდებოდნენ, მაგრამ ვინიციუსი ყურადღებას არ აქცევდა, მხოლოდ ეშურებოდა, როგორმე თავისუფალ ადგილას გასულიყო; წინსვლა ძალიან ჭირდა. უკვე ბინადადებულ ხალხს ჯარისკაცებისთვის გზის მიცემა არ უნდოდა და ხმამაღლა კეისარსა და პრეტორიელთ შეჩვენებას უთვლიდა. ზოგ ალაგას მათ ბრბო მუქარითაც უხვდებოდა. ვინიციუსს ჩაესმა, რომ ქალაქის ცეცხლის მოკიდებას ნერონს აბრალებდნენ. იმასა და პოპეას აშკარად ემუქრებოდნენ. ყვირილი „sannio“, „histrio“, „დედის მკვლელი“ ყოველი მხრიდან მოისმოდა. ერთნი წინადადებას იძლეოდნენ, ტიბრში ჩაეხრჩოთ ნერონი, სხვები ყვიროდნენ: ეყოფა რომს, რაც მოითმინაო. აშკარა იყო, მუქარას ადვილად შეეძლო ცხად ამბოხებად გადაქცეულიყო, თუ წინამძღოლიც ეყოლებოდათ. ჯერჯერობით ბრაზი და გულისწყრომა პრეტორიელების წინააღმდეგ იყო მიმართული. პრეტორიელები ბრბოს ვერ გასცლოდნენ,

რადგან გზა ხანძრისაგან საჩქაროდ გადარჩენილი ავეჯით იყო აჩხორილი. აქა-იქ საქმე შეტაკებამდე მიდიოდა. მაგრამ

პრეტორიელები უიარაღო ბრბოს ადვილად უსწორდებოდნენ. ვინიციუსმა ვაი-ვაგლახით გადასჭრა ლათინთა, ნუმიდიელთა, არდეის, ოსტიის ქუჩები; ვილებს, ბაღებს, სასაფლაოებსა და ტაძრებს გარს შემოუარა და ბოლოს იმ დასახლებამდე მიაღწიეს, რომელსაც Vicus Alecandri ერქვა. აქედან ტიბრს გაღმა გავიდა. აქ უფრო ხალვათობა იყო და ბოლიც ნაკლები. ლტოლვილნი აქაც ბევრნი იყვნენ. იმათგან შეიტყო, რომ მდინარის გაღმა უბანში მხოლოდ ვიწრო ქუჩებში იძალა ხანძარმა, მაგრამ, რა თქმა უნდა, ცეცხლს ვერაფერი დაუდგება წინ, მით უფრო, რომ ხალხი გაჩნდა, ვინც განგებ უკიდებს ცეცხლს. ცეცხლმოკიდებულები სახლების გადარჩენის ნებას კი არავის აძლევდნენ, ყვიროდნენ, რომ ამას ვიღაცის ბრძანებით სჩადიან. ვინიციუსს ახლა მცირედი ეჭვიც კი გაეფანტა, რომ ცეცხლის წაკიდება ნამდვილად კეისრის ნაბრძანები იყო. სამართლიანი ეჩვენა, ხალხი რომ სამაგიეროს გადახდას უქადდა კეისარს. მითრიდატი ან რომის რომელიმე მძვინვარე მტერი ამაზე უარესს რას იზამდა? საწყაული აღივსო, უგუნურება მეტისმეტად შესაზარი გახდა და ცხოვრებაც სრულებით შეუძლებელი შეიქნა. ვინიციუსს სწამდა, რომ ნერონის ჟამმა დაჰკრა, რომ ნანგრევებად ქცეულმა ქალაქმა თან ეს საზარელი მასხარაც და ყველა მისი ბოროტმოქმედება უნდა ჩაიტანოს. საკმაოდ გაბედული კაცი რომ გამოჩენილიყო და სასოწარკვეთილი ხალხის მეთაურობა ეკისრა, შესაძლო იყო, ეს რამდენიმე საათის შემდეგ მომხდარიყო. თვითონ რომ ეკისრა ხალხის წინამძღოლობა? ვინიციუსთა გვარეულობა, უკანასკნელ დრომდე რომ მთელი რიგი კონსულებისა მისცა რომს, დიდად სახელგანთქმული გახლდათ. ბრბოსთვის ხმიანი სახელია საჭირო. ერთხელ ხომ პედანიუს

სეკუნდუსის ოთხასი მონის სიკვდილის განაჩენის გამო საქმე ლამის აჯანყებამდე და შინაურ ომამდე არ მივიდა, ახლა, ამ საზარელი უბედურების დროს, რაღა უნდა მომხდარიყო. ეს უბედურება ხომ ყველა იმ უბედურებას წააჭარბებდა, რაც რვა საუკუნეში რომს როდისმე ენახა. ვინც კვირიტებს შეიარაღებისაკენ მოუწოდებს, - ფიქრობდა ვინიციუსი, - ის დაამარცხებს ნერონს და თვითონ ძოწეულით შეიმოსება. რატომ ეს თვითონ ვინიციუსმა არ უნდა გააკეთოს? ყველა ავგუსტიანზე ჯანიანი, მამაცი და ახალგაზრდა ის იყო. მართალია, ნერონის განკარგულებაში ოცდაათი ლეგიონი

იმყოფებოდა, სახელმწიფოს საზღვრებზე მდგარი, მაგრამ განა ის ლეგიონები და მათი წინამძღოლნი არ აღშფოთდებიან, რომისა და მისი ტაძრების დაწვას რომ გაიგებენ? მაშ, ვინიციუსს შეუძლია იმპერატორი გახდეს. ავგუსტიანებში ხომ კიდეც ჩურჩულებენ, ვიღაც წინასწარმეტყველი ოთონს ძოწეულს უქადისო. რით ჩამოუვარდება ოთონს? იქნებ ქრისტემაც უშველოს ღვთაებრივი თანადგომით, იქნებ ეს ქრისტემ ჩააგონა? ჰოი, ნეტა მართლა ასე იყოს! მაშინ, ლიგიას შიშს, თავის შეშფოთებას - ყველაფერს წაამწარებს ნერონს, სამაგიეროს გადაუხდის. სიმართლეს დაამყარებდა, ევფრატიდან ბრიტანეთის ნისლიან ნაპირამდე ქრისტეს რჯულს გაავრცელებდა. ლიგიასაც ძოწეულით შემოსავდა და მთელი ქვეყნის მეფედ გახდიდა.

ეს აზრი, როგორც ცეცხლის ნაპერწკალივით მოედო. ისევე ნაპერწკალივით ჩაუქრა. ყველაზე უწინ ლიგიას დახსნა იყო საჭირო. ვინიციუსს უბედურება თვალიწინ ედგა და შიშმა ისევ დარია ხელი. მოციქული დაიცავსო ლიგიას - ეს რწმენაც გაუქრო ცეცხლისა და ბოლის მთელმა ზღვამ

და საზარელმა სინამდვილემ ისევ სასო წარკვეთა. Via Portuensis-ზე რომ გავიდა, პირდაპირ მდინარის იქით უბანში მიმავალ გზაზე, მთლად გონება აერია. მხოლოდ კართან გამოერკვია, აქ ის უთხრეს, რაც უწინაც გაეგონა ლტოლვილთაგან. მდინარის გაღმა უბნების დიდ ნაწილს ჯერ ცეცხლი არ მოსდებოდა. თუმცა ზოგან უკვე ცეცხლმა გაღმაც გააღწიაო. მაგრამ ეს უბნებიც ხალხით იყო სავსე და ბოლში გახვეული. აქაც გავლა ძნელი იყო, რადგან ვისაც ბევრი დრო ჰქონდა, ბევრი ნივთის წამოღებასაც ცდილობდა. უმთავრესი გზა, ნავსადგომის გზა, ზოგიერთ ალაგას მთლად დაზვინული იყო ხარახურით, ხოლო ავგუსტუსის ნავმახიის გვერდზე დიდი გროვები აეხუხულებინათ. მთლად გაუვლელი იყო უფრო ვიწრო ქუჩებში, სადაც ბოლი უფრო სქლად გროვდებოდა. ამ ქუჩებიდან მცხოვრებნი ათასობით გარბოდნენ. ვინიციუსი გზაზე საზარელ სანახავს ხედავდა. რამდენიმეჯერ ორი ერთმანეთის საპირისპირო მდინარება ვიწრო გასავალში შეიყარა. ერთმანეთს აწვებოდნენ და საქმე მომაკვდინებელ ბრძოლამდე მიდიოდა. ხალხი ჩხუბობდა და ერთმანეთს სთელავდა. სასოწარკვეთილი დედები ეძახდნენ შვილებს. ვინიციუსს თმა ყალყზე დაუდგა, როდესაც წარმოიდგინა, რა საშინელება ტრიალებდა ხანძრის მიდამოებში. ისეთი ყვირილი და ხმაურობა იდგა, რისამე გამოკითხვა ძნელი იყო. დროდადრო ქალაქის

შუაგულიდან ახალ-ახალი ბოლის ღრუბლები გადმოგორავდნენ, ისეთი შავი და მძიმე, რომ ზედ მიწაზე მოცურავდნენ, სახლებს, ხალხს ღამის ბნელივით ეხვეოდნენ. მაგრამ ქარი ფანტავდა მათ, და მაშინ ვინიციუსს შეეძლო წინ წაეწია, იქითკენ წასულიყო, სადაც ლინის სახლი მდებარეობდა, ივლისის პაპანაქებას ხანძრის მხურვალება აძლიერებდა, სიცხის ბუღი აუტანელი

შეიქნა, ბოლი თვალებს სწვავდა, ფილტვებს ჰაერი არ ჰყოფნიდა. ის მცხოვრებნიც კი, რომელთაც იმედი ჰქონდათ, ცეცხლი მდინარეზე არ გადმოვაო და ადგილიდან ფეხის მოცვლას არ აპირებდნენ, ისინიც კი აიყარნენ. ვიწროობა ყოველ წამს მატულობდა. ვინიციუსის გამცილებელი პრეტორიელები ჩამორჩნენ, ვიღაცამ, ვინიციუსის ცხენს ჩაქუჩი ჩაარტყა, ცხენი აქეთ-იქით აქნევდა სისხლიან თავს, ყალყზე დგებოდა და მხედარს აღარ ემორჩილებოდა. ხალხმა იგი ავგუსტიანის მდიდრული ტურნიკით იცნო, წამსვე ატყდა ყვირილი: „სიკვდილი ნერონს და ცეცხლი წამკიდებლებს!“ მრისხანე საშიშროების წამი დადგა - ასობით ადამიანმა ვინიციუსისაკენ გაიწოდა ხელი, მაგრამ დამფრთხალმა ცხენმა იგი ბრბოს მოაშორა. ამ დროს ბოლის ახალი ტალღა წამოვიდა და ქუჩა მთლად დააბნელა. ვინიციუსმა დაინახა, რომ ცხენით ვერ გაივლიდა, ჩამოხდა და კედელ-კედელ გაიქცა, ხანაც შედგებოდა ხოლმე, რომ ბრბო გასცილებოდა. გულში თავის თავს ეუბნებოდა, ამაოდ ვწვალობო. შესაძლო იყო, ლიგია ქალაქიდან უკვე გასულიყო. ზღვის ნაპირას ნემსის ძებნა უფრო ადვილია, ვიდრე ამ არეულობაში და ქაოსში ვისიმე პოვნა, მაგრამ ვინიციუსს უნდოდა, თუნდა სიცოცხლე საფრთხეშიაც ჩაეგდო, ლინის სახლამდე მიეღწია. ხანდახან შედგებოდა და თვალებს იწმენდდა. ტუნიკას ნაჭერი მოახია, ცხვირსა და პირზე მიიფარა და ისე გაიქცა. რამდენიც მდინარეს უახლოვდებოდა, სიცხე იმდენად მატულობდა. ვიღაც ყავარჯნიანმა მოხუცმა დაუყვირა „ცესტიუსის ხიდს ნუ მიუახლოვდები - მთელი კუნძული ცეცხლშია გახვეული!“ მართლაც, მეტი წინ წასვლა აღარ შეიძლებოდა. Vicus Judaeorum-ის შესახვევზე, სადაც ლინის სახლი იდგა, ახალგაზრდა ტრიბუნმა დაინახა, როგორ ავარდა ალი ბოლის ღრუბლებში.

მარტო კუნძული კი არა, მდინარის გაღმა ნაწილი იწვოდა, იმ ქუჩის მეორე ბოლოც, სადაც ლიგია ცხოვრობდა.

ვინიციუსს ახსოვდა, რომ ლინის სახლს გარშემო ბაღი ჰქონდა შემორტყმული, იმის უკან კიდევ, ტიბრის მხარეზე, ცარიელი ველი იყო. ამ გახსენებამ იმედი გაუცხოველა. რაკი ცარიელ ადგილამდე მივიდოდა, ცეცხლი შედგებოდა. ამ იმედით ტრიბუნმა სირბილი განაგრძო, თუმცა ქარის ყველა დაბერვა არათუ ბოლს, არამედ ათასობით ნაპერწკლებს აყრიდა, ამ ნაპერწკლებს კი შეეძლო ქუჩის მეორე ბოლოშიაც ცეცხლი გაეჩინა და ვინიციუსისთვის გზა მოეჭრა.

ბოლში ლინის სახლის კვიპაროსები დაინახა. ცარიელი ველის იქით მდებარე სახლები უკვე კოცონებივით იწვოდნენ, მაგრამ ლინის მომცრო ინსულა ჯერ ცეცხლუხლებელი იყო. ვინიციუსმა მადლირებით შეხედა ცას და ნაბიჯს უმატა, თუმცა თვითონ ჰაერიც ცეცხლივით წვავდა. კარი მიხურული იყო, მაგრამ ვინიციუსმა ფეხი ჰკრა და ბაღში შევიდა.

ადამიანის ჭაჭანება არა ჩანდა. მთელი სახლი ცარიელი იყო.

„იქნებ ბოლისა და სიცხისაგან გული შეუღონდა“, - იფიქრა ვინიციუსმა და დაიძახა:

– ლიგია! ლიგია!

პასუხად ისევ სიჩუმე, რომელსაც მხოლოდ ჯოჯოხეთური ცეცხლის ტკაციტკუცი არღვევდა.

– ლიგია!

უცებ ისევ საზერელი ხმა ჩაესმა, ერთხელ რომ ამ ბაღში ჰქონდა მოსმენილი. უთუოდ მახლობელ კუნძულზე ცეცხლი წაეკიდა ვივარიუმს, ესკულაპიუსის ტაძარს ახლოს რომ იყო, მასში სხვადასხვა მხეცები იყვნენ მოთავსებულნი, მათ შორის ლომებიც. სწორედ ლომებმა დაიწყეს შიშისაგან ღრიალი. ვინიციუსს ტანში ჟრუანტელმა დაუარა. უკვე მეორედაა, ლიგიაზე ფიქრით გატაცებულს ეს საზარელი ხმა რომ ჩაესმის, ჩაესმის, როგორც უბედურების მაუწყებელი, როგორც ნიშანი ბედითი მომავლისა.

მაგრამ ის წამიერი შთაბეჭდილება იყო, რადგან ნადირთა ღრიალზე უფრო საშინელმა გრიალმა ვინიციუსი აიძულა, ფიქრი სხვაგან გადაეტანა. მართალია, ძახილზე ლიგია პასუხს არ აძლევდა, მაგრამ იქნებ იქ სადმე გულშეღონებული წევს ან ბოლმა დაახრჩო. ვინიციუსი სახლში შევარდა. პატარა ატრიუმი ცარიელი იყო. ბოლისაგან ბნელოდა. ხელის შეხებით კუბიკულუმის კარს მიაგნო და მბჟუტავი სინათლე შენიშნა. მიუახლოვდა მას, ლარარიუმი დაინახა, სადაც კოლოფების მაგიერ ჯვარი იდგა. ამ ჯვრის წინ

მბჟუტავი ლამპარი დაინახა. ელვის სისწრაფით მოიფიქრა, ჯვარი იმ ნათელს მიგზავნის, რის შემწეობით ლიგიას პოვნა შემიძლიაო. ლამპარს ხელი წაავლო

და პირველი კუბიკულუმის სინჯვა დაიწყო. შიგ არავინ იყო, ვინიციუსი კი დარწმუნებული იყო, რომ ლიგიას კუბიკულუმს მიაგნო, იმიტომ რომ კედელში ჩარჭობილ ლურსმანზე მისი ტანისამოსი ეკიდა, ლოგინზედაც capitnm-ი იდო - ვიწრო ჩასაცმელი, ქალები რომ პირდაპირ ტანზე იცვამდნენ. ვინიციუსმა ხელი წაავლო, აკოცა, მხარზე გადაიგდო და კვლავ ძებნას შეუდგა. სახლი პატარა იყო, ახალგაზრდა ტრიბუნმაც ჩქარა მიმოათვალიერა არათუ ოთახები, არამედ სარდაფებიც. ძე-ხორციელი ვერსად იპოვა. სრულებით აშკარა იყო, რომ ლიგია, ლინი და ურსუსი უბნის სხვა მცხოვრებლებთან ერთად თავის გადასარჩენად გაქცეულიყვნენ.

„ქალაქის კარს იქით ბრბოში უნდა მოვნახო“, - გაიფიქრა ვინიციუსმა. ძალიანაც არ გაკვირვებია, რომ Via Portnensis-ზე ვერ იპოვა. შეიძლება ვატიკანის ბორცვის მხრიდან გამოვიდნენ. ასე იყო თუ ისე, ცეცხლისაგან მაინც დაიფარეს თავი. მართალია, ვინიციუსმა იცოდა, რა მძიმე იქნებოდა მათი გაქცევა, მაგრამ ურსუსის არაადამიანური ღონის იმედი ჰქონდა. „ახლა აქედან უნდა გავიქცე და დომიციუსის ბაღებით აგრიპას ბაღებამდე მივაღწიო. იმათ იქ ვიპოვი, იქ ბოლიც ცოტაა, რადგან საბინის მთებიდან ქარი უბერავს“.

ჟამი დადგა, როდესაც თავის გადარჩენაზე უნდა ეფიქრა, რადგან ცეცხლის ტალღები თანდათან ახლოს მოედინებოდნენ. და ბოლის გუნდები თითქმის მთელ ქუჩას ავსებდნენ. ლამპარი ორპირი ქარისაგან გაქრა. ვინიციუსი ქუჩაში გამოვიდა და რაც კი ღონე ჰქონდა, Via Portuensis-კენ გაიქცა,

სწორედ იქითკენ, საიდანა მოვიდა, ხოლო ხანძარმა თავის ცეცლოვანი სუნთქვა თითქოს უკან დაადევნა. ხან ახალ-ახალ ბოლის ღრუბლებად ეხვეოდა გარს, ხან ნაპერწკლებს აყრიდა თმაზე, კისერსა და ტანისამოსზე. ტუნიკას რამდენიმე ალაგას დაეცა ნაპერწკალი, მაგრამ ვინიციუსი ყურადღებას არ აქცევდა და ისევ გარბოდა. ყელი და მკერდი ცეცხლივით ეწვოდა. სისხლი თავში ისე აუვარდა, რომ ხანდახან ყველა საგანს წითლად ხედავდა, თვითონ ბოლიც წითლად ეჩვენებოდა. გუნებაში ამბობდა: „მიჯობს

მიწაზე დავეცე და მოვკვდე!“ სირბილი თანდათან გაუძნელდა. თავზე, კისერსა და მხრებზე ოფლი დაასხა და ეს ოფლი მდუღარესავით წვავდა. თუ ლიგიას სახელი არა, რასაც წამისწამ გუნებაში იმეორებდა და თუ ქალის capitium-ი არა, პირზე რომ იფარებდა, დედამიწაზე დაეცემოდა. მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ ქუჩების ცნობის უნარი დაეკარგა, გონება თანდათან წაერთვა, მხოლოდ ისღა ახსოვდა, უნდა გავიქცე, რადგან გაშლილ მინდორზე ლიგია მელოდება, მოციქულმა პეტრემ რომ აღმითქვაო. უცებ რაღაც უცნაური, აღგზნებული ფიქრი დაეუფლა, თითქოს მომაკვდავია და სიკვდილის წინა ბურანშიაო - ლიგია უნდა ნახოს, ცოლად შეირთოს და მაშინვე მოკვდეს.

ახლა მთვრალივით მიბარბაცებდა. ამ დროს ცეცხლს, უზარმაზარ ქალაქს რომ შემოხვეოდა, რაღაც ცვლილება დაეტყო... ყველაფერმა, რაც აქამდის მხოლოდ ხრჩოლავდა, ზღვა ალად იფეთქა, ქარს ახალი ბოლი აღარ მოჰქონდა, ხოლო ვიწრო ქუჩებში დაგროვილი ბოლიც გახურებული ჰაერის ძლიერმა ტალღამ გაფანტა. ამ ტალღას ახლა მილიონობით ნაპერწკლები

მოჰქონდა, ისე, რომ ვინიციუსი თითქოს ცეცხლის ღრუბელს შუა მირბოდა. სამაგიეროდ, კარგად ხედავდა, წინ რაც იყო. სწორედ მაშინ, როცა დაცემას აღარაფერი უკლდა, თვალწინ ქუჩის ბოლო დაინახა. ამან ღონე შემატა. შემოუხვია და იმ ქუჩაზე გაჩნდა, რომელიც Via potuensis-სა და კოდეტანის მინდვრისკენ მიდიოდა. ნაპერწკლები დაესხნენ. მოისაზრა, თუ Via Portuensis-ამდე შევძლებ მირბენას, ცოცხალი გადავრჩები, თუნდაც იქ გული შემიღონდესო.

ქუჩის ბოლოს ღრუბლის მსგავსი რაღაც დაინახა, მას გასავალი ჩაეკეტა. „თუ ეს ბოლია, - იფიქრა ვინიციუსმა, - მაშ გავლას ვეღარ შევძლებ“. უკანასკნელი ღონე მოიკრიბა და გაიქცა. გზაში ტუნიკა გადააგდო, რადგან ზედ ბლომად დაყროდა ნაპერწკლები და უკვე ხრჩოლავდა. ახლა ლიგიას capitanium-ი თავს და ტუჩებზე მიიფარა. ახლოს რომ მივიდა, ნახა - რაც ბოლი ეგონა - მტვერი გამოდგა. საიდანღაც ადამიანების ხმები მოისმოდა.

„ბრბო ხალხს ძარცვავს“, - იფიქრა მან და მაინც იქითკენ გაიქცა. რაც უნდა იყოს, იქ ხალხია, შეიძლება დახმარება აღმომიჩინონო, და ამ იმედით, რაც კი ღონე ჰქონდა, გზაშივე ყვირილი დაიწყო. ეს მისი უკანასკნელი

ძალა იყო. ვინიციუსის თვალში ყველა საგანს წითელი ფერი დაედო, სუნთქვა შეუგუბდა, ღონე გამოეცალა და წაიქცა.

მისი ხმა მაინც გაიგონეს, უფრო კი, დაინახეს. ორი კაცი წყლის ჭურჭლით მის საშველად გაექანა.

ვინიციუსი გულშეღონებული არ იყო, დაქანცულობისაგან დაეცა. ჭურჭელს ორივე ხელი ჩასჭიდა და ნახევრამდის დალია.

– გმადლობთ, - უთხრა მან მშველელებს და ფეხზე წამოდგა, - ახლა მარტოკა წავალ.

მეორემ წყალი თავზე დაასხა და ორივემ არათუ წამოაყენეს ვინიციუსი, არამედ ხელში აიყვანეს და თავისიანებთან მიიყვანეს. ესენი გარს შემოეხვივნენ და გულდადებით გასინჯეს, ხომ არ დაშავებულაო. ამ მზრუნველობამ ვინიციუსი გააკვირვა.

– ვინა ხართ? - ჰკითხა მან.

– ჩვენ სახლებს ვაქცევთ, რომ ხანძარი ნავსადგურის გზამდე არ მივიდეს, - უპასუხა ერთ-ერთმა.

– თქვენ მე მომეშველენით, როცა დავეცი. გმადლობთ.

– ჩვენ ყველას უნდა ვუშველოთ, - გამოეპასუხნენ ვინიციუსს.

მაშინ ახალგაზრდა ტრიბუნმა, დილიდან რომ გამხეცებული ბრბოს ძარცვა-გლეჯის მეტი არა ნახა რა, ყურადღებით შეათვალიერა ისინი და წარმოთქვა:

– ქრისტემ მოგაგოთ სამაგიერო.

– დიდება მის სახელს! - უპასუხა მთელმა ჯგუფმა.

– ლინი?... - იკითხა ვინიციუსმა.

მეტის კითხვა ვეღარ შეძლო და პასუხი კი ვერ გაიგონა, რადგან ღელვისა და დაქანცვისაგან გული შეუღონდა. გონზე მხოლოდ კოდეტანის მინდორში მოვიდა. ბაღში იწვა ქალებითა და კაცებით გარშემოხვეული. პირველი სიტყვები, ძლივს რომ გამოთქვა, იყო:

– ლინი სად არის?

წუთით პასუხი არ იყო. შემდეგ ვინიციუსისათვის ნაცნობმა ხმამ თქვა:

– ნომენტანის კარს იქითაა; ამ ორი დღის წინ ოსტრანიუმში წავიდა... მშვიდობა შენდა, სპარსეთის მეფევ!

ვინიციუსი წამოდაგა და დაჯდა; მოულოდნელად ხილონი დაინახა.

ბერძენმა განაგრძო:

– შენი სახლი, ბატონო, უეჭველია, დაიწვა, რადგან კარინი ცეცხლშია გახვეული, მაგრამ შენ მუდამ მდიდარი იქნები, როგორც მიდასი. რა უბედურებაა! ძეო სერაპისისავ, ქრისტიანები დიდი ხანია ქალაქს ცეცხლში შთანთქმას უწინასწარმეტყველებდნენ. ლინი და იუპიტერის ასული ოსტრანიუმში არიან. ჰოი, რა უბედურება დაატყდა თავს ამ ქალაქს!

ვინიციუსი ხელახლა ცუდად შეიქნა.

– შენ ისინი ნახე? - იკითხა მან ბოლოს.

– ვნახე, ბატონო! ქრისტეს და ყველა ღმერთის მადლით, შენი წყალობის სამაგიერო კარგი ამბით შემიძლია გადაგიხადო. მაგრამ მე შენ, ოსირისო, კიდევ მოგაგებ სამაგიეროს. ვფიცავ ცეცხლმოდებულ რომს.

ღამდებოდა, მაგრამ ბაღში თითქოს დღეაო, ისეთი ნათელი იდგა, რადგან ხანძარი უფრო ძლიერდებოდა. ეტყობოდა, ცალკე ნაწილებს კი არ ეკიდა ცეცხლი, არამედ მთელ ქალაქს აღმადაღმა მოედო ხანძარი. სადამდეც კი თვალი სწვდებოდა, მთელი ცა წითლად იყო შეღებილი.

ნაწილი მესამე

თავი პირველი

შუქი ისე ფართოდ მოეფინა ცას, რომ ადამიანის თვალი ვერ სწვდებოდა მის საზღვარს. მთების იქიდან ბადრი მთვარე გამოჩნდა და უცებ გახურებული სპილენძის ფერი მიიღო, თითქოს ყოვლადშემძლებელი ქალაქის დაღუპვას გაკვირვებული უცქერისო. რომი უზარმაზარი კოცონივით ანათებდა მთელ კამპანიას. ხანძრის სისხლის ფერით გაშუქებული მოჩანდნენ შორს მდებარე ბორცვები, ქალაქები, ველები, ტაძრები, ძეგლები და აკვედუკები, მიდამო მთებიდან ქალაქისაკენ მსრბოლნი. აკვედუკებზე მრავალი ხალხი მოჩანდა, – ზოგი შიშს მოეყვანა აქ, ზოგსაც ხანძრის სეირის ცქერა უნდოდა.

ამასობაში საზარელი სტიქიონი ქალაქის ახალ-ახალ ნაწილებს ედებოდა. არავითარი ეჭვი არ იყო, რომ ცეცხლს ვიღაცის ბოროტი ხელი აჩაღებდა, რადგან ცეცხლი უმთავრესი კერიდან დაშორებულ ადგილებში წამდაუწუმ იფეთქებდა ხოლმე. რომის ბორცვებიდან ცეცხლის ალი ზღვის ტალღასავით ხუთ-ექვს სართულიანი სახლებით მჭიდროდ დასახლებულ დაბლობში ჩაცურდა და მოედო სახლებს, სხვადასხვა სანახაობების შენობებსა და საწყობებს. ზეთის, პურის, კაკლის, ფიჭვისა და ტანსაცმლის საწყობებს. ამ საწყობებიდან აძლევდნენ მარცვალს ღარიბებს, ხოლო აქაური ტანსაცმლით, თუ ხანდახან კეისრის ბრძანება იქნებოდა, ვიწრო ქუჩებში ბინადარი შიშველი ხალხი იმოსებოდა. აქ ხანძარი გაძლიერებისთვის დიდ მასალას პოულობდა, წამდაუწუმ

აფეთქება მოისმოდა და ცეცხლი არგაგონილი სიჩქარით ახალ-ახალ ქუჩებს ედებოდა. ქარის სიმძაფრე ხანდახან ცეცხლის უფსკრულიდან ათასობით და მილიონობით ნუშისა და კაკლის ნაჭუჭს ისროდა. ეს ნაჭუჭები ისე დაფრინავდნენ, როგორც უთვალავი ნათელი პეპლები, ჰაერში ტკაცუნით სკდებოდნენ, ან ქარს მიჰქონდა ახალ უბნებზე, წყალსადენებსა და ქალაქის გარშემო მდებარე მინდვრებზე. გადარჩენის ყველა იმედი სისულელედ მოჩანდა. არეულობა უფრო მატულობდა, რადგან, ერთი მხრივ, მოსახლეობა

ქალაქის კედლებს გარეთ გარბოდა, ხოლო მეორე მხრივ - ხანძარზე მიდამო პატარა ქალაქებიდან მრავალი ხალხი შეიკრიბა – მხვნელ-მთესველნი და ძარცვა-გლეჯის ოსტატები, კამპანიის ნახევრად ველური მწყემსები.

სულ ერთთავად გაისმოდა ძახილი: „რომი იღუპება!“ იმ დროს კი ქალაქის დაღუპვა მისი მფლობელობის დასასრულად იყო მიჩნეული. ბრბოს მეტწილად მონებისა და უცხოელთაგან რომ შედგებოდა, არ შეეძლო, რომის მფლობელობის დასასრული გულთან ახლო მიეტანა. სახელმწიფო გადატრიალებას შეეძლო მხოლოდ მონობიდან გაენთავისუფლებინა ისინი. რომი ტაძრებსა და კედლებს გარდა რამდენიმე ათეული ლეგიონის პატრონი იყო. ბრბოს ეს ავიწყდებოდა და მხოლოდ წინამძღოლსა და ნიშანს ელოდა. აქა-იქ სპარტაკის სახელიც გაიხსენეს, მაგრამ სპარტაკი არსად ჩანდა. მოქალაქენი ჯგუფ-ჯგუფად დაეწყვნენ და ვისაც რით შეეძლო, შეიარაღდნენ. უცნაური ხმები დადიოდა. ერთნი ირწმუნებოდნენ, ზევსის ბრძანებით ვულკანი ქალაქს ქვესკნელიდან ამოხეთქილი ცეცხლით მუსრს ავლებსო. სხვები ამბობდნენ – ეს

ვესტას შურისძიებააო, ვესტას მსახური ქალის რუბრიას სამაგიეროო. ასეთი აზრით გამსჭვალულ ხალხს არაფრის გადარჩენა არ სურდა. ტაძრებს მისდგომოდნენ და ღმერთებს წყალობას შესთხოვდნენ. უფრო ხშირად იმას იმეორებდნენ, რომის გადაწვა კეისარმა ბრძანა, რათა სუბურადან მობერილი სიმყრალისგან თავი დაეღწია, ახალი ქალაქი აეშენებინა და სახელად ნერონია შეერქვაო. ეს აზრი ხალხის სიშმაგეს იწვევდა და როგორც ვინიციუსი ფიქრობდა, წინამძღოლი რომ გამოჩენილიყო, ხალხის აღშფოთებას თავის სასარგებლოდ გამოიყენებდა და მაშინ ნერონის უკანასკნელი საათი რამდენიმე წლით ადრე დაკრავდა.

ამბობდნენ კეისარი ჭკუაზე შეცდაო, პრეტორიელებსა და გლადიატორებს უბრძანა, ხალხს თავს დაესხით და სულ მუსრი გაავლეთო. ზოგნი ღმერთებს იფიცავდნენ, ყველა ვივარიუმებიდან ნადირი გამოუშვეს ჟღალწვერას ბრძანებითაო. ირწმუნებოდნენ, ქუჩაში ვნახეთო ფაფარანთებული ლომები, გახელებული სპილოები და ჯიხვები ათობით ქელავდნენო ხალხს. ამაში სიმართლის ნატამალი იყო, ზოგან ხანძრის მოახლოებით დამფრთხალმა სპილოებმა ვივარიუმი დაანგრიეს. გარეთ გამოცვივდნენ, გაშმაგებით იქეთკენ გაექანნენ, საითაც ჯერ ცეცხლი არ იყო. გზა-გზა ყველა-

ფერს სპობდნენ. ათასობით დაიღუპა ცეცხლში ხალხიო, ამბობდნენ. მართლაც დიდძალი ხალხი დაიღუპა, ისეთებიც იყვნენ, რაკი ქონება და ძვირფასი ადამიანები დაკარგეს, სასოწარკვეთილნი თვითონვე ვარდებოდნენ ცეცხლში. ზოგიც ბოლმა დაახრჩო.

საერთო არეულობასა და სასოწარკვეთაში არავინ იცოდა, საით გაქცეულიყო. ქუჩები ავეჯით იყო სავსე, ხოლო ზოგ ადგილას მთლად ჩაეხერგათ გასასვლელები. იმათ, ვინც თავშესაფარი ბაზრებსა და მოედნებზე იშოვა ან დედამიწის ტაძრის გვერდზე, ლივიას პორტიკთან და მათ ზევით – იუნონასა და ლივიას ტაძრებთან, აგრეთვე Clivus Virbius-ის და ძველი ესკვილინუსის კარს შორის, ზღვა ცეცხლმა შემოარტყა ალყა და სიცხისაგან დაიღუპნენ. იქაც კი, სადაც ალი არ მისულა, შემდეგში დანახშირებული გვამები ასობით იპოვეს, თუმცა უბედურთ ქვის ფიქალები ამოეგლიჯათ და სანახევროდ მიწაში ჩაფლულიყვნენ, რათა სიცხისაგან თავი გადაერჩინათ. ქალაქში მცხოვრები არცერთი ოჯახი სრულად არ გადარჩენილა. ამიტომაც ყველა ჭიშკართან და ყველა გზაზე დედაკაცების სასოწარკვეთილი გოდება მოისმოდა, ყვიროდნენ ცეცხლში დამწვართა თუ ბრბოსგან გასრესილთა სახელებს.

უნახავთ მიხრწნილი მოხუცები, მხსნელი იუპიტერის ტაძრისაკენ ხელაპყრობილნი რომ გაიძახოდნენ: „თუ მხსნელი ხარ, დაიხსენ შენი საკურთხეველი და ქალაქი!“ მრისხანება უმთავრესად რომის ძველ ღმერთებს დააცხრა თავს. ხალხის აზრით ქალაქი ყველასხვა ღმერთზე უკეთესად იმათ უნდა დაეცვათ. ისინი უღონონი აღმოჩნდნენ, ამიტომაც შეურაცხყვეს, სამაგიეროდ, როდესაც Via Asinaria-ზე ეგვიპტის ქურუმთა პროცესია გამოჩნდა, რომლის წინაც Porta Caelimontana-ს ახლო მდებარე ტაძრიდან გამოტანილი ისიდას ქანდაკება მოჰქონდათ, ბრბო გამოეკიდა. ზოგნი ეტლში შეებნენ და კარამდე მიიტანეს ქანდაკება, იქ ხალხმა ქანდაკება

მოიტაცა, მარსის ტაძარში დააბინავა. ისიდას ქურუმები ქანდაკებას არ ანებებდნენ, ბრბომ ცემით დახოცა ისინი. აქა-იქ მოხუცნი, ვაჟკაცნი, დედაკაცები და ყმაწვილები ძველ სადღესასწაულო სიმღერებს გალობდნენ, რომელთა შინაარსის გაგება აღარავის შეეძლო, ამ გალობაში წამდაუწუმ იმეორებდნენ : „აჰა მსაჯული მომავალი დღესა რისხვისა და სიკვდილით დასჯისა“.

საშველი მაინც არა ჩანდა: სულ ამაო იყო სასოწარკვეთილება, ღვთის გმობა, ჰიმნები დაღუპვა აუცილებელი და შეუბრალებელი ჩანდა, ვით ბედისწერა. პომპეუსის ამფითეატრის გვერდით ცეცხლი კანაფისა და თოკის საწყობებს წაეკიდა. ეს მასალა მრავლად სჭირდებოდა ცირკებს, ასპარეზებსა და ყოველგვარ მანქანებს, რანიც წარმოდგენის დროს იყვნენ საჭირონი. იმავე დროს მეზობლად მდგარი ფისის ფარდულები აენთო. ეს ფისი თოკებისათვის იყო დანიშნული. რამდენიმე საათის განმავლობაში მარსის ველის იქით მდებარე ადგილები ისეთ ღია ყვითლად ანათებდა, რომ შიშისგან გონებადაკარგულ ხალხს ეჩვენებოდა, საერთო მოსვრის ჟამს დღისა და ღამის რიგიც შეიცვალა და მზის სინათლეს ვხედავთო. შემდეგ კი ერთიანმა სისხლის ფერმა ყველა სხვა ფერი დასჯაბნა. ცეცხის ზღვიდან ცისაკენ აღმართული გაშმაგებული ალი უზარმაზარ შადრევნებსა და სვეტებს ისროდა, მაღლა ცეცხლის ფოჩებად იშლებოდა, ხოლო ქარს ნაპერწკლების ეს ოქროვანი ძაფები ალბანის მთამდე მიჰქონდა. ღამე უფრო და უფრო განათდა. უბედური ქალაქი ჯოჯოხეთად გადაიქცა. ხანძარი ახალ-ახალ ადგილებს მოედო, ბორცვები დაიპყრო, დაბლობებს მოეფინა, ღელეები გადაქელა. მძვინვარებდა, სისინებდა, გრიალებდა ცეცხლი.

თავი მეორე

ფეიქარმა მაკრინუსმა, ვის სახლშიაც ვინიციუსი მოიტანეს, გაბანა იგი, ტანისამოსი მისცა და აჭამა. ახალგაზრდა ტრიბუნი მთლად მოსულიერდა და განაცხადა, ამ ღამესვე ლიგიას ძებნას შევუდგებიო. მაკრინუსმა – ის ქრისტიანი იყო – ხილონის ნათქვამი დაამოწმა, ლინი უფროს პრესვიტერ კლემენტისთან ერთად ოსტრანიუმში წავიდა, სადაც პეტრეს მრავალი მოქცეული უნდა მოენათლაო. იცოდნენ, რომ ორი დღის წინ თავისი სახლის მეთვალყურეობა ვინმე გაიუსს ჩააბარა. ვინიციუსისათვის ეს იმისი დამამტკიცებელი იყო, რომ არც ლიგია, არც ურსუსი შინ არ დარჩენილან, ისინიც ოსტრანიუმში წასულან.

ამ აზრმა თითქმის დაამშვიდა. ლინი მოხუცი კაცია, მისთვის ძნელია ყოველდღე ტიბრს გამოღმიდან ოსტრანიუმში სიარული, ამიტომაც, უეჭველია რამდენიმე დღით ვინმე ერთმორწმუნესთან გადაბარგდა ქალაქის კედელგარეთ, მას ალბათ ლიგია და ურსუსიც გაჰყვენენ. ამგვარად, ისინი ხანძარს

ასცდნენ, რაკი ცეცხლი ესკვილინუსის იქითა კალთაზე არ გადასულა. ვინიციუსმა ყველა ამაში ქრისტეს ნება დაინახა. იგრძნო, უფალი მფარველობსო და ახლა უფრო ძლიერი, ვიდრე როდისმე, სიყვარულით აღსავსე გულით გონებაში დაუფიცა, მთელი ჩემი სიცოცხლე სამაგიეროდ გემსახურებიო.

ოსტრანიუმში წასვლას ამიტომაც უფრო ეშურებოდა. იპოვის ლიგიას, ლინსა და პეტრეს. მერე იქაურობას მოაშორებს, ერთ-ერთ მამულში წაიყვანს მათ, თუნდა სიცილიაში. რომი იწვის, რამდენიმე დღის შემდეგ მისგან ნანგრევების გროვა დარჩება. აქ რიღასთვის უნდა დარჩნენ უბედურთა და განწირულთა შორის? იქ გარშემოხვეულნი იქნებიან მონებით და სოფლის სიმყუდროვით. პეტრესაგან დალოცვილნი, ქრისტეს მცნებას შეაფარებენ თავს... ნეტავ იპოვოს ისინი.

მაგრამ მათი პოვნა ადვილი არ იყო. ვინიციუსს ახსოვდა, Via Appia-დან გზა რა გაჭირვებით გამოიარა და რამდენი მიხვევ-მოხვევა დასჭირდებოდა, რომ ნავსადგურის გზამდე მისულიყო. ამიტომ გადაწყვიტა, ქალაქისთვის ახლა მეორე მხრივ შემოეარა. ტრიუმფალური გზით მდინარის ნაპირ-ნაპირ მიმავალს შეეძლო ემილიუსის ხიდამდე მისულიყო, იქიდან პინციუმის გზას აუქცევდა, მარსის ველს ჩაჰყვებოდა პომპეუსის, ლუკულუსისა და სალუსტიუსის ბაღების გასწვრივ და Via Nomentana-ზე გავიდოდა. ეს უფრო მოკლე გზა იყო, მაგრამ არც მაკრინუსი და არც ხილონი ამ გზით წასვლას არ ურჩევდნენ. მართალია, ცეცხლი ქალაქის იმ ნაწილს ჯერ არ მოსდებოდა, მაგრამ ყველა ბაზარი და ქუჩა შესაძლოა ხალხითა და ბარგით სავსე ყოფილიყო. ხილონი ურჩევდა Ager Vaticanus-ზე წასულიყო Porta Flaminia-მდე, იქ მდინარე გადაელახა და კედლის გარეთა მხრის გასწვრივ გზა Porta Salaria-სკენ განეგრძო. ვინიციუსი წამიერი ყოყმანის შემდეგ იმათ რჩევას დაადგა.

მაკრინუსი სახლის სადარაჯოდ დარჩა, ორი ჯორი იშოვა, ლიგიას მგზავრობისთვის გამოგადგებაო.

რამდენიმე წამს შემდეგ ვინიციუსმა და ხილონმა Pagus Jan Culensis-ი გაიარეს და ტრიუმფალური თაღისაკენ მიმავალ გზას დაადგნენ. აქაც ცარიელ ადგილებზე ბანაკები იყო გამართული, მაგრამ მათ შუა გავლა ურო ადვილი იყო, რადგან მცხოვრებთა მეტი წილი ნავსადგურის გზით ზღვისკენ

გაიქცა. სეპტიმანას კარიდან გზა მდინარესა და დომიციუსის მშვენიერ ბაღებს შუა მიდიოდა; ამ ბაღების დიდრონი კვიპაროსები ხანძრისაგან დაისივით იყვნენ განათებულნი. გზა თანდათან უფრო თავისუფალი ხდებოდა, მხოლოდ ხანდახან ვინიციუსს ქალაქში მიმავალ გლეხებთან ბრძოლა უხდებოდა. ვინიციუსი, რაც კი შეეძლო, აჩქარებდა ჯორს, ხოლო ხილონი უკან მისდევდა და სულ თავის თავს ესაუბრებოდა:

– აი, ახლა ხანძარი უკან მოგვექცა და ზურგს გვიხურებს. ამ გზაზე ღამით ასეთი სინათლე ჯერ არასოდეს არ ყოფილა. ჰოი, ზევსო! თუ შენ ამ ხანძარს ნიაღვარი არ მოუვლინე, ჩანს, რომი არა გყვარებია. ამ ცეცხლს ადამიანის ძალა ვერ ჩააქრობს.

ხანდახან ხანძრისკენ მიბრუნდებოდა და ცეცხლის ზღვას უცქეროდა ბოროტი და თანაც მოხარული სახით. შემდეგ განაგრძო:

– იღუპება! იღუპება! აღიგვება პირისაგან მიწისა. ახლა სადღა გაგზავნის ქვეყნიერება თავის პურს, ზეთსა და ფულს? ვინღა გამოსწურავს მას ოქროსა და ცრემლებს? მარმარილო არ იწვის, მაგრამ ცეცხლში იმსხვრევა. კაპიტოლიუმი და პალატინიც ნანგრევებად გადაიქცევა.

– დაუჩქარე! – დაუძახა ვინიციუსმა, – რატომ შეყოვნდი?

– რომს დავტირი, ბატონო, – უპასუხა ხილონმა, – იუპიტერის ქალაქს!...

ორივენი ჩუმად მიდიოდნენ, თან ცეცხლის სისინს და ფრინველთ ფრთების ფრთხიალს ყურს მიუპყრობდნენ. ვილებსა და კამპანიის პატარა ქალაქებში მრავლად იცოდა მტრედები. იმათაც და მინდვრის სხვა ფრინველებსაც ხანძრის ალი მზის სინათლედ ეჩვენებოდათ და ცეცხლისაკენ მიფრინავდნენ.

დუმილი ვინიციუსმა დაარღვია:

– სად იყავი, ხანძარმა რომ იფეთქა?

– მე ჩემს მეგობარ ევრიციუსთან მივდიოდი, ბატონო, დიდ ცირკთან დუქანი აქვს – და ქრისტეს

მოძღვრებაზე ვფიქრობდი, როდესაც ყვირილი შემომესმა „ხანძარიო!“ ხალხი ცირკთა შეგროვდა, რათა თავისთის ეშველა, თუმცა ცნობისმოყვარეობამაც მოიყვანა აქ, მაგრამ როდესაც მთელი ცირკი ალმა მოიცვა და იმას გარდა სხვაგანაც გაჩნდა ცეცხლი, მაშინ საჭირო გახდა, საკუთარი თავის გადარჩენაზე მეფიქრა.

– ხალხი ნახე, ჩირაღდნებს რომ სახლებში ყრიდა?

– რა არა ვნახე, ენეასის შვილიშვილო! მე ვნახე ხალხი, ბნელში რომ მახვილით გზას იკაფავდა, ვნახე ცემა-ტყეპა და ფეხით გასრესილი ადამიანის გულ-მუცელი. ვაჰ, ბატონო, შენ რომ ესენი გენახა, იფიქრებდი, ქალაქი ბარბაროსებს აუღიათ და ჟლეტა გაუმართავთო! ჩემ გარშემო ხალხი ყვიროდა, ქვეყნის დასასრული დადგაო. ზოგმა გონება მთლად დაკარგა, გაქცევას თავი დაანება და გაშმაგებული იცდიდა, ალი როდის მომედებაო. ზოგი ჭკუაზე შეცდა, ზოგი სასოწარკვეთილი ბღაოდა, მაგრამ ისეთებიც ვნახე, რომელნიც სიხარულით გაჰკიოდნენ, რადგან, ჰოი, ბატონო, ქვეყანაზე ბოროტი ადამიანი ბევრია, რომელთაც ვერ დაუფასებიათ თქვენი სიკეთე, თქვენი ლმობიერი მმართველობა და სამართლიანი კანონები, რის ძალით თქვენ ყველას ყველაფერს ართმევთ და ისაკუთრებთ. ხალხმა არ იცის, როგორ დაჰყვეს ღმერთების ნებას.

ვინიციუსი ფიქრში იყო ჩაფლული, ამიტომაც ხილონის სიტყვებში დაცინვა ვერ შენიშნა. როცა

გაიფიქრა, შეიძლება ლიგია იმ ხალხის ბრბოში ჩავარდა, იმ საშინელ ქუჩებში აღმოჩნდა, სადაც ადამიანის გულ-მუცელი ეყარა და ფეხით თელავდნენო, თავზარი დაეცა და თუმცა ახალგაზრდა ტრიბუნმა ათჯერაც ჰკითხა ხილონს, რა ნახეო, ახლა კიდევ მიუბრუნდა:

– შენ ისინი ოსტრანიუმში საკუთარი თვალით ნახე?

– ვნახე, ძეო ვენერასავ, ვნახე ქალი, კეთილი ლიგიელი, წმიდანი ლინი და მოციქული პეტრე.

– ხანძრის წინ?

– ხანძრის წინ.

ვინიციუსს გულში ეჭვი დაებადა, ხილონი ხომ არა ტყუისო, ჯორი შეაყენა და ბებერ ბერძენს მკაცრად შეხედა.

– იქ რას აკეთებდი?

ხილონი აირია. მართალია, იმას, როგორც ხალხის უმეტეს ნაწილს, ეგონა, რომის დაღუპვით რომის ბატონობასაც ბოლო მოეღებაო, მაინც ამჯერობაზე ვინიციუსის პირდაპირ იდგა და

მოაგონდა, რომ პატრიცი დაემუქრა და ქრისტიანების თვალყურის დევნება და მეტადრე ლინისა და ლიგიას თვალთვალი აუკრძალა.

– ბატონო, – უთხრა ხილონმა, – რატომ არა გჯერა, რომ ისინი მიყვარან. დიახ ოსტრანიუმში ვიყავ იმიტომ, რომ მე სანახევროდ ქრისტიანი ვარ. პირონმა მასწავლა, სათნოებას ფილოსოფიაზე მეტი ფასი დაადეო, და მეც სათნო ხალხს ვეტმასნები. ამასთან, ჰოი, ბატონო, ღარიბი ვარ და ვიდრე შენ, იუპიტერო, ანციუმში იყავ, რამდენჯერმე მშიერ-მწყურვალს კინაღამ წიგნის კითხვაში არ ამომხდა სული. ხშირად ოსტრანიუმის კედელთან გამოვსულვარ და დავმჯდარვარ, რადგან ქრისტიანები, თუმცა თვითონაც ღარიბები არიან, მაინც მოწყალებას ყველა რომაელზე მეტს არიგებენ.

ვინიციუსს ნათქვამი საბუთიანი ეჩვენა და ნაკლები სიმკაცრით ჰკითხა:

– არ იცი, სად დასახლდა ლინი დროებით?

– ერთხელ არ იყო, ცნობისმოყვარეობისთვის მაგრად რომ გამროზეგე?

ვინიციუსი დაჩუმდა და გზა განაგრძეს. ერთი წუთიცა და ბერძენი ისევ ალაპარაკდა.

– ბატონო, თუ მე არ ვყოფილიყავ, შენ ქალს ვერ იპოვიდი, და თუ ახლაც ვიპოვეთ, ღარიბ ბერძენს არ დაივიწყებ?

– შენ მიიღებ ამერიოლასთან სახლს და ვენახს, – მიუგო ვინიციუსმა.

– გმადლობ, ჰერკულესო! ვენახიო! გმადლობ! რა თქმა უნდა, ვენახი!

ახლა ვატიკანის ბორცვს გვერდზე აუარეს, იგი ხანძრის შუქით იყო განათებული, ნავმახიის იქით მარჯვნივ შეუხვიეს, რომ ვატიკანის მინდორი გადაეჭრათ, მდინარეს მიახლოებულიყვნენ, გადაელახათ იგი და Porta Flaminia-მდე მიეღწიათ. უცებ ხილონმა ჯორი შეაყენა და ვინიციუსს უთხრა:

– ბატონო, კარგი აზრი მომივიდა.

– აბა, თქვი, – მიუგო პატრიციმ.

– იანიკულუმისა და ვატიკანის ბორცვებს შუა, აგრიპას ბაღებს უკან მიწის ქვეშ ჯურღმულებია, საიდანაც ნერონის ცირკისათვის ქვასა და ქვიშას იღებდნენ. მომისმინე, ბატონო, უკანასკნელ

დროს ებრაელებმა, ტიბრს გაღმა ბევრნი რომ არიან, დიდი დევნა დაუწყეს ქრისტიანებს. ეს მე ვიცი, თვითონ მინახავს! ჯერ ქრისტიანების წინააღმდეგ არავითარი ედიქტი არ არის გამოცემული, ებრაელები კი მათ ქალაქის პრეფექტთან აბეზღებენ, ბავშვებს კლავენ, ვირს სცემენ თაყვანს და სენატისათვის არასასურველ რჯულს ქადაგებენო. ებრაელები სცემენ ქრისტიანებს, თავს ესხმიან მათ სამლოცველოებს. ქრისტიანებიც იძულებულნი არიან, დაიმალონ.

– მაგითი რა გინდა თქვა? – ჰკითხა ვინიციუსმა.

– ისა, რომა ქრისტიანები დევნის თავიდან ასაცილებლად მალვით უნდა ლოცულობდნენ, ამიტომაც ქალაქგარეთ მიტოვებულ ფარდულებსა თუ არენარიებში გროვდებიან. ახლა, როდესაც ქალაქი იღუპება, ქრისტეს მორწმუნენი, უეჭველია, იქ ლოცულობენ. ჩვენ მიწის ქვეშეთში მრავალს ვნახავთ. ამიტომ გირჩევ, ბატონო, იქით შეუხვიო.

– შენ არა თქვი, ლინი ოსტრანიუმში წავიდაო? – მოუთმენლად დაუყვირა ვინიციუსმა.

– შენც სახლსა და ვენახს დამპირდი ამერიოლასთან, – მიუგო ხილონმა, – მეც მინდა, ყველგან მოვძებნო ქალი, საცა კი მისი პოვნის იმედი მაქვს. ხანძარი რომ დაიწყო, შესაძლოა ტიბრს გაღმა უბნებში დაბრუნდნენ. იმათ შეეძლოთ ქალაქისათვის ისე შემოეარნათ, როგორც ახლა მათ ჩვენ

ვუვლით. ლინს სახლი აქვს, იქნება სახლის ახლო ყოფნა მოინდომა, რომ ენახა, იქაურობასაც ხომ არ მოედო ცეცხლი. თუ ისინი დაბრუნდნენ, მაშინ, ბატონო, პერსეფონეს გეფიცები, ჩვენ იმათ მიწისქვეშა ჯურღმულში ვიპოვით, თუ არადა, ის მაინც იქნება, მათ ამბავს გავიგებთ.

– მართალს ამბობ, წავიდეთ, – უთხრა ტრიბუნმა.

ხილონი არ დაფიქრებულა, მარცხნივ, ბორცვისკენ შეუხვია. ბორცვი წამით ცეცხლმოდებულ ქალაქს გადაეფარა ისე, რომ თუმცა მახლობელი სიმაღლეები განათებულნი იყვნენ, მაინც ვინიციუსი და მისი თანამგზავრი ჩრდილში დარჩნენ. ცირკს რომ გაშორდნენ, მარცხნივ შეუხვიეს და ხეობაში შევიდნენ, სადაც მთლად ბნელოდა, მაგრამ ამ სიბნელეშიაც ვინიციუსმა ასობით მბჟუტავი ფარანი დაინახა.

– აი, ისინი! – თქვა ხილონმა, – დღეს მეტნი იქნებიან, ვიდრე როდისმე, რადგან სამლოცველო სახლები დაეწვათ ან ბოლით ამოევსოთ.

– ჰო, გალობა მესმის, – მიუგო ვინიციუსმა.

მართლაც ბორცვში გამოჭრილი ბნელი ხვრელიდან ადამიანების ხმა გამოდიოდა, ხოლო

ფარნები ერთიმეორეს ეფარებოდნენ. აქეთ-იქით მდებარე ხეობებიდან ახალ-ახალი ხალხი მოდიოდა, ისე რომ ვინიციუსი და ხილონი მალე შუაგულ ხალხში აღმოჩნდნენ.

ხილონი ჯორიდან გადმოხდა, გვერდზე ჩავლილი ვიღაც ბიჭი მოიხმო და უთხრა:

– მე ქრისტეს მსახური ვარ და ეპისკოპოსი, ჩვენს ჯორებს მიხედე, სამაგიეროდ, ჩემგან დალოცვას და ცოდვების მიტევებას მიიღებ.

და პასუხი არ დააცალა, ჯორების სადავეები ხელში ჩაუდო, ხოლო თვითონ და ვინიციუსმა გზა განაგრძეს.

მიწის ქვეშ შევიდნენ. ფარნების ბუნდ სინათლეში ბნელ ტალანს მიაშურეს, ბოლოს განიერ მღვიმემდე მიაღწიეს. ეტყობოდა, ახლახან აქედან კარგა ბლომად ქვები წაეღოთ.

მღვიმეში უფრო იყო სინათლე, ვიდრე ტალანში. აქ ფარნებს გარდა ჩირაღდნებიც ენთო. მათ სინათლეზე ვინიციუსმა მუხლმოდრეკილი ხალხი დაინახა, ზეცაში ხელაპყრობილნი. ვერც ლიგია შენიშნა სადმე, ვერც მოციქული პეტრე, ვერც ლინი. სამაგიეროდ, გარშემო აღტყინებული და აღგზნებული ხალხი შენიშნა. ჩანდა, რომ წამისწამ რაღაც არაჩვეულებრივის მოლოდინში იყვნენ.

უცებ გალობა შეწყდა და მღვიმეში თახჩის მსგავს ბაქანზე ვინიციუსის ნაცნობი კრისპი გამოვიდა. სახე გაოგნებული, გაფითრებული და დაღვრემილი ჰქონდა. ყველამ იმას მიხედა, თითქოს მისგან გამხნევებისა და იმედის სიტყვას ელოდნენ. იმან კი შეკრებილთ ჯვარი გადასწერა და აჩქარებით დაიწყო ლაპარაკი, ისე ხმამაღლა, რომ ყვირილს აღარაფერი უკლდა.

– მოინანიეთ თქვენი ცოდვები, ვინაიდან თქვენმა საათმა დაკრა, ვინაიდან დანაშაულისა და გარყვნილების ქალაქს, ახალ ბაბილონს უფალმა მომმუსვრელი ცეცხლი მოუვლინა. დაჰკრა განკითხვის, რისხვისა და უბედურების ჟამმა. უფალმა წინადვე გვაუწყა თვისი მოსვლა და მალეცა ვნახავთ მას. მაგრამ იგი აღარ მოვა ვითა კრავი, თქვენთა ცოდვათათვის ჯვარცმული. მოვა, ვითა მკაცრი მსაჯული და თვისი მართლმსაჯულებით უფსკრულში გადაუძახებს ცოდვილთა და ურწმუნოთა. ვაი ქვეყანასა და ვაი ცოდვილთა, არა ეღირსოთ შეწყნარება. მე გხედავ შენ, ქრისტეო!

დაჩუმდა, თავი მაღლა აიღო, თითქოს რაღაც შორეულსა და საშიშარს აცქერდებოდა. ამ დროს მიწისქვეშეთში ყრუ გრუხუნი გაისმა – ერთხელ, ორჯერ, ათჯერ. სახლებმა იწყეს ნგრევა. მაგრამ ქრისტიანების მეტმა ნაწილმა ეს ხმაურობა ნიშნად მიიღო. იფიქრეს, საშინელი ჟამი დგებაო. ქრისტეს მეორედ მოსვლის რწმენა უიმისოდაც გავრცელდა, ახლა ხომ ხანძრის გავლენით უფრო გაძლიერდა. შეკრებილნი ძრწოლამ მოიცვა. ბევრმა დაიყვირა: „განკითხვის დღე ახლოვდება“.

ზოგი ხელებს სახეზე იფარებდა შიშით, აი, საცაა დედამიწა შეინძრევა, მისი წიაღიდან ჯოჯოხეთის ურჩხულები ამოვლენ და ცოდვილთ მივარდებიანო. ზოგი ყვიროდა: „ქრისტეო, შეგვიბრალე! მაცხოვარო, შეგვინდე!“ ზოგნიც ხმამაღლა აღიარებდნენ თავიანთ ცოდვებს, სხვები კიდევ ერთმანეთს ეხვეოდნენ, რათა საშინელ წუთს ერთად შეხვედროდნენ.

მაგრამ ისეთებიც იყვნენ, რომელთა სახე – თითქოს უკვე ცაში არიანო – არამიწიერი ღიმილით ჰქონდათ მოფენილი და შიშსაც არ გრძნობდნენ. აქა-იქ სევდიანი კივილიც გაისმოდა. მაგრამ ყველას ხმას კრისპის ძახილი აყრუებდა: „იფხიზლეთ, იფხიზლეთ!“

დროდადრო კრისპი წამოიწყებდა: „უარყავით მიწიერი საუნჯე, ვინაიდან მალე თქვენ ფერხთა ქვეშე დედამიწა აღარ იქნება. უარყავით მიწიერი სიყვარული, ვინაიდან უფალი მათ დაღუპვას განუჩინებს, ვისაც ცოლი და შვილები ქრისტეზე მეტად უყვარდა! ვაი მას, ვინაც ქმნილება შემოქმედზე მეტად შეიყვარა! ვაი ძლიერთა! ვაი გაუმაძღართა! ვაი მემრუშეთ! ვაი ქმარს, ცოლს და ყმას!“

უცებ მთელი მღვიმე საშინელმა ჭექამ შეარყია, ყველანი მუხლებზე დაეცნენ, გულზე ხელები დაიკრიფეს, რათა ამით ბოროტ სულთაგან თავი დაეფარათ. სიჩუმე ჩამოვარდა, მხოლოდ აჩქარებული სუნთქვა ისმოდა. ისმოდა შიშით სავსე ჩურჩული: „იესო! იესო! იესო!“ და ბავშვების ტირილი. უცებ მიწაზე გართხმულ ხალხს ვიღაცის დამშვიდებული ხმა ჩაესმა:

– მშვიდობა თქვენდა!

ეს ხმა მოციქულ პეტრეს ხმა იყო. ის იყო, მღვიმეში შევიდა. მისი ხმის გაგონებაზე წუთშივე გაქრა შიში, როგორც ცხვრის ფარას გაამხნევებს მწყემსის მოსვლა. ხალხი მიწიდან წამოდგა. ვინც მოციქულის ახლოს იყო, მუხლებზე მოეხვია, თითქოს მის ფრთათა ქვეშე თავშესაფარს ეძებსო. ხოლო პეტრემ ხელები განაპყრო და ლაპარაკი დაიწყო:

– რაისად შეძრწუნებულა გული თქვენი? ვინ თქვენგანს შეუძლია გამოიცნოს, თუ რა მოუხდება, როდის დაკრავს მისი ჟამი? უფალმა ცეცხლი მოუვლინა ბაბილონს, ხოლო თქვენ, რომელნი ნათლისღებამ განბანა და რომელთა ცოდვანი კრავის სისხლმა გამოიხსნა, მოწყალე გექმნათ. თქვენ ბაგეთა ზედა მისი სახელით მოკვდებით. იყოსმცა მშვიდობა თქვენზე!

კრისპის მკაცრი და ულმობელი სიტყვების შემდეგ პეტრეს სიტყვები დამსწრეთა გულებს მკურნალ მალამოსავით დაედო. ღვთის შიშის მაგიერ

ყველას გულში ღვთის სიყვარულმა დაისადგურა. ქრისტე ისეთად დაესახათ, როგორიც ყველას უყვარდა, როგორსაც მოციქულები უხატავდნენ, არა ულმობელ მსაჯულად, არამედ მშვიდ და სულგრძელ კრავად, რომლის წყალობა ადამიანის ბოროტებას ასგზის აღემატებოდა. ყველა მლოცველმა შვება იგრძნო და მოციქულისადმი მადლიერებასთან ერთად ყველას გული იმედმა მოიცვა. სხვადასხვა მხრიდან მოისმოდა: „ ჩვენ

შენი ცხოვარნი ვართ. მოგვიარე, ნუ მიგვატოვებ დღესა განკითხვისასა“. ხალხი მის წინ იჩოქებდა. ვინიციუსიც მოციქულს მიუახლოვდა, მისი მოსასხამის კალთას ხელი წაავლო, თავი დახარა და უთხრა:

– მიხსენ მე, ბატონო! მე იგი ხანძრის ბოლში ვძებნე, ბრბოშიაც ვძებნე, მაინც ვერსად ვიპოვე; მე მწამს, ძალგიძს იგი დამიბრუნო.

პეტრემ თავზე ხელი დაადო.

– გწამდეს და თან წამომყევ.

თავი მესამე

ქალაქი მაინც იწვოდა. დიდი ცირკი ნანგრევებად იქცა. რა უბნებშიაც ცეცხლი პირველად გაჩნდა, მთელი ქუჩები და შესახვევები ინგრეოდნენ. ქარმა მიმართულება იცვალა და ახლა საშინელი ძალით ზღვის მხრიდან ქროდა და ცელიუმს, ესკვილინუსსა და ვინიმალს ცეცხლის ტალღებს, ნაკვერცხალსა და მუგუზლებს აყრიდა. ბოლოს ხელისუფალთ მოაფიქრდათ ქალაქის გადარჩენა. ტიგელინუსის ბრძანებით (უკვე სამი დღის ჩამოსული იყო რომში) ესკვილინუსში სახლების ნგრევა დაიწყეს, რათა ცარიელ ადგილზე მისული ცეცხლი თავისთავად ჩამქრალიყო. მაგრამ ეს უძლური საშუალება იყო, მარტო ქალაქის სხვა ნაწილებს გადაარჩენდნენ, თორემ რაც იწვოდა, მისი გადარჩენის ფიქრიც არ შეიძლებოდა. ამას გარდა საჭირო იყო, კვლავ მოსალოდნელი უბედურების წინააღმდეგ ღონისძიება მიეღოთ. რომთან ერთად აუარებელი სიმდიდრე დაიღუპა, მის მცხოვრებთა მთელი ქონება დაინთქა, ისე რომ ქალაქის კედლებთან ახლა ასიათასობით მთლად უპოვარი ხალხი ბოგანობდა.

შიმშილმა ბრბოს მეორე დღესვე უყივლა. ქალაქში დაზვინული დიდძალი სურსათი ერთიანად იწვოდა, ხოლო საერთო ალიაქოთისა და ხელისუფალთა უმოქმედობის გამო ახლის მოტანას არავინ ფიქრობდა. მხოლოდ

ტიგელინუსის მოსვლისას ოსტიაში შესაფერი განკარგულება გაიგზავნა, და მანამ რამე იქნებოდა, ხალხი უფრო და უფრო გამძვინვარდა.

Aqua Appia-ს გვერდზე მდებარე სახლს, სადაც ტიგელინუსი დროებით დასახლდა, დედაკაცები ასობით ეხვეოდნენ გარს და დილიდან გვიან ღამემდე გაჰყვიროდნენ: „პური და თავშესაფარი!“.

Via Salaria-სა და Nomentana-ს შუა მდებარე დიდი ბანაკიდან გამოწვეული პრეტორიელები ამაოდ ცდილობდნენ, რაიმე წესრიგი აღედგინათ, ყველგან იარაღით უწევდნენ წინააღმდეგობას, ანდა უიარაღო ბრბო ცეცხლ მოდებულ ქალაქს უთითებდა და ყვიროდა: „ამ ცეცხლის სინათლეზე დაგვხოცეთ!“ ხალხი შეჩვენებას უთვლიდა კეისარს, ავგუსტიანებს, პრეტორიელ ჯარისკაცებს; აღშფოთება ყოველ წამს იზრდებოდა, ისე რომ, ღამე ქალაქს გარშემო ათასობით ანთებული კოცონის შემხედვარე ტიგელინუსი გუნებაში ამბობდა, ეს მტრის ბანაკის კოცონებიაო. მისი განკარგულებით ფქვილს გარდა ბლომად გამომცხვარი პური მოიტანეს არა მარტო ოსტიიდან, არამედ ყველა გარშემო ქალაქიდან და სოფლიდან. როცა პირველი პური მოვიდა, ხალხი თავს დაეცა და წამში გააქრო. საშინელი უწესრიგობა დაიწყო. ხანძრის შუქის სინათლეზე თითო გამომცხვარ პურზე საშინელი ჩხუბი იწყებოდა და ამ დროს ასობით პურს კი მიწაზე ფეხით ქელავდნენ. პურის ბეღლებიდან დაწყებული დრუზუსისა და გერმანიკუსის თაღებამდე დაგლეჯილი ტომრებიდან დაპნეული ფქვილი მთელ გზაზე თოვლივით იყო მოდებული, აურზაური და მღელვარება იქამდე არ დაცხრა, ვიდრე ჯარისკაცები ყველა შენობებს გარს არ შემოერტყნენ და ხალხი ძალით არ გარეკეს.

გალების შემოსევის შემდეგ, ბრენის სარდლობით რომ მოხდა, რომს ასეთი უბედურება აღარ ენახა. სასოწარკვეთილი ხალხი ამ ორ ხანძარს ერთმანეთს ადარებდა. მაშინ ის მაინც იყო, კაპიტოლიუმი გადარჩა, ახლა კი იმასაც გარს ცეცხლის გვირგვინი ადგა. მართალია, მარმარილო არ იწვოდა, მაგრამ ღამეობით, როდესაც ქარი ცოტახნით ალს გააპობდა ხოლმე, ჩანდა, როგორ იყო გახურებული იუპიტერის სვეტების რიგი, როგორ ნაკვერცხლებივით ვარდისფრად ელავდა. ბრენის შემოსევის დროს რომის მცხოვრებნი მჭიდროდ იყვნენ შეკრულნი, ქალაქისა და მის სამსხვერპლოთა ერთგულნი იყვნენ, ახლა კი ცეცხლმოდებულ ქალაქში კედლების გაყოლებაზე მთელი მილეთის ხალხი დააბოტებდა, ესენი უმეტესად მონები და

აზატნი იყვნენ, – მოუსვენარი, უწესრიგო ბრბო, რომელიც მზად იყო, ხელისუფლებისა და ქალაქის წინააღმდეგ ხელი გამოეღო.

მაგრამ თვითონ ხანძრის სიდიდემ, ყველას გული რომ ძრწოლით აავსო, თითქოს ფარ-ხმალი დააყრევინა ბრბოს. ცეცხლს, შესაძლო იყო, შიმშილი და ავადმყოფობა მოჰყოლოდა, რადგან ივლისის საშინელი სიცხეები იდგა. ცეცხლისგან და მზისგან გახურებული ჰაერის სუნთქვა შეუძლებელი შეიქნა. ღამე არათუ შვებას არ იძლეოდა, პირიქით, ნამდვილ ჯოჯოხეთად იქცეოდა ხოლმე. დღისით საზარელი, ბოროტის მომასწავებელი სურათი იშლებოდა. შუაგულ უზარმაზარი ქალაქი ღრიალა ვულკანად გადაქცეულიყო: გარშემო – თვით ალბანის მთებამდე – ერთი თვალუწვდენელი ბანაკი იყო ფანჩატურების, კარვების, ეტლების, ურმების, ტახტრევნების, დახლებისა და კოცონებისაგან შემდგარი, ბოლით და მტვრით შემოხვეული, მოყვითალო მზის

სინათლით განათებული, აღსავსე ჟღავიჟღუვილით, მუქარით, ყვირილით, სიძულვილით, შიშითა და საზარელი ჩხუბით. კვირიტებს შორის ჩანდნენ ბერძნები, ჩრდილოეთის ხალხი, აფრიკელები და აზიელები; მოქალაქეთ შორის მონები, აზატები, გლადიატორები, ვაჭრები, ხელოსნები, გლეხები და ჯარისკაცები. ეს იყო ნამდვილი ხალხის ზღვა, ცეცხლის კუნძულს გარს შემორტყმული.

ამ ზღვას სხვადასხვა ამბავი აღელვებდა, როგორც ნამდვილ ზღვას ქარი აღელვებს. ამბები სასიკეთონიც იყვნენ და საბოროტონიც. ამბობდნენ, ემპორიუმიდან აუარებელი პური და ტანისამოსი უნდა მოვიდესო, ხალხს უფასოდ დაურიგებენო. ამასაც ამბობდნენ, კეისრის ბრძანებით აზიისა და აფრიკის ყველა პროვინცია გაძარცვული იქნება და ყველა ნაძარცვი რომის მცხოვრებთ გაუნაწილდებათ, ისე რომ ყველამ სახლის აშენება შეიძლოსო. მაგრამ იმავე დროს ხმა გავრცელდა, წყალსადენებში წყალი მოწამლულია, ნერონს სურს, ქალაქი მოსპოს, მისი მცხოვრებნი პირისაგან მიწისა აღგავოს, რათა საბერძნეთსა თუ ეგვიპტეში გადასახლდეს და იქიდან იმეფოს მთელ ქვეყანაზეო. ყველა ხმა ელვის სისწრაფით ვრცელდებოდა, ბრბოს იგი სჯეროდა. ეს ხმები რისხვას, წყრომას, იმედს, შიშსა და სიშმაგეს აღძრავდა. ყველანი რაღაც ცხროს მოეცვა. ქრისტიანების რწმენა, ქვეყანა ცეცხლისგან დაიღუპებაო, წარმართებს უფრო და უფრო ძლიერ მოედო.

ხალხი გაოგნებული და გაშმაგებული იყო. შუქისაგან განათებულ ღრუბლებში ქალაქის დაღუპვის მაცქერალ ღმერთებს ხედავდნენ. მათკენ ასობით ადამიანი იშვერდა ხელს, ზოგი შეწყალებას სთხოვდა, ზოგიც შეჩვენებას ეუბნებოდა.

ხმა დაირხა, ჯარისკაცები სახლებს ცეცხლის შესაყენებლად კი არ ანგრევენ, უნდათ, რომ ქალაქში არც ერთი შენობა არ გადარჩესო. ტიგელინუსი კაცზე კაცს გზავნიდა ანციუმში კეისართან, ემუდარებოდა, ჩამოსულიყო და სასოწარკვეთაში ჩავარდნილი ხალხი თავისი აქყოფნით დაემშვიდებინა. ნერონი მარტო მაშინ დაიძრა, როდესაც ცეცხლი domus transitoriasაც მოედო და აჩქარდა კიდეც. რა არის, ის წამი არ გაეშვა, როდესაც ხანძარი მეტისმეტად იქნებოდა გაძლიერებული.

თავი მეოთხე

ამასობაში ცეცხლი Via Nomentana-მდე მივიდა, იქიდან კი ქარის შეცვლის გამო Via Lata-ზე გადავიდა, კაპიტოლიუმს შემოუარა გარს, Forum Boarium-ს დააცხრა. რაც კი პირველ შეტევაზე დაინდო, ახლა ყველა დანთქა და პალატინს მიუახლოვდა. ტიგელინუსმა ყველა პრეტორიელი შეკრიბა, შიკრიკები გაუგზავნა მოახლოებულ კეისარს და შეატყობინა, მშვენიერი სანახაობა

ხელიდან არ წაგივა, რადგან ხანძარი უფრო გაძლიერდაო. მაგრამ ნერონს უნდოდა, ღამე შემოსულიყო, რომ დაღუპვის პირს მიმდგარი ქალაქისაგან უფრო ძლიერი შთაბეჭდილება მიეღო. ამ აზრით იგი Aqua Albanaზე შეფერხდა, კარავში ტრაგიკოსი ალიტური მიიხმო სასათბიროდ, თავი როგორ დაეჭირა, როგორი გამოხატულება მიეღო. მათ შორის ფიცხი კამათი გაიმართა – ორთავ ხელი მიეტანა თავთან, თუ მარტო ერთი, ხოლო მეორე ხელში ფორმინგი დაეჭირა და ეთქვა: „ჰოი, წმინდაო ქალაქო, მე რომ იდაზე უდრეკელი მეგონე“. ამჯერობაზე ეს საკითხი ნერონს ყველა სხვა საკითხზე უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნდა. მხოლოდ შებინდებისას დაადგა გზას და პეტრონიუსს რჩევა ჰკითხა: უბედურებისადმი მიძღვნილ ლექსში არ ემჯობინებოდა, ღვთის გმობა შეეტენა? და თუ მათ ხელოვნების თვალსაზრისით შევხედავთ, განა სავსებით ბუნებრივი არაა, სამშობლოს დამკარგავმა კაცმა ღმერთები შეურაცხყოს?

შუაღამისას ნერონი დიდძალი ამალით ქალაქის კედლებს მიუახლოვდა. ეს ამალა შედგებოდა კარისკაცებისაგან, სენატორებისაგან, მხედრებისაგან, აზატთაგან, ქალებისა და ყმაწვილებისაგან. თექვსმეტი ათასი პრეტორიელი საომარი წესისამებრ გზაზე იყო დაყენებული, რომ მშვიდობიანობა და კეისრის უვნებლობა დაეცვა, გრძნობააღძრული ხალხი შესაფერ მანძილზე შეეკავებინა. ამ დროს ხალხი მართლაც ყვიროდა და უსტვენდა, მაგრამ პროცესიაზე თავდასხმას ვერავინ ბედავდა. ზოგ ადგილას მაინც ტაშით ხვდებოდნენ კეისარს, რადგან უპოვარ გლახაკთ, ხანძრისგან რომ არაფერი დაეკარგათ, ახლა იმედი მიეცათ, უხვად მივიღებთ პურს, ზეთს,

ტანსაცმელსა და ფულსაო. ბოლოს და ბოლოს სტვენაც, ყვირილიც და ტაშისცემაც საყვირებისა და ნაღარების ხმამ დააყრუა. ტიგელინუსის ბრძანებით დაჰკრეს. ნერონმა ოსტიის კარი გაიარა, წუთით შეფერხდა და თქვა: „უსახლკარო მბრძანებელმა უსახლკარო ხალხისა – ამაღამდელი ღამე სად გავითიო!“ და მერე Clivus Delphini რომ გაიარა, საგანგებოდ მისთვის მომზადებული საფეხურებით აპიუსის წყალსადენზე ავიდა, თან მიჰყვნენ ავგუსტიანები და მომღერალთა გუნდი ციტრებით, ჩანგებითა და სხვა საკრავებით.

ყველას სუნთქვა შეეკრა. ელოდნენ, იქნება კეისარმა რამე მნიშვნელოვანი თქვასო, მაგრამ ძოწის მოსასხამიანი ნერონი მედიდურად იდგა. თავს დაფნის გვირგვინი უმშვენებდა. ხმას არ იღებდა და განძვინვარებულ ალის ზღვას აცქერდებოდა. ტერპნოსმა რომ ოქროს კითარა მიართვა, იმან თვალი ზეცას აღახვნა, თითქოს ზეგარდმო შთაგონებას მოელისო.

ხალხი ერთმანეთს ანიშნებდა, აგე ნერონიო. შორს ცეცხლის გველები სისინებდნენ და ბაბანი გაჰქონდათ წმინდა ძეგლებს: ევანდრის აგებულ ჰერკულესის ტაძარს, იუპიტერის ტაძარს, მთვარის ტაძარს, ჯერ ისევ სერვიუს ტულიუსის დროს აშენებულს, ნუმა პომპილიუსის სახლს და ვესტას ტაძარს. ცეცხლის გორგოლებს შუა ხანდახან კაპიტოლიუმი გამოჩნდებოდა. კეისარი კი კითარით ხელში იდგა ტრაგიკული მსახიობის სახით. იმაზე კი არ ფიქრობდა, რომ მამული ეღუპებოდა, არამედ იმაზე ფიქრით იყო გართული, თავი როგორ დავიჭირო, როგორი სახე

მივიღო და რა პათეტიკური სიტყვები შევარჩიო, რომ მთელი უბედურების გადაცემა შევძლო, უდიდესი გაკვირვება აღვძრა და მხურვალე ტაშისცემა დავიმსახუროო.

ნერონს ეს ქალაქი სძულდა, სძულდა მისი მცხოვრებნი, მხოლოდ თვისი სიმღერები და ლექსები უყვარდა და ახლა გულში უხაროდა, რომ ძლივს ისეთი ტრაგედია ნახა, რასაც ის უმღეროდა. ლექსების მთხზველი თავს ბედნიერად სთვლიდა, ლექსების მთქმელი თავს ზეგარდმო შთაგონებულად ჰგონებდა, ძლიერ შთაბეჭდილებათა მაძებარი ძლიერი სანახავით ტკბებოდა და აღტაცებით ფიქრობდა, ტროას დაღუპვაც კი ამ უზარმაზარი ქალაქის დაღუპვასთან შედარებით არაფერიაო. მეტი სანატრელი რაღა ჰქონდა? რომი, ყოვლისშემძლებელი რომი იწვის, ხოლო ნერონი ხელში ოქროს კითარით თაღზე დგას, ყველა ხედავს მას, ყველას უკვირს, რა მშვენიერი და პოეტურია იგი, ხოლო იქ კი, სადღაც, ძირს, სიბნელეში ხალხი დრტვინავს და ღელავს. დრტვინავდეს, საუკუნენი გავლენ, ათასი წელიწადი გაირბენს, ხალხს კი ეხსომება პოეტი, ქება-დიდებას შეუთვლის მას, რომ ასეთი ღამით ტროას დამხობასა და ხანძარს ქება შეასხა. მას ვით შეედრება ჰომეროსი ან თვითონ აპოლონიც თავისი ფორმინგით?

კეისარმა ხელი აიღო, სიმებს ჩამოჰკრა და პრიამოსის სიტყვები დაიწყო:

მამა-პაპათა ბუდეო, ვაი! ვაი, აკვანო ტკბილსახსოვარო!

მისი ხმა გაშლილ ველზე ხანძრის ხმასთან და ხალხის შორიდან მოდენილ ხმაურობასთან შედარებით მეტისმეტად საცოდავად გაისმა, ხოლო საკრავების ხმა ბუზის ბზუილს დაემსგავსა. მაგრამ სენატორებს, წარჩინებულთ და ავგუსტიეანებს თავი ჩაეკიდათ და მდუმარე აღტაცებით უსმენდნენ. ნერონი დიდხანს მღეროდა, გუნება თანდათან დაუნაღვლიანდა. როცა სულის მოსაბრუნებლად შედგებოდა ხოლმე, მომღერალთა გუნდი მის უკანასკნელ სიტყვებს იმეორებდა, ხოლო შემდეგ ნერონი, ალიტურისგან გადმოღებული მოძრაობით მხრებიდან ტრაგიკულად სირმას გადიგდებდა, სიმებს ჩამოჰკრავდა და მღერას განაგრძობდა. ბოლოს ადრევე შეთხზული სიმღერა დაასრულა და ზეპირად თქმა დაიწყო. რაც თვალ წინ ჰქონდა, იმ სანახავის მხატვრულ შედარებებს ამბობდა. მას სახე შეეცვალა. მართალია, სამშობლო ქალაქის დაღუპვა გულს არ მიკარებია, მაგრამ თავისსავე სიტყვების პათოსით იქამდე აღიძრა, რომ თვალი ცრემლით აღევსო და ბოლოს კითარა ხელიდან გაუვარდა, სირმაში მთლად გაეხვია და პალატინის ერთ-ერთ დამამშვიდებელ ქანდაკებასავით გაშეშებული დარჩა.

მოკლე დუმილის შემდეგ ტაშისცემის ქარიშხალი ატყდა, მაგრამ შორიდან ხალხმა ბღავილით უპასუხა. ახლა ხალხში ეჭვი აღარავის ჰქონდა, რომ ქალაქის ცეცხლის წაკიდება კეისრის ნაბრძანები იყო, რა არის, თავისთვის სანახავი გაეჩინა და ხანძრის მაცქერალს სიმღერა შეეთხზა. ნერონმა ეს ყვირილი რომ გაიგონა, მწუხარე სახით ავგუსტიანებს მიუბრუნდა, სახეზე ისეთი ღიმილი დასთამაშებდა, თითქოს უსამართლობას მორჩილად იტანსო და თქვა:

– აი, როგორ იციან კვირიტებმა ჩემი და ჩემი პოეზიის დაფასება!

– არამზადები! – უპასუხა ვატინიუსმა, – უბრძანე, ბატონო, პრეტორიელებმა შეუტიონ!

ნერონი ტიგელინუსს მიუბრუნდა.

– შეიძლება ჯარისკაცთა ერთგულების იმედი ვიქონიოთ?

– დიახ, ღვთაებრივო, – უპასუხა ტიგელინუსმა.

პეტრონიუსმა კი მხრები შეიშმუშნა.

– იმათ ერთგულება საიმედოა, მაგრამ ცოტანი არიან, – უთხრა მან კეისარს. – ჯერხანად აქ დარჩი, აქ საშიში არაფერია, ამ ხალხს დამშვიდება უნდა.

სენეკაც და კონსული ლიციინიუსიც იმავე აზრისანი იყვნენ. ამასობაში ხალხის აღშფოთება უფრო და უფრო მატულობდა. ხალხი შეიარაღდა ქვებით, კარვის ჯოხებით და რკინის ნაჭრებით. კოჰორტების ზოგი წინამძღოლი გამოცხადდა და განაცხადა რომ პრეტორიელები ხალხის მოწოლას დიდი გაჭირვებით ართმევენ თავს და რადგან ბრძანება არა აქვთ, ბრბოს ეკვეთონ,

აღარ იციან, რა ქნანო.

– ღმერთებო, – თქვა ნერონმა, – ეს რა ღამეა! ერთ მხარეს ხანძარი, მეორეს – აღელვებული ხალხის ზღვა.

და სიტყვების ძებნა დაიწყო, რათა იმ წუთის საშიშროება უკეთესად გამოეხატა, მაგრამ თავის გარშემო გაფითრებული სახეები და მოუსვენარი მზერა რომ დაინახა თვითონაც შეეშინდა.

– მუქი მოსასხამი მომეცით კაპიშონიანი! – დაიძახა მან, – ნუთუ საქმე შეტაკებამდე შეიძლება მივიდეს?

– ბატონო, – ორჭოფულად მიუგო ტიგელინუსმა, – რაც შემეძლო, ყველა გავაკეთე, მაინც საშიშროება დიდია. სიტყვით მიმართე ხალხს, დაჰპირდი რაიმეს.

– კეისარი ხალხს ელაპარაკოს? ჩემი სახელით სხვა ვინმემ ილაპარაკოს, ვინ იკისრებს ამას?

– მე, – დამშვიდებით მიუგო პეტრონიუსმა.

– წადი, მეგობარო! შავბნელ დროს ყველაზე ერთგული შენა ხარ... წადი და დაპირებანი

ხელგაშლილად დაარიგე.

პეტრონიუსმა სახე იმპერატორის ამალისაკენ მიიღო და ზედ დაუდევრობა და სიძულვილის ღიმილი გამოეხატა.

– აქ მყოფი სენატორები, – თქვა მან, – და მათ გარდა პისონი, ნერვა და სენეციონი გამომყვნენ.

წყალსადენიდან ნელა ჩავიდა; ვინც ჩამოთვალა, ცოტა არ იყოს, ყოყმანობდნენ, მაგრამ თავდაჭერილად კი მისდევდნენ, რაიცა მათ პეტრონიუსის სიმშვიდემ ჩააგონა. პეტრონიუსი თაღის ძირს შეჩერდა, თავისი თეთრი ცხენის მოყვანა უბრძანა და თანმხლებლებს წინ გაუძღვა. პრეტორიელების მწკრივებს შუა გაიარა და მოგუგუნე ბრბოსაკენ გასწია უიარაღომ, მხოლოდ წვრილი ჯოხი ეჭირა ხელში, თეთრი სპილოს ძვლისა, რასაც ჩვეულებრივ ეყრდნობოდა ხოლმე.

პრეტორიელები რომ გაიარა, ცხენი ბრბოსაკენ მიმართა. ხანძრის სინათლეზე გარშემო მაღლა აშვერილი ხელები მოჩანდნენ, ამ ხელებს ყოველგვარი იარაღი ეჭირათ ხელში, მოჩანდნენ ანთებული თვალები და გაოფლიანებული სახეები. პეტრონიუსსა და მის ამალას განძვინებული ტალღა შემოეხვია, ხოლო შორს მხოლოდ თავების ზღვა ჩანდა. ზღვა – მოძრავი, აბობოქრებული, საშინელი.

ყვირილი უფრო გაძლიერდა და არაადამიანურ ბღავილად გადაიქცა. ბრბო ჯოხებს, ორთითებს და მახვილებსაც კი უღერდა პეტრონიუსს. ხელებს მისი ცხენის სადავისკენ და თვითონ იმისკენაც იწვდიდნენ, ის კი მაინც მიდიოდა, გულგრილად მიაბიჯებდა. ხანდახან მეტისმეტად გათავხედებულ კაცს ჯოხს თავშიაც ურტყამდა, თითქოს ჩვეულებრივ ბრბოში გზას იკაფავდა. ხალხს გაუკვირდა ასეთი სიმშვიდე და თავდაჯერება. ბოლოს პეტრონიუსი იცნეს და აქეთ-იქიდან შემოსძახეს:

– პეტრონიუს! Arbiter Elegantiarum! პეტრონიუს!

– პეტრონიუს! – აღრიალდა ბრბო.

და რამდენიც მისი სახელი გაისმოდა, გარშემორტყმული ხალხის სიშმაგე სუსტდებოდა, ყვირილსაც გაშმაგებული კილო აკლდებოდა, მიტომ, რომ ჩინებული პატრიცი, თუმცა იგი ხალხის პატივს არ ეძებდა, მაინც გამორჩევით უყვარდათ. კეთილ, სათნო კაცად ითვლებოდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც პედანიუს სეკუნდუსის საქმეში თავი გამოიჩინა, როდესაც მკაცრი განაჩენის გაუქმება იშუამდგომლა და პრეფექტის ყველა მონა სიკვდილს გადაარჩინა. ამას გარდა ახლა ცნობისმოყვარეობაც მოქმედებდა, რას იტყოდა დესპანი. არავინ ეჭვობდა, რომ იგი კეისრის მოგზავნილი იყო.

პეტრონიუსმა წითელ არშიაშემვლებული თეთრი ტოგა მოიხსნა, მაღლა ასწია და ჰაერში გააქნია იმის ნიშნად, რომ ლაპარაკი უნდოდა.

– ჩუმად! ჩუმად! – გაისმა გარშემო.

ცოტა ხნის შემდეგ სიჩუმე ჩამოვარდა. მაშინ პეტრონიუსი ცხენზე გაიმართა და მშვიდი, ცხადი ხმით დაიწყო:

– მოქალაქენო! ვინც მე მომისმენს, ჩემი ნათქვამი შორს მდგარს გაუმეოროს და ყველამ თავი ადამიანივით დაიჭიროს და არა ასპარეზზე გამოყვანილი ნადირივით.

– ყურს გიგდებთ, ყურს გიგდებთ!

– ჰოდა, ყური დამიგდეთ. ქალაქი ხელახლა აშენდება. ლუკულუსის, მეცენატის, კეისრისა და აგრიპას ბაღები თქვენთვის გაიღებიან. ხვალ დილიდანვე პურის, ღვინისა და ზეთის დარიგება დაიწყება, ისე რომ ყველას შეეძლება მუცელი ამოიყოროს. შემდეგ კეისარი ისეთ თამაშობას გაგიმართავთ, როგორიც აქამდე ქვეყანაზე არავის უნახავს, ხოლო თამაშების დროს ნადიმები და საჩუქრები მოგელით. ხანძრის შემდეგ ყველანი უფრო მდიდრები შეიქნებით, ვიდრე ხანძრამდე იყავით.

პეტრონიუსის სიტყვის საპასუხოდ დრტვინვა გაისმა. ეს დრტვინვა შუაგულიდან ნაპირებისკენ გაიშალა, როგორც წყალზე წრეები იშლებიან, როდესაც ვინმე შიგ ქვას ჩააგდებს. ახლო მდგარნი შორს მდგართ გადასცემდნენ, რასაც ისმენდნენ. შემდეგ აქა-იქ ყვირილი ატყდა, მრისხანე და წამქეზებელი, იგი ჩქარა გაერთიანდა და საზოგადო ყვირილად გადაიქცა.

– Panem et circenses!

პეტრონიუსი ტოგაში გაეხვია და უძრავად დარჩა. ყვირილი ძლიერდებოდა, ხანძრის ტკაცატკუცს აყრუებდა და ყოველ მხრიდან მოისმოდა.

ბოლოს მან ხელი გაიქნია, რომ დაჩუმებულიყვნენ, და დაუყვირა:

– იქნება Panem და circenses, გპირდებით. ახლა კეისრის პატივსაცემად დაიყვირეთ, განა ის არ გაჭმევთ და არ გმოსავთ, და შემდეგ წადით და დაიძინეთ, რადგან საცაა გათენდება კიდეც.

ცხენი მოატრიალა, ვინც გზაში გადაეღობა, თავში ჯოხის ჩარტყმით მოიცილა და პრეტორიელების რიგისკენ წყნარად წავიდა.

ცოტა ხანს შემდეგ უკვე წყალსადენთან იყო. იქ ჩოჩქოლი დახვდა. ვერ გაეგოთ „Panem et circenses“. ეგონათ, სიშმაგის ახალი გამოვლენააო, და პეტრონიუსის მშვიდობიანად დაბრუნების იმედი დაკარგოდათ. როდესაც იგი ნერონმა დაინახა, კიბესთან მოირბინა და აღელვებული სახით გამოკითხვა დაუწყო:

– აბა, რა ჰქენ, რა ამბავია იქ? ამბოხებაა?

პეტრონიუსმა ღრმად შეისუნთქა და მიუგო:

– პოლუქსსა ვფიცავ, მყრალი სუნი ასდით! ეპილიმა მომცეს ვინმემ, თორემ გული შემიღონდება.

შემდეგ კეისარს მიუბრუნდა:

– მე მათ დავპირდი პურს, ზეთს, თამაშს. დავპირდი, რომ მათთვის ბაღებიც გაიღება. ისინი კვლავ გაღმერთებენ და გამხმარი ტუჩებით შემოგღაღადებენ. ღმერთებო! რა საძაგელი სუნი უდის ამ პლებეებს!

– პრეტორიელები მზად იყვნენ, – დაიძახა ტიგელინუსმა, – და შენ რომ არ დაგემშვიდებინა,

მყვირალები სამარადისოდ დადუმდებოდნენ. ვწუხვარ კეისარო, რომ ნება არ მომეცი, ძალა გამომეყენებინა.

პეტრონიუსმა ტიგელინუსს შეხედა, მხრები შეიშმუშნა და თქვა:

– დრო ჯერ არ გასულა, შენ შეგიძლია, ეგ ხვალ ჩაიდინო.

– არა, არა! – თქვა კეისარმა, – მე ვუბრძანებ, ბაღები გაუღონ და პური დაურიგონ. მადლლობელი ვარ შენი, პეტრონიუს! თამაშობებსაც გავუმართავ, იმ სიმღერასაც, თქვენ რომ მოისმინეთ, საჯაროდ ვიმღერებ.

პეტრონიუსს მხარზე ხელი დაადო და წამიერი დუმილის შემდეგ ჰკითხა:

– დაურიდებლად მითხარ, სიმღერის დროს როგორი გეჩვენე?

– შენ ამ სანახავის ღირსი იყავ, როგორც ეს სანახავია შენი ღირსი, – მიუგო პეტრონიუსმა, ხელახლა მიუბრუნდა ხანძარს და თქვა:

– ერთიც შევავლოთ თვალი ამ სანახაობას და მერე ძველ რომს გამოვეთხოვოთ.

თავი მეხუთე

პეტრე მოციქულის სიტყვებმა ქრისტიანების გულში იმედი გააცხოველა, თუმცა ქვეყნის დასასრული მუდამ ახლო ეჩვენებოდათ, ახლა გაიფიქრეს, განკითხვის ჟამი ჯერ არ დამდგარაო, იქნება ნერონის სატანური მეფობის დასასრულს შევესწროთ და ვნახოთ, ღმერთი როგორ მიაგებს ბოროტების წილო. დამშვიდებულმა ქრისტიანებმა მიწისქვეშა ჯურღმული დატოვეს და დროებით ბინაზე წავიდნენ. ზოგიც ტიბრს გაღმა თავის ძველ ბინას დაუბრუნდა, რაკი ხმა გავრცელდა, რომ ქარმა ხანძარი ისევ მდინარისკენ გადასწიაო, ცეცხლმა რაც შეიძლებოდა უკვე შემუსრა და აღარ ვრცელდებაო.

მოციქულიც ვინიციუსისა და ხილონის თანხლებით მღვიმედან გავიდა. ახალგაზრდა ტრიბუნმა ლოცვა ვერ შეაწყვეტინა, ჩუმად მისდევდა და მხოლოდ მუდარის სახით შესცქეროდა. პეტრე მოციქულს გარს ხალხი მჭიდროდ შემოეხვია, დედები შვილებს უწვდიდნენ და დაგვილოცეო ევედრებოდნენ. ზოგი ხელებს უკოცნიდა, ზოგიც – ტანისამოსის კალთას, სხვები იჩოქებდნენ და გვაკურთხეო, შესთხოვდნენ. მოხერხებული დრო არ იყო, ვინიციუსს რაიმე ეკითხა და მისგან პასუხი მიეღო. ასევე იყო ხეობაშიაც, მხოლოდ გაშლილ ადგილზე, საიდანაც ცეცხლმოკიდებული ქალაქი ჩანდა, მოციქულმა სამჯერ ჯვარი გადასწერა რომს, ვინიციუსს მიუბრუნდა და უთხრა:

– ნუ სწუხარ. აქედან შორს აღარ არის მიწის მთხრელის ქოხი, იქ ლინთან ლიგიასა და მის ერთგულ მსახურს იპოვი. ქრისტემ, რაკი შენ გარგუნა, დაიცვა კიდეც.

ვინიციუსი შეტორტმანდა და რომ არ წაქცეულიყო, კედელს მოეჭიდა. ანციუმიდან მგზავრობამ, ქალაქის კედელთან ხეტიალმა, შიგ შუა ცეცხლში ლიგიას ძებნამ, უძილობამ და საშინელმა მოუსვენრობამ ძალ-ღონე თითქმის მთლად გამოაცალეს, ხოლო რაც კი შერჩა, ისიც იმ ცნობამ წარიტაცა: ძვირფასი არსება ახლოა და მას ჩქარა ნახავს! ვინიციუსმა ისეთი სისუსტე

იგრძნო, რომ მოციქულის ფერხთით დაეშვა, მის მუხლებს მოეხვია და ხმა ვერ ამოიღო.

მოციქულმა ვინიციუსის მადლობა აირიდა და უთხრა:

– ჩემი კი არა, ქრისტეს მადლობელი უნდა იყო.

– ეს რა ყოვლისმცველი ღვთაებაა! – შემოესმათ ხილონის ხმა, – არ ვიცი, ჯორებს რა ვუყო, აქ ახლოს დგანან.

– ადექ, წამომყევ, – და მოციქულმა ახალგაზრდა პატრიცის ხელი მოჰ-კიდა.

ვინიციუსი ადგა. ხანძრის შუქზე ჩანდა, რომ გაფითრებულ სახეზე მღელ-ვარების ცრემლი სდიოდა. ტუჩები უთრთოდა, თითქოს ლოცვას ამბობსო.

– წავიდეთ, – უთხრა მან.

მაგრამ ხილონმა კიდევ გაიმეორა:

– ბატონო, ჯორებს რა ვუყო? იქნებ ღირსეულმა წინასწარმეტყველმა ფეხით სიარულს ჯორით წამოსვლა ამჯობინოს.

ვინიციუსმა არ იცოდა, რა ეთქვა, მაგრამ რაკი პეტრესგან გაეგო, რომ მიწის მთხრელის ქოხი ახლოს იყო, ხილონს მიუგო:

– ჯორები მაკრინუსს მიუყვანე!

– მაპატიე, ბატონო, რომ ამერიოლას სახლი მოგაგონო.

– ამისთანა საზარელ ხანძარში უბრალო რისამე დავიწკება ადვილია.

– იმ სახლს მიიღებ.

– ჰოი, ნუმაპომპილიუსის შვილიშვილო!შენ ყოველთვის გენდობოდი, ახლა კი, როდესაც შენი დაპირება სულგრძელმა მოციქულმა მოისმინა, იმასაც კი აღარ მოგაგონებ, რომ ვენახსაც დამპირდი. Pax vobiscun! მე შენ გნახავ, ბატონო.

ვინიციუსმა და მოციქულმა პეტრემ უპასუხეს, აგრეთვე შენცაო, და მარ-ჯვნივ შეუხვიეს, ბორცვებისკენ. გზაზე ვინიციუსმა უთხრა:

– ბატონო, ნათლობისწყლით გამბანე, რომ შემეძლოს ქრისტეს ნამდვი-ლი თაყვანისმცემლის სახელი დავირქვა, ვინაიდან მე იგი მთელი ჩემი სუ-ლითა და გულით მიყვარს. ჩქარა გამბანე – ჩემი გული მისთის მზად არის და რასაც შენ მიბრძანებ, ყოველივეს ავასრულებ, მხოლოდ მითხარი, რა უნდა ვთქვა.

– ხალხი გიყვარდეს საკუთარ ძმასავით, – მიუგო მოციქულმა, – მიტომ, რომ ქრისტეს ერთგულება მხოლოდ სიყვარულით შეგიძლია.

– დიახ, მე ეგ უკვე შევიგენ და ვგრძნობ კიდეც! როცა ბავშვი ვიყავ, რომის ღმერთები მწამდა,

მაგრამ ისინი როდი მიყვარდა, მხოლოდ ქრისტე მიყვარს, ასე რომ, სიხარულით სიცოცხლესაც შევწირავ.

ზეცას შეხედა და განაგრძო:

– ვინაიდან იგი ერთია! ვინაიდან იგი კეთილი და მოწყალეა! დაე, დაიღუპოს არათუ მარტო ეს ქალაქი, არამედ მთელი ქვეყანაც, – ერთი ღმერთის მადიდებელი ვიქნები, ერთ ღმერთს ვცემ თაყვანს.

– იგი გაკურთხებს შენცა და შენს ოჯახსა, – დასძინა მოციქულმა.

ახლა მეორე ხეობაში შეუხვიეს, იმის ბოლოს სუსტი სინათლე მოჩანდა. პეტრემ ხელით აჩვენა და უთხრა:

– აგერ მიწის მთხრელის ქოხი, ჩვენ რომ შეგვიფარა, როდესაც ოსტრანიუმიდან ავადმყოფი ლინი წამოვიყვანეთ და სახლამდე მისვლა ვეღარ შევიძელით.

ქოხი უფრო მთის ნაპრალში გამოთხრილ მღვიმეს წარმოადგენდა. კარი მოხურული იყო, მაგრამ

ხვრელიდან, სარკმლის მაგივრობას რო ეწეოდა, პატარა ადგილი მოჩანდა, კერის ცეცხლით განათებული. პეტრესა და ვინიციუსის მოსვლაზე უზარმაზარი ტანის გოლიათი წამოდგა და იკითხა:

– ვინა ხართ?

– ქრისტეს მსახურნი, – უპასუხა პეტრემ, – მშვიდობა შენდა, ურსუსს!

ურსუსი მოციქულის ფერხთით დაემხო, როცა ვინიციუსიც იცნო, მისი ხელი თათებში მოიმწყვდია და ტუჩებთან მიიტანა.

– შენცა ბატონო? – თქვა მან. – იდიდოს კრავის სახელი! როგორც გაუხარდება კალინას.

კარი გააღო და ვინიციუსი შევიდა. გამხდარ-გაყვითლებული ლინი კონა ნამჯაზე იწვა, კერასთან ლიგია იჯდა და ხელში თოკზე ასხმული რამდენიმე ჭიჭყინა ეჭირა, ვახშმის ულუფა.

თევზებს თოკიდან აძრობდა. ეგონა ურსუსი შემოვიდაო, თავი მაღლა არ აუღია. ვინიციუსი მიუახლოვდა, სახელი დაუძახა და ხელები გაუწოდა. ლიგია საჩქაროდ წამოხტა, გაოცება და

სიხარული ელვასავით გაუკრთო სახეზე და უსიტყვოდ, თითქოს ბავშვია და დიდი ხნით ტანჯვისა და წუხილის შემდეგ დედ-მამა იპოვაო, ვინიციუსს

მკლავებში ჩაუვარდა. ვინიციუსი მოეხვია, დიდხანს იკრავდა მკერდზე, შუბლს, თვალებს უკოცნიდა და ეხვეოდა. მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, მისის სიყვარული და ბედნიერებაც უსაზღვრო იყო.

შემდეგ უამბო, ანციუმიდან როგორ მოჰქროდა, ქალაქის კედლებთან და ბოლოს ღრუბლებში როგორ ეძებდა მას, რამდენი გადაიტანა, რამდენი შფოთი და მწუხარება გამოსცადა, ვიდრე მოციქული ეტყოდა, სად შეაფარა თავი ლიგიამ.

– ახლა კი, – ამბობდა იგი, – როდესაც შენ გიპოვე, ცეცხლსა და აბობოქრებულ ბრბოში არ დაგტოვებ. ხალხი ერთმანეთს ჟლეტავს. მონები აღელვებული არიან და ყველას ძარცვავენ. მე დაგიხსნით ყველას, ჩემო ძვირფასო! – გინდათ, ანციუმში წამომყვეთ? იქ გემში ჩავსხდებით და სიცილიაში გადავალთ. ჩემი მიწები – თქვენი მიწებია, ჩემი სახლი – თქვენი სახლია. მომისმინე! სიცილიაში ავლუსს მოვძებნით, მე შენს თავს პომპონიას ჩავაბარებ, მერე იმისი ხელით ჩაგიბარებ და წამოგიყვან. შენ ხომ, ჩემო carissima, ჩემი აღარ გეშინია? ნათელღება ჯერ არ მიმიღია, მაგრამ აბა პეტრეს ჰკითხე, ამ ერთი საათის წინ, შენთან რომ მოვდიოდით, არ ვუთხარი განა, მინდა, ქრისტეს ჭეშმარიტი თაყვანისმცემელი შევიქნე-მეთქი? ჰკითხე, არ ვემუდარებოდი, თუნდა ამ ქოხში მოვენათლე? შენც მერწმუნე და თქვენ ყველანი მერწმუნენით.

ლიგია მხიარული სახით უსმენდა ვინიციუსს. ჯერ ებრაელთა დევნისგან, ხოლო შემდეგ ხანძრისა და საშინელებისაგან ისეთ შფოთვაში იყვნენ, ხვალინდელი დღის რწმენა არ ჰქონდათ. მშვიდობიან სიცილიაში წასვლა ყველა სიმძიმილს ბოლოს მოუღებდა და ბედნიერებას ფიანდაზად გადაუშლიდა. ვინიციუსს რომ მარტო ლიგიას წაყვანა სდომებოდა, რა თქმა უნდა, ქრისტიანები ცდუნებას გაუმაგრდებოდნენ, პეტრესა და ლინის დატოვება დაენანებოდათ, მაგრამ ვინიციუსმა აკი უთხრა, ჩემთან წამოდითო, ჩემი მიწები – თქვენი მიწებია, ჩემი სახლი – თქვენი სახლიაო.

ლიგია ახალგაზრდა ტრიბუნის ხელთან დაიხარა, მორჩილების ნიშნად აკოცა და უთხრა:

– საცა შენა გაიუს, იქ მეც გაია.

დაიმორცხვა, რომ ის სიტყვები წარმოთქვა, რა სიტყვებსაც, რომაელთა ჩვეულებით, მხოლოდ ქორწინების წესის დროს ამბობენ ხოლმე. გაწითლდა და კერის ცეცხლით შუქმოფენილი თავჩაღუნული იდგა, ჭოჭმანობდა, როგორ მიიღებენო ჩემს სიტყვებსა.

მაგრამ ვინიციუსის თვალები მხოლოდ უზომო თაყვანისცემას გამოხატავდნენ. შემდეგ ვაჟი პეტრეს მიუბრუნდა და უთხრა:

– რომის გადაწვა კეისარმა ბრძანა. ანციუმშივე მწუხარებას გამოთქვამდა, დიდი ხანძარი არასოდეს არ მინახავსო. და თუ მან ეგეთი ბოროტი საქმე გადაწყვიტა, აბა წარმოიდგინეთ, რა შეიძლება მოხდეს! ვინ იცის, რომ ჯარს აქ არ მოიყვანს და რომის მაცხოვრებელთა ჟლეტას არ უბრძანებს? დაიმალენით და ლიგიაც დავმალოთ. იქ დამშვიდებულნი დაელოდებით ქარიშხლის ჩადგომას. მერე კვლავ დაბრუნდით და თქვენი თესლი თესეთ.

ქუჩაში, Ager Vaticanus-ის მხრიდან, თითქოს ვინიციუსის სიტყვების დასადასტურებლად, რაღაც შორეული ყვირილი მოისმა, სიშმაგითა და ზარით სავსე. ამ დროს სახლის პატრონი – მიწისმთხრელი მოვიდა, საჩქაროდ კარი ჩაკეტა და თქვა:

– ნერონის ცირკის გვერდზე ხალხი ერთმანეთს დაერია! მონები და გლადიატორები მოქალაქეებს დაეცნენ თავს.

– გესმით? – იკითხა ვინიციუსმა.

– აღივსო საწყაული, – თქვა მოციქულმა, – სასჯელიც იქნება, ვით ზღვა თვალუწვდენელი.

შემდეგ ვინიციუსს მიმართა და ლიგიაზე უთხრა:

– ის წაიყვანე, ვინც ღმერთმა გიბოძა და დაიცავ. ავადმყოფი ლინი და ურსუსიც თქვენ გამოგყვნენ.

მაგრამ ვინიციუსმა, რაკი მოციქული შეყვარებოდა, ფიცხლად შეჰყვირა:

– გეფიცები, მოძღვარო, შენ აქ დაიღუპები.

– ღმერთმა გაკურთხოს შენი განზრახვისთვის, – უპასუხა მოციქულმა, – მაგრამ განა არ გაგიგონია, რომ ქრისტემ სამგზის გამიმეორა ტბაზე: ჰმწყსიდე ცხოვართა ჩემთა!

ვინიციუსი დაჩუმდა.

– და თუ შენ, ვისთვისაც ჩემზე მზრუნველობა არავის მოუნდვია, მეუბნები, აქ ვერ დაგტოვებო, მაშ, როგორ გგონია, დავაგდებ განკითხვის ჟამს

ჩემს სამწყსოს? ოდეს ტბაზე ქარიშხალი ამოვარდა და ჩვენ გულით შევ-ძრწუნდით, მან არ მიგვატოვა, როგორ არ უნდა მივბაძო მსახურმა ჩემი უფ-ლის მაგალითს?

მაშინ ლინმა გალეული სახე აიღო და მოციქულს ჰკითხა:

– მე როგორღა არ მივყვე, უფლის ნაცვალო, შენს მაგალითს?

ვინიციუსმა თავზე ხელი გადაისვა, თითქოს თავის აზრებს ებრძვისო და შემდეგ ჯარისკაცის რიხიანი ხმით წარმოთქვა:

– მომისმინეთ, პეტრეკ, ლინ და შენცა, ლიგია! მე თქვენ გითხარით, რაც ჩემმა ადამიანურმა გონებამ მიკარნახა, მაგრამ თქვენი გონება სხვაა, თქვენ საკუთარი უშიშროება კი არ გადარდებთ, არამედ მაცხოვრის მცნებაზე ფიქ-რობთ. დიახ, მე ეგ ვერ შევიგენ და შევცდი, იმიტომ რომ თვალთაგან ლიბ-რი არ გადამცლია და უწინდელი ადამიანი გამოჩანს ჩემში.

დაიჩოქა და უცებ აღტაცებამ მოიცვა იგი, თვალები და ხელები ზე აღაპ-ყრო და ზეცას შეღაღადა:

– ნუთუ შევიძელ შენი წვდომა, ქრისტეო? ნუთუ შენი ღირსი შევიქენ?

ხელები უკანკალებდა, თვალში ცრემლი უბრწყინავდა, მოციქულმა პეტ-რემ წყლით სავსე თიხის ამფორა აიღო, მიუახლოვდა ვინიციუსს და თქვა:

– ნათელს გცემ სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინ!

მაშინ ყველა იქ მყოფი სარწმუნეობრივმა აღტაცებამ მოიცვა.

ხოლო ქუჩიდან ისევ მოჩხუბარი ხალხის ღრიალი და ხანძრის ჭახაჭუხი მოისმოდა.

თავი მეექვსე

ხალხი კეისრის მშვენიერ ბაღებში დაბანაკდა, ოდესღაც რომ დომიცი-უსსა და აგრიპას ეკუთვნოდა, აგრეთვე მარსის მინდორზე და პომპეუსის, სალუსტიუსისა და მეცენატის ბაღებში. ბურთაობის სათამაშოდ დანიშნული ყველა პორტიკი, საუცხოო საზაფხულო სასახლეები და სამხეცეები ხალხით იყო გატენილი. ფარშავანგები, ფლამინგოები, გედები და სირაქლემები, აფრიკული ქურციკები და ანტილოპები, ირმები, შურთხები, ბაღის მშვენე-ბას რომ შეადგენდნენ, დაკლეს და შეჭამეს. სანოვაგე ოსტიუმიდან ისე უხ-ვად მოდიოდა, რომ კარჭაპებზე და გემებზე ისე გაივლიდა კაცი, თითქოს ხიდიაო, და ტიბრის მეორე ნაპირზე გადავიდოდა. პური საარაკო სიიაფისა

იყო – სამ სესტერციად იყიდებოდა. ღარიბებს კი მუქთად ურიგდებოდათ. დიდძალი ღვინო, ზეთისხილი და წაბლი შემოიტანეს. მთებიდან ყოველ-დღე მოუდიოდათ ხარების ჯოგები და ცხვრის ფარა. ღარიბები, ხანძრამდე რომ სუბურას ვიწრო ქუჩებში ბინადრობდნენ და შიმშილით იხოცებოდნენ, ახლა უწინდელზე უკეთესად ცხოვრობდნენ, შიმშილის შიში თავიდან მო-იშორეს, მაგრამ ძარცვა-გლეჯისა და ძალადობის მოსპობა ძნელი შეიქნა. ქურდებსა და მძარცველებს რა უნდოდათ და – აბოგანებული ცხოვრებაო, მით უმეტეს, რომ თავს კეისრის თაყვანისმცემლებად აცხადებდნენ და მის-თვის ტაშისცემას არ იშურებდნენ, სადაც არ უნდა გამოჩენილიყო ნერონი. რადგან ყველა სახელმწიფო დაწესებულება გარემოების ძალით დაიხურა, ხოლო უწესობის მოსპობის შემძლე შეიარაღებული ძალა საკმაო არ იყო, მთელი

ქვეყნიერების ნაძირალთაგან დასახლებულ ქალაქში ისეთი საქმეები ხდებოდა, რომ ადამიანის აზრი ძნელად თუ წარმოიდგენდა. ყოველღამ ცე-მა-ტყეპა, ქალებისა და ბავშვების მოტაცება იყო. Porta mugionis-თან, სა-დაც კამპანიიდან მორეკილი ნახირის ბინა იყო, საქმე ნამდვილ ბრძოლამ-დე მივიდოდა ხოლმე და ხალხი ასობით იღუპებოდა. ყოველ დილით ტიბ-რის ნაპირები დამხრჩვლებით იყო მოფენილი; მათ არავინ მარხავდა, გვა-მი ჩქარა იხრწნებოდა და ჰაერს სიმყრალით ავსებდა. ავადმყოფობამ იჩინა თავი; უფრო მხდალი ხალხი იმასაც ამბობდა, საცაა ჭირი დაგვერევაო.

ქალაქი კი კვლავ იწვოდა. ხანძარი მხოლოდ მეექვსე დღეს მივიდა ეს-კვილინუსამდე, სადაც მრავალი სახლი განზრახ დააქციეს; აქ განელდა ცეცხლი, მაგრამ ნაკვერცხლის ზვინები ისე ძლიერ ანათებდნენ, რომ ხალხს არა სჯეროდა, თუ უბედურებას როდისმე ბოლო მოეღებოდა. მარ-თლაც მეშვიდე ღამეს ხანძარმა ახალი ძალით იფეთქა ტიგელინუსის სახ-ლში, მაგრამ დიდხნობით არა, რადგან მასალა არ იყო, მხოლოდ აქა-იქ დამწვარი სახლები ინგრეოდნენ და ალისა და ნაპერწკლების სვეტებს ცაში გზავნიდნენ. მაგრამ ცოტცოტაობით ნანგრევებს ზედაპირი გაუშავდა. მზის ჩასვლის შემდეგ ცას სისხლის ფერი აღარ ედებოდა, მხოლოდ ღამეობით ვრცელ გაშავებულ უდაბნოში ნახშირის გორებიდან ამონახეთქი მოლურჯო ალი აქა-იქ გამოჩნდებოდა ხოლმე.

რომის თოთხმეტი უბნიდან მხოლოდ ოთხიღა დარჩა (მათ შორის ტიბ-რის გაღმა უბანი). დანარჩენები ალმა შთანთქა. როცა ნახშირის ზვინებს

ფერფლი გადაეფინა, ტიბრიდან მოყოლებული ესკვილინუსამდე უზარმაზარი ნაცრისფერი, ნაღვლიანი, მკვდარი სივრცე გადაიშალა, სადაც ბუხრების მთელი რიგი იყო ასვეტილი, თითქოს საფლავის სვეტები არიანო. ამ სვეტებს შორის დღისით ხალხი დაყიალობდა, ძვირფას რასმე ნივთეულობას ან ძვირფას არსებათა ძვლებს ეძებდა, ხოლო ღამე ძაღლები ყმუოდნენ.

კეისრის მთელ სიუხვესა და ხალხისადმი აღმოჩენილ შემწეობას არ შეეძლო მოესპო ნერონის ავად ხსენება და მღელვარება. კმაყოფილნი იყვნენ მხოლოდ ქურდები და უბინაო ბოგანონი, რომელთაც ახლა შეეძლოთ ბლომად ეჭამათ, ესვათ და ეავკაცნათ. მაგრამ ვინც მახლობელი არსება და მთელი ქონება დაკარგა, ის ვერ მოისყიდა ნერონმა ვერც ბაღების გახსნით, ვერც პურის გაცემით, ვერც თამაშების დაპირებით და ვერც საჩუქრების მოლოდინით. უბედურება მეტად დიდი და მეტად არაჩვეულებრივი იყო. ვისაც ქალაქსამშობლოსათვის სიყვარულის ნაპერწკალი გულში ჯერაც უღვივოდა, სასო წარეკვეთა ამ ამბის გაგონებაზე, გული სტკიოდათ, რომ ძველი სახელი Roma პირისაგან მიწისა უნდა გამქრალიყო და კაისარს განზრახული ჰქონდა ფერფლიდან ახალი ქალაქი აღედგინა და სახელად Neropolis-ი დაერქვა. უკმაყოფილების ტალღა დღითი დღე მაღლა იზიდებოდა და იზრდებოდა. და მიუხედავად ავგუსტიანთა მლიქვნელობისა, მიუხედავად ტიგელინუსის სიცრუისა, ნერონი, რომელსაც ყველა წინამორბედ

კეისარზე უფრო მეტად აინტერესებდა ბრბოს განწყობილება, შეშფოთებით ფიქრობდა, პატრიციებთან და სენატთან წარმოებულ სამკვდრო-სასიცოცხლო უჩინარ ბრძოლაში შესაძლოა, თანამდგომნი დამაკლდნენო. თვითონ ავგუსტიანებიც არა ნაკლებ იყვნენ შეშფოთებულნი. ყოველ დღეს შესაძლო იყო მათთვის დაღუპვა მოეტანა. ტიგელინუსი ფიქრობდა, მცირე აზიიდან რამდენიმე ლეგიონი დაებარებინა; ვატინიუსი, მაშინაც კი, რომ იცინოდა, როდესაც ყბებში სილას ურტყამდნენ, ახლა კარგ გუნებაზე აღარ იყო; ვიტელიუსმა მადა დაკარგა.

ერთმანეთში თათბირობდნენ, უბედურება როგორ ავირიდოთო; ყველამ იცოდა, თუ ვინიცობაა რაიმე აფეთქება მოხდა და კეისარი მოისპო, მაშინ იქნება პეტრონიუსის გარდა არც ერთი ავგუსტიანი ცოცხალი არ გადარჩენილიყო. კეისრის ყველა უგუნურ საქმეს იმათ გავლენას აწერდნენ,

იმათ ჯაშუშობას – რასაც კი დანაშაულს სჩადიოდა. ხალხს ავგუსტიანები უფრო მეტად სძულდა, ვიდრე თვითონ კეისარი.

ყველამ იმის ფიქრი დაიწყო, ხანძრის ბრალდებისაგან თავი როგორ გამოეხსნა. მაგრამ ამისთვის საჭირო იყო ეჭვი ჯერ კეისრისათვის აეცდინათ. უამისოდ არავინ დაიჯერებდა, რომ ამ უბედურებას მათი ხელიც არ ერია. ამ მიზნით ტიგელინუსი ეთათბირა დომიციუს აფერს და სენეკას, თუმცა კიდეც სძულდა იგი. პოპეასაც ესმოდა, რომ ნერონის დაღუპვა მისთვის სიკვდილის განაჩენი იქნებოდა და თავის მახლობლებს და ებრაელების რაბინებს რჩევას ჰკითხავდა, ქალაქში ხმა

დადიოდა, რომ იგი რამდენიმე წელიწადი იყო, რაც იეღოვას სცემდა თაყვანს. ნერონიც თავის გზას ეძებდა. ეს გზა ზოგჯერ საზარელი იყო. ზოგჯერ ტაკიმასხარული, ხან შიში შეიპყრობდა, ხან ბავშვივით გახარებული იყო, მაგრამ მეტწილად კი ყველას საყვედურს ამბობდა.

ერთხელ ტიგელინუსის გადარჩენილ სახლში ხანგრძლივი, მაგრამ უნაყოფო თათბირი იყო. პეტრონიუსმა თქვა, უსიამოვნებას ყურადღებას ნუ მივაქცევთ, საბერძნეთში წავიდეთ, შემდეგ ეგვიპტესა და მცირე აზიას მივაშუროთო. მოგზაურობა დიდი ხნიდანვე იყო გადაწყვეტილი, მაშ მისი გადადება რაღა საჭიროა, მით უფრო რომში მოწყენილობაცაა და შიშიანობაცო.

კეისარმა ეს რჩევა აღტაცებით მიიღო, მაგრამ სენეკამ ცოტა მოფიქრების შემდეგ თქვა:

– წასვლა ადვილია, მაგრამ დაბრუნება იქნება ძნელი.

– ვფიცავ, ჰერკულესს, – მიუგო პეტრონიუსმა, – ჩვენ აზიის ლეგიონებს ჩამოვყვებით.

– ეგრეც ვიზამ! – დაიძახა ნერონმა.

მაგრამ ტიგელინუსი შეესიტყვა. თვითონ არაფრის მოფიქრება არ შეეძლო, თავში რომ

პეტრონიუსის აზრისნაირი აზრი მოსვლოდა, რა თქმა უნდა, იტყოდა. მაგრამ ახლა იმისთვის საჭირო იყო, პეტრონიუსი მეორედ არ შექმნილიყო ერთადერთი კაცი – მძიმე დროს ყველას და ყველაფრის გახსნის შემძლე.

– მომისმინე ღვთაებრივო, – თქვა მან, – ეს რჩევა დამღუპველია. ვიდრე შენ ოსტიამდე მიაღწევ, შინა ბრძოლა გაჩნდება. ვინ იცის, ვაითუ ღვთაებრივი ავგუსტუსის რომელიმე ჩამომავალმა თავი კეისრად გამოაცხადოს, მაშინ რაღა ვქნათ, თუ ყველა ლეგიონი მის მხარეზე გადავიდა?

– ვეცდები, რომ ავგუსტუსის ჩამომავალი ერთიც აღარ დარჩეს, – მიუგო ნერონმა, – ისინი ცოტანიღა არიან, იმათი მოშორება ძნელი არ არის.

– მაგის გაკეთება შეიძლება, მაგრამ განა საქმე მარტო ეგ არის! ჩემმა მსახურებმა გუშინ ბრბოში გაიგონეს – კეისრად ისეთი კაცი უნდა იყოს, როგორიც თრასეა არისო.

ნერონმა ტუჩებზე იკვნიტა, შემდეგ თვალები მაღლა აიღო და თქვა:

– გაუმაძღარნი და უმადლონი! ფქვილი და ნახშირი სამყოფი აქვთ, რომ ხაბიძგინები აცხონ, მეტი რაღა უნდათ.

ამაზე ტიგელინუსმა უპასუხა:

– შურისძიება!

სიჩუმე ჩამოვარდა, უცებ კეისარი წამოდგა, ხელები მაღლა ცისკენ აღაპრო და დაიძახა:

სულსა სწყურიან შურისძიება,

შურისძიება მოითხოვს მსხვერპლსა...

ყველაფერი დაავიწყდა და გაბრწყინებული სახით თქვა:

– ფირფიტები მომეცით და სტილუსი. ამ ლექსს ჩავწერ. ლუკანუსს თავის დღეში ამისთანა არაფერი შეუთხზავს. შენიშნეთ, რომ ეს ლექსი უცებ მომაფიქრდა?

– ჰოი, შეუდარებელო! – გაისმა რამდენიმე ხმა.

ნერონმა ლექსი ჩაწერა და თქვა:

– დიახ, შურისძიება მოითხოვს მსხვერპლსა!

და ყველას თვალი შეავლო.

– ხმა რომ გავავრცელოთ, ქალაქის ცეცხლის წაგიდება ვატინიუსმა ბრძანა და ხალხის რისხვას ის შევწიროთ?

– ღვთაებრივო! განა ისეთი ვინა ვარ? – დაიძახა ვატინიუსმა.

– მართალია! შენზე დიდი ვინმეა საჭირო... ვიტელიუსი?

ვიტელიუსი გაფითრდა, მაინც გაიცინა.

– ჩემი ქონი, – თქვა მან, – იმას უფრო იზამს, რომ ახალ ხანძარს გააჩენს.

ნერონის თავში ახლა სხვა აზრი აიშალა, იგი მსხვერპლს ეძებდა, ისეთს, რომ შეძლებოდა, ხალხის რისხვა დაეკმაყოფილებინა და იპოვა კიდეც.

– ტიგელინუს, – ერთ წამს შემდეგ უთხრა მან, – ცეცხლი ხომ შენ გააჩინე?

იქ მყოფნი შეკრთნენ. მიხვდნენ, რომ კეისარი ახლა აღარ ხუმრობდა. დიდი ამბების წამი დადგა.

ტიგელინუსს სახე მოეკრუნჩხა – იმ ძაღლს დაემსგავსა, კბენას რომ აპირებს.

– მე ცეცხლი შენი ბრძანებით გავაჩინე, – მიუგო ტიგელინუსმა.

ეშმაკებივით მიაშტერდნენ ერთმანეთს. ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, ატრიუმში ბუზის ფრენა ისმოდა.

– ტიგელინუს, – თქვა ნერონმა, – გიყვარვარ?

– შენ თვითონ იცი, მბრძანებელო.

– გასწირე თავი ჩემი გულისთვის.

– ღვთაებრივო კეისარო, – მიუგო მან, – რად მთავაზობ ტკბილ სასმელს, ვერ გავბედავ და ტუჩებთან ვერ მივიტან.

– ხალხი დრტვინავს და ღელავს. შენ გინდა, პრეტორიელებმაც დაიწყონ დრტვინვა?

ყველა იქ მყოფს შეშფოთებისგან გული შეეკუმშა. ტიგელინუსი პრეტორიელების პრეფექტი იყო და მის სიტყვებში მუქარა გამოსჭვიოდა. თითონ ნერონიც მიხვდა ამას და სახე გაუფითრდა.

ამ დროს შემოვიდა ეპაფროდიტი, კეისრის აზატი, და განაცხადა, რომ ღვთაებრივ ავგუსტას ტიგელინუსის ნახვა სურს, რომ მასთან ხალხი მოვიდა და პრეფექტმა უნდა მოუსმინოს მათ.

ტიგელინუსმა კეისარს თავი დაუკრა და დამშვიდებული და ზიზღიანი სახით გავიდა. როცა მისი დამხობა მოიწადინეს, იმან თავისი ძალა აჩვენა და რაკი ნერონის სიმხდალე იცოდა, დარწმუნებული იყო, ქვეყნის მეუფე მასზე ხელის მოღერებას ვერაოდეს ვერ გაბედავდა.

ნერონი ჩუმად იჯდა, მაგრამ რაკი ხედავდა, ავგუსტიანები ჩემგან რაიმე სიტყვას მოელიანო, თქვა:

– თურმე გველი გამითბია უბეში.

პეტრონიუსმა მხრები აიწურა, თითქოს უნდოდა ეთქვა – ეგეთი გველის გასრესა ძნელი არ არისო.

– შენ რას იტყვი? თქვი, მირჩიე! – დაუყვირა ნერონმა, მისი მოძრაობა რომ დაინახა, – მარტო შენ გენდობი, იმიტომ, რომ ყველა იმათზე ჭკვიანი ხარ და კიდეც გიყვარვარ.

პეტრონიუსს უკვე ენაზე ედგა: „პრეტორიელების პრეფექტად დამნიშნე, ხალხს ტიგელინუსს გადავცემ და ქალაქს ერთ დღეში დავამშვიდებო“. მაგრამ ბუნებითმა სიზარმაცემ თავისი ქნა.

პრეტორიელების პრეფექტად ყოფნა იმას ნიშნავდა, რომ კეისრის პიროვნება და ათასი საზოგადოებრივი საქმე ეკისრა. რაში ეჭირვებოდა ასე თავის შეწუხება? არა სჯობდა საგანგებო წიგნთსაცავში ლექსები წაეკითხა. მკერდში ევნიკა ჩაეკრა, მის ოქროსფერ თმას მოფერებოდა, ტუჩებით ევნიკას მარგალიტის ტუჩებს დასწებებოდა? ამიტომაც უპასუხა:

– გირჩევ აქაიაში წახვიდე.

– ჰოი, – თქვა ნერონმა, – მე შენგან მეტს მოველოდი. სენატს ვძულვარ, თავდებად ვინ დამიდგება, აქედან რომ გავალ, ჩემ წინააღმდეგ აჯანყების დროშას არ ააფრიალებენ და კეისრად სხვას ვისმეს არ გამოაცხადებენ? უწინ ხალხი ჩემი ერთგული იყო, ახლა კი სხვას გაჰყვება. ჰადესს ვფიცავ, სენატს და ხალხს ერთი თავი რომ ებას...

– ღვთაებრივო, ნება მომეცი, გითხრა, რომ თუ გსურს, რომი შეინარჩუნო, რამდენიმე რომაელი მაინც უნდა დაიცვა, – ღიმილით უთხრა პეტრონიუსმა.

ნერონი აწუწუნდა:

– რა საქმე მაქვს რომსა და რომაელებთან! მე აქაიაშიც მომისმენდნენ. აქ კი მხოლოდ ღალატი

მარტყია გარს. ყველანი მტოვებენ, თქვენც მზად ხართ, მიღალატოთ! ეს მე ვიცი... თქვენ ვერც კი მოიფიქრებთ, მომავალი თაობანი რას იტყვის თქვენზე, თუ ასეთ არტისტს მიმატოვებთ.

შუბლზე ხელი მიირტყა და შეჰყვირა:

– დახე! ამდენ ზრუნვაში მეც კი დამავიწყდა, ვინა ვარ, – და მხიარული სახით პეტრონიუსს მიუბრუნდა.

– პეტრონიუს! – თქვა მან, – ხალხი დრტვინავს. მე რომ კითარა ავიღო და მარსის მინდორზე გამოვიდე, ის ლექსი ვიმღერო, თქვენ რომ ხანძრის დროს გიმღერეთ, როგორ გგონია, იმათ სიმღერით ვერ დავამშვიდებდი, როგორც ოდესღაც ორფევსმა ველური მხეცები დაამშვიდა?

ამაზე ტულიუს სენეციონმა, რომელსაც დიდი ხანია თავის მონა ქალებთან უნდოდა წასვლა, თქვა:

– უეჭველია, თუკი დაწყება დაგაცალეს.

– ელადას წავიდეთ, – უხალისოდ განაცხადა ნერონმა.

ამ დროს პოპეა შემოვიდა და უკან ტიგელინუსი მოჰყვა. ყველამ თვალი ტიგელინუსს მიაპყრო.

არაოდეს არც ერთი ტრიუმფატორი კაპიტოლიუმში ისეთი სიამაყით არ შესულა, როგორი სიამაყითაც ტიგელინუსი კეისრის წინ წამოდგა.

ლაპარაკი დაიწყო აუჩქარებლივ, მკაფიოდ. ხმაში ფოლადი ჩაისხა.

– მომისმინე, კეისარო, ვინაიდან შემიძლია გითხრა – ვიპოვე! ხალხისთვის შურისძიება და მსხვერპლია საჭირო, ერთი კი არა, ასი და ათასი მსხვერპლი. ბატონო, განა შენ არაოდეს გსმენია, რომ იყო ქრისტე, პონტოელმა პილატემ რომ ჯვარს აცვა? იცი, რანი არიან ქრისტიანები? არ მითქვამს, რა დანაშაულსა და უმართებულობას სჩადიან, როგორ წინასწარმეტყველებენ, ქვეყნიერებას ცეცხლი მოუღებს ბოლოსაო. ხალხს სძულს ისინი და ეჭვიც იმათზე აქვს მიტანილი. ტაძრებში ისინი არავის უნახავს, რადგან ჩვენს ღმერთებს ბოროტ სულებად სთვლიან, ისინი არც ასპარეზობაზე დადიან, რადგან უარყოფენ ცხენთა ვარჯიშს, არც ერთი ქრისტიანი ტაშისცემით არ შეგგეგებია შენ. არც ერთხელ არც ერთ მათგანს ღმერთად არ უცნიხარ. ისინი კაცთა ნათესავის მტრები არიან, მტრები არიან რომისაც და შენიც. ხალხი შენზე დრტვინავს, მაგრამ შენ როდი მიბრძანე, რომისთვის ცეცხლის წაკიდება და არც მე დამიწვავს იგი. ხალხი მსხვერპლს ითხოვს, დაე დაკმაყოფილებაც მიიღოს. ხალხს სისხლი და თამაში სწყურია, დაე მიიღოს კიდეც. ხალხს შენზე აქვს ეჭვი, დაე მის ეჭვს სხვა გზა მიეცეს.

ნერონი ტიგელინუსის ლაპარაკს ჯერ ვერ მიხვდა, მაგრამ შემდეგ და შემდეგ მისმა მსახიობურმა სახემ ცვლა დაიწყო, ხან რისხვას გამოხატავდა, ხან მწუხარებას, ხან თანაგრძნობას, ხან მრისხანებას. უცებ წამოდგა, ტოგა გადაიგდო, ორივე ხელი მაღლა ასწია. ერთ წამს ჩუმად იყო და შემდეგ ტრაგიკოსის ხმით თქვა:

– ზევს, აპოლონ, ჰერა, ათინა, პერსეფონე და თქვენ, უკვდავო ღმერთებო! ჩვენ საშველად რატომ თქვენ არ მოხვედით? იმ ბოროტებმა ეს უბედური ქალაქი ასე დაუნდობლად რად დასწვეს?

– ისინი კაცთა ნათესავის მტრები არიან და შენიცა, – თქვა პოპეამ.

სხვებმა ამას კვერი დაუკრეს.

– ქმენ სამართალი, ცეცხლის წამკიდველნი დასაჯე! თვითონ ღმერთები ითხოვენ შურისძიებას.

ნერონი დაჯდა, თავი ჩაჰკიდა და კვლავ დაჩუმდა, თითქოს ახლა რომ ბოროტმოქმედება გაიგონა, იმან თავზარი დასცაო. მაგრამ ერთ წამს უკან ხელი გაიქნია და თქვა:

– რა სასჯელისა და რა ტანჯვის ღირსია ასეთი დანაშაული? მაგრამ ღმერთები ჩამაგონებენ და

ტარტარის ძალის შემწეობით ჩემს ხალხს ისეთ სანახავს გავუჩენ, რომ მთელი საუკუნეები მომიგონებენ და მადლობას მეტყვიან.

პეტრონიუსს სახე მოეღრუბლა. მან იმ საფრთხეზე დაიწყო ფიქრი, რაიც შესაძლო იყო ვინიციუსსა და ლიგიას დასტყდომოდა თავს. მართალია, ახალ მოძღვრებას უარყოფდა, მაგრამ ქრისტიანებიც შეებრალა, დარწმუნებული იყო, ბრალი არ მიუძღოდათ. მასთანვე წარმოიდგინა, როგორი სისხლიერი არეულობა დატრიალდებოდა, რასაც სილამაზის მოტრფიალე მისი თვალები ვერ აიტანდნენ. მაგრამ ყველაზე უწინარეს გუნებაში გაივლო: „ვინიციუსი უნდა დავიცვა: ის ქალი რომ დაიღუპოს, გაგიჟდება“, – და ამ მოსაზრებამ ყველა სხვას გადააჭარბა და თუმცა პეტრონიუსს კარგად ესმოდა, რომ საშინელ საქმეს ჰკიდებდა ხელს, მაინც თავისუფლად და დაუდევნელად ალაპარაკდა, როგორც მუდამ ლაპარაკობდა, როდესაც კეისრისა და ავგუსტიანებს ესთეტიკური გრძნობის ნაკლებობას უსაყვედურებდა.

– მაშ, მსხვერპლს მიაგენით? კარგია! შეგიძლიათ იგი ასპარეზზე გაგზავნოთ, ან „მწუხარების ტუნიკა“ ჩააცვათ. ეგეც კარგია, მაგრამ მომისმინეთ, თქვენს ხელთ უფლებაა, თქვენ პრეტორიელები გყავთ, თქვენ ძალა გაქვთ, – მაშინ მაინც იყავით წრფელნი, როდესაც თქვენს ლაპარაკს არავინ ისმენს. ხალხი მოატყუეთ, მაგრამ თავს ნუ იტყუებთ. ხალს გაეცით ქრისტიანები, როგორიც გსურდეთ, ტანჯვა მიაყენეთ, მაგრამ სიმამაცე იქონიეთ და თქვენს თავს უთხარით, რომ

რომი მათ არ დაუწვიათ! თქვენ მე arbiter elegantiarum-ს მეძახით, ამიტომ გეტყვით, რომ უგვანო კომედიებს ვერ ვიტან. ყველა ეს როგორ მაგონებს Posa Asinaria-ს მახლობელ ბალაგანებს, სადაც მსახიობნი ქალაქის განაპირა მოსახლე არამზადების გასართობად ღმერთების და მეფეების როლს თამაშობენ და წარმოდგენის შემდეგ ხახვზე მჟავე ღვინოს დააყოლებენ ან ჯილდოდ მუშტებს მიიღებენ ხოლმე. ნამდვილი ღმერთები და მე-

ფეები იყავით, იმიტომ რომ შეგიძლიათ, თქვენს თავს ამის ნება მისცეთ. რაიც შეგეხება შენ, კეისარო, – შენ მომავალ საუკუნეთა მსჯავრით გვემუქრებოდი, – მაგრამ გაიხსენე, რომ ის საუკუნეები მსჯავრს შენც მოგიტანენ. ღვთაებრივ კლიოსა ვფიცავ! ნერონმა, ქვეყნიერების მეუფე ნერონმა, ღმერთმა ნერონმა დასწვა რომი იმიტომ, რომ ქვეყნიერებაზე ყოვლადძლიერი იყო, ისე როგორც ოლიმპოსზე ზევსია ყოვლადძლიერი. პოეტ ნერონს ისე უყვარდა პოეზია, რომ მას მსხვერპლად სამშობლო მიუტანია. ქვეყნის დასაბამიდან ამისთანა არავის არ ჩაუდენია, ამისთანის რასამე ქმნა არავის გაუბედნია. ცხრა ლიბეთრიდის სახელს გაფიცებ – ამისთანა დიდებას ზურგს ნუ შეაქცევ, იმიტომ, რომ შენზე ნათქვამი სიმღერები ქვეყნიერების დასასრულამდე იხმიანებენ. შენთან შედარებით რა ფასი ექნებათ პრიამოსს, აგამემნონს, აქილევსს, თვითონ ღმერთები რანი იქნებიან? ის ცოტაა, რომ რომის დაწვა კარგი საქმეა – ის აგრეთვე დიდი და არაჩვეულებრივი საქმეც არის! ამას გარდა გეუბნები, ხალხი შენზე ხელს არ აღმართავს. იყავ მამაცი: რაც არ შეგფერის, იმ საქციელს მოერიდე, ვინაიდან შენ მხოლოდ ის გემუქრება, რომ ჩამომავალთ შეუძლიათ თქვან: „ნერონმა რომი დასწვა, მაგრამ ვითა სულმოკლე კეისარმა და სულმოკლე პოეტმა დიდი საქმის ჩადენა სიმხდალით გადათქვა და ბრალი უდანაშაულოებზე გადაიტანა!“

საერთოდ პეტრონიუსის სიტყვები ნერონზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდნენ, მაგრამ ამჯერობაზედაც თვითონ პეტრონიუსიც თავს არ იტყუებდა. იცოდა, რომ უკანასკნელ საშუალებას მიმართა. რომ თუ ბედი გასჭრიდა, იქნება ქრისტიანები გადაერჩინა, მაგრამ უფრო ადვილი მოსალოდნელი იყო, თავი დაეღუპა. მაგრამ ამას არ დაერიდა. საქმე საყვარელ ადამიანს – ვინიციუსს შეეხებოდა, თანაც ამ გამბედაობით ერთობოდა. „წილი ნაყარია, – იფიქრა მან, – ვნახოთ ამ მაიმუნში დიდების სიყვარულს შიში რამდენად გადააჭარბებს“.

და გულის სიღრმეში არ ეეჭვებოდა, რომ შიში გადააჭარბებდა.

იმის სიტყვების შემდეგ სიჩუმე ჩამოვარდა. პოპეა და ყველა იქ დამსწრე ნერონს თვალებში ყურადღებით უცქერდნენ. ნერონმა ტუჩები მაღლა აზიდა, ნესტოებამდე მიიტანა. ეს იმის ნიშანი იყო, რომ არ იცოდა, რა გზას დადგომოდა, ბოლოს მის სახეზე წუხილი და უკმაყოფილება გამოიხატა.

– ბატონო, – დაიძახა ტიგელინუსმა, ყველა ეს რომ შენიშნა, – ნება მომეც, აქედან წავიდე. შენს პიროვნებას დაღუპვას უქადიან, თანაც სულმოკლე კეისარს გეძახიან, სულმოკლე პოეტს, ცეცხლის წამკიდებელს და ჯამბაზს, ჩემი ყური ასეთ სიტყვებს ვერ აიტანს.

„წავაგე“ – გაიფიქრა პეტრონიუსმა. მერე ტიგელინუსს მიუბრუნდა, მძულვარებით სავსე თვალებით ახედ-დახედა, ვით სახელოვანმა პატრიციმ და ნატიფმა კაცმა წვრილფეხა არამზადას, და უთხრა:

– ტიგელინუს, ჯამბაზი მე შენ გიწოდე და აი ახლაც ჯამბაზი ხარ.

– იმიტომ ხომ არა, რომ შენგან შეურაცხყოფის მოსმენა არ მინდა?

– იმიტომ, რომ კეისრისადმი უსაზღვრო სიყვარულს გამოთქვამ, ახლახან კი პრეტორიელებით ემუქრებოდი. ჩვენ ეს ყველამ გავიგეთ და თვითონ კეისარმაც გაიგონა.

ტიგელინუსს არ ეგონა, რომ პეტრონიუსი ასეთი ნაბიჯის გადადგმას გაბედავდა, გაფითრდა, დაიბნა და ენა ჩაუვარდა. მაგრამ ეს პეტრონიუსის უკანასკნელი გამარჯვება იყო, მიტომ რომ შემდეგ პოპეამ თქვა:

– ბატონო, ნებას როგორ აძლევ, რომ ასეთი აზრი თავში გაივლოს ვინმემ, მით უმეტეს ხმამაღლა გამოთქვას?

– დასაჯე კადნიერი! – დაიძახა ვიტელიუსმა.

ნერონმა ხელახლა ტუჩები მაღლა ასწია, თავისი მიწისფერი ბეცი თვალები პეტრონიუსს მიაპყრო და თქვა:

– ეგაა ჩემი კეთილი განწყობილების სამაგიერო?

– თუ ვცდები, დამიმტკიცე, – მიუგო პეტრონიუსმა, – მაგრამ იცოდე, მე იმას ვამბობ, რასაც შენდამი სიყვარული მავალებს.

– დასაჯე კადნიერი! – გაიმეორა ვიტელიუსმა.

– დასაჯე! – დაიძახა რამდენიმე ხმამ.

ატრიუმში ხმაურობა და მოძრაობა ატყდა. ყველა ცდილობდა პეტრონიუსისაგან შორს გამდგარიყო, თითონ ტულიუს სენეციონიც კი – სასახლეში მისი განუყრელი ამხანაგი და ახალგაზრდა ნერვაც, აქამდე რომ მეგობრობდა პეტრონიუსთან. ერთ წამს უკან პეტრონიუსი ატრიუმის მარცხენა მხარეზე დარჩა. იგი ღიმილით ტოგის ნაკეცებს ისწორებდა, ელოდა, რას იტყოდა ან რას მოიმოქმედებდა კეისარი.

კეისარმა კი თქვა:

– თქვენ გინდათ, დავსაჯო, მაგრამ ეს ხომ ჩემი ამხანაგია და მეგობარი. თმცა ამან შიგ გულში დამკოდა, დეე იცოდეს, რომ ამ გულს მეგობრების მხოლოდ... პატიება შეუძლია.

„წავაგე, დავიღუპე“, – გაიფიქრა პეტრონიუსმა.

კეისარი წამოდგა, თათბირი დასრულდა.

თავი მეშვიდე

პეტრონიუსი შინ წავიდა, ხოლო ნერონი და ტიგელინუსი პოპეას ატრიუმში გადავიდნენ, სადაც მათ ის ხალხი ელოდა, რომლებთანაც წინდაწინვე ტიგელინუსმა მოილაპარაკა.

იქ იყვნენ ორი ტიბრსგადაღმელი რაბინი, გრძელ სადღესასწაულო ტანისამოსში გამოწყობილნი, თავზე მიტრებით, მათი თანაშემწე და ხილონი. კეისარი რომ დაინახეს, რაბინები აღელვებისგან გაფითრდნენ, ხელები მხრებამდე ასწიეს და თავები დახარეს.

– სალამი შენ, მეფეთ მეფეო და მონარქო, – უთხრა უფროსმა, – სალამი შენ, კეისარო, დედამიწის მეუფეო, რჩეული ხალხის მფარველო, ადამიანთა შორის ლომო, ვისი სამეფო მზის სინათლეს ედარება, ლიბანის ნაძვსა, იერიქონის მალამოს.

– თქვენ მე ღმერთს არ მიწოდებთ? – ჰკითხა ნერონმა.

რაბინები უფრო ძლიერ გაფითრდნენ, უფროსმა კვლავ ლაპარაკი დაიწყო:

– ბატონო, შენი სიტყვები ტკბილია, ვითა ნაყოფი ვაზისა, ვითა მწიფე ლეღვი, ვინაიდან იეღოვამ

შენი გული კეთილით აღავსო. მამაშენის წინა მოადგილე, კეისარი გაიუსი, მკაცრი იყო, მაგრამ ჩვენი დესპანები მასაც არ ეძახდნენ ღმერთს, თვით სიკვდილს ამჯობინებდნენ ჩვენი კანონის დარღვევას.

– კალიგულამაც ხომ მიტომ უბრძანა, ლომებისთვის მიეყარათ ისინი?

– არა, ბატონო, კეისარ გაიუსს იეღოვას რისხვისა შეეშინდა.

რაბინებმა თავი მაღლა აიღეს, თითქოს ყოვლადშემძლებელ იეღოვას სახელმა სიმამაცე ჩაჰბერა მათ. მისი ძლიერების მორწმუნენი ნერონს თვალებში თამამად უცქეროდნენ.

– თქვენ ბრალს სდებთ ქრისტიანებს, რომ იმათ დასწვეს რომი? – ჰკითხა ნერონმა.

– ჩვენ იმათ მხოლოდ იმ ბრალს ვდებთ, რომ ისინი ჩვენი კანონის მტრები არიან, კაცთა ნათესავის მტრები არიან და შენი მტრები. დიდი ხნითგანვე ცეცხლით ემუქრებოდნენ რომსაც და მთელ ქვეყანასაც. დანარჩენს გიამბობს კაცი, ვისი ბაგენი სიცრუეს არ წაუბილწავს, რადგან მისი დედის ძარღვებში რჩეული ხალხის სისხლი სდის.

ნერონი ხილონს მიუბრუნდა:

– შენ ვინა ხარ?

– შენი თაყვანისმცემელი, ოსირისო, და მას გარდა, არაფრის მქონე სტოიკოსი.

– მე სტოიკოსები მძულს, – უთხრა ნერონმა, – მძულს თრასეა, მძულს მუზონიუსი და კორნუტუსი, მათი სიტყვები მეზიზღება, მეზიზღება, რომ ხელოვნება ეჯავრებათ, გაჭირვებას ხალისით იტანენ და აბრანძულები დადიან.

– ბატონო, შენს მასწავლებელს სენეკას ათასი მაგიდა აქვს ნარინჯის ხისა. ოღონდ მოვინდომო, მე ორი იმდენი მექნება. აუცილებლობის გამო ვარ სტოიკოსი, დაამშვენე, სხივცისკროვანო, ჩემი სტოიციზმი ვარდის გვირგვინით, წინ დამიდგი ღვინით სავსე ჭურჭელი და მეც ანაკრეონტის სიმღერებს ისე ვიმღერებ, რომ ყველა ეპიკურელი დავაყრუო.

ნერონს სიტყვა „სხივცისკროვანი“ ეამა. გაიღიმა და უთხრა:

– მომწონხარ!

– ეს კაცი იმდენ ოქროდ ღირს, რამდენსაც თვითონ იწონის! – დაიძახა ტიგელინუსმა.

– აღავსე, ბატონო, სასწორის ჩემეული პინა შენი სიუხვით, თორემ ყველა ჩემს ჯილდოს ქარი წაიღებს.

– მართლაც, წონაში ვიტელიუსს კი არ გადააჭარბოს, – დასძინა კეისარმა.

– ვაი რომ, ვერცხლმშვილდოვანო, ჩემი მახვილგონიერება ტყვიისა არ არის.

– ვხედავ, რომ შენი მოძღვრება არ გიკრძალავს, ღმერთი მიწოდო.

– ჰოი, უკვდავო! ჩემი მოძღვრება შენა ხარ, ქრისტიანები ამ მოძღვრების წინაშე სცოდავდნენ, ამიტომ მე ისინი შევიძულე.

– რა იცი ქრისტიანებისა?

– ნებას მიბოძებ, ღვთაებრივო, ვიტირო?

– არა, – უთხრა ნერონმა, – ეგ მოსაწყენი იქნება.

– შენ სამგზის მართალი ხარ, ვინაიდან, ვისაც უნახავხარ, იმან თვალზე ცრემლი აღარ უნდა

გაიკაროს. ბატონო, დამიფარე მტერთაგან.

– ქრისტიანებზე ილაპარაკე, – მოუთმენლობის კილოთი უთხრა პოპეამ.

– დავიწყებ, თუ მიბრძანებ, ისიდავ, – მიუგო ხილონმა, – ყმაწვილობიდან ფილოსოფიასა და ჭეშმარიტების ძიებაზე გადავდე თავი. ჭეშმარიტებას ვეძებდი უძველეს ღვთაებრივ ბრძენ კაცებთან, აკადემიაშიც, ათენშიაც და ალექსანდრიის სერაპეუმშიაც, ქრისტიანების არსებობა რომ შევიტყვე, გავიფიქრე, უთუოდ ახალი სკოლა არის, სადაც შეიძლება ჭეშმარიტების რამდენიმე მარცვალი ვიპოვო-მეთქი, და ჩემდა საუბედუროდ, ისინი გავიცანი! პირველი ქრისტიანი, რომელიც ბოროტმა ბედმა შემახვედრა, იყო ვინმე გლავკოსი, ნეაპოლელი ექიმი. იმისაგან რამდენიმე ხნის შემდეგ გავიგე, რომ ისინი ვიღაც ქრისტეს სცემენ თაყვანს, რომელმაც აღუთქვა მათ ყველა ხალხის შემუსვრა დედამიწაზე, ყველა ქალაქის დანგრევა და მარტო მათი დატოვება, თუკი ისინი დევკალიონის ყველა ძის მოსპობას უშველიან. აი რატომ სძულთ მათ, ბატონო, ხალხი, რატომ სწამლავენ წყალს, რატომ უთვლიან თავიანთ კრებაზე წყევლა-კრულვას რომსა და ყველა ტაძარს, სადაც ჩვენს ღმერთებს თაყვანს ვცემთ. ქრისტე ჯვარზე გააკრეს, მაგრამ მათ აღუთქვა, როდესაც რომს ცეცხლით გადავბუგავ, ხელმეორედ ქვეყნად მოვალ და დედამიწის მფლობელობას თქვენ გადმოგცემთო.

– ახლა ხალხი მიხვდება, თუ რომს ცეცხლი რად წაუკიდეს, – გააწყვეტინა ტიგელინუსმა.

– ხალხი, ბატონო, უკვე ისედაც ბევრს ჩახვდა, – მიუგო ხილონმა, – იმიტომ, რომ მე ბაღებში დავდივარ, მარსის მინდორზე და ვასწავლი. და თუ თქვენ გსურთ ბოლომდე მომისმინოთ, მაშინ გაიგებთ, თუ რა მოსაზრება მაიძულებს, შურისძიებისა მეშინოდეს. ექიმი გლავკოსი ჯერ არ მეუბნებოდა, რომ მათი სარწმუნოება ხალხის სიძულვილს ქადაგებს, პირიქით, მეუბნებოდა, ქრისტე კეთილი ღვთაებაა, ხოლო მისი რჯულის საფუძველი სიყვარულიაო. ჩემი სათუთი გული როგორ გაუმკლავდებოდა ასეთ ჭეშმარიტებას, მეც გლავკოსი შემიყვარდა და მივენდე. ლუკმაპურს ვუყოფდი და თუ გროშს ვიშოვიდი სადმე. იცი, ბატონო, როგორ გადამიხადა? ნეაპოლიდან როცა რომს მოვდიოდით, გზაზე დანით დამკოდა, ჩემი ცოლი, ჩემი

ნორჩი, მშვენიერი ბერენიკა მონებით მოვაჭრეს მიჰყიდა. ჩემი ამბავი რომ სოფოკლეს გაეგო... მაგრამ ამას რას ვამბობ. მე მისმენს უდიადესი, ვიდრე სოფოკლეა...

– უბედური კაცი! – თქვა პოპეამ.

– ავგუსტა, არ შეიძლება უბედური იყოს ის, ვინც აფროდიტეს სახე იხილა, ახლა მე იმ სახეს ვხედავ. მაშინ მე ნუგეშს ფილოსოფიაში ვეძებდი. რომში რომ მოველ, ვცდილობდი, ქრისტიანების უხუცესები გამეცნო, რომ გლავკოსისათვის სამაგიერო გადაეხადათ, ვფიქრობდი, ჩემი ცოლის დაბრუნებას აიძულებდნენ. გავიცან მათი მღვდელმთავარი, შემდეგ მეორე – პავლე, რომელიც აქ დილეგში იყო დამწყვდეული და შემდეგ გაათავისუფლეს, – ბევრიც სხვაც გავიცან, ვიცი,

ხანძრამდე სად ცხოვრობდნენ, სად იკრიბებიან, შემიძლია ვატიკანის ბორცვზე ერთი მიწისქვეშა მღვიმე გაჩვენო და ერთიც ნომენტანის კარს გარეთა სასაფლაო, სადაც თავიანთ ბინძურ წესს ასრულებდნენ. იქ ვნახე მოციქული პეტრე, ვნახე, გლავკოსი ბავშვებს როგორ ხოცავდა, რომ მოციქულს დახოცილთა სისხლი ესხურებინა ქრისტიანთათვის. ვნახე ლიგია – პომპონია გრეცინას აღზრდილი, რომელიც იკვეხნიდა, ბავშვის სისხლის მოტანა თუ ვერ შევიძელ, ბავშვის სიკვდილის ამბავი მაინც მომაქვსო. ის იყო, რომ უსუსურ ავგუსტას, შენს ასულს – ჯადო უყო. ჰოი, ოსირისო, და ჰოი, შენ, ისიდავ!

– გესმის, კეისარო? – თქვა პოპეამ.

– განა ეს შესაძლებელია? – შეჰყვირა ნერონმა.

– მე შემიძლია საკუთარი წყენა ვაპატიო, – განაგრძო ხილონმა, – მაგრამ როდესაც თქვენი წყენა მომესმა, მინდოდა, დანა დამეცა დამნაშავისთვის. ვაი, რომ კეთილშობილმა ვინიციუსმა დამიშალა, რომელსაც ის ქალი უყვარს.

– ვინიციუსი? აკი ის ქალი გაექცა?

– ის გაექცა, მაგრამ მოძებნა, რადგან უიმისოდ სიცოცხლე არ შეეძლო. გლახის შესაფერი ჯილდოს გულისთვის ქალის მოძებნა ვუშველე და სახლი ვაჩვენე, საცა ლიგია ტიბრის გაღმა უბანში ქრისტიანთა შორის ცხოვრობდა. ჩვენ იქ ერთად წავედით და შენი გოლიათი კროტონი წავიყვანეთ, რომელიც კეთილშობილმა ვინიციუსმა უშიშროებისთვის დაიქირავა. მაგრამ ურსუსმა, ლიგიას მონამ, კროტონი დაახრჩო. საშინელი ღონის კაცია.

ჰოი, ბატონო, ხარს ისე ადვილად მოუგრეხს კისერს, როგორც ყველას ხაშ-ხაშის თავის მოგლეჯა შეუძლია. ავლუსსა და პომპონიას იმიტომაც უყვარ-დათ იგი.

– ჰერკულესს ვფიცავ! – შეჰყვირა ნერონმა, – მოკვდავი, რომელმაც კროტონი დაახრჩო, იმის ღირსია, რომ მისი ქანდაკება ფორუმში დაიდგას. შენ ცრუობ, ბერიკაცო, კროტონი ვინიციუსმა დანით მოკლა.

– აი ხალხი ღმერთებს როგორ ატყუებს... ჰოი, ბატონო, ჩემი ყურით გა-ვიგონე, კროტონის გვერდები ურსუსის ხელებში როგორ ღრჭიალებდნენ, შემდეგ ურსუსმა ვინიციუსიც წააქცია. იმასაც მოკლავდა, ლიგია რომ არა ყოფილიყო. შემდეგ ვინიციუსი დიდხანს იყო ავად, ქრისტიანები უვლიდნენ იმ იმედით, რომ სიყვარულის გამო გაქრისტიანდებოდა. ისეც მოხდა.

– ვინიციუსი?

– დიახ.

– იქნებ პეტრონიუსიც? – გაფაციცებით ჰკითხა ტიგელინუსმა.

ხილონი აიწურა, ხელების სრესას მოჰყვა და შემდეგ თქვა:

– მაკვირვებს შენი შორსმჭვრეტელობა, ბატონო! დიახ, შესაძლებელია! ძალიან შესაძლებელია!

– ახლა მესმის, ქრისტიანებს ისე რად ესარჩლებოდა.

ნერონმა გადაიკისკისა.

– პეტრონიუსი ქრისტიანი! პეტრონიუსი სიცოცხლისა და სიტკბოების მტერი! ნუ სულელობთ და ნუ გინდათ, ეს ჩამაგონოთ, იმიტომ რომ ახლა მზადა ვარ, აღარაფერი არ დაგიჯეროთ.

– კეთილშობილი ვინიციუსი კი გაქრისტიანებულია, ბატონო, ვფიცავ ბრწყინვალებას, შენგან რომ ჭავლად გამომდინარებს, რომ მართალს ვამ-ბობ. არაფერი არა მძაგს ისე, როგორც სიცრუე. პომპონიაც ქრისტიანია, პა-ტარა ავლუსიც ქრისტიანია, ლიგიაც, ვინიციუსიც. მე იმას ერთგულად ვემ-სახურებოდი, იმან კი ჯილდოდ ექიმი გლავკოსის თხოვნით, ჩემი, სნეული და მშიერი

ბერიკაცის, გაროზგვა ბრძანა. მეც ჰადესს შევფიცე, რომ ამას მოვაგო-ნებ-მეთქი, ჰოი, ბატონო, ჩემი შეურაცხყოფის სამაგიერო მიაგე, ხოლო მე მოგცემთ მოციქულ პეტრეს და ლინს, კლიტსაც, გლავკოსსაც და სკრიპსაც. ესენი უხუცესები არიან. ხელში ჩაგიგდებ ლიგიასაც და ურსუსსაც... გაჩვენებ ასობით, ათასობით ქრისტიანს, გაჩვენებ იმათ სალოცავ სახლებს. ყველა

თქვენი დილეგი ვერ დაიტევს მათ!.. უჩემოდ იმათ პოვნას ვერ მოახერხებთ. აქამდე ჩემი მწუხარების ნუგეშს ფილოსოფიაში ვეძებდი, დაე, ახლა თქვენგან მომდინარე წყალობაში ვპოვო... მოხუცი ვარ, მაგრამ სიცოცხლის სიტკბოება ჯერ არ მინახავს... ახლა მაინც დავისვენო...

– შენ გინდა, სავსე ფიალის წინ იყო სტოიკოსი? – უთხრა ნერონმა.

– ვინც შენ სამსახურს გიწევს, იმას ფიალა მუდამ სავსე ექნება.

– შენ არა ცდები, ფილოსოფოსო.

მაგრამ პოპეა ისევ თავის მტრებზე ფიქრობდა. ვინიციუსით გატაცება წამიერი იყო, ეს გახლდათ შემდეგი ეჭვიანობის, რისხვისა და თავმოყვარეობის შელახვისა. მაინც ახალგაზრდა პატრიცის გულცივობამ ღრმად დაკოდა და გული ატკინა. მარტო ის რად ღირდა, რომ იმან გაბედა და სხვა ამჯობინა, ამ დანაშაულს სამაგიერო უნდა. რაიც ლიგიას შეეხება, პირველი წამიდანვე სძულდა

იგი, რადგან მისმა სილამაზემ, ჩრდილოეთის ზამბახის სადარმა, შეაშფოთა. პეტრონიუსი, ქალის მეტად ვიწრო თეძოებზე რომ ლაპარაკობდა, რასაც მოისურვებდა, კეისარს იმას ჩააგონებდა, მაგრამ ავგუსტას კი ვერა. გამოცდილმა პოპეამ პირველი დანახვითვე გაიგო, რომ მთელ რომში მარტო ლიგიას შეეძლო არა მარტო მისი მეტოქეობა, არამედ ავგუსტას დამარცხებაც კი და უმალვე ლიგიელი მძევლის დაღუპვა დაიფიცა.

– ბატონო, – მიმართა მან ნერონს, – იძიე შური ჩვენი ბავშვის დამღუპველზე.

– დაეშურენით! – დაიძახა ხილონმა, – დაეშურენით, თორემ ვინიციუსი იმას გადამალავს. სახლს გაჩვენებთ, სადაც ხანძრის შემდეგ დაბინავდნენ.

– ათ კაცს მოგცემ, ახლავე წადი, – უთხრა ტიგელინუსმა.

– ბატონო, შენ ურსუსის ხელებში მომწყვდეული კროტონი არ გინახავს. თუ ორმოცდაათ კაცს მომცემ, მხოლოდ შორიდან ვაჩვენებ სახლს და თუ ვინიციუსიც დილეგში არ ჩააგდეთ, დავიღუპები.

ტიგელინუსმა ნერონს შეხედა.

– არა, ახლავე არა! ხალხი არ დაიჯერებს, თუ ვეტყვით, რომ რომს ცეცხლი პეტრონიუსმა, ვინიციუსმა ან პომპონია გრეცინამ წაუკიდეს. იმათ მეტად ლამაზი სახლები ჰქონდათ. ახლა სხვა მსხვერპლია საჭირო და იმათ კიდევ სხვები მოჰყვებიან.

– მაშ, ბატონო, ჯარისკაცები მომეცი, რომ დამიცვან, – უთხრა ხილონმა.

– მაგაზე ტიგელინუსი იზრუნებს.

– შენ მანამ ჩემთან გადმოსახლდი, – უთხრა პრეფექტმა.

ხილონს სახე გაუნათდა.

– ყველას ჩაგიგდებთ ხელში, მხოლოდ დაეშურენით, დაეშურენით, – ხრინწიანი ხმით ყვიროდა ბერძენი.

თავი მერვე

პეტრონიუსი რომ კეისრისგან გამოვიდა, უბრძანა, იგი კარინში წაეღოთ. იმის სახლს სამი მხრიდან ბაღი ჰქონდა, ხოლო წინა ფასადით მოედანზე გამოდიოდა, ამიტომ ხანძარს გადაურჩა.

სხვა ავგუსტიანები, რომელთაც სახლები და მდიდარი ხელოვნების ნაწარმოები დაეწვათ, პეტრონიუსს ბედნიერს ეძახდნენ. მაინც რა ხანია ამბობდნენ, ფორტუნას პირმშოაო.

მაგრამ ახლა ფორტუნას პირმშოს აღარ შეეძლო თავისი დედის მოწყალებაზე ეფიქრა, არც ის შეეძლო გაეხსენებინა, ფორტუნა თავისი შვილების შემსანსლავ კრონოსს ჰგავსო.

– ჩემი სახლი რომ დამწვარიყო, – ამბობდა გუნებაში, – და მასთან ერთად ჩემი გემები, ჩემი ეტრუსკული ლარნაკები, ალექსანდრიის მინა და კორინთოს ბრინჯაო, მაშინ იქნებ ნერონს თავისი უკმაყოფილება დავიწყებოდა. პოლუქსსა ვფიცავ! ჩემზე კი იყო დამოკიდებული, ახლა პრეტორიელების პრეფექტი ვყოფილიყავ! ტიგელინუსს ცეცხლის წამკიდებლად გამოვაცხადებდი – მაინც ხომ ის არის დამნაშავე – მას ჭმუნვის ტუნიკით მოვრთავდი და ხალხს მივცემდი. ქრისტიანებს გადავარჩენდი და რომსაც ავაშენებდი. ვინ იცის, იქნებ რიგიან ხალხს რიგიანი ცხოვრება შესძლებოდა. ასე უნდა მოვქცეულიყავ, თუნდა მარტო ვინიციუსის გულისთვის. თუ

ძალიან ბევრი საქმე მექნებოდა, პრეფექტის თანამდებობას ვინიციუსს დავუთმობდი, ნერონი წინააღმდეგობას არ გამიწევდა. დაე ვინიციუსს მერე ყველა პრეტორიელი მოენათლა, თუნდა თვითონ კეისარიც – მე ეს რას დამიშლიდა! ნერონი ღვთისმოშიში, ნერონი სათნო და მოწყალე... რა შესაქცევარი სანახავი იქნებოდა!

პეტრონიუსის დაუდევრობა იმდენად დიდი იყო, რომ იღიმებოდა კიდეც. მაგრამ წამს უკან მისი აზრი სხვა მხრისკენ მიიმართა. იმას ეჩვენა, რომ ანციუმში იყო და ტარსელი პავლე ეუბნებოდა:

„თქვენ სიცოცხლის მტრებს გვეძახით, მაგრამ მიპასუხე, პეტრონიუს, ნერონი რომ ქრისტიანი იყოს და ჩვენი რჯულისაებრ იქცეოდეს, თქვენი სიცოცხლე უფრო უშიშარი არ იქნებოდა?“

ეს სიტყვები რომ გაახსენდა, პეტრონიუსმა თავის თავთან ლაპარაკი განაგრძო:

– კასტორსა ვფიცავ! რამდენიც უნდა მოკლან ქრისტიანები, პავლე იმდენ ახალს იშოვის, თუ ქვეყანას არამზადობის გზაზე დგომა არ შეუძლია, პავლე მართალია... მაგრამ, ვინ იცის, იქნება ქვეყანას არამზადობის გზაზე დგომა შეუძლია, აკი დგას კიდეც. თვითონ მე, რომელსაც ცოტა არ მისწავლია, დიდი არამზადობა ჯერაც ვერ შევისწავლე, ამიტომაც ძარღვების გახსნა მომიხდება. მაინც საქმე ასე უნდა გათავებულიყო, და თუ ეს არა სხვა საბაბი გამოიძებნებოდა. ევნიკა

მებრალება და ჩემი მურის ლარნაკი მენანება. მაგრამ ევნიკა თავისუფალია, ხოლო ლარნაკი თან გამომყვება. აჰენობარბუსი იმას ვერ მიიღებს, ვინიციუსი მებრალება. თუმცა ახლა უწინდელზე ნაკლებად ვიყავ მოწყენის ტყვე, მაინც მზადა ვარ. ქვეყანაზე ბევრი რამ არის მშვენიერი, მაგრამ ხალხი მეტწილად ისე საძაგელია, რომ არა ღირს ადამიანის სიცოცხლე დაგენანოს. ვინც ცხოვრება იცოდა, იმან სიკვდილიც უნდა იცოდეს. თუმცა ავგუსტიანებს ვეკუთვნი, მაინც უფრო თავისუფალი ვიყავ, ვიდრე იმათ ჰგონიათ.

და პეტრონიუსმა მხრები შეიშმუშნა.

– იქ იმათ, უეჭველია, ჰგონიათ, მუხლები მიკანკალებს და შიშით თმა ყალყზე მიდგას, მე კი შინ დავბრუნდები, იის წყალში გავიბანები, მერე ოქროსთმიანი თვითონ წამისვამს ნელსაცხებელს და სადილს შემდეგ ანტემიუსს ვუბრძანებ, ჰიმნი გვიმღეროს, აპოლონის პატივსაცემად რომ შეთხზა. როდესაც მე თვითონ ვთქვი – სიკვდილზე ფიქრი არა ღირს-მეთქი, რადგან სიკვდილი თვითონ უჩვენოდაც ფიქრობს ჩვენზე. მაგრამ ჭეშმარიტად, რომ საკვირველი იქნებოდა, თუ ელისიონის მინდვრები მართლა არსებობენ და იქ აჩრდილებიც დაბორიალობენ... ევნიკა ჩემთან დროზე მოვიდოდა და ერთად ასფოდელოთ მოფენილ ველზე ხეტიალს დავიწყებდით. აქაურობაზე უკეთეს სანახავს ვიშოვიდი... რა მასხარები არიან გემოვნებასა და ლაზათს მოკლებული ბრბო! ათი arbiter elegantiarum-იც ტრიმალქიონებს რიგიან ხალხად ვერ გადააქცევდა. პერსეფონეს ვფიცავ, მომბეზრდნენ!

გაკვირვებით შენიშნა, რომ იმ ხალხს უკვე რაღაცამ დააშორა.

პეტრონიუსი თავის მდგომარეობას ჩაუფიქრდა. შორს მჭვრეტელობა ეუბნებოდა, დაღუპვა დაუყოვნებლივ არ გემუქრებაო. ნერონმა გარემოებით ისარგებლა და რამდენიმე სიტყვა თქვა მეგობრობისა და პატიების თაობაზე და ამით ცოტად თუ ბევრად ხელები შეიკრა. ახლა მიზეზის ძებნას დაიწყებს და ვიდრე მას იპოვის, კარგა დრო გაივლის. „ყველაზე უწინარეს ქრისტიანების თამაშებს გამართავს, – ამბობდა თავისთვის პეტრონიუსი, – და მხოლოდ მას შემდეგ იფიქრებს ჩემზე, და თუ ასეა, მაშ არა ღირს ამაზე თავი შევიწუხო და ჩემი ჩვეულებრივი ცხოვრება ავშალო. საფრთხე უფრო ახლოს ვინიციუსთანაა“.

და ამ წუთიდან საფიქრელი მხოლოდ ვინიციუსისაკენ მიმართა. როგორ ვუშველოო, იმტვრევდა თავს.

ოთხი ბრგე ტანის ბითინელი მიაქროლებდა ტახტრევანს დანგრეულ სახლებსა და დამწვარი ბუხრების მილებს შუა. პეტრონიუსმა უბრძანა, სირბილით წასულიყვნენ, რომ შინ ჩქარა მისულიყო. ვინიციუსს ინსულა დაექცა, ახლა პეტრონიუსთან ცხოვრობდა და ბედზე შინ დახდა.

– დღეს ლიგია ნახე? – კარის ზღურბლიდანვე ჰკითხა პეტრონიუსმა.

– ეს არის, იმისაგან მოველ.

– მაშ მომისმინე, რაც გითხრა, და შეკითხვებზე დროს ნუ დაკარგავ. დღეს კეისართან გადაწყდა, რომ რომის გადაწვა ქრისტიანებს დაბრალდეს. დევნა და ტანჯვა მოელის მათ. ლიგიას ხელი დაავლე და გაიქეცით ალპებს იქით ან აფრიკაში. იჩქარე, რადგან პალატინიდან ტიბრს გაღმა მხარე უფრო ახლოა, ვიდრე აქედან.

ვინიციუსი ჯარისკაცი იყო და უქმ კითხვებზე დრო არ დაუკარგავს. წარბშეკრული უსმენდა, ჩაფიქრებული და მკაცრი სახით. პირველი სურვილი, რაც დაებადა, საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლა და მისი მოგერიება იყო.

– მივდივარ, – უთხრა მან.

– ერთი სიტყვაც. ერთი კაპსა ოქრო წაიღე. იარაღიც წაიღე და ერთი მუჭა შენი ქრისტიანებიც გაიყოლე. თუ დაგჭირდეს, ლიგია ბრძოლით მოიპოვე.

ვინიციუსი უკვე ატრიუმის კარებს გასცდა.

– ამბავი შემატყობინე, – დაადევნა სიტყვა პეტრონიუსმა.

მარტო რომ დარჩა, ატრიუმის დამამშვენებელ სვეტებს შუა დაიწყო სიარული. იმის მოსაზრებაში იყო, თუ რა შეიძლებოდა მომხდარიყო. პეტრონიუსი ფიქრობდა, რომ პალატინში არავინ იცოდა, ლიგია სად ცხოვრობდა, მაშ ვინიციუსი პრეტორიელებს დაასწრებდა მისვლას. იქნება ისიც მომხდარიყო, რომ ტიგელინუსს ერთი დაკვრით მოესურვებინა, რაც შეიძლება ბევრი ქრისტიანი მოეხვეტა, მაშ პრეტორიელებს პატარა რაზმებად დაჰყოფდა. „თუ ლიგიას წასაყვანად ათზე მეტი კაცი არ გაგზავნა, – ფიქრობდა იგი, – მაშინ მარტო ლიგიელი გოლიათი ყველას ძვლებს გადაუმტვრევს, – თან ვინიციუსიც მიეშველება“. ამ ფიქრმა პეტრონიუსი კარგ გუნებაზე დააყენა. მართალია, პრეტორიელების წინააღმდეგ იარაღით მოქმედება თითქმის კეისართან შეტაკებას ნიშნავს და... პეტრონიუსმა ისიც იცოდა, თუ ვინიციუსი ნერონის შურისძიებას დაემალებოდა, ის შურისძიება თვითონ მე დამატყდება თავსო, მაგრამ ამაზე ნაკლებად სწუხდა. პირიქით, იმ აზრმა, ნერონსა და ტიგელინუსს გეგმას როგორღაც ჩავუფუშავო, იგი კიდეც გაამხიარულა. გადაწყვიტა, ამისთვის არც ფული დაეზოგა, არც ხალხი, რადგან ტარსელმა პავლემ ანციუმშივე ბევრი მისი მონა გააქრისტიანა, პეტრონიუსს შეეძლო დარწმუნებული ყოფილიყო, რომ ქრისტიანი ქალის დაცვისთვის ისინი თავს გამოიდებდნენ და სიცოცხლესაც არ დაზოგავდნენ.

ევნიკა მოვიდა და ფიქრი შეაწყვეტინა. მის დანახვაზე პეტრონიუსს ყველა სიმძიმილი და ზრუნვა უკვალოდ გაუქრა. დაავიწყდა კეისარიც, შერისხვაც, არაფრად შესარაცხი ავგუსტიანებიც, ქრისტიანების დევნის მუქარაც, ვინიციუსიცა და ლიგიაც. მხოლოდ ევნიკას ნაკვთებით

მოხიბლული ესთეტის თვალით უცქეროდა, ვითა საყვარელი, ვისაც ეს ნაკვთები სიყვარულს ჰფენენ. ევნიკა სადღესასწაულო იისფერ ტანისამოსში იყო გამოწყობილი, Coa vistis-ად წოდებული სამოსი ეცვა, რომელშიაც მისი ვარდისფერი სხეული გამოსჭვიოდა. მართლაც მშვენიერი იყო, ვითა ღვთაება. ქალი გრძნობდა პეტრონიუსის სიყვარულს და საყვარლის ალერსის მომლოდინე ისე გაწითლდა, თითქოს ხასა კი არა, უბიწო ქალი იყო.

– რას იტყვი, ხარიტა? – ჰკითხა პეტრონიუსმა და ხელები გაუწოდა. ევნიკა მისკენ დაიხარა და უპასუხა:

– ბატონო, ანტემიუსი მოვიდა მომღერლებით და გეკითხება: დღეს თუ გწადია ჩემი მოსმენაო?

– დაიცადოს, სადილზე გვიმღერებს, ჩვენც აპოლონის ჰიმნს ყური დავუგდოთ. პათოსის ჭალაკებს ვფიცავ! როდესაც შენ ამ Coa vistis-ში გხედავ, მეჩვენება, აფროდიტეს ცის ლაჟვარდი შეუმოსავს და ჩემ წინ დგას-მეთქი.

– ჰოი, ბატონო! – აღმოხდა ევნიკას.

– აქ მოდი, მომეხვიე და ტუჩები მომაწებე. გიყვარვარ?

– უფრო მეტად ზევსსაც ვერ შევიყვარებდი.

ევნიკამ ტუჩები მის ტუჩებს მიაწება და პეტრონიუსის მკლავებში ბედნიერებისაგან ათრთოლდა.

პეტრონიუსმა ჰკითხა:

– ჩვენ რომ გაყრა მოგვიხდეს?

ევნიკამ შიშით შეხედა.

– როგორ, ბატონო?

– ნუ გეშინია!... იქნებ ჩქარა შორს მოგზაურობა დამჭირდეს.

– თან წამიყვანე.

პეტრონიუსმა ლაპარაკის საგანი უცებ შესცვალა და ჰკითხა:

– მითხარ ჩვენს ბაღში ასფოდელო ჰყვავის?

– კვიპაროსები და მდელოები ხანძრისაგან გაყვითლდნენ, ტვიის ფოთლები დასცვივდა და მთელი ბაღი მკვდარსა ჰგავს.

– მთელი რომიც მკვდარსა ჰგავს, ხოლო ჩქარა ნამდვილ სასაფლაოდ გადაიქცევა. იცი, რომ ქრისტიანების წინააღმდეგ ედიქტი გამოვა, მათი დევნა დაიწყება და ათასობით გაიჟლიტებიან?

– სიკვდილით რად უნდა დაისაჯონ, ხომ კეთილი და მშვიდი ხალხია.

– სწორედ მაგისთვის.

– მაშ ზღვისკენ წავიდეთ. შენს ღვთაებრივ თვალებს სისხლის ცქერა არ უყვარს.

– კარგი. ახლა მინდა გავიბანო. ელეოთესიუმში მოდი, ხელები ნელსაცხებლით დამიზილე. კიპრიდას სარტყელს ვფიცავ! ეგეთი მშვენიერი ჯერ არც ერთხელ არ მინახავხარ. მე ვუბრძანებ, აბაზანა გაგიკეთონ ლოკოკინის ფორმისა. შენ იმ აბაზანაში ძვირფასი მარგალიტივით იქნები. იქ მოდი, ოქროსთმიანო.

პეტრონიუსი წავიდა, ხოლო ერთი საათის შემდეგ ისა და ევნიკა ვარდების გვირგვინების გამო

დაბინდული თვალებით სადილის სუფრას წამოუწვნენ, სუფრაზე ოქროს ჭურჭელი იყო. ამურად მორთული პატარა ბიჭები ემსახურებოდნენ, ხოლო ისინი ფოთოლშემოხვეული ჭურჭლიდან ღვინოს სვამდნენ და ქნარების შეწყობილ ჰიმნს ისმენდნენ. რას დაგიდევდნენ, რომ მათი სახლის გარშემო დამწვარი ღუმელების მილები იყვნენ აწოწილნი და ქარის დაქროლა დამწვარი რომის ფერფლს გარემოს ჰფენდა. პეტრონიუსი და ევნიკა ბედნიერები იყვნენ და მხოლოდ სიყვარულზე ფიქრობდნენ, რამაც მათ მთელი სიცოცხლე რაღაც ღვთაებრივ სიზმრად გადაუქცია.

ვიდრე ჰიმნი დასრულდებოდა, დარბაზში ატრიუმის გამგე მონა შევიდა.

– ბატონო, – შეწუხებული ხმით მოახსენა, – კარებში ცენტურიონი დგას პრეტორიელების რაზმის თანხლებით და კეისრის ბრძანებით შენი ნახვა უნდა.

სიმღერა და ქნარების ხმა შეწყდა. ყველა იქ მყოფი მწუხარებამ მოიცვა, რადგან კეისარი მეგობრებთან ურთიერთობის დროს პრეტორიელებს არ მიამრთავდა, ამიტომ მათი იმ დროს მისვლა კეთილს არაფერს ნიშნავდა. მხოლოდ პეტრონიუსს არ შემჩნევია რაიმე ღელვა და ისე თქვა, თითქოს ეს კაცი გამუდმებულ მოწვევას დაუქანცავსო:

– ნეტა თავი დაენებებინათ, დამშვიდებით მესადილა.

შემდეგ ატრიუმის გამგეს მიუბრუნდა:

– შემოუშვი.

მონა ფარდის იქით მიეფარა. მალე მძიმე ნაბიჯი მოისმა და დარბაზში პეტრონიუსის ნაცნობი ასისთავი აპერი შემოვიდა თავიდან ფეხამდე შეიარაღებული, თავზე მუზარადიანი.

– კეთილშობილო ბატონო, – უთხრა მან, – კეისრის წერილი მაქვს შენთან.

პეტრონიუსმა ხელი ზანტად გაუწოდა. ფირფიტები გამოართვა. გადაიკითხა და დამშვიდებულმა ევნიკას გადასცა.

– კეისარი ამ საღამოს ახალ სიმღერას წაიკითხავს ტროადან და თავისთან მიწვევს, – თქვა მან.

– მე ბრძანება მივიღე, მხოლოდ წერილი გადმოგცეთ, – მიუგო ასისთავმა.

– კეთილი. პასუხი არ იქნება. მაგრამ იქნება ჩვენთან დაგესვენა და ერთი კრატერი ღვინო დაგელია.

– მადლობელი ვარ, კეთილშობილო ბატონო, ერთ კრატერ ღვინოს სიამოვნებით დავლევ შენს სადღეგრძელოდ, დასვენება კი არ შემიძლია, რადგან სამსახური მევალება.

– წერილი შენი ხელით რად გამოგზავნა და არა მონის ხელით?

– არ ვიცი, ბატონო, იქნებ იმიტომ, რომ აქეთ მხარეს სხვა საქმეზეც გამომგზავნა.

– ვიცი, – უთხრა პეტრონიუსმა, – უთუოდ ქრისტიანების თაობაზე?

– დიახ, ბატონო.

– დევნა დიდი ხანია დაიწყო?

– ზოგი რაზმი ტიბრს გაღმა შუადღემდე გაგზავნეს.

ასისთავმა რამდენიმე წვეთი ღვინო მარსის პატივსაცემად გადააქცია, მერე დალია და წარმოთქვა:

– რაც მოისურვო ღმერთებმა მოგანიჭონ.

– ეგ კრატერი თან წაიღე, – უთხრა პეტრონიუსმა და ანტემიუსს ანიშნა, აპოლონის ჰიმნი დაესრულებინა.

– ჟღალწვერა ჩემთან და ვინიციუსთან თამაშობას იწყებს, – თავის თავს უთხრა, როდესაც ქნარებმა კვლავ ხმა გამოიღეს, – მისი განზრახვა მესმის, უნდოდა, შევეშინებინე და ამიტომ მოწვევა ასისთავის ხელით გამომიგზავნა. საღამოზე გამოჰკითხავს, როგორ მივიღე მისი დესპანი. არა, არა! ძალიან ვერ გაგახარებ, ბოროტების გუდავ. ვიცი, წყენას არ დავივიწყებ, ვიცი, რომ დაღუპვა არ ამცდება, მაგრამ თუ გგონია, რომ მუდარით დაგიწყებ ციცინს და ჩემ სახეზე შიშს შენიშნავ – ძალიან ცდები.

– ბატონო, კეისარი გწერს: „მოდი, თუ გსურსო“, – უთხრა ევნიკამ, – წახვალ?

– მშვენიერ გუნებაზედა ვარ, მისი სიმღერის მოსმენაც კი შემიძლია, – მიუგო პეტრონიუსმა, – წავალ, მით უფრო, რომ ვინიციუსს წასვლა არ შეუძლია.

ნასადილევს ჩვეულებრივ გაისეირნა, მერე თავი მონა ქალებს მიანდო, რომელთაც დავარცხნეს და ტანისამოსის ნაკეცები დაუწყვეს, ხოლო ერთ საათს უკან ღმერთივით ლამაზმა და მშვენიერმა, მონებს უბრძანა, პალატინში წამიყვანეთო. გვიანი იყო, წყნარი თბილი საღამო იდგა, მთვარე ისე

ანათებდა, რომ ტახტრევნის წინ მიმავალმა ლამპადარიუსებმა ჩირაღდნები ჩააქრეს. ქუჩებში და ნანგრევებს შუა მთვრალი ხალხი დაეხეტებოდა,

კეისრის ბაღში დაგლეჯილი ტვიისა და დაფნის გვირგვინებით შემკული. პურის სიუხვე და დიდი თამაშების იმედი ხალხის გულს სიხარულით ავსებდა. ერთგან ღვთაებრივი ღამისა და სიყვარულის სადიდებელს მღეროდნენ, სხვაგან მთვარის სინათლეზე ცეკვავდნენ. მონები რამდენჯერმე იძულებულნი იყვნენ, დაეყვირათ, გზა მიეცითო კეთილშობილ პეტრონიუსს. მაშინ ბრბო განზე იწევდა და თავის საყვარელ ადამიანს საპატივსაცემო ღრიალით ხვდებოდა.

პეტრონიუსი კი ვინიციუსზე ფიქრობდა და უკვირდა, რომ მისგან ამბავი არა მოუვიდა რა.

მაინც იმედს არა კარგავდა, რომ ვინიციუსი პრეტორიელებზე ადრე მივიდოდა და ლიგიათი გაიქცეოდა, ან სულ ცოტა, ლიგიას წაართმევდა მადევართ. მაინც სურდა დარწმუნებული ყოფილიყო, რადგან იცოდა, რომ სხვადასხვა კითხვაზე პასუხის მიცემა დასჭირდებოდა, ამისთვის კი ადრევე უნდა მომზადებულიყო.

ტიბერიუსის სახლთან შეჩერდა, ტახტრევნიდან გადმოვიდა და ატრიუმში შევიდა, რომელიც უკვე ავგუსტიანებით იყო სავსე. პეტრონიუსის გუშინდელ მეგობრებს, გაკვირვებულთ, ამას ვინ აღირსა კეისრის მიწვევაო, ჯერაც თავი განზე ეჭირათ. მაგრამ მშვენიერმა, თავისუფალმა, დაუდევარმა და

თავდაჯერებულმა პეტრონიუსმა ისე ჩაუარა მათ, თითქოს წყალობის დარიგება თვითონ ამის ხელთააო, ზოგიერთი ავგუსტიანი შეშფოთდა – ვაითუ ათვალისწუნება ნაადრევი მოგვივიდაო.

კეისარმა მაინც თავი ისე დაიჭირა, თითქოს ვერ ხედავდა პეტრონიუსს, თავის დაკვრაზე არ უპასუხა, ვითომდა ლაპარაკით იყო გართული. სამაგიეროდ, ტიგელინუსი მივიდა მასთან და უთხრა:

– საღამო მშვიდობისა, arbiter elegantiarum, შენ მაინც ამტკიცებ, რომ რომი ქრისტიანებმა არ გადაწვეს?

პეტრონიუსი შეიშმუშნა, მხარზე ხელი დაუტყაპუნა ტიგელინუსს, თითქოს ეს კაცი აზატიაო, და უპასუხა:

– შენ ჩემსავით კარგად იცი, ამაზე რაც უნდა ვიფიქროთ.

– მე როგორ გავბედავ, შენს სიბრძნეს გავუთანასწორდე?

– ცოტა არ იყოს, მართალი ხარ; ეგ რომ არა, როცა კეისარი ახალ სიმღერას წაგვიკითხავს

ტროადან, იმის მაგიერად, რომ ფარშავანგის ხმაზე იყვირო, რაიმე აზრი უნდა გამოთქვა, თანაც სულელური არა.

ტიგელინუსმა ტუჩებზე იკვნიტა. ბარემაც არ უხაროდა, რომ კეისარმა გადაწყვიტა, თავისი ახალი სიმღერა წაეკითხა, იმიტომ რომ ეს ისეთ ასპარეზს გადაშლიდა, რომელზედაც პეტრონიუსს მეტოქეობას ვერავინ გაუწევდა. მართლაც კითხვის დროს ნერონი უნებლიეთ პეტრონიუსისაკენ მიიხედავდა ხოლმე და ყურადღებით ათვალიერებდა მას. ეგებ arbiter elegantiarum-ის სახეზე რაიმე ამოეკითხა. პეტრონიუსი ხან აქებდა ლექსებს, ხან აძაგებდა, შესწორებას მოსთხოვდა და მომეტებულ მხატვრულ ძალას. თვითონ ნერონი გრძნობდა, რომ სხვებს მისი ლექსების აღტაცებული ქება პირადი მიზნებისთვის უნდოდათ და მხოლოდ მარტო პეტრონიუსს აინტერესებდა თვითონ პოეზია, მარტო მან იცოდა იგი და თუ რასმე მოიწონებდა, დარწმუნებული უნდა ყოფილიყო, რომ ლექსი მართლაც მოწონების ღირსი იყო. ნელ-ნელა ლაპარაკი გაუბა, კამათი დაიწყო და როცა პეტრონიუსმა ერთ გამოთქმაზე ეჭვი მიიტანა, საჭიროა თუ არაო, კეისარმა მიუგო:

– უკანასკნელი სიმღერიდან დაინახავ, ეგ გამოთქმა რად ვიხმარე.

„ჰოო! – იფიქრა პეტრონიუსმა, – ჩვენ უკანასკნელ სიმღერასაც მოვესწრებით“.

და არა ერთმა ავგუსტიანმა იფიქრა თავისთვის:

– ვაი ჩემს თავს! პეტრონიუსს დრო ექნება, კეისრის გული მოიგოს, ვინ იცის, თვითონ ტიგელინუსის დამხობაც შეიძლოს.

და ისევ პეტრონიუსისაკენ მობრუნდნენ. მაგრამ საღამოს დასასრული ნაკლებად ბედნიერი იყო. როდესაც პეტრონიუსი გამოსათხოვრად ადგა, კეისარმა თვალები დახუჭა და ბოროტი, თანაც გახარებული სახით ჰკითხა:

– ვინიციუსი რატომ აღარ მოვიდა?

პეტრონიუსი რომ დარწმუნებული ყოფილიყო, ვინიციუსი და ლიგია უკვე ქალაქის კარს გასცილდნენ, ეტყოდა: შენი ნებადართვით ცოლი შეირთო და გაემგზავრაო, მაგრამ ნერონის უცნაური ღიმილი რომ დაინახა, უპასუხა:

– შენი მოწვევა რომ მივიღე, ღვთაებრივო, შინ არ იყო.

– უთხარ, რომ მისი ნახვის მოყვარული ვიქნები, – უთხრა ნერონმა, – ისიც გადაეცი, რომ თამაშები არ დაივიწყოს, რომელზედაც ქრისტიანებს გამოიყვანენ.

ამ სიტყვებმა შეაძრწუნეს პეტრონიუსი. მას ეჩვენა, ეს სიტყვები სწორედ ლიგიას შეეხებიანო. უბრძანა, რაც შეიძლება, ჩქარა წაეყვანათ იგი, მაგრამ ეს ადვილი არ იყო. ტიბერიუსის სახლთან მჭიდროდ შეჯგუფული თავხედი ბრბო იდგა, წეღანდელივით მთვრალები იყვნენ, მაგრამ ცეკვა-სიმღერას შეშვებოდნენ. ახლა ბრბო საშინლად ღელავდა. შორიდან რაღაც ხმები მოისმოდა. პეტრონიუსმა ერთბაშად ვერ გაარჩია, რა იყო, ხმამ ძალი მოიცა და ბოლოს ველურ ყიჟინად გადაიქცა.

– ქრისტიანები ასპარეზზე! სიკვდილი ქრისტიანებს!

– პირუტყვებო! – მძულვარებით თქვა პეტრონიუსმა.

მსოფლიო ქალაქის ცხოვრება პეტრონიუსს რაღაც მასხარების ფერხულად და ორგიად ეჩვენა, რომელსაც მალე უნდა მოღებოდა ბოლო.

ახლა შეიგნო, რომ მხოლოდ ქრისტიანებს აქვთ სიცოცხლის რაღაც ახალი საფუძველი, მაგრამ ქრისტიანების კვალი ჩქარა მოისპობა. მერე რაღა იქნება?

მასხარული ფერხული ნერონის წინამძღოლობით წინ გაემართება, ხოლო როდესაც ნერონი

აღარ იქნება, სხვა გაჩნდება მისივე მსგავსი ან უფრო უარესი, იმიტომ რომ, ასეთი ხალხისა და ასეთი პატრიცების შემყურეს რა იმედი უნდა გქონდეს, ვინმე უკეთესი გამოჩნდებაო. კვლავ ახალი ორგია დაიწყება, უფრო ბინძური და უმსგავსო.

მაგრამ ორგია დაუსრულებელი არ იქნება. მას შემდეგ ძილია საჭირო, თუნდაც იმიტომ, რომ დაქანცულობისაგან იხსნა თავი.

ამას რომ ფიქრობდა, პეტრონიუსი გრძნობდა, თვითონაც ძალიან დავიღალეო. ღირს კი სიცოცხლე – თანაც განდგომილი სიცოცხლე, მხოლოდ იმიტომ, რომ მსგავსი გარემოებით დატკბეს? სიკვდილის გენია ძილის გენიაზე ნაკლებ მშვენიერი არ არის, იმასაც ზურგზე ფრთები ასხია.

ტახტრევანი სახლის კარებთან გაჩერდა. ფხიზელმა მეკარემ მაშინვე კარი გაუღო.

– კეთილშობილი ვინიციუსი დაბრუნდა? – ჰკითხა მას პეტრონიუსმა.

– ეს არის, ახლა გეახლა, ბატონო, – უპასუხა მონამ.

„მაშ ლიგია ვერ ჩაუგდია ხელში“, – გაიფიქრა პეტრონიუსმა, ტოგა მოიხსნა და შინ შევარდა.

ვინიციუსი თავჩაკიდებული იჯდა, მაგრამ ნაბიჯის ხმაზე გაქვავებული სახე ასწია; თვალები ანთებოდა.

– ვეღარ მოასწარ განა? – ჰკითხა პეტრონიუსმა.

– ვერა. შუადღემდე წაეყვანათ საპყრობილეში.

წუთით მდუმარება ჩამოვარდა.

– ნახე?

– ვნახე.

– სად არის?

– მამერტინის საპყრობილეში.

პეტრონიუსი შეკრთა და ვინიციუსს გამოცდილი თვალით შეხედა.

– არა! – თქვა ვინიციუსმა, – ტულიანუმში არ ჩაუგდიათ, შუა საპატიმროშიაც კი არ არის. დარაჯს ფული მივეცი, რომ ლიგიასთვის თავისი ოთახი დაეთმო. ურსუსი კარებში უწევს და იცავს.

– ურსუსმა რატომ ვერ დაიხსნა ლიგია?

– იმის წასაყვანად ორმოცდაათი პრეტორიელი წაეყვანათ. თან ლინს ურსუსისათვის წინააღმდეგობის გაწევა აუკრძალავს.

– თვითონ ლინი რასა იქმს?

– ლინი კვდება, მიტომაც არ წაუყვანიათ.

– ახლა რას აპირებ?

– ლიგიას დახსნას, ან იმასთან ერთად სიკვდილს. მეც ხომ ქრისტიანი ვარ.

ვინიციუსი თითქოს დამშვიდებული ლაპარაკობდა, მაგრამ მის ხმაში ისეთი ნაღველი გაისმოდა, რომ პეტრონიუსს გული სიბრალულით აევსო.

– მე შენი მესმის, – უთხრა მან დისწულს, – მაგრამ როგორ გინდა დაიხსნა ლიგია?

– დარაჯებს ფული მივეცი, ჯერ იმისთვის, რომ შეურაცხყოფისაგან დაიცვან, თან იმისთის, რომ გაქცევა არ დაუშალონ.

– მერე ეგ როდის იქნება?

– იმათ მითხრეს, ახლავე ვერ მოგცემთო, რადგან პასუხისგებისა ეშინიათ. როდესაც საპყრობილე ბლომად ხალხით გაივსება და დაპატიმრებულთა ანგარიში აერევათ, იმას მაშინ მომცემენ. მაგრამ ეს ხომ უღონობის ღონეა. შენ, შენ დაიხსენი ისიც და მეც. კეისრის მეგობარი ხარ. თვითონ იმან მომცა ლიგია. იმასთან მიდი და მიშველე!

პასუხის მაგიერ პეტრონიუსმა მონას უბრძანა, ორი მუქი მოსასხამი მოეტანა და ორი მახვილი, მერე ვინიციუსს მიმართა:

– გზაში ყველაფერს გიამბობ, ახლა კი მოსასხამი წამოისხი, მახვილი აიღე და საპყრობილეში წავიდეთ. მიეცი დარაჯებს ოცდაათი, ორმოცდაათი ათასი სესტერცი. უფრო მეტი მიეცი, ოღონდ ლიგია ახლავე მოგცენ. თუ არადა, გვიან იქნება.

– წავიდეთ, – უთხრა ვინიციუსმა.

წუთიცა და ორივენი ქუჩაში გაჩნდნენ.

– ახლა ყური დამიგდე, – უთხრა პეტრონიუსმა, – არ მინდოდა, დრო დამეკარგა. დღევანდელი დღიდან მოწყალების თვალი ამერიდა. ჩემი საკუთარი სიცოცხლეც ბეწვზე ჰკიდია. ამიტომ ვერაფრის მოხერხება ვერ შემიძლია. უფრო უარესი! დარწმუნებული ვარ, რასაცა ვთხოვ, საწინააღმდეგოს ჩაიდენს. ეს რომ არა ყოფილიყო, განა გირჩევდი, ლიგია და შენ გაიქეცი-მეთქი? ან ლიგია მოიტაცე-მეთქი? შენ რომ გაქცევა დაგესწრო, კეისრის რისხვა მე დამატყდებოდა თავს. დღეს შენს თხოვნას უფრო შეასრულებდა, ვიდრე ჩემსას. მაგრამ ამისი იმედიც ნუ გექნება. საპყრობილიდან გაათავისუფლე და გაიქეცი. მეტი გზა არა გაქვს: თუ ეს ვერ მოგიხდეს მაშინ სხვა საშუალებას მივმართოთ. იცოდე, ლიგია საპატიმროში მარტო იმიტომ კი არ ჩასვეს, რომ ქრისტიანია. იმას და შენ პოპეას რისხვაც გემუქრებათ. გახსოვს, ავგუსტას იმით აწყენინე, რომ უარყავ. იმან იცის, რომ მიზეზი ლიგიაა. ყველაფერში, რაც მოხდა, პოპეას ხელი ჩანს. თუ ეგ არა, რით აიხსნება, რომ ლიგია ყველაზე ადრე დაიჭირეს? ვის შეეძლო ლინის სახლი ეჩვენებინა? გეუბნები, რა ხანია თვალყურს ადევნებდნენ. ვიცი, რომ გულს გიკოდავ და უკანასკნელ იმედს გიკარგავ, მაგრამ ყველა ამას განზრახ გეუბნები; თუ შენ არ გამოიხსნი ლიგიას უფრო ადრე, ვიდრე შენს მცდელობას მიგიხვდებოდნენ, ორივენი დაიღუპებით.

– მართალია, მესმის! – ყრუდ უპასუხა ვინიციუსმა.

გვიანი ღამე იდგა და ქუჩები დაცარიელებულიყო, მაგრამ აქაც პატრიციებს საუბარი მთვრალმა გლადიატორმა შეაწყვეტინა; იგი პეტრონიუსს დაეჯახა, მხარში ხელი წაავლო და გახრინწიანებული ხმით დაუყვირა:

– ქრისტიანები ასპარეზზე!

– მირმილონ, – დამშვიდებით უთხრა პეტრონიუსმა, – კეთილ რჩევას დაუჯერე, წადი შენთვის, გზას ბარაქა დააყარე.

მთვრალმა გლადიატორმა მეორე ხელიც მხარში წაავლო.

– ახლავე ამყევი და შენც დაიყვირე: ქრისტიანები ასპარეზზე-თქო, თორემ კისერს მოგიგრეხ.

პეტრონიუსს ეს უკვე მეტისმეტი ეჩვენა. რაც პალატინიდან გამოვიდა, ეს ყვირილი მაჯლაჯუნასავით აწვა გულზე, ყურსა სჭრიდა. ახლა კიდევ მოღერებული მუშტები რომ დაინახა, მოთმინების საწყაო აევსო.

– მეგობარო, – უთხრა მან, – შენ ღვინის სუნი ამოგდის და გულს მირევს.

ამ სიტყვებით სახლიდან წამოღებული მოკლე მახვილი ვადამდე გულში ჩაურჭო გლადიატორს, მერე ხელი გაუყარა ვინიციუსს და გზა ისე განაგრძო, თითქოს არც არაფერი მომხდარიყოს.

– დღეს კეისარმა მითხრა, ვინიციუსს უთხარ, თამაშებზე მოვიდეს, როცა ქრისტიანებს გამოიყვანენო. გესმის, ეს რას ნიშნავს? იმათ უნდათ შენი მწუხარება სანახაობად გადააქციონ. ეს საქმე ადრევე აქვთ მოფიქრებული. ახლავე თუ ვერ შეიძელ ლიგიას გამოგლეჯა, მაშინ... არ ვიცი... იქნებ აქტეა დაგეხმაროს, ეგებ იმან გიშველოს... იქნებ შენმა სიცილიურმა მამულმა აცდუნოს ტიგელინუსი. სცადე...

– ყველაფერს მივცემ, რაცა მაქვს, – მიუგო ვინიციუსმა.

კარინიდან ფორუმამდე შორს არ იყო. ღამეს ნათელი ეპარებოდა და ციხის კედლები თანდათან უფრო მკვეთრად ისახებოდა.

მამერტინის დილეგისაკენ რომ შეუხვიეს, პეტრონიუსი უცებ გაჩერდა და თქვა:

– პრეტორიელები! დავიგვიანეთ!

მართლაც საპყრობილეს ორრიგად გარს ერტყა ჯარისკაცები, განთიადი მათ მუზარადებსა და შუბებს ვერცხლისფრად ალაპლაპებდა.

ვინიციუსს სახე მარმარილოსფერი გაუხდა.

– წავიდეთ, – უთხრა მან პეტრონიუსს.

ერთი წუთიცა და ისინი ჯარისკაცების მწკრივის წინ დადგნენ. პეტრონიუსი საკვირველი მეხსიერების პატრონი იყო. პრეტორიის ყველა უფროსს იცნობდა და ლამის ყველა ჯარისკაცსაც. ახლა კოჰორტის უფროსი დაინახა და მოიხმო.

– ეს რა ამბავია, ნიგრ? – ჰკითხა მან, – საპყრობილის დაცვა გიბრძანეს?

– დიახ, კეთილშობილო პეტრონიუს. პრეფექტს ეშინია, ცეცხლის წამკიდებლების გასათავისუფლებლად ციხეს თავს არ დაესხანო.

– ბრძანება გაქვთ, არავინ შეუშვათ? – ჰკითხა ვინიციუსმა.

– არა, ბატონო, დაპატიმრებულთა სანახავად მათი ნაცნობები მოვლენ და ამ გზით ბევრ

ქრისტიანს დავიჭერთ.

– მაშ თუ ეგრეა, შემიშვი, – უთხრა ვინიციუსმა და პეტრონიუსს ხელი მოუჭირა და ჩაუჩურჩულა:

– აქტეა ნახე. მეც მოვალ, გავიგო, რა პასუხს მოგცემს.

– მოდი, – უპასუხა პეტრონიუსმა.

ამ დროს დილეგიდან გალობის ხმა მოისმა. გალობა თავდაპირველად ყრუ და დაგუბული იყო, მაგრამ თანდათან გათამამდა, კაცების, ქალებისა და ყმაწვილების ხმები მწყობრად შეეწყო ერთმანეთს. ღამის სიჩუმეში მთელი საპყრობილე ქნარის მსგავსად ახმაურდა. ეს ხმები მწუხარებისა და სასოწარკვეთილების ხმები როდი იყო, – არა, მათში სიხარული და ზეიმი გამოისმოდა.

ჯარისკაცები გაკვირვებით შესცქეროდნენ ერთმანეთს. ცაზე ცისკრის პირველი ოქროსა და ვარდისფერი სხივები გამოჩნდა.

თავი მეცხრე

ყვირილი: „ქრისტიანები ასპარეზზე!“ ქალაქის ყველა უბანში გაისმოდა, თავდაპირველად არათუ არავის ჰქონდა ეჭვი, რომ საზოგადო უბედურების მიზეზი სწორედ ქრისტიანები იყვნენ, არამედ არავის არ უნდოდა ასეთი ეჭვი ჰქონოდა, იმიტომ რომ ქრისტიანების სიკვდილით დასჯა ხალხისათვის მშვენიერი შესაქცევარი უნდა ყოფილიყო. ამასთანავე ის ვარაუდიც დაირხა, რომ უბედურება ისე საზარლად არ გავრცელდებოდა, თუ ღმერთების რისხვა არ ყოფილიყო, ამიტომაც ყველა ტაძარში მოჰქონდათ piacula, ესე იგი, განმწმენდი მსხვერპლი. სენატში დღესასწაული გამართეს და ლოცვა აღავლინეს ვულკანუსის, ცერერას და პროსერპინას მიმართ. მატრონები მსხვერპლს სწირავდნენ იუნონას; წარჩინებული ქალების მთელი პროცესია ზღვის ნაპირას გაემართა, რომ წყალი მოეტანათ და ქალღმერთის ქანდაკებისათვის ესხურებინათ. ქმრიანი ქალები ნადიმებს უმზადებდნენ Lesbisteria-ს ღმერთებს და ღამის თევას. მთელი რომი ცოდვებისგან იწმიდებოდა, მსხვერპლს სწირავდა და უკვდავთ თავს ავედრებდა. ამავე დროს

ნანგრევებს შუა ახალ განიერ ქუჩებს აკეთებდნენ, მშვენიერი სახლების, სასახლეებისა და ტაძრების საძირკვლებს ყრიდნენ. მაგრამ ყველაზე უწინ გასაოცარი სიჩქარით აშენებდნენ უზარმაზარ ხის ამფითეატრს, სადაც ქრისტიანები უნდა დახოცილიყვნენ. ტიბერიუსის სახლში თათბირის შემდეგ ბრძანებები გაუგზავნეს პროკონსულებს, გარეული ნადირის გამოგზავნა მოითხოვეს. ტიგელინუსმა იტალიის ყველა ქალაქის ვივარიუმები დააცარიელა, პატარა

ქალაქებისაც კი. აფრიკაში, მისი ბრძანებით, დიდი ნადირობა უნდა გამართულიყო ცოცხალი მხეცების დასაჭერად და იმ ნადირობაში მთელ მოსახლეობას მონაწილეობა უნდა მიეღო. სპილოები და ფოცხვერები აზიიდან მოჰყავდათ, ნიანგები და ჰიპოპოტამები – ნილოსიდან, ლომები – ატლასიდან, მგლები და დათვები – პირენეის მთებიდან, აფთარი და ავი ძაღლები – ჰიბერნიდან, კამეჩები და დიდრონი ჯიხვები – გერმანიიდან. რადგან დაპატიმრებულთა რიცხვი მეტად დიდი იყო, ამიტომ თამაშს თავისი სიდიდით აქამდე რომაელთაგან ნანახი ყველა თამაშისათვის უნდა გადაეჭარბებინა. კეისარს უნდოდა ხანძრის ხსენება სისხლში ჩაეხრჩო და იგი სისხლი რომისათვის დაელევინებინა. განზრახული სისხლის ღვრას დიადობით ყველა წარსული სისხლისღვრა უნდა დაეჩრდილა.

გემოგახსნილი ხალხი ქრისტიანების დევნაში ვიგილებსა და პრეტორიელებს შველოდა. ეს არც ეძნელებოდათ – ქრისტიანები წარმართებთან ერთად ბაღებში დაბინავებულნი, თავიანთ სარწმუნოებას ხმამაღლა აღიარებდნენ. როცა იმათ იჭერდნენ, ისინი იჩოქებდნენ, ჰიმნებს გალობდნენ და წინააღმდეგობის გაუწევლად ნებდებოდნენ. ასეთი მოთმინება ხალხის გაცოფებას უფრო აძლიერებდა; ხალხს მისი სათავე არ ესმოდა და ამ მოთმინებას სიკერპედ და დანაშაულში გაწაფვად თვლიდნენ. მდევნელნი უგუნურებამ მოიცვა. მოხდებოდა ხოლმე, რომ ქრისტიანებს ხელიდან სტაცებდა ბრბო პრეტორიელებს და ნაფლეთებად გლეჯდა. დედაკაცებს თმით მიათრევდნენ საპყრობილეში. ბავშვებს თავს ქვაზე უნარცხებდნენ. დღე და ღამე ათასობით

ხალხი ღრიალით დარბოდა ქუჩებში. საპყრობილეებს წინ, ღვინის კასრებს გარშემო, კოცონების სინათლეზე, ბახუსურ ნადიმებსა და ცეკვას მართავდნენ. საპყრობილეები სავსე იყო, მაინც მდაბიო ხალხსა და პრეტორიელებს სულ ახალ-ახალი მსხვერპლი მოჰყავდა. თითქოს ხალხს ლაპარაკი

დავიწყებოდა და ველურ უგუნურობას ერთი ძახილიღა შეენარჩუნებინა მისთვის: „ქრისტიანები ასპარეზზე!“ უჩვეულო ცხელი დღეები დადგა. ღამე ისეთი სულისშემხუთველი იყო, როგორიც არაოდეს არა ყოფილა. თვითონ ჰაერიც თითქოს უგუნურებით, სისხლითა და ბოროტებით გაიჟღინთაო.

ძალადობის ამ ავსებულ ფიალას მოწამეობის წყურვილით ავსებული ფიალა შეეფარდა. ქრისტეს მაღიარებელნი ნებით მიდიოდნენ სასიკვდილოდ, კიდეც ეძებდნენ სიკვდილს, ვიდრე უხუცესთა სასტიკმა ბრძანებამ არ შეაყენა ისინი. უხუცესთა რჩევით, ქრისტიანთა კრებები ქალაქგარეთ მიწისქვეშ იმართებოდა ან ჯერ არშეპყრობილი ქრისტიანი პატრიცების ვენახებში. პალატინში მშვენივრად იცოდნენ, რომ ქრისტეს მმოსავებს ეკუთვნოდნენ ფლავიუსი, დომიტილა, პომპონია გრეცინა, კორნელიუს პუდენსი და ვინიციუსი. თვითონ კეისარს ეშინოდა, რომ მდაბიონი არ დაიჯერებდნენ, ასეთმა ხალხმა რომს ცეცხლი წაუკიდაო და რადგან ყოვლის უწინარეს ხალხის დარწმუნება იყო საჭირო, ამიტომ პატრიციებთან საქმის გასწორება მერმისისათვის გადასდეს. ამბობდნენ, პატრიციები აქტეას გავლენამ გადაარჩინაო, მაგრამ ეს ვარაუდი ნამდვილი არ იყო. პეტრონიუსი რომ ვინიციუსს გაშორდა, აქტეასთან წავიდა, სთხოვა, ლიგიას გამოესარჩლეო,

მაგრამ აქტეამ მხოლოდ ცრემლი დაახვედრა. ქალი განდგომილი ცხოვრობდა და მარტო იმიტომ არ ახლებდნენ ხელს, რომ პოპეასა და კეისარს ემალებოდა.

მაინც ლიგია საპყრობილეში ინახულა, კაბა და საჭმელი მიუტანა და რაც მთავარია, შეურაცხყოფისაგან დაიცვა, თუმცა კი უიმისოდაც საპყრობილის დარაჯები მოსყიდულნი იყვნენ.

მაგრამ პეტრონიუსს ვერ დაევიწყებინა, რომ თუ ის არა ყოფილიყო და მისი ჩაგონებით ლიგია ავლუსისათვის არ წაერთმიათ, ახლა ქალი დილეგში არ იქნებოდა. ამას გარდა, მას უნდოდა ტიგელინუსისათვის თამაში მოეგო. საამისოდ არც დროსა და არც ხერხს არა ზოგავდა. რამდენიმე დღე ხვდებოდა სენეკას, დომიციუს აფერის, კრისპინილას, ამათი შემწეობით უნდოდა პოპეაზე ემოქმედნა. ინახულა ტერპნოსი, დიოდორი, მშვენიერი პითაგორა და ბოლოს ალიტური და პარისი, რომელთაც კეისარი არაფერზე უარს არ ეუბნებოდა. ქრიზოტემიდას შემწეობით, ახლა რომ ვატინიუსის საყვარელი იყო, ცდილობდა, ვატინიუსიც გადმოებირებინა, ამისთვის არც დაპირებასა და არც ფულს არა ზოგავდა.

მაგრამ ყველა ეს მცდელობა უნაყოფო დარჩა. სენეკა, რომელმაც თვითონ არ იცოდა, ხვალ რა მოელოდა, შეეცადა, პეტრონიუსი დაეჯერებინა, თუნდაც ქრისტიანებს ცეცხლი არ გაეჩინათ, მაინც რომის კეთილდღეობას უნდა შეეწირონო, ესე იგი, მომავალ ჟლეტას სახელმწიფოებრივი

მოსაზრებით ამართლებდა. ვატინიუსმა ენა მიუტანა კეისარს, ჩემი მოსყიდვა უნდათო, მარტო ალიტურმა, უწინ რომ ქრისტიანებს მტრულად ეკიდებოდა და ახლა კი ებრალებოდა ისინი, გაბედა, კეისრისათვის დაპატიმრებული ქალი მოეგონებინა და ლიგიას წასარჩლბოდა, მაგრამ ნერონისაგან მხოლოდ ეს მიიღო პასუხად:

– ნუთუ გგონია, მე ბრუტუსზე სულნამცეცა ვარ, მან ხომ რომის კეთილდღეობისათვის საკუთარი ვაჟიშვილები არ დაინდო?

ალიტურმა რომ კეისრის სიტყვები გადასცა პეტრონიუსს, მან თქვა:

– რაკი ნერონმა თავი ბრუტუსს შეადარა, ლიგიას საშველი აღარ ყოფილა.

ვინიციუსი ებრალებოდა, ეშინოდა, ახალგაზრდა ტრიბუნს თავი არ მოეკლა. „ახლა, – ფიქრობდა პეტრონიუსი, – იმას ლიგიას დახსნის იმედი ამხნევებს, თვითონ ის ქალი და მისი ტანჯვა აკავებენ, მაგრამ როდესაც ყველაფერი უმტყუნებს და იმედის უკანასკნელი ნაპერწკალი გაუქრება – კასტორს ვფიცავ, სიკვდილს დაასწრებს, თავს მახვილით მოიკლავს“. პეტრონიუსს ესმოდა, რომ შესაძლო იყო, საქმე სწორედ ასე გათავებულიყო, მაგრამ ის კი არ ესმოდა, რომ ასე სიყვარული და ტანჯვა შეიძლებოდა.

თავის მხრივ ვინიციუსიც ცდილობდა, რაც კი შეეძლო, ლიგია დაეხსნა. იგი ავგუსტიანებთან მივიდა, ოდესმე ამპარტავანი, ახლა ყველას დახმარებას შესთხოვდა. ტიგელინუსს სიცილიური მამული დაჰპირდა და ყველაფერი, რასაც კი მოისურვებდა, მაგრამ ტიგელინუსს ავგუსტას რისხვისა ეშინოდა და უარი უთხრა. თვითონ კეისართან წასულიყო, მუხლებზე მოხვეოდა და შევედრებოდა?... ესეც არაფერს მოუტანდა. ვინიციუსს უნდოდა, ეს გზაც ეცადნა, მაგრამ პეტრონიუსმა რომ მისი განზრახვა გაიგო, ჰკითხა?

– იმან რომ უარი გითხრას ან ხუმრობით გიპასუხოს ან უხამსი მუქარით, მაშინ რას იზამ?

ვინიციუსს ტკივილმა და სიშმაგემ სახე დაუმანჭა.

– ჰოდა, – უთხრა პეტრონიუსმა, – არ გირჩევ, მაგით ყველა საშველს მოიჭრი.

მაგრამ ვინიციუსმა თავი შეიკავა, ცივი ოფლით მონამულ შუბლზე ხელი მოისვა და თქვა:

– არა, არა! მე ქრისტიანი ვარ!

– შენ ეგ დაგავიწყდება, როგორც ერთი წუთის წინ დაგავიწყდა. უფლება გაქვს, შენი თავი

დაიღუპო, მაგრამ ლიგიას დაღუპვის უფლება არა გაქვს. გაიხსენე, სეიანის ასულს რა შეურაცხყოფა მიაყენეს, ვიდრე ჯალათი დაახრჩობდა.

პეტრონიუსი არა ცდებოდა. პალატინში ახალგაზრდა ტრიბუნის მისვლას მიელოდნენ და სიფრთხილის ყველა ზომა იყო მიღებული.

ვინიციუსმა ყველა ტანჯვა გამოიარა, რის ატანაც კი ადამიანს შეუძლია. იმ დროიდან, რაც ლიგია საპატიმროში ჩასვეს, ქალს მომავალი მოწამეობის სხივი მოეფინა. ვინიციუსმა არა თუ ასჯერ მეტად შეიყვარა იგი, ლამის გულში ღვთაებად, არამიწიერ არსებად დაისახა. ახლა იმის გახსენებაზე, რომ ეს საყვარელი და უწმიდესი არსება უნდა დაკარგოს, რომ ლიგიას შეიძლება სიკვდილზე უფრო საზარელი ტანჯვა მიაყენონ, იგი გრძნობდა, როგორ ეყინებოდა ძარღვებში სისხლი, როგორ ერთ გმინვად იქცეოდა მისი სული, როგორ ერეოდა აზრი. შეგნება დაეხშო, აღარ ესმოდა, მის გარშემო რა ხდებოდა; ვერ გაეგო – თუ ქრისტე ლმობიერი ღმერთია, რატომ არ მოდის მის მაღიარებელთა საშველად, პალატინის შეტრუსული კედლები რატომ ქვესკნელში არ ჩაიტანენ ნერონსაც, ავგუსტიანებსაც, პრეტორიელებსაც და მთელ ამ ბოროტმოქმედ ქალაქს? იგი ფიქრობდა, რომ სხვებრ არც შეიძლებოდა და არც უნდა ყოფილიყო – ყველა, რასაც მისი თვალი უცქერის, რისგანაც სული ეტანჯება და გული უკვდება, სულ სიზმარია. მაგრამ ნადირთა ბრდღვინვა ეუბნებოდა, ეს სინამდვილეაო; ასპარეზთა მაშენებელი ცულების რახუნი ეუბნებოდა,

ეს სინამდვილეაო, და ყველა ამას ადასტურებდა მდაბიოთა ღრიალი და პირთამდე ავსებული საპატიმროები. მაშინ გრძნობდა, ქრისტე ძველებურად აღარ მწამსო. ვინიციუსისათვის ესეც ახალი სატანჯველი იყო, იქნებ ყველა სხვა უბედურებაზე უფრო საშინელიც.

ამასობაში პეტრონიუსი ჩააგონებდა:

– გაიხსენე, სეიანის ასულმა სიკვდილის წინ რა გამოსცადა.

თავი მეათე

ყველაფერმა უმტყუნა. ვინიციუსმა იქამდე დაიმდაბლა თავი, რომ აზატთა და კეისრისა და პოპეას მონების დახმარება ეძება; ცრუ დაპირებაში ფასს არ ზოგავდა, ძვირფასი საჩუქრებით ცდილობდა მათი გულის მოგებას. იმპერატორის ცოლის პირველი ქმარი რუფიუს კრისპინუსი მოძებნა და მოაწერინა, პოპეასა და რუფიუს კრისპინუსის შვილს ანციუმში სახლი აჩუქა, მაგრამ ამით მხოლოდ გაარისხა კეისარი, რადგან იმას გერი ჭირივით სძულდა. საგანგებოდ დაქირავებული შიკრიკით ესპანეთში წერილი გაუგზავნა პოპეას მეორე ქმარს ოთონს; მას მთელ ქონებას დაჰპირდა. ბოლოს ვინიციუსი მიხვდა, რომ ეს ხალხი მხოლოდ და მხოლოდ მასხარად მიგდებსო და ჯობს, თავი ისე დავიჭირო, თითქოს ლიგიას დაპატიმრების ამბავი ნაკლებად მაინტერესებდეს. მაშინ უფრო ჩქარა გავანთავისუფლებო.

პეტრონიუსსაც ასე ეგონა. დრო კი გადიოდა. ამფითეატრები დაასრულეს. ტერასებს უკვე არიგებდნენ, ე.ი. არიგებდნენ ბილეთებს დილის წარმოდგენაზე დასასწრებად. მაგრამ ამ ჯერობაზე დილის თამაში აურაცხელი მსხვერპლის გამო მთელი დღეები, კვირეები და თვეები უნდა გაგრძელებულიყო; არც კი იცოდნენ, სადღა მოეთავსებინათ ქრისტიანები. საპყრობილეებში ტევა აღარ იყო და იქ ცხრო მძვინვარებდა. Puticulus-ები, ე.ი. საზოგადო ხაროები, სადაც მონები ჰყავდათ, თანდათან ივსებოდა, შიში გაჩნდა, რომ ავადმყოფობა მთელ ქალაქს მოედებოდა, ამიტომ გადაწყვიტეს, აჩქარებულიყვნენ.

ეს ამბები ვინიციუსის ყურამდე აღწევდა და უკანასკნელ იმედს უკლავდა. ვიდრე დრო იყო, შეიძლებოდა თავი მოეტყუებინა, რისამე მოგვარებას მოვახერხებო, მაგრამ ახლა დროც მიიწურა. სანახაობანი ჩქარა უნდა დაწყებულიყო, მოსალოდნელი იყო ლიგიაც მალე ცირკის cuniculum-ში აღმოჩენილიყო, საიდანაც გამოსვლა მხოლოდ ასპარეზზე შეიძლებოდა. ვინიციუსმა არ იცოდა, ბედი და ძალადობა რომელ ასპარეზზე მოაქცევდა ქალს. ყველა ცირკი მოიარა, ხოლო დარაჯები და ბესტიარუსები მოქრთამა. ისეთ რამეს ავალებდა, რისი აღსრულებაც მათ არ შეეძლოთ. ხანდახან შეამჩნევდა, მარტო იმას ვცდილობ – ლიგიასთვის სიკვდილი ნაკლებად საზარელი იყოსო. ამ დროს გრძნობდა, რომ თავში ტვინის მაგიერ გაღვივებული ნაკვერცხლები ეწყო.

ღამეებს ურსუსთან ერთად ლიგიას საპყრობილის კართან ატარებდა და თუ ლიგია წასვლას და დასვენებას უბრძანებდა, მაშინ პეტრონიუსთან მიდიოდა და მთელ ღამეს ატრიუმში ბოლთასა სცემდა. მონებს ხშირად უნახავთ დაჩოქილი და ხელებაპყრობილი, ან იატაკზე პირქვე დამხობილი ვინიციუსი. იგი ქრისტეს ევედრებოდა – ეს მისი უკანასკნელი იმედი იყო. ყველაფერმა უმტყუნა! ლიგიას დახსნა მარტო სასწაულს შეეძლო, ვინიციუსი ქვის იატაკს ახლიდა თავს და სასწაულს შესთხოვდა უფალს.

იმდენი ცნობიერება კი ჰქონდა, შეეგნო, რომ პეტრეს ლოცვა მეტს ნიშნავდა, ვიდრე მისი ლოცვა.

პეტრემ აღუთქვა მას ლიგია, პეტრემ მონათლა იგი, პეტრე თვითონ ახდენდა სასწაულებს – მაშ შველა ახლაც აღმოუჩინოს და ლიგია იხსნას.

და აი, ერთხელ ღამე ვინიციუსი მის მოსაძებნად წავიდა. ქრისტიანები, რომელნიც ახლა ცოტანიღა დარჩნენ, მალავდნენ პეტრეს, რომ ვისმე მათგანს, სულით დავრდომილს, განზრახ თუ უნებლიეთ არ გაეცა. ამ საერთო ნგრევასა და არეულობაში ვინიციუსს მხოლოდ ერთი აზრი დარჩენოდა, როგორმე ლიგია საპყრობილიდან გამოეგლიჯა, ამიტომ მოციქული დაკარგა ისე, რომ მონათვლის შემდეგ მხოლოდ ერთხელ ნახა, ისიც დევნამდე. წავიდა იმ მიწის მთხრელთან, რომლის სახლშიაც მოინათლა, და გაიგო რომ Porta Salaria-ს იქით კორნელიუს პუდენსის ბაღში დღეს ქრისტიანების შეკრება უნდა მომხდარიყო. მიწისმთხრელი კისრულობდა, ვინიციუსი იქ მიეცილებინა. არწმუნებდა, პეტრეს იქ შეხვდებიო.

სახლიდან ბინდისას გამოვიდნენ, ქალაქის კარი გაიარეს, შამბატეხილ ხრამებს დაადგნენ და ყრუ და უდაბურ ადგილას მდებარე ვენახამდე მივიდნენ. ქრისტიანები მარანში შეკრებილიყვნენ, სადაც ჩვეულებრივ დროს ყურძენს სწურავდნენ. შორიდანვე ვინიციუსს გალობა მოესმა, ხოლო როცა შევიდა, ფარნების სუსტ სინათლეზე რამდენიმე ათეული ქრისტიანი დაინახა დაჩოქილი. ლოცვას მისცემოდნენ. რაღაც ექტენიის მსგავსს კითხულობდნენ, ხოლო კაცებისა და ქალების გუნდი წამდაუწუმ იმეორებდა „ქრისტეო, შეგვიწყალეო!“ ყველას ხმაში გულისგამგმირავი მწუხარება და ნაღველი ჟღერდა.

პეტრე იქ იყო. იგი მარნის კედელზე მიკრული ჯვრის წინ დაჩოქილიყო და ლოცულობდა. ვინიციუსმა გაარჩია მისი თეთრი თმა და ზეცისკენ აპყრობილი ხელები. ახალგაზრდა პატრიცის თავდაპირველად მოაფიქრდა,

ხალხში გამძვრალიყო, მოციქულს ფეხებში ჩავარდნოდა და დაეყვირა: „მიხსენ!“ მაგრამ იმ ლოცვის სიდიადისა იყო თუ მისი სისუსტისა, მუხლები მოეკვეთა და შესავალშივე კვნესით აღმოხდა: „ქრისტეო, შეგვიწყალე!“ ის რომ სრულ ჭკუაზე ყოფილიყო, გაიგებდა, რომ მხოლოდ მის ლოცვაში არ გაისმოდა გმინვა, მწუხარება. დარდი და ნაღველი აქ მარტო მას არ მოეტანა; ამ თავყრილობაში ერთი ადამიანიც არ იყო ისეთი, რომ მახლობელი არსება არ დაეკარგა, და როდესაც ახალი რჯულის მოქმედნი და დიდად თავგამოდებული მომხრენი საპყრობილეში იყვნენ, როდესაც ყოველ წამს ახალი ხმები ვრცელდებოდა დაპატიმრებულთა შეურაცხყოფისა და ტანჯვის შესახებ, როდესაც უბედურების ზომამ ყოველივე ვარაუდს გადააჭარბა, როდესაც ქრისტიანები ერთი მუჭაღა დარჩა – მაშინ ერთი რწმენაშეურყეველი გული აღარ მოიპოვებოდა, ერთი კაციც არ იყო, რომ ეჭვით აღვსილს არ ეკითხა: „სად არის ქრისტე? განა ვერ ხედავს, რომ ბოროტი სჯობნის ღმერთს?“ მაგრამ ახლა სასოწარკვეთილებით ემუდარებოდნენ მა მოწყალებას, რადგან ყველას გულში მაინც ციმციმებდა იმედი: იგი მოვა, ბოროტებას შემუსრავს, ნერონს უფსკრულში ჩააგდებს და ქვეყნიერებაზე გამეფდებაო... ქრისტიანები ჯერაც თვალს აპყრობდნენ ჯვარცმულს, ჯერაც უსმენდნენ მას, ჯერაც ძრწოლით ლოცულობდნენ. რამდენსაც ვინიციუსი იმეორებდა „ქრისტეო, შეგვიწყალე!“ იგიც იმავე აღტაცებამ მოიცვა, რაიც ოდესღაც მიწის მთხრელის ქოხში განეცადა.

მან ხელები სახეზე მიიფარა და მიწას დაემხო. უცებ სიჩუმე შემოერტყა გარს, თითქოს მლოცველთა ბაგე შიშმა შებოჭა. მას ეჩვენა, რომ რაღაც უნდა მოხმდარიყო, რომ წამი დადგა სასწაულისა, დარწმუნებული იყო, რომ როცა თავს აიღებდა და თვალებს გაახელდა, ცოდვილთა თვალების დამაბრმავებელ ნათელს დაინახავდა და ადამიანის გულის შემაძრწუნებელ ხმას გაიგონებდა;

მაგრამ სიჩუმე გრძელდებოდა და მას მხოლოდ დედაკაცების ტირილი არღვევდა.

ვინიციუსი წამოდგა და გაოცებული თვალით გარშემო ცქერა დაიწყო.

ფარდულში არამიწიერი სინათლის ნაცვლად ფარნები სუსტად ბჟუტავდნენ და ყავრულის ხვრელიდან შესული მთვარის შუქი იქაურობას ვერცხლისფერ სინათლეს ჰფენდა. ვინიციუსის გვერდით დაჩოქილი მდუმარე ხალხი ცრემლით სავსე თვალებით უცქეროდა ჯვარს, აქა-იქ ქვითინი იდგა,

ხოლო გარედან სადარაჯოდ დაყენებულთა სტვენა მოისმოდა. ბოლოს პეტრემ მიართა ხალხს და უთხრა:

– შვილებო, აღახვენით გულნი ჩვენი მაცხოვართან და მიუტანეთ მას მსხვერპლად ცრემლი თქვენი, – და დადუმდა.

უცებ იქ მყოფთა შორის დედაკაცის ხმა მოისმა, მწუხარებითა და ტკივილით აღსავსე.

– მე ქვრივი ვარ, ვაჟიშვილი მყავდა, ის მაცხოვრებდა, დამიბრუნეთ იგი, ბატონო!

კვლავ წამიერი სიჩუმე ჩამოდგა. პეტრე ხალხის წინ იყო დაჩოქილი, მოხუცი დაქანცული ჩანდა და ახლა სისუსტესა და უღონობის განსახიერებას მიმსგავსებოდა.

ამ დროს სხვა ჩივილი მოისმა.

– ჯალათებმა ნამუსი აჰყარეს ჩემს ქალს და ქრისტემ არ დაუშალა მათ!

მესამემ დაიჩივლა:

– მარტო დავრჩით მე და ჩემი შვილები. როდესაც მე წამიყვანენ, იმათ პურსა და წყალს ვინ მიუტანს, ვინ გაიკითხავს?

– ლინი ჯერ დატოვეს, მერე კი სტანჯეს, ბატონო!

– ჩვენ რომ შინ დავბრუნდებით, პრეტორიელები ყველას გვტაცებენ ხელს, არ ვიცით, სად

დავიმალოთ!

– ვაი ჩვენს თავს! ვინ დაგვიფარავს!

ღამის სიჩუმეში ერთ ჩივილს მეორე მოსდევდა. მოხუცმა მებადურმა თვალი დახუჭა და თავი ააკანტურა ამ ზღვა მწუხარებისა და შევიწროების გამო. კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა, მხოლოდ ფარდულის გარეთ დარაჯები სტვენდნენ წყნარად.

ვინიციუსი წამოხტა, რომ მოციქულამდე მიეღწია, მისთვის შველა ეთხოვა. უცებ თითქოს უფსკრული გაეხსნაო, ფეხები დაუდუნდა. ვაითუ მოციქული გამოუტყდეს, მე უძლური ვარო, ვაითუ დაადასტუროს კეისარი ნაზარეველზე ძლიერიაო? საშინელებისაგან თმა ყალყზე დაუდგა. მან იგრძნო, რომ უფსკრულში ჩაიღუპება არათუ მისი იმედის ნატამალი, არამედ თვითონ ის, მისი ლიგიაც და ქრისტეს სიყვარული, სარწმუნოებაც და ყოველივე, რითაც ცხოვრობდა. დარჩება მხოლოდ სიკვდილი და ზღვასავით უკიდეგანო ღამე.

პეტრემ ლაპარაკი დაიწყო ისეთი დაბალი ხმით, რომ მისი გაგონება ძლივს შეიძლებოდა. მოიგონა ჯვარცმული უფალი. მსმენელთ აუწყა, როგორ შეეპარა მაშინ ქრისტეს მიმდევართ ეჭვი. როგორ გაუკაჟა გული მცირე მრწმენთ უფლის მკვდრეთით აღდგომამ.

ბოლოს პეტრე იქით მიბრუნდა, საიდანაც ჩივილი მოისმოდა და უფრო ძლიერი ხმით ლაპარაკი დაიწყო:

– რად სჩივი? ღმერთმა თვითონ მისცა თავი სატანჯველად და სიკვდილად, თქვენ კი გინდათ ტანჯვისაგან იმან დაგიხსნათ? მცირედ მორწმუნენო, ნუთუ ვერ შეიგნეთ ქრისტეს რჯული? ნუთუ იმან მხოლოდ მიწიერი ცხოვრება აღგითქვათ? იგი მოვალს თქვენთან და გეუბნებით: „შემომიდექით!“ მას უნდა ზე აგიყვანოთ, თქვენ კი ხელით მიწას ებღაუჭებით და ყვირით: „უფალო, გვიშველე!“ მე ერთი ცახე ვარ ღვთისა წინაშე, ხოლო თქვენ წინაშე – ღვთის მოციქული და ნაცვალი. ქრისტეს სახელით გეუბნებით: თქვენ წინ სიკვდილი კი არა, სიცოცხლეა, ტანჯვა კი არა, გამოუთქმელი ნეტარებაა, ცრემლი და კვნესა კი არა, სიხარულია, მონობა კი არა, მეფობაა! მე ღვთის მოციქული გეტყვი შენ, ქვრივო, შენი შვილი არ მოკვდება, არამედ დიდებით აღდგება საუკუნო ცხოვრებისათვის, – და შენც მას შეუერთდები. შენცა, მამავ, რომელსაც უმანკო ქალი გაგიუპატიურეს, აღგითქვამ, რომ შენ მას პოვებ გობრონის შროშანაზე უსპეტაკესად. თქვენ, დედებო, რომელთაც ობოლთ წაგართმევენ, თქვენ სევდით მოსილნო, თქვენც, ძვირფას არსებათა სიკვდილის დამნახავნო, თქვენცა მწუხარენო, უბედურნო, მიმძლავრებულნო, თქვენცა, რომელნი უნდა მოკვდეთ, ქრისტეს სახელით გეტყვით მე: გამოფხიზლდებით ძილისაგან და მიეცემით საუკუნო ღვიძილს, ბნელ ღამეს მოჰყვება განთიადი.

ეს რომ თქვა, ხელი მაღლა აიღო, ხოლო ქრისტიანებმა იგრძნეს, როგორ მიეცათ ახალი სისხლი, ჟრჟოლა როგორ უვლიდა მათ ტანს – მათ წინ წელში მოხრილი მოხუცი კი აღარ იდგა, არამედ გოლიათი კაცი, ვისაც მათი სულები არარაობისა და შეშფოთებისაგან გამოჰყავდა და ზე მიმართავდა.

– ამინ! – დაიძახა რამდენიმე ხმამ.

მოციქულს თვალები აენთო, მისგან მოჰბერდა ძლიერება, მოჰბერდა დიდებულება, მოჰბერდა სიწმინდე. მლოცველნი თავდახრილნი იდგნენ. ხოლო მან, ყველა რომ დაწყნარდა, განაგრძო:

– მწუხარებით თესეთ, რომ სიხარულით მოიმკოთ. ბოროტების ძლიერებისა რად გეშინიათ? დედამიწა, რომი, ქალაქის კედელი უფლისა თქვენისა საგანმგებლოა. ქვანი ცრემლებისგან გალხვებიან, ქვიშა სისხლით გაიჟღინთება, უფსკრულნი თქვენი სხეულებით აღივსებიან, მე კი გეტყვით, თქვენა ხართ გამარჯვებულნი! უფალი მოვალს, რათა ბოროტების, მიმძლავრებისა და მედიდურების ქალაქი შემუსროს, და თქვენ მისი მხედრობა ხართ! და თუ თვითონ იმან სისხლითა და ტანჯვით ქვეყნის ცოდვა გამოისყიდა, მაშ თქვენ რატომ არ გინდათ, თქვენი ტანჯვითა და სისხლით ეს უბედურების ბუდე გამოისყიდოთ? ქრისტე ამას ჩემი ბაგით გაუწყებთ.

მოციქულმა ხელები მაღლა ასწია და თვალები ზე აღმართა. ქრისტიანებს სული შეეგუბათ. მათ იგრძნეს, რომ მოციქული რაღაცას ხედავდა, რისი დანახვაც მათ მოკვდავ თვალს არ შეეძლო.

პეტრეს სახე შეეცვალა და გაუნათდა. იგი სულ ზევით იყურებოდა, თითქოს აღტაცებისაგან დამუნჯდაო, მაგრამ ერთი წუთიცა და მისი ხმა ხელახლა გაისმა:

– აქა ხარ, უფალო, რათა მაჩვენო გზანი შენნი... ჰოი, იყავ კურთხეულ! შენ, რომელიც გვიბრძანებ, ვძლიოთ... ოსანა! ოსანა!

ვინც შეშინებული იყო, ადგა. ვინც ეჭვი გაიტარა, მას რწმენის ახალი ძალა ჩაესახა. ერთგან გაისმა: „ოსანა!“ სხვაგან: „Pro Christo“.

მერე ყველა მიჩუმდა, ფარდულებში ზაფხულის ციაგმა გაანათა ღელვისგან გაფითრებული სახეები.

პეტრე დიდხანს ლოცულობდა, ბოლოს გამოერკვა, თვისი შთაგონებული ნათელი სახე ხალხისკენ მიიღო და თქვა:

– როგორც უფალმა თქვენი ეჭვი სძლია, თქვენც მისი სახელით წარვედით ძლევად!

და თუმცა იმან იცოდა, რომ სძლევდნენ, თუმცა იცოდა, მათი სისხლისა და ცრემლისგან რა აღორძინდებოდა, მაინც მისი ხმა შეთრთოლდა, როდესაც ჯვარი გადასწერა ხალხს:

– დამილოცნიხართ, შვილნო ჩემნო, ტანჯვისა, სიკვდილისა და საუკუნო ცხოვრებისათვის.

ქრისტიანები შემოეხვივნენ და ყვიროდნენ: „ჩვენ მზადა ვართ, ხოლო შენ, წმინდაო, დაიმალე, რადგან ქრისტეს ნაცვალი ხარ!“ მის ტანისამოსს

ეჭიდებოდნენ, ის კი თავზე ხელს ადებდა და ყველას ჯვარს სწერდა, როგორც მამა გადასწერს ხოლმე თავის შვილებს ჯვარს, როდესაც შორს სადმე გზავნის.

ხალხი ფარდულიდან გამოეფინა. ყველა შინისკენ ეშურებოდა, იქიდან – ასპარეზზე ან საპყრობილეში. ქრისტიანების აზრები მიწას განუდგნენ. სული მათი საუკუნოსაკენ მიემართა. ყველანი ისე მიდიოდნენ, თითქო სიზმრით ან აღტაცებით იყვნენ მოცულნი.

მოციქული ნერემ წაიყვანა, პუდენსის მსახურმა, და ვენახის მიფარებული ვიწრო ბილიკით შინისკენ გაემართნენ. მათ ვინიციუსი მისდევდა, და როდესაც ნერეს ქოხამდე მივიდნენ, ახალგაზრდა ტრიბუნი უცებ მოციქულს ფეხებში ჩაუვარდა.

პეტრემ იცნო იგი და ჰკითხა:

– რა გინდა, შვილო ჩემო?

ვინიციუსმა, მას შემდეგ, რაც ფარდულში მოისმინა მოციქულის ნათქვამი, რისამე თხოვნა ვეღარ გაბედა, მხოლოდ ორივე ხელი პეტრეს მუხლებს მოხვია, ქვითინით მათ შუბლი მიაბჯინა და დუმილით წყალობა შეევედრა.

პეტრემ უთხრა:

– ვიცი, შენ რომ ქალი გიყვარს, წაიყვანეს. ილოცე მისთვის.

– ბატონო, – წაიკვნესა ვინიციუსმა და მოციქულს ხელები უფრო მაგრად მოუჭირა, – ბატონო, მე უმაქნისი ჭია ვარ, შენ კი ქრისტეს იცნობდი, ილოცე, გამოესარჩლე ლიგიას.

სიმწრისგან თრთოდა და შუბლს მიწას არტყამდა. მოციქულის ძალა იცოდა, იცოდა, რომ მარტო ის შეიძლებდა ლიგიას დაბრუნებას.

პეტრეს გული აუჩვილა ამ მწუხარებამ. გაახსენდა, რომ ოდესღაც კრისპის სიტყვების შემდეგ ლიგიაც ასე იყო განრთხმული მის ფერხთით და შებრალებას ითხოვდა. მოაგონდა, რომ მაშინ ლიგია ააყენა და ანუგეშა. ამიტომ ახლა ვინიციუსიც ააყენა.

– ძვირფასო შვილო, უთხრა მან, – ვილოცებ მისთვის, მაგრამ გახსოვდეს, რაც იმ მცირე მორწმუნეთ ვუთხარი. თვითონ ღმერთი იტანჯა ჩვენთვის. ისიც გახსოვდეს, რომ ამ სიცოცხლის შემდეგ სხვა საუკეთესო სიცოცხლე იწყება.

– ვიცი!... გავიგონე! – მიუგო ვინიციუსმა და გაფითრებული ტუჩებით ჰაერი შეისუნთქა. – მაგრამ, ხედავ, ბატონო... არ შემიძლია! თუ სისხლია საჭირო, შეევედრე ქრისტეს, ჩემი მიიღოს... მე მხედარი ვარ. ერთიორად, ერთისამად აქციოს მისთვის დანიშნული ტანჯვა – ავიტან! ის კი დაიხსნას! იგი ჯერ ბავშვია, ბატონო... ქრისტე კი კეისარზე უძლიერესია, – მრწამს, რომ უძლიერესია!.. თვითონ შენც გიყვარდა ის ქალი, თვითონ შენ დაგვლოცე. ის ხომ ჯერ უბიწო ბავშვია.

ხელახლა დაეშვა მიწაზე, სახე პეტრეს მუხლებთან მიიტანა და ისევ გაიმეორა:

– შენ იცნობდი ქრისტეს, ბატონო! შენ მოგისმენს! ილოცე ლიგიასათვის!

პეტრემ თვალები დახუჭა. იგი მხურვალედ ლოცულობდა.

შორს იფეთქა ციაგმა. ვინიციუსი პეტრეს ტუჩებში შესცქეროდა, სიკვდილ-სიცოცხლის განაჩენს

ელოდა. სიჩუმეში ისმოდა ვენახში მწყერები როგორ ეღუღუნებოდნენ ერთმანეთს და Via Salaria-სთან წისქვილის ქვები როგორ გრუხუნებდნენ.

– ვინიციუს, – ბოლო ჰკითხა მოციქულმა, – გწამს?

– ბატონო, თუ არა მწამდეს, განა აქ მოვიდოდი?

– მაშ ბოლომდე გწამდეს, ვინაიდან სარწმუნოება მთებს დასძრავს, შენ რომ ის ქალი ჯალათის მახვილის ქვეშ დაინახო ან ლომის ხახაში – გწამდეს, ქრისტეს მისი დახსნა შეუძლია, გწამდეს და ილოცე, ხოლო მე შენთან ერთად ვილოცებ.

მან სახე ცისკენ აღმართა და ხმამაღლა თქვა:

– ლმობიერო ქრისტე, გადმოხედე ამ მწუხარე გულს და ანუგეშე იგი! მოწყალეო ქრისტე, განრიდე მწუხარების თასი მონისა შენისაგან, ამინ!

ვინიციუსმა ხელები ვარსკვლავებისკენ ასწია და დაიკვნესა:

– ჰოი, ქრისტეო! მე შენი ვარ! ლიგიას წილ მიმიღე.

აღმოსავლით ცას ნათელი შეეპარა.

თავი მეთერთმეტე

მოციქულს რომ გაშორდა, ვინიციუსი გულდაიმედებული საპყრობილისაკენ გაემართა, მისი სულის სიღრმეში ჯერაც სასოწარკვეთილებისა და შიშის ხმა გაისმოდა, მაგრამ ცდილობდა, ეს ხმა დაეხშო. მას დაუჯერებლად

მიაჩნდა, რომ ღვთის ნაცვლის წასარჩლებას და მისი ლოცვის ძალას უნაყოფოდ ჩაევლო. ეშინოდა, იმედი არ გადამიწყდეს, რწმენამ არ მიმტყუნოსო. „მე ვიწამებ მის სათნოებას, – ამბობდა იგი, – თუნდაც ლიგია ლომის ხახაში დავინახო“. თუმცა ამ აზრმა გული შეუძრწუნა და საფეთქლებზე ცივი ოფლი დაასხა, მაინც სწამდა. ახლა ყოველი მისი გულისცემა ლოცვა იყო. ახლა მიხვდა, სარწმუნოება მთებს დასძრავდა, რადგან რაღაც უცნაური ძალა იგრძნო, როგორიც აქამდე არ უგრძვნია. როდესაც სასოწარკვეთილება გულში კიდევ გახმიანდებოდა კვნესად, მაშინ ის ღამე გაახსენდებოდა და იმ წმიდა მოხუცის სახეს მოიგონებდა. „არა, ქრისტე პირველ მოწაფეს უარს არ ეტყვის, თვისი სამწყსოს მწყემსს უარს არ ეტყვის, ეჭვი შორს ჩემგან, “ – და ვინიციუსი საპყრობილისკენ მირბოდა, როგორც კეთილი ამბის მახარებელი.

მაგრამ აქ მას მოულოდნელი ამბავი დახვდა.

პრეტორიელთა რაზმი მამერტინის საპყრობილესთან იდგა, უკვე იცნობდა ვინიციუსს და ჩვეულებრივ, შესვლაზე უარს არ ეუბნებოდა. ახლა კი ჯარისკაცების ჯაჭვი არ გაიხსნა. ასისთავი მივიდა ვინიციუსთან და უთხრა:

– მაპატიე, კეთილშობილო ტრიბუნო, დღეს ბრძანება მივიღე, არავინ შევუშვა.

– ბრძანება? – გაიმეორა ვინიციუსმა და გაფითრდა.

ჯარისკაცმა თანაგრძნობით შეხედა მას და უთხრა:

– დიახ, ბატონო. კეისრის ბრძანება. საპყრობილეში ბევრი ავადმყოფია, იქნებ ეშინიათ, მომსვლელებმა გადამდები სენი არ შეიტანონ ქალაქში.

– შენ თქვი, რომ ბრძანება მხოლოდ დღეისთვის არის მოცემული?

– დარაჯებს შუადღისას სცვლიან.

ვინიციუსი დაჩუმდა და ქუდი მოიხადა. იმას ეჩვენა, რომ მისი pileolus-ი ტყვიისა იყო.

ამ დროს ჯარისკაცი მიუახლოვდა მას და ჩუმი ხმით უთხრა:

– დამშვიდდი, ბატონო, დარაჯები და ურსუსი უვლიან მას.

მერე დაიხარა და ერთბაშად ქვის ფიქალზე თავის გრძელი გალური ხმლით თევზი გამოსახა.

– შენცა, პრეტორიელო?

– იმ დრომდე, ვიდრე იქ არ ვიქნები, – თქვა ჯარისკაცმა და საპყრობილეზე მიუთითა.

– მეც ქრისტეს მმოსავი ვარ.

– კურთხეულ იყოს სახელი მისი! ვიცი, ბატონო, არ შემიძლია საპყრობილეში შეგიშვა, და თუ წერილს დაწერ, დარაჯებს გავატან.

– გმადლობ, ძმაო!...

ხელზე ხელი მოუჭირა ჯარისკაცს და წავიდა.pileolus-ი ტყვიისად აღარ ეჩვენებოდა. მზე საპყრობილის კედლებს იქიდან ამოიწვერა და მის გასხივოსნებასთან ერთად ვინიციუსს გულში ახალი იმედი გაუჩნდა.

ეს ქრისტიანი ჯარისკაცი ქრისტეს ძლიერების ახალ საბუთად მიიჩნია. იგი შეჩერდა. კაპიტოლიუმსა და იუპიტერ-სტატორის ტაძარზე დაშვებულ ვარდისფერ ღრუბლებს დააცქერდა და თქვა:

– დღეს მე ლიგია ვერა ვნახე, უფალო, მაგრამ მოწყალება შენი მწამს.

შინ პეტრონიუსი ელოდა. ის თავის ჩვეულებისამებრ „ღამის დღედ გამთენებელი“ დიდი ხნის მოსული არ იყო. მიუხედავად ამისა, დაძინების წინ უკვე გაბანებულიყო და ნელსაცხებელიც წაესვა.

– შენთვის მე ახალი ამბავი მაქვს, – უთხრა მან დისწულს, – დღეს მე ტულიუს სენეციონთან ვიყავი, კეისარიც იმასთან იყო. არ ვიცი, რა მიზეზით, ავგუსტას მოპრიანებოდა და პატარა რუფიუსიც თან მოეყვანა. – იქნებ იმიტომ, რომ ბიჭს სილამაზით კეისარი მოეხიბლა, საუბედუროდ, კეისარი რომ კითხულობდა, ბავშვს დაეძინა. აჰენობარბუსმა რომ ეს დაინახა, ფიალა ესროლა და დაკოდა. პოპეას გული შეუღონდა. ყველამ გაიგონა, კეისარმა რომ თქვა: ამ ნაბუშარმა თავი მომაბეზრაო. ეს სიტყვები, ხომ იცი, იგივეა, რაც სიკვდილის განაჩენი.

– ავგუსტას თავს ღვთის რისხვაა სწორედ, – მიუგო ვინიციუსმა, – მაგრამ მაგას რად მეუბნები?

– ამას იმიტომ გეუბნები, რომ შენა და ლიგიას პოპეას რისხვა გდევნიდათ, ახლა კი ის საკუთარ დარდშია გართული. შეიძლება შურისძიება დაივიწყოს და ადვილად დაჰყვეს თხოვნას. დღეს საღამოზე ვნახავ და მოველაპარაკები.

– მადლობელი ვარ, კარგ ახალ ამბავს მეუბნები.

– შენ კიდევ, დაიბანე და დაიძინე. ტუჩები გაგლურჯებია, რაღაც აჩრდილს დამსგავსებიხარ.

ვინიციუსმა ჰკითხა:

– არ გითხრეს, საროდიოდ არის დანიშნული პირველი ludus matutinus?

– ათი დღის შემდეგ, ჯერ სხვა საპყრობილეებს გაწმენდენ. რამდენიც მეტი დრო გვრჩება, იმდენი უკეთესია. ჯერ ყველაფერი არ დაგვიკარგავს.

პეტრონიუსი იმას ამბობდა, რაც თითონაც არა სჯეროდა. ძალიან კარგად იცოდა, რომ კეისარმა ალიტურის თხოვნაზე ჩინებული პასუხი უთხრა, თავისი თავი ბრუტუსს შეადარა, მაშ ლიგიასთვის ხსნა აღარ იყო. ვინიციუსის სიბრალულით დამალა, რაც სენეციონთან გაიგონა, რომ კეისარმა და ტიგელინუსმა გადაწყვიტეს, თავისთვის და მეგობრებისთვის ძალიან ლამაზი ქრისტიანი ქალები აერჩიათ და წამების წინ გაეუპატიურებინათ, ხოლო დანარჩენი თამაშის წინ პრეტორიელებისა და ბესტიარიუსებისათვის მიეცათ.

იცოდა, ვინიციუსი ლიგიას სიკვდილის შემდეგ თავს აღარ იცოცხლებდა. ამიტომაც იმედით განგებ უმაგრებდა გულს – ჯერ დისწულისადმი თანაგრძნობის გამო და მერე იმიტომ, რომ ესთეტი პეტრონიუსისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვინიციუსი ლამაზი მომკვდარიყო, მიცვალებულს ნაღვლისა და უძილობისგან გაშავებული პირისახე არ ჰქონოდა.

– დღეს მე ავგუსტას დაახლოებით ამას ვეტყვი: დაიხსენ ლიგია ვინიციუსისთვის, ხოლო მე შენ რუფიუსს დავიხსნი. მე ამას მართლაც ვფიქრობდი. აჰენობარბუსთან მოხერხებულ დროს ნათქვამ ერთ სიტყვას შეუძლია ან დაიხსნას, ან დაღუპოს ვინმე. ასე იქნება თუ ისე, დროს მაინც მოვიგებთ.

– გმადლობ, – გაიმეორა ვინიციუსმა.

– უკეთეს მადლობას მეტყვი, თუ ჭამ და დაიძინებ. ათენას ვფიცავ! ოდისევსი თავისი სიცოცხლის უძნელეს წუთებში ძილსა და საჭმელზე ფიქრობდა. მთელი ღამე საპყრობილეში გაატარე?

– არა, – მიუგო ვინიციუსმა, – წავედი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ბრაძანება გამოსულიყო, შიგ აღარავინ შეეშვათ. გთხოვ, შეიტყო ის ბრძანება მარტო ერთი დღისთვის არის, თუ ვიდრე თამაშები დაიწყება სულ ძალა აქვს?

– ამაღამ გაგიგებ და ხვალ დილით გეტყვი – რა ხნით და რა მიზეზით არის ის ბრძანება გაცემული. ახლა კი თუნდა ჰელიოსიც ჩამოეშვას კიმერიელთა მხარეში, მაინც დასაძინებლად მივდივარ. შენც ჩემს მაგალითს მიჰყევ.

ერთმანეთს რომ გაშორდნენ, ვინიციუსი წიგნთსაცავში შევიდა და ლიგიასთან წერილის წერა დაიწყო.

ეს წერილი თვითონ წაიღო და ქრისტიან ასისთავს მისცა. იმან მაშინვე საპყრობილეში შეიტანა, ერთ წამს უკან დაბრუნდა, ლიგიას მოკითხვა მოუტანა და დაჰჰირდა – დღესვე ქალის პასუხს მოგიტანო.

ვინიციუსს შინ წასვლა არ უნდოდა და ლიგიას პასუხს დაუწყო ლოდინი. მზე უკვე ამოწვერილიყო Clivus Argentarius-ზე, უწინდებულად ჯგუფ-ჯგუფად მოდიოდა ფორუმისაკენ მომავალი ხალხი.

ვინიციუსი მეტად დაღლილი იყო და ხალხის ყაყანზე თვალები დახუჭა. მორის მოთამაშე ქუჩის ბიჭების ერთ კილოზე ნათქვამი სიტყვები და ჯარისკაცებს ზომიერი ნაბიჯი ნანასავით მოქმედებდნენ. ერთხელ კიდევ აიღო თავი, და დიდი ხნის ტირილის შემდეგ დამშვიდებული ბავშვივით დაიძინა. უცებ სხვადასხვა ჩვენებამ მოიცვა. ესიზმრა, რომ ლიგია ხელში აყვანილი

მიჰყავს რაღაც უცნობ ვენახში, წინ პომპონია გრეცინა მიუძღვის და ფარნით გზას უნათებს. ვიღაცის ხმა, პეტრონიუსის ხმის მსგავსი, შორიდან უყვირის „დაბრუნდით“! მაგრამ ის ყურადღებას არ აქცევს და ისევ პომპონიას მისდევს უკან. ქოხამდე უნდა მივიდეს, რომლის კარებში მოციქული პეტრე დგას. მაშინ ვინიციუსი იმას ლიგიას აჩვენებს და ეტყვის: „ბატონო, ჩვენ ეს ასპარეზიდან მოგვყავს, მაგრამ ვერ გაგვიღვიძებია – შენ გააღვიძე...“ პეტრე უპასუხებს: „თვითონ ქრისტე მოვა და გააღვიძებს“.

მერე ზმანებანი აერია. ვინიციუსი ხედავს ნერონსა და პოპეას, ხელში პატარა რუფიუსი უჭირავთ, პეტრონიუსსაც ხედავს, ბავშვს რომ დაკოდილ შუბლზე სისხლსა ბანს. ტიგელინუსსაც ხედავს, ძვირფასი საჭმელებით დახუნძლულ სუფრას რომ ფერფლს აყრის, ვიტელიუსსაც, ამ საჭმელებს რომ ნთქავს, ნადიმზე დამსწრე ბევრ სხვა ავგუსტიანსაც ხედავს. ამ ნადიმზე თვითონ და ლიგიაც არიან, მაგრამ სუფრებს შუა ლომები დადიან და ყვითელ წვერზე სისხლი ჩამოსდით. ლიგია სთხოვს, აქედან წამიყვანეო, მაგრამ ვინიციუსი ისეთ სისუსტეს გრძნობს, რომ განძრევაც არ შეუძლია. შემდეგ ზმანებანი უფრო უთავბოლო შეიქნენ და ბოლოს ყველაფერს სიბნელე გადაეფინა.

ღრმა ძილისაგან მზის მცხუნვარებამ და გარშემო ატეხილმა ყვირილმა გააღვიძა. ვინიციუსმა თვალები მოისრისა: ქუჩა ხალხით სავსე იყო და ყვითელ ტუნიკებში გამოწყობილი ორი

მალემსრბოლი, გრძელი ჩალის ჯოხებით და ყვირილით ხალხს განზე სწევდა. გზას აძლევდნენ მშვენიერ ტახტრევანს, ოთხ ღონიერ ეგვიპტელ მონას რომ მოჰქონდა.

ტახტრევანში კაცი იჯდა თეთრ ტანისამოსში გამოწყობილი. მისი პირისახის გარჩევა ძნელი იყო, რადგან პაპირუსში ჩაერგო თავი.

– გზა კეთილშობილ ავგუსტიანს! – ყვიროდნენ მალემსრბოლნი, მაგრამ ქუჩაში ისეთი ჭედვა იყო, რომ ტახტრევანი უნდა შეჩერებულიყო. მაშინ ავგუსტიანმა მოუთმენლობით კითხვას თავი დაანება და დაიყვირა:

– გარეკეთ ეს არამზადები! ჩქარა! მარდად!

უცებ რომ ვინიციუსი შენიშნა, საჩქაროდ უკან მიიწია და პირისახეზე პაპირუსი აიფარა.

ვინიციუსმა სახეზე ხელი მოისვა. გაიფიქრა, ისევ ხომ არ მძინავსო.

ტახტრევანში ხილონი იჯდა.

ამასობაში მალემსრბოლთ გზა გაწმინდეს და ეგვიპტელებსაც შეეძლოთ დაძრულიყვნენ. მაგრამ

ახალგაზრდა ტრიბუნი, რომელმაც ერთ წუთში აქამდე მისთვის გაუგებარი ბევრი რამ გაიგო, ტახტრევანთან მივიდა.

– სალამი, ხილონ, – უთხრა მან.

– ყმაწვილო კაცო, – ღირსებით და სიამაყით მიუგო ბერძენმა, თან ცდილობდა, სახისთვის დამშვიდებული მდგომარეობა მიეცა, თუმცა გულში შიშისაგან კანკალებდა, – გამარჯობა, მაგრამ ნუ დამაყოვნებ, რადგან ჩემს მეგობარ ტიგელინუსთან მიმეჩქარება.

ვინიციუსი ტახტრევნის ნაპირს მოეჭიდა, ხილონისაკენ დაიხარა და ჩუმი ხმით ჰკითხა:

– ლიგია შენ გაეცი?

– მემნონის კოლოსო! – დაიყვირა შეშინებულმა ბერძენმა.

მაგრამ ვინიციუსის თვალებში მუქარა არ იყო და ბებერ ბერძენსაც შიშმა ჩქარა გაუარა. მოაგონდა, რომ ტიგელინუსის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა და თვითონ კეისარიც მისი მფარველი იყო. მოაგონდა, რომ კეისრის წინაშე ყოველივე თრთის, რომ მას გარს ღონიერი მონები ახვევია, ხოლო ვინიციუსი უიარაღო დგას, გამხდარი და მწუხარებისგან მხრებში მოხრილი.

ამ აზრმა გაბედულება დაუბრუნა. ვინიცუსს მიაბჯინა წითელ ქუთუთოებში ჩამჯდარი თვალები და ისევ ჩუმად უპასუხა:

– შენ კიდევ, მე რომ შიმშილით სული მხდებოდა, ჩემი გაროზგვა ბრძანე.

ერთ წამს ორნივ ჩუმად იყვნენ. შემდეგ ვინიცუსის ყრუ ხმა გაისმა:

– მე უსამართლოდ მოგექეც, ხილონ!

მაშინ ბერძენმა თავი მაღლა აიღო, თითები გაატკაცუნა, რაიცა რომში მძულვარებას ნიშნავდა, და ისე ხმამაღლა თქვა, რომ ყველას გაეგონა:

– ჩემო მეგობარო, თუ სათხოვარი გაქვს რამე, ჩემს სახლში მოდი, ესკვილინუსზე ვცხოვრობ, დილაადრიან მოდი, როდესაც ჩემს სტუმრებს და მთხოვნელებს ვიღებ.

ხელი გაიქნია, ეგვიპტელებმა ტახტრევანი ასწიეს, ხოლო ყვითელ ტანისამოსიანმა მონებმა ჯოხების ქნევით ყვირილი დაიწყეს:

– გზა კეთილშობილ ხილონ ხილონიდის ტახტრევანს! გზა გზა!

თავი მეთორმეტე

ლიგია გრძელ, ნაჩქარევ უსტარს სწერდა ვინიციუსს. სამუდამოდ ეთხოვებოდა, იცოდა, რომ საპყრობილეში შემოსვლა აღარავის შეეძლო, სწერდა, მარტო ასპარეზზე მნახავო. სთხოვდა, გაეგო, მისი რიგი როდის დაგებოდა და თამაშზე მოსულიყო, რომ ქალს ერთხელ კიდევ დაენახა. წერილს მცირე ოდენი შიშიც კი არ ემჩნეოდა. ლიგია სწერდა, ყველას გვსურს ასპარეზზე ჩქარა გამოვიდეთო და ჩქარა მოვიპოვოთ განთავისუფლებაო. რაკი პომპონიასა და ავლუსის სიცილიიდან მოსვლას მოელოდა, ემუდარებოდა, თამაშზე ისინიც მოიყვანეო. ყველა მის სიტყვაში აღტაცება ჩანდა და დილეგის ცხოვრებისაგან განდგომის სურვილი. თან რწმენაც ჩანდა, რომ საუკუნო სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ უნდა დაწყებულიყო. „ახლა გამანთავისუფლებს ქრისტე, – სწერდა იგი, – თუ სიკვდილის შემდეგ, მე შენი ვარ, იმიტომ რომ იმან მოციქულის ბაგით შეგვაერთა“. ემუდარებოდა, არ შებრალებოდა და თვითონ სევდას არ მისცემოდა... ლიგიასათვის სიკვდილი განქორწინება არ იყო. ბავშვის რწმენით სწერდა ვინიციუსს, ასპარეზზე წამების შემდეგ მაშინვე ვეტყვი ქრისტეს, რომში საქმრო დავტოვე, სახელად მარკუსი და იგი ძალიან დარდიანია - მეთქი. მთელ წერილში სიხარული და იმედი გამოსჭვიოდა. ამ წერილში მიწიერ საქმეებთან შეკავშირებული მხოლოდ ერთი სათხოვარი იყო. ქალი ემუდარებოდა ვინიციუსს, ჩემი გვამი

სპოლარიუმიდან წაიღე, როგორც შენი ცოლი ისე დამასაფლავე და იქ მიმაბარე მიწას, სადაც შენ თვითონ ფიქრობ დაგმარხონო.

ვინიციუსი ამ წერილს გულდათუთქული კითხულობდა, მაგრამ თან შეუძლებლად მიაჩნდა, ლიგია ველურ მხეცებს დაეგლიჯათ და ქრისტეს არ შებრალებოდა იგი. შინ რომ დაბრუნდა, მისწერა – ყოველდღე ტულიანუმის კედლებთან მოვდივარ, ვიდრე ქრისტე იმ კედლებს არ შემუსრავს და შენს თავს არ მომცემსო. იგი უბრძანებდა ლიგიას, გჯეროდეს, რომ ქრისტეს შეუძლია ცირკიდანაც გიხსნასო, დიდი მოციქული ამას ევედრება ქრისტეს და განთავისუფლების წუთი ახლოაო. ქრისტიან ცენტურიონს ეს წერილი ხვალ უნდა მიეტანა.

მაგრამ როდესაც ვინიციუსი მეორე დღეს საპყრობილესთან მივიდა, ასისთავი მიუახლოვდა და უთხრა:

– მომისმინე, ბატონო, ქრისტემ შენზე წყალობა მოიღო. დღეს ღამით კეისრისა და პრეფექტის აზატები მოვიდნენ, რომ გასართობად და დასატკბობად ქრისტიანი ქალები აერჩიათ. იმათ შენი საცოლეც მოეკითხათ, მაგრამ ქრისტემ მას ხურვება წარმოუგზავნა. აზატებმა ხელი არ ახლეს ლიგიას. გუშინ საღამოს უღონოდ იყო. და კურთხეულმც იყოს სახელი უფლისა, რაკი ავადმყოფობამ შერცხვენას გადაარჩინა, შეიძლება სიკვდილსაც გადაარჩინოს.

ვინიციუსი ჯარისკაცის მხარს დაეყრდნო, რომ არ წაქცეულიყო, ხოლო ჯარისკაცმა განაგრძო:

– დიდება უფალს! ლინი წაიყვანეს და სტანჯეს, მაგრამ რაკი ნახეს კვდებოდა – გაანთავისუფლეს. იქნებ შენი საცოლეც მომცენ, ქრისტე კი ჯანს დაუბრუნებს.

ახალგაზრდა ტრიბუნი ერთ წამს კიდევ იდგა თავჩაღუნული, შემდეგ თავი მაღლა აიღო და წყნარად თქვა:

– დიახ, ასისთავო, რაკი ქრისტემ შერცხვენისაგან დაიფარა, სიკვდილსაც გადაარჩენს.

საპყრობილის კედლებთან საღამომდის იჯდა, მერე შინ დაბრუნდა და მსახურთ უბრძანა, ლინი გარეუბნის ერთ-ერთ ვილაში გადაეყვანათ.

პეტრონიუსმა რომ ყველა ეს გაიგო, კვლავ მოქმედება გადაწყვიტა. ხელმეორედ ავგუსტასთან წავიდა. იგი პატარა რუფიუსის საწოლთან დახ-

ვდა. თავგატეხილი ბავშვი სიცხისაგან ბოდავდა, დედა ცდილობდა, სიკვდილისგან დაეფარა შვილი, მაგრამ სასოწარკვეთილი იმასაც ფიქრობდა, ახლა იქნებ მხოლოდ იმიტომ უნდა გადავარჩინო, რომ უფრო საშინელი სიკვდილის მსხვერპლი გავხადოო.

თავისი მწუხარებით დაზაფრულს, ლიგიასა და ვინიციუსის ამბის მოსმენაც კი არ უნდოდა, მაგრამ

პეტრონიუსმა უფრო ძლიერ შეაშინა. „შენ შეურაცხყავ ახალი, ჯერ უცნობი ღვთაება, – უთხრა მან, – მგონია, ებრაელთა იეღოვას ეთაყვანები. ქრისტიანები კი ამტკიცებენ, ქრისტე იმისი ძეაო. აბა, მოიფიქრე, იქნება მამის რისხვა გდევნიდეს. იქნება, რაც მოგიხდა, მათი შურისძიებაა, და იქნებ რუფიუსის სიცოცხლე იმაზე არის დამყარებული, თუ როგორ მოიქცევი?“

– რა უნდა ვქნა? – შეშინებით ჰკითხა პოპეამ.

– პატიება შესთხოვე განრისხებულ ღვთაებას.

– როგორ შევთხოვო?

– ლიგია ავად არის. კეისარსა ან ტიგელინუსზე გავლენა იქონიე, რომ ქალი ვინიციუსს მისცენ.

პოპეამ სასოწარკვეთილებით ჰკითხა:

– შენ გგონია, მაგისი გაკეთება შემიძლია?

– მაშ სხვანაირად მოიქეცი. თუ ლიგია კარგად გახდა, სასიკვდილოდ უნდა წაიყვანონ. ვესტას ტაძარში წადი და Virgo magna-ს სთხოვე, შემთხვევით ტულიანუმის გვერდით გაჩნდეს, როდესაც

დაპატიმრებულთ სასიკვდილოდ გამოიყვანენ და უბრძანე, ლიგია გაანთავისუფლოს, დიდი ვესტას მსახური ქალი უარს არ გეტყვის.

– ლიგია რომ ანთებით მოკვდეს?

– ქრისტიანები ამბობენ, ქრისტე მაგიერის გადამხდელია, მაგრამ სამართლიანიაო. იქნებ ერთი შენი კეთილი განზრახვით იმის გული მოიგო.

– რამე ნიშანი მაჩვენოს, რომ რუფიუსს მოარჩენს.

პეტრონიუსმა მხრები შეიშმუშნა.

– ღვთაებრივო, აქ დესპანად კი არ მოვსულვარ, მხოლოდ გეუბნები: ყველა ღვთაებასთან ზავი იქონიე, რომაელების ღვთაებასთანაც და სხვების ღვთაებასთანაც.

– წავალ, – ჩახლეჩილი ხმით უთხრა პოპეამ.

პეტრონიუსმა ღრმად ამოისუნთქა.

– ძლივს რაღაც მოხერხდა, – გაიფიქრა მან.

ახლა ყველა ეს ვინიციუსს უამბო და დაუმატა: შენს ღმერთს სთხოვე, რომ ლიგია ანთებით არ მოკვდეს, თუ არ მოკვდა, მაშინ დიდი ვესტას ქალი ბრძანებს მის გათავისუფლებას, ამას თვითონ ავგუსტა სთხოვს.

ვინიციუსმა მოელვარე თვალებით შეხედა პეტრონიუსს და უპასუხა:

– იმას ქრისტე გაანთავისუფლებს.

პოპეა, რუფიუსის გადარჩენისათვის რომ მზად იყო, ქვეყნიერების ყველა ღმერთისთვის ჰეკატომბები დაეწვა, იმავე საღამოს ქალებთან წავიდა, ბავშვის მეთვალყურეობა კი ერთგულ მონას, თვით ავგუსტას აღმზრდელ სილვიას მიანდო.

მაგრამ სასახლეში ბავშვის განაჩენი უკვე გამოტანილი იყო. როგორც კი დედოფლის ტახტრევანი დიდ კარს მიეფარა, ოთახში, სადაც პატარა რუფიუსი იწვა, კეისრის ორი აზატი შევიდა. ერთი სილვიას ეცა და პირი დაუცვა, მეორემ სფინქსის სპილენძის ქანდაკებას ხელი სტაცა და ერთი დარტყმით გააბრუა დედაკაცი; შემდეგ აზატნი ბავშვთან მივიდნენ. ანთებით შეწუხებული ბავშვი

ვერ გარკვეულიყო, რა ხდებოდა, მხოლოდ იღიმებოდა და თავის მშვენიერ თვალებს ჭუტავდა, თითქოს ცდილობს, მოსულები კარგად დაინახოსო. იმათ კი გამდელს სარტყელი, ეგრეთწოდებული cingulum-ი მოხსნეს, ბიჭს კისერზე შემოახვიეს და დახრჩობა დაუწყეს. ბავშვმა დედას დაუძახა და მოკვდა. მერე საბანში გაახვიეს, ადრევე მომზადებულ ცხენებზე შესხდნენ, ოსტიაში წავიდნენ და იქ გვამი ზღვაში გადააგდეს.

პოპეას შინ არ დახვდა დიდი ქალწული. ისა და ღვთაების სხვა მსახური ქალები ვატინიუსთან წასულიყვნენ, ამიტომ შინ ჩქარა დაბრუნდა. რუფიუსის ცარიელი ლოგინი და სილვიას გაციებული გვამი რომ დაინახა, გული შეუღონდა. როცა მოაბრუნეს, ყვირილი დაიწყო. მთელი დღე და ღამე გაისმოდა მისი ველური ყვირილი.

მესამე დღეს კი კეისარმა უბრძანა, ნადიმზე მოსულიყო. ისიც ამეთვისტოსფერ ტუნიკაში გამოწყობილი მივიდა და გაქვავებული სახით დაჯდა. ოქროსფერთმოვანი, მდუმარე, მშვენიერი ქალი იჯდა ვით ბოროტის მაუწყებელი, ვით სიკვდილის ანგელოზი.

თავი მეცამეტე

ვიდრე ფლავიუსები კოლიზეუმს აღმართავდნენ, ამფითეატრებს ხისას აშენებდნენ, ამიტომაც ხანძრის დროს ყველა დაიწვა. ნერონმა დაპირებული თამაშებისთვის რამდენიმე ამფითეატრის აშენება ბრძანა, მათ შორის ერთი ძალიან დიდი უნდა ყოფილიყო. იმის ასაშენებლად ხანძრის გაქრობის უმალ ზღვით და ტიბრით ატლასის ტყიდან დიდრონი ხეების ზიდვა დაიწყეს. რადგან თამაშებს მშვენიერებითა და მსხვერპლთა რიცხვით ყველა უწინდელისთვის უნდა გადაეჭარბებინა, საჭირო აღმოჩნდა, ხალხის და მხეცებისთვის ვრცელი შენობები აგებულიყო. მშენებლობაზე დღედაღამ ათასობით ხალხი მუშაობდა. ლაპარაკი იყო რაღაც არაჩვეულებრივ სვეტებზე, რომელიც ბრინჯაოთი, ქარვითა და სპილოს ძვლით უნდა ყოფილიყო მორთული. დასაჯდომების წინ გაყვანილ ღარებში მთების ყინულოვან წყალს დიდი პაპანაქების დროსაც სიგრილე უნდა მოეფინა. დიდრონი ძოწეულის Velarium-ები მაცქერალთ მზის სხივებისა და წვიმისგან დაიფარავდნენ. გასავლებში საცეცხლურები იყო დადგმული არაბული სურნელების დასაკმევად. მაღლა ხელსაწყოები ჩაედგათ, ზაფრანის წყლითა და ვერვენით მაცქერალთა სასხურებლად. სახელოვანი ხუროთმოძღვარნი სევერუსი და ცელერი ყველა ღონეს ხმარობდნენ, რომ ჯერ არნახული ამფითეატრი შეექმნათ, რომელიც იმდენ ხალხს დაიტევდა, რამდენიც ჯერ კიდევ არც ერთ ამფითეატრში არ დატეულიყო.

და აი იმ დღეს, როდესაც უნდა დაწყებულიყო ludus matutinus (დილის წარმოდგენა), მდაბიოთა ბრბო გათენებიდანვე უცდიდა კარის გაღებას და სიამოვნებით ისმენდა ლომების ბრდღვინვას, პანტერების ხრინწიან ყვირილს და ძაღლების ყმუილს. მხეცებისთვის ორი დღე აღარ უჭმევიათ, ამას გარდა, სისხლიანი ხორცის ნაჭრები დაანახეს, რომ ამით სიშმაგე და მადა უმეტესად აღეძრათ: წამისწამ ისეთ ველურ ღრიალს ატეხდნენ ხოლმე, რომ ცირკის ახლო მდგარ ხალხს ლაპარაკი აღარ შეეძლო, ხოლო უფრო გრძნობიერნი შიშისგან ფითრდებოდნენ. მაგრამ მზის ამოსვლისას ცირკიდან მაღალი, თანაც დამშვიდებული გალობის ხმა გამოისმა და ხალხის ბრბოები გაოცებით ისმენდნენ ამ ხმას. „ქრისტიანები არიან, ქრისტიანები!“ მართლაც ღამით მრავლად მოჰყავდათ ამფითეატრში ქრისტიანები და ერთი საპყრობილიდან კი არა, როგორც ადრე ფიქრობდნენ, არამედ ყველა საპყრობილიდან. ხალხმა იცოდა, რომ სანახაობანი მთელი კვირეები და თვეები გაგრძელდებოდა, მაგრამ ახლა იმაზე კამათობდნენ, სადღეისოდ

დანიშნულ ქრისტიანებს დღეს თუ მოუღებენ ბოლოსო. ქალების, კაცებისა და ყმაწვილების დილის ლოცვის ხმები ისე მრავლად ისმოდა, საქმის მცოდნენი ამტკიცებდნენ, ასპარეზზე ასი თუ ორასი კაცი რომ ერთად გამოუშვან, მხეცები დაიღლებიან, გაძღებიან და საღამომდე ყველას ვერ დაფლეთენო. სხვები ამბობდნენ, ბევრი მსხვერპლის ერთად გამოშვება ასპარეზზე ყურადღებას ფანტავს და სანახაობით დატკბობას უშლისო. რამდენადაც ვომიტორიუმების შიდა ნაწილებში მიმავალ კორიდორების გაღების დრო ახლოვდებოდა, იმდენად ხალხი ხალისზე მოდიოდა, მხიარულებას ეძლეოდა და სანახაობაზე კამათობდა. სხვადასხვა დაჯგუფებანი გაჩნდნენ, ერთნი ამტკივებდნენ,

ადამიანს ყველაზე უკეთესად ლომი გლეჯსო, სხვები ამ მხრივ ფოცხვერებს ამჯობინებდნენ. ზოგან კიდევ ერთმანეთს ენაძლევებოდნენ. ისეთებიც იყვნენ, მხოლოდ გლადიატორებზე მსჯელობდნენ, რომელნიც ქრისტიანებზე ადრე უნდა გამოსულიყვნენ. აქაც აზრის სხვადასხვაობა იყო. ზოგნი სამნიტებს ამჯობინებდნენ, ზოგნი გალებს, ზოგნი მირმილონებს, ზოგნი თრაკიელებს, ზოგნიც რეტიარიუსებს. დილაადრიანვე გლადიატორების რაზმებმა, მათი მასწავლებლების – ლანისტების წინძღოლით ამფითეატრში დენა დაიწყეს. რომ დროზე ადრე არ დაღლილიყვნენ, ამიტომ უიარაღოდ მოდიოდნენ, ზოგნი მთლად ტიტვლები, ზოგს მწვანე შტოები ეჭირა ხელში, ზოგი ყვავილებით მორთულიყო. მოდიოდნენ ახალგაზრდანი, მშვენიერები, სიცოცხლით სავსენი. ტანზე ზეთი ჰქონდათ წასმული. ისეთი მსხვილი კუნთები მოუჩანდათ, თითქოს მარმარილოსგან გამოუქანდაკებიათო. მშვენიერი მოყვანილობის მოყვარულნი აღტაცებაში მოჰყავდათ. ხალხი ბევრ მათგანს იცნობდა; გაისმოდა შეძახილები: ფურნიუს! გაუმარჯოს ლეონს! სალამი მაქსიმეს! გამარჯვება, დიომედ!... ყმაწვილი ქალები მათ ხარბი თვალებით უცქერდნენ, ხოლო გლადიატორები იმათ ადევნებდნენ თვალს, ვინც უფრო ლამაზი იყო და კოცნას უგზავნიდნენ ან ხუმრობის სიტყვებს ეუბნებოდნენ: „შენ მომეხვიე, ვიდრე სიკვდილი არ მომხვევიაო“. ხუმრობდნენ, თითქოს არავითარი უბედურება არ მოელოდა მათ. ბოლოს კარებს ამოეფარნენ, საიდანაც ბედისწერა ცოცხალს ბევრს ვეღარ გამოიყვანდა. ახლა ხალხის ყურადღება ახალმა რაზმებმა მიიზიდა. გლადიატო-

რების შემდეგ მოდიოდნენ მასტიგოფორები, ესე იგი, ლახტებით შეიარაღებული ხალხი, რომელთა მოვალეობა იყო მებრძოლთა ცემა, რომ ისინი უფრო

გაემძვინვარებინათ. მერე ჯორებს სპოლარიუმისკენ ეტლებით ფიცრის კუბოების მთელი ზვინები მიჰქონდათ. ხალხს მათი დანახვა ესიამოვნებოდა. კუბოთა სიმრავლე სანახაობის გაგრძელების ნიშანი იყო. შემდეგ მოდიოდა ხალხი, რომლის მოვალეობა იყო, დაჭრილები მოეკლა. ესენი ხარონად ან მერკურიუსად იყვნენ მორთულნი. შემდეგ ცირკში რიგის დამცველნი მონები, რომელთა მოვალეობა იყო დამსწრეთათვის საჭმელი და სასმელი მიერთმიათ; ბოლოს პრეტორიელები, ყველა კეისარს ამფითეატრში მუდამ რომ ახლდნენ.

დასასრულ ვომიტორიუმები გაიღო და ხალხიც ცირკში შეცვივდა. იმდენი იყო მოსული, რომ რამდენიმე საათს მდინარესავით მიედინებოდნენ. გასაკვირველი იყო, რომ აფითეატრს იმდენი ხალხის ჩანთქვა შეეძლო. მხეცებმა რომ ადამიანის სხეულის სუნი იგრძნეს, მათი ბრდღვინვა უფრო გაძლიერდა. ისეთი ხმაური იდგა, თითქოს ქარიშხალია და ზღვა ღელავსო.

ბოლოს ქალაქის პრეფექტიც მოვიდა, ვიგილებით გარემოცული. შემდეგ სენატორების, კონსულების, პრეტორების, ედილების, სახლმწიფო და სასახლის მოხელეების, პატრიციების და კოპწია ქალების ტახტრევანებმა იწყეს დენა. ზოგიერთ ტახტრევანს ლიქტორები მოსდევდნენ, ხელში კონა წკეპლები ეჭირათ. სხვები მხოლოდ მონებით იყვნენ შემოხვეულნი. მზეზე ლაპლაპებდა ტახტრევნების ვარაყი, თეთრი და ფერადი კაბები, ბუმბულები, საყურეები, ძვირფასი თვლები და ცულების ფოლადი. ცირკიდან ყვირილის ხმა მოისმოდა, ხალხი

წარჩინებულ მოხელეებს ესალმებოდა, პრეტორიელები ისევ პატარ-პატარა რაზმობით მოდიოდნენ.

სხვადასხვა ტაძრის ქუქრუმები ცოტა გვიან მოვიდნენ და მათ შემდეგ ვესტას დიადი ქალწული მოაბრძანეს, მას წინ ლიქტორები მიუძღოდნენ. წარმოდგენის დაწყებას კეისარი აკლდა. იმას არა სურდა დიდი ხნის ლოდინით ხალხს გული გადალეოდა და უკმაყოფილება ეგრძნო, ამიტომ ავგუსტათი და დაახლოვებული პირებით გარშემორტყმული მაშინვე მოვიდა.

პეტრონიუსი სხვა ავგუსტიანებს მოჰყვა ვინიციუსთან ერთად. ვინიციუსმა იცოდა, რომ ლიგია ავად იყო, უგონოდ იწვა, მაგრამ რადგან უკანასკნელად საპყრობილეში შესვლა სასტიკად იყო აკრძალული, წინანდელი დარაჯებიც გამოიცვალნენ და ახლებს შეპყრობილთა ამბის გასაგებად მოსულებთან ლაპარაკი აკრძალული ჰქონდათ, ამიტომ ვინიციუსი დარწმუნებული არ იყო, ლიგია პირველ მსხვერპლთა შორია იქნებოდა თუ არა. შესაძლო იყო, ლომების გასაგლეჯად ავადმყოფი ადამიანიც გამოეგზავნათ. მაგრამ რადგან მსხვერპლნი ასპარეზზე ცხოველების ტყავში გამოკრულნი უნდა გამოეყვანათ, ამიტომ ვერავინ გაიგებდა, აქ იყო თუ არა მისთვის საყურადღებო ადამიანი. დარაჯები და ყველა მოსამსახურე დაქრთამულები იყვნენ, ბესტიარიუსებთან პირობა იყო დადებული, რომ ისინი ლიგიას ამფითეატრის რომელიმე ბნელ კუთხეში დამალავდნენ და ღამე ვინიციუსის მსახურს ჩააბარებდნენ, ხოლო ვინიციუსი იმწამსვე მას

ალბანის მთებში წაიყვანდა. პეტრონიუსმა ვინიციუსის ყველა ეს საიდუმლო იცოდა. ამიტომაც ურჩია, თეატრში წამოჰყოლოდა, რომ არეულობისა და ალიაქოთის დროს ძირს ჩასულიყო შეპყრობილებთან და შეცდომის ასარიდებლად დარაჯებისთვის ლიგია ეჩვენებინა.

დარაჯმა ვინიციუსი პატარა კარით შეუშვა, – იმ კარიდან თვითონ დარაჯები შედიოდნენ. ერთმა მათგანმა, სახელად სირმა, ახალგაზრდა ტრიბუნი მაშინვე ქრისტიანებთან შეიყვანა.

– არ ვიცი, ბატონო, ვისაც ეძებ, იპოვე თუ ვერა, – უთხრა მან, – ჩვენ მოვიკითხეთ ლიგია, მაგრამ არავინ გვიპასუხა, იქნებ იმიტომ, რომ არ გვენდობიან.

– ქრისტიანები აქ ბევრნი არიან? – ჰკითხა ვინიციუსმა.

– ბევრნი, ბატონო, სახვალიოდ აქ დარჩენა მოუხდებათ.

– ავადმყოფებიც არიან?

– ისეთი, რომ ფეხზე დგომა არ შეეძლოს, არავინ არის.

სირმა კარი გააღო და რაღაც უზარმაზარ, ბნელსა და დაბალ დარბაზში შევიდნენ. სინათლე იქ

მხოლოდ ასპარეზზე გასავალ რიკულებიანი ხვრელიდან შედიოდა. თავდაპირველად ვინიციუსმა ვერაფერი დაინახა, ხოლო როცა მისი თვალი სიბნელეს შეეჩვია, მაშინ რაღაც უცნაურ არსებათა ბრბო დაინახა, მგლებისა და დათვების მსგავსი. ესენი ცხოველების ტყავში გამოკრული

ქრისტიანები იყვნენ. გრძელი თმით შეიძლებოდა გაგება, რომელი იყო ქალი. ძუ მგლების მსგავს დედებს ისეთივე ბანჯგვლიანი შვილები ეჭირათ ხელში. სიბნელეში ნათელი სახეები და თვალები მოჩანდა, სიხარულითა და აღფრთოვანებით გაბრწყინებული სახეები. აშკარა იყო, ამ ხალხის მეტი ნაწილი ერთ არამიწიერ აზრს მოეცვა. ამ აზრის გამო იყო, ყველაფერს უგრძნობლად ეკიდებოდნენ, რაც მათ გარშემო ხდებოდა და რაც შესაძლო იყო მათ დამართოდათ. ვინიციუსი ლიგიას ამბავს კითხულობდა, მაგრამ ზოგი ახლად გამოღვიძებული ადამიანის თვალით უცქეროდა და პასუხს არ იძლეოდა, ზოგი უღიმოდა და ან ტუჩებზე თითს იდებდა, ან რკინის რიკულზე უთითებდა, საიდანაც კონა-კონა სხივი გამოდიოდა. მარტო ბავშვები ტიროდნენ მხეცებისა და ძაღლების ყვირილით და დედების მხეცური გარეგნობით შეშინებულნი. სირის გვერდზე მიმავალი ვინიციუსი ყველას სახეში უცქეროდა, ეძებდა, ეკითხებოდა. სიმჭიდროვით, შეხუთული ჰაერით გულშეღონებულებს წააწყდა. დარბაზის ბნელ სიღრმისკენ მიიწევდა. ეს დარბაზიც ისეთი ვეებერთელა იყო, როგორც თვითონ ამფითეატრი.

უცებ შედგა. რაღაც ნაცნობი ხმა გაიგონა და ელდა ეცა. ერთ წამს მიაყურადა, ბრბო გაარღვია და საიდანაც ხმა მოისმოდა, იქ გაჩნდა. მოლაპარაკის სახეს მზის შუქი მოეფინა და ვინიციუსმა მგლის ტყავიდან გამომზირალი გამხდარი და ულმობელი კრისპი იცნო.

– მოინანიეთ ცოდვები თქვენი, – ამბობდა კრისპი, – ვინაიდან მოახლოებულ არს ჟამი. ვინც ფიქრობს, მარტო სიკვდილით გამოვისყიდი ჩემს ცოდვებსო, იგი ისევ სცოდავს და საუკუნო გენიაში შთავარდება. თითოეული ცოდვით, რაც კი სიცოცხლის ჟამს ჩაგიდენიათ, ქრისტეს ტანჯვანი გაგიახლებიათ. მაშ როგორ ბედავთ, იფიქროთ, ახლა რომ ტანჯვა მოგელით, მთელ თქვენს წარსულ ცხოვრებას გამოისყიდის? დღეს ერთნაირი სიკვდილით მოკვდებიან მართალნიც და ცოდვილნიც, მაგრამ უფალი გაარჩევს მართალთა. ვაი თქვენ! ლომები დაფლეთენ თქვენ სხეულს, მაგრამ ვერც თქვენს ცოდვებს, ვერც ღმერთთან შეცოდებას ვერ დაფლეთენ. უფალი იმდენად მოწყალე იყო, რომ ჯვარს ეცვა თქვენი ხსნისათვის, მაგრამ ამიერიდან იგი მხოლოდ მსაჯული იქნება და არც ერთ ცოდვას დაუსჯელად არ დატოვებს. თქვენ თუ გგონიათ, წამებით გააქარწყლებთ თქვენ ცოდვებს, ღვთის წინაშე სცოდავთ და მით უფრო სასტიკად იქნებით დასჯილნი. ლმობიერება დასრულდა, ღვთის რისხვის ჟამმა დაჰკრა. ერთ წამს შემდეგ

თქვენ საშინელ სამსჯავროს წინაშე წარდგებით. იმწუხარეთ თქვენი ცოდვების გამო, ვინაიდან ჯოჯოხეთის ბჭენი განიხვნენ და ვაი თქვენ, ქმრებო და ცოლებო, ვაი თქვენ, მამებო და შვილებო!

კრისპმა გაწლობილი ხელები გაიწოდა, იგი უშიშარი იყო, მაგრამ სიკვდილის წინაც კი ულმობელი, იმის მიუხედავად, რომ ყველა დასჯილი ჩქარა უნდა დახოცილიყო. გაისმა ხმები: „ვიმწუხარებთ ჩვენი ცოდვებისათვის“, – შემდეგ სიჩუმე ჩამოვარდა, მხოლოდ ბავშვების ტირილი ისმოდა. ვინიციუსს ძარღვებში სისხლი გაეყინა. ის მთელ იმედს ქრისტეს მოწყალეობაზე

ამყარებდა და ახლა კი გაიგონა – რისხვის დღე დადგაო და ასპარეზზე სიკვდილითაც კი შეწყნარებას ვერ მიიღებთო. მართალია, უმალვე მოაფიქრდა, რომ მოციქული პეტრე სასიკვდილოდ განწირულებთან სხვანაირად ილაპარაკებდა. მაინც კრისპის მკაცრმა, ფანატიკოსობით სავსე სიტყვებმა და ამ ბნელმა რიკულიანმა დარბაზმა, რომლის იქითაც ტანჯვათა ასპარეზი იყო, ამ ტანჯვათა სიახლოვემ და სასიკვდილოდ მიმავალი მსხვერპლის სიმრავლემ ვინიციუსს გული შიშითა და ძრწოლით აუვსო. ყველა ეს ერთად აღებულ საშინელებად ეჩვენებოდა, ასჯერ უფრო მეტ საშინელებად, ვიდრე ის სისხლისმღვრელი ბრძოლები, სადაც თვითონ იღებდა მონაწილეობას. სიცხე და მძიმე სუნი გულს უწუხებდა. შუბლზე ცივმა ოფლმა დაასხა. შეეშინდა, გული არ შემიღონდეს და არ დავეცეო. თან მოაგონდა, რომ ყოველ წამს შეიძლებოდა რიკული გაღებულიყო და ხმამაღლა დაიძახა ლიგიასა და ურსუსის სახელი. იმედოვნებდა, თუ თვითონ ისინი არა, მათი მცნობი მაინც გამოეპასუხებაო.

მართლაც იმავ წამს ვიღაც დათვად მორთულმა კაცმა ფეხში ხელი წაჰკრა და უთხრა:

– ბატონო, ისინი საპყრობილეში დარჩნენ. უკანასკნელად მე წამომიყვანეს. მე თვითონ ვნახე, რომ ავადმყოფი ლიგია ლოგინში წევს.

– შენ ვინა ხარ?

– მიწის მთხრელი. ჩემს ქოხში მოგნათლა მოციქულმა. ამ სამი დღის წინ მტაცეს ხელი. დღეს კი მოვკვდები.

ვინიციუსმა შვებით ამოისუნთქა. აქ შემოსულს უნდოდა, ლიგია ეპოვნა. ახლა კი მზად იყო, ქრისტესთვის მადლობა შეეწირა, რომ ქალი აქ არ იყო და ეს წყალობის ნიშნად მიიჩნია. მიწი მთხრელმა ერთი კიდევ წაჰკრა ფეხში და უთხრა:

– გახსოვს, ბატონო, მე რომ ფარდულში წაგიყვანე, სადაც მოციქული გვმოძღვრავდა?

– მახსოვს, – მიუგო ვინიციუსმა.

– მოციქული მას შემდეგ ჩემი დაჭერის ერთი დღით ადრე ვნახე. იმან დამლოცა და მითხრა: ამფითეატრში მომაკვდავთა გამოსათხოვებლად მოვალო. ნეტა სიკვდილის წამში ისიც და ჯვარიც დავინახო, – მაშინ უფრო ადვილად მოვკვდები. ბატონო, თუ იცი, მითხარ, სად არის?

ვინიციუსმა ხმა დაიდაბლა და უთხრა:

– იგი პეტრონიუსის კაცებშია, მონურად აცვია. არ ვიცი, ადგილი სად აირჩია, მაგრამ როცა ცირკში

დავბრუნდები, მოვნახავ. შენ მე მიცქირე, ასპარეზზე რომ გამოხვალ, წამოვდგები და იმათ მხარეზე მივბრუნდები, მაშინ თვალით იპოვი მას.

– გმადლობთ, ბატონო, მშვიდობა შენთანა.

– იყოსმცა მაცხოვარი შენი მოწყალე.

– ამინ!

ვინიციუსი კუნიკულუმიდან გამოვიდა და ამფითეატრში შევიდა. მას პეტრონიუსის გვერდით ჰქონდა ადგილი, კეისრის სხვა მახლობლებს შორის.

– აქ არის? – ჰკითხა პეტრონიუსმა.

– არა, საპყრობილეში დარჩენილა.

– გამიგონე, კიდევ რა მომაფიქრდა. მაგრამ როცა ყურს დამიგდებ, თან სხვას უცქირე... თუნდა, მაგალითად, ნიგიდიას, სახეს ისეთი გამომეტყველება მიეც, ვითომ იმის თმის მორთულობაზე ვლაპარაკობთ... ახლა ჩვენ ტიგელინუსი და ხილონი გვიცქერიან... მაშ, გამიგონე: ლიგია ღამით

კუბოში ჩასდონ და საპყრობილიდან მკვდარივით გამოიტანონ. დანარჩენზე შენ თვითონ იზრუნებ.

– კარგი, – მიუგო ვინიციუსმა.

ამ დროს ტულიუს სენეციონი მათკენ დაიხარა და ჰკითხა:

– ხომ არ იცით, ქრისტიანებს იარაღს მისცემენ, თუ არა?

– არ ვიცი, – მიუგო პეტრონიუსმა.

– მე კი მინდოდა მიეცათ, – თქვა ტულიუსმა, – უამისოდ ასპარეზი მალე საყასბოს დაემსგავსება.

მშვენიერი სანახავი იყო იქაურობა. ძირის სკამები ტოგებში გამოწყობილი პირებით ავსილიყო და თოვლივით თეთრად მოჩანდა. ოქროთი მოვარაყებული podium-ში კეისარი იჯდა, ყელზე ბრილიანტის მანიაკი ეკეთა და თავს ოქროს გვირგვინი უმშვენებდა, გვერდზე მშვენიერი და პირქუში ავგუსტა ეჯდა, აქეთ-იქით ვესტას ქალები, დიდად წარჩინებული სენატორები, ძოწეულშემოვლებული მოსასხამებით, და აბჯარასხმული მხედრები – ერთი სიტყვით, ყველა ისინი, ვინც რომში შემძლებელი, წარჩინებული და მდიდარი იყო. უკანასკნელ რიგებში მხედრები

ისხდნენ, ხოლო ზევით თავების ზღვა მოჩანდა შავად; სვეტიდან სვეტამდე ვარდის, ზამბახის, ფათალოსა და ვაზის ფოთლების გრეხილები იყო ჩამოშვებული.

ხალხი ხმამაღლა ლაპარაკობდა, მღეროდა, ხანდახან რომელიმეს მახვილ სიტყვაზე ხარხარს მორთავდა. ეს მახვილი სიტყვა და ხარხარი რიგებს ჩამოუვლიდა. მოუთმენლობისგან ფეხებს აბაკუნებდნენ, რომ სანახაობა ჩქარა დაწყებულიყო.

ბოლოს ბაკუნი უკიდურესობამდე მივიდა. მაშინ ქალაქის პრეფექტმა, ადრევე რომ ბრწყინვალე ამალით იყო მოსული, ასპარეზს შემოუარა და ხელსახოცით ნიშანი მისცა. მთელი ამფითეატრი ერთიანი ყვირილისგან შეიძრა.

თამაში ჩვეულებრივ ველურ მხეცებზე ნადირობით იწყებოდა. ამ ნადირობაში ჩრდილოეთისა და სამხრეთის ბარბაროსები თავიანთ დახელოვნებას აჩვენებდნენ, მაგრამ ახლა ნადირი მეტისმეტად მრავალი იყო, ამიტომ წარმოდგენა ანდაბატებით დაიწყო, ესე იგი გლადიატორებით, რომელთა მუზარადებს თვალებისთვის ხვრელი არა ჰქონდა, ამიტომ ალალბედზე იბრძოდნენ. ასპარეზზე რამდენიმე ანდაბატი გამოვიდა, მახვილების ქნევა დაიწყეს, ხოლო მასტიგოფორები გრძელი ორთითებით მათ ერთმანეთისკენ უბიძგებდნენ. უფრო მეტის მომლოდინე მაცქერალნი ამას გულგრილად, ლამის მძულვარებით უცქეროდნენ, მაგრამ ხალხი კი ანდაბატების უხერხული

მოძრაობით თავს ირთობდა და როდესაც შემთხვევით ზურგებით მიეხლებოდნენ ერთმანეთს, ხმამაღლა ხარხარს იწყებდა და გაჰყვიროდა: „მარჯვნივ“, „პირდაპირ“! მაინც რამდენიმე წყვილი ერთმანეთს ჩაებღაუჭა

და ბრძოლა სისხლიერი შეიქნა. განძვინებული მებრძოლნი ფარებს ყრიდნენ, ერთმანეთს მარცხენა ხელს სჭიდებდნენ, რომ აღარ განშორებულიყვნენ, და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას იწყებდნენ. ვინც ძირს ეცემოდა, თითს მაღლა იშვერდა, ამ ნიშნით დანდობას ითხოვდა, მაგრამ თავდა-პირველად ხალხი ჩვეულებისამებრ მოკვლას მოითხოვდა, რაკი მუზარადის ქვეშ სახის გარჩევა არ შეეძლო. მებრძოლთა რიცხვი თანდათან კლებულობდა და ბოლოს, როცა ორიღა დარჩა, ისინი ერთმანეთს ისე ძლიერ მიახალეს, რომ მიწაზე დაეცნენ და ერთმანეთი შეიწირეს ხალხის ყვირილზე: „Peractum est“ (გათავდა). – მსახურთ გვამები გაიტანეს, ბიჭებმა ასპარეზზე გასისხლიანებული ადგილები გასწმინდეს და ზედ ზაფრანის ფოთლები მოაყარეს.

ახლა საყურადღებო ბრძოლის რიგი დადგა. ეს ბრძოლა არათუ ბრბოს, კარგი გემოვნების ხალხსაც ცნობისმოყვარეობას აღუძრავდა. ასეთ შემთხვევებში, ჩვეულებრივ, ახალგაზრდა პატრიციები სანაძლეოს სდებდნენ დიდ ფულზე და ხშირად მთელ ქონებას აგებდნენ. ფირფიტები ხელიხელ აგოგმანდა, – მათზე აღნიშნული იყო გლადიატორის სახელი, აგრეთვე სესტერციების რაოდენობა, ვინც რამდენს სდებდა თავისი რჩეულისთვის. Spectati, ესე იგი ისეთი ფალავნები, რომლებიც ასპარეზზე იყვნენ ნამყოფნი და გამარჯვებულნი, უფრო ბევრ მომხრეს პოულობდნენ,

მაგრამ მონაძლევეთა შორის ისეთებიც იყვნენ, რომ ახლებზე, ჯერ უცნობ გლადიატორებზე დიდ სანაძლეოს სდებდნენ – იმ იმედით, თუ ეს გლადიატორი გაიმარჯვებს, დიდ მოგებას მივიღებო. სანაძლეოს სდებდნენ თვითონ კეისარი, ქურუმები, ვესტას მსახური ქალები, სენატორები, მხედრებიცა და ხალხიც, ვისაც ფული ნაკლებად ჰქონდა, ის თავისუფლებას სდებდა სანაძლეოდ. ხალხი ფალავნების გამოსვლას გულის ფანცქალით მოელოდა. ზოგი ღმერთებს ხმამაღლა მსხვერპლს ჰპირდებოდა, ოღონდ წყალობა ჩემს რჩეულს მომადლეო.

და როდესაც საყვირების დამაყრუებელი ხმა მოისმა, ამფითეატრში ყოველივე მიჩუმდა. ათასი თვალი მიიქცია დიდრონმა ურდულებმა, იქითკენ მიმავალმა ხარონად ჩაცმულმა კაცმა. საყოველთაო სიჩუმეში ურდულებს სამჯერ ჩაქუჩი დაარტყა, თითქოს ურდულებს იქით მყოფთ სასიკვდილოდ მოუხმობდა. ჭიშკრის ორივე ნახევარი წყნარად გაიღო და შავი დაღრენი-

ლი პირი გამოჩნდა, საიდანაც გაკაშკაშებულ ამფითეატრში გლადიატორებმა დაიწყეს გამოსვლა. ისინი რაზმობით მოდიოდნენ, თითო რაზმში ოცდახუთი კაცი იყო. თრაკიელნი, მირმილონები, სამნიტები და გალები – ყველანი მძიმედ შეიარაღებულნი – ცალ-ცალკე რაზმებად მოდიოდნენ. ბოლოს რეტიარიუსები გამოვიდნენ, ერთ ხელში ეჭირათ ბადე, მეორეში სამთითი. აქა-იქ ტაშისცემა გაისმა, რაიც მალე დმაყრუებელ ქარიშხლად გადაიქცა. მთელ ამფითეატრში მოჩანდა სახეები, ტაშის დამკვრელი ხელები და დაბჩენილი პირები. გლადიატორებმა მწყობრი და მტკიცე ნაბიჯით ასპარეზს შემოუარეს, მათ აბჯარსა და იარაღს ელვარება გაჰქონდა. შემდეგ კეისრის

podium-ის წინ დადგნენ ამაყნი, დამშვიდებულნი, ბრწყინვალენი. ყურის გამხვრეტმა საყვირის ხმამ ტაშისცემა ჩააჩუმა: მაშინ გლადიატორებმა მარჯვენა ხელი მაღლა აიშვირეს, თვალები კეისარს მიაპყრეს და დაიყვირეს, ანუ უფრო სწორად რომ ვთქვათ, ჩაიღიღინეს:

Ave, Caesar imperator,

Morituri te salutant!

შემდეგ საჩქაროდ დაიშალნენ და ასპარეზზე თავიანთი ადგილი დაიჭირეს.

რაზმი რაზმს უნდა შერკინებოდა, მაგრამ გამოჩენილ ფალავანთ ნება ჰქონდათ, სათითაოდ ეჭიდავათ, რადგან მათი ღონე, ხერხიანობა და გაბედულება ასე უფრო თვალსაჩინო იქნებოდა. გალი გლადიატორების რაზმში ერთი გამოირჩეოდა, რომელსაც ამფითეატრის მოყვარულნი „ყასაბს“ Lanio-ს ეძახდნენ. მას ბევრ თამაშში გაემარჯვნა. ახლა დიდი მუზარადი ეხურა და მჭიდრო აბჯარი ეცვა. ყვითელ ასპარეზზე რაღაც ვეებერთელა ელვარე ხოჭოს ჰგავდა. მის წინააღმდეგ არა ნაკლებ სახელგანთქმული რეტიარიუსი კალენდიონი გამოვიდა.

მაყურებელმა დანაძლევება დაიწყეს.

– გალისთვის ხუთასი სესტერცი!

– ხუთასი კალენდიონისთვის!

– ჰერკულესს ვფიცავ, ათასი!

– ორი ათასი!

ამასობაში გალი შუა ასპარეზამდე მივიდა, წინ მახვილი გაიწოდა და დახევა დაიწყო. თვალდაღუნული, მუზარადის ნაჩვრეტიდან მოპირდაპირის

მოძრაობას ყურადღებით თვალს ადევნებდა. ხოლო მსუბუქი პლასტიკურ ნაკვთებიანი რეტიარიუსი მთლად შიშველი, თუ თეძოებზე შემოხვეულ ნაწერს არ ვიგულისხმებთ, მძიმე მოპირდაპირის გარშემო სწრაფად მოძრაობდა, ბადეს ლამაზად იქნევდა და თან რეტიარიუსთა ჩვეულებრივ სიმღერას მღეროდა:

მე შენ არ დაგდევ, თევზს ვიჭერ მხოლოდ,

მაშ რად გამირბი, სულმხდალო გალო.

მაგრამ გალი არ გაურბოდა; იგი შეჩერდა და შეუმჩნევლად ერთ ალაგს ტრიალი დაიწყო, რომ

მტერი მუდამ თვალწინ ჰყოლოდა. მისი მოყვანილობა და მახინჯი ვეებერთელა თავი შიშის მომგვრელი იყო. მაყურებელთ კარგად ესმოდათ, რომ ეს ტლანქი, სპილენძში ჩამჯდარი გროვა, მოწნააღმდეგის ბოლოს მომღები ნახტომისთვის ემზადებოდა.რეტიარიუსი კი ხან მიუხტებოდა, ხან უკან დაიხევდა და ისე სწრაფად იქნევდა სამთითს, რომ ხალხი თვალს ვეღარ ადევნებდა. სამთითი არა ერთხელ მოხვდა ფარს, მაგრამ გალი ადგილიდან არ დაძრულა, იმდენად დიდი ღონის პატრონი იყო. ეტყობოდა, მთელი მისი ყურადღება სამთითზე კი არ იყო მიპყრობილი, არამედ ბადეზე, ეს ბადე შავბედით ფრინველსავით მუდამ თავს დაფარფატებდა. მოქალაქენი ამ გლადიატორების ოსტატურ თამაშს სუნთქვაშეგუბებულნი უცქეროდნენ. ლანიონმა ბოლოს მარჯვე წამით ისარგებლა და მოწინააღმდეგეს ეძგერა, მაგრამ იგი მარდად გაუსხლტა გალის მახვილს, ხელი ასწია, გასწორდა და ბადე ესროლა.

გალი ადგილზევე მოტრიალდა, ბადე ფარით გადაიგდო. ორივე მებრძოლი ერთმანეთს დაშორდა. ამფითეატრში ყვირილი გაისმა „Macte“ და ქვემო რიგებში ახალი სანაძლეოები წამოიწყეს. კეისარმა, აქამდე რომ ვესტას მსახურ რუბრიას ელაპარაკებოდა და თამაშს ყურადღებას არ აპყრობდა, ახლა იმანაც კი თავი ასპარეზისაკენ მიიბრუნა.

გლადიატორებმა ხელახლა დაიწყეს ბრძოლა ისე მარდად, საქმის ისეთი ცოდნით, რომ ხანდახან ადამიანს ეჩვენებოდა, საქმე სიკვდილ-სიცოცხლეს კი არ შეეხება, არამედ იმას, რომელი

მებრძოლი უკეთ გამოავლენს თავის ხელოვნებასო. ლანიონი ორჯერ კიდევ გაუსხლტა ბადეს და ისევ ასპარეზის კიდისაკენ დაიწყო დახევა. მის წინააღმდეგ დანაძლევებულ მაცქერალთ არ უნდოდათ, რომ დაესვენა. და

ყვირილი მორთეს: „ეკვეთე!“. გალმა დაუჯერა მათ და ეკვეთა. რეტიარიუსს მხარი სისხლით შეეღება, ბადე ხელზე ჩამოეკიდა. ლანიონი მოიბუზა და ისკუპა, რომ მახვილი უკანასკნელად ჩაერტყა. მაგრამ ამ წამში კალენდიონი, თავი განგებ ისე რომ დაიჭირა, ვითომც ბადის ხმარება აღარ შემიძლიაო, გვერდზე გაუხტა, მახვილი აიცდინა, სამთითი ლაჯებში გაუხირა ყასაბს და მიწაზე წააქცია.

ლანიონი ადგომას აპირებდა, მაგრამ ბედითმა ზონრებმა სასწრაფოდ შეხლართეს და თანდათან ხელ-ფეხი უფრო ძლიერ შეუბოჭეს, ხოლო სამთითმა ხომ უფრო და უფრო მიაკრა დედამიწას. ერთიც კიდევ მოიკრიბა ძალ-ღონე, მიწას ხელებით დაებჯინა, შეეცადა წამომდგარიყო, მაგრამ ამაოდ ! ლანიონმა უიარაღო ხელი თავისკენ წაიღო და პირქვე დაეცა. კალენდიონმა სამთითი კისერს დააბჯინა, ორივე ხელით ტარს დაეყრდნო და კეისრის ლოჟისკენ მიბრუნდა.

ტაშისცემისგან და ხალხის ღრიალისგან მთელი ცირკი შეიძრა. ვინც დანაძლევდა, კალენდიონი გაიმარჯვებსო, იმათთვის ის ახლა კეისარზე უმაღლესი იყო. ხალხის სურვილი გაიყო.. ნახევარს ლანიონის სიკვდილი სურდა, ხოლო მეორე ნახევარი მის შეწყნარებას ითხოვდა, რეტიარიუსი კი მხოლოდ კეისრისა და ვესტას ქალთა ლოჟისკენ იცქირებოდა და იმათ განაჩენს უცდიდა.

საუბედუროდ, კეისარს ლანიონი არ უყვარდა. წინა თამაშზე იმის გამო დიდი სანაძლეო წააგო. კეისარმა პოდიუმიდან ხელი გამოიშვირა და ცერი მიწისკენ ჩაუშვა.

ვესტას მსახურ ქალთაც ეს ნიშანი გაიმეორეს. მაშინ კალენდიონმა გალს მუხლი დააჭირა, ქამრიდან მოკლე დანა ამოიძრო, მოპირდაპირეს კისრიდან აბჯარი მოაცილა და მახვილი ყელში ჩაურჭო.

– Peractum est! – დაიძახეს ამფითეატრში.

ლანიონი დაკლული ხარივით შეკანკალდა. ფეხებს ქვიშას არტყამდა და თრთოდა, შემდეგ გაიჭიმა და გაშეშდა.

მერკურიუსს აღარ დასჭირდა, გახურებული რკინა მიედო წაგებული გალისათვის, რათა მისი სიკვდილი ერწმუნა. ყასაბი გარეთ გაიტანეს და მათი ალაგი ახლა სხვა წყვილმა დაიჭირა. მხოლოდ მათ შემდეგ დაიწყო მთელი რაზმების შეჯიბრება. ხალხიც მონაწილეობას იღებდა სულით, გულითა და

თვალებით; ღრიალებდა, ბრდღვინავდა, უსტვენდა, ტაშს უკრავდა, იცინოდა, მებრძოლთ აქეზებდა, შმაგობდა. ასპარეზზე გლადიატორების ორი რაზმი ველური მხეცების გაშმაგებით იბრძოდა, მკერდი მკერდს ეჯახებოდა, სხეულები მომაკვდინებლად იწმახნებოდნენ,

ძვლებს ჭახჭახი გაჰქონდა, მახვილები მკერდში იმალებოდნენ, გაფითრებული ტუჩებიდან სისხლი ღვარდა ედინებოდა ქვიშას. ზოგ ახალბედას ისე დაეცემოდა თავზარი, რომ ამ ორომტრიალიდან თავის დასაღწევად გაქცევას აპირებდა, მაგრამ მასტიგოფორები ტყვიის ბუნიკიანი ჯოხებით ბრბოშივე აბრუნებდნენ. ქვიშაზე დიდრონი შავი ლაქები გაჩნდა; შიშველი და ტანისამოსიანი გვამების მთელი გროვა მოეფინა ქვიშას. ცოცხლები გვამებზე იბრძოდნენ, ფეხებს დამტვრეულ იარაღზე იჭრიდნენ და მიწაზე ეცემოდნენ. ხალხი აღტაცებისაგან მთლად გადაირია, სიკვდილი კი მალამოდ დაედო, სიკვდილს სუნთქავდა, მისი სანახავით ტკბებოდა და მის ოხშივარს აღტაცებით ისრუტავდა.

დამარცხებული თითქმის ყველა დაიხოცა, მხოლოდ რამდენიმე დაჭრილმა ასპარეზის შუაგულ დაიჩოქა და შეწყნარების მუდარით ხელები მაყურებელთ მიაპყრო. გამარჯვებულთ საჩუქრები დაურიგეს – გვირგვინები, ზეთისხილის შტოები. – დასვენების წამი დადგა, რაიც ყოვლისშემძლებელი კეისრის ბრძანებით ნადიმად გადაიქცა. საცეცხლურებთ სურნელი აკმიეს; განსაკუთრებული მონები ხალხს ზაფრანისა და იის წყალს ასხურებდნენ. შემწვარი ხორცი, ნამცხვარი, ღვინო და ხილი ჩამოატარეს. ხალხი ყველა ამას ნთქავდა, ლაპარაკობდა, კეისარს ქება-დიდებას ასხამდა, რა არის, ამით უფრო წაექეზებინა და ნერონსაც მეტი სიუხვე გამოეჩინა. მართლაც, როცა შიმშილი და წყურვილი დაიოკეს, ასობით მონამ საჩუქრებით სავსე კალათები შემოიტანა, ხოლო ამურად ჩაცმული პატარა ბიჭები იმ კალათებიდან ნივთებს იღებდნენ და ორი

ხელით მაყურებელში ისროდნენ. ლატარიის „ტესერების“ დარიგების დროს ჩხუბი მოხდა. ხალხი ერთმანეთს აწვებოდა, ერთმანეთს ქელავდა, სკამებზე ხტებოდა. ვინც ბედნიერ ბილეთს მიიღებდა, იგი იგებდა: ბაღიან სახლს, მონას, მშვენიერ ტანსაცმელს ან რამე საიშვიათო ველურ მხეცს, რომელიც შემდეგ შეეძლო ამფითეატრისთვის მიეყიდნა. ისეთი ჭედვა იყო, რომ ხშირად პრეტორიელნი იძულებულნი ხდებოდნენ, წესრიგი იარაღით დაემყარებინათ.

უფრო შეძლებულნი ტესერებისთვის ჩხუბში მონაწილეობას არ იღებ-დნენ. კეისრის მახლობელნი ამ დროს ხილონის ცქერით ერთობოდნენ. ბერძენი ცდილობდა, მშვიდად ეცქირა სისხლის ღვრისათვის, სწორედ ამას იგდებდნენ სიცილად. უბედური ბერძენი ამაოდ შეიკრავდა წარბებს, ტუჩებს იკვნეტდა და მუშტებს ისე მაგრად უჭერდა, რომ ფრჩხილები ხელის გულში ესობოდა. მისი ბერძნული ბუნება და სიმხდალე ასეთ სანახაობას ვერ იტან-და. სახე გაუფითრდა, შუბლზე ოფლის წვეთები მოედო, კბილებმა კაწკაწი დაუწყეს და მთელ ტანში უნებლიე ჟრუანტელმა დაუარა. ვარჯიშობის შემ-დეგ ცოტა მოსულიერდა, მაგრამ როდესაც მასხარად აიგდეს, ბრაზი მო-ერია და შემტევთ მკვახედ შეუღრინა.

– აბა, ბერძენო, ეტყობა, ადამიანის დაგლეჯილი ტყავის ცქერა ვერ აგი-ტანია, – ეუბნებოდა ვატინიუსი და წვერში ხელს ჰკიდებდა.

ხილონმა უკანასკნელი ორი გაყვითლებული კბილი დააკრაჭუნა და უპასუხა:

– მამაჩემი მეწაღე არ იყო, მეც ტყავების დაკერება არ ვიცი.

– Macte! Habet! – გაისმა რამდენიმე ხმა, კეისარმაც ტაში დაუკრა და გაიმეორა: „Macte!“ ბერძენთან პეტრონიუსი მივიდა, მხარზე მონახშული სპილოს ჯოხი დაჰკრა და ცივად უთხრა:

– ეგ კარგია, ფილოსოფოსო, მაგრამ მხოლოდ ერთში ცდები: ღმერ-თებმა შენ ქურდბაცაცად შეგქმნეს, შენ კი დემონად იქეცი, ამიტომაც ვერ გაძლებ.

ბერიკაცმა პეტრონიუსს თავისი გაწითლებული თვალით შეხედა, მაგ-რამ ამ ჯერობაზე მკვახე პასუხი ვერ მოახერხა. ერთ წამს გაჩუმდა და შემ-დეგ ძლივძლივობით უპასუხა:

– გავძლებ!..

ამასობაში საყვირებმა ნიშანი მისცეს, შესვენება გათავდა და სანახაობა განახლდებაო. ხალხი გასავლებიდან აიშალა, სადაც დასასვენებლად და სალაყბოდ იყო გასული. ადგილებისთვის კვლავ ჩვეულებრივი ჩხუბი ატ-ყდა, მაგრამ თანდათან ხმაურობა მიწყნარდა და ამფითეატრშიც წესრიგი დამყარდა. ასპარეზზე ხალხი გამოვიდა და აქა-იქ დაკოშტებული ქვიშის დაშლა და გასწორება დაიწყო.

ქრისტიანების რიგი დგებოდა, რადგან ეს სანახავი ხალხისთვის ახალი ხილი იყო, არავინ იცოდა, ქრისტიანები თავს როგორ დაიჭერდნენ, ამიტომ

მათ დიდი ცნობისმოყვარეობით მოელოდნენ. მათი აზრით, რაღაც არაჩვეულებრივი უნდა ყოფილიყო, ამიტომ ხალხი ბეჯითად მოელოდა ათვალისწუნებული ქრისტიანების გამოჩენას. ასე იყო თუ ისე, ასპარეზზე ის ხალხი უნდა გამოეყვანათ, რომი და საუკუნეებით დაგროვილი საუნჯე რომ დასწვა. ქრისტიანები ბავშვებს სისხლს სწოვენ, წყალს სწამლავენ, კაცთა ნათესავთ სწყევლიან და უსაზიზღრეს დანაშაულს სჩადიან. ხალხის სიძულვილს თვით უმკაცრესი სასჯელიც ეცოტავებოდა, და თუ ხალხს გულში რაიმე შიში უკრთოდა, ეს მხოლლოდ ერთი იყო: იქნება კი დამნაშავეთა ტანჯვა მათი დანაშაულის თანასწორი?

მზე მაღლა აიწვერა და ძოწეულის velarium-ში გამომკრთალი სხივები ამფითეატრს სისხლისფერ სინათლედ მოეფინა. ქვიშამ ცეცხლისფერი მიიღო. თავზარდამცემი იყო ეს სინათლე და მაყურებლების სახეები, ცარიელ ასპარეზზე ერთი წუთის შემდეგ რომ ადამიანის ტანჯვასა და ცხოველური გახელების მოწმე უნდა გამხდარიყო. თითქოს ჰაერში მეხის ტეხის ხმა ისმის და სიკვდილი ტრიალებსო. მუდამ მხიარული ბრბო სიძულვილის გავლენის გამო დამუნჯდა; ყველას სახეზე სიშმაგე გამოეხატა.

და აი, პრეფექტმა ნიშანი მისცა, უმალვე ისევ ის ბერიკაცი გამოვიდა, ხარონად ჩაცმული,

გლადიატორები რომ სასიკვდილოდ გამოჰყავდა, მთელი ასპარეზი წყნარი ნაბიჯით გაიარა და კარს ხელახლა ჩაქუჩი დაარტყა.

ამფითეატრში ჩურჩული გაისმა:

– ქრისტიანები! ქრისტიანები!

რკინის რიკულიანმა კარმა დაიჭრიალა: ბნელი ხვრელიდან მასტიგოფორების ჩვეულებრივი ყვირილი მოისმა: „ქვიშაზე!“ ერთ წამში ასპარეზი ნადირის ტყაოსანი ხალხით აივსო. ყველა ჩქარა გამორბოდა, შუა ასპარეზამდე რომ მოირბენდნენ, ერთიმეორის გვერდით იჩოქებდნენ და ხელებს მაღლა აღაპყრობდნენ. მაყურებლებს ეგონათ, ეს პატიების მუდარა იყო, და ასეთი სიმხდალით გაცოფებულებმა ფეხების ბრაგუნი დაიწყეს, გაისმა სტვენა, შეიქნა დაცარიელებული ღვინის ჭურჭლის და გამოხრული ძვლების ასპარეზზე სროლა და ყვირილი: „მხეცები გამოუშვით, მხეცები!“ მაგრამ უცებ მოულოდნელი რამ მოხდა: ბანჯგვლიანი ჯგუფების შუა ადგილიდან ხმები გაისმა, გალობა ახმიანდა, რომის ციხეში რომ პირველად გაიგონეს.

„ქრისტე მეუფებს!“

ეს კი იოცეს რომაელებმა. დასასჯელები ველარიუმისაკენ აღმართული თვალებით გალობდნენ. სახე ფერმიხდილი ჰქონდათ, მაგრამ მადლმოფენილი. ყველა მიხვდა, რომ ის ხალხი შებრალებას არ ითხოვდა რომ ისინი არც ცირკს ხედავდნენ, არც ხალხს, არც სენატს, არც კეისარს, „Christus regnat!“ – უფრო და უფრო ხმამაღლა გაისმოდა, ხოლო ამფითეატრში მჯდომთაგანი არა ერთი ეკითხებოდა თავის თავს: ეს რა ამბავია და ეს რა ქრისტეა, რომ სასიკვდილოდ განწირული ხალხი უგალობს? მაგრამ ამ დროს ახალი რიკული გაიღო და ასპარეზზე ხტუნვა-ხტუნვითა და ყეფით ველური ძაღლების მთელი ხროვა გამოვარდა. ეს იყო პელოპონესიდან მოყვანილი ღია ყვითელი ფერის მოლოსები, ჭრელზოლიანი პირენეის ძაღლები და ჰიბერნიიდან მოყვანილი მეცხვარის ძაღლები, ფერდჩაცვივნულნი და თვალებჩასისხლიანებულნი. ყეფა და ზმუილი მთელ ამფითეატრს მოედო. ქრისტიანებმა რომ გალობა გაათავეს, გაქვავებულივით დაჩოქილები დარჩნენ და მხოლოდ გუნდობრივ იმეორებდნენ: „Pro Christo! Pro Christo!“ ძაღლებმა ცხოველების ტყავებში ადამიანები იგრძნეს და მათი უძრაობით გაკვირვებულებმა ერთბაშად მივარდნა ვერ გაბედეს. ზოგნი ლოჟების კედელზე აცოცდნენ, თითქოს მაყურებელთან უნდოდათ მისვლა. ზოგი გაშმაგებული ყეფით გარს დარბოდა, თითქოს რაღაც უხილავ ნადირს მისდევსო. მაყურებელნი გაჯავრდნენ, ათასობით ხმამ იგრიალა, ზოგი ნადირის ბრდღვინვას აჯავრებდა, ზოგი ყეფდა. მთელი ამფითეატრი ყვირილისგან ზანზარებდა. გაბრაზებული ძაღლები ხან ქრისტიანებს მივარდებოდნენ, ხან უკან იხევდნენ. ბოლოს ერთმა მოლოსმა წინ მდგარ დედაკაცს კეფაში კბილები ჩაჰკიდა, ზედ შესდგა და ჯიჯგნა დაუწყო.

მაშინ ძაღლები ქრისტიანებს ეცნენ, თითქოს მათკენ გზა გაეხსნათო. მაყურებლებმა ღრიალი შეწყვიტეს, რომ სანახაობისთვის მეტი ყურადღებით ეცქირათ. ყეფასა და წკმუტუნში ჯერაც მოისმოდა კაცებისა და ქალების მწუხარებით სავსე ხმები: „Pro Christo! Pro Christo!“ ასპარეზზე ადამიანებისა და ძაღლების რაღაც მოძრავი გროვები გაჩნდა. ახლა სისხლი უკვე ნაკადებად დაედინა. ძაღლები ადამიანის ხორცს ერთმანეთს სტაცებდნენ. სისხლისა და ადამიანის დაგლეჯილი შიგნეულის სუნმა არაბულ სურნელებას გადააჭარბა და მთელი ცირკი აავსო. აქა-იქ კიდევ ჩანდა მუხლმოდრეკილი ადამიანები, მაგრამ ისინიც მყეფარმა ხროვამ ჩქარა დაბუბნა.

ვინიციუსი იმ წამს, როდესაც ქრისტიანები შემოცვივდნენ, წამოდგა, რომ დაპირებისამებრ მიწის მთხრელისთვის ის მხარე ეჩვენებინა, სადაც მოციქული პეტრე იჯდა, ახლა ახალგაზრდა ტრიბუნი მკვდარი სახითა და მღვრიე თვალებით საზარელ სანახავს უცქეროდა. თავდაპირველად გაიფიქრა, ვაითუ მიწის მთხრელი შეცდა და ლიგიაც მსხვერპლთა შორისაა. ამ აზრმა თავზარი დასცა. მაგრამ როდესაც მოესმა: „Pro Christo!“, როდესაც იმდენი ხალხის ტანჯვა დაინახა, სიკვდილის ჟამსაც რომ თავის ღმერთსა და სარწმუნოებას ადიდებდა, იგი სხვა შემაძრწუნებელმა გრძნობამ მოიცვა – აუტანელმა და დაუძლეველმა ტკივილმა: თუ ქრისტე თვითონ ევნო და ეწამა, თუ ახლა მისთვის ათასები იღუპებიან, თუ მთელი ზღვა სისხლი იღვრება, მაშ ერთი წვეთი მეტი იქნება თუ ნაკლები – სულ ერთია, ცოდვაც არის შებრალების თხოვნაო.

მაინც გამშრალი ბაგით ლოცულობდა და იმეორებდა: „ქრისტეო! ქრისტეო! შენი მოციქული გევედრები – ლიგია!“ შემდეგ მოსაზრების უნარი დაკარგა – აღარ იცოდა, სად იყო! მხოლოდ ეჩვენებოდა, რომ ასპარეზზე სისხლმა მაღლა ამაოიწია და ცირკიდან მთელ რომს მოედო. ბოლოს აღარა ესმოდა რა – არც ძაღლების ყეფა, არც ხალხის ხმაურობა, არც კეისრის მახლობელთა ხმები. უცებ დაიძახეს:

– ხილონს გული შეუღონდა.

– ხილონს გული შეუღონდა! – გაიმეორა პეტრონიუსმა და იმისკენ მიიხედა.

ბერძენი მართლა ცუდად იყო, სახეზე ნაცრისფერი ედო, თავი უკან გადაექნია და პირღია იჯდა.

სწორედ ამ დროს ასპარეზზე ახალი მსხვერპლი გამორეკეს. ისინიც ცხოველების ტყავში იყვნენ გახვეულნი.

იმათაც მუხლი მოიდრიკეს. გამძღარი ძაღლები მათ პირს არ აკარებდნენ, მხოლოდ რამდენიმე ახლო მდგარ ქრისტიანს მივარდნენ, დანარჩენები ქვიშაზე გაწვნენ. გასისხლიანებულ პირს ილოკავდნენ, მძიმედ სუნთქავდნენ და ამთქნარებდნენ.

მაგრამ სისხლით დამთვრალმა და ჭკუაარეულმა ხალხმა ყვირილი მორთო:

– ლომები, ლომები! ლომები გამოუშვით!

ლომებს სახვალიოდ ინახავდნენ. მაგრამ ამფითეატრის ნებას წინ ვერაფერი გადაეღობებოდა, თვითონ კეისარიც კი. მხოლოდ კალიგულა, ზვიადი, დაუდგომელი გულისთქმის პატრონი, ბედავდა ამფითეატრის წინააღმდეგობას, ხანდახან შეკრებილებს ჯოხებით ცემასაც კი უბრძანებდა, მაგრამ ისიც ხშირად უთმობდა ხალხს. ნერონი, ვისთვისაც ტაშისცემა ყველაზე უძვირფასესი იყო, არაოდეს ეწინააღმდეგებოდა ბრბოს, მით უფრო ახლა, რადგან საქმე ხანძრის შემდეგ განრისხებული ხალხის დამშვიდებას შეეხებოდა და ქრისტიანებს, რომელთაც ხანძრის გაჩენას აბრალებდნენ.

ნიშანი მისცა, რომ კუნიკულუმი გაეღოთ და ხალხიც იმწამსვე დამშვიდდა. რიკულთა ჭრიალი მოისმა იქიდან, სადაც ლომები იყვნენ. ძაღლებმა რომ ლომები დაინახეს, ასპარეზის მეორე მხარეზე ერთ ხროვად შეჯგუფდნენ და ყმუილი მორთეს, ხოლო დიდრონი, მოყვითალო, ფაფარაყრილი ლომები ერთიმეორის გაყოლებით გამოვიდნენ ასპარეზზე. თვითონ კეისარმა თავისი მოწყენილი სახე მათკენ მიაქცია და თვალზე ზურმუხტი მიიდო, რომ უკეთესად დაენახა. კეისრის მახლობელნი ტაშისცემით მიესალმნენ ლომებს. ბრბო თითებზე თვლიდა მხეცებს და თან

თვალყურს ადევნებდნენ, რა შთაბეჭდილებას მოახდენდნენ ისინი მუხლმოდრეკილ ქრისტიანებზეო. ქრისტიანები კი სულ იმეორებდნენ ბევრისთვის გაუგებარსა და ყველასთვის აღმაშფოთებელ სიტყვებს : „Pro christo! Pro christo!“

ლომები თუმცა მშივრები იყვნენ, მაინც მსხვერპლს არ ეშურებოდნენ. ასპარეზის მოწითალო ფერი აშინებდა მათ და თვალებს ჭუტავდნენ. ზოგი ზარმაცად იზმორებოდა, ზოგიც დიდ პირს განივრად აღებდა, თითქოს უნდა, მაყურებელთ თავისი საზარელი კბილები დაანახოსო. მაგრამ სისხლის სუნმა და დაფლეთილმა გვამებმა ნელ-ნელა შეაგულიანეს. მათი მოძრაობა შფოთიანი შეიქნა, ნესტოები დაებერათ. ერთი მათგანი უცებ დედაკაცის ლეშს მიადგა. თათებით შედგა და ხორკლიანი ენით შედედებულ სისხლს ლოკვა დაუწყო.

მეორე ქრისტიანს მიუახლოვდა, ხელში რომ ირმის ტყავში ჩასმული ბავშვი ეჭირა.

ბავშვი კივილისაგან და ტირილისაგან ცახცახებდა, მამას კისერზე გამალებით ეხვეოდა, ხოლო მამა, რაკი სურდა შვილის სიცოცხლე ერთი წამით მაინც განეგრძო, ცდილობდა, თავიდან მოეშორებინა და სხვისთვის, უფრო

შორს მდგარისთვის გადაეცა. მაგრამ ყვირილმა და მოძრაობამ ლომი გაახელა, მხეცმა დაიღრიალა, ერთი თათის დაკვრით გადააგდო ბავშვი, მამას პირი დაავლო და თვალის დახამხამებაზე ყელი გამოღადრა.

ამის დანახვაზე ლომები ქრისტიანებს ეცნენ. ზოგმა დედაკაცმა თავი ვერ შეიკავა, საზარლად დაიკივლა, მაგრამ ბრბომ ტაშის ცემით დააყრუა. ეს ტაშისცემა მაინც ჩქარა დაცხრა. ასპარეზზე რაღაც საშინელი ხდებოდა: ადამიანთა თავები ლომების ხახაში ინთქმებოდა. მოჩანდნენ ეშვის ერთი მოქნევით დაფლეთილი მკერდები, ამოგლეჯილი გულები, ძვლების ტკაცანი მოისმოდა. ზოგი ლომი თავის მსხვერპლს გვერდში ან ზურგში წაავლებდა პირს, გაშმაგებული ხტომით დარბოდა ასპარეზზე, თითქოს მყუდრო ადგილს ეძებდა, რათა თავისუფლად შთაენთქა მსხვერპლი, ხოგი წინა თათებით ჩაჭიდებული ერთმანეთს ებრძოდა და ბრდღვინვით აყრუებდა ამფითეატრს. ბევრი მაყურებელი ადგილიდან წამოდგა, ძირს ჩავიდა, რომ უფრო კარგად დაენახა სანახაობა. თითქოს გამხეცებული ბრბო მზად იყო, თვითონ გადავარდნილიყო ასპარეზზე და ლომებთან ერთად დაეფლითა ქრისტიანები. გაისმა თითქმის არაადამიანური ხმები, ბრდღვინვა, კბილების ღრჭენა, მოლოსების ყეფა. ზოგჯერ ისევ სიჩუმე დაისადგურებდა. მარტო გოდება ისმოდა.

კეისარს ზურმუხტი თვალთან ეჭირა და ასპარეზს უფრო ყურადღებით უცქეროდა. პეტრონიუსის სახეს ზიზღისა და მძულვარების ჩრდილი მოეფინა. ხილონი დიდი ხანია ცირკიდან გაიყვანეს.

კუნიკულუმიდან ახალ-ახალ მსხვერპლს მოერეკებოდნენ.

ხოლო სულ ზედა რიგიდან მათ მოციქული პეტრე უცქეროდა. იმას ყურადღებას არავინ აქცევდა. დამსწრეთა თვალები ასპარეზისაკენ იყო მიქცეული. მოციქული წამოდგა და როგორც ოდესღაც კორნელიუსის ბაღში, ახლაც სასიკვდილოდ და საუკუნო ცხოვრებისთვის დალოცა ისინი, ვინც უნდა დაეჭირათ, ვინც მხეცების კბილით იღუპებოდა, – ჯვარი გადასწერა იმათ სისხლს, იმათ ტანჯვას, იმათ გვამებს, იმათ სულებსაც, სისხლიან ასპარეზს რომ ტოვებნენ. ზოგი ქრისტიანი თვალებს ზეცას მიაპყრობდა და ჯვრის ნიშნის დანახვაზე იღიმებოდა. მოციქულს კი გული ეფლითებოდა და იგი ამბობდა: „ჰოი, უფალო! იყოსმცა ნება შენი, ვინაიდან იღუპებიან ცხოვარნი შენნი, რათა გადიდონ, რა დაამყარონ ჭეშმარიტება შენი. შენ მიბრძანე მა-

თი მწყემსვა, აი გიბრუნებ უკან. შენ, უფალო, მიითვალე ისინი, შენთან წაიყვანე, ჭრილობანი განუკურნე, ტანჯვანი დაუცხრე და მიეც მათ ბედნიერება უმეტეს ტანჯვისა, რომელი ნახეს.“

მთელ ტანჯულთ დიდი სიყვარულით გადასწერა ჯვარი, თითქოს ისინი მისი შვილები იყვნენ და თითქოს პირდაპირ ქრისტეს ავედრებდა მათ.

ამ დროს კეისარმა, გახელებისა იყო თუ უნდოდა თამაშს ყველაფრისთვის გადაეჭარბებინა, რაც კი როდისმე რომში ენახათ – ქალაქის პრეფექტს რამდენიმე სიტყვა უჩურჩულა. პრეფექტმა უმალვე პოდიუმში თავისი ადგილი დატოვა და კუნიკულუმში წავიდა. ხალხმაც კი გაიკვირვა, როდესაც დაინახა, რომ რიკული ხელახლა გაიღო. ახლა ასპარეზზე სხვადასხვა ნადირი

გამოუშვეს; ევფრატული ვეფხვები, ნუმიდიური პანტერები, დათვები, მგლები, აფთრები და ჯიხვები. მთელ ასპარეზს თითქოს ტალღამ გადაუარა. მთელ ასპარეზს მოეფინა ზოლება, ყვითელი, მუქი და ლაქებიანი ტყავები. აირია ყველაფერი და თვალსაც ვეღარაფრის გარჩევა ვერ შეეძლო. ეს სანახაობა თითქოს სინამდვილე აღარ იყო და რაღაც სისხლიერ ორმოდ, საზარელ სიზმრად, არეული ჭკუის ბოდვად გადაიქცა. საწყაო თავს გადავიდა. ბრდღვინვაში, ღმუილსა და ყეფაში ქალების ისტერიული კივილი გაისმა. ეს კივილი ამფითეატრში მჯდარი ქალებისა იყო, რომელთაც ღონე მთლად გამოელიათ. ხალხი შიშმა აიტაცა, გაფითრდნენ. გაისმა შეძახილები: „კმარა! კმარა!“

გალიებიდან ნადირის გამოშვება უფრო ადვილი იყო, ვიდრე შიგვე შერეკა. მაგრამ კეისარმა იცოდა, მხეცები ასპარეზიდან როგორ გაერეკათ. თანაც ხალხისთვის ახალი გართობა იქნებოდა. სკამებს შუა გასასვლელში შავი ნუმიდიელები გამოვიდნენ, ბუმბულით მორთულნი. ხელში მშვილდი ეჭირათ. ხალხი მიხვდა, რაღაც მზადდებაო და ნუმიდიელები სიხარულის ყიჟინით მიიღო. ისინი ასპარეზის მოაჯირს მიუახლოვდნენ, მშვილდის ლამბს ისარი დაუდეს და ნადირს სროლა დაუწყეს. ეს მართლაც ახალი თამაში იყო. შავი მარმარილოს ქანდაკებებივით ჩამოსხმულნი უკან იზნიქებოდნენ, ლამბს ღონივრად სწევდნენ და ნადირს ზედიზედ სტყორცნიდნენ ისარს. ლამბის გუგუნი და ისრის ზუზუნი ნადირის ყმუილსა და მაყურებელთა გაკვირვების ყიჟინას შეერთო. მგლები, დათვები, პანტერები და სიკვდილს გადარჩენილი ხალხი

პანტაპუნტით ეცემოდა მიწაზე. ზოგან ლომი საშინელი ტკივილისგან გაშმაგებული თავს უცებ მოიბრუნებდა, რომ ისარს სწვდომოდა და დაემსხვრია. წვრილი ნადირი ასპარეზზე დამფრთხალი დარბოდა, რიკულს ეხლებოდა, ვიდრე ყოველივე, რაც კი ასპარეზზე ცოცხალი გადარჩა, არ დაეცა და სასიკვდილო კანკალმა არ აიტანა.

მაშინ ასპარეზზე რამდენიმე ასი მსახური გამოვიდა წერაქვებით, ნიჩბებითა და ცოცხებით, ხელის ურიკებით, კალათებითა და ქვიშის სავსე პარკებით შეიარაღებული. ასპარეზი ერთ წუთში გასწმინდეს, ლეშები გაიტანეს, იქაურობა გადათხარეს, გაასწორეს, ახალი ქვიშა სქლად მოფინეს. შემდეგ ამურები მოვარდნენ და ასპარეზზე ვარდის, ზამბახისა და სხვა ყვავილების ფოთლები მიმოაპნიეს. საცეცხლურებით ისევ აკმიეს სურნელი. ველარიუმი ჩამოხსნეს, რადგან მზე უკვე შუბის ტარზე იდგა.

დამსწრენი ერთიმეორეს შესცქეროდნენ და გაკვირვებით ეკითხებოდნენ, სადღეისოდ კიდევ რაღა სანახავი უნდა იყოსო?

მართლაც, მათ სრულიად მოულოდნელი რაღაც უნდა ენახათ. კეისარი რა ხანია პოდიუმიდან გავიდა. უცებ ყვავილებით მოფენილ ასპარეზზე გამოცხადდა მხრებზე მოსასხამითა და თავზე ოქროს გვირგვინით. თორმეტი ციტროსანი მომღერალი უკან მოსდევდა. ხოლო იგი ხელში

ვერცხლის კითარით ასპარეზის შუაგულ დადგა, მაყურებელთ რამდენჯერმე თავი დაუკრა, თვალები ზეცას აღაპყრო, რამდენიმე წუთს შეჩერდა, თითქოს ტაშისცემას მოელოდებაო, შემდეგ სიმებს ჩამოკრა და მღერა დაიწყო.

„ჰოი, სხივცისკროვანო ლეტოს ძეო ლეტისავ, ტენედოსის კილას, ქრისეს მფლობელო! შენ, მცველო ილონის წმიდა ქალაქისაო, ვით შეიძელ აქაველთა რისხვისთვის მიგეცა იგი, ვით მოითმინე, რომ შენი სადიდებელი წმიდა სამსხვერპლო ტროადელთა სისხლით შეიღება“.

„ჰოი, ვერცხლისშვილდოსანო, მოხუცნი ხელთ გიწვდიდნენ, დედანი ტირილით გევედრებოდნენ, შვილნი ჩვენნი შეიბრალეო, იმათი სიბრალულით ქვაც აღიძროდა, შენ კი სმინთევსო, კაცთ მწუხარების ქვაზედაც ნაკლებ იყავ მგრძნობელი“.

სიმღერა ჩივილით, ნაღვლით სავსე ელეგიაში გადავიდა. ცოტა ხნის შემდეგ თვითონაც აღელვებულმა კეისარმა სიმღერა განაგრძო.

„ღვთაებრივი ფორმინგის ხმებით ცრემლებისა და კივილის დახშვა შეგეძლო, – ჯერაც თვალები, ვით ცვარით მონამულნი ყვავილნი, მწუხარე ხმებისაგან ცრემლებით ივსებიან. შეგეძლო მტვრისა და ფერფლისგან ტროა მკვდრეთით აღგედგინა... სმინთეევსო, სად იყავ მაშინ?“

აქ კეისარს ხმა შეუკანკალდა და თვალებზე ცრემლი მოერია. ვესტას ქალებიც ტიროდნენ. ხალხი მდუმარედ უსმენდა და შემდეგ ტაშმა იგრიალა.

ჰაერისათვის ვომიტორიუმები ახადეს, და მაშინ ამფითეატრში ეტლების ჭრიალი მოისმა; ამ ეტლებზე ქრისტიანების სისხლიერ ნაშთებს აბარგებდნენ – კაცების, ქალების და ბავშვებისას, რომ საზარელ ორმოებში, ეგრეთ წოდებულ puticulum-ებში, ჩაეფლოთ.

ხოლო პეტრე მოციქულმა თეთრ, მოცახცახე თავზე ორივე ხელი წაივლო და გაიფიქრა:

– უფალო, უფალო! ქვეყნიერების გამგებლობა ვისთვის მოგიცია?.. ნუთუ ამ ქალაქში გსურს შენი ტახტი დაამყარო?!

თავი მეთოთხმეტე

მზე უკვე ჩასასვლელად დასავლეთისკენ გადაიხარა და დაისმა თითქოს ყველაფერი გათქვიფა.სანახაობა დასრულდა. ხალხი ამფითეატრიდან გამოეფინა, მხოლოდ ავგუსტიანები უცდიდნენ ხალხის გასვლას. თავისი ადგილები დატოვეს და პოდიუმთან შეიკრიბნენ, სადაც კეისარი ისევ მოვიდა, რომ ქებით დამტკბარიყო. თუმცა მაყურებელნი ტაშისცემას არა ზოგავდნენ, მაინც მისთვის ეს საკმაო არ იყო: იგი სიგიჟემდე მისულ აღტაცებას მოელოდა. ამაოდ გაისმოდა ქება-დიდება ნერონის საპატივსაცემოდ. ვესტას მსახური ქალიშვილები ამაოდ უკოცნიდნენ ღვთაებრივ ხელებს, ხოლო რუბრია ამაოდ დაიხარა, ამაოდ მიაკრა ქერა თავი კეისრის მკერდს, ნერონი კმაყოფილი არ იყო და ამის დაფარვაც ვერ მოახერხა. ისიც აკვირვებდა და აწუხებდა, რომ პეტრონიუსი ხმას არ იღებდა. პეტრონიუსის ქება ან მარჯვე სიტყვა ახლა კეისრისათვის დიდი ნუგეში იქნებოდა. ვერ მოითმინა და პეტრონიუსს თავი დაუქნია. ის რომ პოდიუმში შევიდა, კეისარმა უთხრა:

– მითხარ!

პეტრონიუსმა ცივად უპასუხა:

– ჩუმად იმიტომ ვარ, რომ სიტყვა ვერ მომიძებნია. ამას შენგანაც არ მოველოდი.

– მეც ეგრე მგონია, მაგრამ ეს ხალხი...

– განა შეიძლება, მდაბიოთ მოსთხოვო პოეზიის გაგება.

– ჩანს, შენც შენიშნე, იმათ საკადრისი მადლობა არ მითხრეს.

– ცუდი დრო შეარჩიე.

– რადა?

– იმიტომ, რომ სისხლის ოხშივრით დამთვრალ ხალხს ყურადღებით მოსმენა არ შეუძლია.

ნერონმა ხელები დამუშტა.

– ჰოი, ეს ქრისტიანები! რომი გადასწვეს და ახლა უნდათ, მე ვნება მომიტანონ, ნეტავ რაღა სასჯელი მოვიგონო იმათთვის?

პეტრონიუსმა შენიშნა, რომ უხეირო გზას დაადგა, რომ მისმა სიტყვებმა სრულებით წინააღმდეგი შთაბეჭდილება მოახდინეს. ახლა კეისრის ყურადღების სხვა მხრივ წარმართვა მოინდომა. მისკენ

დაიხარა და უჩურჩულა:

– შენი ლექსი მშვენიერია, მაგრამ მხოლოდ ერთ შენიშვნას იმსახურებ. ვინც მესამე ტაეპს მოისმენს, მეოთხისაგან მეტს მოელის!

ნერონი მთლად გაწითლდა, თითქოს რაღაც ურიგო საქმეზე წაასწრესო, შეშინებულმა მიმოიხედა და ისევ ჩუმად უპასუხა:

– არაფერი გამოგეპარება!.. ვიცი!.. გადავაკეთებ!.. სხვამ ვერავინ შენიშნა, ხომ? ღმერთების გულისთვის, შენც ნურავის ეტყვი... თუ შენთვის სიცოცხლე ძვირფასია.

პეტრონიუსმა წარბები შეიკრა და მოწყენილობის და უკმაყოფილების კილოთი უპასუხა:

– ღვთაებრივო, შეგიძლია, სიკვდილი გადამიწყვიტო, თუ გიშლი რასმე, მაგრამ სიკვდილით ნუ მაშინებ. – ღმერთებმა უკეთესად იციან, სიკვდილისა მეშინია თუ არა.

და პირდაპირ თვალებში შეხედა კეისარს.

– ნუ ჯავრობ... ხომ იცი, მიყვარხარ.

„ცუდი ნიშანია“ – გაიფიქრა პეტრონიუსმა.

– მინდოდა, დღეს ნადიმზე მომეწვიეთ, – განაგრძო ნერონმა, – მაგრამ ვამჯობინებ, შინ შევიკეტო და ეს შეჩვენებული მეოთხე ტაეპის ლექსი შევასწორო. შენ გარდა ეს შეცდომა შეიძლება შეენიშნათ სენეკასა და სეკუნდუს კარინატს, მაგრამ იმათ ახლავე თავიდან მოვიშორებ.

მაშინვე სენეკას დაუძახა და გამოუცხადა, შენ და აკრატი და სეკუნდუს კარინატი იტალიაში წახვალთ და ყველა პროვინციაში ფულს მოკრიბავთ – ქალაქებს, სოფლებს, ტაძრებს მიაკითხავთ – ყველა იმ ადგილს, სადაც კი ფულის შოვნა ან გამოწურვა შეიძლებაო. მაგრამ სენეკა მიხვდა, რომ მას მძარცველად, ტაძართა შეურაცხმყოფელად, ყაჩაღად აგზავნიდნენ, ამიტომ უარი უთხრა:

– მე სოფელში უნდა წავიდე, ბატონო, სიკვდილს იქ დაველოდო. მოხუცი ვარ, უკვე სიმშვიდემაც მიმტყუნა.

იქნებ სენეკა ხილონზე უფრო მშვიდი იყო და არც თუ სნეული, მაინც ძველებური ჯანი აღარ მოდგამდა.

ნერონმა შეხედა და გაიფიქრა: იქნებ მართლაც სიკვდილის ლოდინი დიდხანს აღარ მოუხდესო და უპასუხა:

– არ მინდა, გზაში საშიში რამე დაგემართოს, თუ ავადა ხარ. რაკი მიყვარხარ, მიტომ მინდა, ახლო გიყოლიო. სოფელში წასვლის ნაცლად შენს სახლში შეიკეტე და აღარ გამოხვიდე.

შემდეგ ნერონმა გაიცინა და დაუმატა:

– მე რომ მარტო აკრატი და კარინატი გავგზავნო, იმას ემგვანება, ცხვრის ფარაში მგლები შეუშვა.

– მე დამნიშნე, ბატონო, – თქვა დიომიციუს აფერმა.

– არა! არ მინდა, რომს მერკურიუსის რისხვა დავატეხო თავს. შენი ოინებით იმასაც შეარცხვენ. მე იქ ვინმე სტოიკოსი მინდა სენეკას მსგავსი ან ჩემი მეგობრის ხილონის მსგავსი.

გარემოს თვალი მოავლო და იკითხა:

– მართლა, ხილონი რა იქნა?

ხილონი სუფთა ჰაერზე მოსულიერდა და კეისრის სიმღერის დროს ამფითეატრში შევიდა. ხალხი გაარღვია, ნერონთან მივიდა და უთხრა:

– აქა ვარ, მზისა და მთვარის ნათელო ნაყოფო. ავად ვიყავ, მაგრამ შენმა სიმღერამ განმკურნა.

– მე შენ აქაიაში გაგზავნი, – უთხრა კეისარმა, – შენ, უეჭველია, დაწვრილებით იცი, რომელ ტაძარში რა ინახება.

– გამგზავნე, ზევსო, და ღმერთები იმისთანა ხარკს მოგმადლიან, როგორიც ჯერ არავისთვის მიუმადლიათ.

– ეგრეც ვიზამდი, მაგრამ არ მინდა, თამაშის სიამოვნება მოგაკლო.

– ჰოი, ვაალ! – დაიძახა ხილონმა.

ავგუსტიანები კმაყოფილნი შეიქნენ, რომ კეისარს გუნება გაუკეთდა, სიცილი და ყვირილი დაიწყეს.

– არა, ბატონო, მამაც ხილონს თამაშებს ნუ გამოსწირავ.

– დამიხსენ, ბატონო, კაპიტოლიუმის იმ მყვირალა ბატებისაგან, რომელთა ტვინი, ერთად შეკრებილი, ერთი რკოს ნაჭუჭს ვერ აავსებს. მე, პირმშოვ აპოლონისავ, შენს სადიდებლად ბერძნულად ვწერ ჰიმნს, ამიტომ მინდოდა, რამდენიმე დღე მუზათა ტაძარში დამეყო, რომ მათგან შთაგონება მეთხოვნა.

– არა და არა! – დაიყვირა ნერონმა, – მომავალ სანახაოებებს გინდა თავი დააძვრინო. მაგას ვერ მიაღწევ.

– გეფიცები, ბატონო, რომ ჰიმნსა ვწერ.

– ღამე დაწერე... დიანას შესთხოვე შთაგონება, ის ხომ აპოლონის და არის.

ხილონმა თავი დაჰკიდა, იქ მყოფთ ბოროტი სახით შეხედა, რადგან კვლავ სიცილი მორთეს; ხოლო კეისარი სენეციონსა და ნერულინს მიუბრუნდა და თქვა:

– წარმოიდგინეთ, სადღეისოდ დანიშნულ ქრისტიანთაგან ნახევარს ძლივს მოვუღეთ ბოლო.

ამაზე მოხუცმა აკვილიუს რეგულუსმა, ამფითეატრის საქმის კარგმა მცოდნემ, მცირედი დაფიქრების შემდეგ მიუგო:

– ის სანახავები, რომელშიაც ხალხი გამოდის sine armis et sine arte (უიარაღოდ და დაუხელოვნებლად), ასევე დიდხანს გრძელდება, მაგრამ გასართობი კი არ არის.

– ვუბრძანებ, იარაღი დაურიგონ, – დაჰპირდა ნერონი.

კეისარმა ჩირაღდნების დამჭერ მონებს ნიშანი მისცა და ცირკიდან გავიდა, ხოლო უკან ვესტას მსახური ქალები, სენატორები და ავგუსტიანები გაჰყვნენ.

ნათელი და თბილი ღამე იდგა. ცირკის წინ ჯერაც კეისრის წასვლის მომლოდინე ხალხი ფუთფუთებდა. დაღვრემილნი იყვნენ და მდუმარენი. აქა-იქ ტაშის ხმა გაისმა და მაშინვე მიჩუმდა. სპოლარიუმიდან ჭრიჭინა ეტლებს ქრისტიანების სისხლიერი გვამები ისევ გაჰქონდათ.

პეტრონიუსი და ვინიციუსი თითქმის მთელი გზა ჩუმად მიდიოდნენ. მხოლოდ სახლს რომ მიუახლოვდნენ, პეტრონიუსმა იკითხა:

– მე რომ გითხარ, იმაზე იფიქრე რამე?

– ჰო, – მიუგო ვინიციუსმა.

– არ დაიჯერებ, ახლა ეგ საქმე ჩემთვისაც დიდმნიშვნელოვანია. კეისარსა და ტიგელინუსზე ისე ვარ გაჯავრებული, ლიგიას განთავისუფლება მწადია იმათ ჯიბრზე. ეს ის თამაშია, რომელიც მინდა მოვიგო, თუნდა სიცოცხლედაც დამიჯდეს. დღევანდელმა დღემ ჩემი განზრახვა უფრო განამტკიცა.

– ქრისტემ მოგაგოს სამაგიერო.

– აი ნახავ.

პეტრონიუსის სახლთან გაჩერდნენ და ტახტრევნიდან გადმოვიდნენ. ამ დროს მათთან ვიღაც შაოსანი მიეახლა და ჰკითხა:

– რომელი თქვენთაგანია კეთილშობილი ვინიციუსი?

– მე ვარ, – უპასუხა ტრიბუნმა, – რა გინდა?

– მე ნაზარი ვარ, მარიამის შვილი. საპყრობილედან მოვედი და ლიგიასაგან ამბავი მოგიტანე.

ვინიციუსმა მხარზე ხელი დაადო და ჩირაღდნის სინათლეზე თვალებში შეხედა, ერთი სიტყვის

თქმაც კი ვერ შეიძლო.

ნაზარმა ვინიციუსის ბაგეზე გაყინული კითხვა გამოიცნო და მიუგო:

– ჯერაც ცოცხალია. ბატონო, ურსუსმა გამომგზავნა, გითხრა, რომ ლიგიას სიცხე აქვს, ლოცულობს და სულ შენ სახელს ახსენებს.

– დიდება ქრისტეს! მას შეუძლია დამიბრუნოს იგი.

შემდეგ ნაზირი წიგნთსაცავში შეიყვანა; პეტრონიუსიც ჩქარა შევიდა იქ, რომ მათი ლაპარაკი მოესმინა.

– ავადმყოფობამ ის სირცხვილს გადაარჩინა, იმიტომ რომ ჯალათებს ავადმყოფობისა ეშინიათ, – თქვა პატარა ბიჭმა, – ურსუსი და გლავკოსი დღედაღამ უვლიან.

– დარაჯები ისევ ისინი არიან?

– დიახ, ბატონო, და ლიგიაც იმათ ოთახში წევს. ძირა სართულში ვინც პატიმრები იყვნენ, ყველანი სახადით დაიხოცნენ ან მძიმე სუნისაგან დაიხრჩვნენ.

– შენ ვინა ხარ? – ჰკითხა პეტრონიუსმა.

– კეთილშობილი ვინიციუსი მიცნობს. იმ ქვრივის შვილი ვარ, ვისთანაც ლიგია ცხოვრობდა.

– ქრისტიანი ხარ?

ბიჭმა კითხვის თვალით შეხედა ვინიციუსს, მაგრამ რა დაინახა, რომ ლოცულობდა, თავი მაღლა აიღო და პეტრონიუსს უპასუხა:

– დიახ.

– რისგან არის, რომ საპატიმროში შესვლა შეგიძლია?

– ქირით დავდექი მკვდრების გამოსატანად, ეს კი განგებ ვქენ, როგორმე ძმებისთვის შველა გამეწია, მათთვის ქალაქის ამბები შემეტყობინებინა.

პეტრონიუსმა ყურადღებით ჩაათვალიერა ლამაზი სახის ბიჭი, მისი ცისფერი თვალები და სქელი შავი თმა, შემდეგ უთხრა:

– სადაური ხარ?

– მე გალილეველი გახლავარ, ბატონო.

– გინდა, ლიგია თავისუფალი იყოს?

ბიჭმა მაღლა აიხედა

– მინდა, თუნდაც მას შემდეგ კიდეც მოვკვდე.

მაშინ ვინიციუსმა ლოცვა გაათავა და უთხრა:

– დარაჯებს უთხარ, მკვდარივით კუბოში ჩასდონ. დამხმარენი აირჩიე, რომ შენთან ერთად გამოიტანონ. მყრალი ორმოების გვერდზე ტახტრევანსა და ხალხს ნახავთ და კუბოს იმათ გადასცემთ. დარაჯებს ჩემს მაგიერ დაჰპირდი, რომ იმდენ ოქროს მივცემ, რამდენის წაღებასაც თვითეული თავისი მოსასხამით შეიძლებს.

ის რომ ამას ამბობდა, სახეზე ჩვეულებრივი მკრთალი ფერი გადაეცალა, მასში ჯარისკაცმა გაიღვიძა, იმედმა უწინდელი თავგამოდება დაუბრუნა.

ნაზირი სიხარულმა აიტაცა და შეჰყვირა:

– განკურნოსცა ქრისტემ, როცა თავისუფალი შეიქნება.

– გგონია, რომ დარაჯები დაგეთანხმებიან? – ჰკითხა პეტრონიუსმა.

– დარაჯებიო, ბატონო? თუკი დარწმუნებულნი იქნებიან, რომ ამისთვის ტანჯვა და სასჯელი არ მოელით.

– ჰო, – თქვა ვინიციუსმა, – ადრე დარაჯები გაქცევაზე თანახმანი იყვნენ, მით უფრო მკვდრად გამოტანის ნებას მოგვცემენ.

– მართალია, კაცია დაყენებული, ვინც დილეგიდან გამოგვყავს, გახურებული რკინის მიკარებით რომ რწმუნდება, მკვდარია თუ არა, – თქვა ნაზარმა, – მაგრამ ის რამდენიმე სესტერცის იღებს, რათა მკვდრის სახეს არ შეეხოს. ერთ aureus-ად კუბოს შეეხება და არა სხეულს.

– იმას უთხარ, რომ მთელ კაპსა ოქროს მიიღებს, – უთხრა პეტრონიუსმა, – მაგრამ სარწმუნო ამხანაგების შოვნას მოახერხებ?

– მე ისეთებს ავიყვან, რომელნიც ფულის გულისთვის ცოლსაც გაჰყიდიან და შვილებსაც.

– სად იპოვი ეგეთებს?

– თვითონ დილეგში ან ქალაქში. დარაჯებს თუკი მოვისყიდით, ვინც უნდა იყოს, საპყრობილეში შეუშვებენ,

– მაშ თუ ეგრეა, დაქირავებული კაცივით შემიყვანე, – უთხრა ვინიციუსმა.

პეტრონიუსი ამას არ ურჩევდა. პრეტორიელებს შეიძლება ეცნოთ, თუნდაც ტანისამოს გამოცვლილი ყოფილიყო და მაშინ ყველაფერი დაიღუპებოდა.

– არც საპყრობილეში და არც მყრალ ორმოებთან არ უნდა გამოჩნდე! – გაიმეორა მან, – საჭიროა კეისარმაც და ტიგელინუსმაც ირწმუნონ, რომ ლიგია მოკვდა, თორემ იმავ წამს მდევარს დაგადევნებენ! ეჭვის მიძინება შეიძლება, თუ ქალს ალბანის მთებში ან სიცილიაში წაიყვანენ, ჩვენ კი რომში დავრჩებით. ერთი ან ორი კვირის შემდეგ ავად გახდები, კეისრის ექიმს მოიყვან და მთებში წასვლას გიბრძანებს. მაშინ ერთმანეთს შეხვდებით და შემდეგ...

ცოტა ხანს დაფიქრდა, ხელი გაიქნია და თქვა:

– შემდეგ იქნებ ჯერი ჩემზე მოდგეს.

– ქრისტემ შეიბრალოსმცა იგი, – თქვა ვინიციუსმა, – შენ სიცილიას ამბობ, მაგრამ ლიგია ავად არის, შეიძლება მოკვდეს.

– ჯერ ახლოს დავაბინავებთ. იმას სუფთა ჰაერი მოარჩენს, ოღონდ დილეგიდან დავიხსნათ. მთებში ნაცნობი არავინ გყავს, რომ ნდობა შეგეძლოს?

– როგორ არა, მყავს! – აჩქარებით უპასუხა ვინიციუსმა, – კორიოლის სიახლოვეზე, მთებში სარწმუნო კაცი მყავს, ბავშვობისას ხელში აყვანილს მატარებდა და აქამდე ვუყვარვარ.

პეტრონიუსმა ფირფიტები მიაწოდა.

– მისწერე, რომ ხვალ აქ მოვიდეს. ახლავე შიკრიკს გავგზავნი.

– ნეტა ურსუსი გაჰყვებოდეს თან, – თქვა ვინიციუსმა, – მაშინ დამშვიდებული ვიქნებოდი.

– ბატონო, – თქვა ნაზარმა, – დაუჯერებელი ღონის კაცია. რიკულს გამოამტვრევს და ლიგიას გამოჰყვება. იმ განყოფილებას, სადაც ისინი არიან დაპატიმრებულნი, უფსკრულზე გადასახედი

სარკმელი აქვს, გარედან დარაჯი არ უდგას. მე თოკებს მივუტან და დანარჩენი თვითონ ურსუსმა იცის.

– ჰერკულესს ვფიცავ, – წარმოთქვა პეტრონიუსმა, – როგორც უნდა, ისე გამოვიდეს, ოღონდ კი ლიგიასთან ერთად ნუ გამოვა, არც ორი-სამი დღის შემდეგ, იმიტომ რომ თვალყურის დევნებას დაუწყებენ და ლიგიას ბინას მიაგნებენ. მაგას ნუ იზამთ, თუ თქვენი თავისა და იმის დაღუპვა არ გინდათ. მე გიკრძალავთ ურსუსთან კორიოლზე ლაპარაკს, თუ არადა, აღარ დაგეხმარებით.

ვინიციუსი დაეთანხმა. ნაზარი გამოემშვიდობა და სახვალიოდ უთენია მოსვლას დაჰპირდა.

მაგრამ კარის დირეზე შეჩერდა, ვინიციუსი განზე გაიყვანა და უთხრა:

– ბატონო, ჩვენი განზრახვის ამბავს არავის ვეტყვი, დედაჩემსაც კი არა. მაგრამ მოციქული პეტრე ამფითეატრიდან ჩვენთან შემოსვლას დაგვპირდა, იმას კი ყველაფერს ვუამბობ.

– ამ სახლში შენ ყველაფრის თქმა ხმამაღლა შეგიძლია, – დაამშვიდა ვინიციუსმა, – მოციქული პეტრე ამფითეატრში პეტრონიუსის კაცებთან ერთად იყო... მაგრამ ახლა მე თან წამოგყვები.

უბრძანა, მონის მოსასხამი მოეტანათ. ნაზარი და ის შინიდან ერთად გავიდნენ.

პეტრონიუსმა ღრმად ამოიოხრა.

– მე მინდოდა ლიგია სახადით მომკვდარიყო, – ფიქრობდა იგი, – იმიტომ, რომ ვინიციუსისთვის ეს სამჯობინო იქნებოდა. მაგრამ ახლა მისი მორჩენისათვის მზად ვარ, ესკულაპიუსს ოქროს სამფეხა ვუძღვნა. ჰოი, აჰენობარბუს! შენ გინდა განა შეყვარებულის ტანჯვის ცქერით დატკბე! შენ, ავგუსტა, იმ ქალი სილამაზე გშურდა, ახლა კი მზად ხარ, შთანთქა იგი, იმიტომ, რომ შენი რუფიუსი დაიღუპა... შენ, ტიგელინუს, ჩემს გამოსაჯავრებლად გინდა, ის ქალი დაღუპო! ვნახოთ. მე გეუბნებით თქვენი თვალები იმას ასპარეზზე ვერ დაინახავენ. ან თავისივე დღით მოკვდება, ან გამოგგლეჯთ ასპარეზზე ლიგიას და ისე გამოგგლეჯთ, რომ ვერც კი გაიგოთ და მერე რამდენჯერაც შეგხვდებით ვიფიქრებ: აი სულელები, გაიუს პეტრონიუსმა რომ ყინულზედ გააცურა-მეთქი.

და თავისივე თავით კმაყოფილი ტრიკლინიუმში გადავიდა, სადაც ევნიკასთან ერთად წამოწვა ვახშმად. ვახშმის განმავლობაში ლიქტორი მათ თეოკრიტოსის იდილიას უკითხავდა. გარეთ ჭექა-ქუხილი ატყდა. დროდადრო ქუხილის ხმა რომის შვიდ ბორცვზე გახმიანდებოდა ხოლმე. პეტრონიუსმა და ევნიკამ კი მოუსმინეს პოეტს, დორიული მჟღერავი ენით რომ მწყემსის სიყვარულს შეაქებდა, და ტკბილი ძილის სამზადისი დაიჭირეს.

ამ დროს ვინიციუსი დაბრუნდა. პეტრონიუსმა ეს გაიგო და დისწულს მიეგება.

– რა ამბავია? – ჰკითხა მან, – ახალი ხომ არა მოგიფიქრებიათ რა, ნაზარი დილეგში შევიდა?

– ჰო, – მიუგო ყმაწვილმა კაცმა და თან დასველებული თმა შეისწორა, – ნაზარი დარაჯებთან შესათანხმებლად წავიდა, ხოლო მე პეტრე ვნახე, – იმან მიბრძანა, ილოცე და გწამდესო.

– ეგ კარგია, თუ ყველაფერი კარგად წავა, იმისი გამოტანა ხვალღამ შეიძლება.

– ჩემი კლიენტი თავისი კაცებით გათენებისას უნდა მოვიდეს.

– დიდი გზა არ არის. ახლა დაისვენე.

მაგრამ ვინიციუსმა თავის კუბიკულუმში მუხლი მოიდრიკა და ლოცვა დაიწყო.

ვინიციუსის კლიენტი ნიგერი კორიოლიდან გათენებისას მოვიდა. თან ჯორები და ოთხი სარწმუნო ბრიტანელი მოიყვანა და ტახტრევანი მოიტანა. ყველა ისინი სიფრთხილისათვის სუბურას ქარვასლაში დატოვა.

ვინიციუსს მთელი ღამე არ სძინებია და ნიგერის მისაგებებლად გამოვიდა. იმან რომ თავისი ახალგაზრდა ბატონი დაინახა, აღელდა, ხელებზე კოცნა დაუწყო და წაილაპარაკა:

– ბატონო, ავად ხარ? თუ მწუხარებამ გამოგწოვა სისხლი? რომ დაგინახე, ძლივს გიცანი.

ვინიციუსმა შიდა კოლონადაში შეიყვანა და თავისი საიდუმლო იქ გაუმჟღავნა. ნიგერი ყურადღებით უსმენდა. მის დამწვარ სახეს აღელვება დაეტყო, თუმცა ცდილობდა ეს არ შეემჩნია.

– მაშ, ის ქალი ქრისტიანია? – შეჰყვირა მან და დაშტერებით დააცქერდა ვინიციუსს. ახალგაზრდა ტრიბუნი მიუხვდა და უპასუხა:

– – მეც ქრისტიანი ვარ!

ნიგერს თვალზე ცრემლი მოერია. ერთი წუთი დუმდა, შემდეგ ხელები მაღლა ასწია და წამოიძახა:

– ჰოი, ქრისტეო! გმადობ შენ, რამეთუ ჩემთვის უძვირფასესის თვალთაგან ლიბრი მოგიხსნია.

მოეხვია ვინიციუსს, სიხარულისგან ტირილი მორთო და შუბლზე კოცნა დაუწყო.

ერთი წამს შემდეგ პეტრონიუსი მოვიდა და თან ნაზარი მოიყვანა.

– კარგი ამბავია, – შორიდანვე დაიძახა მან.

მართლაც კარგი ამბავი იყო. ექიმი გლავკოსი თავდებობას კისრულობდა, რომ ლიგია არ მოკვდებოდა, თუმცა ისეთი ხურვებით იყო ავად, რომელმაც ტულიანუმსა და სხვა საპყრობილეებში ათასობით გაჟლიტა ხალხი. რაიც შეეხება დარაჯებს და იმ კაცს, ვინც მკვდრებს გახურებული რკინით ამოწმებდა, იმათთან მორიგება ადვილი იყო. ნაზარის მომავალი თანაშემწე ატისიც დათანხმდა.

– კუბოში ხვრელს გავუკეთებ, ავადმყოფმა სუნთქვა შეიძლოს, – თქვა ნაზარმა, – საშიში მხოლოდ ის არის, პრეტორიელებს რომ გვერდით გავუვლით, არ დაიკვნესოს, მაგრამ მეტად დასუსტებულია და დილას აქეთ თვალდახუჭული წევს. გლავკოსი დასაძინებელ სასმელს მისცემს, კუბოს თავი დალურსმული არ იქნება. ადვილად ახდის და ავადმყოფს ტახტრევანში გადაიყვანს, ხოლო ჩვენ კუბოში პარკით ქვიშას ჩავდებთ, რაიც მზად უნდა ვიქონიოთ.

– სხვა ცხედრებს არ გამოიყვანენ საპყრობილიდან? – ჰკითხა პეტრონიუსმა.

– წუხელის ოციოდე კაცი მოკვდა. საღამომდე კიდევ რამდენიმე მოკვდება, – უპასუხა ნაზარმა, – ჩვენ პროცესიასთან ერთად უნდა ვიაროთ, მაგრამ განგებ ფეხს ავითრევთ, სულ უკან მოვექცევით. პირველ გზაჯვარედინზე ჩემი ამხანაგი განგებ კოჭლობას დაიწყებს და ჩვენც უკან ჩამოვრჩებით. თქვენ ლიბიტინას პატარა ტაძრის გვერდზე დაგველოდებით. ნეტა არ იქნება, ღმერთმა ბნელი ღამე მოგვივლინოს.

– ღმერთი მოგვივლენს, – თქვა ნიგერმა, – გუშინ საღამო ნათელი იყო, მერე კი ჭექა-ქუხილი ატყდა. დღეს მოიწმინდა, მაგრამ დილიდანვე ბუღი დგას. ახლა ყოველღამ წვიმა და ჭექა-ქუხილი იქნება.

– ფარნები არ გექნებათ? – ჰკითხა ვინიციუსმა.

– მარტო წინ წაიღებენ ჩირაღდნებს, თუმცა მუდამ შუაღამისას გამოგვაქვს მკვდრები, თქვენ მაინც დაბინდებისას ლიბიტინას ტაძართან იყავით.

ყველა დაჩუმდა, მხოლოდ ვინიციუსის ხშირი სუნთქვა ისმოდა. პეტრონიუსმა მიმართა მას:

– გუშინ ვამბობდი, ემჯობინება, ორივენი შინ დავრჩეთ-მეთქი, ახლა კი ვხედავ, მეც ვერ დავდგები შინ. საქმე რომ გაქცევაზე იყოს, მაშინ მეტი სიფრთხილე იქნებოდა საჭირო, მაგრამ რაკი მას მკვდარივით გამოიტანენ, მგონია, ეჭვი არავის დაებადება.

– მართალია! – დაადასტურა ვინიციუსმა, – მე იქ უნდა ვიყო, კუბოდანაც თვითონ მე უნდა ამოვიყვანო.

– და როდესაც ჩემს სახლში მოიყვან, თავდებად მე დაგიდგები, – უთხრა პეტრონიუსმა.

საუბარი ამით გათავდა. ნიგერი ფუნდუკში წავიდა, თავის კაცებთან. ნაზარმა ოქროს პარკუჭი ტუნიკის ქვეშ დამალა და საპყრობილეში წავიდა. ვინიციუსისათვის შფოთიანი და მოუსვენარი მოლოდინის დღე დაიწყო.

– ეს საქმე კეთილად უნდა დაბოლოვდეს, რადგან კარგად არის მოფიქრებული, – უთხრა მას პეტრონიუსმა, – უკეთესი გეგმის შედგენა არ შეიძლებოდა. შენ ყველას თავი მწუხარებით დატანჯულად უნდა მოაჩვენო და მუქი მოსასხამი მოისხა... დაე ყველამ გნახოს... ყველაფერი ისეა მოფიქრებული, რომ შეცდომა არაფერშია... მაგრამ შენს კლიენტს ერწმუნები?

– იგი ქრისტიანია, – უთხრა ვინიციუსმა.

პეტრონიუსმა დაკვირვებით შეხედა, მერე მხრები შეიშმუშნა და ლაპარაკი დაიწყო, თითქოს თავს ელაპარაკებოდა.

– ვფიცავ პოლუქსს, როგორ ვრცელდება!.. მე რომ მწამდეს, ვითომც ჩვენს ღმერთებზე რომელიმე ამქვეყნიური საქმე არის დამოკიდებული, ახლავ თვითეულს ექვს-ექვს ხარს დავპირდებოდი, ხოლო კაპიტოლიუმის იუპიტერისათვის თორმეტ ხარსაც არ დავიშურებდი. შენ კი ნუ იძუნწებ და ქრისტეს, რაც შეგიძლია, მეტი დაჰპირდი.

– მე იმას უკვე ჩემი სული მივეცი.

ამაზე გაიყარნენ. პეტრონიუსი კუბიკულუმში დაბრუნდა, ვინიციუსი საპყრობილის დასანახავად წავიდა, ხოლო იქიდან ვატიკანის ბორცვის კალთისკენ გაემართა, მიწისმთხრელის ქოხისკენ, სადაც იგი მოციქულმა პეტრემ მონათლა. ფიქრობდა, რომ იმ ქოხში ქრისტე უფრო ჩქარა მოუსმენდა და შინ შევიდა თუ არა, მიწაზე დაემხო და მწუხარე ლოცვად გადმოღვარა ტანჯული სულის ყველა სატკივარი; ლოცვამ ისე გაიტაცა, რომ დაავიწყდა სად იყო და რა ემართებოდა.

შუადღისას საყვირების ხმებმა გამოაღვიძეს; ეს ხმები ნერონის ცირკიდან მოდიოდა. ვინიციუსი ქოხიდან ქუჩაში გამოვიდა და ჯერ მთლად გამოუღვიძებელივით გარშემო ცქერა დაიწყო. ცხელოდა და სიჩუმე იყო. სულის შემხუთავი ჰაერი იდგა; ქალაქს ლაჟვარდი ცა ჯერაც დასცქეროდა, მაგრამ საბინის მთებიდან ცის დასალიერზე შავი ღრუბლები იკრიბებოდნენ. ვინიციუსი შინ დაბრუნდა. ატრიუმში პეტრონიუსი ელოდა...

– მე პალატინზე ვიყავ, – უთხრა მან, – განგებ ვეჩვენე და კამათელიც ვითამაშე. აპიციუსს საღამოზე ნადიმი აქვს: ვუთხარ, მოვალ-მეთქი, მხოლოდ კი ნაშუაღამევს, იმიტომ რომ იქამდე უნდა გამოვიძინო-მეთქი. როგორც უნდა გათავდეს ჩვენი საქმე, კარგი იქნებოდა, შენც წამოსულიყავ!

– ნიგერისა და ნაზარისაგან არაფერი ამბავი არ მოსულა? – ჰკითხა ვინიციუსმა.

– არა. ჩვენ იმათ მხოლოდ შუაღამისას ვნახავთ. არ ამჩნევ, რომ წვიმას აპირებს.

– ჰო, ეტყობა...

– ხვალ ცირკში ქრისტიანები ჯვარზე უნდა გააკრან, იქნებ წვიმამ დაუშალოს?

მერე ვინიციუსს მიუახლოვდა, მხარზე ხელი მიაკარა და უთხრა:

– მაგრამ შენ იმას ჯვარზე არ ნახავ, არამედ კორიოლში შეხვდები, კასტორსა ვფიცავ! ჩვენ იმას გავათავისუფლებთ. იმ წუთს, როდესაც იმას გავათავისუფლებთ, მთელი რომის გემებში არ გავცვლიდი.

საღამო მოახლოებული იყო. მართლაც სიბნელე ქალაქს ჩვეულებრივზე ადრე მოეფინა. მთელ ცას ღრუბლები ისე მოედო, რომ დაღამდა თუ არა, დიდი წვიმა მოვიდა. გახურებულ ქვაზე დაცემული ყოველი წვეთი ქუჩებს ნისლად მოეფინა.

– დავეშუროთ, – თქვა ვინიციუსმა, – იქნება ქარიშხლის შიშით მკვდრები ადრე გამოიტანონ.

კაპიშონიანი გალური მოსასხამები წამოისხეს და ბაღის კარებით ქუჩაში გავიდნენ. პეტრონიუსი

მოკლე რომაული დანით შეიარაღდა, ღამე სიარულის დროს მუდამ ასეთი ჩვეულება ჰქონდა.

ქუჩები ცარიელი იყო. ხანდახან ელვა სიბნელეს გაარღვევდა ხოლმე და ახლად აშენებულ სახლებსა და ქუჩებში მოფენილ დასველებულ ფიქალს გაანათებდა. პეტრონიუსმა და ვინიციუსმა კარგა მანძილი გაიარეს და ბოლოს ბორცვი დაინახეს, რომელზედაც ლიბიტინას ტაძარი იდგა, ხოლო ბორცვის ძირას რამდენიმე კაცი და ჯორი შეამჩნიეს.

– ნიგერ! – ხმადაბლა დაუძახა ვინიციუსმა.

– აქა ვარ, ბატონო, – გამოისმა ბინდიდან.

– ყველაფერი მზად არის?

– დიახ, ძვირფასო. დაღამდა თუ არა, აქა ვართ. კედელს შეეფარე, თორემ მთლად დასველდები. რა ჭექა-ქუხილია! მე მგონია, სეტყვა მოვა.

ნიგერის ეჭვი გამართლდა: ჩქარა სეტყვა წამოვიდა, ჯერ წვრილი, მერე უფრო და უფრო მსხვილი და ხშირი. ჰაერი მაშინვე გაცივდა.

– ვინმემ რომ დაგვინახოს კიდეც, ეჭვს ვერ აიღებს, – უჩურჩულა ნიგერმა, – იმ ხალხსა ვგავართ, წვიმის გადაღებას რომ ელიან. მარტო იმისი მეშინია, მკვდრების გატანა ხვალამდე არ გადასდონ.

სეტყვამ გადაიღო, მაგრამ წვიმა კი უფრო და უფრო წამოუშინა. ხანდახან ქარი ქროდა და მყრალი ორმოებიდან აუტანელი სუნი მოჰქონდა.

ამ ორმოებში მკვდრებს არც ღრმად და თან დაუდევრადაც მარხავდნენ.

უცებ ნიგერმა თქვა:

– ამ წვიმაში რაღაც სინათლეს ვხედავ... ერთი... ორი... სამი... ჩირაღდნებია?

და თავის კაცებს მიმართა:

– ეცადენით, ჯორებმა ფრუტუნი არ დაიწყონ.

– მოდიან, – თქვა პეტრონიუსმა.

სინათლე უფრო და უფრო ცხადი ხდებოდა, წამს უკან ისიც კი გამოჩნდა, როგორ არხევდა ქარი

ჩირაღდნების ალს.

ნიგერმა პირჯვრის წერა და ლოცვა დაიწყო. მწუხარე პროცესია ახლოვდებოდა და ბოლოს ლიბიტინას ტაძრის გვერდზე შეჩერდა. პეტრონიუსი, ვინიციუსი და ნიგერი ბორცვს მიეკრნენ. ვერ გაეგოთ, ეს შეჩერება რას ნიშნავდა. მაგრამ ტახტრევნის მზიდველნი იმიტომ შედგნენ, რომ ცხვირი და პირი ძონძებით აევსოთ, რათა მათთვისაც აუტანელი საზარელი სუნი ვეღარ ეგრძნოთ, შემდეგ კუბოები ასწიეს და გზას გაუდგნენ.

მხოლოდ ტაძრის პირდაპირ ერთი კუბო შეჩერდა.

ვინიციუსი მივარდა მას, პეტრონიუსი და ნიგერიც თან მიჰყვნენ, ასევე ბრიტანელი მონებიც.

მაგრამ მანამ ისინი მოვიდოდნენ, სიბნელეში ნაზარის მწუხარე ხმა გაისმა:

– ბატონო, ლიგია და ურსუსი ესკივილინუსის საპყრობილეში გადაიყვანეს. ჩვენ სხვა კუბოები მოგვაქვს, ის კი შუაღამეზე ადრე წაიყვანეს.

პეტრონიუსი რომ შინ დაბრუნდა, დაღვრემილი იყო და ვინიციუსის გამხნევებასაც კი არა

ცდილობდა. მას ესმოდა, რომ ესკვილინუსის ჯურღმულიდან ლიგიას დახსნაზე ოცნებაც არ შეიძლებოდა. მიხვდა, ლიგია ტულიანუმიდან, უეჭველია, იმიტომ გადაიყვანეს, რომ ხურვებისგან არ მომკვდარიყო და ამფითეატრს არ ასცდესო. – ეს კიდევ იმას ნიშნავდა, რომ მას ყურადღებას აქცევდნენ და სხვებზე უფრო გულმოდგინედ ინახავდნენ. პეტრონიუსს გულის სიღრმემდე ებრალებოდა ლიგიაც და ვინიციუსიც, ამას გარდა, ისიც აღელვებდა, როგორ გამიცრუვდა იმედიო. პირველად მოხდა, რომ ბრძოლაში დამარცხება განიცადა.

– მგონია, ფორტუნამ ზურგი შემაქცია, მაგრამ ღმერთები ცდებიან, თუ ჰგონიათ, ასეთ სიცოცხლეზე დავთანხმდები... – და ვინიციუსს შეხედა, რომელიც თვალდაჭყეტილი უცქეროდა მას.

– რა მოგივიდა? გაციებს? – ჰკითხა პეტრონიუსმა.

ვინიციუსმაც რაღაც უცნაური, მოწყვეტილი და ავადმყოფი ბავშვის წყნარი ხმით მიუგო:

– მე მწამს, რომ ქრისტეს შეუძლია დამიბრუნოს ლიგია.

ქუხილის უკანასკნელი გრგვინვა მოსწყდა და ქალაქს მშვიდი ცა გადაეფარა.

ნაწილი მეოთხე

თავი პირველი

სამი დღის განუწყვეტელმა წვიმამ და სეტყვამ, რაიცა რომისთვის იშვიათი მოვლენა იყო, სანახაობები შეწყვიტეს. ხალხი მწუხარებას მიეცა. ყურძნის მოუსავლობას წინასწარმეტყველებდნენ, ხოლო როდესაც მეხმა კაპიტოლიუმზე ცერერას ბრინჯაოს ქანდაკი გაადნო, ხალხმა იუპიტერის ტაძარში მსხვერპლის შეწირვა დაიწყო. ცერერას ქურუმებმა ხმა დაყარეს – ქრისტიანებისადმი ლმობიერების გამო ქალაქს ღმერთების რისხვა დაატყდაო. ხალხმაც მოითხოვა, ამინდის მიუხედავად, თამაშობანი განეგრძოთ. მთელ რომს სიხარული მოეფინა, როდესაც სამი დღის შეწყვეტის შემდეგ დილის წარმოდგენები ხელახლა გაიმართა.

ამასობაში ამინდიც კარგი დადგა.ამფითეატრი გათენებიდანვე ხალხით აივსო, კეისარი, ვესტას მსახური ქალები და კარისკაცები ადრე მოვიდნენ. წარმოდგენა ქრისტიანების ერთმანეთთან ბრძოლით უნდა დაწყებულიყო. ისინი განგებ გლადიატორებად მორთეს და ყოველგვარი იარაღი მისცეს. მაგრამ მაცქერალნი სახტად დარჩნენ. ქრისტიანებმა მიწაზე დაყარეს: ბადეები, სამთითები, შუბები, მახვილები. ერთმანეთს გადაეხვივნენ, ერთმანეთს ამხნევებდნენ, ტანჯვა მოთმინებით აიტანეთო, ეუბნებოდნენ. ზოგმა ეს ქრისტიანების სიმხდალესა და სულმოკლეობას მიაწერა, ზოგი ამტკიცებდა, განგებ არ ინდომეს ბრძოლა, რომის ხალხის სიძულვილის გამო, რა არის, მათთვის ის კმაყოფილება მოეკლოთ, რასაც სიმამაცის დანახვით განიცდიანო. ბოლოს

კეისრის ბრძანებით ნამდვილი გლადიატორები გამოუშვეს. მათ ერთ წუთში გაჟლიტეს ყველა დაჩოქილი და უიარაღო ქრისტიანი.

მკვდრები გაიტანეს, ასპარეზი მოაწესრიგეს და სანახაობანი თვითონ კეისრისაგან შეთხზული სხვადასხვა მითოლოგიური სურათებით განახლდა. ყველაზე უწინ ხალხმა ჰერკულესი დაინახა, ეტას მთაზე კოცონზე მდგარი. ვინიციუსი შეკრთა, იფიქრა, იქნებ ჰერკულესის როლისათვის ურსუსი გამოჰყვესო, მაგრამ ლიგიას ერთგული მსახურის რიგი ჯერ არ დამდგარიყო: კოცონზე ვინიციუსისთვის სულ უცნობი ქრისტიანი იწვოდა. სამაგიეროდ,

შემდეგ სურათში ხილონმა, კეისარმა რომ სანახაობებიდან არ გაანთავისუფლა, თავისი ნაცნობი პირები დაინახა. წარმოდგენილი იყო დედალოსისა და იკაროსის სიკვდილი. დედალოსის როლში ევრიციუსი გამოვიდა, სწორედ ის ბერიკაცი, ხილონს რომ ოდესღაც თევზის სურათის მნიშვნელობა აუხსნა, ხოლო იკაროსის როლში – მისი შვილი კვარტუსი. ორივენი განსაკუთრებული მანქანით მაღლა ასწიეს და დიდი სიმაღლიდან ასპარეზზე ჩამოაგდეს. ახალგაზრდა კვარტუსი კეისრის პოდიუმთან ისე ახლოს დაეცა, რომ ლოჟის არათუ გარეგანი მორთულობა, არამედ ძოწით შემოვლებული ნაპირიც კი სისხლით გაიწუწა. სურათი სურათს მოსდევდა. ყმაწვილი ქალების ტანჯვას, სიკვდილის წინ რომ მხეცებად ჩაცმული გლადიატორები შეურაცხყოფას აყენებდნენ, მაცქერალნი აღტაცებაში მოჰყავდა. შემდეგ გამოვიდნენ ქურუმი ქალები: კიბელასა და ცერერას ქურუმები. დანაიდები, დირკა და პასიფაია, ბოლოს მთლად მცირეწლოვანი გოგონები გამოიყვანეს, ესენი

გარეულ ცხენებს უნდა დაეგლიჯათ. ხალხი ტაშისცემით ხვდებოდა კეისრის ახალ-ახალ გამოგონებას, ხოლო ამაყი და ბედნიერი კეისარი ახლა მოლიპულ ზურმუხტს თვალიდან ერთი წამით არ იშორებდა, ტკბებოდა რკინით დაგლეჯილი თეთრი სხეულებითა და მომაკვდავი ხალხის კრუნჩხვით. ისეთი სურათებიც იყო, რაც რომის ხალხის ისტორიას შეეხებოდა. პატარა ქალების შემდეგ მუციუს სცევოლა გამოცხადდა, გაღვივებული ცეცხლით სავსე რკინის სამფეხაზე ჰქონდა მიკრული ხელი. ამფითეატრი დამწვარი ხელის სიმყრალით აივსო, მაგრამ წამებული, როგორც ნამდვილი სცევოლა, უსიტყვოდ იდგა, თვალი მაღლა აღეპყრო და გაშავებული ტუჩებით ლოცულობდა. იგი ჩაკლეს და გვამი სპოლარიუმში გაათრიეს. ჩვეულებრივი შუადღის შესვენება დადგა. კეისარი ვესტას მსახური ქალებითა და ავგუსტიანებით ამფითეატრიდან გავიდა და საგანგებოდ დადგმული უზარმაზარი ძოწეულის კარვისკენ გაემართა, სადაც მისთვის და მისი სტუმრებისთვის უძვირფასესი prandium-ი იყო მომზადებული, ხალხიც მის მაგალითს მიჰყვა, რათა ხელ-ფეხი გაეშალა და კეისრის წყალობა ეგემნა. სასახლის მონები ყველგან საჭმელებს დაატარებდნენ. ერთობ ცნობისმოყვარე მაცქერალნი კი ასპარეზზე ჩამოვიდნენ, სისხლით შესვრილ ქვიშას თითით ეხებოდნენ, მცოდნეთა და მოყვარულთა თვალით უცქეროდნენ და

იმაზე მსჯელობდნენ, რაც უკვე იყო და რაც კიდევ წარმოდგენილი იქნებოდა. მაგრამ ისინიც მალე დაიშალნენ, რომ მასპინძლობით ესარგებლათ, ასპარეზზე კი რამდენიმე კაციღა დარჩა, ისინი აქ ცნობისმოყვარეობამ კი არა, მომავალი მსხვერპლებისადმი თანაგრძნობამ შეაჩერა.

მონებმა ასპარეზი გაწმინდეს და ორმოების თხრა დაიწყეს ერთიმეორის მიყოლებით ამფითეატრის ერთი კედლიდან მეორე კედლამდე, ისე რომ უკანასკნელი რიგი კეისრის პოდიუმიდან რამდენიმე ნაბიჯით იყო დაშორებული. ქუჩიდან ამფითეატრში ლაპარაკი, ყვირილი და ტაშისცემა მოისმოდა, აქ კი გაცხარებული მუშაობდნენ და რაღაც ახალი ტანჯვისთვის ემზადებოდნენ. უცებ კუნიკულუმები გაიღო და ყველა კარიდან ტიტველი ქრისტიანების ბრბოები გამოჩნდნენ, მხარზე გადებული ჯვრით მომავალნი. მთელი ამფითეატრი აივსო. ხის მორების სიმძიმის ქვეშ მოკაკული მოხუცებიც მორბოდნენ, ახალგაზრდა ვაჟკაცებიც, დედაკაცებიც, სიტიტვლის დაფარვას რომ გაშლილი თმით ცდილობდნენ, მოზარდი ქალ-ვაჟნი და მთლად პატარა ბავშვები. ჯვრები და მეტი წილი მსხვერპლისა ყვავილებით იყვნენ მორთულნი. ცირკის მსახურნი უბედურთ ჯვრებს ჯოხის ცემით ორმოების პირზე აწყობდნენ და მათ გვერდზე აყენებდნენ. ასე უნდა დაღუპულიყვნენ, ვინც ვერ მოასწრეს და თამაშის პირველ დღეს მხეცებს დასაგლეჯად ვერ მისცეს. შავკანიანი მონები იჭერდნენ ქრისტიანებს, ჯვარზე პირაღმა სდებდნენ და ხელებს ჯვარზე ულურსმავდნენ დიდი გულმოდგინებით და სისწრაფით, რომ დასვენების შემდეგ ამფითეატრში მობრუნებულ ხალხს ყველაფერი თავის ალაგს დახვედროდა. მთელ ამფითეატრში ჩაქუჩის რახუნის ხმა გაისმოდა. ეს ხმა ცირკის გარშემო მდებარე მოედნამდე და იმ კარვამდისაც აღწევდა, სადაც კეისარი თავის სტუმრებსა და ვესტას მსახურ ქალებს უმასპინძლდებოდა. კარავში ღვინოს სვამდნენ; ხილონს მასხარად იგდებდნენ, ავგუსტიანები ვესტას ქურუმ ქალებს ყურში რაღაც უცნაურ სიტყვებს ჩასჩურჩულებდნენ; ხოლო ასპარეზზე

მუშაობა დუღდა – ქრისტიანებს ლურსმნები ერჭობოდათ ხელებში, ორმოებში მიწის ჩაყრაზე ნიჩბებს რახარუხი გაჰქონდა.

მსხვერპლთა შორის კრისპიც იყო. ახლა ის სულ სხვანაირი მოჩანდა, ვიდრე უწინ იყო. მისი გამხმარი სხეული მთლად გაეტიტვლებინათ. მხოლოდ თეძოებზე ფათალოს გრეხილი ჰქონდა შემორტყმული. თავზე ვარდის გვირგვინი ეხურა, მაგრამ თვალებს უწინდებური დაუშრეტელი ენერგია

უნათებდა. გვირგვინიდან იგივე მკაცრი და ფანატიკური სახე გამოიცქირე-ბოდა. არც გული შეცვლოდა. როგორც უწინ კუნიკულუმში, ისე ახლაც მოძ-მეთ ღვთის რისხვით ემუქრებოდა, იმის ნაცვლად, რომ მათთვის ნუგეში ეცა.

– მაცხოვარს მადლობდეთ, – ამბობდა კრისპი, – რომ მან თქვენთვისაც ისეთივე სიკვდილი ინება, როგორითაც თვითონ მოკვდა. იქნებ ამიტომ ცოდვების ნაწილი მოგეტევოთ, მაინც კი ძრწოდეთ, რამეთუ სამართლია-ნობა სამაგიეროს მოითხოვს და კეთილსა და ბოროტს ერთნაირად ვერ მი-ეგება მისაგებელი.

მის ხმას ჩაქუჩის რახუნი აძლევდა ბანს, მსხვერპლთ რომ ხელ-ფეხს ულურსმავდნენ, იმ ჩაქუჩის რახუნი. ასპარეზზე ჯვრების რიცხვი უფრო და უფრო გაიზარდა. ხოლო კრისპი, ვინაც ჯვარზე ჯერ არ იყო გაკრული, გა-ნაგრძობდა:

– მე ვხედავ გახსნილ ზეცას, მაგრამ პირდაღრენილ უფსკრულსაც ვხე-დავ, თვითონაც არ ვიცი, როგორ წარვდგები უფლის წინაშე, თუმცა მწამდა იგი და ბოროტი მძულდა. სიკვდილისა არ მეშინია, მეშინია მკვდრეთით აღ-დგომისა, ტანჯვისაც არ მეშინია, არამედ სამსჯავროსი, ვინაიდან რისხვის დღე მოახლოებულა...

ამ დროს ამფითეატრის მახლობელი რიგებიდან რაღაც ხმა გაისმა დამ-შვიდებული და დიდებული.

– არა, რისხვის დღე კი არ მოახლოებულა, დღე დგება წყალობისა, ხსნისა და ბედნიერებისა. მე თქვენ გეუბნებით, რომ ქრისტე დაგიამებთ, ნუ-გეშსა გცემთ და ხელმარჯვნივ მოგისვამთ. გწამდეთ – თქვენ წინაშე ზეცაა გახსნილი.

ამ სიტყვებზე ყველამ თვალი ამფითეატრისკენ მიმართა. ვინც ჯვარზე იყო გაკრული, იმათაც გაფითრებული სახე ასწიეს და მოუბარისკენ დაიწყეს ცქერა.

იგი მოაჯირთან მივიდა, ასპარეზს რომ ამფითეატრისგან ყოფდა და ქრისტიანებს ჯვარი გადასწერა.

კრისპმა მისკენ ხელები გაიწოდა, თითქოს მის შემუსვრა უნდოდა, მაგ-რამ სახე რომ დაინახა, მუხლები ჩაეკეცა და ძლივსღა წაიჩურჩულა:

– მოციქულო პავლე!

ცირკის მსახურთა გასაოცებლად ჯერ თავისუფლად დარჩენილმა ქრისტიანებმა მუხლი მოიდრიკეს; ხოლო პავლემ კრისპს მიმართა და უთხრა:

– კრისპ, ნუ აშინებ მაგათ, ვინაიდან ესენი დღესვე შენთან ერთად სამოთხეში იქნებიან. შენ ფიქრობ, ვითომც განისჯებიან – მაგრამ ვინ განსჯის მათ? ღმერთი, რომელმაც მათთვის თავისი ძე გასწირა? ქრისტე, რომელიც მაგათი ხსნისთვის ისე მოკვდა, როგორც ახლა მისი სახელის სადიდებლად ესენი კვდებიან? ამ სისხლზე ვინ იტყვის „შეჩვენებულიაო“?

– ბატონო, მე ბოროტი მძულს, – მიუგო მოხუცმა მღვდელმა.

– ქრისტემ გვამცნო – ადამიანი გვიყვარდეს და არა გვძულდეს, ვინაიდან მისი რჯული სიყვარულია და არა სიძულვილი.

– შევცოდე სიკვდილის ჟამს, – მიუგო კრისპმა და მკერდში ხელი ჩაირტყა.

ამ დროს ამფითეატრის უფროსი მოვიდა მოციქულთან და ჰკითხა:

– შენ ვინა ხარ, რომ დასჯილებს ელაპარაკები?

– რომის მოქალაქე, – დამშვიდებით მიუგო პავლემ, შემდეგ კრისპს მიუბრუნდა და დაურთო:

– გწამდეს, რომ ეს დღე მოწყალების დღეა, და მშვიდობით მოკვდი, უფლის მსახურო.

ამ დროს კრისპთან ორი ზანგი მივიდა, რათა ჯვარზე დაედოთ, ხოლო იმან ერთიც კიდევ გარს მიმოიხედა და დაიძახა:

– ძმანო ჩემნო, ილოცეთ ჩემთვის!

და მისმა სახემ ჩვეულებრივი სიმკაცრე დაკარგა. სახის გაქვავებულმა ნაკვთებმა მშვიდი და მორჩილი გამომეტყველება მიიღეს. ჯვრის ხეზე ხელები თვითონ გაშალა, რომ ზანგების შრომა გაეადვილებინა. ზეცისკენ სახეაპყრობილი მხურვალედ ლოცულობდა, თითქოს არაფერს გრძნობსო, რადგან ხელებში რომ ლურსმანი ერჭობოდა, არავითარი თრთოლა არ უვლიდა ტანში და სახეზე ტკივილიც არ დამჩნევია. იგი ლოცულობდა, როდესაც ჯვარზე მიალურსმეს,

ლოცულობდა, როდესაც ჯვარი ასწიეს, ორმოში ჩაუშვეს და მიწას ტკეპნა დაუწყეს. და მხოლოდ როდესაც ხალხმა სიცილითა და ყვირილით ამფითეატრში დენა დაიწყო, მოხუცს წარბები ოდნავ მოეჭმუხნა, თითქოს წარმართებს უწყრებაო, რომ ტკბილი სიკვდილის სიმშვიდე და მოსვენება დაურღვიეს.

ჯვრები სულ აღმართეს. ასპარეზზე თითქოს ჯვრებისა და ზედ გაკრული ადამიანების ტყე გაიზარდა. ხალხი წყნარ სიკვდილს აღტაცებით ადევნებდა თვალყურს. ამდენი ჯვარი ჯერ არაოდეს არ ენახა. ასპარეზი ჯვრებით ისე იყო გავსილი, რომ მსახურნი მათ შუა ძლივს იკვლევდნენ გზას. მოაჯირთან უფრო მეტი დედაკაცები იყვნენ. კრისპი, როგორც უხუცესი, ვეებერთელა ჯვარზე იყო გაკრული და კეისრის პოდიუმის თითქმის პირდაპირ იდგა. მსხვერპლთაგანი ჯერ არავინ მომკვდარიყო, მაგრამ სხვებზე წინ გაკრულები გულშეღონებულები იყვნენ. არავინ კვნესოდა და არც შეწყალებას ითხოვდა. ზოგს თავი გვერდზე გადაეხარა, თითქოს სძინავსო, ზოგი ზეცისკენ იცქირებოდა და ტუჩებს აცოდვილებდა. ამ ჯვრების საზარელ ტყეში, ჯვარცმულ სხეულებსა და მსხვერპლთა დუმილში თავზარდამცემი რამ იგულისხმებოდა. მასპინძლობის შემდეგ გამხიარულებული და გამაძღარი ხალხი ახლა მხიარული ყიჟინით შემოვიდა, დაჩუმდა, არ იცოდა, რომელი სხეულისათვის დაეწყო ცქერა და რა ეფიქრა. ქალების სიტიტვლე ვნებას აღარ უღვიძებდა ხალხს, აღარავინ სდებდა სანაძლეოს, თუ ჯვარცმულში ადრე რომელი მოკვდებოდა. ეს კი მუდამ იყო ხოლმე, როდესაც ასპარეზზე ნაკლები დასასჯელი

გამოჰყავდათ, თითქოს კეისარსაც მოეწყინა: მძინარის სახე დაედო. თავის მანიაკს ზანტად ისწორებდა.

მაგრამ ამ დროს კრისპმა, აქამდე რომ თვალები მომაკვდავივით დახუჭული ჰქონდა, უცებ წამწამები ასწია და კეისარს დაუწყო ცქერა.

მისმა სახემ ხელახლა ულმობელი გამოხატულება მიიღო, თვალები ისეთი ცეცხლით აენთო, რომ კეისრის მახლობლებმა ერთმანეთში ჩურჩული დაიწყეს; თვითონ კეისარმაც მას ყურადღება მიაპყრო და ზურმუხტი ზანტად თვალზე მიიდო.

სრული სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა მაყურებლის თვალი კრისპს მიაჩერდა. იგი ცდილობდა მარჯვენა ხელი აემოძრავებინა, თითქოს უნდოდა, ხიდან მოეგლიჯა.

ერთი წამიცა და მკერდი მაღლა აზიდა, ნეკნები გამოუჩნდა და დაიძახა:

– ვაი შენ, დედის მკვლელო!

კეისრის მახლობლებმა რომ ქვეყნის მფლობელისადმი მიყენებული მომაკვდინებელი

შეურაცხყოფა გაიგონეს, სუნთქვა შეიკრეს. ხილონმა გონება დაკარგა, კეისარი აკანკალდა და ზურმუხტი ხელიდან გაეშვა, ხალხიც გაიტვრინა. კრისპის ხმა მთელ ამფითეატრში უფრო და უფრო მჭახედ გაისმა:

– ვაი შენ, ცოლისა და ძმის მკვლელო, ვაი შენ, ანტიქრისტევ! შენს ფერხთა ქვეშ უფსკრული აღებს პირს, სიკვდილი იწვდის შენკენ ხელს და საფლავი მოგელის შენ, ვაი შენ, ცოცხალო ლეშო, ვინაიდან მოკვდები შიშსა და ძრწოლაში და საუკუნო ტანჯვა გელის შენ.

და რაკი ჯვრის ტოტს ხელი ვერ მოაგლიჯა, სიცოცხლეშივე ჩონჩხის მსგავსმა, ბედისწერისებრ უძლეველმა კრისპმა თეთრი წვერი ააკანტურა და ამ მოძრაობაზე გვირგვინიდან ქვიშაზე ვარდის ფოთლები დაცვივდა.

– ვაი შენ, კაცისმკვლელო, შენი საწყაო თავს გადავიდა და შენი ჟამი მოახლოებულია.

ერთხელ კიდევ გაიჭიმა; კაცს ეგონებოდა, ეს არის, ჯვარს ხელს მოგლეჯს და კეისრისაკენ გაიწვდისო, მაგრამ უცებ გამხდარი მკლავები უფრო ძლიერ დაეჭიმა, ტანი ძირს ჩაეკეცა, თავი მკერდზე ჩამოეკიდა და მიიცვალა.

ჯვრების ტყეში უფრო სუსტებმა საუკუნო მიძინება დაიწყეს.

თავი მეორე

– ბატონო, ახლა ზღვა, – ეუბნებოდა ხილონი ნერონს, – ზეთივით არის და ტალღებსაც თითქოს სძინავს. აქაიაში წავიდეთ. იქ შენ აპოლონის დიდება მიგელის, იქ გვირგვინები და ზეიმები მიგელის, იქ ხალხი გაღმერთებს და იქ ღმერთები ვით თანასწორ სტუმარს მიგიღებენ, აქ კი, ბატონო...

და დადუმდა. ქვედა ტუჩმა ისე ძლიერ დაუწყო კანკალი, რომ სიტყვები გაუგებარ ჩურჩულად გადაექცა.

– ჩვენ თამაშების დასრულების შემდეგ წავალთ, – მიუგო ნერონმა, – ვიცი, რომ ზოგნი ქრისტიანებს უიმისოდ innoxia corpora-ს იძახიან. მე რომ წავიდე, ყველა ამის გამეორებას დაიწყებს. რისა გეშინია, შე დამპალო სოკოვ?

ამას რომ ამბობდა, ნერონი გამომცდელი თვალით უცქეროდა ხილონს, თითქოს მისგან გარკვევას მოელოდა, რადგან კეისრის სიმშვიდე მოჩვენებითი იყო, უკანასკნელ წარმოდგენაზე კრისპის სიტყვებისა თვითონაც შეეშინდა. და შინ რომ დაბრუნდა, გაბრაზებისა და სირცხვილის, იქნებ შიშის

გამოც, ვერ დაიძინა. ცრუმორწმუნე ვესტინიუსი იმათ ლაპარაკს მდუმარე ისმენდა, გარს მიმოიხედა და საიდუმლოებრივი ხმით უთხრა:

– ბატონო, ამ ბერიკაცს დაუჯერე. ქრისტიანებში რაღაც არის უცნაური. მათი ღვთაება ადვილ სიკვდილს უგზავნის თაყვანისმცემლებს, მაგრამ შეიძლება შური იძიოს.

ამაზე ნერონმა სწრაფად უპასუხა:

– თამაშები მე ხომ არ გამიმართავს, ტიგელინუსმა გამართა.

– დიახ, მე გავმართე! – მიუგო ტიგელინუსმა, კეისრის პასუხი რომ გაიგონა, – მე გავმართე და ქრისტიანების ყველა ღმერთს სასაცილოდ ვიგდებ. ბატონო, ვესტინიუსი გაბერილი გუდაა, ცრუმორწმუნებით გატენილი, ხოლო ეს მამაცი ბერძენი, ქათამი რომ დაინახოს, როცა წიწილებს ესარჩლება, მზადაა, შიშით სული გააცხოს.

– კეთილი, მაგრამ, – თქვა ნერონმა, – ამიერიდან უბრძანე, ქრისტიანებს ენები დასჭრან ან პირი რითმე ამოუვსონ.

– მათ ცეცხლი ამოუვსებს პირს, ღვთაებრივო!

– ვაი ჩემს თავს! – წაიჩურჩულა ხილონმა.

კეისარი ტიგელინუსის შეუპოვარმა გულდაჯერებამ გაამხნევა. მან გაიცინა, იქ მყოფ ბერძენზე ანიშნა და თქვა:

– უცქირეთ, აქილევსის ჩამომავალი რასა ჰგავს.

მართლაც ხილონს საშინელი სახე ედო. დარჩენილი თმა მთლად გაუთეთრდა, სახეზე რაღაც საშინელი წუხილის, შფოთიანობისა და მოდუნების გამომეტყველება გაეყინა. ხანდახან ავადმყოფს დაემსგავსებოდა. კითხვაზე ხშირად პასუხს არ იძლეოდა. ჯავრობდა და იქამდე დაურიდებელი შეიქნა, რომ ავგუსტიანები იმის გაჯავრებას ერიდებოდნენ.

ახლაც ამრეზილ გუნებაზე იყო.

– რაც გინდათ, მიყავით, თამაშობებზე აღარ წამოვალ! – სასოწარკვეთით დაიძახა და თითები გაატკაცუნა. ნერონმა ერთ წამს უცქირა, ტიგელინუსს მიუბრუნდა და უთხრა:

– იზრუნე, რომ ეს სტოიკოსი ბაღებში ჩემს გვერდით იყოს, მინდა ვნახო, ჩვენი ჩირაღდნები ამაზე რა შთაბეჭდილებას მოახდენენ.

ხილონი შეშინდა, რადგან კეისრის ხმაში მუქარა ისმოდა.

– ბატონო, მე ღამით ვერაფერს ვხედავ.

– ღამე დღესავით იქნება ნათელი, – საშინელი ღიმილით თქვა კეისარმა და სხვა ავგუსტიანებთან დოღზე დაიწყო ლაპარაკი, რის გამართვასაც დღესასწაულების ბოლოს აპირებდა.

ხილონთან პეტრონიუსი მივიდა, მხარზე ხელი დაჰკრა და უთხრა:

– არ გითხარ, ვერ გაუძლებ-მეთქი.

ხილონმა უპასუხა:

– მწყურია.

და აკანკალებული ხელი ღვინით სავსე კრატერისკენ გაიწოდა, მაგრამ პირამდე კი ვერ მიიტანა.

– ფურიები გდევნიან, არა? – ჰკითხა ვესტინიუსმა.

– არა, – მიუგო ხილონმა, – მაგრამ ღამე განეფინა ჩემს თვალთა წინა.

– როგორ თუ ღამე? ღმერთებმა შეგიბრალოსმცა, როგორ თუ ღამე?

– ღამე საზარელი, უკუნეთი, რაღაც პირდაპირ ჩემკენ მოდის, მაგრამ მე არ ვიცი, რა არის და მეშინია.

– მე მუდამ დარწმუნებული ვიყავ, რომ ისინი ჯადოქრები არიან. გესიზ-მრება რამე?

– არა, იმიტომ, რომ არა მძინავს. არ მეგონა, რომ ეგრე დასჯიდნენ.

– განა გებრალებიან?

– მაგდენ სისხლს რადა ღვრით? გაიგონე, ის მოხუცი ჯვარცმული რას ამბობდა? ვაი ჩვენს თავს!

– გავიგონე, – ნელი ხმით მიუგო ვესტინიუსმა. – კარგი, მაგრამ რომი ხომ იმათ დასწვეს?

– სიცრუეა!

– კაცთა ნათესავის მტრებიც არიან.

– სიცრუეა!

– წყალს სწამლავენ.

– სიცრუეა!

– ბავშვებს ხოცავენ.

– სიცრუეა!

– მაშ, როგორ? – გაკვირვებით ჰკითხა ვესტინიუსმა, – შენ თვითონ არ ამბობდი ამას? შენ თვითონ არ ჩაყარე ისინი ტიგელინუსის ხელში?

– ჰოდა, აკი ღამეც შემომეხვია და სიკვდილი მომიახლოვდა. ხანდახან მეჩვენება, რომ მე უკვე მოვკვდი და თქვენც მოკვდით.

– არა! ისინი კვდებიან და ჩვენ კი ცოცხლები ვართ. ერთი მითხარ, რომ კვდებიან, რას ხედავენ?

– ქრისტეს.

– ეგ არის იმათი ღმერთი? მერე ძლიერი ღმერთია?

მაგრამ ხილონმა კითხვითვე უპასუხა:

– ის რა ჩირაღდნები აენთებიან ბაღებში? ხომ გაიგონე, კეისარმა რომ თქვა?

– გავიგონე და ვიცი კიდეც. იმათ ფისით გაჟღენთილ მწუხარე ტუნიკებს ჩააცვამენ, ბოძებზე მიაკრავენ და ცეცხლს მოუკიდებენ. მაგრამ ეს არის, ვაითუ იმათმა ღმერთმა ქალაქს ახალი რამ უბედურება მოუვლინოს?

– მე მაგ სასჯელს ვრჩეობ, სისხლი მაინც არ დაიღვრება, – მიუგო ხილონმა, – მონას უბრძანე, კრატერი პირთან მომიტანოს. მწყურია და ღვინო კი მეღვრება, სიბერისგან ხელი მიკანკალებს.

სხვა ავგუსტიანები ამ დროს აგრეთვე ქრისტიანებზე ლაპარაკობდნენ; მოხუცი დომიციუს აფერი ქრისტეს მიმდევრებს სასაცილოდ იგდებდა.

– ისე ბევრნი არიან, – ამბობდა იგი, – შეეძლოთ, შინაური ომი გამოეწვიათ. გახსოვთ, შიშობდნენ, თავის დაცვას მოინდომებენო. ესენი კი ცხვრებივით იხოცებიან.

– აბა ერთი სცადონ! – თქვა ტიგელინუსმა.

ამაზე პეტრონიუსი გამოეხმაურა:

– თქვენ ცდებით, ისინი თავს იცავენ.

– როგორ?

– მოთმინებით.

– ეგ ახალი საშუალებაა.

– უეჭველია. ხომ არ გინდათ, დამარწმუნოთ, რომ ჩვეულებრივი დამნაშავეებივით კვდებიან? არა! ისინი ისე კვდებიან, თითქოს დამნაშავეები ისინი არიან, ვინც მათ სიკვდილს უსჯის, ესე იგი, ჩვენ და მთელი რომის ხალხი.

– რა სისულელეა! – დაიყვირა ტიგელინუსმა.

– Hie abdera! – მიუგო პეტრონიუსმა.

მაგრამ სხვა ავგუსტიანებმა, მისი მარჯვე შენიშვნით გაკვირვებულებმა, ერთმანეთს ცქერა დაუწყეს და პეტრონიუსს კვერი დაუკრეს:

– მართალია! მათ სიკვდილში რაღაც არაჩვეულებრივი იფარება.

– მე გეუბნებით, ისინი თავიანთ ღვთაებას ხედავენ, – შორიდან დაიძახა ვესტინიუსმა.

რამდენიმე ავგუსტიანმა ხილონს მიმართა:

– ბერიკაცო, შენ იმათ კარგად იცნობ, გვითხარ, რას ხედავენ?

ბერძენმა ტუნიკაზე ღვინო ჩამოისხა და უპასუხა:

– მკვდრეთით აღდგენას!

და ისე შეკანკალდა, რომ გვერდზე მჯდართ ხარხარი ატეხეს.

თავი მესამე

ვინიციუსს რამდენიმე ღამე შინ არ გაუთენებია. პეტრონიუსი ფიქრობდა, იქნებ იმან ახალი რამ გეგმა შეადგინა და ესკვილინუსის საპყრობილიდან ლიგიას განთავისუფლებას ცდილობსო, მაგრამ არ უნდოდა, რაიმე გამოეკითხა, რომ ამით მეგობრის ზრახვათათვის უბედურება არ მიეყენებინა. ნატიფი სკეპტიკოსი, ცოტა არ იყოს, ცრუმორწმუნე შეიქნა ან უფრო სწორად რომ ვთქვათ, იმ დღიდან, რა დღესაც მამერტინის დილეგიდან ლიგიას განთავისუფლება ვერ შეძლეს, მან ბედის ვარსკვლავის რწმენა დაკარგა.

ვინიციუსის განზრახვის კეთილი შედეგის იმედი არც ახლა ჰქონდა. ესკვილინუსის დილეგი – ხანძარს შემდეგ გადარჩენილი სახლის სარდაფებიდან ხელახლა გადაკეთებული – მართალია, არ იყო ძველი ტულიანუმივით საზარელი, მაგრამ მას ასჯერ უკეთესად იცავდნენ. პეტრონიუსს კარგად ესმოდა, რომ ლიგია იქიდან მხოლოდ იმიტომ გადაიყვანეს, რომ არ მომკვდარიყო და ამფითეატრს არ ასცდენოდა. ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ მას თვალისჩინივით იცავდნენ.

– აშკარაა, – ამბობდა გუნებაში, – კეისარი და ტიგელინუსი მას რაღაც განსაკუთრებულად საზარელი სანახავისთვის ინახავენ, ხოლო ვინიციუსი უმალ თავად დაიღუპება, ვიდრე ლიგიას გამოიხსნის.

თვითონ ვინიციუსმაც დაკარგა ლიგიას გამოხსნის იმედი. ახლა ეს მარტო ქრისტესღა შეეძლო. ახალგაზრდა ტრიბუნი იმასღა ცდილობდა, იგი დილეგში ენახა ხოლმე.

მოსვენებას არ აძლევდა ის აზრი, რომ ნაზარმა მამერტინის საპყრობილეში მკვდრების გამომტან მუშად შესვლა მოახერხა. ვინიციუსმა გადაწყვიტა, თვითონაც ეს საშუალება ეცადნა.

დიდძალი ფულით დაქრთამულმა „მყრალი ორმოების“ ზედამხედველმა ძლივს ერთ-ერთ მუშად მიიღო. სხვა მუშებთან ერთად ყოველღამ საპყრობილეებში მკვდრების გამოსატანად უნდა მისულიყო. სულაც არ ეშინოდა, რომ მისი ცნობა შეეძლოთ. ვის მოაფიქრდებოდა, რომ პატრიცი, შვილი და შვილიშვილი კონსულისა, მესაფლავე მუშებში გაერეოდა, დილეგებისა და მყრალი ორმოების ჰაერის საყნოსავად. ისეთი შრომა იკისრა, რა შრომასაც ადამიანს მხოლოდ მონობა და უკიდურესი გაჭირვება აიძულებდა.

სასურველი საღამო რომ მოახლოვდა, ვინიციუსმა სიხარულით თეძოები შეიკრა, თავი ტერპენტინით გაჟღენთილი მჩვრით შეიხვია და გულის ფანცქალით სხვა მუშებთან ერთად ესკვილინუმის საპყრობილისაკენ გაემართა.

პრეტორიელმა დარაჯებმა იგი არ დააბრკოლეს. ყველას შესასვლელი ბარათი ჰქონდა და

ცენტრიონი მათ ფანრის სინათლეზე სინჯავდა. ერთ წუთში ვეებერთელა კარი გაიღო და მუშები დილეგში შევიდნენ.

ვინიციუსი დიდ თაღიან სარდაფში შევიდა. ეს სარდაფი რამდენიმე ისეთსავე სარდაფს უერთდებოდა. შიგ ხალხის ჯგუფებს მბჟუტავი სანათურები ნათელს ფენდნენ. ზოგი კედლის პირას იწვა და ძილს მისცემოდა ან იქნებ მკვდარი იყო, ზოგი წყლის ჭურჭელს მოხვეოდა და წყალს სვამდა. აქა-იქ დედების მკერდში თავჩარგულ ბავშვებს ეძინათ. გარშემო ავადმყოფების კვნესა ან აჩქარებული სუნთქვა ისმოდა, ზოგან ტირილი, ზოგან ლოცვის ჩურჩული ან ჩუმი სიმღერა და დარაჯების მიმართ წყევლა. ჯურღმულში მჭიდროობა იყო და ლეშის სუნიც იდგა. ბნელ, დაღვრემილ კამარებქვეშ მუქი ფიგურები მოძრაობდნენ. ახლო კი სუსტ სინათლეზე მოჩანდნენ გაცრეცილი, შეშინებული, შიმშილით დასუსტებული სახეები, ჩამქრალი თუ ხურვებით ანთებული თვალები, გალურჯებული ტუჩები, გაოფლიანებული შუბლები. აქა-იქ ავადმყოფები ხმამაღლა ბოდავდნენ, სხვები წყალს ითხოვდნენ, ზოგიც ივედრებოდა, მოსაკვლელად წამიყვანეთო. მაინც კი ეს დილეგი ნაკლებ საშიში იყო, ვიდრე ძველი ტულიანუმი. ვინიციუსს ფეხები მოუდუნდა და სუნთქვა შეეხუთა, როდესაც გაიფიქრა, რომ ლიგიაც

აქ იყო. თმა ყალყზე დაუდგა და მკერდში სასოწარკვეთილების კივილი ჩაუწყდა. ამფითეატრი, ველურ მხეცთა ეშვები, ჯვრები – ყველა ეს ამ საზარელ ჯურღმულზე უკეთესი იყო.

ვინიციუსმა ფრჩხილები ხელის გულს ჩაარჭო. იგრძნო, რომ სუსტდებოდა და ცნობიერებაც ეკარგებოდა. რაც იმ დრომდე განიცადა, მთელი მისი სიყვარული და ტანჯვა, ახლა სიკვდილის სურვილად გადაექცა.

ამ დროს „მყრალი ორმოს“ ზედამხედველის ხმა მოესმა:

– დღეს რამდენი მკვდარი გყავთ?

– თორმეტიოდე, – უპასუხა საპყრობილის გამგემ, – მაგრამ დილამდე მეტი იქნება, აგერ, იმ კედელთან ზოგი უკვე კვდება.

და დედაკაცებზე ჩივილი დაიწყო, მკვდარ ბავშვებს მალავენო, რომ, რაც შეიძლება, თავისთან მეტ ხანს იყოლიონ და „მყრალ ორმოებში“ არ წაიღონო. მკვდრებს მარტო სუნით არჩევენ, რის გამოც ისეც საზარელი ჰაერი უფრო ფუჭდებაო. „ მე მერჩივნა, – ამბობდა საპყრობილის გამგე, – მონად ვყოფილიყავ სოფლის ერგასტულუმში, ამ ძაღლების ყურის გდებას, ცოცხლადვე რომ ლპებიან“. „ორმოების“ მეთვალყურე ანუგეშებდა და უმტკიცებდა, არც ჩემი სამსახურია უკეთესიო. ამასობაში ვინიციუსს ცნობიერება კვლავ დაუბრუნდა და ჯურღმულის თვალიერება დაიწყო. თანაც ის აზრი აწუხებდა, რომ იქნებ ლიგია ვერც კი ენახა. სარდაფები ერთიმეორეს ხელდახელ

გათხრილი გასავლებით უერთდებოდნენ, მესაფლავენი კი იქ შედიოდნენ, სადაც მკვდრების ალაგება იყო საჭირო, ამიტომაც ვინიციუსი შიშმა მოიცვა, ვაითუ ამდენმა მცდელობამ ამაოდ ჩამიაროსო.

ბედზე მისი პატრონი დაეხმარა.

– მკვდრებს მაშინვე უნდა გატანა. ლეში უფრო ავრცელებს ჭირს. ასე თუ არ მოიქცევით, ყველანი დაიხოცებით – თქვენცა და პატიმარნიც.

– რა ვქნათ, მთელ დილეგში სულ ათნი ვართ, – უპასუხა საპყრობილის გამგემ, – ძილიც ხომ გვინდა.

– მაშ, ჩემს ოთხ კაცს დაგიტოვებ, ღამე ივლიან საპყრობილეში და მკვდრებს დაათვალიერებენ.

– მკვდარი გასასინჯად უნდა მოიტანონ, რადგან ბრძანება გამოვიდა, ყველა მკვდარს ყელი გამოღადრეთ და ისე გაგზავნეთ „ორმოებშიო“.

„ორმოების ზედამხედველმა“ ოთხი კაცი დანიშნა და მათ შორის ვინიციუსიც, ხოლო დანარჩენები საკაცეებზე მკვდრების დასაწყობად წაიყვანა.

ვინიციუსმა უფრო თავისუფლად ამოისუნთქა. ახლა მაინც დარწმუნებული იყო, რომ ლიგიას იპოვიდა.

ყველაზე უწინ პირველი სარდაფის სინჯვა დაიწყო, ყველა კუთხე დაათვალიერა, სადაც ფანრების სინათლე თითქმის არ აღწევდა, მძინარეებს სინჯავდა, მაგრამ ლიგია არსად იყო. მეორე და მესამე სარდაფშიაც მისმა ძებნამ აგრეთვე ამაოდ ჩაიარა.

დრო მიდიოდა, მკვდრები უკვე გაიტანეს. დარაჯები სარდაფების შემაერთებელ გასავალებში დაწვნენ და დაიძინეს. ტირილით დაღლილი ბავშვებიც დაჩუმდნენ და სარდაფში ავადმყოფების ქშენა და აქა-იქ ლოცვის ჩურჩულიღა ისმოდა. ვინიციუსი მეოთხე სარდაფში შევიდა. ეს სხვებზე ბევრად პატარა იყო. ფარანი მაღლა ასწია და იქაურობა მიმოათვალიერა.

უცებ შეთრთოლდა. იმას ეჩვენა, რომ კედელში დატანებულ რიკულთან ურსუსს ეძინა.

ფარანი გააქრო, რიკულს მიუახლოვდა და იკითხა:

– ურსუს, შენა ხარ?

გოლიათმა თავი მოიბრუნა.

– ვინა ხარ?

– ვერა მცნობ? – ჰკითხა ყმაწვილმა კაცმა.

– ფარანი გააქრე, როგორღა გიცნო?

ამ დროს ვინიციუსმა მოსასხამზე მწოლიარე ლიგია დაინახა და სიტყვის უთქმელად დაუჩოქა.

– დიდება ქრისტეს! მაგრამ, ბატონო, ნუ გააღვიძებ.

ვინიციუსი თვალცრემლიანი უცქეროდა ლიგიას. ბუნდოვანი სინათლის მიუხედავად, მისი გამხდარი, მარმარილოსფრად გაფითრებული ხელებისა და სახის გარჩევა შეიძლო. ტანჯვის მსგავსმა სიყვარულმა მოიცვა იგი, სიბრალულითა და პატივისცემით სავსე სიყვარულმა. მიწაზე დაემხო და ტუჩებით მოსასხამის კალთას მიეკრო, რაკი ამ მოსასხამზე მისთვის ძვირფასი არსება იწვა.

ურსუსი დიდხანს უცქეროდა მდუმარე, ბოლოს ტუნიკაზე ხელი შეახო.

– ბატონო, – ჰკითხა მან, – აქ როგორ შემოხვედი? ამის დასახსნელად მოხვედი?

ვინიციუსი ადგა და წუთით კიდევ ებრძოლა ღელვას.

– აბა, საშუალება მიჩვენე, – უთხრა მან გოლიათს.

– ბატონო, მე მეგონა, თვითონ შენ იპოვიდი. მე თავში მხოლოდ ერთი რამ მომდის.

კედელში რიკულით გადაღობილ ადგილს მიუბრუნდა და შემდეგ, თითქოს თავს იმართლებსო, დაუმატა:

– ჰო, მაგრამ იქ ჯარისკაცები დგანან.

– ასი პრეტორიელი, – მიუგო ვინიციუსმა.

– ვერ გავა კაცი!

– ვერა!

ლიგიელმა შუბლი ხელით მოისრისა და ხელმეორედ ჰკითხა:

– აქ როგორ მოხვედი?

– მე შემოსვლის ბარათი მაქვს „მყრალი ორმოების“ ზედამხედველისგან.

და ვინიციუსმა უცებ სიტყვა შეწყვიტა, თითქოს თავში რაღაც აზრმა დაუელვა.

– მაცხოვრის ვნებას ვფიცავ! – აჩქარებით დაილაპარაკა, – მე აქ დავრჩები, ჩემი ბარათი ამან წაიღოს, მოსასხამი წამოისხას, თავი მჩვრით შეიხვიოს და გავიდეს. მესაფლავეებში ბევრი მოზარდია, პრეტორიელები ვერ იცნობენ. რაკი პეტრონიუსის სახლამდე მიაღწევს, ის დაეხმარება.

მაგრამ ლიგიელმა თავი ჩაჰკიდა და უპასუხა:

– ეს მაგაზე არ დაგეთანხმება, რადგან უყვარხარ. თანაც ავად არის, ფეხზე დგომა არ შეუძლია.

შემდეგ დაუმატა:

– ბატონო, თუ შენ და კეთილშობილმა პეტრონიუსმა ვერ დაიხსენით საპყრობილიდან, სხვას ვიღას შეუძლია ამის დახსნა?

– მარტო ქრისტეს!

ორივენი დაჩუმდნენ, გულუბრყვილო ლიგიელი ფიქრობდა: „რასაკვირველია, ქრისტეს ყველას დახსნა შეეძლო, მაგრამ რაკი ეს არა ჰქნა, სჩანს, სიკვდილის ჟამი დადგა“. და ამ აზრს შეურიგდა, მხოლოდ ძალიან ენანებოდა თავისავე ხელით გაზრდილი, სიცოცხლეზე მეტად საყვარელი ბავშვი.

ვინიციუსმა ლიგიას წინ ხელახლა დაიჩოქა. რიკულის ღია ადგილიდან მთვარის შუქი გამოსჭვიოდა და კარზე დაკიდებულ ფარანზე უფრო ანათებდა.

ამ დროს ლიგიამ თვალები გაახილა, გახურებული ხელები ვინიციუსს გაუწოდა და უთხრა:

– ვიცოდი, რომ მოხვიდოდი.

ვინიციუსმა ლიგიას ხელები ხან შუბლზე მიიკრა, ხან გულზე, მერე წამოაყენა და მკერდზე მიიყრდნო.

– მოველ, ძვირფასო, – უთხრა მან, – გფარვიდეს და დაგიხსნას ქრისტემ!

მეტის თქმა ვერ შეიძლო, გულმა ტკენისა და სიყვარულისაგან კვნესა დაუწყო. მაინც კი არ უნდოდა, ლიგიას წინაშე თავისი ტანჯვა გამოეთქვა.

– ავადა ვარ, მარკუს, – უთხრა ლიგიამ, – სულ ერთია, აქ იქნება თუ ასპარეზზე, უნდა კი მოვკვდე... ვილოცე, რომ სიკვდილის წინ მენახე, და მოხვედი კიდეც, შეისმინა ჩემი ვედრება ქრისტემ.

ვინიციუსი ჯერაც ვერ პოვებდა სიტყვებს, მხოლოდ გულზე იკრავდა ქალს. ლიგია კი განაგრძობდა:

– მე ტულიანუმის სარკმლიდან დაგინახე, ვიცოდი, რომ მოსვლა გინდოდა. ახლა მაცხოვარმა გონება დამიბრუნა, რომ ერთმანეთს გამოვეთხოვოთ. მარკუს, მე იმასთან მივდივარ, მაგრამ მიყვარხარ და მუდამაც მეყვარები.

ვინიციუსმა თავს ძალა დაატანა, რათა ტკივილი დაეხშო და ლაპარაკი დაიწყო. ცდილობდა, დამშვიდებული კილო დაეჭირა.

– არა, ძვირფასო, შენ არ მოკვდები. მოციქულმა მიბრძანა, მწამდეს და აღმითქვა, ლიგიასათვის ვილოცებო. ის ქრისტეს იცნობდა, ის ქრისტეს უყვარს, უარს არ ეტყვის. შენ რომ სასიკვდილო იყო, პეტრე არ დამაიმედებდა, და იმან კი მითხრა: იმედი გქონდესო. არა, ლიგია! ქრისტე შეგიბრალებს... იმას შენი სიკვდილი არ უნდა, სასიკვდილოდ არ გაგწირავს. მაცხოვრის სახელით გეფიცები, რომ პეტრე შენთვის ლოცულობს.

სიჩუმე ჩამოვარდა. ერთადერთ კარზე ჩამოკიდებული ფარანი გაქრა, სამაგიეროდ, მთვარის შუქი განიერ ჭავლად რიკულთან ფანჯარაშ შემოიჭრა.

– ჰოი, მარკუს, – მიუგო ლიგიამ, – თვითონ ქრისტემ შეღაღადა მამა ღმერთს, განრიდე ჩემგან თასი ესეო – მაინც სასმელი უნდა დაელია. თვითონ ქრისტე მოკვდა ჯვარზე, ახლა კიდევ მისი გულისთვის ათასობით იღუპებიან, რაღა მარტო მე უნდა დამინდოს? ისეთი ვინა ვარ, მარკუს? პეტრემ რომ თქვა, გავიგონე: მეც წამებით მოვკვდები, მასთან შედარებით მე რა ვარ? ჩვენთან რომ პრეტორიელები მოვიდნენ, მაშინ სიკვდილისა და ტანჯვისა მეშინოდა, ახლა კი აღარ მეშინია. შეხედე, როგორ საზარელია ეს საპყრობილე, მე კი ზეცას მივდივარ. იფიქრე, აქ არის კეისარი, იქ კი მაცხოვარი – კეთილი და მოწყალე, და არ არის სიკვდილი. შენ ხომ გიყვარვარ, მაშ მოიფიქრე, როგორი ბედნიერი ვიქნები. ჰოი, მარკუს, ძვირფასო, გახსოვდეს, რომ შენც იქ მოხვალ ჩემთან.

იგი შეჩერდა, რომ სული მოეთქვა. შემდეგ ვაჟის ხელი ბაგესთან მიიტანა.

– მარკუს...

– რაო, ძვირფასო!

– ჩემზე არ იტირო და გახსოვდეს, რომ იქ შევხვდებით. დიდხანს არ მიცხოვრია, მაგრამ ღმერთმა შენი სული მომცა. აი, და მეც მინდა, ქრისტეს ვუთხრა, რომ თუმცა მე მოვკვდი, თუმცა შენ ჩემი სიკვდილი ნახე, თუმცა მწუხარე დაგტოვა, მაინც შენ ღმერთზე არ გიჩივლია და ის გიყვარს, ის ხომ ჩვენ შეგვაერთებს, მე კი მიყვარხარ და მინდა შენთან ვიყო...

სუნთქვა კვალად გაუძნელდა და ძლივს გასაგონად დაასრულა.

– აღმითქვი, მარკუს!..

ვინიციუსმა მთრთოლარე ხელები მოხვია და უპასუხა:

– ვფიცავ შენს წმიდა თავს! აღთქმას ვდებ.

ლიგიას სახე გაუნათლდა. ერთიც კიდევ ვაჟის ხელი ბაგეზე მიიდო და უჩურჩულა:

– შენი ცოლი ვარ!

თავი მეოთხე

სამი დღე ან, უკეთ რომ ვთქვათ, სამი ღამე ვინიციუსსა და ლიგიას სიმშვიდე არაფერს დაურღვევია. როდესაც ჩვეულებრივი მუშაობა თავდებოდა, როდესაც მკვდრებისგან ცოცხლებს, ხოლო მძიმე ავადმყოფებისგან კარგამყოფებს გამოჰყოფდნენ, როდესაც დაქანცული დარაჯები დილეგის

გასავალში იძინებდნენ, ვინიციუსი ლიგიასთან შედიოდა და იქამდე რჩებოდა, ვიდრე განთიადი რიკულთან ფანჯარაში არ შემოიჭრებოდა. ლიგია ვინიციუსის მკერდზე სდებდა თავს და ორივენი სიყვარულსა და სიკვდილზე ლაპარაკობდნენ; ორივენი უნებლიეთ სიცოცხლეს უფრო და უფრო შორდებოდნენ. ორივენი იმ ადამიანებს ემსგავსებოდნენ, ზღვის ნაპირიდან გემით გასულებს რომ თანდათან ნაპირი ეკარგებათ და უსაზღვროებაში შედიან. დილაობით, როდესაც ვინიციუსი საპყრობილიდან გამოდიოდა, ქვეყანას, ქალაქს, ნაცნობებს, სიცოცხლეს ისე უცქეროდა, თითქოს სიზმარეულის ზმანება არისო. ყველაფერი უცხოდ, შორეულად, სწრაფწარმავალად მიაჩნდა. ტანჯვის მუქარა აღარ აშინებდა, რადგან ესმოდა, რომ სულ სხვა ლტოლვით აღვსილს შეეძლო გაევლო სატანჯველი, გაევლო უგრძნობლად, თითქმის თავდავიწყებით. იმასა და ლიგიას ეჩვენებოდათ, რომ უკვე სამუდამჟამო სამფლობელოში გადადიან. საუბრობდნენ სიყვარულზე, როგორ გვეყვარება ერთმანეთი, როგორ ერთად ვიქნებითო იმიერ სოფლად. და თუ როდისმე საუბარი მიწიერ საგანზე ჩამოვარდებოდა, ისიც მხოლოდ ისე, როგორც შორს მიმავალი ადამიანი მგზავრობის სამზადისზე ლაპარაკობს.

სიკვდილის მუქარით გარშემორტყმულთ, გაჭირვებასა და ტანჯვაში, საპყრობილის სიმყრალეში მყოფთ – ზენა გაეხსნათ. ლიგია ხელს ჩაჰკიდებდა ვინიციუსს, თითქოს უკვე ცხონებული და წმინდანი იყო და ვაჟიც საუკუნო ცხოვრების დასაბამისკენ მიჰყავდა.

პეტრონიუსი გაკვირვებას იყო, როდესაც ვინიციუსის სახეზე უფრო და უფრო მეტ დამშვიდებას ხედავდა, რასაც უწინ არ ამჩნევდა. ხანდახან გუმანიც ებადებოდა – იქნებ ვინიციუსმა ლიგიას დახსნის რამე საშუალება შეაგულაო და სწყინდა, რომ საიდუმლოს არ უზიარებდა.

ბოლოს ვეღარ მოითმინა და ვინიციუსს უთხრა:

– ახლა შენ უკეთ გამოიცქირები. საიდუმლოს ნუ დამიმალავ. იმიტომ რომ მე შემიძლია და მსურს კიდეც დაგეხმარო, მოიფიქრე რამე?

– მოვიფიქრე, – უპასუხა ვინიციუსმა, – მაგრამ შენ ვერას მიშველი. ლიგიას სიკვდილის შემდეგ გამოვაცხადებ, რომ ქრისტიანი ვარ და უკან გამოვუდგები.

– მაშ იმედი გადაიწყვიტე?

– არა, ქრისტე მომცემს ლიგიას და აღარასოდეს არ გაგვაშორებს ერთმანეთს.

პეტრონიუსმა ატრიუმში სიარული დაიწყო და სახეზე იმედგაცრუება და უკმაყოფილება დაეტყო. შემდეგ თქვა:

– სამაგისოდ თქვენი ქრისტე საჭირო არ არის; მაგ სამსახურს ჩვენი თანატოსიც გაგიწევდა.

ვინიციუსმა ნაღვლიანად გაიღიმა და უპასუხა:

– არა, მეგობარო, ეგრე არ არის. შენ ამისი გაგება არ გინდა.

– არც მინდა და არც შემიძლია, – მიუგო პეტრონიუსმა. – ახლა ლაპარაკის დრო არ არის, მაგრამ გახსოვს, რას ვამბობდი, როდესაც ტულიანუმიდან მისი დახსნა ვერ მოხერხდა? მე იმედი სულ გადავწყვიტე, შენ კი, როცა შინ მოვედით, მითხარი, მე მწამს, რომ ქრისტეს შეუძლია დამიბრუნოსო. ჰოდა, დეე იმან დაგიბრუნოს. მე რომ ზღვაში თასი გადავაგდო, იმას ვერც ერთი ჩვენი ღმერთი ვერ დამიბრუნებს, და თუ თქვენიც იმათზე უკეთესი არ არის, მაშ უწინდელზე მეტი პატივი რაღად უნდა ვცეთ?

– ის დამუბრუნებს, – უპასუხა ვინიციუსმა.

პეტრონიუსმა მხრები შეიშმუშნა.

– შენ იცი, – ჰკითხა პეტრონიუსმა, – ხვალ ქრისტიანებმა კეისრის ბაღები რომ უნდა გაანათონ?

– ხვალ? – თავზარი დაეცა ვინიციუსს.

და საზარელი სინამდვილის წინაშე გული ტკივილისა და სატანჯველისაგან შეერყა. იფიქრა, იქნება ეს ღამე უკანასკნელი ღამე იყოს ლიგიასთან გატარებულიო. პეტრონიუსს გამოეთხოვა და საჩქაროდ „მყრალი ორმოების“ ზედამხედველთან წავიდა საპყრობილეში შესასვლელი ბარათის მისაღებად.

მაგრამ სახტად დარჩა, ზედამხედველმა ბარათი რომ არ მისცა.

– მაპატიე, ბატონო, – უთხრა მან, – აქამდე, რაც შემეძლო, ის გავაკეთე, ახლა საფრთხეში ვეღარ ჩავაგდებ ჩემს სიცოცხლეს. ამაღამ ქრისტიანებს კეისრის ბაღებში წაიყვანენ. საპყრობილეში მრავალი ჯარისკაცი და მოხელე იქნება. თუ გიცნეს, მეც და ჩემი შვილებიც დავიღუპებით.

ვინიციუსი მიხვდა, რომ თხოვნით არა გამოვიდოდა რა. იმედი ჩაესახა, იქნებ ჯარისკაცებმა უბარათოდ შემიშვან, რადგან მიცნობენო. ამიტომ დაღამდა თუ არა, უწინდებურად უბრალო ტუნიკა ჩაიცვა, თავზე მჩვარი შემოიხვია და საპყრობილის კარებისაკენ გაემართა.

მაგრამ ამ ჯერობაზე უფრო ბეჯითად სინჯავდნენ ბარათებს და თანაც ასისთავმა სცევინმა, კეისრის ერთგულმა ჯარისკაცმა იცნო ვინიციუსი.

მაინც ასისთავის რკინაში ჩამჯდარ მკერდში ჯერაც ღვივოდა ადამიანის მწუხარებისადმი სიბრალული. იმის მაგიერ, რომ განგაშის ნიშნად თავისი ფარისათვის შუბი დაერტყა, იმან ვინიციუსი განზე გაიყვანა და უთხრა:

– ბატონო, შინ წადი. მე გიცან, მაგრამ ჩუმად ვიქნები, შენი დაღუპვა არ მინდა. შენი შეშვება არ შემიძლია. შინ წადი და ღმერთებმა მოგანიჭონ სიმშბიდე.

– ჩემი შეშვება არ შეგიძლია, – მიუგო ვინიციუსმა, – იმის ნება მაინც მომეცი, აქ დავრჩე, რომ ვნახო, ბაღებში ვის წაიყვანენ.

– მაგის აკრძალვა ჩემთვის არ უბრძანებიათ, – უპასუხა ასისთავმა.

ვინიციუსი კართან დადგა. დასჯილთა გამოყვანას უცდიდა. შუაღამე იყო, რომ საპყრობილის კარი ყურთამდე გაიღო და გამოჩნდნენ კაცები, ქალები და ბავშვები. იმათ პრეტორიელები ერტყნენ გარს. ღამე მთვარიანი იყო, ისე რომ, არათუ დანახვა, უბედურთა სახის გარჩევაც შეიძლებოდა.

ორ-ორნი გრძელ მწკრივად მიდიოდნენ მთლად მდუმარენი და ამ დუმილს მხოლოდ ჯარისკაცთა იარაღის ჟღარუნი არღვევდა. იმდენი ქრისტიანი გამოიყვანეს, რომ ადამიანს ეგონებოდა, ყველა სარდაფი დაცარიელდაო.

პროცესიის ბოლოს ვინიციუსმა ექიმი გლავკოსი დაინახა, მაგრამ არც ლიგია და არც ურსუსი დასჯილთა შორის არ იყვნენ.

თავი მეხუთე

ჯერ არ დაღამებულიყო, როცა ხალხის პირველი ტალღები კეისრის ბაღებს მოაწყდა. სადღესასწაულო ტანისამოსში გამოწყობილი ბრბო, გვირგვინებით მორთული, მომღერალი და ცოტა შეზარხოშებული, ახალი, მშვენიერი სანახავის საცქერლად მოდიოდა. Via Testa-ზე, ემილიუსის ხიდზე, ტრიუმფალურ გზაზე და თვით ვატიკანის ბორცვზედაც ყვირილი გაისმოდა:

„Semaxii Sarmentiti!“ რომში უწინაც დაუწვავთ ბოძზე მიკრული კაცი, მაგრამ ხალხს ერთბაშად ამდენი დასჯილი არასდროს არ ენახა. კეისარსა და ტიგელინუსს სურდათ ქრისტიანების საქმე დაებოლოვებინათ; თანაც სენიც ხომ თანდათან ედებოდა ქალაქს, იმისთვისაც ბოლო მოეღოთ. ამიტომ ბრძანება გასცეს, ყველა ჯურღმული გაეწმინდათ. ამ ბრძანების თანახმად სარდაფებში მხოლოდ რამდენიმე ათეულიღა დარჩა. ესენი თამაშობათა დასასრულისათვის იყვნენ განკუთვნილნი. ბაღებში შესულმა ბრბომ გაოცებისაგან ხმა ვეღარ ამოიღო. ყველა უმთავრესი და განაპირა ხეივნები, ხშირ ხეხილებს შუა გაჭრილები, მდელოებსა და ტბორებს გარშემოვლებული ბილიკები ფისწასმული ბოძებით იყო სავსე. ამ ბოძებზე ქრისტიანები უნდა მიეკრათ. უფრო მაღალი ადგილებიდან, სადაც თვალს არაფერი ეფარებოდა, ბოძები და მათზე მიკრული ყვავილებითა და ტვიის ფოთლებით შემკული სხეულები ჩანდნენ. ეს ბოძები გორაკებსა და მდელოებზე ისე შორს გადაჭიმულიყო, რომ მახლობელნი ანძებსა ჰგვანდნენ, შორეულნი – ყვავილებისთვის მიწაში ჩარჭობილ ჭიგოებს მიმსგავსებოდნენ. დასჯილების სიმრავლემ ხალხის

ყველა მოლოდინს გადააჭარბა. შეიძლებოდა ადამიანს ეფიქრა, რომ რომისა და კეისრის გასართობად ბოძებზე მთელი ხალხი მიუკრავთო. მაცქერალთა ჯგუფები ცალკე მდგარ ანძებთან ჩერდებოდნენ, მათ ცნობისმოყვარეობას ქრისტიანთა ტანი, ასაკი და სქესი იზიდავდა. სინჯავდნენ მათ სახეს, გვირგვინს, ფოთლის გრეხილებს, მერე წინ-წინ მიიწევდნენ და ბოლოს თავს ეკითხებოდნენ: „განა შესაძლოა, ამდენი დამნაშავე იყოს? ცეცხლს როგორ წაუკიდებდნენ რომს ბავშვები, ჯერ რომ სხვის დაუხმარებლად სიარულიც არ შეუძლიათ?“ შფოთი ეუფლებოდა მაცქერალთ.

ამასობაში სიბნელეც ჩამოდგა და ცაზე პირველმა ვარსკვლავებმა ციმციმი დაიწყეს. ყველა დასჯილის გვერდზე მონა იდგა ხელში ანთებული ჩირაღდნით. და როდესაც მთელ ბაღებს საყვირების ხმა მოეფინა, ყველა მონამ ბოძების ძირს ჩირაღდნები მიადო.

შტოებში დამალული ფისით გაჟღენთილ ნამჯას ფიცხლავ ალი მოედო. ცეცხლი წამისწამ გაძლიერდა, ფათალოს გრეხილს მოედო, მაღლა აიწია და მსხვერპლის ფეხებს შემოეხვია. ბრბო გაჩუმდა, მაგრამ ბაღებში კვნესისა და ტკივილის ხმა გაისმოდა. ქრისტიანებში ისეთებიც იყვნენ – თავი მაღლა ზეცისკენ ასწიეს და ქრისტეს უგალობდნენ. ხალხი უსმენდა, მაგრამ

თვით გაქვავებული გულის პატრონებიც კი შეძრწუნდნენ. როდესაც პატარა ბოძებზე ბავშვების გულის გამგმირავი ყვირილი გაისმა: „დედა, დედა!“ თვითონ მთვრალ მაყურებლებსაც კი ტანში

ჟრუანტელმა დაუარა ამ პაწია თავებისა და უმანკო სახეების დანახვაზე, ტკივილით დამანჭული და ბოლით შეხუთული სახეების დანახვაზე. ალი კი სულ ზევით და ზევით იწევდა და ახალ ფათალოსა და ვარდის გრეხილებს ედებოდა. უმთავრესი და განაპირა ხეივნები განათდნენ, ხეების ჯგუფები, მდელოებისა და ყვავილების გაზონები განათდნენ. ალმა ტბორებში ელვარება დაიწყო, ხეებზე მთრთოლვარე ფოთლები გაწითლდნენ და დღის ნათელი დადგა. დამწვარ სხეულთა მყრალმა სუნმა ბაღები აავსო, მაგრამ იმავე წამს მონებმა ბოძებს შუა მდგარ საცეცხლურებში სურნელების ჩაყრა დაიწყეს. ბრბო აქა-იქ აღრიალდა, გაუგებარი იყო – ეს ყვირილი მსხვერპლისადმი თანაგრძნობისა იყო თუ სიამოვნებასა და სიხარულს გამოხატავდა, და ეს ხმა ალის გაძლიერებასთან ერთად ძლიერდებოდა. ალი თანდათან მსხვერპლის მკერდისაკენ მიცოცავდა, მხურვალე სუნთქვით დასჯილებს თმას უტრუსავდა, გაშავებულ სახეს ბოლის რიდეს ახვევდა და მერე სულ მაღლა-მაღლა იწევდა, თითქოს იმ ძალაუფლების გამარჯვებას ზეიმობდა, რომელმაც ცეცხლის წაკიდება ბრძანა.

სანახაობის დასაწყისიდანვე კეისარი ხალხში გამოჩნდა მშვენიერ საცირკო კვადრიგაზე, მეეტლის ტანისამოსში გამოწყობილს „მწვანე დასის“ ფერი ამკობდა. თვითონაც და მისი სასახლეც ამ „მწვანე დასს“ ეკუთვნოდა. იმას სხვა ეტლები მისდევდნენ ელვარე ტანისამოსში გამოწყობილი კარისკაცებით, სენატორებით, ქურუმებით და ბახუსის ტიტველა მსახური ქალებით, ხელში რომ ღვინით სავსე ჭურჭლები ეჭირათ, მეტწილად უკვე მთვრალები იყვნენ და ველური ხმით

გაჰკიოდნენ. ამ ეტლების გარშემო მესაკრავენი იყვნენ. ფავნუსებად და სატირებად ჩაცმულნი, ციტრებს, ფორმინგებს და ბუკებს უკრავდნენ. სხვა ეტლებით მატრონები და ყმაწვილი ქალები მოდიოდნენ, აგრეთვე მთვრალები და ნახევრად ტიტვლები. მალემსრბოლნი ბაბთებით მორთულ თირსოსებს იქნევდნენ, დაირებს უკრავდნენ და აქეთ-იქით ყვავილებს ყრიდნენ. მთელი ეს ბრწყინვალე პროცესია „ევოეს“ ძახილით, ყველაზე განიერი ხეივნით ბოლსა და ადამიანების მაშხალებს შუა წინ-წინ იწევდნენ. კეისარი

ტიგელინუსისა და ხილონის თანხლებით მოდიოდა, ძალიან ართობდა ხილონის თავზარდაცემა. ცხენებს თვითონ მართავდა, ნელა მიდიოდა, თან ანთებულ სხეულებს უცქეროდა და ბრბოს ყვირილს ყურს უგდებდა. მაღალ, მოვარაყებულ კვადრიგაზე მდგარი კეისარი, მის ფერხთით დამხობილი ხალხის ტალღებით გარშემორყმული, ცირკში გამარჯვებულის ოქროს გვირგვინით დამშვენებული, ცეცხლის სინათლეზე მთელი თავით ბრბოზე მაღალი იყო და გოლიათად მოჩანდა. მახინჯი ხელებით სადავეები ისე ეჭირა, თითქოს ხალხს ლოცავსო. სახესა და მოჭუტულ თვალებს ღიმილი უნათებდა, ბრწყინავდა, ვითა მზე, ვით საშიშარი, მაგრამ მაინც მშვენიერი და ძლიერი ღვთაება. ხანდახან წუთით შეჩერდებოდა ხოლმე, რომ რომელიმე მსხვერპლი ყურადღებით გაესინჯა, მერე გზას დაადგებოდა. უგუნური და მთვრალი ამალა თან მიჰყვებოდა. ხან თავს უკრავდა, ხან უკან იხედებოდა, მოვარაყებულ სადავეებს დაჭიმავდა და ტიგელინუსს ელაპარაკებოდა. ბოლოს დიდ აუზამდე მივიდა, ორი უმთავრესი ხეივნის შესაყარზე რომ იყო. კვადრიგიდან გადმოვიდა, თავის თანამგზავრებს ხელით ანიშნა რაღაც და ხალხს შეერია.

ყვირილითა და ტაშისცემით მიეგებნენ. ბახუსის მსახური ქალები, სენატორები, ნიმფები, დაახლოებულნი, ქურუმები, ფავნუსები, სატირები და ჯარისკაცები გახელებულებივით უმალვე გარს შემოეხვივნენ, ხოლო მან ტიგელინუსისა და ხილონის თანხლებით აუზს გარს შემოუარა, სადაც რამდენიმე ათეული კოცონი ენთო, ყველას წინ ჩერდებოდა. მსხვერპლთა შესახებ შენიშვნებს გამოთქვამდა, ან მოხუც ბერძენს დასცინოდა, რომლის სახეზე უსაზღვრო სასოწარკვეთილება იყო გამოხატული.

ბოლოს ტვიით მორთულ მაღალ ანძასთან დადგნენ, ალის ნათელი ენები მსხვერპლს მუხლამდე სწვდებოდა, მაგრამ მისი სახის გარჩევა ერთბაშად არ შეიძლებოდა, რადგან ნედლი ტოტების ბოლი ეფარებოდა. წუთიც, და ღამის მსუბუქმა ნიავმა ბოლი გაფანტა და თეთრწვერა მოხუცის თავი გამოჩნდა.

ხილონმა რომ ის დაინახა, დაკოდილი ქვემძრომივით გორგლად მოიგრიხა და მკერდიდან ისეთი ხმა აღმოხდა, რომელიც უფრო ჩხავილს ჰგავდა, ვიდრე ადამიანის ხმას.

– გლავკოსი! გლავკოსი!

მართლაც, ანთებული ბოძიდან მას ექიმი გლავკოსი უცქეროდა.

იგი ჯერ ცოცხალი იყო და სახე ძირს დაუშვა, თითქოს უნდოდა, თავისი ჯალათი უკანასკნელად დაენახა, ჯალათი, რომელმაც იგი გასცა, ცოლ-შვილი წაართვა, მკვლელი მიუგზავნა და როდესაც ყველა ეს ქრისტეს სახელით შეუნდეს, ისევ მწამებლებს ჩაუგდო ხელთ. ჯერ არაოდეს ადამიანი მეორე ადამიანს ისე დაუნდობლად არ მოქცევია. გლავკოსი ბერძენს თვალს არ აშორებდა. ხანდახან თვალს ბოლი უბინდავდა, მაგრამ რამდენიც ქარი მობერავდა, ხილონი თვალგაშტერებულ გლავკოსს ხედავდა. ადგა და გაქცევა დააპირა, მაგრამ ფეხები თთქოს ტყვიისა გაუხდა, რაღაც უხილავმა ხელმა არაადამიანური ძალით ამ ბოძთან შეაყენა, ხილონი გაქვავდა, ხოლო გლავკოსი მაინც თვალს არ აშორებდა, თავი უფრო და უფრო ძირს დაუშვა. იქ მყოფნი მიხვდნენ, რომ ამ ორ კაცს შუა რაღაც ამბავია, მაგრამ სიცილი ბაგეზე გაეყინათ, რადგან ხილონს სახე საშინელი შეექმნა; სატანჯველმა ისე დამანჭა, თითქოს ის ალის ენები მის საკუთარ სხეულს სწვავდნენ. უცებ დაბარბაცდა, ხელები მაღლა აიშვირა და საშინელი, გულისმომწყლავი ხმით დაიძახა:

– გლავკოს, ქრისტეს გულისთვის შემინდე!

გარშემო ყველა დადუმდა, კეისრის კარისკაცთ ჟრუანტელმა დაუარა და ყველამ თვალი ზეაღაპყრო.

წამებულის თავი ოდნავ შეირხა, შემდეგ ანძის კენწეროდან კვნესის მსგავსი ხმა გაისმა:

– შემინდვია!

ხილონი მიწაზე დაეცა და ნადირივით აღრიალდა, მერე ორი მუჭა მიწა აიღო და თავზე დაიყარა. ამ დროს ალმა ძლიერ იფეთქა, გლავკოსს მკერდსა და სახეს მოედო, თავზე ტვიის გვირგვინი დაუშალა და მთელ ბოძს მცხუნვარე ალი წაეკიდა.

ხილონი წამოდგა, სახე ისე შეცვლოდა, რომ კეისრის მახლობელთ ეჩვენათ, სულ სხვა კაცს ვხედავთო. თვალები არაჩვეულებრივი ნათელით უბრწყინავდნენ, დაღარულ შუბლზე აღტაცება ემჩნეოდა.

– რა დაემართა, ჭკუიდან ხომ არ შეიშალა? – გაისმა აქა-იქ.

ხილონი ხალხს მიუბრუნდა, მარჯვენა ხელი მაღლა აიღო და დაილაპარაკა, ან უფრო სწორად რომ ვთქვათ, ისე ძლიერ დაიყვირა, რომ შორს მდგარ ხალხსაც შეეძლო გაეგონა.

– რომის ხალხო! ჩემს სიკვდილს ვფიცავ, რომ ცეცხლში უმანკონი იღუპებიან, ცეცხლის წამკიდებელი კი აი ეს არის.

და ხელი ნერონისაკენ გაიშვირა.

სრული სიჩუმე ჩამოვარდა. კარისკაცნი გაქვადნენ. ხილონი ისევ ისე იდგა, ისევ კეისრისკენ გაეშვირა მთრთოლარე ხელი. უცებ არეულობა ატყდა. ხალხი ქარიშხლით აბობოქრებული ტალღის მსგავსად ბერიკაცისკენ დაიძრა, რომ ახლო ენახა იგი. გაისმა ყვირილი: „დაიჭი!“, „ვაი ჩვენს თავს!“ გაისმა სტვენა და ძახილი: „აჰენობარბუსი, დედისმკვლელი, ცეცხლის წამკიდებელი!“ უწესობა თანდათან გაიზარდა. ბახუსის მსახური ქალები საზარლად კიოდნენ და თავის საშველად ეტლებს ეცნენ. უცებ რამდენიმე დამწვარი ბოძი წაიქცა, გარშემო ნაპერწკლები მიმოფანტა. ამან არეულობა უფრო გააძლიერა. ბრმა, შეჯგუფებულმა ბრბომ ხილონს ხელი სტაცა და ბაღის სიღრმეში წაიღო.

ცოტა-ცოტაობით სხვა ბოძებიც ჩაიწვნენ და ჩაიქცნენ, ხეივნები ბოლითა და დამწვარი სხეულების სუნით აავსეს. ბაღებში დაბნელდა. შეშფოთებული ხალხი გასავლებისკენ მიიჭრა. მომხდარი ამბავი სასწრაფოდ დაირხა, გზადაგზა გადასხვაფერდა და გადიდდა. ერთნი ამბობდნენ, კეისარს გული შეუღონდაო, მეორენი – მძიმე ავადმყოფი შეიქნაო. ზოგნი კი იმასაც ირწმუნებოდნენ, მკვდარი წაირეს ეტლითაო; აქა-იქ ქრისტიანების თანამგრძნობი ხმები გაისმოდა: „რომი იმათ არ დაუწვავთ – მაშ, რა საჭირო იყო ამდენი სისხლის ღვრა, ამდენი ტანჯვა და უსამართლობა. განა ღმერთები სამაგიეროს არ მოგვაგებენ? რა მსხვერპლს შეუძლია მათი გული მოიგოს?“ დედაკაცები ხმამაღლა იბრალებდნენ ბავშვებს... ბოლოს სიბრალული კეისრისა და ტიგელინუსის შეჩვენებად შეიცვალა. ისეთებიც იყვნენ, შეჩერდებოდნენ და თავის თავსა და სხვებს

ეკითხებოდნენ: „ეს რა ღვთაებაა ისეთი, რომ თავის მაღიარებლებს ღონეს აძლევს, ტანჯვა სიმტკიცით აიტანონ და სიკვდილს თამამად შეხვდნენ?“ და დაფიქრებულნი ბრუნდებოდნენ შინ.

ხილონი ისევ ბაღში დაეხეტებოდა და არ იცოდა, სად წასულიყო. ახლა თავისი უღონობა და უმწეო სიბერე ხელახლა იგრძნო. ხან შეხრუკულს წაააწყდებოდა, ხან მუგუზლებს წაჰკრავდა ფეხს და მათგან ნაპერწკლების მთელი კონები ეფინებოდა. ხან ჯდებოდა და ხანაც უგრძნობლად გარშემო იცქირებოდა. ბაღები თითქმის სულ დაბნელდნენ; ხეთა კენწეროებს შუა

დაბინდული მთვარე იძროდა და უთანაბრო სინათლით ანათებდა ხეივნებს, შემურულ სვეტებს და მსხვერპლთა ნაშთებს. მაგრამ მოხუც ბერძენს ეჩვენებოდა, თითქოს იგი მთვარეზე გლავკოსს ხედავდა და მისი თვალები ისევ იმას უცქეროდნენ. ამიტომაც სინათლეს ემალებოდა. ბოლოს იგი ჩრდილიდან გამოვიდა და უნებლიეთ, თითქო რაღაც უცნაური ძალით მიზიდული, იმ აუზისკენ წავიდა, რომლის სიახლოვეზე გლავკოსმა სული განუტევა.

ამ დროს ვიღაცის ხელი შეეხო.

ბერიკაცმა მოიხედა, უცნობი კაცი დაინახა და შეშინებულმა დაიყვირა:

– შენ ვინა ხარ?

– მოციქული ვარ, პავლე ტარსელი.

– მე შეჩვენებული ვარ!...რა გინდა?

მოციქულმა უპასუხა:

– მინდა დაგიხსნა.

ხილონი ხეს მიეყრდნო.

მუხლები ეკეცებოდა, ხელები უღონოდ ჩამოეკიდა.

– ჩემთვის ხსნა არ არის! – ყრუდ უპასუხა მან.

– ხომ იცი, რომ ღმერთმა შეუნდო ავაზაკს, როდესაც ჯვარზე გაკრულმა მოინანია? – ჰკითხა პავლემ.

– შენ იცი, მე რა ჩავიდინე?

– მე შენი მწუხარება ვნახე და შენგან სიმართლის დამოწმება გავიგონე.

– ვაი, ბატონო!

– და თუ ქრისტეს მსახურმა ტანჯვისა და სიკვდილის ჟამს შეგინდო, ქრისტე როგორღა არ შეგინდობს?

ხილონმა გიჟივით ხელები თავზე წაიღო.

– შენდობა!... მე!... შენდობა!...

– ჩვენი ღმერთი მოწყალების ღმერთია, – მიუგო მოციქულმა.

– მე? – გაიმეორა ხილონმა.

და დაიგმინა, თითქოს ღონე აღარ შესწევს ტანჯვას გაუძლოსო. პავლემ უთხრა:

– დამეყრდენი და წავიდეთ. ჩვენი ღმერთი მოწყალების ღმერთია, – გაიმეორა მოციქულმა, – შენ რომ ზღვის პირას დადგე და შიგ ქვები ისროლო, განა ზღვის უფსკრულს ამოავსებ? ხოლო მე გეუბნები, რომ წყალობა ქრის-

ტესი – ზღვაა, ხალხის ცოდვა და ბრალი მასში ისე ინთქმება, ვითა ქვა მორევში. შენ გლავკოსის ბოძის წინ იტანჯებოდი და ქრისტე შენს ტანჯვას ხედავდა. შენ თქვი,

აი, ცეცხლის წამკიდებელიო, თუმცა არ იცი, ხვალ რა მოგელის და ქრისტემ შენი სიტყვები დაიხსომა. მომყევი და რასაც გეტყვი მომისმინე. მეც აგრეთვე მძულდა იგი და მის რჩეულთ ვდევნიდი. ახლა ღმერთმა სინანული მოგივლინა, შეშფოთება და ტანჯვა, რათა თვისთან მიგიწოდოს. შენ გძულდა იგი, იმას კი უყვარდი, – შენ გაეცი სასჯელად მისი მორწმუნენი, იმას კი სურს, შეგინდოს და გიხსნას.

საბრალო კაცს საშინელი ქვითინის გამო მკერდი მაღლა აუვიდა, ხოლო პავლე უფრო და უფრო იმონებდა მას და მიჰყავდა, ვით ჯარისკაცს ტყვე მიჰყავს. ცოტა ხანიცა და კვლავ ლაპარაკი დაიწყო:

– წამომყევ და იმასთან მიგიყვან. სხვა რისთვის მოვიდოდი შენთან? იმან მიბრძანა, სიყვარულის სახელით შევკრიბო ხალხი. შენ გგონია, შეჩვენებული ხარ, მე კი გეუბნები, იწამე იგი და ხსნა მოგელის. შენ გგონია, სძულხარ იმას, მე კი გეუბნები – შენ იმას უყვარხარ.

მოციქულმა ხილონი აუზთან მიიყვანა. გარშემო სიჩუმე და სიცარიელე იყო: შერუჯული ბოძები და წამებულთა სხეულები მონებს უკვე აელაგებინათ.

ხილონმა გმინვით მუხლი მოიდრიკა, სახეზე ხელები მიიფარა და უძრავად დარჩა. პავლემ თვალნი ზეცას აღახვნა. იგი ლოცულობდა.

– უფალო! მოხედე ამ მწუხარებას, მის სინანულს, ცრემლსა და ტანჯვას! მოწყალეო უფალო, რომელმა ჩვენთა ცოდვათათვის სისხლი დაღვარე, შენი ტანჯვის გულისთვის, სიკვდილისა და მკვდრეთით აღდგენისთვის შეუნდე ამას!

იგი დაჩუმდა, მაგრამ კიდევ დიდხანს უცქეროდა ვარსკვლავებს და ლოცულობდა.

უცებ მის ფერხთით გოდების მსგავსი ხმა გაისმა.

– ქრისტე! ქრისტე!... შემინდე!...

მაშინ პავლე აუზს მიუახლოვდა, ხელით წყალი აიღო და მუხლმოდრეკილს მიუბრუნდა:

– ხილონ! ნათელს გცემ სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა! ამინ!

ხილონმა თავი ასწია და უძრავად დარჩა. მთვარის ნათელი ანათებდა მის გადაპენტილ თმას და თეთრ, ქანდაკებასავით უძრავსა და უსიცოცხლო სახეს. დრო მოდიოდა. დიდრონი საფრინველეებიდან, დომიციუსის ბაღში რომ იდგნენ, მამლების ყივილის ხმა მოისმა, ხილონი კი ისევ დაჩოქილი იყო და საფლავის ძეგლს მიმსგავსებოდა.

ბოლოს გონს მოვიდა, ადგა, მოციქულს მიმართა და ჰკითხა:

– ბატონო, სიკვდილის წინ რა უნდა ვქნა?

– გწამდეს და სიმართლეს ემოწმე, – უპასუხა პავლემ.

და ერთად გავიდნენ. ბაღის კართან ერთმანეთს განშორდნენ. ეს თვითონ ხილონმა მოითხოვა, რადგან წინასწარ გრძნობდა, მას შემდეგ რაც მოხდა, კეისარი და ტიგელინუსი დევნას დამიწყებენო.

არც შეცდა. თავისი სახლი იმას პრეტორიელებით გარშემორტყმული დავხდა. იგი დაიჭირეს და სცევინის წინამძღოლობით პალატინზე წაიყვანეს.

კეისარი დასასვენებლად იყო წასული, ტიგელინუსს კი ეღვიძა და უბედური ბერძენი რომ დაინახა, თავისი დამშვიდებული, მაგრამ ბოროტის მაუწყებელი სახე მიაპყრო.

– შენ დანაშაული ჩაიდინე, უდიდებულესობა შეურაცხყავი, – უთხრა მან, – და სასჯელი არ აგცდება. თუ ხვალ დილით ამფითეატრში განაცხადებ, მთვრალი ვიყავი და გონებაარეული, თორემ

ცეცხლი ნამდვილად ქრისტიანებმა გააჩინესო, შენი დასჯა გაროზგვითა და განდევნით ამოიწურება.

– არ შემიძლია, ბატონო, – წყნარად უპასუხა ხილონმა.

ტიგელინუსი წყნარი ნაბიჯით მიუახლოვდა და იმავე წყნარი საშინელი ხმით ჰკითხა:

– როგორ თუ არ შეგიძლია შე ბერძენო ძაღლო? განა მთვრალი არ იყავ? განა არ იცი, რა მოგელის? აბა, იქით მიიხედე!

და ხილონის ატრიუმის ბნელ სიღრმეში მიახედა. იქ ხის პატარა სკამთან ოთხი თრაკიელი მონა უძრავად იდგა და ხელში თოკები და მარწუხები ეჭირა.

ხილონმა მაინც უპასუხა:

– არ შემიძლია, ბატონო!

ტიგელინუსს ბრაზი მოერია, მაგრამ ჯერ თავი შეიკავა.

– ხომ ნახე ქრისტიანების სიკვდილი? – ჰკითხა მან, – შენც ისე გინდა მოკვდე?

მოხუცმა თავისი გაფითრებული სახე მაღლა აიღო, ერთ წამს ტუჩები უხმოდ უტოკავდნენ და შემდეგ თქვა:

– მეც მწამს ქრისტე!

ტიგელინუსმა გაკვირვებით შეხედა.

– ძაღლო! შენ მთლად გაგიჟებულხარ!

და უცებ მისმა სიბრაზემ ამოხეთქა. ხილონს მივარდა, ორივე ხელი წვერში წაავლო, მიწაზე წააქცია და ფეხით თელვა დაუწყო. თან პირზე დორბლმორეული იმეორებდა:

– უარყავ შენი ნათქვამი! უარყავ!

– არ შემიძლია, – უპასუხა ხილონმა.

– მაშ ასწიეთ!

თრაკიელებმა რომ ეს ბრძანება გაიგონეს, მოხუცს ხელები სტაცეს, სკამზე მიაკრეს და გამხმარ გვერდებზე მარწუხები მოუჭირეს. ხილონმა კი, როდესაც თოკით კრავდნენ, მორჩილებით მონებს ხელები დაუკოცნა და შემდეგ თვალები დახუჭა. თითქოს კიდეც მოკვდა.

მაგრამ ცოცხალი იყო, რადგან როდესაც ტიგელინუსი დაიხარა და კვლავ უთხრა: „უარყავ შენი ნათქვამი!“, ხილონს გათეთრებული ტუჩები ოდნავ შეუტოკდა და ძლივს გასაგონი ჩურჩული აღმოხდა:

– არ.. შე.. მი... ძლია!

ტიგელინუსმა უბრძანა, ტანჯვა შეეწყვიტათ, ბრაზისგან შეშლილი და თან შეშფოთებული ატრიუმში სიარულს მოჰყვა. ბოლოს თავში ახალი აზრი მოუვიდა, თრაკიელთ მიუბრუნდა და უთხრა:

– ენა ამოგლიჯეთ!

თავი მეექვსე

დრამა Aureolus-ს ჩვეულებრივ ისეთ თეატრებში ან ამფიათეატრებში დგამდნენ, რომელნიც შესაძლო იყო, ორად გაეყოთ და ორი განცალკევებული სცენა გამოსულიყო.

მაგრამ კეისრის ბაღებში სანახაობის გამართვის შემდეგ ეს ჩვეულება გადააგდეს, რადგან საჭირო იყო, რაც შეიძლება ბევრს ენახა ბოძზე მიკრუ-

ლი მონის სიკვდილი – ენახათ, როგორ გაგლეჯდა საბრალოს დათვი. თეატრში ამ როლს დათვად ჩაცმული კაცი ასრულებდა. მაგრამ ამჯერობაზე წარმოდგენა „ნამდვილი“ უნდა ყოფილიყო. ეს ტიგელინუსის ახალი მოფიქრება გახლდათ. ნერონმა ჯერ განაცხადა, არ დავესწრებიო, მაგრამ თავისი საყვარელი კაცის თხოვნას დაჰყვა და განზრახვა შეცვალა. ტიგელინუსმა მას აუხსნა, იმის შემდეგ, რაც მოხდა, შენთვის საჭიროა, ხალხს ეჩვენოო. თან თავდებად დაუდგა, ჯვარზე გაკრული მონა კრისპივით შეურაცხყოფას არ მოგაყენებსო.

ხალხს უკვე მოყირჭდა სისხლი, ამიტომ მას ახალი ლატარიის ბილეთებისა და საჩუქრების დარიგებას დაჰპირდნენ, თან საღამოს ნადიმსაც, რადგან წარმოდგენა საღამოზე უნდა გამართულიყო გაკაშკაშებულ ამფითეატრში.

დაბინდებისთანავე ამფითეატრი ხალხით გაიჭედა. ავგუსტიანები ტიგელინუსის წინამძღოლობით ყველანი მივიდნენ თვითონ სანახავის გულისთვის იმდენად არა, უფრო იმიტომ, კეისარს ჩვენი ქვეშევრდომული ერთგულება დავუმტკიცოთ და ხილონზედაც ვილაპარაკოთ, რაკი მთელ რომს ის აკერია პირზეო.

ამბობდნენ, კეისარი ბაღებიდან რომ დაბრუნდა, გახელდა და ძილი ვეღარ შეიძლო, შიშმა აიტანა, საზარელ ჩვენებებს ხედავდა, რის გამოც მეორე დღესვე აქაიაში წასვლა დააპირაო. სხვები ამ ნათქვამს ეწინააღმდეგებოდნენ და ირწმუნებოდნენ, ახლა უფრო მკაცრად მოექცევა ქრისტიანებსო. მხდლებიც ცოტანი არ იყვნენ. ისინი წინასწარმეტყველებდნენ, ბრალდებას, ხილონმა რომ კეისარს პირში უთხრა, შესაძლოა, ცუდი შედეგი მოჰყვესო. დასასრულ ისეთებიც იყვნენ, რომ სიბრალულის გამო ტიგელინუსს ემუდარებოდნენ, ქრისტიანების დევნა შეეწყვიტა.

– რატომ არ ხედავთ, საით მიდიხართ, – ამბობდა ბარია სორანუსი, – თქვენ გინდოდათ, ხალხს დაეჯერა, რომ სამაგიერო მიაგეს დამნაშავეთ, საქმე კი სულ უკუღმა დაიგრიხა.

– მართალია! – კვერი დაუკრა ანტისტიუს ვერუსმა, – ახლა ყველა ჩურჩულებს ქრისტიანები უდანაშაულონი არიანო. თუ თქვენ ეს სწორად მიგაჩნიათ, მაშინ ხილონს მართალი უთქვამს, თქვენი ტვინით რკოს ნაჭუჭიც ვერ აივსებაო.

ტიგელინუსი მიუბრუნდა მათ და უთხრა:

– ხილონი იმასაც ამბობს, რომ შენმა ქალმა სერვილიამ, ბარია სორანუს, და შენმა ცოლმა, ანტისტიუს, ქრისტიანი მონები გადამალეს და კეისრის სამართალს აარიდესო.

– ეგ სიცრუეა! – დაიძახა შეშინებულმა ბარიამ.

– თქვენს ქმარგაყრილ ცოლებს ჩემი ცოლის დაღუპვა უნდათ, რადგან მისი სათნოება შურთ, – ისეთივე შიშით დაუმატა ანტისტიუს ვერუსმა.

სხვები კი ხილონზე ლაპარაკობდნენ.

– რა დაემართა? – კითხულობდა ეპრიუს მარცელი, – განა თვითონ არ გასცა ქრისტიანები და ტიგელინუსს ხელში თვითონ არ ჩაუგდო? გლახაკი იყო და მდიდარი შეიქნა, შეეძლო, წუთისოფელი მშვიდად დაესრულებინა. სიკვდილის შემდეგ ძეგლს დაუდგამდნენ. მაგრამ, არა! ერთბაშად ყველაფერი დაკარგა. უთუოდ გადაირია.

– არა, კი არ გადაირია, გაქრისტიანდა, – თქვა ტიგელინუსმა.

– შეუძლებელია! – დაიძახა ვიტელიუსმა.

– ტიგელინუსი იცინოდა, როდესაც ვამტკიცებდი, ისინი თავს იცავენ-მეთქი, ახლა კი მეტს ვიტყვი: ისინი იმარჯვებენ, – განაცხადა პეტრონიუსმა.

– როგორ იმარჯვებენ? – იკითხა რამდენიმე ხმამ.

– პოლუქსსა ვფიცავ!.. თუ ისეთი კაცი, როგორიც ხილონი იყო, ვერ გაუმაგრდა მაგათ რჯულს, სხვა ვინღა გაუმაგრდება? თუ გგონია, ყველა წარმოდგენის შემდეგ იმათი რიცხვი არა მატულობს, მაშინ რომი ისე გცოდნიათ, გირჩევნიათ, მკალაობა ან დალაქობა დაიწყოთ, მაშინ იქნებ უკეთესად შეიტყოთ, ხალხი რას ფიქრობს და ქალაქში რა ხდება.

– ჭეშმარიტს ამბობს, დიანას წმიდა პეპლუმს ვფიცავ! – დაიძახა ვესტინიუსმა.

ბარიამ პეტრონიუსს მიმართა:

– მაგას რისთვის ამბობ?

– მე იმითი გავათავებ, რითაც თქვენ დაიწყეთ: კმარა სისხლი!

კეისრის მოსვლამ ავგუსტიანებს ლაპარაკი შეაწყვეტინა. ნერონმა თავისი ადგილი დაიჭირა პითაგორას გვერდით და „ავრეოლას“ წარმოდგენა დაიწყო. თუმცა წარმოდგენას დიდ ყურადღებას არ აქცევდნენ. ყველა ხილონზე ფიქრობდა. სისხლისა და ტანჯვის ცქერას მიჩვეული ხალხი მოწყენილობას გრძნობდა, უსტვენდა, ხმამაღლა ლანძღავდა კეისარს, მის კარისკაცთ და ითხოვდა, დათვი ჩქარა გამოეყვანათ. დამნაშავის ნახვისა და

საჩუქრების მიღების იმედი რომ არა ჰქონოდათ, თვითონ სანახაობაც ვერ დააკავებდა ხალხს.

ბოლოს, მოლოდინებული წამი დადგა. მსახურთ ხის ჯვარი შემოიტანეს, საკმაოდ დაბალი, რომ უკანა ფეხებზე შემდგარ დათვს წამებულის მკერდამდე მიწვდომა შეძლებოდა. შემდეგ მოიყვანეს, ან უკეთ ვთქვათ, მოათრიეს ხილონი, რადგან თვითონ სიარული არ შეეძლო – ფეხის ძვლები დამტვრეული ჰქონდა. იგი დააწვინეს და ჯვარზე ისე სწრაფად გააკრეს, რომ თვითონ ნერონის მახლობელთაც ვერ შეიძლეს მისი დანახვა. როდესაც ჯვარი წინასწარვე მომზადებულ ორმოში ჩააგდეს, მხოლოდ მაშინ მიაპყრეს თვალი დამსწრეებმა. მაგრამ ცოტანი იყვნენ, ვინც ის ტიტველი ბერიკაცი უწინდელ ხილონად მიიჩნია. ტანჯვის შემდეგ ისე დასუსტდა, რომ სახე მთლად გაფითრებოდა, თითქოს სისხლი მთლად ამოუწურავთო. მარტო თეთრ წვერზე უჩანდა სისხლის კვალი, რაიც ენის ამოგლეჯის შემდეგ დარჩა. ისეთი გამჭვირვალე და სიფრიფანა კანი ჰქონდა, თითქმის ბერიკაცის ძვლების დანახვა შეიძლებოდა. იგი უფრო მოხუცს ჰგავდა, თითქმის მიხრწნილს. სამაგიეროდ, ახლა უწინდელი ბოროტი გამომეტყველება აღარ ჰქონდა. სახე მშვიდი

და ნათელი გახდომოდა, როგორიც აქვს ადამიანს დამშვიდებული ძილის დროს ან მკვდარს. არავინ არ იცინოდა, ჯვარცმულში რაღაც იყო ისეთი მშვიდი, ისეთ მოხუცად მოჩანდა, უიარაღოდ, დასუსტებულად, თავისი მორჩილების გამო შეწყალების ღირსად, რომ ყველა მნახველი უნებლიეთ თავს ეკითხებოდა: როგორ შეიძლება კაცის წვალება და ჯვარცმა, უიმისოდაც რომ კვდებაო? ხალხი დუმდა. ავგუსტიანებში ვესტინიუსი ხან მარჯვნივ და ხან მარცხნივ გადაიჩურჩულებდა შეშინებული: „ერთი უცქირეთ, როგორ კვდებიან!“ სხვები დათვს ელოდნენ, რადგან სურდათ, სანახავი ჩქარა გათავებულიყო.

დათვიც შემოიჭრა ასპარეზზე, ჩაქინდრულ თავს იქნევდა. გარშემო იცქირებოდა, თითქოს რაღაცაზე ფიქრობს ან რაღაცას ეძებსო. ბოლოს ჯვარი შეამჩნია და მასზე ტიტველი სხეული, ახლოს მივიდა, უკანა ფეხებზე შედგა, ისევ ჩამოვიდა, ჯვართან დაწვა და ბრდღვინა დაიწყო, თითქოს მის მხეცურ გულში ადამიანის ნაგლეჯისადმი სიბრალულმა გაიღვიძა.

ცირკის მსახურნა დათვს ყვირილით აქეზებდნენ, მაცქერალნი კი დუმდნენ! ხოლო ხილონმა თავი წყნარად ასწია, მაყურებელთ თვალი გადაავლო და უცებ სახე ღიმილმა გაუნათა, შუბლი გაუბრწყინდა, თითქოს სინათლის შუქი მიეფინა, თვალები ზე აღმართა და ორი დიდრონი ცრემლი ნელინელ დაედინა თვალთაგან.

იგი მოკვდა.

ამ წამში ველარიუმის ქვემოდან ვიღაც კაცის მაღალი ხმა გაისმა:

– საუკუნო განსვენება წამებულს!

ამფითეატრში ყრუ დუმილი სუფევდა...

თავი მეშვიდე

კეისრის ბაღში გამართული სანახაობის შემდეგ საპყრობილეები შესამჩნევად დაცარიელდა. მართალია, კიდევ იჭერდნენ და აპატიმრებდნენ ქრისტიანობაში ეჭვმიტანილებს, მაგრამ მაინც უფრო და უფრო ნაკლებ შოულობდნენ – მხოლოდ იმდენს, რამდენიც უკანასკნელი თამაშისთვის სჭირდებოდათ. სისხლის ცქერით თავმობეზრებული ხალხი უფრო და უფრო მეტ შეშფოთებას იჩენდა დასჯილთა აქამდე გაუგონარი საქციელის გამო. ცრუმორწმუნე ვესტინიუსის შიშმა ათასობით ადამიანი მოიცვა. ქრისტიანების ღვთაების შურისგებაზე უცნაური ხმები ხშირდებოდა. საპყრობილეებში გავრცელებული სახადი რომ ქალაქს მოეფინა, საერთო შიში უფრო გაძლიერდა. ქუჩებში დასაფლავების პროცესიები მატულობდა და ხალხიც ერთმანეთს ეჩურჩულებოდა, უცნობი ღმერთის გულის მოსაგებად ახალი piacula არისო საჭირო. ტაძრებში იუპიტერსა და ლიბიტინას მსხვერპლს სწირავდნენ. დასასრულ, ტიგელინუსსა და მის მოსარჩლეთა მეცადინეობის მიუხედავად, უფრო და უფრო ვრცელდებოდა აზრი, ქალაქი კეისრის ბრძანებით გადასწვეს და ქრისტიანები უდანაშაულოდ იტანჯებიანო.

სწორედ იმიტომ იყო, რომ ნერონი და ტიგელინუსი ქრისტიანების დევნას არ იშლიდნენ. ხალხის დასამშვიდებლად ახალი ბრძანება იყო გამოცემული პურის, ღვინისა და ზეთის დარიგების შესახებ. განკარგულება გამოვიდა სახლების შენებაზე, რომელიც პატრონებს უჩვეულო შეღავათს

აძლევდა. სენატის სხდომაზე თვითონ კეისარი ესწრებოდა და ქალაქის „მამებთან“ ერთად ქალაქისა და ხალხის საჭიროებაზე მსჯელობდა. დასჯი-

ლებს კი მაინც რაიმე შებრალების ჩრდილიც არ მიეფინა. ქვეყნის მბრძანებლისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ ხალხი დაეჯერებინა, ასეთი ულმობელი სასჯელი მხოლოდ დამნაშავეთ ატყდება თავსო. სენატშიაც ქრისტიანების დასაცავად ერთი ხმაც არ გაისმოდა, რადგან არავის უნდოდა, კეისრის რისხვა გამოეწვია; ამას გარდა შორსმჭვრეტელი ხალხი ამტკიცებდა, ახალი სარწმუნოების გაბატონებით რომის იმპერიას საფუძველი შეერყევაო.

ვინიციუსს სასიხარულოდ მიაჩნდა ლიგიას სიკვდილი. თუ ლიგია მოკვდებოდა, საგვარეულო აკლდამაში დამარხავდა და თვითონაც ქალის გვერდზე დაიმარხებოდა. სიკვდილიდან ლიგიას დახსნის აღარავითარი იმედი არა ჰქონდა, და თვითონაც ცოცხალ-მკვდარი აღარაფერზე აღარ ფიქრობდა, თუ არა იმიერ სოფელზე. წარმოიდგენდა, რომ სიკვდილის შემდეგ ლიგიასთან ხელიხელგაყრილი ზეცას იქნება, ის ქრისტე დალოცავს მათ და ნებას მისცემს, იქ დაბინავდნენ – იმ სიმშვიდესა და რიჟრაჟის მსგავს ელვარებაში. იგი ქრისტეს შესთხოვდა, ლიგია ცირკის ტანჯვისაგან დაეხსნა და მისთვის საპყრობილეშივე დამშვიდებული სიკვდილი მიევლინა. სრულიად დარწმუნებული იყო, რომ თვითონაც მასთან ერთად მოკვდებოდა, მაგრამ ამ ზღვა სისხლის მნახველი ამ იმედსაც ვერ ეძლეოდა. პეტრესა და პავლესაგან გაგონილი ჰქონდა, რომ ისინიც წამებით უნდა მომკვდარიყვნენ. ხილონის ნახვამ დაარწმუნა, რომ წამებით სიკვდილი

შეიძლება ტკბილი იყოს, და სურდა, რომ ისეთი სიკვდილი ლიგიასთვისაც და იმისთვისაც დამდგარიყო. ამით ბოროტი, მწუხარე და მძიმე ხვედრი უკეთესით შეიცვლებოდა.

ხანდახან იგი საიქიო ცხოვრებას წარმოიდგენდა. ეგონა, ლიგიაც სიკვდილისათვის ემზადებოდა, რომ მათ შუა ჩამდგარი საპყრობილის კედლების მიუხედავად, ისინი უკვე ერთ გზაზე მიდიან და ამ აზრს ისე უღიმოდა, ვითა ბედნიერებას.

ლიგიასაც აღარავითარი სურვილი არა ჰქონდა, აღარავითარი იმედი საიქიო ცხოვრების იმედის გარდა, იგი სიკვდილს წარმოიდგენდა არა მარტო საპყრობილის საზარელი კედლებიდან განთავისუფლებად, კეისრისა და ტიგელინუსის ხელიდან ხსნად, არამედ, როგორც ვინიციუსთან შეერთე-

ბის დღედ. ამ შეურყეველ რწმენასთან შედარებით ყველა სხვა მნიშვნელობას კარგავდა. სიკვდილის შემდეგ ბედნიერება უნდა დაწყებულიყო და ამ ბედნიერებას ისე ელოდა, ვით სასძლო მოელოდება ქორწინების ჟამს.

სარწმუნოების ამ ძალოვანმა ტალღამ, ქრისტიანობის პირველ მიმდევართ რომ სიცოცხლეს გლეჯდა და საიქიო ცხოვრებისკენ მიაქროლებდა, ურსუსიც გაიტაცა. იგი გუნებაში ლიგიას სიკვდილს დიდხანს ვერ ურიგდებოდა. მაგრამ როდესაც საპყრობილის კედლებში ხმამ შეაღწია, რაც ამფითეატრებსა და ბაღებში ხდებოდა, სადაც სიკვდილი ყველა ქრისტიანისათვის

აუცილებელი გახდა და თან ამ სიკვდილს ამქვეყნიურ ბედნიერებაზე მეტი მოჰქონდა – ურსუსი ვეღარ ბედავდა, ქრისტეს შევედრებოდა და ლიგიასთვის ეს ბედნიერება მოეკლო ან დიდი ხნით გადაედო. მის მარტივ გულს წარმოუდგებოდა ლიგიელთა მთავრის ასული ზეციურ სიხარულს მეტს მიიღებს, ვიდრე ჩვეულებრივი ხალხის მთელი ბრბო, იგი კრავის გვერდით სხვებზე უფრო ახლოს დაჯდებაო. მართალია, გაგონილი ჰქონდა – ღვთის წინაშე ყველანი თანაბარნი არიანო, მაინც გუნებაში ვერ დაეჯერებინა, რომ წინამძღოლის ასული, მთელი ლიგიელების წინამძღოლის ასული, ვინმე მონა ქალის დარი გახდებოდა. ამას გარდა იმედი ჰქონდა, რომ ქრისტე ნებას მისცემდა, კვლავაც ლიგიასთვის ემსახურნა. რაიც თვითონ იმას შეეხებოდა- მხოლოდ ერთი ისუმალი სურვილი ჰქონდა – ისე მომკვდარიყო, როგორც მოკვდა კრავი, ესე იგი, ჯვარცმული, თუმცა რომში ჯვარზე მხოლოდ მოურჯულებელ დამნაშავეთ აკრავდნენ, მაინც ეს ისეთ დიდ ბედნიერებად ჰქონდა წარმოდგენილი, რომ თითქმის ვერ ბედავდა, ქრისტეს შევედრებოდა და ასეთი სიკვდილი ეთხოვა. ის ფიქრობდა, იქნებ ბედმა მხეცებს მიმცეს დასაფლეთადო და ეს აწუხებდა. თავისი ყმაწვილობა უღრან ტყეში ნადირობით ჰქონდა გატარებული და თავისი არაადამიანური ღონის მეოხებით ლიგიელთა შორის დავაჟკაცებამდე გაეთქვა სახელი. რომშიც ნადირობა მისი საყვარელი საქმე იყო; როდესაც ნადირობისთვის თავის დანებება მოუხდა, ვივარიუმებსა და ამფითეატრებში დადიოდა, რომ ნაცნობი და უცნობი ცხოველები მაინც დაენახა. მათი ხილვა ბრძოლის სურვილს უღვიძებდა. ახლა გულში ეშინოდა, თუ ამფითეატრში მათი შეხვედრა მომიხდა, ვაითუ ქრისტიანისათვის უღირსი აზრი დამეუფლოს და მშვიდი სიკვდილი

დამიშალოსო. მაგრამ აქაც ქრისტეს იმედი ჰქონდა, სხვა რაღაც ანუგეშებდა, უფრო სასიხარულო. გაგონილი ჰქონდა, რომ კრავმა ჯოჯოხეთის ძალთა და ბოროტ სულთ – ამათში ქრისტეს სარწმუნოებამ ყველა წარმართების ღმერთები ჩათვალა – ომი გამოუცხადა და ფიქრობდა, ამ ომში კრავს ძალიან გამოადგებოდა, ყველაზე უკეთესად შეძლებდა მის სამსახურს. იგი ვერავითარი გზით ვერ ურიგდებოდა იმას, ვითომც მისი სული სხვა წამებულთა სულზე სუსტი ყოფილიყო. ურსუსის დაუჯერებელი ღონე საპატიმროშიაც საშიში შეიქნა, მისთვის არც საკმაოდ მაგარი ბორკილი არსებობდა, არც რკინის რიკული. მაგრამ თან ისეთი მშვიდი იყო, დარაჯებს შეუყვარდათ. არა ერთხელ ყოფილა, რომ მისი სიმშვიდით გაკვირვებული ჰკითხავდნენ ამის მიზეზს. მაშინ ურსუსი ისეთი გულდაჯერებით მოუთხრობდა, თუ რა ცხოვრება მოელის სიკვდილის შემდეგ, რომ დარაჯნი გაკვირვებით უგდებდნენ ყურს.

„დიახ, სიკვდილი და მხოლოდ სიკვდილი მოუღებს ბოლოს მათ მძიმე ხვედრს, “ – ფიქრობდნენ დარაჯები. მაგრამ სიკვდილისა თავად ეშინოდათ, და აი, ეს გოლიათი კაცი და ეს ყვავილივით ნაზი ქალი სიკვდილს ისეთი სიხარულით მოელოდნენ, თითქოს ბედნიერება მოჰქონდა მათთვის.

თავი მერვე

ერთხელ საღამოთი პეტრონიუსს სენატორი სცევინი ესტუმრა და მასთან გრძელი ბაასი გააბა, ეს რა მძიმე დროს ვცხოვრობთო. კეისარზე ისე გულახდით ლაპარაკობდა, რომ პეტრონიუსმა, თუმცა იმის მეგობარი იყო, ყური დაცქვიტა. ბოლოს სტუმარმა ხალხისა და თვითონ პრეტორიელების უკმაყოფილებაზე ჩამოაგდო ლაპარაკი და მასპინძელს უთხრა, პრეტორიელების ნაწილი ფენიუს რუფუსმა გადაიბირაო.

– მაგას რად მეუბნები? – ჰკითხა პეტრონიუსმა.

– კეისრის სიკეთისათვის, – მიუგო სცევინმა, – ჩემი შორეული ნათესავი პრეტორიელებში მსახურობს, იმასაც სცევინი ჰქვია. მისგან გავიგონე, რაც ჯარში ხდება, უკმაყოფილება იქაც იზრდება... კალიგულაც ეგეთივე დამთხვეული იყო, და აბა გაიხსენე, რა დამართეს! გაჩნდა კასიუს ხერეა... საშინელი საქმე იყო და, რასაკვირველია, ჩვენში არავინ არის, მას საქციელი მოუწონოს, მაინც ხერეამ ქვეყანა ურჩხულისგან იხსნა.

– მაშ, – მიუგო პეტრონიუსმა, – შენ ამბობ: მე კასიუსის საქციელი არ მომწონს, მაგრამ ჩინებული კაცი კი იყო, და ღმერთმა ჰქნას, ბლომად გვყავდნენ იმისთანებიო.

მაგრამ სცევინმა სიტყვა ბანზე ააგდო და არც აცივა, არც აცხელა, პისონის ქებას მოჰყვა. მისი გვარეულობა ადიდა, ცოლისადმი ერთგულება უქო, დასასრულ, სიდინჯე და ხალხის მიზიდვის საკვირველი ნიჭი.

– კეისარი უშვილოა, – თქვა მან, – ყველანი მის მემკვიდრედ პისონს რაცხავენ. უეჭვოა, მას ხელისუფლების ჩაგდებაში ყველა დაეხმარება. იგი ფენიუს რუფუსს უყვარს; ანეუსების გვარეულობა მთლად მისი მომხრეა, აგრეთვე ნატალისიც, ბევრი სხვაც მის მხარეს დაიჭერს, თვითონ ვესტინიუსიც კი.

– ვესტინიუსი პისონს ბევრს ვერაფერს შემატებს, – უთხრა პეტრონიუსმა, – იმას თავისი საკუთარი ჩრდილისაც ეშინია.

– ვესტინიუსს სიზმრებისა და სულებისა ეშინია, – მიუგო სცევინმა, – მაგრამ ნიჭიერი კაცი კი არის, მისი კონსულად არჩევა ტყუილად კი არ უნდათ. გულში რომ ქრისტიანების დევნის წინააღმდეგია, ეს არ უნდა გაუმტყუნო, რადგან თვითონ შენც მოხარული იქნებოდი ეს სისულელეები შეწყვეტილიყო.

– მე კი არა, ვინიციუსი იქნებოდა მოხარული, – უთხრა პეტრონიუსმა, – ვინიციუსისთვის მინდოდა

ერთი ქალი დამეხსნა, მაგრამ არ შემიძლია, რადგან აჰენობარბუსი წყალობის თვალით აღარ არის ჩემთან.

– როგორ? განა ვერ ატყობ, რომ კეისარი ისევ შენკენ მოტრიალდა და სასაუბროდ გიწვევს? იმასაც გეტყვი, რად. ისევ აქაიაში წასვლას აპირებს, იქ თავის შეთხზულ სიმღერებს იმღერებს. ეს მოგზაურობა გულით სურს, თანაც ეშინია, ვაითუ ბერძნებში ვერ გაიმარჯვოს. ნერონი ფიქრობს, იქ ან დიდი ზეიმი დამხვდება, ან დიდი დამარცხებაო. კეთილი რჩევა არის მისთვის საჭირო. იცის, რომ შენზე უკეთეს რჩევას ვერავინ მისცემს. აი მიზეზი, რისთვისაც მოგიბრუნდა ნერონი.

– ჩემს მაგიერობას ლუკანუსი გაუწევს.

– ჟღალწვერას იგი სძულს და გულში სიკვდილის განაჩენი უკვე გამოუტანა, მხოლოდ მიზეზს ეძებს. ლუკანუსს ესმის, რომ დაჩქარება არის საჭირო.

– კასტორსა ვფიცავ! – თქვა პეტრონიუსმა, – შესაძლებელია, მაგრამ მე ერთი საშუალებაცა მაქვს, კეისრის წყალობა სწრაფად მოვიპოვო.

– რა საშუალება?

– ჟღალწვერას ის გავუმეორო, რაც შენ ახლა მითხარ.

– მე არაფერი მითქვამს! – შეწუხებით დაიძახა სცევინმა.

პეტრონიუსმა მხარზე ხელი დაადო.

– შენ კეისარს სულელი დაუძახე. პისონი მის მემკვიდრედ დაასახელე. შენ თქვი: ლუკანუსს ესმის, რომ დაჩქარება არის საჭიროო, რის დაჩქარება გინდათ?

სცევინი გაფითრდა და წუთით პეტრონიუსს თვალი თვალში გაუყარა.

– შენ არ გაიმეორებ.

– კიპრიდას ვფიცავ! რა კარგად მიცნობ. არა, არ გავიმეორებ, მე არაფერი გამიგონია და არც რისამე გაგონება მინდა... გესმის?

– სიცოცხლე მეტად ხანმოკლეა, ამიტომ არა ღირს რამეზე ვიზრუნოთ. მე შენ მხოლოდ ამას გთხოვ, დღესვე ტიგელინუსთან წახვიდე და იმასაც ისე დიდხანს ელაპარაკო, როგორც მე მელაპარაკე... რაზედაც გინდა ელაპარაკე.

– რატომ?

– იმიტომ, რომ თუ ტიგელინუსი როდისმე მეტყვის: შენთან სცევინი იყოო, შემეძლება ვუპასუხო: იმავე დღესვე შენთანაც იყო-მეთქი.

ამ სიტყვებზე სცევინმა თავისი სპილოს ძვლის ჯოხი გატეხა და თქვა:

– დღეს წავალ ტიგელინუსთან და შემდეგ ნადიმზე ვიქნები ნერვასთან. შენც ხომ მოხვალ? ასეა თუ ისე, ნახვამდის, ხვალზევით გნახავ ამფითეატრში, სადაც ქრისტიანები უკანასკნელად გამოვლენ... ნახვამდის!

– ნახვამდის! – გაიმეორა პეტრონიუსმა და როცა მარტო დარჩა, თქვა, – მაშ, დროს დაკარგვა არ იქნება. მე ნამდვილად საჭირო ვარ აჰენობარბუსისთვის აქაიაში... მაშ, ანგარიში უნდა გამიწიოს.

და გადაწყვიტა, უკანასკნელი საშუალებანი ეცადნა.

მართლაც ნერვას ნადიმზე თვითონ კეისარმა მოითხოვა, რომ პეტრონიუსი მის პირდაპირ წამოწოლილიყო. იმას მასთან ლაპარაკი უნდოდა აქაიაზე და სხვა ქალაქებზე, სადაც შესაძლო

იყო, საჯარო გამოსვლას დიდი გამარჯვება მოჰყოლოდა. ყველაზე ძალიან ათენელები აინტერესებდა, რადგან მათი ეშინოდა. დანარჩენი ავგუსტიანები მათ ლაპარაკს ყურადღებით ისმენდნენ, რა არის, პეტრონიუსის ზოგი სიტყვა დაეხსომებინათ და შემდეგ თავის საკუთარ სიტყვებად გაესაღებინათ.

– ასე მგონია, აქამდე არ მიცხოვრია, – თქვა ნერონმა, – და ამ ქვეყანას მხოლოდ საბერძნეთში მოვევლინები.

– შენ ქვეყანას მოევლინები ახალი დიდებისა და უკვდავებისათვის, – უთხრა პეტრონიუსმა.

– იმედი მაქვს, ეგრეც იქნება და აპოლონი მოშურნეობას არ გამიწევს. თუ ზეიმით დავბრუნდებით, ისეთ ჰეკატომბას აღვუთქვამ, როგორიც ჯერ არც ერთ ღმერთს არ ღირსებია.

სცევინმა ჰორაციუსს ერთი ლექსი წაუკითხა:

Sic, te diva potens Cypri,

Sic fratres Helenae, Lucida sidera,

Ventorumque regat pater…

– გემი უკვე ნეაპოლში დგას – უთხრა კეისარმა. – ხვალვე წასვლაზე უარს არ ვიტყოდი.

პეტრონიუსი წამოდგა, კეისარს თვალი გაუსწორა და უთხრა:

– ნება მომეცი, ღვთაებრივო, ჯერ ქორწინების ნადიმი გავმართო, რაზეც ყველაზე უწინ შენ გიწვევ.

– ქორწინების ნადიმიო? რა ქორწინებისა? – ჰკითხა კეისარმა.

– ვინიციუსისა და ლიგიელების მეფის ასულის, შენი მძევლისა. მართალია, ახლა იგი საპატიმროშია, მაგრამ, ჯერ ერთი, მძევალია და მისი დაპატიმრება არ შეიძლება, მერე კიდევ, ვინიციუსს მისი შერთვის ნება შენ თვითონ მიეცი. შენი გადაწყვეტილება, ვით ზევსის გადაწყვეტილება შეუცვლელია. ამიტომ უბრძანე, დილეგიდან გამოუშვან, ხოლო მე მას საქმროს ჩავაბარებ.

ნერონი შეაშფოთა პეტრონიუსის ნათქვამის გულგრილობამ და დაჯერებითმა კილომ. ის მუდამ იბნეოდა, როდესაც ვინმე ასე ელაპარაკებოდა.

– ვიცი, – თქვა მან და თვალი დახარა, – მე მასზე ვფიქრობდი და იმ გოლიათზედაც, კროტონი რომ დაახრჩო.

– მაშ, ორივე გადარჩენილა და ეს არის, – დამშვიდებით უთხრა პეტრონიუსმა.

მაგრამ ნერონს ტიგელინუსი მიეშველა.

– ის ქალი საპყრობილეში კეისრის ბრძანებით არის, და შენ თვითონ არ ამბობდი, პეტრონიუს, მისი გადაწყვეტილება შეუცვლელიაო?

იქ დამსწრენი, ვინც კი ვინიციუსისა და ლიგიას ამბავი იცოდა, მიხვდნენ, რაზედაც იყო ლაპარაკი, ყველანი დაჩუმდნენ და საუბრის დასრულებას უცდიდნენ.

– შენი შეცდომის ბრალია, რომ ქალი საპყრობილეში არის, შენ არ იცი ხალხთა უფლება და იმიტომ. ეგ კეისრის ნების წინააღმდეგ მოხდა, – ხაზგასმით უთხრა პეტრონიუსმა, – მაშ, ტიგელინუს, მიამიტი კაცი ხარ, მაგრამ შენც ვერ დაიწყებ მტკიცებას, რომ რომს ცეცხლი ლიგიელმა ქალმა წაუკიდა. კიდეც რომ დაიწყო ამის მტკიცება, კეისარი არ დაგიჯერებს.

მაგრამ ნერონი უკვე გონს მოვიდა და ბეცი ბოროტების მაუწყებელი თვალები მოჭუტა.

– პეტრონიუსი მართალია, – წარმოთქვა მან.

ტიგელინუსმა გაკვირვებით შეხედა ნერონს.

– პეტრონიუსი მართალია, – გაიმეორა ნერონმა, – ხვალ გაეღება მას საპყრობილის კარები, ხოლო ქორწინების ნადიმზე ხვალზევით ამფითეატრში მოვილაპარაკოთ.

„კიდევ წავაგე“, – გაიფიქრა პეტრონიუსმა.

შინ რომ მივიდა, დარწმუნებული იყო – ლიგიას დასასრული დადგაო, და მეორე დღეს თავისი აზატი გაგზავნა ამფითეატრში სპოლარიუმის ზედამხედველთან პირობის დასადებად, რომ ლიგიას გვამი მოეცა, რადგან უნდოდა, იგი ვინიციუსისათვის ჩაებარებინა.

თავი მეცხრე

ნერონის დროს ცირკში ან ამფითეატრში საღამოს წარმოდგენების გამართვა ჩვეულებად შეიქნა. ასეთი წარმოდგენები უწინ იშვიათი იყო. კეისრის მახლობელთ ასეთი წარმოდგენები უყვარდათ: წარმოდგენების შემდეგ ნადიმები და სმა იმართებოდა და დილამდე გრძელდებოდა. თუმცა ხალხს სისხლი მოყირჭდა, მაინც როდესაც ხმა გავარდა, თამაშებს ბოლო

ეღება და საღამოს წარმოდგენაზე უკანასკნელი ქრისტიანები დაიხოცებიანო, ამფითეატრს უამრავო ხალხი მოაწყდა. კეისრის მახლობელნი უკლებლივ მივიდნენ; იცოდნენ, რომ ეს წარმოდგენა არაჩვეულებრივი უნდა ყოფილიყო. იცოდნენ, კეისარმა გადაწყვიტა ვინიციუსისათვი სატანჯველი სანახაობა გაემართა. ტიგელინუსი საიდუმლოდ ინახავდა, როგორი ტანჯვა გადაუწყვიტეს ახალგაზრდა ტრიბუნის საცოლეს. ეს საერთო ცნობისმოყვარეობას აღიზიანებდა. ვისაც როდისმე პლავციუსის სახლში ენახა ლიგია, ახლა მის სილამაზეზე სასწაულებს ლაპარაკობდა. სხვებს უწინარეს ყოვლისა ის საკითხი აინტერესებდათ – დღეს ასპარეზზე მართლა ნახავდნენ ლიგიას თუ ვერა. ნერვას ნადიმზე რომ კეისარმა პეტრონიუსს უთხრა, ის შეიძლებოდა ორგვარად გაგებულიყო. ზოგი ფიქრობდა, ნერონი ქალს მისცემს, ან იქნებ უკვე მისცა კიდეც ვინიციუსსო. ამბობდნენ, ქალი მძევალია, ნება აქვს, რომელ ღმერთსაც უნდა, იმ ღმერთს სცეს თაყვანი და ერთა უფლება მისი დასჯის ნებას არ იძლევაო.

ჭოჭმანმა, მოლოდინმა და ცნობისმოყვარეობამ ამფითეატრის ყველა დამსწრე მოიცვა. კეისარი ჩვეულებრივზე ადრე მოვიდა. ამფითეატრში ჩურჩული გაისმა, რაღაც არაჩვეულებრივი უნდა მოხდეს, რაკი ნერონს ტიგელინუსის და ვატინიუსის გარდა კასიუსიც ახლდა. ეს იყო დიდი ღონის პატრონი ცენტურიონი, რომელიც ნერონს თან დაჰყავდა, როდესაც დამცველი ესაჭიროებოდა, მაგალითად ღამეული ხეტიალის დროს. მაცქერალთ შენიშნეს, რომ თვითონ ამფითეატრშიაც გამაფრთხილებელი ღონისძიება იყო მიღებული, პრეტორიელების ყარაული გაძლიერებულიყო, მათ მეთაურობდა არა ცენტურიონი, არამედ ტრიბუნი სუბრიუს ფლავიუსი – ნერონის ბრმა ერთგულებით განთქმული კაცი. ყველა მიხვდა, რომ კეისარს სურდა, უშიშარი ყოფილიყო, თუ ვინიცობაა ვინიციუსის სასოწარკვეთილება საშიში გახდებოდა. ცნობისმოყვარეობამ უფრო იმატა.

ყველას თვალი იქით მიეპყრო, სადაც უბედური საქმრო იჯდა. ხოლო გაფითრებული, შუბლმონამული ვინიციუსი ისევე ჭოჭმანში იყო, როგორც სხვა მაცქერალნი, და სულის სიღრმემდე იყო აღელვებული. პეტრონიუსმა, რაკი ნამდვილად არ იცოდა, რა იქნებოდა, არაფერი უთხრა ვინიციუსს, და ნერვასგან დაბრუნებულმა მხოლოდ ჰკითხა: ყველაფრისთვის მზადა ხარ თუ არა, და ამფითეატრში ხომ იქნებიო? ვინიციუსმა ორივე კითხვაზე „ხო“

მიუგო, მაგრამ თან ცივმა ოფლმა დაასხა, რადგან მიხვდა, რომ პეტრონიუსი ამას უმიზეზოდ არა ჰკითხავდა. ყველა უწინდელი ტანჯვა ახალი ძალით განუახლდა და ლიგიას დახსნის უწინდელმა სურვილმა მოიცვა. რაც უნდა მომხდარიყო, იმას უნდოდა, დილით კუნიკულუმში როგორმე

შესულიყო, დარწმუნებულიყო, იქ იყო ლიგია თუ არა. მაგრამ ყველა შესავალ-გამოსავალს პრეტორიელი დარაჯები იცავდნენ და განკარგულებებიც ისეთი სასტიკი იყო, რომ თვითონ ნაცნობი დარაჯები ვერც თხოვნით და ვერც ოქროთი ვერ დაიყოლია. ვინიციუსს მოეჩვენა, მოლოდინი თვითონ სანახაობაზე ადრე მომკლავსო. სადღაც, გულის სიღრმეში კიდევაც ჰქონდა სუსტი იმედი, იქნებ ლიგია არაა ამფითეატრში და ჩემი შიში ტყუილუბრალოაო. დროდადრო, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, ამ იმედს ებღაუჭებოდა. თავის თავს ეუბნებოდა, რომ ქრისტეს შეეძლო ნება მიეცა, საპყრობილეში წაეყვანათ, მაგრამ იმას კი აღარ დაუშვებდა, რომ ასპარეზზე ტანჯვით მოეკლათ. უწინ ყველაფერში ქრისტეს ნებას ემორჩილებოდა, ახლა კი, როცა კუნიკულუმის კარიდან ხელნაკრავი ხელახლა ცირკში დაბრუნდა, დამსწრეთ გადაავლო თვალი და იმათ ცნობისმოყვარე შემოხედვაზე იგრძნო, შესაძლოა რაღაც საშინელება მოხდესო, ისეთი ვნებით დაუწყო ქრისტეს ვედრება, რომ მუქარას ჰგავდა. „შენ შეგიძლია, შენ შეგიძლია!“ – იმეორებდა იგი. წინათ როდი ეგონა, რომ ის წამი, როდესაც შიში სინამდვილედ გადაიქცეოდა, ასე საზარელი იქნებოდა. ახლა მთლად თავდავიწყებული, იმას მაინც გრძნობდა, როდესაც ლიგიას ტანჯვას დავინახავ, მაშინ ქრისტესადმი სიყვარული სიძულვილად გადამექცევა, ხოლო რწმენა – სასოწარკვეთილებადო. ეს გრძნობები აშინებდნენ, ეშინოდა, ქრისტე არ შეურაცხვყოო. თან ემუდარებოდა, წყალობა მოეღო და სასწაული მოეხდინა. ის აღარ სთხოვდა ქრისტეს, ლიგიასთვის სიცოცხლე შეენარჩუნებინა, იმას მარტო ის უნდოდა, ლიგია ასპარეზზე გამოსვლამდე მომკვდარიყო, და გულში იმეორებდა: „ეს მაინც შემისრულე და მე უფრო მეტად

შეგიყვარებ, ვიდრე აქამდე მიყვარდი“. ბოლოს აზრი მთლად მიმოეფანტა, თითქოს ქარმა წამოუბერაო. მასში სამაგიეროს მიგებისა და სისხლის დაღვრის წყურვილმა გაიღვიძა, უნდოდა, ნერონს მივარდნოდა და მაცქერალთა თვალწინ დაეხრჩო! მაგრამ იმასაც გრძნობდა, რომ ეს სურვილი შეურაცხყოფდა ქრისტეს. როგორც წყალწაღებული ხავსს ეჭიდება – იმ აზრს მოეჭიდა, რომ მისი ხსნა მარტო სარწმუნოებას შეეძლო. ეს ერთი

სახსარიღა შერჩა. პეტრემ აკი თქვა: „სარწმუნოებით შეიძლება დედამიწა დასძრაო“.

და მან ძალ-ღონე მოიკრიბა, ეჭვი ჩაიხშო და სასწაულის მოლოდინი დაიჭირა.

მაგრამ როგორც ძალიან გაჭიმული სიმი წყდება ისევე ვინიციუსი გატეხა ამდენმა მღელვარებამ. იმას სახეზე მკვდრის ფერი დაედო, სხეული გაეყინა. მაშინ იფიქრა, ჩემი ვედრება შესმენილია, ესაა, ვკვდებიო. მოეჩვენა, რომ ლიგიაც მოკვდა და ქრისტეს ორივენი თავისთან მიჰყავს. ასპარეზი, უამრავი მაყურებელი, მათი თეთრი ტოგები, ათასობით ლამპრებისა და ჩირაღდნების სინათლე ყველა ეს ერთბაშად გაქრა.

– ავად ხარ, – უთხრა პეტრონიუსმა, – უბრძანე, შინ წაგიყვანონ.

და ყურადღება აღარ მიაქცია, ამაზე კეისარი რას იტყვისო. ადგა, რომ ვინიციუსისთვის ეშველა და

გარეთ გაეყვანა. გული სიბრალულით ჰქონდა აღსავსე; ამას გარდა ის აბოროტებდა, რომ კეისარი თავის ზურმუხტში სულ ვინიციუსს უცქეროდა, იმის ტანჯვას სიამოვნებით ადევნებდა თვალს, იქნებ იმიტომ, შემდეგ თავის ლექსებში აეწერა და მსმენელთა ტაშისცემა დაემსახურებინა.

ვინიციუსმა თავის გაქნევით უთხრა უარი. ამფითეატრში შეეძლო მომკვდარიყო, მაგრამ იქიდან გასვლა კი არ შეეძლო. წარმოდგენა ხომ ახლა უნდა დაწყებულიყო.

მართლაც უმალვე ქალაქის პრეფექტმა წითელი ხელსახოცი აიქნია და იმ ნიშანზე კეისრის პოდიუმის პირდაპირ კარი ჭრიალით გაიღო და გაკაშკაშებულ ასპარეზზე გამოვიდა ურსუსი.

მან ასპარეზის სინათლის გამო თვალები მოჭუტა, შემდეგ მის შუაგულში მივიდა, თითქოს უნდოდა გაეგო, რა მოელოდა. კეისრის ყველა მახლობელმა და მაყურებელთა მეტმა ნაწილმა იცოდა, ეს ის კაცია, კროტონი რომ დაახრჩოო. დაინახეს თუ არა, სკამებს ჩურჩულმა გადაურბინა. რომში ისეთი გლადიატორი ბევრი იყო, რომ თავისი ტანითა და ღონით ხალხს აკვირვებდა, მაგრამ ამისი მსგავსი კი კვირიტების თვალებს ჯერ არასდროს არ ენახა. კასიუსი, პოდიუმში კეისრის უკან მდგარი, ურსუსთან შედარებით კაცუნად მოჩანდა. სენატორები, ვესტას მსახური ქალები, კეისარი, მისი მახლობელნი და ხალხი მცოდნისა და მოტრფიალის თვალით უცქეროდნენ

მის ჩასხმულ თეძოებს, ფარის მსგავს მკერდს და ჰერკულესისებურ ხელებს. ხმაურობა მატულობდა. ამ

ბრბოსთვის იმაზე მეტი დატკბობა არ არსებობდა, როგორც ამ კუნთების მოქმედების, ძალდატანებისა და ბრძოლის ცქერა. ნელ-ნელა ჩურჩულს წამოძახილები და ნაჩქარევი კითხვები შეერია. კითხულობდნენ, ასეთი გოლიათის წარმომშობი ხალხი სადა ცხოვრობსო. ურსუსი კი ამფითეატრის შუაგულ იდგა ტიტველი, უფრო ქვის კოლოსის მსგავსი, ვიდრე ადამიანისა. იდგა ჩაფიქრებული და ნაღვლიანი, ცარიელ ასპარეზს რომ ხედავდა, ცისფერ თვალებს ხან კეისარს მიაპყრობდა, ხან დამსწრე ხალხს, ხანაც კუნიკულუმის რიკულს, საიდანაც ჯალათებს მოელოდა.

როდესაც ის ასპარეზზე გამოდიოდა, მარტივმა გულმა უკანასკნელი იმედით ამცნო, იქნებ ჯვარი გელისო. მაგრამ როდესაც დაინახა, რომ ჯვარი არსად იყო, არც მოთხრილი ორმო, მაშინ იფიქრა, რომ ამ წყალობის ღირსი არ იყო და სხვა სიკვდილი ელოდა. ალბათ მხეცებს მისცემდნენ დასაფლეთად. უიარაღო იყო და გადაწყვიტა, უნდა დავიღუპო, როგორც კრავის თაყვანისმცემელს შეეფერება – დამშვიდებით და მოთმინებითო. უნდოდა, ერთი კიდევ ელოცნა, ასპარეზის შუა დაიჩოქა, გულხელი დაიკრიფა და თვალები ვარსკვლავებს მიმართა, რომელნიც სადღაც ზემოთ ციმციმებდნენ.

მაგრამ ეს ბრბოს არ მოეწონა. საკმაოდ ნახეს ქრისტიანები, ცხვრებივით რომ იხოცებოდნენ. ყველა მიხვდა, თუ ეს გოლიათი თავის დაცვას არ მოინდომებდა, მაშინ იმათ საყურადღებო სანახავი მოაკლდებოდათ. აქა-იქ სტვენა გაისმა, მაგრამ წამს უკან ყველა მიწყნარდა. არავინ

იცოდა, გოლიათს რა მოელოდა და მოისურვებდა თუ არა ბრძოლას, როდესაც სიკვდილის პირისპირ აღმოჩნდებოდა.

ლოდინი დიდხანს არ დასჭირდათ. უცებ სპილენძის საყვირების მჭახე ხმა გაისმა. რიკულები ყურთამდე გაიღო და ასპარეზზე ბესტიარიუსების ყვირილით გაშმაგებული ურჩხულისებური გერმანული ხარი გამოვარდა თავზე დაშარტული ტიტველი ქალით.

– ლიგია! ლიგია! – დაიყვირა ვინიციუსმა.

ხელები თავზე წაიჭიდა, შუბნაკრავი კაცივით მოიხარა და ხრინწიანი, არაადამიანური ხმით წამოიძახა:

– მწამს! მწამს! ქრისტეო, სასწაული მაჩვენე!

იმან ვერც კი იგრძნო, რომ ამ დროს პეტრონიუსმა თავზე ტოგა წამოაფარა. ეგონა, სიკვდილმა დაუბინდა თვალები და რაღაც სიცარიელის გრძნობამ მოიცვა. თავში ერთი აზრიც აღარ შერჩა, მხოლოდ ტუჩებით უგრძნობლად იმეორებდა:

– მწამს, მწამს, მწამს!

ამფითეატრი მიწყნარდა. კეისრის მახლობელნი სულ ერთიანად წამოდგნენ, რადგან ასპარეზზე რაღაც არაჩვეულებრივი ხდებოდა. მორჩილი და სიკვდილისთვის გამზადებული ლიგიელი, თავისი მეფის ასული ხარის რქებზე დაინახა თუ არა, წამოხტა, თითქოს გახურებული რკინა მიაკრესო, და წელში მოხრილი, გაშმაგებული ნადირის შესახვედრად გაიქცა.

მაყურებლებს გაოცების ხმა აღმოხდათ. შემდეგ ისევ დუმილი ჩამოვარდა. ლიგიელი მარბენალ ხარს წუთში მოეწია და რქებში ხელი წაავლო.

– უცქირე! – დაუყვირა პეტრონიუსმა ვინიციუსს და ტოგა ახადა.

ვინიციუსი წამოდგა, გაფითრებული სახე უკან გადიღო და მთლად უგრძნობელი თვალებით ასპარეზს დააცქერდა.

მაყურებლებმა სუნთქვა შეიგუბეს, ამფითეატრში ბუზის გაფრენის გაგონება შეიძლებოდა. მაცქერალნი თავიანთ თვალებს არ უჯერებდნენ, რომის დაფუძნებიდან მსგავსი რამ ჯერ არავის ენახა.

ლიგიელს ნადირი რქებით ჰყავდა დაჭერილი. ფეხები კოჭებს ზევითამდე ქვიშაში ჩაფლობოდა,

ზურგი მაგრად მოზიდული მშვილდივით გამოებერა, თავი მხრებშუა ჩაერგო, კუნთები ისე დაეჭიმა, კაცი იფიქრებდა, საცაა კანი გაუსკდებაო, მაინც ხარი ერთ ადგილას გააშეშა. კაციცა და ხარიც ისე უძრავად იდგნენ, მაცქერალთ ეგონათ, ქვის ქანდაკებას ვხედავთო, რომელიც ჰერკულესს თუ თესევსს გამოხატავსო, მაგრამ ამ გარეგან დამშვიდებაში ორივე მებრძოლის ღონის საშინელი დაძაბვა ჩანდა, ხარსაც, როგორც კაცს, ფეხები ქვიშაში ჩაერჭო, ხოლო მუქი, ბანჯგვლიანი ტანი ისე დაებერა, რომ ვეებერთელა ბურთს დამსგავსებოდა. პირველი ვინ დაუძლურდებოდა, პირველი ვინ დაეცემოდა – ახლა ეს საკითხი მაყურებელთ უფრო აინტერესებდა, ვიდრე საკუთარი ბედი, ვიდრე რომი და მისი მეუფება. ახლა მათთვის ეს ლიგიელი ნახევარღმერთი იყო, თაყვანისცემისა და ქანდაკების ღირსი, თვითონ კეისარიც წამოდგა. იმან და ტიგელინუსმა ამ კაცის ძალ-ღონე რომ გაიგეს, ეს სანახავი განგებ გამართეს. ერთმანეთს სიცილით ეუბნებოდნენ:

„აბა, კროტონის მძლეველმა, ჩვენ რომ ავარჩევთ, ის ხარიც სძლიოს!“ ახლა კი გაკვირვებულნი სჩანდნენ და თითქოს არა სჯეროდათ, რომ ეს სინამდვილე იყო. ამფითეატრში ბევრმა ხელები მაღლა აიღო და ისევე გაშეშდა, ზოგს კიდე ოფლმა დაასხა, თითქოს ნადირს თვითონ ისინი ეჭიდებოდნენ. ცირკში მარტო ფარნების ცეცხლის ტკაცუნი მოისმოდა და ჩირაღდნებიდან ჩამოცვივნული ნაპერწკლები ჩანდა. ყველას გული ისე მაგრად უცემდა, თითქოს გარეთ გამოვარდნა უნდაო. ყველას ისე ეჩვენებოდა, მთელი საუკუნეა, რაც კაცი და ხარი იბრძვისო.

უცებ ასპარეზზე გმინვის მსგავსი ღმუილი გაისმა, მაცქერალთაც კივილი აღმოხდათ და ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. ხალხმა შეამჩნია, როგორ ძირს დაეშვა ბარბაროსის რკინის ხელებში მომწყვდეული ხარის თავი.

ლიგიელს სახე, კისერი და ხელები ძოწეულის ფერისა გაუხდა; ზურგი უფრო ძლიერ მოემშვილდა. ჩანდა, რომ დარჩენილ არაადამიანურ ღონეს იკრებდა, მაგრამ დიდხანს ვეღარ გაძლებდა.

უფრო და უფრო ყრუ ხრიალი და დაძაბუნებული ხარის ბღავილი ურსუსის მკერდის ქშინვას ერთოდა. ნადირის თავი უფრო და უფრო ძირს ეშვებოდა, პირიდან ქაფმოდბული ენა გადმოვარდნოდა.

წამიც და ახლოს მჯდარ მაცქერალთ გატეხილი ძვლების ჭახანი მოესმათ და კისერმოტეხილი მხეცი მიწაზე გაიშხლართა.

იმწამსვე გოლიათმა ხარს რქებზე თოკები დააგლიჯა, ქალი ხელში აიყვანა და ღრმად ამოისუნთქა.

სახე გაფითრებოდა, გაოფლილი თმა შუბლზე მიკვროდა და მკლავები წყალში ამოვლებულივით სველი ჰქონდა. ერთ წამს უგრძნობლად იდგა, მერე კი აიხედა და მაცქერალთ თვალი გადაავლო.

ამფითეატრი მთლად გაგიჟდა.

შენობის კედლები რამდენიმე ათი ათასი კაცის ყვირილმა შეაზანზარა. სანახაობათა დასაწყისიდან ასეთი აღტაცება არავის ახსოვდა. ზედა სკამებზე მსხდომნი ძირს ჩავიდნენ, რომ ფალავანი კარგად ენახათ. ყოველი მხრიდან პატიების თხოვნა მოისმა, ძლიერი, დაჟინებული, შემდეგ ეს თხოვნა საერთო ყვირილად გადაიქცა. ახლა გოლიათი ძალ-ღონის პატივისმცემელი ხალხისათვის ძვირფასი შეიქნა და რომში პირველ ადამიანად იქცა.

ლიგიელმა გაიგო, რომ ხალხი მის სიცოცხლესა და თავისუფლებას ითხოვდა, მაგრამ ეტყობოდა ამას ცოტაობდა. წუთით აქეთ-იქით მიმოიხედა,

შემდეგ კეისრის პოდიუმთან მივიდა, ნერონს მავედრებელი თვალი შეავლო, თითქოს სთხოვსო: ეს შეიბრალეთ, ამას აპატიეთ, ამისთვის ჩავიდინეო!

მაცქერალნი მიხვდნენ, რასაც ითხოვდა გოლიათი. გულშეღონებული ქალი რომ დაინახეს,

რომელიც ლიგიელის უზარმაზარ ტანთან შედარებით პატარა ბავშვს ჰგავდა, ხალხი, სენატორები, მხედრები მღელვარებამ მოიცვა. ყველას გული აუჩუყა ლიგიას პაწაწა, თეთრმა, თითქოს მარმარილოსგან გამოქანდაკებულმა ტანმა, მისმა გულშეღონებამ, საშინელებამ, რისგანაც გოლიათმა დაიხსნა, დასასრულ იმისმა სილამაზემ. ზოგს ეგონა, მამა ითხოვსო თავისი შვილის პატიებას. სიბრალულმა ცეცხლის ალივით იფეთქა. კმარა დაღვრილი სისხლი, კმარა სიკვდილი, კმარა ტანჯვა... ცრემლმორეული ხმებიც გაისმა. ხალხი ორივეს პატიებას ითხოვდა.

ამასობაში ურსუსმა ასპარეზს გარს შემოუარა. ქალს წყნარად ხელში აქანებდა და მოძრაობითა და თვალებით ემუდარებოდა იქ მყოფთ, ლიგიასათვის სიცოცხლე ეჩუქებინათ. ვინიციუსი ადგილიდან წამოხტა, მოაჯირზე გადახტა, ლიგიასთან მიირბინა და ქალის შიშველ ტანს თავისი ტოგა გადააფარა.

შემდეგ მკერდზე ტუნიკა ჩამოიგლიჯა, სომხებთან ომში მიღებული ჭრილობის ნაკვალევი გამოიჩინა და ხელი ხალხისკენ გაიწოდა.

მაშინ ხალხის შეგულიანება საზღვარს გადასცილდა. ფეხების ბრახუნი და გმინვა დაიწყეს. პატიების მთხოვნელნი უფრო ძლიერ ახმაურდნენ. ხალხი არა მარტო გოლიათს ესარჩლებოდა, არამედ ქალსაც მფარველობას უწევდა, მეომარსაც და მათ სიყვარულსაც. ათასობით

მაყურებელმა კეისარს მიაპყრო რისხვისაგან ანთებული თვალი და დამუშტული ხელი. კეისარი მაინც ფეხს ითრევდა და ყოყმანობდა. მართალია, იმას ვინიციუსის სიძულვილი არა ჰქონდა, ლიგიას სიკვდილი არა სურდა, მაგრამ ხარის რქებით დაგლეჯილი ან ველური ნადირის ეშვებით დაფლეთილი ქალის სხეულის ნახვა უნდოდა. მისი სიმკაცრე, გარყვნილი წარმოდგენა და აულაგმავი ვნება ამისთანა სანახაობაში სიამოვნებას პოვებდა. და აი ახლა ხალხს უნდოდა, მისთვის ეს სიამოვნება წაერთმია. თავმოყვარეობა ნებას არ აძლევდა, ხალხს დამორჩილებოდა, მაგრამ თანდაყოლილი სიმხდალის გამო ვერ ბედავდა, მისთვის წინააღმდეგობა გაეწია.

და აი, გარშემო მიმოიხედა, ეგებ მახლობლებში დაენახა ვინმე თითჩაშვებული, რაც სიკვდილის განაჩენის ნიშანი იქნებოდა. მაგრამ პეტრონიუსს ხელი მაღლა ეჭირა და მუქარის გამომეტყველებით მისჩერებოდა. ცრუმორწმუნე, ზვირთიყარია ვესტინიუსმა, სულებისა რომ ეშინოდა და ხალხისა კი არა, აგრეთვე შეწყალების ნიშანი მისცა. ასევე მოიქცა სენატორი სცევინი, ნერვაც, ტულიუს სენეციონიც, აგრეთვე ბებერი მხედართმთავარი ოსტორიუს სკაპულაც, ანტისტიუსიც, კრისპინიც, მინუციუსიც, ტერმიცა, პონტიუს ტელეზინაც და მთელი ხალხისგან პატივცემული თრასეაც. კეისარმა რომ ეს დაინახა, თვალთაგან ზურმუხტი მოიშორა. სახეზე წყენა და სიძულვილი გამოეხატა. მაშინ ტიგელინუსი, პეტრონიუსის გამოჯავრებით რომ მოქმედებდა, კეისრისაკენ დაიხარა და უთხრა:

– ნუ დასთმობ, ღვთაებრივო, პრეტორიელები ჩვენს მხარეზე არიან.

მაშინ კეისარმა იქითკენ მიიხედა, სადაც პრეტორიელები იყვნენ, ჯერაც მისი ერთგულნი. მათ ლომგული სუბრიუს ფლავიუსი ხელმძღვანელობდა. რაღაც არაჩვეულებრივი დაინახა ნერონმა. მოხუც ტრიბუნს მკაცრ სახეზე ცრემლები ჩამოსდიოდა, ხოლო ხელი მაღლა ჰქონდა აშვერილი.

ბრბოს სიშმაგე მოერია, ფეხების ბრახუნისგან მტვერი ავარდა და ამფითეატრი დაფარა. გაისმა „აჰენობარბუს! დედის მკვლელო! ცეცხლის წამკიდებელო!“

ნერონი შეშინდა. ხალხი ცირკში მუდამ სრულუფლებიანი ბატონი იყო. წინამორბედი კეისრები, მეტადრე კალიგულა, ხანდახან ხალხის სურვილის წინააღმდეგ ირჯებოდა, რასაც ზოგჯერ არეულობა მოჰყვებოდა ხოლმე, ზოგჯერ სისხლის ღვრაც კი.მაგრამ ნერონი განსაკუთრებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა: იმისთვის, ვითა მსახიობისა და მომღერალისთვის, ხალხის სიყვარული იყო საჭირო; მერე იმას სურდა, იგი მომხრედ ჰყოლოდა სენატორებისა და პატრიციების წინააღმდეგ, დასასრულ, ხანძრის შემდეგ იგი ცდილობდა, როგორმე ხალხის გული მოეგო და მისი რისხვა ქრისტიანებისაკენ მიემართა. ნერონი მიხვდა, რომ წინააღმდეგობის გაწევა საშიში იქნებოდა. ცირკში დაწყებულ მღელვარებას შეეძლო მთელი ქალაქი გაეტაცნა და მოულოდნელი შედეგები მოჰყოლოდა.

ნერონმა ერთიც შეხედა სუბრიუს ფლავიუსს, სენატორის ნათესავს, ცენტურიონ სცევინს,

ჯარისკაცებს. ყველგან შუბლშეკრული აღელვებული ხალხი დაინახა. ნერონმა პატიების ნიშანი მისცა.

ტაშისცემის გრგვინვამ დაუარა ამფითეატრს. ხალხი უკვე დარწმუნებული იყო, რომ განსჯილნი ცოცხალნი დარჩებოდნენ, ამ წამიდან ისინი ხალხის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდნენ და თვითონ კეისარიც ვეღარ გაბედავდა, შურისძიება დაეტეხა მათთვის.

თავი მეათე

ოთხ მონას ლიგია ფრთხილად მიჰქონდა პეტრონიუსის სახლში. ვინიციუსი და ურსუსი გვერდით მისდევდნენ და ეშურებოდნენ, ჩქარა გადაეცათ ქალი ბერძენი ექიმისთვის. მდუმარენი მიდოდნენ. ვინიციუსი აქამდე გონზე ვერ მოსულიყო. იგი თავისთვის იმეორებდა, რომ ლიგია დახსნილია, რომ მას აღარც საპყრობილე, არც ცირკში სიკვდილი აღარ ემუქრებოდა, რომ ბედკრულმა დრომ სამუდამოდ გაიარა, რომ ქალი თავისთან მიჰყავს და არასოდეს აღარ განშორდებიან ერთმანეთს. ხანდახან ახდილ ტახტრევანს ჩაჰყურებდა. რათა ძვირფასი სახე დაენახა და გუნებაში იმეორებდა: „ ეს ლიგიაა! ქრისტემ დაიხსნა!“ იმას ისიც მოაგონდა, რომ სპოლარიუმში, სადაც ურსუსმა და იმან ლიგია შეიტანეს, ვირაც უცნობი ექიმი მივიდა და დაარწმუნა, ლიგია ცოცხალია და მორჩებაო. ამ მოგონებაზე სიხარულმა მკერდი შეუკუმშა, ხანდახან ისეთი სისუსტე დარევდა ხელს, მუხლთ ეკვეთებოდა და დაუხმარებლად სიარული აღარ შეეძლო. ურსუსი ვარსკვლავებით მოჭედილ ცას შესცქეროდა და ლოცულობდა. ჩქარა მიდიოდნენ. გარშემო ახლად აშენებული თეთრი სახლები მთვარის შუქზე ბრწყინავდნენ. ქალაქი ცარიელი იყო. აქა-იქ ფათალოს გვირგვინით შემკობილი ხალხი მღეროდა, სალამურის ხმაზე ცეკვავდნენ. მშვენიერ მთვარიან ღამეში ტკბებოდნენ, უქმეებით ხელგახსნილნი. ეს უქმეები თამაშების დაწყებიდან მოდიოდა. სახლს რომ მიუახლოვდნენ, ურსუსმა ლოცვა გაათავა და ჩუმად, თითქოს ლიგიას გაღვიძებისა ეშინოდა, თქვა:

– ბატონო, მაცხოვარმა დაიხსნა სიკვდილისაგან. მე რომ ეს ხარის რქებზე დავინახე, ჩამესმა: „დაიხსენ!“ და ეს ხმა, უეჭველია, ქრისტეს ხმა იყო. საპყრობილემ გამომაცალა ღონე და იმან იმ წამში კვალად დამიბრუნა. იმ სასტიკ ხალხსაც იმან მოულბო გული და ლიგიას გამოსარჩლება ჩააგონა. იყავ ნება მისი!

ვინიციუსმა უპასუხა:

– კურთხეულ იყოს სახელი მისი!

მაგრამ მეტის თქმა აღარ შეეძო, რადგან უცებ იგრძნო, რომ ქვითინი მოაწვა. იგი უცნაურმა სურვილმა მოიცვა, მიწაზე დაცემულიყო და ქრისტესთვის მადლობა შეეწირა სასწაულისა და წყალობისთვის.

ამასობაში სახლს მიაღწიეს. მსახურთ ყველაფერი გაგებული ჰქონდათ წინასწარვე გაგზავნილი მონისაგან და მათ მისაგებებლად გამოვიდნენ.

ტარსელმა პავლემ ამ მონების მეტი წილი ანციუმში ყოფნის დროს გააქრისტიანა. ვინიციუსის უბედურება კარგად იცოდნენ, ამიტომაც ნერონის ხელთაგან დახსნილი ორივე მსხვერპლი რომ

დაინახეს, დიდ სიხარულს მიეცნენ და ეს სიხარული უფრო გაძლიერდა, როდესაც ექიმმა ლიგიას გასინჯვის შემდეგ გამოაცხადა, ხურვების მერე სისუსტე როცა გამონელდება, ჩქარა მორჩებაო.

ლიგია იმავ ღამეს გონზე მოვიდა. გარშემო შემოხვეული ხალხი დაინახა. დაინახა, რომ მშვენიერ კუბიკულუმში იწვა, იქაურობა კორინთოს ფანრებით იყო განათებული, ვერვენის სურნელება იგრძნო. კარგად ვერ გაერკვა, სად იყო და რა ემართებოდა. უკანასკნელი, რაც დაამახსოვრდა ის იყო, რომ ხარის რქებზე დაშარტეს. ახლა ვინიციუსის სახე რომ ფანრების ნაზი სინათლით განათებული დაინახა, გადაწყვიტა, ორივენი დედამიწაზე აღარ ვართო. დასუსტებულს გონება აეფუტკნა. იმას ეჩვენებოდა და ბუნებრივადაც მიაჩნდა, რომ მისი სისუსტის გამო ზეცისკენ მიმავალნი გზაზე სადმე შეჩერებულან. არავითარ ტკივილს არა გრძნობდა, ვინიციუსს უღიმოდა და უნდოდა ეკითხა, სად იყვნენ, მაგრამ ბაგეთგან მხოლოდ ჩურჩული აღმოხდა და იმ ჩურჩულში ვინიციუსმა ძლივს გაიგონა თავისი სახელი.

ვაჟმა ლიგიას ლოგინის წინ დაიჩოქა, შუბლზე ხელი დაადო და უთხრა:

– ქრისტემ დაგიხსნა და შენი თავი მე დამიბრუნა.

ლიგიას ტუჩები კვლავ აუთრთოლდა, მაგრამ მალე თვალები დაეხუჭა და ღრმა ძილით დაეძინა. ექიმიც ასეთ ძილს ელოდა. ამბობდა, მორჩენა ამგვარი ძილის შემდეგ დაიწყებაო.

ვინიციუსი ისევ ისე დაჩოქილი იყო, ლოცვაში ჩაინთქა. ექიმი რამდენჯერმე შემოვიდა კუბიკულუმში, რამდენჯერმე ფარდის იქიდან ევნიკას ოქროსთმიანი თავი გამოჩნდა და მოშინაურებულმა წეროებმა დღის დადგომის მაუწყებელი ყატყატი დაიწყეს, ვინიციუსი კი ისევ ოცნებით ქრისტეს

ფერხთ ეხვეოდა და ვერც ხედავდა და არც ესმოდა, მის გარშემო რა ხდებოდა.

თავი მეთერთმეტე

ლიგიას გათავისუფლების შემდეგ პეტრონიუსს არ უნდოდა, კეისარი გაეღიზიანებინა, ამიტომ მასთან და სხვა ავგუსტიანებთან ერთად პალატინზე წავიდა. ისიც უნდოდა გაეგო, იქ რას ლაპარაკობდნენ. განსაკუთრებით აინტერესებდა, რაიმე სახიფათო ხომ არ გამომიგონა ტიგელინუსმაო. მართალია, ლიგიაც და ურსუსიც ახლა ხალხის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდნენ და ბრბოს შიშით ხელს ვერავინ ახლებდა, მაგრამ პეტრონიუსმა იცოდა, რა ძალიან სძულდა იგი პრეტორიის ყოვლისშემძლებელ პრეფექტს, და გრძნობდა, რაკი ტიგელინუსმა თავისი მიზნის მიღწევა პირდაპირი გზით ვერ შეიძლო, ახლა მიხვეულ-მოხვეული გზით ეცდება, ჩემს დისწულზე შური იძიოსო.

ნერონი მეტად გაბრაზებული იყო, რომ წარმოდგენა ისე ვერ გათავდა, როგორც მისთვის სასურველი იყო. პირველ ხანს პეტრონიუსის დანახვაც არ უნდოდა. ის კი ჩვეულებრივი გულგრილობითა და თავშეკავებით, ვითა arbiter elegantiarum-ს შეეფერება, მივიდა მასთან და უთხრა:

– იცი, ღვთაებრივო, თავში რა აზრი მომივიდა? ლექსი დაწერე ქალზე, რომელიც მსოფლიოს მეუფის ბრძანებამ გარეული ხარის რქებისგან იხსნა და სატრფოს დაუბრუნა. ბერძნები ჩვილი გულის პატრონები არიან. დარწმუნებული ვარ, ასეთი სიმღერა მოხიბლავთ.

მიუხედავად გაბრაზებისა, ნერონს ეს აზრი თავის გემოვნებისად ეჩვენა. ჯერ სიმღერის საგანი მოეწონა, მერე იფიქრა, ეს სახელის მოხვეჭის ახალი საშუალება იქნებაო. წუთით პეტრონიუსს შეხედა და შემდეგ თქვა:

– ჰო, იქნებ მართალიც იყოს, მაგრამ შემფერის საკუთარ სულგრძელობას ვუმღერო?

– არ არის საჭირო, შენი სახელი ახსენო, რომში უიმისოდაც ყველა მიხვდება, რაზე არის დაწერილი, ხოლო რომიდან ამბავი მთელ ქვეყანას ეფინება.

– დარწმუნებული ხარ, რომ აქაიაში მოეწონებათ?

– პოლუქსსა ვფიცავ! – შეჰყვირა პეტრონიუსმა.

და კმაყოფილი წამოვიდა კეისრისაგან. რადგან ახლა დარწმუნებული იყო, რომ ნერონი, რომლის მთელი სიცოცხლე იმითი იყო აღსავსე, როგორმე სინამდვილე პოეტური სახეებისათვის შეეგუებინა, თემის შეცვლას აღარ მოინდომებდა. ამით ტიგელინუსს ხელ-ფეხი შეეკვრებოდა. მაინც თავის ძველ აზრს არ უღალატა – პეტრონიუსი ფიქრობდა, როგორც კი ლიგია მომჯობინდება, ვინიციუსი მაშინვე რომიდან უნდა წავიდესო. და მეორე დღეს რომ ნახა დისწული, უთხრა:

– ლიგია სიცილიაში წაიყვანე. საქმე ისე მოეწყო, რომ კეისრის მხრივ საშიშარი არა არის რა, მაგრამ ტიგელინუსი კი მზად არის, საწამლავსაც კი მიმართოს, თუ თქვენი სიძულვილით არა, ჩემი სიძულვილით მაინც.

ვინიციუსმ გაიღიმა და უთხრა:

– ველური ხარის რქებზე იყო, და ქრისტემ კი მაინც დაიხსნა იგი.

– მაგისთვის მას ჰეკატომბა შესწირე, – ცოტა არ იყოს, გაგულისების კილოთი მიუგო პეტრონიუსმა, – მაგრამ ქრისტეს მეორედ გამოსახსნელს ნუ გაუხდი ლიგიას... გახსოვს, ოდისევსი როგორ მიიღო ეოლოსმა, როდესაც მეორედ მივიდა მასთან და სთხოვა, ქარისთვის სასურველი მიმართულება მიეცა? ღმერთებს გამეორება არ უყვართ.

– ცოტას მომჯობინდება თუ არა, პომპონია გრეცინასთან წავიყვან, – უთხრა ვინიციუსმა.

– ეგ მით უფრო კარგი იქნება, რომ თვითონ პომპონია ავად არის, ეს მე ავლუსის ნათესავმა ანტისტიუსმა მითხრა. აქ კი მანამდე ისეთი რამ მოხდება, რომ თქვენ დაგივიწყებენ. ახლა კი უბედნიერესნი ისინი არიან, ვისაც ივიწყებენ. ფორტუნამ მოგივლინოს ზამთარს მზე და ზაფხულს ჩრდილი.

ვინიციუსი მარტო დატოვა და თვითონ ექიმთან წავიდა ლიგიას ავადმყოფობაზე მოსალაპარაკებლად.

ლიგიას საშიში აღარაფერი სჭირდა. ჯურღმულში ალბათ მოკვდებოდა სახადით დასუსტებული, მაგრამ ახლა დიდი ზრუნვით, სიუხვითა და ფუფუნებით იყო გარშემორტყმული. ექიმის განკარგულებით ორი დღის შემდეგ ვილას ბაღში გამოჰყავდათ და დიდხანს იყო ბუნების წიაღში. ვინიციუსი მის საწოლს ანემონებით და უფრო ირისებით ამკობდა, რათა მისთვის ავლუსის სახლის ატრიუმი მოეგონებინა. ტანაყრილი ხეების ჩრდილქვეშ წარსულ ტანჯვაზე მათ არა ერთხელ ულაპარაკნიათ. ლიგია ეუბნებოდა, ქრისტემ განზრახ მოგივლინა ასეთი სატანჯველი, რათა შენთვის გული შეეცვალაო.

ვინიციუსი გრძნობდა, რომ ეს მართალი იყო, რომ მასში აღარაფერი დარ-ჩენილიყო ძველი პატრიციისა, ვისთვისაც საკუთარი სურვილი იყო ერთა-დერთი კანონი. მაგრამ ამას რომ გაიხსენებდა ხოლმე, როდი სწუხდა. ორი-ვეს ეჩვენებოდა, წელიწადებმა ჩაგვიქროლეს და საზარელი წარსული უკან მოვიტოვეთო. მათ ახლა აქამდე განუცდელი სიმშვიდე დაეუფლებოდა. რა-ღაც ახალი ცხოვრება, რაღაც გამოუთქმელი ნეტარება მოდიოდა მათკენ. კეისარს შეეძლო უგუნურება ჩაედინა და მთელი ქვეყანა შფოთით აევსო, ვინიციუსს და ლიგიას აღარ ეშინოდათ. გრძნობდნენ, ათასჯერ მეტად შემ-ძლე ძალა გვფარველობსო, აღარ ეშინოდათ კეისრის არც ბოროტების, არც იმისი სისულელისა, თითქოს იგი მათი სიკვდილისა და სიცოცხლის გამგებელი აღარ იყო. ერთხელ, მზის ჩასვლისას, შორი ვივარიუმიდან ლო-მებისა და

სხვა ნადირის ბრდღვინვა მოესმათ. ოდესღაც ეს ხმა ვინიციუსს აფ-რთხობდა, შავი ბედის მაუწყებლად მიაჩნდა, ახლა კი იმან და ლიგიამ მხო-ლოდ გაუღიმეს ერთმანეთს. ლიგია ჯერ სუსტად იყო და ბაღის მყუდროო-ბაში ძილი ხშირად მოერეოდა ხოლმე. ხოლო ვინიციუსი სახეში მიაჩერდე-ბოდა და უნებლიეთ გაიფიქრებდა, ავლუსის სახლში რომ შემხვდა ის ლი-გია აღარ არისო. მართლაც საპყრობილემ და ავადმყოფობამ სილამაზე ოდნავ შეულახა. მშვენიერების მოტრფიალე პეტრონიუსი ამაოდ ცდილობ-და, ქალის ძველი მომხიბვლელობა ეპოვა და გუნებაში ფიქრობდა, ელი-სიონის მინდვრის ეს აჩრდილი ამდენ წვალებად, ამდენ ტანჯვად არა ღირ-დაო. მაგრამ ვინიციუსი, ვინაც ახლა ლიგიას სული შეიყვარა, უფრო მეტად ეტრფოდა მას და როდესაც მძინარეს დარაჯობდა, ფიქრობდა, წმიდანს ვდარაჯობო.

თავი მეთორმეტე

ლიგიას სასწაულებრივი დახსნის ამბავი გადარჩენილ ქრისტიანებში ჩქარა გავრცელდა. იმ ქალის სანახავად იწყეს დენა, რომელსაც ქრისტემ წყალობა მოუტანა. ჯერ მოვიდა ნაზარი და მარიამი, ვისთანაც აქამდე მო-ციქული პეტრე იმალებოდა. ყველანი: ვინიციუსი, ლიგია და ქრისტიანი მო-ნები ყურადღებით უსმენდნენ ურსუსს, როცა ჰყვებოდა, იდუმალი ხმა გავი-გონე, რომელმაც მიბრძანა ნადირს შეებიო. ყველას იმედი მიეცა, ქრისტე ყველა მაღიარებლის მოსპობას არ ინებებს, ვიდრე საშინელი განკითხვის

საათი არ დაჰკრავს და ქვეყანაზე ხელმეორედ თვითონ არ მოვაო. ეს იმედი ქრისტიანებს გულს უკეთებდა, რადგან დევნა ჯერაც არ გათავებულიყო. ვიზედაც ხალხი იტყოდა, ქრისტიანიაო, მაშინვე იჭერდნენ და საპყრობილეში მიჰყავდათ. მართალია, მსხვერპლი ახლა ნაკლები იყო, რადგან მეტი წილი უკვე დაეჭირათ ან ეწამებინათ. ვინც დარჩა, ან რომიდან იყო გასული, რათა გრიგალის ჩადგომამდე შორეული პროვინციისათვის შეეფარებინათ თავი, ან სიფრთხილით იმალებოდნენ, საერთო ლოცვისათვისაც ქალაქგარეთ მდებარე არენარიუმებშიღა იკრიბებოდნენ. იმათაც თვალყურს ადევნებდნენ, და თუმცა თამაშები დამთავრდა, მაინც ქრისტიანებს მომავალი თამაშებისათვის ინახავდნენ. რომის ხალხს აღარ სჯეროდა, რომ ცეცხლი ქრისტიანებმა წაუკიდეს, რომ ისინი კაცობრიობისა და სახელმწიფოს მტრები იყვნენ, მათ წინააღმდეგ მიმართული ედიქტი კი ჯერაც თავის ძალაში რჩებოდა.

მოციქული პეტრე დიდხანს ვერ ბედავდა პეტრონიუსის სახლში მოსულიყო, მაგრამ ერთხელ, საღამო ხანს, ნაზარმა უთხრა ვინიციუსსა და ლიგიას, მოციქული მოვიდაო. ლიგია უკვე თავისით დადიოდა. ისა და ვინიციუსი მისაგებებლად გამოვიდნენ და ფეხებში ჩაუვარდნენ პეტრეს, ხოლო იმან დიდი აღელვებით მოიკითხა... როდესაც ვინიციუსმა უთხრა: ბატონო! შენი ლოცვის მეოხებით არის, რომ მაცხოვარმა ეს დამიბრუნაო! იმან უპასუხა: „იმან ეს დაგიბრუნა სარწმუნოებისამებრ შენისა და მისთვის, რომ ქრისტეს რჯულის ყოველი მაღიარებლის ბაგე არ დადუმდეს“. ვინიციუსმა და ლიგიამ შენიშნეს, რომ თმა მთლად გათეთრებოდა, წელში მოხრილიყო, ხოლო სახეზე ისეთი ნაღველი და ტანჯვა ემჩნეოდა, თითქოს ყველა ის ტანჯვა თვითონ იმას გამოევლო, რა ტანჯვითაც ნერონის გაცოფებისა და უგუნურების გამო მრავალი მსხვერპლი დაიღუპა.

ვინიციუსს ლიგიას ნეაპოლში წაყვანა გადაეწყვიტა. იქ პომპონიას შეხვდებოდა და იქიდან სიცილიაში უნდა წასულიყვნენ. ამიტომაც ხვეწნა დაუწყო მოციქულს, რომი დატოვე და ჩვენ გამოგვყევიო. მაგრამ მოციქულმა თავზე ხელი დაადო და უპასუხა:

– ჩემი ღვაწლის დასასრული ახლოვდება, ხოლო სიხარულსა და დასვენებას უფლის სამფლობელოში მოვიპოვებ.

მერე იმათ მიმართა:

– ნუ დამივიწყებთ, ვინაიდან ისე შემიყვარდით, როგორც მამას თავისი შვილები უყვარს და რასაც სიცოცხლეში ჩაიდენთ, უფლის სადიდებლად ჰქმენით.

მოხუცმა მთრთოლარე ხელები ზეაღაპყრო და დალოცა ისინი. ვინიციუსი და ლიგია ახლოს მივიდნენ პეტრესთან. გრძნობდნენ, იქნებ ეს დალოცვა უკანასკნელი იყოსო.

მაგრამ ბედმა ერთხელ კიდევ შეახვედრა ისინი. რამდენიმე დღის შემდეგ პეტრონიუსმა პალატინიდან საშინელი ამბები მოიტანა. აღმოჩნდა, რომ კეისრის ერთი აზატი ქრისტიანი იყო. აზატს მოციქულთა წერილები უპოვეს: პეტრესი, ტარსელი პავლესი, იაკობისა, იუდასი და ოანესი. პეტრეს რომში ყოფნა ტიგელინუსმა ადრევე იცოდა, მაგრამ ეგონა, ათასობით დასჯილ ქრისტიანთან ერთად მოციქულიც დაიღუპაო. პეტრონიუსმა ვესტინიუსისგან შეიტყო, რომ თვითონ კეისარმა გამოსცა ბრძანება, სამი დღის განმავლობაში პეტრე და პავლე შეიპყარით და მამერტინის ციხეში ჩასვითო. ამისთვის მდინარის გაღმა მდებარე უბანში ყველა სახლის გასაჩხრეკად პრეტორიელთა რამდენიმე რაზმი გაგზავნეს.

ეს რომ გაიგო ვინიციუსმა, გადაწყვიტა, წასულიყო და მოციქული გაეფრთხილებინა. საღამოზე იმან და ურსუსმა გალური მოსასხამები წამოისხეს, პირსაბური მოიფარეს, და მარიამთან წავიდნენ, ვისთანაც პეტრე ცხოვრობდა. გზაზე ხედავდნენ, ჯარისკაცები ვიღაცებს სახლებს ალყას

არტყამდნენ. მთელი უბანი ღელავდა და ალაგ-ალაგ ცნობისმოყვარენი იკრიბებოდნენ. აქა-იქ ცენტურიონები დაჭერილებს პეტრესა და ტარსელი პავლეს ამბავს ეკითხებოდნენ.

მაგრამ ვინიციუსმა და ურსუსმა ჯარისკაცებს გაასწრეს, მარიამის სახლამდე მშვიდობით მივიდნენ. იქ პეტრე და რამდენიმე მორწმუნე დახვდათ, პავლეს თანაშემწე ტიმოთე და ლინიც მოციქულთან იყვნენ.

მოახლოებული საფრთხე რომ გაიგეს, ნაზარმა ყველანი მიფარებული გზით ბაღის პატარა კარით გაიყვანა და იქიდან მიტოვებულ ქვის სამტეხლოსთან მიიყვანა. ურსუსს ლინი უნდა ეტარებინა, რადგან იმას დამტვრეული ძვლები ჯერ არ მორჩენოდა. ჯურღმულში რომ შევიდნენ, ქრისტიანებმა თავი უშიშრად იგრძნეს და სანათურის სინათლეზე ბჭობა დაიწყეს, როგორ გადაერჩინათ მოციქულის სიცოცხლე.

– ბატონო, – უთხრა მას ვინიციუსმა, – ხვალ გათენებისას ნაზარმა ქალაქიდან გაგიყვანოს და ალბანას მთებთან მიგიყვანოს. იქ გიპოვით და ანციუმში წაგიყვანთ, სადაც გემი გველოდება. ის გემი ნეაპოლსა და სიცილიაში წაგვიყვანს. ბედნიერი იქნება დღე და საათი, როდესაც შენ ჩემს სახლში ფეხს შედგამ და ჩემს კერას აკურთხებ.

ვინიციუსს ყველანი გახარებულნი უსმენდნენ და მოციქულს სთხოვდნენ, დათანხმებულიყო.

მოციქულმა უპასუხა:

– შვილებო, ვის შეუძლია იცოდეს, როდის მოგვივლენს უფალი აღსასრულის ჟამს?

მაგრამ როდი ამბობდა, რომს ვერ დავტოვებო, თვითონაც ჭოჭმანობდა, ვერ გადაეწყვიტა, როგორ მოქცეულიყო. ეს ერთი ხანი გულს ეჭვი დაებუდა, შფოთმაც კი დარია ხელი. სამწყსო დაეფანტა, საქმე დაენგრა, ხანძრის წინ აღორძინებული ეკლესია ახლა მხეცის ძალმომრეობით მტვრად იქცა. აღარაფერი დარჩენილიყო ცრემლის გარდა, აღარაფერი, გარდა ტანჯვისა და სიკვდილის მოგონებისა.

ხშირად გაიფიქრებდა, თუ რომიდან წავალ, ერთგულნიც გამომყვებიან და მათ გალილეას ჩრდილიან ბაღებში წავიყვან, ტიბერიადის ტბის მშვიდ ნაპირზე მწყემსებთან, იმ ფარაზე მშვიდნი რომ არიან, ნარდით მოფენილ ველზე რომ სძოვს. მოსვენებასა და მყუდროების უფრო და უფრო მეტ წყურვილს გრძნობდა, ტიბერიადის ტბა და გალილეა ენატრებოდა მებადურს, ხშირად იცრემლებოდა.

მაგრამ თან უეცარი შიშ და წუხილი მოერეოდა. ის ქალაქი როგორ დაეტოვებინა, რომლის ნიადაგმა იმდენი მოწამებრივი სისხლი შეიწოვა.

ხშირად მომხდარა, განთიადს სახლის სახურავები გაუნათებია და პეტრეს ისევ იმ კითხვით მიუმართავს ქრისტესათვის:

– უფალო, აქ მოსვლა შენ არ მიბრძანე, რომ ამ მხეცის ბუნაგში შენი ტახტი დამემკვიდრებინა?

ქრისტეს ჯვარცმიდან ოცდათოთხმეტი წელიწადი ისე გავიდა, არ იცოდა, დასვენება რა იყო – ყავარჯნით ხელში დადიოდა და მადლს ქადაგებდა. მოგზაურობასა და შრომაში ძალ-ღონე გამოელია. ბოლოს ამ ქალაქში, მსოფლიოს სატახტოში ღვთის საქმე განამტკიცა, მაგრამ ბოროტების ცეც-

ხლოვანმა სუნთქვამ ყველაფერი გადაბუგა და პეტრემ დაინახა, რომ ბრძოლა თავიდან უნდა დაეწყო. და მერე რა ბრძოლა! ერთი მხრივ კეისარი, სენატი, სასახლე, ლეგიონები, მთელ ქვეყნიერებას რომ რკინის რკალად შემორტყმოდნენ, ურიცხვი ქალაქები და ქვეყნები, რომელთა ძლიერების მსგავსი ჯერ ქვეყანას არ ენახა: მეორე მხრივ თვითონ ის – წელთა სიმრავლით წელში მოხრილი და იმდენად დატანჯული, რომ მის მთრთოლარე ხელებს მგზავრის ყავარჯნის ზიდვაც უჭირთ.

ხანდახან თავს ეუბნებოდა, რა ჩემი საქმე იყო – კეისარს გავტოლებოდიო... საამისო ღონე მხოლოდ ქრისტეს შესწევდაო...

ხოლო ერთგულნი უფრო მჭიდროდ ეხვეოდნენ გარს და მუდარის ხმით იმეორებდნენ:

– მიეფარე, მოძღვარო, და ჩვენც მხეცის უფლობიდან გაგვიყვანე.

ბოლოს ლინმაც დახარა ტანჯული თავი.

– ბატონო, – უთხრა მან, – მაცხოვარმა მისთა ცხოვართა მწყსვა გიბრძანა, მაგრამ დღეს ისინი აქ აღარ არიან, არც ხვალ იქნებიან, – იქ წადი, სადაც მათ პოვნას შეიძლებ.

– ჩვენს ცრემლს მოხედე! – გაუმეორეს იქ მყოფთ.

ცრემლი პეტრესაც სდიოდა სახეზე. იგი წამოდგა, ხელები გააპყრო დაჩოქილ ქრისტიანებზე და წარმოთქვა:

– კურთხეულ იყავნ სახელი უფლისა! და აღსრულდესმცა ნება მისი!

თავი მეცამეტე

შემდეგი დღის გათენებისას ორი ადამიანი აპიუსის გზით კამპანიის ნანგრევებისაკენ მიდიოდა.

ესენი იყვნენ ნაზარი და მოციქული პეტრე. მოციქულმა დატოვა რომი და ტანჯვისთვის განწირული ერთმურწმუნენი.

აღმოსავლეთით ცა ღია მოლისფრად იღებებოდა და მიწას ნელნელა ყვითელ არშიად ევლებოდა. ფოთლებშევერცხლილი ხეები, თეთრი მარმარილოს ვილები და წყალსადენის გუმბათები ნელინელ გამოიკვეთნენ. ცის მწვანე ფერი თანდათან ნათლდებოდა, აღმოსავლეთი შეიფაკლა და ალბანას მთები განათდა, რომელნიც მთელი სიმშვენიერით გამოისახენ.

მზე მთაგრეხილიდან ამოცურდა. მოციქული უცნაურმა სანახაობამ გააოცა. მას მოეჩვენა, ოქროვანი წრე მის მაგიერ მთებიდან ზევით აწეულიყო, მიწაზე ჩამოვარდა და გზას გაუყვა.

მაშინ პეტრე შეჩერდა და თქვა:

– ხედავ სინათლეს, ჩვენკენ რომ მოდის?

– ვერაფერს ვხედავ, – მიუგო ნაზარმა.

პეტრემ თვალები ხელით მოიჩრდილა და ერთ წამს შემდეგ თქვა:

– ვიღაც მოდის ჩვენკენ მზისებრ მოელვარე.

მაგრამ არავითარი ნაბიჯის ხმა არ მოისმოდა, გარშემო სრული სიჩუმე სუფევდა. ნაზარი მარტო იმას ხედავდა, რომ შორს ხეები ირხეოდნენ, თითქოს ვიღაცამ შეანძრია, და კიდევ იმას, რომ სინათლემ უფრო და უფრო გაანათა ველი.

– მოძღვარო! რა დაგემართა? – დაუძახა შეშინებულმა.

პეტრეს ხელიდან ყავარჯენი გაუვარდა, თვალები რაღაცას მიაშტერა, ბაგე გაეპო, სახეზე გაოცება, სიხარული და აღტაცება გამოეხატა.

უცებ მუხლებზე დაეცა, ხელი წინ გაიშვირა და დაიძახა:

– ქრისტე! ქრისტე!

და მიწას დაემხო, თითქოს ვიღაცას ფერხთ უნდა ეამბოროსო.

სიჩუმე დიდხანს გაგრძელდა. შემდეგ სიჩუმეში გოდებისგან ხმაჩაწყვეტილი მოხუცის სიტყვები მოისმა:

– Quo vadis, Domine?

და ჩაესმა მოხუცს.

– რაკი შენ ჩემს ხალხს ტოვებ, მაშ მე მივდივარ რომს, რათა ხელმეორედ ჯვარს მაცვან!

მოციქული უძრავად დაემხო მიწაზე. ნაზარს ეგონა, გული შეუღონდაო და კიდეც მოკვდაო, მაგრამ პეტრე ადგა, მთრთოლვარე ხელით ყავარჯენი აიღო და სიტყვის უთქმელად ისევ ქალაქის შვიდი ბორცვისკენ მიიქცა.

ბიჭმა რომ ეს დაინახა, გაუმეორა:

– Quo vadis, Domine?

– რომს, – წყნარად უპასუხა მოციქულმა.

და უკან დაბრუნდა.

პავლე, იოანე და ლინი გაკვირვებით შეხვდნენ, მით უმეტეს, რომ გათენებისას, პეტრეს წასვლის უმალ, პრეტორიელებმა მარიამის სახლს ალყა შემოარტყეს, მოციქულს ეძებდნენ. პეტრე ყველა კითხვაზე სიხარულითა და დამშვიდებით უპასუხებდა:

– მე უფალი ვნახე.

იმავე საღამოს იგი ოსტრანიუმში წავიდა, რათა ხალხი დაემოძღვრა და მოენათლა.

მას აქეთ იგი ყოველდღე იქ მიდიოდა. უფრო და უფრო მრავალრიცხოვანი ხალხი მოჰყვებოდა თან.

თავი მეთოთხმეტე

დასასრულ ორივ მოციქულის უკანასკნელმა საათმა დაკრა, მაგრამ ბოლოს მებადურთ ბედად ხვდათ, ორი სული კიდევ მოექციათ. მამერტინის ციხეში რომ ჯარისკაცები სდარაჯობდნენ – პროცესი და მარტინიანი – მათ ქრისტიანობა მიიღეს და მოინათლნენ. შემდეგ ტანჯვის საათი დადგა. ნერონი მაშინ რომში არ იყო, განაჩენი ორმა აზატმა გამოიტანა, რომელთაც ნერონმა ქალაქის მართვა ჩააბარა. მხცოვან მოციქულს ჯერ კანონით დადგენილი ცემა აწვნიეს, ხოლო მეორე დღეს ქალაქის კედლებს გარეთ გაიყვანეს, ვატიკანის ბორცვისკენ, სადაც ჯვარს უნდა ეცვათ. ციხესთან მრავალი ხალხი შეგროვდა. ამან ჯარისკაცები გააკვირვა, რადგან მათი აზრით, უბრალო და თანაც უცხოელი კაცის სიკვდილს ასეთი ცნობისმოყვარეობა არ უნდა აღეძრა. იმათ არ ესმოდათ, რომ ესენი ქრისტიანები იყვნენ, რომელთაც სურდათ, დიდი მოციქული სასჯელის ადგილამდე მიეცილებინათ. შუადღის შემდეგ კარი გაიღო და გამოჩნდა პეტრე პრეტორიელთა რაზმით შემოალყული. მზე უკვე ოსტიისკენ იხრებოდა, დღე წყნარი და ნათელი იყო. პეტრეს მოხუცებულობის გამო ჯვარი არ აზიდვინეს და არც კისერზე დაადგეს ორთითები. ნელინელ მიდიოდა, მისი დანახვა ყველას შეეძლო, როდესაც ჯარისკაცთა ფოლადის მუზარადებში მისი ჭაღარა თავი გამოჩნდა, ხალხში გოდება გაისმა, მაგრამ მაშინვე მიჩუმდა, რადგან სახე პეტრეს ისეთი ნათელი ჰქონდა და ისეთი სიხარულით უბრწყინავდა, რომ ყველამ გაიგო – იგი მსხვერპლი კი არ იყო, სასჯელის მოსახდელად მიმავალი – გამარჯვებული იყო და მისი სვლა საზეიმო სვლა იყო.

მუდამ მორჩილი და მოხრილი მებადური, ახლა ტანგაშლილი მიდიოდა, ყველა ჯარისკაცზე მაღალი იყო. ჯერ ასე დიდებულად არაოდეს გაუვლია. ყველას თითქოს დაავიწყდა, რომ მას ტანჯვა და სიკვდილი მოელოდა, ყველანი საზეიმო გრძნობით მიდიოდნენ. მჭიდროდ შეჯგუფულნი, მაგრამ დამშვიდებულნი.

ტაძრებს რომ ჩაუარა, პეტრემ გუნებაში თქვა: თქვენ ქრისტეს ტაძრები იქნებითო. დიადი და დამშვიდებული მიდიოდა, რადგან თავისი გამარჯვება სჯეროდა, სჯეროდა თავისი ღვაწლი და ძალა. ჯარისკაცებმა ტრიუმფალურ ხიდზე გაატარეს, თითქოს უნებლიეთ მისი ტრიუმფი აღიარეს. მისი ტიბრსგაღმელი ერთგულნი სვლას შეუერთდნენ და ხალხის ბრბო ისე დიდი შეიქნა, რომ ცენტურიონმა გაიფიქრა, ვიღაც დიდი ქურუმი მიმყავსო, და რაკი ჯარისკაცი ცოტა ჰყავდა, ამ ხალხის შიში მიეცა. მაგრამ ხალხისგან არავითარი მრისხანების ან გაბრაზების ხმა არ ისმოდა.

გარშემო სრული სიმშვიდე იყო. პროცესია ბოლოს ცირკსა და ვატიკანის ბორცვებს შუა შეჩერდა. ზოგმა ჯარისკაცმა ორმოს თხრა დაუწყო, სხვებმა ჯვარი, ჩაქუჩი და ლურსმნები მიწაზე დაჰყარეს. კვლავ მდუმარე ხალხმა დაიჩოქა. მზის შუქით გასხივოსნებული მოციქული ქალაქისკენ უკანასკნელად მიბრუნდა. დაბლა მდინარე ტიბრი ლაპლაპებდა, მეორე ნაპირზე – მარსის ველი, ავგუსტუსის მავზოლეუმი. უფრო დაბლა- დიდრონი საპყრობილეები, რომელთა შენება ნერონმა წამოიწყო. კიდევ უფრო დაბლა – პომპეუსის თეატრი, ხოლო იმის უკან სეპტიმიუს იულიუსის შენობა, მრავალი პორტიკი, ტაძრები, სვეტები და ბოლოს შორს სახლებით მოფენილი ბორცვები.

ჯარისკაცებით შემორტყმული პეტრე ისე უცქეროდა ქალაქს, როგორც მეუფე უცქერის თავის საბრძანებელს.

მზე უფრო ძირს დაეშვა. ცის მთელი დასავლეთის მხარე გაკაშკაშდა. ჯარისკაცები პეტრეს მიუახლოვდნენ, რათა გაეშიშვლებინათ.

მაგრამ იგი უცებ გაიმართა და მარჯვენა ხელი მაღლა აიღო; ჯალათები შედგნენ, თითქოს შეშინდნენ, ქრისტიანებმა სუნთქვა მკერდში შეიგუბეს – ეგონათ, პეტრეს რისამე თქმა უნდოდა. სიჩუმე ჩამოვარდა.

პეტრე მაღლობზე იდგა. იქაურობას ჯვარი გადასწერა და სიკვდილის წამს კურთხევა შეუთვალა:

– Urbi et orbi (ქალაქსა და ქვეყანას)!

იმავე საღამოს პრეტორიელების მეორე რაზმს პავლე მოჰყავდა ოსტიის გზით, Aquae Salvae-დ წოდებული ადგილიდან. თან თავისი მონათლული ქრისტიანების ბრბო მოჰყვებოდა. იმას გზაზე ნაცნობნი ხვდებოდნენ, შეჩერდებოდნენ ხოლმე და ელაპარაკებოდნენ. დარაჯნი პატივით ეპყრობოდნენ, რაკი რომის მოქალაქე იყო. ტერგემინის კარს გარეთ პლავტილა შეხვდა,

პრეფექტ ფლავიუს საბინუსის ასული. მის ნორჩ სახეზე რომ ცრემლები დაინახა, მოციქულმა უთხრა: „პლავტილავ, წარვედ მშვიდობით, ხოლო მე მარტო შენი მანდილი მომეცი. მაგით თვალებს ამიკრავენ, როდესაც უფლის გზას დავადგები“. მანდილი რომ გამოართვა, გზა გახარებული სახით განაგრძო. პეტრესი არ იყოს, იმასაც გონება მშვიდი და ცხადი ჰქონდა, თითქოს საღამოს ცა არისო. მისი თვალები წინ გაშლილ ვაკეს და ალბანიის მთებს დაფიქრებით უმზერდნენ.

სასჯელის ადგილამდე გზა გრძელი იყო და შეუმჩნევლად საღამო ჩამოდგა. ნახირი შინ ბრუნდებოდა. აქა-იქ მონათა გუნდები მიდიოდნენ. სამუშაო იარაღები მხარზე გადაედოთ. გზაზე, სახლების წინ ბავშვები თამაშობდნენ და მიმავალ ჯარისკაცებს ცნობისმოყვარეობით შესცქეროდნენ. ამ საღამოს, ამ გამჭვირვალე, მოვარაყებულ ჰაერში არათუ მოსვენება და მშვიდობიანობა სუფევდა, არამედ მიწიდან ზეცისაკენ აღმავალი ჰარმონიაც. პავლე ამას გრძნობდა და გული სიხარულით ევსებოდა.

იგიც ძლევამოსილი მიემართებოდა სასჯელის ადგილისაკენ.

პროცესიამ შარაგზიდან გადაუხვია და აღმოსავლეთს წავიდა. ცენტურიონმა ჯარისკაცები წყაროსთან შეაყენა, რადგან დასჯის ადგილი ეს იყო.

პავლემ პლავტილას მანდილი მხარზე გადაიგდო, მოსვენებით სავსე თვალები დაისის ცისკენ ერთიც კიდევ აღახვნა და ლოცვა დაიწყო.

თავი მეთხუთმეტე

რომი კი უწინდებურად წრეგადასულ უგუნურებას სჩადიოდა. ეტყობოდა, რომ მთელი ქვეყნის დამპყრობი ქალაქი, წინამძღოლობის უყოლობის გამო, თავისთავად იშლებოდა. მოციქულების სიკვდილამდე პისონის შეთქმულება გამჟღავნდა, მას წარჩინებული პირების დასჯა მოჰყვა, ისე რომ, ვინც ნერონში უწინ ღვთაებას ხედავდა, ახლა იმათაც კი იგი სიკვდილის

ღვთაებად მიაჩნდათ. თუმცა თითქმის ყველგან გლოვა იყო, მაინც პორტიკები ფათალოთი და ყვავილებით მოერთოთ. მოკლულთა დატირება აკრძალული იყო. ხალხი რომ დილით იღვიძებდა, თავის თავს ეკითხებოდა: ნეტავ დღეს ვისი რიგი იქნებაო.

პისონმა თავისი მიიღო. მას მიჰყვნენ: სენეკა და ლუკანუსი, ფენიუს რუფუსი და პლავციუს ლატერანი, ფლავიუს სცევინი და აფრანიუს კვინციანუსი, გარყვნილი კეისრის უგუნურებათა ამხანაგი ტულიუს სენეციონი და პროკულუსი, არარიკი, სუბრიუს ფლავიუსი, ნერონის ნაერთგულევი კაცი და სულპიციუს ასპერი. ზოგს საკუთარი არარაობა ღუპავდა, ზოგს – შიში, ზოგს – სიმდიდრე და ზოგსაც – გამბედაობა. შეთქმულთა ერთი სიით შეშინებულმა კეისარმა ქალაქის კედლებთან ჯარისკაცები ჩააყენა და რომი მტრისგან ალყაშემორტყმულს ჰგავდა. მუდამდღე სიკვდილის განაჩენს უგზავნიდა ეჭვმიტანილებს. მსჯავრდადებულნი მაინც თავს იმდაბლებდნენ, ფარისევლობით სავსე წერილებით კეისარს დასჯისთვის მადლობას უთვლიდნენ და თავისი

ქონების ნაწილს უანდერძებდნენ, რათა დანარჩენი შვილებს შერჩენოდათ. ისე ჩანდა, თითქოს ნერონი საზღვარს განგებ გადადიოდა, რათა გაეგო, სანამდე გათახსირდა ხალხი, რამდენ ხანს გაუძლებენ ჩემს სისხლიერ მმართველობასო. შეთქმულების შემდეგ შეთქმულთა ნათესავებს სჯიდნენ სიკვდილით, მათ მეგობრებსაც და თითქმის უბრალო ნაცნობებსაც. ხანძრის შემდეგ აშენებული მშვენიერი სახლის პატრონები, ქუჩაში რომ გამოდიოდნენ, დარწმუნებული იყვნენ, არა ერთ და ორ სამგლოვიარო პროცესიას შევხვდებითო. დიდებული თრასეა მისმა სათნოებამ დაღუპა. კეთილშობილი ჩამომავლობის გამო სიცოცხლე ბევრს მოესპო. თვით პოპეაც კი კეისრის წამიერი აფეთქების მსხვერპლი შეიქნა.

ხოლო სენატი საზარელი მეუფის წინაშე თავს იმდაბლებდა, მის პატივსაცემად ტაძრებს აშენებდა, მის ქანდაკებს გვირგვინებით ამკობდა და ვითა ღვთაებას, ქურუმებს უნიშნავდა. დამფრთხალი სენატორები პალატინზე მიდიოდნენ, რომ ნერონის სიმღერა ექოთ, ერთად ეშმაგათ და მონაწილეობა მიეღოთ ორგიებში, ტიტველი ქალებით, ღვინის სმითა და ყვავილებით რომ იმართებოდა.

თავი მეთექვსმეტე

ვინიციუსი პეტრონიუსს:

„რომში რაც ხდება, carissime, ჩვენც ვიცით, ხოლო რაც არ ვიცით, იმას შენი წერილები გვატყობინებენ. კეისარს კარინატისთვის ებრძანებინა, საბერძნეთში მიმავალს ჩვენკენ შემოევლო. იმანაც ყველა ჩვენი ქალაქი და ტაძარი გაძარცვა ცარიელი ხაზინის ასავსებად. მაგრამ იმ ქალაქებამდე, რომელთა ახლოს ჩემი მამულები მდებარეობენ, კარინატის კაცებმა ვერ მიაღწიეს, იქნებ იმიტომ, რომ ამ ქალაქებში ტაძრები და განძეულობა არ არის. შენ მკითხავ, საშიში ხომ არაფერი გემუქრებათო? მე მხოლოდ გიპასუხებ, რომ ჩვენ დაგვივიწყეს. ახლა, როდესაც მე პორტიკის ქვეშ ვზივარ და წერილსა ვწერ, ჩვენს მშვიდ ყურეს ვხედავ, ვხედავ ნავს, შიგ ურსუსი დგას და ანკარა ზღვის სიღრმეში ბადეს ისვრის. ჩემი ცოლო ძოწეულისფერ მატყლს ართავს, ხოლო ბაღებში ნუშის ხეების ჩრდილქვეშ ჩვენი მონები მღერიან. ვიშ, რა სიმშვიდეა, carissime, როგორ გადაგვავიწყდა უწინდელი მოუსვენრობა და სიმძიმილი. მაგრამ პარკნი კი ართავენ, როგორც შენა მწერ, ჩვენი ცხოვრების საამო ძაფს. ქრისტემ გვაკურთხა, ჩვენმა ღმერთმა და მაცხოვარმა. ჩვენ მწუხარებაც ვიცით და ცრემლებიც ვიცით. ჩვენი სარწმუნოება გვიბრძანებს, სხვისა მწუხარება დავიტიროთ, მაგრამ ამ ცრემლებშიაც თქვენთვის უცნობი ნუგეში იმალება, რომ ოდესმე, როდესაც სიკვდილის ჟამი დაჰკრავს, ჩვენთვის ძვირფას არსებას ვიპოვით, ვინც

დაიღუპნენ და ვინც კიდევ შეეწირებიან საღმრთო რჯულს. ჩვენთვის პეტრე და პავლე არ მომკვდარან, არამედ ხელახლა დიდებით მოსილნი დაიბადნენ. დიახ, ჩემო ძვირფასო, ჩვენ ბედნიერები ვართ და იმ ბედნიერებას ვერავინ დაარღვევს, ვერც სიკვდილი, რაიც თქვენთვის ყველაფრის დასასრულია, ჩვენთვის კი უფრო მეტი სიმშვიდე, მეტი სიყვარული, მეტი სიხარულია.

ხშირად, როდესაც მზე ჩადის ან მთვარე წყალში აირეკლება, მე და ლიგია წარსულზე ვლაპარაკობთ; ახლა ის წარსული რაღაც სიზმრად გვეჩვენება და როდესაც გავიხსენებ, ძვირფასი ლიგია, ახლა რომ მკერდზე ხშირად მომეყრდნობა ხოლმე, ისე ახლო იდგა ტანჯვასა და დაღუპვასთან, მაშინ გულმხურვალედ ვადიდებ უფალს. პეტრონიუს, შენ აკი ნახე, უბედურების ჟამს ქრისტეს რჯული რა სიმტკიცესა და ნუგეშს იძლევა, ახლა ჩვენთან ჩამოდი და ნახე საყოველდღეო ცხოვრებაში რა ბედნიერებას გვაძლევს.

იცი რომ ხალხმა აქამდე ღმერთი არ იცოდა, რომ მისი სიყვარული შეძლებოდა. ამიტომაც არის, რომ ერთმანეთიც არ უყვარდათ – ყველა უბედურება აქედან წარმოდგებოდა; როგორც სინათლე მზისგან – ისე ბედნიერება სიყვარულისგან გამომდინარეობს. მაგრამ ამას რისთვის გეუბნები, როცა ჩემზე მეტი იცი და ჩემზე მეტი გაგეგება. შენ მეუბნებოდი, თქვენი სარწმუნოება ცხოვრების მტერიაო, მე კი ახლა გიპასუხებ, წერილის დაწყებიდანვე რომ მხოლოდ ორი სიტყვა გამემეორებინა „ბედნიერი ვარ!“ მაშინაც ვერ მოვახერხებდი ჩემი ბედნიერება გამომეთქვა! შენ მეტყვი – შენი ბედნიერება ლიგია არისო! დიახ, ძვირფასო! იმიტომ, რომ მე მისი უკვდავი სული მიყვარს და კიდევ იმიტომ, რომ ჩვენი სიყვარული

ქრისტესმიერია. ასეთმა სიყვარუ;ლმა არც გაყრა იცის, არც ღალატი, არც ცვალებადობა, არც სიბერე, არც სიკვდილი. სილამაზე და ახალგაზრდობა რომ გაივლის, როდესაც ჩვენი სხეული დაძაბუნდება და სიკვდილი მოვა, სიყვარული მაინც შეგვრჩება. იმიტომ, რომ სული ცოცხალი დარჩება. შეადარე წუხილით აღსავსე თქვენეული დატკბობანი, თქვენი ორგიები, ქელეხებს რომ მიემსგავსებიან, ქრისტიანების ცხოვრებას და შენ მზა პასუხს იპოვი. მაგრამ ყველაზე უკეთესი იქნება ჩვენს მთებში ამოხვიდე, ჩვენს ჩრდილოვან ზეთისხილის ჭალაკში. აქ შენ მოსვენება მოგელის, როგორიც დიდი ხანია არ გამოგიცდია, და მოსიყვარულე წრფელი გულები. კეთილშობილი და კეთილის გულის პატრონი ხარ. ბედნიერი უნდა იყო. შენი მახვილი ჭკუა გაარჩევს მართალს, და როდესაც შენ მას შეიგნებ, შეიყვარებ კიდეც. შეიძლება ამ რჯულის მტერი იყო, როგორც კეისარი და ტიგელინუსია, მაგრამ მისადმი გულგრილობა კი არავის შეუძლია. ჰოი, ჩემო პეტრონიუს! მეცა და ლიგიას იმედად გვაქვს, რომ ჩქარა გვნახავ. კარგად იყავ და ბედნიერად. მოგელით“.

პეტრონიუსმა ვინიციუსის წერილი კუმში მიიღო, სადაც სხვა ავგუსტიანებთან ერთად კეისარს გაჰყვა. ტიგელინუსთან მისი ხანგრძლივი ბრძოლა დასასრულს უახლოვდებოდა. პეტრონიუსმა უკვე იცოდა, რომ უნდა დაცემულიყო და მიზეზიც გაეგებოდა. რაც უფრო დაბლა ეშვებოდა კეისარი, რაც უფრო უახლოვდებოდა მსახიობის, მასხარისა და მეეტლის ხელობას, რაც უფრო ეფლობოდა ავადმყოფურ, საზიზღარსა და უხეშ გარყვნილებაში, იმდენად უფრო მეტი ბარგი

ხდებოდა მისთვის ნატიფი arbiter elegantiarum-ი. ნერონს პეტრონიუსის დუმილი ძაგებად მიაჩნდა, ხოლო ქება – დაცინვად. ბრწყინვალე პატრიცი კეისრის თავმოყვარეობას აღიზიანებდა და შურს აღუძრავდა. მისი სიმდიდრე და ხელოვნების ნაწარმოებთან მშვენიერი კოლექცია მოშურნეობის საგნად შეიქნა კეისრისათვის და მის ყოვლადშემძლებელი მინისტრისათვისაც. პეტრონიუსს აქაიაში წასვლის მიზეზით ინდობდნენ, სადაც ბერძნული კულტურის ცოდნა სასარგებლო იქნებოდა. მაგრამ ტიგელინუსმა კეისარს ნელ-ნელა ჩააწვეთა, კარინი გემოვნებითა და ცოდნით პეტრონიუსს სჯობს, აქაიაში თამაშებს იმაზე უკეთესად მოაწყობს და დიდ ზეიმს მოგიმზადებსო. ამ წამიდან პეტრონიუსი დაიღუპა. მაინც განაჩენის გაგზავნა რომში ვერ გაუბედეს. კეისარსაც და ტიგელინუსსაც ახსოვდათ, რომ ხელოვნების ამ განებივრებულმა ტრფიალმა, „ღამის დღედ გამთენებელმა“, მხოლოდ დატკობობასა, ხელოვნებასა და ნადიმებში გართულმა, როდესაც ბითინიაში პროკონსულად, ხოლო მერე სატახტო ქალაქში კონსულად იყო, საკვირველი შრომისმოყვარეობა და მხნეობა გამოიჩინა. ყველა საქმეში ნიჭიერ კაცად მიაჩნდათ და ყველამ იცოდა, რომ იგი რომში არათუ მარტო ხალხს, პრეტორიელებსაც უყვარდათ. კეისრის მინდობილთ არ შეეძლოთ წინასწარვე სცოდნოდათ, როგორ მოიქცეოდა ამ შემთხვევაში პეტრონიუსი. ამიტომ გადაწყვიტეს, ქალაქიდან გაეტყუებინათ და მხოლოდ პროვინციაში დატყდომოდნენ თავს. ამიტომაც პეტრონიუსი სხვა ავგუსტიანებთან ერთად კუმში მიიწვიეს. თუმცა პეტრონიუსს მახის დაგების ეჭვი ჰქონდა, მაინც რომიდან გავიდა. იქნებ არ უნდოდა, წინააღმდეგობა აშკარად გაეწია ან იქნებ იმიტომ, რომ კეისარსა და ავგუსტიანებს ერთხელ კიდევ ჩვენებოდა მხიარული და უდარდელი, სიკვდილის წინ უკანასკნელად გაემარჯვა ტიგელინუსზე.

ამასობაში ტიგელინუსმა პეტრონიუსს სენატორ სცევინის მეგობრობა გაუხსენა. სცევინი ხომ პისონის შეთქმულებაში უმთავრესი მოქმედი პირი იყო. რაც რომში პეტრონიუსის ხალხი დარჩა, საპყრობილეში ჩასვეს, სახლს პრეტორიელების რაზმი შემოარტყეს. ეს რომ პეტრონიუსმა შეიტყო, არავითარი შეწუხება არ გამოუჩენია, უკმაყოფილებაც კი არ გამოუხატავს. ავგუსტიანებს ღიმილით უთხრა:

– აჰენობარბუსს პირდაპირი კითხვები არ უყვარს. ნახავთ, როგორ შეიშმუშნება, როდესაც ვკითხავ: შენ უბრძანე რომში ჩემი სახლეულის დაპატიმრება-მეთქი?

შემდეგ „ ხანგრძლივი მოგზაურობის წინა“ ნადიმზე მიიწვია საზოგადოება და ის იყო, სანადიმო სამზადისს შეუდგა, რომ ვინიციუსის წერილი მიიღო.

წერილი წაიკითხა და დაფიქრდა, მაგრამ მისმა სახემ მალე უწინდელი ჩვეულებრივი და მხიარული გამომეტყველება მიიღო და იმავე დღეს პასუხად შემდეგი მისწერა დისწულს:

„თქვენი ბედნიერება მიხარია და თქვენი გულის ამბავი მაკვირვებს. არ მეგონა, რომ ორ შეყვარებულს შეიძლებოდა გახსენებოდა ვინმე მესამე, ისიც შორეული. თქვენ კი არათუ არ დაგვიწყებივართ, არამედ ისიც კი გინდათ, მაცდინოთ და სიცილიაში მიმიტყუოთ, რათა თქვენი

პური და თქვენი ქრისტე გამიზიაროთ, რომელმაც, როგორც მწერთ, ბედნიერება ეგრე უხვად მოგანიჭათ.

თუ ეგრეა, პატივი ეცით მას. მე ვფიქრობ, ჩემო ძვირფასო, რომ ლიგია შენ როგორღაც ურსუსმა დაგიბრუნა, აგრეთვე რომის ხალხმაც, მაგრამ თუ შენ ყველაფერ ამას ქრისტეს მიაწერ, კამათს არ დაგიწყებ. დიახ! მისთვის მსხვერპლს ნუ დაიშურებთ. პრომეთევსმაც თავი ხალხს შესწირა, მაგრამ – eheu! მგონია, პრომეთევსი მხოლოდ პოეტების გამოგონებაა, ღირსეულმა ხალხმა კი მითხრა, ქრისტე ჩვენი თვალით გვინახავსო. თქვენი არ იყოს, მეც ვფიქრობ, რომ იგი ღმერთებს შორის უაღრესად ღირსეულია.

პავლეს შეკითხვა მახსოვს და კიდეც ვეთანხმები. აჰენობარბუსი რომ ქრისტეს რჯულს მისდევდეს, იქნებ თქვენთან სიცილიაში წამოსვლა შემძლებოდა, წყაროს პირს დავსხდებოდით, ხეების ჩრდილქვეშ ბაასს გავმართავდით, ვილაპარაკებდით ყველა ღმერთზე, ყველა ჭეშმარიტებაზე, როგორც ოდესღაც ბერძნების ფილოსოფოსებმა იცოდნენ. ახლა მოკლე პასუხი უნდა მოგცე.

მე მინდა მხოლოდ ორი ფილოსოფოსი ვიცოდე: ერთს ჰქვია პირონი, მეორეს – ანაკრეონტი. ჭეშმარიტება, ვინიციუს, სადღაც ისე მაღლა სადგურობს, რომ თვითონ ღმერთებსაც ოლიმპოსის მწვერვალთან ვერ დაუნახავთ იგი. შენ, carissime, გგონია, თქვენი ოლიმპოსი უფრო მაღლაა და

იმაზე შემდგარი მეძახი: ამოდი და იხილე სანახავი, რაიც ქამდე არ გინახავსო. შეიძლება ეგრეც იყოს, მაგრამ მე გიპასუხებ: „მეგობარო, ფეხი არ მომდგამს!“ და როდესაც შენ ამ წერილს ბოლომდე წაიკითხავ, ჩემს სიმართლეს აღიარებ.

არა, ცისკრის დედოფლის ბედნიერო მეუღლევ! თქვენი რჯული საჩემო არ არის. მე ბითინიელნი უნდა შევიყვარო, ჩემს ტახტრევანს რომ ეზიდებიან, ეგვიპტელები, ჩემს აბანოებს რომ ახურებენ. აჰენობარბუსი და ტიგელინუსი? გეფიცები, ეს რომ კიდეც მდომებოდა, ვერ შევიძლებდი. რომში ასი ათასი კაცი მაინც იქნება ბეჭმრუდე ან მსხვილმუხლებიანი, ან გამხმარწვივებიანი ან თვალდაჭყეტილი თუ დიდთავა. მიბრძანებ, ისინიც მიყვარდნენ? მერე და საიდან მოვიტანო ეს სიყვარული, თუკი გულში ვერა ვგრძნობ? და თუ თქვენს ღმერთს უნდა, ყველა მახინჯი მიყვარდეს, მაშინ განუზომელი ძალის პატრონმა რატომ არ მისცა მათ, მაგალითად, იმ ნიობიდების ტანადობა, რომელიც შენ პალატინში გინახავს? ვისაც მშვენიერება უყვარს, იმას სიმახინჯე ვერ ეყვარება. შეიძლება ჩვენი ღმერთები არ გვწამდეს, ეს სხვა საქმეა, მაგრამ მათი სიყვარული შეიძლება, როგორც ისინი უყვარდათ ფიდიასს, პრაქსიტელეს, სკოპასს, მირონს და ლიზიუსს.

მე რომ კიდეც მინდოდეს მოსვლა, მაინც ვერ შევიძლებდი. შენ პავლესავით გწამს, რომ სტიქსის იქით ნაპირზე, ელისიონის მინდვრებში შენს ქრისტეს ნახავ. კეთილი! დეე მაშინ თვითონ იმან გითხრას, მიმიღებდა ჩემი გე, მებით, ჩემი მორის ლარნაკით, სოზიუსების გამოცემებითა და ჩემი

ოქროსთმიანით? ეს აზრი რომ მომდის, მეცინება, იმიტომ, რომ პავლემაც მითხრა, ქრისტეს გულისთვის ვარდის გვირგვინებიც უნდა დაუტევო, ნადიმებიცა და ამქვეყნიური სიტკბოებაცო. მართალია, იმან სხვაგვარი ბედნიერება აღმითქვა, მაგრამ მე ვუპასუხე, სხვა ბედნიერებისთვის ძალიან მოვხუცდი, ჩემი თვალები მუდამ ვარდების მზერით ტკბებიან, ხოლო იის სუნი მუდამ უფრო სასიამოვნო იქნება ჩემთვის, ვიდრე სიმყრალე ჩემი სუბურელი მოყვასისა-მეთქი.

აი მიზეზნი, რის გამო თქვენი ბედნიერება საჩემო არ არის. ამას გარდაც, კიდევ ერთია, რაც დასასრულისთვის შემოვინახე: მე თანატოსი მიხმობს. თქვენთვის სიცოცხლის ცისკარი იწყება, ჩემი მზე კი უკვე ჩავიდა და ბინდი უკვე გარს მეხვევა. სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, მე უნდა მოვკვდე, carissime.

ამაზე დიდხანს ლაპარაკი არა ღირს, ასე უნდა დასრულებულიყო. შენ აჰენობარბუსს კარგად იცნობ და ადვილად მიხვდები, როგორ დატრიალდა საქმე. ტიგელინუსმა დაამარცხა... მაგრამ არა! ჩემს გამარჯვებას ბოლო დაუდგა. ვცხოვრობდი, როგორც მინდოდა და მოვკვდები, როგორც მომესურვება.

ამას გულთან ახლოს ნუ მიიტან. არც ერთ ღმერთს ჩემთვის უკვდავება არ აღუთქვამს, ამიტომ მოულოდნელი არაფერი არ შემმთხვევია. თანაც, ვინიციუს, ცდები, როდესაც

ამტკიცებ, დამშვიდებით სიკვდილს მხოლოდ ჩვენი ღმერთი გვასწავლისო. არა. ქვეყნიერებამ თქვენამდე იცოდა, რომ როდესაც უკანასკნელ თასს გამოცლი, მაშინ განსვენებას უნდა მიეცე, – და მეც მოვახერხებ ეს დამშვიდებით ჩავიდინო. პლატონი ამბობს, სათნოება მუსიკაა, ხოლო სიცოცხლე – ჰარმონიაო. თუ ეს მართალია, მაშინ ჩემი სიკვდილი სათნოება იქნება.

მე მინდა გამოვეთხოვო შენს ღვთაებრივ მეგობარს იმ სიტყვით, რა სიტყვითაც ოდესღაც ავლუსის სახლში მივმართე: „ბევრი მინახავს ლამაზი, მაგრამ შენსავით მშვენიერი კი არა“.

მაშ თუ სული იმაზე მეტია, ვიდრე პირსონი ფიქრობს, მაშინ ჩემი სული, ოკეანისაკენ მიმავალი, თქვენთან მოფრინდება და პეპელას სახით თქვენს სახლზე დაჯდება, ანუ როგორც ეგვიპტელებს სწამთ, ქორის სახით მოგევლინება.

სხვაგვარი მოსვლა არ შემიძლია.

ახლა კი გარდაიქმნას თქვენი სიცილია ჰესპერიდების ბაღად. მინდვრის, ტყის და წყლის ქალღმერთებმა ყვავილებით მოგიფინონ გზა და თქვენი სახლის აკანთოსებსა და სვეტებში თეთრმა მტრედებმა ჩაიდგან ბუდე“.

თავი მეჩვიდმეტე

პეტრონიუსი არა ცდებოდა. ორი დღის შემდეგ მისმა მოყვარულმა და ერთგულმა ახალგაზრდა ნერვამ პეტრონიუსს თავისი აზატი კუმს გაუგზავნა და რაც კეისრის სასახლეში ხდებოდა, ყველაფერი შეატყობინა.

პეტრონიუსის დაღუპვა უკვე გადაწყვეტილი იყო. ერთი დღის შემდეგ მასთან ცენტურიონის გაგზავნას აპირებდნენ, კუმში დარჩენის ბრძანებას გამოატანდნენ. რამდენიმე დღეც და შემდეგ შიკრიკი სიკვდილის განაჩენს მიუტანდა.

პეტრონიუსმა აუშფოთებელი დამშვიდებით მოუსმინა აზატს და უთხრა:

– წასვლისას ლარნაკს გადმოგცემ და შენს ბატონს წაუღებ. უთხარ, რომ სულითა და გულით მადლობელი ვარ, რადგან ახლა შემიძლია განაჩენს დავასწრო.

და ისე ხალისიანად გაიცინა, თითქოს კარგი რამ მოაფიქრდაო.

იმავ საღამოს მონები გაგზავნა და კუმში მცხოვრები ავგუსტიანები და ავგუსტიანი მანდილოსნები ნადიმზე მოიწვია.

ნასადილევს პეტრონიუსი ჯერ წიგნთსაცავში წერდა, მერე იბანავა, ბრძანა, ტანთ ჩამაცვითო და ბრწყინვალე ღმერთის მსგავსი, ტრიკლინიუმში გამოცხადდა, რათა სამზადისისთვის მცოდნე თვალი გადაევლო. შემდეგ ბაღში ჩავიდა, სადაც პატარა ბიჭები და ახალგაზრდა ბერძნის ქალები ნადიმისთვის გრეხილებსა და ვარდის გვირგვინებს აკეთებდნენ. სახეზე არავითარი დარდი არ ეტყობოდა. ნადიმი რომ რაღაც არაჩვეულებრივი უნდა ყოფილიყო, მსახურებმა მხოლოდ იქიდან გაიგეს, რომ პეტრონიუსმა ბრძანა, არაჩვეულებრივი საჩუქრები მიეცათ იმათთვის, ვისიც კმაყოფილი იყო და ვინც რამე დააშავა, მსუბუქად გაეწკეპლათ. კითარის დამკვრელებსა და მომღერლებს აგრეთვე უხვი საჩუქარი აღუთქვა, შემდეგ წიფლის ხის ქვეშ დაჯდა, რომლის ფოთლებში მზის სხივი გამოკრთოდა, და ევნიკა იხმო.

ევნიკა მთლად თეთრად მორთული მოვიდა. თმაში ტვიის შტოები ჰქონდა ჩაწნული და ხარიტასავით მშვენიერი იყო. პეტრონიუსმა გვერდზე მოისვა, ქალის სახეს ოდნავ ხელი შეახო და ისე დაუწყო მას ცქერა, როგორც კარგი მცოდნე უცქერის ხოლმე ღვთაების ქანდაკებას, გამოჩენილი მოქანდაკის ნახელავს.

– ევნიკა, – უთხრა მან, – შენ იცი, რომ დიდი ხანია უკვე გაგათავისუფლე.

ქალმა თავისი მშვიდი, ლაჟვარდი თვალებით შეხედა და უარის ნიშნად თავი გააქნია.

– მე მუდამ შენი მონა ვარ, – მიუგო მან.

– მაგრამ შენ იქნებ არ იცი, – განაგრძო პეტრონიუსმა, – რომ ეს ვილა და მონები, აგერ რომ გვირგვინებს სწნავენ და ყველა, რაც ამ სახლისაა, მინდვრებიც, ფარაც, – ამიერიდან შენ გეკუთვნის.

ევნიკამ განზე გაიწია და უცებ შიშის გამომხატველი ხმით ჰკითხა:

– მაგას რად მეუბნები, ბატონო?

მერე ისევ მიუახლოვდა და შეშინებული თვალებით ცქერა დაუწყო. სახეზე ნაცრისფერი დაედო, პეტრონიუსმა გაიღიმა და მხოლოდ ერთი სიტყვა უთხრა:

– დიახ!..

სიჩუმე ჩამოვარდა, მხოლოდ წიფლის ფოთლებს არხევდა ნიავი.

პეტრონიუსს მართლაც შეეძლო ეფიქრა, ჩემ წინ თეთრი მარმარილოს ქანდაკებააო.

– ევნიკა, – უთხრა მან, – მე მინდა, დამშვიდებული მოვკვდე.

ქალმა შეხედა და გულის გამგმირავი ღიმილით უთხრა:

– მესმის, ბატონო.

პეტრონიუსის ნადიმზე არა ერთხელ ნამყოფი სტუმრები, რაკი იცოდნენ, ეს ნადიმები უფრო მხიარული და გემოვნებით მოწყობილია, ვიდრე თვითონ კეისრის ღრეობაო, საღამო ხანს მრავლად შეიკრიბნენ. ის კი ვერ წარმოედგინათ, რომ ეს უკანასკნელი სიმპოსიონმი იყო. მართალია, ბევრმა იცოდა, რომ მშვენიერ arbiter-ს კეისრის რისხვის ღრუბლები მოეფინა, მაგრამ ეს ხშირად ხდებოდა და პეტრონიუსი მუდამ ახერხებდა ის ღრუბლები მარჯვე მოქმედებითა თუ ერთი მოსწრებული სიტყვით გაეფანტა. ამიტომაც არავის არ ეგონა, რომ მას ნამდვილი საფრთხე ემუქრებოდა. ეს კიდევ უფრო ირწმუნეს, როცა მასპინძლის მხიარული სახე და ჩვეულებრივი დაუდევარი ღიმილი დაინახეს. ევნიკაც მშვიდად იყო, თვალები ისე უბრწყინავდა, რომ გახარებული და გახალისებული ჩანდა. კარებში პატარა ბიჭები სტუმრებს თავზე გვირგვინებს ადგამდნენ და ჩვეულებისამებრ აფრთხილებდნენ, ზღურბლზე ჯერ მარჯვენა ფეხი დაადგითო. დარბაზში იის სუნი იდგა. ყველა წამოსაწოლთან ახალგაზრდა ბერძნის ქალი იდგა, რათა სტუმრების ფეხებზე სურნელოვანი საცხები წაეცხო. კედლებთან კითარის დამკვრელნი და ათენელი მომღერალნი თვისი უფროსის ნიშანს ელოდნენ.

სუფრა მდიდრულად იყო მორთული. მაგრამ ეს სიმდიდრე არ შეაწუხებდა მნახველს. მხიარულება და სილაღე იის სუნთან ერთად მოსდებოდა დარბაზს. იმ დარბაზში შესვლისთანავე ყველა სტუმარი გრძნობდა, რომ მას არც შევიწროება, არც მუქარა არ დაამძიმებდა, როგორც ეს კეისართან იყო ხოლმე, სადაც მისი სიმღერის არასაკმაოდ ძლიერი ან არასაკმაოდ მოხერხებული ქება სიცოცხლის გამოსალმებას უდრიდა. სანთურების სინათლემ, ფათალო შემოვლებულმა ჭურჭელმა, ჩაცივებულმა ღვინოებმა

და ნუგბარმა საჭმელებმა ყველანი რაღაც უჩვეულოდ გაამხიარულა. ბაასი ერთბაშად გაიბა, როგორც ხანდახან აყვავებული ვაშლის ხეზე ფუტკრები ერთბაშად იწყებენ ხოლმე ბზუილს. ახმაურებულ საუბარს ხან ატეხილი მხიარული სიცილი, ხანაც ძალუმი კოცნა შეწყვეტდა ხოლმე.

სტუმრები ღვინოს სვამდნენ, ჯერ უკვდავი ღმერთების პატივსაცემად რამდენიმე წვეთი დააქციეს, რათა ეთხოვათ, სახლის პატრონს წყალობას ნუ მოაკლებთო. ბევრს სრულებითაც არა სწამდა ღმერთები, მაგრამ ჩვეულება იყო და ასრულებდნენ. პეტრონიუსი ევნიკას გვერდით წამოწოლილიყო და რომის ახალ ამბებზე ლაპარაკობდა: გაიხსენა, ბოლო ხანს ვინ გაიყარა, სასიყვარულო შემთხვევები, ცხენებით ვარჯიშობა, სპიკულუსი, უკანასკნელ ასპარეზზე რომ გაიმარჯვა, და ახალ-ახალი წიგნები. სმის დროს რომ ღვინოს აქცევდა, ამბობდა, ამას მხოლოდ კიპრიდას პატივისცემით ჩავდივარო, ყველა ღმერთზე უფროსია და მხოლოდ იგია უკვდავი და ყოვლისშემძლებელიო.

ბოლოს ხელი დაუქნია გუნდის უფროსს და ამ ნიშანზე კითარები ახმაურდნენ, მათ ახალგაზრდა ხმები მიჰყვნენ; მერე მოცეკვავენი გამოვიდნენ, კოსის კუნძულელნი, ევნიკას თანამემამულენი, მათი ვარდისფერი სხეულები გამჭვირვალე ტანისამოსიდან მოჩანდნენ; დასასრულ ეგვიპტელი მკითხავი ყველა სტუმარს მომავალს უწინასწარმეტყველებდა.

როდესაც ყველა ეს შექცევა მოწყინდათ, პეტრონიუსმა სირიული მუთაქიდან ოდნავ წამოიწია და დაუდევრად თქვა:

– მეგობრებო, მაპატიეთ, რომ ნადიმზე თხოვნით მოგმართავთ, გთხოვთ, ყველა თქვენგანმა ჩემგან საჩუქრად ის თასი მიიღოს, საიდანაც ჩემი მშვიდობისთვის ღმერთების პატივსაცემად ღვინო დააქციეთ.

პეტრონიუსის შესანიშნავი თასები ოქროსი იყვნენ და ძვირფასი თვალებით ბრწყინავდნენ. ამიტომ ყველა მონადიმე აღტაცებული დარჩა, თუმცა რომში საჩუქრების გაცემა ჩვეულებრივი საქმე იყო. მადლობა და ქება შეასხეს, ზოგმა უთხრა, ოლიმპოსზე თვითონ იუპიტერსაც ღმერთებისთვის ასეთი საჩუქარი არ დაურიგებიაო. ისეთებიც იყვნენ, ვერა ბედავდნენ პეტრონიუსისგან საჩუქარი მიეღოთ, რადგან საქმე ჩვეულებრივ საზღვარს გადასცდა.

პეტრონიუსმა კი მაღლა ასწია ფასდაუდებელი მურის თასი, ცისარტყელას ყველა ფერით რომ ბრწყინავდა, და თქვა:

– აი, ამ თასს, საიდანაც ღვინო კიპრიდას პატივსაცემად დავღვარე, ამიერიდან ნუღარავისი ბაგე ნუ მიეკარება და ნუღარავისი ხელი ნუღარ დააქცევს ამისგან ღვინოს კვიპროსელი ქალღმერთის პატივსაცემად.

თასი ზაფრანის ლურჯი ფოთლებით მოფენილ იატაკზე დაანარცხა. როცა თასი დაიმსხვრა, პეტრონიუსმა სტუმრების გაკვირვება შენიშნა და წარმოთქვა:

– მეგობარნო, გაკვირვების მაგიერ გამხიარულდით! სიბერე და უძლურება სიცოცხლის უკანასკნელი წლების სამწუხარო თანმხლებნი არიან. მაგრამ მე კარგ მაგალითს მოგცემთ და კარგ რჩევას: შეიძლება დაელოდო სიბერესა და უძლურებას, მაგრამ მათ მოსვლამდე წასვლა სჯობს, როგორც მე მივდივარ.

– რა გადაგიწყვეტია? – გაისმა შეშფოთებული ხმები.

– მე მინდა ვიმხიარულო, ღვინო ვსვა, მუსიკა მოვისმინო, იმის ტანის ღვთაებრივ ნაკვთებს

ვუცქირო, ვისაც თქვენ ჩემ გვერდზე ხედავთ და შემდეგ გვირგვინით შემკობილმა მივიძინო. მე კეისარს უკვე გამოვეთხოვე. ხომ არ გინდათ, მოისმინოთ ჩემი გამოსათხოვარი წერილი!

ეს რომ თქვა, ძოწისფერი მუთაქიდან წერილი გამოიღო და კითხვა დაიწყო:

„ვიცი, კეისარო, მოუთმენლად ელი ჩემს მოსვლას და შენი მეგობრული გული დღე და ღამე ჩემთვის ნაღვლიანობს. ვიცი, საჩუქრებით ამავსებდი, პრეტორიის პრეფექტად დამნიშნავდი, ტიგელინუსს კი უბრძანებდი, ის ყოფილიყო, რისთვისაც ღმერთებს გაუჩენიათ, ეს იგი, ჯორების ზედამხედველად შენს იმ მამულებში, დომიციუსის მოწამვლის შემდეგ რომ დაიმკვიდრე. მაპატიე! ჰადესს გეფიცები და შენ დედის, ცოლისა და ძმის აჩრდილებს, შენთან მოსვლა არ შემიძლია. სიცოცხლე უდიდესი საჭურჭლეა, მეც მოვახერხებ ამ საჭურჭლეში საუკეთესო ნივთები ამერჩია, მაგრამ სიცოცხლეშიაც არის ისეთი რამ, რის ატანაც აღარ შემიძლია. ნუ იფიქრებ, რომ მაშფოთებდეს ის, რომ შენ დედა, ცოლი და ძმა მოკალ, რომ რომს ცეცხლი წაუკიდე და რომ შენი სახელმწიფოს საუკეთესო ადამიანები ერებოსს გაუგზავნე. არა, კრონოსის შვილიშვილო! სიკვდილი ადამიანთა ხვედრია, შენგან კი სხვა რიგი საქციელის მოლოდინი არ შეიძლებოდა. მრავალი წელი ყური გამიჭედა შენმა სიმღერამ, თავი მომაბეზრა შენი დომიციუსისებური

ღიპის ცქერამ, წვრილი ფეხების მანჭვა-გრეხამ, შენი დაკვრის მოსმენამ, შენი დეკლამაციისა და შენი პოემების ყურის გდებამ. გარეუბნის უბადრუკო პოეტო, – აი რამ მომიყვანა აბეზარს, რამ აღმიძრა

სიკვდილის სურვილი. რომი ყურებს იცობს, შენს სიმღერას რომ ისმენს, ქვეყანა შენ დაგცინის, მე კი შენი სირცხვილის გაზიარება აღარ მინდა და აღარც შემიძლია. ჩემო კარგო, ცერბერის ღმუილი ნაკლებ უსიამოვნო იქნება ჩემთვის, ვიდრე შენი სიმღერა, იმიტომ, რომ მისი მეგობარი არაოდეს არა ვყოფილვარ და მოვალე არა ვარ, მისი ხმის გამო შემრცხვეს. კარგად იყავ, მაგრამ ნუღარ იმღერებ, ხალხი ამოწყვიტე, მაგრამ ლექსებს ნუღარ დაწერ, ადამიანები მოწამლე, მაგრამ ნუღარ იცეკვებ, ცეცხლი გააჩინე, მაგრამ კითარას ნუღარ დაუკრავ. ესეც უკანასკნელი მეგობრული რჩევა arbiter elegantiarum-ისაგან“.

სტუმრები შეშინდნენ, რადგან იცოდნენ, რომ ნერონისთვის, სახელმწიფოს დაკარგვა ნაკლებად სამძიმო იქნებოდა, ვიდრე ამგვარი წერილის მიღება. ყველა მიხვდა, რომ ამ წერილის დამწერი უნდა მომკვდარიყო, ამიტომ მისმა მოსმენამ თავზარი დასცათ.

მაგრამ პეტრონიუსმა ისეთი წრფელი და მხიარული სიცილით გაიცინა, თითქოს საქმე უბრალო რამ საგანს შეეხებოდა, მერე ყველა იქ მყოფთ თვალი გადაავლო და უთხრა:

– იმხიარულეთ და ყველა შიში გულიდან გადაიყარეთ. თგვენგანმა არავინ არ უნდა დაიკვეხნოს, რომ ეს წერილი მოისმინა; მე კი ამას მხოლოდ ხარონს ვეტყვი, როცა იქით გადავაბიჯებ.

მერე ექიმი მოიხმო და მკლავი გაუშვირა. გამოცდილმა ბერძენმა უმალვე ოქრომკედის ზონარი მოუჭირა და ძარღვი გაუხსნა. სისხლმა სასთუმალზე გამოჩქეფა და ევნიკას დაეწვეთა. ქალს პეტრონიუსის თავი ეჭირა. იგი დაიხარა და პეტრონიუსს უთხრა:

– ბატონო, იქნებ გეგონა, თავს დაგანებებდი? ღმერთებმა რომ უკვდავება მომანიჭონ, ხოლო კეისარმა ქვეყნის გამგებლად დამნიშნოს, მაშინაც თან წამოგყვებოდი.

პეტრონიუსმა გაიღიმა, ცოტა წამოიწია, ტუჩები ევნიკას ტუჩებს მიაწება და უპასუხა:

– წამომყევ!

ევნიკამაც ექიმს მარჯვენა მკლავი გაუწოდა. ერთი წუთიც და მისი სისხლი პეტრონიუსის სისხლს შეერია.

პეტრონიუსმა გუნდის უფროსს ანიშნა და კითარების ხმა და სიმღერა გაისმა. ჯერ ჰარმოდიოსი იმღერეს და შემდეგ ანაკრეონტის სიმღერები.

ხოლო პეტრონიუსი და ევნიკა, ვით ორი მშვენიერი ღვთაება, ღიმილით უსმენდნენ. თანდათან

გაფითრდნენ. სიმღერის გათავებისას პეტრონიუსმა უბრძანა მონებს, ღვინო ჩამოეტარებინათ და ახლო მჯდომ სტუმრებს ლაპარაკი დაუწყო უბრალო, მაგრამ სასიამოვნო თემაზე, რაზედაც ჩვეულებრივ ნადიმებზე ბაასობენ ხოლმე. მერე ბერძენს უბრძანა, ძარღვები ცოტა ხნით შეეკრა, რადგანაც, – თქვა მან, – ძილი მერევა, მინდა, ჯერ ჰიპნოსს მივეცე, ვიდრე თანატოსი საუკუნოდ წამიღებს.

დაეძინა. ხოლო როცა გაეღვიძა, ევნიკას თავი, თეთრი ყვავილის მსგავსი, მკერდზე უძრავად მისვენებოდა. წამოდგა, ერთიც კიდევ დახედა ქალს და ექიმს ისევ ძარღვების გახსნა უბრძანა.

მიცემულ ნიშანზე მომღერლებმა ანაკრეონტის სიმღერა იმღერეს, ხოლო კითარებმა წყნარად შეუწყვეს ხმა, რომ სიტყვები არ ჩაეხშოთ. პეტრონიუსი უფრო და უფრო გაფითრდა და როდესაც უკანასკნელი ხმა მიჩუმდა, ერთიც კიდევ მიმართა სტუმრებს და უთხრა:

– მეგობრებო, გამოტყდით, რომ ჩემთან ერთად იღუპება...

ვაღარ დაასრულა, უკანასკნელი მოძრაობით ევნიკას მოეხვია, სასთუმალზე დაეცა და პეტრონიუსი მოკვდა.

სტუმრებს, ამ ორ მშვენიერ ჩამოქანდაკებულ ადამიანს რომ უცქეროდნენ, კარგად ესმოდათ, ამათთან ერთად იღუპება ერთადერთი, რაც დაგვრჩენია – პოეზია და სილამაზეო.

პროლოგი

თავდაპირველად, ვინდექსის მეთაურობით გალთა ლეგიონების ამბოხება საშიში არა ჩანდა. კეისარი სულ მხოლოდ ოცდამეთერთმეტე წელში გადადგა და ვერავინ ბედავდა, გუნებაში იმედი გამოეთქვა, ქვეყანა ჩქარა გათავისუფლდება მახრჩობელა მაჯლაჯუნისგანო. გაიხსენებდნენ ხოლმე, რომ წარსული ხელმწიფობის დროსაც ლეგიონებს ამბოხება არა ერთხელ

მოუხდენიათ, მაგრამ მეომარნი დაუშოშმინებიათ. ტიბერიუსის დროს დრუზუსმა პანონიის ლეგიონების ამბოხება ჩააქრო. „ვინ შეიძლება ნერონს შეენაცვლოს, – კითხულობდა ხალხი. – თუკი ღვთაებრივი ავგუსტუსის მთელი ჩამომავლობა მთლად დაიღუპა“. სხვები, მხილველნი უზარმაზარი ქანდაკებისა, კეისარს რომ ჰერკულესის სახით ხატავდნენ, უნებლიეთ ფიქრობდნენ, ვერავითარი ძალა ვერ დაამარცხებს ნერონსო. ისეთებიც იყვნენ, რომ აქაიადან ნერონის დაბრუნება სურდათ, რადგან მისგან დაყენებული გამგებელნი უფრო მეტ სისხლს ღვრიდნენ, ვიდრე თვითონ იმპერატორი.

ვერავინ იფიქრებდა, ჩემს სიცოცხლეს და ჩემს ქონებას საფრთხე არ ემუქრებაო. კანონმა მფარველობის ძალა დაკარგა. საბერძნეთიდან ხმა მოდიოდა, კეისარს არგაგონილი გამარჯვება ხვდაო, ათასი გვირგვინით შეამკესო, ეს გვირგვინები დამარცხებულ მეტოქეთაგან ერგოო.

მთელი ქვეყანა გაერთიანებულ სისხლიერ და მასხარულ ორგიად მოჩანდა. ისე ჩანდა, თითქოს სათნოებას ბოლო მოეღო, რომ ცეკვის, მუსიკის, გარყვნილებისა და სისხლის დრო დადგა, რომ ამიერიდან ცხოვრება მხოლოდ ეს იქნება. თვითონ კეისარს ამბოხება ძარცვის საბაბს აძლევდა, ამიტომ მეამბოხე ლეგიონები და ვინდექსი ძალიანაც არ აწუხებდნენ. პირიქით, ხშირად გამოუხატავს ხოლმე თავისი სიხარული. აქაიადან წამოსვლა არ უნდოდა და მხოლოდ როდესაც ჰელიუსმა მოახსენა, დაბრუნების გადადებამ შეიძლება სახელმწიფო დაგაკარგვინოსო, ნეაპოლს წამოვიდა.

იქ ხელახლა იმღერა და ითამაშა, ხოლო საფრთხე რომ დღითი დღე მატულობდა, ამას არად დაგიდევდათ. ტიგელინუსი ამაოდ არწმუნებდა, უწინდელი ამბოხების დროს ლეგიონებს წინამძღოლი არა ჰყავდათ, ახლა კი სათავეში ძველ აკვიტანელ მეფეთა გვარეულობის ჩამომავალი უდგას, თან წარჩინებული და გამოცდილი მხედარიო. ნერონი პასუხობდა: „აქ ბერძნები მისმენენ, მხოლოდ მათ იციან ნამდვილი მოსმენა და ჩემი სიმღერის ღირსნი მხოლოდ ესენი არიან“. კეისარი ამბობდა, პირველი ჩემი მოვალეობა – ხელოვნება და სახელმოხვეჭა არისო. მაგრამ როდესაც მის ყურამდე მიაღწია, ვინდექსმა უხეირო მსახიობი გიწოდაო, უმალვე რომს მიაშურა. პეტრონიუსისგან დაკოდილი გული საბერძნეთში დაუამდა, და ახლა კი ისევ გაეხსნა ნაჭრილობევი. უნდოდა, სენატში სამართალი მოეპოვებინა, ესოდენ არგაგონილი შეურაცხყოფისათვის დაესაჯა დამნაშავე.

გზად მიმავალმა ჯგუფური ქანდაკება დაინახა. ამ ჯგუფში რომაელი მხედარი გალელ მხედარს ქელავდა. ნერონმა ეს კარგის მომასწავებლად მიიღო და მას შემდეგ, თუკი აჯანყებულ ლეგიონებსა და ვინდექსს გაიხსენებდა, მხოლოდ იმისთვის, რომ ისინი სასაცილოდ აეგდო. ნერონის რომში შესვლამ ყველა დაჩრდილა, რაც აქამდის ენახათ. კეისარი ავგუსტუსის ეტლით შევიდა. გამოეგებნენ სენატი, მხედრები და ურიცხვი ხალხი. ყვირილისგან კედლები ზანზარებდნენ: „სალამი შენ, აპოლონ, ჰერკულეს! ღვთაებრივო, ერთადერთო, ოლიმპიელო, პითიელო, უკვდავო!“ უკან გვირგვინები მოჰქონდათ, ქალაქის სიები, სადაც დიდება მოიპოვა, და ფირფიტები, რომლებზედაც მისგან დამარცხებულ მსახიობთა სახელები ეწერა. ნერონს ასეთმა მიღებამ თავრეტი დაასხა. ავგუსტიანებს ჰკითხავდა, ამ ზეიმთან შედარებით იულიუს კეისრის ზეიმი რის მაქნისიაო, აზრი, რომ ვინმე მოკვდავი ასეთ ხელოვანს, ნახევარღმერთს ხელის შეხებას გაუბედავდა, თავში არ მოსდიოდა, იგი თავს მართლაც ოლიმპიელად რაცხდა, ამის გამო ეგონა, არავითარი საფრთხე არ მემუქრებაო. ბრბოს აღტაცება და გასულელება ნერონის სისულელეს უფრო აძლიერებდა. ამ ზეიმის დღეს კაცს შეიძლება ეფიქრა, არა მარტო კეისარსა და ქალაქს, არამედ მთელ ქვეყანას საღი გონება დაუკარგავსო.

ყვავილებსა და გვირგვინებში უფსკრულის დანახვა ვერავინ შეიძლო, მაგრამ იმავე ღამეს სვეტები და ტაძრის კედლები კი წარწერებით აივსო. ამ წარწერებში კეისრის დანაშაულობა იყო ჩამოთვლილი, ემუქრებოდნენ და სასაცილოდ იგდებდნენ მის მსახიობობას. მთელ ქალაქს

მოედო თქმა: მანამდე იმღერა, ვიდრე მამლები არ გააღვიძაო. ისე დიდი იყო ქალაქის შეშფოთება, რომ ავგუსტიანები შიშმა მოიცვა.

ნერონს კი მხოლოდ თეატრი და მუსიკა აინტერესებდა. მას ახლად გამოგონილი სამუსიკო საკრავები ართობდნენ და უმეტესად წყლის ორღანო, რომლის გამოცდა პალატინზე ხდებოდა. ყველა მისი მოქმედება რაღაც ნაჩქარევი იყო. დღის განმავლობაში თავში ათასი განზრახვა მოსდიოდა. ხანდახან წამოხტებოდა, თითქოს საშიშროებას გაურბისო. უბრძანებდა, ქნარები და კითარები ეტლზე დაეწყოთ, ახალგაზრდა მონა ქალები ამორძალებად გამოწყობილიყვნენ. ხანდახან მოაფიქრდებოდა, ომით კი არა, მუსიკითა და სიმღერით დავამშვიდებო გალთა ლეგიონების ამბოხებას. გა-

იღიმებდა, როცა წარმოიდგენდა, რომ თვალცრემლიანი ლეგიონერები შემოეხვეოდნენ და ის იმათ ეპინიკიონს უმღერებდა. მას შემდეგ მისთვისაც და რომისთვისაც ოქროს ხანა დადგებოდა. ხან ახალ სისხლის ღვრას ითხოვდა. ამბობდა, რომ ეგვიპტის მართვას იკმარებდა, მკითხავებს იგონებდა, იერუსალიმში მეფობა რომ უწინასწარმეტყველეს, ხან გული აუჩუყდებოდა და გაიფიქრებდა, არსობის პურს შრომით კი არ მოიპოვებდა, ვითა მოხეტიალე მომღერალი იშოვიდა. ხოლო ქალაქები და ქვეყნები ქება-დიდებას შეასხამდნენ არა როგორც კეისარსა და ქვეყნიერების მეუფეს, არამედ როგორც სწორუპოვარ მომღერალს.

ამასობაში კი დასავლეთში დღითი დღე ღრუბელმა იძალა. ფიალა აივსო – მასხარული კომედია დასასრულს უახლოვდებოდა.

როდესაც გალბას ამბავი და ამბოხებასთან ესპანეთის მიმხრობის ცნობა ნერონის ყურამდე მოვიდა, ისე გაცეცხლდა, რომ ყველა თასი დაამსხვრია, სანადიმო სუფრა ძირს დასცა და ისეთი რამ ბრძანა, ვერც გელუსმა და ვერც ტიგელინუსმა სისრულეში ვერ მოიყვანეს. მან ბრძანა, რომში მცხოვრები ყველა გალი დაეხოცათ, ქალაქისათვის ცეცხლი ხელახლა მოეკიდებინათ, ყველა არენარიუმებიდან მხეცები გამოეშვათ, სატახტო ქალაქი ალექსანდრიაში გადაეტანათ. ყველა ეს ნერონს განსაცვიფრებელ და საადვილო საქმედ ეჩვენებოდა. მაგრამ მისი ძლიერების ჟამმა უკვე ჩაიარა, მისმა თანამოზიარეებმა კი ისე დაუწყეს ცქერა, როგორც უგუნურს.

ვინდექსის სიკვდილმა და მეამბოხე ლეგიონების ერთმანეთში ქიშპობამ თითქოს სასწორი ისევ ნერონისაკენ გადმოხარა. რომში უკვე გამოაცხადეს ახალი ნადიმნი, ღრეობანი და სიკვდილის ახალი განაჩენები, მაგრამ უცებ ერთ ღამეს პრეტორიელთა ბანაკიდან შიკრიკი მოვარდა და ასეთი ცნობა მოიტანა: თვითონ ქალაქის ჯარისკაცებმა ამბოხების დროშა ამართეს და იმპერატორად გალბა აღიარესო.

შიკრიკის მოსვლისას კეისარს ეძინა. როცა გაიღვიძა, ჩვეულებისამებრ მის სადგომში დაყენებულ

დარაჯს დაუწყო ძახილი, მაგრამ ამაოდ: სახლი დაცარიელებული იყო, მხოლოდ მოშორებული ოთახებიდან, რაც ჯერ წაღებული არ იყო, მონები იმას ეზიდებოდნენ. ნერონის ძახილმა ისინი დააფრთხო, ხოლო ნერონი სასახლეში მარტო ტანტალებდა და შფოთიანი და სასოწარკვეთილი ყვირილით იქაურობას ახმიანებდა.

ბოლოს აზატი ფაონი, სპორი და ეპაფროდიტი მოვიდნენ მის საშველად. მათ უნდოდათ, ნერონი გაქცეულიყო, არწმუნებდნენ, დროს დაკარგვა არ შეიძლებაო, მაგრამ კეისარი ვერ გამორკვეულიყო. ახლა რომ შავები ჩაიცვას და სენატს გამოელაპარაკოს, განა სენატი მის ცრემლს და მჭერმეტყველებას გაუძლებს? თუ მთელი მჭერმეტყველების ძალა და არტისტული შემძლებლობა მოიხმარა, ნუთუ ვინმე დაუდგება წინ? ეგვიპტის პრეფექტად მაინც არ დანიშნავენ?

მონურ მორჩილებას ჩვეული აზატები საწინააღმდეგო სიტყვის თქმას ვერ ბედავდნენ, მხოლოდ ეუბნებოდნენ – ვიდრე ფორუმამდე მიაღწევ, ხალხი აგკუწავსო, აშინებდნენ, თუ ახლავე ცხენზე არ შემჯდარხარ, ჩვენც თავს დაგანებებთო.

ფაონმა დასამალავად თავისი ვილა შესთავაზა, ნომენტანის კარს იქით მდებარე. ყველანი ცხენებზე შესხდნენ. სახე მოსასხამით მოიბურეს და გარეუბნისკენ გაექანენ. ქუჩებში დიდი მოძრაობა იყო, როგორიც არაჩვეულებრივი გარემოების დროს იცის ხოლმე. ჯარისკაცები ზოგი

სათითაოდ და ზოგიც პატარა ჯგუფებად ქალაქს მოეფინენ. ბანაკს რომ მიუახლოვდნენ, კეისრის ცხენი გზაზე დაგდებული მკვდარი კაცის დანახვაზე დაფრთხა. მოსასხამი სახიდან ჩამოუვარდა. ამ დროს გამვლელმა ჯარისკაცებმა კეისარი იცნეს და მოულოდნელი შეხვედრით შემკრთალებმა უნებლიეთ სამხედროთა წესით მიესალმნენ. პრეტორიელთა ბანაკის გვერდზე რომ გაიარეს, კეისარს გალბას პატივსაცემი ხმამაღალი ყვირილი მოესმა. ნერონმა შეიგნო, სიკვდილი კარს მომდგომიაო. იგი შიშმა და სინდისის ქენჯნამ მოიცვა. თქვა, სიბნელეს ვხედავ, შავი ღრუბელის მსგავს სიბნელესო, და იქიდან ადამიანები მიცქერიან, მათ შორის დედა, ცოლი და ძმაო. შიშისაგან კბილებს აკაწკაწებდა, მაგრამ მისი არტისტული სული ამ საზარელ წამში რაღაც მშვენიერებას განიცდიდა. ყოვლადშემძლებელ მეუფედ ყოფნა და ყველაფრის ერთბაშად დაკარგვა – უაღრეს უბედურებად ეჩვენებოდა. ამ ტრაგედიაში ბოლომდე პირველ როლს თამაშობდა. იგი დაუძლეველმა სურვილმა მოიცვა, წიგნებში ამოკითხული ადგილები წარმოეთქვა, რომ ყველა დამსწრეს მისი წარმოთქმული დაეხსომებინა და ჩამომავლობისთვის გადაეცა. ხან ამბობდა, სიკვდილი მსურსო, და სპიკულუსს იწვევდა, ყველა გლადიატორზე უკეთესად რომ კლავდა ადამიანს. ხან წარმოთქვამდა, დედა, ცოლი და ძმა სიკვდილისკენ მიხმობენო. მაინც

ხანდახან იმედი გამოუკრთებოდა ხოლმე, ამაო და ბავშვური იმედი. იცოდა, რომ სიკვდილი უახლოვდებოდა, მაგრამ თანაც თითქოს არ ეჯერებოდა.

ნომენტანის კარი გაეღოთ. ოსტრანიუმი გაიარეს, სადაც პეტრე მოძღვრავდა და ნათლავდა ხალხს, ხოლო გათენებისას ფაონის ვილაში მოვიდნენ.

აქ აზატებმა აღარ დაუმალეს და პირდაპირ უთხრეს, უნდა მოკვდეო. ნერონმა ბრძანა, მისთვის საფლავი გაეთხარათ და მიწაზე დაწვა, რომ ნამდვილი ზომა აეღოთ. როდესაც მიწის თხრა დაიწყეს, იგი ისევ შიშმა მოიცვა. მსუქანი სახე გაუფითრდა, შუბლზე ოფლი დაასხა, ფეხი აითრია. მთრთოლარე და თან ხელოვნური ხმით გაიძახოდა, ჩემი ჟამი ჯერ არ დამდგარაო, მერე ხელახლა ციტატების თქმა დაიწყო... ბოლოს მოითხოვა, რომ დაეწვათ. რა ხელოვანი იღუპებაო, გაოგნებული ამბობდა.

ამასობაში ფაონის შიკრიკი მოვიდა და მოახსენა, სენატმა უკვე განაჩენი გამოიტანა და parricida-ს ძველი ჩვეულებით უნდა მოევლინოს სასჯელიო.

– ეგ რა ჩვეულებაა? – გაფითრებული ტუჩებით იკითხა ნერონმა.

– კისერში ორთითებს მოგდებენ და მიწაზე გაგათრევენ. გვამს ტიბრში გადააგდებენ, – მკვახედ უპასუხა ეპაფროდიტმა.

ნერონმა მოსასხამი გაიხსნა.

– ჟამი დადგა, – თქვა მან და ზეცას შეხედა.

და ერთი კიდევ გაიმეორა:

– რა ხელოვანი იღუპება!

ამ დროს ცხენის ფეხის ხმა მოისმა. ცენტურიონი მოვიდა აჰენობარბუსის თავის წასაღებად.

– დაეშურე! – დაუყვირეს აზატებმა.

ნერონმა კისერზე დანა მიიდო, მაგრამ მშიშარამ ხელით ოდნავ იჩხვლიტა. ჩანდა, ვერ გაბედავდა, მახვილი უფრო ღრმად ჩაერჭო.

მაშინ ეპაფროდიტმა ხელი წაჰკრა – დანა ვადამდე ჩაურჭო.

– სიცოცხლე მოგიტანე! – დაუყვირა შემოსულმა ცენტურიონმა.

– გვიანღაა! – ხრინწიანი ხმით უპასუხა ნერონმა და დასძინა:

– რას ნიშნავს ერთგულება!

უკვე სიკვდილი დაეუფლა. მსხვილი კისრიდან სისხლი ბაღის ყვავილებზე მსხვილ ჭავლად ჩქეფდა, ფეხები აუკანკალდა და იგი მოკვდა.

მეორე დღეს ერთგულმა აქტეამ შემოსა იგი ძვირფასი ქსოვილებით და სურნელოვან კოცონზე დასწვა.

* * *

ნერონმა ისე ჩაიარა, როგორც ჩაივლის ქარიშხალი, ხანძარი, ომი, ჭირიანობა, ხოლო პეტრეს ბაზილიკა ვატიკანის ბორცვებიდან დღემდე გადაჰყურებს რომსა და ქვეყნიერებას.

უწინდელ კაპენის კართან აქამდე დგას პატარა სამლოცველო გაცვეთილი წარწერით: „Quo vadis, domine?“

შენიშვნები

აგრიპა – მარკუს ვიპსანიუს აგრიპა (დაახლოებით ძვ. წ. 63-12 წწ.). ოქტავიანუს ავგუსტუსის დროის ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე და მხედართმთავარი, ავგუსტუსის მეგობარი და სიძე.

აგრიპინა – იგულისხმება აგრიპინა უმცროსი, ნერონის დედა და იმპერატორ კლავდიუსის უკანასკნელი მეუღლე (დაახლ. ახ. წ. 15-60 წწ). საკარო ინტრიგებში დიდად გაწაფული და გარყვნილი, პატივმოყვარე ქალი. ნერონმა მოაკვლევინა მის წინააღმდეგ ინტრიგების აღძვრისათვის.

ავგუსტა – იმპერატორის მეუღლის, ასულის, დედისა და დების ტიტული იყო რომში.

ავგუსტიანები – რომაელი ისტორიკოსის ტაციტუსის მიხედვით, ახალგაზრდა, წარჩინებული რომაელი მხედრები, რომელთაგან ნერონმა საგანგებო რჩეული რაზმი შეადგინა ამალად. მათი სახელი წარმოდგება იმპერატორის ტიტულიდან „ავგუსტუს“. სენკევიჩი ასახელებს ავგუსტიან ქალებსაც, რომლებშიაც ალბათ სხვადასხვა სეფექალები იგულისხმებიან.

ავგუსტუსი ანუ ღვთაებრივი ავგუსტუსი – ოქტავიანუს ავგუსტუსი (ძვ. წ. 63-ახ. წ. 14წწ.), რომის

იმპერატორი, იულიუს კეისრის მემკვიდრე და რომში მონარქიის დამამკვიდრებელი.

ავენტინუსის ბორცვი – ერთ-ერთ შვიდ ბორცვთაგანი, რომლებზედაც გაშენებული იყო ძველი რომი, ქალაქის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში.

ავრეუსი – რომაული ოქროს ფული. უდრიდა 100 სესტერცის, ე.ი. დაახლოებით 5 მანეთს.

ავრორა – რომაული პანთეონის განთიადის, რიჟრაჟის ქალღმერთი და საერთოდ განთიადის, რიჟრაჟისა და აისის სინონიმი. ბერძნულ პანთეონში ეოსი შეესატყვისებოდა.

ათენა – საბერძნეთის ერთ-ერთი მთავარი ღვთაება. ხელოსნობის, მეცნიერებისა და სიბრძნის ქალღმერთი. რომაულ პანთეონში მას მინერვა უდრის.

აიდი - იხ. ჰადესი.

აკვედუკი ანუ აკვედუქტი – წყალსადენი, ხიდი, რომელზედაც გაყვანილი იყო წყალსადენი მილები ან არხები.

ალკმეონი – ამფიარაოსისა და ერიფილეს ძე, თებეს წინააღმდეგ შვიდთა ლაშქრობის მონაწილე.

ლაშქრობიდან დაბრუნების შემდეგ მოკლა დედა, როგორც დამნაშავე მამამისის დაღუპვის საქმეში.

ალუმნა (alumna) – გაზრდილი (ქალზე იტყვიან).

ამბრი – სანთლისებური სურნელოვანი ნივთიერება. იხმარება პარფიუმერიაში.

ამონი ანუ ამონ-რა – ძველი ეგვიპტის ღვთაება, მზის ღმერთი. საბერძნეთსა და რომში ზევსთან და იუპიტერთან აიგივებდნენ.

ამური – რომაული მითოლოგიით, სიყვარულის ქალღმერთის ვენერას ძე. გამოხატავდნენ ფრთიან ბიჭუნად, რომელსაც ხელთ მშვილდ-ისარი ეჭირა, მხარზე კი კაპარჭი ჰქონდა მოგდებული. უწოდებდნენ კუპიდონსაც. ბერძნულ პანთეონში ეროტი შეესატყვისებოდა.

ამფიტრიტე – ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, ზღვის ქალღმერთი, ნეპტუნის ანუ პოსეიდონის მეუღლე.

ამფორა – ღვინის, ზეთისა და სხვა სითხის ჩასასხმელი ორსახელურიანი ერთგვარი ჭურჭელი.

ანაკრეონტი – ძვ. წ. VI ს. სახელგანთქმული ბერძენი ლირიკოსი პოეტი, სატრფიალო ლირიკის ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენელი.

ანტიოქია – დიდი, მდიდარი ქალაქი სირიაში.

ანტიუმი ანუ ანციუმი – ძველი ზღვისპირა ქალაქი ლაციუმში, ახლანდელი პორტი დ'ანცო, რომის იმპერატორთა ხანაში სახელგანთქმული იყო წარჩინებულთა ვილებით, განსაკუთრებით კი ნერონის დიდებული სასახლით.

აპისი – ძველ ეგვიპტელთა წმიდა ხარი, რომლის კულტის ცენტრი მემფისში არსებობდა. ხარი უეჭველად შავი და ნიკორა უნდა ყოფილიყო.

აპიუსი – აპიუს კლავდიუსი, ძვ. წ. V საუკუნის ხელისუფალთაგანი, პლებეების მოძულე და მდაბიო ხალხის უფლებათა შეზღუდვის მოსურნე.

აპიციუსი – გავიუს აპიციუსი, ოქტავიანუს ავგუსტუსისა და ტიბერიუსის თანამედროვე, დიდი შეძლების მქონე რომაელი წარჩინებული. ცნობილი თავისი ღორმუცელობითა და ფუფუნებაში ცხოვრებით.

აპოლონი – ზევსისა და ლეტოს ძე, ღმერთი პოეზიის, მუსიკისა და წინასწარმეტყველებათა, დამცველი კეთილდღეობისა და წესრიგისა.

აპოლონიოს ტიანელი – კაპადოკიელი ფილოსოფოსი და მოგზაური (ახ. წ. I ს.), პითაგორელთა მიმდევარი. იმოგზაურა აზიასა, ევროპასა და აფრიკაში.

არგუსის მკვლელი – მერკურიუსი ანუ ჰერმესი. მან მოკლა ასთვალიანი არგუსი, რომელიც ჰერამ მიუჩინა დარაჯად ზევსის სატრფოს იოს.

არენარია – ადგილი, სადაც ქვიშას იღებენ ან თხრიან.

არეოპაგი – სასამართლო და პოლიტიკური ძალაუფლების უმაღლესი ორგანო ძველ ათენში. რომანში მოხსენებულ ადგილობრივ არეოპაგებში ავტორი რომის პროვინციული ადმინისტრაციისადმი დაპირისპირებულ ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს უნდა გულისხმობდეს.

არესი – ბერძენთა ომის ღმერთი.

არისტიდე – (დაიბადა დაახლ. ძვ. წ. 540 წ. - გარდ. 467 წ.) ძველი საბერძნეთის დიდი სახელმწიფო მოღვაწე, განთქმული თავისი სიმართლითა და პატიოსნებით.

არისტოტელე (ძვ. წ. 384-322 წწ.) – ძველი საბერძნეთის დიდი ფილოსოფოსი, მეცნიერი და მოაზროვნე. მერყეობდა მატერიალიზმსა და იდეალიზმს შორის. მაშინდელი ცოდნის თითქმის ყველა დარგში დატოვა თავისი კვალი. ალექსანდრე მაკედონელის მასწავლებელი იყო.

არტემიდი ანუ არტემისი – ბერძნული პანთეონის ერთ-ერთი მთავარი ღვთაება. ზევსისა და ლეტოს ასული, აპოლონის ნატყუპარი, უბიწო ქალწული; ნადირობისა და ნადირთა ქალღმერთი.

არშაკიდების სამეფო – პართია, მაშინდელი აზიის ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფო, რომელიც კასპიის ზღვის სამხრეთით იყო გადაჭიმული.

ასი – რომაული სპილენძის ფული. თავდაპირველად დაახლოებით 24 კაპიკს უდრიდა, თანდათანობით შემცირდა და დაახლოებით ერთ კაპიკამდე ჩამოვიდა.

ასკლეპიადები – ასკლეპიოსის შთამომავალნი; მეტსახელი, მიკუთვნილი ძველი საბერძნეთის ზოგი ისეთი ოჯახისათვის, რომელიც მკურნალობასა და ექიმბაშობას ეწეოდა.

ასკლეპიოსი – ლეგენდარული ექიმი, შემდგომში ბერძნული პანთეონის მკურნალობისა და სამკურნალო მეცნიერების ღმერთი.

ასფოდელი (asphodelus) – თეთრ სურნელოვან ყვავილიანი მცენარე, რომლითაც, გადმოცემის მიხედვით, დაფარულია საიქიოს ველები.

ატე – განსახიერება გონების წუთიერი დაბნელებისა, რომელიც განუსჯელად ამოქმედებს ადამიანს და ბოროტ საქმეებს ჩაადენინებს. ითვლებოდა ზევსის ასულად.

ატლანტი – ბერძნული მითების მიხედვით, ერთ-ერთი ტიტანი, რომელსაც თავისი მხრებით ზეცის თაღი უჭირავს.

ატრიენსისი (atriensis) – მონა, რომელსაც ატრიუმის მოვლა ეკისრებოდა და სახლის სხვა მონების ზედამხედველობა ევალებოდა.

ატრიუმი – სასტუმრო დარბაზი, რომელიც წარჩინებულ რომაელთა სახლების მთავარ ნაწილს წარმოადგენდა.

აფროდიტე – ბერძნული პანთეონის ვნებიანი სიყვარულის, სილამაზისა და მომხიბვლელობის ქალღმერთი. რომაულ პანთეონში ვენერა შეესატყვისება.

აქაია – ამ სახელით იმპერიის ხანაში იგულისხმებოდა თითქმის მთელი საბერძნეთი, როგორც რომის პროვინცია.

აქილევსი – ბერძენთა უპირველესი გმირი ტროას ომში.

აქტეონი – ბერძნული მითოლოგიით მონადირე, არისტეას ძე, რომელმაც ნადირობის დროს მობანავე ქალღმერთ არტემიდს ანუ დიანას მოჰკრა თვალი. ამით განრისხებულმა ღვთაებამ აქტეონი ირმად გადააქცია და იგი საკუთარმა ძაღლებმა დაგლიჯეს.

ბაალი ანუ ვაალი – ძველი აღმოსავლეთის სემიტური ხალხების ღმერთი, რომლის კულტი გავრცელებული იყო ფინიკიასა, სირიასა და პალესტინაში. ბაალის კულტისათვის დამახასიათებელი იყო ადამიანის მსხვერპლად შეწირვა.

ბაია და ბაული – იტალიის ქალაქები კამპანიაში, ოსკანის უბის სანაპიროზე.

ბალნეატორი – მეაბანოვე, ჩვენებური მექისის მსგავსი.

ბახუსი ანუ ბაკხოსი, იგივე დიონისი – მევენახეობის და მეღვინეობის ღმერთი. რომაულ პანთეონში ძველად ლიბერი შეესატყვისებოდა.

ბესტიარიუსი – ტყვე ან სიკვდილმისჯილი, რომელიც ცირკში მხეცებთან (ლათ. bestia) საბრძოლველად გამოჰყავდათ და საამისოდ სპეციალურად სწვრთნიდნენ კიდეც.

ბითინია – ქვეყანა მცირე აზიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში; ძვ. წ. I საუკუნიდან რომის პროვინცია.

ბისონი – ძვირფასი თეთრი ან მეწამული ფერის ქსოვილი. განსაკუთრებით ძველ საბერძნეთსა და რომში ხმარობდნენ.

ბრიარევსი – ურანოსის (ზეცის) და გეას (დედამიწის) შვილი, გიგანტი, რომელსაც 50 თავი და 100 ხელი ება.

ბრენი – გალების ბელადი, რომელიც თავისი ჯარით იტალიაში შეიჭრა და ძვ. წ. 390 თუ 387 წ. დაამარცხა რომაელები ტიბრის მარცხენა შენაკად ალიას ნაპირებზე.

ბრიტანიკუსი – იმპერატორ კლავდიუსისა და მესალინის ძე ახ. წ. 40 წ. დაიბადა. 55 წ. ნერონმა მოაწამვლინა. ეშინოდა, ტახტს არ შემეცილოსო.

ბრუტუსი – ლუციუს იუნიუს ბრუტუსი (ძვ. წ. VI ს.), რომლის მოთავეობითაც დაამხეს ტარკვინიუსები, ხოლო როცა შემდეგ ახალგაზრდა წარჩინებულ შეთქმულთა შორის მისი შვილები აღმოჩნდნენ, საკუთარი შვილები დაასჯევინა სიკვდილით სამშობლოს კეთილდღეობისათვის.

ბულა – გულის ან ბურთულის ფორმის პაწია კოლოფი, რომელშიაც ავგაროზი იყო მოთავსებული. რომაელების ბავშვებს ყელზე ეკიდათ, ამიტომაც ბავშვობის ერთგვარ სიმბოლოდაც ითვლებოდა.

ბურუსი – აფრიანუს ბურუსი, ნერონის ახლობელი და ერთ-ერთი გამზრდელი. თავდაპირველად სენეკასთან ერთად დიდად აღაზევა ნერონმა. ახ. წ. 51 წლიდან პრეტორიელთა გვარდიის სარდალიც იყო, მაგრამ მერე ისიც სენეკასავით მოიძულა ნერონმა და 63 წ. მოაწამვლინა კიდეც.

გალბა – სერვიუს სულპიციუს გალბა. ნერონის სიკვდილის შემდეგ იმპერატორად აირჩიეს, მაგრამ მალე ოთონის მომხრეებმა აჯობეს.

გალილეა – მხარე პალესტინის ჩრდილო ნაწილში.

გემა – მაგარი ჯიშის, უმთავრესად ფერადი ძვირფასი ქვა, რომელზედაც ამოჭრილია სხვადასხვა ნახატობანი. ჩვეულებრივ სამკაულად იხმარებოდა.

გემელუსი – გაიუს მემიუს გემელუსი, იულიუს კეისრის თანამედროვე მოღვაწე, სახალხო ტრიბუნი და პრეტორი. ჯერ პომპეუს დიდს ეხმარებოდა, მერე იულიუს კეისრის მხარეს გადავიდა. ძვ. წ. 54 წ. კონსულად არჩევის დროს ქრთამის გამოყენებისათვის იძულებული გახდა რომს გასცლოდა.

გერმანიკუსი – (ძვ. წ. 15 წ. ახ. წ. 19 წ.) დრუზუს უფროსის ძე, ტიბერიუსის ძმისწული. რომის მხედრობას სარდლობდა გერმანიაში ოქტავიანუს ავგუსტუსის დროს. მისმა სახელმა შური აღუძრა ტიბერიუსს. გერმანიკუსის მოულოდნელ გარდაცვალებას იმპერატორ ტიბერიუსს აბრალებდნენ.

გოლგოთა – ბორცვი იერუსალიმში, რომელზედაც, გადმოცემის თანახმად, ჯვარს აცვეს ქრისტე.

გორგია – (ძვ. წ. 483-375) ძველი ბერძენი ფილოსოფოსი-სოფისტი. სოფისტები ოსტატური კამათის დიდ მცოდნეებად ითვლებოდნენ ძველად.

გრაციები – რომაული მითოლოგიის მიხედვითაა; უდრის ბერძნულ ხარიტებს. პირველად ნაყოფიერების ქალღმერთებად ითვლებოდნენ, შემდეგში მოხდენილობის, სილამაზის, სიხარულისა და ქალური სიმშვენიერის განსახიერებად მიიჩნიეს. მათ გამოხატავდნენ ტურფა შიშველი ქალწულების სახით.

დანაია – არგოსელი ზღაპრული გმირის პერსევსის დედა, რომელსაც ზევსი ოქროს წვიმის სახით მოევლინა. ასე გაჩნდა პერსევსი.

დანაიდები – არგოსის ზღაპრული მეფის დანაოსის 50 ქალიშვილი, რომლებიც ძალდატანებით შეირთო დანაოსის 50 ძმისწულმა. მამის ჩაგონებით დანაიდებმა (ერთის გარდა) ქორწინების ღამეს დახოცეს თავიანთი ქმრები. ამ ბოროტების საზღაურად საიქიოს თითქოს იძულებულნი იყვნენ, უძირო კასრი ევსოთ წყლით.

დედალოსი და იკაროსი – დედალოსი მითიური მშენებელი და ხელოსანი იყო, რომელმაც კრეტაზე ლაბირინთი ააშენა, ხელოვნური ფრთებით შვილთან, იკაროსთან ერთად გაფრინდა, მაგრამ ვაჟიშვილი ფრენის დროს მზეს მიუახლოვდა. რადგან ფრთები სანთლით იყო დაკავშირებული, დაეშალა, ზღვაში ჩავარდა და დაიღუპა. მამამ კი სიცილიას მიაღწია.

დევკალიონი – მითის მიხედვით, წარღვნის შემდგომ მთელი კაცობრიობა რომ დაიღუპა, დევკალიონმა და პირამ, რომელნიც გადარჩნენ, თემიდის მისნის ჩაგონებით ხელუკუღმა იწყეს კენჭების ყრა. დევკალიონის გადაყრილი კენჭებიდან თითქოს მამაკაცების ახალი მოდგმა იშვა, პირას კენჭებიდან კი ქალები.

დელფიოსის პითია – დელფოსის – საერთო ბერძნული სარწმუნოებრივი ცენტრის – მისანი, რომელიც ღვთის ნებას გადმოსცემდა.

დემეტრე – ბერძენთა მითოლოგიის მიხედვით, ნაყოფიერების, მიწათ-მოქმედებისა და პურის მომწიფების ქალღმერთი. რომაულ მითოლოგიაში – ცერერა.

დემოკრიტე – დიდი ბერძენი ფილოსოფოსი მატერიალისტი (ძვ. წ. 460-370 წწ.). გადმოცემის მიხედვით, სულ იცინოდა, და ამიტომ ამბობს ერთგან პეტრონიუსი, მეც დემოკრიტესავით ვიცინებო.

დენარი – ვერცხლის რომაული მონეტა, იმპერიის ხანაში დაახლოებით 26-23 კაპიკის ღირებულებისა.

დიანა – რომაელთა ღვთაება მთვარისა, მცენარეულობისა და ნადირობისა. შემდგომში გაიგივებული იქნა ბერძნების არტემიდთან.

დიანას კორომის ქურუმი – დიანას კორომი, ტყე, ქალაქ არიციასთან მდებარეობდა. იქ მთავარ ქურუმად ანუ კორომის მეფედ ითვლებოდა გაქცეული მონა, რომელიც მანამდე ასრულებდა ამ თანამდებობას, სანამ ვინმე სხვა გამოქცეული მონის მსხვერპლი არ გახდებოდა.

დიატრიბა – კამათი, სჯა, განსაკუთრებით ფილოსოფიურ საკითხებზე.

დიოგენე აპოლონიელი – ბერძენი ფილოსოფოსი, რომელიც ძვ. წ. V ს-ში ცხოვრობდა. მას ყველაფრის საწყისად ჰაერი მიაჩნდა.

დიოკლეტიანე – რომის იმპერატორი ახ. წ. 284-305 წლებში.

დიონისი – იხ. ბახუსი.

დირკა – თებეს მეფის ლიკოსის მეორე ცოლი, რომელმაც პირველი ცოლი ანტიოპე სატუსაღოში ჩაასმევინა. შემდგომ ანტიოპეს შვილებმა ლიკოსი მოკლეს, ხოლო დირკა ველურ ხარს გამოაბეს კუდზე და ათრევინეს. ბოლოს, ღმერთებმა შეიბრალეს და მისივე სახელობის წყაროდ აქციეს.

დისპენსატორი – სახლის მნე-მონა, რომელიც ბატონის შემოსავალ-გასავლის ანგარიშს აწარმოებდა.

დომიცია – ნერონს პაპიდად ეკუთვნოდა. ნერონმა ახ. წ. 59 წელს მოაწამვლინა, რათა მის ქონებას დაპატრონებოდა.

დომიციუს აფერი – ახ. წ. I საუკუნის მოღვაწე, სახელოვანი ორატორი. გარდაიცვალა 59 წელს. აქ სენკევიჩს ანაქრონიზმი მოსდის, რადგან იმ ხანაში, რომელსაც რომანი შეეხება, ის უკვე აღარ უნდა ყოფილიყო ცოცხალი.

დრიადა – ხეების მფარველი ნიმფა.

დრუზუსი – დრუზუს კეისარი, ტიბერიუსისა და აგრიპინა უფროსის ძე, რომელიც სეიანუსმა და მისმა საკუთარმა ცოლმა მოაწამლინეს ახ. წ. 23 წელს. ჩვენი აზრით, სენკევიჩი შეცდომით ეძახის მას დრუზუს უფროსს. დრუზუს უფროსის სახელით ცნობილი პირი ძვ. წ. 9 წელს გარდაიცვალა და არ არის ცნობილი, რომ ძალდატანებითი სიკვდილით მომკვდარიყოს.

დრუზუსი – დრუზუს უმცროსი, გერმანიკუსის შვილი, რომელიც შიმშილით მოკლეს სატუსაღოში ახ. წ. 33 წ.

ეგიდი – ბერძნულ-რომაული მითოლოგიით, ზეევსის ზარდამცემი ფარი, რომელზედაც გველი და გორგონას თავი იყო გამოსახული. გამოთქმა „ეგიდის ქვეშ“ ნიშნავს „მფარველობის ქვეშ“.

ედილები – რომაელი მოხელეები, რიცხვით ოთხნი იყვნენ. ისინი განაგებდნენ პოლიციის, ქალაქის კეთილმოწყობის, სურსათით მომარაგებისა და თამაშობების მოწყობის საქმეებს.

ედიქტი – უმაღლესი თანამდებობის პირის მიერ მთავრობის დადგენილებათა საყოველთაო საჯარო გამოცხადება ძველ რომში.

ევანდრი – ზღაპრული გმირი, რომელმაც თითქოს 60 წლით ადრე ტროას ომამდე ტიბრის ნაპირზე დააარსა არკადიელთა ახალშენი პალანტეუმი.

ევბეა – კუნძული ატიკისა და ბეოტიის სანაპიროს გასწვრივ.

ევტერპა – სიმღერის მუზა.

ევქსინის პონტო – შავი ზღვა.

ევფრატი – მესოპოტამიის დიდი მდინარე, რომელიც დასავლეთიდან ჩაუდის ამ ქვეყანას.

ეკლოგები – იხ. ვერგილიუსი.

ელენე – სპარტის მეფის მენელაოსის მეუღლე, ზღაპრული ლამაზმანი, რომელსაც მოეწონა ტროელი უფლისწული პარისი, გაჰყვა ცოლად და ამას მოჰყვა კიდეც ტროას ომი.

ელენეს ღვთაებრივი ძმები – იგულისხმებიან დიოსკურები ანუ კასტორი და პოლუქსი, რომლებიც ზღვაოსნობის მფარველებადაც ითვლებოდნენ.

ელეოთესიუმი – ოთახი, სადაც მალამოთი იზელდნენ ტანს.

ელისიონი, ელისიუმი ანუ ელისიუმის ველი – ნეტართა, ცხონებულთა სამყოფელი საიქიოს, სადაც თითქოს მართალნი და პატიოსანნი მოხვდებოდნენ.

ენეასი – ანქიზეს და ვენერას ანუ აფროდიტეს ძე, დარდანელების ლეგენდარული მეფე, რომელმაც ტროას დამარცხებისა და გაადგურების შემდეგ ვითომ იტალიას მოაღწია, მეფე ლატინუსის ასული შეირთო და რომაელი ხალხის მამამთავარი გახდა.

ეპიდავროსი – ქალაქი პელოპონესის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე არგოსში.

სახელგანთქმული მკურნალობის ღმერთის, ასკელპიოსის მთავარი ტაძრითა და კორომით, სადაც მოსალოცავად დადიოდნენ სნეულნი.

ეპილიატორი – ასეთი სიტყვა ლათინურში არ ჩანს. ეტყობა, ავტორი აქ გულისხმობს ბალანის მგლეჯს, რომლის მოქმედებაც ლათინურად ზმნით „depilare“ გამოიხატებოდა.

ეპიქტეტოსი – ცნობილი ფილოსოფოსი (დაახლ. ახ. წ. 50-138 წწ.), რომელიც ნერონის დროს მონად იყო, მაგრამ შესანიშნავი ნიჭიერებისათვის პატრონმა გაანთავისუფლა.

ეპიკურე – ძველი საბერძნეთის გამოჩენილი ფილოსოფოსი მატერიალისტი (დაახლ. ძვ. წ. 341-270 წწ.). მისი მოძღვრება აღიარებს სიცოცხლის სიამეებით შეგნებულად და გონიერად ტკბობას. ამიტომ მერე ქეიფისა და დროსტარების მქადაგებლადაც მიიჩნევდნენ.

ეპილიმა ანუ ეპალიმა – ერთგვარი მალამო.

ეპინიკიონი – გამარჯვების სიმღერა.

ერგასტულუმი – მძიმე პირობებიანი სამუშაო სახლი მდიდარი რომაელების მამულებში, სადაც დამნაშავე მონებს გზავნიდნენ დასასჯელად.

ერებოსი – ბერძენთა მითოლოგიით, ქვესკნელის ღვთაება, მარადიული წყვდიადის განსახიერება.

ეროტი ანუ ეროსი – აფროდიტეს ძე. ამას რომაულ პანთეონში ამური ანუ კუპიდონი შეესაბამებოდა.

ესკვილინუსი – ყველაზე მოზრდილი და მაღალი ბორცვი შვიდ ბორცვთაგან, მდებარეობს რომის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. ასე ერქვა ქალაქის ამ უბანსაც.

ესკულაპიუსი – მკურნალობის ღმერთი რომაელებში, ბერძენთა ასკლეპიოსი.

ესქილე – დიდი ბერძენი ტრაგიკოსი (ძვ. წ. 525-456 წწ.). მისი მრავალი ტრაგედიიდან ჩვენამდე მხოლოდ შვიდამ მოაღწია, მათ შორის – ცნობილიმა „მიჯაჭვულმა პრომეთევსმა“.

ეფებეუმი – სასპორტო დარბაზი, მოედანი ჭაბუკთა სავარჯიშოდ.

ეფესელი დიანა – ეფესში (მცირე აზია) დიანას ანუ არტემიდის სახელგანთქმული ტაძარი იდგა, რომელსაც სამყაროს ერთ-ერთ საოცრებად მიიჩნევდნენ.

ვამპირი – სისხლის მწოველი ზრაპრული ურჩხული.

ვატინიუსი – ნერონის ერთ-ერთი დაახლოებული პირი, მისი აზატი. ტაციტუსის გადმოცემით, დიდი მლიქვნელი და მასხარა.

ველარიუმი – დიდი ფარდები ან ჩარდახები, რომლითაც რომის თეატრებსა და ცირკში მზისა და ავდრისაგან იფარავდნენ თავს.

ველარიუსი – ფარდების გადამწევი მონა.

ვენერა – რომაელთა ქალღმერთი გაზაფხულისა და ყვავილებისა. შემდეგში ბერძენთა აფროდიტესთან გააიგივეს და იქცა განახლებული ბუნების, სიყვარულისა და სილამაზის ღვთაებად.

ვენერას კოჭლი მეუღლე – ვულკანუსი ანუ ბერძენთა ჰეფესტოსი, მჭედლობის ღმერთი და მჭედელთა მფარველი.

ვერგილიუსი – პუბლიუს ვერგილიუს მარონი (ძვ. წ. 70-19 წწ.), დიდი რომაელი პოეტი. „ენეიდის“, „გეორგიკისა“ და „ბუკოლიკების“ ავტორი. „ბუკოლიკები“, სოფლის მწყემსური ცხოვრების თემაზე დაწერილი პოემები – იგივე ეკლოგები.

ვესპასიანე – შემდგომში რომის იმპერატორი (დაიბ. ახ. წ. 9 წ. გარდ. 79). რომის ჯარის სარდალი იუდეის ომში. 69 წელს ჩამოაგდო ტახტიდან ვიეტლიუსი და თვითონ გამეფდა. აქედან იწყება ფლავიუსების დინასტია.

ვესტა – კერის და ცეცხლის უძველესი ღვთაება, ამასთან, ოჯახური ცხოვრების დამფუძნებელი და მფარველი. ქალღმერთ ვესტას ქურუმი ქალი ვალდებული იყო მარადიული ცეცხლისათვის მოევლო ვესტას ტაძარში და უბიწოება დაეცვა. ცეცხლის ჩაქრობისათვის ამათრახებდნენ, ხოლო უბიწოების დაკარგვისათვის ცოცხლად მარხავდნენ.

ვესტიპლიკა – მოახლე, რომელიც ბატონის ტანსაცმელს უვლიდა და კოხტა ნაოჭებად გააწყობდა ჩაცმის დროს.

ვიგელები – ღამის დარაჯთა რაზმები. ოქტავიანუსის დროს შეიქნა რომში, რათა ღამით ქალაქში წესრიგი დაეცვათ.

ვიდრე ჩვენი ცხოვრების ნართი გვეყოფა – ამით ვინიციუსი ამბობს, ვიდრე ვიცოცხლებთო. მითების მიხედვით, პარკები – ბედისწერის ღვთაებანი – ყოველი კაცის სიცოცხლის ძაფს ართავენ და როცა თითქოს ამ ძაფს გადასჭრიან, ადამიანი კვდება.

ვივარიუმი – სამხეცე, მხეცების, ცხოველების დასამწყვდევი ადგილი.

ვიკუს სცელერატუსი – ბოროტმოქმედების ქუჩა რომში. ეს სახელი იმიტომ შეერქვა, რომ, გადმოცემის თანახმად, ტულიამ, რომის მეფის სერვიუს ტულიუსის ასულმა, ეტლით აქ გადაუარა მოკლული მამის გვამს.

ვიმინალის ბორცვი – ერთ-ერთი შვიდ ბორცვთაგანი, რომელზედაც გაშენებული იყო რომი. ვიმინალის კარიც მის ახლოს მდებარეობდა.

ვინდექსი – გაიუს იულიუს ვინდექსი, აქვიტანელი, გალების მეფეთა შთამომავალი, გალიის გამგებელი, რომელიც რომის წინააღმდეგ აჯანყდა ნერონის დროს.

ვირგინიუსი – ლუციუს ვირგინიუსი, სახალხო ტრიბუნი (ძვ. წ. V ს.), რომელმაც მოკლა თავისი ქალიშვილი ვირგინია, აპიუს კლავდიუსისაგან ხელყოფის გამო.

ვირი, რომელიც ოქროს შემწეობით იღებს ციხე-სიმაგრეს – აქ იგულისხმება ალექსანდრე მაკედონელის მამის ფილიპეს ნათქვამი: არ არსებობს ისეთი ციხე-სიმაგრე, რომლის აღებაც ოქროთი დატვირთულ ვირს არ შეეძლოსო.

ვიტელიუსი – ავლუს ვიტელიუსი, ნერონის ახლობელი (ახ. წ. 15-69 წწ.). ნერონის სიკვდილის შემდეგ მცირე ხნით რომის იმპერატორი იყო, მაგრამ მალე ჩამოაგდეს ტახტიდან.

ვოლოგეზი – პართიის მეფე ვოლოგეზ I (ახ. წ. 52-78 წწ.), არშაკიდი ხანგრძლივი ომი ჰქონდა რომთან, უმთავრესად სომხეთის გამო.

ზევსი – ბერძნული პანთეონის უზენაესი ღვთაება, ღმერთებისა და ადამიანების მეუფე. ძე რეასისა და კრონოსისა, ამიტომაც კრონიდსაც უწოდებდნენ. ზევსი ღრუბელთა და ჭექა-ქუხილის გამგებლადაც ითვლებოდა. რომაელები იუპიტერთან აიგივებდნენ.

თავმატურგოსი – სასწაულმოქმედი.

თანატოს – სიკვდილის ღმერთი და თვით სიკვდილის სინონიმიც.

თეოკრიტე – ცნობილი ბერძენი პოეტი (ძვ. წ. III ს.), ე.წ. ბუკოლიკური, მწყემსური, იდილიური პოეზიის ერთ-ერთი შემქმნელი.

თერმა – აბანო.

თერსიტე – ჰომეროსის „ილიადას“ მიხედვით, ბერძენი რიგითი მეომარი, ფრიად მახინჯი შესახედაობისა და ენამწარე, რომელიც შეეკამათა ტროას ომის დროს სათათბიროდ შეყრილ სარდლებს და ამის გამო სასტიკად სცემა ოდისევსმა.

თესალია – ძველი საბერძნეთის კუთხე მის ჩრდილო-აღმოსავლეთში.

თესევსი – საბერძნეთის ერთ-ერთი გამოჩენილი ზღაპრული გმირი, ათენის მეფის ეგეევსის ძე.

თეურგოსი – ჯადოსანი, მაგიკოსი, სულების გამომძახებელი საიქიოდან.

თირსოსი – დიონისეს ანუ ბახუსის კვერთხი, რომელზედაც ვაზი ან სურო იყო შემოხვეული.

თრასეა პეტუს – რომაელი სენატორი ნერონის დროს. ძველი ყაიდის რომაელი, რომელსაც არ მოსწონდა ნერონის მტარვალობა და პროტესტის ნიშნად არც სენატში დადიოდა და არც ზეიმებს ესწრებოდა. ღალატი დააბრალეს და ვენების გადაჭრით თავი მოაკვლევინეს ახ. წ. 66 წ.

იანიკულუმი ანუ იანიკულუმის ბორცვი – ეტრუსკთა მთების კალთა, მდ. ტიბრის გაღმა. იგი არ ეკუთვნოდა ცნობილ შვიდ ბორცვთა რიცხვს.

იანიტორი – მეკარე.

იდა – მთაგრეხილი მცირე აზიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ძველი ტროას მახლობლად.

იეღოვა – ებრაელების ძველი რწმენით, უზენაესი ღმერთი.

იკუნკულა – ადამიანის პატარა გამოსახულება, პაწია ქანდაკება, თოჯინა.

იმპლუვიუმი – ატრიუმის შუაგულში გაკეთებული აუზი, რომელშიაც კომპლუვიუმიდან ჩამოდენილი წვიმის წყალი გროვდებოდა.

ინდი – ინდოეთის ერთ-ერთი მთავარი მდინარე. სათავე აქვს ტიბეტში. ჩამოდის ახლანდელ პაკისტანზე, ერთვის არაბეთის ზღვას.

ინკუბაციო – ღვთისაგან ზეშთაგონების მიღებისათვის (განსაკუთრებით, ავადმყოფობისაგან განკურნების მიზნით) მსხვერპლად შეწირული ცხოველის ტყავზე ძილი ტაძარში. ამ დროს თითქოს მავედრებელს ღმერთი სასწაულებრივ სიზმარს მოუვლენდა.

ინსულა – ჩვეულებრივ ნიშნავს კუნძულს, მაგრამ განცალკევებით მდგომ სახლსაც აღნიშნავდა.

რომანში სწორედ ამ მნიშვნელობით იხმარება.

იო – ბერძნული მითოლოგიით, არგოსის მეფის ასული, ზევსის სატრფო, რომელიც ეჭვიანმა ჰერამ ძროხად აქცია, სასტიკად დევნიდა და ზევსი იძულებული იყო, სხვადასხვა ხრიკით დაეფარა იგი.

იოანე – იგულისხმება იოანე მახარობელი.

ისიდა – ძველი ეგვიპტის უმთავრესი ღვთაება. ნაყოფიერებისა და დედობრიობის მფარველი; სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ქალღმერთი.

იტილოსი – აედონის ვაჟი, რომელიც შემთხვევით შემოაკვდა დედას.

იუდეა – სახელმწიფო სამხრეთ პალესტინაში. ახ. წ. 44 წელს რომის პროვინციად იქცა.

იულიუს კეისარი – გაიუს იულიუს კეისარი (ძვ. წ. 100 წ. მოკლეს 44 წ.). სახელგანთქმული რომაელი მხედართმთავარი, სახელმწიფო მოღვაწე და მწერალი, რომის მონარქიის დამაარსებელი.

იუნონა – რომაელთა მთავარი ღვთაების იუპიტერის მეუღლე, ზეცის მბრძანებელი, ქალთა და ქალწულთა ქომაგი და მფარველი. ქორწინების ხელის შემწყობი და ოჯახური ბედნიერების მცველი. შემდგომში ბერძენთა პანთეონის ჰერასთან იქნა გაიგივებული.

იუპიტერი – რომაელთა მთავარი ღვთაება. ღმერთი ზეცის, სინათლის, ამინდისა და სხვათა. მისი მთავარი ტაძარი მდებარეობდა კაპიტოლიუმის ბორცვზე – კაპიოლიუმის იუპიტერის ტაძარი.

კაკუსი – ზღაპრული, ცეცხლისმფრქვევი იტალიელი გოლიათი, რომელმაც ჰერკულესს ჯოგის ნაწილი მოჰპარა და რომელიც ჰერკულესმა სასტიკ ბრძოლაში დაამარცხა და მოკლა.

კალედონია – შოტლანდიის ძველი სახელია.

კალიგულა – გაიუს კალიგულა კეისარი, რომის იმპერატორი. დაიბადა ახ. წ. 12 წელს. გახელმწიფდა 37 წელს. ფუქსავატობით, მფლანგველობითა და უთავბოლობით სახელი გაიტეხა. შეთქმულება მოუწყვეს და მოკლეს 41 წელს.

კამპანია – შუა იტალიის ოლქი.

კანთაროსი – დიდი საღვინე თასი, სასმისი.

კაპიტოლიუმი – ერთ-ერთი შვიდ ბორცვთაგანი, რომლებზედაც გაშენებული იყო ძველი რომი.

კაპიციუმი ანუ კაპიტიუმი – ქალის შიდა სამოსი, ვიწროდ შემოჭერილი ზედატანზე.

კაპსა – ცილინდრული მოყვანილობის ხის ყუთი.

კაპუური ღვინო – კაპუა – ქალაქი შუა იტალიაში, კამპანიაში.

კარბასი – ერთგვარი თხელი, ნაზი ქსოვილი.

კარზე მგლის ქონის წასმა – რომაელთა საქორწილო წეს-ჩვეულების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო.

კართაგენი – მონათმფლობელური ქალაქ-სახელმწიფო ჩრდილოეთ აფრიკაში. თავდაპირველად ფინიკიელთა კოლონია იყო, შემდგომში კი მთელ დასავლეთ ხმელთაშუა ზღვის აუზში გაბატონდა. ხანგრძლივი, სასტიკი ომების შემდეგ ძვ. წ. 146 წ. რომაელებმა გაანადგურეს.

კარუკა – ოთხბორბლიანი სამგზავრო ეტლი, რომაელი დიდკაცები ხმარობდნენ.

კასიუს ხერეა – გაიუს კასიუს ხერეა, პრეტორიელთა კოჰორტის ტრიბუნი, იმპერატორ კალიგულას მკვლელი, რომელიც შემდეგ კლავდიუსმა დასაჯა სიკვდილით.

კასტორი და პოლუქსი ანუ პოლიდევკე – ბერძენი ტყუპები. ზოგი მითის თანახმად, ზევსის და ლედას ვაჟიშვილები. ამიტომ დიოსკურებსაც უწოდებდნენ. მათ თვლიდნენ მეომართა და ზღვაოსანთა მფარველებად. დიოსკურების კულტი ადრევე გადავიდა რომში.

კერბერი ანუ კერბრეროსი – საიქიოს კარის დარაჯი, სამთავიანი ურჩხული, რომელსაც კუდი და ფაფარი გველებისა ჰქონდა. შემსვლელთ თავისუფლად უშვებდა შიგ, გამოსვლით კი არავის ანებებდა გამოსვლას.

კვადები – გერმანული ტომი, რომელიც ნაწილობრივ ახლანდელი ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე ცხოვრობდა.

კვადრიგა – ოთხცხენიანი ეტლი.

კვიპაროსის რტოს ჩამოღება – კვიპაროსის რტოს რომაელები კარის წინ მაშინ იკეთებდნენ, როცა სახლში მიცვალებული ჰყავდათ. დაკრძალვის შემდგომ კი მოხსნიდნენ ხოლმე.

კვიპროსის ქალღმერთი – იგულისხმება ვენერა ანუ აფროდიტე. ვენერას კვიპროსის ძლევამოსილ მბრძანებელსაც ეძახდნენ.

კვირიტები – რომაელთა საპატიო სახელწოდება, რომლითაც საზეიმო ვითარებაში მიმართავდნენ ხოლმე ორატორები და ოფიციალური პირები ხალხს. საიდან წარმოდგა ეს სიტყვა, საბოლოოდ ვერ დადგინდა.

კიბელა – ფრიგიული ღვთაება, „დიდი დედა“, დედა ღმერთებისა და დედამიწაზე მყოფი ყველა არსებისა. მკვდარი ბუნების ამაღორძინებელი და ნაყოფიერების მიმნიჭებელი.

კითარა – ბერძნული სიმებიანი საკრავი.

კიკლოპი – ბერძენთა თქმულების მიხედვით, ზღაპრული ცალთვალა ბუმბერაზი დევი.

კალიციუმი ნუ კილიკიუმი – თხის მატყლის უხეში ქსოვილი.

კიმერიელთა მხარე, ქვეყანა – ისტორიულად, კიმერიელები მომთაბარე ხალხი იყო შავი და აზოვის ზღვების ჩრდილოეთით. დაახლ VII საუკუნეში სკვითებმა განდევნეს იქიდან. აქილევსის

ნათქვამში: მირჩევნია, სააქაოს მოჯამაგირედ ვიყო, ვიდრე კიმერიელთა ქვეყანაში მეფედ ვიჯდეო – კიმერიელთა ქვეყანა საიქიოს აზრით ნათქვამი გამოუდის ავტორს. ჰომეროსის თანახმად კი კიმერიელები თითქოს მხოლოდ ქვესკნელის, საიქიოს ჩასასვლელთან მცხოვრები ხალხია.

კინიკოსი ანუ ცინიკოსი – მიმდევრები ძველი ბერძნული ფილოსოფიური სკოლისა, რომლის ერთ-ერთი ცნობილი წარმომადგენელი იყო დიოგენე სინოპელი (ძვ. წ. IV საუკუნე). კინიკოსები უარყოფითად ეკიდებოდნენ არსებულ კანონებს, წეს-ჩვეულებებს, სარწმუნოებას. ილაშქრებდნენ კულტურის წინააღმდეგ და ქადაგებდნენ პირველყოფილი მდგომარეობისაკენ დაბრუნებას.

კიპრიდა – სილამაზისა და სიყვარულის ღმერთის აფროდიტეს ანუ ვენერას ერთ-ერთი ეპითეტი. ნიშნავს კვიპროსელს ანუ კვიპროსზე შობილს. ლეგენდის მიხედვით, ქალრმერთი სწორედ კუნძულ კვიპროსზე იშვა ზღვის ქაფიდან და ეს კუნძული ითვლება მისი კულტის ერთ-ერთ მთავარ ადგილად.

კირკე – ჯადოქარი. ბერძნული მითების მიხედვით, კუნძულ ეაზე ბინადრობდა. მის კუნძულზე მოხვედრილი ოდისევსის თანამგზავრები ღორებად აქცია, ხოლო თვითონ ოდისევსი ერთ წელიწადს თავისთან დაიტოვა.

კლავდიუსი – ტიბერიუს კლავდიუს ნერონი. რომის იმპერატორი, დაიბადა ძვ. წ. 10 წ. იმპერატორობდა ახ. წ. 41-54 წწ. იგი იყო იმპერატორ

კალიგულას ბიძა და ძალმომრეობით დაეპატრონა ტახტს. მისი მეუღლეები იყვნენ გარყვნილებითა და მზაკვრობით სახელგანთქმული ქალები მესალინა და აგრიპინა უმცროსი. უკანასკნელმა, როგორც გადმოგვცემენ, მოაწამვლინა კიდეც.

კლიო – პირველად საგმირო სიმღერების მუზა, კლასიკურ ხანაში კი ისტორიის მუზად თვლიდნენ.

კოდიცილები – გასანთლული, წიგნაკივით შეკრული საწერი ფირფიტები.

კოლიზეუმი – ძველი რომის უდიდებულესი შენობა, რომელიც ახ. წ. 80 წელს ააშენა ფლავიუსების წარმომადგენელმა იმპერატორმა ტიტუსმა გლადიატორთა ბრძოლებისა და მხეცებზე ნადირობის სანახაობისათვის.

კომპლუვიუმი – ღიად დატოვებული ოთხკუთხი ადგილი ატრიუმის შუაგულში, რომლიდანაც წვიმის წყალი ჩამოდიოდა.

კონსულიარი – ტიტული, რომელსაც ყოფილი კონსული სამუდამოდ ინარჩუნებდა მთელი სიცოცხლის განმავლობაში.

კორბულონი – გნეუს დომიციუს კორბულონი. ცნობილი რომაელი სარდალი კლავდიუსისა და ნერონის დროს.

კორიბანტები – ფრიგიული ქალღმერთის კიბელას ქურუმები, რომელნიც ხმამაღალი მუსიკის აყოლებით თავაშვებულად ცეკვავდნენ თავიანთი ღვთაების პატივსაცემად.

კორნუტუსი – ლუციუს ანეუს კორნუტუსი (დაიბადა ახ. წ. 20 წელს). სტოელთა ფილოსოფიის მიმდდევარი და მწერალი. როგორც პატიოსანი და პირდაპირი კაცი, ნერონს არ უყვარდა და უდაბურ კუნძულზე გადაასახლა.

კოჰორტი – ლეგიონის ერთი მეათედი, შედგებოდა 6 ცენტურიისაგან.

კრატერი – კათხის ან ლარნაკის მსგავსი ჭურჭელი, რომელშიაც ღვინოს აზავებენ წყალში, რადგან ძველი ბერძნები და რომაელები წმინდა ღვინოს იშვიათად სვამდნენ.

კრიპტა – მიწისქვეშა გვირაბი, ტალანი, სამალავი, დარანი.

კრიპტოპორტიკი – დახურული გრილი გალერეა, სადაც თავს აფარებდნენ ავდრის ანდა სიცხის დროს.

კრონოსი – ოლიმპოსის პანთეონზე ადრინდელი ღმერთი, ბერძნული მითოლოგიით. ურანისა და გეას ძე, რომელმაც დაამხო და დაასახიჩრა თა-

ვისი მამა. რადგან უწინასწარმეტყველეს, შენც რომელიმე შვილი დაგამ-ხობსო, ყველა შვილს ყლაპავდა. ზევსი დედის – რეას ხელისშეწყობით გა-დაურჩა ამ უბედურებას და მერე მართლა დაამხო მამა.

კუბიკულუმი – საწოლი ოთახი მდიდარი რომაელის სახლში.

კუნიკულუმი – გვირაბი, მწისქვეშა ტალანი.

კურატორი – მზრუნველი, მომვლელი.

კურია – სენატის სხდომათა შენობა.

ლაკონიკუმი – ცხელი აბანოს განყოფილება ვრცელი, დაბალი აუზი-თურთ; განბანვისა და ოფლის მოდენისთვის იყო განკუთვნილი.

ლამპადარიუსი – მეჩირაღდნე, მესინათლე, ბატონის წინ შუქის მატარე-ბელი მონა.

ლანისტი – გლადიატორთა მწვრთნელი, რომელიც თავისი ხარჯით ინა-ხავდა მათ რაზმებს,

საბრძოლველად წვრთნიდა და მერე დღესასწაულების დროს აქირა-ვებდა ცირკში გამოსასვლელად.

ლარარიუმი – ოჯახის მფარველი ღვთაებების – ლარების – გამოხატუ-ლებათა დასადგმელად მიჩენილი ადგილი რომაულ სახლში.

ლარები – რომაელთა ოჯახის, სახლის მფარველი ღმერთები. ესენი, რომაელთა რწმენით, იყვნენ მიცვალებულთა კეთილი სულები, რომელნიც ცოცხალ შთამომავლებს იცავდნენ ავისაგან.

ლაცერნა – მსუბუქი, მოკლე, ხალვათი მოსასხამი, ტოგის ზემოთ ისხამ-დნენ. თან ჩაბალახის მსგავსი საბურავიც ჰქონდა, რომელიც შეიძლებოდა თავზე მოეხვია კაცს.

ლეგატი – რომის სამხედრო წყობილებაში უშუალოდ მთავარსარდლის ხელქვეით მყოფი მაღალი რანგის მეთაური. ჩვეულებრივ ლეგატები ლე-გიონებს სარდლობდნენ.

ლეგიონი – რომის არმიის დიდი ერთეული. რესპუბლიკის ხანაში ხუთი-ექვსი ათასი მეომრისაგან შედგებოდა, იმპერიის დროს ეს რიცხვი 12 ათა-სამდე ავიდა.

ლედა – სპარტის მეფის ტინდარევსის მეუღლე, რომელიც, ზოგი მითის მიხედვით, ზევსს გედის სახით გაუმიჯნურდა. შემდეგ ლედამ ორი კვერცხი დადო. ერთიდან მშვენიერი ელენე იშვა, მეორედან კი- დიოსკურები.

ლემურია – დღესასწაული, რომელიც იმართებოდა 9, 11, 13 მაისს მიცვალებულთა სულების, ლემურების სალხენად და მათი გულის მოსანადირებლად.

ლეტო ანუ ლატონა – ქალღმერთი, დედა აპოლონისა და არტემიდისა, რომელნიც მას ზევსისაგან ეყოლა.

ლექტისტერნიუმი – დღესასწაული ღმერთებისათვის მსხვერპლშეწირვით, რომლის დროსაც ღმერთების გამოსახულებებს საგანგებო საწოლებზე აწვენდნენ და წინ სუფრაზე საჭმელს უდგამდნენ.

ლიბიტინა – სიკვდილის ქალღმერთი. როგორც მიწის ღვთაება, ნაყოფიერების ქალღმერთადაც ითვლებოდა.

ლიბეთრიდები – მუზები. ლიბეთრონი ქალაქია თესალიაში, სადაც იყო მუზებისადმი შეწირული წყარო.

ლიგიელები – ხალხი, რომელიც ჩვენი წელთაღრიცხვის დამდეგს ცხოვრობდა მდინარეების – ვისლისა და ოდერის ზემო დინებების მიდამოებში.

ლისიპოსი – ალექსანდრე მაკედონელის დროის სახელოვანი ბერძენი მოქანდაკე (ძვ. წ. IV-ს მეორე ნახევარი). თავის გმირებს ძალ-ღონით აღსავსე, ენერგიულ ვაჟკაცებად გამოხატავდა. განსაკუთრებით ცნობილია მისი „აპოქსიომენოსი“ – ათლეტის შესანიშნავი ნიმუში.

ლიცინიუს სტოლონი – პლებეების სახელგანთქმული სახალხო ტრიბუნი ძვ. წ. IV საუკუნეში. თავგამოდებული ბრძოლით ზოგიერთი რეფორმის გატარება მოახერხა პლებეების სასარგებლოდ.

ლიქტორები – რომის უმაღლეს ხელისუფალთა საპატიო ამალა. ისინი ატარებდნენ ნაჯახგარჭობილი წკეპლების კონებს, ბრბოში გზას იკაფავდნენ და აღასრულებდნენ მინიჭებულ სასჯელებს. სხვადასხვა თანამდებობის პირს, რანგის მიხედვით, ლიქტორთა სხვადასხვა რაოდენობა ახლდა.

ლოგოსი – „სიტყვა“. იდეალისტური ფილოსოფიის მიხედვით, გონიერი საწყისი, ღვთაებრივი გონიერი დასაბამი. სენკევიჩის რომანში ერთგან პირდაპირ ღმერთის აზრითაც არის ნახმარი.

ლოტოფაგები – „ლოტოსის მჭამელები“, მითიური ხალხი ლიბიაში (აფრიკაში), რომლებიც როგორც გადმოცემულია ჰომეროსის „ოდისეაში“, ლოტოსის ჭამით წარსულს ივიწყებდნენ.

ლუკანუსი – მარკუს ანეუს ლუკანუსი. ცნობილი რომაელი ეპიკოსი პოეტი, სენეკას ძმისწული (დაიბ. ახ. წ. 39 წ. გარდ. 65 წ.). ჩვენამდე მოაღწია მისმა ათწიგნიანმა პოემამ – „ფარსალია“, რომელშიაც აღწერილია სამოქალაქო ომის ამბავი იულიუს კეისარსა და პომპეუს დიდს შორის. თავი მოიკლა პისონის შეთქმულებაში ბრალის დადების გამო.

ლუკრეცია – სენატორ გნეუს ლუკრეციუსის ასული. ტარკვინიუს ამპარტავანის დროს (ძვ. წ. VI საუკუნის დასასრულს და V საუკუნის დამდეგს) იგი ძალდატანებით შეურაცხყო ტარკვინიუს ამპარტავანის ვაჟიშვილმა სექსტიუსმა, რომელიც ღამით შეიპარა მის სახლში. მეორე დილით ქალმა მამასა და ქმარს უამბო თავისი შერცხვენის ამბავი და შურისძიებისაკენ მოუწოდა, თვითონ კი თავი მოიკლა. ტარკვინიუსთა სამეფო სახლის დამხობას ამ სამარცხვინო მოქმედებამაც მისცა საბაბი.

ლუკრეციუსი – ტიტუს ლუკრეციუს კარუსი (ძვ. წ. I საუკუნის პირველი ნახევარი) – სახელოვანი რომაელი პოეტი, ავტორი პოემისა „საგანთა ბუნებისათვის“, რომელშიაც ლექსად გადმოსცა ფილოსოფოს ეპიკურეს ატომისტური მოძღვრება და საინტერესო მატერიალისტური მსოფლხმხედველობა ჩამოაყალიბა.

ლუნა – მთვარის იტალიური ქალღმერთი, აიგივებდნენ ბერძენთა სელენესთან.

ლუპანარი – საროსკიპო, სამეძაო სახლი. ერთგან პეტრონიუსი ნერონის სასახლეს უწოდებს, როგორც გარყვნილების ბუდეს.

ლუციფერი – „შუქის მომტანი“. ასე უწოდებენ ცისკრის ვარსკვლავს, განთიადისას რომ ამოდის.

მაიას ძე – ჰერმესი ანუ მერკურიუსი. იგი ზევსისა და მაიას ძედ ითვლებოდა.

მამონა – სიმდიდრისა და მოგების ღმერთი ძველ სირიელებში. ეს სიტყვა, საერთოდ, სიმდიდრისა და სიხარბის სინონიმადაც იხმარებოდა.

მანამდე იმღერა, ვიდრე მამლები არ გააღვიძა – ეს წარმოადგენს ისტორიკოსს სვეტონიუსის ერთი წინადადების – Jam gallos eum cantando excitasse – გამოძახილს. სიტყვათა თამაშია. „gallus“ მამალიც არის და გალიც (გალიის მცხოვრები). ასე რომ, „მამლების გაღვიძებასაც“ შეიძლება ნიშნავდეს და „გალების აშლას, აჯანყებასაც“.

მანიპული ანუ მანიპულუსი – კოჰორტში შემავალი რაზმი. კოჰორტი სულ სამი მანიპულუსისაგან შედგებოდა. მანიპულუსში კი ორი ცენტურია შედიოდა.

მარიამ მაგდალინელი – სახარებაში მოხსენებული ქალი, რომელმაც ქრისტე იწამა და მერე ერთ-ერთი მისი მახლობელთაგანი გახდა.

მარსი – ომისა და ლაშქრობის ღმერთი. ლათინების ეროვნული ღვთაება, რომელიც ვითარცა რომულუსისა და რემუსის მამა, რომაელთა მამამთავრად და მფარველად ითვლებოდა. შემდგომ ბერძენთა არესთან იქნა გაიგივებული.

მარსის მინდორი, მარსის ველი – ვრცელი მინდორი ქალაქგარეთ. იქ იყო მარსის უძველესი საკურთხეველი, სხვადასხვა ტაძრები და სასახლეები, რომლებიც თანდათან აშენდა. ამ მინდორზე ხდებოდა აღწერები და ჯარის მოკრება, აგრეთვე სახალხო ყრილობები.

მგლის ტომი – ე.ი. რომაელები, ლეგენდის მიხედვით, რომის დამაარსებელნი რომულუსი და რემუსი ძუ მგელმა გამოზარდა თავისი რძით.

მემნონი – ეთიოპების მეფე, ტროას ომის ერთ-ერთი გმირი. ჰომეროსის შემდეგდროინდელი მითების მიხედვით, ეოსის ძე. იგი ჰექტორის სიკვდილის შემდეგ მიეშველა ტროელებს. ბერძნები მისი სახელით იცნობდნენ ეგვიპტის ფარაონის ამენჰოტეპ III-ის ქანდაკებას, რომელიც მზის ამოსვლისას ადამიანის მსგავს სევდიან ხმას გამოსცემდა, თითქოს თავისი დედის მისასალმებლად.

მემფისი – ძველი ეგვიპტის დედაქალაქი მდინარე ნილოსზე.

მერკურიუსი – რომაელთა ღმერთი ვაჭრობისა, მჭევრმეტყველებისა და ხრიკიანობისა, ღმერთების მოციქული და შიკრიკი. შემდგომ გაიგივებული იქნა ბერძენთა ჰერმესთან.

მესემბრია – ქალაქი შავი ზღვის სანაპიროზე თრაკიაში, ახლანდელი მისივრი.

მიდასი – ფრიგიის ზღაპრული მეფე, რომელიც სახელგანთქმული იყო თავისი სიმდიდრით.

მითრა – სინათლისა და სიკეთის ძველი ინდო-ირანული ღვთაება, შემდგომში მზის ღვთაებაც.

მითრიდატი – მითრიდატ VI ევპატორი (ძვ. წ. 132-63 წწ.). პონტოს მეფე. ხანგრძლივ და სასტიკ ომს აწარმოებდა რომაელებთან.

მიმუსი ანუ მიმოსი – მსახიობი-მიმიკოსი (ე.ი. მიმბაძველი), რომელიც საოხუნჯო-სამასხარო კომედიაში, აგრეთვე ე.წ. მიმოსში გამოდიოდა.

მინერვა – რომაელთა სიბრძნის, მეცნიერების, ხელოვნებისა და ხელოსნობის ქალღმერთი. ბერძენთა ათენასთან გაიგივდა შემდეგ.

მირმილონი – გალურად შეიარაღებული გლადიატორი, რომელსაც მუზარადზე პატარა თევზი ჰქონდა გამოხატული.

მირონი – სახელგანთქმული ბერძენი მოქანდაკე (ძვ. წ. V ს.).

მოლოსიდური ძაღლი – მოლოსიდი მხარეა ეპირის შუაგულში, საბერძნეთში. იქაურ დიდ სანადირო ძაღლებს უწოდებდნენ ასე.

მოპსოსი – მითიური ბერძენი მისანი, წინასწარმეტყველი.

მორა – ერთგვარი თამაშია. ერთ მოთამაშეს, რაც შეიძლება, მალე უნდა გამოეცნო თითების რიცხვი, რომელსაც მეორე მოთამაშე სწრაფად ხრიდა და შლიდა.

მუზონიუსი – გაიუს მუზონიუს რუფუსი. ტიბერიუსისა და ნერონის დროის ცნობილი ფილოსოფოს სტოიკოსი. მას დაბრალდა პისონის შეთქმულებაში მონაწილეობის მიღება და გადაასახლეს არქიპელაგის ერთ-ერთ უდაბურ კუნძულზე, საიდანაც ვესპასიანეს დროს დაბრუნდა.

მურის ლარნაკი – ძვირფასი ლარნაკი, გაკეთებული ერთგვარი მინერალისაგან, რომელსაც

„murra“ ეწოდებოდა ძველ წყაროებში. პლინიუსის გადმოცემით, პეტრონიუსმა სწორედ ასეთი ლარნაკი შეიძინა 300 ტალანტად, რაც დაახლოებით 400 000 მანეთს უდრის, მაგრამ სიკვდილის წინ დაამსხვრია, რათა ნერონს არ ჩავარდნოდა ხელში.

მუციუს სცევოლა – სახელოვანი რომაელი ვაჟკაცი („სცევოლა“ ცაციას ნიშნავს), რომელიც ძვ. წ. 508 წ. ეტრუსკების ბანაკში შეიპარა იმათი მეფის მოსაკლავად. ხოლო როცა შეიპყრეს, ნიშნად იმისა, რომ მტრის მუქარას არად აგდებდა, დადო ცეცხლზე ხელი და წარბიც არ შეუხრია, ისე მოითმინა საშინელი ტკივილი.

ნაბლიუმი – აღმოსავლური (ფინიკიური) საკრავი, 10 ან 12 სიმიანი. ორივე ხელით უკრავენ.

ნავსიკაია – ფეაკების მეფის ალკინოეს მშვენიერი ასული, რომლის ოდისევსთან შეხვედრის ამბავიც ერთ-ერთი საუკეთესოა ჰომეროსის „ოდისეაში“.

ნარცისი ანუ ნარკისი – მითის მიხედვით, ლამაზი ჭაბუკი, რომელმაც თავის ანარეკლს მოჰკრა თვალი წყალში, შეუყვარდა იგი, სიყვარულით დაილია და ბოლოს ამავე სახელწოდების ყვავილად იქცა.

ნარცისუსი – იმპერატორ კლავდიუსის ნააზატევი და მისი დაახლოებული პირი. დიდი გავლენა ჰქონდა სახელმწიფო საქმეებზე, მაგრამ აგრიპინა გადაიმტერა. ჯერ სამეფო კარიდან გააძევეს და მერე მოკლეს კიდეც.

ნახევარმთვარე ფეხსაცმელზე გაკეთებული – სპილოს ძვლის ნახევარმთვარეს რომაელი პატრიციები იკეთებდნენ თავიანთი წარჩინებული წარმოშობის ნიშნად.

ნემორის ტყის მეფე – იხ. დიანას კორომის ქურუმი.

ნერონი – ტიბერიუს კლავდიუს ნერონი. რომის იმპერატორი. დაიბადა ახ. წ. 37 წ. იმპერატორობდა 54 წლიდან 68 წლამდე. აგრიპინა უმცროსისა და გნეუს დომიციუს აჰენობარბუსის ძე. აჰენობარბუსი ლათინურად სპილენძისფერ წვერიანს, ჟღალწვერას უდრის. ნერონსაც წითური წვერი ჰქონდა და იმასაც ასე უწოდებდნენ. იმპერატორობა მოიპოვა იმპერატორ კლავდიუსზე გათხოვილი დედის, აგრიპინას ინტრიგების წყალობით. თავდაპირველად წარმატებით უძღვებოდა სახელმწიფო საქმეებს, მაგრამ მალე გარყვნილებასა და თავაშვებულ ცხოვრებას მისცა თავი. ამიტომ კიდეც ჩამოაგდეს ტახტიდან და იძულებული გახდა, თავი მოეკლა.

ნიმფები – წარმომადგენელნი მრავალრიცხოვან ღვთაებათა ჯგუფისა, რომელნიც განახორციელებდნენ ბუნების ძალებსა და მოვლენებს. განასხვავებდნენ ზღვის, მდინარის, წყაროების, ველების, მთების, ხეებისა და სხვათა ნიმფებს.

ნიობე – მითის მიხედვით, თებეს მეფის მეუღლე, რომელსაც მრავალი შვილი ჰყავდა. ნიობემ აბუჩად აიგდო ქალღმერთი ლეტო, რომელსაც მხოლოდ ორი შვილი – აპოლონი და არტემიდი – ჰყავდა. შეურაცხყოფილი ღვთაების შვილებმა ნიობეს დაუხოცეს შვილები – ვაჟმა – ვაჟები და ქალმა – ქალები. თვით ნიობე მწუხარებისგან გაქვავდა. ნიობეს შვილებს ნიობიდებს ეძახიან.

ნომენკლატორი – კარგი მეხსიერების მქონე საგანგებო მონა - მსახური, რომლის მოვალეობას შეადგენდა ბატონის ნაცნობების, კლიენტებისა და მონების ვინაობის ცოდნა, საჭიროების შემთხვევაში ბატონისათვის მათი

შეხსენება და თუ ეწვეოდნენ შინ, მათი წარდგენაც. ასეთი მონა ხშირად ქუჩაშიაც თან ახლდა ბატონს და განსაკუთრებით არჩევითი თანამდებობის ძიების დროს, შეახსენებდა ხოლმე შემხვედრ მოქალაქეებს, რათა ბატონი გამოლაპარაკებოდა მათ და თავისკენ გადმოებირებინა.

ნორიკუმი – მხარე მდინარე დუნაის სამხრეთით, ახლანდელი ავსტრიის ერთი ნაწილი. დასახლებული ნორიკების ტომით. იმპერიის ხანაში რომის პროვინცია იყო.

ნუმა პომპილიუსი – რომის ლეგენდარული მეფე, რომლის ხელშიაც გადავიდა მეფობა რომულუსის შემდეგ.

ობოლი ანუ ობოლოსი – ძველი ბერძნული წვრილი ფული, დაახლ. 4-5 კაპიკის ღირებულებისა.

ოდისევსი – ჰომეროსის სახელგანთქმული პოემების „ილიადას“ და „ოდისეას“ გმირი. „ოდისეაში“ სწორედ მისი მრავალჭირნახადი თავგადასავალია აღწერილი ტროას ომიდან სამშობლოში დაბრუნების დროს.

ოვიდიუსი – პუბლიუს ოვიდიუს ნაზონი (ძვ. წ. 43-ახ. წ. 17 წწ.). სახელგანთქმული რომაელი პოეტი. ავტორი „მეტამორფოზებისა“ და რამდენიმე შესანიშნავი ლექსთა კრებულისა.

ოთონი – მარკუს სალვიუს ოთონი. შემდგომში (ახ. წ. 69 წ.) რომის იმპერატორი, ნერონის მეგობარი. იძულებული იყო, ნერონისთვის დაეთმო თავისი ცოლი პოპეა საბინა. ვიტელიუსთან ბრძოლაში დამარცხებულმა თავი მოიკლა.

ოიდიპოსი – ანტიკური ტრაგედიის პოპულარული გმირი. თებეს მეფე, რომელმაც, არ იცოდა ისე, საკუთარი მამა მოკლა და დედა ცოლად შეირთო. ამ სიუჟეტზე არსებული ტრაგედიებიდან განსაკუთრებით სახელგანთქმული იყო ბერძენი სოფოკლესა და რომაელი სენეკას ტრაგედიები.

ოლიმპოსი – წმინდა მთა თესალიაში, რომელზედაც, ბერძნული მითების თანახმად, ცხოვრობდნენ ღმერთები.

ორესტე – არგოსის მეფის აგამემნონისა და კლიტემნესტრას ძე, რომელმაც მოკლა მამამისის მკვლელი დედა.

ორონტი – მდინარე სირიაში, ახლანდელი ნახრ-ელ-ასი. ერთვის ხმელთაშუა ზღვას. ამ მდინარეზე მდებარეობდა ქალაქი ანტიოქია.

ორფევსი – თრაკიელი მითიური მგოსანი, რომელმაც თითქოს მუსიკა და ლექსთწყობა გამოიგონა. გადმოცემის თანახმად, მისი ღვთაებრივი სიმღერა და დაკვრა მცენარეებს რტოებს არხევინებდა, ქვებს ადგილიდან სძრავდა და ველურ მხეცებს ათვინიერებდა.

ოსანა – ვედრების შეძახილი მორწმუნე ებრაელებსა და ქრისტიანებში. ნიშნავს: „გვიხსენი!“ „შეგვეწიე!“ „გვიშველე!“

ოსირისი – ძველი ეგვიპტური ღვთაება მკვდომარე და აღორძინებული ბუნების განმასახიერებელი. ბერძნები მას აიგივებდნენ დიონისთან, ხოლო მის დასა და მეუღლეს ისიდას – დემეტრესთან.

ოსტია – სანავსადგურო ქალაქი ტიბრის შესართავში.

ოსტიუმი – ტალანი, კორიდორი, რომელიც შესასვლელი კარიდან ატრიუმისაკენ მიემართებოდა.

ოქტავია – იმპერატორ კლავდიუსისა და მესალინას ასული. ახ. წ. 52 წელს გათხოვდა ნერონზე, რომელმაც ჯერ გააძევა, მერე კი 62 წელს მოაკვლევინა. მისი თავგადასავლისადმი მიძღვნილია ისტორიული ტრაგედია „ოქტავია“, რომელსაც სენეკას მიაწერენ.

პავლე ტარსელი ანუ ტარსოსელი – პავლე მოციქული, ქრისტიანული სარწმუნოების მქადაგებელი პირველ საუკუნეში. ტარსოსი კილიკიის ძველი ქალაქია მცირე აზიაში.

პათოსის ტყეების ღვთაებრივი ბინადარი.- ე.ი. აფროდიტე. პათოსი ქალაქი იყო კუნძულ კვიპროსზე, რომლის ახლო მდებარე ტყეებში თითქოს აფროდიტეს უყვარდა ყოფნა.

პალასი ანუ პალანტი – კლავდიუსის დედის ანტონიას ნააზატევი, რომელიც კლავდიუსის იმპერატორობის ხანაში ხაზინის საქმეებს განაგებდა და დიდძალ ქონებას მოუყარა თავი. მანვე შეუწყო ხელი ნერონის ტახტზე ასვლას, მაგრამ მალე გავლენა დაკარგა და ახ. წ. 59 წელს, როგორც ჩანს, ნერონის ბრძანებით მოკლული იქნა, რათა კეისარი მის ქონებას დაპატრონებოდა.

პალატინი ანუ პალატინის მთა – რომის ერთ-ერთი შვიდ ბორცვთაგანი. ამ ბორცვს შედარებით ცენტრალური ადგილი ეჭირა. თავდაპირველად, ჩანს, პალატინი იყო რომის ფუძე. აქ აგებული დიდებული სამეფო სასახლეების მიხედვით გავრცელდა სხვადასხვა ენებში და ქართულშიაც

ბრწყინვალე სრა-სასახლის აღსანიშნავად „პალატნის“ და „პალატის“ ხმარება.

პანდატარია – კუნძული იტალიის დასავლეთ სანაპიროსთან, ტირენის ზღვაში. იქ უფრო ასახლებდნენ საიმპერატორო სახლის მდედრობითი სქესის დასჯილ წარმომადგენლებს.

პანონია – ძველი ქვეყანა დუნაისპირეთში, დაახლ. ახალი უნგრეთის ტერიტორიაზე.

პარისი – ტროელი უფლისწული, ტროას მეფის პრიამოსისა და ჰეკუბას მეორე ძე. ულამაზესი ვაჟკაცი, რომელმაც მშვენიერი ელენე მოსტაცა სპარტის მეფე მენელაოსს. ამის გამო ატყდა ტროას ომი.

პარისი – მაშინდელი ცნობილი მიმიკოსი მსახიობი.

პარკები – რომაული პანთეონის ბედისწერის ღვთაებანი, რომელნიც თითქოს დაბადებით თან ჰყვებიან ადამიანს.

პარმენიდე – ძველი ბერძენი ფილოსოფოსი, ელეელთა სკოლის ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენელი (დაახლ. ძვ. წ. 540-480 წწ.).

პარნასი – ქედი ფოკიდაში (საბერძნეთში), სადაც, მითების მიხედვით, ბინადრობდნენ პოეზიის ღმერთები აპოლონი და მუზები.

პაროსი – კუნძული კიკლადების ჯგუფში, სახელგანთქმული თეთრი მარმარილოთი.

პასითეა – ჰომეროსის „ილიადის“ მიხედვით ერთ-ერთი ხარიტათაგანი, რომელიც თითქოს ჰიპნოსს უყვარდა.

პასიფაია – კრეტას მეფის მინოსის მეუღლე, რომელსაც აფროდიტემ სიძულვილის გამო ხარისადმი გიჟური ვნება ჩაუნერგა და მისგან ეყოლა კიდეც ურჩხული მინოტავრი.

პატრიცი (სჯობია პატრიციუსი) – რომის ძირითადი, უძველესი, მდიდარი, პრივილეგირებული გვარის წარმომადგენელი. პატრიციუსები აღჭურვილნი იყვნენ სრული მოქალაქეობრივი უფლებებით და უპირისპირდებოდნენ პლებს ანუ პლებეებს – „მდაბიო ხალხს“.

პედისეკვუსი – თანმხლები მონა.

პენელოპე – ოდისევსის ცოლი. იგი ერთგულად ელოდა ტროას ომში წასულ ქმარს, ზნედაცული დიდხანს ეწინააღმდეგებოდა მისი ხელის მაძიებელ საქმროებს, ვიდრე ბოლოს ბედმა არ გაუღიმა და არ დაუბრუნდა მეუღლე.

პენტელიკონი – მთა ატიკაში, ცნობილი თავისი მარმარილოთი.

პეპლუმი – ნატიფი ქსოვილის ხალვათი, ზედა სამოსი ქალებისათვის საბერძნეთსა და რომში. ეს ბერძნული სახელია, თვით რომაელები მას პალას უწოდებდნენ.

პერიოდონიკესი – ოთხ (ოლიმპიურ, პითიურ, ნემეურ და ისთმიურ) შეჯიბრებაში გამარჯვებას უწოდებდნენ.

პერიპატეტიკოსი – მიმდევარი ძველი ბერძნული ფილოსოფიური სკოლისა, რომლის მესვეურად ითვლება სახელგანთქმული არისტოტელე. ეს სიტყვა „მოსეირნეს“ ნიშნავს ბერძნულად. რადგან არისტოტელე თავის მოწაფეებს სეირნობის დროს მოძღვრავდა, მის სკოლას ეს სახელი შეერქვა.

პერისტილიუმი – რომაელ წარჩინებულთა სახლებში ერთგვარი შინაგანი ეზო, სვეტებით, კოლონადით გარშემორტყმული.

პესინუნტის კიბელა – პესინუნტი ქალაქი იყო მცირე აზიაში, კიბელას კულტით სახელგანთქმული.

პერსეფონე – საიქიოს დედოფალი და მიწის ნაყოფიერების ქალღმერთი. ზევსისა და დემეტრეს ასული, რომელიც ჰადესმა მოიტაცა.

პერსიუსი – ავლუს პერსიუს ფლაკუსი (ახ. წ. 34-62 წწ.), რომაელი პოეტი, სატირების მწერალი.

პეტრე – ქრისტიანული გადმოცემების პეტრე მოციქული იგულისხმება.

პეტრონიუსი – ნერონის მეგობარი და თანამეინახე. დიდი გავლენით სარგებლობდა მის კარზე და ტაციტუსის გადმოცემით, აქ შეერქვა მას სინატიფის მსაჯულის (arbiter elegantiae) სახელი. მას მიაწერენ ცნობილ „სატირიკონს“. ამ ნაწარმოებმა ჩვენამდე ძალიან ფრაგმენტულად მოაღწია. მასში ლექსითა და პროზით ოსტატურადაა არწერილი იმდროინდელი ყოფაცხოვრება და, განსაკუთრებით კი, ზნეობრივი თავაშვებულება. დაახლოებით ასევე, როგორც სენკევიჩს, აქვს გადმოცემული მისი ცხოვრება და აღსასრული სახელოვან ტაციტუსს. ამ ისტორიკოსის ცნობით, პეტრონიუსმა თვითონვე მოიკლა თავი ახ. წ. 65 წელს, სანამ ნერონი დასჯიდა მას, თითქოს პისონის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის.

პითაგორა – ბერძენი მონა თუ ნააზატევი, რომელზედაც, როგორც ტაციტუსი გადმოგვცემს, სრული წესის დაცვით იქორწინა მართლაც ნერონმა, ვითარცა სასძლომ.

პილეოლუსი – ქეჩის თუ ნაბდის ერთგვარი ქუდი, რომელიც მხოლოდ კეფას ფარავდა ისე, რომ თმა თავისუფლად იყო ჩამოშვებული წინ და უკან.

პინაკოთეკა – სურათების გალერეა.

პირონი – ძველი ბერძენი ფილოსოფოსი (დაახლ. 365-275 ძვ. წ.). სკეპტიკოსების ანტიკური სკოლის დამაარსებელი.

პისონი – უნდა იგულისხმებოდეს გაიუს კალპურნიუს პისონი, ტაციტუსის გადმოცემით, ღირსეული და პატიოსანი კაცი. მას ნერონის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების მოთავეობა შესწამეს და სიკვდილით დაისაჯა.

პლატონი – ძველი ბერძნული იდეალისტური ფილოსოფიის უდიდესი წარმომადგენელი (დაახლ. ძვ. წ. 427-347 წწ.), სოკრატეს მოწაფე.

პლებსი, პლებეები – ხალხის მასა, მდაბიო ხალხი. მას უპირისპირდებოდნენ პატრიციები. შემდგომში პლებეებმაც მოიპოვეს ზოგი პოლიტიკური უფლება.

პლინიუსი – აქ უნდა იგულისხმებოდეს გაიუს პლინიუს სეკუნდუსი – უფროსი პლინიუსი (ახ. წ. 23-79 წწ.). სახელგანთქმული რომაელი მეცნიერი ენციკლოპედისტი, ბუნებისმეტყველი და ისტორიკოსი. დაიღუპა ვეზუვის ამოხეთქვის დროს.

პლუტონი – იხ. ჰადესი.

პოლუქსი – იხ. კასტორი და პოლუქსი.

პოპეა საბინა – ნერონის მეორე ცოლი, რომელიც ჯერ პრეტორიელების პრეფექტზე რუფრიუს კრისპინუსზე იყო გათხოვილი, მერე კი ოთონზე. ცნობილი თავისი სილამაზითა და გარყვნილებით. გადმოცემის მიხედვით, ნერონმა მოაკვლევინა ახ. წ. 65 წელს.

პრანდიუმი – რომაელთა მეორე იჯრა. რომაელები სამჯერ ჭამდნენ დღეში: დილით, დაახლოებით 9 საათზე მსუბუქად საუზმობდნენ. შუადღისას, დაახლოებით 12 საათზე ჰქონდათ საუზმე – პრანდიუმი. 3 საათის შემდეგ კი სადილობდნენ.

პრაქსიტელე – უდიდესი ბერძენი მოქანდაკე (ძვ. წ. IV საუკუნე).

პრეტექსტა – მეწამულ ქობაშემოვლებული ტოგა, რომელსაც ატარებდნენ 17 წლამდე ასაკის ბავშვები და ზოგიერთი მაღალი თანამდებობის პირნი.

პრეტორი – წინამძღოლს, უფროსს ნიშნავს. ძვ. წ. IV საუკუნიდან კონსულის შემდეგ პირველი ხელისუფალი იყო, რომელსაც უზენაესი მართლმსაჯულების საქმე ეკისრა. რესპუბლიკის დასასრულის ხანაში 8 პრეტორი იყო. ნერონის დროს პრეტორთა რიცხვმა 18-ს მიაღწია.

პრეტორიელები, პრეტორიელთა კოჰორტები – საგანგებოდ შერჩეულ-დაწინაურებული მხედრობის ნაწილები, რომის იმპერატორთა პირადი მცველი ჯარი, ლეიბ-გვარდია. ტახტის გარშემო არეულობებისა და გადატრიალებათა დროს დიდ როლს ასრულებდნენ. მათი სარდლებიც იმპერატორის კარზე პირველ დიდებულთა შორის ითვლებოდნენ.

პრეფექტი – ნიშნავს უფროსს, გამგებელს. ძველ რომში რამდენიმე სხვადასხვა რიგის სამოქალაქო და სამხედრო თანამდებობის პირებს უწოდებდნენ. მაგალითად, არსებობდა ქალაქის, ბანაკის, ცხენოსანი ჯარის და სხვ. პრეფექტები.

პრიამოსი – ტროას მეფე. ჰომეროსის „ილიადის“ ერთ-ერთი მთავარი გმირი – მოხუცებული, დარბაისელი ხელმწიფე.

პრიმიპილუსის ცენტურიონი – ლეგიონის პირველი კოჰორტის პირველი მანიპულუსის პირველი ცენტურიის ცენტურიონი ანუ ასისთავი.

პროდიკოსი – ძვ. წ. V საუკუნის ბერძენი ფილოსოფოსი, სოფისტი, მჭევრმეტყველების მასწავლებელი.

პროკონსული – კონსულის ნაცვალი, მოადგილე, რომის პროვინციის მმართველი, გამგებელი. რესპუბლიკის ხანაში უმეტესად ყოფილი კონსულები ინიშნებოდნენ ამ თანამდებობაზე.

პროკურატორი – საერთოდ, გამგე, მნე, რწმუნებული. იმპერატორის შემოსავლის საქმეთა მოურავი პროვინციაში.

პრომეთე, პრომეთევსი – ბერძნული მითების მიხედვით, ღმერთების წინააღმდეგ მებრძოლი, ადამიანების დამცველი ტიტანი. მან მოიტაცა ცეცხლი ოლიმპოსის მთიდან და ასწავლა ადამიანებს მისი გამოყენება. ცეცხლის მოტაცებისთვის ზევსმა იგი კავკასიონის მთას მიაჯაჭვა.

პრონუბა – საპატარძლოს რომელიმე გათხოვილი ქალი, რომელიც ქორწინების დროს მონაწილეობას იღებდა საქორწინო წეს-ჩვეულებების აღსრულებაში. ჩვენებური მდადის მსგავსი, ოღონდ ჩვენში საპატარძლოს ასეთი ამხანაგი თვითონაც გასათხოვარი ქალწულია.

პროპრეტორი – რომის რომელიმე დაწყნარებული პროვინციის გამგებელი, ყოფილი პრეტორთაგანი.

პროსერპინა – ბერძენთა პერსეფონე, ქვესკნელის მბრძანებელი, ნათესის აღმოცენებისა და მიწის ნაყოფიერების ქალღმერთი, პლუტონის ანუ ჰადესის მეუღლე.

პროსკრიპცია – კანონგარეშე გამოცხადება რომელიმე პირისა. პროსკრიპციის სიაში მოხვედრილ ხალხს სიკვდილის მისჯასთან ერთად ქონებასაც ართმევდნენ.

პროტაგორა – ძველი ბერძენი ფილოსოფოსი, სოფისტი და სახელმწიფო მოღვაწე (ძვ. წ. 481-411 წწ.).

პროტევსი – ზღვის ერთ-ერთი ღვთაება, რომელსაც სახეცვალების უნარი ჰქონდა. გადმოცემის მიხედვით, ცხოვრობდა კუნძულ ფაროსზე, ეგვიპტის ახლოს.

რეტიარიუსი – უმუზარადო, თავდაცვის იარაღს მოკლებული გლადიატორი, რომელსაც მხოლოდ ბადე, მსუბუქი სამთითი და მოკლე მახვილი მოეპოვებოდა საბრძოლველად.

როდოსის კოლოსი – კუნძულ როდოსზე დადგმული ბრინჯაოს ვეება ქანდაკება მზის ღმერთის ჰელიოსისა, რომელიც ძვ. წ. 280 წელს აღმართეს, მაგრამ მალე დაინგრა მიწისძვრის დროს. სამყაროს შვიდ საოცრებათაგან ერთ-ერთი.

როსტრა – საორატორო ტრიბუნა რომის ფორუმზე.

რუბელიუს პლავტუსი – ნერონის დროის მოღვაწე. აგრიპინა უმცროსს სურდა, მასზე დაქორწინებულიყო და მერე იგი ტახტზე დაესვა ნერონის ნაცვლად. ამიტომაც ნერონმა იგი აზიაში გადაასახლებინა და შემდეგ მოაკვლევინა კიდეც.

სამბუკა – სამკუთხა ფორმის სიმებიანი საკრავი, ქნარის მსგავსი.

სამპიროვანი, სამსახოვანი ჰეკატე – ჰეკატეს სამსხეულიანს ან სამთავიანს გამოსახავდნენ, რადგან თავდაპირველად იგი მთვარეს წარმოსახავდა და მისი სამპიროვნება მთვარის სამ ფაზას – მატებას, სისავსეს და კლებას გულისხმობდა.

სამხედრო ტრიბუნი – არჩევითი სამეთაურო თანამდებობდა რომის არმიაში. ყოველ ლეგიონში ექვსი ტრიბუნი ითვლებოდა, რომლებიც რიგრიგობით ასრულებდნენ ლეგიონის უფროსის მოვალეობას.

სატირი, სატირები – ბერძნული მითოლოგიით, მდაბალი ტყიური ღვთაებანი, მეღვინეობისა და ნაყოფიერების ღმერთის დიონისის ანუ ბახუსის მხლებელნი, ნახევრად ადამიანის, ნახევრად კი თხის გარეგნობისა. ავხორცობისა და ცხოველური ვნების განსახიერებად ითვლებოდნენ.

სატურნი – იტალიელთა უძველესი ღმერთი ნათესის, მოსავლის, დოვლათისა და კეთილდღეობისა. მალევე იქნა გაიგივებული კრონოსთან.

სევერუსი – ნერონის ხანის ცნობილი ხუროთმოძღვარი.

სეიანუსი – ელიუს სეიანუსი, პრეტორიელების გვარდიის სარდალი და ტიბერიუსის დროს გამდიდრებული და განდიდებული კაცი. იმპერატორის წინააღმდეგ შეთქმულებისათვის სასტიკად დასაჯეს ახ. წ. 31 წელს და მისი ოჯახიც აიკლეს.

სელენე – ბერძნული პანთეონის მთვარის ქალღმერთი.

სენატი – უმაღლესი სახელმწიფო საბჭო რომში რესპუბლიკის დროს. მასში შედიოდნენ უმეტესად ყოფილი თანამდებობის პირები – ყოფილი კონსულები, პრეტორები. იმპერიის ხანაში სენატმა დაკარგა ძალა და იმპერატორის ნება-სურვილის უბრალო გამტარებლადღა იქცა.

სენატორი – სენატის წევრი.

სენეკა – ლუციუს ანეუს სენეკა (დაახლ. ძვ. წ. 4-ახ. წ. 65 წწ.), სახელგანთქმული რომაელი ფილოსოფოსი სტოიკოსი, პოეტი და სახელმწიფო მოღვაწე, ნერონის მასწავლებელი. მოწაფის გაიმპერატორების შემდეგ ერთხანს დიდი გავლენა ჰქონდა, მაგრამ შემდგომ ნერონის რისხვა დაიმსახურა. პისონის შეთქმულებასთან დაკავშირებით ებრძანა, თავი მოეკლა.

სერაპისი – ელინისტური ეგვიპტის ერთ-ერთი მთავარი ღვთაება, რომლის კულტიც შემდეგ რომში შეიჭრა.

სერაპეუმი – სერაპისის ტაძარი.

სერვიუს ტულიუს – რომის მეფე (ძვ. წ. VI ს), რომელსაც მიაწერენ მისი სახელით ცნობილი გალავნის აგებას ქალაქის ირგვლივ.

სერიკუმი – სერების ქვეყანას უნდა ნიშნავდეს. ამ სახით ძველად ეს სიტყვა არა ჩანს. საერთოდ, რომაელები სერებს უწოდებდნენ აღმოსავლეთ აზიის ხალხს, რომელსაც ჩინელებთან აიგივებენ.

სესტერცი – რომაული ვერცხლის ფული, დაახლ. 6-5 კაპიკის ღირებულების.

სიბილა, სიბილები – გადმოცემათა მიხედვით, ზეშთაგონებული წინასწარმეტყველი ქალი. გულთმისან სიბილას წინასწარმეტყველებათა წიგნები თითქოს რომის მეფე ტარკვინიუსს შეუძენია ერთი დედაბრისაგან. ეს წიგნები ძვ. წ. 84 წელს დამწვარა, მაგრამ ვითომ მერე აღუდგენიათ გამონათქვამების მიხედვით. რომის სახელმწიფოს საფრთხეში ყოფნის დროს კითხულობდნენ ხოლმე ამ წიგნებს სათანადო სახსრის მოსაპოვებლად და უბედურებისაგან ქალაქის გადასარჩენად.

სიკა – ხანჯალი.

სიმპოსიონი – ნადიმი, ლხინი.

სირინოზები – ზღაპრული არსებანი, ნახევრად ფრინველები და ნახევრად ქალები. თითქოს ჯადოსნური სიმღერით ხიბლავდნენ და ღუპავდნენ ზღვაოსნებს.

სირმა – გრძელი სამოსი, რომელსაც უმეტესად ტრაგიკოსი მსახიობები ატარებდნენ.

სისტრონი – საკრავი, რომელსაც ეგვიპტელები ხმარობდნენ ქალღმერთ ისიდას საპატივცემო ღვთისმსახურების დროს.

სკროპასი – სახელგანთქმული ბერძენი მოქანდაკე. ცხოვრობდა ძვ. წ. IV საუკუნეში.

სკრუპულუმი ანუ სკრიპულუმი – ძველებური წონის (დაახლ. 1, 14 გრამი იყო) და ფულის ერთეული. დაახლ. ავრეუსის მესამედს უდრიდა.

სმინთევსი – ერთი ვერსიით, „თაგვთამჟლეტად“ განმარტავდნენ, აპოლონის ერთ-ერთი ეპითეტია, რადგან ძველ ბერძენთა წარმოდგენით, აპოლონი მინდვრის თაგვებს ანადგურებდა.

სოდომი – ბიბლიის მიხედვით, გარყვნილებითა და არეულ-დარეულობით სახელგატეხილი ქალაქი, რომელიც თითქოს ღმერთმა მიწისძვრითა და ცეცხლოვანი წვიმით გაანადგურა.

სოკრატე – ძველი ბერძენი ფილოსოფოსი, იდეალისტი (ძვ. წ. 469-399 წწ.). ერთ-ერთმა პირველმა დაამუშავა დიალექტიკა (ძველებური გაგებით), როგორც ხელოვნება მოკამათის მსჯელობაში წინააღმდეგობების აღმოჩენის გზით ჭეშმარიტების მიგნებისა.

სომნუსი – ძილის ღმერთი, ბერძენთა ჰიპნოსი.

სორაკტე – მთა რომის ახლოს, ეტრურიაში. ახლანდელი მონტე და სილვესტრო.

სოფოკლე – დიდი ბერძენი ტრაგიკოსი (დაახლ. ძვ. წ. 497-406 წწ.). მისი 120 ტრაგედიიდან სრულად ჩვენამდე მხოლოდ შვიდმა მოაღწია, მათ შორის ოიდიპოს მეფის ტრაგედიათა ციკლმა.

სპარტა ანუ ლაკედემონი – პელოპონესის ნახევარკუნძულის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე ქალაქი და სახელმწიფო.

სპარტაკი – თრაკიელი გლადიატორი, რომელმაც მონათა მძლავრი აჯანყება მოაწყო ძვ. წ. 74-71 წწ.

სპიკულუსი – გლადიატორი, რომელიც ნერონს უყვარდა და ძალიანაც სწყალობდა.

სპოლიარიუმი – ადგილი, სადაც მიათრევდნენ ცირკის ასპარეზზე დახოცილ გლადიატორებს, ტანსაცმელსა ხდიდნენ და იარაღს ხსნიდნენ.

სტადიონი – სირბილში შესაჯიბრებელი მოედანი. მანძილის ერთგვარი საზომი ერთეულიც

აღინიშნებოდა ამ სიტყვით.

სტატორი – იუპიტერის ერთ-ერთი ეპითეტთაგანია. ნიშნავს შემჩერებელს, შემყენებელს, რადგან იუპიტერი ითვლებოდა ლაშქრისათვის სიმამაცის მიმნიჭებელ და ლტოლვილთა შემჩერებელ ღმერთადაც.

სტილუსი – წვერწამახული ძვლის ან რკინის პატარა ჯოხი, რომლითაც გასანთლულ ფირფიტაზე ან დაფაზე წერდნენ რომაელები.

სტიქსი ანუ სტიგი – ბერძნული და რომაული მითოლოგიის მიხედვით, მდინარე (და ამავე სახელობის ნიმფა), რომელიც საიქიოს უვლის გარს.

სტოიკოსი – სტოელთა ფილოსოფიური მოძღვრების მიმდევარი. სახელი მიიღო ათენის სტოასაგან (სვეტებიანი გალერეა, კოლონადა), სადაც ფილოსოფოსი ძენონი მოღვაწეობდა.

სტოლა – რომაელ ქალთა გრძელი, ხალვათი სამოსი, რომელიც მთელ სხეულს ფარავდა ყელიდან ტერფამდე.

სუბურა – რომის უბანი. არსებობდა ამავე სახელწოდების ქუჩაც. ამ უბანსაც და ქუჩასაც ცუდი სახელი ჰქონდა დავარდნილი.

სფინქსი – ფრთოსანი ურჩხული, რომელსაც ლომის ტანი და ქალის თავი ება და უცნაური შეკითხვით მიმართავდა მგზავრებს. ბერძნულ მითოლოგიაში ეგვიპტიდან შემოვიდა.

ტაბითა – ახალი აღთქმის „საქმე მოციქულთაში“ მოხსენებული ქალი, რომელიც ბევრი კეთილი საქმის მოქმედად არის გამოყვანილი.

ტაბლინუმი – ატრიუმის გვერდით მდებარე ერთ-ერთი მთავარი ოთახი, სახლის პატრონის კაბინეტი.

ტარტარი – მითების მიხედვით, ქვესკნელის ქვემოთა ნაწილი. აქ იყვნენ ვითომ ჩაყრილი კრონოსი და დამარცხებული ტიტანები.

ტაციტუსი – კორნელიუს ტაციტუში (დაახლ. ახ. წ. 55-120 წწ.). სახელგანთქმული რომაელი ისტორიკოსი. მის თხზულებათაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „ანალები“ და „ისტორია“, რომლებშიაც დიდი ოსტატობითაა გადმოცემული პირველი საუკუნის რომის შინაგანი ცხოვრება და საგარეო ვითარება.

ტელესიური – იგულისხმება ტელესიური ღვინო. ტელესია ქალაქია სამნიუმში.

ტენედოსი, კილა, ქრისე – ტენედოსი – კუნძული ტროას ახლოს, კილა და ქრისე კი ქალაქები იყო ტროაში. აქ აპოლონს განსაკუთრებით სცემდნენ თაყვანს.

ტეპიდარიუმი – აბანოს განყოფილება, რომელშიაც ზომიერი სითბო იდგა და საიდანაც, ერთი მხრით, ცხელ აბანოში შეისვლებოდა, მეორე მხრით კი – გასახდელში.

ტესერა – ფირფიტა, რომელზედაც იწერებოდა დათქმული სიტყვა, საშვი სიტყვა.

ტიბერიადის ანუ „ტიბერიის“ ტბა – იგივე გალილეის ტბა, მდებარეობდა გალილეაში.

ტიბერიუსი – რომის იმპერატორი. დაიბადა ძვ. წ. 42 წ. ტახტზე დაჯდა ოქტავიანუს ავგუსტუსის გარდაცვალების შემდეგ (ახ. წ. 14 წ.), რომლის შვილობილი და მემკვიდრე იყო. გარდაიცვალა ახ. წ. 37 წელს. მამაც სარდლად ითვლებოდა, მაგრამ ხელმწიფობის ხანაში დიდი სიმკაცრე გამოიჩინა და ბევრი აიმხედრა.

ტიგელინუსი – ოფონიუს ტიგელინუსი. უპატიოსნო გზით განდიდებული კაცი, ნერონთან დიდად

დაახლოებული და მის ღრეობათა და გარყვნილებათა მონაწილე. პრეტორიელთა გვარდიის სარდალი. მისი დაბეზღებით ბევრი ცნობილი მოღვაწე დაისაჯა სიკვდილით. ნერონის ჩამოგდების შემდეგ მასაც სიკვდილი მიესაჯა და თვითონვე მოიკლა თავი ახ. წ. 69 წ.

ტირიდატი – პართიის მეფის ვოლოგეზის ძმა, სომხეთის მეფე, რომელიც, როგორც ვასალი, ნერონმა დაამტკიცა ტახტზე ახ. წ. 66 წ.

ტიტანი – ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, ურანოსის და გეას შვილთაგანი. ტიტანებმა ბრძოლა გაუმართეს ზევსს ზეცაში ბატონობისათვის და დამარცხდნენ. საერთოდ ეს სიტყვა სინონიმია დიდი ძალ-ღონისა და ძლიერი გონების ბუმბერაზისა.

ტიტუსი – ვესპასიანეს ძე, შემდგომში იმპერატორი ტიტუს ფლავიუსი. დაიბადა ახ. წ. 46 წელს, ტახტზე ავიდა 79 წელს. გარდაიცვალა 81 წელს.

ტოგა – შალის ქსოვილის გრძელი (საშუალო ტანის კაცის დაახლოებით სამმაგი სიგრძისა) და განიერი (თითქმის სამ მეტრამდე) ნაჭერი, რომელსაც გარკვეული წესით იხვევდნენ სხეულზე და ერთგვარი მოსასხამის როლს ასრულებდა. ჩვეულებრივ თეთრი იყო. ტოგის ხმარების უფლება მარტო რომაელ მოქალაქეებს ჰქონდათ. ისინი ვალდებულნი იყვნენ, საზოგადო შეკრებულებაში ტოგით გამოცხადებულიყვნენ.

ტრასიმენის ტბა – საკმაოდ მოზრდილი ტბა ეტრურიის აღმოსავლეთ ნაწილში.

ტრიგლიფი – ბერძნული სახუროთმოძღვრო ტერმინია. წარმოადგენს სამკუთხა ვერტიკალურ ღარებიან ფილას.

ტრიკლინიუმი – სასადილო ოთახი მდიდარ რომაელთა სახლში, სადაც იდგა მაგიდა და გარს სამი მხრიდან შემოწყობილი საწოლები. ძველ რომში წარჩინებულნი წამოწოლილნი პურობდნენ.

ტრიუმფი – საზეიმო შეხვედრის უმაღლესი პატივი, რომელსაც რომაელები ანიჭებდნენ მტერზე საბოლოოდ გამარჯვებულ სარდალს. ტრიუმფის გამართვის ნებართვას სენატი იძლეოდა.

ტროა ანუ ილიონი – ძველი ქალაქი მცირე აზიის ჩრდილო-დასავლეთში, რომლის გარშემოც მოხდა ჰომეროსის პოემა „ილიადაში“ აღწერილი ომი. მითის მიხედვით, ომი იმან გამოიწვია, რომ ტროელმა უფლისწულმა პარისმა სპარტის მეფის მენელაოსის მეუღლე, მშვენიერი ელენე გაიტაცა.

„ტროიკა“–ტროას ომის ამბავი.

ტროილოსი და კრესიდა – ტროილოსი თითქოს პრიამოსის შვილია, რომელსაც თავდავიწყებით უყვარდა კრესიდა. მაგრამ ანტიკურ თხზულებებსა და მითებში არსად ჩანს არც მათი სახელები, არც ამბავი. შესაძლოა,

სენკევიჩი აცდუნა შექსპირმა, რომელსაც ამათი სიყვარულის თემაზე ამავე სახელწოდების ტრაგედია მოეპოვება.

ტულიანუმი – სერვიუს ტულიუსის დროს აშენებული მიწისქვეშა ნაწილი რომის სახელმწიფო სატუსაღოსი.

ულისი ანუ ულიქსი – ლათინურად უწოდებდნენ ოდისევსს.

უნკტორიუმი – აბანოს განყოფილება, სადაც ბანაობის შემდეგ მალამოთი იზელდნენ ტანს.

ფიბრიციუს ვეიენტონი – ნერონის დროის პრეტორი. ტაციტუსის გადმოცემით, სენატორებსა და ქურუმებზე პასკვილების შეთხზვისთვის ნერონის ბრძანებით იტალიიდან გაუძევებიათ (ახ. წ. 62 წ.). ამიტომ ამბობს პეტრონიუსი, უბრძანეს, ოდისევსის როლი ეთამაშაო, ე.ი. სახეტიალოდ წასულიყო შორეულ ქვეყნებში. სენკევიჩი აქ პეტრონიუსს სწორედ ტაციტუსის სიტყვებით ალაპარაკებს. ტაციტუსიც ამას ამბობს: როცა აკრძალული იყო ამ პასკვილების კითხვა, ხალხი გამწარებით ეძებდა, ხოლო როცა ნება დართეს, მაშინ ყველამ გული აიცრუაო.

ფავნუსი – ერთ-ერთი უძველესი წმინდა იტალიური ღმერთი. ითვლებოდა ტყე-ველის მცველად, საქონლისა და მწყემსთა მფარველად და საერთოდ, ტყის იდუმალებათა გამგებლად. გამოირჩეოდა ავხორცობით და ნიმფებს ეტანებოდა. გამოსახავდნენ როგორც თხისფეხებიან და თხისყურებიან ჭაბუკს.

ფალერნის ღვინო – საუკეთესო ღვინო, რომელსაც რომში დიდად აფასებდნენ. მას აყენებდნენ შუა იტალიაში, კამპანიაში.

ფატუმი – ბედისწერა, ბედისწერის განმასახიერებელი ღვთაება.

ფებოსი – აპოლონის, როგორც მზის ღმერთის, ერთ-ერთი სახელი და აქედან თვით მზის სინონიმიც.

ფენიქსი – ზღაპრული ფრინველი. ზოგი გადმოცემის მიხედვით, ყოველ ხუთას წელში თავს დაიწვავდა და ფერფლიდან კვლავ ახალგაზრდა აღდგებოდა. იგი მარადიულობისა და განახლების სიმბოლოდ ითვლებოდა.

ფლამინები – იუპიტერის, მარსის და ზოგი სხვა ღმერთების ქურუმები, რომელთა მთავარი

მოვალეობა იყო ყოველდღიური მსხვერპლშეწირვა. მათ შორის იუპიტერის ქურუმები პირველობდა.

ფლორა – ყვავილებისა და ყვავილობის ქალღმერთი.

ფოკიდა – მხარე შუა საბერძნეთში.

ფორმინგი ანუ ფორმინქსი – ერთგვარი ბერძნული სიმებიანი საკრავი. ქნარისებური, ოღონდ უფრო მოზრდილი.

ფორტუნა – რომაული პანთეონის ბედ-იღბლისა და სვე-ბედნიერების ქალღმერთი.

ფორუმი – მოედანი, ცნობილი რომის ფორუმი კაპიტოლიუმსა და პალატინის ბორცვებს შორის მდებარეობდა. აქ რიგდებოდა საზოგადო-სახალხო და სავაჭრო საქმეები.

ფოსორი – მიწისმთხრელი.

ფრეგელა – ქალაქი შუა იტალიაში.

ფრიგიდარიუმი – რომაული აბანოს გრილი განყოფილება, სადაც ცხელ აბანოში ყოფის შემდეგ ისვენებდნენ ხოლმე. ასევე უწოდებდნენ სანოვაგის შესანახ ცივ საკუჭნაოებსაც.

ფსიქე – ბერძნულ მითოლოგიაში, ეროტის მშვენიერი სატრფო, რომელსაც აფროდიტემ თავისი ვაჟიშვილი მიუგზავნა დასასჯელად, რადგან ქალწული სილამაზით თითქოს ექიშპებოდა. მრავალი მწარე განსაცდელის შემდეგ ზეესმა მას ვითომ უკვდავება მიანიჭა.

ფურიები – რომაული მითოლოგიის მიხედვით, ქვესკნელის ღვთაებანი შურისძიებისა და სინდისის ქენჯნისა. აიგივებდნენ ბერძენთა ერინიებთან.

ქსენოფანე – ძველი ბერძენი ფილოსოფოსი (ძვ. წ. VI ს.) ელეელთა ფილოსოფიური სკოლის დამაარსებელი. მოძღვრება სფეროს შესახებ, რომელზედაც სენკევიჩის გმირი ლაპარაკობს, მას კი არა, სხვა ბერძენ ფილოსოფოსს – ემპედოკლეს უნდა ეკუთვნოდეს. ელეა ბერძენთა ქალაქი იყო სამხრეთ იტალიაში, სადაც ე.წ. ელეელთა ფილოსოფიური სკოლა ჩამოყალიბდა.

ღვთაებრივი მოისარი – იგულისხმება აპოლონი, რომელიც გადმოცემით, ვერცხლის მშვილდოსანი იყო.

ცელერუსი – ნერონის ხანის ცნობილი ხუროთმოძღვარი.

ცენტურიონი – რომაული ჯარის რაზმის (ცენტურიას) მეთაური, ასისთავი, რადგან ეს რაზმი ჩვეულებრივ 100 მეომარს შეიცავდა (ლათ. centum-ასია).

ცერბერი – იხ. კერბერი.

ცერერა – იხ. დემეტრე.

ციკლოპი – იხ. კიკლოპი.

ცინიკოსი – იხ. კინიკოსი.

ციტრა – იხ. კითარა.

ციტრის მაგიდები – ციტრი ერთგვარი წიწვიანი, ძვირფასი ჯიშის ხეა, რომლისაგან გაკეთებული მაგიდები თურმე ძალიან ძვირად ფასობდა რომში.

ძეთოსის უბედური მეუღლე – ბერძნული მითის მიხედვით, იგულისხმება აედონი, თებეს მეფის ძეთოსის მეუღლე. აედონს შეშურდა რძლის ნიობეს მრავალშვილიანობა და მოინდომა მისი უფროსი ვაჟის მოკვლა, მაგრამ სიბნელეში შეცდომით საკუთარი შვილი შემოაკვდა. ზევსმა იგი

ბულბულად აქცია (შეადარე ჩვენებური იადონი), რომელიც მარად დასტირის და გლოვობს დაღუპულ შვილს.

ძენონი – ელეელთა სკოლის ძველი ბერძენი ფილოსოფოსი და სახელმწიფო მოღვაწე (ძვ. წ. V ს.).

ძენონი – ცნობილი ძველი ბერძენი ფილოსოფოსი (დაახ. ძვ. წ. 336-264 წწ.) კიტიონელი (კუნძულ კვიპროსის მკვიდრი), სტოიკოსთა ფილოსოფიური სკოლის დამაარსებელი.

ხარიტები – იხ. გრაციები.

ხარონი – მითების მიხედვით, მენავე, რომელსაც საიქიოს მდინარეზე გადაჰყავდა მიცვალებულთა სულები.

ხეოფსის პირამიდა – უძველესი პირამიდა, დიდებული ნაგებობა, რომელსაც ეგვიპტის ფარაონს ხეოფსს ანუ ხუფუს მიაწერენ (ძვ. წ. III ათასწლეული).

წილი ნაყარია – ე.ი. ნაბიჯი გადადგმულია, საქმე გადაწყვეტილია. ეს გამოთქმა იულიუს კეისარს

ეკუთვნის, როცა მან საბოლოოდ გადაწყვიტა რომზე გალაშქრება და საზღვარი – მდინარე რუბიკონი გადალახა.

წყლისა და ცეცხლის აკრძალვა – ვისაც ამას მიუსჯიდნენ, იმას ნიშნავდა, რომ რომის სახელმწიფოდან უნდა გადახვეწილიყო.

ჰადესი – ბერძნული მითოლოგიით, იგივე პლუტონი, კრონოსისა და რეას ძე, ზევსის ძმა, ქვესკნელის მბრძანებელი. ჰადესს აგრეთვე თვით საიქიოსაც უწოდებდნენ.

ჰამადრიადი – ტყის, ხის ნიმფა, ხის სული, რომელიც ხეშია დასადგურებული, მასთან ერთად ცხოვრობს და კვდება კიდეც.

ჰარმოდიოსი და არისტოგიტონი – ათენელი ვაჟკაცები, რომელთაც ძვ. წ. 514 წელს ერთად მოკლეს ტირანი ჰიპარქოსი.

ჰეკაბე (ლათ. ჰეკუბა) – ტროას მეფე პრიამოსის მეუღლე, დედა ჰექტორის, პარისისა და სხვ.

ჰეკატე – პირველად მიწის, ზღვისა და ზეცის, აგრეთვე ადამიანთა საქმიანობის მძლავრი

ქალღმერთი, შემდგომში (ძვ. წ. V საუკუნიდან) აჩრდილების, მაჯლაჯუნების, ჯადოსნობა-შელოცვების ღვთაება; ქვესკნელის, საიქიოს აჩრდილთა მბრძანებელი.

ჰეკატომბა – სიტყვასიტყვით ნიშნავს „ასი ხარის მსხვერპლს“, მაგრამ ჩვეულებრივ ამით აღნიშნავენ ხოლმე, საერთოდ, დიდ მსხვერპლშეწირვას.

ჰელვეცია – სტრაბონისა და იულიუს კეისრის მიხედვით, ქვეყანა, რომელიც მოთავსებული იყო იურას მთებსა, ჟენევის ტბასა, მდინარე როდანუსსა (ახლანდელი რონა) და რაინს შორის, ე.ი. დაახლოებით დღევანდელი შვეიცარიის ტერიტორიაზე. ჰელვეციელები კელტური მოდგმისანი იყვნენ.

ჰელიოსი – ბერძენთა მითოლოგიით მზისა და მზის შუქის ღმერთი. თვითონ მზის სინონიმადაც ითვლებოდა.

ჰერა – ბერძნული მითოლოგიით, უზენაესი ღმერთის, ოლიმპოსის მბრძანებელის ზევსის მეუღლე, რომაელთა იუნონა.

ჰერაკლეა – ქალაქი შავი ზღვის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე, მცირე აზიაში.

ჰერაკლიტე – ბერძენი ფილოსოფოსი (ძვ. წ. VI-V სს.). მისი მოძღვრების თანახმად სამყარო ცეცხლისაგან წარმოიშვა და ყველაფერი მოძრაობაშია.

ჰერკულესი – ლათინური სახელწოდება ბერძნული ჰერაკლესი. ძველი საბერძნეთის ყველაზე სახელგანთქმული ეროვნული გმირი. მის შესახებ მრავალი მითია შეთხზული. განსაკუთრებით ცნობილია მისი თორმეტი საგმირო საქმის ამბავი. გამოხატავდნენ როგორც გოლიათური აღნაგობის მძლავრ ვაჟკაცს. ჰერკულესი ძველი ბერძნული სახვითი ხელოვნებისა და პოეზიის საყვარელი გმირია.

ჰერკულესის სვეტები – ძველად ამ სახელით აღნიშნავდნენ გიბრალტარის სრუტეს.

ჰერმესი – ბერძნული მითოლოგიით, ზევსისა და ატლანტის ასულის, მაიას ძე. გამჭრიახი, მარჯვე და მოხერხებული ღმერთი. პირველად ბუნების მძლავრ ძალებს განასახიერებდა, მერე კი ნელ-ნელა შეიძინა მესაქონლეობისა და მწყემსთა მფარველის ფუნქციები, აგრეთვე ოლიმპოსის ღმერთთა შიკრიკად და ზევსის გზირად იქცა, ამიტომ გზირთა, მოციქულთა და მგზავრთა მფარველიც იყო. გზებზე უდგამდნენ ე.წ. ჰერმებს. ითვლებოდა ვაჭრებისა და ვაჭრობის მფარველადაც.

ჰესპერიდების ბაღი – ჰესპერიდები იყვნენ ჰესპეროსის ქალიშვილები, ცხოვრობდნენ სამყაროს უკიდურეს დასავლეთ ნაწილში, თავიანთ ბაღში, რომელშიაც ოქროს ნაყოფის მსხმოიარე ხე ხარობდა. ამიტომაც ეს ბაღი სამოთხისებური წალკოტის სინონიმად მიიჩნეოდა ბერძნულ მითოლოგიაში.

ჰიბერნია – ირლანდიას უწოდებდნენ ძველად.

ჰიპნოსი – იხ. სომნუსი.

ჰიპოგეუმი – ბერძნულიდან შემოსული სიტყვა ლათინურში. მიწისქვეშეთი, აკლდამა; საერთოდ სასაფლაო.

ჰიპოკაუსტუმი – უმთავრესად იატაკქვეშ მოთავსებული საგანგებო ღუმელი, რომლიდანაც სითბო აბანოში ანდა სახლში მილებით გადიოდა იატაკის ქვეშ ან კედლებში.

ჰისტრიონი – მსახიობი, აქტიორი.

ჰომეროსი – ბერძენთა უძველესი და უდიდესი ლეგენდარული პოეტი, რომელსაც მიაწერენ

პოემების „ილიადასა“ და „ოდისეას“ შეთხზვას. უნდა ეცხოვრა დაახლოებით ძვ. წ. II და I ათასწლეულების მიჯნაზე.

ჰორაციუსი – კვინტუს ჰორაციუს ფლაკუსი (ძვ. წ. 65-8 წწ.), რომის ერთ-ერთი უდიდესი პოეტი-ლირიკოსი. თავის „ოდებში“ ქადაგებდა ზომიერების ფილოსოფიას და სიცოცხლის სიამეებით დატკბობას. მან რომაულ ნიადაგზე გადმონერგა ბერძენთა ნატიფი სატრფიალო ლირიკა, კერძოდ, ალკეოსის, საფოს და ანაკრეონტის მოტივები და სახეები.

ლათინური სიტყვები და გამოთქმები

Animal impudens – ურცხვი ცხოველი.

Arbiter elegantiarum – ნატიფი გემოვნების მსაჯული. ეს წოდება, გადმოცემის თანახმად, ნერონმა მიანიჭა პეტრონიუსს, როგორც ხელოვნების, პოეზიისა და თავაზიანობის საკითხების დიდად სანდო და აღმატებულ განმსჯელს.

„Ave, caesar imperator! „Morituri te salutant!“ – „გამარჯობა, კეისარო იმპერატორო! სასიკვდილოდ გამზადებულნი გესალმებიან! – გლადიატორები ამ სიტყვებით ესალმებოდნენ ხოლმე იმპერატორს ბრძოლის დაწყების წინ.

Carissime – უძვირფასესო, უსაყვარლესო.

Christus regnat!.. – ქრისტე მეფობს!..

Cingulum – ერთგვარი სარტყელია.

Circus Maximus

– დიდი ცირკი რომში. გადმოცემის თანახმად, იგი ჯერ კიდევ მეფეთა ხანაში იქნა გამართული, მაგრამ მხოლოდ კეისრის დროს ააგეს ქვით. შესანიშნავი ბუნებრივი მდებარეობა ჰქონდა. სიგრძით დაახლოებით 650 მეტრი, სიგანით – 130 მეტრი. თითქმის 200 000-მდე მაყურებელს იტევდა.

Clivus Yirbius – ვირბიუსის ფერდობი, ვირბიუსის დაღმართი – რომის ერთ-ერთი ქუჩა.

Coa vestis – კოსური სამოსი. კოსი კუნძულია კარიის ნაპირებთან როდოსის ჩრდილო-დასავლეთით. ასე უწოდებდნენ ძალიან თხელსა და გამჭირვალე სამოსს, რომელსაც უმეტესად მსუბუქი ყოფაქცევის ქალები ატარებდნენ.

Diva augusta – ღვთაებრივი ავგუსტა.

Domina – ქალბატონი.

Domus transitoria – გასასვლელი სახლი. სვეტონიუსის გადმოცემით, ნერონმა პალატინის ბორცვიდან ესკვილინუსამდე გააშენა გაგრძელებული სახლი და „გასასვლელი სახლი“ იმიტომ შეერქვა, რომ ამ სახლით ერთი უბნიდან მეორემდე გაისვლებოდა.

Eheu! – ვაგლახ! ვაჰ! ვაი!

Ergo – მაშასადამე.

Exta humanum gaudium – ადამიანურ სიხარულზე აღმატებით, ე.ი. უჩვეულო, არაჩვეულებრივი სიხარულით.

Fauces – ტალანი, ვიწრო გასასვლელი, რომლითაც წარჩინებული რომაელების სახლების ატრიუმიდან პერისტილში გაისვლებოდა.

Flava coma! – ქერათმიანო!

Forum Pistorium – მეპურეთა, მეფუნთუშეთა ბაზარი.

Graeculi – „ბერძნუკები“ კნინობითი ფორმითაა ნახმარი, აბუჩად აგდების მიზნით.

Habet! – მოხვდა, დაიჭრა. იმ გლადიატორზე იტყოდნენ, რომელიც მძიმედ დაიჭრა, ბრძოლაში დამარცხდა და ახლა უკვე მისი შეწყალება და მისთვის სიცოცხლის შენარჩუნება ჯერ მაყურებელთა, შემდგომში კი იმპერატორის ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული. მომუჭული

ხელის მაღლა აწევით ან ქნევით შეწყალებას გამოხატავდნენ, ხოლო როცა არ იწყალებდნენ, ცერის დაბლა დახრით აღნიშნავდნენ თავიანთ გადაწყვეტილებას.

Heu! Heu! me miserum! – ვაი! ვაი! მე საწყალს!

Hie Abdera – სიტყვასიტყვით: „აი აბდერა!“, ე.ი. „აი სულელი!“ რადგან თრაკიის ქალაქის აბდერას მცხოვრებლებს სულელების სახელი ჰქონდათ დავარდნილი.

Histrio – მსახიობი, აქტიორი

Ichthys – თევზი. ვითომ ბერძნულად ამ სახელის ასოებით შეადგენდნენ შემდეგ გამოთქმას: „Iesous Christos Theou yios Soter – ე.ი. ისეო ქრისტე, ძე უფლისა, მაცხოვარი.

Innoxia corpora – უდანაშაულო ხალხი, უდანაშაულო გვამები.

Iovi optimo maximo – იუპიტერს, აღმატებულს, უდიდებულესს.

Ludi – სანახაობანი, გასართობები.

Ludus matutinus – დილის თამაშობა, დილის სანახაობა.

Macte! – ყოჩაღ! ბარაქალა! ვაშა!

Matricida – დედის მკვლელი.

Matrona stolata – სტოლოსანი მატრონა, სტოლათი მოსილი მანდილოსანი. რადგან სტოლა პატიოსანი ქმარშვილიანი რომაელი ქალების სამოსი

იყო, ამ გამოთქმით, პატივცემული, ღირსეული მანდილოსანი აღინიშნებოდა.

Me miserum! – მე საბრალო!

„Ne sutor supra crepidam“ – „მეწაღევ, ფეხსაცმელზე ზევით ნუღა აიხედავ (ნუღარ იმსჯელებ)“. გადმოცემის მიხედვით, სახელგანთქმულმა ბერძენმა მხატვარმა აპელესმა სურათი გამოფინა, რათა მნახველებს ნაკლზე მიეთითებინათ, მეწაღემ ფეხსაცმელი დაუწუნა და აპელესმა შეასწორა კიდეც, მაგრამ მეორე დღეს მეწაღემ უკვე წვივებზე გადაიტანა სჯა და ვითომ მხატვარმა მაშინ უთხრა ასე.

„Non te peto, piscem peto, Quid me fugis, Galle!“

– „შენ კი არ გიჭერ, თევზს ვიჭერ, რატომ გამირბი, გალო!“

Ocelle mi! – ჩემო თვალსაჩინო! თვალთა ჩემთა ნათელო!

Panem et circenses! – პური და სანახაობა!

Parricida – მამის მკვლელი და საერთოდ ნათესავების მკვლელი.

Patres – მამები. აქ სენატორები იგულისხმებიან.

Pax romana – რომის მშვიდობა.

Pax vobiscum! Pax! Pax! – მშვიდობა თქვენდა! მშვიდობა! მშვიდობა!

Peractum est! – აღსრულდა! გათავდა!

Piacula – მოსანანიებელი მსხვერპლშეწირვები.

Pons Sublicius – ხიმინჯებიანი ხიდი.

Porta Capena – სამხრეთიდან შესასვლელი კარი რომში.

Pro Christo – ქრისტესათვის.

Proh pudor! – ო, სირცხვილო!

Puticuli – მონათა და ღატაკთა სასაფლაო ესკვილინუსის ბორცვზე.

Quo vadis, Domine? – ვიდრე ჰხვალ, უფალო? ძველი ქართულია, ე.ი. საით მიდიხარ, უფალო?

Salve – გამარჯობა.

Sannio – ტაკიმასხარა.

Sarmentitii და semaxil – sarmentum „ფიჩხს“ ნიშნავს; semis – „ნახევარს“, ხოლო axis – „ღერძს“. ჩანს, ასე უწოდებდნენ ქრისტიანებს, რომელთა ჯვარზე გაკრულთ ფიჩხს შემოაყრიდნენ და ისე წვავდნენ. ჯვარი წარმოადგენდა სვეტს, რომელსაც აქეთ-იქით თანაბრად დატოვებული სიგრძის ძელი ჰქონდა მიმაგრებული.

„Scandala! Scandala!“ – scandalum – შუა საუკუნეების საეკლესიო ლათინურის მიხედვით „ცთუნებას“ ნიშნავს, აგრეთვე – „განხეთქილებას“ და „სამარცხვინო ქცევას“ ან „სამარცხვინო ამბავსაც“, შეიძლებოდა ეს სიტყვები ასე გვეთარგმნა: „სირცხვილი! სირცხვილი!“ ანდა „რა სამარცხვინოა!“

Scripta duodesim – ერთგვარი თამაში, სიტყვასიტყვით „თორმეტ ხაზს“ ნიშნავს, თორმეტი ხაზით 25 კვადრატად დაყოფილ დაფაზე თამაშობდნენ სხვადასხვა ფერის კენჭებით.

„Sie te diva potens Cypri,

sie fratres Helenae, lucida sidera,

ventorumque regat pater…“

„დაე ქალღმერთმა კვიპროსის მბრძანებელმა, დაე ელენეს ძმებმა, კაშკაშა ვარსკვლავებმა და ქართა მამამ წაგმართოს [ხომალდო]“. ჰორაციუსი, ოდები I, 3, 1-3.

Sine armis et sine arte – უიარაღოდ და სიმარჯვის ხელოვნების გარეშე.

Sponsa mea! – ჩემო დანიშნულო, ჩემო საცოლევ!

Ubi tu Gaius ibi ego Gaia! – სადაც შენ გაიუს, იქ მე გაია. წმიდა ფორმულა, რომელსაც წარმოთქვამდა საპატარძლო ქორწინების დროს, რითაც ალბათ მომავალ ქმართან ბედის განუყრელად დაკავშირება იგულისხმებოდა.

Univira – მხოლოდ ერთხელ გათხოვილი ქალი.

Vae misero mihi! – ვაი, მე საბრალოს!

Veni, vidi, vici – მოვედი, ვნახე, დავამარცხე. Veni, vidi, fugi – მოვედი, ვნახე, გამოვიქეცი.

Venus Genitrix – მშობელი ვენერა, დედა ვენერა. ვენერას ერთ-ერთი ეპითეტია.

Vestiplica – მოახლე, რომელიც ბატონის ტანსაცმელს უვლიდა და კოხტა ნაოჭებად გააწყობდა ჩაცმის დროს.

Via Appia – აპიუსის გზა, რომის ყველაზე უძველესი და სახელგანთქმული გზა, რომელიც ქალაქ რომს სამხრეთ იტალიასთან აკავშირებდა. იგი ქ. კაპუამდე გაიყვანა აპიუს კლავდიუს ცენზორმა ძვწ. 312 წ.

Via Nomentana – გზა, რომელიც რომის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში იწყებოდა და ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ მიემართებოდა.

Via Ostiensis – ოსტიის გზა.

Via Salaria – გზა, რომელიც რომის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში იწყებოდა და ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ მიემართებოდა.

Videant consules… – დასაწყისი წინადადებისა, რომლითაც რომის სახელმწიფოს საფრთხეში ყოფნის დროს კონსულებს დიდი უფლებები ენიჭებოდათ. მთლიანად იქნება: „Videant consules ne quid respublica detrimenti capiat - ე.ი. „კონსულებმა მიხედონ, რათა სახელმწიფოს არაფერი ევნოს“.

Virgo magna – დიდი ქალწული. იგულისხმება ვესტას მთავარი ქურუმი ქალი. ვესტას ქურუმს ისეთი პატივი ჰქონდა, სიკვდილმისჯილს რომ შეხვედროდა გზაში, გაათავისუფლებდნენ.